ევგენი ბარათაშვილი • ზურაბ ნასარაია • ჯანდრი ზარანდია
ანზორ აბრალავა • რუსუდან ქუთათელაძე • თეიმურაზ გოდერძიშვილი
ლეილა მამულაშვილი • გულნაზ ერქომაიშვილი • თამარ ლაგვილავა

# რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022

*ნაშრომი ეძღვნება ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორის,*
*პროფესორის* ***ნინო მახარაშვილი-ბარათაშვილის*** *ნათელ ხსოვნას.*

ნაშრომში განხილულია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის და საერთოდ, რეგიონალიზმის უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა რეგიონული ეკონომიკური განვითარების თეორიების გენეზისი, საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის კონცეფცია, ინვესტიციების მოზიდვის რეგიონული ასპექტები, რეგიონული კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება, პოლიტიკური რეგიონალისტიკა, რეგიონული საფინანსო ბაზრების თანამედროვე ტენდენციები, „ცენტრი-რეგიონი"-ს ურთიერთობები, რეგიონული დიაგნოსტიკა, რეგიონული პოლიტიკის მაკროეკონომიკური პროგნოზი და სხვა.

ნაშრომი განკუთვნილია მაგისტრების, დოქტორანტებისა და მეცნიერ-მკვლევარებისთვის. იგი საინტერესო იქნება აგრეთვე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.


**სამეცნიერო-რედაქტორები:**

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

**ნიკოლოზ ჩიხლაძე** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**რეცენზენტები:**

**ბადრი გეჩბაია** – ეკონომიკის დოქტორი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ნაირა გალახვარიძე** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ნოდარ გრძელიშვილი**– ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი



© ე. ბარათაშვილი, ზ. ნასარაია, ჯ. ზარანდია
ა. აბრალავა, რ. ქუთათელაძე, თ. გოდერძიშვილი
ლ. მამულაშვილი გ. ერქომაიშვილი, თ. ლაგვილავა 2022



გამომცემლობა „უნივერსალი", 2022
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაის №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-229-6

*სახელმძღვანელო კრებება*
*საქართველოს ცენტრალური უნივერსიტეტის*
*100 წლის თუბერკულ*

წიგნის გამოცემა დაფინანსებულია
გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის ფონდის მიერ

# სარჩევი


შესავალი ..... 9

REGIONAL ECONOMIC POLICY ..... 11

თავი 1. რეგიონული ეკონომიკის მეცნიერული კვლევის როლი ეკონომიკურ მეცნიერებაში და მისი კომპლექსური შესწავლის მეთოდოლოგია ..... 12

1.1 რეგიონის ძირითადი ცნებები და განმარტებები ..... 12

1.2 რეგიონის კომპლექსური განვითარება ..... 17

თავი 2. რეგიონული ეკონომიკური განვითარების თეორიების გენეზისი ..... 36

თავი 3. საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის კონცეფცია ..... 50

3.1 საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის ადგილის კონცეფცია და მსოფლიო სისტემების თეორია ..... 50

3.2 ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციის მეთოდოლოგიური მიდგომები ..... 54

თავი 4. რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების კონცეფცია ..... 62

41. ეკონომიკური განვითარების ეტაპები და სამი სექტორის თეორია ..... 62

4.1.1 საბაზრო სექტორი ..... 65

4.1.2.პირველადი დარგების, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სექტორი ..... 65

4.1.3.პოტენციური კონკურენტუნარიანი სექტორი ..... 66

4.1.4 დეპრესიული სექტორი ..... 68

4.1.5 მცირე ბიზნესის სექტორი ..... 68

თავი 5. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა და ტერიტორიულ-სამეურნეო წყობა ..... 73

5.1 რეგიონის ტერიტორიულ-საწარმოო ძალები ..... 73

5.2 ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნები სოციოკულტურულ ძვრათა კონტექსტში ..... 76

5.2.1 რეგიონული პოლიტიკა სოციოკულტურული პრობლემატიკის შუქზე ..... 77

5.2.2. საქართველოს ტერიტორიული განვითარების ნეგატიური ტენდენციები და მათი დაძლევის ამოცანები ..... 78

5.3. საქართველოს გეოსტრატეგიული ინტერესები და გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური სივრცის ევოლუცია ..... 81

5.4. თანამედროვე ეკონომიკური დარაიონების საფუძვლები და საქართველოს ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები ..... 82

თავი 6. ეკონომიკური ზრდა – რეგიონული განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი ..... 104

6.1 ეკონომიკური ზრდის არსი და მისი შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები ..... 104

6.2 ეკონომიკური ზრდის ციკლური რყევები ..... 107

6.3 რეგიონი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და მართვის ობიექტი ..... 116

6.4 რეგიონის ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალი, როგორც მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საფუძველი ..... 123

6.5 გლობალიზაციის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მდგრად განვითარებაზე ..... 127

6.6 რეგიონული განვითარების ინსტიტუტების გამოყენების საშინაო და საგარეო გამოცდილება ..... 136

6.7 რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბება მდგრადი ტერიტორიული განვითარების პრინციპების განხორციელების უზრუნველსაყოფად ..... 139

6.8 რეგიონების მდგრადი განვითარების მართვის პროგრამულ-მიზნობრივი მექანიზმი ..... 145

6.9 რეგიონის მდგრადი განვითარების შეფასებისადმი მეთოდური მიდგომები ..... 148

თავი 7. რეგიონი, როგორც კონკურენტული ურთიერთობების სუბიექტი ..... 154

7.1 კონკურენციული პროცესები და რეგიონული განვითარების პარადიგმის ცვლილება ..... 154

7.2 რეგიონების კონკურენტული პოზიციების დიფერენციაცია ..... 161

**თავი 8. საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობა** ..... 166
8.1 საქართველოს ბუნებრივ– რესურსული პოტენციალის რეგიონული თავისებურებები (მოკლე მიმოხილვა) ..... 166
8.2 საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციები ..... 171
8.3 საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება ..... 178

**თავი 9. რეგიონის კონკურენტუნარიანობა და ფინანსური ინფრასტრუქტურა** ..... 187
9.1 ფინანსური ინსტიტუტების როლი რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ..... 187
9.2 საბანკო სისტემის როლი რეგიონის საინვესტიციო გარემოს ფორმირებაში ..... 192

**თავი 10. რეგიონის ინოვაციური საქმიანობა და კონკურენტუნარიანობა** ..... 196
10.1 ინოვაციური გარემოს ჩამოყალიბება და რეგიონის ინოვაციური სტრატეგიები ..... 196
10.2 კონკურენტული ანალიზის მეთოდოლოგია ..... 200
10.3 კლასტერების როლი რეგიონების ინოვაციურ განვითარებაში ..... 203
10.4 ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა ..... 207

**თავი 11. რეგიონის ფირმათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების თანამედროვე კონცეფციები ... 215**
11.1 ინტეგრაცია, როგორც რეგიონის საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალება ..... 215
11.2 ფირმათა კონკურენტუნარიანობის თავისებურებები ..... 219
11.3 არამატერიალური აქტივების მართვა, როგორც პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში ფირმის კონკურენტუნარიანობის საფუძველი ..... 221
11.4 კორპორაციული კულტურა, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობის ფაქტორი ..... 226
11.5 ექსპორტის სტიმულირება რეგიონულ დონეზე, როგორც ეროვნული და რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულება ..... 227
11.6 მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის რეგულირების პრიორიტეტები რეგიონის კონკურენტუნარიანობაში ..... 233

**თავი 12. კლასტერების როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში** ..... 240
12.1 კლასტერების მნიშვნელობა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ..... 240
12.2 დამატებული ღირებულების ჯაჭვის და კლასტერის ურთიერთქმედების კონცეფცია ..... 243
12.3 განვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები ..... 246
12.4 ტერიტორიული საწარმოო კომპლექსების და კლასტერების შედარება ..... 248
12.5 წარმოების ორგანიზაციის ტერიტორიული ფორმების კლასიფიკაცია ..... 248
12.6 მცირე და საშუალო საწარმოების როლი ეკონომიკაში და მათი სივრცობრივი კონცენტრაცია ..... 250
12.7 მცირე ქვეყნებში კლასტერების ფუნქციონირების თავისებურებანი და კლასტერული პოლიტიკა ..... 253
12.8 სამრეწველო კლასტერების განთავსების თავისებურებები პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში .... 257

**თავი 13. ინვესტიციების მოზიდვის რეგიონული ასპექტები და საგადასახადო პოტენციალის ზეგავლენა საინვესტიციო რესურსების ფორმირებაზე** ..... 262
13.1 ეკონომიკურ თეორიაში არსებული ინვესტიციური მოდელები ..... 262
13.2 რეგიონული საინვესტიციო პროგრამები (რსპ) ..... 267

**თავი 14. რეგიონული პოლიტიკის მაკროეკონომიკური პროგნოზი** ..... 270
14.1 რეგიონული მაკროეკონომიკური პროგნოზირების ასპექტები ..... 270
14.2 რეგიონული განვითარების სოციალურ-ეკონომიკური დონის კომპლექსური შეფასების კომპონენტები ..... 282

**თავი 15. საქართველო და ევროკავშირი (თანამშრომლობის 10 წელი)** ..... 285
15.1 საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია ... 285
15.1.1 ევროპული ინტეგრაციის პროცესი: მიღწევები, ხარვეზები და გამოწვევები საქართველოში, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში ..... 287
15.1.2 სახელმწიფოების დამოკიდებულება ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის მიმართ ..... 288
15.1.3 სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით არსებული მიღწევები ..... 289
15.2 ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან და საქართველოს მცირე მეწარმეობის განვითარება ..... 294
15.3 ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან და საქართველოს სატრანსპორტო ენერგეტიკული დერეფანი ..... 299
15.4 საქართველოსა და ევროპის (ევროკავშირის) ქვეყნების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები .. 307
15.4.1 საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: ესტონეთის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საქართველო ..... 308
15.4.2 საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: დანიისა და საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი ..... 312
15.4.3 საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: ხორვატიისა და საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი ..... 317
15.4.4 საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: სლოვაკეთის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საქართველო ..... 322
15.4.5 შვეიცარიის კონფედერაციის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საქართველო ..... 324

**თავი 16. მსოფლიო გლობალიზაცია, ინტეგრაცია და საქართველო** ..... 330
16.1 მსოფლიო გლობალიზაციისა, და ინტეგრაციული პროცესების ზოგადი მიმოხილვა ..... 330
16.2 საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეფასება და მისი მონაწილეობა მსოფლიო მეურნეობაში ..... 332
16.3 საქართველო ევროაზიურ სივრცეში, ენერგეტიკული დერეფანი და ეროვნული ეკონომიკა ინტეგრაციულ პროცესებში ..... 334
16.4 საქართველო თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის და ინტეგრაციის კონტექსტში .... 338

**თავი 17. რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის შინაარსი, პრობლემები და ამოცანები** ..... 344
17.1 სისტემური კვლევის არსი და დიაგნოსტიკის გაგება ..... 344
17.2 რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტიკის თავისებურებები, ამოცანები და ინფორმაციული ბაზა ..... 347
17.2.1 რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტიკის თავისებურებანი ..... 347
17.2.2 რეგიონის ეკონომიკური დიაგნოსტირებისათვის სტატისტიკურ მონაცემთა ძირითადი ჯგუფები ..... 349
17.2.3 ინფორმაციულ ბაზაში „თეთრი ლაქები" ..... 350
17.2.4 ტიპიური პრობლემები ინდიკატორთა გაანგარიშებაში ..... 352
17.3 რეგიონული დიაგნოსტიკის კვლევის ამოცანები ..... 355

**თავი 18. რეგიონულ ეკონომიკაში მრეწველობის დიაგნოსტირებისა და განვითარების სპეციფიკა** .... 357
18.1 სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი მიზნები ..... 357
18.2 მრეწველობის ძირითადი სექტორები და მათი სტრუქტურული რეგულირება ..... 358
18.3 სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტურიზაცია ..... 364
18.4 მრეწველობაში პროდუქციის მოცულობისა და დამატებული ღირებულების მაჩვენებლის გამოყენება ..... 364
18.5 სამრეწველო წარმოების დინამიკისა და დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი ..... 367

18.6 მრეწველობის დივერსიფიკაციის ხარისხი ....369
18.7 ერგონომიკური გამოკვლევების სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობა ....373

**თავი 19. სოფლის მეურნეობის დიაგნოსტიკის თავისებურებანი** ....381
19.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი თავისებურებანი ....381
19.2 საქართველოს შავი ზღვისპირეთის სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებანი....384
19.3 აგრარულ რეგიონებში სოფლის მეურნეობის დიაგნოსტიკის სპეციფიკა ....385
19.4. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტატისტიკის თავისებურებანი ....390

**თავი 20. მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის ანალიზი** ....392
20.1 მშენებლობა, როგორც მატერიალური წარმოების დარგი და მისი დამახასიათებელი თავისებურებები ....392
20.2 სამშენებლო სექტორის პრობლემები ....394
20.3 საცხოვრებელი ბინებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების დახასიათება ....398

**თავი 21. მომსახურების სფეროს დიაგნოსტიკა** .... 402
21.1 მომსახურების წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ანალიზივ ....402
21.2 სხვა დარგების შესწავლის სპეციფიკა საბაზრო მომსახურების წარმოებისას ....404
21.3 არასაბაზრო მომსახურების ძირითადი ნაწილის მწარმოებელი დარგები ....408

**თავი 22. „ცენტრი-რეგიონი"-ს ურთიერთობები ფედერალიზმის პირობებში** ....411
22.1 ფედერალიზმის ძირითადი პრინციპები, ცნებები და განმარტებები ....411
22.2 ფედერაციის ძირითადი ტიპები ....416

**თავი 23. რეგიონული მიზნობრივი პროგრამები** ....418
23.1 პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდები ....418
23.2 პროგრამის პროექტის შემადგენლობა ....423
23.3 პროგრამები და ადგილობრივი ხელმძღვანელობა ....424

**თავი 24. რეგიონული პროპორციები, როგორც მათი საწარმოო – ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ფაქტორი** ....432
24.1 რეგიონის სოციალურ – ეკონომიკურ სისტემაში პროპორციების ხასიათი ....432
24.2 რეგიონის წარმოებისა და მოხმარების პროპორციულობის დონის გამოკვლევა ....443

**თავი 25. რეგიონული მოხმარების სტიმულირება** ....446
25.1 რეგიონული ბაზრები ....446
25.2 რეგიონული ბაზრების მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკაში ....448

**თავი 26. რეგიონული სოციალური სივრცე. რეგიონული სოციალური და ეკონომიკური სტრატიფიკაცია** ....457
26.1 რეგიონული სოციალური და ეკონომიკური სტრატიფიკაცია ....457
26.2 ელიტის სოციოლოგია – მისი ფუნქციები და ადგილი საზოგადოებაში ....467

**თავი 27. რეგიონული საფინანსო ბაზრების თანამედროვე ტენდენციები და გლობალიზაციის პრობლემები** ....471
27.1 რეგიონული საფინანსო ბაზრების ფორმირების პრობლემები ....471
27.2 საქართველოში არსებული ბაზრები ....473

**თავი 28. პოლიტიკური რეგიონალისტიკა** ....475
28.1 პოლიტიკური რეგიონალისტიკის არსი ....475
28.2 მომავალი მსოფლიოს კონტურები ....482

გამოყენებული ლიტერატურა ....496

სახელმწიფოებმა საუკუნეების განმავლობაში მოახდინეს მათი შემადგენელი ტერიტორიების ინტეგრირება, ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის განსხვავებული ტიპების ერთ მთლიანობაში გაერთიანებით. ამ საფუძველზე ჩამოყალიბდნენ საკუთარი ეკონომიკური და მმართველობითი სისტემების ჩანასახები. საერთო ეროვნულმა თვითშეგნებამ ნდობასა და მაშასადამე, ლიბერალურ დემოკრატიას ჩაუყარა საფუძველი. ერთიანი სახელმწიფოებრიობა უზრუნველყოფდა სოციალურ სოლიდარობას, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა თანამედროვე სახელმწიფოების განვითარებას. მკაფიო საზღვრები ამკვიდრებდნენ შრომასა და კაპიტალს ერთ ტერიტორიაზე და ხელს უწყობდნენ სოციალურ კომპრომისს. ამგვარი მიდგომის აპოგეად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქცნენ საყოველთაო კეთილდღეობის კეინსიანური სახელმწიფოები. ეროვნულმა სახელმწიფომ დაიცვა ლიბერალური დემოკრატია და სოციალური სოლიდარობა, მაგრამ მის განვითარებას სირთულეებიც თან ახლდა. ეროვნული პლურალიზმი და გახსნილობა, რომლებიც ახასიათებდა ევროპული ცივილიზაციის უფრო ადრეულ პერიოდებს, რიგ შემთხვევაში დაკარგულ იქნა. ეროვნულობის აღმავლობამ და თვითშეგნების ზრდამ უფრო ფართო მასშტაბისა და ინტენსიურობის კონფლიქტები გამოიწვიეს – შიდა და სახელმწიფოთაშორისო.

ომებმა ზოგიერთი სახელმწიფოს კრახი გამოიწვია, მაგრამ არა სახელმწიფოებრივი მშენებლობის საზოგადოდ მიღებული მოდელის უარყოფა. გაცილებით უფრო ძლიერ ეროვნული სახელმწიფოს პოზიციებზე ზეგავლენა მოახდინა გლობალიზაციამ. ამ ცნებაში ჩადებული ფართო მნიშვნელობის გამო, იგი ხშირად არამართებულად გამოიყენება. თუმცა არავინ არ უარყოფს იმას, რომ გლობალიზაციამ შეცვალა ეროვნული სახელმწიფოს როლი. საზღვრები არ მოიშალა, მაგრამ უფრო გაიოლდა მათი გადალახვა. კაპიტალი, საქონელი, მომსახურება და – ნაკლები ხარისხით – ადამიანები უფრო მობილურები გახდნენ, შეუძლებელია მათი გაჩერება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. ახალი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა დარღვეულ იქნას წარმოების, მათ შორის მეცნიერებატევადი დარგების კავშირი გარკვეულ ტერიტორიასთან. „ზოგადსაკაცობრიო კულტურის“ გავრცელება სულ უფრო ამცირებს შანსებს ლოკალური კულტურისა და ეროვნული ენის რეალურ დაცვაზე.

მთავრობებმა უმეტესწილად უარი თქვეს ტერიტორიების დაბალანსებულ განვითარებაზე რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში, ვინაიდან კაპიტალი ირჩევს ინვესტიციებს მსოფლიო კონიუნქტურიდან გამომდინარე. ევროპაში ამ პროცესის დაჩქარება მიმდინარეობს შიდა ბაზრისა და სავალუტო კავშირის გამყარების, ახალი ზეეროვნული პოლიტიკის ფორმირების კვალობაზე.

თუმცა, ტერიტორიული საზღვრების ურღვევობაზე უარის თქმა – პრობლემის მხოლოდ ერთი ასპექტია. კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება „ჩვეულ რიტმს“ უბრუნდება, მაგრამ ეს პროცესი ორ დონეზე მიმდინარეობს. ერთსაც და მეორესაც უწოდებენ „რეგიონულს“. კონტექსტიდან გამომდინარე, იგულისხმება სახელმწიფოთაშორისო (ზოგადევროპული თვალსაზრისით) და შიდასახელმწიფოებრივი.

ვისკონსინის უნივერსიტეტის გამომცემლობაში რამდენიმე წლის უკან გამოსული ორტომეულის «Regionalism in the Age of Globalism» ავტორები (სტივენ პელშერი, კორნელია ჰანნი და სხვ.) გამოყოფენ თანამედროვე რეგიონალიზმის სამ ნიშანს. ჯერ-ერთი, ეს არის „გლოკალიზაცია“, ტერმინ-ნეოლოგიზმი, რომელიც შემოიღო ბრიტანელმა სოციოლოგმა როლანდ რობერტსონმა და რომელმაც უკვე გამოდევნა მოწინავე აკადემიურ სფეროში ცალსახა „გლობალიზაცია“. რობერტსონმა ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ გლობალური ინტერესები და ლოკალური იდენტურობები არა თუ არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ პირიქით – დიალექტიკურ ერთიანობაში არიან. გლობალური კომპანიები იძულებულნი არიან ყოველთვის შეუქმნან თავიანთ პროდუქციას ლოკალური იმიჯი, ამასთანავე, მეორე მხრივ, ლოკალური სუბიექტები აგრეთვე ცდილობენ თავიანთი რეგიონების ბრენდები გლობალურად ცნობადი გახადონ. ამრიგად, რეგიონალიზმს გლობალიზმის ეპოქაში არაფერი საერთო არა აქვს რაღაც იზოლაციონიზმთან, არამედ პირიქით – გამოდის როგორც ღია ეკონომიკურ-კულტურული სტრატეგია, რომელიც ეწინააღმდეგება ზოგჯერ „ეროვნული დახურულობის“ პოლიტიკას.

რეგიონალიზმის მეორე ნიშანია „ეთნოსკეიპი“, როგორც მას უწოდებს ინდოელი კულტუროლოგი არჯუნ აპადურაი. ესაა სხვადასხვა ეთნიკური დაჯგუფებების დინამიკა, რომელიც განსაზღვრავს რეგიონის ცვალებად იერს. მაგალითად, აფხაზეთისათვის ამ პროცესების გამოკვლევა მეტად აქტუალურად გვესახება. ომისშემდგომი მიგრაციები არსებით ზემოქმედებას ახდენენ ამ რეგიონის ეთნი-

კურ სახეზე. ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ეს პროცესები კი მომავალში კიდევ უფრო მეტ პრობლემას წარმოქმნის.

და ბოლოს, მესამე ნიშანს, ან უფრო სწორედ, თანამედროვე რეგიონალიზმის პრინციპს წარმოადგენს „განსხვავება, რომელიც მოიცავს" (inclusive distinction) რეგიონალიზმის ადრეული ფორმებისათვის და უმეტეს ეროვნულ სახელმწიფოთათვის დამახასიათებელი „გამომრიცხავი განსხვავება" (exclusive distinction). რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს სხვადასხვა დაჯგუფებებს („ან-ან"), „განსხვავება, რომელიც მოიცავს" პრინციპი განიხილავს რეგიონის ყველა მოსახლეს, როგორც თანასწორ მოქალაქეებს („ისევე, როგორც"). მაგრამ ამასთან, არ ცდილობს მათ ხელოვნურ შერევას – განსხვავება (distinction), რასაკვირველია, რჩება, და სწორედ რომ ქმნის რეგიონის კულტურულ სიმდიდრეს. მოსახლეობისათვის საერთო მსოფლმხედველობითი საძირკველი ხდება თვით რეგიონი, მისი სპეციფიური იდენტურობა, მათ შორის მრავალი ხელოვნური საზღვრების მოშლით. და ამ საძირკველზე საბოლოოდ ბუნებრივად წარმოიქმნება რეგიონული სამოქალაქო თვითმმართველობა.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი პარადოქსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანობაში ქვეყნებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებებთან ერთად შეიმჩნევა სხვადასხვა ქვეყნის გარკვეული ტიპის რეგიონებს შორის ასევე მნიშვნელოვანი მსგავსება. ამასთანაა დაკავშირებული უამრავი საერთო ნიშან-თვისება სხვადასხვა ქვეყნის მიდგომაში თავიანთი შიდა რეგიონული პრობლემების მიმართ. აქედან გამომდინარე, საქართველოში რეგიონული განვითარების პრობლემის გამოკვლევა და რეგულირება შესაძლებელია და უნდა გატარდეს უმდიდრესი უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით.

დაკარგული ტერიტორიები, რეგიონებს შორის მზარდი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები, უამრავი პრობლემური, მათ შორის კრიზისული ურთიერთობები ქვეყანაში, ეკონომიკური სივრცის დეზინტეგრაცია – ეს ყველაფერი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თანამედროვე საქართველოს სახეს.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში თავი. 9 რეგიონის კონკურენტუნარიანობა და ფინანსური ინფრასტრუქტურა და თავი. 27 რეგიონული საფინანსო ბაზრების თანამედროვე ტენდენციები და გლობალიზაციის პრობლემები დაწერილია ეკონომიკის დოქტორ რუსუდან ნიკურაძესთან ერთად, ხოლო თავი. 11 რეგიონის ფირმათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების თანამედროვე კონცეფციები და თავი 26. რეგიონული სოციალური სივრცე. რეგიონული სოციალური და ეკონომიკური სტრატიფიკაცია დაწერილია ეკონომიკის დოქტორ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ელისო გველესიანთან ერთად.

წინამდებარე ნაშრომი კიდევ ერთი მცდელობაა მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ქართული რეგიონალისტიკის და საერთოდ, რეგიონალიზმის, შესწავლის საქმეში.

ავტორები დიდი მადლიერებით მიიღებენ ნაშრომის მიმართ გამოთქმულ ყველა საქმიან შენიშვნას და წინადადებას და გაითვალისწინებენ მათ შემდგომ მუშაობაში.

## REGIONAL ECONOMIC POLICY

States have for centuries integrated their constituent territories, bringing together different types of national self-consciousness and different types of culture. On this basis, the embryos of their own economic and governance systems were formed. Common national self-consciousness laid the foundation for trust and, therefore, for liberal democracy. Unified statehood ensured social solidarity, which in turn contributed to the development of modern states. Clear boundaries established labor and capital in one area and facilitated social compromise. The apogee of such an approach became the Keynesian states of universal prosperity after World War II. The nation-state defended liberal democracy and social solidarity, but its development was accompanied by difficulties. The national pluralism and openness that characterized the earlier periods of European civilization has been lost in some cases. The rise of nationality and the rise of self-consciousness have led to conflicts of wider scale and intensity - internal and interstate.

The wars led to the collapse of some states, but not the rejection of the generally accepted model of state-building. The positions of a much stronger nation-state have been affected by globalization. Because of the broad meaning embedded in this concept, it is often misused. Yet no one denies that globalization has changed the role of the nation-state. Boundaries were not blurred, but it was easier to cross them. Capital, goods, services and – to a lesser degree – people have become more mobile, it is impossible to stop them within one state. New technologies allow the connection of production, including science-related fields, to a certain area to be broken. The spread of "universal culture" is increasingly reducing the chances of real preservation of local culture and national language.

Governments have largely abandoned the balanced development of territories within the framework of regional policy, since capital chooses investments based on the global conjuncture. In Europe, this process is accelerating due to the strengthening of the internal market and the monetary union, the formation of a new supranational policy.

However, refusing to violate territorial boundaries is only one aspect of the problem. Cultural, economic, social and political life returns to the "usual rhythm", but the process takes place on two levels. Both are called "regional". In context, it refers to interstate (in European terms) and intra-state.

The authors (Stephen Helscher, Cornelia Hahn, etc.) of the two-volume orthogonalism published a few years ago in the University of Wisconsin publishing house distinguish three signs of modern regionalism. First, it's "globalization," a term coined by British sociologist Roland Robertson, which has already pushed for a clear "globalization." Robertson has brilliantly argued that global interests and local identities are not contradictory but, on the contrary – in dialectical unity. Global companies are forced to always create a local image of their products, while on the other hand, local entities are also trying to make the brands of their regions globally recognizable. Thus, regionalism in the era of globalism has nothing to do with some isolationism, but on the contrary – it turns out to be an open economic-cultural strategy, which sometimes contradicts the policy of `national closure '.

Finally, the third sign, or rather the principle of modern regionalism, is the "distinction that includes" (inclusive distinction) for the early forms of regionalism and the "excluding distinction" characteristic of most nation-states.

The common worldview foundation for the population becomes the region itself, its specific identity, including the breaking down of many artificial boundaries. And on this foundation, regional civil self-government will eventually emerge naturally.

Thus, one of the paradoxes of the modern world is that along with significant differences between countries as a whole, there are also significant similarities between certain types of regions in different countries. Related to this are many commonalities in the approach of different countries to their internal regional problems. Therefore, the problem of regional development in Georgia can be studied and regulated and should be carried out taking into account the rich foreign experience.

Lost territories, growing socio-economic differences between the regions, numerous problems, including crisis relations in the country, disintegration of the economic space – all this significantly determines the appearance of modern Georgia.

This paper is a logical continuation and completion of our monograph "Georgia's Regional Development Economy" published in 2007. It is another attempt to make a modest contribution to the study of Georgian regionalism and regionalism in general.

The authors will gratefully accept all business comments and suggestions regarding the paper and will consider them in their future work.

# რეგიონული ეკონომიკის მეცნიერული კვლევის როლი ეკონომიკურ მეცნიერებაში და მისი კომპლექსური შესწავლის მეთოდოლოგია

## 1.1. რეგიონის ძირითადი ცნებები და განმარტებები

იმისათვის, რომ უფრო ზუსტად წარმოვიდგინოთ რეგიონული ეკონომიკისა და მართვის მეცნიერების საგანი, განვიხილოთ თვით „რეგიონის" გაგების არსი – ცნება.

ტერმინ „რეგიონის" გაგებას დღეს არა აქვს ცალსახა განმარტება, მათ შორის ქართველ რეგიონალისტებშიც[9] და ამიტომ სხვადასხვა მეცნიერებისა და მკვლევარების მიერ მისი შინაარსი წარმოდგენილია სხვადასხვაგვარად. ამაში დიდი უცნაურობა არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო თითოეული მეცნიერის მიერ იმის მოთხოვნა, რომ ჰქონდეთ გამოკვეთილი ამოსავალი დებულება თავიანთი გამოკვლევებისათვის. ამის თაობაზე ყურადღებას იმსახურებს ცნობილი რუსი მეცნიერის, ეკონომისტ-გეოგრაფის ნ.ე. კოლოსოვსკის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევდა, რომ ყველა მეცნიერებაში ყველაზე უფრო ძნელ და რთულ საქმეს წარმოადგენს ამოსავალი, საწყისი მდგომარეობა და გაგება. მათემატიკაში ასეთს წარმოადგენს რიცხვის შესახებ გაგება, ფიზიკაში – მატერიისა და ენერგიის გაგება, გეოგრაფიაში – რაიონების შესახებ სწავლება და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, რომ ტერმინ „რაიონი"-ის გაგება ძირითად ამოსავალს და მშობლიურს წარმოადგენს არა მარტო გეოგრაფიისათვის, არამედ ყველა იმ ეკონომიკური მეცნიერებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია გამოკვლევების სივრცობრივ ან ტერიტორიულ ასპექტებთან.

ჩვენი შეხედულებით, „რეგიონი"-ს არსის გაგების საქმეში ფუნდამენტად (საბაზო ფენომენად) უნდა მიჩნეულ იქნეს „ტერიტორიის" კატეგორია, შემდეგ „რაიონი"-ს და ბოლოს „რეგიონის" არსის გაგება.

ტერიტორია, ზოგიერთი მეცნიერი განმარტებით, არის მიწის მაგარი ზედაპირის გარკვეულად განსაზღვრული (შეზღუდული) ნაწილი მისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი და ანტროპოგენური რესურსებითა და მახასიათებლებით, რომელიც ხასიათდება ფართის განფენილობით, როგორც „სივრცობრივი" რესურსების განსაკუთრებული სახითა და გეოგრაფიული მდგომარეობით და სხვა მახასიათებლებით.

ძნელად დასაჯერებელი არ არის, რომ „ტერიტორია" – ეს არის საერთო სივრცობრივი გარემო, რომელშიც თანაარსებობს უფრო მცირე ლოკალური ტერიტორიული წარმონაქმნების სიმრავლე, რომელთა დანაწევრებაც წინასწარ განსაზღვრულია ეკონომიკური, გეოგრაფიული, სოციალური, ეროვნული, დემოგრაფიული და სხვა ნიშნებით, რომლებიც ამ წარმონაქმნებს აქცევენ მთლიანი ტერიტორიული სივრცის ნაწილად.

უმნიშვნელოვანესი, უფრო მასიურად წარმოსახული ტერიტორიული წარმონაქმნია „რაიონი", რომელიც ზოგიერთი მეცნიერის (მათ შორის ე.ბ. ალაევის) აზრით წარმოადგენს ლოკალიზებულ ტერიტორიას, რომელიც ხასიათდება შემადგენელი ელემენტებით, ერთიანობით, ურთიერთკავშირით, მთლიანობით, ამასთან ეს მთლიანობა მოცემული ტერიტორიის განვითარების ობიექტური პირობა და კანონზომიერი შედეგია.

აღიარებენ რა „რეგიონისა" და „რაიონის" განმარტებებში არსებულ გაუგებრობას, ამერიკელი პროფესორები პ. ჯეიმსი და ჯ. მარტინი თავიანთ კაპიტალურ გამოკვლევაში „ყველა შესაძლო სამყარო" წერენ: „ჩვეულებრივ რეგიონის ქვეშ უნდა გვესმოდეს ტერიტორიის მთლიანი მონაკვეთი, რომელიც თავის საფუძველში გარნკვეული ნიშნით გამოირჩევა და ამასთან არ ფლობს გამოკვეთილ საზღვრებს. უფრო მეტიც, ამ სიტყვას ხშირად იყენებენ ძალიან დიდი ტერიტორიების განსასაზღვრავად, რომლებიც ქმნიან კონტინენტების მთავარ ქვედანაყოფებს, მაგრამ გეოგრაფების პროფესიონალურ ენაზე, რომელიც აქ არის გამოყენებული, სიტყვას „რეგიონი" ან „რაიონი" იყენებენ სრულიად სხვადასხვანაირი ფართობის ტერიტორიების მიმართ, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული ერთსახოვნობით, რაც მათთვის სპეციფიურია და ემსახურება იმის საფუძვლად, რათა გამოყოფილი იქნან ეს ტერიტორიები". ამერიკელ მეცნიერთა შრომებში, ისევე როგორც რუსულ გამოკვლევებში გვხვდება „რაიონის" გაგების განსხვავებული განმარტებები. ასე მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გრაე წერდა: „ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ სახელმწიფო. მას აქვს ორგანიზაცია, საზღვრები და სახელწოდება. მას აქვს ჩაწერილი ისტორია, მაგრამ რა არის რაიონი? რასაკვირ-

ველია, ეს არ არის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეული. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ტერიტორია, რომელიც გამოირჩევა საკმაოდ დამახასიათებელი ნიშნებით იმისათვის, რათა ის გამოვაცალკეოთ მეზობლებისაგან."

ამერიკის კონგრესის ეროვნული რესურსების დარაიონების კომიტეტის ქვეკომიტეტმა სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებისაგან, რომლებიც რეგიონთმცოდნეობის პრობლემებისა და ეკონომიკური დარაიონების პრობლემებზე მუშაობენ შემდეგი პასუხები მიიღო:

– ჩიკაგოს უნივერსიტეტი, პროფესორი ვ. ჯონსი: „რაიონი – ესაა ტერიტორია, რომლის შიგნითაც არის ერთსახოვნობა ერთ ან რამოდენიმე ურთიერთობაში".

– ჩრდილო კაროლინა, პროფესორი ვუფტერი: „რაიონი – ესაა ტერიტორია, რომლის ფარგლებში ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების შეხამებამ შექმნა ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების ერთსახოვნება".

– მინესოტის უნივერსიტეტი, პროფესორ რ. ხარტსხორნი: „რაიონი – ესაა უწყვეტი ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც არსებობს გარკვეული ხარისხის ერთსახოვნება საერთო (ბუნებრივ და კულტურულ) ლანდშაფტში".

კიდევ ერთი მეცნიერმა ჩიკაგოდან – რ. პლატტმა თქვა, რომ „რაიონის გაგება – ესაა „ტერიტორია, რომელიც გამოყოფილია მიწის ხასიათის საერთო ერთსახოვნების საფუძველზე და მისი გამოყენების საერთო ერთსახოვნების საფუძველზე".

მიღებული განხილვების საფუძველზე, აგრეთვე საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე დარაიონების კომიტეტმა ჩამოაყალიბა ასეთი განმარტება: „რაიონად უნდა მივიჩნიოთ ტერიტორია, რომელიც ხასიათდება ერთი ან რამოდენიმე ასპექტით (ურთიერთობით)".

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს „რაიონის" საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ გაგებაზეც. კერძოდ, „რაიონიდან ქალაქში" და „რაიონიდან ქვეყანაში". ასეთი ტევადი ფორმულირება დაკავშირებულია იმასთან, რომ ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ესა თუ ის ტერიტორია შეიძლება მიეკუთვნებული იქნეს რაიონს (ტერიტორიის მთლიანობა, სპეციალიზაცია და ეკონომიკური კავშირები), საკმაოდ ზოგადია და მათში ხვდება ტერიტორიების ისეთი წარმონაქმნებიც, როგორიცაა ზონა, არეალი, ანკლავი და რეგიონი. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, მაშინ რა იგულისხმება რეგიონად?

უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „რეგიონი" ქართულ სინამდვილეში წარმოჩინდა „რაიონზე" გაცილებით გვიან. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო ეკონომიკურ მეცნიერებაში ახალი მიმართულების – რეგიონული ეკონომიკის გამოჩენასთან. მისი განმარტება ჯერ კიდევ 1975 წელს მოგვცა აკადემიკოსმა ნ.ნ. ნეკრასოვმა. მან მაშინდელი საბჭოეთის ტერიტორიაზე გამოყო მაკრორეგიონები, ანუ ზონები (ურალი, ვოლგისპირეთი, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი და სხვა), რომელთა შემადგენლობაშიც შედიან რეგიონები. მისი გადმოცემით „რეგიონად იგულისხმება ქვეყნის დიდი ტერიტორია მეტ-ნაკლები ბუნებრივი პირობებით და საწარმოო ძალების განვითარების დამახასიათებელი მიმართულებით ბუნებრივი პირობების კომპლექსის შესაბამისად ჩამოყალიბებულ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მქონე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან. რეგიონის გამოყოფის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს სახალხო სამეურნეო ამოცანების ერთიანობა, რომელიც დაფუძნებულია ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების ან მათი გათვალისწინებულ ექსპლუატაციის ერთიანობაზე და რომელიც ეფუძნება ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეურნეო საქმიანობის სტრუქტურაზე ან ეკონომიკური განვითარების გეგმიურ სტრუქტურებზე. ნეკრასოვის მაშინდელი რეგიონების განმარტება, ცხადია, გულისხმობდა მოკავშირე რესპუბლიკებს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ რაიონებს, აგრეთვე მრენველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის დარგების განლაგების რაიონებს.

დროთა განმავლობაში ტერმინმა „რეგიონი" უფრო მრავალნაირი მნიშვნელობა შეიძინა. მაგალითად ი.ნ. გლადკის და ა.ი. ჩისტობაევის აზრით, ტერმინი „რეგიონი" დღეს გამოიყენება როგორც ტერმინ „რაიონის" სინონიმი, ნებისმიერ იმ ტერიტორიების მინიშნებისათვის, რომლებიც თავიანთი ნიშნებით არ ემსგავსებიან უკვე მიღებულ და აღიარებულ ტერიტორიულ დაყოფას.

როგორც აღვნიშნეთ, რეგიონული გამოკვლევებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში ტერმინი „რეგიონი" სხვადასხვა ავტორების მიერ სხვადასხვანაირად გამოიყენება. მაგალითად, ვ.მ. რუტგაიზერი თავის ნიგნში „საზოგადოებრივი კვლავწარმოების რეგიონული თავისებურებანი" რეგიონად მოიაზრებს მოკავშირე რესპუბლიკას. პ.ა. მინაკირი შრომაში „რეგიონის ეკონომიკური განვითარება: პროგრამული მიდგომა" მიიჩნევს, რომ რეგიონი ესაა მხოლოდ შორეული აღმოსავლეთი; ა.ა. ანოხინი თავის მონოგრაფიაში „სოციალური განვითარების რეგიონული პრობლემები" რეგიონებს აკუთვნებს მოკავშირე რესპუბლიკას, ოლქს, მხარეს, ავტონომიას. რეგიონის საზღვრის შინაარსს უფრო მეტად

აფართოებს რ.ი. შნაპერი ნაშრომში „რეგიონი: მართვის ეკონომიკური მეთოდები". რესპუბლიკებთან, ავტონომიებთან, ოლქებთან ერთად რეგიონში ის რთავს რაიონებს, ქალაქებს. რეგიონის შინაარსის გაგების ყველა ზემოაღნიშნული ფორმულირებანი ეფუძნება მის ტერიტორიულ, გეოგრაფიულ გაგებას.

რეგიონის სხვა გაგება აქვს მოცემული ა.ი. დობრინინს, რომელიც მიიჩნევს, რომ რეგიონი წარმოადგენს „ქვეყნის სახალხო მეურნეობის ტერიტორიულად სპეციალიზებულ ნაწილს, რომელიც ხასიათდება კვლავწარმოებითი პროცესის ერთიანობითა და მთლიანობით".

რეგიონის დობრინინისეული განმარტების საფუძველში უკვე ჩადებული იყო ეკონომიკური ნიშანი, კერძოდ კი, „კვლავწარმოებითი პროცესის ერთიანობა და მთლიანობა". რაიმე ტერიტორიული ნიშნები ამ განმარტებაში სულაც არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს განმარტება „რეგიონს" აქცევს ძალიან ცალმხრივ და არასრულ კატეგორიად.

„რეგიონის" განმარტების გაფართოების მცდელობა იგრძნობა შემდგომ გამოკვლევებში. ლექციათა კურსის „რეგიონული კვლავწარმოების საფუძვლები" ავტორებს ა.შ. მარშალოვას და ა.შ. ნოვოსელოვს მიაჩნიათ, რომ „რეგიონი წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის არა მარტო ქვესისტემას, არამედ აგრეთვე მის შედარებით დამოუკიდებელ ნაწილს კვლავწარმოების დასრულებული ციკლით, კვლავწარმოების სტადიების გამოვლინების განსაკუთრებული ფორმებით და სოციალური და ეკონომიკური პროცესების სპეციფიკური თავისებურებებით.

ე. კუკლინსკი რეგიონებს იხილავს როგორც სივრცობრივი ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს, სადაც ბატონობს კონკურენციის ძალები. რეგიონებმა, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი კონკურენტუნარიანობით, შეიძლება მიიზიდონ სამამულო და საზღვარგარეთული ბაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი. რეგიონები შეიძლება პრინციპში განხილული იქნან, როგორც ნოვაციებისა და მეწარმეობის საფუძველი სივრცობრივი ქსელის უფრო ფართო კონტექსტში.

მაგრამ არც ეს განმარტება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრულყოფილად, მიუხედავად კვლავწარმოებით მომენტებზე გარკვეულწილად ყურადღების გამახვილებისა, რადგან აქ სივრცობრივი კატეგორია უფრო ღრმა და სრულ დასაბუთებას საჭიროებდა.

ამასთან დაკავშირებით შევეხებით „რეგიონის" ტერმინის გაგების საკითხზე კიდევ ზოგიერთ სხვა მოსაზრებასაც, ვ.ნ. ლეკისინი და ა.ნ. შვეცოვი წიგნში „სახელმწიფო და რეგიონები: ტერიტორიული განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორია და პრაქტიკა" რეგიონად მიიჩნევენ რუსეთის ფედერაციის სუბიექტს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნს, ქალაქს. ხოლო ი.ნ. გლადკი და ა.ი. ჩისტობაევი წიგნში „რეგიონული პოლიტიკის საფუძვლები" რეგიონის განმარტებას იძლევიან როგორც ფედერაციის სუბიექტების ან როგორც რამოდენიმე სუბიექტის გაერთიანებისას. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს უკვე არა ეკონომიკურ, არამედ ადმინისტრაციულ დარაიონებასთან, რაც მეტად გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ამასთან დაკავშირებით უცხოურ პრაქტიკაში გამოყოფენ დარაიონების რამდენიმე ტიპს.

პირველი ტიპი – ადმინისტრაციული დარაიონება, რომელიც ეფუძნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფის არსებული სისტემის გამოყენებას და ეს ტიპი ძალიან გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და სრულიად ამართლებს კიდეც.

ახალი რაიონების შექმნის აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება ხოლმე მეორე ტიპი – გეგმიური (პროგრამული) დარაიონება ადმინისტრაციული რაიონების გაერთიანების პრინციპის დაცვით (გფრ, აშშ და სხვები).

მესამე ტიპი – ეკონომიკური დარაიონება, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის არსებული სისტემის დამსხვრევას და მის შეცვლას ტერიტორიის ახლებურად დაყოფით – გამოიყენება სოციალისტურ ქვეყნებში, აფრიკის კონტინენტის ქვეყნებში, ინდოეთში.

მეოთხე ტიპი – ინდივიდუალური დარაიონება, დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც რეგიონული დაგეგმვა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს.

ჩვენი აზრით, ტერიტორიული სისტემა უფრო სრულად მაინც წარმოდგენილია ა.ს. მარშალოვასა და ა.ს. ნოვოსელოვის მიერ შემოთავაზებულ რეგიონის ცნების ფორმულირებაში. რეგიონების კლასიფიკაციის კრიტერიუმებისაგან დამოკიდებულებით ისინი გამოყოფენ: 1) შრომის ტერიტორიული დანაწილების საფუძველზე ეკონომიკურ დარაიონებას (მსხვილი ეკონომიკური ზონები და რაიონები, ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები, სამრეწველო კვანძები). 2) ქვეყნის კონსტიტუციის შესატყვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას (რესპუბლიკა, მხარე, ოლქი, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი, ავტონომიური ოლქი). 3) ფედერაციის თითოეული სუბიექტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფი (რესპუბლიკა, მხარე, ოლქი, მხარის და ოლქის ადმინისტრაციული რაიონი, ქა-

ლაქი, ქალაქის რაიონი, დაბა). 4) მსხვილი რეგიონული კომპლექსური პროგრამების მარეალიზებელი რაიონები (ნედლეულის, დეპრესიული ტერიტორიების განვითარების, ეკოლოგიის და სხვა).

ყველა ზემოაღნიშნული იმას ადასტურებს, რომ შეუძლებელია „რეგიონის" შინაარსის გაგებას მიეცეს ცალსახა ფორმულირება-განმტკიცება. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ საქართველოსათვის დამახასიათებელი შემდეგი შედარებით მსგავსი რეგიონული სტრუქტურები: რეგიონი – ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი, რეგიონი – ფედერაციის სუბიექტი, რეგიონი – მუნიციპალური ქალაქი.

თანამედროვე ეტაპზე დამახასიათებელია შემდეგნაირი მსგავსი რეგიონული სტრუქტურები: რეგიონი – ეკონომიკური რაიონი; რეგიონი – ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი; რეგიონი – ფედერაციის სუბიექტი; რეგიონი – მუნიციპალური ოლქი და სხვა.

მხოლოდ თითოეული ტერიტორიული სტრუქტურის ჩარჩოებში შეიძლება მიეცეს რეგიონს შესაბამისი განსაზღვრა.

ბუნებრივად იბადება კითხვა იმის თაობაზე, თუ აღნიშნულიდან რომელი ტერიტორიული ერთეული უფრო მართვადია თანამედროვე პირობებში? ჩვენი აზრით, ისინი, რომლებიც ქვეყნის არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანმხვედრნი არიან, ე.ი. ემთხვევიან ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას.

თანამედროვე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრაქტიკაში რეგიონად უმეტეს შემთხვევაში მიიჩნევა ფედერაციის სუბიექტები (მათი ადმინისტრაციული დაყოფის გათვალისწინებით), გაცილებით იშვიათად რეგიონად მიჩნეულია ადმინისტრაციულ-ეკონომიკური რეგიონები, ცალკეული ქალაქები, მუნიციპალური ოლქები.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ ავტორების მოსაზრებას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ტერმინ „რეგიონის" გაგებას დახასიათებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს სამი გარემოება:

– რეგიონი ესაა უპირველეს ყოვლისა ტერიტორიული მოვლენა და ამიტომ ტერიტორიული თვისება მასში უნდა აისახებოდეს როგორც საბაზისო;

– რეგიონი ეს არის მთლიანი სოციალური და ადმინისტრაციული სისტემის ნაწილი და ამიტომ უნდა ფლობდეს მის ძირითად მახასიათებლებს, თუმცა არ დაიყვანება მანამდე;

– დიახაც, რეგიონს უნდა ჰქონდეს და ახასიათებდეს შეკრული კვლავწარმოებრივი ციკლი, განსაზღვრული ეკონომიკური სპეციფიკა და მისი გამოვლინების ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვემხრობით რეგიონის შემდეგნაირ განსაზღვრებას – რეგიონი არის ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული ადმინისტრაციული საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველმყოფელი სოციალური და ეკონომიკური პროცესების კვლავწარმოება, რომლებიც განპირობებულია რეგიონის ადგილით შრომის ტერიტორიული და საზოგადოებრივი დანაწილების სისტემაში.

ამ განმარტებით, ვფიქრობთ, რეგიონი დახასიათებულია როგორც ადმინისტრაციულად გამოხატული სივრცე და როგორც განცალკევებული სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსი, რომელშიც ყალიბდება და რეალიზდება მოცემული ტერიტორიის სიცოცხლის უზრუნველმყოფელი კვლავწარმოების პროცესების ერთობლიობა.

მართლაც, ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის, შრომის საშუალებისა და მოხმარების საშუალების, ცხოვრების კონკრეტული დონის კვლავწარმოების პროცესი მისი ძირითადი ეკონომიკური და სოციალური შემადგენლობით თავადაპირველად სივრცობრივად ყოველთვის ლოკალიზებული არიან და მხოლოდ შემდეგ ექვემდებარებიან საერთო სახელმწიფოებრივი ეკონომიკური და ინსტიტუციონალური მექანიზმების ზემოქმედებას.

რეგიონული წარმონაქმნის თვალთახედვით საინტერესოა რუსი მეცნიერის ე.ვ. გორშენინას მოსაზრება, რომელიც მიუთითებს, რომ „ეკონომიკურ თეორიაში არსებობს „რეგიონის" გაგებისადმი ორი მიდგომა: რეგიონი როგორც უალრესად ეკონომიკური სისტემა და რეგიონი როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა".

აღსანიშნავია, რომ უალრესად ეკონომიკური მიდგომა ფორმირებული იყო ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში და გულისხმობდა რეგიონში წარმოების დარგების განვითარებას ქვეყნის მასშტაბით მთელი სახალხო მეურნეობის ეკონომიკური ეფექტის მიღების მიზნით (რეგიონში სოციალური სფეროს განვითარების დონის გაუთვალისწინებლად). რეგიონების ეკონომიკური დონის საკითხები ჩვენს ქვეყანაში უკვე აქტიურად შეისწავლება დაწყებული მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან. ამავე პერიოდში გამოჩნდა რეგიონისადმი სოციალურ-ეკონომიკური მიდგომა, მაგრამ ის ვერ იქნა რეალიზებული.

რეგიონული მეურნეობის კომპლექსურობის მაჩვენებლად შეიძლება გამოდგნენ: შიდარეგიონული წარმოების პროდუქციის პროცენტი, რომელიც მოიხმარება თვით რეგიონში; დარგთაშორისი გამოყენებული პროდუქციის ხვედრითი წილი; რეგიონული რესურსების გამოყენების დონე და ხარისხი. კომპლექსურობა და მთლიანობა წარმოადგენენ რეგიონების ეროვნული მეურნეობის ფარგლებში შედარებითი განსაკუთრებულობის საფუძველს. ისინი იმაში ვლინდება, რომ კვლავწარმოებითი კავშირების ნაწილი იზღუდება მოცემული ტერიტორიითადა ამის საფუძველზე წარმოიქმნება შედარებითი დამოუკიდებლობა.

რეგიონული სპეციალიზაციის განსაზღვრისათვის, რეგიონალისტების აზრით, ყველაზე უფრო არსებით მაჩვენებლებს წარმოადგენენ:

– რეგიონის დარგების მიხედვით სპეციალიზაციის დონის ინდექსი;

– რეგიონის სპეციალიზაციის ეფექტურობის ინდექსი (რეგიონში დანახარჯების ერთეულზე წარმოების მოცულობის შედარება ქვეყნის ანალოგიური მონაცემის მიმართ);

– სპეციალიზაციის საერთო ინდექსი (წინა კერძო ინდექსების ნაწარმოები).

როგორც ზემოთაც აღინიშნა, რეგიონის მნიშვნელოვან მახასიათებელს მართვადობა წარმოადგენს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასთან. აქაც მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მართვადობას გარკვეულწილად ეხმარება და ხელს უწყობს რეგიონის მთლიანობა, ერთიანობა, განუყოფლობა. საქმე იმაშია, რომ რეგიონის მთლიანობა საშუალებას უქმნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ორგანოებს უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა ელემენტის კოორდინაცია (მართვა): მატერიალური წარმოების, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, ინფრასტრუქტურის, შრომითი რესურსების, აგრეთვე უზრუნველყონ კავშირების მრავალსახეობა – სავაჭრო, საფინანსო, სოციალური, ეკოლოგიური, სანარმოო, რომლებიც ფლობენ გარკვეულ სივრცობრივ და დროით სიმყარეს.

რეგიონის დამოუკიდებლობა ასახავს მისი ეკონომიკური რესურსებით უზრუნველყოფის ხარისხს (პირველ რიგში ფინანსური რესურსებით) იმ სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დამოუკიდებელი, დაინტერესებული და პასუხისმგებლური გადაწყვეტისათვის, რომლებიც შედიან მეურნეობრიობის რეგიონული დონის კომპეტენციაში.

გვინდა გამოვყოთ კიდევ რამოდენიმე გაგება, რომლებიც ხშირად ფიგურირებენ იმ ეკონომიკურ ლიტერატურაში, რომლებიც ეძღვნება რეგიონალურ პრობლემებს. განვიხილოთ ისეთი ტერმინი, როგორიცაა „ნაციონალურ-ტერიტორიული მოწყობა". მასში ტერიტორიის დანაწევრების ერთ-ერთ კრიტერიუმად გამოდის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ხოლო თვით ნაციონალური საკითხი წყდება ნაციონალურ-ტერიტორიული წარმონაქმენისათვის სახელმწიფოებრიობის ელემენტების მიკუთვნებით.

თვით უშუალოდ რეგიონთან დაკავშირებით არის აგრეთვე სხვა გაგებაც – „საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაცია". ეს გაგება სიტყვის ფართო აზრით მოიცავს ყველა საკითხს, რომლებიც ეხება: შრომის ტერიტორიულ დანაწილებას, საწარმოო ძალების განლაგებას; წარმოებით ურთიერთობებში რეგიონალურ განსხვავებებს; ხალხის განსახლებას; საზოგადოებისა და გარემომცველი გარემოს ურთიერთქმედებას; რეგიონულ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას; რეგიონის ადგილს შრომის საერთაშორისო და საერთო სახელმწიფოებრივ დანაწილებაში.

ამრიგად, ეკონომიკური ლიტერატურა მდიდარია შესაბამისი მეცნიერული კონცეფციებით (მიდგომებით), რომლებიც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მექანიზმების შემუშავების მნიშვნელოვან ასპექტებს აშუქებენ. დასავლეთის სამეცნიერო წრეებში ამ მიმართულებით გამოიყოფა ე.წ. ტრადიციული თეორიები, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ დაუბალანსებელი განვითარების თეორია, ზრდის პოლუსების თეორია, გრძელი ტალღების თეორიის რეგიონული ინტერპრეტაციები და რეგულირების სხვა თეორიები. რეგიონული ეკონომიკური პრობლემების კვლევაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პოსტსაბჭოთა სივრცის მეცნიერებმაც, რომელთა მიერ შემუშავებულ კონცეფციებს შორის შეიძლება გამოიყოს ნ. კოლოსოვსკის ენერგოწარმოების ციკლების თეორია, ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების თეორია, რეგიონული კვლავწარმოების ციკლების თეორია და სხვა თეორიები.

აღსანიშნავია, რომ ცნება „რეგიონი" ქართულ ენაში, პოლიტიკაში, ეკონომიკაში სრულიად ახალია, მას სულ რაღაც 20-25 წლის ისტორია აქვს და პირველად მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაფიქსირდა. კერძოდ, იგი ჩვენს ეკონომიკურ წიგნიერ სიტყვათა ბრუნვაში ან განსვენებულმა პროფესორმა ვალერიან მელქაძემ შემოიღო, მისი გავლენით მაშინდელ პარტიულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეკონომიკურ ტერმინოლოგიაშიც დამკვიდრდა.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, თვით ცნება „რეგიონი“ ახალი დამკვიდრებულია ქართულ ეკონომიკურ სტრატეგიათა ლექსიკონში „საქართველოში სივრცობრივი ეკონომიკური კვლევის საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია არსებობს. კერძოდ, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების ტრადიცია სათავეს სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, ვახუშტი ბაგრატიონისა და მათ მიმდევართა შემოქმედებიდან იღებს. უნდა აღინიშნოს რეგიონული გეოგრაფიის ფუძემდებელი – ვახუშტი ბაგრატიონი და მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ და სხვათა ნამოღვაწარი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს შრომები ძირითადად აღწერილობით ხასიათს ატარებდნენ, თუმცა მათ სერიოზული საფუძველი შექმნეს ქართული რეგიონული მეცნიერების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიციები მეტად წარმატებით იქნა გაგრძელებული მე-XX საუკუნეში, როდესაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (რეგიონალისტების) მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლის ცალკეული ასპექტების განზოგადების საკითხებს.

### 1.2. რეგიონის კომპლექსური განვითარება

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების თანამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, მეტად ინტენსიური ხასიათი შეიძინა ქვეყნის განვითარების ახალი რეგიონული პარადიგმების კვლევა-ძიების მიმართულებით წარმართულმა საქმიანობამ. ამ აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში გარკვეული მეცნიერული წვლილის შეტანისა და უდიდესი პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომი რეგიონის კომპლექსური განვითარების ოპტიმალური საბაზრო მოდელის ძიებისაკენ არის ორიენტირებული.

რეგიონის კომპლექსური განვითარების პრობლემების გადაწყვეტის თაობაზე, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის განზოგადების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს მინიმუმ ხუთი მიდგომა (კონცეფცია):


1. რეგიონი განიხილება, როგორც ჩაკეტილი, თვითუზრუნველმყოფი მეურნეობა;
2. ტექნოლოგიური მიდგომა, რომლის არსი დარგებსა და საწარმოთა შორის მჭიდრო კელავწარმოებითი კავშირების განვითარებას უკავშირდება;
3. რეგიონის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ყველა ელემენტების ჰარმონიული ურთიერთქმედება, მთლიანობა და დარგების რაციონალური შეთანაწყობა;
4. სოციალური პრიორიტეტების ამსახველი კვლავწარმოებითი მიდგომა;
5. ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების (კომპლექსების) ფორმირებაზე.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, მიმდინარეობს ეკონომიკის რეგიონალიზაციის კანონზომიერი პროცესი, რაც ძირითადად რეგიონების უფლებამოსილებათა გაფართოებასაც გულისხმობს.

ახალი რეალიების გათვალისწინებით, დღის წესრიგში დგება არსებული მიდგომების, ცნებების გადახედვის აუცილებლობა, აგრეთვე განვითარებული ქვეყნების გამოცდილების კრიტიკული შეფასება-გაანალიზების საკითხი. თუ ადრე ცნება – „კომპლექსურობა“ მეთოდოლოგიურად ძირითადად უკავშირდებოდა ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის აქტუალურ საკითხებს, დღეისათვის, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში, მან მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ტერმინის „კომპლექსურობა“ პრინციპული არსი გამოიხატება თვითრეგულირების მექანიზმების ფორმირებაში, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის დარგებისა და სფეროების დაბალანსებულ განვითარებას.

შესაბამისი ლიტერატურის განზოგადებისა და გაანალიზების შედეგად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ „რეგიონის კომპლექსური განვითარების“ ცნების განსაზღვრის სისტემური მიდგომა, რომელიც გამოხატავს რეგიონში განლაგებული საწარმოო ძალების ერთიან კომპლექსში განვითარების პროცესში წარმოჩენილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების საკმაოდ რთულ სისტემას (იხ. სქემა 1.2.1).

სქემა 1.2.1




„რეგიონის ეკონომიკის კომპლექსური განვითარება" –
სქემატური შინაარსი.

კომპლექსური განვითარების შინაარსი უნდა განვიხილოთ შემდეგი ურთიერთდაკავშირებული პოზიციებიდან:

1. კომპლექსური განვითარების პირობების შეფასება;
2. თანამდევი რეგიონული პროცესების ანალიზი;
3. „კომპლექსური განვითარების", როგორც ცნების ორ შემადგენელ კომპონენტად დაყოფა: ა) როგორც პროცესი და ბ) როგორც მდგომარეობა;
4. კომპლექსური განვითარების ეკონომიკური მექანიზმების რეალიზაციის თავისებურებანი;
5. კომპლექსური განვითარების შედეგები.

რეგიონის კომპლექსური განვითარების ძირითადი წინაპირობაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული პირობა-ფაქტორების ერთობლიობა და თავისებურებები, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობას, ბუნებრივ გარემოსა და რესურსულ პოტენციალს, დემოგრაფიულ პირობებსა და შრომით პოტენციალს, საწარმოო ძალების განვითარების დონეს, საკუთრების არსებულ ფორმებს, ტერიტორიის ათვისებისა და წარმოების ძალების ტერიტორიული ორგანიზაციის ხასიათს, აგრეთვე ადგილობრივ ტრადიციებსა და ცხოვრების წესის თავისებურებებს. ეს პირობები, როგორც ერთობლიობაში, ასევე თითოეული ცალ-ცალკე განსაზღვრავს ტერიტორიის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს, რეგიონის მეურნეობის განვითარებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის ყველაზე ეფექტიან მიმართულებებს, ახალი ობიექტების განლაგების თავისებურებებს. აღნიშნული პირობების შეფასებით, შეიძლება დავახასიათოთ ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების საწყისი დონე, მისი შესაძლებლობები და ათვისების უნარი სიახლეების დანერგვისა და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების აპრობაციის თვალსაზრისით.

აღნიშნული მიმართულებით მსჯელობისას პროფესორი ნ. ჭითანავა სამართლიანად შენიშნავს, რომ „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა გარდაქმნების პროცესი წინააღმდეგობრივად ვითარდება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს აქტიური, კომპლექსურად გააზრებული რეგიონული პოლიტიკა. იგი უნდა აისახოს რაიონების (მხარეების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში, უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირების პრინციპები, საბაზრო ტიპის სამეურნეო სუბიექტთა ფუნქციონირების გარემო, რეგიონული და სახელმწიფოს ინტერესების შეხამების აუცილებლობა, განვსაზღვროთ საწარმოო, შრომითი და ფინანსური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების გზები და ა.შ. ე.ი. პროგრამას უნდა ჰქონდეს კომპლექსური ხასიათი, იყოს დროსა და სივრცეში ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების ობიექტურად შეფასების საფუძველი".

როგორც ვხედავთ, რეგიონის კომპლექსური განვითარება მეტად რთული სოციალურ-ეკონომიკური პროცესია, რომლის შემუშავება მოითხოვს მთელი რიგი მიმართულებების ანალიზსა და განზოგადებას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა შრომის ტერიტორიული დანაწილება (შტდ). ჯერ კიდევ, გამოჩენილი ეკონომისტი ა. სმიტი აღნიშნავდა, რომ შტდ-ს აქვს ორი ერთმანე-

თისაგან განუყოფელი და ურთიერთდაკავშირებული მხარე: ცალკეული ტერიტორიების სპეციალიზაცია და სპეციალიზირებულ საწარმოთა პროდუქციის გაცვლა.

შრომის ტერიტორიული დანაწილების ეკონომიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებით, სპეციალიზირებული წარმოების განვითარების კვალობაზე მიიღწევა საზოგადოებრივი შრომის ეკონომია. მაგალითად, თუ დანახარჯებს გამოვსახავთ თვითღირებულებიდან (c), მაშინ შტდ– ის მიზანდასახულობის აუცილებელი პირობები შეიძლება გამოვსახოთ ნ. ბარანსკის ცნობილი ფორმულით:

$$C_2 > C_1 + Tu,$$

სადაც: $C_1$ და $C_2$ პროდუქციის ერთეულის წარმოების თვითღირებულებაა შესაბამისად სპეციალიზირებულ და არასპეციალიზირებულ რაიონებში (რეგიონებში); Tu – სატრანსპორტო დანახარჯებია, რომელიც აუცილებელია პროდუქციის საწარმოო რაიონიდან მოხმარების რაიონში მიწოდებისათვის.

რაც უფრო მეტია უტოლობის მხარეებს შორის განსხვავება, მით უფრო მაღალია შტდ-დან მიღებული ეკონომიკური ეფექტი (ე), რაც შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

$$Э = C_2 – (C_1 + Tu)$$

ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ შტდ-დან მიღებული ეკონომიკური სარგებელი მით უფრო მაღალია (რა თქმა უნდა, სხვა გარემოებების შეუცვლელობის პირობებში), რაც მეტია $C_2$,ხოლო $C_1$ და Tu კი დაბალი.

სპეციალიზაციის დარგები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურას, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნეს სხვადასხვა სპეციალიზირებული საწარმოების სახით. აქვე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური განვითარება თავისი შინაარსით, მიზნებითა და ამოცანებით გამორიცხავს რეგიონის გადაჭარბებულად ვიწრო სპეციალიზაციას და უწინარესად მოიცავს მოცემული სპეციალიზაციის პირობებში რეგიონის ცალკეული საწარმოო დარგების ოპტიმალურ ანუ ეკონომიკურად ეფექტიან პროპორციულ განვითარებას.

რეგიონის კომპლექსური განვითარების პროცესზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს წარმოების კონცენტრაცია. საწარმოო ძალების კონცენტრაციის „კანონი" გამოხატავს შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე საწარმოო ელემენტების თავმოყრის ობიექტურ ტენდენციას, რის შედეგადაც მიიღწევა წარმოების ეფექტიანობის საგრძნობი ამაღლება. ამ მიმართულების ზოგიერთი მკვლევარი კონცენტრაციას განსაზღვრავს წარმოების სპეციალიზაციის ერთ-ერთ ფორმად, ცალკეული სახეობის პროდუქციის წარმოების კონცენტრაციის მხედველობაში მიღებით. მიუხედავად მართებული მოსაზრებისა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების კონცენტრაციაზე სპეციალიზაციის ზეგავლენა უფრო რთული და მრავალ ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხია. სპეციალიზაციის ზეგავლენით მარტივდება უნივერსალური საწარმოების საწარმოო სტრუქტურა და ფორმირდება დამოუკიდებელი წარმოება და საწარმო, მაშასადამე ხორციელდება დივერსიფიკაციის პროცესი.

წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის მაღალი ფორმაა აგლომერაცია. კომპლექსური წარმოების ჩამოყალიბების პროცესი ეფუძნება, ერთის მხრივ წარმოების აგლომერაციის „კანონის" მოქმედებას, ხოლო მეორე მხრივ შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის განვითარების ფორმებს. თუ აღნიშნულ თეზისს განვავრცობთ, შეიძლება დავამატოთ, რომ აგლომერაციის პროცესები თვითგანვითარებადია და წარმოჩინდება, როგორც შრომის ტერიტორიული დანაწილებისა და წარმოების კონცენტრაცია-კომბინირების ერთობლივი პროცესების შედეგი. აღსანიშნავია, რომ რუსი მკვლევარის ნ. აგაფონოვის მიერ გამოყოფილია წარმოების აგლომერაციის რამოდენიმე ძირითადი ფორმა: მარტივი, რთული და აგლომერირებული სისტემები. ეს პროცესები, რეგიონის კომპლექსური განვითარების კვალობაზე გადაიზრდებიან წარმოების განლაგებისა და ტერიტორიული ორგანიზაციის უფრო რთულ ფორმაში – ტერიტორიულ საწარმოო კომპლექსში.

ჩვენს მიერ რეგიონული პროცესების კომპლექსური განვითარების თანამდევი მოვლენების განხილვის შემდეგ, ძნიშნელოვნად მიგვაჩნია თვით ცნების „კომპლექსური განვითარება" არსის განზოგადება. ცნობილია, რომ ტერმინი „კომპლექსი" ლათინური წარმოშობისაა (complexus)„კავშირს, შეხამებას" ნიშნავს და განისაზღვრება, როგორც საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა, შეხამება.

ამგვარად, „კომპლექსური განვითარება" შეიძლება გავიაზროთ, როგორც რეგიონის ეკონომიკის ქვესისტემებისა და ელემენტების ჰარმონიული კავშირი. ეგულისხმობთ რეგიონის ბუნებრივი რესურსების, საწარმოო ფონდების, მოსახლეობის, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის და სხვა ელემენტების, საბაზრო მექანიზმებისა და სხვა სამეურნეო მეთოდების გამოყენებით ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც საფუძველს ქმნის აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვე-

ტისათვის და უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრება-მოღვაწეობისათვის ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას.

ცნების „კომპლექსური განვითარება“ გაანალიზება (დიალექტიკური მიდგომის საფუძველზე) საშუალებას გვაძლევს გავყოთ იგი ორ შემადგენლად: 1. როგორც პროცესი და 2. როგორც განვითარების მდგომარეობა. რეგიონის კომპლექსური განვითარების პროცესში შეიძლება გამოვყოთ შვიდი ძირითადი მიმართულება:

1. წარმოების რეგიონული ფაქტორების ურთიერთქმედება;
2. ეკონომიკური სტრუქტურიზაცია;
3. ლოკალური და რეგიონული ინფრასტრუქტურის ფორმირება;
4. რეგიონული ბაზრების ფორმირება;
5. კომპლექსური ბუნებათსარგებლობა და გარე სამყაროს დაცვა;
6. ეკონომიკის სოციალიზაცია;
7. რეგიონული კვლავწარმოებითი პროცესების ბალანსირებული და პროპორციული მიმდინარეობის უზრუნველყოფა.

კომპლექსური განვითარების საწყის მომენტად (ეტაპად) მიჩნეული უნდა იქნეს რეგიონული წარმოების ფაქტორების გაერთიანება ერთიან საწარმოო ორგანიზმად – სამეურნეო კომპლექსად. რეგიონში აღნიშნული მიმართულების განვითარების ძირითადი ფაქტორებია:

– წარმოების საშუალებები, რომელთა კონკრეტიზაცია შეიძლება წარმოების ძირითადი ფონდებისა (ძფ) და საბრუნავი საშუალებების (სს) სახით;

– მოსახლეობა, რომელიც გვევლინება ერთის მხრივ პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებლად (შრომითი რესურსები – შრ), ხოლო მეორეს მხრივ კი მის მომხმარებლად;

– სოციალური სფერო (სს), რომლის ფუნქციონალური დანიშნულებაა უზრუნველყოს მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოება;

– საწარმოო ინფრასტრუქტურა (სი), რომელიც უზრუნველყოფს წარმოების შეუფერხებელ ფუნქციონირებას;

– ბუნებრივი რესურსების (ბრ) საბალანსო მარაგები, რომლებიც ჩართულია წარმოებაში.

კომპლექსური განვითარების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მან უნდა უზრუნველყოს რეგიონის ეკონომიკის მაქსიმალური შრომისუნარიანობა (შ), ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების (ფ) ეფექტიანი კავშირის (შეხამების) საფუძველზე.

უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევა ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების დონეზე, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტს.

მრავალმხრივი ფაქტორების ზეგავლენით რეგიონებში მიმდინარეობს ეკონომიკის სტრუქტურიზაციის რთული პროცესები. ეს პრობლემა კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში და საკმაოდ ბევრი მიმართულებით ვითარდება. ასე მაგალითად, საწარმოთა ჯგუფები, რომელთაც აკავშირებთ გამოშვებული პროდუქციის იდენტურობა, წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ერთიანობა, ფორმირდებიან რეგიონის დარგობრივ სამეურნეო სტრუქტურებად. ტერიტორიის განსაზღვრულ პერიმეტრზე (ნაწილში), როგორც წესი ქალაქებსა და მათ გარშემო, საწარმოთა თავმოყრის შედეგად ფორმირდება ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურა. სტრუქტურების მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საწარმოთა დაჯგუფება საკუთრების ფორმის მიხედვით, აგრეთვე წარმოების ტექნოლოგიური პარამეტრების მიხედვით.

რეგიონის სტრუქტურიზაციის პროცესის ყველაზე უფრო შესწავლილი მიმართულებაა რეგიონული საწარმოო ციკლების ფორმირების საკითხები, რომელიც ცნობილია ნ. კოლოსოვსკის ენერგოწარმოების ციკლების სახელით. მან გამოყო რაიონული (რეგიონული) კომპლექსის ელემენტებს შორის არსებული კავშირების ოთხი ძირითადი სახე: ვერტიკალური, ჰორიზონტალური, საწარმოო კოოპერირება და მომსახურების კავშირები. მისი აზრით, ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების საფუძველს შეადგენენ ვერტიკალური კავშირები, რომლებიც წარმოიქმნებიან ენერგიისა და ნედლეულის შეხამების ხარჯზე.

რეგიონული და ლოკალური ინფრასტრუქტურის ფორმირება რეგიონის კომპლექსური განვითარების შემდგომი შემადგენელი კომპონენტია. ეს კომპონენტი უწინარესად ემსახურება რეგიონის წყლით, გაზით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით, ასევე ტელე-რადიოკომუნიკაციის სისტემის, გზების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სამშენებლო ბაზებით უზრუნველყოფას. მოცემული სისტემის ძირითადი დანიშნულებაა რეგიონის ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირების

უზრუნველყოფა, სხვადასხვა სტრუქტურების ერთიანი საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემად ფორმირების საფუძველზე. ამ სისტემის, რომელიმე ელემენტის ფუნქციონირების შეფერხება, ავტომატურად იწვევს მთელი სისტემის მუშაობის რიტმულობის დარღვევას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი შეიძლება მთელი სისტემის მუშაობის სერიოზული შეფერხება განაპირობოს. რეგიონული ინფრასტრუქტურა ასრულებს წამყვან როლს სამეურნეო საქმიანობისათვის თანაბარი პირობების შექმნაში, სოციალური განსხვავებების შერბილებაში (გამოთანაბრებაში), საქალაქო და სასოფლო დასახლებებს შორის კავშირურთიერთობების გააქტიურებაში და რეგიონული ბაზრების ფორმირებაში.

რეგიონის კომპლექსური განვითარების კონტექსტში, რეგიონული ბაზრების ფორმირების, ფუნქციონირებისა და ამ პროცესზე ზეგავლენის პრობლემები გარდამავალ პერიოდში შეიძლება ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. რეგიონული ბაზრების ფორმირების ობიექტურ წინამძღვრად მიჩნეული უნდა იქნეს შრომის ტერიტორიული დანაწილება, რომელიც ერთის მხრივ განაცალკევებს სამეურნეო სუბიექტებს, ხოლო მეორე მხრივ კი აკავშირებს კოოპერაციისა და გაცვლითი პროცესების დარეგულირების საფუძველზე. რეგიონული ბაზრების ფორმირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას, ასევე ახდენს რეგიონის საბაზრო პოტენციალი, რომლის სიდიდეც განისაზღვრება რეგიონის ეკონომიკური განვი-თარების დონით, კერძოდ კი საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის სტრუქტურა და მოცულობა განსაზღვრავს მის ადგილს რეგიონთაშორის ურთიერთობებში და საგარეო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობას.

რეგიონის სამეურნეო კომპლექსის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება რაციონალურ ბუნებათსარგებლობასა და გარე სამყარის დაცვის პრობლემების გააზრებასა და გადაწყვეტას. ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა რეგიონში ბუნებრივი რესურსების ათვისებასა და გამოყენებას უკავშირდება, აგრეთვე ბუნებრივი გარემო მოსახლეობის ყოველდღიური ყოფაცხოვრების უშუალო შეხების კომპონენტია. ამგვარად, ეს მიმართულება სამართლიანად და ობიექტურად არის მიჩნეული რეგიონის კომპლექსური განვითარების მნიშვნელოვან ელემენტად.

ეკოლოგიურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ისეთი სამრეწველო წარმოების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციას.

თანამედროვე პირობებში ამგვარი წარმოების ფორმირების რამოდენიმე პრინციპული მიმართულებაა აპრობირებული:

1. ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება;
2. არსებული პროდუქციის წარმოების პრინციპულად ახალი პროცესებისა და სქემების შემუშავება;
3. წყლის მოხმარების შეკრული სისტემის პროექტირება;
4. საწარმოო ნარჩენების რეკუპერაცია;
5. ნედლეულისა და ნარჩენების მატერიალური ნაკადების ჩაკეტილი სტრუქტურის ფორმირებაზე ორიენტირებული სამრეწველო-ტერიტორიული კომპლექსების შემუშავება და ფორმირება.

საბოლოოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის აუცილებელი პირობაა, ისეთი ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების განვითარების რეგულირებას ზემოთქმული მიმართულების რეალიზაციის შესაბამისობის კონტექსტში.

რეგიონული ეკონომიკური განვითარება მოწოდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ამის საფუძველზე კი გაფართოებული კვლავწარმოება. მოცემული ფუნქციის რეალიზაცია ძირითადად რეგიონული სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირების საშუალებით, სამუშაო ადგილების შექმნითა და სოციალური სფეროს განვითარებითაა შესაძლებელი.

მოსახლეობის გაფართოებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ობიექტურად დღის წესრიგში დგება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხი, რაც თავის მხრივ მიღწევადია ან წარმოების ექსტენსიური გაფართოების საშუალებით, ან მისი ინტენსიფიკაციით. განვითარების პირველი ვარიანტი მოითხოვს წარმოების პერმანენტულ გაფართოებას, ნედლეულის მოხმარების მოცულობის მუდმივ ზრდას, აგრეთვე ენერგიის, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოხმარების ზრდას. ხოლო მეორე ინტენსიფიკაციის ვარიანტი კი უფრო კაპიტალტევადია და ნაკლები რესურსების მოხმარებას ითვალისწინებს. ამასთან, ამ დროს მიიღწევა წარმოების მაღალი ეფექტიანობა მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების მაღალმწარმოებლური აღჭურვილობისა და წარმატებით გამოყენების ხარჯზე, აგრეთვე სხვა ორგანიზაციული მეთოდების გამოყენებით.

რეგიონის სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მოსახლეობის სამუშაო ადგი-

ლებით უზრუნველყოფა, რაც მათ შემოსავლებით უზრუნველყოფს, ასევე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაზე. რეგიონული განვითარების წინააღმდეგობრიობა ამ კონტექსტში შეიძლება წარმოჩნდეს იმაში, რომ ნებისმიერი მეწარმე ან სამეურნეო სუბიექტი მიისწრაფის რა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ, ამ პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე, ხშირ შემთხვევაში ამცირებს სამუშაო ადგილებს, რაც ხელს უწყობს რეგიონში უმუშევრობის დონის გაზრდას და ამაღლებს სოციალური დაძაბულობის ხარისხს. ამდენად, მმართველობიოს რეგიონული ორგანოების უმთავრესი ამოცანაა სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების თანაფარდობის რეგულირების ეკონომიკური მექანიზმების ეფექტიანი გამოყენება.

რეგიონის კომპლექსური განვითარების არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური ასპექტია – რეგიონის სოციალური კომპლექსის ფორმირება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა დონეზე: საწარმოს, დარგის, უწყების, ტერიტორიული წარმონაქმნის (ქალაქი, რაიონი) დონეზე. სოციალური სფეროს ფუნქციონალური დანიშნულებაა – მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ხოლო ამ ამოცანის გადაწყვეტის წარმატებულობის ხარისხიდან გამომდინარე შეიძლება ვისაუბროთ მთლიანობაში რეგიონის ეკონომიკის კომპლექსური განვითარების ეფექტიანობაზე ან არაეფექტიანობაზე.

ეკონომიკურ თეორიაში აღიარებული ფაქტორია და პრაქტიკით დადასტურებულია, რომ კომპლექსური განვითარების პროცესის რეალიზაცია შესაძლებელია შესაბამისი მექანიზმებისა და მეთოდების სისტემის გამოყენებით. მეურნეობრიობის ახალი რეგიონული მექანიზმის ფორმირება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში დაიწყო. საბჭოთა პერიოდში რეგიონების განვითარების მეთოდურ საფუძვლად ცენტრალიზებული მართვა იყო მიჩნეული, ხოლო თანამედროვე პირობებში განმსაზღვრელი როლი ენიჭება რეგიონების თვითმმართველობის მეთოდების სრულყოფას, რაც ძირითადად საბაზრო სტიმულირების შესაძლებლობებზეა დაფუძნებული. აუცილებელია მოიძებნოს (შემუშავდეს) ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის დაბალანსებულ და კომპლექსურ განვითარებას, ასევე მისი ინტერესების შესაბამისობას (ჰარმონიზაციას) ცენტრთან, სხვა რეგიონებთან, რეგიონის სამეურნეო სუბიექტებსა და მოსახლეობასთან. რეგიონის ეფექტიანი სამეურნეო მექანიზმის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საფინანსო-საკრედიტო და ინვესტიციურმა პოლიტიკამ, საგარეო ეკონომიკურმა პოლიტიკამ, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემამ, ანტიმონოპოლიურმა და ფასების პოლიტიკამ, აგრეთვე ტერიტორიული რეგულირების მიდგომებმა.

კომპლექსური განვითარება – ობიექტური რეგიონული პროცესია, რომელსაც კანონზომიერად განპირობებული შედეგების მიღწევა უნდა მოჰყვეს. კომპლექსური განვითარების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნება მაღალეფექტიანი საზოგადოებრივი წარმოება, უფრო ნაყოფიერად გადაიჭრება სოციალურ-დემოგრაფიული, განსახლებითი, ეკოლოგიური და სხვა პრობლემები, ვიდრე რეგიონის განვითარების პრობლემების ცალკეულად (გამოყოფით) გადაჭრის პირობებში.

დადებითი შედეგები მიიღწევა რეგიონული რესურსების კომპლექსური გამოყენებით, ეკონომიკური და საწარმოო ფაქტორების კომბინირებით, ეფექტიანი რეგიონული მეურნეობის ფორმირებით, წარმოების, მოსახლეობის განსახლებისა და კომპლექსური განვითარების სხვა ასპექტების რაციონალიზაციით, რაც ერთობლიობაში ქმნის კომპლექსური განვითარების სისტემურ (სინერგიულ) ეფექტს.

ყოველივე ზემოთ გაანალიზებულის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ კომპლექსური განვითარების სინერგიული ეფექტის ხუთი შემადგენელი (ძირითადი) კომპონენტი:

1. კომპლექსური განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც გამოიხატება რეგიონის ეკონომიკის განვითარების უფრო მაღალი შედეგების მიღებაში, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო მისი (იგულისხმება რეგიონის ეკონომიკა) ცალკეული ნაწილების ავტონომიური ფუნქციონირებით. ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა:

ა) დარგთაშორისი კოოპერაციისა და სპეციალიზებული წარმოების განვითარებით;

ბ) დაბალანსებული კვლავწარმოებით;

გ) რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებით;

დ) რესურსების ცალკეული სახეების ურთიერთჩანაცვლებითა და ურთიერთშევსებადობით და სხვა ფაქტორებით;

2. კომპლექსური განვითარების ტექნოლოგიური (საწარმოო) შემადგენელი, რომელიც განისაზღვრება რეგიონის ეკონომიკის მიერ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობით. ტექნოლოგიური ეფექტიანობა მიიღწევა მწარმოებლური მოწყობილობების დანერგვითა და მაღალი ტექნოლოგიების ათვისებით. ტექნოლოგიური ეფექტიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია საწარმოო

ციკლების სრულყოფილება, რომელიც ორიენტირებულია უნარჩენო წარმოებასა და რესურსების დაზოგვის ტექნოლოგიებზე თანდათანობით გადასვლაზე;

3. კომპლექსური განვითარების სოციალური ეფექტიანობა, რომელიც განისაზღვრება რეგიონის მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და მისი გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობებით. სოციალური ეფექტიანობის კრიტერიუმებია – მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდა, საკვები პროდუქტების მოხმარების მაღალი დონე, მაღალი საგადამხდელო მოთხოვნა, სოციალური სფეროს ობიექტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაღალი დონე და სხვა;

4. კომპლექსური განვითარების ეკოლოგიური ეფექტიანობა, რომელიც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესის გაუმჯობესებასა და ეკონომიკის ეკოლოგიზაციის მიმართულებით მიღებულ შედეგებს. სამწუხაროა, რომ საქართველოს უმეტეს რეგიონებში, ქალაქებსა და რაიონებში ეკოლოგიური პრობლემები მეტად აქტუალურია;

5. კომპლექსური განვითარების ტერიტორიული შემადგენელი, რომელიც ინტეგრალურ ხასიათს ატარებს და ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ოთხ ასპექტს აერთიანებს. ამასთანავე ეს მიმართულება თამაშობს დამოუკიდებელ როლსაც, ვინაიდან დაკავშირებულია საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებასთან, წარმოებისა და მოსახლეობის განლაგების ტერიტორიული ორგანიზაციის სრულყოფასთან.


საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურია რეგიონების კომპლექსური განვითარების მიმართულებით შესაბამისი მიდგომების შემუშავება და რეალიზაცია, რაც ვფიქრობთ, რომ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების რეალური საფუძველი გახდება.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლის იგნორირებამ, საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი თვითმყოფადი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების „ველური კაპიტალიზმის“ ფორმით განვითარება განაპირობა და ქვეყანა ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმების შემდგომ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობის საკითხი გაცნობიერებული იქნა და ამ მიმართულებით გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯებიც, დღის წესრიგში მაინც დგას ეკონომიკის განვითარების ეფექტიანი მოდელის შემუშავების აუცილებლობის საკითხი, რომელიც ადექვატურად ასახავს საქართველოსა და მის რეგიონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებებს.

ამ მიმართულების რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, ჩვენი აზრით, საქართველოს რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების საკითხია. ამასთან, კომპლექსურობა უნდა განვიხილოთ ამ ცნების არსის ფართო გაგებით, მაშასადამე, როგორც საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების რაციონალიზაციის ობიექტური პროცესი, რომელიც მიმართულია წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და ამის საფუძველზე სოციალური და სხვა აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაზე. კომპლექსური განვითარების ამოცანის რეალიზაცია მოითხოვს რეგიონული განვითარების მარეგულირებელი შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმებისა და მეთოდების შემუშავებას. ჩვენი აზრით, დასმული ამოცანის რეალიზაციის უზრუნველმყოფ ქმედით ინსტრუმენტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების ფორმირება.

რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავება რეგიონული მეცნიერების წინაშე დასმული, შედარებით ახალი ამოცანაა, ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავდაპირველად განვსაზღვროთ ამ ტერმინის არსი (იხ. სქემა 1.2.2).

სქემა 1.2.2




ეკონომიკური სტრატეგია გულისხმობს ხანგრძლივ, ყველაზე უფრო პრინციპულ, მნიშვნელოვან მითითებებს, გეგმებს, მთავრობების, რეგიონების ადმინისტრაციების, საწარმოთა ხელმძღვანელების განზრახვას წარმოების შემოსავლებისა და ხარჯების, ბიუჯეტის, გადასახადების, კაპიტალდაბანდებების, ფასებისა და სოციალური დაცვის ხაზით.

აღნიშნულის რეალიზაციისათვის პრაქტიკაში აპრობირებულია სტრატეგიული გეგმების შემუშავების მეთოდი. რუსი მეცნიერი ი. ლადანოვი გამოყოფს სტრატეგიული გეგმების ხუთ ძირითად სტადიას:

1) მიზნების დასახვა;

2) მდგომარეობის შეფასება – განვითარების დონის შეფასება;

3) სტრატეგიის არჩევა – დასახული მიზნების მიღწევის გზების გამოკვეთა;

4) გეგმის შემუშავება – როგორ შეიძლება სტრატეგიის რეალურად განხორციელება;

5) გეგმის კორექცია – როგორ შეიძლება ეფექტიანად შემუშავებული გეგმის შესწორება.

მეცნიერთა დიდი ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს სტრატეგიული მართვის პრინციპების გამოყენებას, რომელიც მოიცავს ორ მჭიდრო კავშირში მყოფ სისტემას: 1) ანალიზი და 2) სტრატეგიული პოზიციისა და მართვის შერჩევა.

1) განვითარებული ქვეყნების (საფრანგეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და სხვ.) გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეტად ეფექტიანი ინსტრუმენტია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავება.

რეგიონის განვითარების სტრატეგია შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს რეგიონის განვითარების შინაგანი ფაქტორები: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ეკონომიკის მდგომარეობა, მისი სტრუქტურა და სპეციალიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე, რეგიონული ბაზრის ფორმირების თავისებურებანი და სხვა. ხოლო მეორე მხრივ ვგულისხმობთ, რეგიონის განვითარების გარე ფაქტორებს: სახელმწიფოს ეკონომიკური და რეგიონული პოლიტიკა, საექსპორტო და საიმპორტო შესაძლებლობები, მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა და სხვა.საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გაანალიზების ფონზე პროფესორი ნ. ჭითანავა სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის არსს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა – ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შემადგენელი – უპრიანია წარმოვიდგინოთ, როგორც ქვეყნის (საზოგადოების) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების მიზნით ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელების მექანიზმი. მან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა, ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების (რეგიონების) სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა“.

ამდენად, რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია შეიძლება წარმოგიდგინოთ, როგორც სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის, მათ შორის რეგიონული პოლიტიკის ორგანული ნაწილი.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკას ორი შესაბამისი დონე გააჩნია:

1.ფედერალური დონე, რომლის რეგულირების საგანია ეროვნული ეკონომიკის ტერიტორიული პრობლემები (მათ შორის რეგიონთაშორისი), ცენტრისა და რეგიონების ურთიერთობები, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზეგავლენის ფაქტორების კომპლექსური რეგულირება;

2. სუბფედერალური დონის რეგულირების საგანია რეგიონის შიგნით სივრცობრივი ორგანიზაციის უზრუნველყოფა (მაგალითად, მცირე ქალაქების, სოფლების დეპრესიულობის დაძლევა, მოსახლეობის პროდუქციითა და მომსახურებით უზრუნველყოფა, შიდა რეგიონული სატრანსპორტო კავშირების სრულყოფა და ა.შ.), რეგიონსა და მის შემადგენლობაში არსებულ მუნიციპალურ წარმონაქმნს შორის ურთიერთობების რეგულირება.

ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, ასევე განვითარებული ქვეყნების სტრატეგიული დაგეგმვის გამოცდილების გაანალიზების ფონზე, ჩვენს მიერ შემუშავებულია [რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სქემატური სურათი]. (იხ. სქემა 1.2.3).


როგორც სქემიდან ჩანს, რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე ძირითადად მოქმედებს, როგორც ქვეყნის საშინაო პოლიტიკის თავისებურებები, ასევე გარკვეულწილად საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებანიც, ვინაიდან ამა თუ იმ რეგიონის ადგილმდებარეობას (ძირითადად იგულისხმება საზღვრისპირა რეგიონები), სპეციალიზაციისა და ეკონომიკური სტრუქტურის გათვალისწინებით, კონკრეტული სტრატეგიის შემუშავების პროცესში უნდა აისახოს რეგიონის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის შესაძლებლობები და პერსპექტივებიც.

ხოლო, რაც შეეხება უშუალოდ სტრატეგიის შემუშვებას, აქ ძირითადი როლი ენიჭება რეგიონის თეორიული მოდელის შემუშავებას, ხშირია შემთხვევები, როდესაც ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში ამა თუ ჩინოვნიკს რეგიონის თაობაზე არსებული თეორიული ცოდნის სიმწირის პირობებში, გადაწყვეტილების მიღება უხდება ხშირ შემთხვევაში სპონტანურად ე. წ. „ხანძრის ჩაქრობის“ პრინციპით, რასაც საბოლოო ჯამში შეიძლება მრავალი უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ასევე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისითაც. ამდენად, მოცემული ეტაპის მიზანია ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც წარმოაჩენდა რეგიონის მისიას, მის ეკონომიკურ სტრუქტურას, ფუნქციონირების კვლავწარმოებით მექანიზმებს, კომპლექსური განვითარების კანონზომიერებებს და ა.შ

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არჩევა უნდა დაეფუძნოს რეგიონის განვითარების საწყისი (მოცემული ეტაპისათვის) მდგომარეობის შეფასება-გაანალიზებას. რეგიონული

მარკეტინგული გამოკვლევების პროცესში წარმოჩინდება მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, ფასდება დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალი და განვითარების გარე ფაქტორების ზეგავლენის როლი.

სქემა 1.2.3




კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდება პრობლემური სიტუაციის თავისებურებანი რეგიონში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ურთიერთდაკავშირებულ პრობლემათა სისტემა, რომლებიც შემდგომში განვითარების მიზნებად და ამოცანებად ტრანსფორმირდებიან. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სტრატეგიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს საწარმოთა ბიზნეს-გეგმებში დასახული მიზნები, აგრეთვე სხვა ტერიტორიული და დარგობრივი პროექტების თავისებურებები. აღნიშნულისა და რეგიონის განვითარების პროგნოზული ვარიანტების შეჯერების საფუძველზე განისაზღვრება რეგიონის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები. ხოლო სტრატეგიის არჩევის დასკვნით ეტაპზე კი მუშავდება რეგიონის ეკონომიკის პერსპექტიული მოდელი, რომელიც დასაბუთებულია მეცნიერულ საფუძველზე და პასუხობს განვითარების გრძელვადიან ამოცანებს (პერსპექტივებს).

შემდეგ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონის ეკონომიკის კომპლექსური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებათა სისტემა. ამ მიმართულებებმა უნდა განსაზღვროს რეგიონის ეკონომიკის კომპლექსურობის პროცესის ძირითადი პრინციპები და კანონზომიერებები. კერძოდ: სტრუქტურული

გარდაქმნები, სოციალიზაცია, რეგიონული ინფრასტრუქტურის ფორმირება, რეგიონული ბაზრის ფორმირება, საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარება, კომპლექსური ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია რეგიონის ეკონომიკის კომპლექსური განვითარების ფინანსური და ორგანიზაციული მექანიზმებით უზრუნველყოფა. ფინანსურ წყაროებად შეიძლება გამოყენებული იქნეს რეგიონული ბიუჯეტის სახსრები, ასევე საგარეო და საშინაო წყაროებიდან მიღებული ინვესტიციები, ხოლო ორგანიზაციულ მექანიზმებს განეკუთვნება – რეგიონული პოლიტიკა, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და ეკონომიკური რეგულირების, აგრეთვე პროგნოზირებისა და პროგრამების შედგენის მეთოდები. რეგიონული მართვის სპეციფიკური მეთოდია რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

რეგიონები, მათი სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსები ობიექტურად არიან ქვეყნის მონყობისა და განვითარების საწყისი, პირველადი რგოლები. რეგიონები წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური სტრუქტურების სივრცობრივ-ტერიტორიულ ჭრილს, მისი ერთიანი მეურნეობრივი და სოციალური კომპლექსის შემადგენელ ნაწილებს. ობიექტურად ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესი მიმდინარეობს, საგნობრივად ვლინდება და იმართება ადგილებზე, რეგიონებში.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება და სრულყოფილი, ეფექტიანი რეალიზაცია, არა მარტო კონკრეტული რეგიონის განვითარების პრობლემებს გადაწყვეტს, არამედ უშუალოდ აისახება ქვეყანაში საბაზრო მექანიზმების სრულყოფილი სახით ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე, და მთლიანობაში ეროვნული მეურნეობის მდგრად განვითარებაზე.

რეგიონული მეურნეობის განვითარებაზე დაკვირვება და მისი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვაელინოთ წარმოების მოცულობის გაზრდის გზები კონკრეტულ რეგიონულ პირობებთან მისადაგებით. მათ მიეკუთვნება ძირითადი კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენება, ნედლეულის, ბუნებრივი და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენება; ცალკეული რეგიონების სპეციალიზაცია პროდუქციის ყველაზე უფრო ეკონომიკურ სახეობათა გამოშვებაზე; წარმოების ოპტიმალურ მოცულობათა ორგანიზაცია და სანარმოთა შორის რაციონალური სამეურნეო კავშირების დამყარება; რეგიონების მეურნეობის კომპლექსური განვითარება; მსხვილ სამრეწველო და აგროსამრეწველო კომპლექსების ფორმირება და სხვ.

რეგიონული მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, სპეციალისტთა მოსაზრებები უმეტეს შემთხვევებში ეძღვნება საწარმოთა რაციონალური ტერიტორიული განლაგების საკითხებს, რაც რეგიონული მეურნეობრიობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. ამასთან ერთად, ამ დროს ეკონომიკური მეცნიერება და პრაქტიკა ნაკლებად არის მიმართული მოქმედი (არსებული) საწარმოო აპარატის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების პრობლემაზე, რეგიონული ფაქტორების აქტიურად და მიზანმიმართულად გამოყენების გზით.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ზემოთ აღნიშნული იმაზე მიგვითითებს, რომ საჭიროა ჩამოყალიბებული რეგიონული მეურნეობის სისტემის ყოველმხრივი შესწავლა და ანალიზი, რათა დაძლეული იქნეს არსებული არარაციონალური ტერიტორიულ-საწარმოო კავშირები, წარმოების შიგარაიონული (შიგარეგიონული) რეზერვების გამოყენებით მიღწეული იქნეს არსებული საწარმოო აპარატის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება.

ეკონომიკური მეცნიერების წინაშე საკმაოდ სერიოზული ამოცანა დგას იმ თვალსაზრისით, რომ განხორციელდეს რეგიონული წარმოების განვითარების საკითხების მთელი კომპლექსის სისტემური და მიზანმიმართული შესწავლა. რეგიონული ეკონომიკის პრობლემების შემდგომი მეცნიერული დამუშავება, ჩვენი აზრით, სამი ძირითადი მიმართულებით უნდა წარიმართოს: რეგიონული ეკონომიკური პრობლემების თეორიული შესწავლა, დარგთაშორისი და დარგობრივი რეგიონული ეკონომიკური დასაბუთებების გაღრმავება. ამასთან, ეს მოითხოვს თითოეული მათგანის ადგილის გარკვევას რეგიონულ ეკონომიკურ მეცნიერულ გამოკვლევებში.

რეგიონული ეკონომიკური მეცნიერების მიმართულებათა კლასიფიკაციის სიძნელეები განპირობებულია: ეკონომიკურ მეცნიერებათა კლასიფიკაციის საკითხების არასათანადოდ დამუშავებით საერთოდ; რეგიონული ეკონომიკის როგორც მეცნიერების ფორმირების დაუსრულებლობით; რეგიონულ დარგობრივ ეკონომიკათა, როგორც ეკონომიკურ კვლევის მიმართულებათა არასათანადო თეორიული დასაბუთებით.

აღნიშნულის მიუხედავად, რეგიონულ ეკონომიკურ მეცნიერებათა კლასიფიკაციის სრულყოფის ცდები ხელს შეუწყობს რეგიონული დარგობრივ-ეკონომიკურ მეცნიერებათა ჩამოყალიბების დაჩქარებას, დარგთაშორისი რეგიონულ-ეკონომიკურ მეცნიერებათა ფორმირებას, რეგიონული ეკონომიკის თეორიის ტერიტორიული დაგეგმვისა და მართვის პრაქტიკაზე აქტიურ ზემოქმედებას.

ამჟამად რეგიონული ეკონომიკური განვითარების საკითხები მეცნიერული შესწავლის მხრივ განსხვავებულ სტადიებშია. ზოგი პრობლემა მეცნიერულად საკმაოდ ღრმად არის დამუშავებული, ზოგი კვლევის საწყის სტადიაშია, ზოგიერთი კი საერთოდ არ შეისწავლება ან მათი შესწავლა დღის წესრიგშია დაყენებული. კერძოდ, ცნობილია, რომ შექმნილია მატერიალური წარმოების ცალკეული დარგებისა და ქვედარგების განლაგების თეორია, დამუშავებულია მათი განლაგების მეთოდოლოგია. ამასთან, თეორიული თვალსაზრისით, არასაკმარისად არის დამუშავებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის შედეგების დანერგვის რეგიონული პრობლემები, რეგიონული მთლიანი სამამულო პროდუქტის შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენ გაკვრით შევეხეთ ამ პრობლემას წინა მონოგრაფიაში და წარმოვადგინეთ რეგიონული სამამულო პროდუქტის სტრუქტურა. დავაფიქსირეთ, რომ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული თანამედროვე მოთხოვნებს მისადაგებული ერთიანი მეთოდოლოგიური და მეთოდური მიდგომები რეგიონული სამამულო პროდუქტის დადგენასთან დაკავშირებით. თუმცა, ცალკეულ მეცნიერთა მხრივ სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ამ პრობლემის ანალიზს. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემაზე ინტენსიურად მუშაობდა ცნობილი ქართველი რეგიონალისტი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის რეგიონული და მუნიციპალური განვითარების ცენტრის დირექტორი, დომენტი მოურავიძე.

წარმოების რეგიონული განვითარების შესახებ ცოდნა მხოლოდ მაშინ შეიძლება სწორად იქნეს გამოყენებული, როდესაც ის ემყარება მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას, რომელიც განსაზღვრავს მისი ელემენტების ამოცანებს, საშუალებას იძლევა შემუშავებული იქნეს რეგიონული მეურნეობის მართვისა და განვითარების კონკრეტული პრაქტიკული მეთოდები, ხერხები და საშუალებები.

თანამედროვე დონეზე რეგიონულ ეკონომიკურ მეცნიერებათა ამოცანა მდგომარეობს არა იმდენად დაგროვილ ცოდნათა სისტემატიზაციაში, რამდენადაც დარგობრივი და დარგთაშორისი რეგიონულ ეკონომიკურ მეცნიერებათა ობიექტური საფუძვლის გახსნაში.

რეგიონულ ეკონომიკურ მეცნიერებათა დიფერენციაცია უშუალოდ არის დაკავშირებული მეცნიერების იმ როლთან, რომელსაც ის ასრულებს საბაზრო ურთიერთობების პირობებში.

ქვეყნის ცალკეული რეგიონის, ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარება, სამეურნეო ბრუნვაში ახალი ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და ბუნებრივი რესურსების ჩართვა, შრომის ტერიტორიული დანაწილების შემდგომი გაძლიერება და წარმოების კომპლექსური ტერიტორიული განვითარება, ცალკეულ რეგიონებს შორის ეკონომიკური კავშირების გართულება ნინასწარ განსაზღვრავენ რეგიონულ ეკონომიკურ მეცნიერებათა, სამეცნიერო კადრებისა და ვიწრო სპეციალიზაციის პრაქტიკული მუშაკების არსებობის ობიექტურ აუცილებლობას.

საზოგადოებრივი წარმოების რეგიონულ განვითარებაში ობიექტური ეკონომიკური კანონების გამოვლინება იმდენად მრავალმხრივია, რომ ძნელი წარმოსადგენია – თითქოს ყველა პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი იყოს მხოლოდ ერთი მეცნიერებით – რეგიონული ეკონომიკით. რეგიონულ ეკონომიკურ მეცნიერებათა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი წარმოების რეგიონულ განვითარებაში გახსნას და გამოავლინოს (გამოააშკარაოს) ობიექტური ეკონომიკური პროცესები, შეიმუშაოს ტერიტორიული განვითარების მეთოდები და ხერხები.

ცალკეული რაიონების მატერიალური წარმოების ყველა დარგი ამა თუ იმ ზომით განიცდის ერთმანეთის ურთიერთქმედებას სწორედ ისევე, როგორც მთლიანი მეურნეობა ზემოქმედებს და, ამასთან ერთად, დამოკიდებულია მათზე. საზოგადოებრივი წარმოების რეგიონული განვითარების აღნიშნული დიალექტიკური კავშირი განსაზღვრავს მოძრაობას განვითარების დაბალი ფორმებიდან მაღლისაკენ და მათ დაქვემდებარებულობას.

როდესაც ვმსჯელობთ რეგიონულ ეკონომიკურ მეცნიერებათა კლასიფიკაციაზე, აუცილებელია განისაზღვროს თითოეული მათგანის კვლევის საგანი და ობიექტი, ამასთან, აგრეთვე, აუცილებელია გაირკვეს დარგობრივ ეკონომიკებთან მათი დამოკიდებულების საკითხი.

რეგიონული ეკონომიკის განსხვავება დარგობრივი რეგიონული ეკონომიკებისაგან მდგომარეობს ეკონომიკური პროცესების შესწავლის განსხვავების ხარისხში. თუ რეგიონული ეკონომიკა შეისწავლის რეგიონულ განვითარებაში ერთობლივი მატერიალური წარმოების ეკონომიკურ პროცესებს, რითაც ხსნის და ააშკარავებს მატერიალური წარმოების დარგების რეგიონული განვითარების ზოგად

საერთო კანონზომიერებებს, დარგობრივი რეგიონული ეკონომიკები შეისწავლიან ამ კანონების გამოყენების კონკრეტულ ფორმებს, შეიმუშავებენ საბაზრო პირობებში წარმოების მართვისა და დაგეგმვის მეთოდებსა და ხერხებს.

ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „რეგიონული ეკონომიკა“, „რეგიონების ეკონომიკა“ და „წარმოების განლაგება“.

რაში მდგომარეობს აღნიშნულ ცნებათა არსი, ერთიანობა და განსხვავება და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მიდგომები?

თუ ვიხელმძღვანელებთ საერთო პოზიციებით, რეგიონულ ეკონომიკას, რეგიონების ეკონომიკასა და საწარმოო ძალების განლაგებას აერთიანებს ეკონომიკური კანონების ერთიანი სისტემა, ხოლო აქედან გამომდინარე შეისწავლის ერთიანი მიზანმიმართულების ანუ წარმოების ტერიტორიული განლაგებისა და განვითარების გაუმჯობესების ხარჯზე მისი ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს.

საქართველოს ცალკეული მხარის, ავტონომიური წარმონაქმნისა და რაიონის ეკონომიკა – ეს არის ქვეყნის მთლიანი სამეურნეო სისტემის შემადგენელი ნაწილი. მათი ეკონომიკა არ შეიძლება შემოიფარგლოს და ჩაიკეტოს გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში.

წარმოების შიგარაიონული განლაგების ეკონომიკური მაჩვენებლები უნდა ასახავდეს წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ეფექტიანობას არა მარტო თვით მოცემული სანარმოს თვალსაზრისით, არამედ მთლიანად ქვეყნის ან რეგიონის მეურნეობის მასშტაბით.

იმ საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც იქმნებიან წარმოების მხრივ საკმაოდ განვითარებულ ტერიტორიაზე, უნდა მოიცავდეს წარმოების განლაგების და მოცემულ კომპლექსში ფუნქციონირებადი მეურნეობის ეფექტიანობის რეგიონული მახასიათებლების შესაბამის მაჩვენებლებს.

თითოეული ტერიტორიული საწარმოო სტრუქტურა იფარგლება მხოლოდ თავისი ამოცანებით, მაშინ როდესაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი კავშირურთიერთობა, ურთიერთდამოკიდებულება, მთელი რეგიონის (ქვეყნის) ამოცანები და ინტერესები. მხოლოდ ასეთი პირობით შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს რეგიონის მეურნეობის განვითარების საკითხები.

აღნიშნული საერთო მეთოდოლოგიური დებულებები უნდა დაეფუძნოს საფუძვლად ქვეყნის რეგიონების, მრეწველობის კონკრეტული დარგებისა და ქვედარგების განვითარებას. რეგიონული ეკონომიკის ცალკეული კონკრეტული დარგების ეფექტიანობა დამოკიდებულია ახალ საწარმოთა რაციონალურ განლაგებაზე, არსებულ საწარმოთა ასევე რაციონალურ გაფართოებაზე, რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე, საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე არსებულ და ახლად შექმნილ საწარმოებში, საწარმოთა ოპტიმალურ ტერიტორიულ-საწარმოო კავშირებზე მზა პროდუქციის ნედლეულისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა მომწოდებლებთან და ა.შ.


რეგიონული განვითარების მეცნიერულ საფუძვლად, რომელიც გამოიხატება რეგიონული თავისებურებების გამოვლენაში, ითვლება რეგიონების განვითარების მრავალფეროვანი ფაქტორების და მათი სისტემების – ეკონომიკური, გეოგრაფიული, ისტორიული, ორგანიზაციული პირობების და მეურნეობის ტერიტორიული ფორმების სხვა წანამძღვრების შესწავლა.

ფაქტორების სისტემა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ყალიბდება ურთიერთობებისა და ეკონომიკური კანონების ზემოქმედებით. ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში მონაწილეობა ამა თუ იმ ტერიტორიული ფაქტორის საწარმოო ურთიერთობათა ზემოქმედებით ფორმირდება, მხოლოდ ამასთან დაკავშირებით იღებს ის თავის ეკონომიკურ განსაზღვრულობას, თავის სოციალურ-ეკონომიკურ ბუნებას. საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობები ეჭვგარეშეა, რომ განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენდეს ფაქტორების სისტემაზე, მათი ურთიერთკავშირის ფორმისა და ხასიათის ფორმირებაზე, ასევე მათი სტრუქტურების ძირითადი მახასიათებლის ფორმირებაზე. ტერიტორიული ფაქტორების თავისებურებები, მათი განსხვავება დარგობრივი ფაქტორებისაგან, რეგიონული ფაქტორების ადგილი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და სხვა საკითხები შეიძლება ახსნილი იქნან მხოლოდ იმ გარემოებების ფაქტორების სოციალურ-ეკონომიკური ბუნების განზოგადებასთან.

ეს საკითხი განვიხილოთ უფრო დეტალურად. საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობებს რთული სტრუქტურა ახასიათებს, რომლის შემადგენლობაშიც ძირითადად სამი ქვესისტემა გამოიყოფა: საერთო ეკონომიკური, დარგობრივი და ტერიტორიული (რეგიონული); აქ დასახელებული ქვესისტემები, როგორც ცალკე, ასევე ერთად წარმოადგენენ ურთიერთობების საზოგადოებრივ ფორმას, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებრივი წარმოების ფაქტორების განვითარებასა და ურთიერ-

თკავშირს (იხ. სქემა 1.2.4). საერთო ეკონომიკური ურთიერთობები თავის სახალხო მეურნეობრივი ფაქტორების სისტემასთან ერთად საკუთარი ბუნებითა და სამსახურებრივი როლით გამოდის როგორც პირველადი, საბაზისო ურთიერთობები. აქ ფორმირდება საკუთრებასთან დამოკიდებულება, შრომის ხასიათი, მთელი საზოგადოების განვითარების თავისებურებები, წარმოების ობიექტური მიზანი და ეკონომიკის სხვა პრინციპული თავისებურებები, რომლებიც აყალიბებენ ადამიანებს შორის ურთიერთობათა საერთო ტიპს, შრომით კოლექტივებს შორის ურთიერთობებს და ცალკეულ რეგიონებს შორის ურთიერთობათა ხასიათს.

სქემა 1.2.4



ურთიერთობათა ასეთი სახით თავმოყრა საერთო ეკონომიკურად იწოდება, იმიტომ რომ მისი მარეგულირებელი მოქმედება ვრცელდება მეურნეობის ყველა სტადიაზე (წარმოება, განაწილება, გაცვლა. მოხმარება), ყველა დარგზე და რეგიონზე, აერთიანებს რა მათ ყველას ქვეყნის ერთიან სამეურნეო კომპლექსში. საერთო ეკონომიკურს განეკუთვნებიან, აგრეთვე, სპეციფიკური ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდებიან საერთო სისტემის ცალკეულ რგოლებში: წარმოებაში, გაცვლაში, მოხმარებაში.

სოციალურ-ეკონომიკური პირველად ურთიერთობათა ორი ერთმანეთის შემავსებელი ფორმები (მხედველობაში გვაქვს საერთო ეკონომიკური, რომელიც ეკონომიკის ყველა სფეროს რეგულირებას ახდენს, და იგივე საერთო ეკონომიკური, მაგრამ რომელიც ახდენს ეკონომიკის ცალკეული სფეროების რეგულირებას) ახდენენ იმ ფაქტორების სისტემის ფორმირებას, რომელთაგან ერთნი ზემოქმედებენ ეკონომიკის ყველა სფეროზე, ასევე ქვეყნის მთლიან სახალხო სამეურნეო კომპლექსზე, ხოლო მეორენი წარმოებით ურთიერთობათა საერთო ეკონომიკური სისტემის კვლავწარმოების ცალკეულ რგოლებზე, რომელთაც განეკუთვნებიან წარმოება, გაცვლა და მოხმარება.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში გადამწყვეტი როლი განეკუთვნება წარმოების პროცესის ფაქტორებს, ანუ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის პირველ რგოლს. საქონლის ღირებულებისა და სახმარი ღირებულების შექმნის პროცესი წარმოადგენს ორი ძირითადი ფაქტორის ურთიერთმოქმედების შედეგს: საგნობრივი ფაქტორის (საწარმოო კაპიტალის) და პიროვნული ფაქტორის (ანუ თვით მუშაკის შრომის). პიროვნული ფაქტორი ძირითადია, მთავარია. მათი მეშვეობით იქმნება საქონლის ღირებულება და სახმარი ღირებულება. მხოლოდ სამუშაო ძალასთან შეერთებით ხდება საგნობრივი ფაქტორი შრომის პროცესის ფაქტორი, ე.ი. იძენს წარმოების ფაქტორის ეკონომიკურ განსაზღვრებას. ყველა სხვა დანარჩენი ფაქტორები (მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა და სხვა) გამოდიან როგორც პირობა. პიროვნული ფაქტორის, როგორც წარმოების განვითარებისა და საწარმოო შემოქმედების წყაროს როლი არ მცირდება, არამედ უფრო იზრდება კიდეც მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში. შრომის საშუალებების სიმძლავრისა და ეფექტიანობის ზრდა ამაღლებს მუშაკის შრომის ნაყოფიერებასა და ქმედითუნარიანობას. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება სავსებით სამართლიანად მიიჩნევს წარმოების ძირითად ფაქტორებად შრომას, კაპიტალს, მიწას და მიწის წიაღს, სამეწარმეო უნარსა და ადამიანისეულ ინტელექტს. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, მონაწილეობს ღირებულების შექმნაში, გვეელინება საქონლისა და მომსახურების წარმოების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ წყაროდ.

ბუნებრივია, წარმოების პროცესში უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს შრომის პროცესის ბუნებრივი ფაქტორი. ადამიანის გარემომცველი ბუნებრივი გარემო – მიწა, ჰაერი, წყალი, ტყე, სასარგებლო წიაღისეული და ა.შ. – წარმოადგენენ თვით ადამიანის არსებობისა და მისი შრომითი მოღვაწეობის აუცილებელ პირობასა და წანამძღვარს. ამასთან ერთად, შრომის პროცესის მხოლოდ აუცილებელი პირობებია. ის ასევე შრომის პროცესის შემზღუდავიცაა. ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსის ამოწურვა, გარემომცველი გარემოს დაბინძურება გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების ტემპზე, წარმოშობს დანაკარგების კომპენსაციის საჭიროებას სხვათა დაჩქარებული განვითარების ხარჯზე.

ბუნებისა და წარმოების ურთიერთკავშირი ხასიათდება არა მარტო პირდაპირი ურთიერთქმედებით, არამედ უკუქმედებით. არა მარტო ბუნება ახდენს ზემოქმედებას ადამიანზე, არამედ ადამიანიც ახდენს აქტიურ ზემოქმედებას ბუნებაზე.

აქ სუბიექტის ობიექტზე ეპიზოდური, ერთჯერადი ზემოქმედება კი არაა, არამედ ზემოქმედება-უკუქმედების უწყვეტი პროცესია.

ფაქტორების სისტემა თავის შემდგომ განვითარებასა და გართულებას აღწევს დარგობრივ და ტერიტორიულ ჭრილში საერთო ეკონომიკურ ურთიერთობათა გამოვლინებასთან დაკავშირებით. ყალიბდება ორგანიზაციულ-ეკონომიკური საწარმოო ურთიერთობანი, ამასთან ერთად, ეკონომიკური განვითარების დარგობრივი და ტერიტორიული ფაქტორები.

დარგობრივი ფაქტორები ქმნის ისეთ კონკრეტულ წყაროებს, პირობებსა და შეზღუდვებს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ყალიბდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მოცემულ რგოლში (დარგი, საწარმო); მეორე, შეიძლება მოყვანილ იქნან მოქმედებაში საწარმოს (დარგის) შრომითი კოლექტივების ძალისხმევით; მესამე, უშუალო ასახვას პოულობენ მოცემული საწარმოს (დარგის) სამეურნეო საქმიანობის შედეგებში; მეოთხე, ქმნიან განსხვავებებს ამა თუ იმ შრომით კოლექტივებს შორის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და საწარმოო პოტენციალში.

ტერიტორიული ფაქტორები წარმოიშობა მრავალი სახის პროდუქციისა და მომსახურების წარმოე-

ბის თავმოყრით კომპაქტურ ტერიტორიაზე და უწყებათშორისი ინტეგრაციის გაღრმავებით. მათი განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატება, რომ ეს არის ინტეგრაციის დარგთაშორისი ფაქტორები. ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ასეთი პოტენციური შესაძლებლობების მობილიზაცია ხორციელდება მართვის სხვადასხვა დონის იერარქიის ტერიტორიული ორგანოების მიერ. ტერიტორიული ფაქტორების მოქმედებაში მოყვანა საშუალებას იძლევა შერბილებულ იქნეს და მოისპოს განსხვავება დარგობრივი საწარმოების სამეურნეო საქმიანობის პირობებთან და შედეგებთან.

ტერიტორიული ფაქტორი შეიძლება უფრო რედუცირებული იქნეს მისი გამოყენების მიმართულების თვალსაზრისით. ეკონომიკური განვითარების ფაქტორების სისტემა შემდგომ კონკრეტიზაციას იღებს ობიექტურად ჩამოყალიბებულ რეგიონულ სანარმოო ურთიერთობათა ფორმირების ტენდენციის ზემოქმედების შედეგად.

პირველად ეკონომიკურ ურთიერთობათა ბუნებაში დევს დარგობრივი და ტერიტორიული სისტემების სამეურნეო საქმიანობის შეთანაწყობის, ადგილობრივი და უწყებრივი ინტერესების შეთანხმების აუცილებლობა, სამეურნეო მექანიზმების სხვადასხვა მიმართულებებით მოქმედების გამორიცხვა.

საზოგადოების ინტერესები მოითხოვს ქვეყნის მასშტაბით ტერიტორიული და დარგობრივი განვითარების ურთიერთშეთანაწყობას. მაგრამ ასეთი შეთანხმებული განვითარებით მსვლელობის უზრუნველყოფა მოითხოვს ეკონომიკურ ურთიერთობათა კიდევ ერთი სპეციფიური ქვესისტემის შექმნას პროდუქციის წარმოების, გაცვლისა და მოხმარების თვალსაზრისით. ასეთ ეკონომიკურ ურთიერთობებს რეგიონული ეწოდება. რეგიონული წარმოებითი ურთიერთობები, ბუნებრივია, სცილდება ცალკეული დარგობრივი და ტერიტორიული სისტემების ფარგლებს. იგი დარგობრივზე და ტერიტორიულზე უფრო ამაღლებულად წარმოჩინდება მთლიანი მოღვაწეობის სივრცობრივი სფეროს ფარგლებში (სახლერებში). რეგიონული საწარმოო ურთიერთობები აერთიანებს და ინტეგრირებას ახდენს საქმიანობის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც ეკონომიკურად მიზანშეწონილია წარმოების მოცემული ტერიტორიული ორგანიზაციის დონეზე.

იგი ყალიბდება როგორც ეკონომიკის დარგობრივი და ტერიტორიულ მიმართულებათა შეთანხმებული განვითარების შედეგი. ისინი (ე. ი. რეგიონული საწარმოო ურთიერთობები) წარმოადგენენ საზოგადოების ეკონომიკური კანონების მოქმედების დარგობრივი და ტერიტორიული ასპექტების ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც არ იფარგლება საზოგადოებრივი პროდუქტისა და მომსახურების კვლავწარმოებით, არამედ ვრცელდება, აგრეთვე, სამუშაო ძალის, გარემომცველი გარემოს, მოსახლეობის განსახლებისა და წარმოების განლაგების კვლავწარმოებაზე.

ეკონომიკური კანონების მოქმედების დარგობრივი და ტერიტორიული ასპექტების თავმოყრა ადგილობრივ და უწყებრივ ინტერესებთან ერთიანობაში ქმნიან რეგიონულ სამეურნეო მექანიზმს, როგორც საზოგადოებაში ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობების სავალდებულო შემადგენელ ნაწილს.

ამრიგად, წარმოებითი ურთიერთობების ზემოქმედებით ხორციელდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფაქტორების სტრუქტურიზაცია. ყალიბდება და თავის საბოლოო ფორმას იღებს მათი მთლიანი სისტემა, აგრეთვე, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები თავიანთი შემცველობით. თვით წარმოებით ურთიერთობათა გართულების შესაბამისად მიმდინარეობს ამ სისტემის თანდათანობითი კონკრეტიზაცია. ამასთან, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა ფაქტორი იყოფა ეროვნულ-მეურნეობრივ (რომლებიც მოქმედებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროში), დარგობრივ (რომლებიც წარმოადგენენ ზოგადეროვნულ ფაქტორების გამოვლენის ან დამატების ფორმებს) და ტერიტორიულ (რომელთა განვითარებულ ფორმის სახით წარმოგვიდგებიან რეგიონული ფაქტორები) სახეებად. ამ უკანასკნელს აქვს თავისი სპეციფიკა, რამდენადაც გამოსახავს დარგობრივი და ტერიტორიული შეთანხმებული განვითარების კონკრეტულ ფორმებს წარმოების, გაცვლის და მოხმარების სფეროთა მიმართ.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპმა, საბაზრო ურთიერთობათა ფართო მასშტაბით დამკვიდრებამ, საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე დონემ წარმოშვეს წარმოების ტერიტორიული და რეგიონული ფორმები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად წარმოჩინდა. ასეთი სახის საწარმოო ფორმებს მიეკუთვნებიან დარგთაშორისი კომპლექსები, დარგთაშორისი საწარმოები, სააქციო საზოგადოებები, ფირმები, კომპანიები და ა. შ., რომლებიც საქმიანობენ მატერიალური წარმოების სფეროში ქვეყნის კონკრეტულ რაიონებში, მხარეებში, ავტონომიურ წარმონაქმნებში და სხვ. წარმოების თითოეული ტერიტორიული ფორმა წარმოგვიდგება როგორც მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარების, შექმნილი საწარმოო

პოტენციალის რაციონალურად გამოყენებისა და შრომითი რესურსების ეფექტიანად დასაქმება-გამოყენების წინაპირობა. განვითარების თანამედროვე ეტაპზე რეგიონული ეკონომიკის განვითარების უფუნქციონირადღებობა, წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმების არასაკმაო განვითარება განიხილება, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემზღუდველი და შემაფერხებელი. საქართველოს თანამედროვე პირობებში პირველ რიგში განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობები აქვს და პერსპექტიულია ისეთი ტერიტორიული ფორმები, როგორიცაა რეგიონული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები.

ცნობილია, რომ რეგიონების ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობებს წარმოადგენენ:

– ეკონომიკურ სივრცეთა დივერსიფიკაცია;

– რეგიონულ, რეგიონთაშორისი და საერთაშორისო კავშირების განვითარება;

– სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიისა და პროექტების შემუშავება, რომლებშიც ასახვას პოვებს რეგიონების ფინანსური, რესურსული, სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური და საკადრო პოტენციალი;

– მსოფლიო, ფედერალურ და რეგიონულ დონეებზე ორიენტირებული რეგიონის შეფარდებითი ავტონომია.

ხშირად აღინიშნება, რომ რეგიონების ეკონომიკური და სოციალური აქტივობის ასამაღლებლად აუცილებელია მეწარმეობისათვის საბაზრო მოტივებისა და სტიმულირების ფორმირებით არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენება[5].

ფაქტორების სისტემა შემდგომ რთულდება წარმოების რეგიონულ ფორმებში. ამ ობიექტური მოთხოვნის ზემოქმედებით დიდი ქალაქების გავლენის ზონაში რეგიონული წარმოება ფორმირდება, რაც ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ახალი ფაქტორია.

რეგიონული წარმოება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ რეგიონში განლაგებული დარგობრივი და ტერიტორიული საწარმოებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობის შეთანხმებული ერთიანობაა. თავისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსით რეგიონული წარმოება უფრო რთული შინაარსის ცნებას წარმოადგენს, ვიდრე დარგობრივი წარმოება.

წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის მოცემული ფაქტორის არსი შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ:

1) ეს არის წარმოება, ამ სიტყვის ფართო გაგებით; წარმოება ამ შემთხვევაში გამოდის როგორც მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებული ყველა შრომითი კოლექტივის შრომის დანაწილებით გაერთიანებული ერთობლივი მოღვაწეობა. თუ დარგობრივი წარმოება წარმოგვიდგება ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, სამაგიეროდ, რეგიონული ყოველთვის წარმოდგენილია როგორც შრომითი კოლექტივების ერთიანობა; ამიტომაც იგი შეიძლება წარმოადგენდეს საწარმოო და არასაწარმოო სფეროს ერთად თავმოყრას.

2) ეს არის წარმოება, რომელიც ხასიათდება იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ურთიერთობებით, რომელთა მიზანია შრომითი და ბუნებრივი რესურსების ერთობლივი გამოყენება, მოსახლეობისა და გარემომცველი გარემოს ერთობლივად კვლავწარმოების განხორციელება. დარგობრივი საწარმო თავის მოღვაწეობას ფარგლავს მხოლოდ პროდუქციისა და მომსახურების წარმოებით, რეგიონული წარმოება კი მოწოდებულია გადაწყვიტოს რიგი სხვა ამოცანებიც. ის ახდენს მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობის ცხოვრების პირობების ფორმირებას და უზრუნველყოფს გარემომცველი გარემოს კვლავწარმოებას.

3) რეგიონული წარმოება არის შრომითი მოღვაწეობის ისეთი ერთობა, რომლიც ხასიათდება ინტენსიფიკაციის ტერიტორიული წყაროების ჩართვითა და მათი შეთანხმებით დარგობრივ წყაროებთან. ყოველ ცალკეულ კონკრეტულ საწარმოს შეუძლია გამოიყენოს ეკონომიკური ზრდის ესა თუ ის ცალკე აღებული დარგთაშორისი წყარო. ტერიტორიული წყაროების ერთდროულად მოქმედებაში მოყვანა, ამასთან მათი განსხვავებულ მიმართულებათა გამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივი ტერიტორიულ-საწარმოო საქმიანობით, რაც კიდევაც წარმოადგენს რეგიონული წარმოების ერთ-ერთ სავალდებულო თვისებას, მახასიათებელს;

4) რეგიონული წარმოება უფრო რთული სტრუქტურით ხასიათდება, რაც გამოიხატება მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურებზე სხვა, განსხვავებული ტერიტორიული სტრუქტურების დამატებაში.

5) რეგიონული წარმოება ხასიათდება ტერიტორიული დარგობრივი მართვით.

რეგიონული ეკონომიკის მკვლევართა შორის არ არის აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხში, რომ რეგიონული თავისებურებების, ინტერესებისა და რეგიონის შესაძლებლობების გარეშე არ შეიძლება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების მართვა. სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში, როგორც მინიმუმი, მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეთმოს განვითარების რე-

გიონულ ასპექტებს, ხოლო, როგორც მაქსიმუმი, საფუძვლიანად საბაზრო რეგიონული პოლიტიკის შემუშავებას.

ტერიტორიული ორგანოები ყველა შესაძლო პირობებს უქმნის მატერიალურ წარმოებას. ისინი საწარმოებს ეხმარებიან შრომითი რესურსებით, ტერიტორიებს გამოყოფენ სამრეწველო მშენებლობისათვის, ავითარებენ საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურას, ეხმარებიან საწარმოებს რეგიონის სამშენებლო სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეებით, უზრუნველყოფენ და იცავენ წარმოების პირობების გათვალისწინებით აუცილებელ ტერიტორიულ-დარგობრივ ბალანსირებას, წყვეტენ სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხებს, აგრეთვე, სოციალურ-ყოფითი, კულტურისა და მეცნიერული მომსახურების საკითხებს და ა. შ.

მეორე მხრივ, დარგობრივ საწარმოებს ხელეწიფებათ მატერიალური დოვლათის წარმოებით შექმნან მოცემულ ტერიტორიაზე ადამიანების ცხოვრების პირობები, მათი მატერიალური კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების საფუძველი.

ბუნებრივია, რეგიონში ერთობლივი შიგა პროდუქტის წარმოება ხორციელდება საწარმოებისა და მართვის ტერიტორიული ორგანოების შეთანხმებული მოღვაწეობით. ურთიერთკავშირი „ტერიტორია-საწარმო" და „საწარმო-ტერიტორია" უფრო და უფრო მეტად ხდება აუცილებელი და დინამიური.

ამგვარად, რეგიონული წარმოება – ესაა ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ რეგიონში განლაგებული, შრომის დანაწილებით გაერთიანებულ საწარმოო და არასაწარმოო სფეროს ორგანიზაციათა მოღვაწეობა, რაც ხასიათდება ბუნებრივი და შრომითი რესურსების, საწარმოო და სოციალურ-ყოფითი ინფრასტრუქტურის ერთობლივი გამოყენებით, წარმოების დარგობრივ სტრუქტურებზე ტერიტორიულის დამატებით და შეთანხმებული ტერიტორიულ-დარგობრივი მართვით.

რეგიონული საწარმოო ურთიერთობები წარმოშობენ არა მარტო სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმებს, არამედ, აგრეთვე, პროდუქციისა და მომსახურების კვლავწარმოების ფუნქციონალურ ფორმებსაც, რითაც ქმნიან ინტენსიფიკაციის ახალ ფაქტორებს. ამ უკანასკნელს განეკუთვნებიან მომსახურების დარგები, საწარმოო და სოციალურ-ყოფითი ინფრასტრუქტურა, სპეციალიზაციის დარგები. თითოეული დარგობრივი საწარმო მისი შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში მონაწილეობის შესაბამისად, პროდუქციას უშვებს სხვა ქალაქებისა და რეგიონებისათვის (ამ შემთხვევაში ისინი მიეკუთვნებიან სპეციალიზაციის დარგს), ან ემსახურება მოსახლეობას მოხმარების საგნებით, ხოლო საწარმოები წარმოების საშუალებების წარმოებით (ამ შემთხვევაში ისინი მიეკუთვნებიან მომსახურების დარგს) ქმნიან მოსახლეობისათვის პროდუქციის წარმოების საერთო პირობებსა და მათი სიცოცხლის უზრუნველყოფის პირობებს (ამ შემთხვევაში მიეკუთვნებიან ინფრასტრუქტურას).

შრომის ტერიტორიული და დარგობრივი დანაწილების შემდგომი გაღრმავება გამოიწვევს ეკონომიკის ინტენსიფიკაციის რეგიონული ფაქტორების როლის გაძლიერებას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რაც უფრო მაღალია წარმოების განზოგადების დონე, მით უფრო მეტ დანაკარგებს განიცდის ეროვნული მეურნეობა ინტენსიფიკაციის რეგიონული წყაროების გამოუყენებლობით. მთლიანად ეროვნული მეურნეობის დარგობრივი, რეგიონული ფაქტორების, ფორმებისა და კატეგორიების თანამიმდევრული ანალიზი (რომლის მეშვეობით ისინი გამოავლენენ თავიანთ მოქმედებას) ნიშნავს ეკონომიკური ზრდის წყაროების, მისი პირობებისა და შეზღუდვების სულ უფრო და უფრო, თანდათანობით გამომჟღავნებას. ფორმირდება ფაქტორები, რომლებიც გარკვეულ ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაში არიან.

საქართველოს დღევანდელ პირობებში სახეზეა რეგიონების შესახებ ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა, რამდენადაც დღეისათვის იგი არ არის განმტკიცებული სათანადო მეცნიერული წინადადებებით. ჩვენმა მეცნიერებმა მხოლოდ ბოლო წლებში იგრძნეს რეალურად რეგიონების ეკონომიკის შესწავლით მეცნიერული დაინტერესების საჭიროება და ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო სტადიაში შეტანილი იქნა „რეგიონული ეკონომიკისა და მართვის" დისციპლინის სწავლება. ამიტომ, ჩვენს მიზანს შეადგენს ავხსნათ რეგიონული მეცნიერების საგანი, გავხსნათ „რეგიონი"-ს გაგების შინაარსი და მისი ფუნქციები ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში. ამასთან დაკავშირებით შევისწავლეთ და გავაანალიზეთ რეგიონული ეკონომიკის საკითხებზე ქართველი და ცნობილი უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა შეხედულებები.

ამ თვალსაზრისით, ჩვენ გარკვეულწილად საინტერესოდ და ყურადღების მისაქცევად მიგვაჩნია რეგიონული ეკონომიკის საკითხებზე განვითარებული მოსაზრებანი, რომლებიც მოცემულია მ. სტებაკოვის რედაქციით გამოსულ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში. კერძოდ, ავტორების აზრით, რეგიონული ეკონომიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს რაიონების საწარმოო ძალების განლაგებისა და განვითა-

რების თავისებურებანი და კანონზომიერებანი. ის შეისწავლის რეგიონების არა მარტო ეკონომიკურ პრობლემებს, არამედ საკითხთა შედარებით უფრო ფართო წრეს – ეკოლოგიას, სოციალურ პრობლემებს და სხვა, რომლებიც დაკავშირებულია დემოგრაფიასთან, გეოგრაფიასთან, ეთნოგრაფიასთან, მართვასთან, სოციოლოგიასთან და სხვა მონათესავე მეცნიერებებთან[7].

მოტანილი განმარტებიდან ჩანს, რომ რეგიონული ეკონომიკისა და მართვის მთავარ და ძირითად საგანს წარმოადგენს საწარმოო ძალების განლაგება და რეგიონული განვითარების ფაქტორები.

მთლიანობაში ეს აზრი მართალია და სწორია, მაგრამ ამ განმარტებაში ჩანს რეგიონული ეკონომიკის საგნის განმარტებისადმი ზედმეტად მწირი მიდგომა და მისი განმარტებისას ძველი ადმინისტრაციულ-გეგმიური მეთოდებისა და პრინციპებისადმი ერთგულება. ასე, მაგალითად, საწარმო ძალების განლაგება, მართლაც, ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი რესურსია, მაგრამ არა ერთადერთი, რამეთუ საწარმოო ძალების განლაგება ახასიათებს რეგიონული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების წანამძღვრებს და არა თვით ამ სისტემასა და მისი კვლავწარმოების ყველა ფაზას.

აღნიშნული განმარტების ავტორების ტრადიციული ერთგულება რეგიონული ეკონომიკისა და მართვის საგნის განმარტებისადმი, როგორც პრიორიტეტულისადმი, დაკავშირებულია იმ ადგილთან და როლთან, რომელსაც საწარმოო ძალების განლაგება ასრულებდა გეგმიურ ეკონომიკაში, როდესაც მიიჩნევდნენ, რომ უკეთესია ცენტრში, ვიდრე ადგილებზე. მაშინ იცოდნენ და თვლიდნენ სად და როდის განელაგებინათ საწარმოო ძალები. ასეთი სუბიექტური მიდგომის არასასურველ შედეგებს საწარმოო ძალების განლაგებაში დღესაც საკმაო სერიოზულობით გრძნობენ და განიცდიან თვით რუსეთში და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პირობებში წარმოების ფაქტორების განლაგების პროცესი უკვე კარგავს სუბიექტურ-ადმინისტრაციულ ხასიათს და იძენს ეკონომიკურად დასაბუთების ნიშნებს, საბაზრო არჩევანის მიზანშეწონილ ხასიათს.

ჩვენი მოსაზრება სავსებით იდენტურია ამ საკითხზე პროფესორ გ.ვ. გუტმანის მოსაზრებისა, რომელმაც ჩამოაყალიბა რეგიონული მეცნიერების საგნის ფართო განმარტება; მისი აზრით, „რეგიონული ეკონომიკა სწავლობს წარმოების განლაგების ეკონომიკური რეგულირების და რეგიონული განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის მექანიზმებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რიგი ეკონომიკური ფაქტორების, კერძოდ, შრომის ნაყოფიერების დინამიკის, ეროვნული შემოსავლის რეგიონული განაწილების, ძირითადი ფონდების სტრუქტურისა და ეფექტიანობის, ფასებისა და ტარიფების ტერიტორიული დიფერენციაციის და ა.შ. ღრმა ანალიზს.

## რეგიონული ეკონომიკური განვითარების თეორიების გენეზისი

ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კვალობაზე სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი კვლავწარმოების სივრცობრივი ასპექტების გამოკვლევებსა და შესწავლას. თანამედროვე პირობებში ეკონომიკური მეცნიერება მეტად მდიდარია რეგიონული ბაზრების ფუნქციონირების თაობაზე არსებული თეორიებითა და კონცეფციებით. თეორიების განვითარება მიმდინარეობდა სხვადასხვა სკოლებისა და მიმართულებების ჩამოყალიბების კვალობაზე.

აღსანიშნაია, რომ ერთ-ერთი პირველი სივრცობრივი (რეგიონული) მოქმედება, რომელიც გვიჩვენებს სახელმწიფოს ტერიტორიული თვითორგანიზაციის საშუალებას, თარიღდება დამწერლობითი სახით ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლით. მასში აღწერილია შუმერების უძველესი სამეფოების ურისა და ლაგაშის მმართველების დავა ტერიტორიის დანაწილებაზე. ფაქტიურად ეს არის პირველი ცნობა გავლენის სფეროების განაწილებასა და საზღვრების დადგენაზე.

ფრანგი ფილოსოფოსი მორის დიუვერჟეც აღნიშნავს ძველი იმპერიების შექმნის უნივერსალობაზე, დაყოფისა და ტერიტორიული საზღვრების დადგენაზე.

„ისტორიის მამის", როგორც მას ციცერონმა უწოდა, ჰეროდოტეს მიხედვით ისტორია უნდა განიმარტოს გეოგრაფიულად, ხოლო გეოგრაფია ისტორიულად. სწორედ ჰეროდოტეს მიეწერება ფრაზა, რომ „გეოგრაფია – ეს არის ისტორიის მოსამსახურე".

ჰეროდოტეს შეხედულება მსოფლიო რუკაზე მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ოთხი ერის: კოლხიდების, სასპერების, მიდიელებისა და სპარსელების ტერიტორიულ საზღვრებთან. მისი მიდგომა შემდგომში გამოიყენებოდა რეგიონებისა და რეგიონული საზღვრების შესწავლაში. ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტიც, რომ ჰეროდოტეს შემოუვლია კოლხეთი და პონტოს სანაპირო, სადაც აგრეთვე ძველი ქართველი ტომები მოსახლეობდნენ.

თავის მხრივ ცნობილი ბერძენი ექიმი ჰიპოკრატე (460-377 წწ. ჩვ. წ. აღ.-მდე) განსხვავებას ერებს შორის ხსნის, როგორც განსხვავებას ტერიტორიულ ფაქტორებს შორის. იგი აღნიშნავს, რომ ადამიანის ორგანიზმის ფორმირებაზე და ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე უპირველესად გავლენას ახდენს ტერიტორია და კლიმატი.

ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა დაამკვიდრა ადამიანის ობიექტურ ბუნებრივ პირობებთან დამოკიდებულების მკვეთრი დეტერმინაცია. მისი მოსწავლე არისტოტელე კი მივიდა დასკვნამდე, რომ თეორიის ჩამოყალიბების საუკეთესო გზა არის ფაქტებზე დაკვირვება, ხოლო შემოწმების საუკეთესო ხერხი მისი შედარება დაკვირვების შედეგებთან. მაშინ, როცა პლატონი ინტუიციით ქმნიდა თეორიულ კონსტრუქციას და მიემართებოდა ზოგადიდან კერძოსაკენ, არისტოტელე პირიქით – კერძოდან ზოგადისაკენ; ე. ი. იყენებდა ინდუქციის მეთოდს. არისტოტელემ პლატონის საწინააღმდეგოდ გვიჩვენა, რომ მატერიალური ობიექტი დედამიწაზე იქმნება ცვალებადობის პროცესის შედეგად. მან შემოგვთავაზა ბუნებრივი ადგილის თეორია და ადამიანის მიერ მიწის (ტერიტორიის) სხვადასხვა გამოყენების კონცეფცია გეოგრაფიულ განედთან დამოკიდებულებაში. არისტოტელე თვლიდა, რომ ხალხის ტერიტორიული ადგილმდებარეობა განსაზღვრავს მის ინტელექტუალურ და მორალურ ხარისხს. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ ბოლო დროს ყურადღება მიიპყრო ფრანგი მღვდლის ჟან მელიეს (1664-1729) ერთმა ცნობამ, რომელიც იუწყება, რომ პასუხისგებაში მიცემული არისტოტელე ათენიდან გაიქცა არა კუნძულ ევბუაზე ქ. ხალკოსში, არამედ კოლხიდაში, სადაც გარდაიცვალა 63 წლის ასაკში.

შემდგომ სივრცობრივი ეკონომიკის პრობლემები, „უტოპიური სოციალიზმის" თეორიის ავტორების თ. მორის, თ. კამპანელას, შ. ფურიესა და რ. ოუენის გამოკვლევების საგანი იყო, ხოლო XVII-XVIII საუკუნეებში ეკონომიკური მეცნიერებით დაინტერესებული მკვლევრების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად იქცა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ რ. კანტილიონი, ჯ. სტიუარტი, ა. სმიტი.

XIX საუკუნეში კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარე წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის პროცესი, უშუალოდ აისახა პროდუქციის წარმოების, გაცვლისა და მოხმარების სივრცობრივი პრობლემების მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის მიმართულებით გამოკვლევების ინტენსიფიკაციასა და გააქტიურებაში.

ბაზრების ფუნქციონირების სივრცობრივი პრობლემების შესწავლის ერთ-ერთ პირველ, სერიოზულ ცდას წარმოადგენდა „კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის" სკოლის გამორჩეული წარმომადგენლის დ. რიკარდოს მიერ შემუშავებული „ფარდობითი უპირატესობის თეორია". მან ჩამოაყალიბა

შედარებითი დანახარჯების კანონი, რომლის თანახმადაც ქვეყანამ უნდა აწარმოოს და ექსპორტზე გაიტანოს ის პროდუქცია, რომლის წარმოებაც შედარებით იაფი უჯდება, ხოლო უპრიანია იმ პროდუქციის იმპორტი, რომელიც საჭიროებს შედარებით ნაკლებ დანახარჯებს საზღვარგარეთ.

დ. რიკარდოს გამოკვლევამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი და განაპირობა წარმოების განლაგების თეორიის ჩამოყალიბება, რომლის პირველი წარმომადგენელი იყო გერმანელი ეკონომისტი ი. გ. ფონ ტიუნენი.

ი. ტიუნენმა, მისი ძირითადი თეორია – „სოფლის მეურნეობის შტანდორტების" შესახებ, ჩამოაყალიბა 1826 წელს გამოცემულ ნაშრომში – „იზოლირებული სახელმწიფო". მისი თეორიის ძირითადი არსი გამოიხატება იმაში, რომ წარმოების დანახარჯებსა და მოგებაზე გავლენის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მან წარმოაჩინა სივრცობრივი ანუ განლაგების ფაქტორი. სოფლის მეურნეობის ობიექტების განლაგებას ყველაზე ოპტიმალურად მიიჩნევდა მათი მოხმარების ცენტრის გარშემო. იგი მიუთითებდა, რომ ქალაქების ახლოს უნდა იწარმოებოდეს ისეთი სახის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელიც იაფი დაჯდება და მიეწოდება ქალაქს მუდმივად ახალი სახით. ხოლო იმ მიწებზე, რომლებიც უფრო მეტად არიან დაშორებულები ქალაქს, უნდა იწარმოებოდეს ისეთი პროდუქცია, რომელიც უფრო გრძელვადიან შენახვაზე იქნება განკუთვნილი და რომლის წარმოება და ტრანსპორტირება მეწარმეებს შედარებით იაფი დაუჯდებათ. ამგვარად, ქალაქის გარშემო ჩამოყალიბდება ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად გამიჯნული წრეები (სარტყელები), რომლებიც სპეციალიზებულნი იქნებიან ამა თუ იმ სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე. ი. ტიუნენის გამოკვლევები გამოირჩეოდა აბსტრაქციისა და დასმული ამოცანების ზუსტად ფორმულირების მაღალი უნარით. მან „იზოლირებულ სახელმწიფოდ" განიხილა ცენტრალური ქალაქი, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღებისა და სამრეწველო საქონლით უზრუნველყოფის ერთადერთი ბაზარი. ამასთან, პირველად მან შეაფასა მიწის რენტა მათემატიკური მოდელების გამოყენებით და დაასაბუთა სოფლის მეურნეობის დარგების კონცენტრირებული წრეების (6 წრის) სახით განლაგების უპირატესობა ცენტრალური ქალაქის გარშემო. აღსანიშნავია, რომ მან თავად იხილა მისი თეორიის პრაქტიკული რეალიზაცია კუბაში.

ეკონომიკის სივრცობრივი განთავსების პრობლემების კვლევაში გამორჩეული ადგილი უკავია, ასევე გერმანელ მეცნიერს ვ. ლაუნჰარტს, რომლის ნაშრომი – „სამრეწველო ობიექტის რაციონალური ადგილმდებარეობის განსაზღვრა" – გამოიცა 1882 წელს. ი. ტიუნენის მსგავსად იგი განიხილავდა „იზოლირებულ სახელმწიფოს", ხოლო მისი შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა სამრეწველო საწარმოების განლაგების პრობლემები. სამრეწველო საწარმოების განთავსების ოპტიმალური ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის მის მიერ შემოთავაზებული იქნა „ლოკაციური სამკუთხედის" თეორია. სამკუთხედის ორი კუთხე მან განიხილა, როგორც ნედლეულის მომპოვებელი ობიექტი (მაღარო, საბადო), ხოლო მესამე კუთხე როგორც – გასაღების ბაზარი. აქედან გამომდინარე, სამრეწველო საწარმოს განთავსების ყველაზე ოპტიმალურ ადგილად განსაზღვრა „წერტილი", რომელიც მდებარეობს სამკუთხედის შიგნით და უმოკლესი მანძილით არის დაშორებული სამივე კუთხიდან.

ვ. ლაუნჰარტმა შემდგომში განავრცო „ლოკაციური სამკუთხედის თეორია" და მისმა გამოკვლევებმა მოიცვა ოთხი და მეტკუთხიანი (წერტილიანი) ადგილმდებარეობები, სადაც იგი გასაღების „წერტილად" განიხილავდა არა ერთ, არამედ რამდენიმე ბაზარს. ამის გათვალისწინებით მის მიერ შემოთავაზებული იქნა ე.წ. „პოლუსის პრინციპი". საბაზრო ზონების შესწავლის პროცესში იგი მივიდა დასკვნამდე, რომ იდეალურ შემთხვევაში მათ უნდა ჰქონდეთ ექვსი კუთხე (ექვსკუთხედი), ხოლო რეალობაში კი საბაზრო ზონები წარმოადგენენ არაპროპორციულ მრავალკუთხედებს. ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ვ. ლაუნჰარდტმა, ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ეკონომიკურ მეცნიერებაში გეომეტრიული და ფიზიკური მოდელები.

ზემოაღნიშნული თეორია, სამრეწველო სანარმოთა ოპტიმალური განლაგების „წერტილის" ძიების თვალსაზრისით, განვრცობილი იქნა ა. ვებერის მიერ. მან ჩამოაყალიბა „მრეწველობის შტანდორტების თეორია", სადაც გამოყო და განსაზღვრა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ სამრეწველო წარმოების განლაგებაზე.

ა. ვებერის მთავარი ნაშრომი „მრეწველობის განლაგების თეორია" გამოიცა 1909 წელს. ისევე, როგორც ი. ტიუნენმა და ვ. ლაუნჰარდტმა, მან განიხილა „იზოლირებული სახელმწიფო", რომელშიც წარმოებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსების მოპოვების ადგილები ქმნიან კონცენტრირებულ ზონებს, რომლებიც განლაგებულია საბაზრო ცენტრების გარშემო.

მან თეორიულ ანალიზში დაამკვიდრა წარმოების განლაგებაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები, კერძოდ: დანახარჯები ტრანსპორტირებაზე; დანახარჯები შრომით რესურსებზე; აგლომერაციის საკითხები.

აღსანიშნავია, რომ კრიტიკოსები ა. ვებერს „ადანაშაულებენ" იმაში, რომ მის მოდელში ნაკლები ყურადღება ეთმობა გასაღების ბაზრების ანალიზს. სინამდვილეში კი სამრეწველო საწარმოს 14 პირობითი ტიპის განლაგების თავისებურებათა ანალიზისას იგი გამოყოფს იმ დარგებს, რომლებიც უწინარეს ყოვლისა ორიენტირებულია გასაღების ბაზრებზე. ამასთან ერთად იგი თვლის, რომ მისი გამოკვლევების ობიექტები – ნედლეულის ბაზრები, მზა პროდუქციის გასაღების ბაზრები, შრომის ბაზრები მუდმივად ერთი და იმავე მდგომარეობაშია ანუ არც მცირდება და არც ფართოვდება, რაც ჩვენი აზრით მოკლებულია რეალობას. თუმცა მიუხედავად აღნიშნული ფაქტორების გაუთვალისწინებლობისა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ეკონომიკის სივრცობრივი განლაგების პრობლემების ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი. ა. ვებერმა პირველმა ჩამოაყალიბა სამრეწველო საწარმოს განლაგების მრავალფაქტორული თეორია, რაოდენობრივ ანალიზზე დაფუძნებით და მისმა გამოკვლევებმა დიდი სტიმული მისცა განლაგების თეორიების შემდგომ განვითარებას.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში გამოჩნდა ისეთ ავტორთა შრომები, როგორიცაა – ო. ენგლენდერი, ა. პრედელი, ტ. პალანდერი, ე. ჰუვერი. ისინი გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის (რესურსების) წყაროების სივრცობრივ ასპექტებს განიხილავენ როგორც წარმოების განვითარებასა და განლაგებაზე ზეგავლენის მთავარ ფაქტორებს.

ეკონომიკის სივრცობრივი ასპექტების კვლევაში უდიდესი წვლილი შეიტანა ა. ლიოშმა, რომლის ნიგნი „მეურნეობის გეოგრაფიული განლაგება", პირველად გამოიცა 1940 წელს გერმანიაში. ამ ნაშრომში მან განაზოგადა წარმოების განლაგებისა და მოსახლეობის განსახლების მანამდე არსებული თეორიები და მათი განზოგადების საფუძველზე წამოაყენა რაიონების ოპტიმალური კონფიგურაციის იდეა და ტერიტორიული დარაიონების აბსტრაქტული მოდელი. საბაზრო ზონებს იგი განიხილავდა, როგორც სხვადასხვა ეკონომიკური ძალების ბრძოლის შედეგს: ზოგიერთი მათგანი (ეკონომიკური ძალა) ხელს უწყობს საბაზრო ზონების კონცენტრაციას, ხოლო ზოგიერთი კი პირიქით – დაქსაქსვას. დასახელებული „ეკონომიკური ძალებიდან" პირველის ქვეშ იგი გულისხმობს მასობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოებაზე სპეციალიზებულ „ეკონომიკურ ძალებს". ხოლო მეორეში კი – უნივერსალიზაციასა და სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებაზე ორიენტირებულ „ეკონომიკურ ძალებს".

საბოლოო ჯამში, ა. ლიოში გამოყოფს ეკონომიკური რაიონების სამ ძირითად ტიპს:

1. ჩვეულებრივი საბაზრო ზონები;
2. რაიონების ქსელი ანუ ერთი და იგივე პროდუქციის რეალიზაციის ყველა ზონის ერთობლიობა;
3. რაიონების სისტემა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ა. ლიოშმა შემოგვთავაზა ეკონომიკური ლანდშაფტების პრინციპულად ახალი კონცეფცია.

განლაგების თეორია შემდგომში განვრცობილი იქნა ვ. კრისტალერის მიერ, რომელმაც ნაშრომში „სამხრეთ გერმანიის ცენტრალური ადგილები", პირველად გააანალიზა დასახელებული პუნქტების ფორმირების სისტემა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. მან ამ თეორიით ახსნა ის, თუ ერთი სახის პროდუქცია და მომსახურება რატომ უნდა იწარმოებოდეს (მიეწოდებოდეს) ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში (აქ იგულისხმებოდა პირველადი მოთხოვნილების პროდუქცია და მომსახურება), ხოლო სხვა სახის პროდუქცია და მომსახურება (მაგალითად ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვ.) უნდა იწარმოებოდეს საშუალო სიდიდის დასახლებულ ადგილებში და მესამე, ფუფუნების საგნები, თეატრები, მუზეუმები და სხვ. უნდა რეალიზდებოდეს და არსებობდეს მხოლოდ დიდ ქალაქებში.

კრისტალერის თანახმად მომსახურებისა და გასაღების ზონებს გააჩნიათ ტენდენცია დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდნენ ექვსკუთხედების სახით („ფუტკრის ფიჭები"), ხოლო მთლიანობაში კი, განსახილველი ობიექტი (სივრცე) იფარება ამგვარი „ფუტკრის ფიჭებით", რაც „კრისტალერის გისოსის" სახელით არის ცნობილი. აქედან გამომდინარე პროდუქციის გასაღების ბაზრები განთავსდება ოპტიმალურად და ნებისმიერ მწარმოებელსა და მომხმარებელთა პროდუქციისა და მომსახურების წარმოება და მოხმარება შეეძლება მინიმალური დანახარჯების გაწევით.

სივრცობრივი ეკონომიკის კლასიკური სკოლის წარმომადგენლების ზემოთ ჩამოთვლილი და განხილული თეორიების განზოგადებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ მიერ გამოიკვეთა რეგიონული მეცნიერების შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1.ლოკაციური, რომელიც აყენებს წარმოების განლაგებისათვის ყველაზე ხელსაყრელი (ოპტიმალური) ადგილის მოძებნის ამოცანას:

2.რეგიონული, რომელიც მიისწრაფის მეურნეობის ამა თუ იმ ცენტრისა და მთლიანობაში რეგიონის სტრუქტურის და მოცულობის ოპტიმიზაციის მიღწევაზე:

3.კომპლექსური, რომელიც პირველ ორ მიმართულებას აერთიანებს ერთ თეორიაში და ერთ მეთოდში.

„რეგიონული ეკონომიკის", როგორც ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელი მიმართულების, ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ამერიკელ სწავლულს უ. იზარდს. მისი ინიციატივითა და დიდი მოწადინებით 1954 წელს დაფუძნდა „რეგიონული მეცნიერების საერთაშორისო ასოციაცია", რომელსაც 1960 წელს მიენიჭა საერთაშორისო სტატუსი. უ. იზარდი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში თავად გახლდათ ამ ასოციაციის პრეზიდენტი. დაახლოებით 50 წელია, რაც ეს ასოციაცია წარმატებით ფუნქციონირებს, მასში გაერთიანებულია სერიოზული სამეცნიერო წრეები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან. ისინი უზრუნველყოფენ კონფერენციებისა და სემინარების რეგულარულად ჩატარებას, სადაც განიხილება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საკითხები, აგრეთვე გამოსცემენ შესაბამის ჟურნალებსა და სასწავლო პროგრამებს, ხელს უწყობენ სხვადასხვა სამეცნიერო მონოგრაფიების თარგმნას, გამოცემასა და შესაბამის წრეებში გავრცელებას.

ხოლო, რაც შეეხება მისი მოღვაწეობის წმინდა მეცნიერულ ასპექტებს, იგი არის ავტორი ნაშრომისა „რეგიონული ანალიზის მეთოდები: რეგიონული მეცნიერების შესავალი".

უ. იზარდმა შემოგვთავაზა რეგიონული მეცნიერების ახალი, უფრო ფართო განსაზღვრება და გაავლო მისი ანალოგია გამოყენებით გეოგრაფიასთან. განლაგების კლასიკური თეორიის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით იგი გამოკვლევებსა და ანალიზს იწყებს არა წარმოების პროცესიდან, არამედ რეალიზაციის პროცესიდან. პროდუქციის რეალიზაციის ბაზრების შესწავლა, ამ შემთხვევაში გვევლინება პირველხარისხოვან ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს წარმოების განლაგების კანონზომიერებებს. ის განსაკუთრებულად აღნიშნავს ბაზრის ტევადობის შეფასების პრობლემას. რეგიონის (ბაზრის) ტევადობის განსაზღვრასთან დაკავშირებით იგი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბაზრის ფორმირებაზე:

– ფულადი შემოსავლები (შრომის ანაზღაურება, დივიდენდები, შემოსავალი, რენტა და ა. შ.);

– მოსახლეობის რაოდენობა და სტრუქტურა;

– რეგიონის საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა;

– საკრედიტო შეზღუდვები;

– ირიბი მოთხოვნა (მთლიანობაში ყველა დარგის მოთხოვნა, თითოეული დარგის პროდუქციაზე);

– სწრაფვა სივრცობრივ ურთიერთქმედებაზე და სხვა.

1929 წელს რეგიონული პრობლემების მკვლევარმა მეცნიერმა ი. რეილიმ წამოაყენა ჰიპოთეზა დასახლებულ პუნქტებს შორის მიზიდულობის ძალის არსებობის შესახებ, რომლის მთავარი იდეა ეფუძნებოდა გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერის, ფიზიკოს ი. ნიუტონის „მიზიდულობის კანონის" ძირითად დებულებებს: ურთიერთქმედების ძალა საგნების (ობიექტების) მასის პირდაპირპროპორციული და მათ შორის არსებული მანძილის უკუპროპორციულია. ე.ი. რამდენადაც მოცულობითია (დიდია) ობიექტი (საგანი), მით უფრო იზიდავს იგი მცირე ზომის საგნებს. საგნის წონად რეილი განიხილავდა დასახლებულ პუნქტში მოსახლეობის რიცხოვნობის შესაბამისად. ეს ფორმულა შემდგომში მოდერნიზებული იქნა სტიუარტისა და ციპფის მიერ.

მეორე კონცეფცია დაფუძნებულია ყოველ რეგიონში ელემენტების ერთობაზე. დახასიათებისათვის გამოიყენება რეგიონის ორი ტიპი:

1. ჰომოგენური, ანუ ერთგვაროვანი (ერთსახოვანი) – ელემენტები თანაბრად, თანაბარზომიერად არიან განლაგებული მოცემული რეგიონის მთელ ტერიტორიაზე;

2. საკვანძო – არსებობს ცენტრი (ბირთვი), ასეთი რეგიონის დახასიათებები იცვლებიან ბირთვიდან პერიფერიისაკენ. შევნიშნავთ, რომ ასეთი დიფერენციაცია შესაძლებელია მხოლოდ თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად წმინდა სახით ის ნაკლებ სარწმუნოა.

რეგიონული მეცნიერების ყველა მიმართულებისათვის საერთოა სივრცობრივი ფაქტორის გათვალისწინება. რეგიონულ პროცესებზე მისი გავლენის ხარისხი შეიძლება სხვადასხვა საფუძვლებზე დადგინდეს.

ეკონომიკური წონასწორობის თეორიის მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ სივრცე წარმოადგენს მთავარს, რეგიონში საწარმოო საქმიანობის განთავსების მატრიცას.

დ. კუენს მიაჩნდა, რომ არსებობს გარკვეული კანონზომიერება პროდუქციის თვითღირებულებისა და წარმოების მოცულობის დამოკიდებულებაში. რაც უფრო დიდია წარმოების მოცულობა, მით უფრო დაბალია თვითღირებულება. მაგრამ წარმოების გაზრდისას რაიონის რაღაც გარკვეულ ნაწილებში იზრდება სატრანსპორტო დანახარჯები, ანუ ტრანსპორტის ხარჯები იზრდება წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად. ეს არის ჯამური დანახარჯები; აუცილებელია დაჯამდეს საწარმოო დანახარჯები სატრანსპორტო დანახარჯებთან ერთად, რათა განისაზღვროს წარმოების ოპტიმალური მოცულობა.

დასავლეთის ქვეყნებში ზოგი რეგიონული გამოკვლევა დაფუძნებულია „ზრდის პოლუსების კონცეფციაზე". ამ კონცეფციას აქტიურად ამუშავებდა ფრანგი ეკონომისტი ფ. პერრუ და მისი მოწაფე ჟ. ბუდვილი.

ფ. პერრუ დასცილდა ჰომოგენური რეგიონების თეორიულ განხილვას. მისი მთავარი იდეა იყო ის, რომ რეგიონებს აქვთ თავისი ცენტრი, თავისი განვითარების პოლუსები; თავს იყრის რა დაწინაურებული დარგის ირგვლივ სიახლეთა განხორციელება, ახალი საწარმოები ქმნიან კონცენტრაციას. ეს კი თავისკენ იზიდავს სხვა დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას და ქმნის განვითარების პოლუსს.

ჟ. ბუდვილის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს თეორია გადაიტანა კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში, კონკრეტულ რეგიონში, რათა რეგიონული ახსნა-განმარტება მიეცა ზრდის პოლუსთა იდეისათვის. მან შემოიტანა სივრცის ცნება (გაგება) და გამოჰყო სივრცეთა სახეები:

1. ჰომოგენური;
2. პოლარიზებული;
3. გეგმიური.

აგრეთვე, სივრცეთა სახეების შესაბამისად მან გამოყო რეგიონების სახეები: ჰომოგენური, პოლარიზებული, გეგმიური. ბუდვილმა სივრცე და ფუნქცია გააერთიანა ერთ – სივრცის პოლარულობის – ცნებაში.

ჟ. ბუდვილის აზრით, არა ყველა რეგიონული ცენტრია ზრდის პოლუსი, არამედ მხოლოდ ის, რომელშიც არის ისეთი დარგები, რომლებიც ბიძგს აძლევენ მთელი რეგიონული სისტემის განვითარებას, რომ ზრდის რეგიონული პოლუსი წარმოადგენს განვითარებადი და გაფართოებადი დარგების ნაკრებს, რომელსაც შეუძლია თავისი გავლენის მთელ ზონაში გამოიწვიოს წარმოების შემდგომი ზრდა.

ზრდის პოლუსები – ეს არის აქტიურობის გეოგრაფიული აგლომერაციები, ეს არის ქალაქები, რომლებსაც გააჩნიათ განვითარებადი დარგები.

ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციის „ზრდის პოლუსების თეორიამ", რომელიც აძლიერებს ვ. კრისტალერის „ცენტრალური ადგილის თეორიას", გამოიყენა ეკონომიკური მეცნიერების ისეთი თანამედროვე მეთოდი, როგორიცაა ვ. ლეონტიევის „დანახარჯები – გამოშვება" მეთოდი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. „ზრდის პოლუსების თეორია" ბევრად უახლოვდება ნ. კოლოსოვსკის „საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსის თეორიას" და მის მიერ ჩამოყალიბებულ „ენერგოსაწარმოო ციკლებს".

ამა თუ იმ რეგიონის კომპლექსური განვითარების გამოკვლევისას მთელ რიგ შემთხვევებში მიზანშეწონილია მივიღოთ ეგრეთწოდებული „ენერგოსაწარმოო ციკლი", რომელიც ფორმირდება გარკვეული სახის ნედლეულისა და ენერგიის შეთანაწყობით და განსაზღვრავს მოცემული ციკლის წარმოების მთელ კომპლექსს. რეგიონულ სამეურნეო კომპლექსში აუცილებელია განვავითაროთ ის წარმოება, რომელიც ავსებს მის შესაბამის ენერგოსაწარმოო ციკლს. ნ. კოლოსოვსკიმ ენერგოსაწარმოო ციკლი საფუძვლად დაუდო ეკონომიკური დარაიონების თეორიას. ენერგოსაწარმოო ციკლი მისი განმარტებით არის, საწარმოო პროცესების მთელი ერთობლიობა, რომელიც ვითარდება რეგიონში მოცემული სახის ენერგიისა და ნედლეულის შეთანაწყობის საფუძველზე. მისი პირველადი ფორმიდან – მოპოვებიდან ახალი პროდუქციის ყველა სახეობის მიღებამდე, რომელიც შესაძლებელია მივიღოთ ადგილზე იმ მოთხოვნიდან გამომდინარე, რომ წარმოება მივუახლოვოთ ნედლეულის წყაროებს: ე. ი. სანედლეულო და ენერგეტიკული რესურსების მოცემული ტიპის ყველა კომპონენტის კომპლექსური გამოყენების მოთხოვნიდან ნ. კოლოსოვსკიმ გამოჰყო რვა განმეორებადი საწარმოო პროცესის ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილი ეკონომიკური რეგიონების და ეკონომიკური ქვერეგიონების გამოყოფის საფუძველს:

1. შავი ლითონების პირომეტალურგიული ციკლი;
2. ფერადი ლითონების პირომეტალურგიული ციკლი;
3. ნავთობქიმიური ციკლი;
4. ჰიდროენერგეტიკული ციკლი;
5. გადამამუშავებელი ინდუსტრიის ციკლების ერთობლიობა;
6. სატყეოენერგეტიკული ციკლი;
7. ინდუსტრიულ-აგრარული ციკლი;
8. ჰიდრომელიორაციული ციკლი.

ციკლების შეთანაწყობა და მათი სანედლეულო და ენერგეტიკული ბაზების შერწყმა მოცემულ ტერიტორიაზე ქმნის ეკონომიკური რეგიონის ტერიტორიულ-საწარმოო ბირთვს.

წარმოების ტერიტორიული კონცენტრაციის განსაკუთრებულობას წარმოადგენს დარგობრივი ეფექტიანობის მულტიპლიკაცია. თუ ცალკე აღებულ დარგში ტერიტორიული კონცენტრაციის განხორციელების ხარჯზე ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა მაღლდება პროცენტების მცირე რაოდენობით, იგივე ღონისძიებამ რეგიონის მასშტაბით შეიძლება მოგვცეს 10-15% და მეტიც.

ტერიტორიულად სამეურნეო კომპლექსების განვითარება უნდა წარიმართოს, როგორც არსებული საწარმოების გაფართოებით და რეკონსტრუქციით, ასევე ახალ საწარმოთა მშენებლობების ხარჯზე. ამ დროს ცალკეული დარგები სხვადასხვა პრეტენზიას უყენებენ განთავსების რაიონებს. მაგალითისათვის გამოდგება იმერეთის რეგიონში განთავსებული მინერალური ნედლეულის (ჭიათურის მანგანუმი) და მისი გადამუშავების (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა) პრობლემები. ეს გამოწვეულია იმით, რომ მომპოვებელი მრეწველობა უშუალო კავშირშია მინერალურ-სანედლეულო ბაზასთან და მისი განთავსების რაიონი წინასწარ განსაზღვრულია. ამავე დროს გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებს გააჩნიათ უფრო დიდი გასაქანი განთავსების ადგილის არჩევისათვის, რაც ართულებს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას. ამ დროს არსებით გაელენას ახდენს წარმოების ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორებიცაა: შრომატევადობა, ენერგოტევადობა, მასალატევადობა, კაპიტალტევადობა, ტრანსპორტაბელურობა და სხვა. საგულისხმოა, რომ ყველა ეს პრობლემატური საკითხი ერთდროულადაა თავმოყრილი აღნიშნულ მაგალითში იმერეთის რეგიონში.

რეგიონთა სათანადო სპეციალიზაციას შეიძლება მივაღნიოთ მხოლოდ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით (ექსპორტის ჩათვლით), მაგრამ პირველ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელთა პრობლემები საფუძვლიანადაა განხილული ცნობილ ეკონომისტ-რეგიონალისტთა შრომებში.

ჰ. ლასუენმა ეკონომიკური ზრდის პოლუსები სამ ძირითად ასპექტში განიხილა: პირველი – რეგიონის საწარმოო კომპლექსი; მეორე – საერთო ეროვნული მოთხოვნა, რომელიც რეგიონის საექსპორტო პოტენციალის ფორმირებისა და ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია და მესამე – ზრდის იმპულსები, რომლის განვითარების ტენდენციაც გადაეცემა მცირეხარისხოვან დარგებს.

აღსანიშნავია გ. მიურდალისა და ა. ხირშმანის მიერ შემუშავებული „რეგიონის კუმულაციური განვითარების თეორია“, რომლის ძირითადი არსი რეგიონის უკეთესი ადგილმდებარეობის განსაზღვრის საკითხებს უკავშირდება.

განთავსების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტ. ჰეგერსტრანდმა, რომელმაც წამოაყენა ინოვაციური დიფუზიის თეორია. ამ თეორიის მიხედვით ეკონომიკურ-ინოვაციური რეგიონების მიხედვით წარმოების განთავსება პრობლემის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტაა. ეს პროცესი კი უნდა მიმდინარეობდეს სამი ძირითადი მიმართულებით ანუ არსებობს დიფუზიის სამი ფორმა: 1. გაფართოების დიფუზია, როდესაც ინოვაცია წარმოქმნის წერტილიდან თანაბრად ვრცელდება ყველა მიმართულებით; 2. განლაგების დიფუზია, როდესაც დიფუზია ვრცელდება განსაზღვრული მიმართულებით და 3. შერეული ტიპის.

ტ. ჰეგერსტრანდის თეორიის მიხედვით დიფუზიის გენერაცია ტალღანარმომქმნელ ხასიათს ატარებს. იდეაში იგი ახლოსაა „გრძელი ტალღების“ თეორიასთან, რომლის ფუძემდებელია გამოჩენილი რუსი ეკონომისტი ნ. კონდრატიევი. ინოვაციური დიფუზიის თეორიასთან მჭიდრო კავშირშია „რეგიონული სასიცოცხლო ციკლის“ თეორია, რომელიც განიხილავს პროდუქციის წარმოების პროცესს შემდეგი სტადიებით: 1. შექმნა; 2. წარმოების ზრდა; 3. გაჯერება; 4. შემცირება. ამ თეორიის მიხედვით ინოვაციების წარმოქმნის ყველაზე ხელსაყრელ ადგილად ითვლება დიდი ქალაქები, მაგრამ იგი უქმნის რისკს პატარა ქალაქებს, რადგანაც გაჯერებას მოჰყვება მისი წარმოების შეწყვეტაც, სანამ არ გამოჩნდება სხვა ინოვაციები დიდ ქალაქებში.

დასავლეთში ფართო გავრცელება ჰპოვა ი. შუმპეტერის „ინოვაციების დიფუზიის“ თეორიამ.

„ინოვაციების დიფუზიის“ თეორიასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ცნება დინამიური, მესაჭე და ლიდერული დარგების შესახებ, რომლებიც თავიანთ გავლენას ახდენენ ტერიტორიულ განთავსება-განლაგებაზე.

„ზრდის პოლუსების“ თეორია განავრცო ჰ. პოტიემ. მისი აზრით, ზრდის პოლუსებს შორის განლაგებული ტერიტორიები უზრუნველყოფილი არიან სატრანსპორტო კავშირებით, ტვირთნაკადებით, ინოვაციის გავრცელებით და სხვ. ამ დადებითი პროცესების განვითარება უდიდეს იმპულსებს აძლევს იმ ტერიტორიებს, რომლებიც ჰ. პოტიემ წარმოაჩინა „განვითარების ღერძების“ სახით.

ამ მიმართულების კვლევაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მ. ბანდმანმა და მის მიერ ჩამოყალიბებულმა ნოვოსიბირსკის სკოლის წარმომადგენლებმა. მათ შეიმუშავეს ტერიტორიულ-სანარმოო კომპლექსის (ტსკ) განვითარების თეორია, სადაც გამოყენებულია ტსკ-ს სტრუქტურის განლაგებისა და დინამიკური მათემატიკის მოდელები.

XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებულმა განლაგების კონცეფციებმა დიდი გავლენა მოახდინეს თანამედროვე რეგიონალისტების შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

რეგიონული ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე წარმომადგენელმა ხ. ბოსმა ჩამოაყალიბა დებულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკის სივრცობრივი განლაგების პრობლემების გადაწყვეტისა და, შესაბამისად, პრაქტიკული მიზნების მიღწევისათვის შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს ოპტიმალური საბაზრო ზონა, როგორც წრე.

აღნიშნულის საფუძველად აღებული იქნა ტრანსპორტირებაზე და პროდუქციის რეალიზაციაზე გასაწევი ხარჯების გაანგარიშება, რომელზეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საბაზრო ზონაში არსებული მოთხოვნის მოცულობის ფაქტორი.

ი. ჰამილტონმა და რ. ლინგემ განავითარეს და სრულყვეს ვებერის მოდელი. კერძოდ, ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ ვებერის მიერ წარმოდგენილი მეურნეობის იერარქიული სისტემის „შრეები“ ერთმანეთს უკავშირდება მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსების საშუალებით. ისინი ამ „შრეებს“ განიხილავენ როგორც მთლიანობაში, ასევე ცალკეული დარგების მიხედვით მრეწველობის საბაზრო ზონებად. საერთო ჯამში კი საბაზრო ზონების მაღალი კონცენტრაცია შეინიშნება რესურსების „წყაროებთან“. ამასთან, ცალკეული საბაზრო ზონები, აგრეთვე მიმწოდებელი ზონები, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ერწყმიან და გადაფარავენ.

კლასიკური პოლიტეკონომიის წარმომადგენლები ა. სმიტი და დ. რიკარდო წარმოებისა და გაცვლის რაციონალურობის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად განიხილავენ დანახარჯებს შრომაზე. რეგიონული ეკონომიკური თეორიის პრობლემების მკვლევარმა შვედმა მეცნიერებმა ე. ხეკშერმა და ბ. ოლინმა განავრცეს საერთაშორისო (რეგიონთაშორისი) შრომის დანაწილების თეორია, დაამკვიდრეს რა პრაქტიკაში წარმოების ურთიერთდამოკიდებული ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, მიწა და სხვ.) ანალიზი. მათი ძირითადი თეორიული მოდელის არსი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ქვეყნებმა (რეგიონებმა) ექსპორტზე უნდა გაიტანონ ინტენსიური მოხმარების ჭარბი პროდუქცია, ხოლო უნდა შემოიტანონ ინტენსიური მოხმარების დეფიციტური პროდუქცია;

2. საერთაშორისო (რეგიონთაშორის) ვაჭრობაში შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში გარდაუვალია „ფასების“ გამოთანაბრების ტენდენცია;

3. ამა თუ იმ პროდუქციის „გატანისა“ და „შემოტანის“ მოცულობა, თავისებურებები შეიძლება შეიცვალოს წარმოების ფაქტორების განლაგების ცვალებადობის კვალობაზე.

ძირითადი დასკვნა, რომელიც ე. ხეკშერისა და ბ. ოლინის დებულების გაანალიზებისა და განზოგადების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ისაა, რომ ჩამორჩენილი და განვითარებადი ქვეყნები (რეგიონები), რომლებიც, როგორც წესი, ჭარბი შრომითი რესურსების არსებობის პირობებში, კაპიტალის ძლიერ დეფიციტს განიცდიან, ორიენტირებულნი უნდა იყვნენ შრომატევადი პროდუქციის წარმოებაზე. ხოლო განვითარებული ქვეყნები (რეგიონები), რომელთაც გააჩნიათ დიდი მოცულობის ფუნქციონირებადი კაპიტალი (მათ შორის სამეცნიერო-ტექნიკური) უნდა ესწრაფოდნენ კაპიტალტევადი პროდუქციის გატანას. ქვეყნები (რეგიონები), რომელთაც გააჩნიათ დიდი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო მიწები და მოსახლეობის სიმჭიდროვე ამ ტერიტორიებზე დაბალია, დაინტერესებულნი არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანით.[27]

ხეკშერისა და ოლინის თეორიის ძირითადი მიმართულებები დახვეწილი და კორექტირებული იქნა შემდგომ პერიოდში გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის (1973 წ.) ვ. ლეონტიევის მიერ დარგთაშორისი ბალანსის მეთოდის შემუშავების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული თეორიების გაანალიზებისა და განზოგადების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონული განვითარების თეორია აყენებს საკითხს რეგიონული განვითარების პრობლემის კომპლექსური შესწავლის თაობაზე. კერძოდ:

1. ცალკეული რეგიონების განვითარების ტემპების თანაფარდობის განსაზღვრისა და მათი დონის გამოთანაბრების შესაძლებლობების შესახებ;

2. წარმოებისა და მოსახლეობის დისპერსიის (დაშორიშორების) პრობლემის შესახებ;

3. ახალი ეფექტიანი საწარმოო კომპლექსების ფორმირების შესახებ;

4. სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მოცემული რეგიონის ფინანსირების პროპორციების განსაზღვრის თაობაზე;

5. ეკოლოგიური და ბუნების დაცვის საკითხების გადაწყვეტის შესახებ;

6. რეგიონული განვითარების პროგნოზირებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში რეგიონული განვითარების პრობლემების თაობაზე წარმოებული გამოკვლევები ხასიათდება ლოკაციური მიმართულებებისა და რეგიონული მიდგომების შეთანაწყობის (თავსებადობის) მცდელობებით, სადაც განხილვის ობიექტია არა ცალკეული საწარმო ან მისი განლაგების ადგილი, არამედ მთლიანობაში რეგიონი.

როგორც გამოცდილება ადასტურებს, მსოფლიოში თანამედროვე პირობებში შეიძლება ითქვას, არ არსებობს რეგიონული განვითარების რომელიმე, დომინირებადი მოდელი. უფრო მეტიც, ამ მიმართულებით ქვეყნებში წარმოებულ პოლიტიკას შორის უფრო მეტი განსხვავებები შეინიშნება, ვიდრე ვთქვათ, მონეტარული პოლიტიკის ასპექტში. აღნიშნულის მიზეზი კი ძირითადად ის ფაქტორია, რომ ნებისმიერი ქვეყნისათვის დამახასიათებელია რეგიონული მრავალფეროვნება. ამდენად, ამა თუ იმ ქვეყანაში რეგიონული განვითარების რეგულირებისა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელისუფლება ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს რეგიონული თავისებურებები, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ასევე ისტორიული და სხვა ასპექტების თვალსაზრისით.

აქვე აღვნიშნავთ გამოკვლევების მიმართულებებს:

1. ქვეყნის რეგიონული სისტემის კვლევა (უმაღლეს დონეზე გადაწყვეტილების მიღებისათვის);

2. კონკრეტული რეგიონების წმინდა რეგიონული პრობლემების უშუალოდ შესწავლა და გადაწყვეტა (შიდარეგიონული სტრუქტურის).

აღნიშნულ მიმართულებათა ჩარჩოებში ვითარდებიან საერთოდ რეგიონული მეცნიერების თანამედროვე კონცეფციები. შესანიშნავად არის დამუშავებული და ფართოდაა გავრცელებული რეგიონული სტრუქტურის ანალიზის ისეთი მეთოდი, როგორიცაა რეგიონული ბალანსების სხვადასხვა სახეების გამოყენება (საბალანსო მეთოდი), რომელსაც „რეგიონულ ბალანსებსა და ანგარიშებს“ უწოდებენ. ის საშუალედო რგოლის როლს ასრულებს სტატისტიკის ფაქტებსა და თეორიას შორის. სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება განვითარების უფრო ეფექტიან მიმართულებათა შესამუშავებლად. სტატისტიკური მონაცემები ასახავენ რეგიონულ შემოსავალს, წარმოებას, ანგარიშსწორებას სხვა რეგიონებთან და სახელმწიფოსთან, ანუ რეგიონის ეკონომიკას მთლიანად. ასეთი მონაცემების საფუძველზე სახელმწიფო ახდენს რეგიონებს შორის ურთიერთობათა რეგულირებას.

პრაქტიკაში გამოიყენება აგრეთვე ე. წ. „დანახარჯები-გამოშვების“ მეთოდი, რომელიც შემუშავებულია საზღვარგარეთ XX საუკუნის 20-იან წლებში რუსი წარმოშობის ამერიკელი მეცნიერის ვ. ლეონტიევის მიერ (ჩვენში მას როგორც აღვნიშნეთ, დარგთაშორის ბალანსს უწოდებენ).

ლეონტიევის ბალანსის გარდა კიდევ არსებობს საბალანსო გაანგარიშებები – მოზესის „წარმოების საერთო წონასწორობის, რაიონთაშორისი ვაჭრობისა და მრენველობის განთავსების მოდელი“. მოზესის ეს მოდელი ერთად ახამებს რეგიონული ანალიზის ორ მეთოდს: ხაზობრივ პროგრამირებას გადაზიდვათა პრობლემებთან გამოყენებაში (სატრანსპორტო ამოცანა) და რაიონების მიხედვით „დანახარჯი-გამოშვების“ მეთოდს.

როდესაც ვაანალიზებთ რეგიონული პოლიტიკის მსოფლიო პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს, აუცილებლად უნდა განვაზოგადოთ იმ ქვეყნების წარმატებული გამოცდილება, რომელთაც სამართლიანად მოიხსენიებენ ,ლიდერებად“.

მაგალითად, აშშ-ს, კანადას, ავსტრალიას გააჩნიათ მეტად საინტერესო გამოცდილება მსხვილმასშტაბიანი რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის მიმართულებით (მათ შორის, ,ახალი“ რეგიონების სამეურნეო ათვისების თვალსაზრისით). გერმანია კი ცნობილია სერიოზული მიღწევებით კოოპერაციული ფედერალიზმის განვითარებისა და რეგიონთაშორისი ინტეგრაციულ პროცესებში (დასავლეთისა და აღმოსავლეთ გერმანიის ფედერალური მიწების გაერთიანების კონ-

ტექსტში) მიღწეული წარმატებებით. ნიდერლანდებს ახასიათებს ძლიერი და მდიდარი ტრადიციები სივრცობრივი დაგეგმვის თვალსაზრისით. საფრანგეთი კი ცნობილია ეროვნული ეკონომიკის დეცენტრალიზაციის პროცესში მიღწეული წარმატებებით, ესპანეთი – სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის გარდაქმნებით, ჩინეთი – თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბებით და ა. შ.

რეგიონული ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია მხოლოდ საბაზრო თვითრეგულირების ფარგლებში ხორციელდებოდეს. როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რეგიონული პროცესების განვითარებაში სახელმწიფოსაგან მარეგულირებელი ფუნქციების ჩამოშორება ან მინიმიზაცია, ხშირ შემთხვევაში, რეგიონების წინააღმდეგობრივად და არათანაბრად განვითარებას განაპირობებს, რამაც ადვილი შესაძლებელია, რომ არაპროგნოზირებადი (ნეგატიური) პოლიტიკური პროცესების განვითარებას მისცეს მძლავრი სტიმულები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და მთლიანობაში საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში მიმდინარე პროცესების სახელმწიფოებრივ რეგულირებასთან (ანუ ჩარევის მასშტაბებისა და ფორმების განსაზღვრასთან) დაკავშირებით, როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე პრაქტიკოსებშიც (სახელმწიფო მოხელეები) ერთიანი პოზიცია ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ამ მხრივ გამოიყოფა ორი ძირითადი მიდგომა:

– **ეტატიზმი,** რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში აქტიურ ჩარევას ითვალისწინებს (ემხრობა);

– **ანტიეტატიზმი,** რომელიც ცნობილია ლიბერალური მიდგომითა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციას ითვალისწინებს (ემხრობა).

ამასთან, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გამოკვეთა და გააქტიურება შეიძლება დავუკავშიროთ, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოშობილ კრიზისს (რომელიც „დიდი დეპრესიის" სახელით შევიდა მსოფლიო ისტორიაში). სწორედ ამ პერიოდში, 1936 წელს გამოცემული იქნა გენიალური ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინსის ნაშრომი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია", რომლითაც მან გადატრიალება მოახდინა ეკონომიკური პროცესების ანალიზში. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება არის ის, რომ მან დაასაბუთა ის ფაქტი, რომ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები არ გამოირჩევა სრულყოფილი თვითრეგულირების უნარით და ეკონომიკურ პროცესებში აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების გააქტიურება, მხოლოდ გარკვეული „დოზით". ანუ მისი აზრით, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ა. სმიტისეულ „უხილავ (თვითრეგულირების) ხელს" აუცილებელია შეუწყვილდეს სახელმწიფოს „ხილული ხელი".

აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, (განსაკუთრებით) დასავლეთ ევროპაში, ქვეყნის, მათ შორის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმები, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, ტრანსფორმირებას განიცდის და სულ უფრო მეტად იხვენება. ამ მხრივ მეტად საინტერესოა რიგი განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაანალიზება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგიონულ გამოკვლევებზე გამოიყოფა სოლიდური თანხები. ასზე მეტი უნივერსიტეტი მუშაობს რეგიონულ პრობლემებზე. რეგიონულ პროგრამებს ხელმძღვანელობენ ათეულობით ფედერალური და რეგიონული კომიტეტები და სამინისტროები, მაგრამ მაინც საერთოეროვნული რეგიონული პოლიტიკა არა აქვთ შემუშავებული. იქ მუშავდება ცალკეული რეგიონული პროგრამების მსხვილი კომპლექსები, სპეციალური რეგიონული პროგნოზები და პროგრამები, განსაკუთრებით წყალმომარაგების საკითხებში. არსებობს და ხორციელდება რიგი კომპლექსური პროგრამა, გამიზნული ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულად ფართო ნაწილისათვის (სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის და სხვა). ამ პროგრამების შემუშავება ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიწყო.

ამერიკელი მეცნიერის გლიკმანის შეფასებით, რომელიც იკვლევდა აშშ-ს რეგიონულ სისტემებს (კონკრეტულად ფილადელფიის რეგიონს), სტატისტიკური მოდელების ერთ-ერთი პირველი სახე, რომელიც გამოყენებული იყო რეგიონულ გამოკვლევებში, იყო ეგრეთწოდებული ეკონომიკური ბაზის მოდელი. ასეთი მოდელი 30-იან წლებში შემუშავებული იყო ხოიტის მიერ და, როგორც გლიკმანი მიუთითებდა, 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გამოყენებული იქნა 100-ზე მეტ რეგიონულ გამოკვლევაში. ეკონომიკური ბაზის გამოკვლევები გამოყენებული იყო რამდენიმე მიმართულებაში. უპირველეს ყოვლისა, მონაცემები, შეგროვილი ეკონომიკური ბაზის შესასწავლად, თავისთავად მოიცავენ სასარგებლო ინფორმაციას. მაგალითად, გვიჩვენებენ დასაქმებისა და შემოსავლების წყაროებს, აგრეთვე რეგიონის

ეკონომიკაში არსებულ სუსტ ადგილებს. მეორე მხრივ, ეკონომიკური ბაზის მოდელები ძალიან ხშირად გამოიყენება როგორც საქმიანი აქტიურობის პროგნოზირების საშუალება. გლიკმანის აზრით, ეკონომიკური ბაზის მოდელები საკმაოდ მარტივია როგორც თეორიული დასაბუთების მხრივ, ასევე დამუშავების თვალსაზრისით. ასეთი მოდელის ასაგებად საჭიროა მხოლოდ ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებლები (ძირითადად დასაქმების მაჩვენებლები) დროის ორი პერიოდის მიხედვით. ეკონომიკური ბაზის ანალიზი წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების დაჩქარებულ მეთოდს – გამოიყენება ზრდის გამარტივებული თეორია, ხოლო ინფორმაციის საჭიროება მინიმალურია. მიღებული შედეგები დაიყვანება საბაზისო სექტორის და მომსახურე სექტორის განვითარების პროგნოზირებამდე.

ჟამთა სელასთან ერთად დასავლეთში რეგიონული პროცესებისადმი შეხედულებებიც იცვლებოდა. ენტონი კუკლინსკის აზრით, რეგიონული განვითარება, რეგიონული პრობლემები ძალიან დიდხანს „განიხილებოდა მატერიალური მიდგომის თვალსაზრისით. ახალი ფიზიკური ობიექტების მშენებლობა (როგორც, მაგალითად, ფაბრიკები, გზები) აღიქმებოდა მოცემული რეგიონის განვითარებაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წვლილად, შენაძენად. ახლა უკვე უფრო მნიშვნელოვნად არის მიჩნეული არამატერიალური მიდგომა. რეგიონული განვითარების კონცეფცია, ორიენტირებული ცოდნაზე და ინოვაციაზე, დომინირებს არა მარტო სამეცნიერო, არამედ სულ უფრო მზარდი რაოდენობის ქვეყნების პრაქტიკულ სფეროებში".

ევროპის სახელმწიფოებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია **საფრანგეთი**, სადაც შემუშავებულია რეგიონული გამოკვლევების მეტად მწყობრი და პრაქტიკული სისტემა თავისი განსაკუთრებული შეხედულებებითა და მიდგომებით. ამ სფეროში განსაკუთრებით საგრძნობი წინსვლა მოხდა საფრანგეთის 1966-1970 წლების ეროვნული გეგმის მსვლელობისას. აქ მოკლევადიან (5-წლიან) პროგნოზებს რეგიონული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით აგებდნენ გრძელვადიანი პროგნოზების ჩარჩოებში.

ასე რომ, დასავლეთში შეიქმნა ყველაზე უფრო შრომისუნარიანი რეგიონული დაგეგმვის სისტემა, რომელსაც ხელეწიფებოდა პროგნოზებში გათვალისწინებული ღონისძიებები მიეყვანა რეალურ ხორცშესხმამდე.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთის დიდ მიღწევას წარმოადგენდა ქვეყნის ახალი ადმინისტრაციული დაყოფის განხორციელება. საფრანგეთი ტრადიციულად დაყოფილი იყო დეპარტამენტებად, რომელთა ფარგლებში ხორციელდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება. სამოციან წლებში გაირკვა, რომ ქვეყნის წვრილ წარმონაქმნებად დაყოფა არ იძლეოდა რეგიონული ხასიათის ღონისძიებების განხორციელების საშუალებას (ე. ი. ეკონომიკა დაქუცმაცებული იყო). ამიტომ საფრანგეთი დაიყო 22 რაიონად (რეგიონად), რომელთა საზღვრები სავსებით პასუხობდა ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე რეგიონულ ამოცანებს. ყველა წინათ არსებული რაიონი შევიდა ახალი რეგიონების შემადგენლობაში. ამჟამად სახეზეა, მაგალითად, პარიზის რეგიონი, ცენტრალური რეგიონი და სხვა. შექმნილი იქნა რეგიონების საბჭო (არჩევითი ორგანო). რეგიონებში ცენტრალური ორგანო შეიმუშავებს გეგმების პროექტს და წარუდგენს რეგიონული განვითარების კომიტეტს, რომელიც დაკავშირებულია დაგეგმვის გენერალურ კომისარიატთან. საფრანგეთის გენერალურ კომისარიატში მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო 2000 წლამდე პროგნოზის დამუშავება, ხოლო დღეს უკვე ამ ქვეყანას აქვს 2025 წლამდე განვითარების პროგნოზი. პროგნოზები მოიცავენ ეროვნულ განვითარებაში რაიონების პრიორიტეტებს, რაიონის ეკონომიკის სტრუქტურას, ეკონომიკური განვითარების დონეების გათანაბრების შესაძლებლობებს და სხვა.

საფრანგეთი ითვლება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინდიკატური გეგმების რეალიზაციის კლასიკურ ქვეყნად. გეგმებში ასახულია არა მარტო ქვეყნის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები, არამედ ის კონკრეტული მიზნები და ამოცანები, რომელთა გადანყვეტაც განაპირობებს ამ მიმართულების რეალიზაციას. ამასთან ერთად, გეგმები შეიცავენ რეგიონული პროგრამების რეალიზაციის კონკრეტულ მიზნებს, საშუალებებსა და მეთოდებს. ამ პროგრამების მთავარი მიზნები ომის შემდგომ პერიოდში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1) „საფრანგეთის დეცენტრალიზაცია", რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის დედაქალაქში – პარიზში მოსახლეობის და მრეწველობის კონცენტრაციის ტენდენციის შეჩერება;

2) აგრარული დეპარტამენტების ინდუსტრიალიზაცია, სოფლებში კომუნალური მომსახურების გაუმჯობესება;

3) დეპრესიულ და ძველი საწარმოო საშუალებებით აღჭურვილ რეგიონებში (ჩრდილოეთი, ლოტარინგია) მრეწველობის რეკონსერვაცია;

4) მცირე და საშუალო სიდიდის ქალაქების განვითარების სტიმულირება და მათი რეგიონულ ცენტრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

5) საფრანგეთის დასავლეთისა და ცენტრალური ტერიტორიებში მრეწველობის პრიორიტეტული განვითარება და ამ ტერიტორიების „იზოლაციის" ლიკვიდაცია ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალებით;

6) პერიფერიული რაიონების განვითარების ღონისძიებები.

განსაკუთრებით კარგი გამოცდილება დაუგროვდა საფრანგეთს მოკლევადიანი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში (რასაკვირველია, გრძელვადიანი პროგნოზების გათვალისწინებით). მაგალითად, მარსელის რაიონში გადაწყდა, რომ შექმნილიყო ახალი საპორტო კომპლექსი. საერთო მიზანი იყო დასავლეთ ევროპაში ყველაზე დიდ პორტად ქალაქის გადაქცევა. ეს კი ბიძგს აძლევდა მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი საფრანგეთის განვითარებას, რომელიც აქამდე ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო რეგიონად იყო მიჩნეული. პორტმა საშუალება მისცა ქვეყნის ეკონომიკა განევითარებინათ შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე, ხოლო მარსელი გადაიქცა „საერთო ბაზრის" ქვეყნების სამხრეთის კარიბჭედ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულის განსახორციელებლად პროექტის დამუშავებისას გამოყენებული იყო მოდელირების მეთოდი და ეკონომიკური დარაიონების მეთოდი – რეგიონული ამოცანების გადაწყვეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდი. კომპლექსი ამჟამად უკვე მოიცავს სამხრეთ საფრანგეთისათვის ისეთ ახალ დარგებს, როგორიცაა ნავთობქიმია, მანქანათმშენებლობა, კვების პროდუქტების დაკონსერვება და სხვა; შეიქმნა 160 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, ხოლო მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის უკვე 300 ათასამდე ახალი სამუშაო ადგილი. ყველაფერ ამის განხორციელება შესაძლებელი გახდა გრძელვადიანი პროგნოზების მეშვეობით.

საფრანგეთის აღნიშნული წარმატებები აიხსნება ქვეყნის დაყოფის ტრადიციულ მეთოდებთან დამშვიდობებით, ამასთან ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერებით; თუმცა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება ბევრის მიერ კრიტიკულად იყო შეფასებული.

ამრიგად, საფრანგეთი არის ის ქვეყანა, რომელმაც პრაქტიკულად განახორციელა ხატოვანი გამონათქვამი ძლიერი ცენტრი – ძლიერი რეგიონები და ძლიერი რეგიონები – ძლიერი ცენტრი.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ხელი შეუშალა **დიდი ბრიტანეთის** რეგიონული განვითარების გარდაქმნის პროგრამის განხორციელებას, მაგრამ მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში კვლავ მიუბრუნდნენ აღნიშნულ პრობლემას, დაიწყეს სპეციალური რეგიონული გამოკვლევები. უკვე 1963 წელს ვაჭრობის, მრეწველობისა და რეგიონული განვითარების სამინისტროებმა შეიმუშავეს განვითარების გრძელვადიანი პროგრამები ცენტრალური შოტლანდიისათვის, სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონისათვის და უელსისათვის. პროგრამა და პროგნოზი ატარებდა რეკომენდაციულ ხასიათს. ისინი მოიცავდნენ რაიონების განვითარების პროგნოზებსა და ახალი დარგების შექმნის შესაძლებლობათა შეფასებას. მთავარი ყურადღება ეთმობოდა სამუშაო ძალის ანალიზს, მის კვალიფიკაციას, დასაქმების სტრუქტურას, ინფრასტრუქტურის განვითარებას. მაგრამ ეს გეგმა იყო ცალმხრივი და მნიშვნელოვანი წარმატებები არ მოუტანია. ამიტომ მე-20 საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელდა ახალი რეგიონული დაყოფა – გამოიყო 11 ეკონომიკური რაიონი დაგეგმვის ადგილობრივი საბჭოებით, შემუშავებული იქნა რეგიონული პროგრამები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთთან შედარებით ნაკლებ წარმატებებს მიაღწია. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო სისტემის ზედმეტად ცენტრალიზაცია და სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში არსებული პარალელიზმი. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ხელისუფლებაში კონსერვატორების მოსვლასთან ერთად ქვეყანაში შეიცვალა რეგიონული პოლიტიკა. მიღებული იქნა მართვის სახელმწიფოებრივი გარდაქმნის პროგრამა (მათ შორის რეგიონული მართვის). აღნიშნული პროგრამა ძალაშია და დღესაც ხორციელდება (მიუხედავად მთავრობის შეცვლისა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **გერმანია** ცნობილია როგორც „კოოპერაციული ფედერალიზმის" კლასიკური მაგალითის ქვეყანა. „კოოპერაციული ფედერალიზმის" პოლიტიკა კონცენტრირებულია „ვერტიკალურ" (ფედერაციასა და მიწებს შორის) და „ჰორიზონტალურ" (უშუალოდ მიწებს შორის) კოოპერაციითა და თვითკოორდინირებით. ამგვარი თანამშრომლობის განმაპირობებელი ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციით. გერმანიაში წარმოებული რეგიონული პოლიტიკის თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია კონსტიტუციის VIIIა თავში – „ფედერაციისა და მიწების საერთო ამოცანები". საერთო ამოცანების ფარგლებში კი, თავის მხრივ, გამოყოფილია სამი მიმართულება:

1) ახალი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების (მათ შორის კლინიკების) მშენებლობა და არსებულის გაფართოება;

2) რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაცია;

3) აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება და საზღვაო ზოლის დაცვა.

პირველი ორი მიმართულების რეალიზაციის პროცესში ფედერალური ხელისუფლება იღებს ვალდებულებებს თითოეულ „მიწაზე" ამ ამოცანების გადასაწყვეტად გაწეული ხარჯების ორმოცდაათი პროცენტის დაფარვასთან დაკავშირებით. ხოლო, რაც შეეხება მესამე მიმართულებას, ამ შემთხვევაში ფედერალური ხელისუფლება ანაზღაურებს გაწეული ხარჯების არანაკლებ ორმოცდაათი პროცენტისა. ხშირ შემთხვევაში კი უფრო მეტსაც.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქვეყნის ძირითად კანონში ჩადებულია ისეთი პრინციპი, რომელსაც გარკვეული „დილემით" შეუძლია წარმოქმნას ფედერალური და „მიწების" ხელისუფლების თანამშრომლობის პროცესი. კერძოდ, ერთის მხრივ, ფედერალურ ხელისუფლებას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული (პრიორიტეტული) უფლებები იმ კანონმდებლობის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც არეგულირებს „მიწებთან" თანამშრომლობის საკითხებს. ხოლო, მეორეს მხრივ, რაიმე ღონისძიებების გატარება ან რაიმე გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამა თუ იმ „მიწის" განვითარების საკითხებს, უცილობლად უნდა იქნეს შეთანხმებული ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორს, რომ გერმანიაში რეგიონული პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციაზე (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში) პასუხისმგებელია რამდენიმე ცენტრალური ინსტიტუტი, რომელთა შორის გამოსარჩევია ტრანსპორტის, მშენებლობისა და საბინაო მომსახურების სამინისტრო (1999 წლამდე მას ეწოდებოდა სივრცობრივი ორგანიზაციის, მშენებლობისა და საქალაქო განვითარების ფედერალური სამინისტრო). ეს სამინისტრო არეგულირებს ამა თუ იმ რეგიონში საინვესტიციო ნაკადების წარმართვას, სივრცობრივი დაგეგმარების გათვალისწინებით, სამეურნეო და არასამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. გარდა აღნიშნული სამინისტროსა, გერმანიაში ფუნქციონირებენ სხვადასხვა კომიტეტები, სააგენტოები, აგრეთვე, შექმნილია სამთავრობო კომისიები, რომლებიც რეგიონული განვითარების საკითხებზე მუშაობენ.

მეტად მრავალფეროვანი რეგიონული ლანდშაფტით ხასიათდება დიდი ბრიტანეთიც. ამ მიმართულების მკვლევარი მეცნიერები ა. საპოჟნიკოვი, ს. არტობოლევსკი და სხვები გამოყოფენ დიდ ბრიტანეთში წარმოებული რეგიონული პოლიტიკის შემდეგ ძირითად მხარეებს:

1) „ტერიტორიული მოცვა", რომელიც გულისხმობს მთელი ქვეყნის მასშტაბით სივრცობრივ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დიფერენცირებული ტერიტორიების გამოყოფას და შესაბამისი მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის გამოყენებას დიფერენციაციის შერბილებისათვის;

2) რეგიონების სელექციურობის პრინციპის თანმიმდევრული რეალიზაცია. სამი სახის ტერიტორიების გამოყოფით: ა) განვითარების რეგიონები (ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია, თითქმის მთელი უელსი, ინგლისის ჩრდილოეთ რაიონები, ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ დასავლეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი); ბ) განვითარების სპეციალური რეგიონები, რომელთაც ახასიათებთ ეკონომიკური კრიზისები და უმუშევრობის მაღალი დონე; გ) „შუალედური" რეგიონები, სადაც დიდი ალბათობაა იმისა, რომ განვითარდეს ეკონომიკური კრიზისები;

3) ინვესტიციების თავისუფალი დაბანდების მოცულობათა შეზღუდვა იმ რეგიონებში, რომელთაც ახასიათებთ საწარმოო სიმძლავრეების ზეკონცენტრაცია (მიდლენდი, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი ინგლისი); ამის კვალობაზე დამკვიდრებულია პერიფერიული რეგიონების განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ასიგნების გამოყოფის პრაქტიკა.

მეტად საინტერესო გამოცდილებაა დაგროვილი **ესპანეთში**. ამ ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, ესპანეთის მრავალეროვნების გათვალისწინებით, იგი დაყოფილია 17 ავტონომიურ თანამეგობრობად, რომელთაც ფართო სპექტრის უფლებამოსილებანი გააჩნიათ (განსაკუთრებით შიდა საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით).

დეცენტრალიზაციის პროცესის გაძლიერებით ესპანეთში, მოხდა ცენტრალური ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯების შემცირება, ავტონომიური წარმონაქმნების ხარჯების თითქმის ორჯერ გადიდების კვალობაზე. ამავე დროს ადგილობრივი მმართველობითი ორგანოებისა და ავტონომიური ქალაქების ხარჯები პრაქტიკულად უცვლელია.

წამყვანი უწყება, რომელიც ახორციელებს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას, არის ესპანეთის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო, მასში ჩამოყალიბებული შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით. ამ ქვედანაყოფში შექმნილია შესაბამისი სამუშაო ჯგუფები სხვადასხვა კონკრეტული მიმართულებით დასახული ამოცანების გადაწყვეტას-

თან დაკავშირებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები, ასევე ავტონომიური თანამეგობრობის წარმომადგენლები.

გარდა აღნიშნულისა, ესპანეთში ცენტრალური ხელისუფლების დონეზე შექმნილია სხვადასხვა საბჭოები და კომისიები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

**იტალიაში**, რომელიც ხასიათდება რეგიონებში საწარმოო ძალების არათანაბარი მოცულობითი განთავსებით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხრეთის რაიონების, სიცილიისა და სარდინიის ჩათვლით, განვითარების ხელშეწყობას. აქ აქტიურად გამოიყენება რეგიონული განვითარების სტიმულირების ოთხი მნიშვნელოვანი ელემენტი:

1. შეღავათიანი სესხების გაცემა;
2. კაპიტალდაბანდებების სუბსიდირება;
3. საგადასახადო შეღავათების გამოყენება;
4. სოციალური დაზღვევის სისტემაში სხვადასხვა შეღავათების გავრცელება

ამასთან, ამ ელემენტების გამოყენება ხდება სხვადასხვა რეგიონებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების მიხედვით, კერძოდ, მხოლოდ იტალიის სამხრეთ რეგიონებში ვრცელდება ზემოთ ჩამოთვლილი ოთხივე მიმართულებებით არსებული შეღავათებიც სისტემა. ხოლო ჩრდილოეთსა და ცენტრში მდებარე რეგიონებზე ვრცელდება განვითარების მასტიმულირებელი მხოლოდ ორი ელემენტი: საკრედიტო და საგადასახადო შეღავათები.

მთლიანობაში ევროპის ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციის ძირითად მიმართულებად რეგიონებს შორის არსებული დისპროპორციების, განვითარების დონეების გამოთანაბრების ღონისძიებების გატარებაა აღიარებული. ამასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების საკითხის გადაწყვეტას. ამ პროცესში კი, ფართოდ გამოიყენება საბაზრო მეურნეობრიობის განვითარებისათვის აუცილებელი მექანიზმების მთელი სპექტრი. ხოლო, რაც შეეხება გამოთანაბრების პოლიტიკას, აქ საბაზრო მექანიზმებთან ერთად, აქტიურად გამოიყენება საბიუჯეტო საშუალებები.*

იაპონიაში, ზოგიერთ რეგიონში, მრეწველობის კონცენტრაციის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობიდან გამომდინარე, ეროვნულ გეგმებში, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, საკმაოდ აქტიურად დაიწყო რეგიონული პროგრამების ჩართვა. ხოლო დღეისათვის კი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, მთლიანობაში ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა.

იმავე იაპონიაში 60-იან წლებში პარლამენტში გამართული დებატების შედეგად, პრაქტიკაში დამკვიდრდა „ტერიტორიული რეგულირების ეროვნული პროგნოზის“ გამოყენება 20-წლიანი ვადით 1985 წლამდე. ამ დოკუმენტის მიზანი იყო:

1. სივრცის, როგორც გამოთანაბრების ძირითადი ფაქტორის, ეფექტიანი გამოყენება;
2. გარემოს დაცვა;
3. ქალაქების მოდერნიზაცია;
4. ცალკეული რაიონების განვითარების დონის გამოთანაბრება;
5. ახალი რაიონების განვითარება.

საპროგნოზო გაანგარიშებებში დასახული ამოცანების გადაწყვეტისა და რაოდენობრივი მახასიათებლების მიღწევაზე სახელმწიფო (ცენტრალური ხელისუფლება) იღებდა დიდ პასუხისმგებლობას და აქტიურად ერეოდა ამ პროცესებში. საპროგნოზო მონაცემები 1968 წელს ჩართული იქნა „იაპონიის განვითარების ახალ გეგმაში“, საიდანაც ფაქტიურად იწყება „იაპონური სასწაულის“ განხორციელება. აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდიდან სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკაში ჩაენაცვლა დეცენტრალიზაციის კურსი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იაპონიის სახელმწიფო პოლიტიკის მოქნილობასა და დროის მოთხოვნათა შესაბამისად (ადექვატურად) ფორმირების უნარს.

ამასთან ერთად, აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თავიანთი ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური დარაიონების რეგიონული გამოკვლევებისადმი ინტერესი დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა აშშ, კანადა, ავსტრალია, ინდოეთი, ჩინეთი.

ევროპაში „რეგიონული იდეები“ განსაკუთრებით კვლავ გააქტიურდა XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ 1996 წლის 4 დეკემბერს სხვადასხვა სიდიდის მქონე ტერიტორიების 300-ზე მეტმა ევროპულმა რეგიონმა, რომლებიც ასევე განსხვავებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობით ხასიათდებოდნენ და წარმოადგენდნენ 400 მილიონზე მეტი თა-

ვიანთი მოქალაქეების ინტერესს, მიიღეს დეკლარაცია ევროპაში რეგიონალიზმის შესახებ. დეკლარაციის მიღების ძირითადი მოტივი იყო თავიანთი ქვეყნების ინსტიტუციურ ჩარჩოებში შემდგომი რეგიონალიზაციისაკენ მისწრაფება. ასეთი გადაწყვეტილება კი ეყრდნობოდა ინტეგრაციისა და რეგიონალიზაციის პროცესის უდიდესი მნიშვნელობის სერიოზულად გათვალისწინებას.

დეკლარაციის მიღების ინიციატორი იყო ევროპის რეგიონების ასამბლეა, რომელიც თავისი მოქმედების პროგრამაში რეგიონალიზმის აღიარებისაკენ მიისწრაფის არა მარტო ევროპის კაუშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

რეგულარული გახდა რეგიონულ მეცნიერებათა ასოციაციის ევროპული კონგრესების ჩატარება. პირველი ასეთი კონგრესი 1960 წელს ჩატარდა. 1996 წლის 26-30 აგვისტოს შვეიცარიაში ჩატარებულ კონგრესზე ხაზი გაესვა იმას, რომ ევროპაში ომის შემდგომ პირველ წლებში მთელ იმედებს ამყარებდნენ სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე, მაგრამ მასთან ერთად წარმოიშვა წინააღმდეგობანი, რომელიც გამოწვეული იყო ეკონომიკური განვითარების სივრცობრივი არათანაბრობით. ამ დროს ეკონომიკური განვითარება მთლიანობაში მჭიდროდ უკავშირდებოდა ინდუსტრიალიზაციას, აქედან კონკრეტულად პირველ ყოვლისა მძიმე მრეწველობის განვითარებას. იდეალად მიჩნეული იქნა ზრდის პოლუსების შეხამება, რომლებსაც შეეძლოთ ჩამორჩენილი რაიონების განვითარებასაც დახმარებოდნენ.

დღეს ევროპა სრულიად სხვა პირობებში ცხოვრობს და ამასთან სრულიად სხვაგვარი რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დგას. მყარი ზრდის შედეგების სივრცობრივი გადანაწილება უკვე აღარ წარმოადგენს რეგიონული პოლიტიკის საფუძველს. ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და საერთაშორისო კონკურენციის სულ უფრო მზარდი გლობალური პროცესები.

თანამედროვეობის ყველაზე უფრო სპეციფიური რეგიონული პრობლემაა გრძელვადიან პერსპექტივაში განსხვავებული სახელმწიფო და რეგიონული სისტემების მქონე ქვეყნების რეგიონულ განვითარებაში დასაშვები განსხვავება. ეს გამოწვეულია იმის აუცილებლობით, რომ მიღწეულ უნდა იქნეს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისა და ხანგრძლივვადიანი მყარი ეკონომიკური ზრდის დონე.

ევროპაში რეგიონული გამოკვლევებისადმი მეცნიერული მიდგომების მრავალმხრიობაზე და სიღრმეზე თვალნათლივ მიგვანიშნებს ევროპის XXXVI კონგრესზე რეგიონული მეცნიერების ასოციაციის სექციების თუნდაც მხოლოდ დასახელებები. ზოგიერთი მათგანის დასახელება შემდეგნაირია: „ფედერალიზმი, სუბსიდირება და რეგიონები“, „რეგიონული ანალიზის მეთოდოლოგია“, „შრომის რეგიონული ბაზრები“, „რეგიონული პოლიტიკა და რეგიონული განვითარების დაგეგმვა ახალ ევროპულ სინამდვილეში“, „ინოვაციური პოლიტიკა რეგიონებში“, „სტრუქტურული ცვლილებები და რაიონების ეკონომიკური დაახლოება“, „გარემოს დაცვის პოლიტიკის რეგიონული ასპექტი“.

ამრიგად, საზღვარგარეთის ქვეყნებში XX საუკუნის ბოლოს რეგიონული ეკონომიკური გამოკვლევები გახდა პრიორიტეტული და ყველგან და ყოველთვის (განსაკუთრებით დღეს) ასეთ გამოკვლევებს უკვე ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ. გვინდა დავძინოთ, რომ რეგიონების ეკონომიკურ პოლიტიკას საქართველოშიც აქცევდნენ და ახლაც აქცევენ სათანადო ყურადღებას.

# საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის კონცეფცია

## 3.1. საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის ადგილის კონცეფცია და მსოფლიო სისტემების თეორია

საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ წარმოდგენას იძლევა ადგილის კონცეფცია და მსოფლიო სისტემების თეორია. პირველი კონცეფცია შემუშავებულია ეგნიუს მიერ, ხოლო მსოფლიო სისტემების თეორია განავითარა ტეილორმა. საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის კონცეფცია აერთიანებს გამოკვლევების ცალკეულ მიმართულებებს, მათ ტერიტორიულ დონეებს და ხელს უწყობს სხვა დარგებთან ინტეგრაციას.

ტერმინი „ტერიტორიული ორგანიზაცია" გულისხმობს როგორც პროცესსა და მოღვაწეობას, ასევე მათ შედეგსაც.

აღნიშნულის შესაბამისად, საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაცია წარმოადგენს:

– თითოეული ტერიტორიისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური მოღვაწეობის პირობებისა და ფაქტორების ზემოქმედებას, მათი ურთიერთკავშირის, ურთიერთდამოკიდებულებასა და თანადაქვემდებარებას;

– ტერიტორიულ-პოლიტიკურ სისტემათა ორი სახეობის შეხამებას, რაც ობიექტურად ყალიბდება პოლიტიკური და სხვა სახის მოღვაწეობის პროცესში (დე-ფაქტო – ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემა) და ამ მოღვაწეობის შედეგი სისტემის პოლიტიკურ-ტერიტორიულ დაყოფითა და მართვით თავისი ცენტრების შექმნაში გამოიხატება (დე-იურე – ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემა).

ამგვარად, საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის არსისა და შინაარსის გაგებაში თავს იყრის როგორც პოლიტიკური მოღვაწეობის სივრცობრივი ასპექტები, ასევე მისი შედეგებიც – ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემა, ანუ საზოგადოების პოლიტიკური სფეროს ობიექტურად ურთიერთდაკავშირებული ელემენტების შერწყმა, რომლებიც ფუნქციონირებენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

პრაქტიკაში განასხვავებენ ტერიტორიულ-პოლიტიკურ სისტემათა ორ ძირითად ტიპს:

– დე-იურე ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს დადგენილ საზღვრებში. ასე, მაგალითად, სახელმწიფო (თავისი შიდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებით), სპეციალური ზონები (რომლებიც იქმნებიან რაიმე პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით), საარჩევნო ოლქები და ა. შ.

– დე-ფაქტო ობიექტურად არსებული ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემები, რომელთა საზღვრები არ ემთხვევა დადგენილს.

მთავარი განსხვავება დე-იურე და დე-ფაქტო ტერიტორიულ-პოლიტიკურ სისტემებს შორის მდგომარეობს მათ მართვაში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ტერიტორიულ-პოლიტიკურ სისტემათა ძირითადი კატეგორიები, თვალსაჩინოების თვალსაზრისით მოყვანილი იქნას ტერიტორიულ-პოლიტიკურ სისტემათა სახეებისა და ფუნქციების სახით, იხილეთ სქემა 3.1.1.

უმდაბლესი რანგის ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემაა პირველადი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილი, რომელიც შეიძლება განხილული იქნეს როგორც პოლიტიკურ-გეოგრაფიულ განსხვავებათა მინიმალური სივრცობრივი მატარებელი და რომელიც აღმოცენდება გეოგრაფიული პირობებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის ფაქტორების სპეციფიკური შერწყმის, შეთანაწყობის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ შემუშავებულია პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილის შინაარსის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები:

– უმდაბლესი ტერიტორიული უჯრედია ის, რომელშიც გამოვლინებას იწყებს პოლიტიკური კულტურის ადგილობრივი თავისებურებები (როგორც ისტორიული წარსულის გამოცდილების გადაღება);

– პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილის ჩამოყალიბება ხალხის მყარი ტერიტორიული ერთობის საფუძველზე.

სქემა 3.1.1

| ტერიტორიულ-პოლიტიკურ სისტემათა სახეები | | დე-ფაქტო პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილების ფუნქციები |
|---|---|---|
| დე-იურე ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემები | დე-ფაქტო ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემები | |
| 1. პირველი თვითმმართველობითი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული - კომუნა, სოფლის გამგეობა და სხვა | პირველადი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილი | სამუშაო ძალის კვლავწარმოება და ადამიანის პირველადი სოციალიზაცია;პოლიტიკური კულტურის კვლავწარმოება;ტერიტორიის ადაპტირება საერთაშორისო-ეკონომიკური გლობალური ზემოქმედების მიმართ |
| 2 მსხვილი ქალაქი; საქალაქო აგლომერაცია, მეორე ხარისხის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (დეპარტამენტი,პროვინცია და სხვა). | პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ადგილთა ლოკალური სისტემა | პირველადი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილების ინტეგრაცია. მართვის იმპულსების გადაცემა საერთაშორისო-ფუნქციური დონიდან პირველად პოლიტიკურ-გეოგრაფიულ დონეზე; პოლიტიკურ ინოვაციათა დიფუზია; პოლიტიკური ელიტის კვლავწარმოება |
| 3. პირველი ხარისხის მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ფედერაციის სუბიექტი | პოლიტიკურ-გეოგრაფიული რაიონი | პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილების ლოკალური სისტემების ინტეგრაცია (ქალაქისა და სოფლის ადგილების); რეგიონული პოლიტიკური ნიშნების კვლავწარმოება |
| 1 | 2 | 3 |
| 4. ფედერაციის მსხვილი სუბიექტი. აღნიშნული რგოლი დე-იურეს დროს სისტემაში შეიძლება არ მონაწილეობდეს | პოლიტიკური რეგიონი(მაგალითად, აშშ-ის სამხრეთი, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე) | სახელმწიფო სისტემაზე ხანგრძლივი ერთშიმართულებრივი ზემოქმედება და მთელი ქვეყნის განვითარება |
| 5. ქვეყანა | ქვეყანა | ერის თვითგამორკვევის რეალიზაცია, კაპიტალი კვლავწარმოება.გლობალური ზემოქმედებისადმი ადაპტაცია და სხვა |
| 6. ქვეყნის თანაშეგობრობა, რომელიც ქმნის ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს; ან ტერიტორიულ-პოლიტიკურ სისტემაში დეიურე მოცემული რგოლის არყოფნა | გეოპოლიტიკური რაიონი, გეოსტრატეგიული,კულტურული რეგიონი (მაგ.არაბული ქვეყნები). | ქვეყნების ეკონომიკა და მსოფლიო საზოგადოების შორის ურთიერთობის რეგულირება; აგრეთვე ურთიერთობის რეგულირება კავშირში შემავალ ქვეყნებს შორის; პოლიტიკური კულტურის მაკრორეგიონული ნიშან-თვისებათა კვლავწარმოება; მსოფლიოში პოლიტიკური განვითარების სამყაროს რეგულირება და საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირება |

პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილი ხანგრძლივი ისტორიული პროცესის, ხანგრძლივი ისტორიული გზის პროდუქტია, რომლის დროსაც და რომლის მსვლელობაშიც ყალიბდება მის მიერ მთავარი სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციის რეალიზაციის სპეციფიკა – ადამიანის პირველადი სოციალიზაციის ფუნქცია, ფორმირდება ადამიანის პოლიტიკური კულტურის ყველაზე უფრო მყარი კომპონენტები – პოლიტიკური ფასეულობები და პოლიტიკური ორიენტაცია. პოლიტიკურ ფასეულობებში იგულისხმება სოციალიზაციის პროცესში გამომუშავებული ადამიანების საერთო სოციალურ-პოლიტიკური მოლოდინი – მათი დამოკიდებულება ისეთი კატეგორიების მიმართ, როგორიცაა დემოკრატია, სოციალური სამართლიანობა, სტაბილურობა, ტრადიციები და სხვა. პოლიტიკური ორიენტაციები ასახავენ პოლიტიკისადმი ადამიანის დამოკიდებულებას და მასში (ე. ი. პოლიტიკაში) მომქმედი კონკრეტული პოლიტიკური ძალებისა და ინსტიტუტებისადმი მის (ე. ი. ადამიანის) დამოკიდებულებას, ანუ დამოკიდებულებას სახელმწიფოსადმი, პარტიებისადმი და სხვა. ეს პროცესი მიმდინარეობს ადგილობრივ პირობებში ადამიანის ყოველდღიური პრაქტიკის მსვლელობისას (თუმცა ზოგიერთი იმ ფაქტორის გავლენით, რომლებიც დომინირებენ უფრო მაღალი სივრცეების დონეზე, თვით გლობალურ დონემდეც კი);

– უმაღლესი რანგის სისტემებთან შედარებით პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილის დონეზე პოლიტიკური მოღვაწეობა მეტწილად მოტივირებულია პოლიტიკური ინტერესებით, რომლებიც დაკავშირებულია მოხმარებასთან, ,კერძოდ, ადგილობრივ ბაზართან, სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფასთან, კეთილმოწყობასთან, გარემომცველი გარემოს მდგომარეობასთან და სხვა;

– პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილის დონეზე მისი არსებითი თვისების სახით საკმაოდ გამოკვეთილად ვლინდება ლოკალური იდენტურობა – კუთვნილების გრძნობა, მოცემული ადგილისადმი სიყვარული, აზრობრივი შეზღუდულობა-გამიჯვნა, ადამიანების შეგნებაში სხვა ადგილებისაგან გამოცალკევება-განკერძოება;

– პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას, ისევე როგორც სხვა ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემებისათვის, წარმოადგენს სპეციფიური ადგილმდებარეობა, მათ შორის მდებარეობა სხვა იმავე ან უფრო მაღალი რანგის ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემის მიმართ. პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილის ფუნქცია სოციალურ-ეკონომიკური თვალთახედვით გამოიხატება სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში და საერთოდ, მთლიანად „ადამიანური კაპიტალის“ კვლავწარმოებაში;

– პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილი არის ის პატარა „აგური“, რომლისგანაც შემდეგ შენდება უფრო მაღალი დონის სისტემები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილისათვის დამახასიათებელი თვისებებიდან გამომდინარეობს დე-ფაქტო ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემის იერარქიაში მისი მთავარი სპეციფიკური ფუნქციები: ლოკალური პოლიტიკური კულტურების კვლავწარმოება და სოციუმის გლობალური და საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის ყველა დინამიური ცვლილებებისადმი ადაპტაცია, უპირველეს ყოვლისა კი, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისადმი ადაპტირება. პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილის ინერციულობა ის მძლავრი საფუძველია, რომელიც არბილებს და ამსუბუქებს საბაზრო ურთიერთობათა უარყოფით მხარეებს. ამიტომაც არის, რომ პოლიტიკური კულტურისა და მთელი პოლიტიკური ცხოვრების ღრმად ეშელონირებული, მრავალსაფეხურიანი ტერიტორიული დიფერენციაცია წარმოადგენს თანამედროვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელ პირობას.

ტერიტორიულ-პოლიტიკურ სისტემათა იერარქიაში, როგორც ზემოთ მოტანილი სქემიდან ჩანს, შემდეგ საფეხურს წარმოადგენს მსხვილი ქალაქები, რომლებიც, თავის მხრივ, შესაძლებელია შედგებოდნენ პირველადი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილების მთელი სისტემისაგან. ასეთი ლოკალური ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემის მთავარი ფუნქციაა პოლიტიკურ სიახლეთა, ინოვაციების გენერაცია და დიფუზია, ანუ პოლიტიკური ქცევის მართვის, პოლიტიკური იდეების ახალი მოდელების გენერაცია და დიფუზია. პოლიტიკური ელიტის ფორმირება და პოლიტიკური იდეების ფორმულირება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მაღალდიფერენციალური სოციალური სტრუქტურის, შეხედულებებისა და ინტერესების დაჯახების, კულტურის მრავალსახეობათა, ინფორმაციის სიუხვის პირობებში, ანუ შესაძლებელია მხოლოდ დიდ ქალაქში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი სოციალური განსხვავება შესაძლებელია მიღწეული იქნეს მხოლოდ სპეციალიზაციის, თვით ქალაქის სისტემის შიგნით შრომის დანაწილების პირობებში. ამიტომაც დიდი ქალაქი თავის თავში აუცილებლად მოიცავს პირველადი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილების სიმრავლეს.

შემოთავაზებული განრიგის მიხედვით შემდეგია პოლიტიკურ-გეოგრაფიული რაიონი, რომელიც თავის შემადგენლობაში მოიცავს პირველად პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ადგილებსა და პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილების ლოკალურ სისტემებს. პოლიტიკურ-გეოგრაფიულ რაიონს საფუძვლად უდევს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

– განსხვავებული ფუნქციონალური არეალებისა და სოციალური სტრუქტურების ურთიერთშეჯავსებლობა. აქ იგულისხმება ქალაქები, საგარეუბნო და სასოფლო ადგილები, მთიანი, დაბლობი და სხვა ადგილები;

– ისტორიული წარსულისა (რაც მტკიცედ არის ჩაბეჭდილი ადამიანის შეგნებაში) და პოლიტიკური კულტურის ერთობა (რაც საერთო ისტორიულ გამოცდილებას ასახავს). რეგიონული იდენტურობა ერთგვის ეთნიკურს, თუ პოლიტიკურ-გეოგრაფიული რაიონი უმცირესობის სხვადასხვა ადგილას ცალ-ცალკე განცალკევებულად განსაკუთრებულ არეალს მოიცავს. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკურ-გეოგრაფიული რაიონის ეროვნული გამოსახულება (ეროვნულობის გამოსახვა) დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის პოლიტიზირებული ეროვნული თვითშეგნება, როგორ ასახვას პოულობს იგი (ე. ი. ეროვნული თვითშეგნება) მთლიანად პოლიტიკურ კულტურაში;

– მოქალაქეების რეაქციის მსგავსება შინაგან (საერთოსახელმწიფოებრივ) და საერთაშორისო

მოვლენებზე და იმპულსებზე (მიუხედავად პოლიტიკური ძალების შინაგან თანაფარდობაში არსებული განსხვავებისა). არჩევნებზე ეს აისახება პარტიების გაელენათა ძერების დონეების ერთმიმართულებითობაში და მსგავსებაში.

თუმცა პოლიტიკურ-გეოგრაფიული დარაიონების პრობლემა დიდ ყურადღებას იქცევს, მაინც ამ პრობლემის თეორიის მრავალი საკითხი კვლავაც გაურკვეველია. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ პოლიტიკურ-გეოგრაფიული დარაიონება უნდა მოხდეს მოცემული რაიონისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა პრიორიტეტული ნიშნების მიხედვით. ამასთან აშკარაა, რომ პოლიტიკურ-გეოგრაფიული ადგილების იერარქია არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად მკაცრად გამოიჯნული და პოლიტიკურ-გეოგრაფიული რაიონების არსი დამოკიდებულია მათი არსებობის ხანგრძლივობაზე, ფორმირების პერიოდზე და ფაქტორებზე. ისიც აღსანიშნავი და ნათელია, რომ პოლიტიკურ-გეოგრაფიული რაიონების საზღვრების გამმიჯნავი როლი განსხვავებულია მის სხვადასხვა ნაწილებში, სხვადასხვა ადგილებში.

რაც შეეხება პოლიტიკურ რეგიონს – ეს უდაოდ ქვეყნის მსხვილი ნანილია, რომელსაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე პოლიტიკურ ცხოვრებაში ახასიათებს საერთო ისტორიული წარსული. პოლიტიკური რეგიონები სტრუქტურულად მოიცავენ რამდენიმე რაიონს და პრაქტიკულად უპირატესად არსებობენ დიდ ქვეყნებში. ასეთ მაგალითებად ამ შემთხვევაში გამოდგება რუსეთის ფედერაციის მხარეები, ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთი ნანილი, იტალიის სამხრეთი, სამხრეთ კავკასია, შუა აზია და სხვა.

ქვეყანა არის არა მხოლოდ ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემის იერარქიაში ორიენ ტიპის – დე-ფაქტო და დე-იურეს დამაკავშირებელი რგოლი, არამედ დანარჩენი ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დამაკავშირებელი ერთიანი სისტემა. თანამედროვე ეტაპზე, მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის მძლავრი პროცესისა, სახელმწიფო მაინც რჩება პოლიტიკური მოღვაწეობის მძლავრ სუბიექტად, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული სუბიექტისა და ინტერნაციონალური ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემების ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთმოქმედებას. განვითარების თანამედროვე პირობებში ეჭვს გარეშეა, რომ სახელმწიფო ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნის ეკონომიკაში (ახდენს რა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილის გადანაწილებას), რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის პოლიტიკურ ფუნქციებს. ხაზგასმით აღსანიშნავია კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო გარემოება – ბევრი თანამედროვე ქვეყანა ერთეროვანია და ამ ქვეყნებში რეალიზებულია ერების თვითგამორკვევის უფლება; სხვა ქვეყნებში კი მათი არსებობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ღრმად შევიდა ეროვნული ინტეგრაციის პროცესები, აღმოცენდნენ და წარმოჩინდნენ ახალი ეთნიკური ერთობები.

მსოფლიოს დაყოფა ობიექტურად არსებულ გეოპოლიტიკურ რეგიონებად დიდი ხანია პოლიტიკურ-გეოგრაფებისა და გეოპოლიტიკოსების ყურადღებას იქცევდა. ისინი ყურადღების მიქცევის მიზნით იყენებდნენ სხვადასხვა განსხვავებულ კრიტერიუმებს. კერძოდ:

– მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი დროის პოლიტიკური პრობლემის არსებობა. მაგალითად, არაბული ქვეყნების წინააღმდეგობრივი განწყობა ისრაელის მიმართ;

– ხანგრძლივი საერთო ინტერესების არსებობა;

– მეზობლებთან დაკავშირებული საერთო ინტერესების არსებობა: ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია, საჰაერო სივრცის ზედმეტად დაბინძურების არდაშვება, შიდა ზღვების დაბინძურების თავიდან აცილება, ტვირთნაკადებისა და მგზავრნაკადების ტრანზიტი, რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე ერთიდაიგივე ეთნოსის ცხოვრება, ერთობლივი თავდაცვის უზრუნველყოფა და კოლექტიური სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნა და სხვა;

– რასობრივი, ეთნიკური, კულტურული, რეგიონული და ენობრივი სიახლოვე;

– საზღვრების რეგიონული სისტემის ხელოვნურობა ან ბუნებრიობა, ანუ საზღვრების შესაბამისობის ხარისხი და დონე რეალურ ფიზიკურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სივრცესთან;

– კავშირებისა და ურთიერთობათა ინტენსიობა, რომლის საზომსაც წარმოადგენს ზოგიერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოება, კერძოდ: 1. საგარეო ვაჭრობის მოცულობა და ხასიათი, მათ შორის ექსპორტის, იმპორტისა და საქონლის ძირითად სახეობათა თანაფარდობა; 2. ფინანსური კონტაქტების განსაკუთრებულობა და მახასიათებლები (ინვესტიციების, გაცემული კრედიტებისა და მასზე გადახდილი პროცენტების მოცულობა და სხვა); 3. მიგრაციული ნაკადების მოცულობა და ხასიათი; 4. პოლიტიკური ურთიერთმოქმედება (წარმომადგენლობათა დონე და რაოდენობა; ტერიტორიული დავებისა და პრეტენზიების არსებობა, რომლებიც ართულებენ ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებს; დადებულ ხელშეკრულებათა რაოდენობა და ხასიათი); 5. სამხედრო კავშირების

განვითარება (მათ შორის უცხოური სამხედრო ბაზების არსებობა, ერთი ქვეყნის ტერიტორიისა და ობიექტის მესამე ქვეყნის საწინააღმდეგოდ გამოყენების პრეცედენტი და ა. შ.).

დამატებით ინდიკატორებად აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იქნეს სამრეწველო კომპანიებისა და ბანკების წარმომადგენლობათა რაოდენობა და განლაგება, ავიარეისების რაოდენობა, ორი ქვეყნის წამყვან გაზეთებში ერთმანეთის მიმართ გამოცემული პუბლიკაციების სიხშირე. კავშირების საზომად აგრეთვე გამოდგება სატრანსპორტო ტრანზიტების ნაკადთა მოცულობა, უცხოური ტურიზმის მოცულობა და სხვა.

საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ გეოპოლიტიკური რაიონები, რომლებიც ფორმირებული არიან ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიცაა მეზობლობა და ერთიანობა (დაკავშირებული პრობლემის ტერიტორიულ მომიჯნავეობასთან), აგრეთვე გეოპოლიტიკური რაიონები, რომლებიც დაფუძნებული არიან კულტურათა მსგავსებისა და ურთიერთქმედების საფუძველზე. ასეთი გეოპოლიტიკური რაიონები, ბუნებრივია, თავიანთ ფარგლებში მოიცავენ გარკვეული ქვეყნების ჩამონათვალს. მაგალითად გამოდგება ფრანგულენოვანი ან ესპანურენოვანი ქვეყნები.

ცალკე გამოყოფას იმსახურებს გეოსტრატეგიული რაიონები, ანუ ის სფეროები, რომლებიც მოიცავენ რამდენიმე გეოპოლიტიკურ რაიონს და არასავალდებულო წესით ფლობენ მომიჯნავეობის თვისებას.

გეოპოლიტიკური რაიონების დამახასიათებელ ნიშნებთან დაკავშირებით დამატებით აღვნიშნავთ ისეთ მთავარ ნიშან-თვისების შესახებ, როგორიცაა გლობალური სამხედრო-სტრატეგიული სისტემების მიმართ მიკუთვნების ხარისხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც უფრო მეტად ემთხვევა ერთმანეთს დე-ფაქტო და დე-იურე ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემები, მით უფრო მეტ მმართველობით უნარს ფლობს ტერიტორიულ ჭრილში პოლიტიკური სისტემა. ამასთან, პრაქტიკულად ეს სისტემები არამთლიანად არიან ერთმანეთთან შეთავსებულნი, უპირატესად იერარქიის დაბალ სისტემებში. ამავე დროს სისტემები დე-იურე არა მარტო ასახავენ რეალურად არსებულ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სივრცეს და მის სტრუქტურებს, არამედ ახდენენ მათზე ძლიერ უკუზემოქმედებასაც. უფრო მეტიც, ისინი (ე. ი. სისტემები დე-იურე) წარმოადგენენ მათი (ე. ი. პოლიტიკურ-გეოგრაფიული სივრცისა და მისი სტრუქტურების) ფორმირებისა და ცვლილების მძლავრ ფაქტორს.

სწორედ აღნიშნულში მდგომარეობს საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური კანონზომიერება.

მიუხედავად ტერიტორიული დონეების მიხედვით დაყოფის გარკვეულად პირობითი ხასიათისა, თანამედროვე მსოფლიოში, თითოეულ ტერიტორიულ დონეზე – გლობალურ და მაკრორეგიონულ (სახელმწიფოს ზევით), სახელმწიფო და სუბსახელმწიფოებრივ დონეებზე – ობიექტურად არსებულ და იურიდიულად განმტკიცებულ ტერიტორიულ-პოლიტიკურ სისტემებს შორის ჩამოყალიბდა სპეციფიკური თანაფარდობა და ურთიერთქმედების ფორმები.

### 3.2. ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციის მეთოდოლოგიური მიდგომები

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიან რეალიზაციას. თავის მხრივ კი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება და ქვაკუთხედია ეკონომიკის ტერიტორიული ორგანიზაციისა და განლაგების სივრცობრივი პრობლემები. ხოლო ამ უკანასკნელის მიმართულებით ეფექტიანი ღონისძიებების გატარება უნდა დაეფუძნოს, ამ მხრივ არსებულ როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ-მეთოდოლოგიურ გამოცდილებათა გაზიარების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ღონისძიებათა მწყობრ სისტემას.

რეგიონული ეკონომიკის პრობლემების მკვლევარი მეცნიერები, ამ პრობლემებზე მსჯელობისას განსაკუთრებით აღნიშნავენ თვით ტერმინის „ეკონომიკური სივრცის“ განსაზღვრის საკითხის აუცილებლობას.

აკადემიკოს ა. გრანბერგის განმარტებით „ეკონომიკური სივრცე“ – დასახლებული პუნქტებით, სამრეწველო საწარმოებით, რეკრეაციული ფართობებით, სატრანსპორტო და საინჟინრო ქსელებით გაჯერებული ტერიტორიაა.

ეკონომიკური სივრცის დახასიათება შეიძლება მრავალი ხარისხობრივი (თვისებრივი) და რაოდენობრივი პარამეტრით, რომელთა შორის გამოვყოფთ შემდეგ მახასიათებლებს:

– სიმჭიდროვე (მოსახლეობის რაოდენობა, მთლიანი რეგიონული პროდუქტის მოცულობა, ბუნებრივი რესურსები, ძირითადი კაპიტალი და სხვ. სივრცობრივი ფართობის ერთ ერთეულზე);

– განლაგება (დიფერენციაციის, კონცენტრაციის, მოსახლეობის განთავსებისა და ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები, მათ შორის სამეურნეო თვალსაზრისით ათვისებული და აუთვისებელი ტერიტორიების მაჩვენებლები);

– კავშირები (სივრცობრივი ტერიტორიების ცალკეულ ელემენტებს (რაიონები, დაბები, სოფლები და სხვ.) შორის არსებული ეკონომიკური კავშირების ინტენსივობა; სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარების დონე, რაც განაპირობებს პროდუქციის, მომსახურების, კაპიტალისა და მოსახლეობის მოძრაობის მობილურობის ხარისხს).

„ეკონომიკური სივრცის“ ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული მის ელემენტებს შორის არსებული მანძილების სიდიდეზე. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს „ეკონომიკური მანძილები“, რომელიც ფიზიკური მანძილებისაგან განსხვავებით, იზომება სატრანსპორტო და ტრანსაქციული დანახარჯების მიხედვით. ამდენად ამა თუ იმ „ელემენტს“ შორის შეიძლება იყოს თანაბარი „ფიზიკური დაშორება“, მაგრამ მათ შორის „ეკონომიკური მანძილი“ შეიძლება იყოს განსხვავებული, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით. ამდენად ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციის პრობლემების მეთოდოლოგიური ასპექტების გაანალიზებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა – „ეკონომიკური მანძილი“.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციისა და წარმოების განთავსების უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია:

– წარმოების რაციონალური, მაქსიმალურად ეფექტიანი განლაგება;

– ქვეყნის რეგიონების ეკონომიკის კომპლექსური განვითარება;

– რეგიონებს შორის და თვით რეგიონებში შრომის ტერიტორიული დანაწილების რაციონალურობა;

– რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეების გამოთანაბრება.

განვიხილოთ თითოეული აღნიშნული მიმართულება;

წარმოების რაციონალური, მაქსიმალურად ეფექტიანი განლაგება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს პროდუქციის წარმოებაზე გასაწევი ხარჯების მინიმიზაციას (ეკომონიის მიღწევას). ამ მიზნის მისაღწევად უპრიანია პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი ყველა სტადია განვლილი იქნეს კონკრეტულ ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპორტირების პირობებს (სატრანსპორტო დანახარჯების ოდენობას), რომელიც უზრუნველყოფს წარმოების „დაახლოებას“ ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკისა და რეალიზაციის ბაზრებთან. ამასთან ერთად წარმოების რაციონალურ განლაგებაზე მნიშვნელოვნად შეუძლია იმოქმედოს (პოზიტიური თვალსაზრისით) წარმოების კოოპერირებისა და კომბინირების ფაქტორმა, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი რესურსების დაზოგვისა და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ხარისხს.

ქვეყნის რეგიონების ეკონომიკის კომპლექსური განვითარება, პირველ რიგში, გულისხმობს იმ საბაზრო სპეციალიზაციის დარგების შეთანაწყობილად განვითარებას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნის მასშტაბით და აგრეთვე, რომელთა პროდუქციაზე არსებობს დიდი მოცულობის მოთხოვნა, როგორც მოსახლეობის, ასევე წამყვანი დარგებისა საწარმოო ინფრასტრუქტურის მხრიდან. რეგიონების კომპლექსური განვითარების პრიორიტეტული ამოცანაა საბაზრო სპეციალიზაციის დარგებს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარება-გაძლიერება.

რეგიონებს შორის და თვით რეგიონებში შრომის ტერიტორიული დანაწილების რაციონალურობის მიღწევა, ჩვენი აზრით, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და წარმოების ეფექტიანი განლაგების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ამ მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უარყოფითი ტენდენცია, რომელიც მეტად უარყოფითად მოქმედებს შრომის ტერიტორიული დანაწილების რაციონალურობის მიღწევაზე. კერძოდ, პროფესორი რ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ „რეგიონების ათიათასობით უმუშევარმა დიდ ქალაქებს მიაშურა, განსაკუთრებით თბილისს. იქ კი მართალია დასაქმების მეტი საშუალებაა, ვიდრე მცირე ქალაქებში, მაგრამ ნაკლებ კვალიფიციური შრომის ბაზარზე ყველა ნიშა უკვე დაკავებულია ადგილობრივი სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულებების ფაქტობრივი უმუშევრებით ან აფხაზეთიდან დევნილების მიერ.“[7]

რაც შეეხება რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეების გამოთანაბრებას, ამ შემთხვევაში აუცილებელია ქვეყნის რეგიონებს შორის ამ მიმართულებებით არსებული დიფერენციაციის შერბილებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სახელმწიფომ. მხედველობაშია საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პირობებში, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ქვეყნის რეგიონებში არსებული პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების განვითარების სტიმულირება და სოციალური პოლიტიკის ორიენტაციით გაფართოება. ამ პროცესში აქტიურად უნდა იქნეს გამოყენე-

ბული ცენტრალური ბიუჯეტის საფინანსო რესურსები.

ამ ოთხივე მიმართულების რეალიზაცია უზრუნველყოფს რეგიონული ეკონომიკური განვითარების ფორსირებული ტემპების მიღწევას.

რეგიონული (სივრცობრივი) ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ისტორია ხასიათდება ამ მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევების გაფართოებითა და გაღრმავებით. შედეგად ჩამოყალიბდა ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციის საკითხების თაობაზე რიგი მნიშვნელოვანი მიდგომები და მეთოდოლოგიები, რომელთა გამოყენების საფუძველზეც შესაძლებელია რიგი მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა, რეგიონული განვითარების თვალსაზრისით:

**– მიდგომა სივრცესა და დროში.** აღნიშნული მიმართულების ჩამოყალიბებას ჯერ კიდევ XIX-ე საუკუნეში გერმანული გეოგრაფიული სკოლის წარმომადგენლებმა კ. რიტტერმა და ა. გეტტნერმა დაუდეს საფუძველი. ამ მიდგომის ძირითადი არსი ეფუძნება იმას, რომ ხალხი და ბუნება ფაქტობრივად ერთიანია ანუ შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ინტერესთა სფეროში აქტიურად იმკვიდრებს ადგილს ბუნებაზე ზრუნვა, ამდენად სახეზე გვაქვს პარმონია ადამიანსა და ბუნებას შორის. მას სხვაგვარად სოციალურ-გეოგრაფიულ მიდგომას უწოდებენ.

**– გენეტიკური მიდგომა,** რომლის საშუალებითაც ხდება რეგიონული სისტემების გენეზისა (წარმომავლობა) და ევოლუციის ძირითადი მიმართულებების გამოვლენა ანუ შეგვიძლია გავაანალიზოთ სოციალურ-გეოგრაფიული სივრცე ისტორიული განვითარების რაკურსში.

გენეტიკური მიდგომის გამოყენება მნიშვნელოვანი და აუცილებელია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და კონკრეტულად ამა თუ იმ რეგიონში საწარმოო კომპლექსის განლაგების პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, ვინაიდან ისტორიული თავისებურებების, განვითარების ტენდენციების, ტრადიციული ბუნებათსარგებლობის მიმართულებების, ეთნოგენური და სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშე ძნელია ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნულის (ოღონდ გლობალურ მასშტაბებში) დადასტურებაა „დიდი აბრეშუმის გზის“ პროექტის რეალიზაციის პროცესის დაწყება.

**– გლოსისტემური მიდგომა,** რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია სხვადასხვა რთული ობიექტების შესწავლა, მათი მარტივ, ერთმანეთზე დამოკიდებულ შემადგენლებად დაყოფის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ რეგიონულ მეცნიერებაში ამ მიმართულების განვითარების საფუძვლად გეოგრაფია ითვლება. გეოსისტემურ მეთოდს ახასიათებს იერარქიულობა ორგანიზებულობისა და მმართველობის თვალსაზრისით. მაგალითად: დასახლება – მუნიციპალური წარმონაქმნი; რეგიონი – ქვეყნის სუბიექტი; ქვეყანა – საქართველო. გლოსისტემები, ენერგეტიკული და ინფორმაციული ნაკადებისა და კავშირების საშუალებით, ხელს უწყობენ მათ გარშემო სპეციფიკური გავლენის ზონების ფორმირებას. მაგალითად: სამრეწველო კვანძი – სამრეწველო რაიონი – სამრეწველო-ტერიტორიული კომპლექსი: ან ქალაქი – საქალაქო აგლომერაცია – მეგაპოლისი.

ამგვარად, გეოსისტემური მიდგომის გამოყენებით, შესაძლებელია რეგიონული სქემებისა და პროექტების რეალიზაციის პროცესში გეოინფორმაციული უზრუნველყოფა.

**– კვლავწარმოებითი მიდგომა** ითვალისწინებს მთლიანად რეგიონული სისტემების, როგორც ურთიერთდაკავშირებული შინაგანი ელემენტების (ქვესისტემები) შეხამების თავისებურებათა ყოველმხრივ შესწავლას. ამასთან ერთად ნებისმიერი კომპლექსური წარმონაქმნის ფუნქციონირების პრობლემები უკავშირდება არა მარტო მისი ქვესისტემების (შიდა) თავისებურებებს, არამედ მასზე დიდ გავლენას ახდენს საგარეო ურთიერთობები და კავშირები.

ნებისმიერ რეგიონულ სისტემას, მეთოდოლოგიური გამოკვლევის პოზიციიდან გამომდინარე, გააჩნია შინაგანი იერარქიული სტრუქტურა. მაგალითად, ქვეყნის (რეგიონის) სამეურნეო კომპლექსში გამოიყოფა სამრეწველო და სოფლის მეურნეობის დარგები ან დარგთაშორისი კომპლექსები. ეს არის „ვერტიკალური“ დაყოფა.

ამასთან ერთად, რეგიონულ კომპლექსებში შეიძლება გამოიყოს ე. წ. „ჰორიზონტალური“ დაყოფის პრინციპი, როდესაც გამოიყოფა სამეურნეო დასახლებები, ქალაქები, მხარეები, მსხვილი ეკონომიკური რაიონები.

ჩვენს მიერ დასახელებული „ვერტიკალური“ და „ჰორიზონტალური“ იერარქიული სტრუქტურები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ბუნებრივი პირობებითა და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით, მათ შორის კვლავწარმოების ციკლების მიხედვით. თვით რეგიონული კვლავწარმოების პროცესის არსი მდგომარეობს მატერიალური საშუალებების წარმოებისა და მოხმარების „განცალკევებულ (იერარქიული სტრუქტურების მიხედვით) ერთიანობაში“.

ამ მიმართულების გაანალიზების პროცესში აქტიურად გამოიყენება ისეთი ქვესისტემების გან-

ზოგადება, როგორიცაა: საწარმოო ქვესისტემა, ინფრასტრუქტურული ქვესისტემა და ინსტიტუციონალური ქვესისტემა.

ნებისმიერ რეგიონულ სისტემას გააჩნია ცენტრი, რომელიც ეფექტურად ეითარდება პერიფერიებთან აქტიური ურთიერთ-თანამშრომლობით და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის პირობებში.

ამგვარად კვლავწარმოებით მიდგომას გააჩნია უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, რეგიონულ ჭრილში, ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციისა და წარმოების განლაგების თეორიულ-პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით.

– პრობლემური მიდგომის არსი გამოიხატება რეგიონულ კონტექსტში, დროსა და სივრცეში დაგროვილი, კონცენტრირებული წინააღმდეგობების გადაწყვეტაში. პრობლემური მიდგომა ხასიათდება კომპლექსურობითა და სისტემურობით ანუ იმ თვისებებით, რომელიც ახასიათებს რეგიონულ პოლიტიკას.

ამ მიდგომის გამოყენებისას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება პრობლემის მართებულად დასმას და ფორმულირებას. „პრობლემის" კატეგორია თავისი არსით მჭიდროდ უკავშირდება „მიზნის"კატეგორიას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამა თუ იმ მიზნის მიღწევის პროცესში შეიძლება წარმოიშვას წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს უშლიან ამ მიზნის მიღწევას (ამ შემთხვევაში საუბარია რეგიონული პოლიტიკის ასპექტებზე). აქედან გამომდინარე რეგიონული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის პროცესში დასმული უნდა იქნეს ისეთი მიზნები, რომლებიც ნაკლებად იქნება იდეალიზებული და რეალობისგან მოწყვეტილი. თავის მხრივ, მიზნის ჩამოყალიბება ხდება სუბიექტისა თუ ობიექტის ინტერესების გათვალისწინებით.

ამგვარად, აღნიშნული კატეგორიების გათვალისწინებით შეიძლება წარმოვიდგინოთ ლოგიკური „ჯაჭვი" შემდეგი სახით: წინააღმდეგობები (პრობლემები) – მოთხოვნილებები – ინტერესები – მიზნები. მიუხედავად ამ მეთოდოლოგიის, შედარებით ზოგადი ხასიათისაა, მისი გამოყენება უპრიანია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

**– გეოპოლიტიკურ მიდგომაში** ცენტრალური ადგილი უკავია გეოგრაფიულ სივრცეში საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტების ურთიერთქმედების თავისებურებათა (პრობლემათა) შესწავლას. აქვე აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ეს მიდგომა გარკვეულწილად დაკავშირებულია, როგორც „პრობლემურ" მიდგომასთან, ასევე მიდგომასთან „სივრცესა და დროში". გეოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით იღებენ გადაწყვეტილებას უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეები, პოლიტიკური პარტიები, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები, ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეები, აგრეთვე რეგიონული დონის ლიდერები.

საზოგადოებრივი ერთიერთობების სუბიექტების ინტერესების სივრცობრივი ორგანიზაციის კანონზომიერების შესწავლა და განსაზღვრა, გეოპოლიტიკოსების მუშაობის დამახასიათებელი სპეციფიკური პოლიტიკური შტრიხია.[9] აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გეოპოლიტიკურ მიდგომას გააჩნია სერიოზული მნიშვნელობა რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებისას.

რეგიონული ეკონომიკის მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვისას აუცილებელია გამოვყოთ ის ტერმინები და ცნებები, აგრეთვე სამეცნიერო მეთოდები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ რეგიონულ ეკონომიკურ გამოკვლევებში.[10] კერძოდ:

**– ტაქსონირების მეთოდი**, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის დაყოფას დაპირისპირებულ და იერარქიულ თანადაქვემდებარებულ ტაქსონებად. ტაქსონი ეს არის თანაბარმნიშვნელოვანი ან იერარქიული თანადაქვემდებარებული ტერიტორიული „უჯრედი", მაგალითად, ადმინისტრაციული რაიონი, მუნიციპალური წარმონაქმნი. ფაქტიურად რაიონირების პროცესი ნებისმიერ დონეზე მიმდინარეობს ტაქსონირების პრინციპით;

**– ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების მეთოდი**, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა სამ ძირითად მიმართულებად: 1) რეგიონული მეთოდი (ტერიტორიის განვითარების გზებისა და საშუალებების ძიება, რეგიონულ დონეზე წარმოების განლაგების აქტუალური ამოცანების კვლევა); 2) დარგობრივი მეთოდი (გეოგრაფიულ ასპექტებში დარგების ფორმირებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა); 3) ადგილობრივი მეთოდი (ცალკეულ ქალაქებში დასახლებულ პუნქტებში წარმოების ფორმირებისა და განვითარების პრობლემების კვლევა);

**– სისტემური ანალიზის მეთოდი**, რომელიც დაფუძნებულია კვლევის პროცესის ეტაპობრივ წარმართვაზე (მაგალითად, მიზნების ფორმირება, ამოცანების განსაზღვრა, დარგების ოპტიმალური განთავსების ვარიანტების კომპლექსური შესწავლა);

**– სისტემატიზაციის მეთოდი**, რომელიც დაკავშირებულია შესასწავლი მოვლენის დაყოფით გარკვეული თავისებურებებით მახასიათებელი ფაქტორების მიხედვით. საუბარია ისეთი ფორმით დაყოფაზე, როგორიცაა კლასიფიკაცია, ტოპოლოგია, კონცენტრაცია და სხვ.

**– საბალანსო მეთოდი,** რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს დარგობრივი და რეგიონული ბალანსების შედგენაში. დარგობრივი და რეგიონული ბალანსების შედგენა, თავის მხრივ, ხელს უწყობს მართებული, მეცნიერულად დასაბუთებული არჩევანის გაკეთებას, დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში საბაზრო სპეციალიზაციის გამოკვეთის, სოციალური ინფრასტრუქტურის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენის მიმართულებით.

**– ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი,** რომელიც თანამედროვე ელექტრო-გამოთვლითი სისტემების მიღწევების პირობებში, მინიმალური შრომითი დანახარჯებით, უდიდესი მოცულობის სტატისტიკური მასალების დამუშავების კვალობაზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, სტრუქტურული კოპლექსური ფუნქციონირების შესახებ სათანადო ციფრობრივი მასალებით უზრუნველყოფას უწყობს ხელს.

**– კარტოგრაფიული მეთოდი,** რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია განლაგების თავისებურებათა ვიზუალური აღქმა.

**– გეოინფორმაციული მეთოდი,** რომელიც ითვალისწინებს გეოინფორმაციული სისტემების (ბანკების) ფორმირებას.

ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციისა და განლაგების სივრცობრივი პრობლემების მეთოდოლოგიურ მიდგომებში ცნობილი რუსი რეგიონალისტი, აკადემიკოსი ნ. ნეკრასოვი გამოყოფს შემდეგ მიმართულებებს:

ა) საწარმოო ძალების განლაგების ვარიანტული მეთოდი;

ბ) რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების მაჩვენებლები;

გ) ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება;

დ) სამრეწველო საწარმოთა განლაგების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდი;

ე) რეგიონებში სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგნოზირებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შედარების მეთოდი;

ა) ვარიანტული მეთოდოლოგიის გამოყენება უპრიანია ამა თუ იმ პროექტის რეალიზაციის საწყის ეტაპზე. წარმოების განლაგების ვარიანტული მიდგომა მეტად მრავალასპექტიანია და მისი ძირითადი მიზანია წარმოების განლაგების მაქსიმალურად ოპტიმალური ადგილის მოძებნა, რომელიც შეესაბამება როგორც ეროვნული მეურნეობის სტრატეგიულ ინტერესებს, ასევე კონკრეტული რეგიონის ინტერესებსაც.

საწარმოო ძალების განლაგების ვარიანტული მეთოდი ითვალისწინებს ისეთი საკითხების გაანალიზებას, როგორიცაა:

1. ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარების სხვადასხვა ვარიანტები;
2. ტერიტორიული (რეგიონული) ეკონომიკური პროპორციების სხვადასხვა ვარიანტები;
3. ეროვნული მეურნეობის წამყვანი დარგების განლაგების ვარიანტები;
4. ცალკეული რეგიონების სამეურნეო სტრუქტურის განვითარების ვარიანტები.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვარიანტული მეთოდოლოგიის გამოყენებით საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებისა და რეგიონული ლანდშაფტის პირობებში, შეიძლება საწარმოს განლაგების თაობაზე მისაღები გადაწყვეტილების რამოდენიმე ვარიანტი არსებობდეს. ამიტომ ამოცანა უნდა დაისვას ისე, რომ არჩეული იქნეს განლაგების ის ვარიანტი, რომელიც მაქსიმალურად ეფექტიანი იქნება, როგორც მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკისათვის, ასევე განსაკუთრებით (პრიორიტეტულად) რეგიონის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების კომპლექსურად გადაჭრის თვალსაზრისით. ამ მიდგომის გამოყენებისას აპრობირებულია და ფართოდაა გავრცელებული ეკონომეტრიული მოდელების გამოყენება, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა „პროექტის" რაოდენობრივ მახასიათებლებზე.

ბ) რაც შეეხება რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლების გამოთანაბრების მეთოდს, მისი უპირველესი დანიშნულებაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის არსებული დიფერენციაციის შერბილება ანუ ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების პრიორიტეტულობით ხელმძღვანელობა.

ამასთან ერთად, ამ მიდგომაში აისახება ქვეყნისა და რეგიონების ერთიანობის (საერთო ინტერესების) კვალობაზე, რეგიონების რანჟირება საწარმოო ძალების განვითარების დონეების და ცალკეული რეგიონების ჩამორჩენის მიზეზების ანალიზი.

რეგიონების საწარმოო ძალების განვითარების დონის საერთოეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის სისტემა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1) ეროვნული სიმდიდრის განაწილება რეგიონების მიხედვით, აგრეთვე მთლიანი სამამულო პროდუქტის და ეროვნული შემოსავლების რეგიონული თავისებურებანი;

2) მატერიალური წარმოების ძირითადი დარგების განვითარების მაჩვენებლები: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი, რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურული მაჩვენებლები;

3) შრომითი რესურსების გამოყენებისა და შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დღეისათვის არც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს და არც სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს მნირი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში, არ ხელეწიფებათ ზემოაღნიშნული მიმართულებებით სრულყოფილი დაკვირვებისა და გამოკვლევების ჩატარება. ეს უკანასკნელი ფაქტორი კი, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების მდგომარეობის შესახებ არსებული მწირი სტატისტიკური მონაცემების ბაზის არსებობის პირობებში, რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებული ესა თუ ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება ზერელედ ანუ რეგიონის შესახებ არსებულ ზოგად ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ამ მიდგომის გამოყენებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის რეგიონებს შორის (რეგიონთაშორისი) საწარმოო კავშირების ეკონომიკური მაჩვენებლების დადგენას. ხოლო, რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის დასადგენად გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის „სიმჭიდროვის" მაჩვენებელი, რომელიც ასახავს მოცემული ტერიტორიის 1 ათ. კმ$^2$ წარმოებული ერთობლივი პროდუქტის სიდიდეს. თავის მხრივ, კი აღნიშნული მაჩვენებელი, განზოგადებული რეგიონის დონეზე გვაძლევს მისი ათვისების შესახებ ობიექტურ სურათს, რაც უდაოდ მართებული დასკვნების გამოტანისა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობაა.

გ) ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება აუცილებელია ქვეყანაში წარმოების განლაგების პერსპექტიული ვარიანტების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის, აგრეთვე დარგებისა და რეგიონების მიხედვით ეკონომიკური გაანგარიშებების ჩატარებისათვის.

ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასებისათვის წარმატებით გამოიყენება ზღვრული დანახარჯების მეთოდი. იგი გულისხმობს განსახილველ რეგიონში, დროის გარკვეულ მონაკვეთში, საწარმოებელი (მოცემული) პროდუქციის ერთი ერთეულით მომატებაზე გასაწევი დანახარჯების ზღვრულად დასაშვებ სიდიდეს.

ამასთან, ენერგოეკონომიკურ გათვლებში აქტიურად გამოიყენება ზღვრული დანახარჯების მეთოდი სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე.

ამგვარად ზღვრული დანახარჯების მეთოდის გამოყენებით საშუალება გვეძლევა გამოვავლინოთ ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე, ტერიტორიების (რეგიონების) მიხედვით გასაწევი დანახარჯების ზღვრული სიდიდე და აქედან გამომდინარე მივიღოთ ადეკვატური გადაწყვეტილებები.

ზღვრული დანახარჯები გაიანგარიშება ბუნებრივი რესურსებით წყაროების (ტყისა და მიწის მასივების, საბადოების, მდინარეებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების) მიხედვით. ბუნებრივი რესურსების გამოყენების (ათვისების) ძირითადი კრიტერიუმია მისი ეფექტიანობის დადგენა, როგორც ეროვნული მეურნეობის, ასევე რეგიონულ ეკონომიკურ დონეზე. აქ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტორი, თუ რამდენად შეესაბამება ქვეყნის (რეგიონის) ინტერესებს ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსის გამოყენებაზე გასაწევი ზღვრული დანახარჯების ოდენობა და რამდენად წაადგება იგი ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკური განვითარების პროცესს.

დ) საწარმოთა განლაგების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდის პრინციპული მიმართულებების არსი მდგომარეობს შემდეგში:

1. სამრეწველო საწარმოთა განლაგების ძირითად კრიტერიუმად აღებულია პროდუქციის წარმოებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების პროცესში მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური (ეფექტიანი) გამოყენების აუცილებლობა;

2. ახალი სამრეწველო საწარმოების განლაგების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული მეურნეობის დონეზე ურთიერთმოქმედი ფაქტორების გაანალიზების საფუძველზე დარგების მიხედვით შრომით რესურსებზე დანახარჯებისა და მაქსიმალური ეკონომიურობის მიღწევის პრობლემების გადაწყვეტას;

3. ნედლეულით უზრუნველყოფის ფაქტორისა და ახალ სამრეწველო ობიექტში წარმოებული პროდუქციის რეგიონული მოხმარების მასშტაბების შესაფასებლად გამოიყენება ზონებად დაყოფის მეთოდი. მოხმარების რაციონალური ზონის დასადგენად ერთმანეთს უდარებენ მოცემული პროდუქციის თვითღირებულებას ერთ ერთეულზე და განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობას შესადარ

ტერიტორიებზე (რეგიონებში, რაიონებში, პუნქტებში). მასთან ერთად ერთმანეთს ადარებენ პროდუქციის მოხმარების ადგილზე მოწოდებისათვის ტრანსპორტირებაზე გასაწევი ხარჯების ოდენობას.

4. მსხვილი სამრეწველო ობიექტების განლაგების პროცესში განიხილება და ანალიზდება ამა თუ იმ ტერიტორიაზე მისი განთავსების ადგილის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების ძირითადი ორიენტირია პროექტის როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი და მთლიანობაში სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით შერჩევა.

საწარმოს განლაგების ადგილმდებარეობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი ინვესტიციების დაბანდების ეფექტიანობის დადგენაა. ინვესტიციების ეფექტიანობის დასადგენად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

$$I_ე = \frac{I_ა + I_ბ + I_გ + I_დ + I_ე + I_ვ}{P} K_რ$$

სადაც:

$I_ე$ – ინვესტიციების ეფექტიანობაა;

$I_ა$ – ინვესტიციები სამრეწველო საწარმოს მშენებლობაში და ძირითადი ობიექტის ნორმირებული საბრუნავი საშუალებები

$I_ბ$ – ძირითადი ობიექტის საწარმოო საშუალებებით აღჭურვისა და სრული სიმძლავრით ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, არაძირითად (ძირითადთან დაკავშირებულ) დარგებში განხორციელებული ინვესტიციები, რომელიც გაანგარიშებულია მათი წილობრივი მინაწილეობის მიხედვით.

$I_გ$ – ინვესტიციები საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის და სხვა ამგვარი ხარჯების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია საწარმოში დასაქმებულთა (ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით) რიცხოვნობის შესაბამისად;

$I_დ$ – დანახარჯები გეოლოგიური დაზვერვის სამუშაოებზე;

$I_ე$ – ინვესტიციები ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა საბრუნავი ფონდების ტრანსპორტირებაზე და მზა ნაწარმის მომხმარებლისათვის მიწოდების ტრასპორტირებაზე;

$I_ვ$ – დანახარჯები ახალი საწარმოს მშენებლობის პროცესით განსახილველ რეგიონში (რაიონში), გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურებაზე;

P – წარმოების სრული დატვირთვის პირობებში პროდუქციის გამოშვება.

$$K_რ = \frac{K_ბ . K_კ + (V_{მექ} + V_{მას}) . K_ფ . K_კლ}{O_{კ.დ.}}$$

სადაც:

$K_რ$ – რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინების კოეფიციენტი;

$V_ბ$– დანახარჯები ხელფასზე;

$K_კ$– პირობითი შეღავათის კოეფიციენტი ხელფასზე;

$V_{მექ}$– დანახარჯები მანქანა-მექანიზმის ექსპლუატაციაზე;

$V_{მას}$– დანახარჯები მასალებზე, დეტალებზე, კონსტრუქციებზე და ა.შ.;

$K_ფ$– რეგიონული ფასების ინდექსი;

$K_{კლ}$– რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინების კოეფიციენტი;

$O_{კ.დ.}$– პირდაპირი დანახარჯები ჩვეულებრივ პირობებში (მაგალითად ქ. თბილისში);

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოების განლაგების თაობაზე არსებული რამდენიმე ვარიანტის შედარებისას, აღნიშნული ფორმულით არჩევანი კეთდება იმ პირობებში, როდესაც თითოეული ვარიანტი ითვალისწინებს ერთნაირი მოცულობის, სახეობისა და ხარისხის პროდუქციის წარმოებას.

თითოეული ვარიანტის მიხედვით, ანალიზი უკეთდება იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინვესტიციების განხორციელების ეფექტიანობის ამაღლებაზე ან შემცირებაზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით. ამ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოვყოთ:

პროდუქციის შრომატევადობის ხარისხი და შრომითი რესურსების მოზიდვის აუცილებლობა სხვა რეგიონებიდან (რაიონებიდან), რაც ზრდის ინვესტიციურ დანახარჯებს;

ურთიერთშემცვლელი სანედლეულო რესურსებისა და ენერგიის წყაროების ცელილებები, რაც საშუალებას მოგვცემს განსაზღვრულ რეგიონში, ნაკლები მოცულობის ინვესტიციური დანახარჯებით, განლაგდეს შესაბამისი სანარმო;

საწარმოს (რომელიც უნდა განვათავსოთ) კაპიტალტევადობა, რომელიც გაელენას ახდენს არა მარტო ინვესტიციებზე, არამედ საექსპლუატაციო დანახარჯებზე;

მშენებლობის ვადის ხანგრძლივობის შემცირების შესაძლებლობა, კონკრეტული რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით.

ხაზი უნდა გაუსვათ იმ ფაქტორს, რომ ქართული რეალობის გათვალისწინებით, ამ მეთოდოლოგიის გამოყენება წარმოების განლაგების ოპტიმალური ადგილის დადგენის თვალსაზრისით, ამ ეტაპზე შეიძლება გარკვეულ ოპტიმისტურ საფუძველს მოკლებული იყოს. ვინაიდან, დღეისათვის საქართველოში ასეთი მსხვილი პროექტის რეალიზაცია არ ხორციელდება, თუმცა ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კვალობაზე, უდაოა, რომ დაიწყება სერიოზული პროექტების რეალიზაციაც, რაშიც დიდ დახმარებას გაუწევს აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილებები.

მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მეთოდოლოგია (განსაკუთრებით კი მისი ეკონომეტრიკული ნაწილი) წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული დღევანდელ პირობებში შედარებით მცირე მოცულობის პროექტების რეალიზაციის პროცესში. ოღონდ მასში (მეთოდოლოგია, ფორმულა) გარკვეული კორექტირების და დაზუსტებების შეტანის შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეთოდოლოგიის ეკონომეტრიკული ნაწილი-ფორმულა, მორგებული უნდა იყოს კონკრეტული პროექტის ამოცანებსა და მასშტაბებს.

ე) რეგიონებში სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგნოზირებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შედარების მეთოდი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს წარმოების განლაგების ადგილის (რეგიონის) შერჩევისას.

რეგიონულ დონეზე მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზს მრავალი თავისებურება გააჩნია და რიგ მეთოდურ სირთულეებს უკავშირდება:

პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების დონეებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავებები, რაც დაკავშირებულია, როგორც ბუნებრივ-რესურსულ, ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან. ამიტომ აუცილებელია მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომების შემუშავება, რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, სადაც გათვალისწინებული იქნება, როგორც რეგიონული თავისებურებები და ისტორიული ტენდენციები, ასევე სხვადასხვა ეროვნების მაცხოვრებლების (თუკი რეგიონი ასეთი ეთნიკური სიჭრელით ან ერთი რომელიმე ეთნოსის მაცხოვრებლების სიჭარბით ხასიათდება) ცხოვრების წესი.

მეორე – აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მოსახლეობის ცხოვრების კონკრეტული პირობები, რაც ძირითადად განსაზღვრავს მატერიალური წარმოების პროდუქციისა და მომსახურების მოხმარების ხასიათს. მაგალითად, ამ განსხვავებათა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას პროდუქციისა და მომსახურების თვალსაზრისით, გააჩნიათ მათთვის სპეციფიკურად დამახასიათებელი თავისებურებები. კერძოდ, მცირე დასახლებული პუნქტები, რომლებიც ერთმანეთისგან დიდი მანძილებითაა დაშორებულები, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით საჭიროებენ განსხვავებულ მიდგომას, ვიდრე მსხვილი რაიონები ან ქალაქები.

მესამე – არსებობს ტერიტორიული განსხვავებები პროდუქციის საბითუმო ფასსა და მომსახურების ტარიფებს შორის. ამდენად საჭიროა ძირითადი მოხმარების პროდუქციის მიხედვით ფასების ტერიტორიული ინდექსის ჯგუფებად განსაზღვრა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის ტერიტორიული ორგანიზაციისა და განლაგების სივრცობრივი პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიის, უშუალოდ პრაქტიკაში გამოყენება შესაძლებელია მდიდარი სტატისტიკური მონაცემთა ბაზის არსებობის პირობებში, მოცემული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი პრიორიტეტების გამოყოფით.

# რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების კონცეფცია

## 4.1 ეკონომიკური განვითარების ეტაპები და სამი სექტორის თეორია

შეეცადოთ დავასაბუთოთ რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის კონცეფცია, რომელიც ბაზირებულია ინვესტიციური აქტიურობის კარდინალურ ამაღლებაზე და მიმართულია რეგიონის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე. ჩვენი შეხედულებით, სტრუქტურული რეფორმების სტრატეგიის დასაბუთებისათვის საუკეთესოთეორიულ ბაზას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ეროვნული მეურნეობის საბაზრო ტრანსფორმაციას, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ევოლუციური თეორია.

ეკონომიკური განვითრების ეტაპების დახასიათებისათვის ფართოდ გამოიყენება სამი სექტორის თეორია, რომლის საფუძვლებიც ჩამოაყალიბა კ. კლარკმა თავის წიგნში „ეკონომიკის პროგრესის პირობები". ეკონომიკის განვითარების პირობებში სექტორების ცვლილება გაანალიზებული აქვთ აგრეთვე ჟ. ფურასტიეს და ს. კუზნეცს (1966, 1971). ავტორებმა წამოაყენეს ჰიპოტეზა, რომლის თანახმად ეკონომიკა სამ სექტორად ანუ მოღვაწეობის სამ ტიპად იყოფა: **პირველადი (მომპოვებელი), მეორედი (სამრეწველო), მესამედი (მომსახურების სფერო).** შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკა თავისი განვითარების შესაძლებლობის მიხედვით გაივლის სამ ეტაპს (სელდაკი, 1998):

– ინდუსტრიამდელ ეპოქაში ჭარბობდა პირველადი სექტორი (სოფლის მეურნეობა, მომპოვებელი მრეწველობა), არსებობენ მეორადი საქმიანობის ზოგიერთი სახეები (უმთავრესად მშენებლობა) და (მესამე ტიპის) თითქმის არ ჰქონდა ადგილი (სტრუქტურული შეფარდება 80:10:10).

– ინდუსტრიალიზაციის პერიოდშიპირველადი სექტორის ხვედრითი წილი იზრდება, მაგრამ შედარებით ნელა, ვიდრე მეორადის ხვედრითი წილი, რომლიც სწრაფად იზრდება და დაახლოებით 50%-ს აღწვს. მომსახურე სექტორები აგრეთვე ფართოვდებიან, განსაკუთრებით პოსტინდუსტრიულ (ინფორმაციულ) საზოგადოებაზე გადასვლის ეტაპზე, როდესაც ისინი უსწრებენ მეორადი სექტორების განვითარების ტემპებს;

– დაბოლოს პოსტიდუსტრიალურ ეპოქაში საერთო პროდუქციის წარმოებაში და მეორადი სექტორების ხვედრითი წილი შესამჩნევად მცირდება მესამე სექტორთან შედარებით (სტრუქტურული შეფარდება 10:10:80).

ამრიგად, ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლისეტაპზე (რომელზედაც იმყოფება განვითარებული ქვეყნების უმეტესობა) ეკონომიკის პირველადი და მეორადი სექტორები სულ უფრო ნაკლებად საჭიროებენ სამუშაო ძალას, ხოლო მათი პროდუქცია სულ უფრო ნაკლებ ხვედრით წილს იჭერს ქვეყნის მთლიანი პროდუქციის მოცულობაში. ამავე დროს მნიშვნელოვნად იზრდება მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი (ინფრასტრუქტურის დარგების, ტრანსფორტის, კავშირის საშუალებებისა და ტელეკომუნიკაციის, ვაჭრობის, საქმის მომსახურების და ა. შ). ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო წარმოებაში დასაქმებული მუშაკების ხვედრითი წილი დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის მიმართ საუკუნის ბოლო ხანებში 28%-დან 18%-მდე შემცირდა. ამჟამად აშშ-ს მრეწველობაში მუშაობს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა მხოლოდ ერთი მეექვსედი, მაშინ, როდესაც მომსახურების სფეროში დასაქმებულია მომუშავეთა 70%-ზე მეტი. ევროკავშირის ქვეყნებში მრეწველობაში მუშაობს ეკონომიკაში დასაქმებული ყოველი მეხუთე ადამიანი.

მთავარი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიკური განვითარების ევოლუციური თეორიისგან, მდგომარეობს მიზან-მიმართული სტრუქტურული ტრანსფორმაციის გზით ეკონომიკის ზრდაზე გადასვლის მიღწევაში, ანუ უწინდელი არასაბაზრო ეკონომიკის სტრუქტურის პოსტინდუსტრიულ სტრუქტურაში თანდათანობით გარდაქმნაში.

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სტრუქტურული საბაზრო ტრანსფორმაცია ეკონომიკური განვითარების თეორიის შესაბამისად არ შეიძლება მოხდეს ავტომატურად, „გარეშე ჩარევის" გარეშე. საბაზრო განვითარების საწყის სტადიაზე მყოფი ეკონომიკური სისტემის მიმართ თანდათანობითობის პრინციპი გულისხმობს უმცირესი დანახარჯებით სახელმწიფო ჩარევის გზით საბაზრო ევოლუციის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის უზრუნველყოფას. ასეთი გადასვლისათვის საჭიროა ახალი საბაზრო სტრუქტურებისათვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, ეკონომიკური პოლიტიკის ადეკვატური გაძლიერება როგორც ფედერალურ, ასევე რეგიონულ დონეებზე. ასეთი პოლიტიკის განხორციელება უნდა ხდებოდეს მსოფლიო მეცნიერებაში და პრაქტიკაში საერთოდ აღიარებული

პოზიციით: პოზიტიური სტრუქტურული ძვრების საწყის პოზიციად განიხილება მეცნიერულ-ტექნიკური ინოვაციების განხორციელება. ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში მიღებული ანალოგიური მეთოდების გამოყენებამ, სადაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი თამაშობს ენდოგენური ფაქტორის როლს, შეიძლება არც მოგვცეს სასურველი შედეგი იმის გამო, რომ შენარჩუნებული ბარიერები მიმდინარე სანარმოო საქმიანობის „არაეფექტიანობის“ და მით უმეტეს საინვესტიციო საქმიანობის მიმართ. ამიტომ განხორციელებული სტრუქტურული გარდაქმნების მსვლელობისას ინოვაციების მხარდამჭერი ინსტრუმენტები ორგანულად უნდა ეხმარებოდეს საერთო ეროვნულ და რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

ამგვარად, რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურების გარდაქმნა უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვების პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობით და ამასთან, მისი როგორც ინიციატორის, როგორც კერძო ინვესტიციების აქტიური მოზიდვის გარანტის (მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარანტის) მეშვეობით. შედეგად უნდა მოხდეს საზოგადოებრივი-სათვის უპირატესობის მინიჭების შერწყმა სანარმოო კაპიტალის დაგროვების აუცილებლობასთან ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

რასაკვირველია, საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს არჩევითი ჩარევა მთელი სისრულით არის შეთავსებადი „წმინდა“ საბაზრო დემოკრატიის პრინციპებთან. მაგრამ ამასთან ასეთი სახის პოლიტიკა არაფრით არ ეწინააღმდეგება საბაზრო ინვესტორების ინტერესებს, პირიქით, იგი მიმართულია კაპიტალის ბაზრის უწინდელი დეფორმაციების შედეგების დაძლევისაკენ.

კაპიტალის შექმნის პროცესში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა განპირობებულია აგრეთვე პოსტსოციალისტური ბაზრის ძირითადი ნიშან-თვისებებით, რაც ვლინდება ბაზრის სუბიექტების მოლოდინის გაურკვევლობაში, განსაკუთრებით კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდების შედეგების მიმართ. ამგვარად, ბაზრის სუბიექტების მიერ ფინანსური კონიუნქტურის მოლოდინი შესაძლებელია ნაკარნახევი იყოს სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევის გზით. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ინვესტიციურ პროცესებში სახელმწიფოს როგორც უშუალოდ და პირდაპირ მონაწილეობასთან, აგრეთვე მის მიერ ფინანსური ნაკადების ირიბ რეგულირებასთან. საკითხი ეხება ე.წ. სტრუქტურულ-საინვესტიციო მანევრების განხორციელებას, როდესაც ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენებას საბაზრო აგენტების ორიენტირებას ახდენს მომავალში საინვესტიციო მოთხოვნის ზრდაზე.

ამ იდეის თეორიული დასაბუთება, რასაკვირველია, კარგად არის ცნობილი; საკმარისია განვიხილოთ ჯ. მ. კეინზის თეორია. ამ კონცეფციის არსი დაიყვანება კაპიტალის რეალური დაბანდების განხორციელების მიზანშეწონილობაზე მოთხოვნის მომავალში გაზრდის იმედით, რომლის მისაღწევადაც არსებობს საწარმოო პოტენციალი. მაშინ დაბანდებული კაპიტალისაგან მოსალოდნელი შემოსავალი გამომდინარე მიმდინარე ფინანსური პირობებიდან საკმაოდ მაღალი იქნება. აუცილებელია აგრეთვე დავასახელოთ „დიდი ბიძგის“ ცნობილი კონცეფცია, რომელიც პ. როზენშტეინ-როდანს ეკუთვნის და ჩვეულებრივ განეკუთვნება ეკონომიკური განვითარების თეორიას. ამ კონცეფციის შესაბამისად ქვეყნები, რომლებიც საბაზრო განვითარების დაბალ დონეზე იმყოფებიან, დროის გარკვეულ მომენტში შეძლებენ განახორციელონ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა ინვესტიციური რესურსების აკუმულირების მეშვეობით და ძირითადად ტექნოლოგიური ჩამორჩენის დაძლევას.

აუცილებელია, რომ მასშტაბურმა საინვესტიციო ექსპანსიამ, ყველა წარმოების გამოყენების ხარჯზე ეფექტიანობის ზრდის გათვალისწინებით, არ უნდა გამოიწვიოს საერთო ეკონომიკური სტაბილიზაციის დარღვევა. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად გვეჩვენება გამოვყოთ სამი ურთიერთდაკავშირებული შეზღუდვა.

აქედან პირველი გამოიხატება მაკროეკონომიკური ფინანსური წონასწორობის დაცვაში. სტრუქტურულ გარდაქმნებში სახელმწიფოებრიგიმა მონაწილეობამ არ უნდა მიგვიყვანოს საბაზრო სუბიექტების ფინანსურ დანაკარგამდე და მით უმეტეს მათი მხრიდან საკუთრების უფლების დაცვის მექანიზმისადმი და საბაზრო სუვერენიტეტის პრინციპებისადმი ნდობის დაკარგვამდე. ცალსახად მიუღებელია აგრეთვე გადასახადების გადამხდელთა სახსრების ხარჯზე „სტრუქტურული“ ინვესტიციების დეფიციტის საბიუჯეტო ფინანსირება.

მეორე შეზღუდვა ეხება საბაზრო სუბიექტების მხრიდან მთლიანად მიმდინარე სანარმოო და ფინანსური აქტიურობის სტიმულების შენარჩუნების აუცილებლობას. დაუშვებელია უმეტეს სამოქალაქო დარგებში მწარმოებლების მხრივ ერთიანი საწარმოო მოთხოვნის შემცირება (დეპრესიულობის გამონაკლისით).

ბოლოს, მესამე შეზღუდვა მდგომარეობს სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების განსაზღვრული პარიტეტის დაცვაში. აშკარაა, რომ მიუღებელია კერძო ინვესტიციების გამოდევნა ნებისმიერი სა-

ბაზრო სეგმენტებიდან მათი სახელმწიფო ინვესტიციებით ჩანაცვლების გზით (სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული სფეროების გამოკლებით).

ზემონათქვამიდან გამომდინარე საგულისხმოა, რომ საწარმოო გამოშვების ზრდის შეზღუდვის მოხსნა ბაზრის სეგმენტების უმრავლესობაში სტრუქტურულ-ინვესტიციური მანევრის ჩატარების მეშვეობით გზას უხსნის მიწოდების გაზრდას, და მაშასადამე, მოთხოვნასაც სხვა დანარჩენ სეგმენტში. შედეგად, ეკონომიკური აღმავლობის მოსალოდნელი სტადიის მსვლელობაში შუალედურ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა მასტიმულირებულ გავლენას მოახდენს დარგთაშორისი კავშირების მთელ ჯაჭვებზე, საბოლოოდ დარგების მოთხოვნის ზრდაზე და პირიქით. არსებითად საკითხი ეხება ეკონომიკური ზრდის ყველა ციკლურ ფაზაში კარგად ცნობილი მულტიპლიკატორ-აკსელერატორის მოდელის ცხოვრებაში განხორციელებას.

რა უნდა გახდეს საბოლოო ჯამში სტრუქტურულ-ინვესტიციური პოლიტიკის შედეგი, რომელიც დაფუძნებული იქნება ზემოთალნერილ პრინციპებზე და მეთოდებზე? როგორია მისი ძირითადი მიზნები? ჩვენი შეხედულებით, სტრუქტურული რეფორმირების ძირითადი მიზნების ყველა ნაკრებთაგან ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი მოცემულ ეტაპზე შემდეგნაირად გამოიყურება:

– ნედლეულის კომპლექსური გამოყენებით პირველად დარგებში რესურსდაზოგვის თანამედროვე სტანდარტების მიღწევა;

– საბაზრო პრინციპზე კონვერსიის დასრულება პოტენციურად კონკურენტუნარიან სექტორში, სამხედრო სამრეწველო კომპლექსში (საავიაციო, კოსმოსური, ქიმიურ-ტექნოლოგიურ, სამედიცინო-ბიოლოგიურ მრეწველობაში და სხვა) და მისი გასვლა საგარეო ბაზარზე;

დეპრესიულ დარგებში და ქვედარგებში სიმძლავრეების შემცირება (ქვანახშირის, მეტალურგიული, ტექსტილის და სხვა) და დარჩენილი მწარმოებლებისათვის მისადაგებული კონკურენციული გარემოს შექმნა;

ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის ქვედარგების თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისი ტექნიკური გადაიარაღება;

– მცირე ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის დასრულება;

– თანამედროვე ბაზართან ადაპტირებული ინოვაციური სფეროს ინფრასტრუქტურის ფორმირება.

მითითებული მიზნების მიღწევა, რომლებიც ეხება საშუალოვადიან პერსპექტივაში სტრუქტურულ ცვლილებებს, იმას ნიშნავს, რომ შემდგომ რეალური პირობები შეიქმნება კონკურენტუნარიანი რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის. რასაკვირველია, უფრო ხანგრძლივად მიგვაჩნია კარდინალური ინსტიტუციური და სოციალური ცვლილებების ვადები დასახული ამოცანების შესაბამისად განსახორციელებლად. ამასთან ეს პრობლემაც შეიძლება გადაწყდეს სასურველი სტრუქტურული ტენდენციების მიმართულებების მიხედვით რეალიზაციის შემთხვევაში, რაც მატერიალურ საფუძველს მოგვცემს საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო თანამეგობრობის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით არსებული გარღვევის (ჩამორჩენის) დასაძლევად.

ზემოთმოყვანილი მეთოდოლოგიისა და დასახული მიზნის საფუძველზე განვიხილოთ რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურის რეფორმირების გზები და საშუალებები სექტორული სპეციფიკის შესაბამისად და შესატყვისად მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონულ ეკონომიკაზე ეკონომიკურ-პოლიტიკური ზემოქმედების უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება საწარმო-ტექნოლოგიური სტრუქტურის რეგულირებით.

სტრუქტურულ გარდაქმნათა მეურნეობრივი პრიორიტეტების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დარგობრივი სამრეწველო ბაზრების ურთიერთშეთანხმებული რეგულირებისას. სტრუქტურული რეგულირების მიზნებისა და საშუალებების დასაბუთება მიზანშეწონილია განხორციელდეს ეროვნული მეურნეობის მსხვილი სექტორების დონეზე, რომლებიც განსხვავდებიან შესაბამის სასაქონლო ბაზარზე და კაპიტალის ბაზარზე აუცილებელი სახელმწიფოებრივი ჩარევის ხარისხითა და დონით, ანუ გამომდინარე ლიბერალურ საბაზრო წესრიგისადმი სიახლოვით. ასეთი კრიტერიუმის შესაბამისად მიზანშეწონილია გამოვყოთ შემდეგი სექტორები: საბაზრო, პირველადი დარგების სექტორები, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის, დეპრესიული სექტორი, პოტენციურად კონკურენტუნარიანი, მცირე ბიზნესის სექტორი.

ამასთან ერთად, საჭიროა მოვახდინოთ ყურადღების აქცენტირება იმაზე, რომ მრეწველობის ძირითადი სექტორების სტრუქტურულ რეგულირებას შემოთავაზებული მიდგომის ბაზაზე ობიექტურად თან ახლავს გარკვეული სიძნელეები თითოეული ამ პროცესების მეტად არსებითი სპეციფიკის გამო. ის განპირობებულია პირველ რიგში სექტორული რეფორმირების ამოცანების შინაარსობრივი

თვალსაზრისით არსებული განსხვავებებით. კერძოდ, პირველადი დარგებისა და მაგისტრალური ინფრასტრუქტურის სექტორში ინსტიტუციური გარდაქმნების პროცესის გაგრძელება ითვალისწინებს ბუნებრივი მონოპოლიის რეფორმებისათვის სერიოზულ გადაწყვეტილებებს; ამავე დროს მცირე ბიზნესში ინსტიტუციური გარდაქმნების ძირითადი ამოცანა დაკავშირებულია ამ სექტორის საწარმოებში სახელმწიფო მხარდაჭერით ორგანიზაციული სტრუქტურების საერთოეროვნული სისტემის შექმნის ამოცანასთან. ფაქტიურად თითოეულ სექტორში სტრუქტურული რეფორმების პროცესს აქვს სპეციფიური შინაარსობრივი მდგომარეობა, რომელიც არ შეიძლება ასახულ იქნეს უნივერსალურ სქემაში.

### 4.1.1 საბაზრო სექტორი

**საბაზრო სექტორი**, ეს ის სექტორია, რომელშიც საბაზრო ურთიერთობებმა ყველაზე ღრმად შეაღწია და რომელიც ყველაზე უფრო ნაკლებად საჭიროებს სახელმწიფოს მხრივ რაიმე მკაცრ ზომებსა და ღონისძიებებს. მოცემულ სექტორს არ განეკუთვნება მცირე ბიზნესის სექტორი რამდენადაც იგი ცალკე განიხილება. შერჩევითი გამოკვლევების მონაცემებით, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა მრეწველობის დარგებში (რომლებიც ასე თუ ისე საქმიანობენ) აქამდე კრიზისულ დონეზე რჩება. მაშასადამე, საბაზრო სექტორის ზრდის პოტენციალი საქართველოში ამჟამად საკმაოდ მაღალია, მაგრამ ამასთან, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ სპეციალისტები, მისი რეალიზაციისათვის საკმარისი არ არის მაკროეკონომიკის სიტუაციის რამდენადმე გაუმჯობესება, რაც დაკავშირებულია შიგა ბაზარზე მოთხოვნილებით შეზღუდვების შესუსტებასთან. საჭიროა სამამულო საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის კარდინალური ამაღლება (გამომდინარე შიგა და გარე ბაზრების მოთხოვნათ კრიტერიუმებიდან).

საბაზრო სექტორის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პრობლემის გადაწყვეტის სირთულე, რასაკვირველია, განპირობებულია ამ პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის შეუძლებლობით. ამ სექტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურების გრძელვადიანი მოთხოვნა მიღწეულ უნდა იქნეს საბაზრო ძალების მოქმედების მეშვეობით, მათ შორის საბაზრო რეგულირების ხარჯზე.

მიუხედავად ყველაფრისა, სტრუქტურული გარდაქმნების სტრატეგია საინვესტიციო აქტიურობის ამაღლების საფუძველზე, თუნდაც ირიბი სახით, მაინც თან სდევს, თან ერთვის განსახილველ სექტორს. ძირითადი მიდგომა მდგომარეობს ეკონომიკის სხვა სექტორებში ინვესტიციების ნახალისებაში, რაც გავლენას მოახდენს განსახილველი სექტორის დარგთაშორის კავშირებზე. ამიტომ სექტორული პოლიტიკის განსახორციელებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დარგთაშორისი ურთიერთქმედების ცნობილ მექანიზმს.

მოცემული სექტორის სტრუქტურული რეფორმების პროცესში ირიბი ინსტრუმენტების გამოყენების შედეგი უნდა გამოიხატოს ახალი კაპიტალური დაბანდებებისა და პროდუქციის გამოშვების გაფართოების მოსალოდნელი რენტაბელობის ამაღლებაში. მოცემული სექტორის ფარგლებში ლიბერალური ბაზრების თვითგანვითარების ასეთი პოზიტიური შედეგების მიღწევის შემთხვევაში წარმოიქმნებიან წინამძღვრები ინვესტიციებისა და საწარმოო გამოშვების მყარი და ურთიერთშემავსებელი ზრდისათვის. ამ საფუძველზე საშუალოვადიან პერსპექტივაში უნდა ჩამოყალიბდეს დარგთაშორის ურთიერთქმედებათა ინვესტიციები ზრდის მყარი მოდელი. ასე მაგალითად, ინვესტიციების გაზრდა სამოქალაქო მშენებლობაში და საბოლოო მოხმარების სხვა სეგმენტებში გამოიწვევს სამშენებლო მასალების მრეწველობაში ინვესტიციების გაზრდის მოთხოვნილებებს, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ლიბერალიზებული მრეწველობის რიგი დარგების ინვესტიციების გაზრდასთან.

ამრიგად, მხოლოდ საბაზრო სექტორის მყარი თვითგანვითარების მიღწევის პირობებში და ამასთან ერთდროულად კაპიტალის სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბებით შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს ინვესტიციების გაზრდის აქსელერაციული ეფექტი, რაც განპირობებული იქნება საწარმოო გამოშვების გაზრდით.

### 4.1.2. პირველადი დარგების, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სექტორი

რეგულირების პრინციპულად უფრო მკაცრი პოლიტიკაა საჭირო პირველადი დარგების, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სექტორის მიმართ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გადაუდებელი სახელმწიფოებრივი ჩარევა ბუნებრივი მონოპოლიის ზონაში პრივატიზაციის შეღებების არსებითი კორექტირებისათვის, კონტროლის გაძლიერება საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებისადმი და სხვა ეკონომიკური პროცესების სათანადოდ რეგულირება.

უახლოეს პერიოდში მოცემული სექტორის რეგულირების პოლიტიკა პირველ რიგში დაკავშირე-

ბული იქნება ყველაზე უფრო აქტუალურ, ერთმანეთთან დაკავშირებული პირველად რესურსებზე ფასების დინამიკისა და რესურსების გამოყენების პრობლემებთან. ცალსახად მიუღებელია „არგადასახადების ეკონომიკის“ შენარჩუნება, ჩვენი ღრმა რწმენით, მკაცრი ზომების პარალელურად მდგომარეობიდან გამოსასვლელად და მის გასაუმჯობესებლად უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება საგადასახადო მექანიზმის სრულყოფისაკენ, ორი პრინციპული გადაწყვეტილების განხორციელებისაკენ. ერთის მხრივ, საჭიროა უახლოეს ხანებში რეალიზებულ იქნეს ენერგომოხმარებისა და სხვა პირველადი რესურსების მოხმარების შესამცირებლად მოსამზადებელი პროექტები, რომლებიც მოიცავენ კონკრეტულ რესურსდამზოგველ ტექნოლოგიებს, ამ მიზნით შეღავათიანი კრედიტების შემოღებას და უცხოელი ინვესტორების სახსრების მოზიდვას. მეორეს მხრივ, აუცილებელია მიღწეული იქნეს მისაღები კომპრომისი ენერგომატარებლის მწარმოებელ დარგებსა და მომხმარებელ დარგებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ენერგომატარებლებზე შედარებითი ფასების (მსოფლიო ფასებთან) ახლო პერსპექტივაში შეცვლის თაობაზე (ენერგომოხმარებისა და პირველადი რესურსების ხარჯვის შემცირების მიზნობრივი პროგრამის ორიენტირების ჩათვლით). სხვათა შორის, ასეთი გამოცდილება ქონდა იაპონიას ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც შეთანხმებები იდებოდა შემდეგნაირად: ნახშირის კომპანიები – ფოლადჩამომსხმელი ქარხნები – მანქანათმშენებელი საწარმოები (ბუნებრივია, სახელმწიფოს აქტიური შუამავლობით).

ამასთან დაკავშირებით, ეჭვს არ ინვევს სახელმწიფოს მიერ ბუნებრივი მონოპოლიების მოღვაწეობის რეგულირების გაძლიერების მიზანშეწონილების საკითხი, უპირველეს ყოვლისა კი, ფასწარმოქმნის სფეროში, მონოპოლიური ფასობრივი დიქტატის კარდინალურად შესუსტება ბუნებრივი მონოპოლიების მხრიდან წარმოადგენს საერთოეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესის დასრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას.

სახელმწიფოს ფართომასშტაბიანი ჩარევა საინვესტიციო აქტიურობის ასამაღლებლად გამოწვეულია პირველ რიგში კერძო ინვესტორებისათვის აღნიშნული სფეროს შემოსავლიანობის კუთხით არამიმზიდველობის გამო.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სტრუქტურული ინვესტიციური მანევრის განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო იძულებული იქნება თავის თავზე აიღოს განსახილველ სექტორში ინვესტიციებზე ძირითადი პასუხისმგებლობა. ამასთან, სახელმწიფოს შეუძლია პარიტეტულ საფუძველზე ითანამშრომლოს სხვა დაინტერესებულ პარტნიორებთან კონკრეტული პროექტების დაფინანსების საქმეში; უპირველეს ყოვლისა, თანამშრომლობა კომერციულ ბანკებთან, კერძოდ ინვესტიციების დაბრუნების სახელმწიფოებრივი გარანტიების შემთხვევაში, ასე თუ ისე სახელმწიფოებრივი მონაწილეობის საინვესტიციო სავარაუდო წილმა სექტორში შეადგინა არა ნაკლებ 50%. საბოლოო ჯამში შეიქმნება შესაძლებლობა კერძო ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური მოგების მისაღებად სახელმწიფოს ფაქტიური მონაწილეობით შედარებით ნაკლებ შემოსავლიან, მაგრამ მოცემული სექტორისათვის აუცილებელ საინვესტიციო პროექტებში, რესურსდაზოგვის, აუცილებელი საწარმოოო ინფრასტრუქტურის შექმნის თვალსაზრისით და სხვა.

ამრიგად, საშუალოვადიან პერსპექტივაში მოცემული სექტორისათვის წარმატებული სტრუქტურული ტრანსფორმაციისათვის უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ურთიერთდაზოგვის და ინვესტირების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანის ურთიერთდაკავშირებული და შეთანხმებული გადაწყვეტა. ეს გზას უხსნის კაპიტალის ნაკადის მოზიდვას სრულად განსხვავებული წყაროებიდან, და შესაბამისად, ორგანულ, თუმცა თანდათანობით შიდა ფასების მსოფლიო ფასებთან მიახლოებას. ამ პროცესების პოზიტიურმა განვითარებამ უნდა გამოიწვიოს კონკურენციული გარემოს წარმოშობა და ბუნებრივი მონოპოლიების ოლიგოპოლიებად თანდათანობით ტრანსფორმაცია.

შემდგომ, განხილულ სექტორში მოსალოდნელი საინვესტიციო „გარღვევის“ დასრულებისას, პირველად რესურსებზე შიდა ფასების მსოფლიო ფასებთან თანდათანობით მიახლოების შედეგად და ხელსაყრელ მიკროეკონომიკურ პირობებში სრულად რეალურია კაპიტალწარმოქმნის მყარი მოდელის ფორმირება. წარმოგვიდგენია ექსელატორის ტრადიციულ მოდელთან მიახლოებულად, რომელშიც წმინდა ინვესტიციების მოცულობები გახდებიან საწარმოო გამოშვების (ექსპორტის ჩათვლით) ზრდით უშუალოდ განპირობებული.

### 4.1.3.პოტენციური კონკურენტუნარიანი სექტორი

ინვესტიციური აქტიურობის გაზრდის საფუძველზე სტრუქტურული გარდაქმნების პოლიტიკის განხორციელება რეალიზებული უნდა იქნეს მაქსიმალური ზომით პოტენციურად კონკურენტუნარიან

სექტორში. ეს პირდაპირ არის დაკავშირებული კონკურენტუნარიანი პროდუქციისათვის ბაზრების შექმნის ამოცანის დიდ მნიშვნელობასთან, და შესაბამისად, ინვესტიციების მასშტაბურ მოთხოვნა-საჭიროებასთან.

კაპიტალის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანას ყველაზე უფრო პრიორიტეტული მნიშვნელობა სწორედ მოცემულ სექტორში აქვს. ამ პრიორიტეტიდან გამომდინარე უნდა წყდებოდეს სექტორული რეგულირების სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, უპირველეს ყოვლისა, კონკურენტუნარიანი გამოშვების სფეროში პრივატიზაციისა და სტიმულირების დამთავრების საკითხი.

ამჟამად მოცემულ სექტორში ინვესტიციური რესურსების შეზღუდულობა საწარმოთა უმრავლესობაში უმთავრესად ვლინდება უდიდესი დავალიანებების ფონზე თვითფინანსების წყაროების პრაქტიკულად არ არსებობაში, აგრეთვე შიდა ინვესტორების, მათ შორის კომერციული ბანკების სუსტ მონაწილეობაში. თავის მხრივ, მოცემული სექტორის პროდუქციაზე მოთხოვნა მთლიანობაში შეზღუდულია. ეს დაკავშირებულია როგორც მაღალ დანახარჯებთან, ასევე პირველადი რესურსების უყაირათო მოხმარებასთან, აგრეთვე ბევრი კონვერსირებული საწარმოების ნელი ორიენტაციით რეალური მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ჩამოყალიბებული საბაზრო ფასების პირობებში. ამავე დროს, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, გრძელვადიან პერსპექტივაში დიდი მოცულობითაა მოსალოდნელი სამამულო და უცხოური ინვესტიციების პოტენციური მოზიდვა (განსაკუთრებით ჩვენში საკადრო დიდი პოტენციური შესაძლებლობის გამო). ამიტომ საჭიროა დაძლეული იქნეს ჯერ კიდევ არსებული არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები.

აღნიშნულთაგან უმნიშვნელოვანესი მდგომარეობის კონვერსირებულ დარგებში პრივატიზაციის ზოგიერთი შედეგების მიუღებლობაში. უმეტეს შემთხვევაში მაღალტექნოლოგიური საწარმოების ძვირადღირებული მოწყობილობა პრივატიზებული აღმოჩნდა თითქმის უფასოდ, ამ საწარმოთაგან ბევრი დაექვემდებარა გაუმართლებელ დაყოფას, რის შედეგადაც მოხდა მათი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ერთიანობის დაკარგვა და ამავდროულად პროდუქციის გაძვირება წარმოების მოცულობის მკვეთრად შემცირების გამო – „მასშტაბებზე ეკონომიის“ დაკარგვის შედეგად. არსებითად განხილულ სექტორში აქციონერთა ჩამოყალიბებული წრე უძლურია განახორციელოს ფართომასშტაბიანი ინვესტიციური ექსპანსია და სტრუქტურული გარდაქმნები. მაშასადამე, დროის მოკლე პერიოდში უნდა განხორციელებული იქნეს საქმიანი ინვესტიციები რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების დასანერგად, ინოვაციების მხარდასაჭერად და სხვა აუცილებელ გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ სტრუქტურულ-ინვესტიციურ მანევრის ფარგლებში. ბევრ დარგში სიმძლავრეების მნყობრიდან გამოსვლის გათვალისწინებით სახელმწიფო მონანილეობის დონე პროგნოზის დონეზე უნდა ვიყვარაუდოთ არა ნაკლებ 50%-სა.

განსახილველი სექტორული პოლიტიკის განსაკუთრებით პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სტრატეგიული დარგების (ქვედარგების) განვითარების პროგრამების რეალიზაცია, რომლის საინვესტიციო პროექტებში ჩართული იქნება სახელმწიფო. აქ ხელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობები არსებობს. წარმატებული სტრუქტურული ტრანსფორმაციის პირობებში სრულად შესაძლებელია მსოფლიო ბაზარზე მძლავრი გარღვევის განხორციელება. ამასთან, როგორც პროგნოზი ადასტურებს, აუცილებელი ინვესტიციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ბაზრის მოცემულ სეგმენტში შეძლებს თვითგამოსყიდვას, უკიდურეს შემთხვევაში, საშუალოვადიან პერსპექტივის ჩარჩოში.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მაღალი ტექნოლოგიებისა და მის მომიჯნავე დარგებში შეუძლებელია ინოვაციური პროცესის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე განხორციელება. ვენჩურული ბიზნესის განვითარებასთან ერთად საჭიროა ეგრეთწოდებული კრიტიკული ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვის პირდაპირი ფინანსირება მათი განსაზღვრული ჩამონათვალის შესაბამისად ფედერალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფარგლებში.

გარდა ჩამოთვლილი ამოცანებისა პერსპექტიულ პერიოდში პოტენციურად კონკურენტუნარიანი სექტორის სტრუქტურული რეფორმირება გამოინვევს ამ პროცესისათვის წარმოების ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურების წარმოქმნის პრობლემის გადაწყვეტას. პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია წარმოების კონკურენციის მისაღები დონის აღდგენის აუცილებლობასთან პოტენციურად კონკურენტუნარიანი სექტორის საწარმოებში. მკაცრი კონკურენციისა და საბაზრო კონიუნქტურის მკვეთრი მერყეობის პირობებში სულ უფრო მიზანშეწონილი ხდება პოტენციურად კონკურენტუნარიანი მაღალტექნოლოგიური საწარმოების ორგანიზაციული გარდაქმნა წარმოების მაქსიმალური დივერსიფიკაციის პრინციპებზე, რომელიც გულისხმობს მსხვილი კონცერნების ჩარჩოებში კაპიტალის ინტეგრაციას.

ამას გარდა, სარწმუნოა, რომ საშუალოვადიანი პერსპექტივის საზღვრებს იქით შენარჩუნებული იქნება სამამულო მწარმოებლების მიმართ განსაზღვრული პროტექციონიზმის მოთხოვნა ცალკეულ

(უახლეს) ქვედარგებში, მაგრამ მხოლოდ ბაზრის ათვისების აუცილებელი პერიოდის განმავლობაში. მთლიანობაში გრძელვადიან პერსპექტივაში ყოფილი საბჭოთა სამრეწველო კომპლექსის ძირითადი ნაწილის ტრანსფორმაცია უნდა დასრულდეს მისი საბაზრო სექტორთან „შერწყმით".

ასეთი პოზიტიური შედეგი უნდა აღნიშნავდეს მოცემულ სექტორში ინვესტიციების ეკონომიკური როლის პრინციპულ ცვლილებას. იგი მოწოდებულია აისახებოდეს საბოლოო მოთხოვნის ზრდის გრძელვადიან მულტიპლიკაციურ ეფექტში. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, სწორედ გრძელვადიანი გეგმით მაღალ ტექნოლოგიებში დაბანდება წარმოადგენს ყველაზე უფრო ეფექტიანს და ემსახურება თანამედროვე პოსტიდუსტრიული ეკონომიკის მყარ ზრდას.

### 4.1.4 დეპრესიული სექტორი

ეკონომიკური გადაწყვეტილებების სრულიად განსაკუთრებული სფეროს წარმოდგენს **დეპრესიული სექტორი**, კერძოდ მისი ისეთი დარგი, როგორიცაა ქვანახშირის მრეწველობა. ბოლო დრომდე მიუხედავად ბიუჯეტის მუდმივად დეფიციტური მდგომარეობისა (სესხებითა და გრანტებით ბიუჯეტის დაბალანსებას ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში არ ვიღებთ) სახელმწიფოს ფაქტიურად არ განუხორციელებია ამ მიმართულებით სერიოზული სტრუქტურული პოლიტიკა.

სახელმწიფოებრივი ჩარევის ზომები, როგორც წესი, სუბსიდიების სახით მხოლოდ კოსმეტიკურ ხასიათს ატარებდნენ. (რაც ძირითადად მიმართული იყო დეპრესიულ დარგებში და ქვედარგებში დასაქმებულთა შესანარჩუნებლად).

როგორც შედეგი, დეპრესიული სექტორის საინვესტიციო სფეროში პრაქტიკულად არ განხორციელებულა საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება; ერთადერთ სუბიექტს, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალის მოძრაობაზე, წარმოადგენს სახელმწიფო.

ჩვენი აზრით, განსახილველ სექტორში სრულიად არასახარბიელო მდგომარეობის გამო სწორედ სახელმწიფო იქნება იძულებული მისი საბაზრო ტრანსფორმაციის ხანგრძლივ პერიოდში თავის თავზე აიღოს ეგრეთწოდებული „სარეაბილიტაციო" ხარჯები. ცენტრალიზებული ფონდების მეტად შეზღუდულობის გამო აღნიშნული სახის ინვესტიციების წყაროდ გამოყენებული უნდა იქნეს ზედმეტი მოწყობილობის გაყიდვით ან უტილიზაციით მიღებული ამონაგები. ამასთან დაკავშირებით სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალური კანონის მიღება დეპრესიული სექტორის შესახებ. ამ მხრივ ძალიან სასარგებლო იქნებოდა ასეთი კანონშემოქმედების იაპონური გამოცდილების (1960-1970 წლების) გამოყენება. ასევე პრაქტიკული სარგებელი შეუძლია მოგვცეს კანადაში განხორციელებულმა ბაზრის დეპრესიული სეგმენტების რეგულირების გამოცდილებამ. ასეთ კანონში იურიდიულად დაფიქსირებულ უნდა იქნეს საწარმო-ბანკროტების რეორგანიზაციის სპეციალური პროცედურები.

### 4.1.5 მცირე ბიზნესის სექტორი

სამრეწველო განვითარებული სექტორის სამეურნეო სტრუქტურის გარდაქმნის ერთ-ერთ არსებით ტენდენციას წარმოადგეს მცირე ბიზნესის საწარმოთა წინმსწრები განვითარება. ცხოვრებამ დიდი ხანია უარყო ადრე მიღებული დოგმა იმის შესახებ, რომ სტრუქტურული ძვრები ხდება ერთი მიმართულებით – გაერთიანებებითა და გამსხვილებით, რაც არც თუ შორეულ წარსულში განსაზოგადოებად იწოდებოდა. მაგრამ პროგრესისაკენ გზა არ არის ცალსახა. თანამედროვე ეკონომიკამ წარმოშვა მილიონობით წვრილი და უწვრილესი საწარმოები. სხვადასხვა ელემენტების გაერთიანება და განსაზოგადოება ეკონომიკურ სისტემაში, მათი ურთიერთმოქმედება – თანამედროვე ეკონომიკის სტრუქტურიზაციის რეალური პროცესია.

მე-20 საუკუნის 60-ანი წლების შუა პერიოდამდე ტექნიკური პროგრესის გავლენა იწვევდა საწარმოთა მოცულობის არსებით ზრდას. 1920-წლიდან 1960-მდე პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო მრეწველობაში საწარმოთა საშუალო სიდიდე 4-ჯერ გაიზარდა, შავ მეტალურგიაში – 1,5-ჯერ, ნავთობმომპოვებელთა და ცემენტის მრეწველობაში – 2-ჯერ მეტად, ფქვილ-საფქვავ მრეწველობაში – 30%-ით გაიზარდა და ა. შ. უკვე მე-20 საუკუნის 60-იან წლებიდან თავი იჩინა საწინააღმდეგო ტენდენციამ – საწარმოთა საშუალო შემცირება-კლებამ. ე. მენსფილდი, სწავლობდა რა ტექნიკური პროგრესის გავლენას საწარმოთა სიდიდეზე და დონეზე, აღნიშნავდა, რომ უწინ ტექნიკურ პროგრესს მიეყავდით საწარმოთა სიდიდის ზრდისაკენ და კონცენტრაციის დონის ამაღლებისაკენ. დღეისათვის აღნიშნული ტენდენცია რიგ დარგებში კვლავ შენარჩუნდა (ქიმია, ნავთობგადამამუშავებელი და სხვა). თუმცა იმავდროულად სხვა დარგებში (კვების, მსუბუქი, ინფორმა-

ტიკა, საქმიანი და სხვა მომსახურება) ტექნიკური სიახლეთა დანერგვის შედეგად იგი შეიცვალა საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც ხელს უწყობს წვრილი ფირმების რაოდენობის მასობრივ ზრდას.

აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ მცირე ბიზნესის საწარმოები თანდათან გამოდიან მონოპოლისტური გიგანტების მორჩილებიდან და ბევრ რამეში დამოუკიდებლები ხდებიან, ახალი ტექნოლოგიების სახით იქმნიან თავიანთ საკუთარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზისს. ჩნდება შრომის მრავალი სახეობა (პროგრამირება, საკონსულტაციო და ინფორმაციული მომსახურება, ინდივიდუალური ხასიათის სხვადასხვა მომსახურება, ვენჩურული ბიზნესი), რომელთა ეფექტიანი ორგანიზება შესაძლებელია მცირე ბიზნესის ფარგლებში. ამავე დროს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე მცირე ბიზნესის სფერო ფართოვდება საზოგადოებრივი წარმოების ტრადიციულ დარგებში; მაგალითად, სოფლის მეურნეობაში (მცირე მექანიზაცია), მსუბუქ და კვების მრეწველობაში. მცირე საწარმოთა ეფექტიანობა ხშირად აჭარბებს კიდევაც მსხვილი სამრეწველო გაერთიანების შესაბამის მაჩვენებლებს. ამრიგად, მცირე ბიზნესის „მეორედ დაბადება“ – საზოგადოების ტექნოლოგიური ბიზნესისა და მისი სტრუქტურის სხვა ელემენტების ისტორიული განვითარების კანონზომიერი შედეგია.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ძირითად პრობლემებს წარმოადგენენ საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა, ყოფილი მსხვილი სახელმწიფო საწარმოო ერთეულზე დამოკიდებულება (ამჟამად – სააქციო საზოგადოებები), მათი მომარაგებისა და გასაღების სფეროში მუშაობა. ხშირად მცირე საწარმოები ბაზრიდან იდევნებიან მსხვილი მწარმოებლების მიერ სულაც არა საბაზრო მეთოდებით; ისინი მათი მხრიდან განიცდიან ზეწოლას, შევიწროვებას და ბაზრიდან იდევნებიან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მეთოდების გამოყენების გზით, აგრეთვე ხელისუფლების კორუმპირებულ სტრუქტურებთან და კრიმინალურ ელემენტებთან კავშირის გზით. ამის გარდა, პოსტ-ინდუსტრიულ ბაზარზე გადასვლის ეტაპზე წარმოშობილი ცალობრივი წარმოება მოითხოვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არის ფორმირებული.

ჩვენი შეხედულებებით, მცირე ბიზნესში ინვესტიციების მასიურად მოზიდვის პრობლემების პოზიტიურად გადაწყვეტა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება პირველ რიგში დაკავშირებულია რეგიონული ეკონომიკური ურთიერთობების წარმატებით განვითარებასთან.

დღევანდელ დრომდე საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში არ არის ჩამოყალიბებული ისეთი ნორმალური რეგიონული ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნების მისაღებ დაკმაყოფილებას. საქმის ვითარება არსებითად მოითხოვს რეგიონული ბაზრებისათვის დავაჩქაროთ ისეთი ინფრასტრუქტურის ფორმირება, რომელშიც მცირე მეწარმეობა, როგორც წესი, წამყვანი მექანიზმის როლს ითამაშებდა.

როგორც პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რეგიონულ ინფრასტრუქტურაში დაბანდებანი დაკავშირებულია აუცილებელ დანახარჯებთან იურიდიული სამსახურის შესაქმნელად, კადრების პერეკვალიფიცირების სისტემის შესაქმნელად, თვით მართვის რეგიონული ორგანოების გარდასაქმნელად და სხვა სიტყვებით, აუცილებელია მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსირება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოს მონაწილეობით. შედეგად, მცირე ბიზნესის სფეროს ინვესტიციურ პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობა კონცენტრირებულ იქნება მხოლოდ ერთი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაზე – რეგიონულ დონეზე სრულფასოვანი საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნაზე.

რეგიონულ ინფრასტრუქტურაში დაბანდებებმა უნდა გამოიწვიოს მცირე ბიზნესის პროდუქციაზე მისი სხვადასხვა მიმართულების მიხედვით მოთხოვნის ზრდა და პარალელურად, დასაწყისისათვის მნიშვნელოვანი შრომითი რესურსების სრული და ნაწილობრივი დასაქმება, მათ შორის ჭარბი შრომითი რესურსების რეგიონებშიც. მხოლოდ მაშინ შეიძლება სრული მოცულობით იქნეს რეალიზებული მცირე ბიზნესში ინვესტირების ცნობილი უპირატესობანი: 1) მოკლე ვადებში ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისების მიზნით არსებული მოთხოვნის შესაბამისად საწარმოო პროცესის სწრაფად გარდაქმნის შესაძლებლობა; 2) მსხვილ საწარმოებში გამოუყენებელი ნედლეულის გადამუშავების მინიტექნოლოგიების წარმოებაში ჩართვა და გამოყენება, მეორადი რესურსების ფართოდ გამოყენება; 3) მოწყობილობაზე და მის განახლებაზე დანახარჯების დაბალი დონე.

ამავე დროს განსახილველ სფეროში ფასწარმოქმნის პროცესში სახელმწიფოს ჩარევა, იწვევს ნორმალური კონკურენციური ძალების მოქმედების დარღვევას. ნაკლებად გამართლებულად გვეჩვენება აგრეთვე მცირე საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური რეგულირების სპეციალური შეღავათიანი რეჟიმის გამოყენებაც (საგარეო ბაზარზე მათი პროდუქციის ექსპორტის ძალიან მოკრძალებული მოცულობის გამო, რაც ამასთან გამოირჩევა კონკურენციის მეტად მაღალი დონით).

ამასთან ერთად, უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ეფექტი შეუძლია მოიტანოს მცირე ბიზნესის ნებისმიერი სახეობისათვის მაღალმწარმოებლური მოწყობილობის იმპორტზე შეღავათიანი ტარიფების დაწესებამ.

უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე მცირე ბიზნესის ფუნქციონირების ინსტიტუციონალური გაფორმება. პირველ რიგში საკითხი ეხება მცირე ბიზნესის სამართლებრივი ბაზის სრულყოფას (განსაკუთრებითთ რეგიონალურ დონეზე), ადმინისტრაციული პროცედურების რაციონალიზაციას (ძირითადად გამარტივებისა და უნიფიცირების მიმართულებით), მცირე ბიზნესის სფეროში საქმიანობის რეგულირებას, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის რეგიონული პროგრამების უზრუნველყოფის რაციონალურ ორგანიზაციას და სხვა.

მცირე ბიზნესის სფეროში გათვალისწინებული აქტიური სტრუქტურული რეფორმების შედეგი, რომელიც მოიცავს კაპიტალის მოზიდვას სახელმწიფო და კერძო წყაროებიდან, უნდა გახდეს მისი ტრანსფორმირება სრულფასოვან, კონკურენტუნარიან სექტორად, ერთდროულად რეგიონულ დონეზე დასაქმების პრობლემების გადაწყვეტით (უკიდურეს შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც). შემდგომ, საშუალო-ვადიანი პერსპექტივის ფარგლებს იქით, მცირე ბიზნესში აქტიური მიმდინარე და კაპიტალური ნაკადების მოძრაობის რეგულირების საჭიროება, ჩვენი აზრით, ძირითადად მოიხსნება. რეგულირების ზემოთ აღწერილი მეთოდების გამოყენება რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურის მიმართ მრეწველობის სექტორული გრადაციის შესაბამისად სულაც არ უშლის ხელს ბაზრის სპეციფიკური სეგმენტების გამოყოფას – სტრატეგიული გარიგების, რომლებიც მომავალში გადამწყვეტ როლს შეასრულებენ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში. სტრატეგიული დარგების განვითარების ამოცანის გადაწყვეტა, აშკარაა, ორგანულად არის დაკავშირებული პოტენციურად კონკურენტუნარიანი სექტორის განვითარების რეგულირების პოლიტიკასთან.

სტრუქტურული რეგულირების ყველაზე უფრო დასაბუთებული ინსტრუმენტების არჩევა უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს მონაწილეობით საინვესტიციო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში ხუთი გამოყოფილი სანარმოო სექტორის მიხედვით, რომელთაც თავიანთ თავში უნდა მოიცვან აგრეთვე დარგობრივი ქვეპროგრამები (კერძოდ, სტრატეგიული დარგების მიხედვით). ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება მაქსიმალურად სრული ინფორმაციის არსებობისათვის შევაფასოთ ინვესტორების წყაროების ურთიერთკავშირი, თვით ინვესტიციები და მათი განხორციელების მოსალოდნელი შედეგები. საბოლოო ჯამში შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ამა თუ იმ საინვესტიციო რეგულატორების გამოყენების ეფექტი თითოეული საინვესტიციო პროექტის, ქვეპროგრამებისა და მთლიანად სექტორული პროგრამების მიხედვით.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით ყველაზე უფრო პერსპექტიული დარგების განსაზღვრისთვის და განვითარების შესაბამისი საინვესტიციო ქვეპროგრამების ფორმირების მიზნით ვთავაზობთ ვისარგებლოთ სტრატეგიული მენეჯმენტში ცნობილი პორტფელური ანალიზის მეთოდიკით. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს დარგობრივი პორტფელების შექმნა თვით ყველაზე უფრო დაბალ სექტორულ დონეზეც და მთლიანად კლასტერების ანალიზი. გამოკვლევის შემდგომი ეტაპი იყო რეგიონული დარგობრივი კომპლექსების კონკურენტუნარიანობის პრაქტიკული შეფასება და რეგიონულ დონეზე დარგობრივი სტრატეგიის შემუშავება. საკითხი ეხება მრეწველობის ორი მოდელის ანალიზისადმი ადაპტაციას, რომელთაგან ერთი შემუშავებული იყო ჯენერალ ელექტრიკისა (General Electric) და კონსალტინგური კომპანია მეკინსეუს (Mekinsey Co) მიერ, ხოლო მეორე – კომპანია შელის (Shell) მიერ. გაერთიანებულ მოდელში თითოეული ღერძი კოორდინატისა განიხილება როგორც მრავალფაქტორული, მრავალასპექტიანი განზომილების ღერძი.

იმ მაჩვენებლების სახით, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა დარგის მიმზიდველობის შეფასება, გამოყენებული იყო შედეგი: სამრეწველო წარმოების ინდექსი, სტრუქტურული ძვრების ინდექსი, მრეწველობის ინვესტიციების სტრუქტურებში წარმოების კონცენტრაციის კოეფიციენტი, მოგების ნორმა, ძირითადი ფონდების ცვეთის კოეფიციენტი, პროდუქციის რენტაბელურობის დონე, დანახარჯების შემცირების (ზრდის) დონე, შრომის ნაყოფიერების ინდექსი, გადატვირთული ინოვაციური პროდუქციის მოცულობა.

რეგიონული სამრეწველო კომპანიების კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად გამოყენებული იყო ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა დარგობრივი კომპლექსების წილი დარგის მთლიანი წარმოების მოცულობაში, გადახვევა სამრეწველო წარმოების საერთოდარგობრივი ინდექსისაგან, გადახრა საერთოდარგობრივი მოგების ნორმისაგან, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდის ტემპი, წარმოებული და გადატვირთული პროდუქციის შეფარდება, დაფარვის კოეფიციენტის ცვლილება (საბ-

რუნავი საშუალებების თანაფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან), კრედიტორული დავალიანების გადამტება დებიტორულ დავალიანებაზე, გადატვირთული პროდუქციის მთლიან მოცულობაში განაღდებული პროდუქციის ხვედრითი წილის ცვლილება.

შემდეგ ინტეგრალური შეფასებები აღნიშნული იქნება მატრიცაზე. ამგვარად, პრაქტიკული გაანგარიშებების საფუძველზე განხორციელებული იქნება რეგიონული დარგობრივი კომპლექსების პოზიციონირება.

დარგობრივი კომპლექსების სტრატეგიული პოზიცია უმჯობესდება მატრიცაზე მარჯვნიდან მარცხნივ და ქვევიდან ზევით გადაადგილების შესაბამისად მრავალი კრიტერიუმების შეფასებათა საფუძველზე.

რეგიონული დარგობრივი კომპლექსების პოზიციონირებამ საშუალება შექმნა გაკეთებულიყო გარკვეული ძირითადი დასკვნები რაგიონული დარგობრივი კომპლექსების განვითარების პერსპექტივებზე და შესაძლო სტრუქტურული ცვლილებების თაობაზე. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, რეგიონული დარგობრივი კომპლექსების მონაცემებს აქვთ შესანიშნავი პერსპექტივა მომავალში გახდნენ ლიდერები დარგში. რეგიონის სტაბილური კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება ტრადიციული დარგების ლიდერობით, რომლებიც ახდენენ მოგების გენერირებას (შიდა გაყიდვებისა და ექსპორტის მეშვეობით) ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირებისათვის და აგრეთვე მაგისტრალურ ინფრასტრუქტურებში. რეგიონული ეკონომიკა კონკურენტუნარიანობისთვის მისი სამრეწველო განვითარება უნდა წარიმართოს განსაკუთრებული გზით. აქ ჩვენ იმას ვგულისხმობთ, რომ არსებული საწარმოებისა და ფირმების დაახლოებით 70-80% უნდა ვითარდებოდეს დასახული მიმართულებით ე. ი. უნდა ეკუთვნოდეს განვითარების გამიზნულ სექტორს, მაშინ როდესაც დანარჩენებს შეუძლიათ იყვნენ როგორც „წარუმატებლები". „წარუმატებლებს" შორის კანონზომიერად აღმოჩნდებიან დეპრესიული სექტორის წარმომადგენლები. შესაბამისად სტრუქტურული რეფორმების ზომები აქ უნდა მოიცავდეს ზედმეტი მოწყობილობისა და სიმძლავრეების კონსერვაციას, რაც რეკომენდირებულია ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ. ამასთან, სოციალურად მნიშვნელოვანი პროდუქტების მწარმოებელი ზოგიერთი დარგები სახელმწიფოს მიერ უნდა იქნან მხარდაჭერილნი. ამის გარდა, „წარუმატებელ დარგებში" ინვესტირების სტრატეგიის გატარების პირობებში, რომელიც მიმართული იქნება ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, ეს დარგები სავსებით შესაძლებელია მომავალში გახდნენ „ვარსკვლავები" და „მეწველი ძროხები".

კონკურენტუნარიანობის გაძლიერების თვალსაზრისით ყველაზე უფრო მისაღებს წარმოადგენს ტრადიციული და მაღალი ტექნოლოგიური სექტორების ბალანსის შექმნა. ერთის მხრივ, ტრადიციული შრომატევადი დარგების განვითარების მიმზიდველობა (კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა და სხვა) არ შეიძლება შეფასებული იქნეს მხოლოდ მოსახლეობის დასაქმების გაზრდის პოზიციიდან. ამ სექტორებს ახალი ტექნოლოგიების პირობებში შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ იმ საქონლებსაც კი, რომლებიც იწარმოებიან „მესამე სამყაროს" ქვეყნებში. მეორეს მხრივ, ინვესტიციები სასურველია წარიმართოს პერსპექტიულ სექტორებში, რომლებიც ქმნიან წინამძღვრებს გლობალური კონკურენციული უპირატესობის შესაქმნელად, მაგრამ მათ არ შეუძლიათ არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება მაღალი და დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოებისათვის.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში დარგებმა დაკარგეს ტექნოლოგიური და საბაზრო კონკურენტუნარიანობა. მათ რიცხვს განეკუთვნება კვების სექტორი, სამშენებლო მოწყობილობა სამშენებლო მასალები, ახალი მასალების შემუშავება, სამრეწველო და სატრანსპორტო მოწყობილობა და სხვა. მიუხედავად ამისა, სწორი სტრუქტურულ – ინვესტიციური პოლიტიკის პირობებში კიდევ არის შანსი მითითებულ დარგებში აღორძინებული იქნას მრავალი საწარმო ახალ ტექნოლოგიურ მართველობით და მარკეტინგულ საფუძველზე. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს აგრეთვე ბუნებათ დაცვის, საინფორმაციო და სამედიცინო ტექნოლოგიებისა განვითრებას.

სისტემური ეკონომიკური ანალიზისას კონკრეტული დარგი არ შეიძლება იხილებოდეს სხვებისგან დამოუკიდებლად და განცალკევებით, ამასთან იგი უნდა ვითარდებოდეს ვერტიკალურად ერთმანეთთან დაკავშირებული სექტორების კლასტერის შიგნით. რეგიონს შეუძლია სწრაფად აამაღლოს კონკურენტუნარიანობა, თუ ერთის მხრივ, შეძლებს გააუმჯობესოს მსხვილ საწარმოთა მომწოდებელი დარგების მდგომარეობა, რამეთუ მსხვილი საწარმოები ეკონომიკის საფუძველს შეადგენენ; მეორეს მხრივ კი – რეგიონი შექმნის პროდუქციის გავრცელებისა და რეალიზაციის ახალ ფორმებს. ამის გარდა, საბაზო დარგის აღდგენა ბიძგს მისცემს მომსახურების სეგმენტების განვითარებას (რომლებიც კლასტერს განეკუთვნებიან). კლასტერების შიგნით ძლიერი საწარმოები შეძლებენ აა-

მაღლონ წარმოების ეფექტიანობა, თუ ამ მიზნით გამოიყენებენ ვერტიკალური ინტეგრაციის სტრატეგიას, რომელიც გამოისახება მომიჯნავე მაჟორიტარული აქციათა პაკეტების შეძენაში.

ვერტიკალური მაკროსექტორული კავშირები, რომელიც არსებობს მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროს შორის, ხელს უწყობს მათ ურთიერთმხარდაჭერასა და განვითარებას, კასტერული ანალიზი უზრუნველყოფს ვერტიკალურ მიდგომას სამრეწველო მონიტორინგისადმი და ამდიდრებს პორტფელური ანალიზის შედეგებს, საზღვრავს რა კონკურენტუნარიანობასა და დარგების ინვესტიციებში მოთხოვნებს რომლებიც განეკუთვნება მათვე ან მომიჯნავე სექტორებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულს აუცილებელია დაემატოს შემდეგი. ინვესტიციური აქტიურობის საფუძველზე ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლისადმი მოცემული მიდგომისას ეკონომიკურ საქმიანობაში საჭიროა უარი ითქვას ე.წ. „ინდრუსტრიულ გადაჯგვარედინების" პრინციპზე. როდესაც განვითარება ხორციელდება არსებული სტრუქტურის და მეურნეობის მოძველებული მეთოდების საფუძველზე, რომელიც დაიყვანება პირველ რიგში სახელმწიფო რესურსების სასარგებლოდ და საჭიროებისათვის გადანაწილებამდე. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მსხვილი ცენტრალიზებული ინდუსტრიის ძველი მიღწევები რომლებიც ეფუძნებოდნენ მკაცრი ადმინისტრირების პრინციპებს, შეიძლება კულტივირობდეს ახალ პირობებშიც საბაზრო გარემოს გათვალისწინებით დაგროვილი საბაზრო ინსტრუმენტების საფუძველზე. საკითხების დაწყებამდე მრეწველობის განვითარებისა და აღდგენის შესახებ, საჭიროა ნათლად იქნეს წარმოდგენილი და გააზრებული განვითარების მიმართულებები: დარგები (საწარმოო ხაზები), სამრეწველო წარმოების სახე (მხვილი, მასობრივი, თუ უფრო წვრილი სეგმენტირება მოქნილი საწარმო ხაზებით) და ა.შ.

ამრიგად, საჭიროა რეგიონული ბაზრების სტრუქტურის ცვლილებისადმი ახალი მიდგომები, რომლებიც დაფუძნებულია ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებაზე. რეგიონის ეკონომიკის არსებული სტრუქტურისას სამრეწველო საწარმოებში ინვესტიციების უბრალო გაზრდა, როდესაც შენარჩუნდება „გენეტიკური" კავშირი ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეურნეობასთან, ჩრდილოვან ეკონომიკასთან და ბარტერის ეკონომიკასთან არ შეუძლია მიგვიყვანოს პოსტინდუსტრიული ბაზრის ჩამოყალიბებამდე და მყარ ეკონომიკურ ზრდამდე.

# ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა და ტერიტორიულ-სამეურნეო წყობა

## 5.1 რეგიონის ტერიტორიულ-საწარმოო ძალები

მოცემული რეფორმის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება რეგიონის, როგორც გარკვეული სამეურნეო-ორგანიზაციული კომპლექსის განხილვას საჭიროებს, რომელსაც აქვს თავისი ხელისუფლება და მართვის სისტემა, თავისი მოსახლეობა, თავისი კანონზომიერებები და განვითარების ტენდენციები. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის მიერ დღის წესრიგში დაყენებულ ამოცანებს შორის უმნიშვნელოვანესს წარმოადგენენ ქალაქისა და მის ახლოს მდებარე რეგიონის ტერიტორიაზე ფორმირებული საწარმოო-ტექნიკური პოტენციალის, საბაზრო და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურების, აგრეთვე კომერციული კომპლექსის ინტეგრაცია. აუცილებელია მაქსიმალურად ავამოქმედოთ შრომითი რესურსები და ტერიტორიული საწარმოო ძალები (წარმოების ფაქტორები), ანუ რაც შეიძლება ეფექტიანად და რაციონალურად გამოვიყენოთ ბუნებრივ-ლანდშაფტური კომპლექსი და მასში ადამიანის შრომით შექმნილი სისტემები. რეფორმის ბოლო მიმართულება მიზანშეწონილია განხილულ იქნეს სპეციალურად, რადგანაც შესაბამის ლიტერატურაში ის ჯერჯერობით არ არის დაყენებული თუნდაც როგორც პრობლემა.

ტერიტორიული საწარმოო ძალები მოიცავენ არა მარტო ადამიანის შრომით შექმნილ ფაქტორებს (ისინი ძირითადად კიდევაც განიხილებიან ტერიტორიული განთავსების პრობლემატიკის კვლევისას), არამედ აგრეთვე ბუნებრივსაც. მას მიეკუთვნება სამეურნეო ბრუნვაში ჩართული მდინარეები, ტყეები, მინდვრები, ჩანჩქერები, მაღალნაყოფიერი ნიადაგიანი მიწის მონაკვეთები და ა.შ. ერთი სიტყვით, ეს არის რეგიონულ-სივრცობრივი სისტემის ან ლოკალურად გარკვეული ტერიტორიის ის ბუნებრივ-ლანდშაფტურ-რელიეფური განსაკუთრებლობა, რომლებიც უკვე ჩართული არიან რეგიონულ კვლავწარმოებრივ პროცესში შესაბამისი ინჟინერულ-ტექნიკური ან ორგანიზაციულ-სამეურნეო ინფრასტრუქტურის კომპლექსის მიერ.

ტერიტორიული მწარმოებლური ძალები – ესაა ადგილმდებარეობის ბუნებრივ-გეოგრაფიული და სივრცობრივ-სამეურნეო თავისებურებათა სპეციფიკური შეხამება, რომელსაც კულტურულ-სამეურნეო ბრუნვაში თავისი პოტენციალური შესაძლებლობების მეშვეობით გააჩნია უნარი შეამსუბუქოს ან გაამარტივოს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური და სივრცობრივ-ტექნოლოგიური პრობლემები და გახდეს სხვა მწარმოებლური ძალების ლოკალური მიზიდვის ცენტრად. ტერიტორიულ-მწარმოებლური ძალების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა ხდება სხვადასხვაგვარად რეგიონულ-სამეურნეო სისტემის განვითარების დონის მიხედვით.

სხვადასხვა სამეურნეო-სივრცობრივი სისტემების არაერთნაირობა ემპირიული ფაქტია. მაგრამ მათი განსხვავების მიხედვით ტიპოლოგიზაციის მცდელობა განახორციელეს მხოლოდ ეკონომისტ-გეოგრაფებმა. ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის ტერიტორიულ-მწარმოებლური ძალების მთელი კომპლექსის შესაძლებლობათა გამოყენების ანალიზისას აუცილებელია თეორიულ-ეკონომიკური მიდგომა.

სოციალურ-ეკონომიკური სივრცობრივი წარმონაქმნების იდენტიფიკაციისათვის ისინი თავისუფლად შეიძლება განისაზღვრონ როგორც ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნი. თითოეული ტერიტორიული წარმონაქმნი (წყობა) ისე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ეფუძნება მწარმოებლური ძალების სრულიად განსაზღვრულ ნაკრებს და იყენებს სამუშაო ძალის ადეკვატურ სოციალურ-პროფესიონალურ ჯგუფებს.

მათი განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნის (წყობის) „კარკასს“ შეადგენს ტერიტორიული მწარმოებლური ძალები, ანუ ძალები, რომლებიც „ამოიზარდნენ“ ლანდშაფტურ-ბუნებრივი კომპონენტების გამოყენების ბაზაზე. ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნის (წყობის) არსი ახასიათებს რეგიონების განვითარების დონეს სოციუმის განვითარების საწარმოო-ტექნოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესში მონაწილეობის დონის თვალსაზრისით. ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნი (წყობა) – ესაა სივრცობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სოციალურ-ეკონომიკური ნიშნის მიხედვით ერთნაირი ტიპის ჯგუფები, რომლებიც ინტეგრირებული არიან გარემომცველ სივრცესთან. ამგვარად, ეს სოციალურ-ეკონომიკურ წარმონაქმნთა რეალობის სხვა დონეა, რომელსაც ახასიათებს ტერიტორიული წარმოსახვა და სივრცობრივი განსაზღვრულობა.

ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნის საფუძველში დევს ორი ხაზი: 1) საკუთრების ფორმების

გართულების ხაზი, რაც იმანენტურია სამეურნეო წარმონაქმნის როგორც ასეთის, და 2) ურბანიზაციის ხაზი, როგორც ადამიანის მიერ ხელქმნილი დასახლებული გარემოს (წრის) სულ უფრო გართულების პროცესი, რაც გასაშუალებულს ხდის ადამიანთა ურთიერთკავშირს ბუნებასთან მათი დასახლების შედარებით კომპაქტურ ტერიტორიაზე.

ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნის არსს წარმოადგენს მიწაზე, როგორც მეურნეობრიობის ობიექტზე საკუთრების ფორმების თავისებურებანი და შესაბამისად საკუთრებითი ურთიერთობები რეგიონული ინფრასტრუქტურის ობიექტზე, რომლებიც აღმართული არიან ქალაქების და მის მიმდებარე რაიონების მიწებზე. ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნი – ესაა გარკვეული საფეხური, ურბანიზაციის საზომი, როგორც გარკვეული და განსაკუთრებული გარემოს ფორმირების პროცესი მოსახლეობის ცხოვრებისათვის, სამრეწველო წარმოების ფუნქციონირებისათვის და ადამიანური მოღვაწეობის სხვა მრავალი სახეობებისათვის, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედებისათვის. ეჭვსგარეშეა, რომ ურბანიზაციის მთელი პროცესის არსის დაყვანა მიწის ფლობის ურთიერთობებზე არ იქნებოდა გამართლებული. მაგრამ ამ მრავალმხრივი ფენომენის ერთ-ერთ არსებით ასპექტს, მისი სიღრმისეული ურთიერთობებით ბევრად არის განპირობებული და განსაზღვრული ტექნიკის გამოყენების დონე (ე.ი. არქიტექტურულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტა და სხვა), მშენებლობის მომზადების კულტურულ-ტექნიკური დონე, დამპროექტებლებისა და არქიტექტორების დონე, საქალაქო თვითმმართველობის დონე და ბევრი სხვა, რომლებიც გამოხატავენ პრინციპში მიწაზე საკუთრებით ურთიერთობებს.

აღსანიშნავია, რომ მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა ადასტურებს მიწაზე ქალაქად საკუთრების ფორმასა და სოფლად საკუთრებას შორის განსხვავების არსებობას. იმ გარემოებაზე, რომ ქალაქში ყალიბდება მიწაზე საკუთრების თავისებური ფორმა, რომელიც პრინციპულად განსხვავებულია სოფელ ადგილებში მიწაზე საკუთრების ტიპიური ფორმებისაგან, ჯერ კიდევ მ. ვებერი მიუთითებდა. ეს – სოციალურობის განსხვავებული დონეა, ვიდრე სოფელი, სხვაგვარი სოციოკულტურული კონტექსტია. სწორედ ეს პრინციპული განსხვავება შევეცდებით დავუდოთ საფუძვლად ტერიტორიულ-სამეურნეო წყობებს (წარმონაქმნებს). ურბანიზაციის პროცესი ინდივიდუალურ-პიროვნული და სოციალურ-ჯგუფური შინაარსის თვალსაზრისით სოციო-კულტურულ კონტექსტში „ადამიანის ცვლილებას ნიშნავს, მისი ინტერესებისა და ქცევის მოღვაწეობის ინტენსიფიკაციას ნიშნავს, თავისუფალი დროის გამოყენების ცვლილებას, ფასობრივი ორიენტაციის ცვლილებას ნიშნავს და ა.შ. ანუ ნიშნავს ყველაფერს იმას, რასაც შეიძლება ცხოვრების წესი ეწოდოს“.

სოციოკულტურული თვალსაზრისით ურბანიზაცია „გადადნობაში“ მდგომარეობს, სოფლის ცივილიზაციის აზრობრივი კონტექსტის ცალკე შექმნილი ანკლავებისი ახალ სოციალობად გარდაქმნაში მდგომარეობს, რომლებიც აყალიბებენ ახალ ცივილიზებულ მოდელს – საქალაქო ცივილიზაციას. მ. ვებერის მიხედვით ურბანიზაცია გულისხმობს იმ კავშირების განყვეტას, რომლებიც ქალაქელებს აკავშირებდა თავიანთ წარსულთან, სასოფლო გარემოცვასთან (ქცევის მათ სოციალურ-ფსიქოლოგიურ სტერეოტიპებთან).

სივრცობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ქვეყნის ერთიან სამეურნეო (საბაზრო) სივრცეში ჩართვის დონისა და სიღრმის, სოციუმის სასოფლო და საქალაქო სოციოკულტურული მოდელების განსხვავებათა გათვალისწინებით შესაძლებელად წარმოგვიდგება გამოვყოთ ტერიტორიულ-სამეურნეო წყობათა (წამოწყებათა) ორი ტიპი: 1) რურალური (სასოფლო, არაურბანიზებული) და 2) ურბანიზებული. პირველ ტიპს განეკუთვნებიან ის ტერიტორიულ-სამეურნეო წამოწყებანი (წყობანი), რომლებშიც, თუ ქალაქები მაინც ითვლებიან, ფიგურირებენ, ისინი გვევლინებიან მხოლოდ როგორც მომხმარებლები და მიწის (ლანდშაფტის) მუშაობის შედეგად მიღებული პროდუქტებით ვაჭრობის ადგილად, სარეწი სახელოსნოებისა და საამქროების ნაწარმის გასაღების ადგილად. მეორე ტიპს განეკუთვნებიან წამოწყებანი, სადაც ჭარბობს ქალაქის მწარმოებლური ფუნქცია, რომელიც ვლინდება მის მიერ შექმნილი ღირებულების მოცულობის ზრდაში, მასში მიმოქცევადი ღირებულების სიდიდით.

რურარულ ტიპს განეკუთვნებიან ნატურალურ-პატრიარქალური და აგრარულ-წვრილსასაქონლო წარმონაქმნები (წყობები). აქ ძირითად საწარმოო ფაქტორს წარმოადგენს დასაქმებულთა სამუშაო ძალა, რომელსაც ახასიათებს კოოპერაცია და პრიმიტიული სპეციალიზაცია, შრომის ელემენტარული საგნები და მექანიზმები (ქარისა და წყლის წისქვილები და სხვა), აგრეთვე ტერიტორიული ფაქტორები – ბუნებრივი რეგიონული მწარმოებლური ძალები, რომლებიც „მიბმული“ არიან კოოპერაციის ორგანიზაციულ ფორმებთან და ა.შ. ისტორიული ადგილის თვალსაზრისით ორივე აღნიშნული ტიპი შეესაბამება სოფლის ცივილიზაციას, როგორც საზოგადოებრივი განვითარების სოციოკულტურული ტიპები.

ნატურალურ-პატრიარქალური წარმონაქმნები ხასიათდება ბუნებრივ-ლანდშაფტური კომპლექსის ჩართვით ძირძველი დასახლების კულტურულ-საწარმოო ინფრასტრუქტურაში, რომლებიც ბუნებას-

თან „სიმბიოზში“ არსებობენ. ამით განსაკუთრებით ხასიათდება რუსეთის რეგიონები (ნენცები, ჩუკ-ჩები და სხვა ძირძველი დასახლებები). აღნიშნულის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს შე-საბამისი სოციალური ჯგუფების წევრთა თვითიდენტიფიკაცია (როგორც გარემომცველი სამყაროს, მაგალითად, ტყეების, მთების ზღვების, ორგანული ელემენტის).

აგრარულ-ნვრილსასაქონლო წამოწყება უკვე გულისხმობს ქალაქის, როგორც ახლომდებარე ტე-რიტორიის ფოკუსის, არსებობას, ქალაქი ასრულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და შრო-მის საგნებით (რომლებიც ქალაქის სახელოსნოებშია დამზადებული) ვაჭრობის ცენტრის ფუნქციებს. მაგრამ აქ ქალაქი ჯერ კიდევ არ არის და არ გამოდის საზოგადოების თანამედროვე გაგებითა და შინაარსით. ფორმაციული მიდგომის თვალსაზრისით ქალაქი იდენტიფიცირდება როგორც ადრეულ-ფეოდალური, ხოლო სასაქონლო მეურნეობა – როგორც არაკაპიტალისტური ტიპის. ეკონომიკური ზრდის ტიპების სქემის სკალის მიხედვით – ესაა ინდუსტრიამდელი საზოგადოება.

მეორე ტიპს – ურბანიზირებულს – განეკუთვნება ისეთი წამოწყებები, როგორიცაა კერძო კაპი-ტალისტური, აგლომერაციული, კონკურბაციული და მეგაპოლისური. ეს უკვე ქალაქური ცივილიზა-ციაა, რომელიც ასახავს დამატებული ღირებულების შექმნის პროცესის „სიმძიმის ცენტრის“ გადა-ცილებას განვითარების განსხვავებული დონის ქალაქებში.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ კერძო კაპიტალისტური წარმონაქმნი თავის მხრივ წარმოად-გენს იმ დონეს, რომელიც ჩამოყალიბდა აგრარულ-ნვრილსაქონლური წამოწყების განვითარებული ფორმის შემდგომ. მაგრამ ამასთან ერთად ის ხარისხობრივ „ნახტომსაც“ მიგვანიშნებს – კერძოდ, სასოფლო ცივილიზაციიდან ქალაქური ცივილიზაციისაკენ. წარმონაქმნთა ურბანიზირებული ტიპის დამახასიათებელ თავისებურებას ცივილიზაციური კონტექსტის თვალსაზრისით წარმოადგენს სამუ-შაო ძალის ინდუსტრიალიზაცია და ტერიტორიული მობილურობა. ინდუსტრიალიზაციის პოზიციები-დან მოცემული ტიპი შინაარსობრივად ხასიათდება წარმოების ბუნებრივი ძალებისა და ბუნებრივი ფაქტორების (მინის, წყლის) როგორც ძირითადის უშუალო გამოყენებისაგან უარის თქმით, განცალ-კევებით და საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და საქონლისა და მომსახურების წარმოე-ბას შორის ჯაჭვური კავშირის ფორმირებით. ფორმაციული თვალსაზრისით – ესაა გვიანი ფეოდა-ლიზმი და კაპიტალიზმი მისი განვითარების ყველა სტადიებზე. როსტოუს ცნობილ კლასიფიკაციაში – ესაა „აფრენისათვის“ წანამძღვრების შექმნა და ინდუსტრიული „აფრენა“.

ურბანიზაცია სახეს უცვლის ტერიტორიული სისტემების თვით სივრცეს, ავსებს რა მას ახალი აზ-რით, იზიდავს სოფელს ქალაქისაკენ; ურბანიზაცია ასრულებს თავის ცივილიზაციურ მისიას, რამაც კი-დევაც განსაზღვრა მოცემული ტიპის წამოწყებათა სახელწოდება – ურბანიზირებული ტიპი. კერძო კა-პიტალისტური წარმონაქმნისათვის უკვე დამახასიათებელია ფულად-სასაქონლო ურთიერთობების ტო-ტალური გავრცელება ბაზარზე, საქონლის ისეთი სახის წარმოჩენა, როგორიცაა „სამუშაო ძალა“ (მუშა-კის შესაბამისი ხარისხის თავისუფლებით, მათ შორის რეგიონული გადაადგილების თავისუფლებით). მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ წამოწყებათა დანარჩენი სხვა სახეები მოცემული ტიპის ჩარჩოებში თითქოს არ იყვნენ კერძო კაპიტალისტური ხასიათის. ყველა ისინი აგრეთვე ვითარდებიან ამავე სოციო-კულტურულ პარადიგმაში. მათი სპეციფიკა და განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ შრომის განსაზო-გადოებისა და წარმოების სპეციალიზაციის დონე განვითარებული კერძო კაპიტალისტური სახით ახდენს კერძო კაპიტალისტური მოღვაწეობის ინსტიტუციონალური სუბიექტების განსხვავებულ ორგანიზაციულ ფორმათა ფორმირებას, ასევე ახდენს მათი სხვადასხვაგვარი ინტეგრაციული წარმონაქმნთა ფორმირე-ბას. ურბანიზაციული ტიპის წარმონაქმნთა ყველა სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სწორედ ამ პროცესის თავისი განსაზღვრული ზომებით, რაც სივრცობრივადაა გამოსახული.

ამ პროცესების სივრცობრივად გამოხატული ზომა ასახვას პოულობს ურბანისტული ტიპის წარ-მონაქმნთა დანარჩენ სახეობათა განსაზღვრაში. ასე მაგალითად, შრომისა და კაპიტალის მიზიდვის პროცესი ლოკალურად განლაგებულ სივრცობრივ-სამეურნეო სისტემებში იწვევს ამგვარი ცენტრე-ბის ირგვლივ ქალაქ-თანამგზავრების განვითარებული სისტემის ფორმირებას, რომლებიც მჭიდროდ არიან მიბმული (სხვადასხვაგვარი ურთიერთქმედებებით) წარმონაქმნის პოლუს-ცენტრთან. ეს უკვე მოასწავებს ასეთი ქალაქის გავლენით მთელი ტერიტორიის გადასვლას აგლომერაციულ წარმონაქ-მნში. როდესაც მოცემული პროცესი განსაზღვრულ ტერიტორიაზე იწვევს რიგი შედარებით ავტონო-მიური წარმონაქმნების წარმოშობას, მაგრამ ამასთან არანაკლებ ერთმანეთთან დაკავშირებულ რა-მოდენიმე ქალაქ-აგლომერაციის ჩამოყალიბებას, უკვე ადგილი აქვს ტერიტორიულად განსაზოგადე-ბული დონის მიხედვით უფრო მაღალი დონის სივრცობრივ-სამეურნეო სისტემის ფორმირებას – ესაა კონურბაციური ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნი.

წარმონაქმნთა შემოთავაზებული კლასიფიკაციის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ე.წ. მეგაპო-

ლისური. მისი არსებითი მახასიათებელი შინაარსი ხდება ტერიტორიულ-სამეურნეო ინტეგრაცია, რომელიც ხასიათდება აგლომერაციულ წარმონაქმნთა კონურბაციური ქსელის ერთ მთლიანობად ქალაქთანამგზავრებთან, ქალაქგარე ტერიტორიებთან, გარეუბნებთან და თითოეული მათგანის გარშემორტყმული სასოფლო სივრცესთან ერთად გაერთიანებით (თავისი გავლენის ინტეგრალური ზონით). ეს ხარისხობრივად უკვე სხვა დონეა არა მარტო ურბანიზაციის, არამედ სოციალურობის თვალსაზრისით. მთლიანად ის მიღწეულია თვალსაჩინო სახით მხოლოდ იაპონიაში. ზონა – ტოკიო-ოსაკა წარმოადგენს ერთიან მეგაპოლისურ სივრცეს გარეუბნებთან ერთად, რომლებიც მთლიანობაში ერთად ქმნიან ერთ მთლიანს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული იაპონური მეგაპოლისური სივრცე ახდენს რეკორდის დემონსტრირებას მოსახლეობის კონცენტრაციისა და ეროვნული მასშტაბით წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილით – 60% ერთობლივი მთლიანი პროდუქტის.

### 5.2 ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქმნები სოციოკულტურულ ძვრათა კონტექსტში.

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ სასოფლო ცივილიზაციური ტიპი – ესაა პიროვნების თავისებური სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც აგებულია თავისი ჩვეულებრივ დამახასიათებელ სანარმოო-ყოფითი ინფრასტრუქტურის კონტექსტში, როგორც რეგიონალურად შეზღუდული ყოფის აზრების სივრცე. სოციალურობის ეს ტიპი ჩადგა ტრადიციული ეროვნული კულტურის მწყობრში. მისი ნგრევა საბაზრო რეფორმების მსვლელობისას, და მაშასადამე, სოფლის მთელი ყოფის, თავის თავში ატარებს მძლავრ დესტრუქციულ მუხტს. სოფლის მოსახლეთა (რეგიონულად შეზღუდული სივრცის) მიერ წარმოებული პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება და იმპორტირებული პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა, იწვევს სოფლის არასაჭიროებას და მისი მცხოვრებლებისგან დაცლას.

სოფლის ცივილიზაციის წარმომადგენელთა აყრა, გაგდება თვისებრივად ახალ და ამასთან მათთვის უცხო გარემოში – საქალაქო ცივილიზაციის გარემოში, რომელიც მოდიფიცირებულია ახალი ინსტიტუტებით, ურთიერთობის ფორმებითა და ყოფით, სადაც უწინდელი ცხოვრების წესები და ჩვევები, მათ შორის წინაპართა თაობების გამოცდილებანი, აღმოჩნდება არა საჭირო, არამოთხოვნილებადი, ხდება პირადი ღრმა ტრაგედია. სოციალურ-ფსიქოლოგიური თვითიდენტიფიკაცია შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ ისეთ ფორმებში, რომლებიც ასე თუ ისე მოიცავენ გარე სამყაროს ახალი პირობებისადმი ადაპტირების ტრადიციულ ინსტრუმენტებს, ამიტომ მსგავს სიტუაციებსა და შემთხვევებში თვითიდენტიფიკაციის სივრცეში ჩაირთვებიან (მოიზიდებიან) ნათელი და ტრადიციული ჭეშმარიტი სოციალურ-ჯგუფობრივი საზოგადოებრივი შეგნების კონსტრუქციები; ხოლო ესენი, უპირველეს ყოვლისა, არის ეთნიკური (რამდენადაც მოცემული ნიშან-თვისება პიროვნებისათვის დამახასიათებელია, იმანენტურია ნებისმიერ სიტუაციაში), რელიგიური (როგორც თავიანთ წინაპრებთან კავშირის კოორდინატი) და სხვა.

გარდამავალი პერიოდის წლებში მოხდა ჯერ კიდევ შეუმჩნეველი, მაგრამ საკმაოდ ძლიერი შეფერხება სოფლის მეურნეობის საერთო სოციოკულტურულ ინდუსტრიალიზაციის პროცესში. ინდუსტრიალიზაციის პროცესი, რომელიც თავისი არსით, თავისი ობიექტურ ფუნქციად მიიჩნევდა სოფლის ცივილიზაციის ყოფითი არეალის გარდაქმნას ცივილიზაციის ქალაქური ტიპად, აღმოჩნდა, რომ ე.წ. განვითარებულმა სოციალიზმმა ყველა რეგიონში ვერ მოახერხა სოციოკულტურული დინამიკის პრობლემის გადაწყვეტა და სოფლის მეურნეობის ინდუსტრალიზაციით ვერ გარდაქმნა სოფელი ქალაქად.

სასოფლო ცივილიზაციის „კოდის“ გახსნის კატასტროფიულობა განპირობებულია იმით, რომ იგი თავისთავად წარმოადგენს სოციალურობის პირველად (ისტორიულადაც, ლოგიკურადაც) ფორმას. ქალაქური ცივილიზაცია, რომელიც ამოიზარდა სასოფლო სოციოკულტურული მოდელის ბაზაზე შემდგომი მოდელების სახესხვაობათა მიუხედავად, ასე თუ ისე „ხსნის“ სასოფლო მენტალურობის პოზიტიურ ზედნაშენს. ამასთან ქალაქური ცივილიზაციის სიმაღლიდან, დონიდან მოწყვეტა სასოფლო ცივილიზაციის სივრცეში არანაკლებ დესტრუქციულია საზოგადოებისათვის, ვიდრე სასოფლო ცივილიზაციის სოციალურ-ყოფითი კონტექსტის მიჩქმალვა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისათვის სოციალურობის მსგავსი ჩავარდნები – ეს ემპირიული ფაქტია. ამაზე რეაქცია ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვაგვარია. რაიონულ ქალაქებსა და სოფლებში იმრავლა თვითუზრუნველყოფის ნატურალურმა წარმონაქმნებმა, რომლებიც ამას აღწევენ საკარმიდამო საბოსტნე მეურნეობიდან. დეპრესიულ სასოფლო რაიონებში ადგილი აქვს ახალგაზრდა ადამიანების ქალაქებში მიგრაციას, ხოლო დანარჩენი მოსახლეობის მიერ ალკოჰოლისადმი მიძალებას, ზოგ ადგილებში მომრავლდა კრიმინალური ელემენტები და ამგვარი მოვლენები (რაც საზოგადოების სამართლიან შეშფოთებას იწვევს).

მუნიციპალური თვითმმართველობის განსახორციელებელი რეფორმა (რომელიც ამჟამად განხილვის პროცესშია) და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს ქვეყანაში კანონის უზენაესობის მიღწევასა და განხორციელებას, ნინააღმდეგ შემთხვევაში სასურველი შედეგის მიღწევა შეიძლება ეჭქვქეშ დადგეს ქვეყანაში დაგროვილი ნეგატიური მოვლენების ფონზე და მათი მინიმუმამდე დაყვანის გარეშე. არც ის უნდა იქნეს დავიწყებული და მხედველობიდან გამორჩენილი, რომ გარდამავალი პერიოდის განვლილ 15 წელინადში ზოგან (განსაკუთრებით ქალაქურ ცივილიზაციებში) ჩამოყალიბდა ისეთი ძალები, რომელთა ხელშიც აღმოჩნდა დიდი დაუმსახურებელი ქონება; საჭიროა მათ მიერ მიტაცებული სახალხო ქონების ბოლომდე ხალხისათვის ანუ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაბრუნება.

### 5.2.1 რეგიონული პოლიტიკა სოციოკულტურული პრობლემატიკის შუქზე

თანამედროვე პირობებში რეგიონული პოლიტიკა სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტია არა მარტო ფედერალურ დონეზე, არამედ აგრეთვე ფედერაციის სუბიექტების დონეზეც. ორივე დონეზე მოცემული პოლიტიკის არსებობა და მისი შინაარსობრივი ნაწილი გამოდის შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ყველა დანარჩენი რეგიონებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიების ფარგლებში პროპორციული განვითარების პრობლემისადმი დამოკიდებულების ინდიკატორად. პირიქით, ასეთი პოლიტიკის არ არსებობა მოწმობს შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ მოცემული ტერიტორიის კომპლექსური განვითარების რეალური პრობლემების იგნორირებას, მათ მიერ დეკლარირებული სოციალურ-პოლიტიკური ლოზუნგებისა და წინასაარჩევნო დაპირებების მიუხედავად.

ფედერაციული რეგიონული პოლიტიკის იმპერატივად უკვე დიდი ხანია უნდა გამხდარიყო საქართველოს სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსის ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფა წარმონაქმნთა სპეციფიკის გათვალისწინებით. არ არის აუცილებელი იმაზე კატეგორიული ლაპარაკი, რომ ნატურალურ-პატრიარქალური ტერიტორიულ-სამეურნეო წარმონაქნთათვის შემუშავებულ უნდა იქნეს საკუთარი სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებს მათ სოციოკულტურულ და ტექნიკურ სპეციფიკას. მასში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მცირე რიცხოვნობის ხალხების სპეციალიზაციის რეალურ პროცესში ჩართვის ეფექტური ფორმების ძიებისა და რეალიზაციის მექანიზმი (მხედველობაში მიიღება ძირითადად მთიანეთის ხალხები და სხვები).

ასეთი მოღვაწეობა შესაძლებელია მცირე ხალხებისათვის გახდეს სოციალიზაციის საშუალება, შესაძლებელია აგრეთვე გახდეს შესაბამისი რეგიონის შესატყვისი აგროსამრეწველო ინტეგრაციის საფუძველიც.

აგრარულ-წვრილსაქონლური ტერიტორიულ-სამეურნეო წარმოქმნებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაციამ უნდა გადაწყვიტოს კოოპერაციულ-სამეწარმეო განვითარების საკითხი კოოპერაციული ტიპის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფორმირებით.

სოფლის ცივილიზაციური სოციოკულტურული მოდელის თემობრივ-გვაროვნულ ინსტიტუტებზე დამოკიდებულება და მათში მაღალი დონით ინტეგრირება, გათვალისწინებული სოციალიზაციის ფუძემდებლური მიმართულების ხარისხში, გულისხმობს კოოპერაციული მოძრაობის ადეკვატურ ფორმებს. მიწების ყიდვა-გაყიდვა ასეთ რეგიონებში ჯერ-ჯერობით მიზანშეწონილი არ არის, რამდენადაც აქ აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ჩვეულებრივი ტრადიციულ-ინსტიტუციონალური „ლანდშაფტი". პირიქით, კერძო კაპიტალისტურ ტერიტორიულ-სამეურნეო წამოწყების ანკლავებში უნდა განვითარდეს ფერმერული მეურნეობა, ინფრასტრუქტურულად უნდა მოეწყოს მიწის ბაზარი და ა.შ.

ყველაფერი ცალსახად არ არის მოწყობილი და ორგანიზებული სამეურნეო წარმონაქმნის ურბანიზებულ ტიპში. ქალაქების უმეტესობას, რომლებიც ქვეყანაში აღმოცენდნენ საბჭოთა ეპოქაში, გარკვეული ფუნქცია ქონდათ დომინანტის მიმართ; ქალაქის განვითარების კვალობაზე ყალიბდებოდა მისი სხვა ფუნქციები, უპირველეს ყოვლისა ახლოს მდებარე სასოფლო ტერიტორიების მომსახურების ფუნქცია. ამიტომ თანამედროვე პირობებში ასეთი პიონერული ფუნქციების მიზანმიმართული ფორმირება მაღალტექნოლოგიური წარმოებების განვითარების საფუძველზე, რომელიც მოწოდებულია დანერგოს ახალი პოსტინდუსტრიული ტექნოლოგიები, უნდა გახდეს სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნად და ასევე ხელისუფლების რეგიონული ორგანიზაციისა და მართვის ძირითად მიზნად. საჭიროა ასეთ ქალაქებში განხორციელებულ კერძო კაპიტალდაბანდებათა სტიმულირება საკმაოდ გრძელვადიანი საგადასახადო შეღავათით იმგვარად, რომ უზრუნ-

ველყოფილ იქნეს საწარმოო-ტექნიკური კავშირი მათ შორის, მიზანმიმართულად უნდა ვაშენოთ ურბანიზებადი ქვეყნის ახალი სივრცობრივი სტრუქტურები.

ქალაქი, როგორც რეგიონული პოლიტიკის საგანი, ხდება ქვეყნის მთელი სივრცის ტერიტორიული რესტრუქტურიზაციის, ტერიტორიულად-ლოკალიზებული ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის, მატერიალური და ფულადი ნაკადების მოძრაობის ინსტრუმენტი მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მიმართულებით.

ჯერ კიდევ საბჭოურ ეპოქაში ერთ-ერთი ცნობილი რუსი რეგიონალისტი გ. ლაპპო აღნიშნავდა: „რაც უფრო დიდია ტერიტორიის ზომა, მით უფრო მეტია სახსრებზე მოთხოვნა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ეკონომიკურად „შეგვეკუმშა“ სივრცე, ეკონომიკურად დაგვეახლოვებინა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილები. ტერიტორიის დიდი ზომები აძლიერებენ გაცვლის კონკურენციის მოთხოვნებს, რაც კიდევაც კმაყოფილდება მაგისტრალიზაციითა და პოლიმაგისტრალიზაციით“

სივრცის „შეკუმშვის“ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ხდება რეგიონების გაჯერება კომუნიკაციისა და ინფორმატიზაციის საშუალებებით. ურბანიზაციის მოცემული ეს ხაზი საინფორმაციო ეპოქაში იძენს იმპერატივის ხასიათს. ამასთან, ფაქტები საქართველოს ახალგაზრდობის კომპიუტერული საკვალიფიკაციო დონის შესახებ პატარა და საშუალო ქალაქებიდან გვიჩვენებენ, რომ ინფორმატიზაციის პერსპექტივები ქვეყნის სიღრმეში მრავლისმეტყველია. საჭიროა მხოლოდ განხორციელდეს დაბანდებანი აღჭურვისა და სწავლების დაჩქარებისათვის. შემდეგ კი მზარდად დაიწყებს ფორმირებას აუცილებელი სოციალური ბაზა ქვეყნის მომავალი სოციალური „ნახტომისათვის“ პოსტინდუსტრიული საზოგადოების სიღრმისაკენ.

ნათელი და ცხადიცაა, რომ სტიქიურად ასეთი გაჯერების მიღწევა არ მოხერხდება. სასურველია სახელმწიფოს დახმარება, ხელისუფლებისა და მართვის რეგიონული ორგანოების დახმარება, მსხვილი ბიზნესისა და საშუალო სამეწარმეო სექტორის ძალისხმევა დაინტერესებულთა მოსაზიდად ქვეყნის პროგრესით. ქვეყნის რეგიონულ პოლიტიკაში უნდა დაფიქსირებულ იქნეს მიმართულებანი, რომლებიც გამიზნული არიან ქვეყნის „სიღრმეში“ პერსონალური კომპიუტერების პარკის გაზრდისაკენ, პროგრამული და ინფორმაციული პროდუქტების შექმნისაკენ, ინტერნეტში კავშირისათვის გამოყოფილ ხაზებში ჩართვის უზრუნველყოფისათვის, ღონისძიებების შემუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში სამუშაოთა სპეციალიზაციისათვის და სხვა.

ამგვარად, ურბანიზაციის სოციალური შინაარსი მდგომარეობს ქალაქელებისა და მათი გარემომცველი ტერიტორიების მცხოვრებთა განსაკუთრებულ სოციალურ განათლებაში გადაყვანა – დასახლების მიხედვით სოციალურ ერთობაში გადასვლა.

ეკონომიკაში აუცილებელი ტერიტორიული პროპორციების უზრუნველყოფა-შენარჩუნება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით რეგიონების დიდი დიფერენციაციის არ დაშვება, სრულიად საქართველოს ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველყოფა წარმოადგენენ საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციისა და მისი მყარი განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტს. ქვეყნის ტერიტორიული განვითარების ახალი სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს ფედერალური ცენტრის მიერ რეგიონული პოლიტიკის არა მარტო აქტივიზაციას, არამედ აგრეთვე ფედერალური ურთიერთობების ყველა სამართლებრივი, ინსტიტუციური, ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფას.

### 5.2.2 საქართველოს ტერიტორიული განვითარების ნეგატიური ტენდენციები და მათი დაძლევის ამოცანები

ქვეყნის ბოლო 10-15 წლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნეგატიურ ტენდენციას წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების სულ უფრო გაძლიერებადი და მზარდი დიფერენციაცია, განსაკუთრებით კი ბევრი რეგიონის სულ უფრო პროგრესირებადი ჩამორჩენა. ეს დაკავშირებული იყო: 1) უპირველეს ყოვლისა საბაზრო კონკურენციის მექანიზმის ჩართვა-ამოქმედებასთან, რომელმაც ქვეყნის ცალკეული რეგიონები დაანაწილა მათი კონკურენციული უპირატესობებითა და ნაკლოვანებებით; გამოვლინდა ეკონომიკის განსხვავებული სტრუქტურის მქონე და მოსახლეობისა და ხელისუფლების განსხვავებული მენტალიტეტის მქონე რეგიონების არათანაბარი ადაპტაცია ბაზრის მიმართ. 2) არსებითად შესუსტდა სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი, რაც გამოიხატა რეგიონულ განვითარებაზე სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობათა მკვეთრად შემცირებაში, რიგი რეგიონული ეკონომიკური და სოციალური კომპენსაციების გაუქმებაში. 3) თავი იჩინა და გამოიკვეთა სხვადასხვა სუბიექტების ფაქტიური უთანასწორობა ცენტრთან ეკონომიკურ ურთიერთობებში.

შედეგად, რაც მნიშვნელოვანი ნეგატიური მოვლენაა, ერთ მოსახლეზე მთლიანი რეგიონული პროდუქტის წარმოებითა და ერთ მოსახლეზე რეალური შემოსავლის სიდიდით რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავებულები გახდნენ. ასეთ მკვეთრ დიფერენციაციას თან ახლავს შედეგიც, რაც სიღატაკისა და დეპრესიის არეალის გაფართოებაში გამოიხატება, რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მექანიზების შესუსტებაში და რეგიონათაშორისი წინააღმდეგობების გაზრდაში ვლინდება. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად აძნელებს საერთო ქართული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პოლიტიკის განხორციელებას.

ცენტრისა და პერიფერიის მოსახლეობის, აგრეთვე ქვეყნის რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების პირობებში მკვეთრი განსხვავება საზოგადოების მიერ აღიქმება სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევად, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ცენტრიდანული ტენდენციებისა და სეპარატიზმის შემდგომი გაძლიერება. ამიტომ საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ძლიერი სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული მკვეთრი დიფერენციაციის შერბილებისაკენ (შესუსტებისაკენ).

მეორე ნეგატიური ტენდენციაა – საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი პრობლემური რაიონისა და რეგიონის წარმოშობა (წარმოჩენა), ან განსაკუთრებული ანომალიების მქონე ტერიტორიების გამოჩენა, რომლებიც ხასიათდებიან სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების სიმწვავით.

**კრიზისულს** განეკუთვნებიან ის რეგიონები და ტერიტორიები, რომლებმაც განიცადეს ბუნებრივი, ტექნოლოგიური ან სხვა სახის კატასტროფა და დამანგრეველი სტიქიური ზემოქმედება, შედარებით მასშტაბური ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონფლიქტები (აფხაზეთი, სამაჩაბლო), წარმოებისა და ცხოვრების დონის ექსტრემალური დაცემა-დაქვეითება; ყოველივე აღნიშნულის შედეგია დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალის მოშლა და მოსახლეობის დიდი რაოდენობის იძულებითი ემიგრაცია და ადგილმონაცვლეობა.

ჩამორჩენილი (სუსტად განვითარებული) რეგიონების ჯგუფს განეკუთვნებიან ჩვენი სახელმწიფოს ის რეგიონები და ტერიტორიები, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი ობიექტური და ისტორიული მიზეზების გამო რამდენჯერმე ნაკლებია ჩვენი ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, ხოლო მათი ეკონომიკა იმყოფება ხანგრძლივი პერიოდით უძრაობაში და ხასიათდება მრწეველობის მცირედდიფერსიფიკაციური სტრუქტურით, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურითა და სოციალური სფეროთი.

**დეპრესიულს** განეკუთვნებიან ის ტერიტორიები, რომლებიც ხასიათდებიან ეკონომიკური აქტიურობის მყარი და ღრმა დაქვეითებით, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითებით (ასეთებია ძველი სამრეწველო ლოკალური ზონები, აგროსამრეწველო და ზოგიერთი მომპოვებელი რეგიონები). დეპრესიის ბევრი პრობლემის დაძლევა შეიძლება მოხერხდეს და გადაწყდეს შიდა მოთხოვნის გაფართოების ხარჯზე (მათ შორის იმპორტის ჩანაცვლების პრობლემაც). დეპრესიული რეგიონების მდგომარეობის გაუმჯობესება გარკვეულწილად დამოკიდებული იქნება მსოფლიო ბაზარზე საქართველოს პოზიციის გაძლიერებაზე. დეპრესიული რეგიონების გასვლა ეკონომიკის ზრდის მყარ ტრაექტორიაზე შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საკუთარი ძალებით დივერსიფიკაციის განხორციელებით, კონვერსიით, წარმოების მოდერნიზაციით, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობითა და ნახალისებით, ადგილობრივი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებით, გასაღების ახალი ბაზრების ძებნით და სხვა. მაგრამ ამასთან, ღრმა დეპრესიული რეგიონები უნდა გახდნენ მიზნობრივი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ობიექტები.

პრობლემური რეგიონების ჯგუფში შედიან აგრეთვე ქვეყნის ჩრდილოეთი და მთაგორიანი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც ტიპიური ნეგატიური ფაქტორები (არახელსაყრელი კლიმატი, ცხოვრების მაღალი ღირებულება, მაღალი საწარმოო და სატრანსპორტო დანახარჯები და სხვა) არ კომპენსირდებიან ძლიერი კონკურენციული უპირატესობებით უმდიდრესი რესურსების გამოყენების სახით (მაგ. ნავთობისა და ბუნებრივი აირის, ფერადი ლითონების, ძვირფასი ლითონების და სხვა). ამიტომ ასეთი ტერიტორიების ღატაკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოებრივი დახმარების სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას.

მესამე ნეგატიური ტენდენციაა – ეკონომიკური სივრცის დეზინტეგრაცია. 90-იან წლებში ეს იგრძნობოდა და თავს იჩენდა, უპირველეს ყოვლისა, წინათ არსებული ეკონომიკური კავშირების შესუსტებაში და მათ შორის რეგიონთაშორისო კავშირების საგარეო-ეკონომიკურით შევიწროება-გამოდევნაში. რეგიონთაშორისი საქონელგაცვლის მოცულობები უფრო მეტი მოცულობით შემცირდა, ვიდრე წარმოების მოცულობები.

საბაზრო პირობებში რეგიონთაშორისი ეკონომიკური ინტეგრაცია ბაზრის სუბიექტების ურთიერთდაინტერესებას ეფუძნება და არც ერთ რეგიონს არ არგებს განცალკევებულობა, რამეთუ თითოეული რეგიონი დაინტერესებულია თავისი პროდუქციის გასაღების ფართო ბაზრით. განცალკევებულობის, განსაკუთრებლობის, მარტოდმარტო თავის გატანის სინდრომის შემცველად შემოდის რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთქმედების გაფართოებისაკენ მისწრაფება.

დეზინტეგრაციული ტენდენციების დაძლევა პირველ რიგში დაკავშირებულია ეკონომიკური ზრდის განახლებასთან (განსაკუთრებით მრეწველობაში და საინვესტიციო ფორმით), იმპორტის ჩანაცვლების პროცესთან და სატრანსპორტო ტარიფების რეგულირების პოლიტიკასთან. ინტეგრაციული ტენდენციების განახლება არ გახდება რეინტეგრაცია იმ აზრით, რომ არ დაიწყება ყველა ძველი ეკონომიკური კავშირების აღდგენა, რომლებიც არსებობდა „ერთიან სახალხომეურნეობრივ კომპლექსში" მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. ახალი რეგიონთაშორისი ინტეგრაცია აიგება საბაზრო ეფექტიანობის კრიტერიუმების შესაბამისად, სოციალური პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე და ქვეყნის გეოსტრატეგიული ინტერესების შესატყვისად.

**სტრატეგიის რეალიზაციის მიზნები და ეტაპები.** ნეგატიური ტენდენციების გარდატეხა და ეკონომიკური სივრცის მყარი პროგრესული ევოლუცია შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ სახელმწიფოსა და საქართველოს საზოგადოების კონსტრუქციული ძალების კონსოლიდირებული პოლიტიკის ზემოქმედებით. ტერიტორიული განვითარების სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს რეგიონების ეკონომიკისა და ეროვნული ეკონომიკური სივრცის პრიორიტეტებსა და რესტრუქტურიზაციის ეტაპებს, ხოლო რეგიონული პოლიტიკა – სტრატეგიის სარეალიზაციო კონკრეტულ ზომებს უნდა აკავშირებდეს, ახამებდეს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ყველა დანარჩენ მიმართულებებთან, ფედერაციული სახელმწიფოს რესურსულ შესაძლებლობებთან.

XXI საუკუნის დასაწყისში საქართველო შეეჯახა მთელ რიგ ახალ მოვლენებს, რომელთა შედეგები მისი ეკონომიკური სივრცის ხარისხისათვის არაერთმნიშვნელოვანია:

– ეკონომიკური ზრდის გაგრძელების აუცილებლობა ახალ თვისებრივ საფუძველზე;

– საქართველოს რეგიონების გაძლიერებადი (მზარდი) დამოკიდებულება მსოფლიოს მეურნეობისაგან;

– პოსტინდუსტრიული და ინფორმაციური საზოგადოებისაკენ გადასვლა სხვადასხვა რეგიონების განსაკუთრებული ფუნქციებით;

– ცხოვრების დონის ცვლილება და მასთან დაკავშირებით მოთხოვნები სოციალური სფეროს განვითარებისადმი;

– ეკოლოგიურ მოთხოვნათა გამკაცრება მსოფლიო თანამეგობრობის მყარი განვითარების პარადიგმებზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ახალი რეალიები საქართველოს ეკონომიკური სივრცისათვის ქმნიან როგორც ახალ რთულ პრობლემებს, აგრეთვე ახალ შესაძლებლობებს.

ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის მთავარი მიზნები მდგომარეობს ერთიანი ეკონომიკური სივრცის განმტკიცებაში, ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობაში და უსაფრთხოებაში, ყველა რეგიონის ჰარმონიულ განვითარებაში მათი ოპტიმალური სპეციალიზაციის საფუძველზე, შრომის საერთო ქართული და საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე, რესურსული პოტენციალისა და კონკურენციულ უპირატესობათა გამოყენების საფუძველზე.

სტრატეგია მოიცავს რეალიზაციის სამ ეტაპს: 1) გარდამავალი პერიოდის დასრულებას; 2) მსხვილი პროგრამების განხორციელებას, რომელთაც ძალუძთ გამოიწვიონ ხარისხობრივი ცვლილებები წარმოების განლაგებაში, ბუნებათსარგებლობაში და გარემოს მდგომარეობაში, განსახლების სისტემაში, ტრანსპორტისა და კავშირის საშუალებების განვითარებაში; 3) რეგიონების მყარი განვითარების ტრაექტორიაზე გასვლის დაწყებას.

პირველი ეტაპის ამოცანები – რეგიონებში ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაჩქარებული დაძლევა, ძირითადი ინსტიტუციონალური გარდაქმნების დამთავრება. სპეციალურ ამოცანებს წარმოადგენენ რეგიონების განვითარებაში დიფერენციაციის დონის შემცირება (1,5-2,0-ჯერ) ძირითადად ძალიან ჩამორჩენილი რეგიონების წამოწევის მიღწევით და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის დაჩქარებით ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეგიონთაშორისი ბარიერების დაძლევის გზით, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებით, ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნით. ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობის განმტკიცების აუცილებლობა შენარჩუნდება როგორც სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ამ სტრატეგიის განხორციელების მთელ პერიოდში.

## 5.3. საქართველოს გეოსტრატეგიული ინტერესები და გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური სივრცის ევოლუცია

საქართველოს ტერიტორიული განვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრული იქნება მსოფლიო ეკონომიკური, ეკოლოგიური და გეოპოლიტიკური ტენდენციებით, რომლის ძირითადი ფაქტორებია:

– საქართველოს ეკონომიკის სულ უფრო გაღრმავებული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში;

– გეოპოლიტიკური სიტუაციისა და გეოპოლიტიკური პრიორიტეტების დიფერენციაცია სახელმწიფო საზღვრების პერიმეტრის მიხედვით, მათ შორის საზღვრისპირა ზონების არსებობა განსაზღვრული პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობით, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ ეროვნული უშიშროებისათვის;

– საქართველოს ტერიტორიის განსაკუთრებული როლი, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის მდებარეობით და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობის დერეფანი.

საქართველოს გეოეკონომიკური, გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მდებარეობა თანამედროვე მსოფლიოში იმაში გამოიხატება და მჟღავნდება კიდეც, რომ მას (ე.ი. საქართველოს) შეხება აქვს მსოფლიოს უმსხვილეს ეკონომიკურ ჯგუფებთან. სხვადასხვა ხასიათის საკონტაქტო ზონები მომავალში სულ უფრო მეტად გამოიჩენენ დაინტერესებას სამხრეთ კავკასიის გეოსტრატისადმი.

განვითარებულ და სწრაფად განვითარებად ქვეყნებთან მეზობლობა და სტრატეგიული კავშირ-ურთიერთობა კონტაქტური რეგიონებისათვის ქმნის არა მარტო გარკვეულ ეკონომიკურ უპირატესობებს, არამედ აგრეთვე სერიოზულ პრობლემებსაც, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობასთან, მოსახლეობის მიგრაციასთან, კონტრაბანდის თავიდან აცილებასთან, ბუნებრივი რესურსების დაცვასთან და სხვა. საქართველომ, როგორც ევროპულმა ქვეყანამ და შესანიშნავი გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეყანამ შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევროპისა და საერთოდ, დასავლეთისა და აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური ჯგუფების დაახლოება-ინტეგრაციაში, შეასრულებს რა ტრანსკონტინენტალური ხიდის როლსა და მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის აქტიური მონაწილის ფუნქციას.

საქართველოს ჩართვა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს შიდა ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერებისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრანსკონტინენტალური კომუნიკაციების განვითარების პროექტებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადიან.

მნიშვნელოვან ტრანსნაციონალურ პროექტებს მიკუთვნებულ უნდა იქნეს რკინიგზის ტრანსპორტის, საავტომობილო და ტრანსპორტის სხვა საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აბრეშუმის გზის განვითარებას. მთლიანად საქართველოსათვის და მისი რეგიონებისათვის ტრანსკონტინენტური და სხვა საერთაშორისო მაგისტრალები არ შეიძლება შემოიფარგლონ მხოლოდ სატრანზიტო გზის როლით. მათ ზემოქმედება უნდა მოახდინონ რეგიონების ეკონომიკის განვითარებაზე, მათ შორის ახალი ბუნებრივი რესურსების ათვისებაზე, წარმოების განვითარებაზე, მშენებლობის უზრუნველყოფისა და სატრანსპორტო გზების ფუნქციონირებაზე.

სახელმწიფოებრივი სტრატეგიული ინტერესები მნიშვნელოვანია მრავალი ეკონომიკური სივრცისათვის, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე და ზღვისპირა ტერიტორიების განვითარებისათვის. ზღვისპირა რეგიონები არსებით როლს თამაშობენ ქვეყნის უშიშროებაში და საერთაშორისო თანამშრომლობაში.

საქართველოს მოძრაობამ ღია (გახსნილი) ეკონომიკისაკენ, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კავშირების ლიბერალიზაციისაკენ, არსებითად გააძლიერეს საზღვრების კონტაქტური ფუნქციები. ქვეყნის სუბიექტებისათვის უფლებების მიცემამ საერთაშორისო საქმეებში უბიძგა პირდაპირ კავშირებს სხვადასხვა ქვეყნების რეგიონებთან სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე, პირველ რიგში კი საზღვრისპირა რეგიონებთან. ყველაფერმა ამან წარმოშვა სრულიად ახალი პრობლემები. საზღვრისპირა გადასასვლელების არასაკმარისი რაოდენობა, საბაჟო პუნქტების და სასაზღვრო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტების უკმარისობა საშუალებას არ იძლევა მაღალ დონეზე და ხარისხიანად შესრულდეს სასაზღვრო ნებისმიერი ფუნქცია, ჩვენი საზღვარი ვერ ერევა კონტრაბანდის დიდ ნაკადს, ქვეყანაში შემოტანილ არალეგალურ საქონელს დიდი ეკონომიკური ზარალი მოაქვს ქვეყნისათვის. საჭირო ხდება საწარმოო კოოპერაციის, ინფრასტრუქტურის ერთობლივად გამოყენების, ბუნებათ სარგებლობის და გარემოს ერთობლივად გამოყენების ახალი ფორმების ძიება.

**ეკონომიკური სივრცის მოდერნიზაციის პრობლემები.** ეროვნულ დონეზე ტერიტორიული განვითარების სტატეგიის მთავარ შინაგან პრობლემებს წარმოადგენენ:

– ეკონომიკური სივრცის რეალური ინტეგრაციის უზრუნველმყოფელი სატრანსპორტო, ენერგეტიკული, ტელესაკომუნიკაციო, ლოგისტიკური სისტემის ახალ ტექნიკურ საფუძველზე განვითარება;

– სათბობ-ენერგეტიკული ბაზების უფრო თანაბარზომიერი განთავსება (მათ შორის ზოგიერთი რეგიონის ენერგეტიკული დამოკიდებულების შესუსტება, ენერგო და სათბობ მომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია);

– რეგიონების სამეურნეო სტრუქტურების საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისადმი ადაპტირება და მყარი განვითარება (მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნის ჩათვლით, მომსახურების ქსელის განვითარება, წარმოების ეკოლოგიზაცია და სხვა);

– განსახლების სისტემის მოდერნიზაცია ქალაქმშენი ახალი დოქტრინისა და აგრარული რეფორმის საფუძველზე;

– მიგრაციული ნაკადების რეგულირება მოსახლეობის სურვილის და შრომის ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინებით (პირველ რიგში მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაციის მიღწევა მთიან რეგიონებში ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებზე, რიგ საზღვრისპირა ადგილებში მოსახლეობის ჩასახლების სტიმულირება).

სტრატეგიის კონკრეტული მიმართულებები დაკავშირებულია მსხვილი რეგიონული პრობლემების გადაწყვეტასთან, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მთლიანად სახელმწიფოსთვის. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობისაა მასშტაბების მხრივ ეკონომიკის მოდერნიზაციის პრობლემა ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის გათვალისწინებით, ინოვაციური ზრდის პოლუსებისა და კორიდორების შექმნით, სიტუაციის სტაბილიზაციისა და მთიანი რეგიონების ინტენსიური განვითარებისათვის პირობების უზრუნველყოფით. რეგიონების ეკონომიკისა და რეგიონთაშორისი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია ქმნის პირობებს ფედერაციის თითოეული სუბიექტის სრულიად საქართველოს ბაზარში ეფექტიანად ჩართვისა და მონაწილეობისათვის.

ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის ყველა პროექტი საჭიროა დაკავშირებული და მიბმულ იქნან სოციალური, მაკროეკონომიკური, სამრეწველო, სტრუქტურული პოლიტიკის პროგნოზებთან და ღონისძიებებთან. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემა უნდა ექვემდებარებოდეს გამოცდას (შემოწმებას) მისი ტერიტორიული განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

### 5.4 თანამედროვე ეკონომიკური დარაიონების საფუძვლები და საქართველოს ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისა და განვითარების პირობებში ტერიტორიული მართვის განხორციელება საქართველოს რეგიონების მკვეთრი განსხვავებულობისა და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის უთანაბრობის პირობებში შეუძლებელია თანამედროვე მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური დარაიონების პრინციპებისა და საფუძვლების გათვალისწინების გარეშე. მათ შეუძლიათ სერიოზული გავლენა მოახდინონ რეგიონების განვითარების ეფექტიანობაზე, თითოეული რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის საწარმოო ძალების განლაგებაზე.

ეკონომიკური რაიონები წარმოიქმნებიან, ყალიბდებიან და ვითარდებიან შრომის საზოგადოებრივ-ტერიტორიული დანაწილების საფუძველზე. შრომის დარგობრივ დანაწილებასთან, წარმოების უფრო მცირე დარგებად დაყოფასთან, სპეციალიზებული წარმოებების შექმნასთან დაკავშირებით ეკონომიკური დარაიონება იწვევს სამეურნეო ტერიტორიის დაყოფას გარკვეული სპეციალიზაციით კიდევ უფრო მეტად დანაწევრებულ ურთიერთდაკავშირებულ რეგიონებად. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ხელს უწყობს სხვადასხვა სახის პროდუქციის მასიურ და ეფექტურ წარმოებას და ბაზრის გაფართოებას.

თანამედროვე პირობებში საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია ახალ პირობებთან. კერძოდ, საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებისა და განვითარების ახალ პირობებთან და ეროვნული მეურნეობის განვითარების თავისებურებებთან.

პირობების შეცვლასთან დაკავშირებით მომწიფდა საკითხი სამეცნიერო კონცეფციისა და ეკონომიკური დარაიონების არსებული სისტემის გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ. ეკონომიკური და ადმინისტრაციული რაიონების თანამედროვე ბადე არასაკმარისად ესადაგება საბაზრო ურთიერთობათა განსხვავებული ხასიათის ამოცანების გადაწყვეტის საქმეს, რეგიონების სუვერენიზაციის ამო-

ცანებს, შიდარეგიონული ბაზრების შექმნის საჭიროების მიზნებს და სხვა. ამასთან ერთად, საჭიროა გათვალისწინებული იქნეს საქართველოს ცალკეულ რეგიონებს შორის ამჟამად არსებული მკვეთრი ხარისხობრივი განსხვავება და ბოლო 40-50 წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონებში სანარმოო ძალების განლაგებაში მომხდარი ძვრები.

ჩვენი აზრით, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ამჟამად მოქმედი ბადე აუცილებლად კრიტიკული ანალიზის საფუძველზე უნდა გადაისინჯოს. ამასთან დაკავშირებით პერსპექტივაზე გათვლით გათვალისწინებული უნდა იქნეს განვითარების ის ახალი ამოცანები, რომლებიც წარმოიქმნება ამჟამად ფორმირების პროცესში მყოფი ბაზრის მიერ, გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე ბაზრის მიერ რეგიონული კომპლექსების მუშაობისადმი წაყენებული ახალი მოთხოვნებიც.

ეკონომიკური დარაიონებისა და რეგიონალიზაციის პრობლემის მეცნიერულად დასაბუთების ამოცანა მოითხოვს და საჭიროებს არსებული მრავალრიცხოვანი ფაქტორების ღრმა გამოკვლევას, მათ შორის ქვეყანაში ჩამოყალიბებული სანარმოო ძალების განლაგების გათვალისწინებასაც.

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე პერიოდი გამოირჩევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის (მოწყობის) ახალი ობიექტური ფაქტორების წარმოჩენითა და წინათ არსებული ფაქტორების ძირეული ცვლილებით.

საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების ამჟამინდელ ეტაპზე წარმოების ინტენსიფიკაცია განიხილება ტექნოლოგიური პროგრესის უახლეს მიღწევებთან მჭიდრო კავშირში. განსაკუთრებით მწვავედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის პრობლემა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წინაშე დგას, რადგანაც ქვეყანაში მე-20 საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა თითქმის მთლიანად გააპარტახეს სახალხო მეურნეობის არსებული, საკმაოდ მძლავრი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამასთან, ცალკეული რეგიონების ეკონომიკური საზღვრის განსაზღვრა-დადგენისას მხედველობაში მიიღება ტექნიკის ეფექტიანად გამოყენების არა მხოლოდ გეოგრაფიული საზღვრები. ტერიტორიულ დარაიონებაზე და რეგიონალიზაციაზე ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ყოველმხრივ ვლინდება მეურნეობის ტერიტორიული კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და კომპლექსურობის ფორმის მეშვეობით. ეფიქრობთ, აღნიშნული ფაქტორი არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახლებურად დაყენებისათვის.

ქვეყნის ტერიტორიაზე ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი დიფერენციაციის გადამწყვეტ ფაქტორს პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების ცალკეული რაიონთაშორისი განსხვავებები ნარმოადგენს. ცალკეულ რაიონებში ეკონომიკური მაჩვენებლების დიფერენციაციის ფაქტორია აგრეთვე კონკრეტულ რაიონებში ეკონომიკის ფაქტიური მდგომარეობაც. ამიტომ ახლებურად დარაიონების (ტერიტორიული დაყოფის) ამოცანა დღის წესრიგში ტექნიკურ პროგრესთან ერთად აყენებს საწარმოო ფაქტორის გაზრდილი როლის გათვალისწინებას.

ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პირობებში ახალ თვისებებსა და ხასიათს იძენს ტერიტორიული დაყოფისა და რეგიონწარმომქმნელი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა რეგიონების მეურნეობათა ტერიტორიული კომპლექსურობა. ამ უკანასკნელის მნიშვნელოვან მაჩვენებლად გვეელინება მოცემული რეგიონის მეურნეობის მისსავე (ე. ი. მოცემული რეგიონის) ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებთან შესაბამისობა, წამყვანი სპეციალიზებული წარმოებებისა და მათი ტერიტორიული კონცენტრაციის ბაზაზე დარგების რაციონალური შეთანაწყობა-შეხამება, ტერიტორიაზე ფუნქციონირებულ დარგთა სტრუქტურების შედარებითი მსგავსება. საბაზრო ურთიერთობები, ისე როგორც სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სხვა ურთიერთობები, ტერიტორიულ ჭრილში სხვადასხვაგვარია ანუ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ისინი განსხვავებულად ვლინდებიან.

საბაზრო ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებას მაკრო, მეზო და მიკროდონეზე, ერთმანეთისაგან განსხვავებული არიან. მაგრამ ამასთან, მთავარ ფაქტორებად საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მაინც გეელინებიან – რეგიონული ბაზრების ფუნქციონირების პირობები, საქონელმწარმოებლების თავისუფლება, მონოპოლიათა შეზღუდვა, საკუთრების ყველა ფორმისათვის თანაბარი პირობები. მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკონომიკური ინტერესი, როგორც ბაზრის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. საბაზრო პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ბაზრის მატერიალური ელემენტები, ე. ი. საბაზრო ინფრასტრუქტურა – ბანკები, ბირჟები, ბაზრობები, სავაჭრო სახლები, სადაზღვევო კომპანიები.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბაზრის ისეთი მარეგულირებლები, როგორიცაა ფასები, ტარიფები, კრედიტები, ინვესტიციები, გადასახადები და სხვა. ყველა აღნიშნული ფაქტორი

დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის და თავისთავად იმ სისტემას წარმოადგენს, რომელიც აისახება სხვადასხვა, განსხვავებული დანიშნულების ტერიტორიული დაყოფის პრინციპებზე – ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და ორგანიზაციულ დარაიონებაზე. ამასთან დარაიონების ეკონომიკური პრინციპები შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში გამოიხატება, რაც ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. რეგიონწარმომქმნელი ფაქტორები საწარმოო ძალების განლაგებაში ჩამოყალიბებული და პროგნოზირებული სიტუაციების აღრიცხვას გულისხმობენ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტექნიკური პროგრესი, წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია იწვევს იმას, რომ კომპლექსური განვითარების რეგიონწარმომქმნელ პირობებს შორის უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა წარმოების ორგანიზაციის შიდარეგიონული კოოპერირება და კომბინირება.

მეურნეობის კომპლექსური განვითარების მნიშვნელოვან მოთხოვნად იქცა ბუნების დაცვის პროცესის გაძლიერება და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესება. ეკონომიკური დარაიონებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შრომითი რესურსების კვლავწარმოების სოციალური ფაქტორების ტერიტორიულ თავისებურებათა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობათა აღრიცხვა.

საქართველოს საწარმოო ძალების თანამედროვე მდგომარეობის, მისი განვითარების და განლაგების ანალიზი ეკონომიკურ დარაიონების პრინციპებთან მიმართებაში იმის საშუალებას იძლევა, რომ გაკეთდეს ერთადერთი დასკვნა – ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ადმინისტრაციული დარაიონების ბადე საჭიროებს აუცილებელ გადასინჯვას მისი გაუქმების თვალსაზრისით და უნდა განხორციელდეს ქვეყნის გამსხვილებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ (რეგიონულ) მართვაზე გადასვლა.

ქვეყნის რიგი ამჟამინდელი რაიონი, არასრულად და უზუსტოდ ასახავს მოცემული კონკრეტული ტერიტორიული მონაკვეთების სამეურნეო და ბუნებრივ პოტენციალს, ასევე საწარმოო პროფილს, ტერიტორიების კომპლექსური განვითარების ამოცანებს, მათ სამეურნეო პრობლემებს.

ტერიტორიის ეკონომიკური დარაიონების სქემის შემუშავების მეთოდოლოგიური მიდგომები აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებათა ხარისხობრივი ანალიზის შედეგებს:

– საერთო რეგიონწარმომქმნელი ფაქტორების გამოვლენის ტენდენციების აღრიცხვას, ანუ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, წარმოების კონცენტრაციის ტერიტორიულ ფორმებს და სხვა;

– კონკრეტული რეგიონულ-კომპლექსური საკვანძო პრობლემების ანალიზს, ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიებზე რეგიონწარმომქმნელი სპეციფიკური პირობების ანალიზს.

თანამედროვე ეკონომიკური რეგიონი შინაარსობრივად უნდა დახასიათდეს შემდეგნაირად: ეს არის ეროვნული მეურნეობის მთლიანი ტერიტორიული ნაწილი, რომელსაც გააჩნია თავისი საწარმოო სპეციალიზაცია და მყარი შიდაეკონომიკური კავშირები. ეკონომიკური რეგიონი განუყრელად არის დაკავშირებული ქვეყნის შემადგენელ სხვა ნაწილებთან შრომის ტერიტორიული საზოგადოებრივი დანაწილებით, როგორც მყარი შიდაკავშირების მქონე სამეურნეო მთლიანი ერთეული.

ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური რეგიონების აღმოცენება ობიექტურ პროცესს ნარმოადგენს, რაც შრომის ტერიტორიული დანაწილების განვითარებაში გამოიხატება.

ქვეყნის ტერიტორიული რეგიონიზაციის შემდეგ ძირითად პრინციპებად შეიძლება დასახელდეს:

– ეკონომიკური პრინციპი, რომელიც რეგიონს განიხილავს როგორც ქვეყნის ერთიანი სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსის სპეციალიზებულ ნაწილს და რომელიც თავის შემადგენლობაში მოიცავს გარკვეულ დამხმარე და მომსახურე წარმოებებს. აღნიშნული პრინციპის მიხედვით რეგიონის სპეციალიზაცია უნდა განსაზღვროს ისეთმა დარგებმა, რომლებშიც პროდუქციის წარმოებაზე სახსრებისა და შრომითი დანახარჯები, აგრეთვე დანახარჯები საქონლის მომხმარებლამდე მიტანაზე სხვა რეგიონებთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები იქნება;

– ეროვნული პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მათი შრომისა და ყოფის ისტორიულად ჩამოყალიბებულ თავისებურებებს;

– ადმინისტრაციული პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ნაწილებად დაყოფისა და ტერიტორიული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის ერთიანობას. ეს პრინციპი შექმნის პირობებს რეგიონების დამოუკიდებლად ეფექტიანად განვითარებისათვის და საქართველოს შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში რეგიონების როლის განსამტკიცებლად.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრინციპები ფუძემდებლურია საქართველოს ეკონომიკურ რეგიონებად დაყოფის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკისათვის. თანამედროვე პირობებში გამახვილებულ

ეკონომიკურ ტერიტორიებად (რეგიონებად) დაყოფა ნაკარნახევია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებით. ეკონომიკური რეგიონების საზღვრების კონტურები განისაზღვრება

საბაზრო სპეციალიზაციის დარგებისა და მნიშვნელოვანი დამხმარე წარმოებების განლაგების არეალით, რომლებიც საბაზრო სპეციალიზაციის დარგებთან წარმოების კოოპერირებით არიან დაკავშირებული. თანამედროვე ეკონომიკური რეგიონალიზაციის განხორციელების ფაქტორებს აკუთვნებენ აგრეთვე მოცემულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის არსებობას, მოსახლეობის სიმჭიდროვეს, მათ მიერ დაგროვილ შრომით გამოცდილებას და ა.შ.

ეკონომიკური დარაიონების პროცესი სულაც არ გულისხმობს ამ მხრივ პროცესების უძრაობას. უფრო მეტიც, იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესის კვალობაზე სხვადასხვა ფაქტორების გაელენით შეიძლება შეიცვალოს და უფრო სრულყოფილიც გახდეს.

საქართველოს თანამედროვე პირობებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური დარაიონება მოიცავს ავტონომიურ რესპუბლიკებს, მხარეებს, საქალაქო და სასოფლო რაიონებს. არსებული ეკონომიკური დაყოფის (დარაიონების) თითოეული სახე პასუხობს ტერიტორიული განვითარების გარკვეულ ამოცანებს. ასეთი დაყოფის შენარჩუნება მომავალში არაფრით არ არის გამართლებული. საქართველო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის თვალსაზრისით უნდა დაიყოს მაკრორეგიონებად ან ეკონომიკურ ზონებად, რომელთათვისაც დამახასიათებელი იქნება საერთო ბუნებრივი პირობები, შემდგომი განვითარების ტენდენციები, ეკონომიკის მახასიათებელი ნიშნები და სხვა. მოზრდილ რეგიონულ ტერიტორიაზე გამოკვეთილად ჩნდება შედარებით მოზრდილი (მსხვილი) პრობლემები და მათი გადაწყვეტის შესაძლო კონტურებიც.

ქვეყნის ეკონომიკურ რეგიონებად დაყოფის (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის) მთავარი პრინციპებია – კონკრეტული რეგიონის ტერიტორიის სამეურნეო ათვისების დონე, ურთიერთთანაფარდობა არსებულ რესურსებსა და მათი ათვისების ხარისხს შორის. სწორედ ამიტომაა საჭირო არსებული რაიონული დაყოფის გაუქმება და მათი მხარეების შემადგენლობაში მოქცევა, რითაც, ვფიქრობთ, უკეთესად მოხერხდება რეგიონული გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების განხორციელება და პროდუქციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახეობის წარმოებისა და მოხმარების ბალანსირება.

დღეისათვის საბაზრო ურთიერთობათა განვითარების პირობებში საქართველოში შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ შემდეგი ტიპის რეგიონები: 1. ჭარბი სამუშაო ძალის მქონე რეგიონები და 2. მრავალდარგოვანი და დეპრესიული რეგიონები.

რეგიონების პირველი ჯგუფისათვის რეკომენდებულია წერილსაქონლური წარმოების განვითარების ყოველმხრივი წახალისება ქალაქადაც და სოფელ ადგილებშიც. მეორე ტიპის რეგიონებისათვის კი სასურველია შეიქმნას განსაკუთრებით კეთილმყოფელი რეჟიმი სამეწარმეო მოღვაწეობისათვის მათი გადასახადების გადახდისაგან ნაწილობრივ განთავისუფლების გზით და სხვა ხელისშემწყობი ფაქტორების მოშველიებით.

რეგიონების დაფინანსების გაუმჯობესების მიზნით და ინტერესებისათვის სასურველია შეიქმნას საბაზრო ინფრასტრუქტურები – საცხოვრებელი ფონდები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო ფონდები, ბირჟები, ასოციაციები. რეკომენდირებულია ასოციაციები ორიენტირებულ იქნან მნიშვნელოვანი ამოცანების კოორდინირებულ გადაწყვეტაზე, კერძოდ, მაკრორეგიონების განვითარების პროგრამების რეალიზაციაზე, ფონდების შექმნაზე, შრომის ტერიტორიული დანაწილების ეფექტიანობის ამაღლებაზე, წარმოების განვითარებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, ფერმერული და დამხმარე მეურნეობების გაფართოება-განვითარებაზე, სოფლების აღორძინების რეგიონული პროგრამების შემუშავებაზე, მცირე ქალაქების განვითარებაზე, გარემოს დაცვაზე, სხვა რეგიონებთან კავშირების განვითარებაზე და სხვა.

სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელების პროცესში განსაკუთრებით რეალურია წარმოების მკვეთრი დაცემის საშიშროება (რასაც რეალურად აქვს ადგილი საქართველოს პირობებში), მასობრივი უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობის გამწვავება. ამიტომ ასეთი რეგიონების არსებობისათვის აუცილებელია საგადასახადო შეღავათები, კრედიტები, შეღავათები კომერციული ბანკების მოგების გადასახადებზე, ადგილობრივი ორგანოების უფლებების გაზრდა და მოსახლეობის სოციალური დაცვა. რეგიონების ცალკეულ საწარმოებს უნდა მიეცეთ კრედიტები წარმოების მხარდაჭერისა და სოციალური მიმართულების პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტაციის შესაცვლელად.

ყველა ზემოთაღნიშნული შეეხება ინტეგრალურ ტერიტორიულ დანაწილება-დარაიონებასა და დარგობრივ დანაწილება-დარაიონებას (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებად დარაიონება). ამ უკანასკნელთან, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო დარაიონების თვალსაზრისით საბაზრო ურთი-

ერთობების განვითარების საფუძველზე საქართველოში შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი ხასიათისა და მიმართულების სასოფლო-სამეურნეო რეგიონი:

1. ფერმერული რეგიონები კერძო საკუთრების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით;

2. რეგიონები, სადაც კოლექტიური მეურნეობები შეხამებულია ფერმერული მეურნეობების არსებობასთან და ფუნქციონირებასთან;

3. მთიანი რეგიონები;

4. გადასარეკი სასაძოვრე მესაქონლეობის ტერიტორიები;

5. სუსტად ათვისებული ტერიტორიები მინათსარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმით.

უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი აგრარული გარდაქმნები არის მოსალოდნელი ყველა აღნიშნული ტიპის სასოფლო-სამეურნეო რეგიონში. განსაკუთრებით, რეალურად შესაძლებელია უახლოეს ხანში ფერმერულ მეურნეობათა ფორსირებული განვითარება, რის ხელშესაწყობადაც საჭიროა დამატებითი სახელმწიფო ინვესტიციები, სუბსიდიები და სხვა სახის დახმარება-ხელშეწყობა. ამ საქმეს შეიძლება ხელი შეუწყოს აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სოფლად დასახლებამაც.

თანამედროვე ეტაპზე ფართო გაქანება მიიღო თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირებამ, რომლებიც ყველა უპირატესობას იღებენ შესატყვისი მაღალი დონის ინფრასტრუქტურით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. ჩვენში რატომღაც ამ მიმართებით რაიმე პოზიტიური ნიშანწყალი არ არის გამოკვეთილი, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება რატომღაც ძალიან გაუბედავად და ერთგვარი შიშითაც კი უყურებენ აღნიშნულ საქმეში რეალური ნაბიჯების გადადგმის საჭიროებას.

საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებისა და განვითარების პირობებში ახალი შინაარსის რეგიონული პოლიტიკა იწყებს ჩამოყალიბებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს ეკონომიკური რეფორმების რეგიონული ასპექტის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა.

ცალკეულ რეგიონებს შორის არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიულ, სოციალურ-დემოგრაფიულ და ეკონომიკურ განსხვავებათა, აგრეთვე სხვა სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს და განისაზღვროს საქართველოს ცალკეული რეგიონის ეკონომიკის განსაკუთრებული განვითარების კონკრეტული მიდგომები. ამასთან ერთად ამ საქმეში მთავარ ორიენტირებად მიჩნეული უნდა იქნას: 1. საერთო-ქართული სტრუქტურული, ინვესტიციური, ფინანსური, სოციალური და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში რეგიონების მუშაობის სპეციფიურობის გათვალისწინება; 2. რეფორმების რიგ მიმართულებათა ძირითადად რეგიონულ დონეზე გადატანა, განსაკუთრებით მცირე მეწარმეობაში, სოციალურ სფეროში, ბუნების დაცვაში და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში; 3. რეფორმების მართვის პროცესების დეცენტრალიზაცია და ადგილებზე ეკონომიკური მოლვაწეობის (საქმიანობის) გააქტიურება; 4. განსაკუთრებით თავისებური პირობების მქონე რეგიონებში რეფორმების განხორციელების სპეციალური პროგრამების შემუშავების აუცილებლობა.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს ეკონომიკის სივრცობრივი ინტეგრაციისაკენ. ასეთ ღონისძიებებს, ჩვენი აზრით, უნდა მივაკუთვნოთ მეურნეობრიობის სუბიექტებისა და მართვის ორგანოების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურთიერთქმედების მექანიზმის შექმნა, სრულიად საქართველოს შრომის ტერიტორიული დანაწილებისა და ერთიანი საბაზრო სივრცის განვითარებისათვის ყოველმხრივი ხელის შეწყობა, ქვეყნის რეგიონთაშორისი და სამეურნეო შეწყვეტილი კავშირების აღდგენა-განვითარება, ეკონომიკური და პოლიტიკური სეპარატიზმის დაძლევის ღონისძიებების განხორციელება.

სოციალურ სფეროში რეგიონული პოლიტიკის მიზანი უნდა გახდეს ქვეყნის თითოეულ რეგიონში მოსახლეობისათვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. საქართველოში რეგიონული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს შიდასაქვეყნო და შიდარეგიონული სოციალური დაძაბულობის განმუხტვისაკენ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებისაკენ. ეკონომიკურ სფეროში ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის მიზნად გვესახება რეგიონების ბუნებრივ-ეკონომიკურ შესაძლებლობათა რაციონალური გამოყენება, შრომის ტერიტორიული დანაწილებისა და რეგიონების ეკონომიკური კავშირების გაღრმავება-გაფართოების უპირატესობათა მიზანმიმართული გამოყენება.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიულ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ შემდეგის განხორციელება და მიღწევა:

– ძველი სამრეწველო რეგიონებისა და მსხვილი ქალაქების ეკონომიკის რეკონსტრუქცია, მრეწველობის დარგების აღდგენა-ამუშავებით, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, პრივატიზაცია, ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღება;

– აგროსამრეწველო რეგიონების კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, ქართული სოფლის ფენომენის აღდგენა, სასოფლო ადგილებში დაკარგული საცხოვრებელი გარემოს აღდგენის დაჩქარება, ადგილობრივი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მიტოვებული სასოფლო-სამეურნეო მინების ათვისება;

– ექსტრემალური ბუნებრივი პირობების მქონე და უპირატესად სანედლეულო სპეციალიზაციის მიმართულების რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, პირობების შექმნა ეროვნულ უმცირესობათა განვითარებისათვის;

– ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების და სამრეწველო კვანძების ფორმირების დაწყება-განვითარება არაცენტრალიზებული ინვესტიციების ხარჯზე, არსებული ნედლეულის რესურსების კომპლექსური გამოყენებით წარმოებების პრიორიტეტული განვითარებით;

– საექსპორტო მიმართულებისა და იმპორტშემცველი წარმოების განვითარების სტიმულირება იმ რეგიონებში, სადაც ამის განსაკუთრებით კარგი ხელშემწყობი პირობებია: თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირება, მსოფლიო და სამამულო მეცნიერების მიღწევათა რეგიონული ცენტრების შექმნა, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის პროცესის დაჩქარება;

– სახელმწიფო საზღვრისპირა რეგიონების განვითარებისა და სპეციალიზაციის ცვლილების პროცესის დაწყება და სამუშაო ადგილების შექმნა, რეალურად იქ არსებული მომეტებული მოცულობის სამუშაო ძალის დასაქმების მიზნით;

– რეგიონთშორისი და რეგიონულ ინფრასტრუქტურულ სისტემათა განვითარება – ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის, რომლებიც უზრუნველყოფენ და ასტიმულირებენ რეგიონულ სტრუქტურულ ძვრებსა და რეგიონული ეკონომიკის ეფექტიანობას.

საქართველოს სურსათის იმპორტისაგან თავის დაღწევის პოლიტიკა მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დაჩქარებული პროცესის განხორციელებას. ჩვენი სახელმწიფოს ამოცანების უმეტესი ნაწილი სწორედ რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისა და რეგიონების დონეზე გადაწყდება. ამის განხორციელებისათვის კი, ვფიქრობთ, საჭიროა შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმის შექმნა, რომელიც სახელმწიფო რეგულირების პრობლემებს შეახამებს და შეათავსებს რეგიონულ თვითმმართველობასთან.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების უმთავრეს ამოცანებს შორის უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შემავალ ავტონომიურ წარმონაქმნთა ერიანულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მდგრადი საფუძვლების უზრუნველყოფა; საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით მიღწეული და განმტკიცებული უნდა იქნას ეროვნებათაშორისი თანხმობა, ურთიერთნდობა და ქვეყანაში მცხოვრები ხალხების პარტნიორობა; შესაბამისი ძალისხმევით მიღწეული უნდა იქნეს ქვეყანაში ეთნიკური კონფლიქტების წარმომშობი მიზეზების დაძლევა, განუხრელად უნდა იქნეს დაცული სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა და სხვა.

შრომის რეგიონული დანაწილება რეგიონების დამოკიდებულებისა და იმავდროულად ეკონომიკური განცალკევებულობის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან ერთად, იგი სამეურნეო ურთიერთკავშირების გაღრმავების ნანამძღვარიც არის. სწორედ შრომის რეგიონული დანაწილება წარმოადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მეზოდონეს და მთლიანად განსაზღვრავს რეგიონული მეურნეობის განვითარებისა და მაკროეკონომიკური კავშირების ტენდენციებს.

შრომის რეგიონული დანაწილება წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური დარაიონების (ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის) საფუძველს.

პირველი რეგიონული გამოკვლევები დაკავშირებული იყო ქვეყნის დარაიონების პრობლემებთან, დაკავშირებული იყო იმპერიის უკიდეგანო ტერიტორიის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის საჭიროებასთან. საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური დარაიონების საფუძველს. სწორედ ამიტომაც არის, ალბათ, რომ ეკონომიკურ დარაიონებას საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს. რამდენადაც რევოლუციამდელი პერიოდის სამეურნეო ცხოვრება ძირითადად სოფლის მეურნეობით განისაზღვრებოდა, ამიტომ ტერიტორიის რაიონებად დაყოფას საფუძვლად დაედო კლიმატური და სხვა ზონალური ბუნებრივი პირობები.

რეგიონმცოდნეთა სხვა ცნობილ მკვლევარებს შორის, პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია გამოჩენილი რუსი მეცნიერი ნ. ნ. კოლოსოვსკი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი შრომები, როგორიცაა „ეკონომიკური დარაიონების თეორია" და „ეკონომიკური დარაიონების საფუძვლები". ნ. კოლოსოვსკის თვალსაზრისით, დარაიონება არის სივრცობრივი ეკონომიკური სისტემების ფორმირების პროცესის გახსნა, ხოლო ამ სისტემების შესწავლის მიზანი, მისიეე შე-

ხედულებით, მდგომარეობდა ქვეყნის საწარმოო ძალების ტერიტორიული ორგანიზაციის მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევაში.

ეკონომიკური დარაიონების სწავლების მეცნიერულ პრობლემებს ნ. ნ. კოლოსოვსკი 4 ჯგუფად ჰყოფდა:

– თეორიული. აქ საკითხი ეხება ეკონომიკური დარაიონების მეცნიერულ საფუძვლებსა და კანონზომიერებებს.

– ისტორიული. ეკონომიკური დარაიონებისა და მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიის შესწავლა.

– მეთოდური. დარაიონების კვლევის მეცნიერული მეთოდიკის შემუშავება და სისტემატიზება.

– გამოყენებითი. ეკონომიკური დარაიონების თეორიის პრაქტიკაში გამოყენება.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დაწყებასთან ერთად სინამდვილეში წარმოჩინდა ახალი რეგიონული ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენენ მეურნეობის ტერიტორიულ სტრუქტურაზე. ეს გამონვეული იყო ძირითადად შემდეგი გარემოებებით:

– ახალი რესურსების აღმოჩენით;

– სსრ კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლითა და ეკონომიკური კავშირების მოშლით;

– ახალი ქალაქებისა და საქალაქო აგლომერაციების განვითარებით;

– სატრანსპორტო სისტემის შეცვლით;

– საბაზრო რეფორმების გატარებაში დაშვებული შეცდომებით;

– პოლიტიკური არასტაბილურობით, ეროვნებათშორისი ურთიერთობათა გამწვავებით (განსაკუთრებით კავკასიაში).

აღნიშნული და ბევრი სხვა მოვლენა საკმაოდ რთულია და მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის საკმაოდ ხანგრძლივი დრო, პოლიტიკური ნება და მნიშვნელოვანი რესურსებია საჭირო.

ამჟამად მნიშვნელოვანი მიმართულებაა რეგიონული ეკონომიკის მეცნიერულად დასაბუთებული და რეალური კონცეფციის შემუშავება. ამასთან, არსებობს რამდენიმე რაციონალური ვარიანტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პრობლემაში ჯერ მაინც რჩება „თეთრი ლაქები“.

რეგიონული ეკონომიკის მეცნიერული კონცეფცია განსაზღვრავს წარმოების მომავალი განლაგების რთული კომპლექსური პრობლემების ვარიანტული გადაწყვეტის მიმართულებებს, ეკონომიკური რაიონების მეურნეობისა და ადმინისტრაციული რეგიონების ფორმირების მიმართულებებს. აღნიშნული მიზანი უნდა გახდეს მთლიანად წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

ისმის ლოგიკური კითხვა იმის თაობაზე, თუ რა უნდა განსაზღვროს პერსპექტიული პერიოდისათვის, რეგიონული ეკონომიკისა და პოლიტიკის სამეცნიერო კონცეფციების შინაარსმა?

1. მეურნეობის განვითარების ტერიტორიული ეკონომიკური პროპორციების სრულყოფა რეგიონების მიხედვით მეურნეობის პროპორციულობის უკეთესი ვარიანტების მეცნიერულად დასაბუთების საფუძველზე. საზოგადოებრივი შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში ამ რეგიონების ეკონომიკური როლის განსაზღვრა;

2. რეგიონების მიხედვით მოსახლეობის განაწილებისა და წარმოების განლაგების თანაფარდობას შორის უკეთესი ვარიანტების არჩევა;

3. გამოვლენილი და პოტენციური ბუნებრივი რესურსების თანამედროვე და პერსპექტიული ბუნებრივ-ტექნიკური და ეკონომიკური შეფასება, რასაც შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს მეურნეობის რაციონალურ ფორმირებაზე;

4. ახალი სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორების გამოვლენა, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის თანამედროვე და მომავალი განლაგება;

5. რაციონალური საწარმოო სპეციალიზაციის, სამეურნეო კომპლექსების ფორმირების, რეგიონებში ინფრასტრუქტურის მეცნიერული ვარიანტების დამუშავება, რამაც უნდა განსაზღვროს მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურის პროპორციულობა და მათი ეკონომიკური განვითარების დონეების შემდგომი გათანაბრება;

6. მსხვილი სამეურნეო კომპლექსების შექმნისა და განვითარების ყველაზე უფრო პროგრესული ვარიანტების გამოვლენა ახალი სამეურნეო ათვისების ტერიტორიებზე;

7. სისტემაში „ადამიანი – მეურნეობა – ბუნება“ მეცნიერულად დასაბუთებულ შეფარდებათა ძიება, რაც განსაზღვრავს რეგიონებში ბუნებრივი გარემოს რაციონალურ ორგანიზაციას;

8. საწარმოო ძალების განლაგების ეფექტიანობის გაანგარიშების ახალი მეთოდების შემუშავება, რეგიონების ეკონომიკის განვითარების უფრო სრულყოფილი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების ძიება.

აღსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილი მეცნიერული კონცეფციის ყველა მიმართულება სწავლულების მიერ კომპლექსურად განიხილება და შეისწავლება.

რეგიონებში საწარმოო ძალების განლაგების ამოცანები მოითხოვს ხანგრძლივ დროსა და ეტაპობრივ განხილვას. ამიტომ რეგიონულ ეკონომიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტერიტორიების გრძელვადიანი სამეურნეო ორგანიზაციის პროგრამებს.

რას ითვალისწინებს რეგიონული ეკონომიკური გამოკვლევების სისტემა?

1. უპირველეს ყოვლისა, რეგიონული სამეცნიერო პრობლემებისა და სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე რეგიონული ეკონომიკის თეორიის ფორმირებას;

2. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიაზე საწარმოო ძალების რაციონალური განლაგების კანონზომიერების პრინციპებისა და კონკრეტული პრობლემების შესწავლას;

3. იმ პრობლემების შესწავლას, რომელთა გადაწყვეტაც უშუალო გავლენას ახდენს რეგიონების ტერიტორიათა კომპლექსურ სამეურნეო განვითარებაზე, ეკონომიკურ რაიონებზე და დარგთაშორისი და რეგიონთაშორის საწარმოო კავშირების სრულყოფაზე;

4. ახალი ეკონომიკური რაიონების ფორმირების პრობლემების დამუშავებას;

5. ცალკეული ტერიტორიების – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კონცენტრაციის ადგილების მეცნიერულ შესწავლა-ანალიზს მათი ბუნებრივ-რესურსული, ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნიკური და ა. შ. თვალსაზრისით;

6. სამეურნეო კომპლექსების განლაგების ეკონომიკური რაიონების და რეგიონების მეურნეობებთან ურთიერთკავშირის თვალსაზრისით მეცნიერულ დასაბუთებას;

7. რეგიონული პრობლემების გადაწყვეტისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის მეთოდოლოგიური და მეთოდური ამოცანების მეცნიერულ დასაბუთებას (ერთობლივი მშენებლობები, ერთობლივი მეცნიერული გამოკვლევები, ტერიტორიულ-საწარმოო წარმონაქმნების შექმნა და სხვა).

თეორიული და პრაქტიკული რეგიონული ეკონომიკური გამოკვლევები საშუალებას იძლევა გადაწყვეტილი იქნეს მნიშვნელოვანი ამოცანები:

– მეცნიერულად დასაბუთდეს ეროვნული მეურნეობის რაციონალური განლაგება;

– განისაზღვროს რეგიონების მეურნეობათა მაღალეკონომიკური სტრუქტურა;

– სრულყოფილ იქნას ტერიტორიული დაგეგმვის მეთოდები;

– გადამწყვეტი ზეგავლენა გაეწიოს ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას.

რეგიონული მეცნიერული კვლევის შედეგების განზოგადების შემდეგ კონკრეტული წინადადებები როგორც წესი, წარედგინება შესაბამის სახელმწიფო და რეგიონულ ორგანოებს.

საინტერესოა, თუ რა მიმართულებები წარმოჩინდებიან სათანადო სამეცნიერო-კვლევითი და ანალიზური მუშაობის შედეგად. ამ მხრივ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებს რიგი გარემოებანი და პრობლემატური საკითხები, კერძოდ:

1. რეგიონის ტერიტორიაზე საწარმოო ძალების სამეურნეო განვითარებისა და განლაგების მიღწეული დონის ანალიზი.

ასეთი ანალიზი მკვლევარებსა და დაინტერესებულ სახელმწიფო სტრუქტურებს ამოსავალ მასალებსა და ინფორმაციას აწვდის წარმოების მოცულობის მის სპეციალიზაციასთან, მეურნეობის დარგობრივ და ტერიტორიულ სტრუქტურასთან შესაბამისობის შესახებ, აგრეთვე ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების მოხმარების დონის, შრომის ტერიტორიული დანაწილების ეფექტიანობის, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტის პირობების შექმნისა და პერსპექტივაში ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების თაობაზე.

2. ბუნებრივი რესურსებისა და პირობების გამოყენების კომპლექსური შეფასება და მისი დაკავშირება პერსპექტივაში ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გამოყენების შემდგომ გაუმჯობესებასთან.

3. რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფცია, კომპლექსური პრობლემების საფუძველზე წარმოების განლაგების სრულყოფა-გაუმჯობესება.

4. წარმოების მოცულობათა, მათი ზრდის ტემპების, საწარმოო სპეციალიზაციის, მეურნეობის კომპლექსურობის და რეგიონის საწარმოო-ეკონომიკური კავშირების მიმართულებათა მეცნიერული დასაბუთება. მრეწველობის ყველა დარგისათვის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტისათვის ხდება როგორც განვითარების ძირითადი პარამეტრების განსაზღვრა, აგრეთვე მოცემული რეგიონისათვის დამახასიათებელი პერსპექტიული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრა.

5. წარმოების შიდარეგიონული განლაგება, სამეურნეო კომპლექსებისა და საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარება.

6. მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით რეგიონის ტერიტორიაზე მატერიალური წარმოების განთავსების ვარიანტების ეკონომიკური ეფექტიანობის (რაციონალურობის) განსაზღვრა. ცნობილია, რომ ეკონომიკური დარაიონება ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული მართვის საფუძველს წარმოადგენს, ეკონომიკური რაიონების სისტემა კი მიზნობრივი და რეგიონული პროგრამების შემუშავებისას ტერიტორიულ ჭრილში მატერიალური და სხვა ბალანსების აგების საფუძველია. ეკონომიკური დარაიონება ეკონომიკის ტერიტორიული განვითარების სრულყოფის წინაპირობაა და ამასთან, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის რეგიონული მართვის ორგანიზაციისთვისაც. ვფიქრობთ, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე.

ეკონომიკური დარაიონება განუყრელად არის დაკავშირებული წარმოების განსაზღვრულ სახეობებზე რეგიონების სპეციალიზაციასთან. ამასთან, ეკონომიკური დარაიონება გვეულინება როგორც საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ასევე საწარმოო ძალების რაციონალური და ეფექტიანი განლაგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ეკონომიკური დარაიონების ძირითადი პრინციპებია:

1. ეკონომიკური – რომელიც რეგიონს განიხილავს როგორც ქვეყნის ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის სპეციალიზებულ ნაწილს (დამხმარე და მომსახურე საწარმოთა გარკვეული შემადგენლობით). აღნიშნული პრინციპის თანახმად, რეგიონის სპეციალიზაცია უნდა განსაზღვრონ ისეთმა დარგებმა, რომლებშიც შრომითი დანახარჯები, სახსრების საჭიროება პროდუქციის წარმოებაზე და მისი მომხმარებლისათვის მიწოდებაზე სხვა რეგიონებთან შედარებით იქნება საგრძნობლად მცირე.

2. ეროვნული – რომელიც ითვალისწინებს რეგიონის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მათი შრომისა და ყოფის ისტორიულად ჩამოყალიბებულ თავისებურებებს, აგრეთვე ტრადიციების საუკუნოვან გამოცდილებას.

3. ადმინისტრაციული – რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური დარაიონებისა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის ერთიანობას. ეს პრინციპი ქმნის პირობებს რეგიონების დამოუკიდებელი ეფექტიანი განვითარებისა და ქვეყნის შიგნით შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში რეგიონების როლის გასაძლიერებლად.

ყოველივე აღნიშნული, საქართველოს ეკონომიკური დარაიონების თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის ფუძემდებლურ პრინციპებად მიგვაჩნია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში დროთა განმავლობაში მრავალ ფაქტორთა გავლენით ეკონომიკური დარაიონება შესაძლებელია შეიცვალოს და უფრო სრულყოფილიც გახდეს.

ეკონომიკური დარაიონების თეორიის ძირითადი ფუნდამენტური დებულებები შემდეგია:

1. ეკონომიკური რაიონებისა და რეგიონების ობიექტურად არსებობის აღიარება.

2. ეკონომიკური ერთიანობის, ტერიტორიის ეკონომიკური მთლიანობის, როგორც რეგიონის მნიშვნელოვანი მახასიათებლის არსებობა.

3. რეგიონის, როგორც ეკონომიკურ დარაიონებაში დაბალი იერარქიული სისტემის დონედ მიჩნევა.

რეგიონული მეცნიერების განვითარების პრობლემებს მიეძღვნა მრავალი რეგიონული ცენტრის მოღვაწეობა, დარგობრივი აკადემიების, საზოგადოებრივი მოძრაობებისა და სხვათა საქმიანობა. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიაში პროფესორ ო. საღარეიშვილის მოხსენების განხილვა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის პრობლემებზე და აღნიშნულ საკითხზე ჩატარებული სხვა დისკუსიები.

1995 წელს მოსკოვში ორგანიზებულ იქნა რეგიონული განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო აკადემია. აღნიშნული შეიქმნა მეცნიერების, პრაქტიკოსების და სხვადასხვა ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლების ძალისხმევის გასაერთიანებლად რეგიონების მყარი განვითარებისა და სხვადასხვა სახის ურთიერთხელსაყრელი რეგიონული თანამშრომლობის ხელშესაწყობად. რეგიონული განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო აკადემიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

– მეცნიერული მოღვაწეობის საერთაშორისო კოოპერაციისა და კოორდინაციის საფუძველზე რეგიონებისათვის ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევათა განხორციელება;

– მეცნიერული, ინფორმაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის განხორციელება რეგიონების დონეზე მართვის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში მოღვაწეობის საქმეში, აგრეთვე რეგიონებს შორის ურთიერთობაში;

– რეგიონული პროექტებისა და პროგრამების დამუშავების, აგრეთვე ექსპერტიზის ორგანიზაცია და განხორციელება;

– რეგიონული განვითარებისა და რეგიონული თანამშრომლობის პრობლემებზე სამუშაოდ სპეციალისტების მომზადება და გადამზადება.

აღნიშნული აკადემიის მოღვაწეობისა და საქმიანობის სფეროში შედის:

– ეროვნული ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურა და ტერიტორიული ორგანიზაცია;

– რეგიონების ურთიერთობა სახელმწიფოებისა და სახელმწიფოთაშორისი კავშირების ფარგლებში;

– საქონლის, შრომისა და კაპიტალის რეგიონული და რეგიონთაშორისი ბაზრები;

– რეგიონული პოლიტიკა;

– რეგიონული ეკოლოგია და ბუნებათსარგებლობა;

– დემოგრაფიის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის და მოქალაქეთა უსაფრთხოების რეგიონული და რეგიონთაშორისი ასპექტები;

– რეგიონული და რეგიონთაშორისი ინფრასტრუქტურა;

– განსახლების სისტემები, ქალაქებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების პრობლემები.

მითითებული აკადემია გახდა სხვადასხვა ქვეყნების რეგიონების სამეცნიერო-პრაქტიკული თანამშრომლობის ნამდვილი ცენტრი. ეს კი საშუალებას ქმნის რეგულარულად განხორციელდეს სამეცნიერო და პრაქტიკულ გამოცდილებათა გაზიარება. აკადემია სისტემატურად ატარებს ცალკეულ რეგიონებში სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს რეგიონების განვითარების მეტად აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით.

ამჟამად, როგორც ექსპერტები მიუთითებენ, ეფექტური რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციის წარმატებებზე, რეგიონთაშორისი ურთიერთობების მონესრიგებაზე, რეგიონებში საბაზრო მექანიზმების გაშლა-გაფართოებაზე, თვითმმართველობის ინსტიტუტების საქმიანობის გაფართოებაზე არსებითად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რეფორმების საბოლოო შედეგები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონული ეკონომიკის პრობლემებზე მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც ამ რამდენიმე წლის უკან სრულიად უსაფუძვლოდ დაიხურა.

რეგიონული კვლევის სფეროში საქმიანობა და მოღვაწეობა, ჩვენი აზრით, კონცენტრირებული უნდა იქნეს შემდეგი მთავარი მიმართულებების ირგვლივ: რეგიონული ეკონომიკისა და რეგიონთაშორისი ურთიერთობების პრობლემები; რეგიონული პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები; სტრუქტურული, ინვესტიციური და სოციალური პოლიტიკის რეგიონული ასპექტები; რეგიონების განვითარების ძირითადი დარგების სტრატეგიები; რეგიონების მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია; სახელმწიფო და რეგიონული მართვის ორგანოების მუშაკთა მომზადება-გადამზადების საკითხები; სხვადასხვა პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტიზა საგარეო-ეკონომიკური და საინვესტიციო მოღვაწეობის სფეროში; რეგიონული პოლიტიკის თეორიულ და გამოყენებით პრობლემებზე სხვადასხვა სახის კრებულებისა და სამეცნიერო შრომების გამოცემა; საერთაშორისო ექსპედიციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ორგანიზება და მრავალი სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრომ და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულმა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ერთობლივად 2001 წელს მოაწყვეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის თემაც იყო „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“. კონფერენციის მასალები თავმოყრილია იმავე დასათაურების წიგნში, რომელიც საქართველოს რეგიონების განვითარების აქტუალური პრობლემების მეცნიერულ და პრაქტიკულ ასპექტებში განხილვას ეძღვნება. იგი წარმოადგენს სტატიების კრებულს და ჩვენის ღრმა რწმენით, მრავალმხრივ საინტერესოა რეგიონალიზმის პრობლემებით – პოლიტიკურით, ეკონომიკურით, სოციალურით, სამართლებრივით – დაინტერესებული მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის. კრებულში შეტანილი მასალები საინტე-

რესოა იმის გათვალისწინებითაც, რომ მისი ავტორები არიან ცნობილი მეცნიერები, ცენტრალური და რეგიონული სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლები.

კრებულში თავმოყრილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონისათვის თანაბრად აქტუალურ პრობლემებზე ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო სწავლულებისა და პრაქტიკოსების მოსაზრებები, მათი რეკომენდაციები ასეთი ხასიათის პრობლემების მოგვარების ძირითადი მიმართულებებისა და კონკრეტული გზების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს ქ. რუსთავში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ქვემო ქართლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონულ პრობლემებზე, რომლის ინიციატორები რეგიონის ხელმძღვანელობასთან ერთად იყვნენ საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია და რუსთავის უნივერსიტეტი.

ყოველივე აღნიშნული იმის კონსტატირების უფლებას გვაძლევს, რომ საქართველოს საკმაოდ დიდი და ხელშესახები გამოცდილება აქვს რეგიონული ეკონომიკის კვლევაში.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა და მისი სტრუქტურა მოიცავს ადგილობრივი ადმინისტრაციის ორ-სამ დონეს. დანიაში, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიასა და პორტუგალიაში ადმინისტრაციული სტრუქტურები მოიცავენ მხოლოდ ერთ დონეს. საფრანგეთს, ესპანეთს, იტალიას, გერმანიას, ბელგიასა და საბერძნეთს გააჩნიათ ტერიტორიული დაყოფის ისეთი სტრუქტურა, რომელიც, რუსული სტრუქტურის მსგავსად სამ დონეს მოიცავს. დაახლოებით ანალოგიური სახის სტრუქტურული დაყოფაა საქართველოშიც. მის ძირითად ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ მხარეები და რაიონები ან ქალაქები. სასოფლო რაიონების უმეტესობა და ზოგიერთი რაიონული დაქვემდებარების ქალაქი მოიცავენ ადმინისტრაციული დაყოფის მესამე – სადაბო და სასოფლო დონეს.

ევროპული ქვეყნების უმეტესობამ, მიისწრაფოდა რა რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის შემსუბუქებისკენ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ძირითადი ტერიტორიული ერთეულების გამსხვილების უზრუნველსაყოფად, გაატარა შესაბამისი რეფორმები. გატარებულმა ფართომასშტაბიანმა რეფორმებმა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, დანიაში, ჰოლანდიასა და ა. შ., ამ ქვეყნებში არსებითად განსხვავებული ტერიტორიული ერთეულების ჩამოყალიბება განაპირობა. ხოლო საფრანგეთში, ისევე როგორც იტალიასა და ესპანეთში პირიქით, ცვლილებები ატარებდა მინიმალურ ხასიათს.

რეგიონულ დონეზე ფინანსური რესურსების გამოყენების უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით, ტიპების მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ ევროპის ქვეყნების სამი ძირითადი ჯგუფი:

1. გერმანიის მიწები; იტალიის რეგიონები განსაკუთრებული სტატუსით; ესპანეთის ავტონომიური ერთეულები გაფართოებული კომპეტენციით, რომელთაც გააჩნიათ ფართო ავტონომია პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური საკითხების გადაწყვეტისას;

2. იტალიის რეგიონები ჩვეულებრივი სტატუსით; ესპანეთის ავტონომიური ერთეულები ჩვეულებრივი სტატუსით, რომელთაც შეზღუდული ავტონომიის ფარგლებში გააჩნიათ საკმაოდ ფართო უფლებამოსილებანი;

3. საფრანგეთის რეგიონები, რომელთა ფორმირება ტერიტორიული ერთიანობის სტატუსის გათვალისწინებით მოხდა შედარებით ახლო წარსულში (გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში). მათ გააჩნიათ მეტად შეზღუდული უფლებამოსილებანი.

საფრანგეთში რეგიონული სტრუქტურის ფორმირების პროცესი წარიმართა მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთან, ფართო გასაქანი მიეცა ახალი ინიციატივების გამოჩენას, რაც ხშირ შემთხვევაში წარმატებით იქნა აპრობირებული.

საქართველოს რეგიონული მართვის პრინციპების განსაზღვრის პროცესში ქვეყნის ტრადიციებთან ერთად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საფრანგეთის გამოცდილების გარკვეული მიმართულებები, მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტების გათვალისწინებით.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, საფრანგეთში ინდიკატიური დაგეგმვის პრინციპების დამკვიდრებასთან ერთად, შეინიშნება სერიოზული განსხვავებები მისი ქვეყნის მასშტაბითა და რეგიონულ დონეზე ფუნქციონირებას შორის.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში განვითარებული კრიზისის პერიოდში, საფრანგეთის ხელისუფლება იძულებული შეიქნა უარი ეთქვა ინდიკატიური დაგეგმვის ამომწურავ სტრუქტურულ ხასიათზე. ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა აიღო მხოლოდ „პრიორიტეტული მოქმედების პრინციპებთან" (PAP) შემუშავება-განხორციელების მიმართულებით. ჩამოყალიბდა „რეგიონული საზოგადოებრივი

დაწესებულებები" (EPR), მათ გააჩნდათ არჩევითი ასამბლეები და, შესაბამისად, უზრუნველყოფილნი იყვნენ საკუთარი რესურსებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველი ჩაეყარა რეგიონების ეკონომიკურ და სტრუქტურულ განვითარებას, გარკვეული ავტონომიური უფლებამოსილებების ფარგლებში. რეგიონებში პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების განვითარების მიზნით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემუშავებულ იქნა ამ მიმართულებების გეგმიური თანადაფინანსების სისტემა – „რეგიონული ინტერესის მოქმედების პროგრამა" (PAPIR). აღნიშნული ფაქტორი შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობაში კონტრაქტული, შეთანხმებითი პრინციპების დანერგვის პირველ ნაბიჯად.

აღნიშნული ექსპერიმენტების განხორციელების შედეგად რეგიონული ინსტიტუტები თანდათან ჩამოყალიბდნენ როგორც ეკონომიკური განვითარების პროექტების შემუშავებისა და განხორციელების უნარის მქონე დამოუკიდებელი ერთეულები. დეცენტრალიზაციის შესახებ კანონმა რეგიონებს ოფიციალურად დაუკანონა ის უფლებები, რომელიც მათ უკვე პრაქტიკულად მინიჭებული ჰქონდათ და რომელსაც დეპარტამენტები არასოდეს ედავებოდნენ რეგიონს.

ამ კანონით სრულუფლებიანი ტერიტორიული ერთეულების სტატუსი, რეგიონული საბჭოს არჩევნების შემოღების კვალობაზე, განისაზღვრება საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით და მისი აღმასრულებელი ფუნქციების თავმჯდომარისათვის გადაცემის გზით, რაც ადრე რეგიონის პრეფექტის კომპეტენციაში შედიოდა. კანონი ასევე აღიარებს რეგიონის წამყვან უფლებას ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ტერიტორიული მოწყობისა და განვითარების დაგეგმვის მიმართულებით. აგრეთვე გათვალისწინებული იყო განვითარების რეგიონული და ეროვნული გეგმების კოორდინაცია უზრუნველყოფილიყო გეგმიური კონტრაქტების დადების ერთობლივი პროცედურის ხარჯზე.

ხუთწლიანი კონტრაქტები იდება სახელმწიფოს მხრიდან წარმომადგენელ პრეფექტსა და რეგიონის წარმომადგენელ რეგიონული საბჭოს თავმჯდომარეს შორის. კონტრაქტები მიმართულია ტერიტორიის მოწყობისა და ეკონომიკური განვითარების საერთო პრიორიტეტების რეალიზაციისათვის. თითოეული პარტნიორი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სათანადო დაფინანსება, აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად.

გეგმიური კონტრაქტების პირველი „თაობა" მოიცავდა 1984-1988 წლების პერიოდს. რეგიონების წინადადებით, ეს პრაქტიკა გაგრძელდა შემდგომშიც და ამის კვალობაზე ხელმონერილ იქნა კონტრაქტების მეორე „თაობა" 1989-1993 წლების პერიოდისათვის. ამ კონტრაქტების დაფინანსება ხდება რეგიონული საბჭოს მიერ დაახლოებით 45 პროცენტის ოდენობით, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან იგი ფინანსდება 55 პროცენტით. ამასთან, ამ უკანასკნელს შეუძლია მოახდინოს თავისი წილის ვარირება ტერიტორიის განვითარებისა და მოწყობის პრიორიტეტულობის მიხედვით.

ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფოს ვალდებულებებმა გეგმიური კონტრაქტების მიხედვით შეადგინა მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯების დაახლოებით 1 პროცენტი და საბიუჯეტო ინვესტიციების 7 პროცენტი. აღნიშნული საკონტრაქტო ურთიერთობები მოიცავს ოთხ პრიორიტეტს:

1. დასაქმება და ეკონომიკური განვითარება (ფინანსური ვალდებულებების 16 %);
2. კადრების მომზადება და სამეცნიერო გამოკვლევები (18 %);
3. კომუნიკაციების სისტემა (44%);
4. სუსტი ზონების სოლიდარობა და შეთანხმებული მოქმედება მათი მხარდაჭერის მიზნით (22 %).

კონტრაქტების ახალი „თაობა" დახვეწილია პირველთან შედარებით. მასში განსაკუთრებულად აისახება საერთოევროპული პრობლემების გადაწყვეტის გზები, კერძოდ, ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული, ასევე კადრების მომზადებასა და სამეცნიერო გამოკვლევების სფეროში არსებული წინააღმდეგობები.

დეცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპები შეიძლება განხილულ იქნეს საფრანგეთის მაგალითზე. 1982 წელს მიღებული კანონის შესაბამისად, რეგიონების სტატუსებისა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების გათვალისწინებით, შემოღებული დაგეგმვისა და მართვის ფრანგული დეცენტრალიზაცია ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს:

– ერთი დონის მეორესთან მიმართებაში რაიმე სახის მეურვეობის აკრძალვა;

– დეპარტამენტებისა და რეგიონების ასამბლეის პრეზიდენტთათვის იმ აღმასრულებელი ფუნქციების გადაცემა, რომელიც ადრე სახელმწიფოს წარმომადგენლის – პრეფექტის მიერ ხორციელდებოდა;

– უფლებამოსილებებისა და შესაბამისი ფინანსური საშუალებების გადაცემის თანმიმდევრული განაწილება;

– იმ რეგიონებისთვის სრულუფლებიანი ტერიტორიული ერთეულების სტატუსის მინიჭება, რომლებმაც პირდაპირი კენჭისყრით რეგიონული საბჭოების არჩევის გზით 1986 წელს დაიწყეს მოქმედება.

ამ პრინციპებზე დაფუძნებით, რეგიონულ დონესა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის უფლებამოსილებები გადანაწილდა შემდეგი სახით:

კომუნა: მიწების მართვა, ადგილობრივი ტერიტორიის კეთილმოწყობა, მშენებლობაზე ნებართვების გაცემა;

დეპარტამენტი: დასაქმებასა და სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტის საკითხების რეგულირება;

რეგიონი: ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირება და განვითარება, რაიონული დაგეგმვა, მთელი რეგიონის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

რეგიონებში ამ ზოგადი ხასიათის უფლებამოსილებებს ემატება ცალკეული ლოკალური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაში პრიორიტეტის მინიჭება, მაგალითად, შიდა მიმოსვლის გზების მოწესრიგება და ა. შ.

ამრიგად, დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფრანგულ მოდელში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ინსტიტუტების ყველაზე დაბალ და მაღალ რგოლებს შორის უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნა და ჩადებულია მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვის უზრუნველმყოფელი შესაბამისი მექანიზმები.

რეგიონულ დონეზე დაგეგმვა წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის სხვადასხვა დონეების ურთიერთთანამშრომლობის ნათელ მაგალითს.

საფრანგეთში სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩატარების კვალობაზე რეგიონული ინსტიტუტების როლი ახალ თვისებრიობაში გადაიზარდა. ისინი მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ ტერიტორიის ეკონომიკური განვითარებისა და პოტენციური შესაძლებლობების შესახებ. დაგეგმვისა და დეცენტრალიზაციის ურთიერთშეხამება კი მოხერხდა შემდეგი ინსტრუმენტების საფუძველზე:

– რეგიონული გეგმების შემუშავების პროცესში რეგიონულ საბჭოებს მიენიჭათ სრული თავისუფლება მათი კომპეტენციის ფარგლებში;

– ეროვნული და რეგიონული გეგმების მარტივი მეთოდებით გეგმიური კონტრაქტების შესრულების ერთობლივი პროცედურების საშუალებით.

რეგიონისთვის მინიჭებულმა დაგეგმვის თავისუფლებამ თეორიულად ეროვნულ და რეგიონულ გეგმებს შორის შეიძლება გარკვეული შეუსაბამობა გამოიწვიოს. მაგრამ საფრანგეთში ეს საშიშროება არცთუ ისე დიდია, ვინაიდან, ერთი მხრივ, აღნიშნულ პროცესში ეროვნულ და რეგიონულ ინსტანციებს შორის მიმდინარეობს ინფორმაციის მრავალჯერადი გაცვლა, ხოლო მეორე მხრივ, გეგმიური კონტრაქტების პროცედურა იძლევა შესაძლებლობას შეიზღუდოს მოსალოდნელი შეუსაბამობები.

რეგიონულ დონეზე დეცენტრალიზებული დაგეგმვა დაფუძნებულია რამდენიმე ინსტიტუტზე. ესენია:

– რეგიონული საბჭო, რომლის თავმჯდომარესაც გააჩნია აღმასრულებელი ფუნქციები;

– საკონსულტაციო ორგანო – ეკონომიკური და სოციალური კომიტეტები და რეგიონის პრეფექტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებას.

საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით არჩეული პოლიტიკური ორგანო – რეგიონული საბჭო – განიხილავს ყველა საკითხს, რომელიც განეკუთვნება რეგიონულ კომპეტენციას. მის მიერ კენჭი ეყრება და მტკიცდება რეგიონის ბიუჯეტი, რეგიონული დაგეგმვის დოკუმენტები და საგეგმო კონტრაქტის პროექტები. აღნიშნული დოკუმენტების პროექტები, როგორც წესი, შეთანხმებულია სახელმწიფოს წარმომადგენელთან.

დაგეგმვისა და საგეგმო კონტრაქტების განხორციელების ტექნიკური ასპექტები წყდება რეგიონის და სახელმწიფოს რეგიონული სამსახურების საშუალებით. მთავრობის დონეზე კი მათი კოორდინაცია ხორციელდება რეგიონულ საკითხებში გენერალური მდივნის მიერ. მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხები წყდება რეგიონის პრეფექტისა და რეგიონული საბჭოს თავმჯდომარეს შორის უშუალო მოლაპარაკების გზით.

საკონსულტაციო ორგანო – რეგიონული ეკონომიკური და სოციალური საბჭო (CESR) – შედგება რეგიონის ორგანოების მიერ დანიშნული წარმომადგენლებისაგან და გააჩნია ეკონომიკური, სოციალური, პროფესიული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ხასიათი. მისი ამოცანაა გამოხატოს წარმომადგენელთა პოზიციები, რეგიონის დონეზე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში არსებული პრობლემების დაძლევის მიმართულებით.

სახელმწიფო დონეზე დეცენტრალიზებული დაგეგმვით საფრანგეთში, ძირითადად, ორი ორგანიზაციაა დაკავებული: დაგეგმვის გენერალური კომისარიატი და ტერიტორიის კეთილმოწყობისა და რეგიონულ ღონისძიებათა საკითხების დელეგაცია (DATAR).

დაგეგმვის გენერალური კომისარიატი რეგიონული პარტნიორებისთვის ადგენს დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს პერსპექტიული დაგეგმვისა და სტრატეგიული მიმართულებების ფორმირების ძირითად საფუძველს.

1969 წელს შექმნილი ტერიტორიის კეთილმოწყობისა და რეგიონულ ღონისძიებათა საკითხების დელეგაცია (DATAR) წარმოადგენს საკმაოდ დიდ ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებში ითვლის დაახლოებით 60-მდე პასუხისმგებელ მუშაკს. რეგიონული საკითხების კოორდინაციაში იგი თამაშობს შემდეგ როლს – დაინტერესებული სამინისტროების მონაწილეობით უზრუნველყოფს ტერიტორიის ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის ცხოვრებაში რეალურად განხორციელებას.

ტერიტორიის მოწყობის, ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი ამოცანები განისაზღვრება ინდიკატიური გეგმით გათვალისწინებული ამოცანების გათვალისწინებით. ამ პოლიტიკის გატარების საკითხში სამინისტროებს შორის კოორდინირებული ურთიერთობების წარმართვაზე პასუხს აგებს ტერიტორიის კეთილმოწყობისა და რეგიონული საკითხების დელეგაცია (DATAR).

DATAR-ი ეფუძნება გარკვეული ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელთა შორის გამოიყოფა შემდეგი:

– ეკონომიკური დეცენტრალიზაციის მიზნის მიღწევა საფინანსო სტიმულირების სისტემის გამოყენებით;

– სხვადასხვა ფონდების შემწეობა, მათ შორის უმთავრესი – ტერიტორიის კეთილმოწყობის შემწეობის ფონდი, რომლის მართვაც ხორციელდება დელეგაციის მიერ;

– სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის გეგმიურ კონტრაქტებში გათვალისწინებული საფინანსო საშუალებები;

– საფრანგეთის მონაწილეობა ევროპის სტრუქტურული ფონდების მოღვაწეობაში, რომელთა შორის ძირითადია რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი (PEDER).

დეცენტრალიზებული დაგეგმვის ფრანგული გამოცდილება, როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, მეტად წარმატებული აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მას თან სდევდა ამ რთული პროცესისთვის დამახასიათებელი პრობლემები.

**რეგიონული გეგმები.** თავდაპირველად რეგიონების უმრავლესობამ შეიმუშავა სრულყოფილი რეგიონული გეგმები, ანუ განვითარების გლობალური სტრატეგიის მიმართულებები, ეყრდნობოდნენ რა ღონისძიებათა დეტალურ პროგრამებს. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ამ ამოცანის გადაწყვეტა საკმაოდ რთული აღმოჩნდა, აგრეთვე ადგილი ჰქონდა ორგანიზაციულ სირთულეებსაც, რომლებიც განპირობებული იყო რეგიონების ბიუჯეტების სისუსტითა და პრობლემების მასშტაბურობით.

**გეგმიური კონტრაქტები სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის.** პირველი „თაობის" გეგმიური კონტრაქტები, პრაქტიკულად, ფრანგული დაგეგმვის მოდელის უპირობო წარმატებად იქნა აღიარებული. მისი უდავოდ პოზიტიური მხარეებია:

– ყველა რეგიონმა გააფორმა კონტრაქტები სახელმწიფოსთან;

– ექსპერიმენტის შედეგად შესაძლებელი გახდა სამეცნიერო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეემუშავებინათ სახელმწიფოს, რეგიონებისა და ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ორგანოების შორის ურთიერთობების საშუალოვადიანი ინდიკატიური გეგმები;

– კონტრაქტები წარმოადგენდა მსხვილ საფინანსო ვალდებულებათა პაკეტს საერთო ღირებულებით 73,3 მლრდ ფრანკი, საიდანაც 44,5 მლრდ ფრანკი ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 28,8 მლრდ ფრანკი – რეგიონებიდან.

საგეგმო კონტრაქტების პირველმა „თაობამ" უზრუნველყო სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება.

საგეგმო კონტრაქტების მეორე „თაობა" ხასიათდება ერთობლივი ძალისხმევის პროგრესით. კონტრაქტების საერთო რაოდენობამ შეადგინა 100 მლრდ ფრანკზე მეტი. ყველა რეგიონმა კონტრაქტების შესრულებაზე გამოყო თითქმის 46 მლრდ ფრანკი.

გეგმიური კონტრაქტების ღონისძიებათა განხორციელებისათვის სახელმწიფომ გამოყო ასიგნება 54 მლრდ ფრანკის ოდენობით, შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. პრიორიტეტების შესაბამისად დასაქმების, ეკონომიკური განვითარებისა და საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. სახელმწიფო პირველ რიგში ასტიმულირებდა რეგიონებს, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდნენ აღნიშნულ დახმარებას;

2. პროფესიული გადამზადება, ახალი ტექნოლოგიების ათვისება და შესაბამისი გამოკვლევების წარმოება;

3. საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, რამაც საფრანგეთის ყველა რეგიონს საშუალება მისცა აქტიურად ჩართულიყო ევროპის კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო სისტემაში. აღნიშნული პროცესი კი, თავის მხრივ, დადებითად აისახა ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებაზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან;

4. ეკონომიკური თვალსაზრისით სუსტად განვითარებული ტერიტორიებისათვის და შესაბამისად, მათი მოსახლეობის მხარდაჭერის მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარების უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, საკონტრაქტო ურთიერთობები დაყვანილ იქნა ოთხ პრიორიტეტზე, ხოლო სახელმწიფოს დახმარებამ შეცვალა სუბსიდირების ხასიათი, იგი ორიენტირებულ იქნა ტერიტორიის კეთილმოწყობისა და განვითარების პრიორიტეტებზე. ამ მიმართულებით სახელმწიფოს დაფინანსების მაჩვენებლები ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა რეგიონებში იცვლებოდა სამჯერ და მეტად.

**ეროვნული მეურნეობის სტრუქტურული დონეები.** ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ეროვნული მეურნეობა ხასიათდება მაღალი სირთულითა და დინამიურობით.

ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობით დამოუკიდებელი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები კანონზომიერია განხილული იქნენ სახალხო-სამეურნეო მთლიანი კომპლექსის სტრუქტურის პირველად უჯრედებად.

საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში აღნიშნულ ამ ელემენტებს შორის მყარდება სხვადასხვა სახის კავშირები და ურთიერთობები. ამის შედეგად პრაქტიკულად ყველა ეს ელემენტი გაერთიანებული აღმოჩნდებიან. აღნიშნული და გაერთიანებები თავის მხრივ ერთდროულად ერთიანდებიან უფრო მსხვილ ბლოკებში ამა თუ იმ საერთო ტიპის ურთიერთობებით. თანამედროვე ეტაპზე სამეურნეო განვითარებისათვის პროგრესირებადი სპეციალიზაციის ტენდენციებთან ერთად სულ უფრო მეტად ხდება დამახასიათებელი სხვადასხვა ელემენტების ინტეგრაციის ტენდენცია, ურთიერთკავშირის და ურთიერთგანპირობებულობის გაძლიერება.

ეროვნული ეკონომიკის ელემენტების ყველა სიმრავლე ერთად განხილული ერთმანეთთან დამყარებული კავშირებითა და ურთიერთობებით, განსხვავებული კავშირებისა და ურთიერთობების ფორმირების ჩართვით, შეადგენენ ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურას. განსხვავებული კავშირებისა და უერთიერთობების სახით შეიძლება გამოვყოთ კავშირებისა და უერთიერთობების სხვადასხვა სახის ტიპები როგორც პირველად ელემენტებს შორის, ასევე მათ მრავალსახეობრივ შეხამებებსა და შერწყმებს შორის.

ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა ყველაზე უფრო სისრულითა და მთლიანობით გამოხატულია ქვეყნის მთელი ეკონომიკის დონეზე, რაც საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ამ დონეზე ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის ფორმირებაზე. ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა საერთოდ წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ცალკეული ელემენტებისა და მათი გაერთიანებების შეხამება-შერწყმას მათ შორის არსებული ყველა კავშირებითა და ურთიერთობებით. ასეთი სტრუქტურა ერთია და ერთიანია. მაგრამ ამასთან ერთად ანალიზის სხვადასხვა მიზნებისათვის, დაგეგმვისა და მართვის საჭიროებისათვის შესაძლებელია და მიზანშეწონელიც არის გამოვყოთ და განხილულ იქნეს ელემენტების ესა თუ ის შეხამება ერთმანეთთან კავშირებისა და ურთიერთობების გარკვეული ერთიანობით. ეროვნული ეკონომიკის ელემენტების ერთიანობისა და კავშირების სიმრავლემ განაპირობა მისი პოლისტრუქტურულობა.

ეროვნული ეკონომიკის პოლისტრუქტურულობის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული მისი ელემენტების კავშირებისა და ურთიერთობების განსხვავებული მრავალსახეობა. პოლისტრუქტურულობის სუბიექტურ წანამძღვრად გამოდის მართვის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმები.

მთლიანობაში შეიძლება გამოვყოთ ორი განზოგადებული ურთიერთობების ტიპის ერთიანობა (ერთობა).

1)მსგავსებით, ეროვნული ეკონომიკის ელემენტების ცალკეული ნიშნებისა და მათი შეხამების ერთგვაროვნობით. ასე მაგალითად, სანარმოო-ეკონომიკური ნიშნების ერთობით (რესურსების, ტექნოლოგიის, მზა პროდუქციის) ეროვნული ეკონომიკის ელემენტები დარგობრივ შეხამებაში ჯგუფდებიან; მათი გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში განთავსების ერთობით ისინი ერთიანდებიან ტერიტორიულ შეხამებაში. ბოლოს, ზემდგომი ორგანოებისა და მართვის სფეროების ერთობით ხდება ეროვნული ეკონომიკის ელემენტების გაერთიანება უწყებრივ შეხამებაში.

2)საწარმოო და ეკონომიკური კავშირების არსებობით და ეროვნული ეკონომიკის ელემენტებსა და მათ შეხამებას შორის ურთიერთმოქმედებით. მსგავსი კავშირები კონკრეტული მატერიალურ-ენერგეტიკული ნაკადების სახით წარმოქმნებიან და არსებობენ მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის. ამასთან უფრო მჭიდროდ და არსებითი საწარმოო კავშირები უფრო ხშირად წარმოიშვება ხოლმე სხვადასხვა განსხვავებული დარგის საწარმოებს შორის, ანუ დარგთაშორის დონეზე. აშკარაა, რომ დარგთაშორისი საწარმოო კავშირები, ისევე როგორც რაიონთაშორისი, მათი გარკვეული აგრეგირების, გენერალიზაციის შედეგია. ეს გარკვეული ზომით აბსტრაქციაა, იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი დარგთაშორისი საწარმოო და რაიონთაშორის კავშირს გააჩნია თავისი საკუთარი კონკრეტული შინაარსი. მატერიალურ-ენერგეტიკული კავშირების შინაარსის ამსახველი ისეთი კონკრეტული ნიშნები, როგორიცაა სიდიდე (მოცულობა), სიერცობრივი, დროითი და ღირეულებითი მახასიათებლები ყალიბდებიან და არსებობენ მხოლოდ ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების ურთიერთმოქმედების დონეზე.

კავშირურთიერთობითი დამოკიდებულება ამავე დროს წარმოადგენს საყოველთაო ხასიათის ურთიერთობებს, რაც დამახასიათებელია ეროვნული ეკონომიკის ნებისმიერი პირველადი ელემენტისათვის, რამდენადაც ნებისმიერ საწარმოს საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ შეუძლია იზოლირებულად ფუნქციონერება, ნებისმიერი საწარმო ყოველთვის ურთიერთქმედებაში და ურთიერთობებშია მრავალ სხვა საწარმოებთან. ყველაზე უფრო შინაარსობრივი გამოხატულება ახასიათებთ საწარმოებს შორის საინფორმაციო კავშირებს. ამიტომ ეროვნული ეკონომიკის პირველად ელემენტებს ანუ ცალკეულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დანესებულებებს შორის მატერიალურ-ენერგეტიკული და ინფორმაციული კავშირურთიერთობების დონე, რაც ხასიათდება მაქსიმალური კონკრეტულობითა და შინაარსიანობით, კანონზომიერი იქნებოდა სახალხო მეურნეობრივ კომპლექსში განხილული იქნეს პირველადი, მიკროსტრუქტურული დონის სახით.

ეროვნული ეკონომიკის ელემენტების შეხამება, რომელიც ეფუძნება დარგობრივ, ორგანიზაციულ-მმართველობით და ტერიტორიულ ერთობას, ყოველთვის შეიცავს განსაზღვრულ უშუალო და გასაშუალოებულ კავშირურთიერთობას. მაგრამ ერთიანობის ეს ტიპი მოცემულ შემთხვევაში შეიძლება განხილული იქნეს არა როგორც მთავარი, არამედ მხოლოდ როგორც თანმხლები. უშუალო და გასაშუალოებული კავშირების არსებობა ეროვნული ეკონომიკის ელემენტების დარგობრივი, ტერიტორიული და ორგანიზაციულ-მმართველობითი ერთიანობის შეხამებაში იმაზე მეტყველებს, რომ გამართულობა და დალაგებულობა ერთობის ყველაზე უფრო უნივერსალური, გამჭოლი და გამჭვირვალე ტიპია.

ერთობის დარგთაშორისი ტიპი გამომდინარეობს სხვადასხვა დარგობრივი კუთვნილების საწარმოთა მატერიალურ-ენერგეტიკული კავშირებიდან. რამდენადაც ასეთი კავშირურთიერთობანი რეალიზდება, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტულ საწარმოთა ურთიერთქმედების დონეზე, ამდენად დარგთაშორისი კავშირურთიერთობანიც (ერთობაც) ხორციელდება ორი ან უფრო მეტი ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა დარგის საწარმოთა გაერთიანების გზით. ასეთი სხვადასხვა დარგის საწარმოთა ურთიერთდაკავშირებას თან სდევს მატერიალურ-ენერგეტიკული კავშირების ერთდროული აგრეგირებაც.

პრინციპში დარგთაშორისი ერთობა ჩნდება სხვადასხვა დარგის ორ ცალკეულ საწარმოს შორის კავშირის დამყარების შედეგად ანუ უკვე მიკროსტრუქტურულ დონეზე. ტერიტორიული ერთობაც, როგორც ორი ან მეტი საწარმოს განლაგება განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, აგრეთვე მყარდება მიკროსტრუქტურულ დონეზე. თუ სხვადასხვა დარგის რამოდენიმე საწარმოს შორის დამყარებულია კონკრეტული კავშირი, მაშინ არ არის ძნელი განისაზღვროს ის ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც განლაგებული არიან ყველა ეს საწარმოები. შედეგად ჩვენ მივიღებთ მათ შეხამებას კომბინირებული ტერიტორიულ-დარგთაშორისი ერთობით.

ერთობითი ურთიერთობანი, რომელიც გამოიხატება ეროვნული ეკონომიკის ჯგუფების, ელემენტების კავშირურთიერთობის შეხამებაში, განხორციელებული მათი დარგობრივი და ტერიტორიული ერთობისა და კავშირურთიერთობის საფუძველზე, როდესაც აგრეგირებულია თვით ელემენტები და მათ შორის ურთიერთობანიც, უნდა მიეკუთვნებოდეს მეზო და მაკრო სტრუქტურულ დონეს.

შეხამება, რომელიც ხორციელდება ორგანიზაციულ-მმართველობითი ერთიანობის საფუძველზე, შეიძლება მიეკუთვნოს მიკროსტრუქტურულ დონეს, თუ კი ეს არის რამოდენიმე ცალკეული საწარმოს გაერთიანება; მაგალითად, დამოუკიდებელი საწარმოო ან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სახით; ხოლო მაკროსტრუქტურული იქნება ის გაერთიანება, სადაც ერთ უწყებაში თავმოყრილი იქნება ბევრი, მათ შორის საწარმოო თვალსაზრისით ერთმანეთთან კავშირში არ მყოფი საწარმოები.

საჭიროა მივანიშნოთ, რომ ეროვნული ეკონომიკის ელემენტების შეხამება რაიმე ერთი სახის ერთიანობითი ურთიერთობის ტიპით პრაქტიკულად შეუძლებელია. კონკრეტულად არსებულ საწარმო-

თა ნებისმიერი შეხამება ყოველთვის ხასიათდება მათი ერთობის გარკვეული კომბინირებით. ასე მაგალითად, სანარმოთა ყოველგვარი ჯგუფი განლაგებულია გარკვეულ ტერიტორიაზე და ისინი ქმნიან დარგობრივ ან დარგთაშორის შეხამებას, ამასთან ცალკეულ სანარმოებს შეუძლიათ ქონდეთ ერთმანეთთან უშუალო ან სხვაგვარი კავშირები და მოცულნი იყვნენ მმართველობის ერთი ორგანოს მიერ. ურთიერთობათა ერთიანობის სხვადასხვა ტიპები ეყრდნობა ეროვნული მეურნეობის ელემენტების სიმრავლეს, რის საფუძველზეც ყალიბდება სანარმოთა, გაერთიანებათა, კომპლექსების, დარგების რეალური სტრუქტურული შეხამება.

ქვემოთ ჩვენ გვინდა გარკვეული სქემატური სახით შემოგთავაზოთ ეროვნულ ეკონომიკაში არსებული ძირითადი სტრუქტურული დონეები.

ამრიგად, თანამედროვე ეროვნული ეკონომიკის პოლისტრუქტურულობა ვლინდება არა მხოლოდ იმის შესაძლებლობაში, რომ შეგვიძლია გამოვყოთ ეროვნული ეკონომიკის ელემენტების განსხვავებული შეხამებები დამყარებული მათი გარკვეულ ურთიერთობათა ერთიანობაზე, არამედ აგრეთვე შეგვიძლია აგრეგირების ხარისხის მიხედვით გამოვყოთ კიდეც ასეთი შეხამების განსხვავებული ტიპები, ანუ საქმე ეხება იმას, რომ იქმნება (არის) შესაძლებლობა გამოვყოთ მიკრო, მეზო და მაკრო სტრუქტურული დონეები.

ცხრილი 5.4.1

| ურთიერთობების ურთიერთობა | სტრუქტურების (ჯგუფების) ტიპები სხვადასხვა სტრუქტურულ დონეებზე | | | გადასაწყვეტ ამოცანების კლასები (სტრუქტურული მიზნები) |
|---|---|---|---|---|
| | მიკრო | მეზო | მაკრო | |
| 1) დარგობრივი | ცალკეული ერთგვაროვანი საწარმოები | ერთგვაროვანი საწარმოების ქვედარგების ჯგუფები | დარგები, ეროვნული მეურნეობის მსხვილი დარგები | ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოების მოცულობის, რესურსებზე, ახალ ტენიკაზე, ტექნოლოგიაზე მოთხოვნის დაგეგმვა |
| 2) ტერიტორიული | ცალკეული საწარმოები | ტერიტორიული ჯგუფები (შეხამება) | რეგიონული ჯგუფები (შეხამება) | დარგების, შიმსახურე წარმოებების, ინფრასტრუქტურის ურთიერთშეხამება (ურთიერთდამოკიდებულება), ბუნებრივი და შრომითი რესურსების კომპლექსური გამოყენება |
| 3) ორგანიზაციულ-მმართველობითი | საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები | მთავარი სამმართველოები უწყებები | სამინისტროები | მართვა, დაგეგმვის ჩართვით; ერთიანი ტექნიკური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და სხვა |
| 4) საწარმოო-ეკონომიკური შეკავშირება | ცალკეულ საწარმოთა შეხამება (ჯგუფები) | დარგთაშორისი შეხამება (ჯგუფები) | მსხვილი დარგთაშორისი შეხამებები (ჯგუფები) | პროპორციულ, დაბალანსირებულ განვითარების დაგეგმვა; ურთიერთდაკავშირებულ, საწარმოთა რითმულად ფუნქციონირების, მათი რეკონსტრუქციის განვითარების მართვა |
| 5) კომბინირება მათ შორის | საწარმოთა შეხამება ორი და მეტი სახის ურთიერთობასთა ერთიანობით | დარგობრივი და ტერიტორიულ ჯგუფთა შეხამება ორი და მეტი სახის ურთიერთობათა ერთიანით | | სხვადასხვა ამოცანებისა და მიზნების ურთიერთ დაკავშირება, მიბმა. |
| დარგთაშორისი | სხვადასხვა დარგის ცალკეულ ურთიერთდაკავშირებულ საწარმოთა შეხამება შუალედა | დარგთაშორისი კომპლექსები | მსხვილი დარგთაშორისი კომპლექსები | ურთიერთდაკავშირებულ წარმოებებისა და დარგების პროპორციულობისა და ბალანსირების უზრუნველყოფა, მათი რესურსული და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა |
| რაიონული | ცალკეულ დაკავშირებულ საწარმოთა შეხამება და შეწყობა რაიონებში | ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები | რაიონული სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსები | ურთიერთდაკავშირებულ წარმოებებისა და საწარმოების პროპორციულობისა და ბალანსირების უზრუნველყოფა გაკვეული რაიონების დარგებში, მათი რესურსული და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა, ბუნებათსარგებლობის პრობლემების გადაწყვეტა |

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეროვნულ სამეურნეო კომპლექსში მიკროსტურქტურულ დონეებს თანამედროვე მართვის სისტემებში მეტად უმნიშვნელო ყურადღება ექცევა მაკროსტრუქტურებთან შედარებით. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ეროვნული სამეურნეო კომპლექსის გართულება, მისი დინამიურობის ზრდა ამავე დროს არის მისი პოლისტრუქტურულობის გართულებაც და მისი ცვალებადობის დადასტურებაც. ასეთ პირობებში წინა პლანზე გადმოდის ამოცანა-უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის ერთიანი ეროვნული სამეურნეო კომპლექსის დინამიური და პროპორციული განვითარება და ყველა მისი რგოლის ეფექტური ურთიერთქმედება. ამიტომაც ძლიერდება ობიექტური აუცილებლობა, რათა მიღწეული იქნეს განვითარებადი ეროვნული სამეურნეო კომპლექსის უფრო ღრმა და ყოველმხრივი სტურქტურიზაცია, გამოყოფილი იქნეს სხვადასხვა სტრუქტურული, აგრეთვე სამმართველო ამოცანების კლასები, რომლებიც უფრო ეფექტიანად წყდება ამა თუ იმ დონეზე.

ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარების შეუფერხებლობის უზრუნველყოფის მიზნით

მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა ბუნებრივი, ეკონომიკური და ეროვნული თავისებურებები და მიღწეულ იქნეს მისი ცალკეული ნაწილების სპეციალიზაცია, ამ მიზნით მიზანშეწონილია გაიშალოს მუშაობა ეკონომიკური დარაიონებისათვის, რომელიც მიმართული იქნება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ა.შ. საწარმოო პროცესების ორგანიზაციაზე ცალკეული რეგიონების (ან რაიონების) ტერიტორიაზე; ამასთან, კომპლექსურ საფუძველზე ერთმანეთის მიმართ სრული შესაბამისობისა და ურთიერთგანპირობებულობით ბუნებრივ საწარმოო ძალებთან შესაბამისობით. ამის შესაბამისად წარმოიქმნება ეროვნული მეურნეობის დანაწევრება თავის ტერიტორიულ ნაწილებად, მაგრამ ეროვნული მეურნეობის ელემენტების რეგიონებისა და რაიონების ფარგლებში შეთავსებით, შეწყობითა და შეერთებით.

მეურნეობის ასეთნაირ დარგობრივ და ტერიტორიულ დაყოფას (დანაწევრებას) თავისი ობიექტური საფუძვლები აქვს. საწარმოო ძალების განვითარების მნიშვნელოვან საშუალებას შრომის საზოგადოებრივი დანაწილება წარმოადგენს. ერის საწარმოო ძალების განვითარების დონე ყველაზე უფრო თვალნათლივ ვლინდება იმით, თუ როგორი ხარისხით არის განვითარებული შრომის დანაწილება. ცნობილი გამოთქმაა-ყოველ ახალ საწარმოო ძალას თან სდევს შრომის დანაწილების შემდგომი განვითარება; ამასთან შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას ახასიათებს ორმხრივი გამოვლინება: ერთის მხრივ, ეს არის ახალი წარმოებებისა და დარგების წარმოქმნა, ხოლო მეორეს მხრივ-შრომის ტერიტორიული დანაწილება, რომლითაც ადგილი აქვს წარმოების გარკვეული დარგების ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულებებისადმი მიმაგრებას.

ამრიგად, ეროვნული მეურნეობის ელემენტების დარგობრივი და ტერიტორიული ნიშნები ორი მთავარი. ობიექტურად განპირობებული სიბრტყეა, რომლებიც მოიცავენ ქვეყნის განვითარებად მთელ ეროვნულ ეკონომიკას. ამასთან, ცალკეულ საწარმოთა დარგობრივი და ტერიტორიული ერთობის კონკრეტული დამოკიდებულებანი გამოვლინდება მხოლოდ დარგობრივი და ტერიტორიული დაყოფის არსებულ სისტემაში.

პრაქტიკული მიზნების საჭიროებისათვის არც თუ იშვიათად გამოყოფენ და იხილავენ ან მხოლოდ დარგობრივ შეხამებას, ან მხოლოდ ტერიტორიულს. მაგრამ ამგვარი დაყოფა-დანაწევრება ყოველთვის წარმოადგენს სინამდვილის გამარტივებას, რამდენადაც დარგობრივი და ტერიტორიული ნიშნები, მახასიათებლები (ურთიერთობანი) ჩადებულია ეროვნული მეურნეობის თითოეულ არსებულ ელემენტში მისი ფორმირების საწყის მომენტშივე. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ დარგობრივ და ტერიტორიულ საწარმოო კომპლექსებზე, რამდენადაც ამ შუალედურ ზონაში (შინაარსითა და ფუნქციით ტერიტორიულ-დარგობრივ) აღმოცენდებიან და ვითარდებიან საწარმოო კომპლექსები, რომლებსაც აქვთ ტერიტორიულ-დარგობრივი ხასიათი. ასეთი ტერიტორიული და დარგობრივი ქსელების ურთიერთობა წარმოშობს რეალურ ობიექტებს, რომლებშიც უნდა ვეძებოთ და შევისწავლოთ დარგთაშორისი ტერიტორიული ასპექტები.


შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას მის დარგობრივ და ტერიტორიულ ფორმაში თან სდევს საწარმოო ძალების განვითარების საწინააღმდეგო მიმართულების პროცესი-საწარმოების განსაზოგადოება. ამ პროცესების შინაგანი ერთიანობა და ურთიერთწინააღმდეგობრიობა საკმაოდ ნათლად წარმოჩინდება სასაქონლო მეურნეობის ფარგლებში, როდესაც იქმნებიან სხვადასხვა სახის სამეურნეო ერთეულები, იზრდება მეურნეობის ცალკეული დარგების რაოდენობა, მცირდება იმ მეურნეობათა რიცხოვნობა, რომლებიც ერთიდაიგივე სამეურნეო ფუნქციას ასრულებენ. ერთდროულად წარმოების განსაზოგადება, რაც იმაში ვლინდება, რომ კაპიტალების კონცენტრაციას თან სდევს საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაცია, მრეწველობის ცალკეულ მოცემულ დარგში კაპიტალისტების რიცხოვნობის შემცირება და მრეწველობის განსაკუთრებული დარგების რაოდენობის გაზრდა; ხდება ის, რომ ბევრი წარმოების დანაწევრებული პროცესი ერთდება, შეირწყმება წარმოების ერთ განსაზოგადებულ პროცესში. თანამედროვე საბაზრო ურთიერთობები ქმნის საზოგადოებრივი შრომის დანაწილების განვითარების ახალ წანამძღვრებს, წარმოების განსაზოგადების ახალ შესაძლებლობებს, ამ ორივე პროცესის (შრომის დანაწილებისა და წარმოების განსაზოგადების) აქტიურ ურთიერთშეესების კარგ წანამძღვრებს.

აქვე გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის ტერიტორიულ-დარგობრივ (დარგთაშორის) სტრუქტურის წარმოქმნის ჩვენებურ სქემატურ ხედვას (სქემა 5.4.1).

დარგობრივ შეხამებათა აგრეგირების ხარისხი, დარგთაშორისი კავშირები და ტერიტორიული ერთიანობა, როგორც ურთიერთდამატებითი ნიშანი ამაში გამოიხატება ეროვნული მეურნეობის ტერიტორიულ-დარგობრივი სტრუქტურების გამორჩევისა და გამოკვლევის მთავარი კრიტერიუმები. სხვა განსხვავებული ნიშან-თვისებების სხვადასხვაგვარი კომბინაციები ქმნიან ტერიტორიულ-დარგობრივ სტრუქტუ-

რათა განსხვავებულ ტიპებს, რომლებიც განიხილებიან ამა თუ იმ დარგთაშორისი კომპლექსების წარმონაქმნთა სახით (ზემოთ მოტანილი სქემა). მაგალითად, სანარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის შედგენისას ცალკეულ კონკრეტულ დარგებთან ერთად გამოყოფენ და აანალიზებენ დარგთაშორის კომპლექსებს, ანუ ურთიერთდაკავშირებული წარმოებების კომპლექსებს, აგრეთვე ტერიტორიულ-სანარმოო კომპლექსებს და სამრეწველო კვანძებს.

სქემა 5.4.1 სხვადასხვა ტიპის ტერიტორიულ – დარგობრივი (დარგთაშორისი) სტრუქტურა




უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი დარგობრივი მახასიათებლები, როგორიცაა ერთობა, საწყისი რესურსების და ტექნოლოგიების მსგავსება, მზა პროდუქციის დანიშნულებისა და ფუნქციის ცალსახა მსგავსება, წარმოადგენენ უფრო განსაზღვრულსა და რაოდენობრივ გაზომვას დაქვემდებარებულ ფენომენს. ტერიტორიული შეთავსებების ძირითადი კონტურები ემყარება ტერიტორიების დანაწევრებას, რაც თავის მხრივ დაფუძნებულია ეკონომიკურ დარაიონებაზე.

დარგთაშორის შეხამებაში და ტერიტორიული ერთობის გამოყოფაში ურთიერთკავშირის ანალიზი, სადაც მჭიდრო კავშირიანობა ურთიერთ შეხამება-შერწყმას აძლევს სამეურნეო მთლიანობის ხასიათს, ხორციელდება ეკონომიკური დარაიონების ფარგლებში. ამასთან, ეკონომიკური დარაიონების მეთოდოლოგიურად არასაკმარისად დამუშავება ზოგჯერ (არც თუ იშვიათად) იწვევს რაიონის ფორმირების სუბიექტური მიდგომით გადაწყვეტას, მაშინ, როდესაც რაიონის არსებობის ობიექტურობის პრობლემა იხილება ობიექტურობიდან გამომდინარე და ამასთან, მისი საზღვრების ცალსახად გამოყოფის გზით. ეკონომიკური რაიონის ობიექტურობა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს პროცესის ობიექტურობიდან, მისი (ე.ი. რაიონის) მაფორმირებული პროცესის, ანუ რაიონწარმომშობი პროცესის ობიექტურობიდან. ეკონომიკური რაიონწარმოშობა შინაგანად დაკავშირებულია კომპლექსწარმოშობასთან. ამ პროცესების მჭიდროდ გადახლართვაში ხდება ეროვნული მეურნეობის ელემენტების გარკვეულად სხვადასხვა დონის შეხამებათა საფუძველზე ტერიტორიული ერთიანობის და დარგთაშორისი მთლიანობის გამოკვეთა. კომპლექსჩამოყალიბებისა და რაიონჩამოყალიბების პროცესები მიმდინარეობს ობიექტურად, მკვლევარებისა და სპეციალისტების ნებისა და სურვილის მიუხედავად. ეკონომიკური დარაიონება-ეს უკვე შემეცნების, შეცნობის სუბიექტური პროცესია, კომპლექსწარმოქმნისა და რაიონწარმოქმნის პროცესების ასახვა და გარკვეულად რეგულირებაა.

ობიექტურად მიმდინარე მთელ პროცესებზე მიზანმიმართული გავლენის მოხდენაში, მათი გარკვეულ ფარგლებში შეცვლაში გამოიხატება ეკონომიკური დარაიონების აქტიური და კონსტრუქციული როლი. ეკონომიკური რაიონების საზღვრების შესაძლო არაცალსახაობა და არაერთმნიშვნელობა მთლიანობაში არ ეხება კომპლექსწარმოქმნისა და რაიონწარმოქმნის პროცესების ობიექტურობას, მხოლოდ სხვადასხვა სისრულითა და დეტალურობით ასახავს მათ. ეკონომიკური დარაიონება ნყვეტს უაღრესად მძიმე ამოცანას: რაიონების გამოყოფის საშუალებით სწორად (ადეკვატურად) იქნეს ასახული რაიონების წარმოქმნის პროცესი, მისი წარსული, თანამედროვე და პერსპექტიული მდგომარე-

ობა. ამასთან, სტატისტიკის საშუალებებით დინამიკის ასახვა გარდუვალად პირობითად აქცევს ნებისმიერ, თუნდაც რაიონების ყველაზე სწორ საზღვრებსაც კი.

კომპლექსწარმოქმნა და რაიონწარმოქმნა თავის საბოლოო გამოხატულებას და ასახვას ნახულობს ამ პროცესების შედეგებში – სანარმოო ან უფრო ფართო სამეურნეო კომპლექსში და ეკონომიკურ რაიონებში. პირველი უპირველეს ყოვლისა ასახავს დარგთაშორის კავშირებს და ეროვნული მეურნეობის ელემენტების გარკვეული შეხამების ერთიანობას, ხოლო მეორე-ტერიტორიულს. მათი შინაგანი ურთიერთკავშირი იმაში მდგომარეობს, რომ კომპლექსი გამოდის საფუძვლის სახით ნებისმიერი ეკონომიკური რაიონის ბირთვად. ამასთან კომპლექსი, როგორც სანარმოო-ტერიტორიული შეხამება და შერწყმა არ არის და არ წამოადგენს მთელ ჯაჭვს (კომპლექსი არ ცვლის და არც აუქმებს ეკონომიკური რაიონის ბევრად უფრო მეტად რთულ გაგებასა და შინაარსს), მაგრამ ის ამ ჯაჭვის ძირითადი რგოლია (საფუძველია რაიონწარმოქმნის გეოგრაფიული პროცესის), რომელსაც უნდა ჩავეჭიდოთ, რათა ხელთ ვიგდოთ მთლიანის ჯაჭვი. მაშასადამე, კომპლექსწარმოქმნაც გვეელინება რაიონწარმოქმნის შემადგენელ ნაწილად.

ამ პროცესების მთავარი განმასხვავებელი იმაში მდგომარეობს, რომ კომპლექსწარმოქმნა მოიცავს ეროვნული მეურნეობის ელემენტების კავშირების სხვადასხვა ფორმათა ჩამოყალიბება-ფორმირებას, მათ დამოკიდებულებებს უშუალოდ სანარმოო-სამეურნეო სფეროს ერთიანობაში; ხოლო რაიონწარმოქმნა ამას გარდა მოიცავს მათი კავშირების და ურთიერთობათა ერთობის ფორმირებას, როგორც ტერიტორიებიდან, ასევე ტერიტორიაზე. რაიონწარმოქმნაში ამგვარად, შეიძლება გამოვყოთ როგორღაც ერთმანეთის გადამკვეთი ორი სტრუქტურული შრე (ფენა): შინაარსით დარგთაშორისი და სივრცობრივი გამოხატულებითი-საკუთრივ ტერიტორიალური, განუწყვეტელის სივრცობრივი გამოხატულებით.

კომპლექსწარმოქმნის პროცესში ფორმირებადი ეროვნული მეურნეობის ელემენტების ურთიერთდაკავშირებული შეხამებანი ერთდროულად იკავებენ ამა თუ იმ ტერიტორიას და ამით ქმნიან თავიანთი ეკონომიკური გავლენის სფეროს. ამ ელემენტების მიერ ტერიტორიულ ერთობაზე დამყარებულ ურთიერთობათა დაწესება თავის მხრივ ხელსაყრელ წანამძღვრებს ქმნის მათი კავშირურთიერთობისა და ეფექტიანი ურთიერთქმედების გასაძლიერებლად. სწორედ ამაში მდგომარეობს კომპლექსწარმოქმნისა და რაიონწარმოქმნის პროცესების დიალექტიკური ერთიანობა და ურთიერთშეკვეთა.

კომპლექსწარმოქმნის, როგორც დარგთაშორისი შეხამების ფორმირების, ობიექტურ წანამძღვარს წარმოადგენს შრომის დარგობრივი დანაწილება და წარმოების განსაზოგადოება. ერთდროულად მიმდინარე შრომის ტერიტორიული დანაწილება კომპლექსწარმოქმნის საერთო პროცესს ანაწევრებს ტერიტორიულად შემადგენელ ნაწილებად სპეციალიზაციის ბირთვით და დარგთაშორისი კავშირების კონცენტრაციით ასეთი ბირთვების ირგვლივ. ამგვარად, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში შრომის დარგობრივი და ტერიტორიული დანაწილების დიალექტიკა მუღავნდება კომპლექსწარმოქმნისა და რაიონწარმოქმნის დიალექტიკურობაში. თუ ჩვენ მოვლენის ერთ მხარეზე გვაქვს შრომის დარგობრივი და ტერიტორიული დანაწილება, რომლებიც თავიანთ ერთიანობაში და მთლიანობაში შეადგენენ შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, ამავე დროს მეორე მხარეზე ჩვენ გვაქვს დარგთაშორისი და ტერიტორიულ შეხამებათა ფორმირება, რაც თავის ურთიერთდამატებაში კომპლექსწარმოქმნაში და რაიონწარმოქმნაში გადადის.

ეკონომიკური კომპლექსწარმოქმა და რაიონწარმოქმნა, რაც მიმდინარეობს ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში, თავიანთ ურთიერთდამატებაში ქმნიან წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ერთიან პროცესს. ამასთან, კომპლექსწარმოქმნისა და რაიონწარმოქმნის პროცესების იერარქიასთან შესაბამისობაში წარმოების ტეირტორიულ ორგანიზაციაში შეიძლება გამოყოფილ იქნეს სხვადასხვა სტურქტურული დონეები.

კომპლექსწარმოქმნა ერთდროულად მოიცავს ეროვნული მეურნეობის ელემენტების სხვადასხვაგვარ შეხამებას: კერძოდ, ცალკეული სანარმოდან ქვეყნის მთელ სახალხომეურნეობრივ კომპლექსამდე. რაიონწარმოქმნის პროცესში ხდება კომპლექსწარმოქმნის სტრუქტურიზაცია; ამასთან, მეურნეობის ურთიერთკადავშირებული ელემენტების შეხამების ფორმირებისა და განვითარების სახით გამოჰყოფენ კომპლექსწარმოქმნის ლოკალურ დონეს ცალკეული ეკონომიკური ცენტრების, კვანძების და რეგიონული დონის ფარგლებში, რომელზეც ეროვნული მეურნეობის ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ფორმირება და განვითარება ხდება ერთდროულად რამოდენიმე ეკონომიკურ ცენტრში ეკონომიკური რაიონის ან რეგიონის ფარგლებში.

კომპლექსწარმოქმნის ფორმირებისა და განვითარების პროცესში სხვადასხვა დონის ტერიტორიულ-სანარმოო კომპლექსები თავიანთი ერთობლივი გავლენით თანდათან მოიცავენ გარკვეულ ტერი-

ტორიებს. საბაზრო მეურნეობის პირობებში ეკონომიკური დარაიონება და რეგიონალიზაცია საშუალებას იძლევა განხორციელებულ იქნეს წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ძარითადი სტრუქტურული დონეების ჩამოყალიბება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსთა თეორისა და პრაქტიკის დაცილება ქვეყნის ტერიტორიის ეკონომიკური დარაიონებისა და რეგიონალიზმისაგან. საქართველოს ეროვნული მეურნეობის თანამედროვე პირობებში კანონზომიერი იქნება, თუ შემდეგნაირად დავაყენებთ საკითხს: რომელი ტერიტორიის ფარგლებში შეიძლება საერთოდ ფორმირებულ იქნან ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები და როგორი ტერიტორიის ფარგლებში შეიძლება შექმნას აღნიშნული კომპლექსები უფრო ეფექტური სტრუქტურებით? ამ კითხვებზე პასუხი შეუძლია გასცეს ქვეყნის ტერიტორიის შესაბამისმა ეკონომიკურმა რეგიონალიზაციამ და დარაიონებამ.

წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ისეთი რგოლები, როგორიცაა დარგობრივი და დარგთაშორისი შეხამებები რაიონში ან რეგიონში, დარგთაშორისი და რაიონთაშორისი ან რეგიონთაშორისი ურთიერთკავშირები ყოველთვის წარმოადგენდნენ ტერიტორიული და რეგიონული კვლევის ობიექტებს და ასეთებად რჩებიან ისინი ეხლაც, უფრო მეტი აქტუალობით ამჟამინდელ სიტუაციებში. მართლაც, ეროვნული მეურნეობის ტერიტორიალურ პოზიციიდან განხილვისას იკვეთება, რომ ეროვნული მეურნეობა წარმოადგენს ურთიერთმოქმედი სხვადასხვა რანგის რეგიონალ მეურნეობათა სისტემას. ამჟამად ტერიტორიულ-საწარმოო კავშირებისა და ურთიერთობათა ანალიზი ხორციელდება ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების დონეზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ცალკეული საწარმოები თავიანთი უშუალო კავშირებითა და ურთიერთობებით არ განიხილებიან როგორც ურთიერთქმედების ობიექტები. უფრო ხშირად ასეთი ერთნაირსახიანი წარმოებები განიხილებიან როგორც მეზოსტრუქტურული დონის დარგობრივი შეხამება-შეწყობა. თუმცა ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები უფრო ახლოს არიან მიკროსტრუქტურულ დონესთან.

წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის თანამედროვე პრობლემებში აქტიურად ჩანს დარგობრივი, დარგთაშრისი და ტერიტორიული ამოცანები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი ხდება დროის ფაქტორის წარმოჩენა და მისი გავლენა. რომელიმე თანამედროვე საწარმოს განლაგება უკვე არ წარმოადგენს რაღაც ერთდროულ აქტს, არამედ მოიცავს მთელ რიგ სამუშაოთა ჩატარებას (წინასწარი გამოკვლევა და შესწავლა, დასაბუთება, მშენებლობა, ექსპლოატაციაში გადაცემა, საწარმოო კავშირები, რეალიზაციის პრობლემა, ბაზრის პერსპექტიულობა და სხვა). საწარმოს ტერიტორიული განლაგება ხორციელდება როგორც ახალი საწარმოს შექმნის გზით, ასევე არსებულ საწარმოთა პერიოდული გაფართოებისა და რეკონსტრუქციის საფუძველზე. საწარმოთა გაფართოება ან ძირეული რეკონსტრუქცია, სპეციალიზაციის შეცვლა-ყველა ესენი წარმოადგენენ წარმოების განვითარების ტიპიურ ფორმებს და ამავე დროს როგორღაც ტერიტორიული განლაგების ფარულ ფორმას, მაგრამ ამასთან მეტად მნიშვნელოვან ფორმას. ერთ თუ მეორე შემთხვევაში წარმოჩინდება წარმოების ახალი ელემენტები და ჩაერთვებიან თანამედროვე სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში. ეს კი განაპირობებს და იწვევს კომპლექსწარმოქმნის და რაიონწარმოქმნის ამა თუ იმ იმპულსებს.

წარმოების დარგობრივი, დარგთაშორისი და ტერიტორიული მართვის ოპერატიულობისა და შეხამების თვალსაზრისით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს წარმოების ტერიტორიულ ორგანიზაციაში (რეგიონში) რაღაც ფორმით სივრცობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც აღიჭურვება უფრო კონკრეტული, ტერიტორიულ-საწარმოო ერთობისა (ერთიანობის) და კავშირების არაგენერალიზებული ურთიერთობების ფუნქციებით. მატერიალური წარმოების სფეროში პირველად ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მთლიან ელემენტს წარმოადგენენ ცალკეული საწარმოები. ასეთი საწარმოს ერთ სამრეწველო მოედანზე განლაგებისას მისი ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მთლიანობა ივსება სივრცობრივით, ე.ი. ემატება სივრცობრივი მთლიანობაც. საწარმო მის მიერ განხორციელებული საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესებით შეიძლება განხილულ იქნეს ეროვნული მეურნეობის მთლიანი კომპლექსის სტრუქტურის პირველადი ელემენტის სახით. ხოლო ცალკეული ტერიტორიულ კომპლექსური საწარმოები საჭიროა განხილული იქნან ტერიტორიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული სივრცის საწყის (ამოსავალ) სტრუქტურულ ელემენტად. მსგავსი ორადობა უნდა აისახოს საწარმოთა მართვისადმი და ანალიზისადმი მიდგომებშიც. ისინი უნდა განხილულნი იქნან როგორც პირველადი სახის და შედარებით მთლიანი სამეურნეო უჯრედი; ამავე დროს ანალიზისას უნდა მოცული იქნას მათი ეკონომიკური კავშირები, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული სანარმოები ჩაერთვებიან ეროვნული მეურნეობის უფრო მსხვილ და სრულ (მთლიან) ტერიტორიულ-დარგობრივ შეხამება შეერთებაში და რომელთა შედეგად ძლევენ თავიანთ შედარებით ეკონომიკურ განცალკევებულობას.

ჩვენ თუ გარკვეული დროის მონაკვეთისათვის განვიხილავთ ზოგიერთ ტერიტორიულად კომპაქტურ საწარმოთა სხვა საწარმოებთან უშუალო საწარმოო კავშირების საკითხს, ამ უკანასკნელს, ე.ი. კავშირებს აუცილებლივ ექნება კონკრეტული ხარისხობრივ-რაოდენობრივი და სივრცობრივი ხაისათი (გამოხატულება), რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც მოცემული საწარმოს საკუთარი სივრცე წარმოქმნილი ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებით (ამ გადაადგილების ტრაექტორიით). გადაადგილებათა დროის მიხედვით დახასიათების გათვალისწინებით ასეთი სივრცე უფრო მეტად კონკრეტიზირდება საწარმოთა გარკვეული სივრცობრივ-დროითი სახის ურთიერთობებით.

თვით ტერიტორია, სადაც მოცემული საწარმოა განთავსებული, ხდება (იქცევა) შრომის საყოველთაო საშუალებად და ამ თვალსაზრისით ფუნქციონალურად და სივრცობრივადაც ერწყმის ამ საწარმოს სხვა კომპონენტებს. მართლაც, ხომ ცნობილია, რომ მიწა წარმოადგენს შრომის საყოველთაო საშუალებას იმიტომ, რომ ის აძლევს მუშას სამუშაო ადგილს, სადაც ის დგას, ხოლო ამ უკანასკნელს-მოქმედების სფეროს. ასეთივე სახის შრომის საშუალებას, მხოლოდ წინასწარ გაელილი შრომის პროცესით, წარმოადგენს სამუშაო შენობები, გზები, ნაგებობები, არხები და ა.შ. ამიტომ საწარმოს საკუთარ სივრცეს და მის საწარმოო კავშირებს აქვს არა მხოლოდ მატერიალური შინაარსი, არამედ აგრეთვე გარკვეული ფუნქციონალურ-ეკონომიკური მთლიანობა, ერთიანობა.

ცალკეულ საწარმოთა ხარისხობრივ-რაიონდენობრივი კავშირები, მათი (ე.ი. ამ კავშირების) სივრცობრივ-დროითი განსაზღვრულობით, ძალიან კონკრეტულად აისახებიან ღირებულებით გამოხატულებაში (მაგალითად, შესაბამისი ტვირთების გადაზიდვის დანახარჯებში).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პრაქტიკულად ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებში და სისტემებში რაიმე განსხვავებას სივრცობრივ და ტერიტორიულ დონეებს შორის არ ახდენენ. მიგვაჩნია, რომ ასეთი განსხვავება მართლაც არ შეინიშნება, თუ კი ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია სივრცობრივი ურთიერთობების გარეგნულ მხარეზე. თუ გამოიყოფა და დეტალურად ანალიზდება წარმოებაში სტრუქტურული რგოლების საკუთარი სივრცე, მაშინ სივრცობრივისა და ტერიტორიულის შინაარსი შეესაბამება ქვეყნისა და მისი რეგიონების ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის მიკროსტრუქტურულ და მეზოსტრუქტურულ დონეებს. აქვე სქემატურად გთავაზობთ სივრცის ტერიტორიული ორგანიზაციის სტრუქტურული დონეების ჩვენებურ ხედვას, იხ. ცხრილი 5.4.2

ცხრილი 5.4.2 . სივრცის ტერიტორიული ორგანიზაციის სტრუქტურული დონეები

| სტრუქტურული დონეები (შეხამებულია გეგრაფიული ობიექტის ურთიერთობასა და კავშირის ხასიათთან) | ძირითადი სტრუქტურული ელემენტები და ურთიერთობები წარმოებაში | | | ტერიტორიული ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე გამოყენებული სტრუქტურული ერთეული |
|---|---|---|---|---|
| | დარგობრივი ერთობის | ტერიტორიული ერთობის | ღია კავშირების | |
| მიკრო-სტრუქტურული | ცალკეული საწარმოები მათი დარგობრივი და დარგთაშორისი ჯგუფები | ცალკეულ საწარმოთა და მათი უშუალო კავშირების სივრცე | სივრცობრივი ხასიათის ცალკეულ საწარმოთა უშუალო საწარმოო კავშირების სახით | სივრცობრივი ხასიათის ცალკეული ობიექტი (ტერიტორიული სტრუქტურა) |
| მეზო-სტრუქტურული | საწარმოთა დარგობრივი და დარგთაშორისი ჯგუფები | საწარმოთა შეკავშირების (შერწყმის) განაკუთვნების ტერიტორიები, კვანძები | ტერიტორიულ-საწარმოო სივრცობრივ-ერთიანი ურთიერთობების განზოგადებული ხასიათისათვის | ტერიტორიულ საწარმოო კომპლექსი, ტერიტორიულ-საწარმოო სისტემები (მათ შორის ტერიტორიული დარგთაშორისი) |
| მაკრო-სტრუქტურული | დარგობრივი და დარგთაშორისი შესაბამისი საბაზრო მეურნეობის მსხვილი დარგები | ეკონომიკური რაიონები, როგორც მეურნეობრივად მთლიანი ტერიტორიები განზოგადებულ დახასიათებებით | დარგთაშორისი მიდრეკილებები და რაიონთაშორისი | რაიონული დარგთაშორისი საწარმოო, სამსახურებრივ-მეურნეობრივი კომპლექსები |

წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის მიკროსტრუქტურულ დონეზე უფრო მეტად კონცენტრაციისათვის ძირითადი ყურადღება კონცენტრირდება ეროვნული მეურნეობის ურთიერთთმოქმედი ელემენტების საკუთარ სივრცეზე და თვით ნივთობრივ-ენერგეტიკულ ურთიერთქმედებებზე. ბევრ ურთიერთქმედებათა არასტაციონარობა კიდევ უფრო აძლიერებს ხაზობრივ-საკვანძო სტრუქტურების სივცობრივ დისკრეტირებას. ამიტომ, თითოეულ შემთხვევაში მეურნეობის თითოეული ელემენტის არსებული ტერიტორიული ურთიერთობის მიუხედავად, მსგავსი სტრუქტურები კანონზომიერია განიხილებოდნენ როგორც სივრცობრივი სტრუქტურა.

# ეკონომიკური ზრდა – რეგიონული განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი

## 6.1 ეკონომიკური ზრდის არსი და მისი შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები

ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ეროვნული ჯწარმოების რეალური მოცულობის გრძელვადიან ცვლილებას, რომელიც დაკავშირებულია მწარმოებლური ძალების განვითარებასთან დროის გრძელვადიან პერიოდში. ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა განპირობებულია სამომხმარებლო დოვლათზე საზოგადოების მოთხოვნილების მუდმივი ზრდით. ეკონომიკური მოთხოვნილებების განვითარებას, მათ რაოდენობრივ ცვლილებასა და ხარისხობრივ განახლებას უწყვეტი ხასიათი გააჩნია: წარმოების განვითარება და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი იწვევს ახალი მოთხოვნილებების წარმოშობას. აღნიშნული ტენდენცია წინააღმდეგობაშია ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდულობასთან, რაც განპირობებულია რესურსების შეზღუდულობით. ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება აღნიშნული წინააღმდეგობის შერბილებაში. ეკონომიკური ზრდისას, შრომის ოპტიმალური დანაწილების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების გამოყენებისა და წარმოების პროცესის მუდმივი განახლების პირობებში, შესაძლებელია შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენება, პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობის გადიდება და საზოგადოების მზარდი ეკონომიკური მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

წარმოების კაპიტალისტურმა წესმა ერთმანეთს დაუკავშირა და ურთიერთგაპირობებული გახადა კაპიტალის მესაკუთრეებისა და დაქირავებული მუშაკების ეკონომიკური ინტერესები, რითაც სათანადო პირობები შექმნა როგორც წარმოების ზრდის დაჩქარებისათვის, აგრეთვე მზარდი ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ძირითადი კაპიტალის მესაკუთრეთათვის, წარმოების მოცულობის გადიდება და წარმოების დანახარჯების შემცირება, რაც ქვეყნის მასშტაბით ასახვას პოულობს ეკონომიკურ ზრდაში, წარმოადგენს წმინდა მოგების ზრდისა და სიმდიდრის დაგროვების ძირითად საშუალებას. ამიტომ მოგების გადიდებით მეწარმეთა დაინტერესება გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური ზრდის წამქეზებელი მოტივია. მეტი მოგების მიღების მიზნით მეწარმეები ახორციელებენ ინვესტიციურ პროექტებს, წარმოებაში ნერგავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებს. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, მკაცრი საბაზრო კონკურენციის პირობებში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და მოგების გადიდების აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკური ზრდა აგრეთვე შედის დაქირავებული მუშაკების ინტერესებში, ვინაიდან მათი შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდის ძირითად წყაროს წარმოადგენს პროდუქციის გამოშვების ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ხელფასის ამაღლება. ამიტომ დაქირავებული მუშაკი დაინტერესებულია მწარმოებლური შრომით, საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებითა და დანაზოგის შექმნით.

წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში კაპიტალის მესაკუთრეებისა და დაქირავებული მუშაკების ინტერესების თანხვედრასთან ერთად, აგრეთვე აღინიშნება დაპირისპირება. დაპირისპირების საფუძველია ერთმანეთის ხარჯზე შემოსავლების გადიდებისაკენ მისწრაფება, რაც ხშირად გამოიხატება წარმოების საშუალებათა მესაკუთრეების სასარგებლოდ შემოსავლების უთანაბრო განაწილებაში. აღნიშნული დაპირისპირების შერბილება შესაძლებელია შემოსავლების სამართლიანი განაწილებით. ინტერესთა ერთიანობის საფუძველია ეკონომიკური პროგრესის, ეკონომიკური ზრდის, შემოსავლების გადიდების აუცილებლობის აღიარება, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ვითარებაშია შესაძლებელი მზარდი ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას.

დღეისათვის, ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური განვითარების პრობლემა და ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით ეკონომიკური განვითარების პრიმატის აღიარება.

„საზოგადოების ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს მრავალპლანიან პროცესს, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ ზრდას, სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში, მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და ხარისხის სრულყოფას". ჩვენი აზრით, ეკონომიკური განვითარების განმარტებაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილება, აგრეთვე სიღარიბის დონის შემცირება.

ზემოალნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილების, მათი ამაღლებისა და სრულყოფის გრძელვადიანი პროცესია, რომელიც მოიცავს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ცვლილებებს, სიღარიბის დონის შემცირებასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების ცალკეული მახასიათებლის ამაღლების ან სრულყოფის, ან პირიქით, რომელიმე მათგანის დაცემის ან გაუარესების მიხედვით, შეუძლებელია ეკონომიკური განვითარების ერთმნიშვნელოვანი შეფასება, ვინაიდან ერთი მახასიათებლის სრულყოფის პროცესი შეიძლება დაემთხვეს სხვების გაუარესებას. ასე მაგალითად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებული ინსტიტუციურ-სტრუქტურული ცვლილებებისა და ლიბერალიზაციის პროცესები მიანიშნებენ ეკონომიკური განვითარების პროცესზე. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციისკენ მიმართულმა რეფორმებმა გამოიწვია წარმოების მკვეთრი დაცემა, უმუშევრობის ზრდა, ინფლაცია, სიღარიბის დონის ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების დონის პირობების არსებითი გაუარესება. ე.ი. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მ.შ. საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე აღინიშნა "ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ზრდის გარეშე", სიღარიბის დონის ამაღლებისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესების ვითარებაში. ამიტომ, ეკონომიკური განვითარების შეფასება აუცილებელია მისი ცალკეული მახასიათებლების კომპლექსური შეფასების საფუძველზე – გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით.

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური განვითარების შემადგენელი ნაწილია. ამასთან, „ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური საშუალებაა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაც, თავის მხრივ განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს და წარმოების ეფექტიანობას".

მსოფლიო ბანკის მოხსენების თანახმად: განვითარების მიზანს წარმოადგენს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რაც განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს შემოსავლების გადიდებას, მაგრამ არა მხოლოდ ამას, ის აგრეთვე მოიცავს საუკეთესო განათლებას, კეებასა და ჯანმრთელობის დაცვას, სიღარიბის მასშტაბების შემცირებას, გარემომცველი გარემოს გაჯანსაღებას, შესაძლებლობების გათანაბრებას პიროვნული თავისუფლების გაფართოებასა და უფრო ინტენსიურ კულტურულ ცხოვრებას. მოყვანილი ციტატიდან ჩანს, რომ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება დაკავშირებულია მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან, რომლის მატერიალურ საფუძველსაც წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა, მისი მაღალი ტემპის უზრუნველყოფა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური ზრდა, რაც გამოიხატება მთლიანი სამამულო პროდუქტის რეალური მოცულობის ზრდაში, ყოველთვის არ მოუთითებს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე. აღნიშნულის დასაბუთებლად გამოდგება ყოფილი სსრკ, სადაც ინარმოებოდა მრავალი დასახელების უხარისხო და დაბალი სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქცია, რომელზეც მოსახლეობის ფართო ფენების მხრიდან არ არსებობდა ადეკვატური მოთხოვნა. სამომხმარებლოსთან შედარებით, საწარმოო დანიშნულების პროდუქციის წარმოებასათვის უპირატესობის მინიჭებამ, თავის მხრივ, გამოიწვია სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქციის მოცულობის შემცირება და მისი ხარისხის გაუარესება. უარყოფითი როლი შეასრულა აგრეთვე სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციამ. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად ყოფილ სსრკ-ში, რიგ დარგებში, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გამოშვების მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებლის მიუხედავად, აღნიშნებოდა მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვნად დაბალი დონე.

ამრიგად, საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნია ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ეკონომიკური მოთხოვნილებების უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილებას და მომავალი თაობების განვითარებისათვის მატერიალური ბაზის ფორმირებას.

ეკონომიკური ზრდის, როგორც მიზნის მიღწევის საშუალების დახასიათებისას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ქვეყნის ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. მხოლოდ გრძელვადიანი, მყარი ეკონომიკური ზრდის პირობებშია შესაძლებელი იმ ფინანსური და მატერიალური რესურსების ფორმირება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის მდგრად, უსაფრთხო განვითარებასა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

პოსტსოციალისტური ქვეყნების შემთხვევაში, ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს საზოგადოებრივ საქონელს, რომლისგანაც სარგებლობას ღებულობს მთელი საზოგადოება, მისი ყველა წევრი. ეკონომიკური ზრდის, ანუ საზოგადოებრივი საქონლის წარმოების უზრუნველყოფისთვის განსაკუთრე-

ბული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, მისი ფუნქციების ცვლილებას ტრანსფორმაციული ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად. ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ეკონომიკური სისტემის რეგულირების ფუნქციის შესრულებისას, სახელმწიფო გვევლინება როგორც საზოგადოებრივი საქონლის მწარმოებელი. ეკონომიკური ზრდის წარმოებისას, სახელწიფოს, როგორც მწარმოებლის დანახარჯებს წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დანახარჯები, ამონაგების ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად შექმნილი (სახეცვლილი) მაკროეკონომიკური გარემო: ეკონომიკური ზრდა კი საქონელია, ანუ ამ წარმოების პროცესის შედეგი, რომელიც მაკრო-მიკრო ეკონომიკური გარემოსაგან განსხვავებით შესაძლებელია შეფასდეს ღირებულებით მაჩვენებელში.

ჩვენი აზრით, საზოგადოებრივ საქონელს წარმოადგენს მაკროეკონომიკური, ინსტიტუციური და სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ჩამოყალიბებული მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური გარემო. მისი შეფასება ღირებულებით მაჩვენებლებში შესაძლებელია ირიბად: ტრანსაქციური დანახარჯების ეკონომიისა და ხელსაყრელი კონიუნქტურის ფორმირებით გამონვეული შემოსავლების მატების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოს წარმოებისას ამონაგებს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზანია. იგი ამონაგებია, ვინაიდან სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. ამავე დროს, იგი საზოგადოებრივი საქონელიცაა, ვინაიდან მის შედეგებს მთელი საზოგადოება იყენებს.

ამგვარად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა ანუ მსპ-ის რეალური მოცულობის გრძელვადიანი გადიდება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, სიღარიბის შემცირების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური დაცვის, ეროვნული სიმდიდრის ზრდისა და მომავალი თაობების ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზის ფორმირების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნულ -ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გარდამავალ ეკონომიკაში, სადაც აღინიშნება სათანადო ფინანსური და მატერიალური რესურსების უკმარისობა. ამიტომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მხოლოდ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უნარის მქონე ეკონომიკური სისტემის შექმნითაა შესაძლებელი ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დაძლევა, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირება, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეროვნული მეურნეობის, მისი წამყვანი დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობა გულისხმობს:

– სამამულო, რეგიონულ და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას;

– მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვას და ამის საფუძველზე წარმოების პროდუქტიულობის ამაღლებას;

– შეზღუდული საწარმოო რესურსების ეფექტიან განაწილებას ქვეყნის რეგიონებსა და დარგებს შორის.

ეკონომიკური ზრდის ტემპი დამოკიდებულია წარმოებაში გაწეული დანახარჯების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. სწორედ ეფექტიანობის (შედეგები/დანახარჯების თანაფარდობა) დაცემამ მიიყვანა საბჭოთა ეკონომიკა დაგროვებისა და მოხმარების მოცულობის შემცირებამდე, რამაც უარყოფითი, ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკური ზრდის ტემპებზე. ეკონომიკურად განვითარებული დასავლეთის ქვეყნებისათვის კი დამახასიათებელია ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპი წინ უსწრებს შრომაშეიარაღებისა და მასალაშეიარაღების ზრდის ტემპებს, ხოლო საშუალო ხელფასი იზრდება შრომის მწარმოებლურობის ამაღლების შესაბამისად ან ჩამორჩება მას.

ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია „ეკონომიკური ზრდის ხარისხს“. ერთი შეხედვით, „ეკონომიკური ზრდის ხარისხი“ შეიძლება „ეკონომიკური განვითარების“ იდენტურად ჩაითვალოს, თუმცა მათ შორის არსებობს განსხვავება. ეკონომიკური განვითარება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასთან და სიღარიბის დონის შემცირებასთან ერთად, აგრეთვე მოიცავს ეკონომიკურ ზრდას, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ცვლილებებს.

ამისგან განსხვავებით ეკონომიკური ზრდის ხარისხი დაკავშირებულია, მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასთან.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის ძირითადი მახასიათებლებია:

- მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება;
- თავისუფალი დროის გადიდება, რაც პიროვნების ჰარმონიული განვითარების საფუძველია;
- სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების დონის ამაღლება;
- ინვესტიციების ზრდა ადამიანურ კაპიტალში;
- ადამიანების შრომისა და ცხოვრების პირობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- უმუშევართა და შრომისუუნაროთა სოციალური დაცვა;
- შრომის ბაზარზე მიწოდების მზარდი მოცულობის პირობებში სრული დასაქმების შენარჩუნება.

### 6.2 ეკონომიკური ზრდის ციკლური რყევები

ეკონომიკური ზრდის არსში უკეთ გარკვევის მიზნით აუცილებელია განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის ციკლური რყევა, ანუ ეროვნული მეურნეობის ისეთი განვითარება, როდესაც ეკონომიკის აღმავლობის პერიოდებს ენაცვლება დაცემის პერიოდები. ეკონომიკური ციკლები დაკავშირებულია საზოგადოებრივ წარმოებასა და მოხმარებას, ერთობლივ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ნონასწორობის პერიოდულ დარღვევასთან. საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობისა და წონასწორობის დარღვევის და ეკონომიკური ციკლების მნიშვნელოვან მიზეზად ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია ეგრეთწოდებული იმპულსების ეკონომიკურ სისტემაზე შემთხვევითი ზემოქმედება.


განასხვავებენ მოთხოვნისა და მიწოდების (იმპულსებს) შოკებს.

მოთხოვნის შოკები დაკავშირებულია: მაკროდონეზე ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკასთან; კერძო სექტორის ინვესტიციურ და სამომხმარებლო მოთხოვნის ცვლილებასთან და ა.შ.

მიწოდების შოკები განპირობებულია: დანახარჯების ცვლილებით; ტექნოლოგიური ძვრებით; სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე მსოფლიო ფასების ცვლილებით და ა.შ.

ეკონომიკური ციკლის ფაზების მონაცვლეობის შესაბამისად (იხ. სქემა 6.2.1) აღინიშნება ეკონომიკური ზრდის ტემპის ცვლილება.

სქემა 6.2.1 ეკონომიკური ციკლის მოდელი




აღმავლობის ფაზის პიკი ხასიათდება ჭარბწარმოებით, კაპიტალის ჭარბი დაგროვებით, ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობითა და კელავწარმოების პროცესის დარღვევით, რასაც შედეგად მოჰყვება დაცემა და ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება. ეკონომიკური დაცემის ფაზა ხასიათდება ფასებისა და პროცენტის განაკვეთის შემცირებით, უმუშევრობის გადიდებით, რაც ამცირებს პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის აუცილებელ დანახარჯებს და ხელსაყრელ პირობებს ქმნის წარმოების აღმავლობისათვის. დაცემის ფაზის გახანგრძლივებისა და გაღრმავების შემთხვევაში, მის დასკვნით ეტაპთან მიახლოებისას, ეკონომიკური ზრდის ტემპი იკლებს.

აღმავლობის ფაზისთვის დამახასიათებელია წარმოების გამოცოცხლება და მისი აღმავლობა, რო-

მელიც მოიცავს მთელ ეროვნულ მეურნეობას. იზრდება ერთობლივი მოთხოვნა. მოგების ნორმის ამაღლება სათანადო სტიმულს ქმნის ახალი ინვესტიციური პროექტების განხორციელებისათვის და წარმოების გაფართოებისათვის, რაც ქვეყნის მასშტაბით ასახვას პოულობს ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლებაში, რომელიც თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს აღმავლობის ფაზის პიკის წერტილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის ციკლური რყევების აღმოფხვრისა და გრძელვადიან პერიოდში მისი სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია სახელმწიფომ განახორციელოს ისეთი მარეგულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ აღმოფხვრას მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევის შესაძლებლობა.

ეკონომიკური ზრდის შედეგების შეფასების სიზუსტე და უტყუარობა, ქვეყნის ეკონომიკაში არსებული რეალური ვითარების დადგენა, დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის შეფასებისათვის გამოყენებულ საშუალებებზე.

ეკონომიკური ზრდა შეიძლება გაიზომოს, როგორც ფიზიკურ, აგრეთვე ღირებულებით გამოხატულებაში. პირველი მეთოდი გამორიცხავს ინფლაციის ფაქტორს, ამიტომ უფრო საიმედოა, თუმცა მისი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან ეკონომიკური ზრდის ტემპის გაანგარიშებისას ძნელია სხვადასხვა დასახელების პროდუქციის შეფასებისთვის საერთო, განმაზოგადებელი მაჩვენებლის დადგენა. ამიტომ ძირითადად გამოიყენება მეორე საშუალება, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაზღვეული არ არის ინფლაციასთან დაკავშირებული დამახინჯებისაგან.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებულია ეკონომიკური ზრდის განსაზღვრა ორი ურთიერთდაკავშირებული საშუალებით. პირველის თანახმად ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება როგორც რეალური მშპ-ის გადიდება საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ხოლო მეორის თანახმად, იგი გაიანგარიშება, როგორც მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ის გადიდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ამა თუ იმ საშუალების გამოყენების აუცილებლობას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. ეკონომიკური ზრდის გაანგარიშების პირველი წესი გამოიყენება მაშინ, როდესაც კვლევის ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის დადგენა, ხოლო მეორე მაშინ, როდესაც აინტერესებთ ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით მოსახლეობის კეთილდღეობის დონის შედარება.

ზემოაღნიშნული ნებისმიერი საშუალების გამოყენებისას, ეკონომიკური ზრდა გაიანგარიშება ზრდის წლიური ტემპით -%-ში.

ეკონომიკური ზრდის ტემპის გასაანგარიშებელ ფორმულას გააჩნია შემდეგი სახე:

$$R = Q_1/Q_0 \times 100-100$$

სადაც, $Q_0$-არის მშპ-ის მოცულობა საბაზისო პერიოდისათვის, ხოლო

$Q_1$– კი, მშპ-ის მოცულობა საანგარიშო პერიოდისათვის.

პროფესორ გ. მალაშხიას გამოთქმული აქვს მეტად საყურადღებო მოსაზრება, რომლის თანახმადაც მშპ-ის მთლიანი მოცულობის, მისი სულადობრივი მაჩვენებლის გადიდება ან შემცირება სათანადო სიზუსტით ვერ ასახავს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებას-ეკონომიკურ ზრდას ან ვარდნას. მისი აზრით, ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების დონეს განსაზღვრავს არა მარტო წლის განმავლობაში შექმნილი დოვლათი, არამედ წინა პერიოდების მანძილზე დაგროვილი სიმდიდრის მარაგიც. ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, ადამიანთა კეთილდღეობას უფრო ზუსტად ასახავს დაგროვილი საზოგადოებრივი სიმდიდრე სულადობრივი გამოსახულებით, ვიდრე წლის მანძილზე შექმნილი დოვლათი. სწორედ ამ მაჩვენებლის ცვლილების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებაზე ან დაცემაზე, ეკონომიკურ ზრდაზე ან ვარდნაზე.

აღნიშნული თვალსაზრისის თანახმად, მშპ-ის მოცულობა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე დაეცეს, თუკი საზოგადოებრივი სიმდიდრის წლის მანძილზე შექმნილი ნაწილი ნაკლებია მწყობრიდან გასულ სიმდიდრესთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესორი გ. მალაშხია მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ზრდის შეფასებისას გათვალისწინებელია ახლადშექმნილ და მწყობრიდან გასულ სიმდიდრეებს შორის არსებული თანაფარდობა.

მოცემული თვალსაზრისი, თავისი მნიშვნელობით, განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, სადაც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე აღინიშნა ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, რის შედეგადაც მკვეთრად დაეცა წარმოების მოცულობა, გაიზარდა უმუშევ-

რობა, მწყობრიდან გამოვიდა ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი. შემდგომში, ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, მშპ-ის ზრდის პარალელურად არ აღნიშნულა საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდაც. ქვეყნის საზოგადოებრივი სიმდიდრის, ეროვნული მეურნეობის წამყვან დარგებში საწარმოო-მატერიალური ბაზის შემცირება ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დაქვეითებას, რაც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ამგვარად, ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე პროცესებისა და ეკონომიკური ზრდის შეფასებისას, მშპ-ის ზრდის მაჩვენებლებთან ერთად, საჭიროა ყურადღება მიექცეს ქვეყნის საზოგადოებრივი სიმდიდრის დინამიკასა და სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის შეფასებისას, აგრეთვე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და სიღარიბის დონის შემცირებაზე.

იმ ქვეყნებში, სადაც გრძელვადიანი პერიოდის მანძილზე აღინიშნა სტაბილური ეკონომიკური ზრდა, მკვეთრად ამაღლდა მოსახლეობის ყველა ფენის, მათ შორის ღარიბი ნაწილის შემოსავლები, ე.ი. რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით უფრო მაღალია მოხმარების საშუალო დონე მისი მოსახლეობის ღარიბ ნაწილში. ამასთან, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის იმ ნაწილის წილი, რომლებიც დღეში ღებულობენ 1 აშშ დოლარზე ნაკლებ შემოსავალს. ასე მაგალითად, ევროპის მდიდარ ქვეყნებში, სადაც ბოლო 200 წლის მანძილზე აღინიშნა სტაბილური ეკონომიკური ზრდა, დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლის მიმღები მოსახლეობის ღარიბი ნაწილის წილი დაეცა ნულამდე. ჩინეთში, სადაც იმავე პერიოდში აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის ბევრად დაბალი ტემპი, დღეში 1 აშშ-ის დოლარზე ნაკლები შემოსავალი გააჩნია მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს. სამხრეთ აზიაში კი, სადაც ეკონომიკური განვითარება კიდევ უფრო შენელებული იყო, შემოსავლის ასეთი დონე დამახასიათებელია მოსახლეობის დაახლოებით 40%-ისათვის.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია მოსახლეობის ყველაზე მდიდარი 20%-სა და ყველაზე ღარიბი 20%-ის, აგრეთვე ყველაზე მდიდარი 10%-სა და ყველაზე ღარიბი 10 % შემოსავლებს შორის თანაფარდობის ცვლილებას.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, აღნიშნული თანაფარდობები შედარებით დაბალია ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან ადამიანური პოტენციალის განვითარების მაღალი დონით, ხოლო შედარებით მაღალია იმ ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან ადამიანური პოტენციალის განვითარების საშუალო და დაბალი დონით. აქედან ცხადია, რომ ადამიანური პოტენციალის განვითარების მაღალი დონით გამორჩეული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია შემოსავლების შედარებით თანაბარი განაწილება და სიღარიბის შედარებით დაბალი დონე, ვიდრე დანარჩენი ქვეყნებისათვის.

ეკონომიკური ზრდა ხელს უწყობს სიღარიბის დონის შემცირებას, თუკი მოსახლეობის ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღარიბი ფენების შემოსავლებს შორის თანაფარდობა შემცირდება.

ეკონომიკური ზრდის განსაზღვრული ტემპისას, სიღარიბის დონის შემცირების ხარისხი დამოკიდებულია შემოსავლების განაწილებაში მომხდარ ისეთ ცვლილებებზე, რომელიც ღარიბებს შესაძლებლობას მისცემს ისარგებლონ ზრდის შედეგებით. თუკი ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ აღინიშნება მოსახლეობის ღარიბი ფენების მიერ მიღებული შემოსავლების წილის ამაღლება, მაშინ საშუალო შემოსავლებთან შედარებით, მათი შემოსავლები უფრო გაიზრდება.

ამრიგად, აუცილებელია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც გამოიწვევს შემოსავლების განაწილების სრულყოფას. ეს უკანასკნელი იძლევა ორმაგ ეფექტს: პირველი, განაპირობებს სიღარიბის დონის შემცირებას; მეორე, ვინაიდან ღარიბ მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს მეტი თანხები დახარჯონ განათლებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე, ამიტომ ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის შეფასების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც მოიცავს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის, განათლების დონისა და შემოსავლის დონის მაჩვენებლებს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზრდისათვის და განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს არა თავისთავად მშპ-ის ზრდის ტემპს, არამედ იმას, თუ რა შედეგს იძლევა იგი, იწვევს ადამიანის განვითარების ინდექსის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, თუ არა.

ეკონომიკური ზრდა მაშინ უწყობს ხელს ადამიანის განვითარებას, როდესაც საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს შესაძლებლობას აძლევს: იცხოვროს ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრებით, აიმაღლოს ცოდნა და მიიღოს შემოსავლების ის დონე, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ

ცხოვრებას. ადამიანის განვითარების ინდექსის ამაღლებაც, თავის მხრივ, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა.

ადამიანის განვითარების ინდექსის მაღალი დონით ხასიათდებიან მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნები, რომლებშიც მისი მნიშვნელობა აღემატება 0.900-ს. პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში, მ.შ. საქართველოში, 1999 წლისათვის, მისი მნიშვნელობა 0.742-ის ტოლია. ცხრილის მონაცემების ანალიზის საფუძველზე აშკარაა, რომ ადამიანის განვითარების ინდექსის მაღალი დონით გამოირჩევიან ის ქვეყნები, რომლებისთვისაც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დამახასიათებელი იყო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა.

გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა განაპირობებს განათლებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯების ამაღლებას, როგორც ფულად, აგრეთვე შეფარდებით მაჩვენებლებში. როგორც წესი, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, აღნიშნული მაჩვენებლები მერყეობს 6-8 %-ის ფარგლებში.

ამგვარად, ეკონომიკური ზრდის შეფასება მიზანშეწონილია განხორციელდეს კომპლექსურად, შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

1. რეალური მშპ-ის მოცულობის ზრდა საანგარიშო წლის მანძილზე;

2. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით რეალური მშპ-ის მოცულობის ზრდა-საანგარიშო წლის მანძილზე;

3. საანგარიშო პერიოდის მანძილზე ახლადშექმნილი სიმდიდრის მეტობა მწყობრიდან გასულ სიმდიდრესთან შედარებით;

4.სიღარიბის დონის ცვლილება საანგარიშო წლის მანძილზე;

5.ადამიანის განვითარების ინდექსის ცვლილება საანაგარიშო წლის მანძილზე;

6.განათლებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული დანახარჯების ცვლილება საანგარიშო წლის განმავლობაში.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზებისა და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ხასიათის განმსაზღვრელი მიზეზებისა და ფაქტორების, მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის გათვალისწინება. ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური ზრდის ფაქტორებში გულისხმობენ „იმ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოების რეალური მოცულობის გადიდების, ზრდის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების შესაძლებლობებს".

ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ მიწოდების, მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორებს.

მიწოდების ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის ფიზიკურ უნარს და პროდუქციის გამოშვების საწარმოო შესაძლებლობებს. მათ მიეკუთვნება:

- ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი;
- შრომითი რესურსების რაოდენობა და ხარისხი;
- ძირითადი კაპიტალის მოცულობა;
- ტექნიკური პროგრესი;
- წარმოების მასშტაბებით განპირობებული ეკონომია;
- საზოგადოების სამენარმეო უნარი.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაოდენობა და ძირითადი კაპიტალის მოცულობა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. თუმცა აღნიშნული ფაქტორების სიჭარბე თუ შეზღუდულობა შეუძლებელია მივიჩნიოთ ეკონომიკური ზრდის მაღალი თუ დაბალი ტემპების განმსაზღვრელ მიზეზად, რასაც ადასტურებს ცალკეულ ქვეყნებში არსებული ვითარებაც. ასე მაგალითად, ყოფილი სსრკ ბუნებრივი რესურსების ძარაგითა და მრავალფეროვნებით წარმოადგენდა მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანას, ჰყავდა მრავალრიცხოვანი სამუშაო ძალა და არც ძირითადი კაპიტალის ნაკლებობას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური განვითარების დონით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მსოფლიოს ინდუსტრიულ ქვეყნებს. ამასთან, ეკონომიკური ზრდის ტემპი გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მკვეთრად დაეცა, ხოლო 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მან უარყოფითი მნიშვნელობები შეიძინა. ამის საპირისპიროდ, ბუნებრივი რესურსების მხრივ ღარიბმა იაპონიამ, მსოფლიოს დანარჩენ წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით, უზრუნველყო ეკონომიკური ზრდის მაღალი საშუალო წლიური ტემპი. მეორეს მხრივ, მსოფლიოს მრავალ ჩამორჩენილ ქვეყანაში დიდი რაოდენობის შრომითი და ბუნებრივი რესურსებია თავმოყრილი.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია შრომითი რესურსებისა და ძირითადი კაპიტალის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას, სამუშაო ძალის განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას, რაც წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის წამყვან ფაქტორს წარმოადგენს ტექნიკური პროგრესი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს: ეკონომიკაში მიმდინარე დინამიურ პროცესებს, ეკონომიკური ზრდის პროცესის უწყვეტობას და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას; ეროვნული მეურნეობის, მათ შორის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურასა და ქვეყნის ადგილს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში; მუშახელის, ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას და ა. შ.


ტექნიკური პროგრესი, ანუ წარმოების სრულიად ახალი მეთოდები, აგრეთვე წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ახალი ფორმები, არსებული რესურსების ახალი, პროგრესული წესით კომბინირების შესაძლებლობებს ქმნის, რაც განაპირობებს მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვების გადიდებას. ამგვარად, ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ნყაროა. აშშ-ში, 1928-1982 წლებში, რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდის 28 % განპირობებული იქნა ტექნიკური პროგრესის შედეგად.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური ზრდის მიწოდების ფაქტორებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ინტელექტუალურმა კაპიტალმა და ინფორმაციამ. ინტელექტუალური კაპიტალი და ინფორმაცია თანამედროვე პირობებში წარმოადგენენ მნიშვნელოვან სანარმოო რესურსებს, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ სანარმოო პროცესის უწყვეტობასა და ეფექტიანობას, აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, როგორც ქვეყნის შიგა, აგრეთვე საგარეო ბაზრებზე.

მხოლოდ მიწოდების ფაქტორების არსებობა არ არის ეკონომიკური ზრდის საკმარისი პირობა. რესურსების მზარდი მოცულობის რეალური გამოყენება, ახალი ტექნოლოგიების შექმნა და წარმოების პროცესში დანერგვა მოითხოვს ერთობლივი მოთხოვნის ადექვატურ გაფართოებას და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. ე.ი. ეკონომიკური ზრდა აგრეთვე დამოკიდებულია მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორებზე. მოთხოვნის ფაქტორებს მიეკუთვნება სამომხმარებლო, ინვესტიციური და სამთავრობო დანახარჯების, აგრეთვე წმინდა ექსპორტის ცვლილება.

ერთობლივი მოთხოვნის გაფართოება როდესაც ჩამორჩება ერთობლივი მიწოდების პოტენციური დონის ამაღლებას, მაშინ ეკონომიკაში აღინიშნება ზრდის ტემპების დაცემა, ანუ ზრდის რეცესია. ეს იწვევს წონასწორობის ჩამოყალიბებას არასრული დასაქმების პირობებში, რის გამოც ეკონომიკას არ შეუძლია ეკონომიკური ზრდის არსებული პოტენციალის რეალიზება. ეს სიტუაცია წარმოდგენილია სქემა 6.2.2-ზე.

სქემა 6.2.2. ეკონმიკურ ზრდაზე მოთხოვნის ფაქტორების ზემოქმედება



დავუშვათ, რომ ეკონომიკა თავდაპირველად იმყოფება $A_1$ წერტილის შესაბამისი წონასწორობის მდგომარეობაში, როცა ფასების დონე $P_1$-ია, ხოლო პროდუქციის გამოშვების პოტენციური მოცულობა $Q_1$. წარმოების პოტენციური მოცულობის ზრდა $Q_1$-დან $Q_2$-დონემდე გამოიწვევს ერთობლივი მიწოდების გრძელვადიანი მრუდის გადაადგილებას $AS_1$ მდებარეობიდან $AS_2$-მდებარეობაში. ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდიც აგრეთვე გადაადგილდება $AS(Q_1)$ მდებარეობიდან $AS(Q_2)$-მდებარეობაში. დავუშვათ, რომ ერთობლივი მოთხოვნა არ იცვლება, მაშინ ერთობლივი მოთხოვნის ADO-მრუდი არ შეიცვლის მდებარეობას. ასეთ პირობებში, ეკონომიკაში დროებით დაირღვევა წონასწორობა, ვინაიდან საწყისი $P_1$-ფასების დონის პირობებში ერთობლივი მიწოდება $(Q_2)$მეტი აღმოჩნდება ერთობლივ მოთხოვნაზე $(Q_1)$.

არსებული ვითარება (ჭარბი სასაქონლო მარაგების წარმოშობის საშიშროება) მეწარმეებს აიძულებს ფასების შემცირებას და ამ გზით პროდუქციის გასაღების ნახალისებას. ამავე დროს, არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, ისინი იძულებულნი არიან შეამცირონ პროდუქციის გამოშვება მანამ, ვიდრე ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის არ ჩამოყალიბდება ახალი წონასწორობის მდგომარეობა. ნახ. 1– ზე ახალ წონასწორობას შეესაბამება A2 წერტილი, როდესაც პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობა ნაკლებია მის პოტენციურ დონეზე. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპიც ვერ უზრუნველყოფს საწარმოო შესაძლებლობების სრულ გამოყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდის ფიზიკური შესაძლებლობის სრული რეალიზაცია მოითხოვს ერთობლივი მოთხოვნის ადექვატურ გაფართოებას.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი და მიზანშეწონილი გამოყენება დაკავშირებულია განაწილების ფაქტორებთან. ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია რესურსებისა და შემოსავლების ისეთი განაწილება, რომელიც მათი ოპტიმალური გამოყენებისა და სასარგებლო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობის მიღების შესაძლებლობას მოგვცემს. ე.ი. საჭიროა ქვეყნის საწარმოებს, დარგებსა და რეგიონებს შორის საწარმოო რესურსების განაწილების სტრუქტურის, აგრეთვე ეკონომიკის სუბიექტებს შორის შემოსავლების განაწილების არსებული წესის სრულყოფა.

რესურსების განაწილების გაუმჯობესება გულისხმობს რესურსების, მ.შ. სამუშაო ძალის გადანაწილებას დაბალმწარმოებლური და კრიზისში მყოფი დარგებიდან და რეგიონებიდან მაღალმწარმოებლურ დარგებსა და რეგიონებში.

შემოსავლების განაწილების არსებული წესი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას მაქსიმალურად შესაძლებელი ტემპებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ის წარმოშობს სათანადო სტიმულებს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისათვის. ე.ი. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალის რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ ეკონომიკური ზრდის პროცესში არ შემცირდეს დასაქმებული მუშაკების შემოსავლების წილი ეროვნულ შემოსავალში. ანუ აუცილებელია, რომ მუშაკების შემოსავლები გაიზარდოს მათი შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების შესაბამისად. ამავე დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია სიღარიბის დონის შემცირებას და მოსახლეობის ღარიბი ნაწილის შემოსავლების ამაღლებას, რაც აღნიშნულ ფენას, საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, სათანადო დანახარჯების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს. ადამიანური კაპიტალის განვითარება კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას.

ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია აგრეთვე ქვეყანაში არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ატმოსფეროზე, შრომისადმი და მეწარმეობისადმი საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებაზე. სტაბილური პოლიტიკური და სოციალური გარემო, შრომისა და მეწარმეობისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება, ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.


ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ინსტიტუციური ფაქტორებიც, როგორიცაა: 1.არაფორმალური ინსტიტუციები, ანუ ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, საქმიანი ქცევის სტერეოტიპები და ნორმები. 2.ფორმალური ინსტიტუციები, ანუ საკუთრების უფლების გარანტიები, სანქტაქტო სამართალი, კონკურენციის პირობები, სხვა სამართებლივი ნორმები, მათი რეალიზაციის მექანიზმები, მ.შ. საბაზრო კოორდინაციის ინსტიტუციები (საფინანსო, ეკონომიკური, კომუნიკაციური, მარკეტინგული და ა.შ.) და ბიუროკრატიული კოორდინაციის ინფრასტრუქტურა (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვისა და რეგულირების ორგანოები, მათი უფლებამოსილების საზღვრები, მათ მიერ გამოყენებული რეგულირების ბერკეტები და ინსტრუმენტები და ა.შ.).

ეკონომიკური ზრდის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის ურთიერთმოქმედებისას, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებში გარკვევის მიზნით განვიხილოთ საწარმოო შესაძლებლობების მრუდი,

რომელიც ასახავს ორი სახის პროდუქციის მაქსიმალური გამოშვების ვარიანტების ერთობლიობას მიწოდების ფაქტორების არსებული პოტენციალის პირობებში (იხ. სქემა 6.2.3).

სქემა 6.2.3-ზე AC-მრუდის თითოეული წერტილი მიუთითებს ორი პროდუქციის წარმოების მაქსიმალურ, პოტენციურ მოცულობას, არსებული რესურსების სრული დატვირთვით გამოყენების პირობებში.

**სქემა 6.2.3 საწარმოო შესაძლებლობების მრუდი და ეკონომიკური ზრდა.**




მიწოდების ნებისმიერი ფაქტორის პოზიტიური როლის გაძლიერება გამოიწვევს საწარმოო შესაძლებლობების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას AC მდებარეობიდან BD მდებარეობაში. ე.ი. ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას, რაც გამოიხატება პროდუქციის წარმოების პოტენციური მოცულობის გადიდებაში. მაგრამ საწარმოო შესაძლებლობების მრუდის ასეთი კეთილსასურველი გადაადგილება ვერ ქმნის იმის გარანტიას, რომ ეკონომიკამ იფუნქციონიროს ამ ახალი მრუდით განსაზღვრულ რეჟიმში. ეკონომიკამ შეიძლება სრულად ვერ გამოიყენოს თავისი ახალი შესაძლებლობები, რადგანაც არსებული საწარმოო პოტენციალის სრული რეალიზაციის შესაძლებლობას ზღუდავს მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორები. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების რეალურმა დონემ შეიძლება ვერ მიაღწიოს შესაძლებელს, რაც მიუთითებს არსებული რესურსების არასრულ და არარაციონალურ გამოყენებაზე. შესაბამისად, პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობა აღმოჩნდება BD საწარმოო შესაძლებლობების მრუდით შემოსაზღვრულ რომელიღაც, ვთქვათ კK-წერტილში.

ამგვარად, ცხადია, რომ ქვეყნის საწარმოო პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციისათვის საჭიროა ერთობლივი მოთხოვნის ადექვატური გადიდება და მიწოდების ფაქტორების ეფექტიანი განაწილება-გამოყენება. დღევანდელ პირობებში არანაკლებ მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ინოვაციების განხორციელება, ვინაიდან წარმოების მასშტაბების გადიდება, ახალი ბაზრების ათვისება, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია მოითხოვს არსებული ინსტიტუციების ტრანსფორმაციასა და ახალი ინსტიტუციების ფორმირებას.

პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობის თანაფარდობა საწარმოო შესაძლებლობების მრუდით განსაზღვრულ მის პოტენციურ დონესთან, ჩვენი აზრით, განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის თუ რომელ ტიპს ენიჭება უპირატესობა-ექსტენსიურს თუ ინტენსიურს.

თუკი ქვეყანაში მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და მ.შ. საქართველოში, პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობა მკვეთრად ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს (ნახ. 6.2.3-ზე მას შეესაბამება Z წერტილი), მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკური ზრდის ექსტენსიურ ტიპს, ანუ უქმად მყოფი მიწო-

დების ფაქტორების ჩაბმას წარმოების პროცესში. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობა შეესაბამება ან უმნიშვნელოდ ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, მაშინ აშკარაა ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპის უპირატესობა.

ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპის სპეციფიკაცია მდგომარეობს იმაში, რომ წარმოების ზრდა მიიღწევა მიწოდების ფაქტორების ხარისხობრივი სრულყოფის ხარჯზე: პროგრესული ტექნოლოგიების, უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და შრომის მწარმოებლურობის მქონე სამუშაო ძალის გამოყენებით. ამ შემთხვევაში წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპი მეტი იქნება მის წარმოებაზე ერთობლივი დანახარჯების ზრდის ტემპზე, მაშინ როდესაც ექსტენსიური ზრდისას შენარჩუნდება მუდმივი პროპორცია წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპსა და მის წარმოებაზე რეალურ ერთობლივ დანახარჯებს შორის.

ეკონომიურ თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წონასწორული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის თანაბარზომიერ გადიდებას. წონასწორული ეკონომიკური ზრდის პირობას აგრეთვე წარმოადგენს.დანაზოგებისა და ინვესტიციების ტოლობა. შედეგი კი ფასების დონის სტაბილურობაა.

ეკონომიურ თეორიაში განასხვავებენ ეკონომიკური ზრდის წონასწორული მოდელების ორ ძირითად ტიპს: ნეოკლასიკურს და ნეოკეინსიანურს.

ნეოკლასიკური მოდელების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ნეოკლასიკური თეორია, რომლის თანახმადაც საბაზრო სისტემას ახასიათებს ოპტიმალურობა და საბაზრო კონკურენციის სისტემა უზრუნველყოფს დეფიციტური რესურსების რაციონალურ განაწილებას, მათ ეფექტიან გამოყენებასა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მაღალ დონეს.

წონასწორული ზრდის ყველაზე ცნობილ ნეოკლასიკურ მოდელებს წარმოადგენს კობი-დუგლასისა და რ. სოლოუს მოდელები.

კობი-დუგლასის ფაქტორული მოდელი გვიჩვენებს შრომისა და კაპიტალის ურთიერთმოქმედებასა და ურთიერთჩანაცვლებას. მშპ-ის მატების ერთი და იგივე მოცულობა შეიძლება მიღებული იქნეს ან კაპიტალდაბანდების გადიდების შედეგად, ან შრომის გამოყენების გაფართოების შედეგად. ამიტომ საწარმოო ფუნქციის საფუძველზე ხორციელდება წარმოების აღნიშნული ფაქტორების ისეთი ტექნოლოგიური კომბინაციის შერჩევა, რომელზეც არსებობს მოთხოვნა მოცემულ კონკრეტულ პირობებში.

კობი-დუგლასის ეკონომიკური ზრდის მოდელის ნაკლს შეადგენს ის, რომ იგი არ ითვალისწინებს კაპიტალის ფიზიკურ მდგომარეობას (მის ასაკს), კაპიტალის მწყობრიდან გამოსვლასა და ტექნოლოგიურ პროგრესს.

რ. სოლოუმ კი შეიმუშავა წონასწორული ზრდის მოდელი, რომელშიც დადგენილია მოსახლეობის ზრდის, დანაზოგებისა და ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. აღნიშნულ მოდელში წარმოებრივი ფუნქცია – Y =TF (K,L) ხასიათდება მასშტაბიდან მუდმივი უკუგების ეფექტით. იგი ითვალისწინებს კაპიტალისა და შრომის ურთიერთჩანაცვლებას.

ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელის თანახმად:

1. დაზოგვის ნორმის უცვლელი სიდიდის პირობებში, კაპიტალშეიარაღების მყარი დონე მიიღწევა მაშინ, როცა ინვესტიციები და კაპიტალის მწყობრიდან გამოსვლა ერთმანეთის ტოლია. კაპიტალშეიარაღების მყარი დონე კი ეკონომიკაში უზრუნველყოფს გრძელვადიან წონასწორობას.

2. დაზოგვის ნორმის ცვლილება გამოიწვევს კაპიტალშეიარაღების მყარი დონის შესაბამის ცვლილებას. თუკი დაზოგვის ნორმა ამაღლდება, მაშინ ინვესტიციებსა და მწყობრიდან გასულ კაპიტალს შორის არსებული წონასწორობა დაირღვევა: ინვესტიციები მეტი აღმოჩნდება დანაზოგებზე. შესაბამისად დამყარდება ახალი წონასწორობა, რომლის პირობებშიც ეკონომიკაში გაიზრდება კაპიტალის მარაგი და ამაღლდება წარმოების დონე.

3. კაპიტალის დაგროვების დონეს, რომელიც უზრუნველყოფს მყარ მდგომარეობას მოხმარების მაქსიმალური დონით, ეწოდება კაპიტალის დაგროვების ოქროს დონე. ეს ის დონეა, რომლის დროსაც საზოგადოების კეთილდღეობა აღწევს თავის მაქსიმალურ დონეს. ე.ი. თუკი კაპიტალშეიარაღება ნაკლებია ოქროს წესის შესაბამის დონეზე, მაშინ კაპიტალის მარაგის ზრდა სასურველია, ვინაიდან იგი გამოიწვევს წარმოების ზრდას იმ ტემპებით, რომელიც აღემატება კაპიტალის მწყობრიდან გასვლის ტემპს. შესაბამისად გაიზრდება მოხმარება. ხოლო როდესაც კაპიტალშეიარაღება შეესაბამება ოქროს წესის შესაბამის მის დონეს, მაშინ კაპიტალის მარაგის ზრდა მიუღებელია, ვინაიდან ზრდის ტემპები ნაკლები აღმოჩნდება კაპიტალის მწყობრიდან გასვლის ტემპზე და შემცირდება მოხმარება.

ე.ი. კაპიტალის მარაგის გადიდება ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს მანამ, ვიდრე კაპიტალშეიარაღება არ მიაღწევს ოქროს წესის შესაბამის დონეს.

4. მოსახლეობის ზრდა იწვევს კაპიტალისა და წარმოების მოცულობის შესაბამისი ტემპით ზრდას. ეკონომიკური ზრდის ასეთი ტემპი გამორიცხავს მოსახლეობის ცხოვრების დონის გრძელვადიან ზრდას, ვინაიდან წარმოების მოცულობა ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, მყარ მდგომარეობაში, მუდმივი რჩება.

5. მოდელი გვიჩვენებს, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის უწყვეტი ზრდა განპირობებულია ტექნოლოგიური პროგრესით.

სოლოუს მოდელის ძირითად ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ის რომ, გარანტირებული არ არის ხანგრძლივი წონასწორობის მდგომარეობის მიღწევა, რამდენადაც ეკონომიკური პარამეტრები ცვალებადია, ხოლო აღნიშნულ მოდელში კი ისინი ითვლება მუდმივად, თუმცა იგი, სხვა თანაბარ პირობებში, სწორ წარმოდგენას იძლევა გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებზე.

ნეოკეინსიანური მოდელების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კეინსის მტკიცება, რომ დაგეგმილ ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის არსებობს შეუსაბამობა, რაც იწვევს საქმიანი აქტივობის რყევებს. ამავე დროს მრავალი ბაზარი ხასიათდება არაკონკურენციულობით, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, ზემოქმედებს წარმოების დონეზე და არა ფასების დონეზე. შესაბამისად, აღნიშნული თეორიის თანახმად, საჭიროა სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ეკონომიკაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების წონასწორობა და ეკონომიკის სტაბილიზაცია.

ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ე. დომერის, რ. ხაროდისა და სხვათა მიერ შემუშავებული ეკონომიკური ზრდის ნეოკეინსიანური მოდელები.

ე. დომერის ძირითადი წვლილი წონასწორული ეკონომიკური ზრდის თეორიაში მდგომარეობს იმაში, რომ მან ყურადღება გაამახვილა ინვესტიციების ორივე ეფექტის, როგორც მულტიპლიკატორის, აგრეთვე აქსელერატორის გათვალისწინების აუცილებლობაზე. ინვესტიციების მატება, ე. დომერის აზრით, იწვევს როგორც ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას (მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინებით), აგრეთვე ერთობლივი მიწოდებისას (აქსელერატორის ეფექტის გათვალისწინებით), რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამასთან, დომერის მოდელში წონასწორობა არ არის მყარი, ვინაიდან ინვესტიციური გეგმები და დანაზოგები ხშირ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს ერთმანეთთან შეუსაბამო. ამიტომ ეკონომიკაში დინამიკური წონასწორობის უზრუნველსაყოფად დომერი გვთავაზობს ეკონომიკური ზრდის სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

რ. ხაროდიც, ე. დომერის მსგავსად, იკვლევს არა სტატისტიკურ წონასწორობას, რაც ძირითადია კეინსურ თეორიაში, არამედ დინამიკურ წონასწორობას, ანუ გრძელვადიანი მყარი ეკონომიური ზრდის პირობებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეწარმეთა ქცევის ფსიქოლოგიური მოტივების ანალიზს. ამ მოდელშიც ძირითადია სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის დასაბუთება მყარი, წონასწორული ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

განვითარებად ქვეყნებში პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა განვითარების ეკონომიკის თეორიულმა საფუძვლებმა. განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სასაქონლო და რესურსული ბაზრების უმრავლესობა დეფორმირებულია; მიმდინარეობს საზოგადოების სტრუქტურის რადიკალური გარდაქმნა. მომარაგება, წარმოება და ფასები დაუბალანსებელია. ხშირად ეკონომიკური გადაწყვეტილებები განისაზღვრება პოლიტიკური ან სოციალური პრიორიტეტებიდან გამომდინარე. ამდენად, განვითარების ეკონომიკა უფრო მეტად, ვიდრე ნეოკლასიკური თეორია, შეისწავლის ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ პირობებს, რაც აუცილებელია სხვადასხვა საზოგადოების სწრაფი სტრუქტურული და ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციისთვის, ამიტომ განვითარების ეკონომიკა განიხილავს სახელმწიფოს მნიშვნელოვან, აქტიურ როლს ეკონომიკის ტრანსფომაციის კოორდინაციის საქმეში.

მთელი ქვეყნის მასშტაბით გრძელვადიანი წონასწორული ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რეგიონების ეკონომიკურ პოტენციალზე, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დისპროპორციების გამომწვევ მიზეზებზე და სიღრმეზე, აგრეთვე რეგიონებში ეკონომიკური ზრდის არსებულ ფაქტორებზე. რეგიონებში არსებული ეკონომიკური პოტენციალი (ბუნებრივი რესურსები, კლიმატური პირობები, სამუშაო ძალა, სამრეწველო პოტენციალი) ხელს უწყობს მათ სპეციალიზაციას ტრადიციულ დარგებში და წარმოების იმ თანამედროვე სფეროებში, სადაც ამის შესაძლებლობას იძლევა არსებული რესურსები – ქვეყანაში და საგარეო ბაზრებზე არსებული კონკურენციული გარემოს გათვალისწინებით. ამგვარად, რეგიონების ეკონომიკური პოტენციალი, მათი ეფექტიანი გამოყენებისა და რეგიონებს შორის რაციონალური ეკონომიკური კავშირების უზრუნველყოფის პირობებში, წარმოადგენს როგორც თვით რეგიონებში, აგ-

რეთვე მთლიანად მთელ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის არსებით წყაროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპზე (როგორც ქვეყნის, აგრეთვე რეგიონების მასშტაბით) უარყოფითად ზემოქმედებს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დისპროპორციები, ვინაიდან იგი იწვევს გასაღების ბაზრების შეკვეცას, დანახარჯების ზრდას ჩამორჩენილი, დეპრესიული რეგიონების სუბსიდირებაზე, რესურსების არაეფექტიან განაწილებას და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური ზრდის ფაქტორების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ანალოგიური ფაქტორების შეფასებას რეგიონების დონეზე.

რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ ფაქტორის წამყვან როლს, ან ფორმირების შესაძლებლობას რეგიონის დონეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონების დონეზე ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებს მიეკუთვნება მიწოდებისა (შრომითი რესურსები, მათი განათლებისა და პროფესიული მომზადების დონე, შრომისადმი დამოკიდებულება; მიწა, კლიმატური პირობები, ბუნებრივი რესურსები; კაპიტალი, მისი ხარისხობრივი მახასიათებლები; ტექნოლოგიები) და რესურსების განაწილების ფაქტორები. აღნიშნული ფაქტორებიდან შრომითი რესურსების რაოდენობა, მიწა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი რესურსები ეგზოგენური ფაქტორებია. აღნიშნული ფაქტორებით მდიდარ რეგიონებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ. შრომითი რესურსების განათლებისა და მომზადების დონე, კაპიტალის მოცულობა და ხარისხობრივი მახასიათებლები, ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. ამავე დროს, რეგიონების მასშტაბით გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაც, აგრეთვე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს აღნიშნული ფაქტორების ფორმირებას. ასე მაგალითად, რეგიონული ბიუჯეტიდან დაფინანსებისას, პრიორიტეტის მინიჭება განათლების, კადრების მომზადება-გადამზადებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებისათვის ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, მათი კვალიფიკაციისა და შრომისუნარიანობის დონის ამაღლებას. რეგიონის ბიუჯეტიდან კაპიტალდაბანდების ზრდა ინფრასტრუქტურის ფორმირებაზე, ანუ გზების, ხიდეების, კავშირგაბმულობის სისტემის, ელექტროსადგურების, საკანალიზაციო სისტემის და ა.შ. მშენებლობაზე, ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას. რესურსების ეფექტიანი განაწილებაც დამოკიდებულია რეგიონების ეკონომიკური განვითარების თავისებურებებზე. რეგიონში არსებული ინფრასტრუქტურა და საქმიანი ატმოსფეროც ხელს უწყობს რესურსების ოპტიმალურ და რაციონალურ განაწილებას, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი მოთხოვნისა და ინსტიტუციური ფაქტორები წარმოადგენენ მიწოდების ფაქტორებით განსაზღვრული ეკონომიკური პოტენციალის სრული გამოყენებისა და რეალური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას, როგორც მთელი ქვეყნის, აგრეთვე ცალკეული რეგიონების მასშტაბით. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფაქტორების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მოცემული ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონების დონეზე პრაქტიკულად გამორიცხულია აღნიშნული ფაქტორების ფორმირებაზე არსებითი ხასიათის ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდა როგორც მთელი ქვეყნის, აგრეთვე ცალკეული რეგიონების მასშტაბით წარმოადგენს მრავალფაქტორულ მოვლენას. აღნიშნული ფაქტორების ერთიანობა ქვეყნისა და რეგიონების დონეზე განპირობებულია იმით, რომ რეგიონების დონეზე მოქმედი ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს, როგორც რეგიონების, აგრეთვე ქვეყნის მასშტაბით; ხოლო ის ფაქტორები, რომლებიც ყალიბდებიან მთელი ეროვნული მეურნეობის მასშტაბით (მოთხოვნისა და ინსტიტუციური ფაქტორები), თავის მხრივ, განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის პირობებს, როგორც მთელი ქვეყნის, აგრეთვე რეგიონების დონეზე

### 6.3. რეგიონი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და მართვის ობიექტი

აუცილებელია ცნება „რეგიონი" ერთდროულად განვიხილოთ როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და მართვის ობიექტი.

რეგიონის ცნების ქვეშ მიღებულია იგულისხმებოდეს ტერიტორიული ერთეული, რომელსაც აქვს ერთნაირი ბუნებრივი გეოგრაფიული და სოციალურ-დემოგრაფიული პირობები, საწარმოო ძალების განვითარების სპეციფიკური მიმართულება და ბუნებრივი რესურსების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსი, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა. რეგიონი ხასიათდება მკაფიოდ განსაზღვრული ადმინისტრაციული საზღვრების არსებობით, მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველყოფის სოციალური

და ეკონომიკური პროცესების აღწარმოებით, შრომის ტერიტორიულ და დარგობრივ გადანაწილებაში მონაწილეობით. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რეგიონი „არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც გააჩნია ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული, კულტურული და სხვა პირობების ერთობლიობა“ რეგიონი შეიძლება დაემთხვეს საქართველოს სუბიექტის ტერიტორიის საზღვრებს ან აერთიანებდეს საქართველოს რამდენიმე სუბიექტის ტერიტორიას. იმ შემთხვევებში, როდესაც რეგიონი გამოდის, როგორც სამართლის სუბიექტი, იგულისხმება მხოლოდ ქვეყნის სუბიექტი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული.

ჩვენი აზრით, რეგიონი – ეს არის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც ხასიათდება ერთიანი სტრუქტურით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონი არის მთლიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეთნიკურ, სოციო-კულტურულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ კომპონენტებს, რიგ სოციალურ ინსტიტუტებს: მოსახლეობის ცხოვრების ორგანიზებისა და სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაში მათი განმსაზღვრელი როლის გათვალისწინებით.

რეგიონი წარმოადგენს რთულ სისტემას, ანუ სისტემას, რომელიც მოიცავს ელემენტების დიდ რაოდენობას, რომელთაგან თითოეული შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ცალკეული სისტემა. ამავე დროს, ეს ელემენტები დაკავშირებულია და ურთიერთქმედებაშია ერთმანეთთან. ეს რთული სისტემა ხასიათდება სტრუქტურის არსებობით, კომპლექსური შემადგენლობით და გააჩნია განვითარების უნარი. რეგიონი ხასიათდება კომპლექსური სისტემის შემდეგი მახასიათებლებით:

- ქვესისტემებად გაყოფის შესაძლებლობა, რომლთა შესწავლა ხელმისანდომი და მიზანშეწონილია;
- ფუნქციონირების პირობები გამოირჩევა მნიშვნელოვანი გაურკვევლობით, გარემოზე გავლენა სტოქასტურია;
- სისტემა ახორციელებს საკუთრი ქცევის მიზანმიმართულ არჩევანს.


რეგიონი წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც განიცდის გარე ფაქტორების გავლენას და ფუნქციონირებს საკუთარი განვითარების კანონზომიერებების შესაბამისად, რომლებიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული არიან საკუთრ შიდა ურთიერთკავშირებზე.

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონი არის ღია სისტემა, რომელიც ურთიერთქმედებს მსგავს ტერიტორიულ წარმონაქმნებთან და უფრო მაღალი დონის სუბიექტებთან, რომლებზეც გავლენას ახდენს გარემოს მრავალფეროვანი (მათ შორის გლობალური ხასიათის) ფაქტორები, როგორც ეს ილუსტრირებულია დიაგრამაზე 6.3.1.

ორგანიზაციულ და მენეჯერულ ასპექტში მიზანშეწონილია რეგიონის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, განხილვა, მეზობელ ერთეულებთან ურთიერთკავშირების ასპექტში, რომლის დროსაც გამოვლენილი იქნება აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთგავლენის ზემოქმედება ტერიტორიების განვითარების პროცესზე.

ჩვენს კვლევაში ვითვალისწინებთ რეგიონის განვითარების ახალი პარადიგმებს, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აკადემიკოსი ა. გრანბერგი.

დიაგრამა 6.3.1 **საქართველოს რეგიონი-სუბიექტის შესწავლა სისტემური პრინციპის გამოყენებით**



1. რეგიონი, როგორც კვაზი-სახელმწიფო რომელსაც აქვს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც არეგულირებს ეკონომიკას თავის ტერიტორიაზე;
2. რეგიონი როგორც კვაზი-კორპორაცია. რეგიონი წარმოადგენს დიდ მფლობელს, ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტს;
3. რეგიონი, როგორც ბაზრის არეალი, რომელსაც აქვს იგივე ბიზნეს პირობები;
4. რეგიონი როგორც სოციუმი, რომელიც ხასიათდება სოციალური ცხოვრების აღწარმოებით.

ჩვენ რეგიონს ვიკვლევეთ, როგორც ერთ მთლიან ინტეგრირებულ ტერიტორიულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას. ამ სისტემის ფარგლებში გამოყოფილია შემდეგი გამსხვილებული ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ბლოკ-კომპონენტები: ესენია ინსტიტუციური, სამეურნეო-ეკონომიკური, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სოციალური.

ამრიგად, რეგიონი წარმოადგენს კომპლექსურ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც შედგება მრავალი ქვესისტემებისგან და რომელიც გამოდის როგორც გარკვეული მთლიანობა.


ბუნებრივი გარემო - ეს არის რეგიონში სამეურნეო საქმიანობის მატერიალური საფუძველი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკის განვითარების მდგრად მდგომარეობას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ პოსტ-ინდუსტრიულ, ინოვაციური განვითარების ეკონომიკაში, ბუნებრივი კომპონენტის როლი მცირდება, ინოვაციური შემადგენელი კომპონენტის, ცოდნის, ხარჯზე. რეგიონის სამეურნეო-ეკონომიკური კომპონენტი უზრუნველყოფს ამ ტერიტორიაზე საარსებო საშუალებებს.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს რეგიონული ეკონომიკის მთლიანობა და მისი, როგორც რეგულირებადი, თვითგანვითრებადი, მხარდამჭერი კომპლექსის როლი. ამავდროულად, რეგიონის სამეურნეო-ეკონომიკურ კომპონენტს აქვს ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა შეზღუდულობა, რეგიონული განვითრების არასაკმარისი კომპლექსურობა, რელიეფურად გამოხატული მონოკულტურალიზმი და შუალედური პოზიცია სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მართვის დონეზე.

რეგიონი ასევე არის სოციალური სისტემაც. სოციალური ფაქტორების როლი ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონში ეკონომიკური მართვის ტაქტიკაში და მდგრადი განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებაში.

ინსტიტუციური კომპონენტის განხილვის დროს, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რეგიონში ხდება მრავალი მეურნე სუბიექტისა და მოსახლეობის ინტერესების ურთიერთკვეთა, ხშირად ხდება დარგობრივი და ტერიტორიული ინტერესების ურთიერთდაპირისპირება. ინტერესების ორგანიზებამ და შეთანხმებულმა კოორდინაციამ უნდა უზრუნველყოს რეგიონის, როგორც მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ეფექტიანობა. რეგიონის კომპონენტების ურთიერთკავშირები, როგორც ერთიანი ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკურ სისტემა, წარმოდგენილია სქემა 6.3.2

სქემა 6.3.2 **რეგიონის, როგორც ერთიანი ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკურ სისტემის, კომპონენტების ურთიერთკავშირები**




საქართველოს რეგიონების ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც განპირობებულია გლობალიზებულ ეკონომიკაში არსებული ტურბულენტობით და ინოვაციების ეკონომიკაზე გადასვლით, გამოყოფილია რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ობიექტური მოთხოვნების რიგი:

- კრიზისული სიტუაციების წარმომქმნელი ფაქტორების ნეიტრალიზებისა და მინიმიზაციის აუცილებლობა;
- რეგიონული რესურსების და წარმოების ფაქტორების რაციონალური მოხმარება;
- თანამედროვე ტექნოლოგიური სტრუქტურების საფუძველზე ზრდის ცენტრების ფორმირება.

არსებობს რეგიონის აქტორების საერთო რეგიონული ინტერესი ეს არის რეგიონის აქტორების ინტერესების ჰარმონიზაციის აუცილებლობა, რომელიც დააკმაყოფილებს მათ სოციალურად მნიშვნელოვან საჭიროებებს.

ეს ინტერესებია:

1. რეგიონული აქტორების ინტერესების კოორდინაცია, რომელიც ითვალისწინებს ტრანზაქციის ხარჯების ოპტიმიზაციას;
2. შრომითი რესურსების მოძრაობა;
3. რეგიონული პროდუქტის მოხმარება;
4. სასიცოცხლო საქმიანობის პირობების გავლენა;
5. სასიცოცხლო საქმიანობის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა;
6. წარმოების პროცესში ბუნებრივი რესურსების გამოყენება;
7. სამრეწველო ნარჩენების წარმოქმნა;
8. ნორმების და წესების შექმნა;
9. ღირებულებების ფორმირება, ინსტიტუციური ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

შესაბამისად, რეგიონში არსებული ინსტიტუციური შემადგენლები, ცენტრალურ როლს თამაშობენ როგორც ერთიანი ტერიტორიული სიციალურ-ეკონომიკური სისტემა.

კვლევების შედეგად განისაზღვრა რეგიონის, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, მახასიათებლები:

ა) პირველადი ფუნდამენტური თვისებები; ბ) წარმოებული თვისებები.

პირველადი ფუნდამენტური თვისებები ეს არის მთლიანობა, იერარქიულობა, მართვადობა, სირთულე, ქვესისტემების ურთიერთქმედება, ემერჯენტულობა*, არაადიტურობა**, სინერგია, გამრავალება, განცალკევებულობა და შედარებით დამოუკიდებლობა, პოლიფუნქციურობა, მობილურობა და ადაპტაციის უნარი.

რეგიონი, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ხასიათდება წარმოშობილი თვისებებითაც - ორგანიზებულობა, მიზანდასახულობა, მდგრადობა, ფუნქციური მოქნილობა და შესაძლებლობების მატების ტენდენცია.

განვიხილოთ ეს დამახასიათებელი თვისებები უფრო დეტალურად.

**მთლიანობა.** რეგიონი, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ორგანიზაციულად და ფუნქციურად წარმოადგენს მთლიან წარმონაქმნს, რომლის თითოეული ელემენტი ასრულებს გარკვეულ ფუნქციას. რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, მთლიანობა ივსება იერარქიულობით, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზებულობას, ქვესისტემებისა და ელემენტების ურთიერთქმედების კოორდინაციას.

**მართვადობა** არის რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ერთერთი სისტემური ფუნქცია, რომელიც ხორციელდება საჯარო ხელისუფლების მიერ და გამოდიან მართვის სუბიექტის როლში. მართვით ასპექტში რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შიდა ელემენტები წარმოადგენენ მართვის ობიექტებს (მართვადი ქვესისტემები), რომლებზეც ხორციელდება მიზანმიმართული ზემოქმედება სისტემის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის და მართვის პარამეტრების დონის გათვალისწინებით. მართვის პროცესი უზრუნველყოფილია პირდაპირი საკომუნიკაციო და უკუკავშირის მეშვეობით, რომელთა ფორმალიზება ხდება საკომუნიკაციო არხებში. ამავდროულად, უფრო მეტად გამოიყენება, არაპირდაპირი გაელენის მეთოდები და ყოველი მართვის ობიექტის სასურველი ქცევა უზრუნველყოფილია ფუნქციონირების პირობების შეცვლის დახმარებით.

**სირთულე.** რეგიონი წარმოადგენს დიდ კომპლექსურ სისტემას, რადგან იგი შედგება ქვესისტემების კომპლექტისგან, რომელთაგან თითოეული, თვის მხრივ გამოირჩევა სირთულით, ქცევის პო-

---

ემერჯენტულობა, ემერგენტულობა სიდიდეთა თვისება(ინგ. Emergent) - მოულოდნელად გამოჩენილი, სისტემათა თეორიაში ნიშნავს სისტემის თვისებას, რომელიც მოულოდნელად აღმოაჩნდა სისტემას მიუხედავად იმისა, რომ მის შემადგენელ ცალკეულ ელემენტებს მსგავსი თვისება არ ახასიათებს.

** ადიტურობა (ლათ. Additivus)- სიდიდეების თვისება, რომლის არსებობის შემთხვევაში სიდიდისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობა უდრის მისი მდგენელი ნაწილების სიდიდეთა ჯამს.

ლი-ვარიანტულობით და რამდენიმე მიზნის არსებობით. აღნიშნული გაურკვევლობას იწვევს რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მომავალი მდგომარეობის განვითარების პროგნოზირების დროს და ართულებს სისტემის ფუნქციონირებასა და განვითარებაში მმართველობითი გადაწყვეტილების შერჩევის პროცედურას.

**ურთიერთქმედება და კავშირების არსებობა.** ქვესისტემები, რომლებიც ქმნიან რეგიონს, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემას, არა მხოლოდ ტერიტორიულად არიან დაკავშირებული. ერთი ქვესისტემის ელემენტების განვითარება გაჟლენას ახდენს სხვა ქვესისტემის ფუნქციონირებაზე, განვითარებაზე ან სხვა ქვესისტემის დეგრადაციაზე.

კავშირების არსებობა განაპირობებს სისტემის მდგომარეობის დამოკიდებულებას მისი ნაწილების მდგომარეობაზე და გარე გარემოზე. რეგიონიში, როგორც კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, განსაკუთრებულ როლს ასრულებს უკუკავშირები, როგორც რეაქტიული, ასევე აქტიური მართვის დროს. უკუკავშირები გამოიხატება იმაში, რომ ინფორმაცია რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, გასვლის შესახებ გამოიყენება მართვის პროცესისთვის. სწორედ უკუკავშირების ხარჯზე მიიღწევა სისტემის ემერჯენტულობა ანუ სისტემაში ისეთი ახალი თვისებების გაჩენა, რომელიც უჩვეულოა მისი ელემენტები-სათვის. ამ თვისების მდგრადობის განსაზღვრის დროს, სისტემის თვისებები Ms წარმოადგენენ მისი შემადგენელი ელემენტების თვისებების მარტივ ჯამს $M_i$, რომელიც აღემატება მის $Ms > \sum n_0 = l\, M_i$; ამ დროს სისტემის თვისებები დამოკიდებულია მისი შემადგენელი ელემენტების მახასიათებლებზე:

$$Ms = f(m_i),$$

მაგრამ თითოეული ელემენტის ცალკე განხილვა არ იძლევა რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შესახებ სრულ წარმოდგენას.

ცალკეული ქვესისტემების მიზნობრივი ფუნქციები მთლიანად არ ემთხვევა თავად რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, მიზნობრივ ფუნქციას. სისტემის მონაწილეების ინტერესები ასევე მრავალმხრივ არის მიმართული, რადგან განპირობებულია რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, შინაგანი წინააღმდეგობებით. ხსენებული წინააღმდეგობების გადალახვის დროს ემერჯენტულობის თვისების გამოყენება წარმოადგენს განვითრების მამოძრავებელ ძალას.

არაადიტურობის თვისება ვლინდება იმაში, რომ რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, თვისებები არ შეესაბამება მასში შემავალი მცირე ქვესისტემების თვისებების ჯამს.

მათემატიკურად აღნიშნული გამოიხატება ფორმულით:

$$R_{\substack{\text{რეგიონი, როგორც}\\ \text{კომპლექსური სოციალურ-}\\ \text{ეკონომიკური სისტემა}}} \neq \sum_{i=1}^{n} \text{სისტემა}_i + \Delta$$

სადაც n — არის მცირე ქვესისტემების რაოდენობა

I - არის შეჯამების ინდექსი.

i - არის სიდიდე, რომელიც გამოხატავს არაადიტურობის ეფექტს.

**არაადიტურობა.** რეგიონი, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონო¬მიკური სისტემა, ახდენს მრავალი ელემენტის ერთ მთლიანობაში ინტეგ¬რირების და გაერთიანების შედეგად ახალი ხარისხის წარმოქმნას. მათი ურთიერთქმედება არის რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, საერთო კოოპერირებული თვისებების არსებობა.

**რობასტულობა.** ჩვენ გამოვიკვლიეთ რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ძალზე მნიშვნელოვანი პირველადი ფუნდამენტური თვისება - ეს არის რობასტულობა, რომლის ქვეშ იგულისხმება შრომისუნარიანობისა და ეფექტიანობის ნაწილობრივ შენარჩუნების უნარი, მაშინ როცა ადგილი აქვს ცალკეული ელემენტების და ქვესისტემების შრომისუნარიანობის დაკარგვას. მოცემული თვისება განპირობებულია სისტემის ფუნქციური გადამეტებულობით და ვლინდება შესასრულებელი ფუნქციების ცვილების დეგრადაციის დონეში, რომელიც დამოკიდებულია ცვლილებების გამომწვევი (ამაღელვებელი) ზემოქმედების სიღრმეზე. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია და აუცილებელი ამ სისტემაში ხელოვნურად ჩართული ან მისი ფუნქციების ცვლილებით ან უსარგებლობის გამო ცალკეული ელემენტების გამოთიშვა (ქვესისტემები).

**სინერგიულობა.** რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში ვლინდება ყველა მონაწილის მიერ ერთიანი მიმართულებით შეგნებულად განხორციელებული საქმიანობა, რაც საბოლოო ჯამში ინვევს შედეგის ზრდას (გაძლიერებას).

**მულტიპლიკატურობა.** ამავე დროს რეგიონში, როგორც კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ უარყოფითი ფაქტორების გამაძლიერებელი ზემოქმედების ეფექტს, გააჩნიათ უფრო მეტი სიდიდე, ვიდრე დადებითი ეფექტის კოეფიციენტებს. აღნიშნული დაკავშირებულია იმასთან, რომ დესტრუქციული პროცესები ხორციელდება მმართველობითი და მარეგულირებელი ზემოქმედების არარსებობის პირობებში.

**განცალკევებულობა.** რეგიონს, როგორც კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, ახასიათებს შედარებითი იზოლირებულობა, ავტონომიურობა. განცალკევებულობა ვლინდება მოცემული სისტემის შემდეგი საზღვრების დადგენის აუცილებლობაში:

**ადმინისტრაციული და ტერიტორიული საზღვრები** - ეს არის რეგიონის ტერიტორია, რომელიც განსაზღვრულია ადმინისტრაციული დაყოფით;

**სოციალური საზღვრები** - რეგიონის სოციალურ-კულტურული გარემო ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით (ენა, ქცევის და ჩაცმულობის თავისებურებები, რელიგია, განათლების დონე, საზოგადოების წევრებს შორის სოციალური როლების გადანაწილება და ტრადიციები);

**ეკონომიკური საზღვრები** - განისაზღვრება რეგიონის ბიუჯეტით და ეკონომიკური სუბიექტების ზეგავლენით (შიდარეგიონული და გარერეგიონული) რეგიონის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;

**ტექნოლოგიური საზღვრები** - ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ ვსაუბრობთ იმ ტერიტორიებზე, რომლებშიც ვითარდებიან და ეფექტიანად ფუნქციონირებენ უპირატესად ერთი დარგის მეურნე სუბიექტები (მრავალდარგოვანი რეგიონები). უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოთვლილი საზღვრები არ ემთხვევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს. მეტიც, მეზობელი რეგიონების საზღვრების ურთიერთკვეთა უზრუნველყოფს დადებით ეფექტს, რომელიც ხორციელდება რეგიონებს შორის ინტეგრაციის პროცესში. შესაბამისად, არსებობს რეგიონები, რომლებიც ავიწროებენ და აფართოვებენ საკუთარ საზღვრებს.

ამრიგად, რეგიონს, როგორც კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, აქვს დისიპატიურობის თვისება, ანუ იგი ენერგიასა და ნივთიერების გაცვლით გარემომცველ გარემოსთან ახორციელებს კოოპერატიულ პროცესებს.

რეგიონი, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ხასიათდება

**პოლიფუნქციონალურობით**, რომელიც უკავშირდება რეგიონში სხვადასხვა ხასიათის ქვესისტემების არსებობას, რომელთაგან თითოეული ასრულებს განსაკუთრებულ ფუნქციას.

რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, „მობილურობის" თვისებების დახასიათების დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ძვრები მოცემულ სისტემაში ხდება არა მხოლოდ გარე გავლენასთან დაკავშირებით, არამედ შიდა მიზეზების გამოც, რომლის შემდეგ ჩვენ გამოვარჩევთ შემდეგს:

- რეგიონული აქტორების საჭიროებებისა და ინტერესების განვითარება;
- შრომის განაწილება და მისი შემდგომი სპეციალიზაცია;
- დარგებს და ეკონომიკის სფეროებს შორის წარმოების ფაქტორების გადანაწილების ცვლილება;
- საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია;
- ციკლური პროცესები ტერიტორიების ეკონომიკაში;
- ახალი ტიპის ეკონომიკური საქმიანობის განვითარება;
- რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ადაპტაციის უნარი, ანუ თვითორგანიზება და შიდა და გარე პირობების ცვლილებებისადმი ადაპტაციის უნარი, რომელიც ხორციელდება ეფექტიანობისა და სტაბილურობის დაქვეითების გარეშე.

რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, პირველადი ფუნდამენტური მახასიათებლები ინტეგრირებულია ნარმოებით თვისებებში, რომელიც მოიცავს:

- **ორგანიზებულობას** - ეს თვისება დაკავშირებულია ორგანიზებულობასთან, როგორც მართვის ფუნქციასთან;
- **მიზანდასახულობა** - თავის საქმიანობაში. რეგიონი, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ინარჩუნებს სტრატეგიული განვითარების მიზნებზე ორიენტაციას;
- **მდგრადობა:** ა) სტაბილიზაციური მდგრადობა (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური მაჩვენებლების მოცემული დონის სტაბილურობის შენარჩუნება), ბ) დინამიური მდგრადობა (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ნამატი მაჩვენებლების სტაბილურობის შენარჩუნება);


- **ფუნქციური მოქნილობა** - რეგიონის, როგორც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ბევრი ფუნქციის განხორციელება და მათი სხვადასხვა ინტენსივობით გამოყენება, რაც მიზნებისა და გარე პირობების ცვლილებების კორექტირებაზე არის დამოკიდებული;
- შესაძლებლობების ზრდა, რომელიც მოიაზრება, როგორც ახალი მატერიალური, ფინანსური, საინფორმაციო და სხვა რესურსების ჩართვა, რაც არ იყო გათვალისწინებული განვითარების თავდაპირველი ვარიანტით.

რეგიონის, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ძალზე მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ტემპორალურობა. რეგიონის განვითარების სტადიურობა შეფასებულია რეგიონის ქვესისტემების საკვანძო პარამეტრების ცვლილებების ინტენსივობის დონის მიხედვით.

სქემა (6.3.3) ასახავს რეგიონის, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცხოვრების ციკლის სტადიებს, როგორც კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც განიხილება ტემპორალურობის გათვალისწინებით. წინამორბედი სტადიიდან მომდევნო ეტაპზე გადასვლა განსაზღვრება შიდა რეგიონული პროცესებით (რეგიონული სტრუქტურების აღწარმოება, რეგიონის ფარგლებში სოციალური და პოლიტიკური ციკლები და სხვა).

სქემა 6.3.3.

**რეგიონის, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, სასიცოცხლო ციკლი**




როგორც ბუდვილის ნაშრომებშია ნაჩვენები, რეგიონის „სივრცე-დრო" განისაზღვრება შიდა კანონზომიერებებით, რომლებიც ისტორიულად ჩამო-ყალიბებულია შემდეგი ფაქტორების გავლენის ქვეშ:

1. ეკონომიკური და ინსტიტუციური მექანიზმები;
2. სოციალურ-კულტურული გენოტიპი;
3. მართვის ორგანიზაციული სქემები;
4. მეურნეობის წარმართვის მეთოდები;
5. რესურსების განაწილების სქემები;

რეგიონის, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ფორმირების ეტაპზე იქმნება მოცემული სისტემის არსებობის კონცეფცია, მისი განვითარების მიზნები, სისტემის ადაპტაციისა და კორექტირების ეტაპზე, შემუშავებული იქნა სისტემის განვითარების მეთოდები, პრინციპები და პროგრამები. მესამე ეტაპზე (სტადიაზე) ხორციელდება რეგიონული ქვესისტემების ფორმირება, ადაპტაცია და კორექცია.

საბოლოო ჯამში, სისტემის ეფექტიანი სიცოცხლისუნარიანობის პერიოდს ცვლის სისტემის ცხოველქმედების „რეფორმირების" ეტაპი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სტადია, როგორც ნესი, არ სრულდება რეგიონის, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ლიკვიდაციით, მაგრამ ბიფურკაციის პუნქტში ხდება სტრატეგიის „კარდინალური ტრანსფორმაცია".

რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის დროს რეგიონის, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სასიცოცხლო ციკლის ეტაპზე, საშუალებას გვაქვს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ძირითადი მიზნები და ორიენტირები, მოვახდინოთ სტრატეგიების ფორმირება, მოვახდინოთ უფრო

ადეკვატური მართვის გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ისეთ რეგიონებს, როგორიცაა ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც ბევრია ძველი სამრეწველო მონო-ქალაქები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე დროს რეგიონული პროგრამები, მათი განხორციელების ორგანიზაციული სქემები, პროგრამული ღონისძიებები, და რესურსული მხარდაჭერის საშუალებების და მეთოდების კომპლექსი უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული სივრცესა და დროში უწყვეტად. ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს რეგიონული სპეციფიკა.

ამრიგად, *რეგიონი* - ეს არის ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დინამიური, რთული ქვესისტემა, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ და ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში მყოფ მრავალ ქვესისტემებს. ამდენად, რეგიონი ეს არის:

- ტერიტორიული სივრცე, რომელსაც გააჩნია ადმინისტრაციული საზღვრები;
- განცალკევებული სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსი, რომელშიც ყალიბდება და იქმნება აღწარმოებითი პროცესები;
- სოციალური გარემო, რომელიც ქმნის სოციალური პროცესებისა და მოვლენების ტერიტორიულ სპეციფიკას.

შემდგომში რეგიონი განხილულია, როგორც ტერიტორიული მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც არსებობს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი საზღვრების ფარგლებში და მოიცავს ინსტიტუციურ, სამეურნეო-ეკონომიკურ, ბუნებრივ-ეკოლოგიურ და სოციალურ კომპონენტებს.

### 6.4. რეგიონის ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალი, როგორც მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საფუძველი

რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალის ფორმირების, ზრდისა და შეფასების პრობლემას, როგორც საქართველოს სუბიექტების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითრების საფუძველს და, ამავე დროს, ინოვაციური განვითრების დაჩქარებული გზით სვლას დიდი ყურადღება ექცეოდა მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერის ნაშრომებში. რეგიონის პოტენციალი არის მთავარი სტრატეგიული ცვლადი, რომლის მართვა რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების დახმარებით ახდენს მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების კომპლექსის ფორმირებას.

გასაანალიზებელი საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის გამოყენებით, მივიჩნევთ, რომ ცნების „რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი" განმარტებაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის უნარი, გადაწყვიტოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემის ამოცანები. მდგრადი განვითარების ეკონომიკური პოტენციალი - ეს არის არსებული რესურსების მობილიზაციის ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის.

უნდა გამოვყოთ რეგიონის მდგრადი განვითარების პოტენციალის ორი კომპონენტი: **რესურსული** (განვითარებისათვის საჭირო რესურსების ერთობლიობა) და **ინსტიტუციური პირობები** (ინსტიტუციური პოტენციალი). მდგრადი განვითარების ინსტიტუციური პოტენციალი წარმოადგენს იმ ინსტიტუტების შრომისუნარიანობის დონეს, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების შესაძლებლობას, როცა ადგილი აქვს შიდა და გარე ფაქტორების მღელვარებას.

ინსტიტუციური პოტენციალი ასახავს ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმალური და არაფორმალური წესების არსებობას, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონის აქტორებს შორის ურთიერთქმედებებს, რაც დაკავშირებულია რეგიონის მდგრადი განვითრების უზრუნველყოფასთან.

რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი განვიხილოთ საქართველოს ორი სუბიექტის, ქვემო ქართლის და გურიის რეგიონების მაგალითზე.

**ქვემო ქართლის რეგიონში** შედის დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ქალაქი რუსთავი, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონები. ქვემო ქართლის მხარე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთით - თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა მთიანეთი, აღმოსავლეთით - კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით - სომხეთის რესპუბლიკა. ქვემო ქართლის ფართობია 6,5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 9,3%. რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 511,2 ათასია, რაც საქართველოს მოსახლეობის 11,4%-ს შეადგენს. რეგიონში შედის 347 დასახლებული პუნქტი - 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელი.

რეგიონის მოსახლეობის 39% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 61% სოფლებში. მაღალმთიან დასახლებებს მიეკუთნება დმანისის მუნიციპალიტეტის 19 (1500 მ-ზე ზევით), ნალკის მუნიციპალიტეტის 46 (1500 მ-ზე ზევით) და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 35 სოფელი (1300 მ-ზე ზევით). მოსახლეობის 44,7% ეთნიკურად ქართველია, 45,1% - აზერბაიჯანელი, 6,4% - სომეხი, ხოლო 3,8% - აფხაზი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი.

მოსახლეობის სიმჭიდროვე რეგიონის ტერიტორიაზე შეადგენს 128 ადამიანს კვ.კმ-ზე. ქვემო ქართლის რეგიონში არის 7 თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქი რუსთავი და ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები.

სამხარეო დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული, რომლის ადმინისტრაცია ქ. რუსთავშია განთავსებული.

ქვემო ქართლის მხარის მდგრადი განვითარების მატერიალურ საფუძველად გვევლინება ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც მოიცავს: ბუნებრივ რესურსებს, საწარმოო, ფინანსურ, ინოვაციურ, სამეწარმეო, შრომით, დემოგრაფიულ, საგანმანათლებლო, ინფორმაციულ, ინფრასტრუქტურულ და საექსპორტო, აგრეთვე ინტეგრაციულ და საგარეო ეკონომიკური პოტენციალს.

ბუნებრივი რესურსების პოტენციალს ახასიათებს ტექნიკურად ხელმისაწვდომი რესურსების და რეკრეაციული შესაძლებლობების განვითარება. მხარის რაიონებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების მარაგები, ისეთები როგორიცაა სამშენებლო მასალები, კირქვა, ოქროსა და ვერცხლის მადნები, ქვანახშირი, ჰიდრორესურსები, ნაყოფიერი მიწები, ტყე და ა.შ.

მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია ეკოლოგიური და ეკონომიკური პოტენციალი - რეგიონის ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემების უნარი გადაიტანონ მაქსიმალურად შესაძლებელი (დასაშვები) ანთროპოგენური დატვირთვა და ეკოლოგიური კეთილდღეობის დონე. ეკოლოგიური და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების კვლევამ აჩვენა, რომ ბუნებათსარგებლობის და ეკოლოგიის პრობლემების რაციონალური გადაწყვეტა წარმოადგენს ქვემო ქართლის რაიონების მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. ეს განსაკუთრებით ეხება შემდეგ პრობლემებს:

- სასმელი წყლით მომარაგების წყაროების სისუფთავეს უზრუნველყოფა;
- ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების ემისიების შემცირება;
- ურბანული ეკონომიკის ეკოლოგიურად უსაფრთხო ფუნქციონირება;
- ნიადაგის ნაყოფიერების და ტყის დაცვის ფუნქციების აღდგენა და შენარჩუნება;
- საწარმოო, მათ შორის ტოქსიკური ნარჩენების ხანგრძლივი და ინტენსიური დაგროვების გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილება;

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის რაიონებში ტოქსიკური ნარჩენების გამოყენებისა და განადგურების დინამიკა ბევრად აღემატება მათი ფორმირების ტემპს, ხოლო ნარჩენების წარმოება უკავშირდება შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობას:

- სასარგებლო წიაღისეული მოპოვება;
- შავი და ფერადი მეტალურგია;
- საწვავ - ენერგეტიკული კომპლექსი;
- სამშენებლო მასალების წარმოება;
- აგრო-სამრეწველო კომპლექსი;

მხარეში ნარჩენების მართვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის ძირითადი მიმართულებებია:

1. წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების უტილიზაციისა და დამუშავებისათვის ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება და არსებული ტექნოლოგიების დანერგვა;
2. წარმოების და მოხმარების ნარჩენების პრობლემების გადაჭრის საქმეში კომპლექსური გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების გააქტიურება;
3. მუნიციპალური წარმონაქმნების ტერიტორიის დასუფთავების გენერალური სქემების შემუშავება;
4. წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და განთავსების ორგანიზება;
5. წარმოების და მოხმარების ნარჩენების (მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები) უტილიზაციის საწარმოების მშენებლობა, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების მუნიციპალიტეტთა-შორისი კომპლექსები;

6. ნარჩენების არასანქცირებული განთავსების ობიექტების ლიკვიდაცია და მათი ახლიდან ფორმირების თავიდან აცილება მომავალში;
7. ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის საწარმოების დამატებითი წახალისების ღონისძიებების შემოღება.

რეგიონი გადასულია მდგრად განვითარებაზე, რომლის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი მიზანია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, რეგიონში ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღება.

გარემოსდაცვითი ამოცანების პრობლემების გადაჭრას განსაკუთრებული ადგილი უკავია მხარეში, სადაც აუცილებელია არც თუ მცირერიცხოვანი მოსახლეობის ტრადიციული სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნება და აღდგენა. ამავდროულად, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა დაცული ტერიტორიების შექმნა ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტური დასახლების ადგილებში, როგორც მათი შენარჩუნების გარანტი; ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენებისათვის ეკოლოგიურად სუფთა და გადამუშავების შედეგად მცირე რაოდენობის ნარჩენების წარმომქმნელი ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება.

ქვემო ქართლში გარემოსდაცვითი პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის მიზნებს წარმოადგენს:

- მრეწველობის სანარმოების, სოფლის მეურნეობის, საცხოვრებელი და კომუნალური მომსახურების და ეკონომიკის სხვა დარგებში ეკოლოგიური უსაფრთხო უზრუნველყოფა;
- ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გამოტყორცნის შემცირება;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის მდგომარეობის გაუმჯობესება, წყლის ობიექტების მონიტორინგის სტატუსის მქონე ქსელის გაფართოება;
- სამრეწველო და სამომხმარებლო ნარჩენების მართვის სფეროში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა უშუალოდ ოლქის ნაგავსაყრელ პოლიგონებზე;
- მიწის ნაყოფიერებისა და ტყის გარემოს შემქმნელი ფუნქციების აღდგენა, მიწის რეკულტივაციის მოცულობების ზრდა;
- ტექნოგენური და ბუნებრივი ხასიათის ეკოლოგიურად საშიში საგანგებო სიტუაციების შედეგების პრევენცია და ლიკვიდაცია;
- მხარის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დეგრადაციის პრევენცია;
- სპეციალურად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ქსელის განვითარება, მათ შორის სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალის შექმნა, აგრეთვე ბუნებრივი ჭარბტენიანი (ჭაობები) კომპლექსების ტერიტორიების შენარჩუნება;
- მოსახლეობის გარემოსდაცვითი აღზრდისა და განათლების სისტემის გაძლიერება, მათ შორის იმ მშრომელების, რომლებიც ჩართულები არიან სამრეწველო წარმოებაში;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შემნარჩუნებელი სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა, რაიონის ტერიტორიების ათვისების დროს მშენებლობის, ტრანსპორტისა და სამრეწველო განვითარებაში გარემოსდაცვითი სტანდარტების უმკაცრესი დაცვა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე გავლენით, ამინდი და კლიმატური პირობები, საფრთხეს უქმნის ადამიანებს და ეკონომიკის ობიექტებს, როცა ადგილი აქვს სახიფათო ჰიდრომეტეოროლოგიური ფენომენის არსებობას. მხარეში მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ფაქტორია ინდივიდუალური, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილებისაგან, რასაც უზრუნველყოფს ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოება.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია კლიმატის ცვლილების ანთროპოგენური ზემოქმედების ფაქტორების შემცირების ღონისძიებების ნორმატიულ სამართლებრივი ბაზის შემუშავებისა და განხორციელების ღონისძიებები:

1. ენერგოეფექტიანი და ენერგოდამზოგაეი ტექნოლოგიების გამოყენება;
2. განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენება;
3. ეკონომიკური სუბიექტების გარემოსდაცვითი საქმიანობის სტიმულირება;
4. საგადასახადო და საბაჟო შეღავათების შემოღება საწარმოებში, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავენ გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ შორის საქმიანობას ნარჩენების დამუშავების სფეროში და ჰაერში სათბურის ეფექტის მქონე აირების გამოტყორცნის შემცირებას.

ქვემო ქართლის სამრეწველო პოტენციალის აღწერის დროს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. მნიშვნელოვანია რეგიონის ინოვაციური პოტენციალი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკურ ფაქტორებს ასახავს ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებაში. რეგიონის მდგრადი განვითარების ინოვაციური პოტენციალის მნიშვნელოვან როლს კვლევაში ცალკე ადგილს დავუთმობთ.

ქვემო ქართლის რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის განხილვის დროს უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო აქტიურობის ზრდა, როგორც სახელმწიფო ასევე რეგიონულ დონეებზე, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვან პირობას.

მდგრადი განვითრების ინტერესებში საინვესტიციო პოტენციალის მართვის ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენს რეგიონში საქართველოს სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოს რეგიონში ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს.

2015-2018 წწ. პერიოდში ქვემო ქართლის რეგიონში ჩადებული ინვესტიციების მოცულობამ 202 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს მაჩვენებლის (6375,3 მლნ. აშშ დოლარი) 4 პროცენტს შეადგენს.

დემოგრაფიული პოტენციალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქვემო ქართლში მცხოვრები მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრიდან შეადგენს 433,2 ათას ადამიანს, ანუ საქართველოს მოსახლეობის (3723,5 მლნ. ადამიანი) 12 პროცენტს. ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობა ქვემო ქართლის მოსახლეობის მთელი რაოდენობის 43%-ს შეადგენს.

2007 წლიდან, მხარის მოსახლეობის შემცირების ტენდენცია შეიცვალა მოსახლეობის ზრდის ტენდენციით, რაც მოხდა მიგრაციული მატების ხარჯზე, რომელმაც გადააჭარბა ბუნებრივი კლების რაოდენობას. ხოლო 2009 წლიდან - ეს მოხდა რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ხარჯზე. გარდაბნისა და მარნეულის რაიონები, რომლებიც შედიან ქვემო ქართლის შემადგენლობაში, მიეკუთნებიან ურბანიზებულ მოსახლეობას, რადგან რაიონის მოსახლეობის 60% შეადგენენ ქალაქის მაცხოვრებლები.

ოლქის ეკონომიკაში დასაქმებულია მოსახლეობის საერთო რაოდენობის 27%-ზე მეტი, ან მატერიალური წარმოების ძირითად დარგების სფეროში დასაქმებულთა თითქმის 64%.

ინტელექტუალური (საგანმანათლებლო) პოტენციალის დახასიათების დროს, უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებული მოსახლეობის სტრუქტურაში, მუშების თითქმის ორმოცდახუთი პროცენტი უმაღლესი ან საშუალო პროფესიული განათლების მქონეა (ეს არის მესამე ადგილი საქართველოში).

რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ყველა კომპონენტის მნიშვნელობის აღნიშვნის დროს, აუცილებელია განსაკუთრებით გამოვყოთ ფინანსური პოტენციალი. რეგიონის ფინანსური პოტენციალის ეკონომიკური არსი განისაზღვრება შემდეგი ასპექტების ერთობლიობით:

1. ფინანსური პოტენციალი, როგორც რეგიონის შესაძლებლობები, უზრუნველყოს რესურსული ბაზის აღწარმოება და საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობა, სოციალური ამოცანების შესრულება და რეგიონული განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფა;
2. ფინანსური პოტენციალი, როგორც ტერიტორიაზე მფლობელობაში არსებული ფინანსური და ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია მუნიციპალური ერთეულის ეკონომიკური საქმიანობის მდგრადობის მხარდასაჭერად;
3. ფინანსური პოტენციალი, როგორც ტერიტორიის ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთობების შედეგი.

ფინანსური პოტენციალი აგრეთვე არის რეზერვი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერიტორიის განვითარების რისკის ფაქტორების ზემოქმედებისა და გაურკვევლობისგან დასაცავად. ამ როლის შესრულება უნდა იკისროს სარეზერვო ფონდმა, რომელის ნაწილიც, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, გამიზნულია საქართველოს სუბიექტის სახარჯო ვალდებულებების შესასრულებლად მაშინ, როცა არასაკმარისია ფინანსური სახსრების ბიუჯეტში შემოდინება და სახსრები საჭიროა სუბიექტის ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

ქვემო ქართლის ეკონომიკაში მომსახურების სექტორი სხვა დარგებთან შედარებით უმნიშვნელო ადგილს იკავებს.

რეგიონის ადმინისტრაციის შეზღუდული უფლებამოსილებითი და ფინანსური შესაძლებლობები არ იძლევა შიდა ინვესტიციების განვითარების საშუალებას, ხოლო გარე ინვესტიციების მოცულობა ჯერჯერობით ძალზე მოკრძალებულია. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონული ეკონომიკური პროცესების სტიმულირებას. გარდა ამისა, რეგიონში ჯერჯერობით არ არის შექმნილი რაიმე ინსტიტუტი, რომელიც მოახდენდა საინვესტიციო პროცესებისა და ინვესტიციათა ნაკადების მოზიდვასა და კოორდინირებას. ინვესტიციების ნაკლებობისა და განუვითარებელი მრეწველობის პირობებში

ბუნებრივია, არ არის განვითარებული ინოვაციური პროცესიც. მხარეში ინოვაციების დონე დაბალია. რამდენიმე ახალი პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას ემსახურებოდა, სურათს არსებითად ვერ ცვლის.

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ რეგიონების ფინანსური პოტენციალის ზრდის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საგადასახადო სისტემის მასტიმულირებელი ეფექტის გაელენა ეკონომიკის განვითარებაზე, როცა ერთდროულად ადგილი აქვს ფისკალური ფუნქციის მდგრად შენარჩუნებას. ამ პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელება უნდა ხდებოდეს საგადასახადო პოლიტიკის გაუმჯობესების გზით, იმ მიზნით რომ:

- მოხდეს ახალი საწარმოების შექმნა, მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე ბიზნესის განვითარება, მცირე მეწარმეობის განვითარება, განსაკუთრებით ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურ სექტორებში;
- ეკონომიკაში ძირითადი ფონდების განახლება და ტექნიკური გადაიარაღება;
- დამსაქმებულების მხრიდან განათლების, ჯანდაცვისა და საკუთრი თანამშრომლების საპენსიო უზრუნველყოფის ფინანსირება;
- სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური სამუშაოების ჩატარება და მათი შედეგების პრაქტიკაში დანერგვა;
- ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამაღლება.

საჭიროა სახელმწიფო ხარჯების გაზრდა ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური შეზღუდვების აღმოსაფხვრელად და ეკონომიკის ინოვაციური განვითარების პირობების შექმნა და ყველა რეგიონში მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება. აღნიშნული მიმართულებით საკვანძო როლი ეკუთნის საბიუჯეტო სისტემის ხარჯვის სტრუქტურის ცვლილებას, ვინაიდან ამჟამად ჩამოყალიბებული ფაქტობრივი პრიორიტეტების სტრუქტურა არ შეესაბამება ინოვაციური სოციალურად ორიენტირებული განვითარების ამოცანების მოგვარებას. ამ ზომების გატარების შედეგად, ტერიტორიების განვითარება ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას ქვეყნის ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში.

მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური განვით.არების სტრატეგიის საკითხების გადაწყვეტა უნდა განიხილებოდეს ერთობლიობაში. ეს არ არის მხოლოდ უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, ესაა რეგიონისა და მუნიციპალური წარმონაქმნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ქმედითი საშუალებების ძიება. გარდა ამისა, ეს არის ეკონომიკის მოდერნიზაცია და, შესაბამისად, ინოვაციური განვითარების გზაზე მოძრაობა; ქვეყნის სუბიექტების დამოუკიდებლობის გაზრდა; შრომის პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებები; შემოსავლების გაზრდა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ქვეშო ქართლის თანამედროვე ეკონომიკური სტრუქტურას აქვს მკაფიოდ გამოხატული სამრეწველო-სანედლეულო ორიენტაცია - ეკონომიკის სტრუქტურის მთლიანი პროდუქციის ნახევარზე მეტი მოდის დარგობრივი მრეწველობის წილად, რომელთა შემადგენლობაში დომინირებს საქმიანობის სახეები, რომლებიც დაკავშირებულია სასარგებლო ნიადისეულის მოპოვებასთან და უპირველეს ყოვლისა განთავსებული არიან ძირითადად, რუსთავის, ბოლნის-დმანისის ტერიტორიებზე.

ამრიგად, რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი, რეგიონის მდგრადი განვითარების კონტექსტში არ არის შემადგენელი კომპონენტების მარტივი ჯამი, არამედ კავშირების და ურთიერთქმედების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონის ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების მთლიანობას. ეფექტიანი რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიის განვითარებას, პირველ რიგში ეფუძნება რეგიონის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, რომელიც განისაზღვრება ბუნებრივ-რესურსული, სამრეწველო, ადამიანური და ფინან-სური პოტენციალით.

### 6.5. გლობალიზაციის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მდგრად განვითარებაზე

კვლევებმა აჩვენა, რომ XXI საუკუნის დასაწყისში რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მდგრად განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია. გლობალიზაციაში ვგულისხმობთ:

- მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სტადიას, როდესაც ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური სისტემები სულ უფრო მეტად კარგავენ ეკონომიკურ იზოლირებულობას;

- ურთიერთდამოკიდებულებას და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროთა ურთიერთგავლენას, რომელიც ემყარება ტექნიკაში და ტექნოლოგიებში ხარისხობრივი ცვლილებების, სატრანსპორტო-კომუნიკაციური ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების გაძლიერებას;
- მსოფლიო სამეურნეო საქმიანობის თანდათანობით ტრანსფორმაციას ცოდნის, კაპიტალის, სამუშაო ძალის, პროდუქციისა და მომსახურების ერთიან ბაზრად;
- სამომხმარებლო უპირატესობათა მინიჭების უნივერსალიზაციის პროცესს, სამომხმარებლო ქცევას, როცა გლობალური ეკონომიკის სუბიექტების პროდუქცია ბაზრიდან აძევებს ადგილობრივი მწარმოებლების პროდუქციას.

თანამედროვე ბაზრები ვითარდება ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების მიმართულებით, სადაც მთავარ მოქმედ პირებს წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. განვითარებად ქვეყნებში გლობალური საწარმოო სისტემების ფარგლებში იქმნება ამ ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალოდ 30%, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნებისათვის უდრის 18%. ძალზე სწრაფად იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რაც განპირობებულია ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობით. საპროგნოზო კვლევების შედეგები გვიჩვენებენ, რომ 2030 წლისთვის ტრანსნაციონალური კორპორაციები გააკონტროლებს საქონლის მსოფლიო წარმოების ნახევარს.

წარმოების ტრანსნაციონალიზაციის სინერგიულ კონცეფციაში აქცენტი კეთდება ტრანსნაციონალური საქმიანობის ელემენტების კოევოლუციის, კოოპერაციულობის ფორმირებაზე. წარმოების ტრანსნაციონალიზაციის წილის სქემისათვის დამახასიათებელია მის ელემენტებს შორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური განშტოებული მოქნილი კავშირების არსებობა, ესაა საწარმოო, სავაჭრო-კომერციული და საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები. იერარქიები და ქსელური ურთიერთქმედებები უზრუნველყოფენ ტრანსნაციონალური სისტემის ელემენტების ურთიერთდაკავშირს. ტრანსნაციონალურ ეკონომიკაში აღნიშნული ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება სინერგიული ეფექტები, ასევე ხდება შიდა სტრუქტურის ტრანსფორმაცია ეროვნულ და რეგიონულ ეკონომიკაში.

გლობალიზაციის გავლენა რეგიონის მდგრად განვითარებაზე გამოიხატება:

- რეგიონული ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებაში;
- რეგიონების მიდრეკილებაში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებისკენ საკუთრ ფარგლებს გარეთ;
- რეგიონების მიზანმიმართულ მონაწილეობაში მსოფლიო სამეურნეო საბაზრო, ეკონომიკური, სამართლებრივი, საინფორმაციო და პოლიტიკური სივრცის ფორმირებაში;
- ეროვნული მეზოეკონომიკის გარდაქმნაში.

ამავდროულად, მნიშვნელოვნად იცვლება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემის მართვის ბუნება, ფორმები, მექანიზმები და ინსტრუმენტული უზრუნველყოფა.

გლობალიზაციის ობიექტებად გვევლინება რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტი. ამავე დროს, ისინი მონაწილეობენ გლობალიზაციის პროცესში სხვადასხვა სიჩქარითა და ინტენსივობით.

გლობალიზაციის პროცესებმა, რომლებიც გავლენას ახდენს სოციალური და ეკონომიკური სისტემების ორგანიზების სივრცით ტრანსფორმაციაზე, ახალი იმპულსი მისცეს ინტეგრაციულ სტრუქტურათა ფორმირებისა და განვითარების თვისებრივად ახალ მექანიზმებს. ეს პროცესები ყველა ქვეყნისათვის, და მათ შორის, საქართველოსთვისაც არის დამახასიათებელი. მეტიც, გლობალიზაციის პროცესების მოქმედება ძლიერდება გლობალური საინფორმაციო სისტემების გავრცელების მეშვეობით.

საქართველოს რეგიონების გასვლა საქონლისა და მომსახურების უცხო ქვეყნების ბაზრებზე სავსებით შეესაბამება მსოფლიოს საერთო განვითარებას, რომელშიც რეგიონის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი განვითარების პრინციპები (მათ შორის „მწვანე" დაფინანსება, ინკლუზიური ზრდა, რესურსებისა და ენერგიის დამზოგავ ტექნოლოგიებზე ორიენტაცია, ენერგიის განაწილებული გენერაცია) ინტეგრირებულია განვითარების ეროვნული ფინანსური ინსტიტუტების და რიგი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაში.

კვლევები გვიჩვენებს, რომ რეგიონის აქტიური მონაწილეობა საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ეკონომიკურ განვითარებაზე; რომ რეგიონის მონაწილეობა საგარეო ეკონომიკურ კავშირებში შეუძლებელია განვითარებული საწარმოო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, აგრეთვე კონკურენტუნარიანობისა და საერთაშორისო ბაზარზე რე-

გიონული საწარმოების პროდუქციაზე მოთხოვნის გარეშე. გლობალიზაციის პროცესების განხორციელება წინასწარ განსაზღვრავს რეგიონების საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობაზე ორიენტირებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციის კენ მიმართული რეგიონული მართვის მექანიზმის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე პირობებში, როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდის ერთგვარ სიძნელეებს, სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება ეროვნული ეკონომიკის გარკვეული „დეგლობალიზაცია“, რომელიც აღიქმება, როგორც შიდა რეგიონული საერთაშორისო კავშირების გაძლიერება, რეგიონული და სუბრეგიონული დაჯგუფებების შექმნა.

ამასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ რამდენიმემხრივი (მაგალითად, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-სომხური, საქართველოსა და სხვა ქვეყნ(ებ)ის ნებისმიერი ორი და მეტი რეგიონის) საერთო ბაზარი ზრდის ჩვენი ეკონომიკის მდგრადობას გარე გამოწვევებისა და საფრთხეების მიმართ. ასეთ დროს ევრაზიული ინტეგრაციის ძირითადი ამოცანაა, ისეთი ინტეგრაციული სტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილე ქვეყნების ეკონომიკების მდგრად განვითარებას.

ეკონომიკური სიძნელეები, რომელთა წინაშე დღეს მთელი მსოფლიო დადგა, გვკარნახობს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კორექტირების აუცილებლობას, განვითარების ახალი ეკონომიკურ მოდელზე გადასვლას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

- ევროპის, ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებზე გადასვლას;
- მთის და მაღალმთიანი ტერიტორიების განვითარებას და ამ პროცესთან დაკავშირებულ სირთულეებს (დასახლებული ტერიტორიები, ტერიტორიები არასაკმარისი მოსახლეობით, ტერიტორიები შემცირებადი მოსახლეობით, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე რეალობას, რაც ხელს უშლის რეგიონების ეკონომიკურ ინტეგრაციას).

არსებობს ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და რეგიონების ინტერესებს შორის წინააღმდეგობა. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალების მართვის ამჟამინდელი მოდელი ითვალისწინებს, რომ მოგებას იღებენ მართვის ცენტრები, რომლებიც ძირითადად განლაგებულია ფილიალების ბაზრების და რეგიონული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების გარეთ (სამრეწველო მოედნები, შვილობილი, დამოკიდებული და აფილირებული კომპანიები და საწარმოები). ეს გადაწყვეტილებების მიმღები და ინოვაციური ცენტრები ასევე ასრულებენ საინფორმაციო სისტემების დეპოზიტარიების და საბაზო ცოდნის საცავების ფუნქციებს. ამავე დროს, რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო და ტექნოლოგიური კომპლექსები ხდებიან სანედლეულო და ტექნოლოგიური პერიფერიები, რესურსების მომწოდებლები, მოძველებული და ადამიანისა და გარემოსათვის საზიანო ტექნოლოგიების გამოყენების ზონები, ნარჩენების (მათ შორის ტოქსიკური) შენახვის ადგილები, ეგრეთ წოდებული „დანახარჯების ცენტრები“, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ყველა წარმოების ეკოლოგიურ და სოციალურ რისკებზე. ეს გარემოება განაპირობებს ახალ დისპროპორციებს საქართველოს რეგიონების სივრცით განვითარებაში.

გლობალიზაციის პირობების მიმართ ადაპტურობის განსავითარებლად რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემები იყენებენ შიდა და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის მექანიზმებს. უცხოური გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა ყველაზე ეფექტიანად ვითარდებოდა იმ რეგიონებში, სადაც არსებობს კლასტერები, ფუნქციონირებენ ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ინტეგრირებული კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მასშტაბური მეცნიერებატევადი ინვესტიციების ეფექტიანობას, რომლებიც საჭიროა მთელი ეროვნული ეკონომიკის ტექნოლოგიური მოდერნიზაციისათვის.

გლობალიზაციის გაძლიერების პირობებში რეგიონული ეკონომიკის მდგრადობის ამაღლების სხვა მიმართულებებს წარმოადგენს, საგადასახადო სტიმულირების ღონისძიებების შემუშავება და ექსპორტის მიზნობრივი მხარდაჭერა და რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება. ასევე აუცილებელია უცხოელი ინვესტორების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების გაუმჯობესება, არაეფექტიანი მფლობელების გაკოტრების პროცედურების დროული განხორციელება.

აღსანიშნავია გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი გავლენა რეგიონის ბუნებრივ-ეკოლოგიურ მდგენელზე და რეგიონის სოციალურეკონომიკურ სისტემაზე. ერთი მხრივ, იფიტება განახლებადი და იწურება არაგანახლდებადი რესურსები, მნიშვნელოვანია გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობა. მეორე მხრივ, გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებთან ეფექტიანი და ორგანიზებული ურთიერთქმედებით მაღლდება რეგიონის შესაძლებლობები, დააფინანსოს გარემოს დამცავი ღონისძიებები. გლობალიზაციის გავლენა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სოციალურ კომპონენ-

ტზე ვლინდება ერთნაირი სირთულისა და კვა-ლიფიკაციის შრომის ანაზღაურებაში სახელმწიფოთა-შორისი და რეგიონთაშორისი განსხვავებების შემცირებაში, რეგიონულ შრომის ბაზარზე სიტუაციის გართულებაში. მაგრამ, ამავე დროს, ძლიერდება შრომითი მიგრაცია და იქმნება მაღალკვალიფიცი-ური სამუშაო ძალის გლობალური ბაზარიც.

ადამიანური პოტენციალის გამოყენების კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონებში, რომლებიც ახორციე-ლებენ აქტიურ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას, აღნიშნულ პროცესში მონაწილე სანარმოების თანამშრომლები ხასიათდება მულტიკულტურულობით და სოციალური კომპეტენციების არსებობით, სწავლის მუდმივი სურვილით, კომუნიკაბელობით და გუნდური მუშაობის უნარით.

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის აქტორების კომუნიკაციური და მეგობრული ურ-თიერთქმედება ზრდის გლობალურ ეკონომიკაში მათი ფუნქციონირების ეფექტიანობას.

XX საუკუნის 90-იან წლებში დასავლეთში გამოჩნდა ახალი ტერმინი „გლოკალიზაცია", რაც ნიშ-ნავს გლობალური სოციალური პრობლემებისა და პროცესების ერთობლიობას, რომლებიც მიმდინა-რეობს ადგილობრივ დონეზე, მრავალი ლოკალური პროცესისა და პრობლემის მიერ გლობალური სტატუსის მიღებას. ეს მოვლენა შეისწავლა მრავალმა მკვლევარმა.

ეკონომიკის გლობალიზაცია ხასიათდება ლოკალური ერთეულების გლობალურ ეკონომიკაში (მუნიციპალური წარმონაქმნები) პირდაპირი ჩართულობით. ისინი უფრო აქტიურად არიან ჩართულე-ბი უცხოურ ბიზნეს-სუბიექტებთან კონკურენციაში. ტრანსნაციონალური კომპანიები ახდენენ ადგი-ლობრივი პირობების გლობალურ ეკონომიკურ პრაქტიკაში ადაპტირებას, აყალიბებენ სისტემებს, რომელშიც ცენტრალიზებული მართვა ითვალისწინებს ადგილობრივ ეკონომიკურ ინტერესებს, ახდე-ნენ უფლებამოსილებათა რიგის ქვედა დონეზე დელეგირებას, აგრეთვე უფრო აქტიურად მონაწილე-ობენ რეგიონული განვითარების პროგრამებში. ამასთან დაკავშირებით, რეგიონის სახელმწიფო ორ-განოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ტერიტორიული ბრენდინგი არ არის პიარის საშუალება და თვითმიზანი, არამედ წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ემსახუ-რება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და რეგიონის სამრეწველო და საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდას.

აუცილებელია გლობალიზაციის ელემენტის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასმა - ცხოვრების სტილის და მოხმარების მოდელების კონ¬ვერგენცია. საქართველოს რეგიონებში შეიმჩნევა საზოგადოე-ბის სამი სოციალურ-კულტურული ტიპის ერთდროული თანაცხოვრება: ტრადიციული, სამრეწველო, ინ-ფორმაციული. საქართველოსა და მისი რეგიონების მასშტაბით გლობალიზაციის პროცესების განვითა-რების შედეგად ხდება უმაღლესი ხარისხის ადამიანური რესურსების ინტენსიური გადინება:

- სასოფლო რაიონებიდან ქალაქებში;
- რაიონული ცენტრებიდან - დიდ ქალაქებში;
- დიდი ქალაქებიდან და დედაქალაქიდან - საზღვარგარეთ.

ამრიგად, ქვეყნების და რეგიონების კონკურენტული პოზიციების განმტკიცების მოთხოვნები, არათანაბარი განვითარება აიძულებს მათ, ერთი მხრივ, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების პრო-ცესში მოახდინონ თვითიდენტიფიცირება, მეორე მხრივ, მდგრადი განვითარების მიზნით მკაფიოდ განსაზღვრონ და დაიცვან საკუთრი ინტერესები.

ამ თვალსაზრისით, საქართველო და მისი რეგიონები, აქტიურად მონაწილეობენ გლობალიზაციის პროცესებში და ახდენენ საგარეო-ეკონომიკური სტრატეგიის ფორ-მირებას, რომელიც ითვალისწინებს მათ საკუთრ უნიკალურ კონკურენტულ უპირატესობებს: ეს არის ბუნებრივ-რესურსული ბაზა, სამეცნი-ერო-ტექნიკური და ადამიანური პოტენციალი.

გამოვყოფთ ენდოგენური ფაქტორების რიგს, რომლებიც ხელს უწყობს რეგიონების კონკურენტუნა-რიანობის ზრდას და ქმნის რეგიონული ინტეგრაციის განვითარების ობიექტურ წინაპირობებს:

- ისეთებს, რომელიც შედარებადია ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესთან (ერთ სულ მოსახლეზე მსპ-ის მიხედვით);
- ისეთებს, რომლებიც აღწერს ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობებს;
- ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას;
- სახელმწიფოს პოლიტიკურ მონყობას.

ცხრილი 6.5.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა; 2015-2020 წწ (მლნ. აშშ დოლარი)

| მაჩვენებელი | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020* |
|---|---|---|---|---|---|---|
| საგარეო-სავაჭრო ბრუნვა | 9504,3 | 9407,0 | 10678,8 | 12492,2 | 12886,7 | 3463,5 |
| საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB**) | 2204,2 | 2113.0 | 2735,8 | 3355,7 | 3766,4 | 1001,3 |
| საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF***) | 7300,2 | 7293,9 | 7943,0 | 9136,5 | 9120,4 | 2462,2 |
| საგარეო ვაჭრობის სალდო | - 096,0 | -5180,9 | -5207,2 | -5780,7 | -5354,0 | -1460,8 |

საქართველოს რეგიონების პოტენციალის ანალიზმა აჩვენა, რომ ტერიტორიის მდგრადი განვითარების ინტერესებში არსებობს საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ჩატარების აუცილებელი წინაპირობა და ეს საქმიანობა წარმატებით ხორციელდება.

საქართველოს რეგიონების საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს, საგარეო ვაჭრობის როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება საგარეო ვაჭრობაში კონკურენტუნარიანი საქონლის მზარდი მიწოდების საფუძველზე და სტრატეგიულ პერსპექტივაში მსოფლიო ბაზარზე სპეციალიზაციის ძირითადი სექტორის პროდუქციის წახალისება სტაბილური პირობების მისაღწევად.

პირველ რიგში, ამაში იგულისხმება ენერგორესურსები, მაღალი ხარისხის ლითონის პროდუქციის ფართო ასორტიმენტი, მაღალტექნოლოგიური ნაკეთობები, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ხეტყის კომპლექსები, ასევე სამეცნიერო ინოვაციების სფეროები.

საქართველოს რეგიონების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს:

- დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარების საფუძველზე, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება, სატრანსპორტო კორიდორების განვითარება, სარკინიგზო ტურიზმის განვითარება და ლოგისტიკური კომპლექსების შექმნა;
- თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში, საგარეო ვაჭრობის ურთიერთობების განვითარება და ოპტიმიზაცია, მინერალური რესურსების ნედლეულის მოპოვების, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის, სამრეწველო ნარჩენების გადამუშავების სფეროებში პროექტების განხორციელება, აგრეთვე ტურიზმისა და სანატორულ-საკურორტო დასვენების ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ევროკავშირის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საფუძველზე, რეალური ეკონომიკის სექტორში ურთიერთქმედება, მათ შორის აგროსამრეწველო სექტორში და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში;
- ტურიზმის სფეროში ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება, ტურიზმის ინფრასტრუქტურის და სანატორულ-საკურორტო დასვენების განვითარება, სატრანზიტო დერეფნებისა და ლოჯისტიკური კომპლექსების გამოყენება, ინვესტიციებისა და უახლესი ტექნოლოგიების მოზიდვა, აგრეთვე საზღვარგარეთ ქართული ბიზნესის საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერა.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნის მისაღწევად და მისი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტების მიღწევისათვის, უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

---

* მოცემულია 2020 წლის იანვარი-აპრილის პერიოდი

** FOB - (ინგლ. Free On Board - გემბანზე უფასოა) — საერთაშორისო ტერმინი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ბაჭრობაში ტრანსპორტირების პირობების დასაზუსტებლად.

*** CIF - (ინგლ. Cost, Insurance and Freight) — საერთაშორისო ტერმინი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში ტრანსპორტირების პირობების დასაზუსტებლად.

- რეგიონული ეკონომიკის თანმიმდევრული გადაყვანა ინოვაციური და იმპორტის შემცველი განვითარების გზაზე;
- ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური საქმიანობის საწარმოების სიმძლავრეებისა და ეფექტიანობის მკვეთრი გაზრდა;
- საქართველოს რეგიონების საგარეო ურთიერთობების განვითარება და გაძლიერება; კომერციული, საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება და გაძლიერება;
- რეგიონის საწარმოების საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა;
- საქართველოს რეგიონების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია, მათი ექსპორტისა და საინვესტიციო პოზიციების ტრადიციული ბაზრების შენარჩუნება, ახალი ბაზრების ათვისება რეგიონის გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად;
- ახალი მაღალტექნოლოგიური პროდუქციისა და ინოვაციური ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრებზე შეღწევა;
- იმპორტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, საწარმოთა მოდერნიზაცია, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების გამოშვებაზე, ინოვაციურ პროგრამებისა და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებზე ორიენტირება.

მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს რეგიონთაშორისი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ამოცანა, რისი უზრუნველყოფაც მიზანშეწონილია:

- ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ხარჯზე;
- საქართველოსთან ერთად შექმნილი პროექტების ხარჯზე სასაზღვრო ზონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მათ შორის მრეწველობის, აგრარული ან სამრეწველო კომპლექსებისა და ტურიზმის სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით;
- მცირე მეწარმეობის განვითარების ხარჯზე.

ასეთ პირობებში იქმნება აუცილებლობა აგებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ იქნეს ინტეგრაციისა და დივერსიფიკაციის განსხვავებული სტრატეგიების ეფექტიანი ურთიერთქმედების სისტემა, აგრეთვე შესაბამისი ინსტიტუციური ინსტრუმენტები. ინტეგრაციისა და დივერსიფიკაციის სტრატეგიებს შორის ურთიერთქმედების გზები ორიენტირებული უნდა იყოს შემდეგი სახის ეფექტების მიღებაზე:

- სინერგიის ეფექტი;
- სტაბილური ატრაქტორების მოზიდვის ეფექტი;
- ატრაქტორებს შორის გადართვის ეფექტი (ფაზური გადასვლა);
- ბიფურკაციის ეფექტი.

მიზანშეწონილია განვითარების თანამედროვე ინსტიტუტების აქტუალური ინტეგრაციული ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა კლასტერული მოდელები, თავისუფალი ვაჭრობის ზონები, მონინავე განვითარების ზონები. ასეთ შემთხვევაში სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის სახელმწიფო ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს მიეკუთვნება:

- საექსპორტო ოპერაციების გარანტირება;
- გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ექსპორტის დაკრედიტება;
- საექსპორტო კრედიტის საპროცენტო განაკვეთების ნაწილის ანაზღაურება;
- საექსპორტო ტრანზაქციების დაზღვევა.

ფინანსური მხარდაჭერის ეს ინსტრუმენტები, პირველ რიგში, მიზნად ისახავს მაღალტექნოლოგიური სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის განვითარებას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიურ ასპექტში რეგიონის მდგრადი განვითარებისკენ მიმართული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვისას სასურველია გამოყენებულ იქნეს ეგრეთ წოდებული სცენარების მეთოდი.

რეგიონებისათვის გლობალიზაციის მიმართ ადაპტირებისათვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მეთოდს წარმოადგენს რეგიონთაშორისი თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობს:

- რეგიონული ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას;
- კოოპერაციის საფუძველზე ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას;
- რეგიონთაშორისი კონკურენციის გაუმართლებელი ხარჯებისგან თავის დაღწევას;
- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გაერთიანებას მსხვილმასშტაბიანი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად;
- ინოვაციების დაჩქარებულ გავრცელებას.

რეგიონთაშორისი თანამშრომლობის კიდევ ერთი ძალიან პერსპექტიული მიმართულებაა რეგიონთაშორისი თანამშრომლობის განხორციელების საუკეთესო გამოცდილების კვლევა და გადაცემა. ქვეყნებს შორისი და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის პროცესში წარმოიშობა სხვადასხვა სახის სინერგიები. რეგიონული თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია რეგიონთაშორისი შეთანხმება, რომლებშიც ყველაზე პერსპექტიულად აღნიშნული თანამშრომლობის შემდეგი მიმართულებები მიგვაჩნია:

- საკოორდინაციო ორგანოების შექმნა (რეგიონთაშორისი კავშირების ოპერატორებისა და დირექტორებისათვის კომისიების, კომიტეტებისა და საბჭოების შექმნა თანამშრომლობის განვითარებისა და კოორდინაციისთვის);
- რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის განვითარება (რეგიონული საგამოფენო და საკონფერენციო კომპლექსების და კულტურული ცენტრების მშენებლობა და სხვა);
- ინტეგრაციული თანამშრომლობის საინფორმაციო მხარდაჭერა (ინფორმაციული და ანალიტიკური სისტემების, მარკეტინგული ცენტრების შექმნა და სხვა);
- სხვა რეგიონების ბაზრებზე პროდუქციისა და მომსახურების დაწინაურება (გამოფენა-ბაზრობების, საპრეზენტაციო ღონისძიებების ჩატარება, სარეკლამო და საინფორმაციო პროდუქციის გავრცელება, რეგიონული მწარმოებლების ბრენდების და სასაქონლო მარკების ხელშეწყობა და ა.შ.).
- ერთობლივი პროექტების განხორციელება (კოოპერაციის სხვადასხვა ფორმების საფუძველზე საწარმოების ორგანიზება, მონინავე განვითარების ზონების შექმნა, საწარმოო-ტერიტორიული კლასტერების შექმნა, სხვა);
- საინვესტიციო მიმართულების განვითრების რეგიონთაშორის საინვესტიციო ინსტიტუტების შექმნა, ესაა: საინვესტიციო, სადაზღვევო, ვენჩურული ფონდები, ბიზნეს ალიანსები, ერთობლივი საინჟინრო ცენტრები, რეგიონთაშორისი განვითარების ბანკები, კლირინგისა და ანგარიშსწორების ცენტრები, უნივერსიტეტებთან არსებული კვლევითი ცენტრების შექმნა ნოუ-ჰაუს შემუშავებისათვის და სხვა;
- რეგიონთაშორისი თანამშრომლობის სამეცნიერო-მეთოდური მხარდაჭერა. ანუ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მეთოდური მასალების შემუშავება რომელიც ეხება რეგიონთაშორისი კავშირების განვითარებას და ა.შ.;
- საქმიანი და კულტურული კონტაქტების დამყარება და სხვა რეგიონებთან ურთიერთობები და კავშირები (მონაწილეობა რეგიონთაშორის ფორუმებში, გამოფენებში, ფესტივალებში, კონკურსებში, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული მისიების მქონე დელეგაციების ვიზიტების ჩატარება და ა.შ.

საქართველოს რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობები მთლიანობაში ასახავენ იმ ტერიტორიული ერთეულების სპეციალიზაციას, რომლებიც შედიან საქართველოს შემადგენლობაში, მათ ადგილს და როლს მთლიანად ქართულ ეკონომიკაში.

ეკონომიკური კავშირების განვითარება და ეკონომიკური თანამშრომლობა ქვეყნის რეგიონებთან უმეტესწილად უზრუნველყოფილია საქართველოს რეგიონულ მმართველობებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმებებით.

საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ჩამოყალიბდა სამრეწველო სტრუქტურის ტერიტორიული დიფერენცირების მაღალი დონე. საქართველოს რეგიონებიდან პროდუქციის გატანის სასაქონლო სტრუქტურა უმეტესწილად ფორმირდება რეგიონებში განთავსებული საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის სპეციალიზაციის ტიპის მიხედვით.

პერსპექტივაში უნდა ველოდოთ რეგიონთაშორისი კავშირების მოცულობისა და სიღრმის მნიშვნელოვან ზრდას და მათ მიერ წარმოებული თუ რეექსპორტირებული პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოებას.

ცხრილი 6.5.2. საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 2020 წლის იანვარ-აპრილში სასაქონლო პოზიციების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)*

| | |
|---|---|
| ადგილობრივი ექსპორტი სულ | 712 999,4 |
| მათ შორის: | |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცოცხალი | 3202,6 |
| ცხვრები და თხები ცოცხალი | 2081,3 |
| შინაური ფრინველი ცოცხალი | 936,3 |
| ხორცი ცხვრის ან თხის ახალი, გაცივებული ან გაყინული | 433,7 |
| თევზი ახალი, გაცივებული ან გაყინული | 1274,1 |
| კარტოფილი | 100,7 |
| პომიდორი | 460,5 |
| კიტრი და კორნიშონი | 181,5 |
| ბოსტნეული სხვა | 3281,2 |
| თხილი და სხვა კაკალი | 14786,5 |
| ციტრუსები | 2321,9 |
| ხილი და კენკრა | 851,8 |
| ჩაი | 334,8 |
| სუნელები და სანელებლები | 4779,2 |
| ქერი | 9,8 |
| სიმინდი | 477,9 |
| ფქვილი | 530,2 |
| ცხიმები, ზეთები და მათი ფრაქციები | 3110,8 |
| ჯემები, ხილ-კენკროვანი მარმელადები და სხვა | 505,7 |
| მინერალური, მტკნარი და დაგაზიანებული წყლები | 44929,8 |
| თევზის და ზღვის პროდუქტების ფქვილი | 15285,2 |
| თიხები | 345,2 |
| კირი ჩაუმქრალი | 1052,9 |
| მადნები (სპილენძი, სხვა), მანგანუმის კონცენტრატები და ოქსიდები | 248419,1 |
| მინერალური და აზოტოვანი სასუქები | 36476,2 |
| პლასტმასის ნაწარმი | 1779,3 |
| ყურძნის ნატურალური ღვინოები | 55367,0 |
| მინის ტარა | 38,3 |
| შავი მეტალურგიის ნაწარმი და ფეროშენადნობები | 110541,4 |
| საავიაციო და სარკინიგზო ტრანსპორტის ნაწილები | 125,2 |
| ავეჯი | 540,0 |
| ელექტროენერგია | 391,4 |
| სხვა პროდუქცია | 158047,9 |

ამგვარი ურთიერთობების განვითარების ძირითად მიზანსწარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის, სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების და ნაკადების ოპტიმიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში წარმოების ეფექტიანობის ზრდასა და სპეციალიზაციის გაღრმავებას. ჩვენი აზრით, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

*წყარო: სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური; სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;
სს„ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“

- ეკონომიკურ სფეროში რეგიონთაშორის პროექტებში მონაწილეობა, აგრეთვე სოციალური სფეროს და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროექტების დასრულება;
- საქართველოს რეგიონებისთვის დამახასიათებელი მრეწველობის ტრადიციული და პერსპექტიული დარგების და საწარმოო სპეციალიზაციების პრიორიტეტული განვითარება
- რაიონის სატრანსპორტო ნაკადების განსხვავებული საპროგნოზო ვარიანტის შემუშავება;
- სატრანსპორტო ქსელისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონთაშორისი სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაციას.

საქართველოს რეგიონებს შორის კავშირების განვითარება მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- ნარჩენების გადამუშავება;
- ეთილენისა და პოლიეთილენის წარმოება;
- მანგანუმის, ოქროს, ალუმინის, სპილენძისა და სხვა იშვიათი და ძვირფასი ლითონების გადამუშავება;
- საერთაშორისო სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობა;
- საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება (საავტომობილო, რკინის გზები, ავია-სატრანსპორტო კორიდორები, საწყალოსნო ტრანსპორტი და სხვა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეგიონებში პროდუქციის გატანის დაგეგმილი წინმსწრები ზრდა შეიძლება განხორციელდეს წარმოების სტრუქტურის გაფართოების პროგრამებისა და ახალი წარმოებების შექმნის საფუძველზეც.

გარდა ამისა, ვთვლით, რომ საქართველოს რეგიონთაშორისი კავშირების განვითარებაზე გავლენას მოახდენს რეგიონული ეკონომიკის შემდეგი ძირითადი პრობლემების მოგვარება:

- რეგიონების ძირითადი მრეწველობის დარგების ნედლეულით უზრუნველყოფა;
- რეგიონების ეკონომიკის დივერსიფიკაცია;
- ქართული რეგიონების სხვა ქვეყნების რეგიონებთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა და განვითარება;
- სატრანსპორტო და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო-ლოგისტიკური დერეფნების შექმნას და განვითარებას;
- ინოვაციური სისტემის რეგიონთაშორისი ინფრასტრუქტურის ფორმირება ინოვაციური ინსტიტუტების, ტექნოპოლისები, ბიზნეს ინკუბატორების, ვენჩურული და საინოვაციო ფონდების, საინოვაციო-ტექნოლოგიური ზონების და სხვა სახით;
- მსხვილი სამრეწველო ჰოლდინგებისა და კომპლექსების განვითარება.

რეგიონთაშორის თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად სექტორებში კლასტერების ჩამოყალიბება. დასაელური მაგალითებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად და მისაბაძად მივიჩნევთ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ეკონომიკური ურთიერთქმედების რეგიონთაშორის ასოციაციას, რომელიც 1991 წელს არის შექმნილი. ასოციაციის შემადგენლობაში შტატების უმრავლესობა შედის. თუ საქართველოს რეგიონები ამ მაგალითის შესაბამისად განვითარდებიან, პერსპექტივაში უნდა ველოდოთ რეგიონთაშორისი კავშირების მნიშვნელოვან გაფართოებას. ეს მოხდება ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინტეგრაციის ხარჯზე მათი ეკონომიკური ურთიერთქმედებების გაძლიერების შედეგად. ძირითადი შედეგი გახდება მრეწველობის წამყვანი დარგების სანედლეულო მომარაგების პრობლემის გადაწყვეტა, ახალი მაღალტექნოლოგიური წარმოებების განვითარება და სუსტად განვითარებული ტერიტორიების აქტიური სამრეწველო ათვისება.

საქართველოს რეგიონები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო და რეგიონთაშორის ინტეგრაციის პროცესებში და მათ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვს. ამავდროულად, საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში რეგიონის ჩართულობის ხარისხი და სილრმე, რეგიონის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის წარმატებულობა პირდაპირ არის დამოკიდებული ფინანსურ-ეკონომიკურ საქმიანობის წარმართვის ინოვაციურ ორიენტაციაზე, დაფინანსების კომპლემენტარულო-ბაზე, საზოგადოებრივი და კერძო პარტნიორობის მექანიზმის გამოყენებაზე.

### 6.6. რეგიონული განვითარების ინსტიტუტების გამოყენების საშინაო და საგარეო გამოცდილება

რეგიონის მდგრადი განვითარების ძალზე პერსპექტიულ ინსტრუმენტებს წარმოადგენს განვითარების ინსტიტუტები. კერძოდ, ეს არის:

- განვითარების ბანკები;
- ტექნოლოგიური პარკები;
- რეგიონული და მუნიციპალური განვითარების სააგენტოები;
- გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კულტურის ცენტრები;
- სტრატეგიული ინოვაციების განვითარების სააგენტოები და სხვა ორგანიზაციები.

ამ სპეციალიზებული კვაზი-სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობა მიზნად ისახავს იმ სახის „საბაზრო ჩავარდნების“აღმოფხვრას, რომლებიც არღვევენ ქვეყნის და მისი რეგიონების განვითარების მდგრადობას:

- ბაზრის ჩავარდნები ინოვაციების სფეროში;
- ინსტიტუციური ბაზრის ჩავარდნები;
- ამორტიზებული ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა;
- განვითარების დისბალანსი.

ჩვენ გამოვყავით რიგი ფინანსური, ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოს ეკონომიკის მდგრად გრძელვადიან ზრდას:

1. ეკონომიკის საინვესტიციო საჭიროებების ადეკვატური მოცულობის გრძელვადიანი სესხებისა და საინვესტიციო რესურსების არარსებობა;
2. ინოვაციური ბიზნესის, შემუშავებული სამეცნიერო სიახლეების კო-მერციალიზაციის და ფუნქციონირების უზრუნველყოფის ფინანსური, სამრეწველო-ტექნოლოგიური საკადრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;
3. საერთაშორისო ბაზრებზე შესვლისათვის ქართველი მეწარმეების არაკომპეტენტურობა.

განვითარების ეფექტიანი ინსტიტუტების სისტემის ფორმირებას შეუძლია პირველი ორი ტიპის ბარიერის მოხსნა. განვითარების ინსტიტუტები ასევე წარმოადგენენ ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტს რეგიონში ბიზნესების მოსაზიდად.

განვიხილოთ რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის ინსტიტუციური მხარდაჭერის საერთაშორისო პრაქტიკა. უცხოური გამოცდილების ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ორგანული ურთიერთკავშირი მდგრადი განვითარების სტრატეგიასა და რეგიონული განვითარების ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებას შორის.

ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის ევროკავშირის ფონდები იქმნებოდა იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ დანარჩენი რეგიონების განვითარებისათვის, ამ ტერიტორიებზე ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმების მხარდაჭერისათვის; სწავლებასა და დასაქმებაში განათლების არსებული და ახალი სისტემების ადაპტაციის დახმარებისთვის.
ეს ორგანიზაციები:

- დებენ ინვესტიციებს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში, მათ შორის ინფრასტრუქტურასა და განათლებაში;
- ახორციელებენ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას;
- ტურისტული საწარმოებისა და იმ მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური ზრდის მულტიპლიკაციურ ეფექტს.

ევროკავშირის ინსტიტუციური ფონდების საქმიანობა მიმართულია კონკურენციისა და ეკონომიკური სტრუქტურის განვითარებაზე. ამ ფონდების მუშაობაში გამოიყენება დეცენტრალიზაციის ელემენტები. ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების დაფინანსების მიმართულებებია:

- რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი რეგიონების დისბალანსის შესამცირებლად ახორციელებს სამრენველო ინვესტიციებს, ავითარებს ეკონომიკურ და სოციალურ ინფრასტრუქტურას;
- ევროპის სოციალური ფონდი (ESF) წარმოადგენს ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტს დასაქმების პოლიტიკის განხორციელების სფეროში;
- ევროპული სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელი და საგარანტიო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის რეგიონების განვითარებას და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული დარგების სტრუქტურულ რეფორმას;

- მეთევზეობის მეურნეობის ხელმძღვანელობის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება მეთევზეობის სექტორის სტრუქტურულ რეფორმას.

მუნიციპალური განვითარების ფონდები მოქმედებენ სუბნაციონა-ლურ/ტერიტორიული საკრედიტო ინსტიტუტების სახით.

რეგიონული განვითარების სააგენტოების მუშაობის გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ცალკეულ შემთხვევაში ისინი გარდაიქმნენ რეგიონული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ეფექტიან გამტარებლებად, სხვა შემთხვევაში - ისინი გახდებიან გიგანტური სუსტად კონტროლირებადი ორგანიზაციები, რომლებიც არღვევენ რესურსების განაწილების პროცესს. მაგალითად, რეგიონული განვითარების სააგენტო შენც-Pezinok-s მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. სააგენტო შენეც-Pezinok ნარმატებით ახორციელებს პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც აუმჯობესებენ საინვესტიციო კლიმატს და წარმოადგენენ შიდა და უცხოური გრანტების გამტარებლებს, ტურისტული და სტრუქტურული ფონდების სფეროში ახორციელებენ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, ახდენენ საინფორმაციო სისტემების ფორმირებას.

საყურადღებოა, რომ რეგიონული განვითარების სააგენტოების რიგი ფორმირებულია ცენტრალური მთავრობების მიერ. მაგალითად, ესპანური საბროკერო ღონისძიების პარტნიორი ფირმის ღენგინეერინგ ჩონსტრუმატ მიზანს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა, „სტარტაპერების" დახმარება, ერთობლივ საწარმოებსა და სხვა სახის პარტნიორულ ურთიერთობებში ჩართული მეწარმეების და უნივერსიტეტების, კვლევების მხარდაჭერა. საერთაშორისო პარტნიორების მოძიება.

რეგიონული განვითარების სააგენტო „უეშუვი" გამიზნულია ქვეკარპატული ვოევოდსტვოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მხარდასაჭერად. სააგენტო „უეშუვი" ხელს უწყობს ქვეკარპატული ვოევოდსტვოს, როგორც ინოვაციურ და ეკონომიკურად განვითარებული რეგიონის, განახლებული იმიჯის ამაღლებას, რეკლამას უკეთებს რეგიონის მიერ შეთავაზებულ შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს შემდეგი სახის მომსახურებას:

- მცირე და საშუალო საწარმოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების კონსულტირება;
- ბიზნეს გეგმების მომზადება, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
- ტრენინგების, სემინარების, საბროკერო ღონისძიებების და მეწარმეებთან ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება;
- ტექნოლოგიების ტრანსფერის პროცესში მონაწილეობა;
- ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- ბაზრობების, მისიების და საბროკერო ღონისძიებების დროს ახალი ტექნოლოგიური თანამშრომლობის შესაძლებლობათა შესახებ პოტენციური პარტნიორების ინფორმირება ევროპულ მონაცემთა ბაზების მეშვეობით;
- საჯარო აუდიტი და სერტიფიცირება;
- ინოვაციური საწარმოების დაფინანსების წყაროების შესახებ კონსულტაციები;
- ახალი ტექნოლოგიებისა და პროცესების დანერგვის შესახებ კონსულტაცია;
- Enterprise Europe Network (სამხრეთ პოლონეთის) პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია ტექნოლოგიებით საერთაშორისო ვაჭრობის მხარდაჭერა.

რეგიონული განვითარების სააგენტოების რიგი ორგანიზებულია რეგიონული ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ისინი მოქმედებენ როგორც ნახევრად-ავტონომიური ორგანიზაციები, აუთსორსინგის საფუძველზე. რეგიონული განვითარების ცალკეული სააგენტოები (APP) შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით, „ქვემოდან-ზემოთ" მიდგომის საფუძველზე. სხვა შემთხვევაში, ისინი ჩამოყალიბდა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე, ხშირად სავაჭრო-სამრეწველო პალატების ან მეწარმეთა ასოციაციების (კავშირების) დახმარებით. რეგიონული განვითარების სააგენტოებს - სააქციო კომპანიებს, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად ეკუთვნიან კერძო სექტორს, შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. ამავე დროს აქვთ უნარი დააგროვონ ადამიანური კაპიტალი და მოახდინონ მისი ეფექტიანად გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კერძო ორგანიზაციები კონტროლის გარეშე არ მუშაობენ. ასე, National Agency for Regional Development რეგიონული განვითარების ეროვნული სააგენტოს (სერბეთის ეროვნული სააგენტო) საქმიანობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ „რეგიონული განვითარების შესახებ" კანონის შესაბამისად, იგი ყოველწლიურად აფასებს რეგიონული განვითარების სააგენტოების წინა

კალენდარული წლის ეფექტიანობას, რათა მოხდეს ამოცანების შესრულების მონიტორინგი. უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის დროზე ისინი სწორედ ამ მიზნით იქნა შექმნილი.

შიდა ინვესტიციების გამოყენებისა და საერთაშორისო არენაზე ცალკეული რეგიონების ხელშეწყობის ფუნქციები ყველაზე ეფექტიანად ხორციელდება ეროვნული სააგენტოების მიერ. საკუთრ საქმიანობას წარმატებით ახორციელებენ:

- დასავლეთის რეგიონული განვითარების სააგენტო (West Regional Development Agency) რუმინეთი;
- შტუტგარტის რეგიონის ეკონომიკური განვითარების კორპორაცია, (Stuttgart Region Economic Development Corporation), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა;
- ინოვაციის სამხრეთ-დასავლეთის რეგიონული სააგენტო (Regional Innovation Agency of South Great Plain - რეგიონული ინოვაციის სააგენტო), უნგრეთი;
- ავსტრიის განვითარების სააგენტო (Austrian Development Agency ავსტრიის განვითარების სააგენტო).

ისინი რეკომენდაციას უწევენ ევროკავშირის ქვეყნებში პროექტის ციკლის მართვის საერთო მეთოდოლოგიას.

ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის განხორციელების კიდევ ერთი ინსტიტუტია საზოგადოებრივი სამეწარმეო კომპანიები (CIC), რომელიც აერთიანებენ რეგიონული განვითარებისა და სხვადასხვა სპეციალიზებული ადგილობრივი განვითარების სააგენტოს ფუნქციებს. ქვეყნები, სადაც წარმატებით ფუნქციონირებენ საზოგადოებრივი მეწარმეობის კორპორაციები, არიან დანია, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები.

საზოგადოებრივი კორპორაციების დარეგისტრირების შესაძლებლობა გაჩნდა 2015 წლის იანვრიდან. ქ. მინესოტაში (აშშ) კანონის მიღებასთან ერთად გამოჩნდა Minnesota Public Benefit Corporation Act.

იაპონიაში საზოგადოებრივ კორპორაციებს მიეკუთვნებიან სპეციალური იურიდიული პირები - ტოკუსიუ ხოძინ. იაპონიის კანონმდებლობით გათვალისწინებული კორპორატიული სანარმოების სხვა ფორმებისგან (როგორიც არის ჩვეულებრივი სააქციო კომპანიები (კაბუსიკი კაისია) განსხვავებით, რომელთა შექმნა რეგულირდება სამოქალაქო და კომერციული კოდექსის დებულებებით და არაკომერციული კორპორატიული გაერთიანებებით. ეს იურიდიული პირები ყოველთვის იქმნებიან სპეციალური საპარლამენტო დადგენილების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს მათ სტრუქტურას, მართვას, ფუნქციებს, დაფინანსებასა და საქმიანობის სხვა ასპექტებს.

2015 წლის 22 აპრილს ტოკიოში ჩატარდა კონფერენცია იაპონიაში ინდუსტრიული პარკების განვითარების შესახებ. კონფერენციას ესწრებოდ¬ნენ იაპონიის ქალაქების აღორძინების სააგენტოს წარმომადგენლები, სოჯიცის კორპორაციის ინდუსტრიული პარკების დეპარტამენტი, რეგიო¬ნული ხელისუფლების წარმომადგენლები და ინდუსტრიული პარკების მართვის კომპანიები. იაპონიის ეროვნული განვითარების ინსტიტუტებისა და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებმა გაუზიარეს მონაწილეებს იაპონური გამოცდილება რეგიონების კომპლექსური და ინტენსიური ეკონომიკური განვითარების მიზნით სამრეწველო ინფრასტრუქტურის შექმნის საკითხების ირგვლივ.

**საქართველოს რეგიონების განვითარების ინსტიტუტები.** მდგრადი განვითარების მისაღწევად საქართველოში ფუნქციონირებადი ინსტიტუტები შემდეგ ამოცანებს წყვეტენ:

- მეწარმეობის, მათ შორის ახალგაზრდა მეწარმეთა განვითარების ხელშეწყობა;
- საინფორმაციო, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო მომსახურება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში;
- ქართული წარმოების პროდუქციისა და მომსახურების ხელშეწყობა უცხოურ ბაზრებზე;
- პოტენციური უცხოელი პარტნიორებისა და ინვესტორების მოძიება;
- რეგიონის, საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;
- საჯარო და კერძო პარტნიორობის პროექტებში რეგიონების ინტერესების წარმოდგენა.

განვიხილოთ რეგიონის ინდივიდუალური განვითარების ცალკეული ინსტიტუტები უფრო დეტალურად.

**თბილისის ტექნოპარკი** - ეს არის რეგიონის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ტექნოპარკის შექმნის მთავარი მიზანია რეგიონული ეკონომიკის მდგრადობის ამაღლება, მისი დივერსიფიკაცია, რეგიონის მოსახლეობის შრომის და შემოქმედებითი პოტენცი-

ალის რეალიზაცია. ტექნოპარკის საქმიანობა მიზნად ისახავს რეგიონში მცირე და საშუალო ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას, ინოვაციური პროცესის ყველა ეტაპზე კომპლექსურ მხარდაჭერას: ახალი საცდელი ნიმუშებისა და პროტოტიპების შექმნიდან ახალი ტექნოლოგიის სერიულ წარმოებაში ჩაშვებამდე.

ამჟამად ტექნოპარკის ბიზნეს ინკუბატორი იღებს ოცდაათი პატარა კომპანიის მხარდაჭერას, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ პროექტებს სხვადასხვა სფეროებში: როგორიცაა ეკოლოგია და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ახალი სამშენებლო მასალები, მედიცინა და ჯანდაცვა, აგრარული მრენველობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები.

2013 წლის მარტში საინვესტიციო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობების შექმნის მიზნით ჩამოყალიბდა ფონდი „საინვესტიციო პროექტების განვითარების ცენტრი". მისი მისიაა, შექმნას ხელსაყრელი პირობები ბიზნეს-სტრუქტურების ეფექტიანი მუშაობისათ¬ვის. საინვესტიციო სააგენტოს აქვს მუნიციპალურ წარმონაქმნებში წარმომადგენლობითი ოფისების გახსნის უფლება.

„საინვესტიციო პროექტების განვითარების ცენტრის" მიზნებად გამოცხადდა:

- რეგიონების საწარმოების საქმიანობაში საერთაშორისო მართვის გამოცდილების (კორპორატიული ფინანსების ჩათვლით) შემოტანა;
- მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საინვესტიციო პროექტების შემუშავება;
- რეგიონების საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება;
- საკრედიტო და ექსპერტული მონაწილეობის მოზიდვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროექტებში, მაგალითად როგორიცაა მსოფლიო ბანკი (World Bank), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC (მსოფლიო ბანკის ჯგუფი), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საერთაშორისო საინვესტიციო ბანკები (Credit Suisse, Barclays, HSBC, UBS, Goldman Sachs, JP Morgan, Bank of China), სახელმწიფო ექსპორტის განვითარების საკრედიტო სააგენტოები და საქართველოს ბანკები (საქართველოს ბანკი, VTB, ბაზის ბანკი, ლიბერთი).

რეგიონული საინვესტიციო ცენტრი ატარებს ეკონომიკურ ექსპერტიზებს, ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობის შეფასებას, ახორციელებს ანალიტიკურ და მარკეტინგულ კვლევებს, საინვესტიციო და ფინანსურ კონსულტაციებს, ადგენს საინვესტიციო პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და საინვესტიციო პროექტების ბიზნეს-გეგმებს.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს განვითარების ინსტიტუტების საქმიანობა მოიცავს მიმართულებებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა რეგიონების მდგრადი განვითრების საინფორმაციო, საორგანიზაციო და ფინანსურ მხარდაჭერა.

უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული განვითარების სააგენტოები და საზოგადოებრივი ბიზნესის კორპორაციები უფრო ეფექტიანად მუშაობენ, როცა დასახულია შეზღუდული რაოდენობის კონკრეტული მიზნები. ამ დროს რეგიონული განვითარების ინსტიტუტების სისტემა უნდა პასუხობდეს მიზნების შეთანხმებულობისა და რესურსების გადანაწილების ოპერატიულობის მოთხოვნას.

### 6.7. რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბება მდგრადი ტერიტორიული განვითარების პრინციპების განხორციელების უზრუნველსაყოფად

რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ინსტიტუციურ-სინერგიული მიდგომა. გვინდა, მოკლედ განვიხილოთ ტერმინის შინაარსი. რეგიონული პოლიტიკა სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ხშირად ნიშნავს არა თავად რეგიონების საქმიანობას, არამედ სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკას. რეგიონის განვითარების მართვის სუბიექტი გამოირჩევა თავისი რთული ხასიათით და მოიცავს სახელმწიფო, რეგიონული, მუნიციპალური და სამეურნეო მართვის სუბიექტებს, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. რაც კარგად ჩანს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაგალითზე.

წინამდებარე ნაშრომში ცნება „რეგიონული პოლიტიკა" იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონის საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონის განვითარებას და მისი პრობლემების გადაწყვეტას. ამავდროულად, რეგიონული პოლიტიკა ითვალისწინებს მთელი ქვეყნის ინტერესების შეთანხმებას, საქართველოსა და მისი შემადგენელი სუბიექტების, მუნიციპალური წარმონაქ-

მნების, სხვადასხვა საკუთრების ფორმის კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების ინტერესების კოორდინირებას, საქართველოს ყველა მოქალაქის ჩათვლი.

ჩვენი აზრით, ერთიანი რეგიონული პოლიტიკა მოიცავს:

***ა) რეგიონული განვითარების სტრატეგიული მიზნების, ამოცანების, რეგიონული განვითრების პრიორიტეტების შემუშავებას;***

***ბ) რეგიონული სოციალ-ეკონომიკური სისტემის განვითრების პროცესში დასახული გეგმების კომპლექსის იმპლემენტაციის ღონისძიებათა შემუშავებას.***

აქედან გამომდინარე, ***რეგიონული პოლიტიკის მისია გამოვლინდა, როგორც ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გაზრდილი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლება.***

რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების დიალექტიკა ითვალისწინებს, ერთი მხრივ, რეგიონის ყველა აქტორის სოციალურად მნიშვნელოვანი ინტერესების კოორდინირებას და მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური ბაზისის განმტკიცებას და ქვეყნის ეკონომიკური სივრცის ერთიანობას. აღნიშნული ითვალისწინებს, რომ რეგიონის ეკონომიკურმა კომპლექსმა უნდა განახორციელოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და ეფექტიანი ურთიერთქმედება საქართველოს ეროვნული ეკონომიკის სხვა ელემენტებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის ეკონომიკა უნდა ჩამოყალიბდეს როგორც მრავალდარგობრივი და სოციალურად ორიენტირებული.

რეგიონული პოლიტიკა არის საერთო სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. აღვნიშნოთ პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე:

- რეგიონული სივრცის მასშტაბები;
- სივრცის სეგმენტაცია;
- რეგიონის რესურსებით უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობა;
- რეგიონის წარმოების ფაქტორებით გაჯერებულობა, მათი განვითარების დონე და მათი შესაბამისობა გარკვეულ ტექნოლოგიურ სტრუქტურასთან;
- წინმსწრების განვითარების ტერიტორიების არსებობა და განსაკუთრებული ეკონომიკური რეჟიმის მქონე ტერიტორიების არსებობა;
- სახელმწიფო და კერძო და სოციალური პარტნიორობის სივრცის განვითარების ხარისხი;
- რეგიონის მოსახლეობის სიმჭიდროვე;
- რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების დონე და შემოსავლების დიფერენციაცია;
- რეგიონის სოციალური გარემოს დიფერენცირებულობა.

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესების მართვაში სისტემური მიდგომა ითვალისწინებს ამ სისტემის ყველა დონის განხილვას:

- ზესისტემური I - **სახელმწიფო დონე**, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიას;

  ზესისტემური II - **მაკრორეგიონების დონე**, რომელიც კოორდინაციას უწევს ფართომასშტაბიანი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებისა და რაიონებში პრიორიტეტული ეროვნული პროექტების განხორციელებას;

  საერთო-სისტემური - **რეგიონული დონე**, რომელზეც შექმნილია და განხორციელებული რეგიონის მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა;

  შიდა სისტემური - **მუნიციპალური დონე**. იგი ძალიან მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების ასპექტში, რადგანაც იცვლება: ა) მოსახლეობის, როგორც საარსებო, საურთიერთობო გარემოსა და სამოქალაქო საზოგადოების პირველადი ელემენტის როლი; ბ) მოსახლეობის მოთხოვნილებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების განხორციელების ადგილი.

ს. რობერტა თავის ნაშრომში ხაზს უსვამს მუნიციპალური წარმონაქმნის განვითარების ინოვაციურ-სტრატეგიულ მოდელზე გადასვლის აუცილებლობას, რომლის სისტემაშემქმნელი ელემენტი ხდება ტერიტორიის თვითკმარობაზე გადასვლა, რაც უზრუნველყოფს რეგიონის მართვაში ადგილობრივი საზოგადოების პირდაპირ ჩართულობას. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ობიექტური მიზეზების გამო, მრავალი მუნიციპალიტეტი (და რეგიონიც კი) დოტაციურია და კიდევ დიდხანს ასეთად დარჩება.

- **მიკრო დონე.** თანამედროვე პირობებში რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა ხდება სუბიექტურ-ინტეგრაციული, რომელიც მონაწილეთა დემოკრატიულ გაფართოებაზე, აგრეთვე რეგიონული მართვის ინტეგრაციული პროცესების მოთხოვნილებასთან შესაბამისობაში მოყვანაზეა ორიენტირებული.

რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება და გან-ხორციელება მოითხოვს სახელმწიფო და რეგიონული სამთავრობო სტრუქტურების, ადგილობრივი მთავრობების, ისევე როგორც საზოგადოებრივი და ბიზნეს წრეების კოორდინირებულ ქმედებებს, რომლებიც ეფუძნება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს. ამასთან ერთად ხორციელდება რეგიონში აქტორების ინტერესების რაციონალური კოორდინაცია და, საჭიროების შემთხვევაში, არაეფექტიანი მფლობელების მიმართ მართვის ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები განსხვავებულია.

სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები უნდა მოგვარდეს ადგილობრივი პირობების, ეკონომიკური განვითარების დონის, დემოგრაფიული სიტუაციის, ფინანსური შესაძლებლობების, რეგიონის მოსახლეობის ადგილობრივი (ეთნიკური) და კულტურული ტრადიციების საფუძველზე.

ამგვარად, საკომუნიკაციო-კოოპერაციული ურთიერთქმედების აგების მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ რეგიონის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური გარემოს თავისებურებებს.

***შესაბამისად, რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით, განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, შემუშავდება შესაბამისი ღონისძიებების კომპლექსი და მოზიდულ იქნება დაფინანსების წყაროები.***

რეგიონის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მისი ინოვაციური კომპონენტის აქტიური მხარდაჭერა. რეგიონული ეკონომიკის მოდერნიზაცია, მისი ტრანსფორმაცია მაღალეფექტიან, ინოვაციურ და კონკურენტუნარიან ორგანიზმად, მოითხოვს მისი სტრუქტურის ცვლილებას; მთლიან რეგიონულ პროდუქტში გადამამუშავებელი მრენველობის დარგების და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების წილის ზრდას.

როდესაც ხდება რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება, ფოკუსირება აუცილებელია დარგის იმ საწარმოებზე, რომლებსაც გააჩნიათ ეკონომიკური საქმიანობის დადგენილი ტექნოლოგიური სკოლა და ფუნქციონირებენ რეგიონში უკვე დიდი ხნის განმავლობაში. ამავდროულად, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ორგანიზაციული და ეკონომიკური გადაწყვეტილებები რეგიონის მოცემული ეკონომიკური სუბიექტების მხარდაჭერის მიზნით, რომელსაც თან ახლავს რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ამაღე დროს მიზანშეწონილია, არ მოხდეს რეგიონის ეკონომიკის ფუნდამენტური რესტრუქტურიზაცია, არამედ მოხდეს იმ ერთმანეთთან დაკავშირებული ან არადაკავშირებული საწარმოების საქმიანობების დივერსიფიკაცია, რომლებიც ინარჩუნებენ საუკეთესო გამოცდილებას და ამდიდრებენ მას ინოვაციური ელემენტებით. ყველა ამ პრობლემების მოგვარებას თან უნდა სდევდეს რეგიონის მდგრადი განვითარების ინსტიტუციური, ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფა.

რეგიონის მდგრადი განვითარების პოლიტიკის სტრუქტურული მთლიანობა განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა სოციალური პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ინსტიტუციური უზრუნველყოფა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დაფინანსების შესაძლებლობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო რეგულაციები, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში განსხვავებების შემცირებას და ეფექტიან სივრცით ორგანიზებას.

ამრიგად, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები უნდა განხორციელდეს ხელისუფლების ორგანოების მიერ ყველა დონეზე, ადგილობრივი პირობების, ეკონომიკური განვითარების დონის, დემოგრაფიული სიტუაციის, ფინანსური შესაძლებლობების და მოსახლეობის ეთნოკულტურული ტრადიციების საფუძველზე.

უნდა აღვნიშნოთ რეგიონის მდგრადი განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი პრინციპები:

- მისიის, სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების ფორმულირება მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებათა უწყვეტობის გათვალისწინებით. ამავდროულად განისაზღვრება რეგიონის ობიექტური მოთხოვნები და მასთან დაკავშირებული რეგიონული ინტერესები;


- სცენარული და პოლისტიკური მიდგომების გამოყენება; ინტეგრაციის პროცესების სტიმულირება;
- ინოვაციური ტიპის ეკონომიკურ საქმიანობაზე ორიენტაცია;
- რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მონიტორინგის საჭიროება;
- რეგიონის, როგორც ერთიანი ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, კვლევა.

სისტემური და ინსტიტუციური სინერგეტიკული მიდგომის პერსპექტივიდან გამომდინარე, საშუალება მოგვეცა, განგვესაზღვრა რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები:

1. სისტემური ინსტიტუციური მოდერნიზაცია (ნორმატიულ სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ სამეურნეო საქმიანობას და აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვის უზრუნველყოფის საშუალებები);
2. ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებისა და ინოვაციურ საქმიანობაში ჩართული ეკონომიკური სუბიექტების მხარდაჭერაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა;
3. ადამიანური პოტენციალის ფორმირებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ეკონომიკის სექტორებზე ყურადღების გამახვილება;
4. სოციალური და სამრენველო ინფრასტრუქტურის განახლებისას ინოვაციური გადაწყვეტილებების გამოყენება;
5. ტერიტორიული განვითარების დისპროპორციების ლიკვიდაცია;
6. სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების მართვის სრულყოფა.

ეს მიმართულებები განსაზღვრავს რეგიონის მდგრადი განვითარების გრადიენტის არჩევის პრიორიტეტებს. რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის სისტემური მიდგომის გამოყენებით, განისაზღვრება რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონალური შინაარსი. რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციების სისტემა ნაჩვენებია სქემა 6.7.1.

სქემა 6.7.1. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციების სისტემა




ფუნქციების შემადგენლობა განისაზღვრება დადგენილი ობიექტური საჭიროებების და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების მიმართულებების საფუძველზე.

რეგიონული პოლიტიკის ფუნქციებისათვის დამახასიათებელია სუბ-ორდინაციულობა. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ინსტიტუციური მიდგომის როლი განსაზღვრავს ფუნქციათა სისტემაში ინსტიტუციური, სოციალური სტაბილიზაციის ფუნქციის ცენტრალურ ადგილს, რაც განპირობებულია მისი მაორგანიზებელი ბუნებით.

ამ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამჭოლი ფუნქციების კომპლექსი უზრუნველყოფს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების უწყვეტობას და ამავე დროს, ცვალებადი პირობების მიმართ ადაპტაციის უნარს.

რეგიონული პოლიტიკის ფუნქციების მთელი კომპლექსი უნდა იყოს მიმართული რეგიონის

მდგრად განვითარებაზე, რომლის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

აკადემიკოსი **ა. გრანბერგი** აღნიშნავს, რომ „რეგიონის სოციალური სტრატეგიის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები არ უნდა იყოს ინფლაციის ტემპები ან ბიუჯეტის დეფიციტი, არამედ დასაქმების დონე, ინდივიდუალური შემოსავლების და დანაზოგების ზრდა, ჯანმრთელობისა და განათლების განვითარების ინდიკატორები“. სრულიად ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და მივიჩნევთ, რომ ადამიანური პოტენციალის კონცეფცია ინტეგრირებულია ორი საბაზისო დეფინიციის საფუძველზე: ადამიანური კაპიტალი და ცხოვრების ხარისხი. ვინაიდან სახელმწიფო დაწესებულების არსებობის ძირითადი მიზანი მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ცხოვრების ხარისხის შექმნაა, რეგიონის მდგრადი განვითარების პროცესების გაზომვის საფუძვლად სწორედ ეს კრიტერიუმი უნდა იქნეს მიჩნეული.

ცხოვრების ხარისხის ქვეშ იგულისხმება სასიცოცხლო ქმედებების განხორციელების მახასიათებლების, პირობების და პროცესების კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ ადამიანის ძირითად სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილებასთან, არამედ უფრო მაღალი დონის მოთხოვნილებებთან - ესენია საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია შრომით, სულიერ და ცხოვრების სხვა სფეროებში, განათლების მიღება, აგრეთვე ღირსეული საპენსიო უზრუნველყოფა.

ცხოვრების ხარისხი, რომლითაც რეგიონში ახასიათებენ ადამიანური პოტენციალის ფორმირების უნარს და შესაძლებლობებს, რეგიონის მდგრადი განვითრების ინტერესებიდან გამომდინარე მის რაციონალურ გამოყენებას და შენარჩუნებას, მოიცავს არა მარტო ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ობიექტურ პარამეტრებს, რომლებიც რაოდენობრივი, ხარისხობრივი და ინტეგრალური მაჩვენებლების ნაკრებით იზომება. ეს იძლევა არა მხოლოდ ადამიანის მეცნიერულად დასაბუთებული მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების დონის შესახებ მსჯელობის, არამედ მისი მატერიალური, კულტურული და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სუბიექტური თვითშეფასების საშუალებას.

ამასთან, იმის გამო, რომ საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობა განისაზღვრება რესურსების რაოდენობით, ხარისხით და მათი გამოყენების ეფექტიანობით, რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელ პირობას ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს. რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მთავარი საშუალება არის მთლიანი რეგიონული პროდუქციის რაოდენობრივი ზრდა და მისი განაწილების მექანიზმების გაუმჯობესება. შემოსავლების სივრცითი დიფერენციაციის პრობლემებისა და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელობა მრავალი ქართველი მკვლევარის ნაშრომში აღინიშნება. მნიშვნელოვანია რეგიონთაშორისი და შიდარეგიონული დიფერენცირება, როგორც ცხოვრების ხარისხის, ასევე სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პირობების თვალსაზრისით. აქვე უნდა აღვნიშნოთ ცხოვრების ხარისხის მიხედვით რეგიონების მზარდი დიფერენცირების მიზეზები:

1. საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირება, რომელმაც გაყო ეკონომიკური სუბიექტები კონკურენტული უპირატესობებისა და ნაკლოვანებების, აგრეთვე ეკონომიკის სტრუქტურაში და მოსახლეობის მენტალიტეტში რეგიონული ბაზრისადმი ადაპტაციის სხვადასხვა დონის მიხედვით;
2. ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების სფეროში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შესუსტება;
3. სოციალური სფეროში უფლებამოსილების გადაცემა საქართველოს რეგიონებისათვის, დაფინანსების შესაბამისი წყაროების გარეშე.

ამგვარად, მდგრადი განვითრების მიზნით, ცხოვრების ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე მოქმედი საინვესტიციო მექანიზმი. მეტიც, ჩვენი აზრით, რეგიონული დონე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით აღსანიშნავი, რადგანაც ეკონომიკური ზრდა და ინვესტიციები წარმოადგენენ აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად. ასევე მნიშვნელოვანია ინსტიტუციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიის ყველა აქტორის ინტერესების პატივისცემასა და დაცვას; იმ პროცესების კოორდინაციას, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ახდენენ პიროვნების, ღირებულებებისა და უპირატესობების მინიჭების სისტემის ფორმირებას, სრულყოფენ ინტერესთა სტრუქტურას, აქტივობის დონეს და ა.შ.

ამდენად, საჭიროა უფრო დეტალურად იქნეს განხილული ადამიანური პოტენციალის ადგილი რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის მოდელში. უნდა აღინიშნოს ადამიანური პოტენციალის მკაფიოდ გამოხატული რეგიონული სპეციფიკა, მისი დუალისტური როლი რეგიონის მდგრად განვითარებაში.

ერთი მხრივ, ადამიანური პოტენციალი წარმოადგენს ამ განვითარების შედეგს და, აღნიშნული თვალსაზრისით, განვითარების მდგრადობას აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ადამიანური პოტენციალის ხარისხისათვის. მეორე მხრივ, ადამიანური პოტენციალი წარმოადგენს მდგრადი რეგიონული განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რადგან მის გარეშე იგი შეუძლებელია და აზრს მოკლებული. საკითხი მდგომარეობს ამ ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულების კონფიგურაციაში, მდგრადი რეგიონული განვითრებისათვის ადამიანური პოტენციალის რეალიზაციის ვექტორებისა და ოპტიმიზაციის მეთოდებში. ეს აგრეთვე დამოკიდებულია ადამიანური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისა და შენარჩუნებისათვის პირობების ფორმირების განვითრების შედეგებზე. ამავე დროს რეგიონულ დონეზე მართვის მაღალი ეფექტიანობა მიიღწევა სუბიექტისა და ობიექტის მართვის მიახლოების ხარჯზე, რაც საშუალებას იძლევა უფრო ეფექტიანად განხორციელდეს მართვის ფუნქციები, განისაზღვროს მიზნები და ამოცანები, შემუშავებული იქნეს პროგნოზები, მიღებული იქნეს სტრატეგიული და ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილებები; მათ შორის გლობალური ხასიათის ცვლილებებზე ადექვატური რეაგირება.

უნდა დავეთანხმოთ პროფესორი ე. ბარათაშვილის შეხედულებას იმის შესახებ, რომ სინერგიული ფაქტორების არსებობა, რომელიც დაკავშირებულია არაწრფივ ხასიათთან, აქტიორბასთან, თვითორგანიზების უნართან და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სხვა თავისებურებებთან, მოითხოვს მართვის მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მოცემული მართვის ობიექტის სირთულის ადეკვატურია. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს დროში შეთანხმება, მიმართულებების მართვითი ზემოქმედების ზოგიერთი შემადგენელი ვექტორის მიხედვით კოორდინაცია.

ყურადღებას იმსახურებს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის უცხოური გამოცდილება. ევროკავშირში და ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელება პოვა „ადგილობრივად ორიენტირებული ეკონომიკური განვითრების“ და „ენდოგენური განვითრების“ თეორიებმა, რომელთა თანახმად, ტერიტორიების განვითრების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი რეგიონულ და რაიონულ დონეებზე ინაცვლებს.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ერთი და იგივე პრობლემები შეიძლება იყოს გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით. განსხვავებულ რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გზები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, ღონისძიებების კომპლექსები, დაფინანსების წყაროების სტრუქტურაც განსხვავებულია. ადგილობრივი პირობების, ეკონომიკური განვითრების დონის, დემოგრაფიული სიტუაციის, ფინანსური შესაძლებლობების, მოსახლეობის ეთნიკური და კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები ერთობლივად გადაწყდება საქართველოს შემადგენელი სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ. თუმცა ყოველთვის, ყველა რეგიონისათვის საერთო ამოცანას წარმოადგენს მათი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის განხორციელება. ამავე დროს ყველაზე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვა.

რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდისათვის მიზანშეწონილია ისეთი პროგრესული თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა სპეციალური ეკონომიკური რეჟიმის მქონე ტერიტორიები: ეს არის მოწინავე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტერიტორიები, სხვადასხვა ტიპის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები, ტურისტულ-რეკრეაციული სპეციალური ეკონომიკური ზონები, საპორტო სპეციალური ეკონომიკური ზონები.

რეგიონის ეკონომიკური ბაზის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკის მოდერნიზება (მისი მაღალეფექტიან, ინოვაციურ და კონკურენტუნარიანად გადაქცევა). მსგავსი მოდერნიზაცია ითვალისწინებს ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლას, მთლიანი შიდა რეგიონული პროდუქციის წარმოებაში მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების მქონე გადამამუშავებელი დარგების წილის ზრდას.

გარდა ამისა, დაცული უნდა იქნეს ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობა - უნდა არსებობდეს ეკონომიკური წონასწორობა. ამ თვალსაზრისით, რეგიონულ სისტემას უნდა ჰქონდეს ინსტრუმენტი, რომელიც აამაღლებს მოთხოვნას და უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკის ადეკვატურ რეაგირებას მის ცვლილებებზე. ეს საკმაოდ სწრაფად (კრიზისის დაწყებამდე) დაუბრუნებს სისტემას სტაბილურობას.

გარდა ამისა, რეგიო¬ნის მდგრადი განვითარების სტრატეგიაში უნდა განსაზღვროს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი ფონდების განახლებასთან (რენოვაცია), ადამიანური პოტენციალის ფორმირების, გამოყენების, განვითარების და შენარჩუნების საკითხებთან და ა.შ. ამ

პრობლემების მოგვარებას თან უნდა სდევდეს რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმების კომპლექსის სრულყოფა.

### 6.8. რეგიონების მდგრადი განვითარების მართვის პროგრამულ-მიზნობრივი მექანიზმი

რეგიონული მდგრადი განვითარების მართვის პროგრამულმიზნობრივი მექანიზმების შესწავლა არ შეიძლება მართვის პროგრამულმიზნობრივი მეთოდის გარეშე.

საგარეო და საშინაო გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამულმიზნობრივი მართვა წარმოადგენს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების მართვის ძალიან ეფექტიან საშუალებას.

პროგრამულ-მიზნობრივი მართვა ითვალისწინებს საქართველოს რეგიონების მიზნობრივი და მუნიციპალური სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ვადების მიხედვით ურთიერთდაკავშირებული მიზნების შემუშავებას; მათი დაფინანსების მოცულობის განსაზღვრას. პროგრამულ-მიზნობრივი მართვის მეთოდი რეგიონის პრობლემების გადაწყვეტას აძლევს ახალ სტატუსს, იძლევა საჭირო სახსრების ეფექტიანად აკუმულირების საშუალებას, ხოლო დასახული მიზნების მიღწევის ამოცანა ხდება სავალდებულო.

ადამიანური ფაქტორების როლის გაძლიერება იწვევს პროგრამულ-მიზნობრივი მართვის ანთროპოცენტრირებას*, რომელიც ორიენტირებულია რეგიონის მდგრად განვითარებაზე.

ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ურიერთდაკავშირებულია ამოცანებით, განხორციელების ვადებით, შემსრულებლებითა და რესურსებით, უზრუნველყოფს მიზნების ყველაზე ეფექტიან მიღწევას და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტას, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონის მდგრადი განვითარების გლობალური ღირებულებების გათვალისწინებით - ესენია ადამიანური პოტენციალის მოწინავე განვითარება, რაციონალური გამოყენება და ეფექტიანი შენარჩუნების პირობების შექმნის აქტიური ფორმირება.

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მართვის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდს შემდეგი ძირითად მახასიათებლები აქვს:

1. პროგრამების ინდიკატური ხასიათი;
2. პროგრამული ღონისძიებების ეკონომიკური, სოციალური და საბიუჯეტო ეფექტიანობა;
3. პროგრამების მიზნებისა და ამოცანების სისტემური ხასიათი, კომპლექსური პრობლემების მოგვარების სირთულე;
4. შეზღუდული მატერიალური და ფინანსური რესურსების კონცენტრირების უნარი იმისათვის, რომ მოხდეს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტა;
5. ყურადღების გამახვილება მულტიპლიკაციური მაკროეკონომიკური ეფექტის მისაღწევად;
6. მიზნების დასახვის დროს საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავება და რესურსების გამოყენების დაგეგმვა.

რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის პროგრამულ-მიზნობრივი მექანიზმი, აერთიანებს რა ადამიანური, მატერიალური, ბუნებრივი, ფინანსური და საინფორმაციო რესურსების ერთობლიობას, ფუნქციონირებს პრინციპით „ოპტიმალური ხარჯები - მაქსიმალური შედეგი". პროგრამულ-მიზნობრივი მართვის მექანიზმის წარმატება უზრუნველყოფილია გამოყენებული რესურსების ერთიანობითა და კომპლემენტარულობით.

რეგიონის მდგრადი განვითარების ამოცანების გადაჭრის მიზნით პროგრამულ-მიზნობრივი მართვის გამოყენების აუცილებლობა შემდეგი გარემოებებით არის გამოწვეული:

- რეგიონის აქტორების მიერ იმის გაგება, რომ აუცილებელია შეიცვალოს არახელსაყრელი განვითარების ტენდენციები, პროპორციები, ეკონომიკის სტრუქტურა და სოციალური სფერო;

  რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების პრობლემების სირთულე (კომპლექსურობა), რომელთა გადაჭრის დროს საჭიროა პროგრამული ღონისძიებების დარგთაშორისი კოორდინაცია;

  აუცილებელი განვითარების მიზნის მიღწევის შესაძლებლობის არქონა, მათ შორის იმის გამო, რომ მეურნე სუბიექტების მართვის დონეებს შორის არ არსებობს საკმარისი ურთიერთკავშირები და ურთიერთქმედება და ა.შ;

---


* ბერძნულიდან antropos- ადამიანი

ფინანსური და მატერიალური რესურსების კოორდინაციის აუცილებლობის გაძლიერება, რომლებიც ეკუთნის სხვადასხვა რეგიონების უწყებების ეკონომიკურ აგენტებს, დარგებს და რეგიონებს. პროგრამულ-მიზნობრივი მართვის ლოგიკური სქემა (იხ. სქემა 5).

პროგრამულ-მიზნობრივი მართვა ასევე ითვალისწინებს პროგრამების ფორმირებასა და განხორციელებაში სისტემური მიდგომის გამოყენებას, უზრუნველყოფს სივრცითი ინტეგრაციის შეხამებულობას, რომელიც აერთიანებს რეგიონული აქტორების ძალისხმევას და დროში ინტეგრაციას, მოიცავს საერთო პროცესის სხვადასხვა ეტაპების მკაფიო თანმიმდევრობასა და ერთობას.


გარდა ამისა, პროგრამულ-მიზნობრივი მექანიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია რეგიონის მდგრადი განვითრების ამოცანების გადაწყვეტაში მეთოდოლოგიური ნესების ერთობლიობა, რომელსაც პროგრამების განხორციელების დროს ყველა მონაწილე ემორჩილება, იხილეთ სქემა 6.8.1.

სქემა 6.8.1. **პროგრამულ-მიზნობრივი მართვის არსი**




სქემა 6.8.2-ზე ნაჩვენებია რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის ფორმირების სამდონიანი სისტემა.

სქემა 6.8.2. **რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება**




პროგრამულ-მიზნობრივ მართვაში, რომელიც ორიენტირებულია რეგიონის მდგრად განვითარებაზე, განვითრების ძირითად მოქმედ ძალას წარმოადგენს შიდასისტემური ფაქტორები. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტრუქტურულ ცვლილებებს.

როგორც ადგილობრივი ისე უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, პროგრამირება მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების მიზნების მიღწევაზე, რათა უზრუნველ-

ყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება, რომელიც შესულია სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებში და შემუშავებულია დასახულ მიზანთა ფარგლებში.

რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის ფორმირების დროს სტრატეგიული დაგეგმვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენს:

სტრატეგიული დაგეგმვის უზრუნველყოფა სამეცნიერო-ტექნიკური, საინფორმაციო, რესურსული და საკადრო პერსონალის მხარდაჭერით;

ისეთი პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა და ეკონომიკური სუბიექტების ჩართულობას.

დაგეგმვა, რომელიც მიზანმიმართულ მართვაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს, აგვარებს სექტორთაშორისი, დროთაშორისი და რეგიონთაშორისი კოორდინაციის პრობლემებს, ახდენს სამუშაო ძალების სტრუქტურული მოთხოვნილებების აღრიცხვას, მაკროეკონომიკური პოლიტიკის და რეგიონული მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური სისტემების კოორდინაციას.

დაგეგმვა ასევე აუცილებელია პროგრამულ-მიზნობრივი მართვის ისეთ სფეროებში, როგორც განვითარების ინსტიტუტების კოორდინაცია; ხელისუფლების ყველა დონის მიმართ ნდობის გაზრდა; ამ ორგანოების პასუხისმგებლობის გაზრდა საზოგადოებაში; ლობირების პროცესების გამარტივება.

პროგრამულ-მიზნობრივი მართვის ტექნოლოგიის სრულყოფის ასპექტში, აღვნიშნავთ ისეთი მეთოდების პერსპექტიულობას, როგორებიცაა „ფორსაიტი“, ორგანიზაციულ-ქმედებითი თამაშები და მეთოდოლოგიურად ორგანიზებული საზოგადოებრივი ექსპერტიზა.

კვლევის შედეგების ანალიზმა საშუალება მოგვცა, გამოგვეკვეთინა რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის პროგრამულ-მიზნობრივი მექანიზმის გამოყენების დროს არსებული მეთოდოლოგიური პრობლემები:

- რეგიონის სამშენებლო პროგრამები ხორციელდება ძირითადად განაწილების პრინციპის საფუძველზე;
- რეგიონული პროგრამები ორიენტირებულია ფინანსური რესურსების შიდა წყაროებზე;
- სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის შესაძლებლობები სათანადოდ არ არის შეფასებული;
- არასაკმარისადაა გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგიები და პროცესები;
- არ არსებობს პროგრამების განხორციელების საინფორმაციო თანხლება;
- პროგრამირების ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება გადასაწყვეტი პრობლემების სირთულეს.

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მდგრადი განვითარების მართვაში პროგრამულ-მიზნობრივი მექანიზმის გამოყენების გამოცდილების შესწავლა გვაძლევს ტიპიური ხარვეზების გამოვლენის საშუალებას. აღვნიშნოთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინა რეგიონული მართვის ხარისხზე:

- მიზნები, ამოცანები და პროგრამული ღონისძიებები არასაკმარისად არიან ურთიერთდაკავშირებული;
- პროგრამები არამკაფიოდაა სტრუქტურირებული, არსებობს დეკლარაციული დებულებები, დასახულია არარეალური ამოცანები;
- არადამაკმაყოფილებელად ფუნქციონირებს დაფინანსების არხები;
- პროექტის მართვის მეთოდების გამოყენება ფორმალურია
- პროგრამული ღონისძიებების შედეგიანობის შეფასება არ არსებობს;
- არასაკმარისი ყურადღება ექცევა რეგიონის უნიკალური კონკურენტულ უპირატესობებს;
- პროგრამებში მონაწილე მხარეებად არაა ჩართული რეგიონის ისეთი აქტორები, როგორებიც არიან სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- არ არის გათვლილი პროგრამების კონკრეტული საბოლოო შედეგები, სოციალური და ეკონომიკური ეფექტი.

შიდა და უცხოური გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ რეგიონის მდგრადი განვითარების პროგრამულ-მიზნობრივი წარმატებული მართვა მოითხოვს ინტეგრაციის სხვადასხვა ტიპების ერთდროულად განხორციელებას:

1. პროგრამულ-მიზნობრივი მართვის მეთოდოლოგიური მიდგომების ინტეგრაცია;
2. სივრცითი ინტეგრაცია, რომელიც რეგიონის აქტორების ძალისხმევას აერთიანებს;
3. დროში ინტეგრაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პროცესების დროში კოორდინირებას;

4. ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია, როგორც რეგიონის მდგრადი განვითარების პრიორიტეტული ამოცანების გადაჭრაში ჩართული ეკონომიკური სუბიექტების რესურსების გაერთიანება.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო უზრუნველყოფს რეგიონული სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების შეთანხმებულობას, რომელიც მიიღწევა საქართველოს სახელმწიფო და რეგიონული დაგეგმვის სქემების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმების ურთიერთშეთანხმებების საფუძველზე.

შეთანხმებულობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია რეგიონულ მდგრად განვითარებაზე პროგრამების ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტებს. ამავდროულად გამოიყენება ზოგადი და კერძო მაჩვენებელიც, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური და საბიუჯეტო ეფექტიანობის.

რეგიონული პროგრამების განხორციელება უნდა შეფასდეს რაოდენობრივად და ხარისხობრივად. პროგრამის განხორციელების შედეგების რაოდენობრივი შეფასება მოიცავს სტატისტიკური მაჩვენებლების (ობიექტური შეფასების) სისტემის გამოყენებას.

პროგრამის შესრულების შედეგიანობის ხარისხობრივი შეფასება ხორციელდება ისეთი მეთოდების საფუძველზე, როგორებიცაა ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული სიღრმისეული ჯგუფური ინტერვიუები და ანკეტირება (სუბიექტური შეფასება).

რეგიონის განვითარების პროგრამების ზეგავლენის შეფასება უნდა დაეხმაროს ხელისუფლებას ყველა დონეზე არსებული სუსტი რგოლების, დაუზუსტებელი ფაქტორების და წარმოქმნილი შესაძლებლობების დადგენაში; რეგიონული პროგრამების სრულყოფის მიზნით აანალიზებდეს არსებულ დადებით გამოცდილებას.

შეგისწავლეთ პროგრამულ-მიზნობრივი მართვის გამოყენების გამოცდილება გურიის რეგიონში, გავაანალიზეთ მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, სამართალმემკვიდრეობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკა. შედეგად დადგენილია, რომ:

- გურიის მხარის პროგრამულ-მიზნობრივ მართვას ეძღვნება დოკუმენტების ერთიანი სისტემა, ამასთან, აგებულია მათი იერარქია;
- კანონმდებლობა დინამიურია, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა მუდმივად კორექტირდება და ხდება მისი შევსება;
- ტარდება პროგრამების შესრულების მონიტორინგი;
- პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი მხედველობაში იღებს ანტიკრიზისული მართვის თანამედროვე მოთხოვნებს.

ამავე დროს, ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა რიგი პრობლემებიც:

- სამომავლო ხარჯების არასაკმარისი დასაბუთება, რაც იწვევს როგორც ზედმეტ ხარჯებს, ასევე არასაკმარის დაფინანსებას;
- რიგ პროგრამებში არ არის გამოვლენილი უარყოფითი გარე ფაქტორები და რისკები, არ არის გათვალისწინებული ანტიკრიზისული ღონისძიებები;
- რიგ შემთხვევებში თვიდანვე იგეგმება დაქვეითებული შედეგები, მაშინ როცა საბიუჯეტო პროგრამები არასრულადაა შესწავლილი (ყველა წყაროების მიხედვით 78%).

კვლევამ აჩვენა რეგიონული პროგრამების მართვის სისტემის მექანიზმის სრულყოფის აუცილებლობა. ჩვენი აზრით, ახალი მოდერნიზებული მექანიზმი უნდა ხასიათდებოდეს:

- ნათელი მიზანდასახულობით და კომპლექსური მიდგომით, რომელშიც მიზნები, რესურსები, ვადები და შემსრულებლები ერთმანეთთან ორგანულ ურთიერთკავშირშია;
- პროგრამების ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობით;
- პროგრამების არაეფექტიანი შესრულების შემთხვევაში პროგრამის მონაწილეების დოკუმენტურად დადასტურებული პასუხისმგებლობით.

ამ მოთხოვნების შესრულება ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადი განვითარების პროგრამულ-მიზნობრივი მართვის არსებული მექანიზმის მოდერნიზებას; უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონების სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების შეთანხმებულობას და მოახდენს გარე ფაქტორებისა და საფრთხეების უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირებას.

### 6.9. რეგიონის მდგრადი განვითარების შეფასებისადმი მეთოდური მიდგომები

ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და ინსტიტუციური ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით, ტერიტორიის (ქვეყანა, რეგიონი) მდგრადი განვითარების შეფასება ძალიან მნიშვნელო-

ვანი სამეცნიერო ამოცანაა, რომლის გადაჭრითაც დაინტერესებულია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევარები. გვაქვს საშუალება, განვსაზღვროთ ინსტრუმენტები, მექანიზმების შემადგენელი ელემენტები და მათი მეშვეობით რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმების მოდერნიზება. რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დეტალური ანალიზი და მდგრადი განვითარების დინამიკის შეფასება აუცილებელია რეგიონის სტრატეგიის პროგნოზირების, დაგეგმვისა და განხორციელების ამოცანების გადაჭრის პროცესში. მიღწეული პოზიციების შედარება აუცილებელია დასახულ მიზნებთან, მიღწეული ხარისხის გათვალისწინებით.

თავის მხრივ, რეგიონული განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზისა და შეფასების მეთოდური უზრუნველყოფის შემუშავების ამოცანა მოითხოვს:

1. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების დინამიკის შეფასების ყველაზე შესატყვისი პარამეტრების განსაზღვრას;
2. მაჩვენებლების დაჯგუფებას, რომლებიც ახასიათებენ ინსტიტუციური, სამეურნეო-ეკონომიკური, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სოციალური ბლოკ-კომპონენტების სისტემას სახელწოდებით „რეგიონი“.

ამ ამოცანების გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ არა მარტო ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის რესურსული პოტენციალი და მისი ინდიკატორების ცვლილებების დინამიკა, არამედ რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება,

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა ტრანსფორმაციის ხარჯების ოპტიმიზაცია. ეფექტიანობისა და მდგრადობას შორის კავშირის დასაბუთებულობა გამომდინარეობს შემდეგი აქსიომებიდან, რომლებიც წარმოაჩენენ კავშირს ეფექტიანობის კატეგორიას, მდგრად განვითარებასა და საიმედობას შორის:

- ეკონომიკური სისტემა შეიძლება იყოს ეფექტიანი, მაგრამ ამავე დროს არასაიმედო;
- ეკონომიკური სისტემა შეიძლება იყოს ეფექტიანი და ამავე დროს არამდგრადი;
- ეკონომიკური სისტემა, რომელსაც გააჩნია ეფექტიანობის განსხვავებული მაჩვენებლები, შეიძლება იყოს მდგრადი, მაგრამ არასაიმედო და პირიქით - საიმედო და არამდგრადი;
- არაეფექტიანი ეკონომიკური სისტემა შეიძლება იყოს მდგრადი და საიმედოც. ამავდროულად, ასეთი სისტემის საიმედოობის პოტენციალი სწრაფად მცირდება, მაგრამ მას შეუძლია შეინარჩუნოს მდგრადობა უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;
- სისტემა ოპტიმალურია, როდესაც ის ეფექტიანი, მდგრადი და საიმედოა;
- სისტემა არის დისფუნქციურობის ზენიტში, როდესაც იგი ხასიათდება არაეფექტიანობით, არასტაბილურობით და არამდგრადობით.

ეს დებულებები აჩვენებს ეფექტიანობის ანალიზის ამოცანების სირთულეს, განსაკუთრებით ტერიტორიულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებისათვის. ისინი ასევე განიხილება, როგორც გამართლებული შეზღუდვები ეფექტიანობისა და მდგრადობის ანალიზის სისტემატური მიდგომის ფარგლებში, როგორც სტატიკურ ასევე დინამიკურ ჭრილში.

საკვლევ პრობლემებზე ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ მდგრადი განვითარების ინდიკატორების შემუშავების მიმართ მიდგომები ხორციელდება განვითარების შემდეგი მოდელების საფუძველზე:

1) მოდელი PSR „პრესი-მდგომარეობა-რეაქცია“ (Pressure-State-Response მოდელ) შემუშავებული იქნა 1994 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECP) მიერ. მოცემულ მოდელში, რომელიც აერთიანებს ადამიანის აქტივობის ინდიკატორებს და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას, ახასიათებს მდგრადი განვითარების ძირითად კომპონენტებს შორის ურთიერთობას;
2) მოდელი DSR „მამოძრავებელი ძალები-მდგომარეობა-რეაქცია“ (Driving forces–State–Response მოდელ). DSR-is მოდელმა საშუალება მოგვცა, შეგვემუშავებინა მაჩვენებლები (ინდიკატორები) ოთხი განსხვავებული განზომილებისათვის: სოციალური, ეკონომიკური, გარემოს¬დაცვითი და ინსტიტუციური (1996, OECP).
3) მოდელი DPSEEA „მამოძრავებელი ძალები-პრესი-მდგომარეობა-ზემოქმედება-ეფექტები-რეაქცია (The Driving forces–Pressure–State–Exposure–Effects–Actions მოდელ). ამ მოდელში განიხილება ეკოლოგიური ცვლილებების მაჩვენებლების გავლენა ადამიანზე (1999).

ეფექტიანობის მოდელების შედარებითი ანალიზის შედეგად განისაზღვრა შეფასების მექანიზმი, რომლის კომპონენტებს წარმოადგენს ღირებულებითი ორიენტირები, სამიზნე ინდიკატორები და და-

სახული მაჩვენებლები, ორგანიზაციული საქმიანობა და სტრუქტურა, ოპერაციების მართვის ტექნოლოგიები და შედეგების გაზომვის მეთოდიკა.

მდგრადი განვითარების ეფექტიანი სტრატეგიის არჩევანი ემორჩილება საერთო ღირებულებით ორიენტირს: ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადამიანების ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა, როგორც ადამიანური პოტენციალის რაციონალურად გამოყენება და შენარჩუნება.

მოცემული სტრატეგია ითვალისწინებს რეგიონის მდგრადობის შეფასების მეთოდოლოგიის ხელმისაწვდომობას, რაც საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ შეფასების იმ ფაქტორების იდენტიფიკაცია, რომელიც განსაზღვრავს მითითებულ სტაბილურობას და მის დინამიკას.

აუცილებლობის შემთხვევაში, ამ შეფასების ფაქტორების ერთიანობა შეიძლება დაზუსტდეს რეგიონის სპეციფიკის ან მაკრორეგიონში რეგიონების ჯგუფების გათვალისწინებით. ქართული და უცხოური გამოცდილების ანალიზი საშუალებას გვაძლევს,

გამოვყოთ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის შეფასების მეთოდოლოგიისადმი ორი ძირითადი მიდგომა:

1. პირველი მიდგომით, გამოიყენება მაჩვენებლების კომპლექსი, რომლებიც დამახასიათებელია მდგრადი განვითარებისათვის. ეს კომპლექსი შეიცავს მაჩვენებლების ორიდან ოთხ ჯგუფს (ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და ინსტიტუციური).
2. მეორე მიდგომა ითვალისწინებს ერთი ინტეგრალური მაჩვენებელის შემუშავებას, რომელიც ასახავს ტერიტორიის განვითარების მდგრადობის საერთო დონეს. როგორც წესი, ეს მაჩვენებელი აგებულია სამი მაჩვენებლისაგან: ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური.

როგორც ქართველი მეცნიერები (გ. ყუფუნია, ნ. ჭითანავა, ე. ბარათაშვილი, ნ.ჩიხლაძე და სხვ.) თვლიან, ამგვარი აგრეგირებული და დამუშავებული მაჩვენებლის არსებობის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მდგრადი განვითარების შეფასება რეგიონულ დონეზე. იგი წარმოადგენს იდეალურ პირობას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მდგრადობის ფაქტორის გათვალისწინებით. თუ მოცემული აგრეგირებული ინდიკატორის სიდიდე იზრდება, ეს ნიშნავს, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ რეგიონის მდგრად განვითარებაზე, თუ მცირდება, მაშინ განვითარების პროცესი არასტაბილური.

თუმცა, ამჟამად არ არსებობს ისეთი ინტეგრალური მაჩვენებელი, რომელიც საყოველთაოდ იქნებოდა აღიარებული მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ. პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირველი მიდგომა უფრო ფართოდ გამოიყენება, რაც განპირობებულია ინდიკატორების კომპლექსის ჩამოყალიბებით. კერძოდ, ეს შემდეგი მეთოდიკებია:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათასწლეულის განვითარების მიზნები;
2. მაჩვენებლების სისტემა, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მდგრადი განვითრების სფეროში ანგრიშგების წარმოების სახელმძღვანელოში";
3. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მაჩვენებლების სისტემა;
4. მსოფლიო ბანკის „მსოფლიო განვითარების ინდიკატორების" კომპლექტი;
5. ეკოლოგიური ანგარიშები (ევროპის თანამეგობრობა);
6. გარემოზე დატვირთვის მზომი ინდიკატორების სისტემა (EURO-START)

ამავე დროს, ბევრი ქართველი და უცხოელი მკვლევარი ხედავს ინტეგრალური მაჩვენებლის გამოყენების პერსპექტივებს, რომელიც ასახავს რეგიონის მდგრადი განვითრების საერთო დონეს, მაგალითად:

- გარემოსდაცვითი მდგრადობის ინდექსი, რომელიც შემუშავებულია იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების მეცნიერების მიერ (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი დავოსში 2001 წელი);
- მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელი, რომელიც შემოთავაზებულია 1989 წელს ჯ. კობბისა და გ. დეილის (აშშ) მიერ. ინდექსი გამოიყენება ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ნიდერლანდები);
- ადამიანის განვითარების ინდექსი – იგი გამოითვლება იმ სამი ძირითადი კომპონენტის ინტეგრაციის საფუძველზე, რომლებიც ასახავს ადამიანის განვითარებას: სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლება, შემოსავალი (გაერო);
- მსოფლიო ველური ბუნების ფონდის ინდიკატორები;
- ყოველმხრივი განვითარების ინდექსი („მწვანე მშპ"), რომელიც შემოთავაზებულია მოხსენებაში „კეთილდღეობა ფართო ასპექტში" – იგი წარმოდგენილი იყო 2012 წლის ივნისში, გაეროს მიერ მდგრადი განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (რიო+20, ბრაზილია);
- მსოფლიო ბანკის მკვლევარების მიერ შემუშავებული ჭეშმარიტი დანაზოგების ინდექსი (Genuine saving) რომელიც გამოიყენება ეროვნული ეკონომიკის მდგრადობის შესაფასებლად.

რეგიონის მდგრადი განვითარების შეფასების მეთოდების შედარებითი ანალიზის შედეგად გამო-

იკვეთა მათი მრავალფეროვნება და განსხვავება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების კვლევისა და გაშუქების სიღრმის მიხედვით. საკმაოდ დიფერენცირებულია როგორც ინდიკატორების შემადგენლობა, ისე შეფასებისა და ინტერპრეტაციის მეთოდები. მიზანშეწონილია, რეგიონის განვითარების მდგრადობის შეფასება მოხდეს ინტეგრალური მაჩვენებლის გამოყენებით, რომელიც გამოითვლება კერძო მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე. რეგიონული სისტემების ფარგლებში გამოვყავით შემდეგი გამსხვილებული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ბლოკ-კომპონენტები:

- ინსტიტუციური;
- სამეურნეო-ეკონომიკური;
- ბუნებრივ-ეკოლოგიური;
- სოციალური.

კომპონენტის ბლოკის მიხედვით, აგებულია ინდიკატორების (მაჩვენებლების) სისტემა. ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელობის გამო, რეგიონის განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფაში აუცილებელია მდგრადობის ტიპის შეფასების ინდიკატორთა ნაკრების გამოყენება.

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სირთულე მოითხოვს რეგიონების მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმების არსებობას. რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმების კომპლექსი წარმოადგენს ინსტიტუტებისა და ინსტიტუციური ორგანიზაციების ერთობლიობას, რომლებიც სიერცით და დროში განგრძობად განზომილებაში უზრუნველყოფენ რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაციის სპეციფიკური მახასიათებლების შექმნას. მიზანშეწონილია სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მდგრადი განვითარების შესწავლის დროს გამოყენებულ იქნეს მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც შეხამებულია სინერგიზმსა და ინსტიტუციური ეკონომიკის მიღწევები. ამგვარი მიდგომის გამოყენება პერსპექტიულია რეგიონული მართვის პრაქტიკაში, განსაკუთრებით, შემდეგი მიმართულებებით:

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მარეგულირებელი რეგიონული ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბება, ანთროპოგენური ზემოქმედება გარემოზე;
- ქალაქების, სხვა დასახლებული პუნქტებისა და საგარეუბნო რაიონების საცხოვრებელი და განუვითარებელი უბნების გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება, მათი სანიტარული დასუფთავების ჩათვლით, მიწის რეკულტივაცია, გამწვანება და კეთილმოწყობა;
- მოსახლეობის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელება, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, სანიტარიული და ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფა;
- სოფლის მეურნეობის განვითარება ადგილობრივი პირობებისადმი ადაპტირებული გარემოსდაცვითი პროგრესული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების საფუძველზე, ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად ღონისძიებების გატარება და ეროზიისა და დაბინძურებისგან დამცველი ღონისძიებების განხორციელება, ასევე სოფლის მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის შექმნა;
- რეგიონული სამრეწველო სისტემის რენოვაცია (აღდგენა), ადგილობრივი ეკოსისტემების ეკონომიკური ტევადობის გათვალისწინებით.

რეგიონის მდგრადი განვითარების შესწავლისათვის სინერგიული იდეების გამოყენების შესაძლებლობა და ამ განვითარების მართვის მექანიზმების სისტემის დაპროექტება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა ბევრ ატრაქტორს, ბიფურკაციულ მოვლენას და კოჰერენტულ ურთიერთქმედებას შეიცავს. ეს სისტემა ხასიათდება პროცესების არანრფივი დინამიკით, სტრუქტურის ფრაქტალურობით და ტემპორალურობით (სისტემების მგრძნობელობა დროის დინების მიმართ).

ხაზგასმით აღვნიშნავთ რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური ქვესისტემის მნიშვნელობას, რომელიც ეხება სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების იერარქიულ ურთიერთკავშირებსა და ურთიერთდამოკიდებულებას, ინსტიტუციურ მონყობას (ორგანიზაციებს) და ინსტრუმენტებს (ინსტიტუციური შეთანხ-მებები – ეკონომიკური აგენტების შორის კონტრაქტები). ***რეგიონული მდგრადი განვითარების მართვის ინსტიტუციური ქვესისტემის ძირითადი ამოცანაა რეგიონული აქტორების ინტერესების კოორდინაციის მექანიზმის ფორმირება, რაც უზრუნველყოფს რეგიონის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრად ფუნქციონირებას.***

რეგიონული მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმების კომპლექსის სრულყოფის მიზნით ინსტიტუციურ-სინერგიული მიდგომის გამოყენება გვაძლევს იმ თანამედროვე ორგანიზაციულ-მართვითი ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას, რომლებიც ემყარება თვითორგანიზებისა და

ხელისუფლების ორგანოების მაორგანიზებელი გავლენის განმტკიცების შეხამებას (მაგალითად, როგორც კრაუდსორსინგი, აუთსორსინგი, სოციალური კონტროლინგი და სხვა).

რეგიონის მდგრადი განვითარების ინსტიტუციურ-სინერგიული მიდგომის ფუნქციურ-ევრისტიკული შესაძლებლობების შესწავლა საშუალებას იძლევა მისი სახით შევთავაზოთ მოცემულ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის განვითრების თანამედროვე პირობებთან ყველაზე მეტად ადაპტირებული და მიზანშეწონილი გამოყენება, რომელიც გამიზნულია ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად, რეგიონის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სისტემური მოდერნიზაციისათვის და ზრდის ინოვაციური წერტილების (ცენტრების) ფორმირებისათვის.

რეგიონის მდგრად განვითარებაზე გლობალიზაციის გავლენა გამოიხატება რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციაში, რეგიონების სწრაფვაში ეკონომიკური აქტივობების საკუთარი საზღვრების მიღმა განახორციელებისკენ. ამისთვის რეგიონებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საბაზრო სივრცის (ეკონომიკური, სამართლებ-რივი, საინფორმაციო, პოლიტიკური) მიზანმიმართულ ფორმირებაში, ნაციონალური ეკონომიკის გარდაქმნაში მეზოდონეზე. გლობალიზაციის ობიექტად გვევლინება რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველა ის ელემენტი, რომელიც მონაწილეობს გლობალიზაციის პროცესში სხვადასხვა სიჩქარითა და ინტენსივობით. ამავდროულად, არსებითად იცვლება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მართვის ბუნება, ფორმები, მექანიზმები და ინსტრუმენტული უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში რეგიონის ჩართულობის ხარისხი, სილრმე და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის წარმატება პირდაპირაა დამოკიდებული რეგიონის ორიენტაციაზე:

1. ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის ინოვაციური მართვა;
2. დაფინანსების კომპლემენტარულობა;
3. კერძო და სახელმწიფო პარტნიორობის მექანიზმის გამოყენება.

რეგიონის მდგრადი განვითარების ასპექტში ძალიან პერსპექტიულია განვითარების ინსტიტუტების საქმიანობა - სპეციალიზებული სახელმწიფო (კვაზი-სახელმწიფო) ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- ინოვაციების სფეროში ბაზრის ჩავარდნების დაძლევა;
- ინსტიტუციური პრობლემების აღმოფხვრა;
- წარმოების, ტრანსპორტისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- რეგიონული დისბალანსის ლიკვიდაცია.

რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის მოდელის სრულყოფისათვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ფორმირებულია ეროვნული პროექტების, სახელმწიფო პროგრამების, ასევე მუნიციპალური წარმონაქმნების განვითარების გეგმებისა და პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით. ამ სტრატეგიით გათვალისწინებული მდგრადი განვითარების მიზნები უნდა გადაწყდეს სხვადასხვა დონის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან ერთად, ეკონომიკური განვითარების დონის, დემოგრაფიული სიტუაციის, ფინანსური შესაძლებლობების, ეროვნულ-კულტურული ტრადიციების და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

მდგრადი განვითარების ეკონომიკური ბაზის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა რეგიონული ეკონომიკის მოდერნიზება, რაც მას ეფექტიან, ინოვაციურ და კონკურენტუნარიან მექანიზმად აქცევს. დადგენილია, რომ რეგიონების ეკონომიკის მოდერნიზაციის პროცესში, აუცილებელია შეიცვალოს მათი სტრუქტურა, გაზარდოს მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების მქონე გადამამუშავებელი დარგების წილი. გარდა ამისა, ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში აუცილებელია, დაცულ იქნეს ეფექტიანი ფუნქციონირების და განვითრების მნიშვნელოვანი პირობა - ეს არის ეკონომიკური წონასწორობა, რომელიც მდგრადობის საფუძვლად გვევლინება. ამასთან დაკავშირებით, რეგიონულ სისტემაში უნდა არსებობდეს ინსტრუმენტი, რომელიც გამოავლენს მოთხოვნილებას და მოთხოვნილების ცვლილებებზე რეგიონული ეკონომიკის რეაგირების პარამეტრებს, რომელიც საკმაოდ სწრაფად, კრიზისის დადგომამდე აბრუნებს სისტემას წონასწორობაში.

რეგიონული პროგრამების ჩამოყალიბებისა და განხორციელების მიმართ სისტემური მიდგომის გამოყენებასთან ერთად, რეგიონის მდგრადი განვითარების პროგრამის მიზნობრივი მართვის წარმატება მოითხოვს ინტეგრაციის სხვადასხვა ტიპების ერთდროულად განხორციელებას, ეს არის:

- სივრცითი ინტეგრაცია, რომელიც ახორციელებს რეგიონული აქტორების ძალისხმევის გაერთიანებას;
- დროში ინტეგრაცია, რომელიც მდგომარეობს მკაფიო თანმიმდევრობაში და სხვადასხვა საერთო პროცესის ეტაპების ერთიანობაში;

ასევე აუცილებელია რეგიონის მდგრადი განვითარების ამოცანების გადაწყვეტის მეთოდოლოგიური წესების შეთანხმებულობა და ყველა მონაწილის მიერ რეგიონული პროგრამების განხორციელების გააზრება.

განსაზღვრულია, რომ კლასტერული მექანიზმის გამოყენება ხელს უწყობს რეგიონის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრად განვითარებას, რომელიც ყველაზე მეტად ახორციელებს ტერიტორიის ინოვაციური განვითარების იდეას. ამასთანავე, სახელმწიფომ და რეგიონულმა სამთავრობო უწყებებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ კლასტერების განვითარებას, რომლებიც წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკური ზრდის ცენტრებს და ხორციელდება ინოვაციური პროექტების პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერით. საქართველოს რეგიონებში ეს პრობლემა მწვავედ დგას, ვინაიდან არ არსებობს ინოვაციური განვითარების მდგრადი ცენტრები, უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის დაწესებულებები, ვერ ხერხდება შესაძლო კლასტერის მონაწილეთა სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურული შენობებითა და სხვა კლასტერული კომპონენტებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, რეგიონებში არც თუ მაღალია თანამედროვე საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა და სხვა კლასტერულ წარმონაქმნებთან სატრანსპორტო კავშირების უზრუნველყოფის მაჩვენებელი; არ არსებობს ბიზნეს ინკუბატორები და ტექნოპარკები.

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განვითარების ეფექტიანობის და მდგრადობის ამაღლება, ანუ სოციალურ-ეკონომიკური დილემის ყოვლისმომცველი გადაწყვეტა - სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის შეხამება, ითვალისწინებს რეგიონული მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სისტემურ მოდერნიზაციას, მათ შორის რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმების კომპლექსის სრულყოფას. გამოიკვეთა რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმები:

1. ორგანიზაციულ-ეკონომიკური;
2. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმარების;
3. პროგრამულ-მიზნობრივი;
4. სოციალური პარტნიორობის;
5. ინოვაციური განვითარების;
6. საგარეო ეკონომიკური და რეგიონთაშორისი კავშირების;
7. რეგიონების მდგრადი განვითარების ანალიზისა და შეფასების.

აღნიშნული მექანიზმების შესაბამისობა გლობალურ მიზნებთან - ეს არის ადამიანური პოტენციალის ფორმირების, რაციონალური გამოყენების, შენარჩუნებისა და განვითარების პირობების უზრუნველყოფა, მათი ერთმანეთთან შიდა ურთიერთკავშირი (კოჰერენტულობა), რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული განვითარების მდგრადობას. განსაზღვრულია, რომ რეგიონის მდგრადი განვითარების მექანიზმების კონსტრუირების და სრულყოფის ამოცანა შეიძლება ეფექტიანად გადაწყდეს სოციალური პარტნიორობის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების პროცესში ყველა აქტორის მონაწილეობას.

უნდა მოხდეს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მიზანთა ფორმირების მექანიზმის მოდიფიცირება, ანუ იმ ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც გამოავლენს ბაზრის მონაწილეთა შესაძლო ოპორტუნისტულ ქცევას, რომელიც გამოწვეულია მათი შეზღუდული რაციონალურობით.

რეგიონის მდგრადი განვითარების ინტეგრალური მდგრადობის კოეფიციენტისა და კერძო ინდიკატორების შემუშავებული სისტემა ახდენს ხელისუფლების ყველა დონის ორგანოებისა და ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკურ ზრდაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების უზრუნველყოფაზე ორიენტირებას, რაც აუცილებელია რეგიონში მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმების სრულყოფისათვის.

კვლევამ გვიჩვენა, რომ წარმოიქმნება ახალი სამეცნიერო ამოცანები, რომლებსაც რეგიონის მართვის ქართული მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის აქვთ არსებითი მნიშვნელობა. ესაა:

1. ეკონომიკური სუბიექტებისა და ფიზიკური პირების პროაქტიული (მდგრადი განვითარების ასპექტში) ქცევის ფორმირება;
2. სახელმწიფოსადა მისი სუბიექტების ურთიერთქმედების ფორმებისა და მექანიზმების შემუშავება მდგრადი განვითარების ძირითადი საკითხების მოგვარების მიზნით;
3. რეგიონული და მუნიციპალური დონეზე მდგრადი განვითარების ატრაქტორების ანალიზისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება.

# რეგიონი, როგორც კონკურენტული ურთიერთობების სუბიექტი

## 7.1. კონკურენციული პროცესები და რეგიონული განვითარების პარადიგმის ცვლილება

ტერმინი „კონკურენტუნარიანობა" რეგიონთან მიმართებაში ხშირად გამოიყენება როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ინტეგრალური შეფასების სინონიმი, მისი სხვა რეგიონებთან შედარებისას, მიუხედავად იმისა ასახავს თუ არა იგი თავისი არსით კონკურენციას. ამავე დროს, კონკურენტუნარიანობის ცნებას აქვს საკუთარი გარკვეული შინაარსი, და მისი ყველაზე მარტივი განსაზღვრა მდგომარეობს იმაში, რომ მას გააჩნია ეკონომიკურ მეტოქეობაში წარმატების მიღწევის უნარი.

ძალზე ტრივიალური იქნებოდა იმის განცხადება, რომ კონკურენციის გარეშე არ არსებობს კონკურენტუნარიანობა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად რეგიონმა უნდა მიიღოს მონაწილეობა კონკურენციაში, გამოიყენოს მაღალი შედეგების მისაღწევი სხვადასხვა ტაქტიკა და სტრატეგიები. მაგრამ, შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ სიტყვათშეერთება „კონკურენციის გამწევი რეგიონი" ქმნის უხერხულობას, გარკვეულ მიუღებლობას როგორც მეცნიერულ, ასევე პოლიტიკურ წრეებში. ის ერთდროულად გამონვეულია სტერეოტიპების სახით ჩამოყალიბებული, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მოვლენებით და ასევე თეორიული მემკვიდრეობითაც, რომელთა შორის არც ისე ბოლო ადგილი უჭირავს რეგიონთაშორის კონკურენციისადმი მიდგომას რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით.

პირველი პრობლემა, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით რეგიონების კონკურენტუნარიანობის გამოკვლევაში – თვით რეგიონთაშორისი კონკურენციის ფენომენია და პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, თუ რას წარმოადგენს იგი, როგორც მეცნიერული და პრაქტიკული პრობლემა, მისი პოზიტივები, ნეგატივები, შედეგები.

მეორე პრობლება – რას წარმოადგენს რეგიონი როგორც კონკურენტი: არის თუ არა ის კონკურენტული ურთიერთობების აქტიური მონაწილე, თუ რეგიონი – არის მხოლოდ სივრცე, სადაც ვითარდება კონკურენცია.

დავიწყოთ ანალიზი ცნება „რეგიონის" არსის განსაზღვრიდან. რაში მდგომარეობს რეგიონის პრობლება XXI ს. დასაწყისში და დგას თუ არა ის ჩვენს წინაშე?

არსებობს რეგიონის საკმაოდ ბევრი განსაზღვრება – 20-ზე მეტი და ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამავე დროს შეიძლება რეგიონის სხვადასხვა ცნებების გაერთიანება, არსის და, შესაბამისად, რეგიონთა საზღვრების გაგების ორი მიდგომის გამოყოფით:

1) რეგიონი, როგორც ტერიტორია;
2) რეგიონი, როგორც სოციალური კონსტრუქცია.

პირველი მიდგომის ფარგლებში ვითარდებოდა ტრადიციული რეგიონთმცოდნეობა და მე-20 საუკუნის 90-იანი წწ. ბოლომდე რეგიონი უპირველეს ყოვლისა იყო ტერიტორია. „რეგიონები – ეს ჰომოგენური ტერიტორიებია, რომელთაც გააჩნიათ განცალკევებული ფიზიკური და კულტურული ნიშნები, რომლებიც განსხვავდებიან მოსაზღვრე ტერიტორიებისგან და წარმოადგენენ ეროვნული ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს, რომელთანაც ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული, აცნობიერებენ რა თავის ადათ-წესებს და ფასეულობათა სისტემას და ასევე საკუთარ ინდივიდუალობას"*.

ტერიტორიულ-გეოგრაფიული მიდგომის თვალსაზრისით, ცნება რეგიონის არსს (ცნების დედაარსს) წარმოადგენს ტერიტორია და ამ არსის საფუძველზე წარმოშობილი დამატებითი მახასიათებლები არის სხვა თვისებები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა გამონვეულია ტერიტორიული ერთობით.

ცნება „რეგიონის" სხვაგვარი მიდგომა განისაზღვრება იმით, რომ რეგიონი განიხილება როგორც სოციალური კონსტრუქცია, მეცნიერული აბსტრაქცია, ობიექტის საერთო თვისებების არსებობის ამსახველი.

„რეგიონი – ეს ტიპოლოგიური ცნებაა", – წერს ა. გრანდბერგი. შესაბამისად, სხვადასხვა ნიშან-თვისებების საფუძველზე, შესაძლებელია რეგიონების სხვადასხვაგვარი ტიპოლოგია. უამრავი სხვადასხვა ხერხის მეშვეობით შეიძლება ეროვნული ეკონომიკა დაიყოს რეგიონებად. ნებისმიერი რეგიონი

* Vans, 1968. გვ. 377

წარმოადგენს რეგიონების ერთგვარი იერარქიული სისტემის ელემენტს, სადაც პირველადი სივრცითი უჯრედი დღეს აღინიშნება ტერმინით ადგილი (place) ან ლოკალიტეტი (locale)**. ტერიტორიული სივრცის რეგიონად სტრუქტურირების ნიშან-თვისებების არჩევა დამოკიდებულია კვლევითი ამოცანის ხასიათსა და ტიპოლოგიაზე, რომელიც ჩადებულია სტრუქტურირების საფუძველში.

შეუძლია თუ არა რეგიონს კონკურენციის განევა? თუ რეგიონს აღვიქვამთ როგორც ტერიტორიას, მაშინ კონკურენციის ცნება ტერიტორიასთან მიმართებაში შეიძლება იყოს გამოყენებული ძალზე პირობითად, რადგან ტერიტორია ფლობს გარკვეულ მუდმივ ფიზიკურ მახასიათებლებს და საბაზრო პირობების დინამიკის ცვლილების საპასუხოდ შეცვლა არ შეუძლია, რაც წარმოადგენს კონკურენტული პროცესის არსს. ამ შემთხვევაში, საუბარია არა ტერიტორიაზე, არამედ რეგიონზე.

ამგვარად, კონკურენციის განვიხილვისას, წარმოიშობა პრობლემა, რომელიც შეიძლება დავახასიათოდ როგორც რეგიონის პარადიგმის პრობლემა.

სიტყვათშეერთება „რეგიონის პარადიგმა“ ეკონომიკურ თეორიაში და რეგიონალურ ეკონომიკაში არ გამოიყენება, მაგრამ მეცნიერული პარადიგმის ცნების არსიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვათშეერთებას ეკონომიკურ მეცნიერებაში აქვს არსებობის უფლება და ის საკმაოდ მნიშვნელოვანია რეგიონული პოლიტიკის კვლევით და პრაქტიკული ამოცანებისთვის. სწორედ, რეგიონული მეცნიერების პარადიგმის პრობლემა განიხილება დღეს საკმაოდ აქტიურად დასავლეთის მეცნიერებს შორის, რომლებიც დაკავებულნი არიან სივრცითი ეკონომიკით და ეკონომიკური გეოგრაფიით.

შევჩერდეთ ცნება პარადიგმაზე. თომას კუნმა, გამოიყენა ცნება „მეცნიერული პარადიგმა“, როგორც საბაზისო დებულებების, ფასეულობების და მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც მიღებულია მეცნიერულ წრეში, გარკვეული დროის პერიოდში. ეკონომიკურ კვლევებში ცნება პარადიგმა უთანაბრდება კვლევითი პროგრამის ცნებას. თეორიის შემეცნებითი ანალიზის სქემამ, რომელიც წამოყენებული იყო იმრე ლაკატოშის მიერ მიიღო აღიარება. იგი ნებისმიერ კვლევით პროგრამას ყოფს ორ შემადგენელ ნანილად: პროგრამის უცვლელი მყარი შუაგული (საბაზისო კონცეფციები) და მისი დამცავი სარტყელი.

ახალ პარადიგმაზე გადასვლა დაკავშირებულია გარემოებების ორ ტიპზე. პირველი მდგომარეობს არსებული პრობლემების ახსნის წინაპირობის სიმცირეში, რის შედეგადაც წარმოიშობა ახალი თეორიის აგების საჭიროება, რომელიც უარყოფს ძველ წინაპირობებს. გარემოებების მეორე ტიპი დაკავშირებულია ისეთი ახალი პარადიგმის მიღებასთან, რომელიც შეიცავს მიდგომებს, რომლებიც საშუალებას იძლევა ან ითვალისწინებს იმ პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას, რომლებმაც კრიზისამდე მოიყვანეს ძველი პარადიგმა.

თუ მივმართავთ დასავლეთის რეგიონული მეცნიერების და ეკონომიკური გეოგრაფიის წარმომადგენლებს შორის უკვე ხსენებულ დისკუსიას, აქ განიხილება სივრცითი პროცესების ახსნაში, სივრცითი ეკონომიკის („ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის“, რომელიც ხმარებაში შემოიტანა რ. იზარდმა, გააგრძელა გ. რიჩარდსონმა, დ. ტეილორმა და სხვა) მიდგომის ნაკლებობა. რეგიონული მეცნიერების წარმომადგენლებს ადანაშაულებენ სივრცითი პროცესების (აგლომერაციის, პოლარიზირებული განვითარების, კუმულატიური ზრდის და სხვა) ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების აბსოლუტიზაციაში, ნეოკლასიკურ საფუძველზე სივრცითი პროცესების ფორმალიზაციაში. ალტერნატივის სახით გამოიყენება „ურთიერთობრივი ეკონომიკური გეოგრაფია, რომლის დედაარსს წარმოადგენს ეკონომიკური ფაქტორების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთქმედების სისტემა და მისი ზემოქმედება სივრცით პროცესებზე, და არა პირიქით. ამგვარად, ახალ მიდგომაში აქცენტი კეთდება ურთიერთქმედებებზე, რომლის პროცესში ხდება სივრცითი დახასიათებების ცვლილება. ანუ მტკიცდება, რომ ფაქტორები და მათი მოქმედება და ურთიერთქმედება უნდა იყოს ეკონომიკური გეოგრაფიის თეორიული საფუძვლის დედაარსი და რომ ხდება სივრცითი დახასიათებების სოციალური კონსტრუირება – ეს საკმაოდ ძლიერი კონცეპტუალური მტკიცება ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს სივრცითი ეკონომიკური პროცესების ანალიზში პარადიგმატიკურ ძერად.

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რეგიონული პარადიგმის პრობლემასთან მიმართებაში ტრადიციული მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონი – ეს არის ტერიტორია, რომელზედაც მოქმედებენ მეპატრონე აგენტები და მოცემული პარადიგმისთვის ეს არ არის მთავარი, მთავარია ის, რომ აქ ძირითადი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ რა არის რეგიონის შიგნით, შესაბამისად რეგიონის შესაძლებლობები განისაზღვრება მისი დამახასიათებლების მიხედვით. მაგრამ, რეგიონის პრობლემები არ წარმოადგენს მხოლოდ მის შიგნით არსებულ პრობლემებს, პირიქით, ისინი ზეგავლენას ახდენენ

** გრანდბერგი, 2000

სხვა ტერიტორიებზე და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია ტერიტორიების უზარმაზარი დიფერენციაცია, როგორიცაა რუსეთი. ასევე ასეთი მიდგომა არ აანალიზებს რეგიონებს შორის ურთიერთქმედების პროცესს, რის შედეგადაც ხდება არა მარტო რესურსების გადანაწილება, არამედ ჩნდება ახალი შესაძლებლობები.

რეგიონის, როგორც ტერიტორიის აღქმა იწვევს რეგიონული ეკონომიკის გარედან მართვას. რეგიონული (ხოლო არსებითად ტერიტორიული) მართვის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ: 1) რეგიონებს შორის ტრანსფერების გადანაწილება; 2) რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეთანასწორება; 3) დიდ ინდუსტრიულ (საერთო განვითარების გაბატონებულ მოდელთან შესაბამისად) და სოციალურ პროექტებში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება და ორგანიზებული მიგრაცია.

რეგიონის, როგორც სოციალური კონსტრუქციის განმარტება, საშუალებას იძლევა რეგიონს შეხედოთ სხვა თვალსაზრისით – როგორც მართვის აქტიურ სუბიექტს. ამგვარი მიდგომისას, სოციალური კონსტრუქციის ერთობლიობის დახასიათებაში, ტერიტორია წარმოადგენს მთელი რიგი თვისებებიდან ერთ-ერთს, რომელიც დასახელებულია რეგიონად და რომლის საზღვრები განპირობებულია კვლევითი ამოცანით. რეგიონების იერარქიას განსაზღვრავს მხოლოდ მეცნიერული პრობლემა. რეგიონი დეტერმინებულია იმ საკითხით, რომლის შესწავლითაც ჩვენ ვართ დაკავებული. რეგიონების შესწავლის პროცესში საკმაოდ ბევრია ამგვარი კვლევითი ამოცანები, რის შედეგადაც იცვლება ტერიტორიების რეგიონებად დანაწილება.

იმისათვის, რომ განვმარტოთ რეგიონის, როგორც ტერიტორიის სოციალური კონსტრუქციის განსხვავება რეგიონისაგან, გავატაროთ ანალოგია ფირმასთან. ფირმასთან როგორც სოციალური კონსტრუქციისადმი მიდგომა ვლინდება იმაში, რომ კონცეფციის მიხედვით ფირმა განიხილება სხვადასხვანაირად. არსებობს ფირმისადმი მიკროეკონომიკური მიდგომა, ფირმის ტექნოლოგიური კონცეფცია, კონტრაქტული კონცეფცია, ფირმისადმი სტრატეგიული მიდგომა, ფირმის ცოდნითი კონცეპცია. თითოეული მიდგომა მიუთითებს იმ ძირითად მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დღევანდელ ეკონომიკურ რეალობაში არსებული ფირმების წარმატებულ ფუნქციონირებას; ორიენტირებულია გარკვეული პრობლემების გადაწყვეტაზე. ტექნოლოგიური მიდგომა ორიენტირებულია მასშტაბიდან ეკონომიის მიღების მიღწევაზე და ფირმის სიდიდის განსაზღვრაზე, კონტრაქტული – სპეციფიკური ინვესტიციების პრობლემის გადაწყვეტაზე და ტრანსაქციული დანახარჯების ეკონომიაზე, სტრატეგიული – გარემოზე გავლენის საშუალებების გამოვლენაზე, ცოდნითი – ფირმის უნიკალური რესურსების ძებნაზე. შესაბამისად, თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რეგიონები იქცევიან როგორც ფირმები, მაშინ რეგიონი როგორც ფირმის არსი, შეიძლება იყოს განხილული სხვადასხვა თვალსაზრისით ფირმის გამოსაყენებელი კონცეფციიდან გამომდინარე.

რეგიონისადმი მიდგომა, როგორც სოციალური კონსტრუქცია, გვაძლევს სხვადასხვა ქვეყნების რეგიონებისათვის დამახასიათებელ საერთო თვისებებს და პროცესებს, და ასევე ცვლილებებს, რომლებიც ხორციელდებიან თანამედროვე პირობებში და გაელენას ახდენენ რეგიონულ ეკონომიკაზე და რეგიონების პოზიციაზე. ჩვენი აზრით, ეს ცვლილებები, თავის მხრივ იმდენად დიდია, რომ საშუალებას იძლევიან ვილაპარაკოთ რეგიონის ახალი პარადიგმის ფორმირებაზე, ან რეგიონის ახალ კვლევით პროგრამაზე იმრე ლაკატოშის ფორმულირების მიხედვით.

ამ ახალი კვლევითი პროგრამის არსი არის რეგიონის როგორც, ეკონომოკური აგენტისა და კონკურენტული ურთიერთქმედების სუბიექტის ანალიზი, რომლის პროცესში ხდება რეგიონული განვითარების ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა. ჩვენ ბოლომდე ვიცავთ პოზიციას, რომ ქვეყნის რეგიონი თანამედროვე პირობებში წარმოადგენს ეკონომიკურ სუბიექტს, რომელსაც შეუძლია ეკონომიკური პოლიტიკის დამოუკიდებლად წაყვანა, თავისი კონკურენტული პოზიციების გასაუმჯობესებლად მთელი რიგი ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება, მსოფლიო კონკურენტული პროცესების მონაწილის სახით მსოფლიო ბაზარზე გამოსვლა.

რეგიონის როლის ცვლილება ხდება არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკაში. მსოფლიო ეკონომიკაში ობიექტური პროცესები ვითარდება იმგვარად, რომ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში ხდება რეგიონთა როლის ამაღლება. სამყაროში მიმდინარე გლობალიზაციის ერთ-ერთ არსებით გამოვლინებას წარმოადგენს მსოფლიო კონკურენტული გარემოს კონფიგურაციის ცვლილება, რომლის დროსაც კონკურენციის სუბიექტი ხდებიან ქალაქები, რეგიონები, ცალკეული ლოკალიტეტები, რომლებიც ფლობენ ინოვაციების შექმნის და რეალიზების უნარს. კონკურენტულ პროცესებში მათი მონაწილეობის წარმატება დამოკიდებულია როგორც მაკროეკონომიკური პირობების, რომლებსაც ქმნის სახელმწიფო, ასევე კონკურენტული უპირატესობების აღმოჩენის, გამოყენების და შენარჩუნების უნარზე. რეგიონული კონკურენცია გამოიყენება პოზიტიურ მე-

ქანიზმად, რეგიონული განვითარების სტიმულად, რომელსაც ახასიათებს გარე ექსტერნალიები, და ასევე ბაზრის ჩავარდნები.

ამ პოზიციის დასაბუთება გავყოთ ორ ნაწილად. პირველი – რეგიონის ანალიზი, როგორც ეროვნული ეკონომიკური სისტემის აგენტი, მიზეზების და რეგიონის ფუნქციონირების საჭიროება, როგორც ეკონომიკური სუბიექტის. მეორე ნაწილი – რეგიონის ანალიზი, როგორც კონკურენტული ურთიერთობების და რეგიონთაშორისი კონკურენციის პროცესების მონაწილე.

ეკონომიკური აგენტის ფუნქციონირების პოლიტიკურ-ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს: 1. სახელმწიფო წყობის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის ზომას და სუბიექტის უფლებამოსილებას. 2. საკუთრების ურთიერთობები, რომლებიც იძლევა სუბიექტის დამოუკიდებლობისთვის მატერიალურ საფუძველს. 3. ინსტიტუტების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციონირების რეალურ შესაძლებლობებს.

პრაქტიკულ ცხოვრებაში რეგიონები იყოფა (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, თვითმართვად თემების ან ხელშეკრულებით ფუნქციონირებადი ბლოკების ფორმით) რომელთა შორის გამოყოფთ რეგიონთა ორ ტიპს: სახელმწიფოს სუბიექტები და მუნიციპალური წარმონაქმნები. რეგიონთა დასახელებული ტიპებისათვის შეიძლება აღინიშნოთ პირობების თანდათანობითი ფორმირება, რომელიც რეგიონებს აძლევს ეკონომიკური სუბიექტის სახით გამოსვლის საშუალებას:

1. განხორციელებულია უფლებამოსილებების დანაწილება მმართველი ცენტრის და მართვის სუბიექტებს შორის და შესაბამისად ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტის და ასევე ბიუჯეტის ფორმირების წყაროთა განსაზღვრა, საგადასახადო ბაზის განსაზღვრა.

2. საკუთრება დაიყო ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურად. განცალკევებული ქონება და საბიუჯეტო სახსრები, რომლებსაც სუბიექტები ქმნიან განცალკევებულ წყაროებიდან და რომლებსაც განაგებენ თავისი შეხედულებისამებრ, შეადგენს მმართველი სუბიექტების დამოუკიდებელი ეკონომიკური ქცევის მატერიალურ საფუძველს და რაღაც ზომით – მუნიციპალიტეტებისასაც.

3. კონსტიტუცია, რომელშიც განმტკიცებულია სახელმწიფოს და ცენტრის სუბიექტების უფლებამოსილებები არის ფორმალური ინსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს უფლებამოსილებების გადანაწილებას. ხელშეკრულებები მმართველ სუბიექტებს და ცენტრს შორის არის დამატებითი ინსტიტუციები. არაფორმალურ ინსტიტუციებს წარმოადგენს ქვეყნის სუბიექტების კანონმდებლობითი საქმიანობის ინიციატორული პრაქტიკა და თვითდამკვიდრების მმართველი სუბიექტების ეკონომიკური უფლებამოსილებების პრაქტიკა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასევე ხშირად ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს კანონმდებლობას, მაგრამ მთლიანობაში ადასტურებს თვითმმართველობის განვითარების ტენდენციებს.

თანდათანობით იქმნება რეგიონების გარეეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის წინაპირობები. თუმცა კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ქვეყნის გარეეკონომიკური საქმიანობა (და არა რეგიონის!) წარმოადგენს მმართველი ცენტრის კომპეტენციას, რეგიონებისათვის არ არის აკრძალული გარეეკონომიკური საქმიანობა. მმართველი სუბიექტების საჯარო დამოუკიდებლობა და განცალკევებულობა არის მათი საერთაშორისო აქტიურობის აუცილებელი წინაპირობა, ხოლო ქონებითი განცალკევებულობა – გარეეკონომიკური კავშირების განხორციელების წინაპირობა. და მით უმეტეს, მმართველი სუბიექტები საკმაოდ ორგანიზებული არიან. მათ გააჩნიათ ორგანოები, რომლებიც გამოხატავენ მათ ნებას.

რეგიონის, როგორც ეკონომიკური სუბიექტის პოზიციის ჩამოყალიბება, მნიშვნელოვანია რამოდენიმე ნიშნის მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მექანიზმი, რომელშიც რეფორმების ჩატარებისას შეძლებს ქვეყნის რეგიონთა თავისებურებების გათვალისწინებას, მექანიზმი, რომელშიც რეგიონები არა მარტო ფორმალურად არიან ადმინისტრაციული რაიონები, არამედ არიან უფლების სუბიექტები, რომლებსაც გააჩნიათ განცალკევებული კომპეტენცია და რეგიონული ცხოვრების საკითხების გადაწყვეტის სფეროში მბრძანებლური უფლებამოსილებები. გარდა ამისა, საჭიროა მექანიზმი, რომელიც შესძლებს „წინ – უკან“ დარტყმის აცილებას, ანუ უზრუნველყოფს სტაბილურობას, მათ შორის ჩატარებულ რეფორმებში. სრულიადაც არაა ავტომატური რეგულატორები, რომლებიც დღეს ქვეყნის ბევრ რეგიონს მოსახლეობის გაღატაკების პირობებში, როცა მასობრივი სიღარიბის და სიღატაკის უკანასკნელ ზღვრამდე რეალურად იმყოფება მოსახლეობის დაახლოებით 80%, ხელს შეუშლიდა პროკომუნისტური ტიპის რეჟიმის აღდგენას, ანუ სახელმწიფო გეგმარებითგამანაწილებელ სისტემას. გარკვეულ ეტაპზე მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად შეიძლება წარმოიშვას მკაცრი ცენტრალიზაციისადმი „გადმოგორების“ სიტუაცია,

რაც ნიშნავს წინანდელ ეკონომიკურ მიდგომებთან „თავის ადგილას“ დაბრუნებას, რასაც ქვეყანა შოკური თერაპიის მეთოდების დახმარებით გამალებით „გაურბოდა“.

დეცენტრალიზირებული ძალაუფლების სისტემის მქონე ეკონომიკის მრავალრეგიონული სტრუქტურა, სადაც ძალაუფლება თავმოყრილია არა მხოლოდ ცენტრში, არამედ განაწილებულია რეგიონებს შორის, საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ისეთი მექანიზმები, რომლებიც აგვაცილებენ გეგმარებით-გამანაწილებელ სისტემისაკენ დაბრუნებას. ე.ი. რეგიონის, როგორც სუბიექტის, მონაწილეობა ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომელიც პასუხს აგებს რეგიონებში ცხოვრების პირობებზე, და მონაწილეობას იღებს საერთო ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში, იძლევა საერთო მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში რეგიონების ინტერესების გათვალისწინების საშუალებას.

ეროვნულ ეკონომიკაში რეგიონების როლის ამაღლება დამახასიათებელია სხვა ქვეყნებისთვისაც. ევროპულ გაერთიანებაში რეგიონთა როლის ამაღლების დადასტურება გახდა რეგიონული ავტონომიის ევროპული ქარტიის შემუშავება. ქარტია ნარმოადგენს ევროპული პარლამენტის რეზოლუციის მიერ მიღებულ დამატებას რეგიონულ პოლიტიკაზე. ქარტიის 1 სტატიაში არსებობს რეგიონის შემდეგი განსაზღვრა: „რეგიონს უწოდებენ ტერიტორიას, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით წარმოადგენს მკვეთრ ერთობლიობას, ან არის ტერიტორიების ერთგვაროვანი კომპლექსი, რომლებიც ქმნიან ჩაკეტილ ერთობლიობას, და მათ მოსახლეობას ახასიათებს საერთო ელემენტები, ამასთანავე ეს ერთობლიობა მისწრაფის იმისაკენ, რომ განამტკიცოს და გააფართოვოს ზოგიერთი მისი ნიშნები იმისათვის, რომ მოახდინოს კულტურული, სოციალური და ეკონომიკური პროგრესი“. აქ რეგიონები განიხილება არა მხოლოდ როგორც ეროვნული სახელმწიფოების ელემენტები, არამედ ევროპის ქონება მთლიანობაში, რომელიც უზრუნველყოფს მის მრავალფეროვნებას, უნიკალურობას და ხელს უწყობს მის აყვავებას. ქარტიის მიზნებს შორის არის რეგიონების თვითშემოქმედების განვითარებაში დახმარება საერთაშორისო დონეზე მათი სტატუსის ზოგიერთი ასპექტის განსაზღვრის საშუალებით, მონაწილე-ქვეყნების რეგიონთაშორისო კავშირების განვითარებაში ხელშეწყობა. ქარტიაში მითითებულია, რომ „რეგიონული ავტონომიის დაცვა და განმტკიცება წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს ევროპის აშენებაში, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიის და ცენტრალიზაციის ძალაუფლების პრინციპებზე“. ქარტიის მონაწილეების აზრით, რეგიონი წარმოადგენს ძალაუფლების ადეკვატურ დონეს, რომელზეც მოქალაქეებს შეუძლიათ სახელმწიფო საქმეების და საერთაშორისო ცხოვრების მართვაში მონაწილეობის მიღება.

გლობალიზაციის პირობებში რეგიონის როლის ზრდა იყო „რეგიონული მეცნიერება მსოფლიო ეკონომიკის უსაზღვრო გლობალიზაციის პროცესში – XXI საუკუნისათვის მომზადება.“ მე-5 რეგიონული მეცნიერული ასოციაციის საერთაშორისო კონგრესის თემა, რომელიც ჩატარდა ტოკიოში 1996 წ. მაისში. „ეროვნების აბსტრაქცია, როგორც ერთი მთავარი ეკონომიკის, ხდება გლობალიზაციის საუკუნეში უსაფუძვლო დაშვებად სულ უფრო მზარდი მასშტაბით“, – ეს აზრი იყო გამოთქმული ბევრ მოხსენებაში. „რეგიონთაშორისი სივრცითი უთანასწორობა შეიძლება იყოს ქვეყნებს შორის უთანასწორობაზე უფრო მაღლა.“.. ქვეყნის ინტეგრირების მზარდობის კონტექსტში, ეროვნული ეკონომიკისათვის რეგიონული ეკონომიკა ხდება სულ უფრო და უფრო კრიტიკული და ზოგ შემთხვევებში ტექნოლოგიური ან სამეწარმეო პერსპექტივის თვალსაზრისით, ეროვნულ ეკონომიკაზე უფრო მაღლა დგას.

უდავოა, რეგიონები არ წარმოადგენენ მართვის სრულიად თვითმყოფად და ცენტრისაგან დამოუკიდებელ სუბიექტებს (თუმცა როგორც ფირმების ფუნქციონირება, ბევრად დამოკიდებულია სახელმწიფოზე). ამის გარდა, ყველა ტერიტორიული წარმონაქმნი არ შეიძლება გამოცხადდეს რეგიონად როგორც ეკონომიკური სუბიექტი, სადაც მმართველი სუბიექტების გამოყოფა ატარებდა უფრო პოლიტიკურ ხასიათს, ვიდრე ეკონომიკურს. რეგიონების ეკონომიკური სუბიექტების სახით ჩამოყალიბების პროცესის არაერთგვაროვნება დაკავშირებულია რეგიონთა ეკონომიკური მდგომარეობის სერიოზულ დიფერენციაციასთან. რეგიონების გამოყოფა მმართველი სუბიექტების სახით, რომლებიც არ ფლობენ ეკონომიკურ პოტენციალს და რომელიც საკმარისია ბაზრის პირობებში დამოუკიდებელი სამეურნეო საქმიანობისათვის, ჩვენი აზრით, სახელმწიფო მშენებლობაში იყო გაუმართლებელი ნაბიჯი. თუ მართვის ცენტრალიზირებული სისტემისას საკუთარ პოტენციალს არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, მაშინ ბაზრის პირობებში მმართველი სუბიექტების გამოყოფა მათი ეკონომიკური შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად არ აძლევს მათ თავის მოსახლეობის მიმართ კონსტიტუციური მოვალეობების შესრულების საშუალებას. სწორედ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა დღეს, როცა მმართველი სუბიექტების დიდი ნაწილი არის ღრმად დოტაციური, ხოლო სხვა, უფრო მდიდარი რეგიონები სუბსიდირებენ ღარიბ რეგიონებს, რაც ამწვავებს სეპარატისტულ ხასიათს და ასუსტებს სახელმწიფოს.

ამავე დროს მმართველ სუბიექტთა რიცხვი, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ ეკონომიკურ სუბიექტებს, და რომლებიც ახორციელებენ დამოუკიდებელ რეპროდუქციას, არსებითად მეტია, ვიდრე წარმოდგენილია ზოგიერთ გამოცემებში. სამეურნეო დამოუკიდებლობა, როგორც წესი, მიენერება ეგრეთწოდებულ რეგიონ-დონორებს და შესაბამისად, დამოკიდებულება – რეგიონ-რეციპიენტებს.

იკვეთება კავშირი რეგიონის განვითარების დონესა და მისი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას შორის, კერძოდ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დარგში, როგორიცაა საქმიანი აქტიურობის სტიმულირება, ინვესტიციების მოზიდვა, გარეეკონომიკური საქმიანობის განხორციელება. ეს დამახასიათებელია დასავლეთის ქვეყნებისთვის და საქართველოსთვისაც. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკურად უფრო მეტად განვითარებული შტატები – კალიფორნია, ილლინოისი, ნიუ-იორკი, ტეხასი – არიან ნაწილობრივ დამოუკიდებლები და პროაქტიურები. შემთხვევითობა არ არის, რომ ფედერალიზმის ეკონომიკური თეორია, რომელშიც რეგიონები ემსგავსებიან კლუბებს, რომლებიც მათი ინტერესების მიხედვით ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, სწორედ იქ წარმოიშვა. დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების საშუალება მინიჭებული აქვთ ასევე ჩრდილოეთ იტალიის (პემონტი, ლიგურია, ლომბარდია, ვენეტო, ემილია-რომანია) და ესპანეთის (მადრიდი, კატალონია, გალისია, კანტაბრია, ბასკების ქვეყანა) მთელ რიგ პროვინციებს. ბევრ სხვა ბრაზილია, ჩინეთი, მექსიკა, ინდოეთი, ინდონეზიის ქვეყნებში არსებობს ასევე ხელისუფლების ბალანსი ცენტრსა და რეგიონებს შორის. მნიშვნელოვანი ავტონომია მინიჭებული აქვთ ისეთ ტრადიციულად ცენტრალიზირებულ ქვეყნების რეგიონებსაც კი, როგორიცაა საფრანგეთი (ლანგედოკ-რუსიეონ) და იაპონია (შუტოკენ, კანსაი) (ფიშერი, 1999).

ჩინეთში ადგილობრივ ხელისუფლებას მინიჭებული აქვს დიდი თავისუფლება სამრეწველო განვითარების სტიმულირების დარგში და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. პეკინის და სხვა მსხვილი ქალაქების – ტიანცზინის, შანხაის და სხვა – მუნიციპალიტეტები დამოუკიდებლად გეგმავენ განვითარების ახალი ზონების, მაღალი ტექნოლოგიის პარკების და თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნას.

ამგვარად, ადმინისტრაციული დაყოფის თვალსაზრისით რეგიონი და რეგიონის ეკონომიკური ცნება, როგორც ეკონომიკური სუბიექტისა, არ ემთხვევა. რეგიონს უნდა გააჩნდეს არა მხოლოდ ტერიტორიული ერთობა, არამედ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობები – ქონება, რომელიც აძლევს საშუალებას სამეწარმეო საქმიანობის წარმოებიდან მიიღოს შემოსავალი და უფლებამოსილებები მისაღები შემოსავლების შესახებ. მიუხედავად ამისა, თანამედროვე პირობებში ადმინისტრაციული რეგიონის ფუნქციონირების პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ის უფრო და უფრო მეტად იძენს მეურნეობის სუბიექტის თვისებებს, რომ დღის წესრიგში აყენებს რამოდენიმე აქტუალურ კითხვას: რეგიონის ადმინისტრაციული გამოყოფის და მისი ფუნქციონირების შესაძლებლობის როგორც ეკონომიკური სუბიექტის შესაბამისობა, თვითმართველობის როლის და რეგიონის შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლება, რეგიონის ახალი სტატუსისთვის ადეკვატური რეგიონების სახელმწიფოსთან და ერთმანეთს შორის ურთიერთქმედების საშუალებების ძებნა.

აქ ჩვენ ვაწყდებით კიდევ ერთ პრობლემას – რეგიონალიზაციის ან რეგიონის შექმნისას. ამ შემთხვევაში საუბარი არის რეგიონალიზაციის პრობლემაზე როგორც ტერიტორიული დაყოფის განსაზღვრა ან ტესტირება პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ხასიათის პრაქტიკული მიზნებისათვის. პრობლემის არსი მდგომარეობს რეგიონული დაყოფის „ზემოდან“ გაგების, ანუ ცახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური დონის თვალსაზრისით, და გაგების „ქვემოდან“ შორის განსხვავებაში – ქვეყნის თითოეული ტერიტორიების მხრიდან. ეს შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ფასეულობების იერარქიით, მიზნების პრიორიტეტით და გაგება „განვითარების“ შეფასების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის შესაბამისი რეგიონული სისტემის ჩამოყალიბება ხდება როგორც სახელმწიფოს ინტერესების და რეგიონის შემოქმედებითი მასების მისწრაფებისაკენ ინიციატივის მხრიდან შეჯახების შედეგი. პირველი განპირობებულია ტექნიკური პირობებით, კერძოდ, იმით, რომ რეგიონები უნდა იყოს დამოუკიდებელი ერთეულები მთლიანი ტერიტორიით და მთლიანად უნდა ავსებდნენ ქვეყნის ტერიტორიას; და ეკონომიკური მიზანშეწონილი ინტერესებით, რომლებიც ითხოვს ეკონომიკური ერთიანობის არსებობას და დამოუკიდებელი ფუნქციონირების შესაძლებლობებს. მეორე განპირობებულია თვითმართველობის და ტერიტორიების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით.

როგორი მიდგომები შეიძლება იყოს რეგიონის შექმნისათვის?

როგორც მეურნეობის სუბიექტს რეგიონს უნდა გააჩნდეს მთლიანობა, რომელიც მისცემს სამეურნეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. შეიძლება გამოიყოს რეგიონის მთლიანობის, როგორც მეურნეობის სუბიექტის განსაზღვრის ორი მიდგომა. ერთი მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონს

უნდა გააჩნდეს კვლავწარმოების განხორციელების შესაძლებლობა, ანუ ჰქონდეს წარმოების მთლიანი ციკლი და დარგების ნაკრები ცხოვრების პირობების სრული კვლავწარმოების განხორციელებისათვის. ე.ი. რეგიონს უნდა გააჩნდეს ავტონომიური კვლავწარმოების შესაძლებლობები.

ამ მიდგომის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი. შრომის განაწილება ტერიტორიებს შორის და გადაცვლა სპეციალიზაციის საფუძველზე – ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის საფუძველი და კვლავწარმოების შიდარეგიონული ავტონომიზაციის გზით წასვლა – აშკარად განვითარების არა საბაზრო და არაეფექტური გზაა.

მაგრამ რეგიონის, როგორც ეკონომიკური სუბიექტის საზღვრები ასევე არ შეიძლება იყოს თვითნებური. როგორც გამოკვლევები, და ასევე პოლიტიკური პროცესების ნაბიჯები გვიჩვენებს (მაგალითად, ბევრ ყოფილ სსრკ-ს რეგიონების და ქვეყნის მისწრაფება სეპარატიზმისაკენ), ტერიტორიული უჯრედების პოლიტიკური ან ადმინისტრაციული გაერთიანება ერთ რეგიონად ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისი გარდაქმნით ეფექტურია მხოლოდ ინტეგრაციის ეკონომიკური საფუძვლის არსებობისას, და ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური ურთიერთქმედების და ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების პირობებში.

კვლავწარმოებული მიდგომისაგან განსხვავებით, რეგიონული ტესტირების სხვა პრინციპს წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური ინტერესების ერთობის ანალიზი და ერთიანი ეკონომიკური სივრცის არსებობა. ბოლო წარმოადგენს „მაღალი ინტეგრირების დარგს", რომლის ეკონომიკური აგენტები უფრო მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეკრულნი, ვიდრე ასეთებთან სხვა დარგებისა. ასეთი კავშირები – ვაჭრობის და კაპიტალის მოძრაობის, ცოდნის და ტეგნოლოგიების გადაცემის, ასევე, როგორც კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების და კულტურული გაცვლის მიზეზი და შედეგია. ისინი ურთიერთ აძლიერებენ ერთმანეთს". რეგიონის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ მიდგომას წარმოადგენს ეგრედ წოდებული „კლასტერული მიდგომა", რომელიც დაფუძნებულია ურთიერთდაკავშირებული დარგების კლასტერის რეგიონში გამოყოფასა და განმტკიცებაზე.

რეგიონის შემოქმედებითი ტენდენციები და რეგიონის როგორც სამეურნეო სუბიექტების ფუნქციონირების ანალიზი არის რეგიონთა ახალი კვლევითი პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება.

მივმართოთ რეგიონის ახალი პარადიგმის მეორე პრობლემას – მის კონკურენტულ ნაწილს. რა არის რეგიონთაშორის კონკურენციის საფუძველი? იგივე ხომ არ არის რეგიონის როგორც მეურნეობის სუბიექტის და რეგიონის როგორც კონკურენციის სუბიექტის გაგებები? როგორ მოვეკიდოთ ამ მოვლენას?

რეგიონთაშორისი კონკურენციის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს კონკურენტული პროცესების საერთო წინაპირობები: რესურსების შეზღუდვა, შრომის განაწილება. ეკონომიკის მთავარი ეკონომიკური შეზღუდვა – რესურსების იშვიათობა აჩენს რეგიონებს შორის როგორც ეკონომიკური სუბიექტების კონკურენციას. რეგიონთან შედარებით შეზღუდულ რესურსს წარმოადგენს ტერიტორია და ძნელად რეპროდუქცირებული ბუნებრივი რესურსები. ასევე მხედველობაში მისაღებია მომხმარებლის რესურსების, ბაზარზე მიწოდების საშუალებების, რესურსთა გასაღების შეზღუდვა. შეზღუდულად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანური რესურსებიც, განსაკუთრებით ხალხისა, რომლებიც გამოირჩევიან დიდი ნიჭით. ბევრი რეგიონებისათვის ლიმიტირებულ ფაქტორს წარმოადგენს ახალგაზრდობა. არსებობს ასევე არსებითი სხვაობა რეგიონების კვალიფიკაციურ შემადგენლობაში. მით უფრო მთავარ კონკურენტულ რესურსად ხდება ინფორმაცია.

კონკურენციის მეორე საფუძველი – შრომის დანაწილებაა, რომელიც განსაზღვრავს კონკურენტულ პროცესებში ეკონომიკური სუბიექტების მონაწილეობის ადგილს და წესებს.

რეგიონთა საზღვრები როგორც კონკურენტული და ადმინისტრაციული სუბიექტები ყოველთვის არ ემთხვევა. ქვეყნების შიგნით ჩნდება ახალი რეგიონები, რომელთა კონკურენტული პოზიციები სხვაზე უფრო ძლიერია, რის გამო ისინი გამოდიან როგორც რეგიონთაშორისი კონკურენციის სუბიექტები. ეს ახალი სტრუქტურული სივრცითი ერთეულები, რომლებიც ეყრდნობიან ინფორმაციულ კონკურენტულ უპირატესობებს, ისეთი როგორიცაა სილიკონის ხეობა, კვლევითი სამკუთხედი, მარშრუტი 128 (აშშ), ბადენ-ვიურტემბერგი (გერმანია), პროვინცია ონტარიო (კანადა), მესამე იტალია (იტალია), ბანგალორი (ინდოეთი) თავისი განვითარების ტემპებით მკვეთრად გამოიყოფებიან სხვებს შორის. ამგვარად, ერთი რეგიონის შიგნით ფორმირდება მეორე, რაც მეტყველებს თანამედროვე რეგიონთა საზღვრების არასიმყარეზე. ეს აღნიშნულია რეგიონული ავტონომიის ქარტიაშიც, სადაც რეგიონულ ავტონომიაში იგულისხმება თითოეული სახელმწიფოს ყველაზე დიდი თვითმართველობის ორგანოების უფლება და რეალური

უნარი იკისროს თავის საკუთარ პასუხისმგებლობაზე და თავისი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე საქმის საკმაოდ დიდი ნაწილის წარმოება, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს.

შეიძლება გამოვყოთ რეგიონის ორი მოდელი – როგორც კეთილსახელმწიფოს და კეთილფირმის (კეთილკორპორაციის).

ქვეყნის ეკონომიკურ თეორიაში რეგიონი იმპლიციტურად ასრულებს კეთილსახელმწიფოს როლს, რომელშიც რეგიონის ხელისუფლება პასუხს აგებს რეგიონის მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნაზე.

რეგიონის, როგორც კეთილფირმის მოდელის არსი მდგომარეობს რეგიონის მიმართ რიგი მიდგომების გამოყენებაში, რომლებიც ახასიათებენ ფირმას და მის ქცევას. კერძოდ, რეგიონმა არა მხოლოდ უნდა აწარმოოს მთელი რიგი საზოგადოებრივი სიკეთე, არამედ ჩამოაყალიბოს საჭირო გარემოც, მოიზიდოს და შექმნას რესურსები, ხელი შეუწყოს მათ ეფექტურ გამოყენებას. რეგიონი ხდება სტეიკხოლდერი – პირობების შემნარჩუნებელი, ემსგავსება მსხვილ კორპორაციას, გადადის კეთილკორპორაციის ჯგუფში.

თუ რეგიონისადმი, როგორც ტერიტორიის მწარმოებლურ ძალთა გადაადგილებისადმი მიდგომა, ხორციელდება ზემოდან განსაზღვრითი პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც ფორმულირდება როგორც სოციალურ-ორიენტირებული პოლიტიკა რეგიონების გამოსწორებაზე, მაშინ რეგიონის პარადიგმაში, როგორც კეთილკორპორაციისა ჩადებულია გლობალური კონკურენციის იდეა და რეგიონის განვითარების შინაგანი ძალების ძებნა.

ახალი პარადიგმა შეიცავს იდეას, რომელშიც ხდება თანადგომის პასიური ზომებისაგან აქტიური სტრატეგიების შექმნისაკენ, რეგიონის კონკურენტული უპირატესობების შემუშავებისა და განვითარებისაკენ სწრაფვა. ამ იდეას უწოდებენ გლობალურ ორიენტირებულს. რეგიონები შეიძლება იყვნენ ინოვაციის და მწარმოებლური სულისკვეთების კუნძულები თანამედროვე ინფორმაციული ეკონომიკის ფართო სივრცით ქსელურ კონტექსტში.

ეროვნული სახელმწიფო რეგიონის ველზე ხდება მოთამაშე, რომელსაც აქვს თავისი ინტერესები, ხშირად რეგიონის ინტერესებისგან განსხვავებული.

კეთილკორპორაციის თვალსაზრისით, განხილული რეგიონის პარადიგმის ანალიზის დასკვნა გვაძლევს რეგიონების მიერ იმ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებას, რომელიც ახასიათებს ტრადიციულ კორპორაციას, და ასევე შემდეგი საკითხების შემუშავების დასაბუთებას: პროდუქტები და ბაზრები; პროექტები და დაფინანსება; ადამიანური რესურსები და დასაქმება; კორპორატიული იმიჯი და წინ წაწევა. „მიდი და კონკურენცია გაუწიე“, ასეთი მიდგომა შეესაბამება დღევანდელ დროს და საუკუნეს, წერს ბოიზერი, – რაც გულისხმობს რეგიონული კორპორაციული იმიჯის განვითარებას, რომელიც წარმოადგენს მარკეტინგის და მისი პროდუქტების საფუძველს“. შესაბამისად რეგიონული ეკონომიკის უმთავრესი საზრუნავი არის კონკურენტუნარიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებას. განვიხილოთ უფრო დაწვრილებით რეგიონთაშორისი კონკურენტული პროცესები და მათი გავლენა კონკურენტუნარიანობაზე.

### 7.2 რეგიონების კონკურენტული პოზიციების დიფერენციაცია

რეგიონებს შორის კონკურენციის ტექნოლოგიური მიზეზი შრომის დანაწილების საზოგადოებრივი პროცესებია, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც ეკონომიკური სუბიექტების სპეციალიზაციას, ასევე კორპორაციისა და წარმოების კომბინირების ფორმებს.

ეკონომიკური საქმიანობის სივრცობრივი განაწილებისა და მისი სპეციალიზაციის საფუძველს წარმოადგენს მოგების მიღება. ქვეყნები და რეგიონები, ისევე, როგორც ადამიანები და ფირმები, იმ საქმიანობის წარმართვით, რაც მათ ყველაზე უკეთ გამოსდით, კონკურენტულ უპირატესობებს ღებულობენ. რამდენადაც ეროვნული ეკონომიკა გაყოფილია საბაჟო, სავაჭრო და ინსტიტუციონალური ბარიერებით, ითვლება, რომ შიდა ბაზარი, მსოფლიო ბაზართან შედარებით, უფრო ინტეგრირებულია და ქვეყნის შიდა ცალკეული რეგიონები უფრო სპეციალიზებულია, ვიდრე ქვეყნები.

განვიხილოთ კავშირი რეგიონთაშორის კონკურენციასა და სპეციალიზაციას შორის. რეგიონებს შორის შრომის განაწილების, რეგიონთაშორისი სპეციალიზაციის შექმნისა და განმტკიცების მიზეზები, ამასთანავე, რეგიონების განვითარების დონეთა დიფერენციაციისა და კონკურენტულ პოზიციათა სათავეები ასახულია რეგიონთაშორისი ვაჭრობის, ალგომერაციის, სივრცობრივი კონკურენციის თეორიებში.

რეგიონებს შორის სპეციალიზაციის ტრადიციული ახსნა დაფუძნებულია შედარებით უპირატესობათა თეორიაზე. ა. სმიტი, როგორც ცნობილია, გამოდიოდა აბსოლუტური უპირატესობის თეორიიდან, რომლის თანახმადაც, სპეციალიზაციის საფუძველს უფრო დაბალი აბსოლუტური დანახარჯები წარმოადგენს. დ. რიკარდომ ჩამოაყალიბა შედარებითი უპირატესობების კონცეფცია. რეგიონებთან მიმართებაში ეს ნიშნავს, რომ ისინი სპეციალიზდებიან იმ პროდუქტების წარმოებაზე, რაზედაც შედარებითი უპირატესობა გააჩნიათ, ე. ი. ამ პროდუქციას ნაკლები დანახარჯებით აწარმოებენ სხვა საქონელთან და სხვა რეგიონთან შედარებით. შედარებითი უპირატესობების მაჩვენებელს სხვადასხვა დარგებში პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შეფარდებითი დანახარჯი წარმოადგენს.

ასევე ტრადიციულია, რეგიონის წარმოების ფაქტორების უზრუნველყოფიდან გამომდინარე, რეგიონების სასაქონლო სპეციალიზაციის დასაბუთება ხეკშერ-ოლინის თეორიაში, რომლის თანახმადაც რეგიონები სპეციალიზდებიან იმ საქონელზე, რომლის წარმოებისთვისაც შესაბამისი ფაქტორების შედარებითი სიუხვე არსებობს მოცემულ რეგიონში.

აღნიშნული თეორიები, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო სპეციალიზაციას ეხება. ქვეყნის შიდა რეგიონების სპეციალიზაციის საფუძველს კი სპეციალისტები შემდეგნაირად ხსნიან: რამდენადაც ქვეყნის შიგნით წარმოების ფაქტორების მიბილურობა არ არის გართულებული საბაჟო ბარიერებით, ხდება ხელფასის გათანაბრება, რისი მეშვეობითაც, რეგიონები სპეციალიზდებიან იმ პროდუქტების დამზადებაზე, რომელთა წარმოებაზეც შრომის მწარმოებლურობაში მათ აბსოლუტური უპირატესობა გააჩნიათ (კრუგმანი, ობსტფელდი, 1997).

ფარდობითსა თუ აბსოლუტურ უპირატესობათა თეორიაში უუპირატესობათა წყაროები აიხსნება ბუნებრივი რესურსების, ადამიანური კაპიტალის თავისებურებებით. აბსოლუტურ უპირატესობათა მაჩვენებელს წარმოადგენს უფრო მაღალი შრომის მწარმოებლურობა აბსოლუტურ ერთეულებში, ფარდობითი უპირატესობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს შესაბამისი პროდუქციის 1 ლარის ხელფასტევადობა /საწყაობა/ საბაზო მაჩვენებელთან შედარებით. შედარებით და აბსოლუტურ უპირატესობათა საფუძველზე სპეციალიზაცია რეგიონებს კონკურენტულ უპირატესობებს ანიჭებს, რამდენადაც უზრუნველყოფს ეფექტების – მასშტაბის, გაქანების, სწავლების მრუდის გამოყენებას.

ამრიგად, კონკურენტული უპირატესობები (აბსოლუტურ და ფარდობით უპირატესობათა ჩარჩოებში განხილული) აყალიბებენ სპეციალიზაციას, ხოლო სპეციალიზაცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტული მოგების საშუალებას იძლევა.

მაგრამ ქვეყნის რეგიონების სპეციალიზაცია ჩამოყალიბდა გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, სამრეწველო ბაზების სახალხო-სამეურნეო გეგმებით შექმნის, პოლიტიკური (ძირითადი სამრეწველო ბაზების ქვეყნის საზღვრებიდან დაშორება) და ისტორიული მიზეზების (ომის დროს სამრეწველო ბაზების გადატანა) შესაბამისად. როგორია ქვეყნის რეგიონების სპეციალიზაციის საფუძველი? ამის გასარკვევად ჩავატარეთ რეგიონების სპეციალიზაციის ანალიზი, შევადარეთ ერთმანეთს რეგიონების აბსოლუტური და ფარდობითი უპირატესობები.

თხრობის ერთიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, ჯერ აღვნიშნავთ, რომ რეგიონების დიფერენციაციის პროცესი შეიძლება აიხსნას ისეთი თეორიების დახმარებით, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებიან შედარებითი და აბსოლუტური უპირატესობათა თეორიებისაგან, რომლებიც, ამავე დროს, რეგიონების სპეციალიზაციის მიზეზებს ტრადიციულისაგან განსხვავებულად ასაბუთებენ. ეს არის ინტრადარგობრივი ვაჭრობის თეორია, კონკურენტულ უპირატესობათა თეორია, ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის თეორიები, სივრცობრივი კონკურენციის მოდელები.

დაწვრილებით განვიხილოთ სპეციალიზაციის, რეგიონების დიფერენციაციის, ასევე, რეგიონების კონკურენტული პოზიციების შეუთანხმებლობის საერთო მიზეზები უფრო თანამედროვე მოდელებში.

ინტრადარგობრივი რეგიონთაშორისი ვაჭრობის თეორიის არსი შემდეგში მდგომარეობს. რეგიონები, ქვეყნების მსგავსად, ერთმანეთში ცვლიან გარკვეული განსხვავების მქონე პროდუქტებს (სასაქონლო დიფერენციაცია), რასაც ინტრადარგობრივი ვაჭრობა ეწოდება. ეს ხდება, ერთის მხრივ, მომხმარებლის ფართოდ დივერსიფიცირებული მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად, მეორეს მხრივ კი, მწარმოებელთა სურვილით, გამოიყენონ ეკონომიის მილების შესაძლებლობა მასშტაბის ეფექტის ხარჯზე. რაც უფრო ფართოდაა განვითარებული შიდადარგობრივი რეგიონთაშორისი ვაჭრობა, მით მეტი შესაძლებლობა აქვთ რეგიონის ფირმებს გამოიყენონ მასშტაბის და სწავლების მრუდის ეფექტი.

სხვა თეორია რეგიონების სპეციალიზაციას, რეგიონთაშორის გაცვლას და კონკურენტულ პოზიციებს ხსნის იმ კონკურენტული უპირატესობებით, რომელიც მ. პორტერის ცნობილ რომბში ასახული პირობების ერთობლიობით განისაზღვრება. ამ პირობების კომპლექსი ისეთი ურთიერთდაკავშირებული დარგების კონკურენტუნარიანი კლასტერისების ფორმირების საშუალებას იძლევა, რომლე-

ბიც ერთმანეთს მხარში უდგანან და აძლიერებენ. კონკურენტულ უპირატესობათა თეორია განმარტავს, როგორ შეუძლიათ რეგიონებს ურთიერთგამაძლიერებელი კონკურენტული უპირატესობების განვითარება.

ინტრადარგობრივი ვაჭრობისა და კონკურენტული უპირატესობების მოდელები ფორმალიზებული არ არის.

ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის მოდელები ფირმების სივრცობრივი განლაგების შედეგად კონკურენტულ უპირატესობათა მიღების შესაძლებლობებს ასახავენ. რამდენადაც ქვეყნის შიგნით კაპიტალისა და სამუშაო ძალის შიდა მობილურობა ქვეყნებს შორის მობილურობაზე უფრო მაღალია, ფირმას შეუძლია განლაგებაში ვარიაციები შექმნას კონკურენტული უპირატესობის მიღწევის მიზნით. როცა ერთმა ფირმამ ან ფირმების ჯგუფმა თავდაპირველად აირჩია განლაგების ადგილი, დანარჩენი ფირმები იწყებენ თავიანთი სივრცობრივი განლაგების პოზიციის შერჩევას პირველ ფირმასთან (ფირმათა ჯგუფთან) მიმართებაში.

აქ შესაძლებელია ორი ვარიანტია – ერთმანეთთან რაც შეიძლება ახლო და ერთმანეთისგან რაც შეიძლება შორს განლაგება. რაც შეიძლება ახლო განლაგება სივრცობრივი ეკონომიკის თეორიაში კუმულატური მიზეზობრივობის პროცესით აიხსნება, რომლითაც განლაგებისთვის არჩეული რომელიმე რეგიონის თავდაპირველი, შესაძლოა, შემთხვევით შექმნილი უმნიშვნელო უპირატესობა მკვიდრდება.

კუმულატური მიზეზობრივობის მოდელში კუმულატური ეფექტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ როცა ფირმები თავიანთი ადგილმდებარეობის ერთმანეთთან რაც შეიძლება ახლო თავმოყრას ახდენენ, „მოქმედებს“ საშინაო და საგარეო ეკონომიის ეფექტები. შიდა ეკონომია ფირმის წარმოების მოცულობის ზრდის შედეგად საქონლის ერთეულზე დანახარჯის შემცირებაში მდგომარეობს. გარე ეკონომია – ერთეულზე დანახარჯის შემცირებაა ერთგვაროვანი ფირმების ერთ სივრცეში თავმოყრის, ტრანსპორტის დანახარჯების შემცირების, მომხმარებლისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების თავმოყრის შედეგად, რაც მასშტაბის შიდა ეფექტის გამოყენების საშუალებას იძლევა. გარე ეკონომიის ეფექტი ძლიერდება შრომის ბაზრების, სასწავლო დაწესებულებების, სამეცნიერო ცოდნათა კონცენტრაციის უპირატესობების ხარჯზე.

თავის მხრივ, რეგიონებს შეუძლიათ სტიმული მისცენ რეგიონში ფირმების მოზიდვას. რეგიონში ეკონომიკურად აქტიური ფირმების, ინვესტორების, წვრილი ბიზნესის მოზიდვა აძლიერებს კუმულატური მიზეზობრიობის ეფექტს; ასეთ რეგიონებს გარე და შიდა ეკონომიის საფუძველზე განვითარების უპირატესობები გააჩნიათ. მათში ყალიბდება უფრო მაღალი შემოსავლები და შიდა მოთხოვნა, ვითარდება ინფრასტრუქტურა, ყველაფერი ეს ეხმარება რეგიონის კონკურენტული უპირატესობების ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის შემდგომი დიფერენციაციის საფუძველს. ასეთია სივრცობრივი კონკურენციის საერთო სქემა, რაც, შეიძლება ითქვას, მ. პორტერის კონკურენტულ უპირატესობათა მოდელს ეხმაურება.

დარგობრივ ბაზართა თეორიაში ფირმების ერთ ადგილზე თავმოყრა სატრანსპორტო ხარჯების დიფერენციაციით აიხსნება, ფირმების რაც შეიძლება ერთმანეთისაგან დაშორება კი – ბაზარზე ძალაუფლების მოპოვებისადმი სწრაფვით.

სპეციალიზებული ფირმების სივრცობრივი ლოკალიზაციის პროცესი და, პირიქით, მათი დაშორება ფორმალიზებულია კონკურენციის რამდენიმე ძირითად სივრცობრივ მოდელში, როგორებიცაა ხოტელინგის მოდელი, გაბუეიჩ-ტისეს მოდელი. ისინი ფირმების სივრცობრივი ლოკალიზაციის განვითარების და ფირმების სივრცობრივ განლაგებაზე კონკურენციის გავლენის ახსნას იძლევიან. ორივე მოდელი განლაგების სხვადასხვა ვარიანტებსა და სხვადასხვა ფაქტორების დემონსტრირებას ახდენს, რაც განლაგების გეოგრაფიული ადგილის არჩევას განაპირობებს. ფირმების მიერ ადგილმდებარეობის არჩევის განმსაზღვრელი ეს ფაქტორები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგიონულ პოლიტიკაში.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი. თუ A ფირმამ სივრცეში – ქუჩაზე (რეგიონში) აირჩია თავისი ადგილმდებარეობა ქუჩის ერთი ბოლოდან „ა“ მანძილზე, მაშინ მეორე, B ფირმა ისეთ ადგილმდებარეობას აირჩევს, რომ მოგების მაქსიმიზაცია შეძლოს. ამისათვის ის უფრო ახლოს უნდა იყოს მომხმარებელთა მეტ რაოდენობასთან. ერთნაირი პროდუქტების შემთხვევაში, ცხადია, მომხმარებელი, ტრანსპორტის ხარჯების მინიმიზაციის მიზნით, იმ ფირმას აირჩევს, რომელიც მის სახლთან უფრო ახლოსაა. ამისათვის B ფირმისთვის უკეთესი იქნება, თუ ის A ქუჩის მარცხნივ გადაინაცვლებს, სადაც A ფირმას ყველა მომხმარებელს წაართმევს. შემდეგ A ფირმა გადაინაცვლებს და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ორივე ფირმა ქუჩის ცენტრში არ აღმოჩნდება, სადაც თითოეულს მყიდველთა სა-

ერთო რაოდენობის ნახევარი ეყოლება. მდგომარეობა თანაბარია, ფირმებს არა აქვთ გადაადგილების სტიმული. ფიქსირებული ფასის დროს ადგილმდებარეობა სტრატეგიულად ცვლადი იქნება და მომსახურების ცენტრისკენ იქნება მიდრეკილი.

თუ ფირმები მომხმარებლისგან სხვადასხვა მანძილზე არიან განლაგებული, მაშინ უახლოესი ფირმა უფრო მაღალ ფასს დააწესებს მოხერხებული განლაგების გამო. რაც უფრო შორსაა მომხმარებელი ფირმისგან, მით უფრო სუსტია მისი საბაზრო ძალაუფლება და მაღალია საფასო კონკურენცია. სხვა ფირმის მოახლოებასთან ერთად მატულობს მისი მონოპოლიური ძალაუფლება და იზრდება პირველ ფირმამდე მისასვლელი სატრანსპორტო ხარჯების მნიშვნელობა.

ფირმების ფიქსირებული ადგილმდებარეობის დროს საბაზრო ფასების დადგენა სატრანსპორტო ხარჯების სიდიდით განისაზღვრება. საქონელზე ძალიან მაღალი ფასის შემთხვევაშიც კი მოიძებნება მყიდველთა ჯგუფი, რომელიც მას შეიძენს, თუკი შეძენა მოხდება დროისა და სატრანსპორტო ხარჯების ეკონომიით. ამიტომ მოხერხებულად განთავსებულ ფირმას განსაზღვრული საბაზრო ძალაუფლება გააჩნია, რაც მას მაღალი ფასების დანესების უფლებას აძლევს.

განვსაზღვროთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფირმის ადგილმდებარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. ვთქვათ, მომხმარებლიდან A ფირმამდე X მანძილია; მომხმარებლიდან B ფირმამდე (1 – X)მანძილია; t – ტრანსპორტის ხარჯებია ერთეულ პროდუქციაზე.

ფირმა A თავის საქონელს $P_1$-ის, ხოლო ფირმა B – $P_2$-ის ოდენობის ფასს ადებს. აქედან გამომდინარე, A ფირმისა და B ფირმის სრული შესასყიდი ფასი ასეთი იქნება:

$P_a = P_1 + tx.$

$P_b = P_2 + t\ (1-x).$

ზღვრული მომხმარებლისათვის – მომხმარებლისათვის, რომლისთვისაც სულ ერთია, რომელი ფირმისაგან შეიძენს საქონელს, A ფირმისაგან შესასყიდი სრული ფასი ტოლი იქნება B ფირმისაგან შესასყიდი ფასისა.

ამრიგად, ფირმათა რიცხვი, რომლებიც ბაზარზე დიფერენცირებული პროდუქტით მოქმედებენ, პირდაპირპროპორციულია სატრანსპორტო ხარჯებისა და უკუპროპორციულია მუდმივი დანახარჯების სიდიდისა. საქონლის ფასი იზრდება სატრანსპორტო ხარჯებისა და მუდმივი დანახარჯების გაზრდასთან ერთად.

თავის მხრივ, სატრანსპორტო ხარჯებს, შეიძლება სხვა შესაძლო განმარტებაც ჰქონდეს. მაგალითად:

1. კომპანიის საგადასახადო შეღავათების სიდიდე ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან, ადგილობრივ ბაზარზე ამ კომპანიის შენარჩუნების მიზნით.

2. ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური დანახარჯები.

3. მომხმარებლისათვის კომპენსაციის ოდენობა უკეთესი საქონლის უარესით შეცვლის შემთხვევაში.

4. მარგობის დაკარგვის ფულადი ექვივალენტი მომხმარებლისთვის, რომელიც იძულებულია დაყაბულდეს სხვა საქონელს.

5. ფასდაკლების თანხა, რომელიც აუცილებლია, რათა მომხმარებელმა უარი თქვას უკეთეს საქონელზე და შეიძინოს სხვა საქონელი.

სატრანსპორტო ხარჯების პარამეტრები, ჩვენი აზრით, შესაძლოა გაგებულ იქნას, როგორც საინფორმაციო დანახარჯები ადგილობრივი ბაზრის შესასწავლად, კავშირების დასამყარებლად, „კრიშის" მოსაძიებლად ან მასთან ურთიერთობა ლოკალურ ბაზარზე, ე. ი. როგორც ტრანსაქციონერული დანახარჯები ინფორმაციის მოძიებისა და საკუთრების უფლების დასაცავად.

კუმულაციური მიზეზობრიობის მოდელი გვიჩვენებს რეგიონში ფირმათა რიცხვის ზრდის მომგებიანობას, რადგან ფირმების ნაწილი სხვა ფირმებს მოიზიდავენ, რაც განაპირობებს მოსახლეობის დასაქმებისა და ხაზინაში შემოსავლების ზრდას.

ადგილობრივ ბაზარზე ფირმების შენარჩუნების მიზეზი შეიძლება იყოს სატრანსპორტო ტარიფების ფასობრივი რეგულირება. რეგიონის ადმინისტრაციას რეგიონის ბაზარზე ფირმების მოზიდვა შეუძლია აგრეთვე მიზნობრივი სუბსიდიების დახმარებით და სოციალური ან სხვა ხარჯების თავის თავზე აღებით. ეს შეიძლება იყოს ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა, სადაც ფირმებისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონეა საინფორმაციო მომსახურებანი – მარკეტინგული ინფორმაცია, საქმიანი მომსახურება – ფაქსი, ინტერნეტი.

დარგობრივი ბაზრების თეორიის სხვა მოდელი, რომელიც აგრეთვე ფირმების განლაგებაზე გავლენის მქონე ინსტრუმენტების გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა, პირიქით, დემონსტრირებას

უკეთებს გამყიდველების ერთმანეთისგან მაქსიმალურად დაშორების მიზეზებს, როცა ფირმებს საშუალება აქვთ როგორც ადგილმდებარეობის, ასევე ფასის ვარიაციები შექმნან. ამ მოდელის თანახმად, ფირმები თავდაპირველად ადგილმდებარეობას ირჩევენ, ხოლო შემდეგ ერთდროულად ადგენენ ფასებს.

მოცემულ მოდელში ორი ფირმა, რომელთაგან თითოეული დიფერენცირებული საქონლის ერთ სახეობას უშვებს, ადგილმდებარეობას ირჩევს იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენას იქონიებს ეს არჩევანი არა მხოლოდ მოთხოვნილების ფუნქციებზე, არამედ ფირმებს შორის ფასობრივ კონკურენციაზე.

თითოეული ფირმა ცდილობს გადაინაცვლოს მარცხნივ, თუ ის თავდაპირველად განლაგებული იყო მეორე ფირმისგან მარცხნივ, და მარჯვნივ, თუ თავდაპირველად მეორე ფირმის მარჯვნივ მდებარეობდა. ამიტომ ამ მოდელში თანაფარდობა ნიშნავს გამყიდველების ერთმანეთისგან მაქსიმალურ სივრცობრივ დაშორებას ან პროდუქციული დიფერენციაციის მაქსიმალურ ხარისხს.

ამრიგად, დარგობრივი ბაზრების თეორიაში საქონლის ჰორიზონტალური დიფერენციაციის მარტივი საწყისი მოდელი გვიჩვენებს, რომ თუ ფირმები თავისუფალი არიან თავიანთი ქმედების მხოლოდ ერთი პარამეტრის არჩევაში, – ან ადგილმდებარეობის, ან ფასის, მაშინ გამყიდველები ერთმანეთთან ან ახლოს განლაგდებიან (პროდუქციული დიფერენციაციის მინიმალური ხარისხი), ან ერთიანარ ფასებს აწესებენ სატრანსპორტო ხარჯების გათვალისწინებით. ხოლო თუ ფირმებს შეუძლიათ ვარირება როგორც ადგილმდებარეობით, ასევე ფასით, თანაფარდობის მდგომარეობა ნიშნავს გამყიდველების ერთმანეთისგან მაქსიმალურ დაშორებას, რომელიც სტრატეგიული ეფექტის შედეგს წარმოადგენს – ერთი ფირმის მიერ დანიშნული ფასი გავლენას იქონიებს მეორე ფირმის მოთხოვნილებაზე.

მოდელი რეგიონის ხელისუფლებას ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების არჩევის საფუძველს აძლევს. ქმედითი ინსტრუმენტი ფირმების საჭირო ადგილას თავმოყრისათვის იქნება ფასის ვარირების შესაძლებლობის შეზღუდვა, მაგალითად, ფასის ზღვარის დაწესება იმ სფეროს პროდუქციაზე, რომლის განვითარებაც ამ რეგიონში აუცილებელია.

საგარეო ეკონომიკის ეფექტი დაკავშირებულია სივრცეში მრენველობის კონცენტრაციასთან. განლაგების თეორიაში ის, ასევე, აღწერილია, როგორც ალგომერაციების ეფექტი: მსხვილი ქალაქების ეკონომიკური აქტივობისა და კონკურენტული უპირატესობების გაძლიერება.

ალგომერაციული ეფექტი – რეგიონების დიფერენციაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვითგამაძლიერებელი მიზეზია. თვითგაძლიერება მსხვილ ცენტრებში მობილური კვალიფიციური რესურსებისა და ინვესტიციების მოზიდვის ხარჯზე მიმდინარეობს.

განხილული თეორიული მიდგომები და მოდელები ითვალისწინებენ რეგიონების დიფერენციაციას კონკურენტულ უპირატესობათა დიფერენციაციის საფუძველზე. მსოფლიოში არსებობს მაგალითები როგორც დიფერენციაციის გაფართოებისა, ე. ი. რეგიონების დივერგენციისა, ასევე ქვეყნის შიგნით რეგიონების დიფერენციაციის შემცირებისა, – კონვერგენციისა. რეგიონების დივერგენციის მაგალითებს იტალია, ჩინეთი იძლევა. დიდი დიფერენციაციაა გერმანიაში ახალ მიწებსა (ყოფილი გდრ-ის რაიონები) და ძველ მიწებს შორის. მნიშვნელოვანმა ძალისხმევამ, რაც მიმართულია შიდა დიფერენციაციის ლიკვიდაციისაკენ, მიგვიყვანა მიწების მდგომარეობის მნიშვნელოვან გათანაბრებამდე, რომელიც, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში შენელდა და დასავლეთის ზოგიერთი ეკონომისტის მიერ საკმაოდ სკეპტიკურადაა შეფასებული.

რეგიონებს შორის დროის მანძილზე დიფერენციაციის დაწევის მაგალითს წარმოადგენს აშშ, სადაც გზებმა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების თანამედროვე სახეობებმა შეამცირეს ხარჯები ერთეულ პროდუქციაზე და გაათანაბრეს რეგიონების მდგომარეობა. თუმცა, ამერიკის შტატები განაგრძობენ კონკურენციას მობილური რესურსებისათვის; კონკურენცია კონკურენტულ უპირატესობათა ძიებისა და შექმნის სტიმულს წარმოადგენს.

ამგვარად, რეგიონების დიფერენციაციის გამომწვევი და რეგიონების კონკურენტული პოზიციებით განსხვავების მიზეზები შემდეგია:

* შეფარდებითი ან აბსოლუტური უპირატესობების არსებობა, რომლებიც რეგიონებს განსაზღვრულ დარგებში კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებენ;

* გარე ეკონომია – მხარდამჭერი და თანმხლები დარგების თავმოყრისაგან მიღებული, რომლითაც რეგიონში კონკურენტუნარიანი კლასტერი ყალიბდება.

* შიდა ეკონომია – რეგიონის ფირმებში სხვა რეგიონებთან ვაჭრობისას ბაზრის გაფართოების შედეგი.

# საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობა

## 8.1. საქართველოს ბუნებრივ– რესურსული პოტენციალის რეგიონული თავისებურებები (მოკლე მიმოხილვა)

ქვეყნის ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში უდაოდ პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინება, ვინაიდან მისი ზეგავლენის ხარისხი საწარმოო ძალების ტერიტორიების მიხედვით განლაგებაზე, სოლიდურია. კერძოდ, რესურსების რაოდენობა, ხარისხი და შეხამება განსაზღვრავს ტერიტორიის (რეგიონის) ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს, რომელიც თავის მხრივ მოსახლეობისა და სამეურნეო საქმიანობის განლაგების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ბუნებრივი რესურსების მდიდარი წყაროების ათვისება ხელს უწყობს მსხვილი სამრეწველო ცენტრების წარმოქმნას, სამეურნეო კომპლექსებისა და ეკონომიკური რაიონების ჩამოყალიბებას. რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მის საბაზრო სპეციალიზაციასა და კონკურენტუნარიანობაზე. ამასთანავე, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების ხასიათი ზეგავლენას ახდენს რეგიონული განვითარების ტემპებზე (იხილეთ ცხრილი 8.1.1).

რეგიონების მიხედვით ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

ცხრილი 8.1.1

მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით
(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 10 326.5 | 12 200.4 | 12 820.5 | 13 092.2 | 14 157.6 | 15 410.2 | 16 585.9 | 18 151.8 | 20 063.7 | 22 077.4 |
| აჭარის ა.რ. | 1 383.9 | 1 672.4 | 2 147.3 | 2 198.7 | 2 282.5 | 2 775.7 | 3 000.4 | 3 059.6 | 3 491.5 | 4 377.1 |
| გურია | 349.9 | 398.6 | 453.5 | 527.3 | 523.5 | 563.5 | 594.9 | 632.7 | 651.3 | 723.6 |
| იმერეთი | 1 688.7 | 1 913.3 | 2 104.3 | 2 093.4 | 2 205.4 | 2 830.7 | 2 560.5 | 3 212.9 | 3 587.2 | 3 654.7 |
| კახეთი | 817.4 | 967.4 | 1 027.5 | 1 324.8 | 1 471.9 | 1 466.0 | 1 572.4 | 1 902.2 | 2 017.6 | 2 187.6 |
| მცხეთა-მთიანეთი | 331.7 | 395.5 | 509.7 | 520.8 | 656.6 | 745.0 | 661.2 | 819.2 | 932.3 | 1 040.7 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 99.0 | 104.7 | 121.0 | 126.4 | 133.9 | 154.8 | 153.8 | 174.6 | 214.0 | 261.9 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1 278.6 | 1 404.3 | 1 370.5 | 1 683.2 | 1 692.0 | 1 856.4 | 1 832.3 | 2 123.0 | 2 067.6 | 2 466.1 |
| სამცხე ჯავახეთი | 667.1 | 723.5 | 733.5 | 905.3 | 1 058.2 | 889.2 | 1 009.1 | 1 114.3 | 1 200.2 | 1 422.5 |
| ქვემო ქართლი | 1 593.6 | 1 859.4 | 1 813.4 | 1 803.2 | 2 037.8 | 2 096.9 | 2 221.3 | 2 991.5 | 3 039.6 | 3 227.9 |
| შიდა ქართლი | 769.9 | 982.5 | 1 150.3 | 1 282.9 | 1 441.9 | 1 408.8 | 1 364.1 | 1 165.9 | 1 513.6 | 1 898.3 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში | 19 286.4 | 22 622.2 | 24 251.6 | 25 538.2 | 27 661.3 | 30 197.1 | 31 555.8 | 35 347.8 | 38 778.5 | 43 137.8 |
| (+) გადასახადები პროდუქტზე | 2 640.5 | 2 980.6 | 3 103.7 | 3 202.0 | 3 611.6 | 3 896.1 | 4 448.8 | 5 604.0 | 6 031.2 | 6 348.3 |
| (-) სუბსიდიები პროდუქტისზე | 105.3 | 124.1 | 128.0 | 147.2 | 148.8 | 158.3 | 168.6 | 190.0 | 210.3 | 233.4 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში | 21 821.6 | 25 478.7 | 27 227.3 | 28 593.0 | 31 124.1 | 33 935.0 | 35 836.0 | 40 761.7 | 44 599.3 | 49 252.7 |

ცხადია, რომ ეკონომიკური განვითარების, ცხოვრების დონის და ხარისხის მიხედვით რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი დისპროპორციებია, რაც უდავოდ საყურადღებო პრობლემაა, ხოლო წარმოდგენილი მონაცემების დაბალი დონე თვით ლიდერ რეგიონებში მათ ნეგატიურობას კიდევ უფრო ამწვავებს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული კონკურენტუნარიანობის შესწავლის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის განსაზღვრა, მისი ტერიტორიული შეთანაწყობის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხების გამოვლენა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსში მისი რაციონალური და დაბალანსებული გამოყენების პრობლემების განზოგადება.

საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასების მიმართულებით მეტად საინტერესო გამოკვლევა იქნა ჩატარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) განვითარების პროგრამის ფარგლებში. ამ გამოკვლევით დადგინდა, რომ ქვანახშირის რეზერვი დაახლოებით 350 მილიონი ტონაა, პოტენციური კიდევ 700 მილიონი ტონა. ქვანახშირის უმეტესი ნაწილი შედარებით დაბალი ხარისხისაა. ტყიბულის, ტყვარჩელის და ახალციხის წიაღისეულის მარაგებიდან მაქსიმალური ამოღება 1983 წ. წელიწადში 3 მილიონ ტონამდე აღწევდა, მაგრამ ეს რაოდენობა ძლიერ შემცირდა და მაღაროების არასწორი ექსპლუატაციისა და გამოფიტვის გამო.*

* პუმანური განვითარების ანგარიში საქართველოში 1997 წ., გაეროს განვითარების პროგრამა. თბილისი, 1998. გვ. 69.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან. ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ არსებული რესურსები, არამედ ბუნებრივი (გარემო) პირობების თავისებურებანიც, ვინაიდან ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და რელიეფი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. მეორე, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება მოიცავს მისი ცალკეული კომპონენტების (რესურსების სახეობის) პოტენციალის შეფასებასაც, ეს კი საკმაოდ რთულია. ცალკეული რესურსების ბუნებრივ პოტენციალს გააჩნია გაზომვის საკუთარი ერთეული (აგროკლიმატური– მრავალრიცხოვანი ჰიდროთერმული კოეფიციენტები, ჰიდროენერგეტიკული– სიმძლავრის ერთეულები და სხვა). ამდენად, ამ შემთხვევაში წარმოიქმნება სხვადასხვა მაჩვენებლის საერთო მაჩვენებლამდე დაყვანის სირთულე.

მინერალური რესურსების კლასიფიცირებას როგორც ეროვნულ, ასევე საზღვარგარეთულ პრაქტიკაში, ახორციელებენ სხვადასხვა პრინციპებზე დაყრდნობით: გენეზისის მიხედვით, ადგილმდებარეობის მიხედვით, ფუნქციონალური შესაძლებლობით, ეკონომიკისა და სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების ხასიათის მიხედვით. ამასთან, პრაქტიკაში გამოიყენება კლასიფიკაციის ისეთი სახის მახასიათებლები როგორიცაა: გენეტიკური ტიპი, სტრუქტურული თავისებურებები, მინერალოგიური და ქიმიური შემადგენლობა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები, სამრეწველო დანიშნულება და სხვ.

საქართველო მინერალური რესურსებით ძალიან მდიდარი არაა, მაგრამ არც ღარიბი ქვეყნების რიცხვს განეკუთნება. უფრო მეტიც, ფართობის ერთეულზე მინერალური რესურსების კონცენტრაციის დონით იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

საქართველოში მოიპოვება მინერალური რესურსების პრაქტიკულად ყველა ჯგუფში წარმოდგენილი სახეობები. საქართველოს ტერიტორიის ზედაპირი გეოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი, თუმცა სიღრმისეული სტრუქტურა შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში კი ძალიან სუსტად.

საკვლევი ობიექტი (საქართველოს რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის.) დეტალური გაანალიზებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის რეგიონების მიხედვით ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის განზოგადება.

**აფხაზეთის ა. რ.** საქართველოს რეგიონებს შორის გამოირჩევა მინერალურ-სანედლეულო რესურსებით. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ქვანახშირის საბადოში 2016 წლისათვის არსებული მარაგები და რესურსები 10 მლნ. ტონაზე ნაკლები არ იქნება," გარდა აღნიშნულისა, აფხაზეთში, არსებობს შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ბზიფის ქვანახშირის საბადო. გარდა ამისა, აფხაზეთში, აფშრის მიდამოებში არსებობს მაღალხარისხოვანი ბარიტის საბადო, რომლის მარაგი და რესურსები 28,5 მლნ. ტონით ფასდება, მაგრამ ეს საბადო განთავსებულია რთულ რელიეფურ პირობებში და მისი ათვისება საბჭოურ პერიოდშიც კი არ განხორციელებულა. ამასთან ერთად, ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ გალის რაიონში (ოცარცე), მდებარეობს ქვეყანაში არსებული ცარცის ერთადერთი მსხვილი საბადო, რომლის მარაგიც 3 მილიონი ტონით ფასდება. ასევე აქ არის განლაგებული ვერცხლისწყლის ძირითადი საბადოები აჰეის და ავადხარა, რომელიც კავკასიონის ე.წ. „ვერცხლისწყლის სარტყლის" ფარგლებში მდებარეობს. დოლომიტის მნიშვნელოვანი მარაგებია ტყვარჩელში, რომლის ათვისება 1968 წლიდან დაიწყო. სოხუმის რაიონშია განლაგებული საშენი კირქვების საბადო, ასევე ცნობილია ილტოსა და გუმისთის მარმარილოს საბადოები და სხვ.

მინერალურ-სანედლეულო რესურსების მდიდარი სპექტრია წარმოდგენილი **იმერეთის მხარეში.** უწინარეს ყოვლისა, აღენიშნათ ტყიბულ-შაორის ნახშირის საბადოს, რომლის ნახშირშემცველი ფენების საშუალო ნაცრიანობა 30,5 პროცენტს შეადგენს, ხოლო თბოუნარიანობა – 5500 კილოკალორიას, მისი სავარაუდო მარაგი დაახლოებით 670,5 მლნ. ტონას შეადგენს. ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში განთავსებულია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მანგანუმის საბადო, რაც მნიშვნელოვანი ნედლეულია შავი მეტალურგიის განვითარებისათვის. მთლიანი რეზერვი ფასდება 200 მილიონ ტონით.

იმერეთის მხარეში ასევე არსებობს სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების საბადოები. კერძოდ, სალიეთის (ჭიათურის რაიონი), მულითისა და მარელისის (ხარაგაულის რაიონი), შროშის (ზესტაფონის რაიონი) სხვადასხვა ხარისხის მარმარილოს საბადოები. ასევე ცნობილია მოსაპირკეთებელი ქვები კურსების ტეშენიტები (ტყიბულის რაიონი), ეკლარისა და გუდოვანის თეთრი ქვები (თერჯოლის რაიონი), ზესტაფონის რაიონში განლაგებულია ცეცხლგამძლე თიხის ბუდობები. იმერე-

---

* საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები თბილისი, 2004.

თის მხარეშია განლაგებული კვახჭირის, მიუსერის, გელათისა და მოწამეთის საშენი კირქვების საბადოები. ბაზალტის ქვების საბადოებია სათაფლიასა და პერიგისში. ცნობილია, აგრეთვე, ღორღის, ქვიშისა და კენჭის აჯამეთის საბადო. იმერეთის რეგიონში მოიპოვება აგურ-კრამიტის თიხები, აგრეთვე, უმნიშვნელო რაოდენობით არსებობს სხვა სახის მინერალურ-სანედლეულო რესურსებიც.

მურა ნახშირის მნიშვნელოვანი საბადოებია **სამცხე-ჯავახეთის მხარეში**, კერძოდ ახალციხეში, სადაც 300 ათასი ტონა ნახშირის საპროექტო სიმძლავრისა და 20 მლნ. ტონა საერთო მარაგის მქონე სამი მაღარო მოქმედებს. გარდა ამისა, დაპროექტებული და დაკონსერვებული მაღაროების ნახშირშემცველი ფენების მარაგი შეადგენს 60 მლნ. ტონას.

ანდეზიტი მოიპოვება ბაკურიანის საბადოებში, აქატი კი ახალციხის საბადოში. ბარიტის რამდენიმე მნიშვნელოვანი მარაგებია დავით გარეჯში, მაგრამ იგი საგრძნობლად ღარიბია (20-30%-მდე ბარიტს შეიცავს) და სპეციფიკურ დამუშავებას საჭიროებს.

ჩვენ გვაქვს ცეოლითებისა და დიატომიტის მნიშვნელოვანი საბადოები ქ. ახალციხის ახლოს. ქისათიბის მიდამოებში განლაგებული დიატომიტის საბადო თავისი ქიმიური და ფიზიკური თვისებებით უმაღლესი ხარისხისაა და ფართოდ გამოიყენება ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. დიატომიტის საბადოები გვხვდება, აგრეთვე, სოფლების – ხონას (ახალციხის რაიონი), ჭობარეთის (ასპინძის რაიონი) მიდამოებში.*

სამრეწველო დამუშავებისათვის გამოსადეგი მჟავაგამძლე მასალა – ანდეზიტი მოიპოვება ბორჯომის რაიონის (დაბა, საკოჭაგი, გუჯარეთი, მუხერი, ბაკურიანი) საბადოებში. მნიშვნელოვანია შურდოსა და ჰამაჯ-ზიარეთის საბადოები (ახალციხის რაიონი). ახალქალაქის სამხრეთით 7-10 კილომეტრის მანძილზე არის ვულკანური წიდის საბადოები, რომელთა მარაგი 300 მლნ. ტონას აღწევს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რეგიონი მეტად მდიდარია მინერალური წყლების რესურსებით, რომლის მნიშვნელობა და გამოყენების ხასიათიც დღითიდღე უფრო მეტად სერიოზული ხდება.

**აჭარა-თრიალეთში** არსებობს გარკვეული რაოდენობის ოქროს მარაგი, რომლის საპროგნოზო მნიშვნელობა დაახლოებით 15 ტონით განისაზღვრება. აჭარის ა. რ.-ში მდებარეობს მერისის სპილენძის საბადო, რომლის მადანი შეიცავს 2,66% სპილენძს, 0,67% თუთიას, 0,4% ტყვიას, ასევე მერისში მცირე რაოდენობით არის ვერცხლის რესურსები: აჭარის ა. რ.-ში, აგრეთვე, მცირე ოდენობით მოიპოვება სხვა სახის მინერალური რესურსებიც. აგრეთვე, ქობულეთის ტორფის საბადო, რომლის მარაგი 2,6 მლნ. ტონით განისაზღვრება.

**რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე** მდიდარია ისეთი ძვირადღირებული ნედლეულით, როგორიცაა დარიშხანი. დარიშხანის სამი საბადოს ჯამური მარაგი 64,5 ათასი ტონას შეადგენს, რომლის 20% ლუხუნის (ზემო რაჭა) მსოფლიო მასშტაბით უნიკალური პიგმენტის (დარიშხანის მინერალები) საბადოზე მოდის. ლუხუნის კომპლექსური საბადო, დარიშხანთან ერთად, გაკეთული ვოლფრამისა და ოქროს მარაგსაც შეიცავს. ზემო რაჭაში ასევე არსებობს ანთიმონიუმის რამდენიმე საბადო (ზოთხითო, ჭიშურა, სანარცხია და სხვ.), რომელთა ჯამური მარაგი 40 ათას ტონას აღემატება და სხვ.

ოქროს მარაგებიდან დღეისათვის საქართველოში მხოლოდ **ქვემო ქართლში** განლაგებული მადნეულის საბადოს დამუშავება წარმოებს, სადაც ბალანსზე აყვანილია 37,3 ტონა ოქრო. მინერალურ-სანედლეულო რესურსებიდან საქართველოსათვის მნიშვნელოვანი რესურსი-სპილენძის მადნის 85,2% ანუ 444,3 ათასი ტონა ქვემო ქართლის რეგიონზე მოდის. ქვემო ქართლის რეგიონი ასევე გამოირჩევა არამადნეული წიაღისეულის მარაგებითა და მრავალფეროვნებით, მათ შორის ბარიტის, დოლომიტების, ანდეზიტისა და სხვა მინერალური საბადოებით. ბარიტის მსხვილ საბადოდ ითვლება მადნეულის საბადო 3,7 მლნ. ტონა მარაგით. თაბაშირის გარკვეული მარაგებია მარნეულში, ცნობილია თეთრი წყაროს რაიონის ანდეზიტისა და ბაზალტის საბადოები, სადახლოს მარმარილოს და კირქვის საბადოები და სხვ.

მინერალურ-სანედლეულო რესურსებით შედარებით ღარიბია **შიდა ქართლის მხარე**, რომელშიც ძირითადად წარმოდგენილია არამადნეული რესურსები და მინერალური წყლები. პირველ რიგში აღსანიშნავია ქართლის რაიონში არსებული დოლომიტის საბადო, რომლის მარაგი 6,8 მლნ. ტონას შეადგენს.

**ასევე შეიძლება დასახელდეს საშენ მასალათა წარმოებისათვის აუცილებელი ნიაღისეული: ცემენტის (მერგელების, კავთისხევის საბადოები), ტუფის (გრაკალთან), ანდეზიტის, კირის, აგურ-კრამიტის, თიხების, ქვიშისა და სხვა საბადოები.**

რეგიონი მდიდარია ქვიშისა და ღორღის საბადოებით, რომელთაგან უდიდესია ლიახვის საბადო (გორთან) – მარაგი 17 მლნ. ტ., აგრეთვე, აგარის(35 მლნ. ტ.), ქარელის (2,5 მლნ. ტ.), მეტეხის (27

* საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები. თბილისი, 2004.

მლნ. ტ.), ქსნის (11 მლნ. ტ.), გომის (1,2 მლნ. ტ.), ცხრა-მუხის (4 მლნ. ტ.). ცნობილია ასევე აგურ-კრამიტის თიხის საბადოები – მეტეხის (6 მლნ. ტ.), გორის (705 ათასი ტ.), ხიდისთავის (435 ათასი ტ.), ხელისის (1,0 მლნ. ტ.) და სხვა საბადოები. კირქვის კავთისხევის (1,9 მლნ. ტ.), ქარელის (2,9 მლნ. ტ.), ტინის ხიდის (0,2 მლნ. ტ.), ძეგვის (2,0 მლნ. ტ.), ალის (2,2 მლნ. ტ.) და სხვა საბადოები.*

**კახეთის მხარე** ძირითადად მდიდარია ნავთობის საბადოებით (მირზაანი, ტარიბანა, პატარა შირაქი და სხვ.) თაბაშირის გარკვეული მარაგებია გურჯაანის რაიონში, მირზაანის ტერიტორიაზე მდებარეობს კირქვის საბადოები და სხვ.

**სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში** ქ. ზუგდიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით 40-კმ-ზე მდებარეობს მაგანის ქვანახშირის საბადო. ტორფის მნიშვნელოვანი საბადოებია ფოთში, ხობში, დიდიჭყონში, რომლებსაც ფართოდ იყენებენ სოფლის მეურნეობაში როგორც მაღალხარისხოვან სასუქს (განსაკუთრებით ციტრუსოვანთა და ჩაის პლანტაციებისათვის). დაბა ჯვარში მდებარეობს დოლომიტების საბადოები, აგრეთვე, ბარიტის საბადოები და სხვ.

**გურიის მხარე** ცნობილია ბენტონიტური თიხების მარაგებით, რომლებიც მდებარეობს ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში. ოზურგეთის რაიონშია განლაგებული ასევე ცეცხლგამძლე თიხის საბადოები და სხვ.

წყლის რესურსები და ენერგეტიკული პოტენციალი. რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით – მდინარეებით, ტბებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავებით, მინისქვეშა მტკნარი წყლებით, მინერალური წყლებით და თერმული წყლის რესურსით. გურიაში სულ 25 საშუალო და მცირე ზომის მთის მდინარე ჩამოედინება, რომელთა საერთო სიგრძე 598 კმ-სშეადგენს, ხოლო აუზების საერთო ფართობი 1000 კვ.კმ-ზე მეტია. რეგიონში არის 3 ტბა (საერთო ფართობი რეგიონში – 3,5 კმ 2) და 3 წყალსაცავი (საერთო ფართობი – 4,4 კმ 2). 2011 წელს ბუნებრივი წყლის ობიექტებიდან წყლის აღებამ 95 მლნ კბმ, ხოლო წყლის გამოყენებამ 94,4 მლნ კბმ შეადგინა. 2011 წლის წყალაღების მონაცემების თანახმად, რეგიონში მოპოვებული წყლის რესურსების (მინისქვეშა და ზედაპირული წყალი) 96% გამოიყენება ჰიდროენერგეტიკაში. 2% სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო დანარჩენი – სამრეწველო დანიშნულებით, სარწყავად და რეკრეაციული დანიშნულებით. გურია ესაზღვრება ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის შავ ზღვას.

გურიაში მოიპოვება მინერალური წყლები – ნაბეღლავი (მარაგი – 101,9 მ 3 დღე-ღამეში) და გულიანი (მარაგი დაუდგენელია). ნაბეღლავის წარმოება კარგად არის განვითარებული და იგი რეგიონის ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს. რეგიონში არსებული მინერალური წყლის რესურსის რეკრეაციული და საკურორტო დანიშნულებით გამოყენება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, შეზღუდულია. ასევე გამოუყენებელია თერმული წყლების ენერგეტიკული პოტენციალი. მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული რეგიონის ტერიტორიაზე არსებული, უნიკალური ბალნეოლოგიური თვისებებით ცნობილი შავი ზღვის სანაპირო ზონის პოტენციალი (ურეკი-შეკეთილი-ნატანების მაგნიტური ქვიშის პლაჟები), რასაც, არსებითად, წყალგაყვანილობის, საკანალიზაციო სისტემებისა და შესაბამისი გამწმენდი ნაგებობების არარსებობა განაპირობებს.

წყლის რესურსების პოტენციალი ჰიდროენერგეტიკაში არ არის ეფექტიანად გამოყენებული. მხარის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები იძლევა შესაძლებლობას, გურიის მდინარეებზე აშენდეს მცირე ჰესების კასკადები, საერთო სიმძლავრეებით 80-100 მგვტ, რაც არა მხოლოდ დააკმაყოფილებს მხარის ენერგეტიკულ მოთხოვნას, არამედ შესაძლებელი იქნება ელექტროენერგიის რეალიზაციაც და ამით, შემოსავლების დამატებითი წყაროს შექმნა. გურიის ტერიტორიაზე ორი მოქმედიჰესია – ბუუჭესი (მდინარე ბუუჭზე) და აჭჰესი (მდინარე აჭზე), რომელთა საერთ ოსიმძლავრე 12,8 მგვტ-ს შეადგენს. ორივე ჰესი ჩართულია საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში.

2007 წლიდან აქტიურად დაიწყო „ბახვიჰიდროპაუერის" კასკადური ჰესების მშენებლობა, რომელიც 6 ერთეულისაგან შედგება და საერთო ჯამში 60 მგვტ-ს გამოიმუშავებს. ამჟამად, მიმდინარეობ სმშენებლობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. აქტიურად მიმდინარეობს ზოტიჰესის საპროექტო სამუშაოები დ ასაინვესტიციო წინადადებების მომზადება. აღსანიშნავია, რომ რეგიონის გეოდინამიკური პოტენციალისა და მაღალი საშიშროების რისკის გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია როგორც რეგიონის მოსახლეობის უსაფრთხოების, ისე გარემოს დაცვის თვალსაზრისით.

რეგიონში არსებობს ალტერნატიული ენერგორესურსები. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ქარების მიმართულება, სიჩქარე და ხანგრძლივობა ქმნის გაბატონებული

---

* საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები. თბილისი, 2004.

ქარის რესურსის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას. ქარის ტურბინას შეუძლია წელიწადში, საშუალოდ, 127 დღე-ღამის განმავლობაში იმუშაოს. მზის ენერგიის რესურსი, ცხელი წყლით მომარაგების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მცირე ზომის სასტუმროებში, საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობებში. რეგიონში არის ბიოგაზის, ბიომასის (თხილის და სახერხების ნარჩენები) და თერმული წყლის რესურსების ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა.

ტყის რესურსები. რეგიონი მდიდარია ტყის რესურსებით, რომელიც მრავალფროვანი ტყით სარგებლობის შესაძლებლობას იძლევა.

გურიაში ტყეს ტერიტორიის 48% უკავია. ტყის ფონდის ფართობი 86,4 ათას ჰა-ს შეადგენს, საიდანაც ტყით 81,2 ათასი ჰა არის დაფარული. 2012 წელს ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა 15,7 ათას კბმ-ს შეადგენდა, რაც 11,6 ათასი კბმ-ით მეტია 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამგვარი მაჩვენებელი, ძირითადად, ტყის სამასალედ ათვისების ზრდითაა განპირობებული. დღეისათვის ხორციელდება ხე-ტყის მოპოვება 7,9 ათას ჰა ფართობზე, რისთვისაც გაცემულია ხე-ტყის დამზადების ერთი სპეციალური ლიცენზია. რეგიონში ოპერირებს 21 ლიცენზირებული სახერხი.

ტყის შემქმნელ ძირითად მერქნიან სახეობებს შორის, მაგარმერქნიანი ფოთლოვნებიდან რეგიონის მასშტაბით ჭარბობს წიფელი (29370 ჰა, 6700,2 ათასი კბმ). მნიშვნელოვანი ფართობი უკავია რცხილას (2518 ჰა. 212,9 ათასი კბმ), აკაციას (9786 ჰა, 57.2 ათასი კბმ) და ნაბლს (466 ჰა, 47,1 ათასი კბმ). წიწოვნებიდან ჭარბობს ნაძვი (5520 ჰა, 1926 ათასი კბმ), სოჭი (2900 ჰა, 1231,4 ათასი კბმ) და ფიჭვი (166 ჰა, 17 ათასი კბმ). რბილმერქნიანი ფოთლოვნებიდან ყველაზე დიდი ფართობი უკავია მურყანს (12398 ჰა, 1099,6 ათასი კბმ) და ვერხვს (144 ჰა, 30,9 ათასი კბმ). ქვეტყე და ბუჩქნარი, ძირითადად, წარმოდგენილია წყავით, შქერით და იელით. რეგიონის ტერიტორიაზე გვხვდება ასევე ბამბუკი (4 ჰა, 0,1 ათასი კბმ).

ტყეებისა და მისი რესურსების პოტენციალის გამოყენებას რეგიონის განვითარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მერქნული რესურსის არსებული მარაგები, სწორად დაგეგმვისა და მდგრადი ტყითსარგებლობის შემთხვევაში, იძლევა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების, ისე მათი სამრეწველო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არის განხორციელებული ტყის რესურსების ინვენტარიზაცია.წიაღისეული. რეგიონში მოიპოვება სხვადასხვა სახის წიაღისეული. ამჟამად, რეგიონში წიაღისეული რესურსების მოპოვებაზე 74 ლიცენზიაა გაცემული. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოიპოვება ბენტონიტური თიხა, რომლის მარაგი 10 მლნ ტონაზე მეტია. თიხის მოპოვება და და მუშავება, ამჟამად, ძალზე მცირე მოცულობით მიმდინარეობს. თიხის გადამუშავებას და ნედლეულის ექსპორტის პროდუქციის ექსპორტით ჩანაცვლებას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს საბიუჯეტო შემოსავლები და დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა. ტორფის საბადოს კო ლხე თის პარკის ტერიტორიაზე 300 ჰა უკავია.

მისგან მიიღება ორგანული სასუქი, რომელიც ნებისმიერი ტიპის ნიადაგისათვის გამოსადეგია და არის ეკოლოგიურად სუფთა (პარკის ტერიტორიაზე ტორფის მოპოვება საერთაშორისო ხელშეკრულებებით არის აკრძალული). საქართველოში აპატიტი მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტშია (სოფ. ვაკიჯვარი), სადაც ქანები 7-10% აპა ტიტს შეიცავს. ამავე სოფლის ტერიტორიაზე არის წითელი რკინის მადანი. აქეკა აღმოჩენილი სპილენძის ბუდობები, მცირე ოდენობით ტყვია, ვერცხლი და თუთია. კაოლინის საბადოა სოფელ მაკვანეთში, სადაც კაოლინის ფენის სიმძლავრე 0,4-დან 11 მეტრამდეა. სოფ. შემოქმედსა და გომში არის სიენიტების საბადო (სიენიტი მაგმური ქანია, რომელიც გრანიტს წააგავს და საუკეთესო საშენი მასალაა). ოქრას საბადოა სოფ. ნაგომარში, რომლის სიმძლავრე 1,5-2 მეტრი, ხოლო სამ ვალენტიანი რკინის ჟანგის რაოდენობა 22,33%-ია (ოქრა გამოიყენება მინერალური საღებავების და სამზადებლად). ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოიპოვება ტუფის და გრანიტის მოსაპირკეთებელი მასალა, რომელთაგან თითოეულის საერთო მარაგი 400 ათას მ 3 -ს შეადგენს. ჩოხატაურ ის მუნიციპალიტეტში არსებობს ასევე ოქროს წიაღისეული, რომლის მარაგი შეფასებული არ არის.

კირქვის საბადო მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. კირქვა მერგელოვანია, თეთრი და რუხი ფერისაა. ნედლეული პასუხობს მოთხოვნებს სამშენებლო ჰიდრავლური კირის საწარმოებლად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშია ასევე სააგურე თიხის რამდენიმე საბადო, საბადოს თიხა ყავისფერი,

მოცისფრო-რუხი და რუხი-მოლურჯო ფერისაა. ფილიფსიტშემცველი ქანების საბადო მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. საბადოზე. ძირითადად. ცეოლითიზირებულია ტრაქიტული შედგენილობის ტუფები, რომლებიც შუაშრეების სახით განლაგებულია ეულკანოგენურ-დანალექ წყებაში. ქვიშა-ხრეშის საბადოებია როგორც ოზურგეთის, ისე ლანჩხუთის ტერიტორიაზე.

მარაგები დამტკიცებულია როგორც ბეტონის შემავსებლის და საამშენებლო ხსნარის ნედლეული, რომელიც პასუხობს სტანდარტულ მოთხოვნებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ასევე გვხვდება ნედლი ნავთობის საბადო. წიაღისეული რესურსები არ არის დათვლილი და ამდენად. უცნობია ადგილობრივ ეკონომიკაზე მათი შემდგომი ზემოქმედების პოტენციალი. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონი მეწყრული პროცესების გავრცელების და საშიშროების რისკის მიხედვით მიეკუთვნება მაღალი საშიშროების რისკის კატეგორიას და რესურსების მოპოვების დაგეგმვისას. აუცილებელია შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სათანადო ხარისხით ჩატარება.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობებში აქტუალური საკითხია განვითარებულ ქვეყნებში მიღებული საბადოების მარაგიების დათვლის მეთოდიკის დანერგვა ჩვენს ქვეყანაში. მინერალური რესურსების ეკონომიკური მნიშვნელობა ფასის ინდექსით აღიწერება, რაც თავის მხრივ, ქმნის იმის პირობას, რომ ზუსტი ფასეულობით გამოსახულება მიეცეს მთლიანად მინერალურ-სანედლეულო ბაზას.

ამჟამად საქართველოს მინერალური ნედლეულის ეკონომიკური პოტენციალი განისაზღვრება მინერალური რესურსების სახელმწიფო ბალანსზე აღრიცხული 450 დაძინებული საბადოების მარაგით, მათგან გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი და ეკონომიკურად შეფასებული იქნა ის ობიექტები, რომლებიც დღეისათვის შეიძლება ათვისებული იქნეს მრეწველობის მიერ. ამასთან, განსაზღვრული იქნა სასაქონლო პროდუქციის წარმოების შესაძლო მოცულობა და მისი ღირებულება მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასებით. ამგვარად, შეფასებული იქნა ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზის ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც საკმაოდ დიდია და შეადგენს 42.76 მლრდ. აშშ დოლარს.* ხოლო ფასის ინდექსის მიხედვით შეფასებული საქართველოს მინერალურ-სანედლეულო ბაზა 90 მლრდ. დოლარს შეადგენს.**

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მინერალური რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მარაგი არსებობს, რომლებიც თანამედროვე პერიოდში, მართალია, რამდენადმე შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ეკონომიკური პოტენციალი ერთგვარად მაინც მაღალია, რომელთა მიზანმიმართულად და ეფექტიანად ნარმართვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების საქმეში.

### 8.2. საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციები

მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ვექტორი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე გადის, რომელიც მოიცავს როგორც ცალკეული პროდუქციის, ასევე რეგიონების მიხედვით კონკურენტული უპირატესობების განსაზღვრას, მათ რაციონალურ რეალიზაციას. აღნიშნული ამოცანის ერთ-ერთ მიმართულებას რეგიონების განვითარების ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი, განვითარების ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა წარმოადგენს. ამასთანავე არ არის ჩამოყალიბებული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდები, არსებული სტატისტიკური მონაცემები კი ყოველთვის ვერ ასახავენ არსებულ რეალობას.

ჩვენს მიერ რეგიონული განვითარების ზოგიერთი ტენდენციის განხილვისთვის წარმოდგენილია ისეთი მაჩვენებლების ანალიზი, როგორიცაა მთლიანი რეგიონული პროდუქტის, საშუალო-თვიური შრომის ანაზღაურების, ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების, ეკონომიკურად აქტიურ ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვის სტრუქტურა. აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი დისპროპორციებია.

2017 წლის მონაცემებით ინვესტიციების მოზიდვის მხრივ პირველ ადგილზე თბილისია (84,1%), მეორეზე აჭარა (6,8%), მესამეზე ქვემო ქართლი (6,6%).

---

* გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის. გვ.9-10

* საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები. თბილისი, 2004.

** საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. 1998. #9. გვ. 7-9

ცხრილი 8.2.1. საქართველოს რეგიონების განვითარების ძირითადი მაჩვენებლები

| | რეგიონი | ფართობი (2014 წელი მდგომარეობით) | მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით (2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) | მთლიანი შიდა პროდუქტი (2019 წლის მდგომარეობით) | მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (2019 წელი მდგომარეობით) | რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | დასაქმებულთა რაოდენობა სულ (2020 წლის მდგომარეობით) | დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი - ბიზნეს სექტორში 2019 წლის მდგომარეობით | უმუშევრობის დონე (2020 წლის მდგომარეობით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კვ. კმ | ათასი კაცი | მლნ. ლარი | აშშ დოლარი | ერთეული | ათასი კაცი | ლარი | % |
| 1 | თბილისის მუნიციპალიტეტი | 504.2 | 1,202.7 | 25.206.9 | 7.590.6 | 336887 | 393.3 | 1315.5 | 20.1 |
| 2 | აჭარის ა.რ. | 2900 | 354.9 | 4.997.6 | 5.058.2 | 68103 | 126.1 | 1019 | 18.7 |
| 3 | აფხაზეთის ა.რ. | - | - | - | - | - | - | - | - |
| 4 | იმერეთის | 6414.7 | 481.5 | 4.172.8 | 3.007.3 | 103171 | 143.8 | 769.6 | 19.8 |
| 5 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 7468.2 | 308.0 | 2.815.7 | 3.184.3 | 58 733.0 | 107.3 | 897.8 | 15.9 |
| 6 | გურია | 2033.2 | 107.1 | 826.2 | 2.694.9 | 18241 | 40.7 | 672.2 | 15.4 |
| 7 | რაჭა-ლეჩხუმის ქვემო სვანეთი | 4600.0 | 28.5 | 299.0 | 3.608.7 | 6329 | 7.3 | 631.5 | 31.9 |
| 8 | შიდა ქართლი | 3428.3 | 254.1 | 1.939.0 | 2.684.6 | 33426 | 84.7 | 720.7 | 20 |
| 9 | მცხეთა-თიანეთი | 5606 | 93.4 | 1.188.3 | 4.508.5 | 14213 | 31.7 | 1055.1 | 18.3 |
| 10 | კახეთი | 11375 | 309.6 | 2.497.7 | 2.846.5 | 46770 | 109.5 | 760.8 | 10.4 |
| 11 | ქვემო ქართლი | 6436.2 | 437.3 | 3.685.5 | 3.014.3 | 56681 | 134 | 911.9 | 22.2 |
| 12 | სამცხე-ჯავახეთი | 6412.8 | 151.1 | 1.624.1 | 3.762.2 | 23004 | 63.6 | 781.5 | 11.4 |

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ინვესტიციების მოცულობა, რეგიონებთან შედარებით, საკმაოდ დიდია დედაქალაქში, აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტენდენცია შეინიშნება ათწლეულის მთელი ბოლო 10 წლის განმავლობაში, მცირე ცვლილებებით: მაგალითად, 2006 და 2016 წელს ყველაზე დიდი ინვესტიციები რეგიონებიდან აჭარაში ჩაიდო; სამეგრელო-ზემო სვანეთმა პირველობა 2012 წელს მოიპოვა და 2007 წელსაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელი ჰქონდა; ქვემო ქართლს 2009 წელს ინვესტიციებში სერიოზული ჩავარდნა აღენიშნებოდა; იმერეთში კი, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონს, ზოგადად, ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციებით საკმაოდ ცუდი მაჩვენებელი აქვს, 2012 წელი მაინც ყველაზე შემოსავლიანი ჰქონდა, რაც, პარლამენტის შენობის მშენებლობა-კეთილმოწყობის სამუშაოებთან იყო დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტენდენცია მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. ეს ზოგადად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას ახასიათებს, როდესაც ეკონომიკურად მხოლოდ რამდენიმე მსხვილი ქალაქი ვითარდება, რაც იმით არის გამონვეული, რომ უცხოური კაპიტალი კონცენტრაციას მაინც მსხვილ ადმინისტრაციულ ქალაქებზე აკეთებს. ჩვენს შემთხვევაში ასეთებია თბილისი, ბათუმი და ნაწილობრივ ქუთაისიც, სადაც საერთაშორისო აეროპორტია. ცხადია, რომ სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, რადგან თბილისის გარდა, სხვა ქალაქებიც უნდა გახდეს ინვესტორებისთვის მიმზიდველი. გაზრდილი ინვესტიციების ფონზე, რეგიონების მიმართ უცხოელი ბიზნესმენების დაინტერესება ისევ ვერ ხდება. ინვესტორი არჩევს ადგილს, სადაც ელემენტარული ინფრასტრუქტურაა განვითარებული და გარე სამყაროსთან დაკავშირება ადვილია. ასევე, მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების არსებობა. ბევრი პრობლემაა, რაც ინვესტორს ხელს უშლის, რომ სხვა რეგიონებში ინვესტიციები ჩადოს.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესანარჩუნებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოში ინვესტიციების სტიმულირებისთვის საკანონმდებლო დონეზე და სფეროში ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნა მიღებული. პირველი ეს არის 1996 წლის „საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დაედგინა ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი (კანონმა განსაზღვრა როგორც ადგილობრივი, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები საქართველოში) და მეორე 2006 წლის „საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ", რომლის მიზანსაც წარმოადგენს ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და აგრეთვე, დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით.მოცემული კანონი ინვესტორს შესაძლებლობას აძლევს მის კაპიტალდაბანდებას განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს, რაც მას მთავრობასთან უფრო გამარტივებული ურთიერთობისკენ უხსნის გზას. აღნიშნული კანონი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კანონით დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების ნახალისებისათვის.

2013 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ", რომლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდის ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნები და საქმიანობის განსაზღვრა. კანონის მიხედვით არსებობს: საპაიო საინვესტიციო ფონდი (ღია, ინტერვალური, დახურული); გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი; სააქციო საინვესტიციო ფონდი და სხვ., რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა. აღსანიშნავია ასევე, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი, დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სოციალური განვითარების სტრატეგიაში (საქართველო 2020), პირდაპირ მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა იქნება საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტორი, საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. მინიმიზირებული იქნება საქართველოს საგადასახადო კო-

დექსში ცვლილებების შეტანა და ა.შ. კვლევის შედეგად გამოიკვეთა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

პუი-ს მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორებია: ბიზნესის დაწყების სიმარტივე, გეოპოლიტიკური მდებარეობა, დაბალი გადასახადები, კრედიტის მიღების სიმარტივე, საკუთრების დარეგისტრირების სიმარტივე, ბუნებრივი რესურსები, რეგულაციების დაბალი ტვირთი, კორუფციის და კრიმინალის დაბალი მაჩვენებელი. ხელისშემშლელი ფაქტორებია: მცირე ბაზარი, მომუშავეთა დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად უმუშევრების დიდი რაოდენობისა დამსაქმებლებს უჭირთ მათთვის საჭირო სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება), მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა, ქვეყანაში კონფლიქტური ზონების არსებობა და სხვ.

- აუცილებელია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რაც გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მიერ რესურსების გადანაწილებას რეგიონებს შორის მათ შორის არსებული ტერიტორიული განვითარების დონეების განსხვავებულობათა დაბალანსებისათვის;
- უცხოური ინვესტიციების რეგიონულ ჭრილში განთავსება განხორციელდეს არა მხოლოდ მოგების მაქსიმიზაციის კრიტერიუმით, არამედ მას საფუძვლად დაედოს რეგიონთაშორისი გამოთანაბრების პრინციპი, რომლის უმთავრესი ამოსავალი კრიტერიუმი იქნება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ცხოვრების დონის ამაღლება;
- ინვესტიციური პროექტების შემუშავებას საფუძვლად დაედოს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე რეგიონების თავისებურებები და მოთხოვნები. ამ მიზნით საჭიროა ინვესტიციების სტიმულირების რეგიონული მექანიზმების შემუშავება საგადასახადო და საბიუჯეტო პრეფერენციული ბერკეტების გამოყენებით.
- საჭიროა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადება\გადამზადება, რაც გაზრდის დასაქმებას. მნიშვნელოვანია დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება (იგულისხმება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა).
- აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა ინვესტორებისათვის საგადასახადო შეღავათების დასაწესებლად.

თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირების ძირითად მიმართულებას სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება წარმოადგენს. შეღავათებით სარგებლობს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორი. შეღავათებში იგულისხმება ფისკალური, ფინანსური და სხვა შეღავათები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოელი ინვესტორის გადაწყვეტილება ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების შესახებ დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე და სხვადასხვა სახის შეღავათები არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას და სხვ. ამ კრიტერიუმების მიხედვით დგინდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეიტინგები, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოელი ინვესტორები ინვესტიციების მიმართულების მიცემის დროს.

საქართველოს რეგიონების პერსპექტიული განვითარებისა და მათი დონეების გამოთანაბრების ამოცანების გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს სამრეწველო საწარმოთა ოპტიმალური განლაგების პრობლემამ. მხედველობაში გვაქვს რეგიონების რაციონალური სპეციალიზაციის დასაბუთება, სტრუქტურული გარდაქმნები, რეგიონთაშორისი ურთიერთობების განვითარება, შიდა და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და სხვ.

ამ მიმართულების ანალიზისას საინტერესოა მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების გაცნობა საქართველოს რეგიონების მიხედვით.

როგორც ცხრილის ანალიზიდან ირკვევა საქართველოს რეგიონებში მრეწველობა 1995 წლიდან სტაბილური ტემპით ვითარდება, თუმცა რამდენად შეესაბამება განვითარების ეს ტემპი იმ მიმართულებებით არსებულ სტრატეგიულ ინტერესებს ეს სხვა საკითხია.

1990-1994 წლებში განვითარებული კრიზისის შედეგად ყველაზე მეტად ქვეყნის სამრეწველო კომპლექსი დაზარალდა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 6-ჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 29,2 პროცენტიდან 3,8, პროცენტამდე დაეცა.* 1994-2004 წლებში ადგილი ჰქონდა ინდუსტრიული სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას ყველა რეგიონში, ამასთანავე გაიზარდა მშპ-ში სამრეწველო პროდუქციის ხვერდითი წონა.

*საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2002 წლის ინდიკატური გეგმა, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, თბ., 2001, გვ. 81.

ცხრილი 8.2.2. მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით**

| რეგიონები | მოქმედ საწარმოთა რიცხვი | | | წარმოების მოცულობა მოქმედ ფასებში (მლნ. ლარი) | | | მუშაკთა საშუალო რიცხოვნობა ათასი კაცი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1995 | 2000 | 2004 | 1995 | 2000 | 2004 | 1995 | 2000 | 2004 |
| საქართველო სულ | 1079 | 3328 | 3433 | 500,9 | 1051,9 | 1754,2 | 153,6 | 95,8 | 85,4 |
| მათ შორის: ქ. თბილისი | 313 | 1110 | 1431 | 129,6 | 392,2 | 655,8 | 49,7 | 30,0 | 29,3 |
| აფხაზეთის არ | 3 | 2 | 2 | 65,5 | 44,6 | 65,8 | 0,4 | 0,4 | 0,6 |
| აჭარის არ | 67 | 137 | 154 | 18,7 | 21 | 34,0 | 9,4 | 5,5 | 5,2 |
| სამეგრელო-ზემოსვანეთის მხარე | 117 | 288 | 223 | 18,5 | 29,8 | 30,4 | 10,0 | 5,3 | 3,1 |
| გურიის მხარე | 64 | 116 | 90 | 5,6 | 11,8 | 16,0 | 4,5 | 2,0 | 1,1 |
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე | 19 | 100 | 71 | 6,8 | 8,5 | 5,7 | 0,8 | 1,0 | 0,7 |
| იმერეთის მხარე | 226 | 656 | 621 | 97,5 | 101,7 | 183,1 | 40,5 | 17,6 | 13,8 |
| შიდა ქართლის მხარე | 61 | 229 | 158 | 20,5 | 56,9 | 129,6 | 7,2 | 5,3 | 3,7 |
| მცხეთა-მთიანეთის მხარე | 24 | 108 | 119 | 15,3 | 22,2 | 57,3 | 2,3 | 2,0 | 1,8 |
| კახეთის მხარე | 75 | 193 | 208 | 12,7 | 17,5 | 60,8 | 5,5 | 4,5 | 3,7 |
| ქვემო ქართლის მხარე | 71 | 231 | 220 | 103,9 | 254,2 | 359,0 | 20,5 | 15,7 | 12,2 |
| სამცხე-ჯავახეთის მხარე | 39 | 123 | 133 | 6,8 | 10,7 | 67,7 | 2,8 | 2,4 | 2,0 |

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საპირისპირო სურათია დასაქმებულთა რიცხოვნობის თვალსაზრისით. აღნიშნულ პერიოდში პროდუქციის წარმოების ზრდის კვალობაზე დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირდა როგორც საქართველოში, ასევე ცალკეულ რეგიონებში.

რეგიონების განვითარების თავისებურებათა ანალიზისას ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული რეგიონების ჭრილში ეკონომიკური ათვისების ინდექსის გათვლა.

ნ. ხადურის მონაცემებით რეგიონების ეკონომიკური ათვისების ინდექსი ანუ მთლიანი შიდა პროდუქტი 1 კვადრატულ კილომეტრზე 1993 წელს საქართველოში 100 ლარს შეადგენდა. ამასთან ნ. ხადურის[1] მიერ შემოთავაზებულია რეგიონის ეკონომიკური ათვისების ინდექსი, რომლის გაანგარიშებით ქვეყნის ყველა ტერიტორიული ერთეულის მიხედვით მათი განვითარების დონეთა შედარების საკმაოდ ნათელ და ობიექტურ სურათს მივიღებთ.

$$R^{i}_{reg} = \frac{VA_i}{S_i}$$

სადაც $R^{i}_{reg}$ – i-ური რეგიონის ეკონომიკის ათვისების ინდექსია;

$VA_i$ – ამ რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულებაა;

$S_i$ – ამ რეგიონის ფართობი.

აღსანიშნავია, რომ 2005 წლისათვის მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა შეცვლილი პოზიტიური მიმართულებით. კერძოდ, საქართველოში საშუალოდ 1 კვ.კმ-ზე მშპ შეადგენს 148 ათას ლარს. აღნიშნული მაჩვენებლით ლიდერობს ქ. თბილისი სადაც მოცემული მაჩვენებელი 3,5 მლნ. ლარზე მეტია, ხოლო აუტსაიდერია კახეთის მხარე – 118 ათასი ლარი.

ამ მიმართულების ანალიზისას რუსი მეცნიერი მ. ბახრახი გვთავაზობს მეთოდოლოგიურ მოდგომას ტერიტორიის ეკონომიკური გამოყენების (ათვისების) მაჩვენებლების დადგენის თვალსაზრისით.* იგი მიუთითებს, რომ ტერიტორია (რეგიონი) უნდა გავიაზროთ არა როგორც აბსტრაქტულ-მათემა-

** ცხრილი შედგენილია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

[1] ხადური ნ., მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, ე. მ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002, გვ. 11.

* Бахрах М., Показатели экономического использования территории, Вопросы экономики, 1971, №6, ст. 81-91.

ტიკური სივრცე, არამედ როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე (რეგიონში) სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის, სანარმოო ძალების გადანაწილების, წარმოების განვითარების სეციფიკური კანონზომიერების გამოვლენის ობიექტური ფორმა.** ამ ავტორის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური მიდგომების მოდიფიცირებითა და საქართველოს პირობებთან მორგების საშუალებით ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი კვლევა და გაანგარიშებები რიგი მიმართულებებით.

საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი ნაკლებად არის ათვისებული. საწარმოო ძალების რაციონალური განლაგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყნის რეგიონების მიხედვით წარმოებაში გამოყენებული ტერიტორიების შეფასება. ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა გათვლები და შედგა ბალანსი საქართველოს რეგიონების ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების გამოსავლენად. 2005 წლის მდგომარეობით გათვლებმა მოიცვა სასოფლო-სამეურნეო მიწების ყველა სახეები, ტყეების საექსპლუატაციო ფართობები, ქალაქებისა და საქალაქო ტიპის დასახლებების მიწები, აგრეთვე ტერიტორიები, რომლებზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები (გზები) და სხვ.

ცხრილი 8.2.3. **საქართველოს ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების რეგიონული ბალანსი**

| რეგიონები | ეკონომიურად აქტიური ტერიტორია ათასი კვ. კმ | ეკონომიურად აქტიური ტერიტორიების სტრუქტურა (%-ში) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული | საექსპლუატაციო ტყეების ფართობი | ქალაქებისა და საქალაქო ტიპის დასახლებების მიწები | სამრეწველო საწარმოებით დაკავებული მიწები | საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებით დაკავებული მიწები | სხვა არასასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მიერ დაკავებული მიწები |
| ქ. თბილისი | 0,2 | 1 | – | 80 | 4 | 15 | – |
| აფხაზეთის არ | 7,6 | 25 | 57 | 0,8 | 1 | 0,2 | 15 |
| აჭარის არ | 2,8 | 27 | 63 | 0,6 | 1 | 0,4 | 8 |
| სამეგრელო-ზემოსვანეთის მხარე | 5,7 | 37 | 40 | 0,6 | 6 | 0,4 | 16 |
| გურიის მხარე | 2,1 | 34 | 46 | 1 | 1 | 1 | 17 |
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე | 3,8 | 35 | 60 | 0,1 | 1 | 0,2 | 3,7 |
| იმერეთის მხარე | 4,9 | 35 | 54 | 3 | 5 | 1 | 2 |
| შიდა ქართლის მხარე | 4,3 | 53 | 38 | 0,5 | 2 | 0,5 | 6 |
| მცხეთა-მთიანეთის მხარე | 5,0 | 48 | 42 | 0,3 | 0,2 | 0,5 | 9 |
| კახეთის მხარე | 7,9 | 58 | 32 | 0,2 | 1 | 0,5 | 8,3 |
| ქვემო ქართლის მხარე | 5,2 | 62 | 25 | 0,5 | 3 | 0,5 | 9 |
| სამცხე-ჯავახეთის მხარე | 4,9 | 65 | 28 | 0,4 | 3 | 0,6 | 3 |

გათვლების საფუძველია ქვეყნის მიწისა და სატყეო ფონდების შესახებ არსებული მონაცემები. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი საშუალება არის მიწა. ამდენად ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების რეგიონული ბალანსის შედგენის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია ის ფართობი, რომელზეც განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ქალაქებისა და საქა-

** იხ. დასახელებულინყარო, გვ. 82.

ლაქო ტიპის დასახლებების მიწების ფართობები ძირითადად პროპორციულია საქალაქო დასახლებათა (ურბანიზაციის დონე) და ქალაქების მოსახლეობის რაოდენობასთან. ფართობები, რომლებიც დაკავებულია სამრეწველო საწარმოთა მიერ, იმყოფება პირდაპირ დამოკიდებულებაში სამრეწველო-საწარმოო ფონდებთან. ხოლო ის ტერიტორიები, რომლებიც გამოიყენება სარკინიგზო ტრანსპორტისათვის პროპორციულია ექსპლუატაციური სარკინიგზო გზების სიგრძესთან. ამგვარი დამოკიდებულება გამოვლინდა საავტომობილო ტრანსპორტის გზების გამოყენებასთან მიმართებაშიც.

საქართველოს ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიები ჩვენი გათვლებით შეადგენს 54,4 ათას კვადრატულ კილომეტრს ანუ ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 80,1 პროცენტს. ამგვარად, ამ მიმართულებით თანამედროვე პირობებში არსებული მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ გამოყენებულ მიწებზე არსებული დარგობრივი განსხვავებანი. ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების მოცულობათა (მაჩვენებელთა) შედარებით და რეგიონული ბალანსის შედგენით შეიძლება გამოიკვეთოს რეგიონული სპეციალიზაციისა და ურბანიზაციის თავისებურებები, რისი გათვალისწინებაც უპრიანია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმებისა და კონკრეტული მიზნობრივი პროგრამების შემუშავების პროცესში. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ, ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის გაანალიზება ვერ წარმოგვიდგენს რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ არსებულ სრულ სურათს, ამიტომ, ინფორმაციული ვაკუუმის გარკვეულწილად შესავსებად ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი გათვლები ეკონომიკურად აქტიურ ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვის მაჩვენებლების დადგენის მიმართულებით (ცხრილი 8.2.3).

ტერიტორიის 1 კვ. კილომეტრში გათვლილი საერთო-ეკონომიკური კრებსითი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევენ ჩამოვაყალიბოთ სამეურნეო საქმიანობის რეგიონული სიმჭიდროვის რეალური სურათი, განვსაზღვროთ ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური აქტიურობის დონე. რეგიონების მაჩვენებლების შეპირისპირებისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ფარდობითი სიდიდეები – ინდექსები, რომლებიც გამოხატავენ რეგიონის მაჩვენებლის გადაბრას ქვეყნის საშუალო სიდიდესთან (100 პროცენტი) მიმართებაში.

ცხრილი 8.2.4. საქართველოს ეკონომიურად აქტიურ ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვის რეგიონული მაჩვენებლები

| | ტერიტორიის ეკონომიური აქტიურობის კოეფიციენტი %-ად მთლიან ტერიტორიაში | სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვე | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | დასახლებულობა კაცი | ინვესტიციები ათასი ლარი | მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ათ. ლარი) | საავტომობილო და სარკინიგზო გზების განფენილობა (სიგრძე) კმ-ში |
| ქ. თბილისი | 70,3 | 5369 | 2326,5 | 1470,0 | 0,703 |
| აფხაზეთის არ | | | | | |
| აჭარის არ | 96,6 | 130 | 31,5 | 43,21 | 0,004 |
| სამეგრელო-ზემოსვანეთის მხარე | 87,3 | 64 | 30,1 | 32,50 | 0,003 |
| გურიის მხარე | 88,8 | 68 | 1,7 | 59,05 | 0,008 |
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე | 96,9 | 10 | 0,7 | 18,18 | 0,002 |
| იმერეთის მხარე | 97,6 | 107 | 9,0 | 71,1 | 0,010 |
| შიდა ქართლის მხარე | 88,7 | 75 | 3,2 | 39,30 | 0,005 |
| მცხეთა-მთიანეთის მხარე | 89,1 | 18 | 2.8 | 20,83 | 0,004 |
| კახეთის მხარე | 96,1 | 36 | 1,4 | 29,63 | 0,005 |
| ქვემო ქართლის მხარე | 95,0 | 75 | 23,9 | 46,41 | 0,005 |
| სამცხე-ჯავახეთის მხარე | 95,5 | 32 | 1,2 | 23,61 | 0,006 |

გათვლები ადასტურებს პირდაპირ კავშირს რეგიონის ტერიტორიების ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხისა და სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვის მაჩვენებლებს შორის. ტერიტორიის ეკონომიკური აქტიურობისა და დასახლების მაღალი კოეფიციენტების არსებობის პირობებში (მაგალითად, ქ. თბილისი), აგრეთვე მაღალია ინვესტიციების, მთლიანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ტრანსპორტით უზრუნველყოფის ინდექსები.

ტერიტორიების ათვისების (გამოყენების) ეფექტიანობის დონის დადგენა (განსაზღვრა), ჩვენი აზრით, წარმოადგენს საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიის შემუშავება-რეალიზაციის ამოსავალ პოზიციას. ვინაიდან ამ მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკის ფუნქციონირებაში არსებული ნინააღმდეგობები, გამოვავლინოთ მათი დაძლევის ორიენტირები და მთლიანობაში რეგიონების დიფერენციაციის თვალსაზრისით შევქმნათ ის რეალური სურათი, რომლის ადეკვატურადაც შემუშავებული და გატარებული კონკრეტული ღონისძიებები ხელს შეუწყობს რეგიონების ეკონომიკური ათვისების (გამოყენების) ეფექტიანობის ამაღლებას.

რეგიონების სოციალური მდგომარეობის ანალიზის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტორს წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტის გათვლა. აღნიშნული გათვლა კი შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$K_{\text{დ}} = 1 - \frac{\sum_{1}^{i} H + H_{\text{უ}}}{H_{\text{ეა}}}$$

სადაც: $K_{\text{დ}}$ – მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტია;

i – მოსახლეობის ჯგუფების რაოდენობა დასაქმების ნიშნის მიხედვით;

დე– მოსახლეობის რაოდენობა დასაქმების არახელსაყრელი პირობებით;

უ– მოსახლეობის ნაწილი, რომელიც შედგება უმუშევარი მოქალაქეებისაგან;

ეა – ეკონომიურად აქტიური მოსახლეობა.*

ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობა განპირობებულია ორი ძირითადი მომენტით; დასაქმების არახელსაყრელი პირობების მინიმიზაციით და უმუშევრობის შემცირებით. არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი გაანგარიშებები, რომლის შედეგების მიხედვითაც ქ. თბილისში ამ მაჩვენებლმა შეადგინა 0,57 ერთეული, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 0,57, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში – 0,38, გურიის მხარეში – 0,44, იმერეთის მხარეში – 0,51, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის მხარეში – 0,44, შიდა ქართლის მხარეში – 0,45, კახეთის მხარეში – 0,47, ქვემო ქართლის მხარეში – 0,55, ხოლო სამცხე-ჯავახეთის მხარეში – 0,45 ერთეული.** როგორც გათვლებით დასტურდება ქ. თბილისს, აჭარის არ-ის, იმერეთისა და ქვემო ქართლის მხარეებს, გააჩნიათ შედარებით მაღალი მაჩვენებლები, აქედან გამომდინარე კიდევ უფრო არგუმენტირებულად შეიძლება დაბალი სოციალური მაჩვენებლებით გამორჩეული რეგიონებისათვის შესაბამისი პრიორიტეტების გამოკვეთის ფონზე, სათანადო მასტიმულირებელი (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოთანაბრების თვალსაზრისით) ღონისძიებების გატარების აუცილებლობის დასაბუთება.

საბოლოო ჯამში, ჩვენს მიერ ზემოთ გაანალიზებული საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონული ასიმეტრია შესაძლებელია გაცნობიერებულ იქნეს, როგორც ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორი. ამდენად, რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული დისპროპორციების ნიველირება, რეგიონული მრავალფეროვნების განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად წარმოდგენა უნდა განისაზღვროს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტერიტორიული ერთეულების შეწონასწორებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

### 8.3 საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება

ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის პროცესმა გაამწვავა კონკურენცია გასაღების ბაზ-

---

* ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., პაპს „ვერჟე", 2002, გვ. 255-256.

** გაანგარიშებები ჩატარებულია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით.

რებზე, საზღვარგარეთულ ინვესტიციებზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე მსგავსი მახასიათებლების მქონე როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს შორის. მიუხედავად განვითარების არსებული დონისა, ქვეყნის განვითარების პერსპექტივა არსებული კონკურენტული უპირატესობების საფუძველზე შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეფექტიანი მონაწილეობით განისაზღვრება. აშკარაა, რომ გლობალიზაციის პროცესი ცალკეული ქვეყნებისთვის მანამდე არნახული შესაძლებლობებისა და პერსპექტივების მატარებელია, თუმცა ამავდროულად იგი სუსტებისთვის იდენტურობის დაკარგვის საფრთხესაც წარმოადგენს. ასეთ პირობებში ცალკეული ქვეყნების წინაშე დგას ამოცანა: განსაზღვრონ მათ წინაშე მდგარი ისტორიული გამოწვევები და საფრთხეები, დროულად უზრუნველყონ განვითარების მისაღები პარამეტრები. ცხადია რომ, სხვა ფაქტორთა გვერდით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ეროვნული ეკონომიკის, ცალკეული რეგიონისა და ფირმის კონკურენტუნარიანობის, მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებისადმი შეთავსებადობის, სოციალურ ორგანიზმზე ნეგატიურად მოქმედი ობიექტურად არსებული შესაძლებლობების პრევენციის, ქვეყნების მიერ სტრატეგიული გარღვევის უზრუნველყოფის შესწავლასა და კონკურენტუნარიანობის მიღწევისა და შენარჩუნების პარადიგმათა ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში.

*ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: არსებული მიდგომების ანალიზი.* **ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და კონკურენტული უპირატესობის მაჩვენებელთა განსაზღვრის მეთოდიკის ჩამოყალიბებისას აქცენტი მათთვის პროგნოზირებადი ხასიათის მინიჭებაზეა გაკეთებული. ამასთანავე, ყველაზე გავრცელებულ მიდგომას წარმოადგენს კონკურენციის კრიტერიუმთა განხილვა ქვეყნის მასშტაბით საზოგადოების განვითარების პოზიტიური შედეგების უზრუნველყოფის მიმართულებით.*** **ამ მიდგომის მიხედვით ეკონომიკა მსოფლიოში კონკურენტუნარიანად ითვლება, თუ ეკონომიკური ინსტიტუტები და პოლიტიკა უზრუნველყოფენ მდგრად და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის დანიშნულებად განსაზღვრულია ქვეყნის პერსპექტივების განხილვა ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.****

მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის იმ განსაკუთრებული ეტაპების (სტადიების) განხილვა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნები თანმიმდევრულად გადიან კონკურენტუნარიანობის ფორმირებისას. მ. პორტერის აზრით იგი გულისხმობს კონკურენციას წარმოების ფაქტორთა, ინვესტიციების, ინოვაციისა და სიმდიდრის საფუძველზე. ამასთან პირველი სამი უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას, ხოლო მეოთხე პირიქით დაცემას.*****ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნულ სტადიებთან ერთად კიდევ ორს – ინფრასტრუქტურულსა და ინფორმაციულს განიხილავს, ამასთან ინფრასტრუქტურული სტადია წარმოდგენილია, როგორც ინოვაციურის წინმსწრები.******

კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ყველაზე ტიპიურ ნოვაციად ითვლება: ახალი ტექნოლოგიები, მყიდველთა ახალი ან შეცვლილი მოთხოვნა, დარგის ახალი სეგმენტის გამოჩენა, ღირებულებასა და წარმოების კომპონენტთა არსებობის ცვლილება, სახელმწიფო რეგულირების ცვლილება.*******

გარკვეულ დარგებში ქვეყნების საერთაშორისო წარმატებების განხილვისას ფუნდამენტურ მიდგომად ითვლება კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ქვეყნის კონკურენტული წარმატებები დარგის ოთხ მახასიათებელზეა (კონკურენტული უპირატესობის დეტერმინანტებზეა) დამოკიდებული: 1) ფაქტორთა პარამეტრები; 2) მოთხოვნის პარამეტრები; 3) მონათესავე და დამხმარე დარგები; 4) ფირმების სტრატეგია, მათი სტრუქტურა და მეტოქეობა. (ეროვნული „რომბი“).******** ცხადია, რომ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციისას ქვეყნებს წარმატების მიღწევის უფრო დიდი შანსი იმ დარგებში გააჩნიათ, რომელშიც კონკურენტული უპირატესობის დეტერმინანტებს უფრო ხელსაყრელი ხასიათი გააჩნიათ. ამასთან, ცალკეული ქვეყნების მიხედვით კონკურენტული უპირატესობების დეტერმინანტთა დახასი-

---

* Christensen G. The past end future of competitive advantage. Oslo. 2001.
Hart A. Jeffrey. Rival Capitalist: International Competitiveness in the United State, Japan and Western Europe. L. Cornell University Press, 1992.

** Hart A. Jeffrey. Rival Capitalist: International Competitiveness in the United State, Japan and Western Europe. L. Cornell University Press, 1992.

*** Портер М. Международная конкуренция. Москва, 1993

**** Пилипенко И.В. Конкурентоспособность стран и регионов в мировом хозяйстве: теория, опыт малых стран Западной и Северной Европы. Москва-Смоленск, 2005.

***** Портер М. Международная конкуренция. Москва, 1993.

****** Портер М. Международная конкуренция. Москва, 1993.

ათება ქვეყნის მიერ კონკურენტუნარიანობის მიღწევის ტრაექტორიის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორთა დახასიათება, რომელიც მთავარ (ძირითად) და განვითარებულ ფაქტორებად იყოფა და ფაქტორები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია კონკურენტული უპირატესობის მიღწევისთვის, ყოველთვის ხელოვნურია, მემკვიდრეობით არ გადმოდის, არამედ ქვეყანაში იქმნება სხვადასხვა პროცესთა ზეგავლენით.[2] აღნიშნულიდან გამომდინარე არსებითი როლი ენიჭება იმ პროცესთა სტიმულირებას, რომლებიც ხელს უწყობენ კონკურენტული უპირატესობის მიღწევისთვის მნიშვნელოვან ფაქტორთა შექმნას.

ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში საქართველოს კონკურენტუნარიანობის, კონკურენტული უპირატესობის დეტერმინანტებისა და ფაქტორების ფორმირების პრობლემები ნაკლებადაა შესწავლილი. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისადმი მიძღვნილ შრომებში კონკურენტუნარიანობის მიღწევა განიხილება არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების, მწარმოებლურობის ამაღლების, ფარდობითი უპირატესობების გამოვლენის უმთავრეს პირობად და რეალური კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბების წინაპირობად ფრიტრედერიზმი განიხილება.[**] ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს ცალკეული რეგიონების კონკურენტული მახასიათებლების განსაზღვრის, შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებას.[***]

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების მრავალფეროვან მეთოდიკათა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა(WEF) და განვითარების მართვის შვეიცარიის საერთაშორისო ინსტიტუტის (IMD) მეთოდიკები. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის გათვლა ხორციელდება საერთაშორისო განვითარების ჰარვარდის ინსტიტუტის (CID) მიერ და ყოველწლიურად ასახვას პოულობს „The Global Competitiveness Report"-ში. მას საფუძვლად უდევს ჯ. საქსისა და გ. სტოუნის მიდგომები კონკურენტუნარიანობის გათვლის სფეროში. აღნიშნული რეიტინგის შემუშავებისას გათვალისწინებულია 8 ძირითადი ფაქტორი, რომელთა მდგომარეობაც განსაზღვრავს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. კონკურენტუნარიანობის თითოეულ კომპლექსურ ფაქტორს გააჩნია ფაქტორული წილი და განისაზღვრება მაჩვენებელთა ჯგუფით: 1. გახსნილობა (13 მაჩვენებელი, წილი 16,7%); 2. სახელმწიფო (22 მაჩვენებელი, წილი 16,7%); 3. ფინანსები (24 მაჩვენებელი, წილი 16,7%); 4. ინფრასტრუქტურა (16 მაჩვენებელი, წილი 11,1%); 5. ტექნოლოგია (23 მაჩვენებელი, წილი 11,1%); 6. მართვა (23 მაჩვენებელი, წილი 5,5%); 7. შრომა (17 მაჩვენებელი, წილი 16,7%); 8. ინსტიტუტები (23 მაჩვენებელი, წილი 5,5%). მთლიანობაში რეიტინგი მოიცავს 161 მაჩვენებელს. „Global Competitiveness Report 2006-2007"-ის მიხედვით ლიდერი სამეული ასე გამოიყურება: შვეიცარია, ფინეთი, შვედეთი. ესტონეთი წარმოდგენილია 25-ე ადგილზე, ლატვია – 36-ე, ლიტვა – მე-40-ე, რუსეთის ფედერაცია – 62-ე, აზერბაიჯანი – 64-ე, უკრაინა – 78-ე, სომხეთი – 82-ე, საქართველო – 85-ე, მოლდოვა – 88-ე, ტაჯიკეთი – 96-ე, ყირგიზეთი – 107-ე.

IMD გამოყოფს 314 მაჩვენებელს, მათგან 2/3 წარმოადგენს რაოდენობრივს, 1/3 კი გამოკითხვით მიღებულს. იგი 4 ძირითად ჯგუფად – ეკონომიკის მდგომარეობა, მთავრობის ეფექტიანობა, ბიზნესის ეფექტიანობა და ინფრასტრუქტურად იყოფა, რომელთაგან თითოეული ხუთ ბლოკს მოიცავს. „IMD World Competitiveness Yearbook 2006"-ის მიხედვით, შეფასებული 61 ქვეყნიდან ლიდერობენ აშშ, სინგაპური და ჰონკონგი. ესტონეთი წარმოდგენილია 22-ე ადგილზე, ლიტვა – 31-ე, რუსეთი – 43-ე, უკრაინა – 46-ე ადგილზე.


---

[*] Портер М. Международная конкуренция. Москва, 1993.

[**] ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაკროეკონომიკური დეტერმინანტები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა. დეკემბერი, 2005.

[***] ბარათაშვილი ე., ციმინტია კ., ზარანდია ჯ. რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება (თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა). ჟურნალი „ეკონომიკა", 2006, №11-12.
ქარქაშაძე ნ., თოდუა ნ., მუშკუდიანი ა. რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხი. ჟურნალი „ეკონომიკა", 2006, #4.

**დიაგრამა 8.3.1. საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგის ცვლილება 2004-2018წწ.**




კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველოს პოზიცია წლების განმავლობაში უმჯობესდებოდა და 2016-2017 წლებში ქვეყანა 59-ე ადგილზე იყო. 2017-2018 წლის მონაცემებით საქართველო 137 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია რეიტინგში 8 საფეხურით შემცირდა, ქვეყნის სარეიტინგო ქულა არ შეცვლილა, იგივე – 4,3 დარჩა. რაც მიუთითებს იმაზე, რომ პოზიციის შემცირება ძირითადად სხვა ქვეყნების მიერ პოზიციების გაუმჯობესებით არის განპირობებული. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ წელს ყველაზე მეტად გაუმჯობესებული შედეგები დაბალი ბაზიდან იწყება. „მოლდოვა 11 საფეხურით დანინაურდა და 89-ე ადგილს იკავებს. სხვებმა, რომლებიც ბოლო წლებში დანინაურდნენ, კვლავ უკან დაიხიეს, მათ შორის საქართველომ (67-ე ადგილი) და ყაზახეთმა, (57-ე ადგილი) რომლებმაც, შესაბამისად, რვა და ოთხი საფეხური დაკარგეს“, – ნათქვამია ანგარიშში.

საქართველო მსოფლიო მასშტაბით 137 ქვეყანას შორის 8 ქვეკომპონენტში პირველ ათეულში შედის. ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, ეს ქვეკომპონენტებია: წლიური ინფლაცია (პირველი ადგილი), სავაჭრო ტარიფები (მე-4 ადგილი), ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო დღეების რაოდენობა (მე-6 ადგილი), ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურების რაოდენობა (მე-7 ადგილი), ინვესტორთა უფლებების დაცვის სიძლიერე (მე-7 ადგილი), მთლიანი საგადასახადო განაკეთი (მე-8 ადგილი). სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი (მე-9 ადგილი), მალარიის შემთხვევები (პირველი ადგილი).

2018 წლის რეიტინგის 12 ინდიკატორში საქართველოს სარეიტინგო ქულები გაუმჯობესდა 8 მიმართულებით. ესენია ინსტიტუტები, ICT მიღების მზაობა, ჯანდაცვა, უნარები, ვაჭრობის ღიაობა, ბაზრის მოცულობა, ბიზნესის დინამიკურობა, ინოვაციური უნარ-ჩვევები. სარეიტინგო ქულების მიხედვით, გაუარესებულ ინდიკატორებს შორის არის ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საფიგლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოზე უკეთესი პოზიცია აქვთ რუსეთს, ყაზახეთსა და თურქეთს. საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა რუმინეთი (68-ე ადგილი), სომხეთი (73-ე ადგილი). ხორვატია (74-ე ადგილი), მონტენეგრო (77-ე ადგილი), სერბეთი (78-ე ადგილი), უკრაინა (81-ე ადგილი). საბერძნეთი (87-ე ადგილი), მოლდოვა (89-ე ადგილი), ბოსნია-ჰერცეგოვინა (მე-100 ადგილი) და სხვა. 2017-2018 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ყველაზე კონკურენტუნარიანი ქვეყნების ხუთეული კი ასე გამოიყურება: აშშ, სინგაპური, გერმანია, შვეიცარია და იაპონია. რეიტინგში ბოლო ადგილს ჩადი იკავებს.საფინანსო სისტემა და შრომის ბაზარი.

საქართველოს ყველაზე რთული მდგომარეობა განსაკუთრებით ინოვაციების მიმართულებით აქვს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ის რეიტინგში 118– ე ადგილზეა. კომპანიების მხრიდან დაბალი ინოვაციურობის დონე კვლევაზე (R&D) დახარჯულ მცირე თანხებსა და ქვეყანაში კვალიფიციურ ინჟინერთა და მეცნიერთა მცირე რაოდენობასთანაა დაკავშირებული. ბაზრის მოცულობა (1 პოზიციით გაუმჯობესება) და ბიზნესის განვითარება ასევე რჩება პრობლემად, თუმცა სხვა მაჩვენებლებისგან განსხვავებით გვაქვს გარკვეული პროგრესი, ისევე, როგორც უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის მაჩვენებელში (2 პოზიციით გაუმჯობესება), რაც უდავოდ იმედის მომცემია.

საქართველომ მხოლოდ ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში გაიუმჯობესა პოზიციები. სხვა რეიტიგებში, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოკლებით (პოზიცია გაუარესდა 8 ერთეულით), მოხდა 1-3 ერთეულით პოზიციების უკან დახევა. ეს მეტად საყურადღებოა, ვინაიდან

მსხვილი ინვესტორები სწორედ ასეთი ტიპის რეიტინგების შედეგების საფუძველზე იღებენ ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტიციების დაბანდების გადაწყვეტილებას.

რეგიონული კონკურენტუნარიანობა: არსებული მიდგომების მოკლე მიმოხილვა. *რეგიონული კონკურენტუნარიანობა თავისი არსით განსაზღვრული პოლიტიკურ-ეკონომიკური საზღვრების მქონე ტერიტორიული ერთეულის კონკურენტუნარიანობაა, რომელიც აღნიშნულის განსხვავებას აფიქსირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების კონკურენტუნარიანობასთან შედარებით.**

ცალკეული ქვეყნის მიდგომა კონკურენტუნარიანობის მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს ესა თუ ის ქვეყანა ახალ პირობებში რისკის შემცირებისა და არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების დროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად შეესაბამება მიღებული ეკონომიკური შედეგი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პოტენციალს.

თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის დროს ტრადიციული მეთოდების გამოყენება საკმარისი არ არის, რადგან იზრდება მსხვილმასშტაბიანი კვლევების რაოდენობა. თავის მხრივ, კვლევის შედეგებით მიღებული ეროვნული კონკურენტუნარიანობის დეტერმინანტები იწვევენ შიგა და გარე სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების (განათლება, მეცნიერება და ტექნოლოგიები, სამრენველო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა და საგარეო პოლიტიკური საქმიანობა, რეგიონული პოლიტიკა) კორექტირების აუცილებლობას**. რეგიონის, როგორც მნიშვნელოვანი ტერიტორიულ-ეკონომიკური სუბიექტის კონკურენტუნარიანობის შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლინილ იქნეს რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პირობები, განსაზღვრულ იქნეს რეგიონის უნარი გამოავლინოს, შექმნას, გამოიყენოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობანი.რეგიონის, როგორც მნიშვნელოვანი ტერიტორიულ-ეკონომიკური სუბიექტის კონკურენტუნარიანობის შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნეს რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პირობები, განსაზღვრულ იქნეს რეგიონის უნარი გამოავლინოს, შექმნას, გამოიყენოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობანი. კონკურენტუნარიანობის მეთოდიკის ჩამოყალიბებისას აქცენტი მისთვის პროგნოზირებადი ხასიათის მინიჭებაზეა გაკეთებული. ამასთანავე, ყველაზე გავრცელებულ მიდგომას წარმოადგენს კონკურენციის კრიტერიუმთა განხილვა საზოგადოების პროგრესის უზრუნველყოფის მიმართულებით მთლიანად ქვეყნის მასშტაბით.

რაც შეეხება რეგიონს, იგი განხილულია როგორც ფირმათა კონკურენციის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი გარემო. მაგალითად, პორტერის რომბში რეგიონი წარმოდგენილია ადგილობრივი პირობების ერთობლიობით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: მომთხოვნი მომხმარებლები, ძლიერი კონკურენტები, რესურსების ძლიერი მიმწოდებლები და მძლავრი დამხმარე დარგების კომპლექსი („სამრეწველო კლასტერი").*

პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის რეგიონებს, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედი გარემოს განხილვას და ამ მიმართულებით მისი ბუნებრივ-რესურსული, სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პირობების ანალიზს. რიგ შრომებში ასევეა ჩამოყალიბებული რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების ცალკეული ასპექტები.**

საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონის, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედი გარემოს წარმოდგენას და ამ თვალსაზრისით რეგიონის რესურსული პოტენციალის, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რეგიონის ეკონომიკის განვითარების რაციონალური მიმართულებების განხილვის საკითხებს.*** რაც შეეხება თვით რეგიონის

---

* გ. ერქომაიშვილი, რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა-ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა. თბილისი, 2019, გვ. 89-110

** G. Erkomaishvili, The strategy for Increasing the Competitiveness of Georgia. International Conference on Economics, Industrial and Business Management. World Academy of Scienxe, Engineering and Technology, Barselona, Spain, 27-28 October, 2014. www. waset.org

* Портер М. Международная конкурсция. Москва, 1993.

** Степанов М. Региональная Экономика. Москва, 2000; Фатхудинов Р. Конкурентоспособность: Экономика, стратегия, управление. Москва, 2000.

*** ციმინტია კ., ხარჩილავა მ. ეკონომიკური ზრდის რესურსები და ფაქტორები საქართველოს რეგიონების აგრარულ სექტორში. თბილისი, 2005; ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი. თბილისი, 2001; ბარათაშვილი ე., დანელია თ., ზარანდია ჯ. რეგიონის რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თბილისი, 2000

კონკურენტუნარიანობას, ამ საკითხისადმი მიძღვნილ შრომებში ქართველი ავტორები ერთიან მიდგომას გამოხატავენ და მისი კვლევისას გლობალიზაციის პროცესის მიზეზებისა და მამოძრავებელი ძალების ანალიზს, ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრას, რეგიონული კონკურენტუნარიანობის შესწავლის სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების შეჯერებას, კლასტერების კონცენტრაციის თეორიული საფუძვლების შემუშავებასა და რეგიონის კონკურენტუნარიანობაში მათი როლის განსაზღვრას ეყრდნობიან. ამასთანავე, ცდილობენ რეგიონის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე შეაფასონ რეგიონების კონკურენტუნარიანობა.****

**რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასების არსებული მეთოდების ანალიზისა და მოდიფიცირების საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა რეგიონული კონკურენტუნარიანობის გამოთვლის მეთოდიკა. მეთოდიკის შემუშავებისას აქცენტი გაკეთდა კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებისთვის რაოდენობრივი ხასიათის მინიჭებასა და გათვლისთვის საჭირო მონაცემების ოფიციალურ სტატისტიკაში არსებობაზე.**

**საბოლოოდ რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდიკა შემდეგი სახით იქნა ჩამოყალიბებული.**

*რეგიონული კონკურენტუნარიანობის გამოთვლის მეთოდიკა.* **იგი გულისხმობს მაჩვენებლების შერჩევის, მონაცემთა შეგროვების, მონაცემთა შეკალირების და კომპლექსური ინდექსის საფუძველზე რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების ეტაპებს.**

**მაჩვენებლების შერჩევა.** მისი მიზანია წარმოდგენილ იქნეს მაჩვენებლები, რომლებიც ყველაზე სრულად ახასიათებენ რეგიონის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ ფაქტორებს, სისტემატიზებულ იქნეს ამ მიმართულებით არსებული მეთოდოლოგიური მიდგომები.

**მონაცემთა შეგროვება.** იგი გულისხმობს რეგიონების მიხედვით იმ მონაცემთა ბაზის შექმნას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების რაოდენობრივი შეფასება. აგრეთვე იმ მაჩვენებელთა გათვლა, რომელიც არ არის ოფიციალურ სტატისტიკაში.

**მონაცემთა შკალირება.** იგი მოიცავს თითოეული ფაქტორისადმი შესაბამისი ბალების მიკუთვნებას და ამ პროცესში ზომის სხვადასხვა ერთეულებში წარმოდგენილი მაჩვენებლების ზომის ერთიან ერთეულში გადაყვანას (0-1 ინტერვალში). იგი ხორციელდება კონკრეტული რეგიონის მაჩვენებლისა და რეგიონებს შორის მინიმალური მაჩვენებლის სხვაობასთან რეგიონებში ამავე მაჩვენებლების მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობების სხვაობის შეფარდებით.

$$\frac{a_{ij} - a_{\min j}}{a_{\max j} - a_{\min j}} \quad (1).$$

ან

$$1 - \frac{a_{ij} - a_{\min j}}{a_{\max j} - a_{\min j}} \quad (2).$$

მიღებული შერჩევა წარმოადგენს ყველა რეგიონისთვის თითოეული არჩეული მაჩვენებლის მიხედვით მიკროინდექსთა ერთობას, რომელთა მნიშვნელობა 0-სა და 1-ს შორისაა. ამ დროს 1 საუკეთესო მაჩვენებელია, 0 – ყველაზე უარესი.

**რეგიონის კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლა.** საშედეგო ინდექსი მიკროინდექსთა საშუალო არითმეტიკულის სახითაა წარმოდგენილი, ასევე შესაძლებელია მას მიეცეს უკვე გათვლილი მიკროინდექსების შეწონილი საშუალოს სახე. ამ შემთხვევაში რეგიონის კონკურენტუნარიანობის ინდექსი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$I_{comp} = \sum_{1}^{i} \frac{x_{ij} - x_{\min j}}{x_{\max j} - x_{\min j}} \quad (3).$$

რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის ჩვენს მიერ შემდეგი მაჩვენებლები იქნა წარმოდგენილი: **1) რეგიონის კონკურეტული უპირატესობის მაჩვენებლები.**

- რეგიონის ფაქტორული (რესურსული) უპირატესობა;

---

**** ქარქაშაძე ნ., თოდუა ნ., მუშკუდიანი ა. რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხი. ჟურნალი „ეკონომიკა", 2006, №4.

რეგიონის ინვესტიციური უპირატესობა;
რეგიონის ინფრასტრუქტურული უპირატესობა;
რეგიონის ინოვაციური უპირატესობა;
რეგიონის ინფორმაციული უპირატესობა;
რეგიონის ინსტიტუციური უპირატესობა;
რეგიონის დარგობრივი სტრუქტურის პროგრესულობა.

### 3) რეგიონის კონკურენტუნარიანობის საშედეგო მაჩვენებლები

მთლიანი რეგიონული პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე;
მთლიან რეგიონულ პროდუქტში ექსპორტის წილი;
მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდის ტემპი.

**რეგიონის ფაქტორული უპირატესობის** შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მაჩვენებლები: შრომის მწარმოებლურობა, რეგიონის შეფარდებითი უპირატესობა, ძირითადი კაპიტალის უკუგება.

შრომის მწარმოებლურობის ინდექსის გამოთვლისთვის თითოეულ რეგიონში განხორციელდა შრომის მწარმოებლურობის გათვლა 5 დარგისთვის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა და მომსახურება). ამ დროს შრომის მწარმოებლურობა გათვლილ იქნა, როგორც კონკრეტულ დარგში დეკლარირებული საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება გაყოფილი ამავე საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვზე. შემდგომ (1) ფორმულით თითოეულ დარგში განისაზღვრა შრომის მწარმოებლურობის მიკროინდექსები. რადგან რეგიონებში დასაქმების დონეები განსხვავებულია აუცილებელია თითოეულ დარგში დასაქმებულთა წილის მიხედვით მიკროინდექსთა კორექტირება. შრომის მწარმოებლურობის საშედეგო ინდექსი გამოითვლება 5-ვე დარგის მიკროინდექსთა საშუალო არითმეტიკულით, შეწონილი რეგიონების თითოეულ დარგში დასაქმებულთა რიცხვთან.

რეგიონის შეფარდებითი უპირატესობის მაჩვენებლად წარმოდგენილია წარმოებულ პროდუქციაში შრომის ანაზღაურების ტევადობა (დარგში საშუალო შრომის ანაზღაურება X დარგში დასაქმებულთა რიცხვზე : დარგში გამოშვებული პროდუქციის ღირებულებაზე) და ამ შემთხვევაშიაც აღებულ იქნა მხოლოდ დეკლარირებული საწარმოების მონაცემები. იგი შრომის მწარმოებლურობის ინდექსის ანალოგიურად გაითვლება 5 დარგში. რადგანაც რაც უფრო მეტია შრომის ანაზღაურების ტევადობის მაჩვენებელი, მით ნაკლებია შეფარდებითი უპირატესობა, ამ ინდექსის გათვლისთვის (2) ფორმულა გამოიყენება.

ძირითადი კაპიტალის უკუგების ინდექსი რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე ძირითადი კაპიტალის მოცულობას ახასიათებს და (1) ფორმულით გაითვლება.

**რეგიონის ინვესტიციური უპირატესობის** მაჩვენებლად რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე ინვესტიციების მოცულობა იქნა გამოყენებული და მისი ინდექსი ანალოგიურად (1) ფორმულით იქნა გათვლილი.

**რეგიონის ინფრასტრუქტურული უპირატესობის** მაჩვენებლად გამოყენებულ იქნა საავტომობილო გზების (საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის) სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე, წარმოდგენილი როგორც ინდექსი (1) ფორმულის საშუალებით.

**რეგიონის ინოვაციური უპირატესობის** შეფასებაც ანალოგიურად მოხდა, მაჩვენებლად კი რეგიონში კვლევებისა და დამუშავებების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილი იქნა გამოყენებული.

**რეგიონის ინფორმაციული უპირატესობის** მაჩვენებელიც ანალოგიურად იქნა გათვლილი და მის რანგში გამოყენებულია რეგიონში მთლიანად დასაქმებულებში ინფორმაციის დამუშავების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილი.

**რეგიონის ინსტიტუციური უპირატესობის** მაჩვენებლად აღებულია რეგიონის მთავრობის პოზიცია რეგიონთაშორის კონკურენციაში (რეგიონის ბიუჯეტის შემოსავლების დონე ერთ სულზე). უკვე წარმოდგენილი მეთოდით მოხდა თითოეულის მიხედვით ინდექსების გათვლა.

**რეგიონის დარგობრივი სტრუქტურის პროგრესულობის** მაჩვენებლად აღებულია ყოველ 100 000 მოსახლეზე მცირე საწარმოთა რიცხოვნება.

**რეგიონის კონკურენტული უპირატესობის** საშედეგო მაჩვენებლების (მთლიანი რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, მთლიან რეგიონულ პროდუქტში ექსპორტის წილი, მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდის ტემპი) ინდექსები გათვლაც ანალოგიურად განხორციელდა.

საბოლოოდ ცალკეული რეგიონის კონკურენტუნარიანობის საშედეგო ინდექსის გათვლა მოხდა ყველა 12-ვე კერძო ინდექსის საშუალო არითმეტიკულის სახით.

*საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ანალიზი.* წარმოდგენილი მეთოდიკით განხორციელებულმა გათვლებმა 2006 წლისთვის კონკურენტუნარიანობის ინდექსების მიხედვით საქართველოს რეგიონების შემდეგი რანჟირება მოგვცა: ქ. თბილისი – 0.94; აჭარისს ავტონომიური რესპუბლიკა – 0,36; ქვემო ქართლის მხარე – 0,33, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე – 0,30, გურიის მხარე – 0,29, კახეთის მხარე – 0,29, შიდა ქართლის მხარე – 0,28, მცხეთა-მთიანეთის მხარე – 0,28, იმერეთის მხარე – 0,24, სამცხე-ჯავახეთის მხარე – 0,19, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე – 0,12. ამ პერიოდისათვის ლიდერის (ქ. თბილისი) და შემდგომ პოზიციებზე მყოფი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ინდექსთა მკვეთრი განსხვავებულობა მიუთითებს ქ. თბილისსა და დანარჩენ რეგიონებს შორის არსებულ მკვეთრ დისპროპორციებზე როგორც ცხოვრების დონეში, ისევე იმ ეკონომიკურ პარამეტრებში, რომლებიც განსაზღვრავენ მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს.

როგორც მოსალოდნელი იყო რეგიონის საშედეგო ინდექსის შემადგენელ უმრავლეს მაჩვენებლებში ქ. თბილისი ლიდერობს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდისთვის ცალკეული რეგიონების მიხედვით უკიდურესად ნეგატიური მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი რეგიონების ინოვაციური, ინფორმაციული, ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური უპირატესობის ინდექსები. რაც რეალობას ადეკვატურად ახასიათებს და უჩვენებს საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებისადმი რეგიონების ეკონომიკის ინოვაციურ, ინფორმაციულ, ინფრასტრუქტურულ დაა ინსტიტუციურ შეუთავსებლობას.


ამავდროულად აღსანიშნავია, რომ მიღებული კონკურენტუნარიანობის ინდექსები რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის არსებულ მნიშვნელოვან რეზერვებზეც მიუთითებს და გვიჩვენებს ეროვნულ ეკონომიკაში არსებულ მაღალ პოტენციალსა და განვითარების ძირითად ვექტორზე: ინოვაციების, ინფორმაციის, ინფრასტრუქტურის სფეროში არსებით პერმუტაციასა და ინსტიტუციური ცვლილებების აუცილებლობაზე მცირე ბიზნესის განვითარების, საშუალო ფენის ფორმირებისა და ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის ოპტიმიზაციის მიმართულებით.

რეგიონის ფაქტორული უპირატესობის მაჩვენებლების მხრივ განსაკუთრებით ნეგატიურია მთიანი რეგიონების პარამეტრები. კერძოდ, შრომის მწარმოებლურობის საშედეგო ინდექსი უკიდურესად დაბალია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. რაც მიუთითებს შრომის მწარმოებლურობის მხრივ არსებულ მკვეთრ განსხვავებულობაზე. აღსანიშნავია, ისიც რომ არსებული მონაცემებით სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა ქ. თბილისი, რაც არაკანონზომიერია. ასევე არათანაბარია ძირითადი კაპიტალის უკუგების პარამეტრები. იგი განსაკუთრებით დაბალია გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, შიდა ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის მხარეებში.

შედარებით თანაბრადაა წარმოდგენილი რეგიონების შეფარდებითი უპირატესობის მაჩვენებლები, რაც მიუთითებს რეგიონებში შრომის ანაზღაურების დონის გამოთანაბრებაზე.

ინვესტიციური უპირატესობის მხრივ დაბალია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის მხარის მაჩვენებლები. ამასთანავე ქ. თბილისსა და დანარჩენ რეგიონებს შორის ამ მხრივ მკვეთრი დისპროპორციაა.

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოთანაბრების, მთიანი რეგიონების განვითარების, რეგიონებში ინოვაციური და ინფორმაციული პირობების გაუმჯობესების სპეციალური პროგრამების შემუშავება.



ცხრილი 8.3.1. საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობა – 2006 წელი

| № | რეგიონები | რეგიონის კონკურენტული უპირატესობის მაჩვენებლები | | | | | | | | | რეგიონის კონკურენტუნარიანობის საშედეგო მაჩვენებლები | | | რეგიონის კონკურენტუნარიანობის ინდექსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რეგიონის ფაქტორული (რესურსული) უპირატესობის მაჩვენებლები | | | | | | | | | | | | |
| | | შრომის ნაყოფიერების საშედეგო ინდექსი | შეღარდებითი უპირატესობის საშედეგო ინდექსი | ძირითადი კაპიტალის ეკუთვნის ინდექსი | რეგიონის ინვესტიციური უპირატესობის ინდექსი | რეგიონის ინფრასტრუქტურული უპირატესობის ინდექსი | რეგიონის ინოვაციური უპირატესობის ინდექსი | რეგიონის ინფორმაციული უპირატესობის ინდექსი | რეგიონის დარეგიონალური სტრუქტურის პროგრესულობის ინდექსი | რეგიონის ინსტიტუციური უპირატესობის ინდექსი | მოსახლეობის 1 სულზე მთლიანი რეგიონული პროდუქტის მოცულობის ინდექსი | მთლიან რეგიონულ პროდუქტში ექსპორტის წილის ინდექსი | მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდის ინდექსი | |
| 1 | ქ. თბილისი | 0,82 | 0.95 | 1 | 1 | 1 | 0,65 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0,86 | 0,94 |
| 2 | აფხაზეთის ავტ-რი რესპუბლიკა | - | - | - | - | - | - | - | - | 0,009 | - | - | - | - |
| 3 | აჭარის ავტ-რი რესპუბლიკა | 0,37 | 0,70 | 0.22 | 0,37 | 0,003 | 0,14 | 0,65 | 0,64 | 0,23 | 0,22 | 0,54 | 0,21 | 0,36 |
| 4 | იმერეთის მხარე | 0,12 | 0,55 | 0,07 | 0,05 | 0,006 | 0,03 | 0,31 | 0,39 | 0,15 | 0,12 | 0,77 | 0,31 | 0,24 |
| 5 | სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე | 0,54 | 0,75 | 0,27 | 0,18 | 0,001 | 0 | 0,28 | 0,12 | 0,10 | 0,14 | 0,57 | 0,60 | 0,30 |
| 6 | გურიის მხარე | 0,18 | 0,50 | 0 | 0,055 | 0,003 | 0 | 0,66 | 0,27 | 0,01 | 0,57 | 0,46 | 0,76 | 0,29 |
| 7 | რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე | 0,0002 | 0,35 | 0,01 | 0 | 0,0003 | 0 | 0 | 0,65 | 0 | 0,10 | 0 | 0,30 | 0,12 |
| 8 | შიდაქართლის მხარე | 0,31 | 0,70 | 0,01 | 0,57 | 0,004 | 0,17 | 0,14 | 0 | 0,04 | 0,30 | 0,49 | 0,67 | 0,28 |
| 9 | მცხეთა-მთიანეთის მხარე | 0,44 | 0,75 | 0,14 | 0,12 | 0,001 | 0 | 0,07 | 0,23 | 0,03 | 0,39 | 0,26 | 1 | 0,28 |
| 10 | კახეთის მხარე | 0,09 | 0,50 | 0,03 | 0,006 | 0 | 0 | 0.66 | 0,31 | 0,06 | 0,32 | 0,84 | 0,72 | 0,29 |
| 11 | ქვემო ქართლის მხარე | 0,54 | 0,65 | 0,17 | 0,43 | 0,001 | 0 | 0,31 | 0,33 | 0,16 | 0,15 | 0,57 | 0,63 | 0,33 |
| 12 | სამცხე-ჯავახეთის მხარე | 0,21 | 0,75 | 0,02 | 0,003 | 0,0003 | 0 | 0,29 | 0,21 | 0,06 | 0,52 | 0,03 | 0,19 | 0,19 |

# რეგიონის კონკურენტუნარიანობა და ფინანსური ინფრასტრუქტურა

## 9.1. ფინანსური ინსტიტუტების როლი რეგიონის კონკურენტუნარანობის ამაღლებაში

რეგიონული ფინანსური სისტემის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული ფინანსების აკუმულირებას, ანგარიშსწორების ოპტიმიზაციას, კაპიტალის შიდარეგიონალურ გადინებას შემდგომში ეკონომიკის რეალურ სექტორში რეინვესტიციის მიზნით, ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, წარმოადგენს ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. რეგიონული ფინანსები – ეს არის ყველაზე მობილური რესურსი, რომლის სწორად გამოყენება იძლევა „მრავალი სხვა დარგის პოტენციურ პროდუქტიულობაზე“[*]. ზემოქმედების საშუალებას, უზრუნველყოფს რეგიონის სხვა რესურსების გამოყენების განვითარების და ეფექტურობის ამაღლების დაჩქარებას.

რეგიონული ფინანსური სისტემის ანალიზი ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით საშუალებას იძლევა რეგიონის ეკონომიკურ პოლიტიკაში დასაბუთებულად განისაზღვროს პრიორიტეტები. არამარტო ჩამოყალიბდეს და შენარჩუნებულ იქნეს კონკურენტული უპირატესობა დიდი ხნის მანძილზე.

ამრიგად, ტერიტორიის ეკონომიკური განვითარება ცალკე აღებულ დარგებში საჭიროებს ფინანსური რესურსების არსებობას მათი ინვესტირებისათვის, ამ დარგებს გაჩნიათ უდავო კონკურენტული უპირატესობა და წარმოადგენენ რეგიონული ეკონომიკის ყველა დანარჩენი სექტორის „განვითარების (ზრდის) ლოკომოტივს“. თუმცა ამ პრობლემის გადაჭრა „ავტომატურ რეჟიმში“ არ ხდება. როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ დონეზე მთავრობის პოლიტიკას, აქვს დიდი მნიშვნელობა ეროვნული კონკურენტული უპირატესობის ფორმირებისას, სწორედ აქ უნდა აღინიშნოს სახელმწიფო მხარდაჭერის განსაკუთრებული როლი განვითარების ზუსტად ამ ეტაპზე. „მოცემულ სტადიაზე სახელმწიფოს მიერ წარმოებული სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს კონკურენტული უპირატესობების სარესურსო ბაზის განმტკიცებას. იმ პირობებში, როდესაც კონურენცია უმთავრესად მიმდინარეობს ფაქტორულ დანახარჯებზე და საჭირო ხდება ეკონომიკაში ინვესტიციების გაზრდა, სახელმწიფოს როლი შეიძლება აღმოჩნდეს სრულიად არსებითი. ის შეიძლება გამოვლინდეს ისეთ სფეროებში, როგორიცაა კაპიტალის წარმართვა განსაზღვრული დარგებისაკენ, ისეთი ფირმების მხარდაჭერა, რომელთა საქმიანობა განსაკუთრებულ რისკს უკავშირდება, შიდა კონკურენციის წახალისების მიზნით აუტსაიდერთა დროებითი დაცვის უზრუნველყოფა და საწარმოების თანამედროვე დანადგარებით აღჭურვა, უცხოური ტექნოლოგიების შეძენის სტუმულირება, ექსპორტის წახალისება. სახელმწიფოს ამ სტადიაზე წამყვანი როლი აკისრია ფაქტორთა შექმნისა და აღორძინებისათვის ინვესტიციების წარმართვაში“.[*]

რეგიონის ეკონომიკაში ინვესტიციის ძირითად წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ტერიტორიის საკუთარი ფინანსური რესურსები. არავინ მისცემს ფულს მსესხებელს, რომელმაც არა მხოლოდ არ იცის, რამდენი აქვს ფული საფულეში, არ აქვს საკუთარი ფული, ანდა ჯიბე აქვს გახვრეტილი. ამგვარად, რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი მრავალ ასპექტში დამოკიდებულია ტერიტორიის მმართველ ორგანოთა უნარზე მოახდინონ რეგიონული სესხების ფინანსური ბაზრის ფორმირება კომპლექსური ამოცანების გადაჭრის გზით, კერძოდ: რეგიონის ფინანსური სისტემის მდგომარეობის, მისი ფინანსური გადინების შემცველი საინფორმაციო ბაზის ფორმირება, მათი მუდმივი მონიტორინგი; რეგიონულ ფინანსურ ინსტიტუტებში ფინანსური რესურსების თავმოყრა; რეგიონის განვითარების ინტერესების სასარგებლოდ ფულადი რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა; სოციალური, ფინანსური, საინვესტიციო და სხვა რისკების მინიმიზაცია რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ასამაღლებლად და რეგიონიდან კაპიტალის გადინების თავიდან ასაცილებლად.

ამასთან ერთადერთ ტერიტორიის ადმინისტრაციის საინვესტიციო სტრატეგია ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან (კონცეფციასთან). მიზანშეწონილია ჯუპირატესობა ჴმიენიჭოს არა პირდაპირ სესხებას, არამედ, ისეთი პირობების შექმნას, რომე-

[*] პორტერი, 1993, გვ.669

[*] პორტერი, 1993. გვ. 593.

ლიც უზრუნველყოფს რეგიონის (ქალაქის) საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას და საინვესტიციო პროექტებში კერძო კაპიტალის სტიმულირებას.

თავის მხრივ, გათვლილი და აწონ-დაწონილი პირდაპირი სესხები საშუალებას მისცემს რეგიონებს (მუნიციპალიტეტებს) შექმნან საკრედიტო ისტორია და უზრუნველყონ თავი კაპიტალის საკრედიტო

ბაზარზე ეროვნული და საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის საფუძველზე. შედეგად, ქალაქებს და რეგიონებს შეუძლიათ მიიღონ მთელი რიგი უპირატესობები, მაგ.: ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, კრედიტუნარიანობის და საკრედიტო რეიტინგის ამაღლება, დამოუკიდებლობის და ფინანსური დამოუკიდებლობის ამაღლება, საკრედიტო კაპიტალის ბაზარზე ზემოქმედება.

ამრიგად, აუცილებელია რეგიონის ფინანსური სისტემის შესახებ ინფორმაციული ბაზის ფორმირების საკითხის პირველ ადგილზე დაყენება, რაც გულისხმობს: რეგიონის ნაღდი-ფულადი ბრუნვის, მის შიგნით მოძრავი ფინანსური ნაკადების, არხების და კაპიტალის შემოდინებისა და გადინების მოცულობის შესახებ. სტატისტიკური ინფორმაციის მიღება ფინანსური ინსტიტუტებისაგან, სამსახურებისაგან, რომელთაც ემსახურებათ რეგიონის ფინანსური ინსტიტუტები, წარდგენილი მონაცემების ანალიზი და რეგიონის საფინანსო ბაზრის დარეგულირების საქმეში გადაწყვეტილების მიღება ეს არის ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფის საფუძველი. ცხადი ხდება შეგროვებითი სტატისტიკური ინფორმაციის სტრუქტურის, საანგარიშო მონაცემების შეცვლის, ფინანსური ბაზრის მონაწილეების მოღვაწეობის შესახებ მონაცემების გამჭირვალობის და ხელმისაწვდომობის ამაღლების აუცილებლობა. ასეთი სამუშაო მაქსიმალური ეფექტურობით შეიძლება ჩატარდეს რეგიონის დონეზე მთლიანად, და არა ცალკეული მუნიციპალური და რაიონული ორგანოების დონეზე.

რეგიონული ფინანსური სისტემის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ტერიტორიის ფინანსების სამი ძირითადი შემადგენელი ნაწილი:

- ოლქის კონსოლიდირებული ბიუჯეტის და მუნიციპალური ორგანოების თანხები.
- მოსახლეობის თანხები მეწარმეების ჩათვლით, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.
- საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების თანხები.

შესაძლებელია რეგიონის ფინანსური რესურსის განზოგადება, მისი ორიენტაცია „ექსპორტზე". რეგიონი ორჯერ ახორციელებს ცენტრის კრედიტირებას: როგორც ტერიტორია-დონორისას და როგორც ტერიტორიისას, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი „საფულე". ამავე დროს, თუ საწარმოს მოგებას განვიხილავთ როგორც რეგიონის საინვესტიციო წყაროს, მოსახლეობის წმინდა მოგება, ასევე საწარმოთა ანგარიშებზე დარჩენილი ნარჩენები, რომელთა გამოყენება ბანკს შეუძლია საკრედიტო რესურსის სახით, ათობით მილიარდ მანეთს შეადგენს.

სიტუაცია ასევე მძიმდება რეგიონული ფინანსური უნივერსიტეტის ურთიერთქმედების დონითაც. რეგიონულ ბანკებს არ გააჩნიათ ერთიანი საინფორმაციო ველი, რეგიონული კლირინგული სისტემები, ბანკთაშორისი კრედიტირების ღია ბაზარი, ასევე ანგარიშსწორების უნივერსალური სისტემა პლასტიკური ბარათების გამოყენებით და ა.შ. არ არის შემუშავებული ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ურთიერთქმედების საკითხები, რომლებიც გარკვეულწილად რეგიონული ფინანსური რესურსების აკუმულირებას ახდენენ. ყველაფერი ხდება იმ ზოგადი პრობლემების ფონზე, რაც დამახასიათებელია რეგიონის ყველა ფინანსური ინსტიტუტისათვის: საკუთარი კაპიტალის მცირე მოცულობა, კლიენტთა განსაზღვრული წრე, უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტთა და მოსკოვის სტრუქტურათა ექსპანსიის საფრთხე.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული ბანკები მიუახლოვდნენ თავიანთი განვითარების ზღვრულ ნიშნულს, რომელიც წარმოიქმნა საფინანსო, მატერიალურ – ტექნიკურ და კლიენტთა ბაზაზე. კრედიტთა მოცულობის გაზრდის ხარჯზე რეფინანსირების განაკვეთის შემცირების კომპენსაციის პრობლემის გადაჭრა ხელს უშლის იმ შეზღუდვებს, რომელიც დგინდება რეგიონული ბანკების საწესდებო

კაპიტალის მოცულობით. შედეგად, რეგიონული ბანკების კუთვნილი კაპიტალის შეზღუდული მოცულობა ზღუდავს მის შესაძლებლობებს მოცულობაში, როგორც მიმზიდველს, ასევე რეინვესტირებულს ეკონომიკის კაპიტალის რეალურ სექტორში.

ხოლო ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ინფლაციის აღმოფხვრისაკენ და რეფინანსირების განაკვეთის შემცირებისაკენ, ასევე აყენებს მცირე რეგიონულ ბანკებს გადარჩენის ზღვარზე, უშლის რა ხელს მათ შემდგომ განვითარებას. გარდა ამისა, არსებობს რიგი შეზღუდვებისა, რომლებიც მათ შემდგომ განვითარებას აბრკოლებენ.

პირველ რიგში მათ შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

• მჭიდრო დამოკიდებულება ცალკეული, შედარებით ძლიერი კლიენტებისა რესურსების მოძრაობასა და საჭიროებაზე, უმოქმედო ლიკვიდური აქტივების მაღალი დონის შენარჩუნება.

• საკრედიტო პორტფელის მაღალი კონცენტრაცია, მცირე რაოდენობის კრედიტორებთან (მათ შორის აფილირებულ პირებთან).

• დამატებითი ფინანსური წყაროების ე.წ. „სუფთა" წყაროების გარედან მოზიდვის შეზღუდული შესაძლებლობანი.

• მართვის აპარატსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მაღალი დონე.

• ჩასატარებელი საბანკო ოპერაციების მოცულობის შეზღუდვა, რომელიც განისაზღვრება ამ ბანკების საკუთარი კაპიტალის მოცულობით.

აღსანიშნავია, რომ პრობლემათა ეს ბლოკი ასახავს რეგიონული ბანკების მოღვაწეობის მხოლოდ ერთ ასპექტს. ძნელია მათი როლის შეფასება რეგიონული ფინანსური ბაზრის მხარდაჭერასა და განვითარებაში, რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ფორმირებაში.

პირველ რიგში, ეს არის საბანკო შემოსავლების არნახული ზრდა, უპირველესად კი, პროცენტულისა, რომელიც მიიღება რეალური ეკონომიკის კრედიტირების ხარჯზე. მეორე, საზღვარგარეთ კაპიტალის ინტენსიური გადინების ზრდა საბანკო სისტემის მეშვეობით. ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციის განმარტება იძლევა შიდა ეკონომიკურ განვითარებაში რეგიონული საბანკო სისტემის როლის საკითხის გადაწყვეტის გასაღებს. თავის მხრივ მსხვილი ექსპერტულ-ორიენტირებული ბანკები, ასევე არარეზიდენტთა მიერ კონტროლირებადი ბანკები ზრდიდნენ საზღვარგარეთ კაპიტალის გატანას. ამგვარად, ამ მომენტისათვის ბანკთა ორი ძირითადი ჯგუფია ჩამოყალიბებული, მიუხედავად მათი მოცულობისა და ტერიტორიული განლაგებისა, – ბანკები, რომლებიც ახდენენ ეროვნული დანაზოგის ტრანსფორმირებას ქვეყნის შიდა ინვესტიციებში და ბანკები, რომლებიც აფინანსებენ საზღვარგარეთის ეკონომიკას. ამასთანავე, რეგიონული ბანკები არიან საწარმოთა და თავიანთი ტერიტორიის მოსახლეობის კრედიტირების ლიდერები.

რეგიონული ბანკები ახორციელებენ ადგილობრივი სესხის ამღები კრედიტირების აგრესიულ ზრდას (როგორც პირდაპირი კრედიტირების, ასევე მათი საკრედიტო ვალდებულებების შესყიდვის გზით), ეყრდნობა რა როგორც ქვეყნის შიდა ფასიანი რესურსების მობილიზაციას, გაფართოებას, ასევე უცხოური საშუალებების მოზიდვას. ამ ბანკების ძირითად როლს ეკონომიკაში წარმოადგენს სხვა სექტორში არსებული ფინანსური დანაზოგების სხვა საწარმოთათვის გადანაწილება და ასევე რეგიონთაშორისი და შიდა რეგიონული ანგარიშების მომსახურება. დღეს, როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, მიუხედავად არსებული სირთულეებისა, იზრდება მცირე და საშუალო ბანკთა ჯგუფები მთელი საბანკო სისტემის შესატყვისად.

ამგვარი განვითარების აუცილებლობა განპირობებულია ჩამოყალიბებული ეკონომიკური სიტუაციით. დღევანდელ დღეს დარგთა მიერ შიდა ბაზრის საკრედიტო რესურსების მოზიდვის ტემპი იწყებს ეკონომიკის ექსპერტულ-ორიენტირებული სექტორის სესხის ტემპებისათვის გატოლებას. აქტიური კრედიტირების ახალ პერსპექტიულ სფეროთა შორის გამოიყოფა: სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ელექტროენერგეტიკა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. უწინდებურად შენარჩუნებული არის დავალიანების მნიშვნელოვანი ზრდა ისეთ გადამამუშავებელ სფეროებში, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, სამშენებლო მასალათა მრეწველობა, მინის წარმოება. მაღალი, მაგრამ ჯერ კიდევ არარეალიზებული სესხების პოტენციალი დამახასიათებელია მსუბუქი, კვების მრეწველობისა და მშენებლობისათვის. შიდა ბაზრის დარგთა კრედიტორული დავალიანების ზრდის დადებით დინამიკას თან ახლავს წილთა შემცირების დადებითი დინამიკა მათი გადავადებული დავალიანებით. ყველა ზემოაღნიშნულ დარგს, გააჩნია მკვეთრად გამოხატული ტერიტორიული ხასიათი, როგორც თავისი პროდუქციის რეალიზაციის, ასევე რესურსთა მოზიდვის თვალსაზრისითაც. ამ დარგთა საწარმოების მოღვაწეობის მასშტაბები ნაკლებმიმზიდველია მსხვილი კაპიტალისათვის, როგორც მოთხოვნადი რესურსების, ასევე ინვესტიციების მომგებიანობის თვალსაზრისით.

ამგვარად, პირველ რიგში, კონსტატაცია უნდა გავუკეთოთ იმ ფაქტს, რომ რეგიონის ეკონომიკის რეალური სექტორის მხრიდან არსებობს განუხრელად მზარდი საბანკო მომსახურება და დაუკმაყოფილებლობა; მეორე, ეკონომიკის რეალური სექტორის კრედიტირებაზე ორიენტირებული რეგიონული ბანკების საფინანსო ინსტრუმენტები და მესამე, თავისუფალი ფულადი რესურსების დეფიციტი, რომელთა დაფარვის პოტენციური წყარო შეიძლება გახდეს ტერიტორიის ორგანიზაციულ-ფინანსური ნაკადები.

ამრიგად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ტერიტორიის ეკონომიკური ზრდის პროცესის მხარდაჭერისათვის, საჭიროა რეგიონული საბანკო სისტემის განვითარება, რომელსაც გააჩნია შიდა

საინვესტიციო ორიენტაცია. ასეთი განვითარების შესაძლებლობა განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით:

- რეგიონული ბანკების ჩართვა „სახელმწიფო შეკვეთაში“ საბიუჯეტო ნაკადის მომსახურებაზე;
- ბანკების ფილიალების ქსელის განვითარება, რომელიც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნეს ათვისებული ტერიტორიული დანაზოგების წყაროები, მაქსიმალურად დაუახლოვდეს თავისი მომსახურების ისეთ ობიექტებს, როგორიცაა წვრილი და საშუალო ბიზნესის სუბიექტები, საწარმოები, რომლებიც ორიენტირებული არიან შიდა მოხმარებაზე.
- ბანკების რაოდენობის ზრდა დივერსიფიცირებულ კლიენტთა ბაზით „ჯიბის“ ბანკების ინსტიტუტის დაშლის გზით. („ერთი კლიენტის ბანკი“)
- რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერით მოქმედი რეგიონული ბანკების შეერთების გზით გაძლიერება.
- რეგიონული ბანკების ახალი აქციონერების მიზიდვა როგორც საზღვარგარეთის საპორტფელო ინვესტორებისა, როგორც „შიდა“, ასევე „გარე“ მონაწილეების ჩათვლით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რეგიონის განვითარებით.
- Aადმინისტრაციულ – ორგანიზაციული და ნორმატიულ-სამართლებრივი ხელშეწყობის უზრუნველყოფა ტერიტორიების სავაჭრო-სამრეწველო ობიექტების კონცენტრაციაში რეგიონულ ბანკებში.

აუცილებელია ორგანიზაციული და ნორმატიულ-სამართლებრივი ზომების მიღება ამ პრობლემის გადასაჭრელად. ოლქის ეკონომიკური და სამრეწველო პოლიტიკის გატარებისათვის საჭიროა მათი განხილვა საერთო და ცალკეული ტერიტორიების მიხედვით, რათა გამოიკვეთოს პრიორიტეტული დარგები ან ცალკეული საწარმოები, რომლებიც გამოდიან რეგიონული ეკონომიკის (მისი ცალკეული ტერიტორიების), მათი მხარდაჭერის ახალი ფორმების და მეთოდების „ზრდის ლოკომოტივებად“. ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფინანსურ სფეროში სახელმწიფო ორგანოების რეგიონული მართვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ქმნის კონკურენციის თანაბარ პირობებს ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს შორის, უზრუნველყოფს კონკურენციის განვითარებას, აგრეთვე საკრედიტო ორგანიზაციების მხარდაჭერას და იმ პირობების ჩამოყალიბებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ორგანიზაციების შემდგომ განვითარებას, რომლებიც ორიენტირებული არიან თავის მოქმედების სფეროში რეგიონული პრობლემების გადაჭრაზე. ეს ზომები აგრეთვე გვთავაზობენ ტერიტორიის ფულადი ნაკადით ორგანიზაციის და მართვის საკითხების გადაჭრას. პირველ რიგში ეს ეხება კონსოლიდირებული საოლქო ბიუჯეტის სახსრებს და ოლქის მუნიციპალური წარმონაქმნების ბიუჯეტებს. პირობითად ეს სახსრები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ჯგუფი, რომელსაც ემსახურება ცენტრალური ბანკის ტერიტორიული ქვეგანყოფილება და ჯგუფი, რომელსაც ემსახურება კომერციული ბანკები.

საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც არიან ცენტრალური ბანკების ტერიტორიული ქვეგანყოფილებების საანგარიშსწორებო-საკასო ცენტრების ანგარიშზე, არსებული კანონმდებლობის მოთხოვნის ძალით, აგრეთვე ზოგიერთ ტერიტორიაზე საკუთარი საკრედიტო დაწესებულების არარსებობის მიზეზით ფაქტიურად მუშაობენ ფედერალურ დონეზე. თუ ვივარაუდებთ რეგიონის და ცენტრის ურთიერთდამოკიდებულების გაფორმების შესაძლებლობას ეკონომიკურ პრინციპებზე, შეიძლება შეთავაზებულ იქნას ფასიან მომსახურებაზე გადასვლა ტერიტორიის დონორის ფულადი რესურსების დამოკიდებულებაში, რომელიც არის ცენტრალური ბანკის ტერიტორიული ქვეგანყოფილების ანგარიშზე. გარდა ამისა, უნდა დაისვას საკითხი იმ რეგიონის სახსრების გარკვეული ნაწილის რეინვესტირების შესაძლებლობაზე, რომელიც აკუმულირებულია ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე, რეგიონული ბანკების ცენტრალიზირებული კრედიტების სახით, რომლებიც პასუხობენ საბანკო კანონმდებლობის ნორმატიულ მოთხოვნებს. ცენტრალიზირებული კრედიტების გამოყენება შესაძლოა შესაბამისი ყოფილიყო დარგების და სხვადასხვა საწარმოების მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულებებისა, რომლებიც გამოყოფილნი არიან როგორც რეგიონის ეკონომიკის „ზრდის წერტილები“, შესაბამისი დონის ბიუჯეტის გარანტიით. ეს საშუალებას მოგვცემდა თავიდან აგვეცილებინა საბიუჯეტო სახსრების, როგორც საბიუჯეტო სესხის უარყოფა, საბიუჯეტო დაფინანსება განვითარების ან საინვესტიციო პროგრამების ბიუჯეტის ფარგლებში კომერციულ პროგრამებზე, რომლებსაც აქვთ თვითანაზღაურების პოტენციალი. ასეთი დამოკიდებულება შესაძლებლობას შექმნიდა, პირველ რიგში, ფინანსური რისკები გადანაწილებულიყო ბიუჯეტებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, გამოყენებული ყოფილიყო ფინანსური ინსტიტუტების საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებიც არ გააჩნია ცბისმიერი დონის ადმინისტრაციას.

იმ ბიუჯეტის საფინანსო სახსრების ნაწილში კი, რომელიც შორდება სახელმწიფო საბანკო სექტორის ფარგლებს, მათი მოძრაობის ორგანიზება და მოწესრიგება საშუალებას მოგვცემდა გადაჭრი-

ლიყო პრობლემების კომპლექსი. „დაშვება" საბიუჯეტო სახსრების მომსახურებაზე უნდა მიიღონ ბანკებმა, რომლებიც პასუხობენ მთელ რიგ დამატებით მოთხოვნებს, შემუშავებულს მმართველობის საოლქო ორგანოების მიერ და ღიად წაუყენებენ ამ პროცესის ნებისმიერ პოტენციურ მონაწილეს. პირველ რიგში, ეს ეხება იმ საბიუჯეტო სახსრებს, რომელთაც ემსახურებიან კომერციული ბანკები. ეს ვარაუდობს ბანკის მყარ ფინანსურ მდგომარეობასაც, მის მაღალ საქმიან რეპუტაციას, აქტივების არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების დაბრუნებას „სადაზღვევო მოვლენის" დადგომის შემთხვევაში, საქმიანობის საინფორმაციო გამჭვირვალობას და ა. შ. საბიუჯეტო სახსრების მომსახურება უნდა განხორციელდეს ერთიან სტანდარტებთან შესაბამისობაში და ტარიფების განსაზღვრული დონის ჩარჩოებში. მნიშვნელოვანია ეკონომიკურად დასაბუთებული ნებისმიერი დონის ბიუჯეტის მოთხოვნების შემოტანა შესაბამისი ბანკის ფილიალების ქსელის განვითარების შესახებ მათი მომსახურების კომფორტულობისა და ხელსაყრელობის ამაღლებისათვის, ვინც იღებს საბიუჯეტო სახსრებს, ტერიტორიის აკუმულირებული სახსრების ნაწილის რეინვესტირებაზე და მათ საინვესტიციო პროგრამებზე. ამით შესაძლებელი იქნებოდა იმ კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემდა ნებისმიერ საბანკო დაწესებულებას ემუშავათ საბიუჯეტო სახსრებით ურთიერთხელსაყრელი პირობებით მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით, შესაძლებელი იქნებოდა ბაზარზე კონკურენციის შემდგომი განვითარების პირობების შექმნა. ასეთი თანამშრომლობის დადებით მომენტს წარმოადგენს უფრო მეტი გამჭვირვალობის და კონტროლის უზრუნველყოფა საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებასა და მათი გამოყენების ეფექტურობის ამაღლებაზე.

შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ტარდება ხელისუფლების ორგანოების მიერ რეგიონულ საფინანსო ინსტიტუტებთან დაკავშირებით, მოახდენდა მულტიპლიკატურ ეფექტს ამ ბანკებში რეგიონის ორგანიზაციების და საწარმოების სახსრების კონცენტრაციის თვალსაზრისით. ბანკი, რომელსაც აქვს საბიუჯეტო ნაკადთან მუშაობის უფლება, რა თქმა უნდა, იმაღლებს თავის სტატუსს როგორც არსებული, ისე პოტენციური კლიენტების თვალში. რეგიონულ ბანკებში ფინანსური ნაკადის კონსოლიდაციის ქმედითი ბერკეტი შეიძლება გამხდარიყო ხელისუფლების სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მიერ გატარებული შესაბამისი სამრეწველო, საინვესტიციო, და საგადასახადო პოლიტიკა. ასე, რომ სახელმწიფი (მუნიციპალური) დაკვეთის შესრულების, საგადასახადო დაჟალიანების რესტრუქტურიზაციის გატარების, საგადასახადო და საინვესტიციო კრედიტებით, საბიუჯეტო სესხით სარგებლობის უფლების მიცემის აუცილებელი პირობად შესაძლებელია გამხდარიყო შესაბამის რეგიონულ ბანკში მომსახურებაზე გადასვლის მოთხოვნა. გარდა ამისა, ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერით შესაძლებელია გადაწყვეტილიყო რეგიონის სამრეწველო საწარმოების მონაწილეობის საკითხი რეგიონული ბანკების საწესდებო კაპიტალის გაზრდის პროცესში არა მარტო მოქმედი ბანკების რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება), არამედ დამატებითი შენატანების შეტანის გზითაც.

როგორც საკრედიტო, ასევე საინვესტიციო რესურსების წყაროს წარმოადგენს მოსახლეობის სახსრები. ფიზიკური პირების რეალური შემოსავლის ზრდამ, ფინანსური ინსტიტუტებისადმი ნდობის გაზრდამ, საინფლაციო მოლოდინის სტაბილიზაციამ გამოიწვია ბანკის პასივებში მოსახლეობის სახსრების წილის მნიშვნელოვანი ზრდა. ამასთან ფიზიკური პირების სახსრების ზრდა მოხდა არა მარტო შემნახველი ბანკის წყალობით,ბ არამედ კერძო ბანკების აქტიურობის გამოც. დადებითად უნდა შეფასდეს უფრო გრძელვადიანი დეპოზიტების წილის ზრდის ფაქტი. მოკლევადიან პერსპექტივაში პროგნოზირდება შემდგომი განუხრელი ზრდა გრძელვადიანი დეპოზიტებისა იმ მსხვილი ბანკების პასივებში, რომლებიც ცდილობენ გაზარდონ თავიანთი წილი კერძო ანაბრების ბაზარზე. თუმცა ამ ბაზარზე რეგიონული ბანკების საქმიანობის გაფართოების პერსპექტივა საკმაოდ მოჩვენებითია იმ ბანკების საკუთარი კაპიტალის მცირე მოცულობის გამო, რომლებიც ზღუდავენ როგორც მოსაზიდი რესურსების მოცულობას, ასევე მოზიდვად ღირებულებასაც.

საკრედიტო ორგანიზაციების კაპიტალში დადგენილია სახელმწიფოს მონაწილეობის შემდეგი კრიტერიუმები:

- სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანათა გადაჭრისათვის საკრედიტო ორგანიზაციის მოღვაწეობას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.
- ამ პრობლემების გადასაწყვეტად კაპიტალში მონაწილეობა უზრუნველყოფს ოპტიმალურ პირობებს, მოიცავს რა, საკრედიტო ორგანიზაციების მოღვაწობაზე კონტროლს.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის პროექტში გათვალისწინებულია სახელმწიფო უნიტარულ საწარმოთა საკრედიტო ორგანიზაციის კაპიტალში მინორიტარული მონაწილეობის შესაძლებლობა, თუ ეს მონაწილეობა უზრუნველყოფს ამ საწარმოთა ამოცანების გადაწყვეტის საუკე-

თესო პირობებს და ხელს უწყობს მათი ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას. მაგრამ დოკუმენტის საბოლოო ვარიანტში ეს მომენტი გამოირიცხა.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საბანკო სექტორში კონკურენტული გარემოს ფორმირებაზე. ამასთანავე, განსაკუთრებულად გამოიყოფა ანტიმონოპოლიური რეგულირების რეგიონული დონე. ერთმნიშვნელოვნად ხდება დეკლარირება იმისა, რომ საბანკო სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს ძალისხმევის ეფექტურობა მრავალმხრივადაა დამოკიდებული რეგიონებში საბანკო ქსელის განვითარების აქტივიზაციაზე, რომელიც თავის მხრივ, დამოკიდებულია სახელმწიფო რეგიონული ორგანოების მიზანმიმართული მოქმედების უნარზე.

ვაღიარებთ რა რეგიონიდან მსხვილი ბანკების ფილიალთა ქსელის მეშვეობით საფინანსო რესურსების გადინების პრობლემის არსებობას, სტრატეგია გვთავაზობს ამ პრობლემის გადაჭრას მხოლოდ რეგიონულ დონეზე კაპიტალის გამოსაყენებლად ხელსაყრელი კომერციული შესაძლებლობების შექმნის გზით. ხდება სახელმწიფოს დახმარების გათვალისწინება რეგიონული ბანკებისათვის იმ რეგიონული ბანკების რეფინანსირების გაფართოების საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც აძლევენ კრედიტს ეკონომიკის რეალურ სექტორს თამასუქების სანაცვლოდ, საკრედიტო ხელშეკრულებებით ფინანსურად მყარი ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ უფლებათა დათმობის მოთხოვნის, იპოთეკური ობლიგაციებისა და სხვა მაღალლიკვიდური აქტივების სანაცვლოდ. ამასთანავე გამოიყოფა რეგიონისთვის კრედიტირების ისეთი მნიშვნელოვანი ფორმები და მიმართულებები, როგორიცაა სინდიცირებულ კრედიტთა წარდგენა, მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტირება, იპოთეკური კრედიტირება და სამომხმარებლო კრედიტი.

ამგვარად, ფედერალურ დონეზე ფორმირებულია საფინანსო სისტემის ძირითადი პრინციპები და შემდგომი სრულყოფის მიმართულებები, რომლებიც ხელისუფლების რეგიონულ ორგანოებს ანიჭებენ მიმდინარე პრობლემის გადაწყვეტაში საკმაოდ ფართო უფლებამოსილებას.

### 9.2. საბანკო სისტემის როლი რეგიონის საინვესტიციო გარემოს ფორმირებაში

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული მყარი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პირობებში. 1998 წ. კრიზისის შემდეგ ბანკებმა ძირითადად მოაწესრიგეს თავიანთი ფინანსური მდგომარეობა და 2000 წ.-დან უკვე წარმატებით ახორციელებენ ოპერაციებს ეკონომიკის მომსახურების სფეროში.

ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად საჭიროა მოხდეს რეგიონული სისტემის ფორმირება ეკონომიკის მხარდასაჭერად, რომელიც აამოქმედებდა საწარმოს განახლების ფინანსურ ბერკეტებს არა მარტო საკუთარი საამორტიზაციო ალრიცხვის გამოყენების ხარჯზე, არამედ ეფექტური საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების წყალობითაც. რა თქმა უნდა, ამგვარი საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი ეფექტური იქნება მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო მხარდაჭერის პირობებში.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გატარდეს საწარმოთათვის დაბეგვრის შეღავათიანი პოლიტიკა რომელიც მოახდენს ტექნიკური დონის ასამაღლებლად საფინანსო რესურსების ინვესტირებას; ღონისძიებათა შემუშავებას საწარმოს ბრუნვითი საშუალებების აღსადგენად, რომელიც შეიძლება მოიცავდეს საწარმოს მიერ გამოყოფილ სახსრებს საწარმოს დანახარჯებში მოძრავი კაპიტალის შესავსებად.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს ეკონომიკის რეალურ სექტორში მყარი ზრდის პირობების შექმნა ფართომასშტაბური ინვესტიციის გამოყენების გზით. აქ მთავარი როლი დაეკისრება სახელმწიფო ორგანოებს, რომელთაც ეს პირობები უნდა შექმნან საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის მეშვეობით შესაბამისი კანონმდებლობისა და ორგანიზაციული მხარდაჭერის პირობებში.

საქართველოს ბანკთა ასოციაციის მიერ ხდება რუსეთში ფინანსური ორგანიზაციების მიერ ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციის მოზიდვის ინფრასტრუქტურის შექმნის შესაძლებლობის განხილვა. ასევე ხდება გაეროს სამრეწველო განვითარების (იუნიდო) გამოცდილების შესწავლა მსოფლიოს 32 ქვეყანაში ასეთი ინფრასტრუქტურის შექმნისა და ინტეგრირებული პროგრამების შემუშავებაში. მაგრამ საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის-იუნიდოს (ქ. მოსკოვი) მოღვაწეობა ძალიან შორსაა საბანკო მოღვაწეობისაგან, რადგან ის ძირითადად დაკავებულია სანარმოს საქმიანობის საინვესტიციო ექსპერტული შეფასებით. დასავლეთში ამ პრობლემის გადაწყვეტა ხდება საბანკო საქმიანობის საპროექტო ფინანსირებით სპეციალური საპროექტო კომპანიების შექმნის გზით, რომელთა კაპიტალშიც მონაწილეობას ღებულობენ დაინტერესებული ინვესტორები.

მსესხებელთა მიერ გატანილი სახსრების დაუბრუნებლობის რისკის მაღალი დონის, კრედიტთა ჯერჯერობით მნიშვნელოვანი ღირებულებისა და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია საბანკო კაპიტალთან რეგიონული აღმასრულებელი ხელისუფლების ერთობლივი მუშაობის გააქტიურება საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის კუთხით ფინანსურად მყარი, გადახდისუნარიანი სანარმოების სასარგებლოდ, რომელნიც უშვებენ ლიკვიდურ პროდუქციას. სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოების მინიმალური მოცულობის პირობებში, ამგვარი პროექტების შესაბამისად ფინანსური შერწყმა ძირითადად ორიენტირებული იქნება ძირითადი ფონდის აქტიური ნაწილის განახლებაზე, ე.ი. მათი ანაზღაურების ვადა არ გადააჭარბებს 1-2 წელს. ამისათვის აუცილებელია საინვესტიციო პროექტების საკონკურსო წესით შერჩევა, რეალურ სექტორში სახელმწიფო და არასახელმწიფო ინვესტიციების მოზიდვის ღონისძიების პროექტის შემუშავება ეკონომიკის რეგიონული სამმართველოს დონეზე, სამრეწველო სექტორის რესტრუქტურიზაციისათვის კრედიტორ ბანკთა მიზნებისა და რეგიონული ხელისუფლების გეგმების შეთანხმება საბანკო ასოციაციებთან.

რეგიონის ადმინისტრაციისა და საბანკო ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევა აგრეთვე მიმართული უნდა იქნას სესხად მიღებული სახსრების შემცირებისკენ. საკრედიტო რესურსების მაღალი ღირებულების გამო ბევრი საწარმო, შედარებით ფინანსურად მყარიც კი უარს ამბობს ასეთი სესხის აღებაზე. ამიტომ საჭიროა ბიუჯეტის მეშვეობით შემხვედრი კრედიტირების პრინციპების შემუშავება. რეგიონული ბიუჯეტის წარმართვა საწარმოს ტექნიკური სრულყოფისა და რესტრუქტურიზაციის დაფინანსებისაკენ რიგ შემთხვევებში გამოიწვევს სესხად აღებული საბიუჯეტო სახსრების უკან დაბრუნების შესაძლებლობის შემცირებას და მათ მნიშვნელოვან დაქსაქსვას. აუცილებელია საკრედიტო რესურსების ანაზღაურებადობისა და უკან დაბრუნების პრინციპის შენარჩუნება. საბიუჯეტო სახსრებმა მნიშვნელოვან წილად უნდა მოახდინონ მასტიმულირებელი „მბიძგებელის“ გავლენა რეალურ სექტორზე, რათა მათ გაუჩნდეთ კრედიტების აღების სურვილი.

ამისათვის რეგიონულმა ადმინისტრაციებმა ბანკებთან ერთად სესხის წარდგენისას უნდა იმუშაონ წილობრივი მონაწილეობის სახით. რაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება საბიუჯეტო სახსრების უპროცენტო წილი საინვესტიციო პროექტში, მით უფრო ნაკლები აღმოჩნდება სესხის ღირებულება. ეს მხოლოდ საბანკო ორგანიზაციათა შორის ტენდერის ჩატარების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, როცა მოხდება მათ შორის მხოლოდ ერთის არჩევა, ანდა უფრო უმჯობესია, თუ იქნება რამოდენიმე სრულუფლებიანი კრედიტორი ბანკი, აგრეთვე რეგიონული საინვესტიციო ფონდის შექმნით, რომელიც მიმართული იქნება სრულუფლებიანი ბანკების საბიუჯეტო დეპოზიტურ ანგარიშებზე. აუცილებელია საინვესტიციო პროექტების საკონკურსო შერჩევის პირობების შემუშავება, რომელთა ანალიზი უნდა განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციულ, აგრეთვე საბანკო სტრუქტურებში.

ერთგვარ სირთულეს წარმოადგენს იმ სპეციალისტთა და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა დეფიციტი, რომელთაც ხელეწიფებათ წარმოდგენილი პროექტების საინვესტიციო მიმზიდველობისა და ფინანსური რისკების შეფასება, ასევე პროექტის შეფასება მთლიანობაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხდება იმ საწარმოს ფინანსურ – ეკონომიკური მოღვაწეობის გაუთვალისწინებლად, რომლის მიერაცაა წარმოდგენილი პროექტი. ეს ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება დაფინანსების გადაწყვეტილებისთვის აუცილებელი სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად. ასევე დამახინჯებულ გავლენას ახდენს რიგ შემთხვევაში საინვესტიციო დანახარჯები მოქმედი საბუღალტრო აქტივებისაგან, საგადასახადო კანონმდებლობისაგან განცალკევებით.

საინვესტიციო პროექტების შეფასებისას სახელმწიფო-სალიცენზიო სამუშაოების და ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების შეფასების არარსებობის შემთხვევაში საინვესტიციო ექსპერტიზის კვალიფიცირებულ ცენტრთა (სეც) შექმნაზე უნდა იზრუნონ, პირველ რიგში, დაინტერესებულმა ორგანოებმა, კერძოდ კი, საბანკო ასოციაციებმა და კავშირებმა. სეც-მ უნდა უზრუნველყოს საინვესტიციო პროექტების ბიზნეს-გეგმის ხარისხი და უნდა გაითვალისწინოს ყოველი ბანკის ინდივიდუალური თავისებურებანი, ასევე, ადმინისტრაციის მოთხოვნა საინვესტიციო პროექტების მოთხოვნათა წილში და კრედიტირების პირობები.

სეც-ის მუშაობა შემდეგი მიმართულებებით უნდა განხორციელდეს:

• ტერიტორიის ადმინისტრაციისა და კომერციულ ბანკთა მსესხებელი ორგანიზაციებისადმი მოთხოვნათა შესწავლა და სისტემატიზაცია;

• საწარმოს საინვესტიციო პროექტის ბიზნეს-გეგმის ხარისხიანი ფორმირება მოცემული პროექტით საფინანსო რესურსების მისაღებად;

• საწარმოთათვის კონსულტაციების გაწევა კრედიტირების პირობებისა და ბანკებისა და ტერიტორიული ადმინისტრაციისაგან საკრედიტო რესურსების მიღების თაობაზე;

მნიშვნელოვან წილად ეს ეხება მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების კრედიტირებას, რომელთა საკრედიტო განაცხადის დიდი წილის რეალიზაცია არ ხერხდება პროექტის განხორციელების მთელი ჯაჭვის სუსტი ეკონომიკური დამუშავების გამო.

მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებს აქვთ კიდევ ერთი პრობლემა – ეს არის კრედიტის უზრუნველსაყოფად გირაოსათვის შესაფერისი ქონების უქონლობა, ეს კი კრედიტორთათვის ფინანსური რისკის გაზრდას ნიშნავს. ასეთ სიტუაციაში საკრედიტო რისკის შესამცირებლად სასესხო საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნას საბანკო ასოციაციისა და კავშირების წევრ ბანკთა საკრედიტო რესურსები სინდიცირებული კრედიტების სახით. თავის მხრივ, რიგ შემთხვევებში, სესხის გამცემნი შეიძლება იყვნენ მცირე ბიზნესის საწარმოთა ასოციაციები, სოციალურად მნიშვნელოვან პროექტებში – ტერიტორიის ადმინისტრაცია. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს სესხის გამცემი სპეციალური სასესხო ფონდის შექმნის ხარჯზე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების, ქონების, აქტივების და ა.შ. სახით.

საბიუჯეტო საინვესტიციო ფონდის სახსრები ასევე შეიძლება განხილულ იქნას როგორც საკრედიტო რესურსებით სარგებლობის პროცენტით ანაზღაურებისათვის გაწეული დანახარჯის კომპენსაციის წყარო, რაც საწარმოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ როგორც საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის ინსტრუმენტები საწარმოს ტექნიკური დონის ამაღლების სტიმულირებისათვის და რეგიონისათვის დეფიციტური პროდუქციის გამოსაშვებად. საბოლოო ჯამში, ეს დამოკიდებულია ტერიტორიის ადმინისტრაციის პირველი რიგის მიზნებზე და საინვესტიციო პროექტების პრაქტიკის ეფექტურობაზე.

ყველა ეს წინადადება მხოლოდ დასაწყისია იმ სერიოზული სამუშაოებისა, რომელიც რეგიონმა უნდა განახორციელოს რეალურ სექტორში საბანკო კაპიტალის მოსაზიდად.

გამოვყოთ კრედიტირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის დახვეწის ძირითადი მიმართულებანი:

- საბიუჯეტო სახსრების მომსახურებაში ტენდერის ჩატარების პირობების განსაზღვრა, აქტივთა ხარისხის, ბანკთა საიმედოობის, გამოყენებული საბანკო ტექნოლოგიების დონის გათვალისწინებით;
- რეგიონულ (ფედერალურ) დონეზე კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა ეკონომიკის რეალური სექტორის კომერციული ბანკის მიერ კრედიტირების სტიმულირების თაობაზე;
- იმ საბანკო კაპიტალის საკრედიტო რისკების ხეჯირების სისტემის შემუშავება, რომელიც რეალური სექტორის ინვესტიციებზეა დამოკიდებული;
- რეგიონში რეალიზებული სინდიცირებული კრედიტირების ეფექტური საინვესტიციო პროექტების სისტემის შექმნა;
- უცხოური კაპიტალის მოდინების, მუშაკთა პროფესიონალიზმის ამაღლების, საბანკო სისტემაში მოსახლეობის დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვის, რეალურ სექტორთან და დასავლეთის საბანკო სისტემებთან უფრო მეტად ოპერატიული და ეფექტური, საქმიანი თანამშრომლობის დამყარების მიზნით ბანკი-პრზიდენტისათვის შიდა რეგიონული ფინანსური ბანკის გახსნის შესაძლებლობის ანალიზი;
- კომერციული ბანკების საწარმოებთან თანამშრომლობის განვითარება თანახმად ე. წ. საგარანტიო მექანიზმებისა და ადმინისტრაციასთან ერთობლივი საშეღავათო კრედიტირებისა რეგიონულ მიზნობრივ პროგრამებთან შესაბამისობაში;
- არასაბანკო საინვესტიციო ინსტიტუტების შექმნა, მაგ., სადაზღვევო კომპანიების სამეწარმეო რისკების ფონდების დაზღვევა, საგარანტიო და საგირაო ფონდები, ლიზინგები, ფრაინჩაიზინგები, იპოთეკური კომპანიები და ფონდები;
- რეგიონულ ან სხვა ქალაქთა ფილიალებიდან სრულუფლებიან ბანკთა შექმნა მათი წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და ცენტრალური ბანკის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმების შემდეგ.

სრულუფლებიან ბანკთა შექმნის შესაძლო მიმართულებანი:

• რეგიონის ტერიტორიის ბიუჯეტის საბანკო მომსახურება მათ შორის მათი, რომლებიც ფინანსდებიან ამ ტერიტორიის სხვა სამეურნეო სუბიექტების ბიუჯეტიდან, რომელთა მეშვეობითაც გაიხნა ფილიალები საოპერაციო სალაროები ანდა შორიდან მომსახურების სისტემა-„კლიენტი-ბანკი“ ბანკების საკუთარი ხარჯებით;

• ეკონომიკურად ეფექტური საინვესტიციო პროექტების კრედიტირების სინდიცირება;

• იმ საწარმოთა მომსახურება, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს საოლქო საკუთრებას ანდა იმართებიან ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენელების მიერ.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების დიდი წილი, როგორც წესი, არ საჭიროებს მასშტაბურ რეფორმებს და ამ ღონისძიებათა ჩატარება არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან. რეკომენდებულია უპირატესად ტექნიკური და საკანონმდებლო ხასიათის ღონისძიებათა გატარება. მათ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ბანკების როლის, როგორც ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციის წყაროს გაზრდაზე და არსებითად ზრდიან კომერციული ბანკების ფინანსურ მდგრადობას.

ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ სტრატეგიული მიზნებიც – საბანკო სექტორის მასშტაბური რეფორმირება და მისი ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება.

საზღვარგარეთულმა კაპიტალმა ბაზარი უნდა დაიპყროს არა მარტო საბანკო დონეზე, არამედ უნდა გააფართოოს საზღვარგარეთული ინვესტიციების ნაკადი ეკონომიკის რეალურ სექტორში, შექმნას რა ყველა პირობა საზღვარგარეთის დაინტერესებული ინვესტორების რაოდენობის ზრდისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება სერიოზული საინვესტიციო დაბანდება სამამულო, საბანკო სისტემაში. აქედან გამომდინარე, საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისა ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, სამეურნეო სუბიექტების შემოსავლიანობის, მათი მენეჯმენტის პასუხისმგებლობის ზრდა, მათი საქმიანობის გამჭირვალობის უზრუნველყოფა.

ქვეყნის საბანკო სისტემის რეფორმირებისათვის საჭიროა:

- ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ბანკებს მისცემენ მოგების რეკაპიტალიზაციის, რეალურ სექტორში დაბანდებების გაზრდის, ხოლო ინვესტორებს საბანკო სექტორში სახსრების დაბანდების სტიმულს.

- ბანკების გადასახადებით დაბეგვრის ისეთი სისტემის ფორმირება, სადაც გათვალისწინებული იქნება მათი საქმიანობის თავისებურებები და რომელიც სტიმულს მისცემს ბანკებს შექმნან აუცილებელი რეზერვები სხვადასხვა რისკების დასაფარავად.

- საბანკო სფეროში კონკურენციის თანასწორი პირობების შექმნის უზრუნველყოფა ბანკების საკუთრების ფორმების, სიდიდის, ადგილმდებარეობის, სპეციალიზაციის მიუხედავად.

- ფონდების, საკრედიტო კოოპერატივების და სხვა საბანკო და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების ჩამოყალიბების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

- საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის, კორპორაციული კლიენტურის, პარტნიორების, ინვესტორების ნდობის გაზრდა.

# რეგიონის ინოვაციური საქმიანობა და კონკურენტუნარიანობა

## 10.1. ინოვაციური გარემოს ჩამოყალიბება და რეგიონის ინოვაციური სტრატეგიები

კონკურენტუნარიანობის ამაღლების იდეა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშია ჩადებული. კონკურენტუნარიანობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციების საფუძველზე განვითარებას.

ქვეყნის განვითარების მაგისტრალური გზა არა მისი ბუნებრივი რესურსებისა და არსებული ძირითადი ფონდების ექსპლუატაციაზე, არამედ ინოვაციებზე გადის. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოების მყარი განვითარება და მისი კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა დამოკიდებულია არა იმდენად რესურსულ შესაძლებლობებზე, რამდენადაც ინოვაციებზე. ეს სრულიად დასტურდება საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ რუსეთის სავალალო გამოცდილებით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების მარაგს ფლობს, მას სრულიად მოკრძალებული ადგილი უჭირავს მსოფლიო წარმოებაში და იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც არ არიან ჩართულნი მსოფლიო ტექნოლოგიურ გაცვლაში.

როგორც ავტორიტეტული ეკონომიკური ყოველკვირეულის – „The Economist" გამოკვლევაში სამართლიანად აღინიშნა, ინოვაციები ჩვენი დროის ახალი რელიგია გახდა. ინოვაციებს ზემოგება მოაქვთ. აღნიშნული ყოველკვირეულის მონაცემებით, 1970-იანი წლების 17 ინოვაციის რენტაბელობის საერთო დონემ საშუალოდ 56% შეადგინა, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ინვესტიციების საშუალოდ 16%-იან რენტაბელობასთან შედარებით. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში არ არის.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 40-60-იან წლებში მოდელთა ნეოკლასიციზმის ჩარჩოებში (მაგალითი, – სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელი) ძირითად საწარმოო ფაქტორებთან – შრომასა და კაპიტალთან ერთად – მესამე განზოგადებული საწარმოო ფაქტორის როლი ტექნოლოგიურმა პროგრესმა ითამაშა. თუმცა, თეორეტიკული მოდელების უმრავლესობაში ტექნოლოგიური პროგრესი განიხილება როგორც ბუნებრივი გარემო პირობების ნაწილი, რომელიც შიდა მოდელირებადი სისტემების გავლენას არ ექვემდებარება.

ბოლო 10-წლეულში შემუშავებულია იოზეფ შუმპეტერის „დამანგრეველი შემოქმედების" თეორიის ძირითად პოსტულატებზე დაფუძნებული, თვისობრივად ახალი თეორეტიკული მოდელების რიგი. ამ მოდელებში ადგილი აქვს ტექნოლოგიური ცვლილებების ენდოგენური (ე. ი. თვით სისტემისთვის დამახასიათებელი) ბუნების დანერგვის მცდელობას, რომელიც ეკონომიკური ზრდის წყაროს წარმოადგენს.

ტექნოლოგიური პროგრესი განიხილება, როგორც ჩატარებული კვლევისას ეკონომიკური აგენტების ეკონომიკური გადაწყვეტილებების შედეგი, რომლის მიზანია საკუთარი მოგების მაქსიმიზირება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით. ამ მოდელის პრინციპული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სანარმოო ფუნქცია ამა თუ იმ ფორმით მოიცავს ახალ ცვლადს – ადამიანურ კაპიტალს, რომელსაც სწავლების პროცესში და უშუალოდ სანარმოო საქმიანობისას დაგროვილი სამეცნიერო ცოდნათა მოცულობა და პრაქტიკული გამოცდილება ახასიათებს.

ინოვაციური პროცესების გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე განიცდის. იცვლება ეკონომიკის სტრუქტურა და მისი მექანიზმების ორგანიზაცია; ინოვაციები გავლენას ახდენს ცხოვრების დონეზე და მოსახლეობის განათლებაზე; ამ პროცესების ინტენსიობამ გაამძაფრა ეკოლოგიური პრობლემები და ა. შ. საჭიროა ყურადღება მიექცეს ინოვაციური პროცესების მიმდინარეობის საინტერესო თავისებურებას: სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს) სფერო ეკონომიკაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალოდ ახალი გამოყენებითი იდეების მეშვეობით, არამედ არაპირდაპირი გზითაც; ამავდროულად, ცოდნას შინაგანი თვითღირებულება გააჩნია. ახალი ცოდნის მიღება აუცილებლად უნდა ნახალისდეს, სხვა შემთხვევაში, მომავალში მეცნიერებისგან საგრძნობი პრაქტიკული შედეგის იმედი არ უნდა გვქონდეს.

ფინანსური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, ინვესტიციური რესურსების უკმარისობა, უფლებრივი ბაზის გაურკვევლობა, კორუფცია, ეკონომიკის კრიმინალიზაციის მაღალი ხარისხი, აგრეთვე მრავალი სხვა ნეგატიური ფაქტორი ართულებს ქვეყანაში ინოვაციის სტიმულირების მსოფლიო პრაქტიკაში არსებული ტრადიციული მეთოდების გამოყენებას. ამიტომ სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს „გზისგამკვლევის" რისკი და ფინანსური რესურსები ჩადოს ინოვაციურ პროექტებში. ამით იგი ბაზრის დანარჩენ მონაწილეებს მსგავსი პროექტებისადმი ნდობის ფაქტორს აღუძრავს.

ქვეყანაში საბაზრო მექანიზმების შეზღუდვა განსაკუთრებული სიმწვავით გარდამავალ ეკონომიკაში იჩენს თავს. ეს შეზღუდულობა ვლინდება ცალკეული სუბიექტების მიერ ინოვაციების განვითარებისათვის აუცილებელი სახსრების კონცენტრირების უუნარობაში. ზოგიერთი ინოვაციის ეფექტურობა განისაზღვრება მისი დანერგვის მასშტაბებით, იზოლირებულ ინოვაციურ განვითარებას კი ეკონომიკური სუბიექტებისა და მთლიანად ეკონომიკის დანაკარგამდე მიეყავართ, ბევრი ინოვაცია (ფუნდამენტური) კომერციულ საფუძველზე საერთოდ ვერ ხორციელდება.

სახელმწიფო უსაფრთხოების მისი მდგრადი განვითარებისათვისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისათვის ინოვაციური პროცესების შეხამება ბაზრის „წესებთან" და გარდამავალ საბაზრო მექანიზმების არასრულყოფილ განვითარებასთან, განაპირობებს სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობას. ინოვაციური პროცესების აქტიურობის საშუალებით ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის აღდგენისათვის. ინოვაციების განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ აუცილებლობას წარმოადგენს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს: ისეთ პირობებში, როცა საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ურთიერთობაში პარტნიორი სახელმწიფოები ხელს უწყობენ და სტიმულს აძლევენ ინოვაციურ მოღვაწეობას, არ შეიძლება განზე დგომა და წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო, რომელიც ხელს არ უწყობს ინოვაციებს, მსოფლიო ურთიერთ-გაცვლის მიღმა დარჩება და ამ ძლიერ სახელმწიფოთა ნედლეულის დანამატად გადაიქცევა.

*ინოვაციური განვითარების რეგიონალიზაციის ფაქტორებს* წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური და რეგიონების საწარმოო პოტენციალთა თავისებურებანი; საკადრო უზრუნველყოფა; ინოვაციების სოციოლოგიური და ეკოლოგიური პრობლემები; ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება; მცირე ინოვაციური მეწარმეობის უპირატესად რეგიონული ხასიათი; ინოვაციური აქტიურობის რეგულირების სოციალურ-სამართლებრივი საკითხები; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა; საგარეო ეკონომიკური კავშირების გავლენა ინოვაციურ აქტიურობაზე; დასაქმებულობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა.

ცნობილია ინოვაციების სახელმწიფოებრივი/რეგიონული მხარდაჭერის სხვადასხვა საშუალებები, როგორიცაა: საგადასახადო შეღავათების შემოღება იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ინოვაციურ საქმიანობას ახორციელებენ; შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა; ინოვაციური პროექტების კონკურსის წესით დაფინანსება და სხვა. შეიძლება მათი პირდაპირ და ირიბ ჯგუფებად დაყოფა. ირიბი ზომები მიმართული იქნება ინოვაციების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისაკენ. მათ შორის შეიძლება გამოიყოს ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის შემოღება; აქტიური ინფორმაციული პოლიტიკის გატარება მიმართული სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის პრესტიჟის ამაღლებისაკენ. ინტელექტუალური საკუთრებისა და ინვესტიციების სფეროში თამაშის მკაფიო და გარდაუვალი წესები. ინოვაციებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის პირდაპირი ზომები გულისხმობს ინოვაციური პროცესების რეგულირებას. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ინოვაციის სფეროში სანაწარმოთა და პროექტების უშუალო დაფინანსება, ასევე ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა.

ირიბი ზომების (მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკა, საკანონმდებლო ინიციატივები და მრავალი სხვა) გამოყენების საკითხები ფართოდ განიხილებოდა ლიტერატურაში. გარდა ამისა, ეს ზომები უმეტესწილად სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების კომპეტენციაში შედის, რაც რეგიონების დონეზე მათ გამოყენებას მიუწვდომელს ხდის. ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ინოვაციების რეგიონული მხარდაჭერის პირდაპირი მეთოდების გამოყენების ძირითად პრინციპებს. ინოვაციური მოღვაწეობის სახელმწიფოებრივი, რეგიონული მხარდაჭერის პირდაპირი მეთოდებისას მწვავედ დგება ეფექტური ინოვაციური პროექტების არჩევის საკითხი, რაც არა მარტო დადებით ფინანსურ ეფექტს მოგვცემს, არამედ რეგიონის, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძველი გახდება.

უპირველეს ყოელისა, აუცილებელია განისაზღვროს, რას ეგულისხმობთ ინოვაციებში და ინოვაციური აქტიურობის სტიმულირებისას რომელი ფაქტორები მიგვაჩნია არსებითად.

ლიტერატურაში ცნობილია ინოვაციისა და ინოვაციური მოღვაწეობის ასამდე განმარტება. სხვადასხვა ავტორები, ძირითადად უცხოელები (ი. მონჩევი, ი. პერლაკი, ვ. ჰარტმანი, ე. მენსფილდი, რ. ფოსტერი, ბ. ტვისტი, ი. შუმპეტერი, ე. როჯერსი და სხვები) ამ ცნების მნიშვნელობას თავის საკვლევ ობიექტსა და საგანთან დამოკიდებულებაში აშუქებენ. ქვეყნების პრაქტიკაში ხშირად იხმარება განმარტება, რომლის თანახმადაც, *ინოვაცია* შემოქმედებითი შრომის საბოლოო შედეგია, რომელიც რეალიზაციას ჰპოვებს ეკონომიკურ ბრუნვაში გამოყენებული ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქციის, ან ახალი და დახვეწილი ტექნოლოგიური პროცესის სახით. ამრიგად, ინოვაციური მოღვაწეობა გაგებულია, როგორც ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქციის, ახალი ან დახვეწილი ტექნოლოგიუ-

რი პროცესის შექმნა, რომელიც სამეცნიერო გამოკვლევათა, საცდელ-კონსტრუქტორულ ნამუშევართა ან სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა ეკონომიკურ ბრუნვაში რეალიზება (ანსოფი, 1989).

თუმცა, აღნიშნული განმარტება შეკვეცილად წარმოადგენს ინოვაციებსა და ინოვაციურ პროცესებს. ასე მაგალითად, ინოვაციური თეორიის განვითარების ფუძემდებლად აღიარებული ი. შუმპეტერის კონცეფცია ინოვაციის 5 შემთხვევას მოიცავს:

1) მომხმარებლისთვის უცნობი ახალი საქონლის ან საქონლის ახალი ხარისხის შექმნა;

2) წარმოების ახალი მეთოდის შექმნა, რომლის გამოცდაც მრეწველობის მოცემულ დარგში ჯერ არ ჩატარებულა, რომელიც სრულებით არ არის აუცილებელი დაფუძნებული იყოს ახალ მეცნიერულ აღმოჩენაზე და შეიძლება საქონლის კომერციული ბრუნვის ახალ ფორმაში მდგომარეობდეს;

3) ახალი ბაზრის გახსნა, ე. ი. ბაზრისა, რომელზეც მრეწველობის მოცემულ დარგს ამ მოცემულ ქვეყანაში ჯერ არ უვაჭრია, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ეს ბაზარი ადრე;

4) წარმოების ფაქტორების ახალი წყაროს შექმნა, ისევ იმისგან დამოუკიდებლად, არსებობდა ეს წყარო ადრე თუ მისი თავიდან შექმნა გახდა საჭირო;

5) დარგის ახალი ორგანიზაციის შექმნა, მაგალითად, მონოპოლიის მიღწევა ან მონოპოლიური პოზიციის ლიკვიდაცია.

ი. შუმპეტერის ეკონომიკური ზრდის მოდელი ვარაუდობს, რომ ფირმები, ინოვაციების შესაქმნელად რესურსების ჩადებისას, ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ამ ძალისხმევის შედეგები განსაზღვრული არ არის იმ გაგებით, რომ ექსპერიმენტთა ერთმა ნაწილმა შესაძლოა წარმატებას მიაღწიოს, მაგრამ სხვები წარუმატებლობისთვის არიან განწირულნი. თავად ინოვაციური შესაძლებლობების გაჩენა გაურკვევლობის უმაღლესი ხარისხით ხასიათდება. მიმდინარეობს იდეების გაცხრილვის პროცესი: ათასობით იდეა არის საჭირო, რათა მათგან რამდენიმე ასეულმა წერილობითი ფორმა მიიღოს, რომელთაგან მხოლოდ ასამდე იდეა შეიძლება პატარა პროექტად იქცეს.

შუმპეტერის ეკონომიკური ზრდის მოდელში ეკონომიკური ზრდის ტემპები დამოკიდებულია იმ ტემპებზე, რომლებთანაც გენერირებს ინოვაციები მთელს ეკონომიკაში. ამრიგად, გრძელვადიანი ზრდა დადებით დამოკიდებულებაშია ნებისმიერ ფაქტორთან, რომელიც ინოვაციების წარმოქმნის შესაძლებლობას ზრდის, რენტასთან, რომელიც ინოვაციებიდან მიიღება, ან ფაქტორთან, რომელიც ამცირებს ინოვაციების შექმნის ხარჯებს.

განსახილველი მოდელის ჩარჩოებში შეიძლება გამოვყოთ ინოვაციების მასტიმულირებელი შემდეგი ფაქტორები:

სამეცნიერო – კვლევითი და საცდელ – საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს) მაღალი მწარმოებლურობა პროვოცირებას უწევს შემდგომ ძიებას და ამით ზრდის შესაძლო ინოვაციების რიცხვს;

მაღალკვალიფიციური მუშახელის შეთავაზება – ძალზე კვალიფიციური მუშაკები ამცირებენ ეკონომიკაში ახალი ინოვაციების დანერგვისა და გავრცელების ხარჯებს;

უფლებრივი გარემო, სადაც ინოვაციაზე საკუთრების უფლებები მკვეთრად განსაზღვრულია;

დაბალი საპროცენტო განაკვეთი – სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს), ისევე, როგორც ნებისმიერი საინვესტიციო მოქმედება, მაღალი საპროცენტო განაკვეთის დროს მცირდება;

შრომის მოქნილი ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს დაბალ დანახარჯებს მუშახელზე;

ფირმის, დარგისა და სხვ. შიდა კვალიფიციური მუშახელის მაღალი მობილურობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკის ზრდის ტემპები დამოკიდებულია იმ ტემპებზე, რომლებზეც გენერირდება ინოვაციები მთელ ეკონომიკაში. მაგრამ ეკონომიკური განვითარება საკმაო ხარისხითაა დამოკიდებული ინოვაციების განვითარების მიმართულებაზეც. არჩევანის სირთულე რეგიონის განვითარების მომავალზე ინოვაციების შესაძლო ზემოქმედების მრავალფეროვნებაში მდგომარეობს. თავდაპირველი სწორი არჩევანი მომდევნო ინოვაციური მოღვაწეობის მთელ მსვლელობას განსაზღვრავს და განვითარებას შეუქცევადს ხდის.

მოვიყვანოთ მაგალითი მ. პორტერის უკვე ქრესტომათიად ქცეული წიგნიდან „საერთაშორისო კონკურენცია" საათების დარგში ცვლილებების შესახებ. მე-20 საუკუნის 50– 60-იან წლებში საათების ბაზარზე შეიქმნა გასაღების ახალი არხები, მასობრივი მარკეტინგი და მასობრივი წარმოება, რამაც საშუალება მისცა ამერიკულ ფირმებს „ტაიმქვსსა" და „ბულოვს" გაყიდვების მოცულობით გაესწროთ თავისი შეეიცარიელი კონკურენტების გაყიდვების მოცულობისთვის. შემდეგ ელექტრონული საათების წარმოებასთან დაკავშირებით „გარღვევა" მოხდა, რამაც საშუალება მისცა იაპონურ ფირმებს „სეიკოს", „სიტიზენს", ხოლო შემდეგ „კასიოს" წინ გაჭრილიყვნენ. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ „პირველი ბარტყები", ვინც ტექნოლოგიის ან საქონლის ერთი თაობის ლიდერები გახდნენ, თა-

ობათა ცვლისას სავსებით შესაძლებელია წაგებაში აღმოჩნდენ, ვინაიდან მათ შრომით ჩვეულებსა და კაპიტალდაბანდებას სპეციალიზებული ხასიათი აქვს. ჩვენს წინაშე მთელი სიცხადით დგება ფაქტი, რომ საკმარისი არ არის პიონერი იყო, ამასთან ერთად აუცილებელია ტექნოლოგიების განვითარება ინოინასწარმეტყველო. ამერიკულმა ფირმებმა (მათ შორის, Fairchild, Texas Instruments) ელექტრონული საათების გამოშვება თითქმის პირველებმა დაიწყეს. მათ გათვლა გააკეთეს ნათებად ინდიკაციურ საათებზე, მაგრამ ეს ტექნოლოგია მოდელების ღირებულებით ვერ სჯობდა თხევადკრისტალურ ინდიკატორებს და ტრადიციულ ისრებიან კვარცის მექანიზმიან საათებს უფრო ძვირადღირებულ და პრესტიჟულ მოდელებში. ამრიგად, ამერიკული კომპანიების ინოვაციებს ბაზარზე წარმატება არ ჰქონია, მათ ვერ შესძლეს კონკურენტული უპირატესობის მოპოვება (პორტერი, 1993).

ეს მაგალითი ხაზს უსვამს რეგიონში ინოვაციების განვითარების შესაძლო მიმართულებების სტრატეგიული ხედვის მნიშვნელობას, როცა ცვლილებები სპონტანურად მიმდინარეობს. სტრატეგიის შერჩევა ინოვაციური მოღვაწეობის წარმატების საწინდარია. რეგიონი რისკავს, შესაძლოა კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდეს, თუკი ვერ შესძლებს ვითარების შეცვლის წინასწარ განჭვრეტას და მასზე დროულ რეაგირებას ვერ მოახდენს. მოცემულ სიტუაციას შესანიშნავად ახასიათებს პიტერ დრუკერი: „შეუძლებელია შევიმუშაოთ გეგმა მოვლენებისათვის, რომლებსაც წარმოვიდგენთ ან გვინდა ვიწინასწარმეტყველოთ. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველა შესაძლებელი და შეუძლებელი გარემოებებისთვისაც კი. უნდა გვქონდეს ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტის გეგმა, რომელიც შესაძლოა წამოიჭრას“ (ანსოფი, 1998).

ამგვარად, ინოვაციური სტრატეგიის არსებობა რეგიონის სტაბილური განვითარების სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა რთულია, რადგან დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა, რადგან საქმე მრავალი ადამიანის ინტერესს ეხება. ამასთან დაკავშირებით უპრიანია მ. პორტერის სიტყვების მოყვანა, რომელიც ჩვენი აზრით, მეტა-მეტად ზუსტად ახასიათებს სიტუაციას: „სტრატეგიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამოვირჩიოთ ის, რაზედაც უარი უნდა ვთქვათ. კომპრომისების გარეშე არ იქნებოდა შერჩევის აუცილებლობა და, ამრიგად, არც სტრატეგიის აუცილებლობა იქნებოდა“ (პორტერი,2000).

ამრიგად, შესაძლოა გამოვყოთ სტრატეგიული მიზანდასახულობის რიგი მახასიათებლები:

- ფორმულირების პროცესი დაუყოვნებლივ ქმედებამდე არ დადის. დგინდება რეგიონის განვითარების საერთო მიმართულებები.
- სტრატეგიას მივყავართ პერსპექტიული შესაძლებლობების ძიებისაკენ. ძიებაში სტრატეგიის როლი სტრატეგიულ რაიონებზე ყურადღების ფოკუსირებაში და იმ შესაძლებლობების უარყოფაში მდგომარეობს, რომლებიც არ შეესაბამება შერჩეულ სტრატეგიას.
- სტრატეგიის ფორმულირებისას შეუძლებელია ყველა მომდევნო შესაძლებლობის გათვალისწინება. მაშასადამე, მისი დამუშავება უნდა ეფუძნებოდეს ძლიერ აგრეგირებულ, არასრულ და განუსაზღვრელ ინფორმაციას. ასეთ პირობებში ეფექტური სტრატეგიის შერჩევაში დახმარება შეუძლია სამეწარმეო ფაქტორს – წინასწარმეტყველებას.
- შემდგომში უფრო ზუსტი და სრული ინფორმაციის მილებისას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს თავდაპირველი არჩევანის სისწორეს, აუცილებელია მისი კორექტირება. ამიტომ სტრატეგიის ეფექტური რეალიზაცია საჭიროებს უკუკავშირს.
- ზოგჯერ ვერ ასხვავებენ სტრატეგიისა და მიზნის არსს, ერთს ცვლიან მეორეთი, რაც არასწორია, რადგან მიზნები – ეს შედეგებია, რომელთა მიღწევა აუცილებელია, ხოლო სტრატეგია – ამ შედეგების მიღწევის საშუალებებია სტრატეგია, რომელიც ეფექტურია ერთი მიზნისათვის, შეიძლება არ აღმოჩნდეს ასეთი სხვა მიზნისათვის. მაშასადამე, ნებისმიერი სტრატეგიის შემუშავება უნდა დავიწყოთ მიზნების ანალიზიდან.
- და ბოლოს, სტრატეგიის განსაზღვრის შემდეგ რეგიონის ინოვაციური განვითარების პროცესი *კი არ მთავრდება, არამედ, პირიქით, – იწყება.*

რეგიონის ინოვაციური განვითარების სტრატეგიის შემუშავების მთავარ მეთოდოლოგიურ წინაპირობას წარმოადგენს მისი, როგორც ღია სისტემის ფუნქციონირების არსის გაგება, რომელიც მჭიდრო ურთიერთქმედებაშია გარემოსთან. სისტემური მიდგომა გულისხმობს, რომ სისტემა ორი შემადგენელი ნაწილისაგან შედგება: პირველი გარე გარემოა, რომელიც მოიცავს სისტემაში შესვლას, გარემოსთან კავშირს, უკუკავშირს; მეორე შინაგანი სტრუქტურაა – ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს მართვის სუბიექტის ობიექტზე ზემოქმედების

პროცესს, და სისტემის მიზნების მიღწევას. ასეთი განმარტება ხაზს უსვამს უწყვეტი მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობას.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ფუნქციონალური დაყოფის თვალსაზრისით რეგიონის ინოვაციური სტრატეგია მისი განვითარების საერთო სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ინოვაციური პროექტების ძიებისა და შერჩევის პრობლემისადმი სისტემური მიდგომა გულისხმობს სისტემურ ანალიზს, რომელიც ეფუძნება სისტემის თავისებურებათა ყოველმხრივ შესწავლას, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების, შესაძლებლობებისა და წინააღმდეგობების გამოვლენის მიზნით ფუნქციონირებისა და განვითარების სტრატეგიის ფორმირებას.

სისტემური მიდგომის თანახმად ანალიზისას ჩვენ გამოვიყენებთ სისტემის თავისებურებათა სამ ჯგუფს, ესენია:

1)გარემოსთან სისტემის კავშირის მახასიათებელი;

2)სისტემის მიზანდასახულობის მეთოდოლოგიის მახასიათებელი;

3)ფუნქციონირებისა და განვითარების პარამეტრების მახასიათებელი.

თავისებურებათა პირველ ჯგუფს განეკუთვნება სისტემისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულება, სისტემის ღიაობა და შეთავსებადობა. მეორე ჯგუფი მოიცავს სისტემის მიზანმიმართულობას, მემკვიდრეობითობას, საიმედოობასა და ოპტიმალურობას, სისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფის განუსაზღვრელობას და მის ემერჯენტულობას. მესამე ჯგუფი – სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების უწყვეტობა, მისი ფუნქციონირების გზების ალტერნატივობა, სისტემის სინერგულობა, ინერტულობა, ადაპტირება, ორგანიზება, სისტემის სტანდარტიზაციის დონე, განვითარების ინოვაციური ხასიათი.

ამრიგად, ჩვენ შევეცდებით გავაანალიზოთ წინაპირობები და სისტემური მიდგომის საფუძველზე ინოვაციური მდგენელის მეშვეობით ავაგოთ კონკურენტულ უპირატესობათა ძიებისა და განვითარების სტრატეგიული მოდელი. რეგიონის ინოვაციური სტრატეგია დამოკიდებულია გარემოს შეცვლაზე. რეგიონს თავად შეუძლია ამ ცვლილებების ფორმირება. გარემოში ცვლილებები შეიძლება იყოს უკვე არსებული და მოსალოდნელი. სტრატეგია საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ როგორ შეიძლება დასახული მიზნების მისაღწევად გამოვიყენოთ არსებული პოტენციალი უკვე არსებული და მოსალოდნელი საფრთხისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სტრატეგია მხოლოდ საერთო მიმართულებას გვაძლევს და ამიტომ შევსებული უნდა იქნას ტაქტიკური ხასიათის ღონისძიებებით. და ბოლოს, სტრატეგიის შემუშავების მიზანია – რეგიონის წარმატებული განვითარების მყარი პოტენციალის ჩამოყალიბება კონკურენციის წინაშე მისი უპირატესობების გათვალისწინებით.

### 10.2 კონკურენტული ანალიზის მეთოდოლოგია

კონკურენტული ანალიზის მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

რეგიონის გარემოს მონიტორინგი ტენდენციისადმი თვალის მიდევნება; ამ სფეროში თავისი მდგომარეობის სტრატეგიული ანალიზი და მიმართულებები რეგიონის სტრატეგიული ინოვაციური განვითარებისათვის; ინოვაციური განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება და კონკრეტული პროგრამების შემუშავება; მოცემული პროგრამების შესაძლო ეფექტურობის შეფასება; რეგიონის ინოვაციური განვითარების სტრატეგიის რეალიზაცია; ინოვაციური პროგრამების ეფექტურობის მაჩვენებლების კონტროლი როგორც შუალედურ ეტაპებზე, ასევე მისი რეალიზაციის შემდეგ.

*გარემოს მონიტორინგის ეტაპზე – ქვეყნის შიგნით კონკურენტული ინოვაციური გარემოს და საერთაშორისო კონკურენტული ინოვაციური გარემოს* პირობებში – მყარი კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია რამდენიმე განსხვავებული საკითხის გადაწყვეტა.

ეს ამოცანებია:

- ახლის, კონკურენტთათვის ადრე უცნობის ძიება. შეიძლება მ. პორტერის სიტყვები მოვიშველიოთ: „განახლების პროცესში უდიდეს როლს თამაშობს ინფორმაცია: ინფორმაცია, რომელსაც კონკურენტები არ ეძებენ; ინფორმაცია, მათთვის მიუწვდომელი; ინფორმაცია ყველასთვის მისაწვდომი, მაგრამ ახლებურად გადამუშავებული“ (პორტერი, 2000). საწარმოს შეუძლია ისარგებლოს მომავლის მოლოდინზე დამყარებული კონკურენციისადმი შეზღუდვებით. ინფორმაციული მონიტორინგი ძალზე მნიშვნელოვანია დარგში ტენდენციის თვალ-ყურის სადევნებლად და მთლიანად ეკონომიკისათვის. შეფასებისათვის შესაძლოა გამოვიყენოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან ერთი ან რამდენიმე:

1) სტრუქტურულ-მორფოლოგიური ანალიზის მეთოდი;

2) პუბლიკაციური აქტივობის დახასიათებების განსაზღვრის მეთოდი;

3) პატენტ-ანალოგების მეთოდი, ე. ი. მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია საპატენტო საბუთების ჯგუფის გამოვლენაზე დიდი სიმძლავრის პატენტ-ანალოგების ოჯახთან;

4) ტერმინოლოგიური და ლექსიკური ანალიზის მეთოდი;

5) მაჩვენებელთა მეთოდი.

- სამეწარმეო ფაქტორის გამოყენება გარემოს განვითარების ტენდენციების გამოსავლენად, რაც უზრუნველყოფს კონკურენტული უპირატესობის სიმყარის კიდევ ერთი პირობის შესრულებას და რომელიც ფირმის მიერ სხვა მონაწილეებთან მიმართებაში არაერთგვაროვნების მიღწევაში გამოიხატება.

- დროის ლაგის გამოყენება, როგორც წარსულის გამოცდილებაზე დაფუძნებული გამოცდილების შეზღუდვა. ამ ეფექტის მიღწევა შესაძლებელია სიჩქარის გაზრდით, გარემოს ცვლილებებზე რეაქციის მოქნილობის ამაღლებით.

როგორც უკვე აღინიშნა, მიზნებს მრავალობითობა ახასიათებს, ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ინოვაციური პოლიტიკის ან რეგიონის სტრატეგიის მიზნების შეთანხმება რეგიონის სამრეწველო, ფინანსური, საგადასახადო პოლიტიკის (სტრატეგიების) მიზნებთან. ეს აიხსნება დაქვემდებარების წესების დაცვისა და მიზნების არაწინააღმდეგობრიობის აუცილებლობით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ რეგიონის ინოვაციური პოლიტიკა დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების ისეთ სტრატეგიულ ორიენტირებზე, როგორიცაა ეკონომიკური ზრდის მიღწევა რეგიონში საქმიანი და საინვესტიციო აქტიურობის ამაღლების ხარჯზე. ამის გათვალისწინებით შეირჩევა ინოვაციური განვითარების მიმართულებები, მეცნიერების, ტექნიკისა და საზოგადოების განვითარების კონკრეტული მიმართულებები, ინოვაციური პოტენციალის გაფართოება.

რეგიონის ინოვაციური სტრატეგიისა და მიზნების განსაზღვრისას არც თუ უმნიშვნელო გარემოებას ნარმოადგენს სინერგიის, ადაპტაციის, რეგიონის ინერციის, როგორც სისტემის თავისებურებათა გათვალისწინება.

როგორც აღვნიშნეთ, ძალზედ მნიშვნელოვანია ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერის პირდაპირი ღონისძიებები. თავის მხრივ, ინოვაციის მხარდაჭერის პირდაპირი ღონისძიებები შეიძლება დავყოთ საბაზო და მიზნობრივ დაფინანსებად. რეგიონმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ფინანსირების ამ ორი სახეობის ოპტიმალური შეთანხმების შესახებ, რომელიც ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული მაღალი რისკის დივერსიფიცირების საშუალებას იძლევა.

საბაზო დაფინანსება ითვალისწინებს იმ ორგანიზაციების მხარდაჭერას, რომლებიც ინოვაციურ საქმიანობას ახორციელებენ, მიუხედავად იმისა, ძირითადია ის თუ არა. ფინანსური მხარდაჭერა შეიძლება იყოს განახლებადი, გრძელვადიანი. მიღწეული შედეგები ამაღლებენ რეგიონის ინოვაციურ პოტენციალს.

მიზნობრივი დაფინანსება ითვალისწინებს იმ განსაზღვრული პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც რეგიონის ინოვაციური განვითარების ამოცანებს წყვეტს. მას შედეგების სისწრაფე და განსაზღვრულობა ახასიათებს. პროექტები შეიძლება კიდევ დაიყოს გვერდითი ფირმების მიერ კონკურსის მიხედვით წარმოდგენილ პროექტებად, ასეთ შემთხვევაში პროექტების შერჩევა რეგიონისათვის მათი მნიშვნელობის ჩგათვალისწინებით წარმოებს; და საკუთრივ რეგიონის პროექტებად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კონკურენცია წარმოებს იმ ფირმებს შორის, რომლებიც მზად არიან ამ პროექტების რეალიზებისთვის. ეს ორი შემთხვევა, მოჩვენებითი მსგავსების მიუხედავად, ობიექტის შეფასების სხვადასხვა დონებს გულისხმობს: პირველ შემთხვევაში პროექტის კონკურენტუნარიანობა ფასდება, მეორე შემთხვევაში იმ ფირმის კონკურენტუნარიანობა, რომელსაც პროექტის რეალიზება სურს.

კავშირი საბაზო და მიზნობრივ დაფინანსებას შორის გაპირობებულია ინოვაციების განვითარებაში ფინანსური დაბანდების სტრუქტურების ოპტიმიზაციისა და დივერსიფიკაციის აუცილებლობით, რისკისა და რეგიონის ინოვაციურ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

დაფინანსების ობიექტის კონკურენტუნარიანობის შეფასება რეგიონის ინოვაციური მოღვაწეობის სტრატეგიული ანალიზის შემდეგი ეტაპია. ამ ეტაპზე უნდა გატარდეს იმ პროექტებისა და ორგანიზაციების შერჩევა, რომლებსაც რეგიონული ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა გაეწევათ.

გთავაზობთ რეგიონულ დონეზე ინოვაციების განვითარების ფინანსური მხარსაჭერის სამ ვარიანტს: I. ინოვაციური მოღვაწეობის (საბაზო დაფინანსება) განმახორციელებელი ინვესტიციები ორგანიზაციას/საწარმოს საქმიანობაში. II. ინოვაციური პროექტები, რომელსაც დაფინანსების მიღების მიზნით (მიზნობრივი დაფინანსება) გვერდითი ფირმები წარმოადგენენ კონკურსზე. III. საკუთრივ რეგიო-

ნული ორგანოების ინიციატივით, დამამუშავებლის, შემსრულებლის პოვნის მიზნით წარმოდგენილი პროექტები (მიზნობრივი დაფინანსება).

„მიმზიდველობის ანალიზი" ხორციელდება ზემოთ დასახელებული სამი მიმართულებით და დაყოფილია 5 თანმიმდევრულ ეტაპად, რომელთაგან თითოეულ ეტაპზე ორგანიზების უფრო მიმზიდველი პროექტების შერჩევა ხდება. ანალიზის პროცესში შეიძლება უარყოფილი პროექტებისა და ორგანიზაციების ორი ჯგუფი ჩამოყალიბდეს: **არამიმზიდველი** – რეგიონის ინოვაციური განვითარების სტრატეგიული მიზნებისათვის შეუსაბამო; და **გადადებული** – სტრატეგიული მიზნების შესაბამისი, მაგრამ ძალზე დიდ რისკთან, ან ძალიან დიდ ხარჯებთან დაკავშირებული, აგრეთვე სხვა მიზეზებით სხვა დროისთვის გადადებული.

შემოწმების ყველა ეტაპგავლილი პროექტები და ორგანიზაციები ქმნიან რეგიონის ინოვაციურ პორტფელს, მისი რეალიზაციიდან მოსალოდნელი ანაბარი კი უნდა შეფასდეს სინერგიის ეფექტის მოქმედების გათვალისწინებით.

**1. ეტაპი.** რეგიონის ინოვაციური განვითარების მიზნების შესაბამისობაზე შემოწმება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანიზაციები და ინოვაციური პროექტები უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერების, ტექნიკისა და საზოგადოების განვითარების იმ მიმართულებებს, რომლებიც სტრატეგიული ანალიზის წინა ეტაპზე იქნა არჩეული. ასეთი შემოწმება არ ტარდება რეგიონული ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ პროექტებთან მიმართებაში, რამდენადაც მიჩნეულია, რომ ეს პროექტები შეირჩა სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში.

**2. ეტაპი.** ორგანიზაციის/პროექტის ინოვაციური პოტენციალის ანალიზი თავის თავში მოიცავს ორგანიზაციის არამატერიალური აქტივების შეფასებას, პროექტის მნიშვნელობის შეფასებას (არამატერიალური აქტივების შეფასების პოზიციიდან), აგრეთვე რეგიონის ინოვაციური პოტენციალის განვითარებაში მოსალოდნელი ანაბრების შეფასებას: შესაძლო ეფექტები, ინოვაციური მოლვაწეობის ინტელექტუალური შედეგების გამოყენების სამართლებრივი საკითხების განხილვა.

**3. ეტაპი.** სინერგიის შესაძლო ეფექტის შეფასება. სინერგიის ეფექტი ორგანიზაციებისა და პროექტების რეალიზაციის დაფინანსების დროს შეიძლება რამდენიმე დონისა იყოს:

1. დაფინანსებული ორგანიზაციის ინტეგრაციისას (I) არსებულ დარგობრივ სტრუქტურაში.

2. დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებისას ამა თუ იმ ინოვაციური ამოცანების გადაწყვეტაში, დამუშავებული ინსტრუმენტარიების რეალიზებულ პროექტებში (II და III) და დაფინანსებული ორგანიზაციების მხრიდან მათ მიერ ინოვაციური მოღვაწეობის განხორციელებაში (I);

3. გარდა ამისა, სინერგიის ეფექტზე დაკვირვება შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა რეგიონული ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროექტის რეალიზაციისათვის შეირჩევა უკვე მოცემულ სფეროში გამოცდილების მქონე ფირმა, მაშინ ამოცანა უფრო ეფექტურად გადაწყდება მცირე დანახარჯებით;

4. სინერგიის საერთო ეფექტი გამოვლინდება უკვე დასახელებული მომენტების გათვალისწინებით დაფინანსების ყველა სამი ვარიანტის მიხედვით შერჩეული ობიექტების ოპტიმალური შეხამებისას. ამ ეფექტს სხვაგვარად შეიძლება პორტფელური სინერგიის ეფექტი ვუწოდოთ.

**4. ეტაპი.** წარმოების მიმდინარე მდგომარეობის შეფასება აუცილებელია ინოვაციური მოღვაწეობის დაფინანსების სამივე ვარიანტისათვის. თითოეულ ვარიანტში რესურსების საბოლოო მიმღები გარკვეული ორგანიზაცია ხდება, ამიტომ ბაზარზე მისმა კონკურენტუნარიანობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ინოვაციური დაბანდების რისკის როგორც დაწევას, ასევე ამაღლებას. კონკურენტუნარიანობის შეფასება ბოლო დონეს შემთხვევით არ მიეკუთვნება. სტრატეგიული შეფასებისას პრიორიტეტული ინოვაციური პოტენციალი ხდება, სხვა სიტყვებით, ცოდნა და ორგანიზება. ხშირ შემთხვევაში ძალზე პერსპექტიული იდეები ახალ შექმნილ და/ან პატარა, შეზღუდული სპეციალიზების სანარმოებში იბადება, რომლებიც ფინანსურად ყოველთვის მყარი როდია. ინოვაციური დაბანდების რისკი შეიძლება განვითარების პერსპექტიულ მიმართულებათა არჩევანის გაკეთებისას შეცდომის შემთხვევაშიც ამაღლდეს. ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველ ეტაპზე შერჩევა კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმის საფუძველზე მოხდება, ბევრი ღირებული იდეა უსამართლოდ იქნება უარყოფილი.

გთავაზობთ შეფასების წარმართვას შემდეგი მაჩვენებლებით:

- მართვის სტრუქტურა და სტილი, კვალიფიკაცია;
- საკადრო პოტენციალი;
- სანარმოს განვითარების ისტორია (მათ შორის სხვა ინოვაციური პროექტების შესრულება, მათი შესრულების შედეგები) – ეს მაჩვენებელი უფრო მნიშვნელოვანია პირველი ვარიანტით დაფინანსებისას (I);

- დაფინანსებისთვის მიმართვის მიზეზები;
- მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა – სტაბილური, არამდგრადი, კრიზისული;
- მიმდინარე მდგომარეობა ბაზარზე – პირობითად, ლიდერი, მოვლენების კვალდაკვალ მიმდევარი, ჩამორჩენილი;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფირმის პოტენციალის შეხამებას სამ სფეროში, ესენია: შემოქმედებითი კოლექტივი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, რამდენადაც სწორედ ამ სამმა შემადგენელმა ნაწილმა უნდა უზრუნველყოს პროექტის წარმატებული რეალიზაცია – დამუშავებიდან დაწყებული ბაზარზე გატანითა და ეკონომიკური მოგებით დამთავრებული. რეგიონის ინოვაციური განვითარების საკითხები განხილულია მსოფლიო ეკონომიკური განვითარებისა და თეორიული ეკონომიკური აზრის, აგრეთვე ქვეყნის ისტორიულ-ეკონომიკური განვითარების და იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რასაც მიმდინარე სიტუაცია აყენებს. რეგიონულ ინოვაციურ მოღვაწეობაზე სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღების განხილვისას რეგიონი განიხილებოდა, როგორც ღია სისტემა, როცა უახლოეს გარემოს ქვეყნის სხვა რეგიონები წარმოადგენს, ხოლო გლობალურს – ინოვაციების განვითარების მსოფლიო პროცესები.

ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციათა მოთხოვნების შესაბამისად, ინოვაციური პროცესების სტიმულირების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მათი უშუალო ინიციატივა და თეითრეგულირება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგიონული ხელისუფლების აქტიური მონაწილეობა.

### 10.3 კლასტერების როლი რეგიონების ინოვაციურ განვითარებაში

ეკონომიკურ ლიტერატურაში დღესდღეობით გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმად სამეურნეო ცხოვრების გლობალიზაციას მივყავართ ადგილობრივი, ეროვნული დონის როლის ამაღლებისაკენ. ე. ჰობსბომი ამტკიცებს კიდეც, რომ სახელმწიფოს რეგულირებადი როლის აღიარება მე-20 საუკუნის შეცდომად ითვლება. მეურნეობის ტერიტორულ პირობებში საკითხის განხილვისას სახელმწიფოს კონკურენტულ უპირატესობათა კონცეფცია სულ უფრო მეტად დეზაგრეგირდება და გადაიტანება რეგიონებში, რადგან სწორედ რეგიონებში ჩამოყალიბდა საწარმოების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, ადგილობრივი საბაზრო პირობებისა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა განსაკუთრებული ფორმები. ამ პროცესში განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ერთის მხრივ, ნაირსახეობა და ვარიანტულობა, და, მეორეს მხრივ, უნიფიკაცია.

ვიკვლევეთ რა მეურნეობის ტერიტორიულ პირობებში კონკურენციის სფეროს საკითხებს, ჩვენ განვიხილავთ ევოლუციურ პროცესს, რომელშიც უწყვეტად გენერირდება ინოვაციები, მათ შორის ინსტიტუციონალური ნიშნისაც. გარკვეულ დროს ისინი ძველდებიან და იცვლებიან ნოვაციებით. ამ პროცესზე ვერ ვიმსჯელებთ ერთი თეორეტიკული კონცეფციის მუდმივი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მდგომარეობიდან გამომდინარე. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინოვაციური კლასტერების კონცეფციის განხილვა და მათი მნიშვნელობის განსაზღვრა რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაში.

სპეციალურ ლიტერატურაში იშვიათად გამოიყენება ცნება „ინოვაციური კლასტერი". მაგრამ უცხოელი სპეციალისტები ინოვაციური, მათემატიკური ანალიზისა და სტატისტიკის სფეროებში თავიანთ გამოკვლევებში ფართოდ იყენებენ ამ ცნებას. უფრო მეტიც, საზღვარგარეთულ სტატისტიკურ და საინფორმაციო-ანალიტიკურ მიმოხილვებში სისტემატურად არის მონაცემები რეგიონულ, ინოვაციურ და სხვა კლასტერებზე.

ინოვაციური აქტიურობის კლასტერში იგულისხმება დროის გარკვეულ მონაკვეთზე და გარკვეულ ეკონომიკურ სივრცეში ბაზისურ ახალშემოღებათა ერთობლიობა. ინოვაციური კლასტერი – ეს არის სხვადასხვა ორგანიზაციების, სამრეწველო კომპანიების, საკვლევი ცენტრების, სამეცნიერო დაწესებულებების, სახელმწიფოს მმართველი ორგანოების, პროფკავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სხვათა გაერთიანება.

„ინოვაციური კლასტერის" ანალოგის სახით შეიძლება გამოვიყენოთ გარკვეულ ტერიტორიაზე ინოვაციურად აქტიური ფორმების დარგთაშორისი განსაკუთრებული ორგანიზაციის ცნება ან ტერმინი „ინოვაციური სტრატეგიული ქსელები". ინოვაციური კლასტერის სტრუქტურას უფრო ცხადად ბიოტექნოლოგიური კლასტერის ჩამოყალიბების პროცესი ასახავს.

ბიოტექნოლოგიური კლასტერის ჩამოყალიბებისას ეკონომიკური სისტემის კოორდინაციის საშუალებათაგან ორს – შიდასაფირმო იერარქიასა და საბაზრო მექანიზმს – უპირატესობა გააჩნია ახალი ცოდნის უფრო სწრაფად და ეფექტურად გავრცელების, მეცნიერულ აღმოჩენათა და გამოგონებათა

საქმეში. ამ შემთხვევაში ინოვაცია ხდება უფრო მეტი, ვიდრე ერთი ფირმის ან ერთი კვლევითი ინსტიტუტის პროდუქტი და ურთიერთკავშირის ქსელით რეგიონულ ეკონომიკურ სივრცეში ვრცელდება.

ვერტიკალური სპეციალიზაცია საშუალებას იძლევა ცალკეულ ოპერაციაში პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები გამოიყოს და ამით გაღრმავდეს შრომის განაწილება, გაზარდოს შიდა კავშირების მრავალფეროვნება. ამასთან, ინოვაციაში გამოგონებათა ეფექტური ტრანსფორმაციის უმნიშვნელოვანეს პირობას კლასტერის ყველა მონაწილეს შორის მყარი კავშირების ქსელის ფორმირება წარმოადგენს. ეკონომიკურ ლიტერატურაში ურთიერთკავშირების ასეთ სისტემას „ტექნოლოგიურ ქსელს“ უნოდებენ.

კლასტერის განმასხვავებელ თავისებურებას მის ჩარჩოებში რიგი დადებითი ეფექტების წარმოქმნა წარმოადგენს, პირველ რიგში, ეს წარმოების მასშტაბის ეფექტს ეხება. დადებით ეფექტებს წარმოადგენს ჩაბმის ეფექტი, ასევე სინერგიის ეფექტი, რომელიც პროდუქციის საერთო სტანდარტიზაციის შემთხვევაში იქმნება.

პირველი ეფექტის მიზეზს წარმოადგენს ფირმაში საბაზისო ინოვაციის არსებობა ერთი სახის პროდუქციის წარმოებისათვის ან მომსახურებისათვის, მაგრამ რომელიც, ამავე დროს, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა სიკეთის საწარმოებლად იმ პირობით, თუ პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯები არ გაიზრდება. ცნობილია, რომ წარმოების მასშტაბების ზრდის შესაბამისად მცირდება ერთეული საქონლის თვითღირებულება. ეს ხდება რამდენიმე მიზეზით: სპეციალიზაციის ზრდის, წარმოების უწყვეტობის, ტექნოლოგიური ეკონომიის გამო. ამ მიზეზების მოქმედების შედეგია– წარმოების განვითარება, რომლის დროსაც თითოეულ ერთეულზე ფაქტორების დანახარჯის ზრდა იწვევს წარმოების ზრდას მეტად, ვიდრე ყოველ ერთეულზე. ამ ეფექტის მოქმედება კლასტერული მიდგომის ჩარჩოებში აუცილებელია განვიხილოთ როგორც გარე – ერთეულ საქონელზე დანახარჯების შემცირება ფირმის ჩარჩოებში მთლიანად წარმოების მასშტაბების ზრდის შედეგად, და როგორც შიდა მოქმედება – ერთეულ საქონელზე დანახარჯების შემცირება ფირმის ჩარჩოებში მისი წარმოების მასშტაბების ზრდის შედეგად. განვიხილოთ შემთხვევა, როცა ერთეული ფირმა ნერგავს ინოვაციებს და ეს იწვევს შემოსავლების ზრდას „დანახარჯი – გამოშვების“ შესაბამისობის გაუმჯობესების შედეგად. თუმცა ეს ვერ მიგვიყვანს მასშტაბის ეფექტამდე და ფირმის საშუალო დანახარჯების შემცირებამდე. მასშტაბის ეფექტი მოქმედებას იწყებს, როცა ინოვაციურ განვითარებაზე ერთდროულად რამდენიმე ფირმა გადადის, რომლებიც კლასტერადაა გაერთიანებული. კლასტერის შექმნის შედეგად აიწევს პროდუქციის გამოშვების დონე და წარმოების ფაქტორებზე გაზრდილი დანახარჯების კომპენსაციას გასწევს.

მომცველობითი ეფექტი წარმოიშობა წარმოების ფაქტორების არსებობისას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რამდენიმე სახეობის პროდუქციის საწარმოებლად. ეს ფაქტორი ხასიათდება მრავალფუნქციური ბუნებით და დამატებითი ზემოქმედება გააჩნია. მომცველობითი ეფექტი წარმოიშობა, როცა საწარმოები ჯგუფდებიან კომპლექსებად – კლასტერებად. ასეთი დაჯგუფების უპირატესობა ძველი კავშირების გაძლიერება და ახლის შექმნაა. პროდუქციის საერთო სტანდარტიზაციის შემთხვევაში წარმოიშობა სინერგიის ეფექტი. კლასტერის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ სამი ეფექტის (მასშტაბის, მომცველობის და სინერგიის) მოქმედებისას კლასტერის არამომგებიან ფირმებს შეუძლიათ გადალახონ მოგების ნორმის ქვედა ნიშნული სპეციალიზაციის შესაძლებლობის შედეგად, რაც იწვევს შრომის მწარმოებლობის ამაღლებას და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ამრიგად, კლასტერის ფირმები კონკურენტულ უპირატესობას აღწევენ.

გარდა ამისა, ინოვაციურ კლასტერში მცირდება ე.წ. ტრიგერული ეფექტის მოქმედება. ის წარმოიქმნება, როცა პირველადი ინოვაციისათვის აუცილებელია მრავალი ძვირადღირებული მეორადი ცვლილებები, რის შედეგადაც საბაზისო ინოვაციიდან მოგება შეიძლება რეორგანიზაციისთვის საჭირო ხარჯებზე ნაკლებიც კი იყოს. ცალკე მოქმედი ფირმა-ინოვატორისთვის ასეთი ეფექტის წარმოქმნის საშიშროება საკმაოდ დიდია. ფირმის კლასტერში არსებობს მეორად ცვლილებებზე ხარჯების მინიმიზირების შესაძლებლობები, რაც მათ სხვადასხვაგვარი ინოვაციების დანერგვის საშუალებას აძლევს.

კლასტერის შესწავლა მისი რეორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით გვიჩვენებს, რომ კლასტერის შიდა ურთიერთკავშირების სისტემა განსაკუთრებულ პირობებს ქმნის ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელებისთვის. ის განსაზღვრავს შრომის ფუნქციონალურ სპეციალიზაციას და ასახავს რეგიონის დარგების განვითარებას. წარმატება აიხსნება რეგიონული ეკონომიკის ყველა სეგმენტზე სიახლეების ეფექტური გავრცელებით. კავშირის ასეთი სისტემის განვითარების საფუძველს წარმოადგენს რეგიონში ისტორიულად ჩამოყალიბებული ბიზნესის სისტემა.

ეს პროცესი ყველა დარგისათვის ტიპურია. ბევრი დარგი ხასიათდება მოქნილობის დაბალი ხარის-

ხით, რაც აფერხებს მათ სწრაფ გადასვლას ახალი ნაწარმის გამოშვებაზე. ეს მჭიდრო კავშირშია კაპიტალის შეცვლის სექტორთშორის პროცესთანაც. შეფერხება ძველ ინდუსტრიულ დარგებში შეიძლება აიხსნას, აგრეთვე, წარმოების სტრუქტურითაც. ინოვაციური განვითარების ტემპებზე მოქმედებს რეგიონულ გარემოზე მსხვილი კომპანიების დომინირებული ზემოქმედება. ზოგიერთი ასეთი კომპანია დომინირებდა და ახლაც დომინირებს შრომის ბაზარზე ინფრასტრუქტურითა და რეგიონის ინსტიტუტებით, ხოლო მცირე ფირმები ასეთ დარგებში დიდი საწარმოების მოსამარაგებლად დაფუძნდა. ქსელის ასეთ ტიპს „დამავალი“ ქსელი ეწოდა. სწორედ დამავალ ქსელს უკავშირდება თითქმის ყველა ფაქტორი, რომელიც ტრადიციული დარგების გაჩერების ახსნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ინოვაციური „ზრდის წერტილების“ ფორმირების შესაძლებლობათა დასაბუთებისთვის აუცილებელია ჩამოყალიბებულ საწარმოთა სტრატეგიის გათვალისწინება. საჭიროა მათი შეცვლა – მასობრივი ნარმოებიდან მოქნილ სპეციალიზაციაზე გადასვლით. საბოლოოდ, ფირმების დიდი გაერთიანებისა და მიმნდებელთა ჰორიზონტალური ტიპით (სწორედ ასეა ორგანიზებული ურთიერთკავშირთა სისტემა კლასტერში), გაერთიანებული ქსელები მოქნილი სპეციალიზაციის გამოყენების საშუალებას იძლევა, აიოლებს კონტრაქტების დადებას და, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს სიახლეების გავრცელებას.

ცხადია, რომ ინოვაციურ კლასტერებს შეუძლია გახდეს ის საფუძველი, რომელზეც რეგიონის ინოვაციური სისტემა ჩამოყალიბდება, რამდენადაც ინოვაციური კლასტერები ხელს უწყობს „ინოვაციურობის“ გადაცემას სამეურნეო ურთიერთობათა ერთი სუბიექტიდან მეორეზე: კლასტერის საქმიანობის შედეგს ინოვაციური დიფუზიის აქტივობა წარმოადგენს.

ინოვაციური კლასტერების განვითარებასა და სრულყოფაში დადებით როლს თამაშობს ინოვაციური გარემო – „საარსებო“ გარემო, ინოვაციური კლასტერების ფუნქციონირება. ინოვაციური გარემო ქმნის პირობებს ინოვაციური კლასტერების შექმნისა და ფორმირებისათვის. ეს ნიშნავს, რომ იგი უზრუნველყოფს ინოვაციური კლასტერების (საკუთარი ელემენტების მეშვეობით) მხარდაჭერას რესურსებით. ინოვაციური კლასტერების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ასეთ სპეციფიკურ რესურსებს შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად, ადამიანური კაპიტალი (მაღალკვალიფიციური სპეციალისტები).

გარდა ამისა, ახალშექმნილ ინოვაციურ გარემოში კლასტერები, როგორც წესი, არ არის.

კლასტერების არსებობა გამოხატავს ინოვაციური გარემოს განვითარების ახალ, უფრო მაღალ ეტაპს. ასეთ გარემოში კლასტერები აყალიბებენ რეგიონული ინოვაციური აქტივობის საფუძველს.

ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკაში შესაძლებელია ინოვაციური კლასტერების ტერიტორიული ერთეულების სამეცნიერო ქალაქის დე ფაქტო სტატუსის მიხედვით იდენტიფიცირების შეთავაზება. ეს, ჯერ ერთი, ასეთი სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსის მონომოღვაწეობის იდენტიფიცირების, და, მეორეც, ასეთი ტიპის ინოვაციური კლასტერების რაოდენობრივი შეჯამების შესაძლებლობას იძლევა.

შეფასების ძირითადი პარამეტრებია საერთო-ეკონომიკური და სოციალური კატეგორიები: ინოვაციური აქტივობა, ინვესტიციური აქტივობა, მოსახლეობის დასაქმება, განათლების სფეროს განვითარების დონე.

სამწუხაროდ, დღესდღეობით, საწარმოთა ინოვაციური მოღვაწეობის ობიექტური შეფასება და ანალიზი, მით უმეტეს, რეგიონისა და ქვეყნის, შეუძლებელია. ინოვაციურ მოღვაწეობაზე შეგროვებული ინფორმაციის მოცულობა სრულიად არასაკმარისია, რაც მთელი რიგი მიზეზებით აიხსნება, როგორიცაა: სტატისტიკური კომიტეტის ფინანსური სირთულეები, საწარმოთა ხელმძღვანელობის უდისციპლინობა და უინტერესობა, ზოგიერთ საწარმოში ისეთი სპეციალისტების არარსებობა, რომელთაც ინოვაციაზე ანგარიშის ფორმის სწორად შევსება შეუძლიათ და ა.შ.

ამიტომ „ინოვაციური“ ინფორმაცია რეგიონის მთელ მრეწველობაზე არ ვრცელდება, რადგან მისი დიდი მოცულობა განზე, ე. ი. უცნობი რჩება. არსებული ინფორმაციის გამოყენება ინოვაციურ მოღვაწეობაში კორექტულ გადაწყვეტილებათა მისაღებად, ძალზე პრობლემურია. ქვეყნის რეგიონებს შორის ინოვაციური მოღვაწეობის შედეგების უბრალო შედარებაც კი, ასეთ პირობებში საკმაოდ არაკორექტულია.

დღესდღეობით ინოვაციური მოღვაწეობის დაფინანსება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად ითვლება.

საწარმოთა ინოვაციური მოღვაწეობის დაფინანსების ძირითადი წყაროები საკუთრივ საწარმოთა სახსრებია. ამასთან, ინოვაციური მოღვაწეობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არასაბიუჯეტო ფონდებიდან დაფინანსება თანდათან მცირდება. სამაგიეროდ გამოჩნდა დაფინანსების ახალი წყარო – უცხოური ინვესტიციები. ასეთი სიტუაცია სამართლიანად ვერ ჩაითვლება, რადგან საკუთარი სახსრების უქონლობა საწარმოებს ხელს შეუშლის ინოვაციურ პროცესში.

მონაცემების თანახმად, შეიძლება თვალი მივადევნოთ საწარმოთა ინოვაციური მოღვაწეობის

მიზნების ეეოლუციას. სანარმოთა ინოვაციური მოღვაწეობის გამოვლენილ მიზნებს შორის, როგორიცაა პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება, გასაღების ტრადიციული ბაზრების შენარჩუნება, გასაღების ახალი ბაზრების შექმნა, გამომუშავების გადასახადზე დანახარჯის შემცირება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. სხვადასხვა წლებში ეს მიზნები სხვადასხვაგვარია. მაგ, სანარმოების ინოვაციური მოღვაწეობის ძირითადი მიზანი შეიძლება იყო პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება, ახალი ბაზრების შექმნა და ა.შ.

ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ასეთ შემთხვევაში რეგიონში ინოვაციური გარემო არსებობს, მაგრამ იმ ზომით ჯერ არ ჩამოყალიბებულა, რომ ფართო ინოვაციურ განვითარებას და ინოვაციური კლასტერების ხელსაყრელ ფუნქციონირებას შეუნყოს ხელი. ამის რამდენიმე მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება.

ჯერ ერთი, ეს როგორც რეგიონულ, ასევე საერთოეროვნულ დონეზე დეპრესიული სტაბილიზაციის შედეგია. მეორე მხრივ, ეს ეკონომიკური ჩამორჩენილობაა, რომლის ერთ-ერთი მიზეზი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ძირითადი საბაზრო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ბოლომდე ჩამოუყალიბებლობაა. მესამე მხრივ, ეს რეგიონის ფსიქოლოგიური მოუმზადებლობაა, რომელიც აგრეთვე, ისეთი აზროვნების არასაკმარის ფორმირებას ამჟღავნებს, რომელიც თავისუფლების, თანასწორობისა და საკუთრების აღიარებაზე იქნება დაფუძნებული.

ჩამოთვლილი მიზეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია გარკვეული ზომების მიღება, რაც ცალკე გამოკვლევის საგანს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციურ გარემოს არა იმდენად ადმინისტრაციული და ეკონომიკური ღონისძიებები აყალიბებს, რამდენადაც თავად ინოვაციური გარემო განსაზღვრავს იმ ზომების გატარებას, რაც აუცილებელია რეგიონში მისი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის.

კიდევ ერთხელ შევჩერდეთ რეგიონის ინოვაციური გარემოს განმსაზღვრელ ძირითად მაჩვენებლებზე. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ინვესტიციური აქტიურობა: ინვესტიციები წარმოადგენს აუცილებელ ფინანსურ საშუალებებს, მიმართულს ინოვაციების სფეროსკენ.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს დასაქმების დონე და განათლების განვითარების დონე: ინოვაციური გარემო წარმოაჩენს აუცილებელ ადამიანურ რესურსებს (სპეციალისტებს), სწორედ ისინი, თავის მხრივ, ქმნიან ინოვაციებს. რეგიონის ინოვაციურ პროცესებში მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა დონის სპეციალისტებმა.

მესამე მხრივ, რეგიონის ინოვაციური განვითარება: ამ ეტაპზე ის საკმაოდ დაბალ დონეზეა. მიუხედავად ამისა, ინოვაციური აქტიურობის ტემპების დაჩქარება ინოვაციური კლასტერებისა და მათ შორის ურთიერთკავშირების შექმნისა და სრულყოფისათვის აუცილებელი პირობების ჩამოყალიბებაზე მეტყველებს.

ზემოთქმულის შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური გარემო ნამდვილად ქმნის პირობებს ინოვაციური კლასტერების ფუნქციონირებისათვის, თუმცა სადაც იგი არასაკმარისად არის განვითარებული, დაბალანსებული, იქ ინოვაციური კლასტერების მულტიპლიკატური ეფექტი სუსტად ვლინდება.

აუცილებლად საყურადღებოა ინოვაციური კლასტერების განსაკუთრებული როლი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. ამიტომაც სახელმწიფოს წინაშე დგას ამოცანა – ჩამოყალიბდეს ხელსაყრელი ინოვაციური გარემო ინოვაციური კლასტერების განვითარებისათვის, აგრეთვე, შეიქმნას აუცილებელი პირობები მათი ურთიერთქმედებისათვის.

ჩვენი აზრით, სხვადასხვა ინოვაციური კლასტერის ურთიერთკავშირის განვითარების უმნიშვნელოვანესი საზომია შემდეგი:

- უცხოური ფირმებისა და საზღვარგარეთის ინვესტორების მონაწილეობის სტიმულირება ქვეყნის ტექნოლოგიის კომერციალიზაციაში;
- ქვეყნის ტექნოლოგიების (ტექნოპარკები, „ინკუბატორები", სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსები, მეცნიერთა ქალაქები, უცხოურ ფირმებთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციურ-ტექნიკური სტრუქტურების) კომერციალიზაციის ზონების შექმნა;
- საზღვარგარეთ ინოვაციური ფირმების შექმნის მხარდაჭერა;
- რეგიონულ ჭრილში თანამშრომლობის მონიტორინგის გამართვა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციურ გარემოს დროთაშორისი მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც წინსვლითი მოძრაობის გარანტიისა და წყაროს სახით გვევლინება: ის მისი საშუალება და მისი შედეგია. ინოვაციური გარემოს ასეთი გაგებიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ ინოვაციურ გასწრებაზე (ინოვაციური კლასტერების მულტიპლიკაციური ეფექტის შედეგი), როგორც პოს-

ტინდუსტრიული განვითარების სპეციფიკურ შედეგზე. მხედველობაში გვაქვს არა კონკრეტული, ერთეული სრულყოფა, არამედ ტრანსფორმაციული შლეიფი. ეს შესაძლებელი ხდება საკუთრებისა და კომერციული საიდუმლოს უფლებების დაცვის წყალობით, რაც შეზღუდულს ხდის ინოვაციური პროდუქტების მისაწვდომობას კანონით დადგენილ პერიოდში, ე. ი. გარკვეულ ეკონომიკურ სუბიექტებს აძლევს ახალი ტექნოლოგიური და ორგანიზაციული გადაწყვეტილების გამოყენების განსაკუთრებულ უნარს. ასეთი სარგებლის ამოღების უფლება ჩნდება, როგორც ერთგვარი კომპენსაცია იმ რესურსებისთვის, რაც ინოვაციური გადაწყვეტის შემუშავებასა და ათვისებაზე დაიხარჯა. ეს სარგებელი აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოს, რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრიობის შემდგომი ინოვაციური აქტივობისათვის.

სუბიექტის ინტელექტუალური უფლებების დაცვის საზღვრები შეიძლება საკმაოდ გაფართოვდეს: ცალკეული მეცნიერიდან, ფირმიდან, საკონსტრუქტორო ბიუროდან რეგიონთაშორის გაერთიანებამდე ან ტრანსნაციონალურ კორპორაციამდე. ამ შემთხვევაში ასეთი სუბიექტის მიერ მიღებული სარგებელი შეიძლება არ გადანაწილდეს ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის, მაგრამ იქნება რა იგი სინერგეტიკული ეფექტის შედეგი, ირიბად უზრუნველყოფს ენდოგენურ ელემენტებს უპირატესობით გარემოსთან შედარებით. ასეთი მიკროკლიმატი ქმნის კეთილსასურველ პირობებს თანამშრომლობისათვის, რაც მოცემული რაიონის რესურსების არაეფექტური განაწილების თავიდან აცილებით მისი გამოყენების ოპტიმიზირების საშუალებას იძლევა.

შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ინოვაციურ გარემოს შეუძლია ბევრად დააჩქაროს არსებული საწარმოო მატერიის რენოვაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესი, კერძოდ, ტრანსაქციული დანახარჯების გადალახვისა და შემცირების ხარჯზე, რომელიც დაკავშირებულია საინფორმაციო ველთან, აგრეთვე, საკუთრების უფლების დაცვასთან და გაფრთხილებასთან ოპორტუნისტული საქციელის შესახებ, რაც ასე ხშირია არასტაბილურ ეკონომიკაში.

ეს შესაძლებელია რეგიონული ეკონომიკის ინოვაციური თანამშრომლობის პერმანენტულ სივრცედ გადაქცევის წყალობით, რომელიც დამყარებულია ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ ინტეგრაციაზე, შიდასაწარმოო სინერგიაზე, რაც უზრუნველყოფილია ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირებით.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით აქტუალურია ინოვაციური გარემოს როლი რიგი პრობლემების გადაწყვეტაში. ინოვაციური გარემოს შექმნით ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ სტრუქტურულ წონასწორობაში მოვიყვანოთ ეროვნული ეკონომიკა, გაერთიანებისა და ინტეგრაციის გზით მოვიცილოთ შიდა დისპროპორციები.

ინოვაციური გარემო განსაზღვრავს ინოვაციური კლასტერების, როგორც რეგიონის ინოვაციური აქტიურობის მულტიპლიკატორების ფუნქციონირების შესაძლებლობას, იგი არის ინოვაციური კლასტერების განვითარებისათვის საჭირო რესურსების მიმწოდებელი, მაგრამ, ამავე დროს, ზღუდავს მის მოღვაწეობას.

### 10.4 ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლება, არსებული პოტენციალის რაციონალური გამოყენება წარმოადგენს. კერძოდ, ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის კონცეფცია შრომის მწარმოებლურობის ზრდას გულისხმობს, შრომის მწარმოებლურობის დონის მუდმივი ამაღლებისთვის კი აუცილებელია ინოვაციები და წარმოებაში მისი დანერგვის მუდმივი პროცესი.* მაღალი ინოვაციური პოტენციალი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის, კეთილდღეობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ამიტომაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის პარამეტრთა კვლევისას ინოვაციური პროცესების, როგორც კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძვლის კვლევა აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემათა რანგს განეკუთვნება.

***მსოფლიო ეკონომიკის ინოვაციური ტრაექტორია.*** არსებული მონაცემებით მეცნიერებატევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 2300 მლრდ. დოლარს გადააჭარბა. აღნიშნული ბაზრის უზრუნველყოფა ხდება დაახლოებით 50 მაკროტექნოლოგიით, ხოლო აქედან მხოლოდ 7 განვითარებულ ქვეყანას გააჩნია 46 მაკროტექნოლოგია, რომელთა საშუალებით კონტროლდება მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზრის 80%, პირველ ადგილზეა აშშ, რომელიც ასეთი პროდუქციის ექსპორ-

* Портер М. Конкуренция. «Вильямс», 2002. ст. 162.

ტის საშუალებით უზრუნველყოფს 700 მლრდ დოლარის მიღებას, მეორე ადგილზეა გერმანია – 500 მლრდ და მესამეზე იაპონია 400 მლრდ დოლარის მოცულობით.

ცხრილი 10.4.1. მეცნიერების ფინანსური უზრუნველყოფა განვითარებულ ქვეყნებში
(სამეცნიერო-კვლევითი აღმოჩენებსა და საკონსტრუქტორო
დამუშავებებზე ხარჯების წილი მშპ-ში)

| | აშშ | იაპონია | გერმანია | საფრანგეთი | დიდი ბრიტანეთი |
|---|---|---|---|---|---|
| 1985 წელი | 2,8 | 2,6 | 2,7 | 2,3 | 2,3 |
| 1990 წელი | 2,7 | 2,9 | 2,8 | 2,4 | 2,2 |
| 1995 წელი | 2,6 | 2,7 | 2,5 | 2,4 | 2,2 |
| 2000 წელი | 2,8 | 2,9 | 2,7 | 2,4 | 2,3 |

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნის დასაწყისისთვის განვითარებულ ქვეყნებში მშპ-ში მეცნიერებატევადობის მაჩვენებელი სტაბილურია. კერძოდ, აშშ-ში, იაპონიასა და გერმანიაში ეს მაჩვენებელი 2,5 – 2,8 %, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში 2,2 – 2,4 %, იტალიასა და კანადაში 1,3 – 1,5 %. ექსპერტული გათვლები გვიჩვენებენ, რომ უახლოეს ათწლეულში მშპ-ის მეცნიერებატევადობის 3 %-მდე ზრდაა მოსალოდნელი აშშ-სა და იაპონიაში, ხოლო ევროპის ქვეყნებში – 2,5 – 2,9 %-მდე.*

მე-20 საუკუნის ბოლოსთვის სამეცნიერო-ტექნოლოგიური სფეროს დაჩქარებული გაფართოების საფუძველზე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალმა პოსტინდუსტრიულმა ქვეყნებმა (სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური) მშპ-ში მეცნიერებატევადობის მაჩვენებლები 1,5-2-ჯერ გაზარდეს და ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეს მიუახლოვდნენ, ხოლო სამხრეთ კორეა კი – აშშ-ის დონეს.** ბოლო პერიოდის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მსგავსი ტენდენციებით ხასიათდება ჩინეთიც.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნებში. კერძოდ, 2000 წელს, ლისაბონში, ევროპის საბჭოზე შემუშავებულ იქნა ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციურობის შეფასების პროგრამა. განისაზღვრა წევრი ქვეყნების კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციურობის შეფასების პარამეტრები, რომელსაც „ინოვაციური განვითარების ევროპული სარეიტინგო ცხრილი" (European Innovation Scoreboard) ეწოდება და იგი პირველად ამავე წელს იქნა შედგენილი.

ევროკავშირის ქვეყნებში ინოვაციურობის ანგარიშისას, აღნიშნულ სარეიტინგო ცხრილში შემდეგი 17 ინდიკატორი გამოიყენება:

**I. ადამიანური რესურსები.** 1.1. ახალი სწავლულები/ინჟინრები (კაცი, 20-29 წლის ასაკის ყოველ 1000 მცხოვრებზე); 1.2. მოსახლეობა უმაღლესი განათლებით (%, 25-64 წლის ასაკის მოსახლეობაში); 1.3. დამატებით განათლებაში მონაწილე მოსახლეობა (%, 25-64 წლის ასაკის მოსახლეობაში); 1.4. საშუალო და მაღალტექნოლოგიურ დარგებში დასაქმება (% მთლიანი სამუშაო ძალიდან); 1.5. მაღალტექნოლოგიურ სერვისში დასაქმება (% მთლიანი სამუშაო ძალიდან).

**II. ცოდნის შექმნა.** 2.1. სახელმწიფო ხარჯები სამეცნიერო-კვლევით აღმოჩენებსა და საკონსტრუქტორო დამუშავებებში (სულ) (% მშპ-ში); 2.2. კერძო ფირმების ხარჯები სულ– ში (% მშპ-ში); 2.3. ეპჰ (European Patent Organisation) მიერ გაცემული მაღალტექნოლოგიური პატენტები (1 მლნ. მცხოვრებზე); 2.4. უშპთჰ (United States Patent and Trademark Office) მიერ გაცემული მაღალტექნოლოგიური პატენტები (1 მლნ. მცხოვრებზე). (ბოლო ორი მაჩვენებლიდან თითოეულს ენიჭება 0,5 ქულა და ითვლება როგორც ერთი მაჩვენებელი).

**III. ცოდნის გადაცემა და გამოყენება.** 3.1. ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურობა (% ყველა მცირე და საშუალო საწარმოდან); 3.2. ინოვაციურ პროცესებში ჩართული მცირე და საშუალო საწარმოები (% ყველა მცირე და საშუალო საწარმოდან); 3.3. დანახარჯები ინოვაციაზე (% წარმოების საერთო ბრუნვიდან)

* Философова Т. Г. Быков В. А. Конкуренция и конкурентоспособность. «Юнити»6 2007. ст. 247.

**IV. ინოვაციური ფინანსირება, პროდუქციის გამოსვლა ბაზარზე.** 4.1. მაღალტექნოლოგიური ენეჩ-რული ინვესტიციები (% მშპ-ში); 4.2. ახალი კაპიტალი, მიღებული საფონდო ბაზარზე (% მშპ-ში); 4.3. ბაზრისთვის ახალი პროდუქტების გაყიდვა (% გაყიდვების საერთო მოცულობაში); 4.4. ინტერნეტის ხელმისაწვდომობა (% ყველა შინამეურნეობიდან); 4.5. საინფორმაციო-კომუნიკაციური ბაზრის წილი (% მშპ-ში); 4.6. მაღალტექნოლოგიურ დარგებში წარმოებული დამატებული ღირებულების წილი.

ქვეყნის ინოვაციურობისა და კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის გაითვლება ერთიანი ინო-ვაციური ინდექსი, რომელიც უტოლდება საერთო-ევროპულ დონეზე 20%-ით მაღალი ინდიკატორე-ბის ჯამს გამოკლებული ამ დონეზე 20%-ით დაბალი ინდიკატორების ჯამი. აღნიშნული მაჩვენებლით გამოირჩევა შვეცია – 6,5.* აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ყველა პატარა ქვეყანაში შეიმჩნევა ინოვაციურობის ზრდა. ამასთანავე, მისი ზრდა სხვადასხვა ფაქტორთა ხარჯზე ხორციელდება. კერ-ძოდ, საბერძნეთში იგი დაკავშირებულია სამეცნიერო-კვლევით აღმოჩენებსა და საკონსტრუქტორო დამუშავებებში სახელმწიფო ხარჯებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სექტორში ინვესტიციე-ბის, ლუქსემბურგსა და ირლანდიაში მაღალტექნოლოგიურ სერვისში დასაქმების, დანიასა და ბელგი-აში USPTO პატენტების ზრდასთან, ხოლო ფინლანდიაში USPTO პატენტების ზრდასთან ერთად შე-იმჩნევა სამეცნიერო-კვლევით აღმოჩენებსა და საკონსტრუქტორო დამუშავებებში სახელმწიფო და კერძო ხარჯების ზრდა.

ამგვარად, XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში მოსალოდნელია სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესების საფუძველზე რესურსების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა, მათი რაოდენობრივი ზრდის გარეშე. მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებისა და მისი გლობა-ლური ხასიათის გაძლიერების, ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის მას-შტაბების ზრდის, კავშირის საშუალებების სრულყოფისა და შემდგომი განვითარების საფუძველზე ტექნოლოგიური ინტეგრაციის პროცესი უფრო მაღალი ტემპებით გაგრძელდება და სულ უფრო გლობალური გახდება.

**საქართველოს ინოვაციური გამოცდილება. მოკლე რეტროსპექტივა.** მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე საქართველო საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა იყო, ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონით, პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის ტიპური სამეცნიერო-კვლევითი სტრუქ-ტურებით. საქართველო მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, მისი ფაქტორული პოტენციალი შეზღუდუ-ლია და კონკურენტუნარიანობა ჩამოყალიბების სტადიაშია. მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით საქარ-თველოს ეკონომიკა მიკროსკოპულია. მისი ხვედრითი წონა მსოფლიო მშპ-ში უკანასკნელ წლებში 0,015%-ს შეადგენდა. და უახლოეს პერიოდში ლარის რეალური კურსის ზრდის გათვალისწინებითაც კი, ალბათ, არ გადააჭარბებს 0,016%-ს. საქართველოს წილი მსოფლიო ექსპორტში 0,009%-ს არ აღემატება, მსოფლიო იმპორტში 0,018%-ა, ხოლო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 0,012%-ს შეადგენს.*

**საგულისხმოა, რომ საქართველოში 1990-იანი წლებისათვის ფუნქციონირებდა 250-მდე მეცნიერული და სამეცნიერო-მომსახურების ორგანიზაცია. აქედან 155 იყო სამეცნიერო დაწესებულება უმაღლესი სას-წავლებლების ჩათვლით, რომელთაგან 115 გამოდიოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილით, სადაც მთელი სამეცნიერო კადრების 58% იყო დასაქმებული;** ** **სამეცნიერო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებს გააჩნდათ შესაბამისად 241,9, 163,3 და 33,9 მლნ. მანეთის ღირებულების მანქანა-დანადგა-რები; სამეცნიერო ორგანიზაციების საცდელ ბაზებში კონცენტრირებული იყო 12,7 მლნ. მანეთის მანქანა-დანადგარები. აქედან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებზე მოდიოდა შესაბამისად 9,6, 2,7, 0,4 მლნ. მანეთის ღირებულების; რესპუბლიკის მრენველობაში მუშაობდა 2406 მექანიზებულ-ნაკადური (მათ შორის 389 იმპორტული) და 380 ავტომატუ-რი ხაზი (მათ შორის 146 იმპორტული), 1207 კომპლექსურ-მექანიზებული, 103 აუტომატიზებული და 22 კომპლექსურ-ავტომატიზებული უბანი და საამქრო; რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 1209 დამოუკიდე-ბელ ბალანსზე მყოფი სანარმოო და სამეცნიერო-სანარმოო გაერთიანება, კომბინატი და საწარმო. მარტო მრენველობაში ითვლებოდა 123 საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომელთა შემადგენ-ლობაში შედიოდა 280 დამოუკიდებელი საწარმო და 515 საწარმოო ერთეული; 1986-1989 წლებში 111 900 განცხადება იქნა შეტანილი რაციონალურ წინადადებასა და გამოგონებაზე (საშუალოდ 28 000 წელინად-**

---

* European Innovation Scoreboard 2001, p. 26.

* На пароге XXI века. Всемирний банк, изд-во «Весъ Мир», М., 2002 ст. 215.242,254.

** ხხირტლაძე მ. მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების თანამედროვე მდგომარეობა (ეკონომიკური ასპექტი). საბაზ-რო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის სამინის-ტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებუ-ლი. I ტომი, თბ., 1996, გვ. 178.

ში): წარმოებაში პირველად გამოყენებულ გამოგონებათა რაოდენობა შეადგენდა სულ 996 ერთეულს (საშუალოდ 249-ს წელიწადში), რაციონალური წინადადებებისა – 92500 (საშუალოდ 23 100 წელიწადში), მათი გამოყენებით მიღებულ იქნა 99,9 მლნ. მანეთის საშუალო ეკონომიკური ეფექტი; 1985-1990 წლებში მრეწველობაში დაინერგა სხვადასხვა სახის მაღალმწარმოებლური მოწყობილობები: 778 ერთეული მექანიზებულ-ნაკადური და ავტომატური ხაზი, მათ შორის 10 როტორულ-კონვეირული; 358 ერთეული სამრეწველო რობოტი; 418 ერთეული რიცხვულ-პროგრამული ლითონსაჭრელი ჩარხი; ექსპლუატაციაში გადაეცა 24 ერთეული სხვადასხვა დანიშნულების მოქნილი საწარმოო სისტემა; შეიქმნა 242 ერთეული ახალი ტიპის მანქანების, დანადგარების, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ნიმუშები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობდა სერიოზული საინოვაციო პოტენციალი, 1991 წლის ბოლოდან განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობა შექმნა. კრიზისმა მოიცვა ეროვნული მეურნეობის ყველა სფერო, მათ შორის მეცნიერულ-ტექნიკურიც. თუ გავაანალიზებთ ამ პერიოდში მეცნიერების მდგომარეობის ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს, მივიღებთ სურათს" რომელიც ნათლად მეტყველებს თუ რა მდგომარეობა იყო ქვეყანაში ამ მიმართულებით, კერძოდ:

– სამეცნიერო დანესებულებათა რაოდენობა შემცირდა 17%-ით (155-დან 129-მდე). გამორჩეულად კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა ყოფილ საკავშირო დაქვემდებარების ინსტიტუტებში, რომლებიც ძირითადად მუშაობდნენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, გააჩნდათ სათანადო საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალი;

– მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა შემცირდა 39%-ით (29351-დან 17 762-მდე);

– ასპირანტთა რიცხოვნობა შემცირდა დაახლოებით 11%-ით (1695-დან 1500-მდე);

– მეცნიერებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი 1994 წელს შემცირდა 60%-ით, (1-დან 0,4%-მდე). იგივე დონე (0,4%) იქნა შენარჩუნებული 1995 წელს, ხოლო 1996 წელს კიდევ უფრო შემცირდა (სავარაუდოდ 0,19%-მდე), 1998 წელს შესაბამისად 0,2% გაუტოლდა. ეს მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 0,6-0,8%-ს, ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მიიჩნევენ, რომ იგი არ უნდა იყოს 3,5%-ზე ნაკლები;

– 1990-1994 წლებში საბიუჯეტო დაფინანსების ხვედრითი წილი მეცნიერებაზე გაწეულ მთელ დანახარჯებში გაიზარდა 0,6%-ით (79,4-დან 80%-მდე), მაგრამ მისი აბსოლუტური მოცულობა მკვეთრად შემცირდა (თითქმის 4-ჯერ). მეცნიერების განვითარებაზე გაწეული კაპიტალური დაბანდებების სტრუქტურაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხვედრითი წილი მთელ კაპიტალდაბანდებებში გაიზარდა 47,3%-ით (31,1-დან 78,4%-მდე), ხოლო მონყობილობებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი შემცირდა 100%-ით (50,4-დან 0%-მდე).**

– თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საინოვაციო საქმიანობა უაღრესად დაბალ დონეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს მაღალკვალიფიციური კადრები, შესაბამისი სამეცნიერო-საწარმოო ბაზა, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მარაგები და სხვა, უკიდურესად სუსტია ორიენტაცია საინოვაციო საქმიანობის, სამეცნიერო მიღწევების წარმოებაში და საქმიანობის სხვა სფეროებში რეალიზაციაზე. მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 2001 წლისთვის მეცნიერებათა დოქტორის ხელფასი არ აღემატებოდა 47 ლარს, აკადემიის ბიუჯეტი კი 9,6 მლნ. ლარს შეადგენდა (XX საუკუნის 80-იან წლებში იგი 56 მლნ. მანეთს შეადგენდა), რომელიც ძირითადად ხელფასებს ხმარდებოდა, სხვა ხარჯებისთვის კი მხოლოდ 9% იყო გამოყოფილი.*

2005 წლის ბოლოს „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე" შესაბამისად დაისახა ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ძირითადი ტრაექტორია. კანონიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა განხორციელდეს „კვლევა-დამუშავება-წარმოება" აქამდე მოქმედ სტრუქტურაში. მომდინარე სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკის ძირითადი საფუძველი გახდა ინოვაციური პროცესებისადმი დიფერენციალური მიდგომა. მოხდება არა მთელი ორგანიზაციის საქმიანო-

---

* აბრალავა ა., გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 2001, გვ. 32-33.

** სხირტლაძე მ., მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურეობის თანამედროვე მდგომარეობა (ეკონომიკური ასპექტი). საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალურო პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული. I ტომი, თბ., 1996, გგ. 179-188; საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

* საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ქვეყნის განვითარების პერსპექტივები (1996-2000 წწ. საინფორმაციო მასალა). თბილისი, 2001. გვ. 5.

ბის, არამედ შესრულებული სამუშაოს შეფასება.** მეცნიერების დაფინანსების სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე ეროვნული მეცნიერების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სტანდარტებთან მიმართებაში საქართველოს ეკონომიკა არაა მაღალგანვითარებული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. მასში შედარებით მაღალია მეცნიერულ გამოკვლევათა და დამუშავებათა მოცულობა.

**საქართველოში ინოვაციური საქმიანობის რეგიონული სტრუქტურა.** ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის პრობლემა არსებითადაა დაკავშირებული, კონკურენტული უპირატესობის ტერიტორიული დიფერენციაციის საფუძველზე, არსებული რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციასთან. რამდენადაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მოიცავს სახელმწიფოს განვითარების ეკონომიკურ, მმართველობით, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურულ ასპექტებს, რომელთაგან თითოეული დაკავშირებულია ცენტრალური და რეგიონული ორგანოების კონკრეტულ ეკონომიკურ საქმიანობასთან, ცხადია, რომ კონკურენტული უპირატესობის ფორმირებისა და განვითარების პრობლემები მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რეგიონულ საქმიანობასთან.

საქართველოს რეგიონებში საინოვაციო პროცესების მართვა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სტრუქტურულ გარდაქმნებზე, რომელთა განხორციელების ორი ძირითადი გზა არსებობს: პირველი, რომელიც აქცენტირებას აკეთებს ექსპორტზე ორიენტირებულ მომპოვებელ დარგებზე და მასალებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოებაზე (ნავთობი, ქიმიური პროდუქცია, ტყის პროდუქცია და სხვა); მეორე რომელიც ორიენტირებულია შიდა ბაზარზე და აქცენტს აკეთებს მეცნიერებატევად წარმოებაზე. იმისდა მიხედვით, თუ როგორია რეგიონის ფინანსური მდგომარეობა, საინვესტიციო პოლიტიკა და რაც ყველაზე მთავარია რა ეკონომიკურ პოტენციალს ფლობს რეგიონი, შეირჩევა გარდაქმნის გზაც.

რეგიონის ინოვაციურობის დონე განისაზღვრება მეცნიერული მიღწევების ათვისებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფის ხარისხით, რომელიც შეესაბამება საბაზრო კონკურენციის მოთხოვნებს. იგი ასახავს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მატერიალიზების ხარისხს წარმოების სფეროში. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონის ინოვაციურობის დონეში იგულისხმება რეგიონის მასშტაბით ტექნოლოგიის, შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების სრულყოფის დონეები, რომლებიც ხასიათდებიან შესაბამისი შემადგენელი ელემენტებით.

საქართველოს რეგიონებში, ამ თვალსაზრისით, მეტად არასახარბიელო სიტუაციაა შექმნილი. რეგიონების მასშტაბით მხოლოდ რამოდენიმე ობიექტი თუ აკმაყოფილებს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს.

რეგიონების ინოვაციური პოტენციალის სრულად გამოყენება ბუნებრივია დაკავშირებულია მნიშვნელოვან ინვესტიციებთან. ქვეყანა და მითუმეტეს რეგიონი მხოლოდ საკუთარი ფინანსური რესურსებით ვერ შეძლებს მისი ინოვაციური პოტენციალის სრულად ათვისებას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყანაში არსებული პოტენციალის გამოყენების შიდა და გარე ფაქტორებზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია პირველ რიგში განვიხილოთ საქართველოს რეგიონებში ამ მხრივ შექმნილი რეალური მდგომარეობა და შემდგომ განვსაზღვროთ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ინოვაციური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისა და მისი ზრდის პერსპექტივები.

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის ტერიტორიული სტრუქტურის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს რეგიონებს შორის ინოვაციური საქმიანობის თვალსაზრისით სერიოზული დისპროპორცია არსებობს (ცხრილი 10.4.2).

** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. წლიური ანგარიში 2006. თბილისი, 2006. გვ. 4-5.

ცხრილი 10.4.2. საქართველოს საინოვაციო საქმიანობის ტერიტორიული სტრუქტურა*
(2006 წ. პროცენტებში)

| საქართველოს ტერიტორიული ერთეულები | მხარეების ხვედრითი წონა | | | |
|---|---|---|---|---|
| | სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში | საინოვაციო პროდუქციის მოცულობაში | ინოვაციურად აქტიური საწარმოების რიცხვოვნობაში | ტექნოლოგიური ნოვაციების საერთო მოცულობაში |
| საქართველო სულ | 100 | 100 | 100 | 100 |
| ქ. თბილისი | 34.3 | 40.3 | 45.1 | 38.1 |
| აფხაზეთის ა.რ. | 3.45 | 2.9 | 2.0 | 0.7 |
| აჭარის ა.რ. | 12.3 | 16.3 | 11.5 | 18.6 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 1.25 | 2.9 | 4.3 | 1.3 |
| გურია | 1.4 | 3.0 | 3.5 | 1.2 |
| იმერეთი | 8.1 | 13.5 | 16.0 | 16.5 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 0.5 | 0.8 | 0.8 | 0.3 |
| შიდა ქართლი | 6.5 | 2.5 | 2.9 | 0.7 |
| მცხეთა-მთიანეთი | 2.5 | 2.6 | 2.0 | 1.1 |
| კახეთი | 2.4 | 2.1 | 4.3 | 2.1 |
| ქვემო ქართლი | 24.2 | 11.7 | 5.7 | 18.6 |
| სამცხე-ჯავახეთი | 4.1 | 2.0 | 1.9 | 0.8 |

ქ. თბილისს გამორჩეული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ტერიტორიულ სტრუქტურაში. ბოლო წლების მანძილზე მთლიანად ქვეყანაში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობის დაახლოებით ერთ მესამედზე მეტი სწორედ დედაქალაქზე მოდის.

ინოვაციური პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა საქართველოს მრეწველობის რამოდენიმე ობიექტი, რომლებიც ძირითადად ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონში არიან კონცენტრირებულნი, კერძოდ: ს.ს. „აზოტი", ს.ს. „მადნეული" და მისი შვილობილი ფირმა შ.პ.ს. „კვარციტი"; ს.ს. „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი" და მის ბაზაზე დაფუძნებული „თუჯი XXI", აგრეთვე ს.ს. „რუსთავცემენტი", ს.ს. „ქუთაისის ლითოფონების ქარხანა" და ს.ს. „ქუთაისის ავტოქარხანა", ს.ს. „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა" და ს.ს. „ჭიათურმანგანუმი", ს.ს. „ელექტრომექანიკოსი", ს.ს. „აისი". ამ საწარმოებში ქვეყნის სამრეწველო ინოვაციური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ამ საწარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალისა, უცხოელი ინვესტორების გარეშე მათი სრული დატვირთვა და შესაბამისად ახალი ან პრინციპულად გაუმჯობესებული პროდუქციის წარმოება შეუძლებელია.

საქართველოს მრეწველობის დარგში ინოვაციაზე გაწეული დანახარჯების რეგიონული სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილ 10.4.3.-ში. საინოვაციო პროცესის განხორციელების ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია საწარმოებში საკუთარი საშუალებების, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო წყაროებით ფინანსირების უკმარისობასთან, მათ შორის მოზიდული სახსრების შეზღუდულობასთან. წარმოების მოცულობების შემცირებისა და საწარმოების დაფინანსების მუდმივი დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება ფულადი რესურსების გამოყოფა საინოვაციო საქმიანობისათვის. საინოვაციო აქტივობის განსაკუთრებით დაბალი დონით გამოირჩევიან ის დარგები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, როგორიცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა,

* შედგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 10.4.3. დანახარჯების განაწილება საინოვაციო ტექნოლოგიებზე მრეწველობაში მხარეების მიხედვით (1996-2006წწ)*

| საქართველოს ტერიტორიული ერთეულები | საერთო დანახარჯები | მათ შორის | |
|---|---|---|---|
| | | მიმდინარე დანახარჯები | კაპიტალური დანახარჯები |
| საქართველო სულ | 100 | 58 | 42 |
| ქ. თბილისი | 100 | 38 | 62 |
| აფხაზეთის ა.რ. | 100 | - | - |
| აჭარის ა.რ. | 100 | 44 | 56 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 100 | 68 | 32 |
| გურია | 100 | 59 | 41 |
| იმერეთი | 100 | 49 | 51 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 100 | 63 | 37 |
| შიდა ქართლი | 100 | 71 | 29 |
| მცხეთა-მთიანეთი | 100 | 67 | 33 |
| კახეთი | 100 | 66 | 34 |
| ქვემო ქართლი | 100 | 48 | 52 |
| სამცხე-ჯავახეთი | 100 | 72 | 28 |

საშენ მასალათა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა. სამამულო სამომხმარებლო საქონლის დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო, რომელსაც თან ახლავს იმპორტის ინტერვენცია, მეტად დაბალია წარმოების, მისი ტექნოლოგიურობის, ტექნიკური გადაიარაღებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის დონე. იმ დარგების რიცხვს, რომელთაც საინოვაციო აქტივობის სასურველი დონე გააჩნიათ, მიეკუთვნება ფერადი მეტალურგია, კვების, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. მათ პროდუქციაზე სტაბილური მოთხოვნილებაა როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე.

საინოვაციო საქმიანობის თვალსაზრისით, მეტნაკლებად აქტიურნი რჩებიან მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპლექსში წარმოების დაცემა ძალიან დიდია, ხოლო სანარმოთა ფინანსური მდგომარეობა – რთული.

საინოვაციო საქმიანობის მდგომარეობა და მისი აქტივობის დაქვეითების მიზეზები მეტნაკლებად ანალოგიურია საქართველოს ეკონომიკის სხვა სფეროებშიც. ფინანსური საშუალებების დეფიციტი საინოვაციო აქტივობის დაქვეითების მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორია. ქვეყანა დაადგა საბაზრო რეფორმების გზას, საინოვაციო სფერო კი ახალ პირობებში მუშაობისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ბაზრის ფორმირების პროცესს და მოთხოვნილებებს ჩამორჩება საინოვაციო პროდუქტის წარმოება, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი დამუშავებები ყოველთვის არ გადაიქცევა საინოვაციო პროდუქტად, რომელიც მზად იქნება წარმოებაში ჩასაშვებად და ეფექტიანი რეალიზაციისათვის. ამასთან, არსებობენ სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და გადაცემაში, ლიცენზირებასა და სერთიფიცირებაში და ა.შ. მეტ ყურადღებას და სრულყოფას საჭიროებს საინოვაციო საქმიანობის საინვესტიციო მექანიზმიც.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში აუცილებელია არსებითად გააქტიურდეს ინოვაციური საქმიანობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებითა და ეტაპობრივი რეალიზაციით უნდა განხორციელდეს. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს არა ერთი მაგალითი იმისა, როცა ქვეყნის ხელისუფლების ქმედითი ღონისძიებების გატარების შემდეგ ხდებოდა ეკონომიკური მაჩვენებლების სწრაფი ზრდა, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

და ბოლოს, შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა პრაქტიკულმა რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს რეგიონებში საინოვაციო საქმიანობის მკვეთრ გააქტიურებას:

– რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მეცნიერული კვლევების მხარდაჭერა და მათზე ორი-

* შედგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

ენტირება;

– რეგიონში მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მიმართულებათა კოორდინირებული რეგულირება;

– ბუნებრივი, საწარმოო და ინოვაციური პოტენციალის გათვალისწინებით, უახლესი, ან წამყვანი ტექნოლოგიების განვითარება რეგიონში;

– სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონში;

– სამამულო მრეწველობის დაცვა, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

– პრიორიტეტული დარგებისა თუ ცალკეული საწარმოების ფინანსური მხარდაჭერა;

– ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების სისტემის სრულყოფა;

– ინოვაციურ პროცესებზე ზემოქმედების სახელმწიფო მართვის მექანიზმის სრულყოფა;

– რეგიონში სავაჭრო და საბანკო ქსელის განვითარების ხელშეწყობა;

– კადრების მომზადებისა და გადამზადების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა და განვითარება;

– რეგიონში ინფორმაციის სწრაფი გავრცელების უზრუნველყოფა;

– საწარმოებისთვის ტექნოლოგიების გადაცემის ორგანიზება;

– სალიცენზიო-საპატენტო უფლებების რეგულირება (დაპატენტება, საპატენტო ინფორმაციის ხელმისანდომობა);

– ირიბი რეგულირების ფორმების გამოყენება (სამრთლებრივი, ფინანსური, ტექნიკური და ა.შ.);

– რეგიონში ინოვაციური საქმიანობის მონიტორინგი და მისი შეფასება;

– საწარმოთაშორისი ურთიერთობების სტრატეგიული კოორდინაცია;

– მართვის მეთოდების სრულყოფა და განვითარება;

– საზოგადოებაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენის მონიტორინგი (ინოვაციების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება);

– რეგიონში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა;

– საერთაშორისო თანამშრომლობის მასშტაბების გაფართოება (აქტიური საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა);

– საწარმოების პირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერა (მაგალითად, ინფორმაციული);

– რეგიონში ინოვაციური პროცესების კანონზომიერებათა შესწავლა, ინტენსიფიცირებული მეთოდების შემდგომი განვითარება და სრულყოფა.

ბუნებრივია არც თუ ისე ადვილია ზემოჩამოთვლილ ღონისძიებათა პრიორიტეტულობის განსაზღვრა, რამეთუ თითოეული მათგანი რთული კატეგორიაა და თავისთავად ღონისძიებათა მთელ სპექტრს მოიცავს. იმისდა მიხედვით, თუ რა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობაა რეგიონში, შესაძლებელია ღონისძიებათა ამა თუ იმ ჯგუფის კომბინირება და პრაქტიკული რეალიზაცია. საქართველოს თითოეულმა რეგიონმა თვითონ უნდა განსაზღვროს ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა უპირატესი მხარდაჭერა გამოიყვანს რეგიონს რთული მდგომარეობიდან, უზრუნველყოფს სოციალური ორიენტაციის გაფართოებას და შექმნის მდგრადი განვითარების წინაპირობას.

# რეგიონის ფირმათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების თანამედროვე კონცეფციები

## 11.1. ინტეგრაცია, როგორც რეგიონის საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალება

რეგიონის კონკურენტუნარიანობის შემადგენელი ნაწილები შეიძლება ორ დიდ ჯგუფად გაერთიანდეს:

1) ინსტიტუციონალური ფაქტორები (ფორმირებადი და რეგულირებადი ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან) – რეგიონული კანონმდებლობა, ეკონომიკური პოლიტიკა და ა. შ., რომელიც კონკურენტუნარიანობის მაკროდონეს წარმოადგენს;

2) რეგიონის ცალკეულ საწარმოთა კონკურენტუნარიანობა, რომელიც კონკურენტუნარიანობის მიკროდონეს გამოხატავს.

რეგიონის საწარმოთა კონკურენტუნარიანობა საკმაოდ რთული მოვლენაა. მოცემულ ასპექტში კონკურენტუნარიანობის გამოკვლევა შეუძლებელია იმ პრობლემის განხილვის გარეშე, თუ *რისთვის* და *ვისთან კონკურირებენ საწარმოები.*

პასუხი კითხვაზე *„რისთვის კონკურირებენ საწარმოები"* ფართო გაგებით მოიცავს ორ შემადგენელს:

1) იშვიათი რესურსებისათვის (ნედლეული, ძირითადი ფონდები, ინვესტიციები, ადამიანური კაპიტალი);

2) მომხმარებლისათვის (ე. ი. ბაზარზე წილისათვის, ფაქტიური და პოტენციური შემოსაველებისათვის).

პასუხი კითხვაზე *„ვისთან კონკურირებენ საწარმოები"* განაპირობებს ბაზრის საზღვრების განსაზღვრის აუცილებლობას.

განსაკუთრებით გავრცელებულად ითვლება ორი მიდგომა ბაზრის საზღვრების განსაზღვრისადმი:

1. იმ დარგის გამოყოფა, რომელშიც მოქმედებს საწარმო და დარგობრივი ბაზრისა და შიდადარგობრივი კონკურენციის ანალიზი.

2. ბაზრის ტერიტორიული საზღვრების და ლოკალური (ადგილობრივი), რეგიონული, ფედერალური (სახელმწიფოთაშორისი) და მსოფლიო ბაზრის საზღვრების განსაზღვრა გარკვეული პროდუქტის მიმართ და კონკურენციის შესაბამისი სახეობებით.

როგორც ვნახეთ, ორივე მიდგომა ერთდროულად გამოიყენება.

საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების აშკარა გზაა კონტროლის უფლება მასზე, *რისთვისაც* ხდება კონკურენცია და *ვისთანაც* კონკურირებენ.

ამ ამოცანის რეალიზაცია შესაძლებელია საწარმოთა ინტეგრაციის დახმარებით.

**ინტეგრაცია** – ურთიერთმოქმედი სამეურნეო სუბიექტების გაერთიანებაა ქონებრივი და არაქონებრივი მექანიზმების საფუძველზე საერთო ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

ინტეგრაცია შეიძლება მიმართული იყოს კონკურენტუნარიანობის დონის დაწევის (მონოპოლიზაცია), ასევე კონკურენტული უპირატესობის მიღებისკენ.

მსხვილ კორპორაციებში სააქციონერო კაპიტალის კონსოლიდაციის ობიექტური საფუძველი წარმოების რთული ტექნოლოგიური ჯაჭვის არსებობაა, რომელიც განაპირობებულია შრომის საერთაშორისო განაწილებისა და მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის პროცესების ჩაღრმავებით, აგრეთვე, პროდუქციის ხანგრძლივი ცხოვრებისეული ციკლით, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ პროდუქციის წარმოების სტანდარტული ფუნქციების უზრუნველყოფას და არა მარტო მიკროეკონომიკურ დონეზე, არამედ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებასაც, აგრეთვე, შესაბამის სფეროში მარკეტინგსაც.

საწარმოთა ორგანიზაციული ინტეგრაცია ხორციელდება სხვადასხვა ფორმალურ და არაფორმალურ გაერთიანებათა სახით – ინტეგრირებულ კორპორაციულ სტრუქტურებად. ინტეგრირებულ კორპორაციულ სტრუქტურებად მოიაზრება იურიდიულად ან მეურნეობრივად დამოუკიდებელ საწარმოთა (ორგანიზაციათა) ჯგუფი, რომელიც ერთობლივ მოღვაწეობას ეწევა აქტივების კონსოლიდაციის ან სახელშეკრულებო (საკონტრაქტო) დამოკიდებულების საფუძველზე საერთო მიზნების მისაღწევად.

ინტეგრაცია უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებას შემდეგი ფაქტორების ხარჯზე:

- ჯგუფების მონაწილეთა კაპიტალების კონსოლიდაცია და მათი გამოყენება საინვესტიციო პროექტების რეალიზაციისათვის განვითარების უფრო ეფექტური მიმართულებებისათვის;
- ტრანსფერული ფასწარმოება;
- წარმოების დივერსიფიკაცია;
- რეალიზაციის ზრდა გამოშვების მოცულობათა ზრდისა და ასორტიმენტის ცვლის ხარჯზე;
- საქონელბრუნვის დაჩქარება;
- იბგ-ს ჩარჩოებში საგადასახადო პასუხისმგებლობის გადანაწილება;
- ჯგუფში საკუთრებასთან დამოკიდებულების სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- რისკის გადანაწილება იბგ-ს შიგნით;
- ტექნოლოგიური ჯაჭვის კონსოლიდაცია;
- კოოპერაცია სანარმოო მოღვაწეობაში;
- კოოპერაცია მარკეტინგულ მოღვაწეობაში;
- იბგ-ს სამეურნეო მექანიზმების ელემენტებია რაციონალური გამოყენება (ლიზინგი, შიდაჯგუფური კრედიტები, სათამასუქო მიმოქცევა, შიდაჯგუფური ბარტერი);
- გარერესურსების (გარე კრედიტები, სუბსიდიები, შეღავათები, იბგ-ს ფასიანი ქაღალდების ემისია) მიზიდვის მექანიზმების გამოყენება.

ინტეგრირებულ კორპორაციულ სტრუქტურაში საწარმოთა გაერთიანებისაგან მიღებული სინერგიული ეფექტი შეიძლება რაოდენობრივად გაიზომოს. ის განისაზღვრება, როგორც საწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდა მისი გადასვლისას ინტეგრაციული კორპორაციული სტრუქტურის გარეშე საქმიანობიდან ინტეგრალური კორპორაციული სტრუქტურისშემადგენელი ნაწილის სახით ფუნქციონირებაზე.

ინტეგრირებულ კორპორაციულ სტრუქტურას ოფიციალური სტატუსის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფს წარმოადგენს. ზოგიერთი ქვეყნის კანონში ეს იურიდიულ პირთა ერთობლიობაა, რომლებიც მოქმედებენ როგორც ძირითადი და დამოკიდებული საზოგადოებები, თავიანთი მატერიალური და არამატერიალური აქტივების (მონაწილეობის სისტემა) მთლიანად ან ნაწილობრივ გაერთიანებით ტექნოლოგიური ან ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფის შექმნის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ინვესტიციური და სხვა პროექტებისა თუ პროგრამების რეალიზაციისათვის, რომლებიც მიმართულია კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საქონლის გასაღებისა და მომსახურების ბაზრის გაფართოებისაკენ, წარმოების ეფექტურობის ამაღლებისაკენ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისაკენ.

იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფი მონაწილეთა საქმიანობას შეზღუდვების მთელ რიგს უწესებს, რეალურად არსებული ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურები არ რეგისტრირდებიან ფინანსურ-სამრეწველო სტრუქტურების სახით. ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების უმეტესობისათვის ოფიციალური სტატუსის არქონა ართულებს სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გატარებას ამ სახის სტრუქტურებთან მიმართებაში, მაგრამ იცავს მათ ზედმეტი სახელმწიფო რეგულირებისაგან.

რამდენადაც ინტეგრირებული კომპანიების უმეტესობა ოფიციალურად არ წარმოადგენს ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფს, შემდგომში გამოვიყენებთ უფრო ხმარებად ტერმინებს – „ინტეგრირებულ კორპორაციულ სტრუქტურებს“ ან „ინტეგრირებულ ბიზნეს-ჯგუფებს“.

ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების კლასიკაციის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. გამოიყოფა ინტეგრირებულ ბიზნეს-ჯგუფებთან ერთობლივი საქმიანობის მექანიზმების სამი ძირითადი ჯგუფი: ქონებრივი კავშირების საფუძველზე; ზოგიერთ რესურსსა და მომსახურებაზე კონტროლის კონცენტრაციის საფუძველზე; ხელისუფლებრივი უფლებამოსილებათა ნებაყოფლობითი ცენტრალიზაციის საფუძველზე.

ყველა სამი ჯგუფის მექანიზმები პრაქტიკულად შესაძლებელია რეალიზებულ იქნას ერთდროულად, ხშირად ერთი მათგანის გამოყენება იწვევს მეორის გამოყენებას. მექანიზმები ქონებრივი კავშირების საფუძველზე, როგორც წესი, ინტეგრაციის მონაწილეთა მხრიდან განიხილება როგორც პრიორიტეტულნი. ინტეგრაციული მექანიზმების ზემოთჩამოთვლილი სამი ჯგუფის გამოყოფა გამორჩევა ამ მექანიზმების ქონებრივად და არაქონებრივად უბრალო დაყოფისაგან, მაგრამ აზრობრივად ახლოა მასთან: კლასიფიკაციის საფუძველში დევს მოღვაწეობის (ფუნქციის) სახეობა, რომლის ცენტრალიზაცია განსაზღვრავს ინტეგრაციის აუცილებლობას; მექანიზმების ქონებრივად და არაქო-

ნებრივად დაყოფისას კლასიფიკაციის საფუძველში – ინტეგრაციის მონაწილეთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და მმართველობის განხორციელების მექანიზმი დევს.

არაქონებრივი კონტროლის მექანიზმების რეალიზაციისას არ ხდება ინტეგრირებად საწარმოზე ქონებრივი უფლებების მოპოვება.

ინტეგრაციის არაქონებრივ მექანიზმებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი.

**ფრანჩაიზინგი** – წვრილი და მსხვილი მეწარმეობის შერეული ფორმა, როდესაც მსხვილი კორპორაციები, „მშობელი" კომპანიები (ფრანჩაიზერები) ხელშეკრულებას აფორმებენ წვრილ ფირმებთან, „შვილეულ" კომპანიებთან, ბიზნესმენებთან (ფრანჩაიზი) მისი, ფრანჩაიზერის სახელით მოქმედების უფლებების შესახებ. ამ შემთხვევაში მცირე ფირმა ვალდებულია თავისი ბიზნესი განახორციელოს მხოლოდ დიდი ფირმის მიერ განერილი განსაზღვრული დროის განმავლობაში და განსაზღვრულ ადგილას. თავის მხრივ, ფრანჩაიზერი ვალდებულია ფრანჩაიზი უზრუნველყოს საქონლით, ტექნოლოგიით, ყოველგვარი თანადგომა აღმოუჩინოს ბიზნესში (ბორისოვი, 1999).

**აუტსორსინგი** – სპეციალური ორგანიზაციისაგან მომსახურების მოპოვება ბიზნეს-პროცესის რეალიზაციისათვის (დუკა, 2001).

**სუბკონტრაქტინგი** – საწარმოო კორპორაციის სახეობა, რომლის დროსაც ერთი საწარმო (კონტრაქტორი) ავალებს მეორეს (სუბკონტრაქტორს) რომელიმე პროდუქციის დამზადებას (დეტალები, მაკომპლექტებელი) მიწოდებული ნახაზებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ზოგიერთ შემთხვევაში კონტრაქტორი აწვდის სუბკონტრაქტორს შეკვეთის შესასრულებლად აუცილებელ ნედლეულს ან დანადგარებს (ბორისოვი, 1999).

**პროცესინგი** (მათ შორის ტოლინგი) – სამუშაო მოწოდებულ ნედლეულზე და სხვ.

ქონებრივ მექანიზმებს განეკუთვნება:

**ვერტიკალური ინტეგრაცია** (პირდაპირი და შებრუნებული) – სადისტრიბუციო კომპანიებსა და გამყიდველებზე საკუთრების ან მათზე კონტროლის უფლების მოპოვება (პირდაპირი), ნედლეულის მომწოდებლებზე (შებრუნებული);

**ჰორიზონტალური ინტეგრაცია** – საკუთარ კონკურენტებზე საკუთრების ან კონტროლის უფლების მოპოვება.

ამა თუ იმ მექანიზმის გამოყენება დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორიცაა:

- ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების განვითარების სტრატეგია მოცემულ ბაზარზე;
- ბაზრის განვითარების დონე;
- წარმოებული საქონლის ცხოვრებისეული ციკლის სტადიები და სხვა.

ზოგიერთ რეგიონში ინტეგრაციის უპირატესობათა მექანიზმები სუსტად არის განვითარებული, რაც გამოწვეულია დაბალი სახელშეკრულებო დისციპლინით შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტების განუვითარებლობით. არაქონებრივი ინტეგრაციის რეალიები – ძირითადად დასავლეთის კომპანიების ახალშემოღებებია.

რეგიონში, და საერთოდ, ქვეყანაში, ინტეგრაციის პროცესზე გაელენას ახდენს არა მხოლოდ დარგობრივი სპეციფიკა, არამედ კომპანიების სიდიდეც: უფრო მსხვილი სანარმოები, როგორც წესი, ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების მონაწილეები არიან, რაც გაპირობებულია მრავალფეროვანი ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციის აუცილებლობით, ორგანიზაციული, რესურსული, ტექნოლოგიური და სხვა შეზღუდვათა გათვალისწინებით. ქონებრივი მექანიზმები ინტეგრაციული მექანიზმების რთული სისტემის ნაწილია. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკაში არაქონებრივი ინტეგრაცია გავრცელებული მოვლენაა, საკუთრების ურთიერთობები განმსაზღვრელია (განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში).

ინტეგრაცია, რომელიც ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების თავდაპირველი ფორმირების ეტაპზე ხდება, იცვლება ფორმითა და მეთოდებით ინტეგრაციული მექანიზმების განვითარებისა და სრულყოფის პროცესში ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების ჩარჩოებში, თუმცა თავისთავად ინტეგრირებულ ბიზნეს ჯგუფში მონაწილეობა მასში შემავალი სანარმოების განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის გარანტიას არ წარმოადგენს. საჭიროა ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების მექანიზმის დახვეწა, რათა მასში საკუთრების მართვის უფლება მოიპოვო.

ბიზნეს-დონეზე **საკუთრების მართვა** ფლობის, სარგებლობისა და ქონებრივი უფლებების განმკარგულებელ დამოკიდებულებათა სისტემის ფუნქციაა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დამოკიდებულებათა შენარჩუნებასა და განვითარებას ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად.

საკუთრების მართვა განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჰოლდინგების, ფინანსურ-მრეწველობითი ჯგუფებისა და სხვა ტიპის ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების მართვის პროცესში. რამდენადაც ასეთ სტრუქტურებში გამოყენებული ქონებრივი ინტეგრაციის მექანიზმები საკუთრების მართვას მართვის მთელ სისტემაში უმნიშვნელოვანესად წარმოაჩენს.

საკუთრების მართვა განსხვავდება ქონების მარტივი მართვისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი მხოლოდ მენეჯერების აქტივებთან ოპერაციას გულისხმობს, ხოლო საკუთრების მართვა მესაკუთრეთა (აქციონერების) მენეჯმენტთან ურთიერთობების სფეროებსაც მოიცავს. ამრიგად, კორპორაციული მართვა და აქტივების მართვა წარმოადგენს ეტაპების მართვის ელემენტებს.

საკუთრების მართვა არსებულ ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურებში მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს.

რეგიონების ინტეგრირებულ კორპორაციულ სტრუქტურებში განვითარების ძირითადი ტენდენციები და მასთან დაკავშირებული საკუთრების მართვის პრობლემები შემდეგია:

1. კორპორაციული სტრუქტურების ეფექტურობა მეტწილად შიდაკორპორაციული კავშირებით განისაზღვრება. ოფიციალური ინტეგრირებული ბიზნეს ჯგუფის დაარსება უფრო ხშირად, ასეთი კავშირების ჩამოყალიბების გზაზე პირველი ნაბიჯია. რესურსების კონტროლის ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხის პრეცენდენტები ინტეგრირებული სტრუქტურების ჩარჩოებში გვხვდება როგორც სახელმწიფოს მიერ წარმოქმნილ ჰოლდინგებში, ასევე შექმნილ ფაქტობრივ ინტეგრირებულ ბიზნეს ჯგუფებს შორის. ამასთან, ინტეგრირებული სტრუქტურების შიგნით კავშირების განმტკიცება მიიღწევა არა მხოლოდ ქონებრივ ვერტიკალთა (ჰოლდინგების) აგების ხარჯზე, არამედ კაპიტალში ურთიერთმონაწილეობის (კაპიტალის ჯვარედინი ფლობა) მეშვეობითაც. ბევრი ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურისთვის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს შიდა კავშირების დონის რაციონალური უზრუნველყოფა, თანაც მათი გარდაქმნის გამართულებელი ფაქტორი ბევრ საწარმოში ინსაიდერული კონტროლის ჰიპერტროფირებული ხარისხია.

2. მმართველი ჰოლდინგების სტრატეგიის მოტივაცია ბევრად არის დამოკიდებული ძირითად საზოგადოებაზე მესაკუთრის ზემოქმედების ხარისხზე, მისი საქმიანობის მიმართ სააქციონერო კონტროლის ფორმებსა და მეთოდებზე. შესაბამისი მექანიზმების მოუწესრიგებლობა (მათ შორის სახელმწიფოს მხრიდან) მესაკუთრის ცვლის პერსპექტივასთან შეხამებით ასუსტებს მმართველი გუნდის დაინტერესებას კორპორაციული მართვის რაციონალური მეთოდების გამოყენებაში და აძლიერებს მათ სწრაფვას საკუთრების თავის სასარგებლოდ გადანაწილებისაკენ.

3. ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების აქტიური მონაწილეობა რეგიონული ინტეგრირებული კორპორაციების სტრუქტურის ფორმირების პროცესში და მათი მხარდაჭერა ინიცირდება როგორც ამ სტრუქტურათა ძირითადი დამფუძნებლების სუსტი შესაძლებლობებით, ასევე ადგილობრივი ელიტის მზარდი ეკონომიკური დამოუკიდებლობით.

4. ოფიციალური და რეალური ჰოლდინგების საქმიანობის შედეგებში აისახება მათი კაპიტალის კონცენტრაციის არცთუ მაღალი დონე. ცალკეულ სანარმოებზე საწარმოო სიმძლავრეთა შედარებით მაღალი კონცენტრაციისას სამამულო ეკონომიკაში კაპიტალის კონცენტრაცია ჯერ კიდევ ვერ აღწევს იმ დონეს, რაც საშუალებას მისცემდა დაეფინანსებინა ფართომასშტაბიანი ინვესტიციური პროექტები.

5. საფინანსო და სავაჭრო კომპანიების მიერ შექმნილი ყველა მეტნაკლებად წარმატებით მოქმედი რეგიონული ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურისთვის დამახასიათებელია შემდეგი:

– ფინანსურ და სამრეწველო შემადგენელთა გონივრული პარიტეტისაკენ სწრაფვა;

– განსახილველი სტრუქტურების შიგნით (ან არა მათ შემადგენლობაში მყოფი პრივილეგირებული პარტნიორები) მსხვილი წარმატებით მოქმედი სამრეწველო საწარმოთა არსებობა, რომელთაც საკმაოდ მაღალი საექსპორტო პოტენციალი აქვთ:

– ექსპანსია დარგებში, რომლებიც თუნდაც ნაწილობრივ მუშაობენ შიდა ინდივიდუალურ მომხმარებელზე, – კვების და მსუბუქი მრეწველობა, სურსათისა და საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისი საქონლის იმპორტი, სამშენებლო მასალების წარმოება. არ არსებობს კონგლომერატი, რომელიც არ მიილტვის რომელიმე ამ სფეროში ფართომასშტაბიან ექსპანსიაზე.

ინტეგრაციული სტრატეგია აუცილებელია შემუშავდეს კორპორაციული საინვესტიციო პროგრამის ძირითად დებულებებთან შეთანხმებით. ეფექტური საინვესტიციო სტრატეგიის რეალიზაციის უზრუნველყოფის უნარი – ჩპოლდინგის ან ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურის საორგანიზაციო-სამეურნეო თვისების შეფასების კრიტერიული საფუძველია. მსხვილი ინტეგრირებული სტრუქტურების შემადგენლობა და მასში ქონებრივი უფლებების განაწილება განსაზღვრავს, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, არსებული საწარმოო რესურსების აქტიური გამოყენების დონეს.

ინტეგრირებული სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს გამაერთიანებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მზადყოფნის დონეს მმართველობითი უფლებამოსილების გადანაწილებაში.

მიზანშეწონილია ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურის მმართველი (ან წამყვანი ბანკისათვის) სახელმწიფო საკუთრებაში დროებით დამაგრებული საწარმოების აქციების პაკეტის გადაცემის პრაქტიკის გაფართოება, ამ უკანასკნელის სანირების აუცილებლობით.

ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურის განვითარების მმართველობის უზრუნველსაყოფად არსებობს არა მხოლოდ ქონებრივი კონტროლი მონაწილეებზე მმართველი კომპანიის მხრიდან, არამედ ერთობლივი მოღვაწეობის ეკონომიკური სტიმულის როლის გაძლიერება.

სტრატეგიული ინვესტორების დეფიციტის პირობებში, რომლებსაც საკუთრების ეფექტური მართვის გამოცდილება გააჩნიათ, აუცილებელია ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების, როგორც სტრატეგიული მესაკუთრეების შემდგომი განვითარება.

### 11.2. ფირმათა კონკურენტუნარიანობის თავისებურებები

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში ეკონომიკური პირობების მკვეთრმა ცვლილებამ გამოიწვია საწარმოთა სამეურნეო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. ამასთან ერთად გაძლიერდა კონკურენცია, კერძოდ, უცხოურ საწარმოებთან. გადაუდებელ აუცილებლობად იქცა კრიზისის დასაძლევად სპეციალური ზომების შემუშავება, დინამიური განვითარების გზების ძიება.

მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის შემდგომი ინტეგრაციისათვის და რეგიონების განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მაგრამ არსებული რეზერვები საწარმოს ეკონომიკური ეფექტურობის და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, რომელიც კომბინირებულობის საფუძველში დევს, არ ხორციელდება, ამიტომ მეცნიერული კვლევები, რომლებიც ეძღვნება კომბინირებულფორმიანი საწარმოების წარმოების ორგანიზაციის კონკურენტული სტატუსის ამაღლების პრობლემებს, მეტად აქტუალური და აუცილებელია. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ბაზრის სპეციფიკურ პირობებში წარმოების ორგანიზაციის საკითხების არასაკმარისი თეორიული და პრაქტიკული დამუშავება. როცა შემჭიდროებულ ვადებში იქმნება ახალი პროდუქცია, შემოთავაზებულია ახალი მომსახურება, იცვლება ფინანსური წყაროები, როცა მოულოდნელად წარმოიშობა შესაძლებლობები ბიზნესისათვის და თვალწინ ქრება ის, რაც მყარი გეგონა, სტრატეგიული შეცდომებისა და, შესაბამისად, მცდარი მიზნების საზღაურის ფასი საწარმოსათვის ძალზე მაღალი ხდება.

რაში მდგომარეობს კომბინატური ტიპის საწარმოთა თავისებურება, და მათი განსხვავება სხვა საწარმოო სტრუქტურებისაგან?

სრული საწარმოო პროცესი მოიცავს შემდეგ სტადიებს: 1)ნედლეულის მოპოვება; 2) პირველადი დამუშავება; 3) ნახევარფაბრიკატების წარმოება; 4)საბოლოო მოხმარების პროდუქტის წარმოება; 5) გამანაწილებელი არხები; 6) გასაღება საცალო ვაჭრობის ქსელით.

ამასთან, რალფ ლემანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არსებითი განსხვავება ახასიათებს წარმოების ყველა სტადიას, თუმცა ეს მეტისმეტად მკვეთრადაა გამოხატული საწარმოო პროცესის ორ საფეხურზე: საბოლოო პროდუქციის გამოშვებამდე და გამოშვების შემდეგ. ამ საფეხურებზე წარმატების ფაქტორები პრინციპულად განსხვავებულია, თუ პირველ საფეხურზე მენეჯერი, უპირველეს ყოვლისა, სტანდარტიზაციასა და ეფექტურობაზე, მეორე შემთხვევაში – პროდუქტის დიფერენციაციაზე ზრუნავს მომხმარებლის მოთხოვნილების შესაბამისად. პირველ დონეზე კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება ძირითადად ფასით, ხოლო მეორეზე – პროდუქციის ხარისხით“.

ყოველივე ეს სამართლიანია იმ საწარმოებისათვის, რომელთა საწარმოო პროცესი მოიცავს ყველა ჩამოთვლილ სტადიას. მაგრამ როგორ არის იმ საწარმოთა კონკურენტუნარიანობის მდგომარეობა, რომლებიც ადრე რეგიონულში შედიოდნენ, ხოლო ხანდახან უფრო ფართო საწარმოო ჯაჭვში იყვნენ ჩაბმული.

ზოგჯერ საწარმოო პროცესის პირველი სამი სტადია (ნედლეულის მოპოვება, გადამუშავება და ნახევარფაბრიკატების წარმოება) ეკუთვნის ერთ საწარმოს, ხოლო საბოლოო პროდუქციის წარმოება და გასაღება – მეორეს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად ის საწარმოები, რომლებიც სპეციალიზებული იყვნენ ნედლეულის მოპოვებაზე და მათი საწარმოო პროცესი შემოიფარგლებოდა ნახევარფაბრიკატების გამოშვებით, შექმნეს საკუთარი გასაღების სამსახური, გააერთიანეს რა კონკურენტულ უპირატესობათა ორი ტიპი (ფასისა და ხარისხის), და ამით გააძლიერეს საკუთარი პოზიციები. ამ საწარმოთა საწარმოო დანახარჯები დამოკიდებულია ძირითადად მენეჯერის პოლიტიკაზე, ხელისუფ-

ლების პოზიციაზე განსაზღვრული სახეობის ბუნებრივი ნედლეულის მოპოვებასთან მიმართებაში. აქციეს რა გამოშვებული ნახევარფაბრიკატები თავის საბოლოო პროდუქტად, ამ საწარმოებმა მიიღეს შესაძლებლობა მოახდინონ საკუთარი ასორტიმენტისა და ხარისხის დიფერენციაცია მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად, მომხმარებლებად კი ამ სიტუაციაში საწარმოები გამოდიან, რომელთა საბოლოო პროდუქტის ფასში ლომის წილს შეადგენს იგივე ნახევარფაბრიკატის ღირებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნედლეულის მომპოვებელი საწარმოები აცლენენ ერთგვარ მონოპოლიზმს მეზობელ-მომხმარებლებთან მიმართებაში. ეს ხდება იმის გამო, რომ საწარმოო ჯაჭვი გულისხმობდა საბოლოო პროდუქტის წარმოებისათვის ნედლეულის მიღებას სწორედ ამ ახლო განლაგებული მომპოვებელი საწარმოებისაგან. მოქმედების ასეთი ორგანიზაციისას თვალნათლივ ჩანდა მოგება სატრანსპორტო ხარჯების ეკონომიის სახით. მაშასადამე, საბოლოო პროდუქტის მწარმოებელი საწარმოს პროდუქცია კონკურენტუნარიანია ფასის მიხედვით მხოლოდ ეკონომიის ეფექტის გათვალისწინებით, რომელიც მასში ჩაიდო პროექტირების დროს.

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა. ძალიან ხშირად იმ საწარმოს პროექტირების დროს, რომელიც მოწოდებული ნახევარფაბრიკატისაგან საბოლოო პროდუქტს აწარმოებს, შედგა კომბინატური პრინციპი, როცა ერთიდაიგივე ნახევარფაბრიკატისაგან რამდენიმე სხვადასხვა საწარმოში მზადდებოდა ფასისა და ხარისხის მიხედვით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პროდუქტები. ამას ეწოდება ნედლეულის კომპლექსური გამოყენება. ამ საწარმოების საქმიანობის მართვა ხორციელდება ცენტრალიზებულად. ზოგჯერ პროექტში იდებოდა საწარმოო ციკლი, რომლის დასაწყისში ღებულობენ ნედლეულის ნახევარფაბრიკატს, რომელიც ექვემდებარება პირველად გადამუშავებას გარკვეული პროდუქციის მიღების მიზნით. შემდეგ მიღებული ნარჩენები გამოიყენება დამატებითი საწარმოო ხაზის წარმოებისათვის. ცხადია, საწარმოო პროცესის პირველ ეტაპზე ფასით კონკურირება ასეთ საწარმოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნედლეულის მომწოდებელთან ექნება მყარი შეთანხმება, რაც ნედლეულზე ფასებს გაამყარებს საწარმოს რენტაბელობის გეგმურ ჩარჩოში. მეორე ეტაპზე პროდუქტის ხარისხის ამაღლებამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოების დანახარჯების გაზრდა, შესაბამისად, გაიზრდება პროდუქციის სარეალიზაციო ფასი.

მაგნიუმის ბაზარზე 2000წ. სიტუაცია კარდინალურად არ განსხვავდებოდა 1999 წლის სიტუაციისაგან. ჩინელები ისევ ახდენდნენ ნეგატიურ გავლენას ფასების დონეზე ბაზარზე იაფი მაგნიუმის მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოტანით. მათი წნეხის ქვეშ დასავლეთის მწარმოებლები იძულებულნი იყვნენ ფასები დაეწიათ. მაგნიუმის ფასის დაწევამ მსოფლიო ბაზარზე ორი წლის მანძილზე 20% შეადგინა. მსოფლიო ეკონომიკის საერთო „გაცივებამ," ასევე, გავლენა იქონია მაგნიუმის მრეწველობაზე. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, საერთაშორისო მაგნიუმის ასოციაციის მონაცემებით, მაგნიუმის მოხმარების დონემ იკლო. მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმალური პროგნოზით მანქანათმშენებლობის მრეწველობაში მაგნიუმის წარმოება უნდა გაზრდილიყო, აღინიშნა მისი მოხმარების დაცემა. დადებითი შედეგი იქნა მიღწეული საწარმოთა მიერ მომხმარებლებთან გრძელვადიანი სტრატეგიული მიმართულებით. გრძელვადიანი კონტრაქტებით პროდუქციის მიწოდებამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გაესწორებინა საწარმოების საქმიანობაზე ნეგატიური საბაზრო ფაქტორების გავლენა და შეენარჩუნებინა მაგნიუმის პროდუქციაზე ფასების სტაბილური დონე. როგორც წინა წლებში, პროდუქციის უმეტესი ნაწილი ექსპორტზე გადიოდა (75,1%).

საწარმოს საქმიანობის ანალიზი, ხოლო შემდეგ მისი დაგეგმვა საჭიროებს ყველა ეტაპის თანმიმდევრობით გავლას, ინოვაციური დარგების პორტფელის ისე ფორმირებას, რომ ფულადი სახსრების მომხმარებლებმა ახალშექმნილ საწარმოთა სახით არ გადატვირთონ წარმოების საოპერაციო საქმიანობა, ე. ი. პროდუქციის წარმოებული ასორტიმენტი გეგმაზომიერად იზრდებოდეს აუცილებელი ინოვაციური რესურსების შექმნის შესაბამისად.

დივერსიფიკაციის სტრატეგიის ფორმირებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს საბაზრო და ტექნოლოგიური სტრატეგიის შემუშავება. ამასთან, ცხადია, რომ წარმოებული ნაწარმის ნომენკლატურის გაფართოება, როგორც წესი, მეტწილად დამოკიდებულია საწარმოს ტექნოლოგიების დონეზე. ახალი პროდუქტი, ჩვეულებრივ, საერთო სისტემაში ერთვება, ამიტომ ტექნოლოგიური სტრატეგიის შემუშავებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ წარმოების სტრუქტურის სირთულე, რაც გაპირობებულია გამოშვებულ პროდუქტებს შორის არცთუ მარტივი ურთერთკავშირით (ნედლეულის კომპლექსური გამოყენება), ართულებს რესტრუქტურიზაციას (არაეფექტურ საწარმოთა ლიკვიდაციას უფრო ეფექტურების სასარგებლოდ): ხანდახან არაეფექტური საწარმოები ისეა ჩასმული სისტემაში, რომ უფრო იაფ ნედლეულს წარმოადგენს (ან ერთადერთ შესაძლოს) მთლიანობაში ეფექტური წარმოებისათვის.

იქმნება ჩაკეტილი წრე. როცა საწარმოში საერთო სიტუაცია მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღებას მოითხოვს არაეფექტურის ჩამოშორების გზით უფრო ეფექტური პროდუქტის გამოშვების სასარგებლოდ, ხოლო მასშტაბისგან უკუგება იმდენად დიდია სისტემაში, რომ მოგება და კონკურენტუნარიანობა სწორედ ამით განისაზღვრება, რესტრუქტურიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებამ შეიძლება საერთო ჯამში მომგებიანი სრუქტურა დაანგრიოს და საწარმო წამგებიანი გახადოს.

როგორი უნდა იყოს ასეთ სიტუაციაში რთულ ფართოდიერსიფიცირებულ სისტემებში მართვის სფეროში მენეჯერის მოქმედება?

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სისტემის წონასწორობის შენარჩუნება, მის გართულებაზე უარის თქმა. ასეთი საწარმოების სტრატეგიული გეგმების ერთერთი მიზანი შეიძლება იყოს მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღება მთლიანად უკვე არსებული სტრუქტურიდან. მიზნების დასახვისას აუცილებელია საწარმოო ხასიათის თავისებურებების გათვალისწინება. შესაძლებელია შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

1. კონკურენტებთან დამოკიდებულებაში შეტევითი მოქმედება;

2. დაიკეტოს ერთი პროდუქციის წარმოება და განვითარდეს სტრატეგია სხვა პროდუქციის წარმოებაზე;

3. ბაზრის სეგმენტის „მოფიქრება", რომელსაც სხვები ვერ ხედავენ;

4. არსებული ჯაჭვის შენარჩუნების მიზნად დასახვა, მისი მაქსიმალური დაბალანსება სხვადასხვა ეტაპებზე დანაკარგის შემცირებით, მიერთებული სტრუქტურის ქსელის შემცირება, მხოლოდ წარმოებისათვის აუცილებელი საყრდენი საწარმოების დატოვება.

სავსებით ცხადია, რომ კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიის შემუშავებისას მიზნების დასახვა გართულებულია კომბინატის შიგნით საწარმოებს შორის არცთუ მარტივი ურთიერთობებით. ამასთან მიზნები პირდაპირ დამოკიდებულებაში არ არიან რესურსებთან, რომელსაც სანარმოები ფლობენ. ბუნებრივია, მენეჯერს, რომელმაც ასეთი მიზნის მიღწევა გადაწყვიტა, კოლოსალური ძალისხმევის გამოვლენა და უზარმაზარი რესურსების დახარჯვა მოუწევს წარმატების ყოველგვარი გარანტიის გარეშე. პირიქით, მიზნები, რომელიც კარგად შეთანხმებულია ჩვენს მიერ ფორმულირებულ სიტუაციასთან, წარმატებულ ეფექტს იძლევა.

### 11.3. არამატერიალური აქტივების მართვა, როგორც პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში ფირმის კონკურენტუნარიანობის საფუძველი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და გლობალიზაციის პროცესები მესამე ათასწლეულის დასაწყისის ეკონომიკის განვითარებისა და კონკურენტული პროცესის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. მეპატრონე სუბიექტებსა და რეგიონებს შორის კონკურენცია დაუნდობელი ხდება ეროვნული საზღვრების ნაშლისა და ეკონომიკური პროცესების დაჩქარებისა და სირთულის ხარჯზე. ასეთი პირობები მოითხოვს ფირმის ფუნქციონირების ხელახალ გააზრებას, ახალ პირობებში მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას, ფირმის წარმატების კონკურენტული ფაქტორების კრიტიკულად მოაზრებას. პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში, რომელშიც თანდათან წინ მიიწევს ბეერი ქვეყნის ეკონომიკა, თანამედროვე კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორად მართვის არამატერიალური აქტივები და მეთოდები იქცევა.

გამოკვლევებმა, რომელიც საანკეტო მეთოდით ერთერთი რეგიონის 65 საწარმოში ჩატარდა, აჩვენა ფირმის კონკურენტუნარიანობის განვითარებაში არამატერიალურ ფასეულობათა მნიშვნელობა. ორგანიზაციები ამტკიცებენ, რომ მათი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბების საშუალებას უმეტესწილად წარმოადგენს არამატერიალური აქტივების განვითარება, როგორიცაა, მაგალითად, საქმიანი რეპუტაცია, პერსონალის კვალიფიკაცია, კომპანიის მართვა, გარემოს კომპონენტებთან კავშირი, ვიდრე მატერიალური, როგორიცაა ფინანსების, ნედლეულისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მისაწვდომობა.

არამატერიალურ აქტივებს ლიტერატურაში ინტელექტუალურ კაპიტალსაც უწოდებენ. განვიხილოთ ფირმის არამატერიალური აქტივების ელემენტების შემადგენლობა.

ლიტერატურაში შეიძლება გამოიყოს ინტელექტუალური კაპიტალის ორი ძირითადი კლასიფიკაცია: სტატიკური და დინამიკური. პირველი კლასიფიკაციის თანახმად, გამოყოფენ ინტელექტუალური კაპიტალის სამ ან ოთხ ტიპს: ადამიანური კაპიტალი, სტრუქტურული კაპიტალი (იყოფა ინფრასტრუქტურულ აქტივებად და ინტელექტუალურ საკუთრებად) და გარე კაპიტალი (ასევე „ურთიერთობრივ", „სოციალურ" კაპიტალს ან საბაზრო აქტივებს ეძახიან).

ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს ინდივიდუალურად ან ჯგუფებად მომუშავე პერსონალის ცოდნას უნარ-ჩვევებს. პერსონალის ცოდნა იყოფა ორ ძირითად სახეობად – აშკარა და არააშკარა. აშკარა – რომელიც შეიძლება ინფორმაციაში იყოს კოდიფიცირებული და შენახული რომელიმე მატარებელზე (ქაღალდის, ელექტრონულ ან სხვა), სადაც ის იარსებებს ადამიანის მიერ მისი აღქმისაგან დამოუკიდებლად. არაშკარა ცოდნა კი დაკავშირებულია ინდივიდის პრაქტიკულ გამოცდილებასთან და არ შეიძლება კოდიფიცირებული იყოს ინფორმაციის ნაწილობრივი დაკარგვის გარეშე. არააშკარა ცოდნას მიეკუთვნება, მაგალითად, ადამიანის უნარი, ნიჭიერება, გრძნობები.

სტრუქტურული კაპიტალი მოიცავს საორგანიზაციო სტრატეგიებს, შიდა ქსელს, ბაზის მონაცემებსა და ფაილებს, აგრეთვე საკუთრების უფლებას ტექნოლოგიებზე, პროცესებზე, გამოგონებებზე, კოპირაიტებზე, სავაჭრო მარკებზე, სავაჭრო საიდუმლოებებზე, პატენტებსა და ლიცენზიებზე.

საგარეო კაპიტალი განსაზღვრავს გარემოსთან სასიცოცხლო მნიშვნელობის ურთიერთობებს. ის თავისთავში მოიცავს ფორმალურ და არაფორმალურ კავშირებს მომწოდებლებთან, ორგანიზაცია-პარტნიორებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან, ხელისუფლების ორგანოებთან, კონკურენტებთან.

ინტელექტუალური კაპიტალის დინამიური კლასიფიკაცია დაკავშირებულია წარმოებაში საორგანიზაციო ცოდნის მოწესრიგებასთან. საორგანიზაციო ცოდნა – ეს ორგანიზაციაში პერსონალის ცოდნის ერთიანი და დინამიური სისტემაა. ორგანიზაციული ცოდნის დინამიური კლასიფიკაციის თანახმად, გამოიყოფა შემდეგი შემადგენელი ნაწილები: ცოდნის ბაზა (ცოდნის ცალკეული ელემენტები), ცოდნის სტრუქტურა (ელემენტების სისტემაში განაწილება) და ცოდნის დინამიკა (სისტემაში დინამიკური კავშირები).

ცოდნის ბაზაში შედის პერსონალისა და მთლიანად ფირმის ცოდნის ცალკეული ერთეულები. მასში შეიძლება შეტანილ იქნეს ცოდნის სტატიკური კლასიფიკაციის სამივე შემადგენელი ნაწილი.

ცოდნის სტრუქტურა მოიცავს ცოდნის ცალკეულ ერთეულებსა და მათ პრიორიტეტებს შორის კავშირს. მაგალითად, დავალების გაყოფის ხერხები ფუნქციონალურ ჯგუფებს შორის, უფლებამოსილების კონფიგურაცია და რესურსების განაწილება წარმოქმნიან ცოდნის ცალკეული ერთეულების გარკვეულ სტრუქტურას.

ცოდნის ბაზას და სტრუქტურას იყენებენ ორგანიზაციის ღერძობრივი კომპეტენციის ფორმირებისთვის, ისეთი კომპეტენციისა, რომელიც ორგანიზაციის ყველა უნიკალური ნიშნის, ტექნოლოგიური ჩვევების, პროდუქციის მომხმარებელთან ურთიერთობის და ბაზრის თავისებურებების გაგების კოლექტიური გამოცდილების ერთად შეგროვებას ეხმარება. ღერძობრივი კომპეტენციის საფუძველზე კომპანიები სტრატეგიულ პროდუქტებს ქმნიან, რაც საფუძველს ქმნის საბოლოო სამომხმარებლო საქონლის წარმოებისთვის. მაგალითად, კომპანიისთვის ჩანონ სტრატეგიული პროდუქტი ოპტიკაა, რომელიც კინოკამერების წარმოებაში, კოპირების მანქანებისა და ნახევარგამტარი ლითოგრაფიული დანადგარების წარმოებისთვის გამოიყენება.

ცოდნის დინამიკა წარმოადგენს ცოდნის დინამიურ გაცვლას ცოდნის ბაზასა და ცოდნის სტრუქტურას შორის, მაგალითად, კომუნიკაციები და კოორდინაციები სხვადასხვა ფუნქციონალურ ჯგუფებს შორის. ცოდნის დინამიკა აჩვენებს დინამიური ურთიერთქმედების პროცესს, რომლის მსვლელობისას ხდება ცოდნის ცალკეული ერთეულების კომბინირება და ტრანსფორმაცია, მაშინ, როცა ცოდნის სტრუქტურა ცოდნათა შორის სტატიკურ კავშირებს აფიქსირებს.

ცოდნის დინამიკას შეიძლება განეკუთვნოს ორგანიზაციების შესაძლებლობები, რაც ასახავს ფირმის უნარს შექმნას ახალი, ღერძული კომპეტენციის მოწინავე ფორმები კონკრეტულ სიტუაციაში, რომელიც ბაზარზე იქმნება. დინამიური შესაძლებლობები ეს არის ფირმის სწრაფვის უნარი საბოლოო პროდუქციაში სხვადასხვა ტექნოლოგიების ინტეგრაციისადმი, გარე და შიდა კომპეტენციების დამუშავებისა და რეფორმირებისაკენ, სწრაფად ცვალებადი გარემო პირობების შესატყვისი საქმიანობისათვის.

ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელობა ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის მიღწევაში შეიძლება წარმოვიდგინოთ ინტელექტუალური კაპიტალის ფინანსურში ტრანსფორმაციის ციკლის სახით. პირველადი მნიშვნელობისაა ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში. უფრო კვალიფიცირებულ და უნარიან თანამშრომლებს შეუძლიათ უკეთესი სტრუქტურული კაპიტალი შექმნან ორგანიზაციაში. გაუმჯობესებული სტრუქტურული და ადამიანური კაპიტალი ქმნიან უფრო მწარმოებლურ გარე კაპიტალს კლიენტებისთვის უკეთესი საქონლისა და მომსახურების შეთავაზების ხარჯზე. ინტელექტუალური კაპიტალის ყველა ფაქტორი ერთობლიობაში ქმნის გაუმჯობესებულ ფინანსურ კაპიტალს, რაც გამოიხატება კომპანიის მოგებისა და ზრდის გაუმჯობესებაში. შემდეგ ფინანსური კაპიტალის ნაწილი ადამიანურ კაპიტალსა და ინტელექტუალური კაპიტალის სხვა სახეობებში მიემართება და

ციკლი იკვრება, აწარმოებს რა განვითარებად სპირალს, რაც ორგანიზაციის შემდგომ განვითარებას და ზრდას იწვევს.

ის, რომ ინტელექტუალური კაპიტალი გადამწყვეტ როლს ასრულებს ფირმის ეკონომიკურ განვითარებაში, წარმოების კონკურენტუნარიანობის ფორმირების მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ინტელექტუალური კაპიტალი ფირმისთვის შეიძლება მყარ კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენდეს. მყარი კონკურენტული უპირატესობების ფორმირება ფირმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაზდილი ინფორმაციული ურთიერთქმედებისა და ფირმების ტექნიკური შესაძლებლობების პირობებში.

კონკურენტულ უპირატესობათა მდგრადობა გამომდინარეობს შემდეგი გარემოებებიდან: ღირებულების ცხოვრებისეული ციკლის ხანგრძლივობიდან; გარემოს ცვალებადობისადმი მდგრადობიდან, რომელიც ამცირებს კონკურენტულ უპირატესობათა ღირებულებას; კონკურენტების მიერ ღირებულებათა კოპირების ხარჯზე უპირატესობათა გათანაბრების სიმდგრადიდან (თუ კონკურენტებს ექნებათ ისეთივე ღირებულებები, რაც ფირმას, მაშინ მათი მდგომარეობა თანაბრდება).

არამატერიალური აქტივების ცხოვრებისეული ციკლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ, უფრო დიდია, ვიდრე მატერიალურისა. ცოდნას (არამატერიალური აქტივების საფუძველს) გააჩნია რიგი მახასიათებლებისა, რომელიც მას განასხვავებს მატერიალურისაგან. ცოდნა ახდენს „შემოსავლების ზრდის ეფექტის" დემონსტრირებას. ტრადიციული საქონლისაგან განსხვავებით, რომლებიც მოხმარების პროცესში მცირდება, და თანაც თან ახლავს დროში შემოსავლიანობის შემცირება, ცოდნა უზრუნველყოფს მისი გამოყენების კვალდაკვალ შემოსავლის ზრდას. რაც მეტი ცოდნა გამოიყენება, მით უფრო ღირებული ხდება ის, წარმოქმნის რა „თვითგამაძლიერებელ ციკლს". ამრიგად, საორგანიზაციო ცოდნა ქმნის დადებით სინერგიას, რომლის ხარჯზეც ხდება ახალი გენერირება. ცხოვრებისეული ციკლის ხანგრძლივობა ასევე იზრდება ერთი და იმავე არამატერიალური აქტივების სხვადასხვა სფეროებში გამოყენების ხარჯზე.

გარემოს შეცვლამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას კონკურენტულ უპირატესობებს, მათ რიცხვში არამატერიალურსაც. ცოდნა და ტექნოლოგიები ძველდება ისეთი გარე ცვლილებების გამო, რაც არამატერიალურ აქტივებს ნაკლებ მოთხოვნადს ხდის. მოცემული საფრთხეები აქტუალურია ზოგიერთი სახის პერსონალის კვალიფიკაციისათვის, რომელთაც მუდმივი გადამზადება სჭირდებათ; ისეთი ტექნოლოგიებისთვის, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია მომხმარებლურ მოთხოვნაზე ან სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიებთან შეთავსებაზე; „ურთიერთდამოკიდებულებით" კაპიტალის კომპონენტთათვის, რომლებიც გვიჩვენებენ წარმოადგენს გარემოს დინამიურად ცვალებადი ელემენტებისადმი კავშირს. არამატერიალური აქტივების ნებისმიერი სტატიკური სახეობისათვის პრაქტიკულად არსებობს საშიშროება გარემოს მხრიდან. თუმცა არამატერიალური აქტივების უპირატესობა მატერიალურთან შედარებით მდგომარეობს მის მეტ დინამიურობაში, ესე იგი მისი ცვალებადობისა და გარემოსთან ადაპტირების უნარში. ამიტომ მეტისმეტად მყარი იქნება ისეთი არამატერიალური კონკურენტული უპირატესობანი, რომელთა მოდიფიცირება იოლად შეიძლება ცვალებადი გარემო პირობების შესაბამისად. ფირმისათვის აღნიშნულ პრობლემას განვითარებული დინამიური შესაძლებლობების არსებობა წყვეტს. კონკურენტების მიერ არამატერიალური აქტივის კოპირების სანინააღმდეგოდ რესურსების აღნიშნულ სახეობას უნდა გააჩნდეს შემდეგი თვისებები: რესურსის საინფორმაციო ან უფლებრივი დაცულობა; რესურსის არაკოდიფიცირება, რომელიც მდგომარეობს ერთი ობიექტიდან მეორისთვის ინფორმაციის გადაცემის სირთულეში; რესურსის სტრუქტურის სირთულე და სისტემურობა, რომელიც განაპირობებს მისი ხელახალი აღდგენის შესაძლებლობას; არსებული არამატერიალური რესურსის შეუთავსებლობა ნებისმიერ სხვა რესურსთან.

არამატერიალური რესურსის უფლებრივი დაცულობა მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაციას გააჩნია პატენტები, ლიცენზიები, ე. ი. უფლებრივი საფუძველი ინტელექტუალური საკუთრების სხვა სუბიექტების მიერ გამოყენების შესაზღუდავად. დაცვის უფლებრივი მეთოდები ეფექტურია მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გამართული უფლებრივი სისტემის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების საინფორმაციო დაცვა მდგომარეობს მესამე პირის ნებისმიერ ინფორმაციასთან დაშვების შეზღუდვაში, რაც ეხება იმ ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელსაც ფირმა ფლობს. საინფორმაციო დაცვის მეტისმეტი ეფექტურობა მიიღწევა შიდა რესურსებთან კავშირში, ე.ი. რესურსებთან, რომლებიც ორგანიზაციის შიდა ბრუნვაში არის. დავუშვათ, ავტომობილის მოწყობილობის ტექნიკური კოპირება შესაძლებელია, მაგრამ გაცილებით რთულია მისი წარმოების ხარისხის სისტემის ხელახლა შექმნა.

არამატერიალური აქტივის არაკოდიფიცირება მდგომარეობს მისი არსებობის შეუძლებლობაში მისი მატარებლის გარეშე. დავუშვათ, გამოცდილება და ინტუიცია განუყოფელია ადამიანისაგან, ორგანიზაციული ცოდნა არ არსებობს კონკრეტული კოლექტივის – ამ ცოდნის მატარებლის გარეშე. ამიტომაც კონკურენტების მიერ არაკოდიფიცირებული რესურსის აღდგენისას უსათუოდ შეიმჩნევა სერიოზული ხარვეზები.

არამატერიალური რესურსის სირთულე და სისტემურობა გამოიხატება მასში მრავალი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის არსებობაში, რომელთა ცალ-ცალკე კოპირება ვერ აღადგენს ამ რესურსს მთლიანობაში. კომპონენტებს შორის უნდა იყოს გარკვეული შეხამება, რაც აუცილებელია რესურსის მთლიანობის ფორმირებისათვის. თუ ბაზარზე კომპანიის პოზიციას განვიხილავთ როგორც არამატერიალურ აქტივს, მაშინ შესაძლოა გამოვყოთ მოღვაწეობის სახეობებს შორის შესაბამისობის სამი ტიპი (პორტერი, 1996):

1. მოღვაწეობის სახეობასა და საერთო სტრატეგიას შორის შესაბამისობა. მაგალითად, თუ ფირმა დაბალი დანახარჯების მომხრეა, მაშინ ყველა ბიზნეს-პროცესი დაბალდანახარჯიანი უნდა იყოს;

2. აქტივის კომპონენტების ურთიერთძალისხმევა. მაგალითად, გარკვეულ კომპანიებს საფირმო მატარებლების მგზავრთა მომსახურეობისათვის მიეწოდება მაღალხარისხოვანი სასმელები, ეს ხელს შეუწყობს მოცემული ფირმის პროდუქციის გატანას სხვა არხებზე;

3. მოღვაწეობის სახეობების „ძალისხმევის ოპტიმიზაცია", რომელიც მდგომარეობს ბიზნეს-პროცესებს შორის კოორდინაციასა და საინფორმაციო გაცვლაში სიჭარბის თავიდან აცილების და დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით. მაგალითად, სხვადასხვა წყაროებიდან პროდუქციის მიწოდების კოორდინაცია მარაგის აუცილებელი (მინიმალური, მაგრამ საკმარისი) დონის შესანარჩუნებლად.

ცოდნის მენეჯმენტის ძირითადი მიზანი წარმოებაში საორგანიზაციო ცოდნის გაზრდაში მდგომარეობს. საორგანიზაციო ცოდნის ზრდის წყაროები ორი ძირითადი სახისა შეიძლება იყოს: შიდა და გარე. ცოდნის შიდა ზრდის წყაროები ორგანიზაციაში მომუშავე პერსონალია, აგრეთვე თანამშრომელთა ურთიერთობის შიდა ქსელები. გარე წყაროები მოიცავს პუბლიკაციებს, უნივერსიტეტებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, პროფესიულ ასოციაციებს, კონსულტანტებს, გამყიდველებს, ორგანიზაციათშორის ალიანსებს, პირად ურთიერთობებს.

ცოდნის მართვა შეიძლება სამ სტადიად გაიყოს:

1. ორგანიზაციაში ცოდნის განვითარების სტრატეგიის შემუშავება (დაგეგმარება);

2. ცოდნის მართვაში კონკრეტულ ღონისძიებათა ორგანიზება (ცოდნის პოვნა/გამოვლენა, შეძენა/შექმნა, კოდიფიცირება, ორგანიზაციაში გავრცელება, ცოდნის განმეორებითი გამოყენება);

3. ცოდნის მართვაში ღონისძიებათა რეალიზაციისათვის პერსონალის მოტივაცია.

ტრადიციულმა SWOT – ანალიზმა (ძლიერი და სუსტი მხარეების, ხელსაყრელი შესაძლებლობებისა და საფრთხის ანალიზი), შეიძლება საფუძვლის როლი ითამაშოს ცოდნის სტრატეგიის დაგეგმარების აღწერისათვის. მოცემულ შემთხვევაში ძლიერი და სუსტი მხარეების სახით განიხილება ცოდნაზე დაფუძნებული კონკურენტული უპირატესობები და ნაკლი: რა ცოდნა გააჩნია ფირმას და რა ცოდნა აკლია მას. საფრთხისა და შესაძლებლობათა ანალიზი წარმოებს ცოდნისადმი გარემოს მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც ფირმაში არსებობს. ამრიგად, თუ ფირმა თავისი განვითარების გარკვეულ სტრატეგიას ირჩევს, მან უნდა უზრუნველყოს თავი დასმული ამოცანების რეალიზაციისათვის აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციების ნაკრებით.

საწარმოს სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს ორგანიზაციის სტრატეგიული პოზიცია არსებული ცოდნის სიახლის დონესთან მიმართებაში. მოცემული კრიტერიუმის თანახმად, ცოდნა შეიძლება დაიყოს სამ დონედ:

- საბაზო (მინიმალური დონე, რომელიც საწარმოს დარგში მუშაობისთვის მოეთხოვება);
- მოწინავე (საბაზოზე დაფუძნებული, მაგრამ დიფერენციაციის გარკვეული ხარისხის მქონე);
- ინოვაციური (უფრო მნიშვნელოვნად დიფერენცირებული).

საკუთარი და კონკურენტების ცოდნის დონის შედარების შედეგად ფირმას შეუძლია განსაზღვროს თავისი კონკურენტული პოზიცია. იმ შემთხვევაში, თუ ფირმის ცოდნის დონე უფრო დაბალია, ვიდრე კონკურენტებისა, ფირმის კონკურენტული პოზიცია სიცოცხლისუნარიანი არ არის.

ფირმას შეიძლება ჰქონდეს ცოდნის (გამოკვლევის) შეძენის ან ცოდნის გამოყენების (ექსპლოატაციის) სტრატეგია. გამოკვლევის სტრატეგია აუცილებელია ცოდნაში შინაგანი გარღვევის თავიდან ასაცილებლად (დასახული სტრატეგიის რეალიზაციისათვის არასაკმარისი ცოდნა), ან გარე გარღვევა (ცოდნაში კონკურენტებზე ჩამორჩენა) ცოდნის ექსპლოატაციის სუფთა სტრატეგია მიზანშეწონილია დარგებში, სადაც ფირმის ცოდნის დონე აღემატება კონკურენტების ცოდნის დონეს, ან აუცილებე-

ლია დასახული სტრატეგიის რეალიზაციისთვის. მაგრამ უფრო ოპტიმალური იქნება ბიზნესის მიმართულებათა გაერთიანების ვარიანტი, სადაც საჭიროა ცოდნის გამოკვლევა, ქვედანაყოფებით, სადაც შესაძლებელია ცოდნის ექსპლუატაცია.

ცოდნის მართვის, ღონისძიებათა შორის გამოვყოფთ შემდეგს: ფირმის ინფორმაციით უზრუნველყოფა გარედან, ცოდნის შეძენა ვარემოდან, კომპანიის შიდა ცოდნის გამოვლენა, შენახვა და გავრცელება.

ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის ფირმები იყენებენ ე. წ. სტრატეგიულ დაზვერვას – მენეჯერების ინფორმაციით უზრუნველყოფის სისტემატურ პროგრამას, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის მართვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელიც დაფუძნებულია გარემოს შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ანალიტიკური დამუშავების შედეგებზე: კონკურენტებზე, კლიენტებზე, მომწოდებლებზე და კომპანიის საქმიანი გარემოცვის სხვა შემადგენელ კომპონენტებზე. ფირმის კონკურენტუნარიანობის ფორმირებისთვის სტრატეგიული დაზვერვის უფრო მნიშვნელოვან დანართს წარმოადგენს ბენჩმარკინგი – კომპანიების შესწავლა მათ მიერ ცალკეული ფუნქციების შესარულების სფეროში, საუკეთესო ნიმუშების გამოვლენა და მათი შედარება ფირმაში გამოყენებულ პრაქტიკასთან. ბენჩმარკინგის გამოყენების ხარჯზე ფირმას შეუძლია უფრო სწრაფად გაზარდოს დარგის საუკეთესო ცოდნის პოტენციალი, არსებითად შეამციროს დანახარჯები და გაზარდოს გაყიდვები, აგრეთვე, ჩაატაროს კომპანიის შიდაპროცესების აუდიტი, შეადაროს ისინი დარგის ნორმებს.

ცოდნის შეძენა გარემოდან ითვალისწინებს ან თანამშრომლების მოზიდვას გარედან, ან პერსონალის სწავლებას. თანამშრომელთა სწავლების გარე წყაროდ ითვლება ფირმის ურთიერთდამოკიდებული ტიპის კაპიტალი: მომწოდებლები, კლიენტები, ირიბი კონკურენტები (ფირმები, რომლებიც ანალოგიურ პროდუქციას უშვებენ მაგრამ ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებში ჰყიდიან), პარტნიორი ორგანიზაციები. ცოდნის გაცვლა უფრო ეფექტური იქნება ორგანიზაციის „ქსელებში“ – სხვადასხვა პარტნიორებს შორის ხანგრძლივ ურთიერთობებისას, რომლებიც კოოპერირებენ ერთმანეთში იერარქიის ერთ დონეზე, ურთიერთგაგებისა და ნდობის პირობებში. მსგავს ქსელებში ცოდნის ეფექტური გაცვლისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების შესრულება: ფირმებს შორის ხანგრძლივი თანამშრომლობა, სანდო ურთიერთობების არსებობა, სახსრების ჩადება სპეციფიურ აქტივებში.

კლიენტებისაგან ცოდნისა და ინფორმაციის მიღება წარმატების კრიტიკულ ფაქტორს წარმოადგენს და მიიღწევა შემდეგი საშუალებებით: კლიენტების სერვისული მომსახურების პროცესში ცოდნის გაცვლის სისტემის ორგანიზებით, ფირმის თანამშრომელთა ერთობლივი მუშაობით, კლიენტის თანამშრომლებთან ორგანიზაცია, კლიენტებთან მუდმივი ურთიერთობისთვის ინტერნეტ-გვერდების გახსნა. კლიენტებთან ერთობლივი ურთიერთმოქმედებისთვის კომპანიის პერსონალმა უნდა შეცვალოს თავისი დამოკიდებულება: მიდგომიდან „უყურო კლიენტს მისი პრობლემებიდან“ მიდგომაზე „უყურო კლიენტთან ერთად მის პრობლემებს“ გადასვლით.

ფირმის შიგნით ცოდნის გამოვლენისა და გავრცელებისათვის გამოიყენება შემდეგი: ბენჩმარკინგის რაზმები, საუკეთესო ცოდნის გაცვლის რაზმები, ცოდნისა და ცოდნის ქსელის საცავები.

ბენჩმარკინგის რაზმები იქმნება დროებით საფუძველზე ორგანიზაციის საუკეთესო გამოცდილების, იდენტიფიკაციისა და გამოყენებისათვის. საუკეთესო გამოცდილებათა გაცვლის რაზმები ფუნქციონირებენ მუდმივად. რაზმის წევრები იკრიბებიან ყოველკვარტალურად, რათა განიხილონ პრობლემები და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, ხოლო შეხვედრებს შორის ერთმანეთს უკავშირდებიან ელექტრონული ფოსტისა და ტელეკონფერენციების მეშვეობით მხარდასაჭერად. ცოდნის საცავები წარმოადგენს ან მონაცემთა ელექტრონულ ბაზას, რომელშიც ცხადი ცოდნა არის მოთავსებული, ან ელექტრონული და ადამიანური ქსელების ჰიბრიდი, რომელიც მოიცავს არაცხად ცოდნას. შესაძლებელია ცოდნის საცავების ოთხი ტიპის გამოყენება: გარე ცოდნის საცავები (მონაცემთა ქსელური ბაზები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კონკურენტებსა და გარემოს სხვა კომპონენტებზე); სტრუქტურირებული შიდა ცოდნის საცავები (მონაცემთა ქსელური ბაზები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებს, ელექტრონულ ცხრილებს, გრაფიკას, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს); შიდა არასტრუქტურულ ცოდნათა საცავებს (იმ ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზები, რომელიც კოდიფიცირებულ არაცხად ცოდნას წარმოადგენს და რომელსაც თანამშრომლები ფლობენ, მაგალითად, დანადგარების რემონტის შესახებ რჩევები); და ბოლოს, ცოდნის ქსელებს (საცავებს შეიძლება მივაკუთვნოთ ფორმალური ქსელები).

ცოდნის ქსელები იყოფა ფორმალიზებულ და არაფორმალურ ქსელებად. მსგავსი ქსელების კვანძებს ადამიანები წარმოადგენენ, მათი გამოცდილებითა და ცოდნით. ფორმალიზებული ქსელების განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მათი ბირთვი მონაცემთა ბაზაა, რომელშიც კატალიზირდება

კომპანიის ყველა თანამშრომელი ექსპერტული ცოდნის კითხვათა და პრობლემათა თანახმად. არაფორმალური ქსელები ორგანიზაციაში დამოუკიდებლად არსებობენ. მათში თანამშრომლები ერთმანეთში ურთიერთობენ პირადი და ელექტრონულ-კომუნიკაციური კონტაქტების მეშვეობით. ცოდნის ქსელების განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცოდნის გამოყენების ეფექტურობისა და ინოვაციების შექმნისათვის.

ცოდნის მართვის ნებისმიერ ღონისძიებათა განხორციელება შეუძლებელია პერსონალის მოტივაციის განსაკუთრებული სისტემის გარეშე, რომელიც მიმართულია ცოდნის შეძენისა და გაცვლისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფისაკენ. ამისათვის აუცილებელია ფირმის გარდაქმნა სასწავლო ორგანიზაციად, ე. ი. ორგანიზაციად, რომელსაც შეეძლება შექმნას, აითვისოს და გადასცეს ცოდნა, მოდიფიცირება გაუკეთოს თავის ქცევას მიღებულ ცოდნასთან შესაბამისობაში, რათა ახალი ცოდნა და იდეები შვას. ასეთი ორგანიზაციები ძირითადად მიმართული უნდა იყოს პერსონალის ინდივიდუალურ და კოლექტურ სწავლებაზე.

შემსწავლელ ორგანიზაციაში აუცილებელია განსაკუთრებული კულტურის ფორმირება, რომელიც ეხმარება ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების გამოვლენას, კომპანიის შიგნით ცოდნის გაცვლასა და გავრცელებას. მოცემული კულტურის საფუძველი მდგომარეობს ნდობის, ურთიერთდახმარების, ერთგულების ატმოსფეროს, შექმნაში. მსგავსი ტიპის კულტურის ფორმირებას თან ახლავს ფირმის ლიდერების ნების გამოვლენა. ხელმძღვანელობამ უნდა წაახალისოს ინოვაციების შექმნა და დანერგვა, თანამშრომელთა სწავლება და ცოდნის გაზიარება.

შემსწავლელ ორგანიზაციებში მოტივაციის სისტემა შედგება შიდა და გარე სტიმულებისაგან. შიდა სტიმულები მდგომარეობს ინდივიდის სამუშაოს შესრულების სურვილში, რამეთუ იგი მოსწონს და სარგებლობა მოაქვს მისთვის. გარე სტიმულები გამოიხატება შესრულებული სამუშაოს შეედეგისათვის მის წახალისებაში. მოტივაციის ეფექტური სისტემის ასაწყობად გარე და შიდა სტიმულები სინერგეტიკულად უნდა ურთიერთმოქმედებდნენ. განსაკუთრებით ეფექტურია არაფულადი სტიმულები (აღიარება, პატივისცემა და სხვა) ცოდნის გაზიარებისა და ინოვაციების შექმნის ნასახალისებლად.

შემსწავლელი ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს თვითორგანიზებად სისტემას, რომელშიც არ არსებობს მუდმივი მკაცრი კონტროლი, რომელიც ხელს არ უწყობს თანამშრომლებში შემოქმედების გამოვლენას. მენეჯმენტის როლი მდგომარეობს ხელშეწყობისა და დახმარების აღმოჩენაში, პერსონალის შემოქმედებითი პოტენციალის გახსნაში. ორგანიზაციული ცოდნისა და ორგანიზაციათა კორპორაციული კულტურის ამაღლების ზრდისათვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნა, კომპანიის ცოდნის პოტენციალის შენარჩუნება და ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს პირობებს ინოვაციისა და შემოქმედებისათვის, ცოდნის განვითარების სტრატეგიის რეალიზაციის საფუძველს წარმოადგენს.

### 11.4. კორპორაციული კულტურა, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობის ფაქტორი

კორპორაციული ან ორგანიზაციული კულტურის გამოკვლევები გამოჩნდა მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს თავდაპირველად მენეჯმენტის სფეროში, ხოლო შემდეგ – ფსიქოლოგიის მართვისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სფეროში. კორპორაციული კულტურის აქტიურ სწავლებას ბიძგი მისცა იაპონური კომპანიების ფენომენმა, რომელმაც მეტისმეტად განვითარებული მართვის სისტემების ხარჯზე მსოფლიო ბაზარზე საკუთარი უპირატესობა დაგვანახა. იმ დროისათვის არსებულმა მართვის თეორიებმა გვიჩვენა პრაქტიკული არაკონკურენტუნარიანობა იაპონური მართვის მეთოდებთან შედარებით. სწორედ ორგანიზაციული კულტურა გამოარჩევს იაპონური კორპორაციული მართვის სისტემას.

ორგანიზაციული კულტურის, როგორც კონკურენტუნარიანობის ფაქტორის განხილვისას, გამოვდივართ იქედან, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია თავისი დაარსებისა და განვითარებისას, აწყდება ორ ძირითად პრობლემას, რომელთა წარმატებული გადაწყვეტა კონკურენტუნარიანობას ანიჭებს. ეს არის გარე ადაპტაციისა და შიდა ინტეგრაციის პრობლემა.

ფირმის ფორმირებადი და განვითარებული ორგანიზაციული კულტურა ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთან ერთობლიობაში ეხმარება პირველ პრობლემას და მთლიანად პასუხისმგებელია მეორეს გადაწყვეტაზე. განსაკუთრებით გაიზარდა კორპორაციული კულტურის მნიშვნელობა ფირმის რესურსების გააზრებაში დომინანტის ცვლილებასთან კავშირში, ფირმის მიდგომასთან, როგორც ინფორმაციული, ორგანიზაციული ცოდნის, ეფექტური მართვის ერთობლიობა, რასაც გვაძლევს მდგრადი კონკურენტული უპირატესობა. კულტურის გაგება მრავალსაზომიანია, ამიტომ ტერმინის „ორგანიზაციული (კორპორაციული) კულტურა“ მრავალი განმარტება არსებობს.

ამგვარად, ორგანიზაციული კულტურა ბევრი ორგანიზაციის მიერ გაიაზრება, როგორც მართვის ფილოსოფია და იდეოლოგია, ვარაუდები, ღირებული ორიენტაციები, რწმენა, მოლოდინი, განლაგებები და ნორმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ორგანიზაციის შიგა და გარე ურთიერთობებს. მას წარმოიდგენენ როგორც მნიშვნელოვანი ვარაუდების (ხშირად არ ექვემდებარება ფორმულირებას) რთულ კომპოზიციას, რომელსაც მტკიცებულების გარეშე იღებენ და იზიარებენ კოლექტივის წევრები.

ჩვენი აზრით, ორგანიზაციული კულტურის დახასიათებაში მეტად მნიშვნელოვანია აზრი იმის შესახებ, რომ ეს არის ფილოსოფიური და იდეოლოგიური წარმოდგენები, ფასეულობანი, რწმენა და ნორმები, რომლებიც ორგანიზაციას ერთ მთლიანობად აკავშირებს და იყოფა მის წევრებზე.

ამრიგად, ორგანიზაციულ კულტურაში ჩვენ ვიგულისხმებთ მოცემულ ორგანიზაციაში გაბატონებული, ყველას მიერ გაზიარებული ღირებულებების, რწმენის, წეს-ჩვეულების სისტემას, რომელიც აისახება ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების სტილზე.

კონკურენტული კულტურის ეკონომიკური ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ ის ფირმის არამატერიალური აქტივის სახეობას წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას ინფორმაციულ ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, სადაც პირველ ადგილზე გამოდის ცოდნა, ადამიანთა სოციალურ ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტორი.

ფსიქოლოგიური ასპექტი – ეს არის კორპორაციული კულტურის მიერ ღირებულებების, ნორმებისა და მათი გავლენის ხარისხის განმარტება თანამშრომელთა მოტივაციასა და ქცევაზე. კორპორაციული კულტურის განხილვისას სისტემური მიდგომის პოზიციიდან გამოეყოფთ სამ ქვესისტემას ან დონეს.

## 11.5. ექსპორტის სტიმულირება რეგიონულ დონეზე, როგორც ეროვნული და რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულება

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გახდა მისი დამახასიათებელი ნიშანი, რომლითაც აღინიშნა კიდეც ახალი XXI საუკუნის დასაწყისი. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული გლობალური კონკურენციის განვითარების პროცესთან. საქმიანობის საერთაშორისო დაყოფის გაღრმავებასთან. დღეისათვის უმრავლეს დარგს გააჩნია კონკურენციის გლობალური არეალი მთელს მსოფლიოში, ამიტომ აღინიშნება კიდეც ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულების მნიშვნელოვანი ზრდა საგარეო ბაზარზე. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ექსპორტის წილმა მიაღწია ერთობლივი მთლიანი პროდუქტის (ემპ) 25%. ამასთან ერთად მრავალ მათგანში ემპ-ს ზრდის ძირითად ფაქტორი ექსპორტის გაზრდაა. ამრიგად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნების ერთობლივი ემპ -ს გაზრდამ ორგანიზაციის ექსპერტების მიერ 2000 წ-ში შეფასდა 4%-ით, ხოლო ამავე ქვეყნების ექსპოტრის ზრდა 10,4%-ით.ამრიგად, ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ექსპორტის ზრდას და გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობას, წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისა და აყვავების უზრუნველყოფის საშუალებას. უფრო მეტ ეფექტს ასეთი სტრატეგიის გამოყენებით იღებენ გლობალური კუთხით უფრო კონკურენტუნარიანი ქვეყნები.

„ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის“ გაგება განიმარტება, როგორც „ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამრეწველო, მმართველობითი, მარკეტინგული და სხვა შესაძლებლობების კონცენტრირებული გამოხატვა, რომელიც რეალიზდება საქონელში და მომსახურეობაში, რომელიც წარმატებულად უწევს წინააღმდეგობას მასთან კონკურენციაში მყოფ საზღვარგარეთის საქონელსა და მომსახურებას როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე“. უნდა აღინიშნოს ფირმების მაკროეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა მათ უნარზე შექმნან მომხმარებლისათვის უფრო მიმზიდველი საქონელი. მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ დარგის განვითარების პერსპექტივებიც, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიდგომები, ინოვაციები. ზუსტად ეს ინოვაციები უზრუნველყოფენ ფირმების გრძელვადიან კონკურენციულ უპირატესობას და წარმოადგენენ მათი მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ქვეყნის ინოვაციურობის შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური მაჩვენებელი – დანახარჯები ინოვაციისათვის, რომელიც ასახავს ქვეყნის ინოვაციური საქმიანობის უნარს. 1999-2000წწ. ამ მაჩვენებლების მიხედვით ქვეყნების რეიტინგს სათავეში ედგა იაპონია, შვეიცარია და აშშ.

გამოყოფენ კონკურენტუნარიანობის ანალიზისა და შეფასების სამ დონეს: 1) მიკროდონე (პროდუქციის, წარმოების, საწარმოების კონკრეტული სახეობა); 2) მეზოდონე (რეგიონის დარგების, საწარმოების, კორპორატიული გაერთიანებების და კონგლომერატული ტიპის ფირმების); 3) მაკროდონე ცალკეული ქვეყნების ეროვნული მეურნეობები და მათი გაერთიანებები. ამასთან დაკავშირებით

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს მრავალდონიან ცნებას, რომელიც მოიცავს კონკურენტუნარიანობის გაგებას სამიე დონეზე.

მაკროდონეზე ყალიბდება ეროვნული ფირმების ფუნქციონირების ძირითადი პირობები – ხელსაყრელი და არახელსაყრელი. მეზოდონეზე იქმნება რეგიონულ და საერთოდარგობრივი წინაპირობები ფირმების განვითარებისათვის. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის რეგიონულ დონეზე ჩამოყალიბებული სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფის რეალური მექანიზმები კონკურენტუნარიანი ფირმებისათვის. მიკროდონეზე იქმნება კონკურენტუნარიანი საქონელი და მომსახურება, რომელიც დამოკიდებულია წინა დონეებზე ჩამოყალიბებულ პირობებზე და ასევე ფირმის უნარზე შექმნას და გამოიყენოს თავისი კონკურენტული უპირატესობა. სწორედ ამ საქონლითა და მომსახურებით ქვეყნის ფირმები უწევენ რა კონკურენციას სხვა ქვეყნის ფირმებს, გადიან მსოფლიო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ექსპორტის ხასიათი, მისი სასაქონლო-გეოგრაფიული სტრუქტურა საბოლოო ჯამში, ასახავს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. ექსპორტი შეიძლება განვიხილოთ, ერთის მხრივ, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წყარო, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კონცენტრირებული ასახვა. ამრიგად, ექსპორტზე ყურადღების გადატანით, სახელმწიფოს მიერ მისი წახალისების წყალობით და როგორც მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდის შედეგისა, შეიძლება ერთდროულად გადაიჭრას საქართველოს ეკონომიკის ორი უმთავრესი ამოცანა: უზრუნველყოფილი იქნეს ეკონომიკური ზრდა და ამაღლდეს ეროვნული კონკურენტუნარიანობა.

ვფიქრობთ, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიამ უნდა მოიცვას ყველა დონე (მაკრო, მეზო და მიკროდონე). აღნიშნული სტრატეგიის მიზანი უნდა იყოს საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში შესვლის შედარებით ოპტიმალური ვარიანტი. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის განმსაზღვრელ ტენდენციას წარმოადგენს გლობალიზაცია, რომლის გავლენითაც საქართველო იკავებს თავის ადგილს მსოფლიოს ეკონომიკურ სფეროში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიამ, უპირველეს ყოვლისა, ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ფირმების მსოფლიო ბაზარზე მოღვაწეობის ხასიათის შეცვლას. ამიტომ, ექსპორტის ახალი სასაქონლო-გეოგრაფიული სტრუქტურის ფორმირება წარმოადგენს ამ სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველოს ფირმების ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა შეიცვლება მხოლოდ იმ პირობების ზემოქმედებით, რომლებიც ფორმირებულია მაკრო და მეზოდონეებზე. ეს პირობები კი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხოლოდ ქვეყნის მთავრობის და სახელმწიფოს ხელისუფლების რეგიონული ორგანოების მიერ. ამიტომ, ეფექტური საგარეო ვაჭრობის სტრატეგია როგორც საერთო სახელმწიფო, ასევე რეგიონულ დონეზე, უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარი ელემენტი. საგარეო ვაჭრობის სტრატეგია განპირობებული უნდა იყოს საექსპერტო-ორიენტირებული და იმპორტშემცვლელი წარმოების პრიორიტეტებით. ამიტომ მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ექსპორტის სტიმულირების პროგრამა და აგრეთვე იმპორტის სტრუქტურის რაციონალიზაციის პროგრამა.

საქართველოში ბოლო წლებში იმპორტის ექსპორტზე მეტობა მცირდება, კერძოდ, 2015 წელს იმპორტი ექსპორტს 3.5-ჯერ ჭარბობდა. 2016 წელს -3.4-ჯერ. 2017 წელს კი 2.9-ჯერ. ეს უდაოდ დადებითი ტენდენციაა, ექსპორტის წილი მნიშვნელოვნად იზრდება.


საქართველოში ექსპორტის ბოლო პერიოდის სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში ფარდობითი უპირატესობის მქონე სფეროებს. 2016 წლის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში ასეთი იყო: სპილენძის მადნები – 14,8%, თხილი – 8.5%, ფეროშენადნობები – 8%, მსუბუქი ავტომობილები – 7,9%, ღვინო – 5,4%, სამკურნალო საშუალებები – 5,1%, სპირტიანი სასმელები – 4,3%, ოქრო – 3,8%, აზოტოვანი სასუქები -3,1%, დანარჩენი – 35,3%.

2017 წლის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში ასეთი იყო: სპილენძის მადნები – 15,4%, ფეროშენადნობები – 11,2%, მსუბუქი ავტომობილები – 8,6%, ღვინო – 6,3%, სამკურნალო საშუალებები – 5,1%, სპირტიანი სასმელები – 4,6%, მინერალურიწყლები -3,5%, თხილი-3,0%, აზოტოვანი სასუქები – 2,8%, ოქრო -2,6%, დანარჩენი – 36,8%. 2017 წლის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული პროცენტში წარმოდგენილია დიაგრამაში.

ამგვარად, ექსპორტში მაინც მნიშვნელოვანია სამრეწველო პროდუქციის წილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ქვეყანას ფარდობითი უპირატესობა ჰქონდეს ინდუსტრიულ სექტორში, რაც ხელს შეუწყობს სხვა სექტორების (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა) განვითარებას. უცხოელი ექსპერტებისა და ქართველი სპეციალისტების აზრით, საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების

ჯგუფს, რომელსაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

2016 წლის მონაცემებით, იმპორტი ექსპორტს 3,5-ჯერ ჭარბობდა, თუმცა 2007 წელთან შედარებით ეს უკეთესი მაჩვენებელია (აღნიშნულ წელს და ნინა წლებში იმპორტი 4-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს). ექსპორტის წილის გაზრდის გარეშე ქვეყნის სტაბილური განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელი იქნება. ექსპორტის გაზრდის თვალსაზრისით ყველაზე მეტი შანსი აქვს ხუთ სექტორს. ესენია: სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ტურიზმი და ფინანსური ინსტიტუტები.




**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური./www.geostat.ge/.

საქართველომ უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა, შემოსავლებისა და ხელფასების ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესება. ასეთია მაგალითად, ფარმაცევტული პროდუქციის, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის, აგრეთვე ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოება. ანუ ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე. ეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს საექსპორტო პროდუქციის სანაცვლოდ მიიღოს იმპორტული პროდუქციის შედარებით მეტი რეალური მოცულობა.

მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტული სტატუსის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომსახურების სფეროს ისეთ კონკურენტულ დარგებზე, როგორიცაა სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი და დაზღვევა. მათი განვითარება დაკავშირებულია ტურიზმთან. ტურიზმის განვითარებისათვის კი აუცილებელია ლიბერალური პოლიტიკის გატარება. სახელმწიფოს დახმარება საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფაში და სწორი პოლიტიკის შემუშავებაში უნდა გამოიხატებოდეს. სახელმწიფო თუ შესაბამის გარემოს შეუქმნის ინვესტორებს, ტურიზმში ფულს დააბანდებენ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორები.

ტურიზმი საქართველოს მზარდი სექტორია, მისგან მიღებული შემოსავლების წილი წლიდან წლამდე მატულობს, მატულობს დარგში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობაც, მიუხედავად ამისა, არსებული კონკურენციული გარემოს გათვალის¬წინებით, ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად, საჭიროა გამოწვევებისათვის შეუჩერებლად გამკლავება, – ინფრატრუქტურისა და სერვისის მუდმივი გაუმჯობესება, ტურიზმის ახალი მიმართულებების მხარდაჭერა და ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ტურიზმიდან შემოსავლის სახით $2.7 მილიარდი მიიღო. 2018 წლის 11 თვეში საქართველომ ტურიზმიდან 3 მილიარდზე მეტი დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც 2017 წლის 12 თვის მონაცემებს აღემატება და რეკორდული მაჩვენებელია. ყველაზე მეტი თანხა ტურიზმიდან საქართველომ აგვისტოში მიიღო – 442.9 მილიონი დოლარი.

ჩვენ საუკუნეში ერები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. გლობალიზაცია და ინტერნეტ-ტექნოლოგიები არა მხოლოდ ტერიტორიულ, არამედ კულტურულ საზღვრებსაც შლის. დადგა მცირე ერების მრავალსაუკუნოვანი კულტურებისა და ტრადიციების გაქრობის საფ-რთხე, მაგრამ ისინი ვინც მოახერხებენ თანამედროვე ცივილიზაციას რაღაც განსაკუთრე-ბული საიდენტიფიკაციო ბრენდ-კოდი შესთავაზონ, ბუნებრივად აღმოჩნდებიან პრივილე-გირებულ მდგომარეობაში. ეს ტენდენციები უკვე შეიმჩნევა, მაგალითად, ამერიკის შეერთე-ბული შტატები — მსოფლიოს სამეცნიერო და ფინანსური ცენტრი, იაპონია — მაღალი ტექნოლოგიების მაღალხარისხიანი მწარმოებელი, საფრანგეთი — მაღალხარისხიანი ღვი-ნოების მწარმოებელი და ა.შ.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ადგილია სამკურნალო რესურსების მრავალფეროვნებით, იგულისხმება ბიოაქტიური ენდემური სახეობები, სამკურნალო მინერალები და ტალახები. მეცნიერთა აზრით, ეს მრავალფეროვნება და ენერგეტიკა კავკასიონის ქედის შედარებით ახალგაზრდა ასაკით აიხსნება. ეს ენერგეტიკა უფრო ძლიერია მის სამხრეთ მზიან ფერდობზე. ამ რეგიონის მცენარეულ კულტურებში მაგალითად ყურძენში, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (მაგალითად ტანინი – ბუნებრივი ანტიოქსიდანტი) გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნების იდენტურ სახეობებში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არის უნიკალური ბუნება, ამ მცირე ტე-რიტორიაზე მრავალფეროვანი კლიმატური ზონები, ზღვა, მთები, მდინარეები, ტყეები, სხვადასხვა სახეობის მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მცენარეები, ღვინოთერაპიის, მაგნიტური ქვიშების და კიდევ მრავალი სხვა უნიკალური შესაძლებლობები, ეს ტერიტორია, ისე როგორც არცერთი სხვა, მიესადაგება იმას, რომ თანამედროვე მსოფლიო მიღწევების გამოყენებით გახდეს მსოფლიოს ველნეს კურორტების ქვეყანა.

ველნეს ინდუსტრიაში გამოიყოფა უახლესი ნიშა – ველნეს კურორტების ახალი სამედიცინო იდეოლოგიით ამუშავება. სწორედ ველნეს ინდუსტრიის ამ მიმართულებით შესაძლებელია საქართველო გავიდეს მსოფლიო ბაზარზე და თავი დაიმკვიდროს როგორც სამედიცინო ველნეს კურორტების ქვეყანამ. საქართველოს ერთ-ერთი კონკურენტული უპირატესობა მისი სატრანზიტო ფუნქციაა, რომელმაც ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესები გავლენას ახდენენ საბანკო სისტემაზეც. მართალია, საქართველოს საბანკო სისტემა მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის აქტიური მონაწილეობით ერთ-ერთ გამართულ სისტემას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს სხვადასხვა დარგების ეკონომიკურ სისტემებს შორის, მაგრამ მათი ლიკვიდობის დონე და განხორციელებული ოპერაციები მაინც ვერ პასუხობენ გლობალიზაციის ეპოქის მოთხოვნებს. დღეისათვის კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების უდიდესი ნაწილი მოდის ვაჭრობაზე, რაც აჩვენებს საქართველოს კომერციული ბანკების სუსტ მონაწილეობას რეალური ეკონომიკის დაკრედიტებაში.

ჩატარებული ანალიზი გვაძლევს გარკვეული დასკვნების წარმოდგენის საშუალებას. კერძოდ, კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ინსტიტუციონარული რეფორმები საკმარისი არ არის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. მთავარ პრობლემებად რჩება: პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტური ზონების არსებობა; კრედიტებზე მაღალი საბანკო განაკვეთები; საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები; სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა; კვალიფიკაციის შეუსაბამობა; ინფლაცია.

მიუხედავად ამისა, ინსტიტუციების, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, უმაღლესი განათლების, შრომითი ბაზრის ეფექტურობისა და სხვა მიმართულებით საქართველოს პროგრესი მნიშვნელოვანია.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭიროა:

- მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ინვესტორებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა და შენარჩუნება; შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის თანამედროვე სისტემის შექმნა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ.
- მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა (საგადასახადო სისტემის სიმარტივე, სიცხადე, განაკვეთების ოპტიმალური დონე);
- ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა (საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ.);

• მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და მისი რეალიზაცია;

• კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს კონსულტირებისა და ტრენინგ -ცენტრების თანამედროვე სისტემა.

საოლქო სამრეწველო პოლიტიკის გრძელვადიანი დარგობრივი პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს მსოფლიო ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე. მსოფლიო ბაზარი დღეს დიფერენცირებულია ორ დიდ ფენად: ნედლეულის ბაზრად და მზა პროდუქციის ბაზრად. პირველი მუდმივად ვიწროვდება, ხოლო მეორე-ფართოვდება. თავის მხრივ, მზა პროდუქციის ბაზარი იყოფა სამ: დაბალი, საშუალო და მაღალტექნოლოგიური პროდუქციებიის სეგმენტად. ОЭСР-ს კლასიფიკაციით პირველ სეგმენტს წარმოადგენენ შავი მეტალურგიის პროდუქტები, საკონსტრუქციო მასალები, ტექსტილი, სამკერვალო პროდუქცია, ფეხსაცმელი და მსუბუქი მრეწველობის სხვა პოდუქცია. საშუალო ტექნოლოგიურ ნაწარმს მიეკუთვნება დაზგები, სატრანსპორტო საშუალებები, რეზინის და პლასტმასის ნაწარმი, ხის გადამუშავებით მიღებული პროდუქცია. მაღალ ტექნოლოგიურ ნაწარმს წარმოადგენენ აეროკოსმოსური ტექნიკა, საინფორმაციო ტექნიკა, ელექტრონიკა, ფარმაცევტიკა, ზუსტი და გასაზომი ხელსაწყოები, ელექტრომოწყობილობა.*

მსოფლიო ბაზრის მზა პროდუქციის სამივე სეგმენტიდან ყველაზე მეტად ფართოვდება უკანასკნელი. სწორედ მას აქვს დიდი მომავალი. ამიტომ რეგიონული სამრეწველო პოლიტიკის გრძელვადიან პრიორიტეტებად უნდა იქცნენ სწორედ ამ სეგმენტის დარგები. აღნიშნული სეგმენტის დარგების ფირმების კონკურენტუნარიანობის საფუძველს წარმოადგენენ რეგიონის კონკურენტული უპირატესობები. ამრიგად, აუცილებელი ხდება ამ მიმართულებით სამეცნიერო გამოკვლევების ჩატარება.

რეგიონის წარმოების ცალკეული დარგების ექსპორტზე მიმართულების ხარისხი შეიძლება განისაზღვროს მათი სტრუქტურული სპეციალიზაციის კოეფიციენტით.

მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზრის უმაღლეს საფეხურზე შეღწევა მოითხოვს ადექვატურ ღონისძიებებს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. გარდა ამისა, ამ საფეხურზე ასვლა და იქ გამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ იმ ფირმებისათვის, რომელთაც გააჩნიათ უპირატესობა საქონლის დიფერენციაციაში. ამიტომ იმ სამამულო პროდუქციის შექმნა, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერების მიღწევებზე, რომელთაც არ გააჩნიათ ანალოგი მსოფლიოში ან გააჩნიათ საზღვარგარეთის ანალოგები უარესი სამომხმარებლო თვისებებით, უნდა გახდეს რეგიონული პროგრამის პრიორიტეტული მიზანი.

ამრიგად, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის სეგმენტში ჩვენმა ფირმებმა შეიძლება დაიკავონ ადგილი, პირველ რიგში, ქვეყნის მთავრობის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონულმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას უფრო ხელსაყრელი პირობები იმ ფირმებისათვის, რომლებიც აწარმოებენ საზღვარგარეთის ანალოგებთან შედარებით უფრო კონკურენტუნარიან პროდუქციას. ასეთი ფირმები რეგიონულმა ხელსუფლებამ ისე ფრთხილად და მზუნველობით უნდა გამოზარდოს, როგორც პატარა ბავშვი ასეთი ფირმები დღეებანდელ პირობებში თავისთავად არ წარმოიშობა.

რა თქმა უნდა, ამ საფეხურზე შეღწევა და იქ ფეხის მოკიდება რთული ამოცანაა, ამიტომ იგი განიხილება უფრო შორეულ ამოცანად, რამდენადაც მოითხოვს დიდ დროს რეალიზაციისათვის. თუმცა ამ ამოცანის გადაჭრის წინა პირობებს ახლავე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტი რეგიონულ დონეზე. საოლქო ბიუჯეტში შესაძლებელია მეცნიერებისა და განათლების ფონდის ფორმირება, რომლის სახსრები მიმართული იქნება შედარებით პერსპექტიულ დარგებში სამეცნიერო სამუშაოებისათვის და აგრეთვე უმაღლესი საწავლებლების იმ ფაკულტეტების დასაფინანსებლად, რომლის კურსდამთავრებულებზე არ არის ბაზარზე დიდი მოთხოვნა, თუმცა ისინი აუცილებელნი არიან ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევებისათვის (ფიზიკა, ქიმია და ა.შ.) პერსპექტიულია აგრეთვე საოლქო დონეზე ვენჩურული ფონდების ჩამოყალიბებაც.

ვენჩურული ფონდი, ვენჩურული კაპიტალი – ეს არის დასავლეთში დიდი ხნის წინ ცნობილი მექანიზმი, რომელიც აერთიანებს მეცნიერებისა და ბიზნესის ინტერესებს. საზღვარგარეთ ასეთი ფონდები არიან როგორც სახელწიფოს დაქვემდებარებაში, ისე მთლიანად კერძო მფლობელობაში. არსებობს ვენჩურული ბიზნესიც. ამ გამოცდილების რეალიზება უნდა მოვახდინოთ ჩვენთანაც, თუმცა

* გ. ერქომაიშვილი, რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა – ბიზნეს მეწარმეობიდან სოციალური მენარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა. თბილისი, 2019, გვ.103-109

ჩვენთან დღეს ასეთი ფონდი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ რეგიონული ბიუჯეტის სახსრების, რეგიონული ბანკების კონსორციუმის და აგრეთვე კერძო ინვესტორების მონაწილეობით. სწორედ ეს ფონდი დააფინანსებს პროექტებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება სამეცნიერო გამოგონებებისა და მიღწევების კომერციულ გამოყენებაზე.

ვენჩურული საოლქო ფონდის მთავარი მიზანი უნდა გახდეს იმ ინოვაციური საწარმოების მხარდაჭერა, რომლებიც აწარმოებენ ექსპორტის თვალსაზრისით შედარებით პერსპექტიულ, ინოვაციურ პროდუქციას.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ვენჩურული კაპიტალდაბანდება დიდ როლს თამაშობს. ასე მაგ., აშშ-ში ვენჩურული ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 5 მილიარდი დოლარით მე-20 საუკუნის 90 წლების დასაწყისში, ხოლო 100 მილიარდით – 2000 წელს.საშუალოტექნოლოგიური პროდუქციის საფეხურიც პრიორიტეტულად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ექსპორტისათვის. აქ კონკურენციის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ზედა საფეხურზე, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია. აქაც, ისე როგორც ზედა საფეხურზე, შეიძლება იყვნენ ის ფირმები, რომელთაც აქვთ დიფერენცირებული პროდუქციის კონკურენტული უპირატესობა. მსოფლიო ბაზრის აღნიშნულ სეგმენტში ჩვენი ფირმების მონაწილეობა შედარებით ახლო მომავალია. ამიტომ აუცილებელია იმ ფირმებისათვის რეგიონული მხარდაჭერა, რომელთაც უნარი აქვთ, შექმნან მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ეს მხარდაჭერა საჭიროა ამ პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გასატანადაც. ასეთი მხარდაჭერის ინსტრუმენტები და მექანიზმები დიდი ხანია შემუშავებულია საზღვარგარეთ. საჭიროა ჩვენს ქვეყანაში ამ გამოცდილების ადაპტაცია.

რაც შეეხება მსოფლიო ბანკის მზა პროდუქციის ქვედა სეგმენტსᲪ და ნედლეულის ბაზარს, უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილია დღეისათვის ამ ბაზარზე ჩვენი ფირმების არსებობა. თუმცა პერსპექტივაში აუცილებელია ამ სეგმენტში ფირმების საქმიანობის შემცირება და მსოფლიო ბაზრის სხვა სეგმენტებში რეგიონული მონაწილეობის გაფართოება. მსგავსი პროდუქციის ექსპორტისაგან მიღებული შემოსავლები გამოყენებულ უნდა იქნას ზემოთაღნიშნული მიმართულებების დასაფინანსებლად ნედლეულის ექსპორტიორების რენტის გადასახადების გაზრდის გზით, რომელიც მიედინება რეგიონის ბიუჯეტში. სწორედ გადანაწილების გზით ნედლეულის ექსპორტით მიღებული შემოსავლები უნდა გახდეს ვენჩურული ფონდების და ქვეყნის განვითარების ბიუჯეტის ძირითადი წყარო.

სწორედ ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული ექსპორტის სტიმულირების და მრეწველობის განვითარების კონცეფციის რეგიონული პროგრამის შემუშავებისას. დღევანდელ ეკონომიკურ სიტუაციაში საქართველოს ფირმებს აქვთ კარგი შესაძლებლობა. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მთავარი ეროვნული სიმდიდრე – ქვეყნის მოსახლეობის ინტელექტუალური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში იმ მიმართულებებს, რომელშიც სახელმწიფო დახმარებას უწევენ საექსპორტო პროდუქციის ადგილობრივ მრეწველებს, წარმოადგენს: ექსპორტიორებისათვის შეღავათიანი კრედიტების გაცემა სპეციალური სახელმწიფო ან შერეული ბანკებიდან ან ორგანიზაციებიდან (აშშ-ში – „ექსიმბანკი", იაპონიაში – კორპორაცია „ჯეტრო");

ექსპორტისა და საექსპორტო კრედიტების შეღავათიანი დაზღვევა;

საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლების მიცემა იმ მეწარმეებისათვის, რომლებიც ამზადებენ საექსპორტო პროდუქციის პრიორიტეტულ სახეობებს.

პრიორიტეტული საექსპორტო პროექტების განვითარების პროგრამების შემუშავება და დაფინანსება;

ექსპორტიორებისათვის დახმარება ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული და პირდაპირი საბიუჯეტო ფორმით;

საზღვარგარეთ ეროვნული ინვესტორების პირდაპირი ინვესტიციებით მხარდაჭერა.

დიდ ბრიტანეთში ექსპორტის მხარდასაჭერად გამოიყოფა მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრები. ნამყვანი ადგილი ექსპორტის დაზღვევის სისტემაში ეკუთვნის საექსპორტო კრედიტების გარანტიების დეპარტამენტს (დეკ), რომელიც შედის დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს შემადგენლობაში. დეკ-ის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ექსპორტის და საგარეო ინვესტიციების წახალისება იმ კრედიტების პოლიტიკური და ეკონომიკური რისკებისაგან დაზღვევის გზით, რომელსაც აძლევენ საზღვარგარეთის მყიდველს ბრიტანული პროდუქციის შესყიდვის დროს. ეს ორგანიზაცია ასევე იძლევა ფინანსურ გარანტიებს საშუალო და გრძელვადიან საბანკო კრედიტებზე ბრიტანული ექსპორტის შეღავათიანი პირობებით ფინანსირების ორგანიზების ჩათვლით. თავისი არსებობის მანძილზე დეკ-ამ უზრუნველყო დიდი ბრიტანეთის ექსპორტის მოცულობის 80%.

აშშ-ში არსებობენ რეგიონული (შტატის დონეზე) პროგრამები, რომლებიც ახდენენ ექსპორტის სტიმულირებას. შტატის დონეზე ექსპორტიორების დახმარების ძირითადი მიმრთულებებია:

– საექსპორტო მარკეტინგი;
– ფინანსური მხარდაჭერა;
– საგანმანათლებლო პროგრამები და საინფორმაციო მხარდაჭერა;
– ერთობლივი წარმოების სტიმულირება.

აშშ-ს ბევრ შტატში სიახლეს წარმოადგენს ინტერნეტში სპეციალური ფანჯრის „საექსპორტო ექსპრო"-ს შექმნა, რომელიც მუშაობს როგორც ვირტუალური სავაჭრო გამოფენა. ამგვარად ამერიკული ფირმები იღებენ შესაძლებლობას მცირე გადასახადის საფასურად უზრუნველყონ თავისი ვირტუალური დასწრება ამ გამოფენებზე და რეკლამა გაუკეთონ თავის საქმიანობას საერთაშორისო ელექტრონულ სივრცეში. თანაც კომპანიისაგან მიღებული ეს ინფორმაცია ფანჯარაში განთავსებული იქნება მთელი ერთი წლის განმავლობაში.

აშშ-ს ექსპორტიორების საგარეო ბაზრებზე წარმატებებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აშშ-ს „ექსიმბანკი". მაგ., 1997წ, 1 იანვრიდან 1998წ.30 ივნისამდე მან გამოყო 2,5 მილიარდ დოლარზე მეტი შეღავათიანი კრედიტები ეროვნული ექსპორტის დასაფინანსებლად მხოლოდ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, აქედან რუსეთში დასაფინანსებლად გამოყო 1 მილიარდი დოლარი.

გასაგებია, რომ ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებების გამოყენება ექსპორტის სტიმულირებისათვის, მაგრამ საკმარისი ფინანსების არ არსებობის პირობებში ყურადღების კონცენტრირება უნდა მოხდეს იმ საშუალებებზე, რომელიც არ მოითხოვს დიდ ფულად დანახარჯებს.

ეს უპირველეს ყოვლისა არის საექსპორტო კრედიტების გარანტირება და დაზღვევა სპეციალურად შექმნილი ექსპორტის დაზღვევის ფონდის საშუალებით. ასეთი ფონდის შექმნა აუცილებელია უკვე უახლოეს მომავალში.

შესაძლებელია პროგრამების რეალიზაცია სპეციალური ბიულეტენებით, რომლის საშუალებითაც საზღვარგარეთის პარტნიორები ინფორმაციას მიიღებენ ჩვენი ფირმების საქმიანობის შესახებ.

## 11.6. მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის რეგულირების პრიორიტეტები რეგიონის კონკურენტუნარიანობაში

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელი ეტაპი კატასტროფულად გარდამტეხ ეტაპს წარმოადგენს. ყველა იმ სახელმწიფომ, რომელმაც შეაბიჯა მესამე ათასწლეულსა და XXI საუკუნეში, გადახედა სოციალურ – ეკონომიკურ პარადიგმებსა და ფასეულობებს და მომავლის პროგნოზირებას შეუდგა. ეს პროცესებად აიწყო ქვეყანასა და მის რეგიონებში, მმართველობითი სტრუქტურის ყველა შტოში და ხელისუფლების ყველა დონეზე.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეეცადებით გადავჭრათ ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანა:ეკონომიკური და სოციალური რეიტინგული ცხრილის გამოყენებას გააჩნია გამოყენებითი მმართველობითი მნიშვნელობა და იგი თანდათან იხვეწება. რეიტინგული მეთოდიკა იძლევა საშუალებას გავარკვიოთ თანამედროვე რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რომელ მიმართულებაზეა აქტუალური ყურადღების გამახვილება. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ტერიტორიის ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალს შორის არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ საპირისპირო დამოკიდებულება არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკონომიკური ინდიკატორებისგან სოციალურის ჩამორჩენა შეიძლება გამოწვეული იყოს თვით სოციალური სფეროს ინერციულობით, ე.ი. გარდაქმნის არაადექვატური სიჩქარის სრულყოფა თვით მატერიალურ წარმოებაშია. ამიტომ სტატიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს მართვის სისტემის მოდერნიზაციის სოციალური პროცესებით მართვა რეგიონში. ეს განსაკუთრებით აქტუალურია უკანასკნელ წლებში, როცა მოცემული უწყების მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მისი პოტენციალის ფინანსური მოცულობის შემცირება, ე.ი ღარიბი მოსახლეობისათვის უფრო მეტად გამიზნული დახმარება. ეს პრობლემა მოსახლეობის სოციალური დაცვის ქვესისტემებს შორის კონკურენტული უპირატესობის პოზიციით უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომ მოსახლეობის სოციალური დაცვის მართვის პრიორიტეტებზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

პირველი პრიორიტეტი – ძირითადი მიზნის განახლება. მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ძირითად მიზანს 2001-2006 წლებში წარმოადგენდა სოციალური დაცვის ფორმის ინდივიდუალიზაცია მოსახლეობათა ჯგუფების უფრო მეტად დასაბუთებულ დიფერენციაციის საფუძველზე. ეს განემარტოთ რაოდენობრივი მაჩვენებლებითა და ლოგიკური სქემით.

მოსახლეობის სოციალური დაცვის შემდგომი ინდივიდუალიზაციისათვის აუცილებელია ყოველ კვარტალში სოციალურად დაუცველი და მასთან გათანაბრებული ჯგუფებიდან დიასახლისების, ოჯახთა და მარტოხელა მაცხოვრებლების ამორჩევითი შემოწმება. პრაქტიკაში უკვე ხორციელდება მსგავსი მონიტორინგი. დახმარების ახალი ფორმების დანერგვა იძლევა საშუალებას, რომ სოციალური მუშაობა ამაღლდეს განვითარებული ქვეყნების პოსტინდუსტრალური საზოგადოების სტანდარტების დონემდე, სადაც მისი სტრუქტურა მოიცავს იმგვარ თანმიმდევრულ სახეობებს, როგორიცაა სოციალური დიაგნოსტიკა, სოციალური პროფილაქტიკა, სოციალური ზედამხედველობა და პატრონაჟი, სოციალური ადაპტაცია და რეაბილიტაცია, სოციალური მარკეტინგი.

პირველი ორი კომპონენტი მოსახლეობის სოციალური დაცვის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს სიღატაკის დაძლევაში. მნიშვნელობის თვალსაზრისით მეორე მიმართულებაა მართვის ფუნქციების გაფართოება და განახლება. მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანოთა მოღვაწეობის ფუნქცია სამუშაო გამოცდილების დაგროვებისა და მისი ობიექტურ-სუბიექტური ორიენტაციის კვალობაზე განიცდის სრულყოფას.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ეტაპების ფორმირების ანალიზმა მოსახლეობის დახმარების სფეროში საშუალება მოგვცა გვეკვარაუდა, რომ ახალ საუკუნეში, როგორც ძველად, ადგილი ექნებოდა შემდეგ პროცესებს:

1. ტრადიციული ფუნქციების მოდერნიზაცია;
2. მათთვის ახალი ფუნქციონალური „ბლოკების" დამატება;
3. ფუნქციათა შესრულების ხარისხის ამაღლება;
4. ფუნქციათა შემდგომი დიფერენციაცია ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად.საქმიანობის სახეობათა ფუნქციონალური დაყოფის გამოცდილების განზოგადებამ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მოსახლეობის სოციალური დაცვის რეგიონულ სპეციალისტებსა და განყოფილებებს შორის და ასევე ადგილობრივ ორგანოთა სამმართველოებს შორის წარმოაჩინა ამ ქმედების რეგულირების 3 მმართველობითი სუბიექტურ – ობიექტური მოდელი.

პირველი მოდელი – ობიექტური მიდგომაა, რომელთან შესაბამისობაში მართვის ძირითადი სტრუქტურები დიფერენციალურად ახორციელებენ მოსახლეობის სამისამართო კატეგორიების სოციალურ მხარდაჭერას (ბავშვები, ოჯახები, ქალები, ინვალიდები, სტაციონარული დაწესებულებები და ა.შ), ხოლო სხვები ახორციელებენ სამართლებრივ, საფინანსო, საკადრო და სხვა მხარდამჭერ ფუნქციებს.

მეორე მოდელი – სუბიექტურ-ფუნქციონალური მიდგომა. როდესაც რგოლის ძირითად მმართველს წარმოადგენს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური და ორგანიზაციულ-მეთოდური ბლოკები, რომლებიც ინარჩუნებენ მთავარ მხარდამჭერ ფუნქციას.

მესამე მოდელი – შერეული მიდგომა. ამ ვარიანტში მეორე მოდელი გამოიყენება მოსახლეობის სოციალური დაცვის დონეზე, პირველი კი ადგილებზე, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალური დაცვის სუბიექტურ-ობიექტური ხასიათის რეგულირების შერწყმას, პერსონალის რაოდენობასა და ხარისხის გათვალისწინებით, მმართველობით სტრუქტურებში „ზემოდან" და ქვედა რგოლებში. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელში მუშაკთა რაოდენობა უაღრესად არასაკმარისია. საქალაქო და რაიონული მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში იძულებულნი არიან უნივერსალური პრინციპით იმუშაოს სამმა-ოთხმა ადამიანმა.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მართვის მესამე პრიორიტეტი – ეს არის უპირატესი ექსტენსიური მეთოდიდან ეფექტურობის ვერტიკალზე მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის ინტეგრალურ კრიტერიალურ მაჩვენებელზე გადასვლა, ე.ი. რეგიონის ტერიტორიაზე სოციალური მომსახურების დაწესებულებებში სოციალური დახმარების ხარისხის გაზრდა.

ქვეყანაში თანდათან იცვლება სოციალურ დახმარებათა სტრუქტურული მიმართულებანი: პრიორიტეტი ენიჭება ბინაზე სოციალურად ნაკლებად დაცული მოსახლეობის სოციალური დახმარების კომპლექსურ ცენტრებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე თანდათან ჩნდებიან არასრულწლოვანთა თავშესაფრები და არასრულწლოვანთა სოციალური რეაბილიტაციისა და პედაგოგიურ – ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრები.

მაგრამ მათი ფუნქციონირება გართულებულია შემდეგი პირობებით: არათანამედროვე და არასრული ფინანსირება, შენობა – ნაგებობის სოციალურ სტანდარტებთან შეუსაბამობა, უაღრესად ცუდი აღჭურვილობა, ხარისხიანი მომსახურების სრული პაკეტის შეთავაზების შეუძლებლობა, მომსახურე პერსონალისა და სპეციალისტთა შრომის დაბალი ანაზღაურება.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მუშაობა მოსახლეობის შეჭირვებული ფენის მომსახურებისა და მისი დაფარვის არეალის მაჩვენებლებით ფასდება (ექსტენსიური მაჩვენებელი).

მოსახლეობის სოციალური დაცვის ზოგადი ხელმძღვანელობა ხორციელდება მოსახლეობის სოციალური დაცვის 2000-ზე მეტი მუშაკის მიერ. მაგრამ არ არსებობს მათი მოღვაწეობის ხარისხის შეფასების დიფერენცირებული სისტემა.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტურობის ინდიკატორთა სისტემაში არ არსებობს ანგარიშში საშუალო სულადობრივი მაჩვენებელი დარიცხული შემწეობისა ამ შემწეობის მიმღებების დიფერენცირებული ჯგუფების გაანგარიშებით (ინტეგრალური ინდიკატორები).

დღევანდელ დღეს აუცილებელია მოსახლეობის სოციალური დაცვის უპირატესად ექსტენსიური ინდიკატორების ეფექტურობის სისტემიდან უპირატესად ინტენსიურ სისტემაზე გადასვლა, მომავალში კი აუცილებელია ინტეგრალურ და ინოვაციურ მაჩვენებლებზე ორიენტაცია. ამ მიმართულებით მუშაობა კი უკვე დაწყებულია.

სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კონტროლის განხორციელება 1999 წელს დაიწყო სოციალურ-ეკონომიკური სიღარიბისა და სოციალურად დაუცველობის მაჩვენებლის მონიტორინგის მეთოდით.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანოთა მოღვაწეობის მეოთხე მიმართულებაა თვით სისტემის თვითკმარი განვითარებით, რომელიც ჩვენი წრმენით უნდა ეფუძნებოდეს ფინანსური პარტნიორობის პრინციპს. ფინანსური პარტნიორობის პრინციპმა ჩამოყალიბება დაიწყო ოთხმოცდაათიან წლებში ვალდებულებითი „თანამშრომლობისა“ და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, მათი კომიტეტებისა და დეპარტამენტების კონსოლიდირებული თანამშრომლობის პროცესში. აგრეთვე ადგილობრივი განყოფილებების, არასაბიუჯეტო ფონდების, სამეურნეო სუბიექტების, იმ ქველმოქმედებისა და სპონსორების მეშვეობით, რომლებიც მონაწილეობენ სოციალურ ინიციატივათა, პროგრამებისა და კანონების სოციალური მნიშვნელობის ღონისძიებათა კონკრეტული გეგმების განხორციელებაში.

ფინანსური პარტნიორობა უნდა გამოდიოდეს პროფკავშირების, დამკვეთთა და შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურათა სოციალური თანამშრომლობის ეკონომიკურ საფუძვლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის რეგულირებისათვის. ხშირად მათი ქმედებანი „გაფანტულია“ მოსაზღვრე უწყებათა შრომის „შეუპირისპირებლობის“ გამო რეგიონის ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ფინანსური პარტნიორობის ერთშრიან სისტემაში შემდეგი ფინანსური ინდიკატორები გამოიყოფა:

- ბიუჯეტურ-სოციალურ სტაბილური ქმედებანი კონსოლიდირებული სოციალური ბიუჯეტისა და სოციალური ტრანსფერებისა, რომლებიც ეყრდნობიან ტერიტორიის სტანდარტულ საბიუჯეტო უზრუნველყოფას.

- კომერციული სოციალური მიმართულებანი – კომერციალიზაციის კომფორტული სოციალური მომსახურების უზრუველყოფისაგან, რომელიც ხორციელდება მოსახლეობის სოციალური დაცვის ფონდებისა და ორგანიზაციებისაგან.

- უწყებათაშორის, მოსახლეობის სოციალური დაცვის აქტიური მონაწილეობით მიღებული სოციალური შემოსავლები იმ მოქალაქეებისა და ოჯახებისაგან, რომლებიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯგუფებისაგან გადაიქცევიან ნაწილობრივ ან მთლიანად უზრუნველყოფილად, რომელთა შრომით დასაქმება ხდება საკონსულტაციო და უწყებათაშორისი ორგანიზაციების მეშვეობით.

- საგადასახადო პრეფერენცია ქველმოქმედებისა და სპონსორობის ნასახალისებლად-ეს არის ქველმოქმედებისა და სპონსორობის „ზონების“ შეთანხმება ამ პროცესების მონაწილეთა შორის.

ახალი ასწლეულის დასაწყისში საჭირო გახდა მთელი მოსასახლეობის ორიენტირის შეცვლა უფრო მისი შრომისუუნარო წევრების ოჯახების უფრო ეფექტური მხარდაჭერით საერთო სოციალური პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის რეალურ სექტორში შემოსავლიანი სამუშაო ადგილების გაფართოებით.

ჩვენ განვსაზღვრეთ რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების მხოლოდ ერთი სფერო. ვთვლით, რომ მათი რეალიზაცია იქნება რეგიონში პირველი ნაბიჯი უფრო მეტად სოციალურად და ეკონომიკურად კონკურენტუნარიანი სუბიექტის ჩამოყალიბების საქმეში.

როგორც აღინიშნა, რეგიონის ეკონომიკური ზრდა და კონკურენტუნარიანობა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ფოკუსირდება. რეგიონი ცხოვრების დონის მიხედვით იზიდავს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიას. მოცემულ სიტუაციაში ჩვენ გვაინტერესებს ცხოვრების დონის განსაზღვრის საკითხები რეგიონული ეკონომიკის ასპექტში. სოციალური პოლიტიკის ძირითად მიზანს ქვეყ-

ნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტაბილიზაცია და მისი შემდგომი ამაღლება. ეს მიზანი შემდეგ პირობებში შეიძლება განხორციელდეს:

- სოციალური მხარდაჭერის იჯარულობის გაძლიერება, პირველ რიგში კი, მოსახლეობის ნაკლებად დაცული ჯგუფების სიღარიბის მასშტაბების შესამცირებლად.

- იმ ღონისძიებათა შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი გარანტიების დაცვას მოსახლეობის შემოსავლების სფეროში არანაკლებ არსებული სამედიცინო გარანტიებისა და სოციალური მომსახურებისა.

ცხოვრების დონეს ობიექტურად ახასიათებს მოსახლეობის განვითარების დონე, მატერიალურ-სულიერი და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფოფილების ხარისხი, მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ადამიანის მოთხოვნათა განსაზღვრული სახეობანი, რომლის დაკმაყოფილება ნარმოადგენს ცხოვრების დონის შემადგენელ ნაწილს, უნდა განვსაზღვროთ, როგორც ცხოვრების დონის კომპონენტები (მაგ., კვება, ჯანმრთელობა, განათლება და ა.შ.). ყოველი მათგანი მოიცავს იმ მონაცემებს, რომელიც შეეხება მოთხოვნათა დაკმაყოფილებას შესაბამის რეგიონსა და განსაზღვრულ პერიოდში.

ცხოვრების დონის განხილვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ სოციალურ-ეკონომიკური პირობების ერთობლიობა, რადგან მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებისა და ასევე მათი ადამიანებისათვის მისაწვდომობის, შრომის სოციალური პირობებისა და სოციალური უზრუნველყოფის დონის, ასევე სხვა მახასიათებელთა შეფასების გარეშე შეუძლებელია მთლიანობაში ვიმსჯელოთ მოსახლეობის ცხოვრების რეალურად ჩამოყალიბებულ დონეზე.

ცხოვრების დონის მეცნიერული გაგება ემყარება იმას, რომ თვით ცხოვრების დონე მნიშვნელოვანია არა თავისთავად,ჯარამედ მოსახლეობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის „სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიზნებისა და ნორმების შესახებ" 177-ე კონვენციის შესაბამისად სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა ზომა ცხოვრების ისეთი დონის უზრუნველსაყოფად, რომელიც აუცილებელია დამოუკიდებელ დაქირავებულ მუშათა და მათი ოჯახების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, ცხოვრების ეს დონე მოიცავს საკვებს, სამოსს, საცხოვრებელს, სოციალურ უზრუნველყოფას და ა.შ.

ყველა ამ ეტაპთა საერთო მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის კვლავწარმოება. ამ უკანასკნელს მრავალი მეცნიერი უწოდებს იმ საციცოცხლო საშუალებას, რომელიც აუცილებელია მუშის, როგორც მუშის შესანარჩუნებლად და მისი მუშად მომზადებისთვის. ა სმიტმა განაწილების თეორიის განხილვისას მასში გამოყო საარსებო მინიმუმის თეორია. ა. სმიტის აზრით „შრომითი მომსახურების ბუნებრივი ფასი, ეს ხელფასია, რომელიც აუცილებელია ფიზიკური არსებობისთვის და ის მინიმალური ანაზღაურებაა, რომელიც უნდა მიიღოს მუშამ იმის გაუთვალისწინებლად, რომ მას ჰყავს შვილები და ოჯახი, ე.ი. სამუშაო ძალა ინარმოება განუწყვეტელი დანახარჯების პირობებში. ხელფასი, რომელიც მხოლოდ საარსებო მინიმუმის დასაკმაყოფილებლადაა გათვლილი, სმიტს მიაჩნია ყველაზე მცირე ნორმად, რომელიც მხოლოდ უბრალო კაცობრიობასთან ერთობლიობაშია" კ. მარქსი მუშის სტაბილური კვლავწარმოების ან შენარჩუნებისათვის უცილობელ საციცოცხლო ძალას უკავშირებდა სამუშაო ძალას.

ადამიანის კვლავწარმოების მატერიალური საფუძვლების ზოგად-ეკონომიკური ხასიათი, მისი შრომის უნარი ეფუძნება შემდეგ მდგომარეობებს.

ადამიანის კვლავწარმოების საფუძველზე, როგორც სასიცოცხლო საშუალების იმ თანხაზე, რომელიც აკმაყოფილებს მუშათა ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნებს, მრავალი ეკონომისტი წერდა და აკეთებდა რა უპირველეს ყოვლისა ანალიზს, მთლიან ღირებულებით სიდიდეს – მუშათა საციცოცხლო ძალების ფონდს ანდა მისი სამუშაო ძალის კვლავწარმოების დანახარჯზე. მუშათა კვლავნარმოების საფუძვლის კვლევის სხვა მიმართულებაა არა მარტო ღირებულებითი სიდიდის, არამედ ნატურალურ – საგნობრივი შემადგენლობის, ადამიანის კვლავწარმოების მატერიალური საფუძვლების შესწავლა.

თანამედროვე მკვლევარები განიხილავენ ადამიანის კვლავწარმოების ისეთ ფუნქციონალურ ასპექტებს, როგორიცაა მომხმარებლების სიჭარბე და ცხოვრების ღირებულების საზომი; ხალხის იმ კეთილდღეობის განსაზღვრა, რომელიც საჭიროა ადამიანისათვის თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მუშაკის ოჯახის რჩენისათვის აუცილებელი ხარჯების განსაზღვრისათვის; სიღარიბის დონის გაანგარიშება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის, რომელიც საჭიროა სახელმწიფოს მიერ იმ ოჯახებთან მიმართებაში, რომელთაც არ გააჩნიათ მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი.

სამომხმარებლო კალათა წარმოადგენს ადამიანის კვლავწარმოების რაოდენობრივი ხარისხის ანალიზის მოდელს. კვლავწარმოებისთვის ადამიანს აუცილებლად სჭირდება მისი შრომისუნარიანობის მუდმივი განახლება, რომელიც ხდება ადამიანის სიცოცხლის კვლავწარმოების საფუძველი, თუ ადამიანს არ გააჩნია წარმოების სხვა ფაქტორები (კაპიტალი ან მიწის ნაკვეთი). შრომის კვლავწარმოების ძირითადი მომენტებია:

• პროდუქტის ნაწილის გამოყოფა, რომელიც შექმნილია მუშაკის მიერ, მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად;

• ნებისმიერი კვლავწარმოება (თუნდაც უბრალო) იწვევს მუშაკის შეცვლას დიდი ხნით, რომელსაც დაკარგული აქვს შრომის უნარი. ამიტომ სასიცოცხლო საშუალებებით უზრუნველყოფა საჭიროა არა მხოლოდ მუშაკისთვის, არამედ მისი ოჯახის წევრებისთვისაც;

• ადამიანის კვლავწარმოებისთვის საჭირო სასიცოცხლო საშუალებების რაოდენობრივი შეფასება. მუშაკისთვის საჭირო სასიცოცხლო მოცულობა და შემადგენლობა განისაზღვრება მოცემულ ქვეყანასა და მოცემულ პერიოდში.

• მუშაკის კვლავწარმოებისთვის სასიცოცხლო საშუალებების სიდიდე მოიცავს კვალიფიკაციის მიღებისათვის გაწეულ დანახარჯებს და მუშაკისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნას.

• კვლავწარმოებისათვის საჭირო შრომის უნარი გადაჯაჭვულია ადამიანის სხვა თვისებების კვლავწარმოებასა და განვითარებასთან: სოციალური, სულიერი, კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ეს განაპირობებს ადამიანის კვლავწარმოების რაოდენობრივი მხარის ანალიზის მრავალვარიანტულობასა და მრავალზომიერებას. ამ ანალიზში გადაჯაჭვულია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული ფაქტორები. მოცემული შეფასებით გადაჯაჭვულია ანალიზის სუბიექტური და ობიექტური მხარეები. რეალური სინამდვილის მთელი მრავალზომიერება და წინააღმდეგობრიობა შეიძლება ასახულ იქნას განსაზღვრულ ეკონომიკურ მოდელში, სტანდარტიზებულ ფორმაში და ამას წარმოადგენს სამომხმარებლო კალათა.

სამომხმარებლო კალათის მოცულობა განისაზღვრება იმ სასიცოცხლო საშუალებათა ღირებულებით, რომელიც აუცილებელია შრომის ნორმალური კვლავწარმოებისათვის მოცემულ საზოგადოებრივ – ეკონომიკურ პირობებში. ამ სიდიდემ უნდა უზრუნველყოს ადამიანის (მუშაკის) მხარდაჭერა მოცემულ პირობებში მისი ნორმალური საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ასევე მისი ოჯახის რჩენაში. სხვა ბაზრებზე არსებული პროდუქტებისაგან განსხვავებით, მუშაკის შრომის შეფასების სიდიდე უდიდეს წილად დამოკიდებულია მისი ფორმირების ისტორიულ პირობებზე, ქვეყნის იმ სოციალურ – ეკონომიკური განვითარების დონეზე, რომელშიც მონაწილეობას იღებს მუშაკი, ბუნებრივ – კლიმატური პირობები, ეროვნული, კულტურული, რელიგიური და სხვა ტრადიციები.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება შეეფასოთ სამომხმარებლო კალათა. ეს არის კეთილდღეობისა და მომსახურების ნაკრები, რომელიც საკმარისია ადამიანის ნორმალური კვლავწარმოებისათვის, რომელიც ცხოვრობს განსაზღვრული ქვეყნის განსაზღვრულ რეგიონში განსაზღვრულ დროს. ზუსტად კეთილდღეობისა და მომსახურების ეს ნაკრებია, რომელიც ასახავს მოცემული ქვეყნის მოსახლეობის სამომხმარებლო სტანდარტებს და ჩვენი აზრით, წარმოადგენს ადამიანის კვლავწარმოების მატერიალური საფუძვლების რეალიზაციას. სამწუხაროდ, დღევანდელი მოქმედი კანონები არ ითვალისწინებენ ადამიანის კვლავწარმოების ეკონომიკურ საფუძვლებს.

სამომხმარებლო კალათასთან ერთად არსებობს ცხოვრების დონის გამოელენის სხვა ფორმებიც: საარსებო მინიმუმი, სამომხმარებლო ბიუჯეტი.

საარსებო მინიმუმი – საქონლისა და მომსახურების ისეთი ნაკრებია, რომელიც ადამიანს სიკვდილის საშუალებას არ აძლევს, მაგრამ არ უზრუნველყოფს ნორმალურ კვლავწარმოებას. საარსებო მინიმუმი გამოდის გარკვეული ორიენტირის როლში სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას და სოციალურ გარანტიათა სისტემის შემუშავებაში ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის, ინფლაციის, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემის, პირობებში, იმდენად, რამდენადაც ამას ადასტურებს მედიკო – ბიოლოგიური გამოკვლევები – ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანს არ შეუძლია იარსებოს ნორმალურად და დაიკმაყოფილოს ამ მაჩვენებლებით გათვალისწინებული მოთხოვნები ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობისათვის ზარალის მიუყენებლად. საარსებო მინიმუმი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ როგორც ორიენტირი, რომელსაც აუცილებლად უნდა შეესიტყვებოდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე.

საარსებო მინიმუმის გათვლა უნდა გახდეს შემოსავლების დონის პარამეტრების შემუშავების საფუძველი, რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის კოლექტიური ხელშეკრუ-

ლებების, დარგობრივი და ტერიტორიული სატარიფო შეთანხმებების დადებისას. გასათვალისწინებელია, რომ მშრომელთა და მათი ოჯახების ცხოვრების დონის ანალიზისას საარსებო მინიმუმის მოცულობა განიხილება, როგორც საზღვარი, რომლის ქვემოთაც უკვე მოსახლეობის სიღატაკეა. იმ შემთხვევაში, როცა საარსებო მინიმუმი ხელფასსა და სხვა შემოსავლებზე სწრაფად იზრდება, თავს იჩენს ობიექტური წინაპირობა მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემისა.

მოლაპარაკებათა ძალის მქონე გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს რამოდენიმე მომენტის არსებობა, რომელთაც შეიძლება გამოიწვიონ ფირმების ქმედებათა სხვადასხვა ტიპები.

1.ქცევა, რომელსაც შეიძლება ერქვას „მართვის უფლების" მოდელი. ადგილი აქვს ხელფასის მატებასა და დასაქმებულობის კლებას, ასევე სრულდება შრომაზე მოკლევადიანი თანასწორუფლებიანობის პირობა. ფირმასა და თანამშრომელს შორის მოლაპარაკების საგანი ხდება ხელფასის დონე, ხოლო დასაქმებულობის დონის განსაზღვრა ფირმის ფუნქციებში რჩება.

საწარმოს ამგვარი ქცევის მიზეზი შეიძლება გახდეს მესაკუთრე ინსაიდერთა ჯგუფის საწარმოს მუშაკთა საერთო რაოდენობაში-ინსაიდერთა კონცენტრირებული საკუთრება. სახელმწიფო მოცემულ პირობებში არ იჩენს საკმარის აქტივობას გადაწყვეტილებათა მიღებაზე. იმ შემთხვევაში თუ პროფკავშირის მიზანს წარმოადგენს თავისი წევრების საკმარისი ხელფასით უზრუნველყოფა, ხოლო საწარმოს, რომელიც თავის მოღვაწეობას აგებს შემოსავლების გაზრდაზე, ენიჭება უფლება განსაზღვროს თავის თანამშრომელთა რიცხვი, ასეთ შემთხვევაში კონტრაქტების მრუდი ემთხვევა მრუდს შრომის მოთხოვნილებაზე (ხელფასი ურდის ზღვრულ შრომის პროდუქტს).

• „შედეგთა სოციალურად ეფექტური ნაკრების" აღმოცენება, რომელიც შეესატყვისება შრომის ეფექტურ განაწილებას. ამ შემთხვევაში ხელფასის გაზრდა (შემოსავლის შესაბამისი შემცირება) შეეფარდება დასაქმებულობის მუდმივ დონეს. გარდამავალი ეკონომიკის ამგვარი ქმედება დამახასიათებელია ისეთი სიტუაციისათვის, როცა დასაქმებულობის დონის შენარჩუნებით ერთდროულად დაინტერესებული არიან მუშაკები, მენეჯერები, პროფკავშირები და სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფის, რომ არ დაუშვას უმუშევრობა.

• ხელფასის მატების საპასუხოდ ფირმა ამცირებს დასაქმებულობას, მაგრამ ხელფასი შრომის ზღვრული პროდუქტის ქვედა დონეზეა. ეს სიტუაცია განისაზღვრება, როგორც „სამუშაო ძალის გადინების დანახარჯი". ის შეიძლება განიმარტოს, როგორც ფირმის შესაძლებლობა სახელფასო გადაწყვეტილების მიღებისას გადაანაწილოს თანამშრომლებზე ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის გადინებასთან. ამგვარი სიტუაცია ადასტურებს, რომ მოლაპარაკების დროს ფირმას მუშაკებთან შედარებით ბევრად დიდი ძალა გააჩნია.

ტერიტორიის „კსპ"-ს პოლიტიკის ამაღლების რეალიზაციის ერთ-ერთი ეფექტური პირობაა პოლიტიკის ურთიერთკავშირი უწყვეტად განხორციელებულ წინმსწრებ პროგნოზულ გამოკვლევებთან. მისი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს ოპტიმალურ მართვით გადაწყვეტილებებს, დროული წინმსწრები ინფორმაციის საფუძველზე პროგნოზირებადი ობიექტების შესაძლო პერსპექტიულ ცვლილებებს, შედეგთა მიღების ხერხებს, ნეგატიურ პროცესთა და მოვლენათა თავიდან აცილებას.

ამასთანავე არ შეიძლება დეპრესიულ ტერიტორიათა ყველა პრობლემა განიხილოს მხოლოდ სუბიექტური ფაქტორებით. ობიექტური კანონზომიერებანი, რომლებიც განაპირობებენ ნეგატიური სიტუაციების წარმოქმნას, მართებულია გამოკვლეულ იქნეს ეკონომიკური ანალიზის ისეთი თანამედროვე პროგნოზული მეთოდებით, როგორიც მოდელირებაა.

შრომისა და მოლაპარაკების პროცესის მოდელზე მოთხოვნილებათა დინამიური მოდელირების მოდელთა დახმარებით შეისწავლება საწარმოს თანამედროვე სამეურნეო პირობებთან შიდა ინსტიტუციონალური ფაქტორების ზეგავლენით ადაპტაციის მეთოდი, მისი დამოკიდებულება საწარმოს შიდა მახასიათებელზე. ავტორთა მიერ წარმოდგენილი ეკონომეტრიული ანალიზი დაფუძნებულია 370 მსხვილ და საშუალო საწარმოთა მონაცემთა პანელზე.

ფირმათა ქმედების შესაძლო ვარიანტთა კლასიფიკაციისათვის ამოსავალ აბსტრაქტულ წერტილად განიხილება შრომაზე მოკლევადიანი მოთხოვნის წონასწორობის წერტილი შრომის კონკურენტული ბაზრის პირობებში, როცა დაცულია წონასწორობა ანაზღაურებასა და შრომის პროდუქტის ზღვრულ შემოსავალს შორის შემოსავლის მაქსიმიზაციის პირობებში (დანახარჯთა მინიმიზაცია). ამ სიტუაციას შეესატყვისება მუშებისათვის მინიმალურად მისაღები ხელფასი და მისთვის შესაბამისი თანამდებობა.

რამდენიმე მხარის არსებობამ, რომელიც ახდენს გავლენას იმ გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელსაც გააჩნია მრავალმხრივ მოლაპარაკებათა ძალა, შეიძლება გამოიწვიოს ფირმის ქმედებათა განსხვავებული ტიპები.

1. ქცევა, რომელიც აღწერილია, როგორც მოდელი, „მართვის უფლება“. ხდება ხელფასის მომატება და დასაქმებულობის კლება, ამავე დროს ხდება შრომაზე მოთხოვნილების მოკლევადიანი თანასწორობის პირობის შესრულება. ფირმათა და მუშაკთა შორის მოლაპარაკების საგანი ნარმოადგენს ხელფასის დონეს, ხოლო დასაქმებულობის ზღვარის განსაზღვრა ფირმის ფუნქციებში რჩება.

საწარმოთა ასეთი ქცევის მიზეზი შეიძლება გახდეს მესაკუთრე ინსაიდერთა დაბალი წილი მის მუშაკთა საერთო რიცხვში-ინსაიდერთა კონცენტრირებული რაოდენობა. სახელმწიფო მოცემულ სიტუაციაში არ ახდენს შესაფერის აქტიურობას გადაწყეტილების მიღებაზე გავლენის მოსახდენად. იმ შემთხვევაში თუ პროფკავშირების მიზანს წარმოადგენს თავისი წევრების ღირსეული ხელფასით უზრუნველყოფა, ხოლო სანარმოს მიზანს კი, რომელიც ორიენტირებულია თავისი შემოსავლის ზრდაზე, ეძლევათ უფლება, მოახდინონ თავიანთი მშრომელების რაოდენობის განსაზღვრა, ხელშეკრულებათა მრუდი ემთხვევა შრომაზე მოთხოვნილებათა მრუდს(ხელფასი უდრის შრომის ზღვრულ პროდუქტს).

2. „სოციალურად ეფექტურ გამოსავალთა ნაკრების“ აღმოცენება(კონტრაქტებისა), რომელიც შეესაბამება შრომის ეფექტურ განაწილებას. ამ შემთხვევაში ხელფასის მომატება (და შესაბამისი შემოსავლის კლება) შეესაბამება დასაქმებულობის მუდმივ დონეს. გარდამავალ ეკონომიკაში ამგვარი ქმედება დამახასიათებელია ისეთი სიტუაციისათვის, როცა დასაქმებულობის დონის შენარჩუნებაში ერთდროულად დაინტერესებულები არიან მუშები, პროფკავშირები, სახელმწიფო – რომელიც მიისწრაფვის უმუშევრობის აღმოფხვრისაკენ და მენეჯერები.

3. ანაზღაურების გაზრდის კვალობაზე ფირმა ამცირებს დასაქმებას, მაგრამ ანაზღაურება არის შრომის პროდუქტის ზღვრულ ნორმაზე ქვემოთ. ეს სიტუაცია განისაზღვრება როგორც „სამუშაო ძალის გადინების დანახარჯი“.

ემპირიული ანალიზის მონაცემებით შეიძლება შეფასდეს სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის გავლენა შრომის ბაზარზე გადაწყვეტილების მიღების მოდელზე. მთელი პერიოდის განმავლობაში იმ საწარმოთა ქცევის მოდელი, რომლებიც სარგებლობენ და არ სარგებლობენ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, მთლიანად შეესაბამება მოდელს „მართვის უფლება“, მაგრამ არსებობს ხელფასის მოცულობაზე და ანაზღაურებაზე ზოგიერთი განსხვავება მოკლევადიანი დასაქმების ელასტიურობის კოეფიციენტების მნიშვნელობებს შორის.

# კლასტერების როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

## 12.1. კლასტერების მნიშვნელობა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

კონკურენტუნარიანობის თეორიის კონცეფციების განხილვის შედეგად შესაძლებელია გამოიკვეთოს სამი წამყვანი სკოლა, რომლებიც აყალიბებენ კონკურენტუნარიანობის საერთო თეორიას. ეს სკოლებია ამერიკული, ბრიტანული და სკანდინავიური. კონკურენტუნარიანობის თეორიის ამერიკული სკოლა ჩამოაყალიბა მ. პორტერმა, მ. ენროტმა და სხვა მკვლევარებმა და იგი უმეტესწილად ორიენტირებულია კონკურენტუნარიანობის განვითარების პროგრამების პრაქტიკულ ასპექტებზე მსოფლიო მეურნეობაში.

მ. პორტერის ნაშრომებში ჩამოყალიბებულია კონკურენტული უპირატესობების რომზის თეორია, სამრეწველო კლასტერების, ერის ეკონომიკური განვითარების ოთხი სტადია და სხვა. ხოლო, მ. ენროტის რეგიონული კლასტერების კონცეფციაში იკვეთება წარმოების ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა ფორმები.

კონკურენტუნარიანობის თეორიის ბრიტანული სკოლა ძირითადად შეისწავლის განვითარებადი ქვეყნების პოზიციებს კონკურენციის პირობებში და აგრეთვე ტრანსნაციონალური კომპანიის როლის საკითხებს, როგორც ქვეყნების ეკონომიკაში, ასევე მათ ფუნქციონირებას რეგიონულ კლასტერებში. ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია ჯ. დანინგი, რომელმაც შეიმუშავა დამატებები მ. პორტერის კონკურენტული უპირატესობების რომბისადმი. ამავე სკოლის წარმომადგენლებმა რ. კაპლინსკიმ, ჯ. ხემფრიმ და ხ. შმიტცმა შეისწავლეს ღირებულებების დანამატის საკითხების გლობალური ურთიერთკავშირები რეგიონულ და ლოკალურ კლასტერებთან. ამავე სკოლას ეკუთვნის კ. ფრიმენი, რომელმაც ჩამოაყალიბა კონცეფცია ტექნო-ეკონომიკური პარადიგმის შესახებ მსოფლიო მეურნეობის ციკლურ განვითარებაში. კონკურენტუნარიანობის თეორიის სკანდინავიური სკოლა ძირითადად აწარმოებს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის კვლევებს, რომლებიც ორიენტირებულია დასავლეთ, ჩრდილოეთ ევროპის მცირე ქვეყნების ეკონომიკასა და საზოგადოების მოთხოვნებზე დაკავშირებით ცვალებად მსოფლიო მეურნეობაში. აღნიშნული სკოლის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დანიელი მკვლევარების ბ. ო. ლუნდვალის და ბ. იანსონის კვლევები, მიძღვნილი ინოვაციების რაციონალური სისტემის და სწავლების ეკონომიკის კონცეფციის დამუშავებისადმი.

აღსანიშნავია, რომ „კლასტერს", როგორც ტერმინს იყენებენ სხვადასხვა კომპანიების თამოყრის შემთხვევაში, რომლებიც არ ახორციელებენ ინფორმაციულ გაცვლას ერთმანეთთან და არ გააჩნიათ ინოვაციური საქმიანობის ხელოვნური ფორმები, მაგალითად ტექნოპარკები.

ტერმინების ამგვარი აღრევა პროცესების აღნიშვნისას რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული მახასიათებლები, ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკაზე. ეფიქრობთ, მიზანშეწონილია კლასტერების ტერმინოლოგიის განსხვავება მათში სივრცული შემადგენლის მიხედვით. კერძოდ, იგულისხმება არასივრცული (სამრეწველო და ნაციონალური) და სივრცული (რეგიონალური, ლოკალური და ტრანსმოსაზღვრე) კლასტერები. ასე მაგალითად, სამრეწველო (ნაციონალურ) კლასტერში უნდა მოიაზრებოდეს ჯგუფი მონათესავე დარგებისა, მაგალითად, აგროსამრეწველო კომპლექსი და მომსახურების სფერო, რომლებიც წარმატებით სპეციალიზირდებიან შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. რეგიონულ (ან ლოკალურ) კლასტერში უნდა იგულისხმებოდეს მონათესავე დარგების კომპანიათა ჯგუფი, რომელიც კონცენტრირებულია გარკვეულ რეგიონში და აწარმოებს მსგავს პროდუქციას და ახდენს ინფორმაციის გაცვლას ურთიერთშორის.

ვინაიდან კლასტერების კონცეფცია და ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსის (ტსკ) თეორია ხშირად წარმოუდგენიათ როგორც ანალოგები, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული კლასტერები და ტსკ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

მიგვაჩნია, რომ წარმოების ტერიტორიალური ორგანიზაციის ფორმების კლასიფიკაცია მართებული იქნება დავუშვათ ორ პარამეტრს: წარმოების ორგანიზაციის ფორმა, როდესაც მათი ჩამოყალიბება ხდება საბაზრო ძალების სივრცული ორიენტაციით. ამ ჯგუფს მიეკუთვნება რეგიონული და ლოკალური კლასტერები, ხოლო მეორე ჯგუფში გაერთიანებული არიან ტსკ-ები, ტექნოპარკები, სამეცნიერო პარკები, ბიზნესინკუბატორები და სხვა. ანუ სივრცული ორგანიზაციები შექმნილი ხელისუფლების ორგანოების მიერ. თანამედროვე პირობებში მცირე ქვეყნებში განსხვავდებიან კონკურენტუნარიანობის მაღალი დონით და სტაბილურად განვითარებადი ეკონომიკით. მას ადას-

ტურებს 12 ინტეგრირებული ინდექსის, 8 რეიტინგის და 4 კოეფიციენტის ანალიზი და აგრეთვე სხვა სტატისტიკური ინდიკატორები. მცირე ქვეყნებს შორის განასხვავებენ მცირე მაღალგანვითარებულ 11 ქვეყანას და 2 (საბერძნეთი, პორტუგალია) საშუალო განვითარებულ ქვეყნებს.

XXI საუკუნეში ყველაზე კონკურენტუნარიან მცირე ქვეყანას მიეკუთვნება ფინეთი, რომელიც 1998-2002 წ.წ. განმავლობაში მყარად ეკავა მეორე ადგილი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგებში. ევროპის მცირე ქვეყნებს, რომლებსაც უკავიათ ხმელეთის 1,3% და გააჩნიათ 1,5% მსოფლიო მოსახლეობისა, იძლევიან მსოფლიოს მშპ-ს 6,5%. მათი ექსპორტი შეადგენს მსოფლიო ექსპორტის 15,5%, ხოლო იმპორტი 14%. მცირე ქვეყნების უმეტესობას გააჩნიათ საგარეო ვაჭრობის დადებითი სალდო, ყველა მცირე ქვეყანას საბერძნეთისა და პორტუგალიის გარდა აქვს შრომის საერთაშორისო დანაწილების და ექსპორტის ერთ სულ მოსახლეზე მაღალი კოეფიციენტები. ამ ქვეყნების „გახსნილობის" მაღალი მაჩვენებლები დასტურდება გლობალიზაციის ინდექსით. 2002 და 2003 წ.წ. ირლანდიას ამ მაჩვენებლებით I ადგილი ეკავა, ხოლო 9 მცირე ქვეყანა შედიოდა მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებული 15 ქვეყნის რიცხვში. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი მცირე ქვეყნებს 2,5% უფრო მაღალი აქვს, ვიდრე მსხვილ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს.

ქვეყნების კონკურენტუნარიანობის დახასიათებისათვის საერთაშორისო პრაქტიკაში იყენებენ ოთხ ფაქტორს „სახელმწიფოს", „საკელე ორგანიზაციებს", „ტრანსნაციონალურ კორპორაციებს" და „მცირე და საშუალო წარმოებებს".

ეს ოთხი ფაქტორი ქმნის სისტემას, რომელშიც წამყვან როლს თამაშობს „სახელმწიფო", ანუ პირველი ფაქტორი კონკურენტუნარიანობისა. „სახელმწიფო" ევროპის მცირე ქვეყნებში ახორციელებს სერიოზულ ზემოქმედებას ქვეყნის ეკონომიკაზე, მაგრამ ამავე დროს უზრუნველყოფს ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონეს მსხვილ მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით და დაბალ დონეს ბიუროკრატიზმისა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით. მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტის „სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის" რეიტინგის მიხედვით 10 მცირე ქვეყანა ბელგიის, საბერძნეთისა და პორტუგალიის გარდა იმყოფებოდა საუკეთესო 20 ქვეყნის შემადგენლობაში. სახელმწიფოს აქტიური ზემოქმედება განისაზღვრებოდა ორიგინალური მოდელების გამოყენებით მცირე ქვეყნების განვითარებისათვის. ასეთი მოდელის მაგალითს წარმოადგენს სკანდინავური მოდელი, რომელმაც აღიარება მოიპოვა მსოფლიოში ან „ავსტრიკეინსიანული" მოდელი. ბოლო პერიოდში ყურადღებას იმსახურებს მოდელი „კელტური ვეფხვი" ირლანდიაში.

საკუთარი მიზნების მიღწევისათვის გეოეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება და ევროპის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობა საშუალებას აძლევს მცირე ქვეყნებს მსხვილ ქვეყნებთან თანასწორუფლებიანად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში. მცირე ქვეყნებში სახელმწიფოს მთავარ ფუნქციად აღიარებულია ეკონომიკური ფუნქციონირების საბაზრო პირობების უზრუნველყოფა და მათ შორის განათლების სისტემის სრულყოფა. საკუთარი მაღალკვალიფიციური კადრების ფორმირება მცირე ქვეყნების მთავრობათა პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს, რადგან მაღალკვალიფიცირებული კადრების იმპორტის შესაძლებლობები შეზღუდულია. ამიტომ დანახარჯები განათლებაზე ევროპის ყველა მცირე ქვეყანაში მშპ-ის 4,5% დაბლა არ იგეგმება.

მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-ტექნიკურ პარკებში და კერძო კომპანიების საკელე განყოფილებებში უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის მეორე ფაქტორის „საკლევი ორგანიზაციები"-ს მყარ პოზიციას. სამეცნიერო საკლევ და საკონსტრუქტორო სამუშაოთა (სსსს) სფეროს განვითარებით მცირე ქვეყნები საბერძნეთისა და პორტუგალიის გარდა იმყოფებიან მსოფლიო ლიდერებს შორის. მცირე ქვეყნების წარმატებულ ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს ეკონომიკის ინოვაციურობა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანალიზის თანახმად ევროპის ყველა მცირე ქვეყანა ლუქსენბურგის, საბერძნეთის და პორტუგალიის გარდა, მიეკუთვნება მსოფლიო მეურნეობის საკვანძო ინოვატორ ქვეყნების რიცხვს. შვეიცარია, შვედეთი, ფინეთი და დანია მიეკუთვნებიან ყველაზე უფრო ინოვაციური 10 ქვეყნის რიცხვს. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოც, რომ მცირე ქვეყნების ინოვაციური პოტენციალი საშუალებას აძლევს მათ კონკურენცია გაუწიონ მსხვილ ქვეყნებს, მხოლოდ მეურნეობის ვიწრო დარგებში, ხოლო დანარჩენი დარგებისათვის „ნოუ-ჰაუს" შეძენა საზღვარგარეთ.

თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს ასოციაციები, რომლებიც აერთიანებენ და კოორდინაციას უწევენ მათ საქმიანობას, რითაც ამაღლებენ ახალი საინოვაციო კომპანიების სიცოცხლისუნარიანობას და სამომავლო განვითარებას. ფინეთის „ნახტომის" ახსნა მაღალგანვითარებული ქვეყნების

რიცხვში შესაძლებელია სახელმწიფოს მკაფიო პოლიტიკით წარმოებისა და სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა სფეროში საინფორმაციო ფირმის საორგანიზაციო ქსელის შექმნით ქვეყნის უმრავლეს რეგიონებში (ტექნოპარკები და ცოდნის ცენტრები). ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდი როლი ითამაშეს ხელისუფლების რეგიონულმა და ლოკალურმა ორგანიზაციებმა, რომელთა კომპეტენციაშია ინოვაციური განვითარების სტრატეგიის შექმნა და რეალიზაცია. მცირე ქვეყნები ხასიათდებიან მსხვილი ტნკ-ის მცირე რიცხვით, მაგრამ ისინი ღებულობენ სახელმწიფოს მხარდაჭერას. მცირე ქვეყნებს შორის ტნკ-ის მაღალი კონცენტრაციით ხასიათდებიან ნიდერლანდები, შვეიცარია და შვედეთი. ტნკ მცირე ქვეყნებში წარმოადგენენ ეკონომიკის მთავარ „ლოკომოტივებს". მათ ფუნქციონირებაზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკის ინოვაციურობა. მაღალი ინტერნაციონალიზაციის ხარჯზე ისინი პრაქტიკულად თანაბრად უწევენ კონკურენციას მსხვილი ქვეყნების ტნკს. მცირე ქვეყნების წილი მსოფლიო ინვესტიციებში შეადგენს 21,3% და 15-ჯერ აჭარბებს ამ ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობას მსოფლიო მოსახლეობის შემადგენლობაში. შვეიცარია წარმოადგენს მსოფლიოში ერთერთ მსხვილი კაპიტალის ექსპორტიორს. საკმაოდ მაღალი ადგილი უკავია კაპიტალის ექსპორტში ფინეთს, შვედეთს, ნიდერლანდებს, ნორვეგიას, მაგრამ უცხოური ტნკ-ის გავლენით. სწორედ ზემოთ აღნიშნული საქმიანობის კომპლექსი წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მესამე ფაქტორს. მცირე და საშუალო საწარმოები ანუ, როგორც კონკურენტუნარიანობის მეოთხე ფაქტორი, გეოგრაფიულად კონცენტრირდებიან კლასტერებში. კლასტერი ხასიათდება განსაკუთრებული ინოვაციური გარემოთი, ჰორიზონტალური კავშირების განვითარებით და გაძლიერებული კოოპერაციით ფირმებს შორის, რაც ზრდის კონკურენტუნარიანობას. მცირე ქვეყნები გადაიქცნენ კონკურენტუნარიანობის გაზრდის კლასტერული პოლიტიკის პიონერებად. ამისათვის მცირე ქვეყნების მთავრობებმა წინასწარ შეისწავლეს მცირე და საშუალო საწარმოების კლასტერიზაციის პრობლემები, რისთვისაც იყენებდნენ ექსპერტების მოსაზრებებს, სპეციალურ ინდიკატორებს, გამოკითხვებს ვაჭრობის და ინოვაციური საქმიანობის გამოცდილებას, შესწავლას და სხვა.

კლასტერული პოლიტიკის გატარების ინიციატორად შეიძლება გამოვიდეს, არა მარტო მართვის ცენტრალური ორგანოები, არამედ რეგიონული ხელისუფლება ან მეწარმეთა ადგილობრივი გაერთიანებები. აღნიშნულმა მიდგომებმა მიიღო კლასტერული ინიციატივების სახელწოდება. მკვლევარებმა 2003 წელს ჩაატარეს გამოკვლევა. სულ 509 ინიციატივიდან 238-მა მონაწილეობა მიიღო კელევით გამოკითხვებში. ქვეყნების მიხედვით ისინი განაწილებულია შემდეგნაირად: ახალი ზელანდია-32 კლასტერული ინიციატივა; აშშ-28; დიდი ბრიტანეთი-25; იაპონია-20; ავსტრალია, ავსტრია და ესპანეთი ცამეტ-ცამეტი; ფინეთი და შვეცია თერთმეტ-თერტმეტი, ბელგია და დანია-8; უნგრეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი ხუთ-ხუთი; კანადა და ნორვეგია-4; კვიპროსი, მონღოლეთი, თურქეთი და ესტონეთი ორ-ორი; ირლანდია, ესპანეთი, ლატვია, ლიტვა, მალაიზია, პოლონეთი, ჩილე და შვეიცარია ერთ-ერთი კლასტერული ინიციატივა. სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებით 32% შემთხვევაში იწყებოდა კლასტერული ინიციატივები, 27% შემთხვევაში კლასტერული ინიციატივა მოდიოდა კერძო მეწარმეებიდან, 35% კი – ორმხრივი ინიციატივები.

კლასტერული ინიციატივების უმრავლესობას გააჩნია საკუთარი მენეჯერი ან მენეჯერთა მთელი გუნდი. უმრავლესობა კლასტერის მენეჯერებს გააჩნიათ კლასტერის შემადგენლობაში მყოფ ერთერთ ფირმაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მენეჯერები გადაწყვეტილების მიღებისას აქტიურად ითვალისწინებენ კლასტერული ინიციატივების ყველაზე მეტად გავრცელებულ მიზნებს.

ამასთან მეცნიერებმა შეიმუშავეს კლასტერული ინიციატივის მენეჯერთა ქცევის სქემა, რომელიც შედგება 12 ეტაპისაგან:

1. რეგიონში კლასტერის საჭიროების ახსნა;
2. კლასტერის იდენტიფიცირება;
3. სანყისი ანალიზი;
4. გუნდის ჩამოყალიბება;
5. სასურველი შედეგების განსაზღვრა;
6. სასურველი შედეგის მიღწევისათვის მოქმედების გეგმის შედგენა;
7. გადაუდებელი მოქმედების გეგმის შედგენა;
8. კლასტერული ინიციატივის დაწყება;
9. კლასტერის განვითარების ფორმალიზება;
10. კლასტერის განვითარების გეგმის სრულყოფა;
11. კლასტერის განვითარების შეფასება;
12. სხვა კლასტერულ ინიციატივებთან კლასტერის ფუნქციონალური შეერთება;

## 12.2. დამატებული ღირებულების ჯაჭვის და კლასტერის ურთიერთქმედების კონცეფცია

კლასტერის კონცეფციის და დამატებული ღირებულების ჯაჭვის კონცეფციის განხილვისას, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ კლასტერები ხაზს უსვამენ კავშირებს ლოკალურ დონეზე, ხოლო დამატებული ღირებულების ჯაჭვების კავშირების კონცეფცია-გლობალურ დონეზე. აღნიშნული კონცეფციების გაერთიანება გამოიყენება, ქვეყნების კონკურენტუნარიანობის პროცესების ამაღლების ახსნისთვის.

მსოფლიო ეკონომიკაში „ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლების" ცნება, ხამფრის და შმიტსის შრომებში იცვლება ცნება „სრულყოფილებით". ისინი გამოყოფენ სრულყოფილების 3 განსხვავებულ სახეობას:

1. წარმოების პროცესის სრულყოფილება-გულისხმობს, კომპანიის რეორგანიზაციას მთელი საწარმოო სისტემებით, არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების და სანარმოო ხარჯების შემცირების მიზნით. მათ შორის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით;

2. წარმოებული პროდუქციის სრულყოფილება-აქ იგულისხმება უფრო ღირებული და დიფერენცირებული საქონლის გამოშვება, რაც მიიღწევა ახალი სანარმოო ხაზების დანერგვით.

3. ფუნქციონალური სრულყოფილება-რომლის ქვეშაც იგულისხმება წარმოების მიერ ახალი ფუნქციების ათვისება (ახალი პროდუქციისათვის დიზაინის შეცვლა, მარკეტინგი და სავაჭრო ნიშნის სრულყოფა), ან კიდევ ძველ ფუნქციებზე უარის თქმა, წარმოების ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

მეორე საკითხი შეეხება მართვის საშუალების განსაზღვრას, ღირებულების დამატების გლობალურ კავშირში მართვა აუცილებელი მრავალი მიზეზის გამო. პირველი, განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა, მიიღონ დაშვება განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე. მეორე წარმოების პროცესში გამოიყოფა კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საკუთარი წარმოების სრულყოფისათვის. მესამე, მართვის პროცესის გაგება ეხმარება შემოსავლების გადანაწილების პრინციპების გაგებას. მეოთხე, მთავრობის მიერ სამრეწველო პოლიტიკის გატარება, უნდა ეყრდნობოდეს ზუსტ ინფორმაციას ადგილობრივი მწარმოებლების როლზე გლობალურ დამატებულ ღირებულების ჯაჭვში.* მეხუთე, მართვის განსხვავებული ფორმები განსაზღვრავენ სახელმწიფოს დიფერენცირებულ მიდგომას საკუთარი კომპანიების საჭიროებებისადმი.

დამატებული ღირებულების ჯაჭვის მართვის პროცესი, წყვეტს ოთხ მთავარ საკითხს:

1. რა უნდა ვაწარმოოთ? აქ განხილული უნდა იქნას მომსახურეობის სფეროს საქონლის მახასიათებლები;

2. როგორ ვაწარმოოთ ის? ფირმები, რომლებიც შედიან ღირებულების დამატებულ ჯაჭვში და ლოკალური კლასტერები, აუცილებლად წყვეტენ იმ სანარმოო მეთოდებს, ხარისხის სტანდარტებს, ეკოლოგიურ ნორმებს, რომლებიც აუცილებელია ახალი საქონლის წარმატების ან მომსახურეობის გაწევისათვის.

3. სად უნდა იქნას წარმოებული საქონელი და მომსახურეობა გაწეული? წარმოების სწორად განლაგების საკითხი, ბევრად განსაზღვრავს მთელი წარმოების წარმატებულობას;

4. რა რაოდენობის საქონლის წარმოება და მომსახურეობის გაწევაა აუცილებელი? ღირებულების დამატების ჯაჭვის ყველა მონაწილეები, ასევე უნდა გაერკვნენ როდის და სად უნდა იქნას მიწოდებული პროდუქცია.

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია, დამატებული ღირებულების ჯაჭვის (დღჯ) მონაწილეებს შორის კორექტულობის და სწორად ორგანიზების საკითხი. დ. ხამფის და ხ. შმიტსის მიერ გამოყოფილ იქნა ღირებულების დამატების ჯაჭვის ურთიერთკავშირის ოთხი ძირითადი ტიპი. ისინი განსხვავებულად ზემოქმედებენ ცალკეული მწარმოებლების კონკურენტუნარიანობაზე და მოითხოვენ განსხვავებულ მიდგომას ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთქმედების ოპტიმიზირებისათვის. ურთიერთქმედების ეს ოთხი ტიპია:

1. საბაზრო ურთიერთობა „გაწვდილ ხელთან მიმართებაში ";
2. ქსელური ურთიერთკავშირი;
3. კვაზი-იერარქიული ურთიერთკავშირი;
4. იერარქიული ურთიერთკავშირი.

საბაზრო ურთიერთობა ხელის გაწვდენის მანძილზე ხასიათდება იმით, რომ მყიდველი და მწარმოებელი დღჯ არ ამყარებენ მჭიდრო კავშირებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც მყიდველის მოთხოვნის

* Humprey. Schmitz, 2002 b. p. 1

დაკმაყოფილება შეუძლიათ მომწოდებლების ბევრ რაოდენობას. მსგავსი სიტუაცია გვხვდება ისეთ დარგებში, რომლებიც აწარმოებენ სტანდარტიზებულ პროდუქციას, ნაკლები მეცნიერებატევადი ხარჯებით.

ქსელური ურთიერთკავშირებით ფირმები ამყარებენ უფრო მჭიდრო კავშირებს, ეყრდნობიან რა ინფორმაციულ ნაკადებს. ფირმებს შორის ურთიერთობა ხასიათდება ურთიერთსარგებლიანობით, ხშირად ფირმები ერთმანეთს ავსებენ წარმოების პროცესში. აღნიშნულ შემთხვევაში მყიდველი აწესებს პროდუქციის სტანდარტებს, მათი დაცვა აუცილებელია მიმწოდებლისათვის. ყოველივე ეს ეხმარება ფირმებს დარჩნენ კონკურენტუნარიანი და არ დატოვონ დღჯ.

კვაზი-იერარქიულ ურთიერთკავშირებში ერთი ფირმა (ჩვეულებრივ მყიდველი) აწესებს მნიშვნელოვან კონტროლს დღჯ-ზე. ის განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის სტანდარტებს და საწარმოო პროცესებს. აღნიშნულ შემთხვევაში ყველა ფირმის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მთავარი ფირმის კონკურენტუნარიანობაზე, რადგანაც სწორედ მთავარი ფირმა განსაზღვრავს, წარმოების პროცესთან დაკავშირებულ ყველა საკითხებს.

იერარქიული ურთიერთკავშირი გულისხმობს პირდაპირი კონტროლის არსებობას, ერთ-ერთი მთავარი ფირმა-შემსყიდველის მხრიდან. ის ხორციელდება კომპანია-მწარმოებლებიდან შუალედური პროდუქციის შესყიდვის გზით. წუნდებული პროდუქციის მიწოდების შესაძლო რისკებს, შეუძლიათ შეამცირონ კომპანიის ბრენდის ღირებულება. აღნიშნულის რისკის შესამცირებლად დღჯ მმართველი მიმართავს მმართველობის მკაცრ ფორმებს.

კლასტერების და ღირებულების დამატების ჯაჭვის კონცეფციები, გულისხმობს მრავალ მიდგომას, მათი მიზანია საკუთარი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება. განსხვავება მათ შორის ნათლად ჩანს ჩვენს მიერ მოტანილი ცხრილიდან (იხ. ცხრილი 12.2.1).

ცხრილი 12.2.1.

**კლასტერების და ღირებულების დამატების ჯაჭვების სრულყოფა დ. ხამფირის და ხ. შმიტცის მიხედვით***


| | კლასტერები | ღირებულების დამატების |
|---|---|---|
| მმართველობა ლოკალურ დონეზე | მკაცრი ადგილობრივი მმართველობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფირმათაშორისი კოოპერაცია და კავშირი კერძო და სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებთან | ფირმებისშორისი კოოპერაცია, მცირე და საშუალო საწარმოების შორის ურთიერთობების პოლიტიკა არ არის თეოტეტიზირებული |
| ურთიერთობა გარე სამყაროსთან | გარე კავშირები არა თეორეტიზირებული, ან დამყარებულია „გაწვდილი ხელით დგომის" პრინციპით მოქმედებაზე | ჯაჭვს შიგნით არსებული მკაცრი მმართველობა, საერთაშორისო ვაჭრობა იმართება ფირმებს შორის არსებული ქსელებით, რომლებიც დამყარებულია კვაზის – იერარქიულ ურთიერთობებზე |
| სრულყოფილება | ფირმებს შორის ინოვაციების გავრცელებაში, მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ შეასრულონ ლოკალურმა ინოვაციურმა ცენტრებმა | დამატებით სრულყოფილება მიიღწევა ახალი სტრატეგიის „ფირმა – ლიდერის" შემუშავებით. ის შეიძლება იყოს ჯაჭვში ან მოხდეს დღჯ მონაწილეების შორის ფუნქციების გადანაწილებით |
| კონკურენტუნარიანობის მიღწევის ძირითადი მეთოდები | კლასტერებს შიგნით წარმოების კოლექტიური ეფექტურობის განვითარება | დაშვების მოპოვება განსხვავებულ დღჯ, მთავარ შემსყიდველებთან კავშირების განვითარება |

რა სახით შეიცვლება კლასტერების კონკურენტუნარიანობა მათი ჩართვისას დამატებული ღირებულების ჯაჭვში?

* წყარო: Humprey, Schmitz, 2002 b, p.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა გაანალიზდეს კავშირები მცირე და საშუალო კლასტერებს, საექსპერტო სააგენტოებს შორის. ასევე, კლასტერებში განთავსებულ პროდუქციის მყიდველებს, უცხოეთში მყოფებს და საცალო ვაჭრობაში სპეციალიზებულ კომპანიებს შორის.

სქემა 12.2.1. ლოკალური კლასტერის და დამატებული ღირებულების ჯაჭვს შორის ურთიერთკავშირების სქემა*



ლოკალური კლასტერის ჩართვისას კვაზის-იერარქიულ დღჯ, კლასტერულ ფირმებს ექმნებათ კარგი პირობები წარმოების პროცესის სრულყოფისათვის. ამაზე მეტყველებს შემდეგი მაგალითი - ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ტაივანელმა მწარმოებლებმა, დასაწყისში შეცვალეს ევროპელი მწარმოებლები დღჯ შრომატევად სტადიებზე, ხოლო შემდეგში კი, მოახერხეს გადაწყობა და იგივე ფუნქციების გადაცემა ჩინური ფირმებისათვის, კიდევ უფრო იაფი სამუშაო ძალით.

ევროკავშირის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხელშემწყობი პროგრამის შემოღებამდე, საბოლოო პროდუქციის ძირითადი დამატებული ღირებულება რჩებოდა პროდუქციის მოყვანაზე და მის კონსერვებაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ავსტრალიაში, რომელთაც გააჩნდათ მაღალპროდუქტიული აგროსამრეწველო კომპლექსი. 1980-იანი წლების დასაწყისში შემოღებულ იქნა საკუთარი მწარმოებლების მხარდამჭერი მიზანმიმართული პოლიტიკა. ის გამოიხატებოდა იმპორტზე შეღავათების დაწესებასა და დოტაციის გადახდაში (განსაკუთრებით კი საბერძნეთისათვის, ევროკავშირში შესვლის შემდეგ 1981 წელს). შედეგად, მოხდა მაღალგანვითარებული ქვეყნების ფირმების სასარგებლოდ შემოსავლების გადანაწილება (იგულისხმება პროდუქტების მომყვანი და მათი დამკონსერვებელი ფირმები). გარდა ამისა შემოსავლები ნაწილდება იმ ფირმების სასარგებლოდ, რომლებიც იმყოფებიან ღირებულების დაგროვების საბოლოო სტადიაზე. საქმე იმაშია, რომ დაკონსერვებული პროდუქტების ბაზარი აგებულია, აღიარებულ ბრენდებზე-მყიდველები არ ყიდულობენ უცნობი დასახელების ანალოგიურ პროდუქტებს. სუპერმარკეტების ევროპული ქსელები იხდიდნენ 54% ცნობილი ბრენდების სასარგებლოდ. მაშინ, როდესაც მხოლოდ 22% ნაკლებადცნობილ ბრენდებზე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის და ავსტრალიის წარმომადგენლები შეეცადნენ გამოესყიდათ, რამოდენიმე ცნობილი მარკა, მაგრამ აღნიშნული მცდელობები წარუმატებლად დასრულდა. ასე მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მიიღო „დელ მონტეს" ბრენდის გამოყენების უფლება მხოლოდ მესამე სამყაროს ქვეყნისათვის, სადაც ბრენდები ნაკლებ როლს ასრულებენ. მიუხედავად გაყიდვების გაზრდისა, ბრენდისგან მიღებულმა შემოსავალმა ვერ შესძლო ხარჯების დაფარვა ლოიალტზე. დღჯ დაკონსერვებული პროდუქტების შემოსავლების გადანაწილება მოცემულია ცხრილში 12.2.2.

* წყარო: Kaplinsky, Readman, 2001, p. 36.

ცხრილი 12.2.2. ღირებულების დამატების ჯაჭვი დაკონსერვებული პროდუქტების წარმოებაში*

| დამატებული ღირებულების ჯაჭვის რკალი | შემოსავლების ძირითადი მიმღები | | | სიტუაციების აღწერა |
|---|---|---|---|---|
| | წარსული | თანამედროვე | მომავალი | |
| მოსავლის მოყვანა | სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის და ავსტრალიის მწარმოებლები | დაკონსერვებული პროდუქტების ევროპული და ამერიკული მწარმოებლები | | მაღალი კონკურენცია და შრომის მწარმოებლობის ამაღლება-ვაჭრობის პირობების ამაღლება, დარგში შესვლის დაბალი ბარიერების არსებობა |
| მოყვანილი მოსავლის დამუშავება | | | | |
| ექსპორტი | საბითუმო ვაჭრობა | | | ცალკეული რგოლების შიგნით ეკონომიკური რენტა თავმოყრილია არამატერიალურ აქტივებში (ბრენდები, დიზაინი, მარკეტინგი) |
| მყიდველი | ბრენდების მფლობელები | შემსყიდველები და საექსპორტო სააგენტოები | მყიდველები ბრენდების მფლობელი საცალო სუპერმარკეტები | |
| საცალო ვაჭრობა | | | | ბრენდ-კომპანიებს და საცალო სუპერმარკეტებს შორის კონკურენცია ბაზრის წილის მოპოვებაზე |

კაპლინსკიმ დღჯ შემოსავლების მსგავსი ასიმეტრიული განაწილების მეთოდების რეგულირება, დაყო სამ ჯგუფად:

1. საკანონმდებლო რეგულირება. განვითარებული ქვეყნების საცალო ვაჭრობის მიერ, ეროვნული მთავრობების მხარდაჭერა. ის გამოიხატება პროდუქციის აუცილებელი სტანდარტების განსაზღვრაში, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს მომწოდებელმა განვითარებადი ქვეყნებიდან.

2. სასამართლო რეგულირება ხორციელდება საცალო ვაჭრობის ქსელებით, რომელთა წარმომადგენლებიც ანწარმოებენ მწარმოებლებთან ერთად პროდუქციის ხარისხის შემოწმებას. ასევე, შემოწმება ხორციელდება საიმპორტო სააგენტოებთან ერთად. მათი მიზანი კონკრეტულ შემთხვევაში არის განვითარებად ქვეყნებში პროდუქციის ახალი მომწოდებლების მოძიება.

3. საშემსრულებლო რეგულირება. აღნიშნულ შემთხვევაში პროდუქციის საბითუმო და საცალო მყიდველები, ეხმარებიან განვითარებადი ქვეყნების ფირმებს ხარისხის საერთაშორისო ნორმების მიღწევაში.

ეჭვგარეშეა, რომ მომავალშიც გაგრძელდება შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება დღჯ-ში განვითარებული ქვეყნების კომპანიების სასარგებლოდ. დღჯ-ის ბოლო ეტაპის მონაწილეების შემოსავალი უფრო მეტია, ვიდრე სანყის ეტაპზე მონაწილეების. შემოსავლების ზრდა კი კომპანიებს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა. საბოლოო ჯამში მათ შესაძლებლობა ეძლევათ საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად ვარირებისათვის.

### 12.3. განვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები

მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნების რეგიონების კონკურენტუნარიანობის კონცეფციები მრავალი თვალსაზრისით ეფუძნება კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანას. შეიძლება აღინიშნოს, რომ კონცეფციებს გააჩნიათ საერთო ნიშნები.

პირველი, ისინი ხაზს უსვამენ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ეკონომიკის სუბიექტების წამყვან როლს. ე.ი. პრობლემის გადასაჭრელად იყენებენ ინსტიტუციონალურ კონკურენტუნარიანობას, რომლებიც განუწყვეტლივ ნერგავენ წარმოების პროცესში ინოვაციებს, პირდაპირ აკავშირებენ ეკონომიკის და დარგის კონკურენტუნარიანობასთან. პორტერის მიხედვით უმთავრეს

* წყარო: Kaplinsky, 2000,p. 20


როლს ასრულებენ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ღებულობენ ახალ ცოდნას. ეს ცოდნა კი ინოვაციების სახით ინერგება კომპანიების საქმიანობაში. შედეგად კომპანიები, დარგი და სახელმწიფო ხდება ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის საფუძველი.

ბრიტანული სკოლის წარმომადგენლები აქცენტს აკეთებენ ტრანსეროვნულ კორპორაციებზე, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებზე. სკანდინავიელი მკვლევარები ხაზს უსვამენ, სამეცნიერო – საგანმანათებლო დაწესებულების როლს ქვეყანაში ინოვაციების დანერგვაში. ასევე, კომპანიების საქმიანობის სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, რომლის მიზანია სწავლების საშუალებით ფირმების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება.

მეორე, ყველა მკვლევარი ხაზს უსვამს რეგიონების და ლოკალური კონკურენციული უპირატესობების როლს, რომელიც აუცილებელია წარმოების ორგანიზაციის კონკურენტუნარიანი ფორმების შექმნისათვის. ამერიკელი ეკონომისტები და ეკონომიკ-გეოგრაფები, გამოყოფენ წარმოების ორგანიზაციის ისეთ ფორმებს, როგორიცაა კლასტერები (მ. პორტერი), რეგიონული და ლოკალური კლასტერი (მ. ენრაიტი), სამრეწველო და ტექნოლოგიური რაიონები (ე. მარკუსენი, მ. სტორპერი და სხვები), რომლებიც სამეწარმეო ძალების განლაგებისათვის მნიშვნელოვან კონკურენტუნარიანობის ფორმას წარმოადგენენ. დღჯ-ში ბრიტანული სკოლა განიხილავს ტრანსეროვნული კომპანიების და ლოკალური კლასტერების სისტემატიურ სრულყოფას. სკანდინავიელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე „აუცილებელია რეგიონების შესწავლა სამრეწველო რაიონების და რეგიონული კლასტერების ფარგლებში“.

განვითარებული ქვეყნების მაგალითზე შეიძლება გამოიყოს, კონკურენტუნარიანობის მთელი რიგი ძირითადი ინსტიტუციონალური ფაქტორები. მათ შორის შეიძლება გამოიყოს, იხ. სქემა.12.3.1.

**სქემა 12.3.1. განვითარებადი ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორების სისტემა**



1. სახელმწიფო (ხელისუფლების ცენტრალური და რეგიონული ორგანოები), რომელიც ქმნის ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებს. ასევე, ქმნის სწავლების ცენტრებს და რეგიონული განვითარების სააგენტოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კლასტერული პოლიტიკის გატარებაზე;


2. ტრანსეროვნული კორპორაციები. ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკაში ძირითადი ინოვაციების არსებობის და დღჯ-ის გლობალური სივრცის ფორმირებას. უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო საწარმოების ურთიერთქმედებას ლოკალურ კლასტერებთან;

3. სამიცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები. აღნიშნული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ცოდნის მიღებას და მათ დანერგვას ტრანსეროვნულ კორპორაციებში, მცირე და საშუალო საწარმოებში, ტექნოლოგიური და სამეცნიერო პარკების საშუალებით.

4. მცირე და საშუალო საწარმოები. ისინი აყალიბებენ რეგიონულ და ლოკალურ კლასტერებს შიდა ეკონომიით და წარმოების მასშტაბით. მათი კონკურენტუნარიანობის ხარისხი, ტრანსეროვნული კორპორაციების კონკურენტუნარიანობაზე ნაკლები არაა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ტრანსეროვნულ კორპორაციებთან ერთად, ჩართულნი არიან გლობალურ საწარმოო ჯაჭვში. ხშირად იქმნება შერეული ფირმებისაგან, სხვადასხვა ტიპის სამრეწველო რაიონები.

კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ყალიბდება რეგიონებში გააჩნია შემდეგი გამოხატულება: პირველი, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მიღებული ცოდნა; მეორე, ინოვაციების დანერგვა საწარმოო-ინოვაციურ სტრუქტურებში (ტექნოპარკებში, სამეცნიერო პარკებში და ა.შ.); მესამე, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვება მცირე და საშუალო საწარმოების კლასტერებში, იხ სქემა 12.3.2

სქემა 12.3.2. კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორების ურთიერთქმედება, რეგიონული ინოვაციური სისტემის ფარგლებში




ინოვაციები შეიძლება დანერგილ იქნას, როგორც ტრადიციულ, ასევე ეკონომიკის მეცნიერებადტევად დარგებში. აღნიშნული ჯაჭვის ფუნქციონირების საბაზისო პირობაა, სახელმწიფოებრივი რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის გატარება. ამასთან, სახელმწიფოს მიერ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში კონკურენტუნარიანობის მიღწევა დამოკიდებულია, წარმოებაში ინოვაციური პროცესების სტიმულირებაზე ქვეყნისკონკურენტული უპირატესობების გათვალისწინებით.

## 12.4. ტერიტორიული საწარმოო კომპლექსების და კლასტერების შედარება

მოვახდინოთ ტერიტორიული საწარმოო კომპლექსების (ტსკ) და კლასტერების კონცეფციების შედარება. კონკრეტულად კი, მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება. დასაწყისში განვიხილოთ სამრეწველო კლასტერი და საწარმოო ტერიტორიული ნაერთი. აქ სახეზეა მრავალი საერთო მახასიათებელი: პორტერის მიერ წარმოდგენილი ტსკ-ს თეორიაში და სამრეწველო კლასტერების კონცეფციაში, შესწავლის ობიექტია დარგების ჯგუფი, რომელიც სანარმოო-ტერიტორიული შერწყმის შემთხვევაში ოპტიმალურად ერწყმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. სამრეწველო კლასტერის შემთხვევაში კი, არის მეტად კონკურენტუნარიანი და ურთიერთდაკავშირებული რეგიონის ან ქვეყნის ეკონომიკის დარგებთან.

რეგიონული კლასტერების და ტსკ-ის შედარებისას აშკარაა, მათ შორის ძირეული განსხვავება. ის გამოიხატება, როგორც თეორიულ წყობაში, ასევე თვით ტერმინების მნიშვნელობაში. განვიხილოთ განსხვავება თანმიმდევრობით.

1. ეს კონცეფციები შემუშავებულ იქნა, აბსოლუტურად განსხვავებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემებში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მენარმე თვითონ წყვეტს ინვესტირების ფორმას და მდებარეობას მოგების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფო გეგმიური ეკონომიკის ინტერესების გათვალისწინებით ახდენს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

2. რეგიონული კლასტერები და ტსკ-ები განსხვავდებიან საკუთარ — გენეზისით. ტსკ-ები წარმოიქმნენ გეგმიური ეკონომიკის პირობებში, სამრეწველო საწარმოო პროცესების სრულყოფის მიზნით. ტსკ შეიქმნა ხელოვნურად მეცნიერების თეორიულ კვლევებზე დაყრდნობით. კლასტერები აღმოცენდნენ საბაზრო ძალების გავლენით. ფირმები კლასტერებში კონცენტრირდებოდნენ სხვა ფირმებთან შედარებით-უპირატესი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. საჭიროა აღინიშნოს, რომ კლასტერების მენეჯერებს რეკომენდაციებს აძლევენ, არ შექმნან კლასტერები ახალ ადგილზე ნულიდან. ეს არ არის სასურველი. რეკომენდირებულია განავითარონ მხოლოდ უკვე არსებული კლასტერები.

3. კლასტერებს და ტსკ-ს გააჩნიათ მნიშვნელოვანი განსხვავება ტერიტორიული ნიშნით. კლასტერები ჩვეულებრივ წარმოიქმნება ათვისებულ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, უფრო ხშირად აგლომერაციის ფარგლებში. ერთ ქალაქში შეიძლება წარმოიქმნას რამდენიმე კლასტერი. ტსკ მოდელები გამოიყენება, ძირითადად ახალი რაიონების ათვისებისათვის. აღნიშნული რაიონები მოსახლეობის მცირე რაოდენობით და ცუდი ბუნებრივი პირობებით გამოირჩევა.

4. განსხვავებულია კლასტერები და ტსკ სტრუქტურა და სპეციალიზაცია. კლასტერი ესაა დამოუკიდებელი ერთმანეთთან სისტემატურად კონტაქტირებადი ფირმების თავმოყრა. აღნიშნული ფირმები მუშაობენ ერთ დარგში ან ქვედარგში და ძირითად ფირმებს სთავაზობენ სერვისულ მომსახურეობებს. კლასტერის შემადგენლობაში ასევე ხშირად შედის სახელმწიფო, საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციები. კლასტერს გააჩნია მისი განვითარების მაკონტროლებელი ორგანო. ტსკ ესაა დარგთაშორისი კომპლექსი, რომელშიც უმთავრეს როლს ასრულებენ საბაზისო ჯგუფის დარგები. ისინი განსაზღვრავენ ტსკ-ის ძირითად სპეციალიზაციას და ვითარდებიან მაკომპლექსირებელ დარგებში. ტსკ რეგულირება ხორციელდება ცენტრალური, ან რეგიონული ორგანობის მიერ. კლასტერებში პირიქით, გადაწყვეტილება მიიღება თვითონ წევრების მიერ.

5. მიუხედავად კლასტერების ფართოდ გავრცელებული კონცეფციებისა, მსოფლიოში არსებობს კლასტერების მრავალი განმარტება. ყოველივე ეს, მეტყველებს იმაზე, რომ ხშირ შემთხვევაში კლასტერად მიიჩნევა არა ნამდვილი კლასტერი. აღნიშნული მომენტი მეტყველებს მომავლში ტერმინის ფართოდ გავრცელებაზე. ტსკ-ესაა ზუსტად განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური მოდელი, რომელსაც გააჩნია სივრცობრივად განსაზღვრული საზღვრები.

6. განსხვავებულია ტსკ და კლასტერების სპეციალიზების დარგები. კლასტერები ძირითადად ვითარდება ახალ მაღალტექნოლოგიურ მრეწველობის და მომსახურეობის სფეროს დარგებში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მომხმარებლებზე. ტსკ ხასიათდება ძირითადად სამთომოპოვებელი, მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობის და მძიმე მანქანათმშენებლობის დარგებზე ორიენტირებით.

7. კლასტერები და ტსკ განსხვავდებიან ინფორმაციის როლით, შუალედური სტრუქტურების ფორმირებისას. ფირმების ფორმალურ თავმოყრას დარგებში არ შეიძლება ვუწოდოთ კლასტერი. კომპანიებს შორის საჭიროა ვითარდებოდეს ინფორმაციული ნაკადები. უფრო თვალსაჩინოდ, კი კლასტერებში ვითარდება მცირე და საშუალო საწარმოების ქსელური სტრუქტურები. ტსკ-ის ფარგლებში ფუნქციონირებს რამოდენიმე ვერტიკალურად ინტეგრირებული ქარხანა, რომლის მუშაკები არ ცვლიან სანარმო პროცესისთვის საჭირო ინფორმაციებს. ყოველ ქარხანას გააჩნია საკუთარი წარმოების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია საერთოსახელმწიფოებრივ დონეზე.

8. ადამიანები კლასტერული კონცეფციით თამაშობენ უფრო მნიშვნელოვან როლს, ვიდრე ტსკ მოდელებში. კლასტერებში მიიღწევა ოპტიმალური პირობები სპეციალობით მუშაობისთვის. ჩვეულებრივ ფირმებთან შედარებით, კლასტერებში შემავალ ფირმებში დასაქმებულების ხელფასი უფრო მაღალია. კლასტერების განვითარების სტიმულირების საბოლოო მიზანია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ყოველივე ეს პირდაპირპროპორციულად უკავშირდება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. ტსკ მოდელებში ადამიანური რესურსი განიხილება, როგორც მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ტსკ მოდელირებისას ასევე გაითვალისწინება ხარჯები მთელი სოციალური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველი კონცეფცია პასუხობს საკუთარ საზოგადოებრივ – ეკონომიკურ სისტემას: ტსკ მოდელი-სოციალისტურს, კლასტერების კონცეფცია-კაპიტალისტურს. კლასტერების კონცეფციას არ იმეორებს ტსკ კონცეფცია, ისინი ასევე არ ეწინააღმდეგებიან ერთი-მეორეს, მაგრამ არსებობენ პარალელურად. ასე, რომ ყოველივე მათგანი წყვეტს მის წინაშე დაყენებულ ამოცანებს, გეგმიური ან საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

### 12.5. წარმოების ორგანიზაციის ტერიტორიული ფორმების კლასიფიკაცია

1980-1990-იან წლებში ეკონომიკურ კვლევებში გეოგრაფიის როლის ზრდასთან ერთად, დენერგილ იქნა მთელი რიგი ახალი და განახლებული ძველი ტერმინები: სამრეწველო რაიონები, სამრეწველო და რეგიონული კლასტერები, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკები და ა.შ. აღინიშნება საპირისპირო ტენდენციაც. ხშირად წარმოების ორგანიზაციის და კონცენტრაციის, ერთი და იგივე პროცესების აღსანიშნავად იყენებენ განსხვავებულ ტერმინოლოგიებს. ე. ბერგმანი და ე. ზეფერი მივიდნენ დასკვნამდე ტერმინ სამრეწველო კლასტერის გამოყენების შესახებ, მ. პორტერი თავის ბოლო შრომებში-რეგიონული კლასტერი; მ. ენრაიტი ახლოსაა იტალიელი დ. ბაკატტინის სამრეწველო მხარეებთან. აღნიშნული კონცეფციების საფუძველია ის, რომ სანარმოს გეოგრაფიული სიახლოვე განსაზღვრავს კლასტერის და რეგიონის სპეციფიკურ კონკურენტუნარიანობას. იქ სადაც ვითარდება კლასტერი, იზრდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

ასევე არ არის სწორი ერთმანეთთან გავაიგივოთ ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები და კლასტერები. შეიძლება შეიქმნას ბიზნეს-ინკუბატორი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი კომპანიების

განვითარებას. შეიძლება შეიქმნას ტექნოპარკი და მას დაუკავშირდეს ინოვაციური ფირმები. მაგრამ არ შეიძლება ნულიდან შეიქმნას რეგიონული კლასტერი, არ შეიძლება ფირმები ვაიძულოთ ერთმანეთთან თანამშრომლობაზე თუ ეს მათთვის არ იქნება სასარგებლო.

წარმოების ორგანიზაციის ყველა ფორმა, შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად:

1. დამოუკიდებლად დაფუძნებული საბაზრო ძალების გავლენით. ამ ჯგუფებში შეიძლება გაერთიანდეს სამრეწველო რაიონების ყველა ფორმები, რეგიონული და ლოკალური კლასტერები;

2. ხელოვნურად შექმნილები ხელისუფლების ფედერალური, რეგიონული და მუნიციპალური ორგანოების დახმარებით. აქ შეიძლება გაერთიანდეს ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები, ტექნოლოგიური და სამეცნიერო პარკები, ტექნოპოლისები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები და ბიზნეს-ინკუბატორები.

ორივე ჯგუფის შედარება, ნათელს ხდის მათ შორის არსებულ განსხვავებას (იხ. ცხრილი 12.5.1.)

ცხრილი 12.5.1.წარმოების ორგანიზაციის სივრცობრივი ფორმების კლასიფიკაცია

| წარმოების მოცულობა<br><br>ფორმირების საშუალება | მცირე და საშუალო<br><br>I ბ | მცირე საშუალო და მსხვილი<br><br>II ბ | საშუალო და მსხვილი<br><br>III ბ | მსხვილი<br><br>IV ბ |
|---|---|---|---|---|
| ყალიბდება დამოუკიდებლად<br><br>I ა | - მარშალისებური სამრეწველო რაიონები;<br>- იტალიური სამრეწველო მხარეები;<br>- რეგიონული და ლოკალური კლასტერები | - „ცენტრი – ქსელის" ტიპის სამრეწველო რაიონები | - სამრეწველო პლატფორმები ქალიშვილი საწარმოებისათვის | - ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოების გაერთიანებები |
| იქმნება ხელოვნურად ხელისუფლების ორგანოების მიერ<br><br>II ა | - ტექნოპარკები;<br>- სამეცნიერო პარკები;<br>- ბიზნეს – ინკუბატორები;<br>- ინოვაციურ – ტექნოლოგიური ცენტრები | - ტექნოპოლისები,<br>- ტერიტორიულ – საწარმოო კავშირები | - ტერიტორიულ - საწარმოო კომპლექსები | - ტერიტორიულ - საწარმოო კომპლექსები |

ორგანიზაციის ის ფორმები, რომლებსაც იყენებენ ამერიკული და ბრიტანული კონკურენტუნარიანობის თეორიის სკოლის წარმომადგენლები, სამრეწველო მხარეების იტალიური სკოლის და სამრეწველო რაიონების ამერიკელი წარმომადგენლები. კლასიფიკაცია ასახავს სხვაობას ტსკ-სა და რეგიონულ კლასტერებს, ტექნოპარკებსა და კლასტერებს შორის. წარმოების ორგანიზაციის სტრუქტურული განსხვავება და გენეზისი, უნდა დაეხმაროს საქართველოს ტექნოპარკებს პროექტების შექმნაში, კლასტერების გამოყოფაში და მათი განვითარების სტიმულირებაში. ამასთან ახალი საწარმოო სტრუქტურები აუცილებელია იყოს ეფექტური საქართველოს ეკონომიკის პირობებში და ხელი შეუწყოს რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

## 12.6 მცირე და საშუალო საწარმოების როლი ეკონომიკაში და მათი სივრცობრივი კონცენტრაცია

მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის გამოიყენება განსხვავებული კრიტერიები. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია კომპანიებში თანამშრომლების რიცხოვნობა. ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალოდ ითვლება საწარმო, რომელშიც დასაქმებულია არაუმეტეს 250 კაცისა და ბრუნვა 50 მლნ. ევრომდე.მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები, ასრულებენ ეკონომიკაში უმთავრეს როლს. მათ რიცხვს განეკუთვნება არსებული საწარმოების 95%. ამასთან, ისინი უზრუნველყოფენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 60-80%-ის დასაქმებას. (იხ. ცხრილი 12.6.1.)

როგორც ცხრილიდან ჩანს მცირე და საშუალო საწარმოების ნილი კომპანიების საერთო რაოდენობაში, მერყეობს 94.7%-დან – ავსტრიაში, 100%-მდე – ისლანდიაში. საშუალო მაჩვენებელი კი, პა-

ტარა ქვეყნებში 98.5%-ია. ისლანდიაში 500 – კაცზე მეტით დასაქმებული საწარმოების არარსებობა, აიხსნება ამ ქვეყნის მოსახლეობის მცირე რაოდენობით და ტრანსეროვნული კორპორაციების არსებობით. საიტერესოა ისიც, რომ დიდი ქვეყნების ჯგუფში შეინიშნება მცირე და საშუალო საწარმოებს შორის განსხვავება. თუ აშშ-ში მცირე დ საშუალო საწარმოების წილი დასაქმებაში – 40%-ია, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში – 50%, უფრო მეტია იტალიაში – 81% და იაპონიაში 78.3%. მცირე და საშუალო საწარმოების გეოგრაფიული კონცენტრაცია, ერთის მხრივ აადვილებს ფირმებს შორის ურთიერთობებს. ის ხელს უწყობს ფირმების თანამშრომლობას და მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. სხვა მხრივ, გეოგრაფიული კონცენტრაცია აძლიერებს საწარმოებს შორის კონკურენციას.

ცხრილი 12.6.1. მცირე და დიდ ქვეყნებში გადამამუშავებელი მრეწველობის კომპანიები.

| | წელი | განსხვავებული მოცულობის კომპანიების რაოდენობა, %-ში | | | | | განსხვავებული მოცულობის კომპანიების წილი დასაქმებულ მოსახლეობაში, %-ში | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კომპანიაში დასაქმებულების რაოდენობა, ადამიანი | | | | მცირე და საშუალო საწარმოს წილი | კომპანიაში დასაქმებულების რაოდენობა, ადამიანი | | | მცირე და საშუალო საწარმოს წილი | |
| | | 1-19 | 20-99 | 100-499 | 500-ზე მეტი | | 1-19 | 20-99 | 100-499 | 500-ზე მეტი | |
| პატარა ქვეყნები | | | | | | | | | | | |
| ავსტრია | 1993 | 43.2 | 41.5 | 10 | 5.2 | 94.7 | 4.3 | 26.9 | 23.4 | 45.5 | 54.6 |
| ბელგია | 1993 | 80.4 | 15.3 | 3.7 | 0.6 | 99.4 | - | - | - | - | - |
| საბერძნეთი | 1992 | 59.0 | 34.3 | 6.0 | 0.7 | 99.3 | 20.4 | 35.0 | 27.5 | 17.2 | 82.9 |
| დანია | 1993 | 82.0 | 14.6 | 3.1 | 0.3 | 99.7 | - | - | - | - | - |
| ისლანდია | 1992 | 90.8 | 6.7 | 2.5 | - | 100.0 | 35.1 | 26.6 | 38.2 | - | 99.9 |
| ლუქსენბურგი | 1992 | 79.4 | 15.0 | 4.7 | 0.9 | 99.1 | 13.0 | 22.1 | 35.0 | 29.9 | 70.1 |
| ნიდერლანდები | 1993 | 78.0 | 17.2 | 4.3 | 0.6 | 99.5 | 15.7 | 24.8 | 27.8 | 31.7 | 68.3 |
| ნორვეგია | 1994 | 40.2 | 47.4 | 7.5 | 4.9 | 95. | 9.3 | 34.9 | 18.2 | 37.6 | 62.4 |
| პორტუგალია | 1994 | 85.8 | 11.8 | 2.2 | 0.2 | 99.8 | 23.5 | 32.3 | 27.8 | 16.5 | 83.6 |
| ფინეთი | 1992 | 50.8 | 36.1 | 11.6 | 1.5 | 98.5 | - | - | - | - | - |
| შვეიცარია | 1991 | 84.2 | 12.3 | 3.1 | 0.4 | 99.6 | 20.2 | 26.9 | 31.3 | 21.5 | 78.4 |
| შვეცია | 1993 | 44.4 | 40.8 | 12.4 | 8.4 | 97.6 | 6.9 | 23.1 | 35.3 | 34.7 | 65.3 |
| დიდი ქვეყნები | | | | | | | | | | | |
| აშშ | 1993 | 73.7 | 19.8 | 5.1 | 1.4 | 98.6 | 7.4 | 14.6 | 16.5 | 61.5 | 38.5 |
| იაპონია | 1994 | 74.3 | 21.6 | 3.6 | 0.5 | 99.5 | 22.4 | 30.9 | 25 | 21.6 | 78.3 |
| დიდი ბრიტანეთი | 1994 | 82.7 | 12.9 | 3.7 | 0.8 | 99.3 | 13.2 | 21.6 | 28 | 36.3 | 63.7 |
| გერმანია | 1993 | 71.5 | 19.4 | 4.1 | 5.0 | 95.0 | 19.9 | 22.1 | 10.8 | 47.2 | 52.8 |
| იტალია | 1992 | 89.7 | 9.0 | 1.2 | 0.2 | 99.9 | 38.7 | 25.0 | 17.3 | 19.0 | 81.0 |

საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაა, რომელიც თავისთავად ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველია. იგი უზრუნველყოფს ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, სტაბილური განვითარების გარანტის "საშუალო ფენის" წარმოქმნას.

საქართველოში 2017 წლამდე მოქმედი გრადაციით, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები დასაქმებულთა რაოდენობისა და საშუალო წლიური ბრუნვის მიხედვით შემდეგნაირი იყო:

- მცირე საწარმოებისათვის – 20 დასაქმებული და წლიური ბრუნვა 500 ათასი ლარი;

• საშუალო საწარმოებისათვის – 100 დასაქმებული და წლიური ბრუნვა 1 500 ათასი ლარი;

• მსხვილ საწარმოებს განეკუთვნებოდა საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატებოდა 100 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 1500 ათას ლარს.

2017 წლიდან მოქმედებს საწარმოთა გრადაცია, რამაც შეცვალა წინა წლების დეფინიციები. კერძოდ. მცირე და საშუალო საწარმოს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო-წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება:

• მცირე საწარმოებისათვის – 50 დასაქმებულსა და 12 მლნ. ლარს;

• საშუალო საწარმოებისათვის – 250 დასაქმებულსა და 60 მლნ. ლარს;

• მსხვილ სანარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს.

ცხრილ 16.2.2.-ში მოცემულია მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან ბრუნვაში და გამოშვებაში. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2003-2015 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბრუნვაში წლების მიხედვით 15,6-დან 24%-მდე მერყეობს, ანალოგიური მაჩვენებელია გამოშვებაშიც 17,3-დან 20,6%. საწარმოების გრადაციის პარამეტრების ცვლილების შემდეგ 2016 -2017 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბრუნვაში 55,9 -55,1%-ია, ხოლო გამოშვებაში 58,4-59,1%.

2017 წლის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილ საწარმოებში დასაქმებულია მთლიანი დასაქმებულთა რაოდენობის 33%, საშუალოში — 20,5%, მცირეში — 46,5%, 2016 წელს თითქმის ანალოგიური მაჩვენებლები გვაქვს (32,6, 21,4. 46.0). მაშინ, როცა 2015 წელს მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა დასაქმებულთა 56,9%, საშუალოში -16,1%, მცირეში – 27%.

ცხრილი 16.2.2. მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან ბრუნვაში და გამოშვებაში (%)

| | 2003 | 2008 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა | 24 | 15,6 | 16,1 | 19,9 | 17,0 | 18,3 | 18,0 | 17,5 | 55,9 | 55,1 |
| გამოშვება | 20,6 | 17,3 | 18,4 | 19,8 | 19,0 | 19,2 | 19,8 | 19,6 | 58,4 | 59,1 |

როგორც მონაცემებიდან ჩანს, შედეგები აშკარად არაპროპორციული იყო. მონაცემების მკვეთრი სხვაობა სწორედ საწარმოების გრადაციის პარამეტრების ცვლილებით არის განპირობებული. მონაცემების არაპრორციულობა აშკარად მიუთითებს გრადაციის პარამეტრების გამსხვილების მართებულობას.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის ძირითადი სეგმენტია: ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა; სოფლის მეურნეობა და სხვ. დასაქმების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში მცირე და საშუალო მეწარმეობა. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი. მცირე ზომის ფერმები ანარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 82%-ს. აქედან მხოლოდ 8-10% არის ორიენტირებული ბაზარზე გასაყიდად, დანარჩენი შინამეურნეობების შიდა მოხმარებისათვის არის განკუთვნილი. დიდი ზომის ფერმები აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 10%-ს, რომელიც რეალიზდება ბაზარზე. ეს გარემოება ადასტურებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მთლიანად დაფუძნებულია მცირე და საშუალო ზომის მეწარმეობაზე, რაც ხასიათდება დაბალეფექტიანობით და შესაბამისად, დაბალკონკურენტუნარიანიცაა.

მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით, საქართველოში საშუალო ფენა 7%-ს არ აღემატება, 32% ღარიბი, 37% – ზომიერად ღარიბი, 24% – მოწყვლადი ჯგუფი. თუმცა განსხვავებულ შედეგს აჩვენებს საქართველოში ჩატარებული ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა (საშუალო კლასი საქართველოში: რაოდენობრივი შეფასება, დინამიკა და პროფილი), რომლის მიხედვითაც საქართველოში 2017 წლის მონაცემებით, საშუალო კლასის რაოდენობა საზოგადოების 25%-ზე მეტია.

## 12.7. მცირე ქვეყნებში კლასტერების ფუნქციონირების თავისებურებანი და კლასტერული პოლიტიკა

მ. პორტერის და მ. ენრაიტის კვლევების თეორიების შემდეგ, კლასტერული მიდგომა მრავალ ქვეყანაში გახდა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი. დასავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნები იყვნენ ერთ-ერთი პირველები, რომელმაც საკუთარ ტერიტორიაზე დააარსეს სამრეწველო და რეგიონული კლასტერები.

პორტუგალიაში კლასტერების გავლენისათვის კვლევები დაიყო 1994 წელს. იდეის ინიციატორი იყო ქვეყნის მთავრობა, რომელმაც ნება დართო გამოეყოთ მცირე და საშუალო საწარმოების კლასტერები. გამოყოფილ იქნა მრეწველობის დარგები, რომლებსაც დიდი წელილი შეჰქონდათ პორტუგალიის კონკურენტუნარიანობის განვითარებაში. კვლევები ტარდებოდა ქვეყნის ექსპორტის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. ის საქონელი, რომელმაც გაზარდა საკუთარი ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში, მიჩნეულ იქნა კონკურენტუნარიანად. ხოლო კომპანიები, რომლებიც აწარმოებდნენ აღნიშნულ საქონელს და გეოგრაფიულად კონცენტრირებულნი იყვენენ სივრცობრივად, გაერთიანებულ იქნენ კლასტერებში. სულ გამოყოფილი იქნა 33 კლასტერი. გამოყოფილი კლსატერების მთავარი თავისებურება იყო მათი გეოგრაფიული კონცენტრაცია. აღნიშნული კლასტერების განვითარებაზე დაკვირვებებმა ცხადყო, რომ მათ შორის რამოდენიმე ჯერ კიდევ არ იყო კლასტერი. მათ აკლდათ ფირმებს შორის კავშირები, მსგავსი კლასტერები შეტანილ იქნა „განვითარებადი" კლასტერების ჯგუფში. მიუხედავად ამისა, ყველა გამოყოფილ კლასტერს გაეწია სახელმწიფო დახმარება.

ავსტრიაში მკვლევარებმა ხ. გასსლერმა და კ. რამერმა გამოყვეს 76 კლასტერი, რომლებიც დაყოფილ იქნა 6 ძირითად ჯგუფად: სანარმოო კლასტერები, გამანაწილებელი კლასტერები, ტექნოლოგიური კლასტერები, საექსპორტო კლასტერები, საგანმანათლებლო კლასტერები და შერეული კლასტერები. სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის კონკურენტუნარიანობის

ამაღლებისათვის გამოყოფილ იქნა 16 სამრეწველო კლასტერი. კლასტერების გამოყოფის პრინციპი იყო შემდეგი: კლასტერები ორიენტირებული უნდა იყოს მომხმარებლებზე, უნდა ჰქონდეთ მკვეთრი ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირები ფირმებს შორის.

ავსტრიაში მიწების განვითარების პროგრამები დაფუძნებულ იქნა კლასტერულ მიდგომებზე, განსაკუთრებით ცნობილია რეგიონული საავტომობილო კლასტერის განვითარების პროექტი შტირიის ფედერალურ მიწაზე. სწორედ ამის გამო, ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ „შტირიამ გამოიყენა კლასტერული კონცეფცია და გახადა თავისი თავი „ბრენდად" უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად". მეცნიერებადტევად ფირმებში კლასტერების ფორმირების იდეამ, ეროვნულ დონეზე შესაძლებელი გახადა შექმნილიყო „ცოდნის ცენტრების განვითარების პროგრამები" – 1997 წელს. აღნიშნული პროგრამის მიზანია ბიზნეს და აკადემიურ წრეებს შორის ურთიერთკავშირების გაუმჯობესება, შედეგად კი „ცოდნის ცენტრების" შექმნა.

ფინეთში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესწავლა დაიწყეს 1990 წელს, პორტერის წიგნის „ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის" გამოსვლისთანავე, კვლევები ხორციელდებოდა ოთხ ეტაპად. პირველ ეტაპზე, მოხდა მთელს საექსპორტო ქვოტაში ცალკეული საქონლის შედარება. მათი შეფასება საერთო მსოფლიო ექსპორტის ქვოტასთან. ის დარგები, რომლებსაც გააჩნდათ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი გამოირიცხნენ სიიდან. მეორე ეტაპზე მოხდა იმ ფირმების სია, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ექსპორტით. ყველა კომპანია და მათი პროდუქცია დაჯგუფებულ იქნა ფუნქციონალური კავშირებით. ექსპერტთა მიერ გაკეთდა დასკვნა, სინამდვილეში გამოყოფილ კლასტერებს გააჩნიათ თუ არა, ფირმებს შორის მჭიდრო ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირები. მესამე ეტაპი – ამის შემდეგ მოხდა გამოყოფილი კლასტერების ჩამოყალიბების ისტორიის შესწავლა. ბოლო ეტაპზე დაიწყო კონკრეტული კლასტერების შესწავლა: ტარდებოდა გამოკითხვები, იმის გა-

მოსავლენად თუ რა არის აუცილებელი, კლასტერის საქმიანობის *გასაუმჯობესებლად და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. სულ გამოყოფილ იქნა ათი სხვადასხვა სამრეწველო კლასტერი (იხ. ცხრილი 12.7.1.). გამოყოფილი კლასტერები გახდა ძირითადი საფუძველი, კლასტერული პოლიტიკის გასატარებლად. პარალელურად, ცოდნის ცენტრების განვითარებამ საფუძველი დაუდო 1990-იან წლებში ქვეყნის კონკურენტუნარიანად განვითარებას.

ცხრილი 12.7.1. **ფინეთის მრეწველობის კლასტერული სტრუქტურა**

| კლასტერების ტიპები | კლასტერების აღწერა | კლასტერების სპეციალიზაცია |
|---|---|---|
| ძლიერი კლასტერი | კლასტერის ჩამოყალიბებული სტრუქტურა, ფირმებს შორის ძლიერი კონკურენტია, ფირმებს შორის დინამიური ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირები | სატყეო კლასტერი |
| ნაწილობრივ ძლიერი კლასტერი | კლასტერის სტაბილური, მაგრამ დაუმთავრებელი სტრუქტურა, განვითარების პოზიტიური დინამიკაა | მეტალურგიული კლასტერი. ენერგეტიკული კლასტერი |
| პოტენციური კლასტერი | კლასტერის სტრუქტურა სუსტია, მაგრამ სისტემატიურად ძლიერდება, პოზიტიური დინამიკა შეინიშნება | სატელეკომუნიკაციო კლასტერი, ჯანდაცვის კლასტერი, ბუნების კლასტერი, სატრანსპორტო კლასტერი, ქიმიური კლასტერი |
| გლატენგური კლასტერი | არსებობს ზოგიერთი კლასტერული სტრუქტურები, შეინიშნება ნეგატიური განვითარება, არ ხდება შესაძლებლობების გამოყენება | სამშენებლო კლასტერი. ქვების მრეწველობის კლასტერი |

მოგვიანებით შექმნილი ტელეკომუნიკაციის და ჯანდაცვის კლასტერები, დღეისათვის არიან ფინეთის ეკონომიკის „ლოკომოტივები".

შვეიცარიაში 1991 წელს გამოიყო ეროვნული მასშტაბის შვიდი კლასტერი: მეტალურგიული, სტერეო, სატრანსპორტო, ენერგეტიკული, გამანაწილებელი, ტელეკომუნიკაციური და დივერსიფიცირებული მომსახურეობის. სამუშაოები ტარდებოდა მკვლევართა ჯგუფის მიერ, რომელსაც სათავეში ედგა მ. პორტერი და შვედი ეკონომისტი ო. სოლველომი. მ. პორტერის მეთოდიკით 2002 წელს შვედმა ეკონომისტებმა განსაზღვრეს ლოკალიზაციის კოეფიციენტი და დარგთაშორისი ბალანსის ცხრილი. განისაზღვრა პრაქტიკულად შვეციის ყოველ რეგიონში კლასტერები.

ბელგიაში წარმოების კლასტერიზაციის ფენომენი შეისწავლებოდა რეგიონულ დონეზე (ქვეყნის სამ რეგიონში– ფლანდრიაში, ვალლონიაში და ბრუსელში). რეგიონული კლასტერების ცნების ქვეშ იგულისხმებოდა საწარმოთა ჯგუფები, კლევითი, საგანმანათლებლო ორგანოები, რომლებიც მბარს უჭერდნენ მენარმეებს. ისინი გაერთიანდნენ მჭიდრო გეოგრაფიულ და ტექნოლოგიურად დასაბუთებულ ქსელში. აღნიშნული მეთოდიკის გამოყენებით განსაზღვრულ იქნა ხუთი ე.წ. მეგაკლასტერი.

მცირე ქვეყნებში გეოგრაფიული თავისებურების გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს კლასტერების ოთხი ჯგუფი;

1. ეროვნული კლასტერები – ესენია კონკურენტუნარიანი დარგების ჯგუფები, რომლებიც გამოყოფილია ძირითადად ლოკალიზაციის კოეფიციენტის გამოყენებით;

2. რეგიონული კლასტერები, რომლებიც განლაგებულნი არიან რეგიონის საზღვრებში. ისინი გამოვლენილნი არიან გამოკითხვების ან ექსპერტული შეფასების საფუძველზე;

3. ტრანსსაზღვრითი კლასტერები ვითარდებიან ორი ან რამდენიმე ქვეყნის რეგიონში;

4. ლოკალური კლასტერები განთავსებულნი არიან ერთ ქალაქში; მათ ასევე * განეკუთვნება „სამრეწველო რაიონები", რომლებიც გამოყოფილია ნორვეგიაში. მსოფლიოში კლასტერიზაციის პროცესების შესწავლით დაკავებულია მ. პორტერის ჯგუფი. მათი პროექტის თანახმად კლასტერები

* Brown, 200, p. 17. Hernesniemi, Lamm, Yla-Anttila, 1996, p. 37.

* Regional Clusters, 2002, p. 23.

იყოფა სამ ჯგუფად: ეროვნული, რეგიონული და ლოკალური. აღნიშნული დაყოფით ხელმძღვანელობდნენ მკვლევარები, პატარა ქვეყნებში წარმართული კვლევებისას.**

ამასთან, საინტერესოა მეცნიერების მიერ გამოყოფილი, კლასტერული პოლიტიკის ოთხი განსხვავებული ტიპი. მათ შორის განსხვავება, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის დონით განისაზღვრება. კონკრეტულად კი:

1. კატალიზატორული კლასტერული პოლიტიკა, როდესაც სახელმწიფო ერთმანეთთან აკავშირებს დაინტერესებულ მხარეებს. ის კომპანიებს სთავაზობს, პროექტის შეზღუდულ ფინანსურ მხარდაჭერას;

2.მხარდამჭერი კლასტერული პოლიტიკა. ამ შემთხვევაში კატალიზატორულ პოლიტიკას ემატება სახელმწიფოს მხრიდან რეგიონის განვითარებაზე მიმართული ინვესტიციები. განსაკუთრებით განათლების სფეროში და რეკლამაში, რომლის მიზანია კლასტერების განვითარების სტიმულირება;

3.დირექტიული კლასტერული პოლიტიკა. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხარდამჭერ ფუნქციას ემატება სპეციალური პროგრამების განხორციელება. მათი მიზანია რეგიონების სპეციალიზაციის ტრანსფორმაცია კლასტერების განვითარებისათვის;

4.ინტერვენციული კლასტერული პოლიტიკა. დირექტიულ ფუნქციებთან ერთად სახელმწიფო მოცემულ შემთხვევაში, თვითონ ფირმებს აკისრებს პასუხისმგებლობას კლასტერების განვითარებისათვის. კლასტერებში არსებულ ფირმებზე კონტროლით ახორციელებს მათი განვითარების რეგულირებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სახელმწიფო აქტიურად იყენებს სუბსიდიებს, შეზღუდვებს და რეგულირების სხვა საშუალებებს.

ჩამოთვლილ კლასტერულ პოლიტიკას შორის თითოეულის გამოყენება ცალკეულ ქვეყანაში ინდივიდუალურია. ის დამოკიდებულია სახელმწიფოს წინაშე არსებულ მიზნებზე, თვით ქვეყნის მეწარმეთა კულტურაზე და ერის ფსიქოლოგიაზე.

დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებული მცირე ზომის ქვეყნების მაღალწლიანმა გამოკვლევებმა, თეორიული შედეგები ჩამოაყალიბა სულ მცირე სამი მიმართულებით: 1) პატარა ქვეყნების კომპლექსური გამოკვლევები და მასთან დაკავშირებული „ინფორმაციული საფუძვლის" კონცეფციები; 2) „სტანდარტული ეკონომიკური რეგიონის" პარამეტრების განსაზღვრა და რაიონებად დაყოფის თეორიები; 3) ინტეგრაციის თეორიები როგორც ციკლური პროცესები და მოვლენები, რომელსაც გააჩნია ეფექტურად ფუნქციონირების რაციონალური ზომები და საზღვრები. თავის მხრივ სხვადასხვა სახის ქვეყნების შესწავლამ და მათმა ინტეგრაციულმა წარმონაქმნებმა შესაძლებელი გახადა განსაზღვრულიყო ამ ქვეყნების არსებითი ეკონომიკური თავისებურებანი. მათ შორის მნიშვნელოვანია:

1. ერთობლივი შიდა პროდუქტი მოცულობით არა უმეტეს 50 მილიარდი დოლარისა. საბაზრო სივრცის მცირე სიმჭიდროვის პირობებში, როგორც ეს შეიმჩნევა შვეიცარიაში;

2. ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობის 1/3 სიჭარბე შიდა მოთხოვნასთან შედარებით, რომელიც განკუთვნილია საგარეო ბაზრებზე გასატანად. ამ შემთხვევაში ქვეყნის ტერიტორია ხასიათდება „ეკონომიკური გახსნილობის" მაღალი ხარისხით;

3. ეკონომიკის განსაკუთრებულად სპეციფიური დარგობრივი სტრუქტურა, რომლისთვისაც აუცილებელია გარე ბაზრებთან შეგუება, მსხვილი სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული „საბაზრო ნიშის" მოძებნა. მსგავსი სტრუქტურისათვის დამახასიათებელია მასიურად წარმოებების უმნიშვნელოდ განვითარება ან არარსებობა. სივრცობრივ ასპექტში ეს შეიძლება გამოიხატოს ახალი მეცნიერებატევადი და ტრადიციული ტერიტორიულ-სანარმოო კლასტერების შერწყმით.

4. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეკონიმიკის ისეთი სფეროების როლის ამაღლება როგორებიცაა მრავალი ქვეყნის სატრანსპორტო მომსახურეობა, რეკრეაცია და ტურიზმი, სამეცნიერო კვლევითი პოტენციალი, ფინანსური საქმე და ა.შ.

მცირე ზომის მაღალგანვითარებული ქვეყნების კვლევების თეორიული შედეგების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა „ინფორმაციული სივრცის" როლის გამოვლენა და მისი როლის განსაზღვრა, ეკონომიკურ-გეოგრაფიული სისტემების ფორმირებაში. ადრე მიიჩნევდნენ, რომ პატარა ქვეყნების ინტეგრაციული პროცესები, ავტომატურად გამოიწვევდა მათი დარგობრივი სტრუქტურების ძირეულ რეფორმირებას, ახალი ინტეგრაციის ფარგლებში.

აღნიშნული პროცესები არ განვითარდა არც ჰოლანდიაში, არც ბელგიაში და არც მცირე ზომის ბალტიისპირეთის ქვეყნებში-ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში. ყველა აღნიშულმა ქვეყანამ, თავიანთი ინდივიდუალობა შეინარჩუნა იმ ხარისხით, რამდენადაც ეს შეუძლებელი იყო ახსნილიყო სუფთა ეკო-

** Enright, 2002, p. 18.

ნომიკური მიზნებით. პასუხის გაცემის მცდელობამ მკვლევრები მიიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ აქ მოქმედებს მნიშვნელოვანი ხარისხით საგარეო ეკონომიკური მიზეზები. ყოველივე ეს აიხსნება ინფორმაციული სივრცის მოქმედებით, რომელიც მეცნიერების აზრით დამოკიდებულია ინფორმაციის გადაცემის პირობებთან, აქ იგულისხმება ტერიტორიის ბუნებრივი პირობები.

XX საუკუნის მსხვილი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების პირობებში, ინფორმაციული სივრცე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ეკონომიკურ-გეოგრაფიული სისტემების ფორმირების პირობებში. გამოირკვა, რომ მცირე ქვეყანა, ეს მხოლოდ ეკონომიკური ცნების მატარებელი სუბიექტი კი არ არის, არამედ ის ერთიანი ტერიტორიაა, რომლის ერთობლიობა განისაზღვრება დახურული ინფორმაციული სივრცის არსებობით. ამ დახურულობას მივყავართ „ინფორმაციულ-სივრცობრივი სისტემის“ ჩამოყალიბებასთან. ასეთი სისტემის მაქსიმალური მოცულობა იცვლება საზოგადოების ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების კვალდაკვალ.

ინფორმაციული შესაძლებლობების ოპტიმალურობა განისაზღვრება ტერიტორიული სისტემის მდგრადობით, რომელიც ამავდროულად ნებისმიერი მცირე ქვეყნის სტაბილურობის ძირითადი მიზეზიცაა. დისკუსიას იწვევს მხოლოდ ინფორმაციული სივრცის სისტემურობის არსებობის ვადები. ჩვენი აზრით, ინფორმაციული სისტემის ზეგავლენის მინიმალური ვადა მოიცავს 25 წელს. განსაკუთრებულ პირობებში, მაგალითად, მთიან ქვეყნებში ინფორმაციული სივრცის არსებობამ შეიძლება მიაღწიოს 600 წელინადზე მეტ პერიოდს, მაგალითად, შვეიცარიაში ცალკეული ანკლავები, სადაც დღეისათვის შენარჩუნებულია ადრეული შუა საუკუნეების დროინდელი ეპოქის არაბული დიალექტები და წესჩვეულებები.

ტიპიურად პატარა სახელმწიფოებს გააჩნიათ ეკონომიკის ეფექტურობის მაღალი ხარისხი. დასავლეთ ევროპაში ისეთ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც თავიანთ ეკონომიკას აშენებენ როგორც მცირე ქვეყნისას, განეკუთვნებიან შვეიცარია და ნორვეგია.

ავსტრიის, ბელგიის, ფინეთის, შვეციის მაგალითები ასახავენ განსხვავებული ხასიათის სიძნელეებს, რომლებსაც ეს ქვეყნები შეეჯახნენ თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების ეპოქაში. ავსტრიისათვის, რომელმაც საკუთარ ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწია „ტურისტული ეფექტების“ საშუალებით, პატარა ქვეყნის მდგომარეობაში გადასვლა იყო თითქმის ტრაგიკული. 1920-1930 წლების პირველი დეზინტეგრაციის პერიოდი მისთვის, თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. მსგავს მდგომარეობაში ავსტრია გამოიყურებოდა როგორც სრულიად უპერსპექტივო ქვეყანა, არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ავსტრიის დაბალანსებულ ეკონომიკურ განვითარებას დასჭირდა მნიშვნელოვანი პერიოდი, რომ იგი თავსებადი ყოფილიყო ევროპის და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებთან.

ბელგიაში მრეწველობის კონსერვატორული სტრუქტურა, რომელიც გამოწვეული იყო კოლონიური კავშირების ზეგავლენით, დიდი ხნის მანძილზე ქვეყანას ჩამორჩენილს ხდიდა სხვა განვითარებულ სახელმწიფოსთან შედარებით. ფინეთში ომის შუა პერიოდში, უპირველეს ყოვლისა, ზარალი განიცადეს იმ დარგებმა, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ რუსეთის იმპერიის ბაზრებზე. მსგავსი პროცესები განვითარდა 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად.

მსოფლიო ბაზრებზე, მცირე ქვეყნებს ყოველთვის დიდი ჯაფა ედგათ იმისათვის, რომ მოეძებნათ საკუთარი „ნიშა“ კიდევ უფრო ცუდ დღეში ვარდებიან მცირე ქვეყნები, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ცდილობენ მსოფლიო ბაზრის ახალი მოთხოვნების მიუხედავად შეინარჩუნონ ეკონომიკის ძველი დარგობრივი სტრუქტურა.

მცირე ზომის მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების საერთო ტენდენციები ყალიბდება მსოფლიო ბაზრების მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნულმა ქვეყნებმა საკუთარი ნიშის მოძებნა მოახერხეს: მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოების, ფინანსური საქმიანობის და ა.შ. ხარჯზე. ლუქსენბურგი საბანკო ოპერაციების მოცულობით, სადაზღვევო საზოგადოებებით და სხვა ფინანსური ინსტიტუტებით გახდა მეორე შვეიცარია. ტრანსეროვნული კომპანიები საკუთარ საწარმოებს, სულ უფრო მეტი დოზით განათავსებენ შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, ავსტრიასა და ბელგიაში.

საერთო ჯამში ევროპის მცირე მაღალგანვითარებული ქვეყნები უფრო წარმატებით შეეგუნენ ომის შემდგომი ეკონომიკური კონიუქტურის ცვლილებას, ვიდრე დიდი ქვეყნები. არც ერთ მცირე ქვეყანას არ დაუკარგავს საკუთარი მნიშვნელობა მსოფლიო მეურნეობაში და მნიშვნელოვნად არ შეუმცირებია ერთ სულზე შემოსავალი, როგორც ეს მოხდა ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს ქვეყანაში, მაგალითად, დიდი ბრიტანეთში.

მცირე სახელმწიფოები დიდი სახელმწიფოების მსგავსად ვერ კარნახობენ მსოფლიო ბაზრებს საკუთარ პირობებს, ისინი ადაპტირებას ახდენენ ბაზრებზე ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიუხედავად, განუწყვეტლივ ეძებენ ახალ ბაზრებზე შეღწევის საშუალებებს.

უმთავრესი რაზედაც მათი ეკონომიკა მყარად დგას, ესაა ხალხი და უმაღლესი ადამიანური პოტენციალი. სწორედ პირველმა შვეიცარიამ აჩვენა საკუთარი და უცხოური სამუშაო რესურსების შერწყმის მაგალითი, რომელიც მომავალში მიღებულ იქნა თითქმის ყველა მაღალგანვითარებული სახელმწიფოს მიერ. მაღალი კვალიფიკაციის მქონე ძირეული მოსახლეობის და განსაკუთრებით რთული წარმოების შერწყმამ დაბალი კვალიფიკაციის მუშახელსა და მცირე სირთულის დარგებთან, წარმოქმნა ადგილობრივი მოსახლეობის და ემიგრანტების საფრთხე, რამაც გამოიწვია გარკვეული შეზღუდვების დაწესება უცხოეთიდან მუშა ხელის მოდინებაზე და ეკონომიკური ზრდის ტემპების მიზნობრივი შეზღუდვა. მცირე ზომის ქვეყნებს უწევთ იგივე პრობლემის გადაჭრა: უპირატესობა მიანიჭონ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებს ან გადაჭრან ეროვნული პრობლემა? ჩვენი აზრით, აქ მნიშვნელოვანია „შიშველი ნაციონალიზმი“ სოციალური ინფრასტრუქტურის დეგრადაციის შემცირების პრობლემა, მოსახლეობის კულტურული და კვალიფიციური დონის შემცირება, სწორედ მცირე ქვეყნები უთმობდნენ ყოველთვის დიდ ყურადღებას ძირძველი მოსახლეობის შრომითი კულტურის მაღალი დონის მხარდაჭერას, მისი კვალიფიციური და განათლებითი ცენზის მაქსიმალურად ამაღლებას.

მცირე ქვეყნებს განათლება, ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიაჩნიათ. დიდი ქვეყნებს შეუძლიათ განათლების სისტემაში უკმარისობების ატანა, რაც მცირე ქვეყნისათვის თითქმის შეუძლებელია. მცირე ქვეყნებს არ შეუძლიათ „ტვინების იმპორტის“ ხარჯზე არსებობა. ყველაზე მცირე ქვეყნებს პრობლემები ექმნებათ, უცხოეთში და საკუთარ ტერიტორიაზე არსებული ტრანსეროვნული კომპანიების ფილიალებში კადრების დენადობის გამო.

მცირე ქვეყნებს ასევე პრობლემას უქმნის ნაკლებად შესწავლილი უპირატესობა, რომელიც დაკავშირებულია ერთფეროვნებასთან და დამახასიათებელია მისი ინფორმაციული სივრცისათვის. ინფორმაციული სივრცის მრავალფეროვანი ხასიათი ხშირ შემთხვევაში ხდება პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და მრავალწახნაგა განათლების სისტემის მიზეზი. მთლიანად მცირე მაღალგანვითარებული ქვეყნების ფენომენის შესწავლამ მკვლევრებს საშუალება მისცა, თანამედროვე საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ახლებურად გაეაზრებინათ და მეტი ყურადღება დაეთმოთ ეგრეთ წოდებულ სოციალურ ინფრასტრუქტურაზე.

### 12.8 სამრეწველო კლასტერების განთავსების თავისებურებები პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში

მეცნიერები მრეწველობის დარგებს, ყოფენ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფს განეკუთვნება ტრადიციისამებრ მოპოვებითი წარმოება, მეორე ჯგუფს გადამამუშავებელი მრეწველობის მასიური წარმოება, მესამე ჯგუფს – მაღალი ტექნოლოგიების უახლესი წარმოება. თითოეულ ჯგუფს გააჩნია გარკვეული თავისებურებები და მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას კლასტერების შექმნის პროცესში. მათ შორის აღსანიშნავია:

1.თანამედროვე პირობებში თითოეულ ჯგუფს გააჩნია განთავსების კონკრეტული კანონზომიერება. იგულისხმება კანონზომიერებათა ცვლილება, რომელიც მოიცავს განთავსების მთავარი ფაქტორების სიდიდეს და პოტენციას. ის უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ჯგუფობრივ თავისებურებებზე და დარგების განვითარების ტექნოეკონომიკურ დონეებზე.

2.პირველი ჯგუფის დარგებისათვის პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლისას, სულ უფრო ხშირად ირღვევა ტრადიციული „კავშირი“ რაიონი – ქვეყანა – მსოფლიო მეურნეობა. მას ცვლის მომპოვებელი მრეწველობის რაიონის პირდაპირი კავშირი მსოფლიო მეურნეობასთან, ხოლო წამყვანი ქვეყნების ტერიტორიულ დარგობრივ სტრუქტურაში, ხდება წინათ აუცილებელ წარმოებად მიჩნეული ობიექტების გამორიცხვა. იცვლება დარგების ტრადიციული „ტიპიური კრებული“, მათი სრული პროფილი ქვეყნის დონეზე. მსგავსი ტენდენციებით პირველი და მეორე ჯგუფის დარგებში იცვლება მაკრორეგიონული და გლობალური კავშირების სისტემები.

3.მასიური წარმოებებისათვის ძლიერდება რეგულარული განთავსების ტენდენცია, რასაც ხელს უწყობს ინტეგრაციის სახით საბაზრო სივრცითი გაფართოება, მყიდველობითი უნარის გაფართოება და ა.შ. აღნიშნული ტენდენციების რეალიზებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ინტეგრაციული ინსტიტუტები და ტრანსეროვნული კომპანიები, რომლებიც ხელს უწყობენ მაკრორეგიონული სისტემის ფორმირებას.

4.არსებითია, რომ მესამე ჯგუფის უახლესი წარმოება უპირატესად განისაზღვრება „პროდუქციის ციკლის“ ადრინდელი სტადიებით, შედეგად ისინი განთავსებისას იმეორებენ ადრეულ სტადიებს, რომლებიც თითქოს და დიდი ხნის დავიწყებულია გვიანდელი ინდუსტრიალიზაციის პირობებში.

5.თანამედროვე პირობებში განთავსების უმთავრესი ფაქტორი პოსტინდუსტრიულ პერიოდში არის პირველი ჯგუფისათვის ენერგეტიკული ფაქტორი, მეორე და მესამე ჯგუფისათვის- შრომის ფაქტორი, მესამე ჯგუფისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ეკოლოგიური ფაქტორი, რომელიც თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტ აქტუალობას პოულობს.

ვფიქრობთ, აღნიშნული მომენტების გათვალისწინება აუცილებელია სამრეწველო კლასტერების ოპტიმალური განთავსების უზრუნველყოფისათვის.

სივრცობრივი თვალსაზრისით ინტეგრაციული პროცესების შესაწავლისას, ის შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მრავალმხრივი ტერიტორიული-სისტემა. ინტეგრაციული პროცესები ექვემდებარება კანონზომირებებს. მას გააჩნია ციკლური ხასიათი. ინტეგრაციის პროცესს ხშირად ცვლის დეზინტეგრირება. ბაზრის განვითარების დონე ხშირ შემთხვევებში განსაზღვრავს მრეწველობის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკურ ხასიათს.

ინტეგრაციას უნდა გააჩნდეს ზღვრული სარგებელი და ეკონომიკური განვითარების რეალიზებისათვის ხელშემწყობი პირობები. საერთო ინტეგრაციული პროცესების ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ ევროპის პატარა მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოკვლევებს. სპეციალისტების მიერ აღნიშნული ქვეყნების შესწავლამ მოგვცა თეორიული შედეგები სულ მცირე სამი ძირითადი მიმართულებით: 1) თვით მცირე ქვეყნების კომპლექსური შესწავლა და მათთან დაკავშირებული ინფორმაციული „სივრცის ანალიზი"; 2) „სტანდარტული ეკონომიკური რაიონის" ცნების ბაზაზე ეკონომიკური რაიონების თეორიები და მისი რაოდენობრივი პარამეტრების განსაზღვრა; 3) ინტეგრაციის თეორიები, რომლებსაც გააჩნიათ განსაზღვრული საზღვრები და ოპტიმალური სიდიდეები. მკვლევარებს შორის „მცირე ქვეყნის" ცნებაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, მათ შორის ყველაზე ოპტიმალურად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

1.მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა, 50-60 მილიარდ დოლარამდე;

2.ეკონომიკის მაღალი განსხვავების ხარისხი; მთლიანი სამამულო პროდუქტის 1/3-ის შექმნაში გარე სამყაროზე დამოკიდებულება;

3.მსოფლიო ბაზრებზე საკუთარი „ნიშის" ძიება. ის გამონეულია სხვადასხვა დარგების განვითარების არათანაბარი დონის არსებობით, მათთვის დამახასიათებელია ტრადიციულ დარგებთან ერთად დარგების არსებობა საპატენტო უფლებით.

4.შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქმიანობის ისეთი სფეროებით მონაწილეობა, როგორებიცაა დიდი ქვეყნების სატრანსპორტო მომსახურეობა, ტურიზმი-რეკრეაცია, ფინანსები და სამეცნიერო კულტურული პოტენციალის გამოყენება.

მრეწველობაში „ურთიერთშეთავსებადობის" პრინციპს გააჩნია უმთავრესი საერთო მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, გეოგრაფიაში თეორიულად ეს პრინციპი აშკარაა, ის აიხსნება შემდეგი პრინციპით: „თანრიგი-ზომა" (zip.fa) – ცენტრალური ადგილების თეორია (კრისტალური) დასახლებულ ადგილებში განლაგება და რეგულარული (კრისტალა-ლეში) გადამამუშავებელი მრეწველობის განთავსების სისტემები. მრეწველობის განთავსების გეოგრაფიის დეტალურმა გამოკვლევამ გამოავლინა მთელი რიგი წინააღმდეგობები და საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა თეორიულად დასაბუთებული დასკვნა: მისი არსი მდგომარეობს მრეწველობის განლაგების პროცესში ურთიერთშეთავსებადი სისტემების ციკლურ რყევებში.

საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებში მრეწველობის გენეტიკური განთავსება ხდებოდა მრავალი ჯგუფის ფაქტორების ზეგავლენით.

არარეგულირებადმა ფაქტორებმა (მათ რიცხვს განეკუთვნება ნედლეულის წყაროებთან სიახლე, ხელსაყრელი სატრანსპორტო მდგომარეობა, კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, ხელსაყრელი აგლომერაციები) მიიღეს საერთო სახელწოდება „განთავსების სტანდარტები" ა. ვებერის თეორიით.

პირველი დაკავშირებულია ახალი ფაქტორების გამოვლენასთან, მათ განეკუთვნება ტრანსპორტი და ენერგო რესურსები, რომლებმაც სამეცნიერო ტექნიკურ სამუშაოებში განსაკუთრებული როლი შეიძინეს.

მეორე ფაქტორი დაკავშირებულია ქვეყნების მიერ საბაზრო სივრცეების ათვისებასთან, რომელიც გამოისახებოდა მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებლებით.

ზემოთ მითითებული პირველი ფაქტორი სრულად აისახება ენერგეტიკული და სატრანსპორტო რეგიონულ მაკრო სტრუქტურაზე და ხელს უწყობს ახალი ფატორის „განთავსების ინერციის" ჩამოყალიბებას, რომელიც ამ უკანესკნელ პერიოდში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ თავისი წვლილი შეიტანა საშუალო რგოლის კლასიკურ ტრიადაში: მოპოვების ღირებულება+მოწოდების ღირებულე-

ბა+გამოყენების ღირებულება. მოწოდების ღირებულების შემცირებაზე დიდი როლი მოახდინა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ ენერგეტიკულ მეურნეობაში (ელექტრო გადამცემი ხაზების ნავთობსადენების და გაზსადენების სისტემების განვითარებაზე და სხვა).

ენერგეტიკული ფაქტორის პოტენციის შემცირების ტენდენციამ გამოინეია ის, რომ განვითარებული ქვეყნების მრეწველობის განლაგებისას მას შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური კვლევები მიმართულია უფრო იაფი ენერგიის წყაროების მოპოვებისა და წარმოებაში დანერგვისაკენ.

სატრანსპორტო ფაქტორის როლის შეფასებისას, შეიძლება გაეითვალისნინოთ იგიეე პრინციპები რაც დაკავშირებულია ენერგეტიკულ ფაქტორთან. სატრანსპორტო ხარჯების შემცირებამ ქვეყნებს საშუალება მისცა მაკრო დონეზე განეხორციელებინათ მრეწველობის სტრუქტურული ცვლილებები. განსაკუთრებით ხელსაყრელი ხდება საზღვაო ტრასპორტის გამოყენება, რამაც საშუალება მისცა მწარმოებლებს, შეემცირებინათ ცალკეული პროდუქციის ნარმოებაზე გაწეული ხარჯები.

შრომის ფაქტორმა განსაკუთრებული როლი შეიძინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების განლაგებისას მას მიენიჭა განსაკუთრებული როლი. 1950-1960 წლებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შრომატევადი დარგები, პირველ რიგში კი მანქანათმშენებლობა, იძლეოდა სამრეწველო პროდუქციის 50%-დან 90%-მდე (ღირებულების მიხედვით). მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაელენა პრაქტიკულად არ აისახა შრომითი დანახარჯების შემცირებაზე. უფრო მეტიც, გაიზარდა „პრეტენზიები", რომელიც დაკავშირებული იყო „საყოველთაო კეთილდღეობის სახელწიფოს" შექმნასთან. მის უკან იდგა სამომხმარებლო საზოგადოება. შრომის ღირებულების ზრდასთან ერთად სისტემატიურად მიმდინარეობდა ფიქრი, კეთილსასურველი სოციალური ინფრასტრუქტურისა და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებაზე. სადაც პროფკავშირებს, შედარებით მინიმალური როლი ექნებოდა და ფორდი-ტეილორისეული, მოძველებული სისტემის ნაცვლად მობილური წარმოება განვითარდებოდა. კიდეე უფრო მეტი როლი ითამაშა შრომის ფაქტორმა, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის შემდეგ. გადამამუშავებელი მრეწველობის განლაგებისას, ახალ ფაქტორებს შორის განსაკუთრებული აღმოჩნდა ინერციის ფაქტორი, მისმა ანალიზმა მოითხოვა, ფაქტორების უფრო ზუსტი კლასიფიცირება, განსაკუთრებით წარმოების ხარჯებთან მიმართებაში, მათი რაოდენობრივი თანაფარდობა. მეცნიერების მიერ წარმოების ხარჯების გათვლისას მასში რთავენ საქონლის ფასს მოხმარების ადგილას. შედეგად საქონლის წარმოების ტექნოლოგია, ბაზრის მოცულობა და ხასიათი განიხილება, როგორც ეგზოგენური პარამეტრი, ხოლო ნედლეულის, ენერგიის, სამუშაო ძალის ამორტიზაციის ანარიცხები, მიმოქცევის დანახარჯები და ა.შ. ითვლება პირველ ფაქტორებად. განლაგების ინერციის ფაქტორი განსაკუთრებით საყურადღებო გახდა უკანასკნელ პერიოდში, ის განსაკუთრებულად იჩენს თავს მოძველებული მრეწველობის მქონე რაიონების სტრუქტურული გარდაქმნის პერიოდში, განსაკუთრებით ეს ნათელი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითზე. ამ პერიოდში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელი რიგი დარგების გეოგრაფია, განსაკუთრებით ქიმიური ინდუსტრია გამოიყურებოდა ანომალიურად, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ამავე დარგების ფონზე, როდესაც ის ნავთობ-ქიმიური ნედლეული ხდებოდა საზღვაო კავშირების საშუალებით. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მიუხედავად ცალკეული ნავთობ-ქიმიური საწარმოების გაჩენისა, ქიმიური მრეწველობა არა მხოლოდ შენარჩუნებულ იქნა, არამედ გაძლიერდა კიდეც, ასე გაგრძელდა ქიმიური მრეწველობის კონცენტრირება სამ ძირითად არეალში: ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში, შუარაინში და სამხრეთ გერმანიაში. 1950 წელს მათზე მოდიოდა დარგზე დასაქმებულების 70%, ხოლო 70-იან წლებში 86%-ზე მეტი. შედეგად მთელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიწებში (ბრემენის გარდა) მოხდა, ქიმიურ მრეწველობაში დასაქმებულების რიცხვის აბსოლუტური გაუმჯობესება. ასევე დარგის განვითარების არეალში, სულ უფრო მეტად იზრდებოდა არსებული ქარხნების რაოდენობა.

ქიმიური წარმოების განთავსების დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ 75% საწარმოებისა იყენებდა პირდაპირ ან არაპირდაპირ ძველ სიმძლავრეებს. აღნიშნული სიმძლავრეები, კონცენტრირებული იყვნენ ქიმიური ინდუსტრიის ტრადიციურ არეალებსა და ცენტრებში.

გადამწყვეტი როლი ამ შემთხვევაში შეასრულა ძველ ცენტრებში არსებულმა ჯერ კიდეე გამოუყენებელმა რეზერვებმა. აღნიშნული რეზერვები გამოიყენებოდა, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ძველი და ახალი სახის პროდუქციის გამოშვების გასაფართოებლად, ასე მაგალითად, 1964 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქიმიური მრეწველობის საწარმოების წილზე, რომლებმაც გამოიყენეს ძველი სიმძლავრეები (1945 წლამდე შექმნილი) მოდიოდა დარგის მთლიანი პროდუქციის 30%-მდე. სიმძლავრეების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენებოდა ფარმაცევტული პრო-

დუქციის წარმოებისათვის: სტაბილიზატორები, პლასტიფიკატორები და ანტიოქსიდანტები. ყოველივე ამის შემდეგ ექსპლუატაციაში გაშვებულ იქნა ადრე დაკონსერვებული საწარმოები, მაგალითად, „კასხელას" ქარხანა მაინის ფრანკფურტში, გარდა ამისა ძველი სიმძლავრეები გამოიყენებოდა ახალი სიმძლავრეების ასათვისებლად ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვა სტადიებზე. ძველი სიმძლავრეები არაპირდაპირ ზეგავლენას კიდევ უფრო მეტი სიდიდით ახდენდნენ ახალი ნავთობ-ქიმიური საწარმოების განლაგებისას.

აღნიშნულ შემთხვევაში მიზიდულობის კომპონენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომელიც ხელს უწყობს საწარმოს შენარჩუნებას და განვითარებას ძველი განლაგების ადგილზე, ხოლო წინააღმდეგობის კომპონენტი როგორც შემაფერხებელი მოვლენა ახალ ადგილზე საწარმოს განთავსებისათვის.

პირველი კომპონენტის გავლენით, მთავარ ეკონომიკურ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს კაპიტალური დანახარჯების ტექნოლოგიური სტრუქტურის დონე. რაც უფრო მაღალია თანაბარ პირობებში კაპიტალური დანახარჯების მოწყობილობების წილი, მით უფრო მაღალი და სწრაფია კაპიტალ-დაბანდებების უკუგება, აქედან გამომდინარე თითქმის ყოველთვის, უპირატესობა ეძლევა ძველი საწარმოების მოდერნიზაციას და გაფართოებას, თუ მათ შეუძლიათ უზრუნველყონ ბაზარი აუცილებელი პროდუქციით საშუალო ფასის პირობებში: სწორედ ამაში მდგომარეობს „0,6 წესი", რომლის მიხედვითაც სიმძლავრების 100%-ით გაზრდა მოითხოვს კაპიტალური დაბანდებების 60%-ით ზრდას. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით ზუსტად გამოჩნდა 1950-იან წლებში, როდესაც ომის შემდგომი პერიოდის აღდგენისათვის ხარჯებმა 1950-1958 წლებში აშშ-ში 37%, საფრანგეთში 38%, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 25% შეადგინა.

სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, დარგის განვითარებაში, ერთი ქვედარგის მეორე ქვედარგით შეცვლა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩარხთმშენებლობამ თითქმის 50% პირდაპირი მემკვიდრეობის წესით შეცვალა საფეიქრო მანქანათმშენებლობა, რომელიც განთავსდა ბადენ-ბიუტენბერგში, რომელიც უმთავრეს არეალს წარმოადგენდა საფეიქრო მრეწველობისათვის. მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა გემთმშენებლობასა და ქიმიურ მანქანათმშენებლობაში, რაც დამახასიათებელი იყო არა მარტო ევროკავშირის სახელმწიფოებისათვის, არამედ იაპონიისთვისაც.

წინააღმდეგობის კომპონენტი მნიშვნელოვნად გამოჩნდა მხოლოდ ისეთ ქვეყნებსა და რაიონებში, რომლებიც გამოირჩეოდა ერთ კილომეტრზე ერთობლივი ეროვნული პროდუქტის სიდიდეზე დამოკიდებულებით. აღნიშნული მაჩვენებლის ზღვრული სიდიდე 1 კმ-ზე 1970 წლის ფასებით 0,5 მილიარდი დოლარი იყო. განთავსების ხარჯები მოცემულ შემთხვევაში ატარებდა საკმაოდ განსხვავებულ ხასიათს. უპირველეს ყოვლისა, მას თან სდევდა სამუშაო ძალის და კაპიტალდაბანდებების მაღალი ღირებულება. ყოველივე ეს კი ზრდის „წინააღმდეგობის" დაძლევაზე გაწეულ დანახარჯებს. ეკოლოგიური კრიზისის საერთო გააზრების შემდეგ, უმთავრესი მნიშვნელობა მოიპოვა განთავსების ეკოფაქტორმა, განსაკუთრებით მავნე საწარმოებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ფაქტორმა მოიპოვა პოსტინდუსტრიულ პერიოდში, როდესაც მას ყურადღება ექცეოდა ახალი დარგების განთავსებისას.

საწარმოო ფაქტორებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ასევე, ინფრასტრუქტურის ფაქტორი. ის განსაზღვრავს ინვესტიციების ეკონომიას, რომელსაც ღებულობენ მეწარმეები არა მარტო მატერიალური წარმოების და საზოგადოების ხარჯზე, არამედ მოცემულ ადგილას ადრე არსებული საწარმოო ინფრასტრუქტურის ხარჯზე: ამ შემთხვევაში საუბარია იმ შენობა-ნაგებობებზე და სხვა სამრეწველო ობიექტებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი საწარმოების მიერ.

საწარმოო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის ახალი საწარმო ხარჯავს იმაზე დიდი რაოდენობით რესურსებს, ვიდრე გაფართოების ან არსებულის გარდაქმნისას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის და ქიმიური მრეწველობის ხარჯების შედარებამ აჩვენა, რომ საწარმოო ინფრასტრუქტურის გამოყენება იძლევა 2-დან 18%-მდე ეკონომიას, ხოლო გარდაქმნა კი 86-94% ეკონომიას. ამასთან პოსტინდუსტრიული განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო იზრდება სოციალური ინფრასტრუქტურის როლი და საწარმოო მომსახურეობის სფერო. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვალიფიციური მუშახელის როლი, რომლის დეფიციტიც გამოჩნდა საწარმოო კონიუნქტურის გაუმოჯებესებისას და ეკონომიკური ციკლების რყევისას.

1960-იანი წლების დასასრულს, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანმა სამამულო პროდუქტმა 3000 დოლარს გადააჭარბა, გამოჩნდა ქვეყნის ფარგლების შიგნით საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების ტენდენცია. ერთ სულ მოსახლეზე 2000-დან 3000 დოლარამდე პირობებში, შეწყდა მოსახლეობის დენადობა საცხოვრებლად ნაკლებად კეთილსასურველ

რაიონებში. 1000 დოლარის პირობებში მიგრაციული მოძრაობა იზრდება უფრო მაღალი ანაზღაურების ძიების ფორმით. 1500 დოლარის პირობებში სანარმოები გაჩერებულნი არიან მიგრაციებით.

განთავსების ფაქტორების ანალიზის დასასრულს აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ აგლომერაციაზე. კონკრეტული გამოხატულებით აგლომერიციის ეფექტი თავს იჩენს კოოპერირებისა და სპეციალიზაციისას. ასე მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომელსაც 1980-იან წლებში პირველი ადგილი ეჭირა მსოფლიოში დაზგების ნარმოებით 80%, ჩარხმშენებელი საწარმოებს არ გააჩნდათ საკუთარი ლითონის საამქროები, ისინი სარგებლობდნენ ლითონზე სპეციალიზირებული ქარხნების მიერ წარმოებული პროდუქციით. განთავსების ფაქტორების ურთიერთმოქმედების საბოლოო ანალიზით ცხადი ხდება, რომ მრენველობის განთავსების ნებისმიერ სისტემაში არსებობს ორი განთავსების სისტემის „სიმბიოზი". ერთის მხრივ, არსებობს ფაქტორული-განთავსების ვებერული სისტემა და მეორეს მხრივ, არსებობს განთავსების იერარქიული სისტემა კრისტალელელუ ლეშუს მიხედვით, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ბაზრებზე და საბაზრო ზონებზე, ორივე სისტემა ურთიერთქმედებს ერთმანეთზე და არსებობს ერთსა და იმავე სივრცეში.

# ინვესტიციების მოზიდვის რეგიონული ასპექტები და საგადასახადო პოტენციალის ზეგავლენა საინვესტიციო რესურსების ფორმირებაზე

## 13.1 ეკონომიკურ თეორიაში არსებული ინვესტიციური მოდელები

საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის ფონზე, მრავალი პრობლემისა და მიმართულების ახლებურად გააზრებისა და წარმოჩენის აუცილებლობა განაპირობა. მათ შორის თავისი აქტუალობითა და სასიცოცხლო მნიშვნელობით უდაოდ გამოირჩევა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების წარმატებით დამკვიდრების პრობლემა, რომელსაც დღესაც კვლავინდებურად არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ „ინვესტიციური საქმიანობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჯერ ერთი, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ინვესტიციები, მოსახლეობის შემოსავლებთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნის ძირითადი კომპონენტია. მეორე, ინვესტიციები ახალი ტექნოლოგიების დასანერგად, მანქანა დანადგარების შესაძენად, საწარმოს მოდერნიზაციისათვის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის საწინდარია." ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ინვესტიციების რამდენიმე ძირითადი ეკონომიკური მოდელი. კერძოდ:

– ინვესტიციების კეინსიანური IS-LM მოდელი, რომლის თანახმად ინვესტიციები (წარმოების მიმდინარე ხარჯებისაგან განსხვავებით) იძლევა შედეგს არა მათი განხორციელების პერიოდში, არამედ შემდგომი პერიოდის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, საინვესტიციო დანახარჯების მიღებულ შედეგებთან შედარებისას წარმოიქმნება ღირებულებებითი მაჩვენებლების თანაზომადობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელია დისკონტირების მეშვეობით. ამასთან თითოეული ინვესტორი უპირატესობას ანიჭებს დისკონტირების განაკვეთის საკუთარ ზომას.

მაგალითად, თუ რომელიმე ინვესტორის დისკონტირების განაკვეთი ნაკლებია ობლიგაციებზე გაცემულ საპროცენტო განაკვეთზე, მაშინ ის ყიდულობს ობლიგაციებს და პირიქით. ამასთან, კეინსი, ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრაში გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას – ინვესტორის პესიმისტურ ან ოპტიმისტურ განწყობას. თუმცა ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით ემპირიულ გამოკვლევას იგი არ გვთავაზობს;

– ნეოკლასიკური მოდელი, რომელიც განიხილავს საინვესტიციო საქონლის მფლობელი ფირმის სარგებელსა და დანახარჯებს. ეს მოდელი ინვესტიციების დონეს (მოცულობას) აკავშირებს ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებთან, როგორიცაა კაპიტალის ზღვრული პროდუქტი, საპროცენტო განაკვეთი, დაბეგვრის მოქმედი სისტემა და მთლიანობაში, ეროვნული შემოსავლები;

– ე. წ. „ტობინის" მოდელი, რომლის თანახმად, ინვესტიციების მოცულობა დამოკიდებულია არსებული კაპიტალის საბაზრო ღირებულებასა და მისი აღდგენის ღირებულებას შორის არსებულ თანაფარდობაზე, აგრეთვე ფირმის შემოსავლებზე;

– ბინათმშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციების მოდელი, რომელიც მჭიდროდ უკავშირებს საცხოვრებელი ბინების ფასს, ხოლო თავის მხრივ ეს უკანასკნელი დამოკიდებულია საცხოვრებელ ბინებზე არსებულ მოთხოვნასა და საკუთარი საცხოვრებელი ბინის ფლობიდან მოსალოდნელ სარგებელზე;

– მარაგებში ინვესტიციების ცვალებადობის მოდელი, რომლის ძირითადი არსი გამოიხატება დაბანდების მოტივებსა და წარმოების მოცულობის ცვალებადობას შორის არსებულ კავშირებში. ამ მიმართულებაში განსაკუთრებით გავრცელდა „მარაგების აქსელერატორის მოდელი", რომელიც გვთავაზობს პროდუქციის წარმოების მოცულობაში ცვლილებებისა და მარაგებში ინვესტიციების დაბანდებას შორის პროპორციულობას;

– ე. წ. „სოლოუს მოდელი", რომელიც დაფუძნებულია სოციო-კულტურული მიდგომის ირიბად გამოყენებაზე. ამ მოდელის ძირითადი არსი გამოიხატება ინვესტიციებზე მიმართული საბოლოო პროდუქციის წილსა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების დონის ურთიერთკავშირში. კერძოდ, ქვეყნები, რომელთაც ახასიათებენ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების დაბალი დონე, გამოირჩევიან ინვესტიციების დაბალი დონით (დანაზოგის დაბალი ნორმით) და პირიქით.

გარდა აღნიშნული მიმართულებებისა, ეკონომიკურ თეორიაში არსებობს სხვა ინვესტიციური მოდელები, რომელთა ძირითადი ამოცანაა ეკონომიკის კონკრეტულ დარგებსა და სფეროებში, აგრეთვე რეგიონებში ინვესტიციური პროცესების ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა.

მიუხედავად ინვესტიციური პროცესების რეგულირებისა და ეფექტიანობის ამაღლების თაობაზე ეკონომიკურ თეორიაში არსებული მდიდარი ლიტერატურისა და მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებული ფართო სპექტრის ინსტრუმენტარიუმის არსებობისა, საქართველოს გარდამავალ პერიოდში, ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა როგორც უცხოური, ასევე შიგა წყაროებით ინვესტიციების მოზიდვის სტაბილურად მაღალი ტემპების მიღწევა-შენარჩუნება.

აღნიშნული გარემოება კი თავის მხრივ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს შეიძლება დავუკავშიროთ.

სამწუხაროდ, ეკონომისტები ტრანსფორმაციული პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფისათვის მოუმზადებლები აღმოჩნდნენ: არ არსებობს არც ერთი ეკონომიკური თეორია, რომელზე დაყრდნობითაც ყოველმხრივი და ამომწურავი დასაბუთების გზით შესაძლებელი იქნებოდა პოსტკომუნისტური სახელმწიფოსათვის შემუშავებულიყო ერთადერთი სწორი ეკონომიკური პოლიტიკა.[3] აქედან გამომდინარე პრინციპულად შეუძლებელი იყო, გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, ეკონომიკური თეორიაზე დაყრდნობით შემუშავებულიყო ყოვლისმომცველი და იმავდროულად მართებული რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაციაც სასურველ შედეგებს მოიტანდა (თუმცა დღეისათვის ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა).


ამასთან ერთად აღსანიშნავია, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, ქვეყნის სუვერენიტეტის გამოცხადების შემდეგ ისეთი პრობლემების გამწვავება, რომლებიც დაკავშირებული იყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან. ამას დაემატა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, სისტემური ცვლილებების დაწყების სიძნელეები, საომარი მოქმედებები დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთის და სემეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ტერიტორიებზე) და შიდა ქართლის რეგიონში. აღნიშნულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეაყოვნა საინვესტიციო პროცესები და ცხადია, კატასტროფული ზეგავლენა იქონია ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე.

ინვესტიციური კრიზისის გაღრმავება მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ადეკვატურად აისახება საქართველოს რეგიონებში ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ რეგიონებში, მიუხედავად ზემოაღნიშნული ტენდენციისა, მაინც შეიმჩნევა ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურება.

ამგვარი მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი ფაქტორი, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს (კლიმატის) ჩამოყალიბებაა.

ინვესტიციური გარემო (კლიმატი) – ეს არის ეკონომიკის ინსტიტუციური სისტემის განსაკუთრებული ქვესისტემა, რომლის უნიანარესი ფუნქციაა (დანიშნულებაა), აქტიური ინვესტიციური საქმიანობით, საზოგადოების საწარმოო ძალების სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარებისა და განახლებისათვის საუკეთესო წანამძღვრების (პირობების) შექმნა. 4 ინვესტიციური გარემოს (კლიმატის), როგორც კატეგორიის ამგვარ განსაზღვრა-ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით რუსი მკვლევარების ა. ფოლომეევისა და ვ. რევაზოვის მიერ შემუშავებულია შესაბამისი განახლებული სტრუქტურა, რომელიც მრავალ ფაქტორს ითვალისწინებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ინვესტიციური გარემოს ფორმირებაზე.

დიაგრამა 13.1.1



გამოვყოფთ და გავაანალიზებთ რამოდენიმე ძირითად ფაქტორს, რომლებიც ჩვენი აზრით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საქართველოში საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე. კერძოდ:

**1. მაკროეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოში**

**2. საკანონმდებლო ბაზა.** საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფილების (მასტიმულირებელ) ხარისხს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყანაში მოქმედი ის კანონები, რომლებიც არეგულირებენ ინვესტიციების სამართლებრივ რეჟიმს.

ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები დინამიკაში შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1991 წლის 25 ივლისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე თვეში, უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ", 1995 წლის 30 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ", რომელიც ითვალისწინებდა უცხოელი ინვესტორებისათვის გარკვეული შეღავათების მინიჭებას (მაგალითად იხილეთ კანონის მე-5 კარის 23-ე მუხლი). 1996 წლის 12 ნოემბერს კი მიღებული იქნა კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", რომლითაც როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორი უზრუნველყოფილია თანაბარი უფლებებით. უცხოელი ინვესტორები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ინვესტიციების მოცულობასა და დაბანდების მიმართულებას, გარანტირებული აქვთ მიღებული მოგებისა და სხვა ფულადი სახსრების, აგრეთვე მათ საკუთრებაში მყოფი ქონებისა და სხვა ფულადი სახსრების, აგრეთვე მათ საკუთრებაში მყოფი ქონების საზღვარგარეთ დაუყონებლივი და შეუფერხებელი რეპატრიაციის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობა ერთნაირად ვრცელდება ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებზე სასოფლო სამეურნეო მიწის საკუთრებაში გადაცემის უფლების გარდა. უცხოელ ინვესტორებს უფლება აქვთ მხოლოდ მისი იჯარით აღება.

საქართველოში აკრედიტირებული უცხოელი ექსპერტების მიერ ამ კუთხით კანონმდებლობის შეფასებისას აღმოჩნდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მცირე შეზღუდვებით იყო ნებადართული მიწის ფლობა.

ეს მდგომარეობა ძირითადად განაპირობა საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 14 მაისს „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანამ, რითაც შეიცვალა იმ სფეროების ნუსხა, რომლებშიც აკრძალული ან შეზღუდული იყო შეაბამისი უწყებების მიერ ნებართვის ან ლიცენზიის გაცემის გარეშე ინვესტიციების განხორციელება (საბანკო საქმიანობა, სადაზღვევო საქმანობა, საჯაროდ გავრცელებული ფასიანი ქაღალდების გამოშვება). აღნიშნულმა ცვლილებებმა ფაქტიურად უფრო გააუმჯობესა ქვეყნის საინვესტიციო გარემო.

გარდა აღნიშნული კანონისა, საქართველოში მოქმედებს საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების ხელშემწყობი მთელი რიგი კანონები. კერძოდ: „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ", „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ", „სასაქონლო ნიშნების შესახებ", „საქართველოს საპატენტო კანონი", „საქონლის ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ", „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", „მეწარმეთა შესახებ", სამოქალაქო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი და სხვ. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა, რომელიც არეგულირებს საინვესტიციო საქმიანობას, საჭიროებს შემდგომ სრულყოფას საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების გათვალისწინებით.

**3. ბიზნესის ფუნქციონირების პირობები** შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამ კუთხით ყველაზე არასასურველი გარემოა ჩამოყალიბებული. სამართლიანი და კონკურენტული ბიზნეს-გარემოს არსებობა ქვეყანაში, საკუთრების დაუცველობა ინვესტორებს უკარგავს სტიმულს შიდა ბაზარზე კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის პირობებში, ლეგალური ბიზნესის განვითარებისა და შესაბამისად ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების თვალსაზრისით ჩამოყალიბებულია ნეგატიური გარემო, რაც ხელისუფლების მხრიდან ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების არაეფექტურობაზე მიუთითებს.

**4. სოციალურ-პოლიტიკური პირობები.** უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხითაც მეტად არასასურველი მდგომარეობაა საქართველოში. ქვეყანაში ელემენტარული ყოფითი პირობებიდან გამომდინარე უკიდურესად დაძაბულ სოციალურ მდგომარეობას პერიოდულად ენაცვლება ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების გამწვავება.

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალურ-პოლიტიკური პირობები, ამ მიმართულებით შექმნილი არასტაბილური გარემო მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოში (რეგიო-

ნებში) ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მთლიანობაში ქვეყნის მასშტაბით შექმნილი არასასურველი საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რეგიონებში ამ მიმართულებით მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე.

რეგიონის ინვესტიციური კლიმატის შეფასებისას ფართოდ გამოიყენება ფაქტორული მიდგომა, რომლის ძირითადი არსი გამოიხატება იმაში, რომ ამ მიმართულების კრებსით მაჩვენებლად წარმოდგენილია ყველა ინვესტიციური გარემოს ფორმირებაზე ზემოქმედი ფაქტორების უმეტესობის საშუალოდ შეწონილი შეფასებები:[5]

$$Q = \sum ( X_j , P_j )$$

სადაც: Q – რეგიონის ინვესტიციური კლიმატის შეწონილი კრებსითი მაჩვენებელია;

$x_j$ – რეგიონის ინვესტიციური კლიმატის ფორმირებაზე მოქმედი j-ური ფაქტორის საშუალობალიანი შეფასება;

$P_j$ – რეგიონის ინვესტიციური კლიმატის ფორმირებაზე მოქმედი ყველა j-ური ფაქტორი.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის ინვესტიციური კლიმატის შეფასების კრებსითი მაჩვენებელი არ შეიძლება წარმოადგენდეს ამა თუ იმ სამეურნეო სისტემის მიმზიდველობის (ინვესტორების თვალსაზრისით) ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულ კრიტერიუმს. როგორც წესი, ეს მაჩვენებელი „მდიდრდება" ინფორმაციით ამა თუ იმ ფაქტორების განვითარების შესახებ, რომელიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს ინვესტიციური კლიმატის მდგომარეობასა და დინამიკაზე. ამასთან, ნებისმიერი ინვესტორი გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მის მიერ აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, თუმცა ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფორმულა (ფაქტორული მიდგომა) იმის შესაძლებლობას უდაოდ იძლევა, რომ ინვესტორს ხელი შეუწყოს გარკვეული ორიენტირების განსაზღვრაში, რაც გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საქართველოში (რეგიონებში) შეზღუდული ფინანსური რესურსების არსებობისა და არასასურველი საინვესტიციო გარემოს პირობებში, საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების და ფინანსური რესურსების მოზიდვის წყაროდ შეიძლება გამოვიყენოთ:

1.რეგიონის ფინანსური საშუალებები (შემოსავალი, საამორტიზაციო ანარიცხები და სხვა);

2.სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ საკუთრებაში დარჩენილი ძირითადი ფონდების, მიწის ნაკვეთებისა და სხვა სახის აქტივის გაყიდვის შედეგად მოზიდული ფინანსური რესურსები;

3.ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნებები და ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო სახსრები;

4.სახელმწიფოს მიერ დაბრუნებადობის საფუძველზე ამა თუ იმ რეგიონისათვის გამოყოფილი კრედიტები, აგრეთვე სხვადასხვა ობლიგაციური ვალდებულებები, ვექსილები, საბანკო და სხვა ინსტიტუციონალური რგოლების (ინვესტორების) კრედიტები.

იმისათვის, რათა არსობრივად გავაანალიზოთ საინვესტიციო რესურსების წყაროები, გამოვყოთ მისი შემადგენელი ოთხი ძირითადი ჯგუფი (კომპონენტი):

1.საბიუჯეტო დაფინანსება (ყველა დონის ბიუჯეტის გათვალისწინებით);

2.რეგიონში მოქმედი სანარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ფინანსური საშუალებების დაგროვება (რეგიონული დაგროვება);

3.უცხოური ინვესტიციები;

4.მოსახლეობის დანაზოგები.

განვიხილოთ თითოეული მიმართულება (ჯგუფი):

1) რეგიონებში ინვესტიციური საქმიანობის დაფინანსებაში საბიუჯეტო სახსრების მონაწილეობა, დღევანდელ პირობებში საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. მიმდინარე საჭიროებებზე მუდმივი დეფიციტის პირობებში, ბიუჯეტის ქრონიკული შეუსრულებლობისას სახსრები, უწინარესად ინვესტიციებს აკლდება, რაც წარმოების სასტარტო დაფინანსების კრიზისს და მწვავე სოციალურ პრობლემებს წარმოშობს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს როლის გაძლიერებისა და სანარმოებში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესაბამისად მიღებული იქნა კანონი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ", რომლის ძირითადი არსი ბიუჯეტიდან აღნიშნული სააგენტოსათვის გამოყოფილი სახსრებით, ამა თუ იმ სანარმოს მიერ ბანკიდან აღებულ კრედიტზე გადასახდელი პროცენტის გარკვეული ნაწილის დაფარვაში მდგომარეობს. ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ ვ. პაპავას პოზიციას, რომ ამაში „თავისთავად გარკვეული სახის მხარდაჭერა მართლაც არის, მაგრამ ეს არ არის ინვესტიცია, რომელიც საწარმოს განვითარებას შეუწყობს ხელს. ინვესტიცია იქნებოდა იმ

შემთხვევაში ქვეყანაში საინვესტიციო სააგენტო კი არა, საინვესტიციო ფონდი რომ შექმნილიყო, რომელშიც მობილიზებული თანხებითაც, ვთქვათ რომელიმე საწარმოს მიერ სახელმწიფოს წილის (აქციების) გასაყიდად გამოტანის შემთხვევაში, იყიდდა აქციებს და გახდებოდა თანამესაკუთრე. ფაქტობრივად, სახელმწიფო წილსაც შეინარჩუნებდა და საწარმო ინვესტიციას მიიღებდა. სწორედ ამგვარ ფონდებში უნდა იმართებოდეს პრივატიზაციიდან მიღებული თანხები და იგი ცალსახად მენარმეობის განვითარებას უნდა ხმარდებოდეს."

ამასთან, ეროვნული საინვესტიციო ფონდის ჩამოყალიბების პირობებში, სუსტად განვითარებული რეგიონების, აგრეთვე რეგიონებში არსებული პრიორიტეტული დარგების ფინანსური მხარდაჭერისათვის, რეალური იქნებოდა მის სტრუქტურაში დ. მოურავიძის მიერ შემოთავაზებული „რეგიონული განვითარების ფონდის" ჩამოყალიბება. შესაძლოა „რეგიონული განვითარების ფონდი"-ს კომპეტენცია შემოფარგლული ყოფილიყო რეგიონებში ინვესტიციების განხორციელებისათვის პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთასა და შესაბამისად, მათ დაფინანსებაზე.

2) საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების თანამედროვე პირობებში რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია რეგიონული დაგროვების პროცესების გაღრმავება, ვინაიდან მისი მეშვეობით იქმნება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი. რეგიონული დაგროვების პროცესი გულისხმობს, ერთის მხრივ, ფულადი სახსრების გარკვეული ნაწილის (ზედმეტი პროდუქტი) აკუმულაციას, რომელიც უპირატესად კაპიტალური სამუშაოების დაფინანსებაზე წარიმართება, ხოლო მეორე მხრივ – წარმოების პროცესში ახალი საწარმოო ფონდების ჩართვას ან ძველის რეკონსტრუქციას.

რეგიონში ფულადი სახსრების აკუმულაცია შეიძლება განხორციელდეს:

– რეგიონში სამენარმეო საქმიანობის გააქტიურებისა და აქედან გამომდინარე, პროდუქციის რეალიზაციის შედეგად;

– რეგიონში წარმოებული პროდუქციის მის ფარგლებს გარეთ რეალიზაციის შედეგად;

– რეგიონებს ფარგლებს გარეთ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად;

– რეგიონში ინვესტიციების შემოტანის შედეგად;

– ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერებისა და ანარიცხების დაგროვების შედეგად;

– საბანკო საქმიანობის გააქტიურებით აკუმულირებული ფინანსური რესურსების დაგროვების შედეგად;

– ადგილობრივი გადასახადების ამოღების გაუმჯობესების ანუ რეგიონში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების შედეგად.

დაგროვების პროცესი, როგორც წარმოებაში ახალი საწარმოო სიმძლავრეების ჩართვა ან ძველის რეკონსტრუქცია, მჭიდრო კავშირშია ფულადი სახსრების აკუმულირებასთან. ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნა ან ძველის რეკონსტრუქცია რეგიონში ძირითადად ემსახურება:

– ადგილობრივი სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;

– რეგიონის ფარგლებს გარეთ პროდუქციის რეალიზაციის ადგილობრივი მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას;

– კაპიტალის შემოტანის ან გატანის მიზნით, სამეურნეო საქმიანობაში ადგილობრივი ბუნებრივი-რესურსული პოტენციალის ჩართვას.

4) მოსახლეობის დანაზოგები. სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსახლეობას „დანაზოგები არ გააჩნია" და მათი შემოსავლები იხარჯება მიმდინარე მოხმარებაზე, უფრო მეტიც, იგი სამომხმარებლო ხარჯების დაახლოებით 50 პროცენტს ფარავს. საქმე იმაშია, რომ მოსახლეობის სოლიდური ნაწილი ჩრდილოვან ეკონომიკაში მონაწილეობს და შესაბამისად, ამ საქმიანობით მიღებული შემოსავალი ვერ ექცევა სტატისტიკური ორგანოების დაკვირვების არეალში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობას დანაზოგების ფლობა ნაღდი ფულის ფორმით ურჩევნია, ვინაიდან ჯერ კიდევ დიდია მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში „საბანკო პირამიდებით" გამოწვეული ნეგატიური პროცესების ზეგავლენა და კომერციული ბანკების მიმართ უნდობლობის ხარისხი. ამდენად, ბანკებს გარეთ არსებული ფულადი მასა, ფაქტობრივად ვერ იქცევა ინვესტიციურ რესურსად. სწორედ ამ მიმართულებით ეფექტიანი ღონისძიებების გატარება და მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის დონის ამაღლება ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების კვალობაზე მიგვაჩნია მოსახლეობის ლეგალური დანაზოგების ზრდისა და მათი რეალურად საინვესტიციო რესურსად გადაქცევის მნიშვნელოვან წინაპირობად.

## 13.2 რეგიონული საინვესტიციო პროგრამები (რსპ)

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და შესაბამისად, ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების კვალობაზე, დღის წესრიგში დადგება საკითხი მათი გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე. აღნიშნულის რეალიზაციისათვის ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება **რეგიონული საინვესტიციო პროგრამების (რსპ)** შემუშავება, რომლის ძირითადი მიზანი იქნება რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების მიღწევა და შენარჩუნება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს წარმოების სტაბილიზაციას, სოციალური სფეროს განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. რსპ-ს ძირითადი მიზნიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი პრიორიტეტული ამოცანები:

– ინვესტიციური მიზნებისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;

– სახელმწიფოს ინვესტიციური პროექტების შემუშავება და რეალიზაცია;

– შერეული (სახელმწიფო და კერძო) და კერძო ფორმებით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების ფორმირების ხელშეწყობა;

– რეგიონში ინსტიტუციონალური ინვესტორების ფორმირებისა და განვითარების ხელშეწყობა;

– ინვესტირებისათვის კონსულტაციებისა და მეთოდური ხასიათის დახმარებების აღმოჩენა;

– ინვესტიციების დაცვის გარანტიების და დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება;

– რეგიონის მოსახლეობასთან, მათ ხელთ არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტიციებზე მიმართვის მიზნით შესაბამისი სამუშაოების ჩატარება (რა თქმა უნდა, ეს პრობლემა მეტად მტკივნეულია. მის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი, მაგრამ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების კვალობაზე დღის წესრიგში უთუოდ დადგება საკითხი თავისუფალი ფულადი სახსრების (დანაზოგების) საბანკო დაწესებულებებში მოზიდვისა და მათი რეალურ საინვესტიციო რესურსად გადაქცევის თაობაზე. ამდენად, ვთვლით, რომ ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურებასა და დაკარგული ნდობის აღდგენას მეტად პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება;

– რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურება და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარეობს რსპ-ს სისტემის კომპლექსურობა, მიზნობრიობა და ღიაობა (გამჭვირვალობა). ამდენად მიგვაჩნია, რომ რპს-ს და მისი ძირითადი შემადგენელი კომპონენტების რეალიზაცია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეგიონებში კონსალტინგური სტრუქტურების ქსელის, საგირავნო და სადაზღვევო კომპანიების ჩამოყალიბების ინიცირება. ეს ინსტიტუტები აუცილებელია რპს-ს ყველა კომპონენტის (მ. შ. საგარეო-ეკონომიკურის) ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის. მისი მიზანი, როგორც უცხოეთიდან, ასევე სხვა რეგიონებიდან ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფაა.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, სპეციალური საინვესტიციო ინსტიტუტების დაფინანსების წყაროებად გვევლინება:[10]

– განვითარების სპეციალური საინვესტიციო ფონდები;

– ბანკთაშორისი დეპოზიტები;

– საერთაშორისო რეგიონული საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების კრედიტები;

– შიდა და საერთაშორისო ფინანსურ პროგრამებში სახელმწიფო და საკუთარი ფასიანი ქაღალდების განთავსებით მიღებული შემოსავლები;

– სატრასტო, სალიზინგო და სხვა პასიური ოპერაციები;

– შემოსავლები სადაზღვევო, საპენსიო და სხვა ფონდებიდან;

– შემოსავლები საბანკო ბიზნესის ოპერაციებიდან და არარეზიდენტი მესაკუთრეების საინვესტიციო მომსახურეობიდან და ა.შ.

რეგიონული საინვესტიციო პროგრამების (რსპ) შემუშავება-რეალიზაციის პროცესში უნდა გამოიკვეთოს შესაბამისი პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს რეგიონების მრავალფეროვნება და მათი განვითარების (მათ შორის ინვესტიციური რესურსების მოზიდვის) არათანაბარი შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია რეგიონების რანჟირება შემდეგი თავისებურებების მიხედვით:

1)რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონე;

2)რეგიონის ინვესტიციური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე;

3)რეგიონის დემოგრაფიული დახასიათება;

4)რეგიონში კომერციული ინფრასტრუქტურის განვითარების დონე;

5)რეგიონში ეკოლოგიური, კრიმინოგენური და სხვა სახის რისკების დონე.

ამასთან, რეგიონული საინვესტიციო პროგრამების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ინვესტიციური პროექტების ეფექტიანობის შეფასებაზე. ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრა რსპ-ს მომზადებისა და რეალიზაციის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს პროექტის სამი ძირითადი მაჩვენებელი:

1)კომერციული (ფინანსური) ეფექტიანობა, რომელიც პროექტის განხორციელებაში უშუალოდ მონაწილე სუბიექტის ფინანსურ შედეგებს ითვალისწინებს;

2)საბიუჯეტო ეფექტიანობა – იგი წარმოაჩენს საინვესტიციო პროექტის ფინანსურ შედეგებს, რომელიც უშუალოდ აისახება ცენტრალური, ტერიტორიული ერთეულებისა და ადგილობრივი დონის ბიუჯეტებზე;

3)ეროვნულმეურნეობრივი ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც ასახავს პროექტის შედეგების ზეგავლენას, როგორც ეროვნულ მეურნეობაზე მთლიანობაში, ასევე მის ცალკეულ დარგებსა და რეგიონებზე.

ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ რაც უფრო მაღალია საინვესტიციო რისკი, მით უფრო მეტი მოგებისკენ ისწრაფვის კერძო ინვესტორი (მით უმეტეს, უცხოელი ინვესტორი, რისი ნათელი დადასტურებაა თელასის-ის პრაქტიკა). სწორედ კეთილდღეობის მაქსიმიზაციამ და რისკის შემცირებამ განაპირობა საფინანსო ანალიზის მიდგომის ჩამოყალიბება, ტრადიციული საბუღალტროსაგან განსხვავებით. საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდებს მიეკუთვნება ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის (PP) – Paybek period – ანგარიში. ამ მეთოდის თანახმად, რაც უფრო სწრაფად გამოისყიდის პროექტი დანახარჯებს, მით უკეთესია ანუ ყურადღება გადატანილია გამოსყიდვის სიჩქარეზე და არა შემოსავლის დონესა და საერთო მოგებაზე.[11] ვინაიდან აღნიშნული მეთოდი არ ითვალისწინებს ფულადი დანახარჯების დროის ასპექტს, შემუშავებული იქნა გამოსყიდვის ვადის ანგარიშის უფრო დახვეწილი ვერსია – ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირებული ვადა (DPP). საბუღალტრო აღრიცხვის მეორე მეთოდს წარმოადგენს მოგების საანგარიშო ნორმის განსაზღვრა (AROR – Acounting rate of return).

ამ მეთოდის ნაკლოვანებას წარმოადგენს საბალანსო მოგების გამოყენება ფულადი ნაკადების მაგივრად და იგი არ ითვალისწინებს ფულის ღირებულებების დროის ასპექტს. საფინანსო ანალიზის პირველ მეთოდს ეწოდა წმინდა დაყვანილი ღირებულების (NPV – Net Present Value) მეთოდი.

NPV = – ხარჯები + შემოსავლების მიმდინარე ღირებულება.

შემოსავლების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება რთული საპროცენტო განაკვეთისა და დისკონტირების ფორმულა.

$$FV = PV\lambda\ (1 + \gamma)^n$$

სადაც, FV – ფულადი სახსრების მომავალი ღირებულება;

PV – ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება;

n – წლების რაოდენობა, რომელთა განმავლობაში ხდება ზრდა;

γ – მოგების ნორმა;

თუ NPV დადებითი სიდიდეა, ანუ შემოსავლის მიმდინარე ღირებულება აჭარბებს ხარჯების მიმდინარე ღირებულებას პროექტი მისაღებია. NPV = 0 შემთხვევაში პროექტი არ მიიღება, ვინაიდან არ იქნება მიღწეული ინვესტორის ან კრედიტორის კეთილდღეობის ზრდა. საფინანსო ანალიზის მეთოდებში გათვალისწინებულია რენტაბელობის (PI – Profitability index)ანგარიში.[12]

როგორც წესი, PI-ის მნიშვნელობა უნდა იყოს ერთზე მეტი. ამავე მეთოდებს მიეკუთვნება მოგების შიგა ნორმის (IRR – Internal Rate of Return) ანგარიში. ეს მეთოდი ემყარება საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრას, რომლის დროსაც PI= 0 ანუ IRR არის მოგების ნორმა იმ შემთხვევაში, როდესაც მომავალი შემოსავლების მიმდინარე ღირებულება უდრის პირველად ხარჯებს.

გამოსყიდვის ვადის (PP) ანგარიში გამოიყენება საინვესტიციო პროექტების წინასწარი შეფასებისათვის, უფრო წინ გადაგმული ნაბიჯია დისკონტირებული ვადის (DPP) განსაზღვრა, ხოლო წმინდა დაყვანილი ღირებულებით (NPV) მეთოდი წარმოადგენს საფინანსო შეფასების ოპტიმალურ ვარიანტს.

ამგვარად, ეკონომიკურ თეორიაში არსებული და პრაქტიკაში აპრობირებული ინვესტიციების ეფექტიანობის მეთოდები, ჩვენი აზრით წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული რეგიონული საინვესტიციო პროგრამების შემუშავების პროცესში. ამასთან, ინვესტიციების განსაზღვრული მოცუ-

ლობით არსებობის პირობებში, თუ ცალკეული რეგიონების მიხედვით შემუშავებულ ამა თუ იმ პროექტს, ახასიათებს იდენტური მაჩვენებლები, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ამ პროექტის იმ რეგიონში რეალიზაციას, რომელიც ზემოთ მოყვანილი რეგიონების რანჟირების (ხუთი თავისებურება და განვითარების ტენდენცია) მიხედვით საჭიროებს მის ამოქმედებას. რა თქმა უნდა, ამ პროცესში უცილობლად უნდა იყოს გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ცალკეული რეგიონული საინვესტიციო პროგრამის რეალიზაცია სახელმწიფოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა ჩამოყალიბდეს. შემდგომ პერსპექტივაში ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტიციების მოზიდვის კვალობაზე, მათი ეფექტიანი გამოყენების პირობებში, საქართველოსა და მის რეგიონებში შეიქმნება საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების წარმატებით დამკვიდრებისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების რეალური წანამძღვრები.

# რეგიონული პოლიტიკის მაკროეკონომიკური პროგნოზი

## 14.1 რეგიონული მაკროეკონომიკური პროგნოზირების ასპექტები

გეოპოლიტიკის კლასიკოსები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოს ფორმირებაში ისტორიულ და ეკონომიკურ წინაპირობებთან ერთად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ მდებარეობასა და სივრცულ კოორდინატებს. „გეოპოლიტიკის“ ტერმინის ავტორის შვედი მეცნიერის რუდოლფ კელენის აზრით, იმისათვის, რომ სახელმწიფომ მიაღწიოს სიძლიერეს, მან უცილობლად უნდა გაატაროს ხუთი ურთიერთშემავსებელი და ურთიერთგამჭოლი „პოლიტიკა“, კერძოდ, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, სამხედრო და გეოპოლიტიკური. მისი აზრით, სახელმწიფო წარმოადგენს გეოგრაფიულ ორგანიზმს და ამავე დროს სივრცულ ფენომენს.

ამდენად, სახელმწიფოს განვითარების პროცესში რეგიონულ პოლიტიკას არცთუ უმნიშვნელო ადგილი უნდა დაეთმოს, ვინაიდან იგი არეგულირებს რეგიონების განვითარების პროცესს სახელმწიფოს განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

რეგიონული პოლიტიკის ძირითად ელემენტებად მიიჩნევენ: საგადასახადო, საბიუჯეტო, სატარიფო, საინვესტიციო, სტრუქტურულ, ინსტიტუციონალურ და სოციალურ პოლიტიკებს.

ე. კუკლინსკიმ ჩამოაყალიბა რეგიონების ტიპოლოგია საინოვაციო პროცესთან მიმართებაში:

კრეაციული და ინოვაციური რეგიონები, რომელთა ლაბორატორიებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებში იქმნება და გამოიცდება ბაზისური სიახლეები;

ადაპტიური ტერიტორიები, რომელთაც ძალუძთ ინოვაციათა გამოყენება მათი მასობრივი გავრცელების სტადიაზე;

კონსერვატიული რეგიონები და ტერიტორიები, რომლებიც ვერ ითვისებენ ინოვაციებს.

პირველ ტიპს მიეკუთვნებიან ფორმალური და არაფორმალური დედაქალაქები, რომლებსაც შესწევთ უნარი ბაზისური პოლიტიკური, სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების გენერირებისა და გააჩნიათ შესაბამისი საქმიანი და შემოქმედებითი გარემო.

ადაპტიურ ტერიტორიებს უპირატესად მიეკუთვნებიან კლასიკური ძველი სამრეწველო რაიონები და ნახევრადპერიფერიული, ზომიერი აგრარულ-ინდუსტრიული განვითარების რაიონები. პირველ შემთხვევაში განვითარების თანდათანობითი ჩამორჩენილობა ახალი ტექნოლოგიების თვალსაზრისით და მეორე შემთხვევაში ინდუსტრიალიზაციის დიფუზიის გარდაუვალი პროცესი აიძულებს ინოვაციურ პროცესში მონაწილეობას.

კონსერვატიულ ტერიტორიებს ძირითადად მიეკუთვნება ტერიტორიები, რომლებიც ინარჩუნებენ ინდუსტრიამდელი კულტურულ-ეკონომიკური წყობისადმი მიდრეკილებას[1]

სწორედ სხვადასხვა დონის შეფარდება კრეატიულ, ადაპტიურ და კონსერვატულ ტენდენციებს შორის განაპირობებს რეგიონების არათანაბარ განვითარებას, მათ ადგილს განვითარების ტრაექტორიაში. ამიტომ რეგიონების განვითარების პროცესის რაციონალური ორიენტაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური პოლიტიკის მაკროპროგნოზირებას, განსაკუთრებით პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნებში ეკონომიკის ცენტრალიზებული, დირექტიული დაგეგმვისა და მართვის უარყოფის შემდეგ „ვაშინგტონის კონსენსუსის“: ანუ ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო ინსტიტუტის დემონტაჟის, დოქტრინის რეფორმების კონცეპტუალურ ბაზად აღიარებამ გამოიწვია მაკროპროგნოზირების მნიშვნელობის სერიოზული დაქვეითება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში.

მაკროეკონომიკური პროგნოზები პრაქტიკულად შეცვლილი იქნა ეგზოგენური ტექნიკური პარამეტრებით, ისეთებით, როგორიცაა ინფლაციის შემცირება, სახელმწიფო ხარჯების ეკონომია, საპრივატიზაციო ობიექტების რაოდენობა და სხვა მაჩვენებლები, რომლებიც ასრულებენ მიზნობრივი დავალებების როლს. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია ალტერნატიულ მაკროპროგნოზებს დააკარგვინეს არსებითი მნიშვნელობა.

ს. გლაზიევი მაკროეკონომიკური პროგნოზირების დეგრადაციის მიზეზებად მიიჩნევს:

– ეკონომიკის ადრე არსებული მართვის სისტემის დემონტაჟის შეუქცევადობის დონის დაჩქარებულ მიღწევას;

– გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საერთაშორისო კაპიტალისადმი დამოკიდებულების მკვეთრ გაღრმავებას;

– სახელმწიფო ქონებისა და ნაციონალური სიმდიდრის მითვისების დაჩქარებას.

ამგვარი სტრატეგიული მიზნების არსებობისას ბუნებრივია, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაბუთებული და დამაჯერებელი პროგნოზების მოთხოვნილება არ არსებობდა და არც არსებობს, ვინაიდან მათი არსებობის შემთხვევაში ვერ გატარდებოდა სახალხო ქონების მტაცებლური პრივატიზაცია, ფასების გაუმართლებელი ლიბერალიზაცია, სახელმწიფო ვალდებულებების ზვავისებური ზრდა და სხვა. ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკის ვითარებაში პროგნოზის როლი დაყვანილი იქნა ცალკეული ტექნიკური პარამეტრების გაანგარიშებამდე ბიუჯეტის შედგენისათვის ჩამოყალიბებული ტენდენციების პრიმიტიული ექსტრაპოლიაციით. ამდენად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანა, რომლის შესახებ არის საუბარი სხვადასხვა სახის მაღალი დონის დოკუმენტებსა და გამოსვლებში, მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და მის საფუძველზე გამოვლენილი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისა და მისი ათვისების ღონისძიებათა სისტემის გარეშე ყოველთვის მიუღწეველ ამოცანად დარჩება.

ეკონომიკის განვითარების ალტერნატიული მაკროეკონომიკური პროგნოზების დამუშავებისათვის გამოყენებული უნდა იქნას პროგრესული, აღიარებული საწარმოო, ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური ტექნოლოგიები.

ეკონომიკური ზრდის უთანაბრობის მექანიზმის ანალიზი აჩვენებს, რომ დეპრესიის შემთხვევაში მხოლოდ სიახლეთა გენერაცია და გამოყენება წარმოადგენს შემდგომი ეკონომიკური ზრდის გასაღებს და წარმოადგენს ანტიკრიზისულ ღონისძიებათა არსს. ამიტომაც დეპრესიის პირობებში ექსტრაპოლიაციის მეთოდების გამოყენება ჩამოყალიბებული ტენდენციების მიმართ უაზრო და კონტრპროდუქტიულია.

ჩამოყალიბებული ტენდენციების ექსტრაპოლიაციით წლების განმავლობაში მუშავდებოდა ინდიკატიური გეგმები ეკონომიკური რესურსის შეფასების გარეშე, შიდა და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებათა ანალიზის გარეშე.

მსოფლიო საზოგადოების განვითარების პროცესში სულ უფრო იზრდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობა. კერძოდ, ტექნოლოგიურ სიახლეთა გამოყენების უნარის, ადამიანისა და შემოქმედებითი შრომის ორგანიზაციის ფაქტორის როლი. ის ქვეყნები, რომლებიც ვერ შეძლებენ უზრუნველყონ მოსახლეობის განათლების ჯეროვანი დონე, მეცნიერების განვითარება და ინფორმაციული გარემოს ხარისხი, აღმოჩნდებიან ღრმა მსოფლიო საინფორმაციო და საფინანსო ცენტრებზე დამოკიდებულნი და შეინარჩუნებენ მხოლოდ ბუნებრივი და ადამიანური რესურსების წყაროს ფუნქციას განვითარებული ქვეყნებისა და ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის. სწორედ ამგვარი გლობალური ტენდენციების ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკის განვითარების პოლიტიკის ფორმირება მაკროეკონომიკური პროგნოზირების საშუალებით.

მაკროეკონომიკური პროგნოზით უნდა მოხდეს დეპრესიის გადალახვის არსებითი საშუალებების დადგენა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, წარმოების ორგანიზაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით და არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებით. ამავე დროს უნდა განისაზღვროს, რა შეზღუდვები არსებობს ტექნოლოგიურ, კაპიტალის კვლავწარმოების, საწარმოო-ორგანიზაციულ, განათლებისა და კადრების მომზადების, ინსტიტუციონალურ საგარეო-ეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ სფეროებში. უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკური პოლიტიკის ტექნოლოგიური, ინსტიტუციონალური, ორგანიზაციული და მაკროეკონომიკური ამოცანები.

ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მიმართულება ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ინდიკატური მაჩვენებლებით მოკლე, საშუალო და ხანგრძლივი პერიოდებისათვის განსაზღვრასთან (პროგნოზირებასთან).

ამასთან, უპირველეს პრიორიტეტებად მიჩნეული უნდა იყოს ხარჯები მეცნიერებასა და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე, განათლებასა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინვესტიციო პროგრამებს, რომელთა დაფინანსებისათვის უნდა შეიქმნას განვითარების ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში.

ამგვარი მიდგომა მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და პროგრამების რეალიზაციისა აუცილებლად უნდა განხორციელდეს როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე რეგიონების მასშტაბით.

რეგიონის განვითარების პერსპექტივის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ პროგნოზირებას. ეკონომიკის განვითარების პროგნოზის დამუშავება ეფუძნება სისტემათა პროგნოზებს, კერძოდ, ბუნებრივი რესურსების პროგნოზს, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პროგნოზს, დემოგრაფიულ პროგნოზს და სოციალური ცვლილებების პროგნოზს.

აღნიშნული პროგნოზების საფუძველზე მუშავდება ეკონომიკური პროგნოზი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: ძირითადი მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ეკონომიკის დარგების

განვითარებას, ფონდებისა და კაპიტალური დაბანდებების კვლავწარმოებას, სტრუქტურულ ცვლილებებსა და დარგთაშორის კავშირებს, საწარმოო ძალების განლაგებას, საფინანსო და საერთაშორისო ურთიერთობებს და ფასების საკითხებს.

ეკონომიკურ პროგნოზირებას უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პროგრამებთან, კერძოდ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პროგრამასთა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებთან. ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების პრობლემების განხილვისას განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ამ პრობლემის ტერიტორიულ, ანუ რეგიონულ ასპექტს. რეგიონული პროგნოზირების ფუნქციონალურ თავისებურებას წარმოადგენენ საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა განვითარების ასპექტი. პროგნოზირების ტერიტორიული ასპექტის სპეციფიკურ ელემენტებს წარმოადგენს ბუნებრივი პირობების, წარმოების კონცენტრაციის, ეკონომიკის სტრუქტურის განსხვავება. არსებობს აგრეთვე სხვაობა შრომის კვალიფიკაციის, ანაზღაურების, სპეციალიზაციისა და სხვა საკითხებში.

რეგიონების განმასხვავებელ ნიშანთა შორის არის აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დონე და მისი ტემპები, არსებული ბუნებრივი რესურსების და შრომითი რესურსების გამოყენების დონე და სხვა.

ეკონომიკური პროგნოზირების სირთულე მდგომარეობს მრავალრიცხოვანი ფაქტორების შეფასების აუცილებლობაში, რის გამოც გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის: ექსპერტული შეფასების, ლოგიკური მოდელირების, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების, ნორმატიული და ექსტრაპოლიაციის.

ეკონომიკური პროგნოზი წარმოადგენს საფუძველს ოპერატიული გადაწყვეტილების მიღებისათვის და ეკონომიკისა და მისი შემადგენელი ნაწილების რაციონალური ორიენტაციისათვის.

საქართველოში დაგროვილია მათემატიკური მოდელების დამუშავებისა და გამოყენების საკმაო გამოცდილება რეგიონული პროგნოზირებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ თვალსაზრისით სამუშაოები, რომლებიც ტარდებოდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მ. კეკელიძის ხელმძღვანელობით, რომლებიც შემდგომ განაგრძეს ი. მესხიამ და ს. სანაძემ. ეკონომიკური ზრდის კომპლექსური მოდელი დამუშავებული იქნა თ. მახვილაძის მიერ. გაფართოებული კვლავწარმოების დინამიკისა და სტრუქტურის ელემენტების ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შესწავლა სათანადო მოდელების დამუშავებით ჩატარებული იქნა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლების მიერ (ი. ბურდული, დ. მელაშვილი, ჯ. ხავთასი, ვ. კილასონია). იხილავენ რა პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზის საკითხებს, ვ. კილასონია და თ. მახვილაძე აღნიშნავენ, რომ პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოიკვლიოს ქვეყნის, მისი რეგიონების, დარგთა და ცალკეულ საწარმოთა განვითარების ორიენტირები. იგი განიხილება როგორც პერსპექტივის კვლევის მეცნიერულ-ანალიზური სტადია და მისაღებ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობისა და დაბალანსების დონის ამაღლების საშუალება. მათი აზრით, ამგვარი ანალიზის ძირითად ამოცანას შეადგენს:

– სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური პროცესების და ტენდენციების ანალიზი, ჩამოყალიბებულ კანონზომიერებათა შეფასება და განვითარების საკვანძო პრობლემების განჭვრეტა;

– გამოვლენილ ტენდენციათა მოქმედების შეფასება პერსპექტივის თვალსაზრისით და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციათა და პრობლემათა განჭვრეტა;

– მომავალი განვითარების ალტერნატივათა გამოვლენა და მათი ღრმა მეცნიერული ანალიზი იმ მიზნით, რათა ყოველმხრივ იქნას დასაბუთებული შესაძლებელ (დასაშვებ) ვარიანტთაგან საუკეთესოს არჩევა.

ავტორები აღნიშნავენ პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზის სპეციალური მეთოდების შემუშავების აუცილებლობას და მიაჩნიათ ასეთი მეთოდების გაერთიანება შემდეგ სამ ჯგუფში: საანგარიშო-ანალიზურ, ნორმატიულ-შემფასებელ და კომპლექსურ-კრებსით ჯგუფებში.

პირველი ჯგუფის მეთოდთა გამოყენება ითვალისწინებს იმ ობიექტურ კანონთა მოქმედების მექანიზმის ცალკეულ ელემენტთა თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლისა და ეკონომიკის ზრდის სხვა მაჩვენებლების ტემპებსა და სტრუქტურაზე.

ნორმატიულ-შემფასებელი მეთოდები ეყრდნობიან იმ დაშვებას, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პროგნოზირების დროს რიგი პერსპექტიული მეურნეობრივი ურთიერთკავშირები და პარა-

მეტრები შეიძლება დადგენილ იქნან წინასწარ (მაგალითად, შეფასებულ იქნან ექსპერტთა მიერ) ეკონომიკურ კანონთა გამოვლენის თვისებრივ და რაოდენობრივ ფორმათა ცოდნის საფუძველზე.

კვლევის შედეგები, რომლებიც მიღებულ იქნა საანგარიშო-ანალიზურ და ნორმატულ მეთოდთა გამოყენებით, საშუალებას იძლევიან განისაზღვროს ცალკეულ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესთა განვითარების არა მარტო რაოდენობრივი პარამეტრები, არამედ მათ შორის შესაძლებელი ურთიერთკავშირებიც.

კრებსით კომპლექსურ მეთოდთა საშუალებით ხორციელდება სხვადასხვა წყაროთაგან მიღებული ინფორმაციის განზოგადება, რის საფუძველზეც ფორმირდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საბოლოო პროგნოზი, რომელიც მოიცავს ურთიერთთან ფუნქციონალურად დაკავშირებულ რთულ პროცესთა და მოვლენათა გარკვეულ ერთობლიობას.

ნაშრომის ავტორები იზიარებენ იმ შეხედულებას, რომ ეკონომიკური განვითარების კვლევის პროცესი უნდა შეიცავდეს პროგნოზირების სტადიას, ინდიკატურ მაჩვენებელთა დადგენასა და განსაზღვრას და შემდეგ პროგრამების შემუშავების სტადიას. ამასთან, ასეთი კვლევის ძირითად ამოცანას, პირველ რიგში, უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკური რესურსების შესწავლა, მათი გამოყენების გზების პროგნოზირება და მის საფუძველზე ეკონომიკური რესურსების გამოყენების კონკრეტული პროგრამების დამუშავება.

ნობელის პრემიის ლაურეატი ლ. ვ. კანტოროვიჩი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ეკონომიკური ხასიათის ყველა საკითხი, რომელთა სწორი გადაწყვეტა დამოკიდებულია რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე, შეიძლება დავყოთ ორ სახეობად: 1. მოცემული სამუშაოს შესრულებისა და პროდუქციის გამოშვების მეთოდების სწორი შერჩევა; 2. ცალკეულ საწარმოებსა და სამუშაოებს შორის პროგრამების, ასევე არსებული და წარმოებას დაქვემდებარებული რესურსების განაწილება. ორივე ამოცანის შესრულება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან".

გ. ყუფუნიას მიაჩნია, რომ წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემაში გამოყენებული უნდა იქნას ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებელი, რომელიც მოგვცემდა შესაძლებლობას გავითვალისწინოთ დაგროვილი რესურსების სიდიდე, მათი გამოყენების პოტენციური შესაძლებლობები და შექმნილი მთლიანი პროდუქტის მოცულობა.

ამავე მოსაზრებას ვიზიარებთ ჩვენ, მიგვაჩნია რა, ეკონომიკური პოტენციალი ხასიათდება დაგროვილი რესურსებითა და მატერიალური დოვლათის და მომსახურების წარმოების შესაძლებელი მოცულობით, რომელიც პერსპექტივაში შეიძლება მიღწეული იქნას რეგიონში, ქვეყანაში არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენების გზით.

ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელ ძირითად მაჩვენებლებსა და კატეგორიებს მიაკუთვნებენ ბუნებრივ-რესურსულ, სამეცნიერო-ტექნიკურ, წარმოების, ინფრასტრუქტურის, საკადრო და ორგანიზაციულ პოტენციალებს.

ცნობილია, რომ ეკონომიკურ რესურსებს მიეკუთვნება ბუნებრივი რესურსები (მიწა, წიაღისეული, წყალი და ტყის საფარი), შრომითი რესურსები, კაპიტალი, ადამიანების მენარმეობის უნარი და სამეცნიერო მიღწევები ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. სწორედ ამ რესურსების ობიექტურ შეფასებას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა რაციონალური მოქმედების პროგრამის შესადგენად.

რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესურსული პოტენციალის შეფასებას. ცნობილია რესურსული პოტენციალის შეფასების ორი ძირითადი – გაანგარიშებითი და საწარმოო ფუნქციის მეთოდები. პირველი მათგანი ძირითადად გამოიყენება ცალკეული სამეურნეო ობიექტების შეფასებისათვის და ნაკლებად გამოსაყენებელია რეგიონის, მხარის და უფრო ფართო მასშტაბის ობიექტებისათვის. ფართომასშტაბიანი გაანგარიშებებისათვის საწარმოო ფუნქციის მეთოდს გააჩნია გარკვეული უპირატესობა.

რესურსული პოტენციალის გაანგარიშება ხდება ოთხი ძირითადი სახეობის სიდიდეთა ჯამის პროპორციულად, კერძოდ, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ღირებულების, შრომითი რესურსების (წარმოების სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნების ნამრავლით საფონდო ექვივალენტზე) და მიწის რესურსებზე დანახარჯების შეფასების ბალებით.

არსებობს აგრეთვე რესურსების მაჩვენებლების პირდაპირი შეჯამების სხვადასხვა მეთოდები და კორელაციურ-რეგრესიული სტატისტიკური მეთოდი, რომლებიც ხასიათდებიან შედარებითი უპირატესობით.

პრაქტიკაში, აგრეთვე ცნობილია რესურსული პოტენციალის შეფასების ორი მიდგომა: ღირებულებითი და ნატურალური მაჩვენებლების მეთოდები. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, უპირატე-

სობა ენიჭება ღირებულებითი მაჩვენებლების მეთოდს, რომელიც ეფუძნება აუცილებელი საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების შეფასებას შესაბამისი საბაზრო ფასების გამოყენებით.

ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენებისათვის აუცილებელია მათი მონაცემების შეფასების არსებობა. ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალში იგულისხმება განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში არსებული ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივი პირობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანისა და საზოგადოების ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ და ესთეტიკურ მოთხოვნებს.

ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასება საშუალებას იძლევა აუცილებელი გახდეს ბუნებათსარგებლობის კომპლექსურად გადაწყვეტის საკითხი და შეიქმნას ოპტიმალური ურთიერთობის პირობები ეკონომიკასა და გარე სამყაროს შორის.

ამდენად, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეკონომიკურ შეფასებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამგვარი შეფასება აუცილებელია ბუნებრივი რესურსების ბაზრის ფორმირების, ბუნებათსარგებლობის საფასურის დადგენის, ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრისა და სხვა საკითხების გადასაწყვეტად.

ბ. რაბინოვიჩი გვთავაზობს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასების სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა შემდეგ ჯგუფურ სისტემას[7]:

– ერთეული ბუნებრივი რესურსის რაოდენობრივად ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება ნატურალურ გამოხატულებაში;

– ცალკეული ბუნებრივი რესურსის სამეურნეო ფასეულობის მაჩვენებლები რომელიმე ერთ მიმართულებაზე გამოყენებისას;

– სამეურნეო ფასეულობის მაჩვენებლები რომელიმე ერთი სახის ბუნებრივი რესურსის გამოყენებისა ყველა შესაძლო მიმართულებით;

– ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის სამეურნეო შეფასების მაჩვენებლები, რომლებიც მიიღებიან მესამე ჯგუფის მაჩვენებელთა ინტეგრაციით ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეობების და ტერიტორიის უბნების მიხედვით;

– ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის სამეურნეო ფასეულობის მაჩვენებლები მეურნეობის სხვადასხვა დონეებისათვის – ცალკეული ბუნებათმოსარგებლიდან მთლიანად ქვეყნისათვის ხუთივე აღნიშნულ მაჩვენებელთა ჯგუფები ურთიერთდაკავშირებულნი არიან.

რეგიონების სტრატეგიული განვითარების განსაზღვრის თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომები მდგომარეობს შემდეგში:

– პირველ რიგში, საკუთარ შესაძლებლობებზე ორიენტაცია;

– რეგიონის განვითარების ორიენტაცია არა მარტო მატერიალურ სფეროზე, არამედ ცოდნაზე, ინოვაციებზე და ინსტიტუციონალური სფეროს განვითარებაზე;

– რეგიონი განიხილება არა როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში, არამედ როგორც კვაზიკომპანია, რომელსაც მიეყავართ ტერიტორიის კონკურენტული უპირატესობის შეფასების აუცილებლობასთან და რეგიონის პროდუქციის მარკეტინგულ გამოკვლევასთან;

– რეგიონის განვითარებისათვის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები დაკავშირებულია კორპორაციული წესის ფორმირებასთან და ამ თავისებური კორპორაციის განვითარებასთან.

განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით არსებითი ცვლილებები შეიტანეს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მიზნობრივ შემადგენლობაში და განსაკუთრებით მის რესურსულ ნაწილში. ფაქტიურმა ტერიტორიულმა რესურსებმა, რომლებიც ყოველთვის განიხილებოდნენ როგორც საფუძველი რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა, შეიძინეს ახალი იმპულსები და განვითარება თავიანთი მონაწილეობისათვის რეგიონული ეკონომიკის ფორმირებაში.

ნ. კოლესნიკოვას მიაჩნია, რომ ტერიტორიული რესურსები, როგორც რეგიონული პოტენციალის საფუძვლები, შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ჯგუფის სახით[8]:

– რეგიონის ძირითადი კაპიტალი;

– ბუნებრივი რესურსები;

– მიწა, როგორც ქონებრივი კომპლექსის ნაწილი;

– შრომითი რესურსები;

– ფინანსური რესურსები;

– ინფორმაციული რესურსები.

ი. ბესტუჟევ-ლადა[9] განიხილავს რა საკმაოდ დეტალურად სოციალური პროგნოზირების პრობ-

ლემებს, მიიჩნევს, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნორმატიულ პროგნოზირებას და აუცილებლად თვლის ნორმატიული პროგნოზების დამუშავებას შემდეგ სფეროებში: შრომის, ოჯახის, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, საცხოვრებელი გარემოს და სოციალური ორგანიზაციის.

ცნობილია, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ითვლებოდა და ამჟამადაც ითვლება საზოგადოების განვითარების შეფასების ძირითად მაჩვენებლად. ამასთან ეს მაჩვენებელი, გამოხატული ფულად ერთეულებში, სრულად ვერ ასახავს სოციალურ პროცესებს, რომელთა ასახვა ფულად ერთეულებში შეუძლებელია.

ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით დამუშავებული იქნა საზოგადოებრივი განვითარების დონის შეფასებისათვის ადამიანური განვითარების ინდექსი, რომელიც წარმოადგენს სამი ძირითადი კომპონენტის – სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლების დონისა და ცხოვრების დონის ინტეგრალურ მაჩვენებელს. ამ მეთოდის უპირატესობად მიჩნეულია ის გარემოება, რომ შესაძლებელი ხდება მისი გამოყენება ტერიტორიულ ასპექტში, მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით შემოსავლის დონესთან დაკავშირებით და მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობისათვის. ამავე დროს, გაცილებით ობიექტურად ასახავს საზოგადოების განვითარების რეალურ მდგომარეობას.

ჯერ კიდევ 1994 წელს ჯ. ხავთასისა და გ. ნაკაიძის მიერ შემოთავაზებულ იქნა ეკონომიკური პროგნოზირების სისტემის შექმნის წინადადება პერსპექტიული განვითარების შესაძლო ვარიანტების განსაზღვრისათვის. ავტორები აღნიშნავდნენ, რომ პროგნოზირების ის მეთოდები, რომლებიც ეყრდნობიან წარსულის ინფორმაციის სტატისტიკურ დამუშავებას და შემდგომ მის ექსტრაპოლაციას, დღეისათვის არ გამოდგებიან. ამიტომ აუცილებელია პროგნოზირების სხვა მეთოდების გამოყენება, რომელთაგან დღევანდელ სიტუაციაში, ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პროგნოზირების ე. წ. ნორმატიულ მეთოდებს.

ეს მეთოდი ეყრდნობა იმ ძირითად დოქტრინას, რომლის მიხედვით მომავლის განვითარება, არსებითად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნები, იდეალები, მისწრაფებები და ფასეულობები წარმართავენ საზოგადოების ქცევას და მოღვაწეობას. აქედან გამომდინარე, საჭიროა აიგოს ე. წ. „მიზანთა ხე", რომელიც საზოგადოების მიზნებს, პრობლემებს, კონცეფციებს, სტრატეგიებს და ა. შ. წარმოადგენს იერარქიული სტრუქტურის სახით, სადაც მისი ელემენტები მონუსრიგებული იქნებიან ზოგად-კონკრეტულობის მიმართების საფუძველზე. პარალელურად დაიწერება საქართველოს განვითარების სცენარი, რომელშიც მოვლენათა ლოგიკური თანმიმდევრობით, ნაბიჯ-ნაბიჯ აისახება მომავლის შესაძლო ალტერნატიული ვარიანტები, გამოვლინდება და ანალიზი გაუკეთდება პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ, სამხედრო და სხვა შესაძლო კრიზისულ სიტუაციებს, შესაბამისი კონტრლონისძიებითა და გადაწყვეტილებათა სისტემის აღწერით.

საქართველოს განვითარების სცენარი და „მიზანთა ხე" დაეყრდნობა ექსპერტულ გამოკითხვებს და შეფასებებს, კერძოდ, მოდიფიცირებულ „დელფის" მეთოდს. ამ პროცესის პარალელურად საჭირო იქნება სხვადასხვა რაოდენობრივი მახასიათებლების: მიზანთა მნიშვნელობის, კავშირის კოეფიციენტების, ალბათობების, ხანგრძლივობების და სხვათა შეფასებები, რის საშუალებითაც გამოვლინდება პრიორიტეტული მიმართულებები, განვითარების უპირატესი ვარიანტები, რესურსებით უზრუნველყოფის პოტენციური შესაძლებლობები, მოსალოდნელი სუსტი ადგილები და სხვა.

„მიზანთა ხის" პირველი დონეები ძირითადად პოლიტიკურ ასპექტებს შეიცავს და მისი დამუშავების დეტალიზაციის დონე, წარმოდგენის სისრულე და სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ დამუშავებელთა წინაშე რა ამოცანები იქნება დასმული, რამდენად აქტუალურად ჩაითვლება განხილულ მოვლენათა პოლიტიკური ნიუანსების და გლობალური პრობლემების სიღრმისეული დეტალების შესწავლა. ჩვენი მიზანი ამჟამად შემოიფარგლება საქართველოში მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების პროგნოზის დამუშავებით, ამიტომ ზოგად პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონცეფციებს შევეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი უკავშირდება, განაპირობებს მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების შინაარსს. ასეთი პროგნოზი ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ მეცნიერების და ტექნოლოგიის განვითარებას რა რეალური შედეგები მოყვება, რამდენად პასუხობენ ისინი რესპუბლიკის ინტერესებს, რა რესურსების დანახარჯებით და როგორი ორგანიზაციით მიიღწევა განვითარების რაციონალური გზა.

მეორე მხრივ, „მიზანთა ხეს", სათანადო მეთოდოლოგიური დოკუმენტაციით, მასში ჩადებული მოწესრიგებული ცოდნით, ვრცელი კომპიუტერული უზრუნველყოფით, თავისთავად, პროგნოზის გარეშეც, დიდი შემეცნებითი და პრაქტიკული ღირებულება აქვს. მასთან დაკავშირებულია მმართველობითი, ორგანიზაციული და მეცნიერული პრობლემები: „მიზანთა ხეს" უნდა დაემთხვეს (კონგრუენტულად) ე. წ. „გადაწყვეტილებათა ხე", ესე იგი დამუშავდეს იერარქიულად სტრუქტურიზებული გადან-

ყვეტილებათა სისტემა, რომელიც მმართველობითი ღონისძიებების სისტემურობას, კორექტულობას და სოლიდურობას უზრუნველყოფს; საკმაოდ ცნობილი მეთოდი „პროგრამირება-პროგნოზირება-ფინანსირება“, რომელიც ფულადი რესურსების განაწილების, კერძოდ, ბიუჯეტის შედგენის დროს გამოიყენება, ეყრდნობა ალტერნატივების შეფასებებს; განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულება ენიჭება ექსპერტებისგან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას და სპეციალური სახით კომპიუტერში მოთავსებას „ცოდნის ხის" აგების, ანუ „საექსპერტო სისტემის“ შექმნის მიზნით; „მიზანთა ხე“, თუ იგი აღჭურვილია ფინანსური, შრომითი, დროითი და სხვა რესურსების დანახარჯებით, შეიცავს ქვეყნის განვითარების ქსელურ მოდელსაც, რომლის საშუალებით შეიძლება დამუშავდეს რიგი ორგანიზაციულ-მმართველობითი ამოცანებისა.

პროგნოზირების სხვა მეთოდებიდან, რომლებიც საქართველოს დღევანდელ სიტუაციაში გამოადგება, შეიძლება დავასახელოთ ორი. პირველი – პროგნოზირება მაკროეკონომიკური მოდელების გამოყენებით. ჩვენთვის გამოსადეგია ის მაკროეკონომიკური მოდელები, რომლებიც დამუშავებულია სპეციალურად განვითარებადი ქვეყნისათვის. ეს მეთოდი ეფექტურია მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის და არ მოითხოვს წარსულის გრძელ ინფორმაციას. მეორე მეთოდს შეიძლება ეწოდოს ანტიციპაციების სისტემის კომპიუტერული მოდელი. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: ანტიციპაცია, ანუ მომავლის შესახებ ლოგიკურად კონსტრუირებული მსჯელობა დარწმუნებულობის უცნობი დონით, წარმოადგენს მომავლის შესაძლო რეალიზაციას და ასეთ რეალიზაციათა სიმრავლე სისტემატიზებული, რაოდენობრივად შეფასებული და ინფორმაციული ბანკის სახით მოთავსებული კომპიუტერში, შესაძლებლობას იძლევა მიზეზ-შედეგთა გრძელ მიმდევრობებს ანალიზი ჩაუტარდეს და შეფასდეს მომავლის შესაძლო ვარიანტები. ეს მეთოდი გამოიყენება მნიშვნელოვან გლობალურ მოსალოდნელ მოვლენათა შედეგების წინასწარი გათვალისწინების მიზნით.

ამგვარად, საქართველოს განვითარების „მიზანთა ხე“, სცენარი და სხვა მეთოდები შეკრული მთლიანი სისტემის სახით, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის პროგნოზის დამუშავებისა და მმართველობითი გადაწყვეტილებისათვის მასალების მომზადების საქმეში. ერთხელ უკვე დამუშავებული ეს სისტემა სასურველია ფუნქციონირებდეს უწყვეტად, მიმდინარე მოვლენების და პროცესების სინქრონულად, განიცდიდეს მუდმივ განახლებას და კორექტირებას.

სამწუხაროდ, იმ პერიოდის კრიზისულმა მდგომარეობამ ხელი შეუშალა ამ წინადადებების რეალიზაციას. ამგვარი სისტემების შექმნა რეგიონებისთვის წარმოადგენს რეგიონული პრობლემების მართვის აუცილებელ საშუალებას და მეტად დასანანია, რომ ამ პრობლემას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

საბაზრო ურთიერთობისას შეიცვალა ტერიტორიული რესურსების მნიშვნელობა რეგიონული პრობლემების კვლავწარმოებით პროცესებში. ძირითადმა ფონდებმა შეიძინეს ქონებაზე გადასახადის ძირითადი ბაზის ფუნქცია. გარდა ამისა, ფონდები შეიძლება გადაიქცეს გარიგებების პოტენციურ ობიექტებად და ბიუჯეტის ერთჯერადი შევსების წყაროდ. ეკონომიკური პოტენციალის ფორმირებაში ბუნებრივი რესურსები პრაქტიკულად ერთ-ერთი წყარო ხდება დადებითი სავაჭრო ბალანსის მიღწევისათვის. ამიტომ აუცილებელია ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნა ბუნებრივი რესურსების დაკავშირებით გარკვეულობასთან.

განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკისათვის მიწის რესურსების სამეურნეო რაციონალურ გამოყენებას. თავისთავად მიწით სარგებლობის გადასახადი წარმოადგენს რეგიონული ბიუჯეტის ფორმირების ერთ-ერთ წყაროს, ამიტომ მისი რესურსების გამოყენებას ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური და აგროტექნიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის მნიშვნელოვან ფაქტორს.

რეგიონულ კვლავწარმოებით პროცესში განსაკუთრებული ადგილი აქვს შრომით რესურსებს, მათ შორის ისეთ საკითხებს, როგორიცაა დასაქმება, მიგრაცია, უმუშევრობის დონე, კვალიფიკაცია და სხვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ურთიერთობის პირობებში რეგიონის საფინანსო პოტენციალის განსაზღვრას, რომელიც წარმოადგენს საფუძველს კომპლექსური პროგრამებისა და პროგნოზების დამუშავებისათვის.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო რესურსებს, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელ დარგს, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დახასიათებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მეცნიერებისა და მისი მომსახურების სფერო, რომლის მდგომარეობა სულ უფრო რთულდება დაფინანსების მუდმივი შემცირებისა და სამეცნიერო დამუშავებებზე მოთხოვნების რადიკალური შემცირების პირობებში.

ამგვარ პირობებში რეგიონების ძირითად ამოცანად უნდა გადაიქცეს საკუთარი სანარმოო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა ბაზების კოოპერაციის და ინოვაციათა ინკუბატორების შექმნის საშუალებების გამონახვა პირველ რიგში რეგიონის მომხმარებლებისათვის, რეგიონის ცალკეული პრობლემების გადასაწყვეტად.

არსებული რესურსების გამოყენებისათვის რეგიონულმა ორგანოებმა უნდა შეასრულონ ორგანიზატორის როლი შემდეგი საკითხების გადაწყვეტაში:

– რეგიონის საინოვაციო წინადადებების პაკეტის ფორმირება დაინტერესებულ ინვესტორებისათვის;

– ერთობლივი პროექტების ფინანსირების ორგანიზაცია წილობრივი მონანილეობის პრინციპით (სამეწარმეო სტრუქტურები, მოსახლეობის სახსრები, კრედიტები, საბიუჯეტო სახსრები და სხვა);

– რეგიონის ადმინისტრაციის მონაწილეობა საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის.

რეგიონულმა ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს საინვესტიციო პროექტის ცალკეული ეტაპების განხორციელებას (საკონკურსო შერჩევა, ორგანიზაციული და ფინანსური მომზადება, საკონფლიქტო სიტუაციების დარეგულირება და ინტერესების თანხვედრა, კომერციული რეალიზაცია).

განსაკუთრებული ყურადღების სფეროს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი ორგანოებისა და მცირე ბიზნესის ურთიერთობათა საკითხი, რომელიც დამოუკიდებელ, საინტერესო თემას წარმოადგენს.

მთელ რიგ სამეცნიერო პუბლიკაციებში, ეკონომისტების, ანალიტიკოს-სპეციალისტების და პრაქტიკოსი მეწარმეების საქმიანობის შეფასებებში ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკური გარდაქმნების ხელისშემშლელ ძირითად ფაქტორად ყალიბდება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა ინტერესების შეუთავსებლობა. შეუთავსებლობის ძირითადი მომენტები შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც არაადეკვატური მიდგომები ბუნებრივი რესურსების, მატერიალური აქტივების, ადამიანის ცხოვრების სოციალურ-კულტურული პირობების და ადამიანის მოღვაწეობის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებისადმი. ამიტომ რეგიონულ ორგანოებს აუცილებლად ესაჭიროებათ ამ ინტერესების დარეგულირება რეგიონის პერსპექტიული განვითარების პრობლემების განხილვისა და გადაწყვეტისას.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში რეფორმების რაციონალურად წარმართვისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინოვაციები მართვაში, კერძოდ, საორგანიზაციო-ეკონომიკური გარდაქმნების სფეროში.

საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წარმატების მისაღწევად აუცილებელია არა მარტო ტექნოკრატიული, არამედ აგრეთვე ეკონომიკური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენება. ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის მკვეთრად იზრდება ამა თუ იმ ღონისძიების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის და ძირითადი კაპიტალის საარჯიტო შეფასების, მისაღები გადაწყვეტილების სამართლებრივი ექსპერტიზის საკითხების მნიშვნელობა.

რეგიონული ორგანოების როლი პერსპექტიული განვითარების პრობლემების გადასაწყვეტად უალრესად აქტუალური ხდება გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. ამიტომ მათ უნდა დაეცისროს რეგიონის განვითარების მაკროეკონომიკური პროგნოზის დამუშავების და მის საფუძველზე განვითარების ინდიკატორების (ინდექსების) დადგენა შემდგომი კომპლექსური პროგრამის ან ცალკეული პრობლემის პროგრამების შედგენისა და რეალიზაციის უზრუნველყოფა.

გასათვალისწინებელია ტერიტორიული ერთეულის თავისებურებები, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა, დემოგრაფიული სიტუაცია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე და მისი სტრუქტურა, ბუნების, ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვის უფლებები, მიწის და სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეთა უფლებები, ადგილობრივი ტრადიციები, რომლებიც დაკავშირებულია ტერიტორიული ერთეულისა და მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და შემდგომ განვითარებასთან.

სამწუხაროდ, დღემდე არ არის გადაწყვეტილი ეკონომიკის მაკროეკონომიკური პროგნოზირების საკითხი. ინდიკატური გეგმა არ პასუხობს მაკროეკონომიკური პროგნოზის მოთხოვნებს, ამიტომ საჭიროა ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის დაუყოვნებლივ მოგვარება.

ამრიგად, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ქვეყნის და მისი რეგიონების პერსპექტიული განვითარების მეცნიერული განსაზღვრისათვის აუცილებელია მაკროეკონომიკური ალტერნატიული პროგნოზების დამუშავება და განვითარების ინდიკატორების დადგენა უწყვეტი მონიტორინგის განხორციელებისათვის. განვითარების გარკვეული ეტაპების მიღწევისათვის საჭიროა პროგრამების დამუშავება და განხორციელება დაფინანსების რეალური წყაროების დადგენით.

ბოლო ათი წლის განმავლობაში მეცნიერები ეკონომიკური ზრდის ტემპების კვლევისას დიდ ყურადღებას უთმობენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა: „სოციალურ-ეკონომიკური განვითარება“, „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე“ და ა.შ.

ეკონომიკური ზრდა, როგორც ვიცით, განისაზღვრება წარმოების პროცესის რაოდენობრივი მახასიათებლებით. მისი ძირითადი მაჩვენებლებია მთლიანი სამამულო პროდუქტის და მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა.

ეკონომიკური ან სოციალურ ეკონომიკური განვითარება ახასიათებს ქვეყნის „რაოდენობრივ მხარეს“. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში რაოდენობრივი ცვლილებებით, ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების (ძირითადად ფილოსოფიის და ეკონომიკის) განვითარებით იქმნება განვითარების თეორიის საფუძვლები. ამ დარგებში დაგროვილი თეორიული ცოდნა აიოლებს იმ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გეგმას, რომლებიც მიმდინარეობს საზოგადოებაში. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პასუხს კითხვებზე, აქვს თუ არა განვითარებას ყოველთვის პოზიტიური ხასიათი, შეიძლება თუ არა, განვითარება „მინუს“ ნიშნით და თუ ასეთი შესაძლებლობა რეალურია, მაშინ რაში მდგომარეობს ასეთი უკუქცევითი განვითარება.

ძალიან საინტერესოა „ტრანსფორმაციის“ განსაზღვრება. ტრანსფორმაციის საკითხებს, განვითარების პროცესის კვლევას და რეგრესის რეალურ შესაძლებლობას ეძღვნება ნ. კოსოლაპოვის ნაშრომები.[18]

ნ. კოსოლაპოვი „განვითარებას“ განიხილავს როგორც შემდეგი ცნებების ერთობლიობას: შესვენება – ცვლილება – ტრანსფორმაცია – ევოლუცია – განვითარება. განსაკუთრებული მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამ ცნებების დაყოფას სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც ასევე კოსოლაპოვმა განახორციელა: მიმდინარეობის ხანგრძლივობა, წარმოშობა და ხასიათი (შემთხვევითი, ან კანონზომიერი); მიმართულების ტიპი (შექცევადი, შეუქცევადი) და ა.შ. კატეგორია „ტრანსფორმაცია“ ორი სახით განიხილება. პირველ რიგში იგი განიხილება როგორც ხარისხობრივი ცვლილების მაჩვენებელი. ტრანსფორმაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს ვლინდება სწორედ ახალი ხარისხი და არა რაღაც რაოდენობრივი ცვლილებები. მეორე მხრივ „ტრანსფორმაცია“ განიხილება როგორც სხვადასხვა სახის ცვლილებების მონაცვლეობა, რაც ტრანსფორმაციას ხდის გარკვეულწილად შექცევადი ხასიათისას.

ევოლუცია – ეს არის შინაგანი ერთობლივი თანმიმდევრობა ბევრი ტრანსფორმაციების, რომლებიც ერთიმეორიდან გამომდინარეობს, რომლის დროსაც ობიექტი იცვლის თავის ბუნებას, გამოვლინების ხასიათს, ფუნქციას. ხანგრძლივი ევოლუციის მაგალითია კაპიტალიზმი და თანამედროვე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა.

განვითარება – ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც ხდება ცვლილებები ობიექტების ბუნებში, მამოძრავებელ ძალებში, მათ ხასიათში, გავრცელებაში და ეს ცვლილებები არის ხანგრძლივი და შეუქცევადი.

ფაქტიურად მეცნიერებაში შეიცვალა განვითარების, როგორც სწორხაზოვანი პროცესის ხედვა და სწორხაზოვანი განვითარება განიხილება, როგორც განვითარების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი. თანამედროვე ხედვა დამყარებულია სისტემურ მიდგომაზე და აღიარებულია რომ განვითარებას და ასევე მის შემადგენელ ელემენტებსაც ციკლური ხასიათი გააჩნია.

განვითარების პროცესის გაგებისადმი ასეთი მიდგომა თეორიულად უშვებს რეგრესის, დეგრადაციის შესაძლებლობას. უკუსვლას რთულიდან მარტივისკენ.

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, მკვლევრები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ განვითარების პროცესი უნივერსალური არ არის და უფრო მეტიც, განვითარება „პლიუს“ ნიშნით სულაც არ არის გარდაუვალი. ის პოტენციურად შესაძლებელია, რომელიც დამოკიდებულია სპეციფიკური პირობების არსებობაზე. ამასთან განვითარების პოტენციური შესაძლებლობის რეალიზაციისთვის საკმარისი არ არის განვითარებისთვის საჭირო რესურსების არსებობა. ამისათვის საჭიროა ასევე დიდი ძალისხმევა, რომ ეს რესურსები საჭიროებისამებრ იყოს გამოყენებული, თუკი ასეთი ძალისხმევა არ არსებობს, მაშინ ასეთი რესურსების სიჭარბე იწვევს დეგრადაციას და დაქვეითებას.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ასევე განვითარების თეორიის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ. რომელმაც ასევე მკაცრი მოთხოვნები წამოაყენა მაგ. მომუშავეთა მაღალი კვალიფიკაცია, შრომის ახლებური ორგანიზაცია და ა.შ.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე ეკონომიკურ განვითარებაში იგულისხმებოდა ქვეყნის შესაძლებლობა გაეზარდა წარმოება უფრო მაღალი ტემპით, ვიდრე იზრდებოდა მოსახლეობა. თუმცა მე-20 საუკუნის 60-იანი წლების განვითარებადი ქვეყნების განვითარების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიუ-

ხედავად ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებისა, ბევრმა მათგანმა ვერ შეძლო განვითარება. იმის გამო, რომ ეკონომიკური ზრდა არ უზრუნველყოფდა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ამიტომ უკვე მე-20 საუკუნის 70-იან წლებში „ეკონომიკური ზრდა" ხარისხობრივი მაჩვენებლებით გამოიხატება, როგორებიცაა: ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა, ქვეყნის მოსახლეობის განათლების დონე, ჯანდაცვის და კულტურის მდგომარეობა.

კანონზომიერია, რომ მსოფლიო ბანკი თავის 1991 წლის მოხსენებაში იძლევა ეკონომიკური განვითარების განმარტებას. არა მარტო როგორც საერთოდ ხარისხობრივი განვითარების პროცესს, არამედ ასევე როგორც კონკრეტულად ადამიანის განვითარებისკენ მიმართულ პროცესს. „მოხსენებაში" წერია, რომ განვითარების მიზანია ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ცხოვრების დონის გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს შემოსავლების ზრდას, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. ის ასევე გულისხმობს განათლების დონის, კვების და ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას, პიროვნების თავისუფლების ხარისხის ზრდას და მასობრივი სიღარიბის დაძლევას!

რეგიონების განვითარების მიზნების შესაბამისად იგება კრიტერიუმების (განვითარების მახასიათებლების) და მაჩვენებლების სისტემა, რომლებიც ზომავენ ამ კრიტერიუმებს. ფასეულობების იერარქიაში და განვითარების მიზნებში ქვეყნებსა და რეგიონებს შორის რამდენადმე არსებული განსხვავების მიუხედავად, საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყნებისა და რეგიონების განვითარების დონესა და ხარისხს აფასებენ ზოგიერთი უნივერსალურ-ინტეგრალური მაჩვენებლების მიხედვით. ერთ-ერთ ასეთ მახასიათებელ მაჩვენებელს წარმოადგენს ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ფარგლებში. მოცემული მაჩვენებელი ახდენს ქვეყნების რანჟირებას 0-დან 1-მდე ალმავალით. ამასთან გაანგარიშებისათვის გამოიყენება ეკონომიკური განვითარების სამი მაჩვენებელი:

– სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას;

– ინტელექტუალური პოტენციალი (მოზრდილი მოსახლეობის განათლებულობა და სწავლების საშუალო ხანგრძლივობა);

– სულადობრივი შემოსავლის სიდიდე ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებითა და შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის შემცირების მხედველობაში მიღებით.

რეგიონთაშორისი შედარებისას, ზუსტად ისე, როგორც საერთაშორისო ანალიზისას, შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის განვითარების ინდექსი და სხვა ანალოგიური მაჩვენებლები.

ინტეგრალურ მაჩვენებლებთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე რეგიონის განვითარების ცალკეული კერძო მაჩვენებლებიც, ასეთ კერძო მაჩვენებლებს შორისაა:

– მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავალი;

– ცალკეული მატერიალური სიკეთის მოხმარების დონე;

– შემოსავლების დიფერენციაციის ხარისხი;

– ცხოვრების ხანგრძლივობა;

– ფიზიკური ჯანმრთელობის დონე;

– განათლების დონე;

– მოსახლეობის ბედნიერების ხარისხი.

მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები და მათი შესაბამისი ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმები. გრძელვადიან მიზნებს შორისაა – პოსტინდუსტრიული საზოგადოების აგება და განვითარება, მომავალი თაობებისათვის უმაღლესი ხარისხის კეთილდღეობის სამუშაო ადგილების შექმნა, ქვეყნის ყველა მოქალაქის ცხოვრების დონის ამაღლება, მათ შორის ჯანმრთელობის, განათლებისა და კულტურის დონის ჩართვით. მოკლევადიანი მიზნების სახით შეიძლება განხილული იქნეს კრიზისის დაძლევა და მომდევნო კვარტალში, წელში მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის კონკრეტული სიდიდეთა მიღწევა. გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები თავიანთი შინაარსით საკმაოდ განსხვავებულნი არიან, ამასთან მათი მიღწევის ღონისძიებებიც აგრეთვე არ არის ერთნაირი.

ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმები ყოველთვის როდი ასრულებენ მიზნებისა და მიზნობრივი ორიენტირების როლს, და პირიქითაც. არცთუ იშვიათად რეგიონული განვითარების ტაქტიკური მიზნების სახით გამოდიან შუალედური ამოცანები, რომლებიც ასრულებენ წარმატებული განვითარების აუცილებელი პირობების როლს. რეგიონის თუ ქალაქის განვითარების ასეთ ტაქტიკურ ამოცანათა შორის შეიძლება დავასახელოთ:

– ბიზნესის ახალ სახეობათა შემოღება;

– არსებული ბიზნესის გაფართოება;
– მცირე ბიზნესის განვითარება;
– ქალაქის ცენტრის განვითარება;
– მრენველობის განვითარება;
– მომსახურების სფეროს განვითარება;
– რეგიონის მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლება.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონის განსაზღვრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრადიციულ მაჩვენებლებს, რომლებიც აფასებენ წარმოებისა და სიკეთის მოხმარების დონეს, აგრეთვე ამ დონის ზრდას მოსახლეობის ერთ სულზე (ერთობლივი ეროვნული შემოსავალი), მთლიანი სამამულო პროდუქტი, რეალური ერთობლივი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ამ მაჩვენებლების ზრდის ტემპები.

განვითარების დინამიკის შეფასებისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მაჩვენებლები, რომლებიც შეაფასებენ რეგიონში ეკონომიკური ზრდის ტემპებს: სულადობრივი შემოსავლის ზრდის ტემპი, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპი, აგრეთვე წარმოებისა და საზოგადოების სტრუქტურული ტრანსფორმაციის ტემპი. ეკონომიკური ზრდის ტემპებზე ზემოქმედება – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ქვეყნისათვის მთლიანად, ასევე ცალკეული რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

ხშირად ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა ერთობლივი შიდა პროდუქტი, სულადობრივი შემოსავალი, შრომის მწარმოებლურობა და მათი ზრდის ტემპი, არ ძალუძთ სრულად ასახონ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. არანაკლებ მნიშვნელოვანია სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის მაჩვენებელი, მათი განათლებისა და კვალიფიკაციის ხარისხის, აგრეთვე წარმოებაში და საზოგადოებაში სტრუქტურულ ცვლილებათა მაჩვენებლები.

მრავალი ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას თან ახლავს საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის ცვლილება, კერძოდ, ინდუსტრიული საზოგადოების შემცვლელად თანდათანობით შემოდის პოსტინდუსტრიული საზოგადოება, დასაქმებელთა სულ უფრო მეტი ნაწილი მუშაობს და საქმიანობს არამატერიალურ სექტორში, სულ უფრო ნაკლები ნაწილი კი – უშუალოდ მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში.

ეგრეთწოდებული საბაზრო დარგები უკვე აღარ არიან ასეთები და აღარასოდეს აღარ გახდებიან საბაზრონი. მოხმარება ინდივიდუალიზდება, წარმოების ტრარაჟულობა ეცემა, ხდება წარმოების ეგრეთწოდებული დემასიფიკაცია. ღრმავდება მისი ინტელექტუალიზაცია, წარმოების ძირითად ფაქტორად იქცევა ინფორმაციული რესურსები. დამატებული ღირებულება ძირითადად იქმნება არამატერიალურ სფეროში, ამასთან შრომა იძენს ახალ ნიშან-თვისებებს: მასში უპირატესობას აღწევს შემოქმედებითი ფუნქციები, მომუშავის ძირითად ტიპად იქცევა შემოქმედებითი პიროვნება, რომელიც თავისი საქმის ერთგულია და ისწრაფვის თავის სამუშაოს შესძინოს ახალი ელემენტები, იშლება განსხვავება მაღალ და დაბალ ტექნოლოგიურ დარგებს შორის: ყველა დარგი ხდება მეცნიერებატევადი, ფეხს იკიდებს სამმართველო, ფინანსური და კომერციული ინოვაციების ნაკადები. პროგრესული ტექნოლოგიების ათვისება და გამოყენება ხდება სამუშაო ძალაზე გაწეული დაბალ დანახარჯებზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი. ქვეყნებისა და რეგიონების ტრადიციული უპირატესობანი იწყებენ ძველად არსებული მნიშვნელობის დაკარგვას. ყველა ჩამოთვლილი ტენდენციები ელინდებიან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში (მეტნაკლები ძალით).

არამატერიალური წარმოება ხდება ეკონომიკური განვითარების პარადიგმა, რაც იძულებულს გვხდის ახლებურად მოხდეს ქვეყნებისა და რეგიონების სიმდიდრის ხარისხის შეფასება. როგორც ვიცით, ტრადიციულად ქვეყნებისა და რეგიონების სიმდიდრე ფასდება ტყითა და სასარგებლო წიაღისეულით სიმდიდრის თვალსაზრისით, ნიადაგებით, კლიმატური პირობებით, ძირითადი ფონდებით, გეოგრაფიული მდგომარეობის თვალსაზრისით. ახალი შეხედულებები არამატერიალურ სფეროზე, როგორც იმ სფეროზე, სადაც იქმნება ღირებულების დიდი ნაწილი, საგრძნობლად ცვლის ქვეყნებისა და რეგიონების სიმდიდრის შეფასების კრიტერიუმებს. ყველაზე უფრო წინა პლანზე იწევს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ადამიანებითა და მათი კვალიფიკაციით სიმდიდრე, მმართველობითი ტექნოლოგიებით, საბაზრო ინფრასტრუქტურით, ბიზნესის ქსელით და ორგანიზაციის კულტურით სიმდიდრე. ეკონომიკური განვითარების წყაროებზე და ფაქტორებზე ახალი შეხედულებები შესაძლებელს ხდის ახლებურად შეეხედოთ განათლებას, მეცნიერებას, მედიცინას, ტელეკომუნიკაციას, მე-

ნეჯმენტის სიახლეებს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროებს, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპებზე და მიმართულებებზე.

ამრიგად, რეგიონის დონეზე შეიძლება განხილული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მათი (ე.ი. კრიტერიუმების) შესაბამისი მაჩვენებლები:

– შიდა ეროვნული პროდუქტი ან მთლიანი სამამულო პროდუქტი (აბსოლუტური სიდიდე და მოსახლეობის ერთ სულზე) და იმ მაჩვენებლების ზრდის ტემპი;

– მოსახლეობის შემოსავლების საშუალო დონე და მათი დიფერენციაციის ხარისხი;

– სიცოცხლის ხანგრძლივობა, ადამიანების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დონე;

– განათლების დონე;

– მატერიალური სიკეთისა და მომსახურების მოხმარების დონე (კვების პროდუქტების, საცხოვრებლის, სატელეფონო მომსახურების), საოჯახო მეურნეობის ხანგრძლივი გამოყენების საქონლით უზრუნველყოფა;

– ჯანმრთელობის დონე (პოლიკლინიკებით, საავადმყოფოებით, აფთიაქებით, დიაგნოსტიკური ცენტრებითა და სასწრაფო დახმარებით მომსახურებით უზრუნველყოფა, შემოთავაზებული სამედიცინო მომსახურების ხარისხი);

– გარემომცველი გარემოს მდგომარეობა;

– ადამიანების შესაძლებლობათა თანასწორობა, მცირე ბიზნესის განვითარება;

– ადამიანების კულტურული ცხოვრების გამდიდრება.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების შეფასების სტანდარტულ წესს წარმოადგენს წარმოების დონის შეფასება (ამასთან, როგორც წესი, მატერიალური წარმოების). ასეთი შეფასება თანამედროვე პირობებში აშკარად ცალმხრივი და არასაკმარისია. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასებისადმი შემუშავებული მიდგომები გვაიძულებს რეგიონის განვითარების დონის შეფასებისას განხილული იქნეს არა მარტო წარმოების მოცულობა, არამედ აგრეთვე მაგალითად, ისეთი ასპექტები, როგორიცაა განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, გარემომცველი გარემოს მდგომარეობა, თანაბარი შესაძლებლობები ეკონომიკურ სფეროში, პირდაპირი თავისუფლება და ცხოვრების კულტურა. სრულიად დროულია რეგიონის განვითარების ინტეგრალურ მაჩვენებლად გამოყენებულ იქნეს ადამიანების განვითარების ინდექსი, რომელიც შემუშავებული და გამოყენებულია გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ცალკეული ქვეყნის განვითარების შეფასებისათვის.

ცალკეული რეგიონის ეკონომიკური განვითარების მართვისას მიზანშეწონილია გამოყოფილ იქნეს ყველა ზემოთაღნიშნული შედარებით დამოუკიდებელი მიზნები და განხორციელდეს მათი მიღწევის მონიტორინგი. კერძოდ, რეგიონული წარმოებისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დინამიკის მონიტორინგთან ერთად აუცილებელია გამოვცადოთ და გამოვიყენოთ აგრეთვე ეკონომიკური განვითარების სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრებიც.

სკოლების, საბავშვო ბაღების, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა და ხარისხის დონე, მათი ხელმისაწვდომობა, აგრეთვე ადამიანების განათლებისა და კვალიფიკაციის დონე – ნებისმიერი რეგიონის განვითარების დონის უმნიშვნელოვანესი პარამეტრებია. კვების პროდუქტებით მომარაგება, მათი ხარისხისადმი კონტროლი, საცალო ბაზარზე მომხმარებელთა უფლებების დაცვა – აგრეთვე რეგიონული განვითარების შეფასების პარამეტრებია. მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებისა და მისი ხელმისაწვდომობის მდგომარეობა, გარემომცველი გარემოს მდგომარეობა – რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემფასებელი აგრეთვე მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია.

თუკი წარმოვიდგენთ, რომ ქვეყნის რეგიონების დიდმა ნაწილმა მოახერხა ეკონომიკური კრიზისისაგან გამოსვლა ამ სიტყვების ვიწრო გაგებით, ანუ ჭარბობს პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის დადებითი დინამიკა, მაინც შეუძლებელია ვილაპარაკოთ თანამედროვე გაგებით რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოზიტიურ ძერებზე, რამეთუ წინსვლას ამ შემთხვევაში ამუხრუჭებს ეკოლოგიური მდგომარეობის მაჩვენებელი.

ბევრი თანამედროვე ქალაქი ხასიათდება წყლისა და ჰაერის დასაშვები დაბინძურების ზღვარს ზევით საგრძნობი გადაჭარბებებით. ნაყოფის მომცემი მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველწლიურად კარგავს ნაყოფიერებას და გამოდიან სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. ყველა ნეგატიური ეკოლოგიური ტენდენცია გავლენას ახდენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ საერთო მდგომარეობაზე.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შინაარსის გაგებაში შედის აგრეთვე ისეთი ძნელად გასაზომი სუბსტანციაც, როგორიცაა მოსახლეობის ცხოვრების კულტურა. მოცემული რეგიონის ეკონომიკური განვითარების დადებითი დინამიკა შესაძლოა მხოლოდ მოსახლეობის კულტუ-

რული ცხოვრების გამდიდრების პირობებში. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მხოლოდ მაშინ ახასიათებს და აქვს დადებითი დინამიკა, როდესაც სხვა თანაბარ პირობებში სახეზეა თითოეული ადამიანის პირადი თავისუფლების გაფართოების ტენდენცია; მათ შორის ეკონომიკურ სფეროშიც, რომელიც შესაძლებელია მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანი მხარდაჭერის პირობებში, ანტიმონოპოლიური ღონისძიებების განუხრელად განხორციელებისას, მომხმარებელთა უფლებების დაცვისას, გადაადგილების რეალური თავისუფლების უზრუნველყოფის პირობებში (ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილია მხოლოდ საცხოვრებელი ფართის განვითარებული ბაზრის პირობებში). ეხლა განვიხილოთ ზოგიერთი საბაზისო თეორიული მოსაზრება, რომლებიც დევს რეგიონებისა და ქალაქების ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციების განმარტებაში; პრინციპში საკითხი ეხება რეგიონებისა და ქალაქების განვითარების ტენდენციებს.

პირველ ასეთ ტენდენციას წარმოადგენს სივრცობრივ უპირატესობათა თეორია, ანუ განთავსების თეორია. ამ თეორიის მიხედვით სივრცობრივი უპირატესობანი ვლინდებიან ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ თეორიის პრინციპები აიძულებენ ამა თუ იმ სახეობის წარმოებებს მოთავსდნენ სრულიად გარკვეულ რეგიონებში. ასე, ალუმინის მრეწველობას იზიდავს იაფი ელექტროენერგიის წყაროები, მეტალურგიულ ქარხნებს რკინის მადნისა და კოქსის მოპოვების საბადოების ადგილები, ნებისმიერი წარმოებები, რომლებიც ნედლეულზე არიან დამოკიდებული, მხოლოდ და მხოლოდ ნედლეულის წყაროების სიახლოვეს განლაგდებიან. ზოგიერთი საწარმო, რომლებიც ორიენტირებული არიან ადგილობრივ ბაზარზე და ანგარიშს უწევენ სატრანსპორტო დანახარჯებს, განლაგდებიან გასაღების ბაზრების სიახლოვეს. თითოეული რეგიონი, თითოეული ქალაქი ფლობს თავის ტერიტორიულ უპირატესობას, რაც დაკავშირებულია ან ნედლეულის წყაროებთან, ან ნაწარმოების სხვა ფაქტორებთან (სამუშაო ძალა, მიწა, ენერგია), ან კიდევ გასაღების ბაზართან სიახლოვესთან. აღწერილი ეს თეორია გარკვეულწილად კიდევაც იძლევა საწარმოო ძალების ჩამოყალიბებულ განლაგების განმარტებას.

სხვა ტრადიციული წარმოდგენები დაკავშირებულია არა მარტო თეორიასთან, არამედ აგრეთვე ეკონომიკური განვითარების პრაქტიკასთან; კერძოდ, ეფუძნებიან აგლომერაციის, კონცენტრაციისა და წარმოების კომბინირების კანონზომიერებებს. მსხვილ ქალაქებსა ან ქალაქურ აგლომერაციებში დამატებითი ეკონომია ან დამატებითი ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა იმასთან დაკავშირებით, რომ წარმატებით ფუნქციონირებად საწარმოების ირგვლივ ფორმირდება მათი გარემოცვა, და საერთო რესურსების (შრომითი, ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურული) ერთობლივად გამოყენების შედეგად აღწევენ შესამჩნევ დამატებით ეკონომიას. მსხვილ ქალაქებში მრეწველობის მაღალი კონცენტრაცია საშუალებას იძლევა მიღებული იქნას დამატებითი ეკონომია, რომელიც აღმოცენდა აგლომერაციული ეფექტის შედეგად (მსხვილი აგლომერაციის ყველა საწარმოთა ერთობლივი დანახარჯები ნაკლებია, ვიდრე ცალკეულ საწარმოთა დანახარჯები ასეთი აგლომერაციის ფარგლებს გარეთ მათი ცალკე განლაგების შემთხვევაში). მსხვილ ცენტრებში წარმოიშვება ხოლმე მათი განვითარების დამატებითი პოტენციალი იმის მეშვეობით, რომ მაღალკვალიფიციური მოღვაწეობის ზოგიერთი სახეობა შესაძლებელია მხოლოდ მსხვილ ცენტრებში (მუზეუმები, მაღალი დონის თეატრები, სამედიცინო ცენტრები და ა.შ.).

### 14.2 რეგიონული განვითარების სოციალურ-ეკონომიკური დონის კომპლექსური შეფასების კომპონენტები

რეგიონის ეკონომიკური განვითარების პირობების ეფექტიანად გაანალიზების ნაყოფიერ კონცეფციას წარმოადგენს ძირითადი და დამხმარე წარმოების კონცეფცია. ნებისმიერ რეგიონში შეიძლება გამოვყოთ ძირითადი მრეწველობა, ანუ ის პროდუქცია, რომელიც ძირითადად გაიტანება რეგიონიდან და დამხმარე წარმოება, რომლის პროდუქციაც უპირატესად მოცემული რეგიონის ფარგლებში მოიხმარება. მაგალითის სახით შეიძლება განვიხილოთ მანქანათმშენებელი ქარხანა (როგორც ძირითადი წარმოება) და მთელი მისი მომსახურე ინფრასტრუქტურა – ფოსტა, საბავშვო ბაღები, სკოლები, პოლიკლინიკები, ბანკები, სადაზღვევო დაწესებულებები, საექსპედიციო და სატრანსპორტო სამსახურები, მშენებლობა – როგორც მისი დამხმარე. ჩვეულებრივ ძირითადი წარმოების გაფართოებისას იზრდება აგრეთვე მისი მომსახურე ინფრასტრუქტურაც; წარმოიქმნება ხოლმე ეგრეთწოდებული მულტიპლიკაციური ეფექტი: ძირითადი წარმოება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ეკონომიკური ზრდის თავისებური დამაჩქარებელი.

რეგიონული განვითარების სოციალურ-ეკონომიკური დონის კომპლექსური შეფასების კომპონენტებია:

1) მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის შედარებითი მასშტაბები;

2) დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალი;

3) ტერიტორიის ინფრასტრუქტურული ათვისება;

4) მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონე;

5) შრომის ბაზრის განვითარება და მდგომარეობა;

6) სამომხმარებლო ბაზრის განვითარება (რეგიონული ბაზრის სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების);

7) საინვესტიციო ბაზრის განვითარება და საინვესტიციო აქტივობა;

8) სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების საერთო განვითარების დონე;

9) მოსახლეობის საფინანსო-საბიუჯეტო უზრუნველყოფა;

10) საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის შედარებითი მასშტაბები და საგარეო ეკონომიკური კავშირების ინტენსივობა;

11) მცირე მეწარმეობის განვითარება;

12) სოციალური სტაბილურობა.

ეს ჩამონათვალი შედის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ინტეგრალურ შეფასებაში საბაზისო ინდიკატორების შესანამისი ნაკრებიდან, ამასთან თითოეულ კომპონენტს შეესაბამებიან თავისი შეფასებითი ინდიკატორი ან რიგი ინდიკატორებისა.

„რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის კომპლექსური შესაბამისი საბაზისო ინდიკატორების“ რიცხვში ჩართულია:

1) მთლიანი რეგიონული პროდუქტი (მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით) ერთ სულ მოსახლეზე (ლარებში);

2) ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალში ერთ სულ მოსახლეზე (ლარებში);

3) საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა (ექსპორტისა და იმპორტის ჯამური მოცულობა) ერთ სულ მოსახლეზე (ა.შ.შ. დოლარებში);

4) რეგიონის ფინანსური უზრუნველყოფა (მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით) ერთ სულ მოსახლეზე (ლარებში);

5) მცირე საწარმოებში დასაქმებულთა პროცენტული წილი ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რიცხვში;

6) რეგისტრირებული უმუშევრობის დონე (უმუშევართა პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში);

7) პროცენტული შეფასება საშუალოსულადობრივი შემოსავლისა და საშუალოსულადობრივი საარსებო მინიმუმის;

8) მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე დაბალია;

9) საცალო საქონელბრუნვისა და ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობა (მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით) ერთ სულ მოსახლეზე (ლარებში);

10) ეკონომიკის დარგების ძირითადი კაპიტალი (სრული საბალანსო ღირებულების მიხედვით და კაპიტალური დანახარჯების გაძვირების დონის გათვალისწინებით ერთ სულ მოსახლეზე (ლარებში);

11) საავტომობილო გზების გადახდისუნარიანობა (ენგელის კოეფიციენტი);

12) სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების დონის შეფარდებითი მაჩვენებელი.

ძირითადი წარმოება შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დამჩქარებელი, არამედ აგრეთვე განვითარების დამამუხრუჭებელიც, კერძოდ კი იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ადგილების რაოდენობა ძირითადად წარმოებაში მცირდება სტრუქტურული გარდაქმნის პროცესში. სწრაფი სტრუქტურული ძვრებისას, რომელიც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, რეგიონის წარმატებული განვითარების მთავარ ფაქტორად იქცევა არა ძირითადი წარმოება, არამედ დამხმარე წარმოება. რეგიონის გრძელვადიანი აყვავება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არის იქ განვითარებული ინფრასტრუქტურა და რამდენად არის ეს უკანასკნელი მზად თავის თავზე აიღოს ახალი ძირითადი წარმოების დატვირთვა. რაც მეტად არის განვითარებული ინფრასტრუქტურა (დამხმარე წარმოება), მით უფრო მოქნილია რეგიონის მთელი ეკონომიკა, მით უფრო მყარ საფუძველს ემყარება რეგიონის ეკონომიკური განვითარება და აყვავება.

ამგვარად, ძირითადი წარმოებების სწრაფად შეცვლის პირობებში მყარი ეკონომიკური განვითარების ძირითად ფაქტორად იქცევა მთელი საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი. ეს

საფუძველს იძლევა ახლებურად შეეხედოთ ეგრეთწოდებული დამხმარე წარმოებების როლს, შევაფასოთ ისინი, როგორც ეკონომიკური განვითარების პირველადი ფაქტორი და მომავალში განვითარების საწინდარი.

რეგიონული განვითარების ხარისხის ანალიზისას სასარგებლოა გამოვიყენოთ დ. ბელლის ზრდის სტადიების თეორიის კონცეფცია. ყველა ქვეყანაში და რეგიონში ეკონომიკური განვითარება სამ ძირითად სტადიას გადის: ინდუსტრიამდელს, ინდუსტრიულს და პოსტინდუსტრიულს. ინდუსტრიამდელი განვითარების დომინირებად დარგებს წარმოადგენენ მომპოვებელი დარგები, სოფლის მეურნეობა, თევზის, ხე-ტყისა და სამთომომპოვებელი მრეწველობა. ინდუსტრიულ სტადიაზე ჭარბობენ გადამამუშავებელი დარგები – მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. პოსტინდუსტრიულ სტადიაზე ძირითად დარგებს, რომლებსაც ეყრდნობა ეკონომიკური განვითარება, ხდებიან არამატერიალური წარმოების დარგები, მეცნიერება, განათლება, ვაჭრობა, ფინანსები, დაზღვევა, ჯანმრთელობის დაცვა. პოსტინდუსტრიული საზოგადოების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს საქონლის წარმოების შედარებით შემცირება და შედარებითი ზრდა მომსახურების წარმოების, წარმოების მეცნიერებატევადობის ზრდა, პერსონალის კვალიფიკაციის დონის ამაღლება, წარმოების წინგამსწრები ინტერნაციონალიზაცია.

# საქართველო და ევროკავშირი (თანამშრომლობის 10 წელი)

## 15.1 საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1991-1992 წლებში დაიწყო, მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP). 2005 წელს, საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+) შეღავათები მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის. 2014 წლის იანვარში ძალაში შევიდა განახლებული GSP+, რომელიც საქართველოზეც გავრცელდა.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA).

1999 წლიდან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (PCA) ძალაში შესვლის შემდეგ, შეიქმნა საქართველო–ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუტები, რომელთა მიზანია PCA-ს განხორციელების ხელშეწყობა და ორმხრივი ურთიერთობებისა და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება. ეს ინსტიტუტებია:

- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭო;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტი;
- საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტები.

აღნიშნული სხდომები იმართება წელიწადში ერთხელ, ასევე, მინიმუმ წელიწადში ერთხელ იმართება შეხვედრა ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის (PSC) „ტროიკას" ფორმატით.

2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ (EU Special Representative for the South Caucasus). ეს თანამდებობა 2003 წლიდან 2006 წლამდე ეკავა ჰეიკოტალვიტის, ხოლო 2006 წლიდან 2011 წლამდე პიტერსემნების. 2011 წლის 25 აგვისტოს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით გაერთიანდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისა და საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობები. ამ პოზიციაზე დაინიშნა ფილიპლეფორი, რომლის მანდატი 2014 წლის 31 იანვარს ამოიწურა. 2014 წლის 8 ივლისს აღნიშნულ თანამდებობაზე ჰერბერტზალბერი დაინიშნა.

2004 წლის 17 თებერვალს საქართველოს მთავრობაში შეიქმნა ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა.

2004 წელს ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) ფარგლებში, საქართველოში განხორციელდა ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია (EUJUST THEMIS).

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში.

2006 წლის 14 ნოემბერს მიღებული იქნა საქართველო–ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის პასუხად, 2008 წლის 1 სექტემბერს გაიმართა ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომა; 2008 წლის 15 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM), რომელიც საქართველოში მოვლენილ იქნა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან; 2008 წლის 25 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი, რომელიც 2011 წლამდე ეკავა პიერმორელის.

2008 წლის 22 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2009 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში შეიქმნა თანამშრომლობის ახალი ფორმატი – ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგი (HRD). შეხვედრები აღნიშნული ფორმატის ფარგლებში იმართება ყოველწლიურად.

2009 წელს საქართველო ჩაერთო „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივაში, რომელსაც ფორმალურად საფუძველი 2009 წლის 7 მაისს პრაღის სამიტზე ჩაეყარა. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ინიციატივის, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ურთიერთობის ფორმატში. „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი.

2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „პარტნიორობა მობილურობისათვის" ერთობლივ დეკლარაციას, ხოლო საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის 16 თებერვალს.

2010 წლის 17 ივნისს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" შეთანხმებას.

2010 წლის 22 ნოემბერს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებას. ორივე შეთანხმება ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს.

2010 წლის 15 ივლისს დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შეთანხმებაზე", (AA) რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაც" (DC FTA)

2010 წლის 2 დეკემბერს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოს და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ" შეთანხმებას.

2011 წლის 3 მაისს ქ. ბრიუსელში გაიმართა საგანგებო სხდომა, რომელზეც ოფიციალურად დაფუძნდა „ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა".

2011 წლის 14 ივლისს ხელი მოეწერა და 2012 წლის 1 აპრილს ძალაში შევიდა საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებას სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ.

2012 წლის 28 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DC FTA).

2012 წლის 4 ივნისს გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ.

2013 წლის 12-13 თებერვალს თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" არაფორმალური დიალოგის მეორე შეხვედრა, რომელიც პირველად მოიცავდა სექტორული დიალოგის შეხვედრასაც ტრანსპორტის დარგში;

2013 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოფიციალურად გადმოეცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

2013 წლის 27-28 ივნისს თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" პირველი მინისტერიალი კულტურის დარგში;

2013 წლის 28-29 ნოემბერსქ. ვილნიუსში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი.

ვილნიუსის სამიტის ფარგლებში, 29 ნოემბერს მოხდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტის ჩათვლით (ქართულ ენაზე; ინგლისურ ენაზე). „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება" ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის" შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს (იხილეთ გზამკვლევი).

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

ასევე, 29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე ხელი მოეწერა „ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებას".

2013 წლის 12 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ოქმს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების შესახებ.

2014 წლის 20 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოს ევროპი ს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე.

2014 წლის 26 ივნისს საქართველომ და ევროკავშირმა მიიღეს ასოცირების დღის წესრიგი, რომლის მიზანია ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა და ნარმოადგენს ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამნლიან (2014-2016) გეგმას.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DC FTA) ჩათვლით.

2015 წლის 22 მაისს, ქ.რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მეოთხე სამიტი გაიმართა. სამიტზე განიხილეს ვილნიუსის სამიტის შემდეგ პარტნიორი ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესი ასოცირების დღის წესრიგი განხორციელების მიმართულებით და ურთიერთანამშრომლობის სამომავლო გეგმები დაისახა.

2015 წლის 18 დეკემბერს, ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა. ევროკომისიის შეფასებით, საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის ოთხივე ბლოკით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა შეასრულა და ვიზალიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დაასრულა.

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირები სშეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

### 15.1.1 ევროპული ინტეგრაციის პროცესი: მიღწევები, ხარვეზები და გამოწვევები საქართველოში, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელშეკრულებო ურთიერთობები ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებს (PCA) ეფუძნება. ყველა მათგანი ძალაში 1999 წელს შევიდა. აღნიშნული ისტორიული ფაქტის შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა და შეთანხმებებში გაწერილი ძირითადი ამოცანები ამ სამი სახელმწიფოს დღის წესრიგიდან ჯერ კიდევ არ მოხსნილა. კერძოდ, ეს ამოცანებია: დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, საბაზრო ეკონომიკის რეფორმები, ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ევროკავშირთან თანამშრომლობა უფრო ფართო სექტორებში. პარტნიორობისა და თანამშრომლობა სშესახებ შეთანხმებები, ძირითადად. მხარეთა მსუბუქ ვალდებულებებს მოიცავს, თუმცა ისინი, გარკვეულწილად, შორსმჭვრეტელურ, პროგრესულ ხასიათსაც ატარებს, რადგან სამივე სახელმწიფოსთან დადებული შეთანხმებების პირველი და მეხუთე მუხლები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ევროკავშირთან ეკონომიკური თავსებადობა. თუ გავითვალისწინებთ იმ სირთულეებს, რასაც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საბაზრო – ეკონომიკის ინსტიტუტების მშენებლობის დროს განიცდიდნენ. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება კელავაც რჩება ევროინტეგრაციის პროცესის განმსაზღვრელ საკმაოდ მნიშვნელოვან კომპონენტად. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შემდეგ, თანამშრომლობის პოლიტიკის ჩარჩო თავისთავად შეიცვალა, რათა აესახა.როგორც კავკასიაში (სახელმწიფო მშენებლობა და კონსოლიდაცია, რეგიონური კონფლიქტების მოგვარების ძალისხმევა), ისე ევროკავშირში (2004-2007 წლებში ახალი წევრების შემომატება, ლისაბონის ხელშეკრულების მიღება) მიმდინარე ისტორიული მოვლენები. 2003 წელსევროკავშირმადაიწყო „ევრო-

პისსამეზობლოპოლიტიკის“ გატარება. აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა მეზობლებთან ახალი გამყოფი ხაზების წარმოშობის პრევენცია და სტაბილურობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა ევროკავშირის აღმოსავლეთით და სამხრეთით, გაფართოებულ საზღვრებზე. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ხელმომწერი მხარეა პარტნიორი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის სამსახელმწიფოს, ისინი „ევროპის სამეზობლო პოლიტიკას“ 2004 წელს შეუერთდნენ.

ევროინტეგრაციის გზაზე შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ 2009 წლის 7 მაისს, პრაღის სამიტზე „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ოფიციალურად ძალაში შესვლა. პროგრამა ითვალისწინებს ევროკავშირის მხრიდან ურთიერთობის გაუმჯობესებას და ახალ ასოცირებულ შეთანხმებებს, მათშორის, სიღრმისეულ და ყოვლისმომცველ შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, აღმოსავლეთის პარტნიორობას სახელმწიფოსთან, რომელთაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა უფრო აქტიურად ჩაერთონ და ეტაპობრივი ინტეგრაცია მოახდინონ ევროკავშირის ეკონომიკაში. აღმოსავლეთის პარტნიორობა ასევე, გულისხმობს ევროკავშირის სახელმწიფოებში გამარტივებულ გადაადგილებას, სავიზო რეჟიმების ეტაპობრივი ლიბერალიზაციით, რასაც თან უნდა ახლდეს ღონისძიებათა გატარება არალეგალური ემიგრაციის წინააღმდეგ. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს დამატებით დაფინანსებას ისეთი პროექტებისათვის, რომელთა მიზანიც სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსის შემცირება და პარტნიორ სახელმწიფოებში სტაბილურობის გაძლიერებაა.

ევროკავშირის ზოგად საქმეთა საბჭომ, 2010 წლის 10 მაისს, მიიღო ევროკავშირსა და კავკასიის სახელმწიფოებს შორის (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) მომავალში „ასოცირებული შეთანხმებების“ გაფორმებისათვის საჭირო „მოლაპარაკებათა წარმოების დირექტივები“. აღნიშნული გადაწყვეტილება ადასტურებს ევროკავშირის ძლიერნებას, კიდევ უფრო გააღრმავოს ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ კონტექსტში, „ასოცირებული შეთანხმება“ არის სამართლებრივი სავალდებულო ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც ევროკავშირთან ურთიერთობები არსებული ვალდებულებების საზღვრებს სცილდება. აღნიშნულის მიზანია პოლიტიკური ასოციაციისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევა ევროკავშირის სახელმწიფოებთან. იგი თავისთავად მოიაზრებს პარტნიორი სახელმწიფოების აქტიურ ჩართულობას ურთიერთობების გაღრმავებაში, საერთო ღირებულებების, ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების გზით, ასევე, კონსოლიდირებული მმართველობისა და რეგიონური სტაბილურობის, კეთილდღეობისა და ერთმანეთის მიმართ ნდობის უფრო მეტად გარღმავების საშუალებით. ვიდრე გამოცხადებული „ასოცირებული შეთანხმებები“ (AA) ძალაში შევა, „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ შეინარჩუნებს ისტორიული როლს ოფიციალური საკანონმდებლო ჩარჩოების განსაზღვრაში. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთის პარტნიორობა, თითოეულ პარტნიორ სახელმწიფოსთან, აღნიშნული ჩარჩოს ფარგლებში და ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში ხორციელდება.

### 15.1.2 სახელმწიფოების დამოკიდებულება ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის მიმართ

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ხორციელდება სამოქმედო გეგმების საშუალებით. სამოქმედო გეგმა გაწერილია ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორს. გეგმაში დეტალურად ასახული კონკრეტული ქვეყნის დღის წესრიგი, ეტაპები და განსახორციელებელ რეფორმათა ვადები. 2006 წლის ნოემბერში, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ ერთობლივად დაამტკიცეს ევროკავშირთან შესაბამისი სამოქმედო გეგმები. თითოეული გეგმა ხუთწლიან პერიოდზეა გაწერილი. აღსანიშნავია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრესულ პარტნიორ სახელმწიფოებში, როგორიცაა, მაგალითად, უკრაინა, სამოქმედო გეგმა ჩაანაცვლეს ახალი საოპერაციო ინსტრუმენტით („ასოცირებული დღის წესრიგი“). აღნიშნული განხორციელდა მას შემდეგ, რაც ვადაგაუვიდა ევროკავშირსა და უკრაინას შორის დადებულ პირველად სამოქმედო გეგმას (2008 წლის თებერვალი) და დაიწყო მოლაპარაკებები „ასოცირებული შეთანხმების“ შესახებ (2007 წელი). ევროკავშირის საბჭომ, 2009 წლის 8 დეკემბერს, მოამზადა დასკვნა სამხრეთკავკასიის სახელმწიფოებზე, სადაც ის მიესალმა

„ასოცირებული შეთანხმებისათვის[5]“ საჭირო „მოლაპარაკებების წარმოების დირექტივების“ სამუშაო ვერსიის შექმნას. ასეთი პერსპექტივა ხელმისაწვდომი გახდა სამხრეთ კავკასიის პარტნიორი სახელმწიფოებისთვისაც.

ევროკავშირთან სამოქმედო გეგმების დამტკიცება 2006 წელს და მოგვიანებით, 2009 წელს, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის წამოწყება, სამივე სახელმწიფომ აღიქვა, როგორც კეთილგანწყობილი ნაბიჯი ევროკავშირის მხრიდან, რომელიც აშკარად იყო დაინტერესებული მთელი რეგიონის ევროკავშირთან დაახლოებით. თუმცა, სამოქმედო გეგმებში გაწერილი რეფორმები რეგიონში სხვადასხვაგვარად აღიქვეს, რაც სამი სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობათა პოლიტიკის თავისებურებების ერთგვარი ანარეკლი იყო.

სომხეთმა ევროინტეგრაცია ჯერკიდევ 1999 წელს გამოაცხადა პრიორიტეტად, ანუ მაშინ, როცა „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ შეუიდა ძალაში. მისი წინამორბედების პრო-ევროპული განცხადებების მსგავსად, პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი ყურადღებას ამახვილებდა ქვეყნის უწყვეტ ვალდებულებაზე, „გააძლიეროს ევროპასთან ურთიერთობები, როგორც ორმხრივი თანამშრომლობის, ასევე ევროპული სტრუქტურების ფარგლებში“. გარდა ამისა, პრაღაში, აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტზე, მან გააკეთა განცხადება სამწლიან გეგმაზე (ღონისძიებათაჩამონათვალი), რომელიც გულისხმობს ევროკავშირისა და სომხეთის 2009-2011 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ეს არის დოკუმენტი, რომელიც განიხილება როგორც სომხეთის პოლიტიკური ნება, მოახდინოს ინტეგრაცია „ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ფარგლებში.

აზერბაიჯანი ევროპისა და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ხედავს, როგორც სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზანს, რომელიც უნდა მოჰყვეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. აზერბაიჯანი მიესალმება „ევროპის სამეზობლო პოლიტიკასა“ და „აღმოსავლეთის პარტნიორობას“, როგორც პოლიტიკურ ინიციატივებს, რომლებმაც წელილი უნდა შეიტანოს ეროვნული ინტერესების განხორციელებაში, კერძოდ, ცხოვრების დონის ამაღლებაში, ეკონომიკის განვითარებაში, საზოგადოებრივი ადმინისტრაციისა და სასამართლო სისტემის დახვეწაში. აზერბაიჯანის კონკრეტული პოზიცია ევროკავშირთან მიმართებაში, განპირობებულია მისი ენერგორესურსებით და ევროპის ელექტროენერგიით მომარაგებაში მისი როლით. გარდა ამისა, ევროგაერთიანებასთან კავშირები ანალიტიკოსების მიერ განიხილება, როგორც აზერბაიჯანის „ბალანსირებული“ საგარეო პოლიტიკა, რომელიც ლოგიკურად არეგულირებს სახელმწიფოს ამბიციებს ევროკავშირთან მიმართებაში (განსაკუთრებით, თუ მას შევადარებთ მეზობელ საქართველოს).

საქართველოს ამოცანები ევროკავშირთან თანამშრომლობის კუთხით, აშკარად ძალზედ პროგრესული და მომავალზე ორიენტირებულია: საქართველოს მთავრობა ევროინტეგრაციას, სხვა ისეთ პრიორიტეტებთანერთად, როგორიცაა ნატოს წევრობა, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება და ტერიტორიული და სამოქალაქო მთლიანობის აღდგენა, განიხილავს, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ ელემენტს. 2008-2012 წლების პოლიტიკის შესახებ შუალედურ პროგრამაში აღნიშნულია: „თავისუფლების ოთხი პრინციპი უფრო ფართოდ იქნება განხორციელებული ევროკავშირთან ურთიერთობაში – უზრუნველყოფილ იქნება საქონლის, კაპიტალისა და მომსახურებების თავისუფალი გადაადგილება. თავისუფალი გადაადგილება/მგზავრობა შეეხება ადამიანთა განსაზღერულ ჯგუფს. ესენია, პირველ რიგში, სტუდენტები, მეწარმეები და მეცნიერები“. ეს ამბიციური ამოცანები, რომლებიც თვით „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის შექმნამდე იყო ფორმულირებული, არსებითად არ განსხვავდებიან მათგან, რომელთა წარმატებით განხორციელებაც შესაძლებელია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, კერძოდ, „ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობისშესახებ“ (DCFTA) და „სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ“ შეთანხმებებით. ბუნებრივია, აუცილებელია მოლაპარაკება თითოეული უფლების მასშტაბსა და ხარისხზე. ასევე, უნდა შეთანხმდეს პირობები, ვადები, კრიტერიუმები და გარდამავალი პერიოდები. თუმცა, საქართველოს მთავრობის 2008 წლის პროგრამა, ზოგადად, შესაბამისობაში მოდის ევროკავშირის შეთავაზებებთან.

### 15.1.3 სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით არსებული მიღწევები

სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი ორი მხარის მიერ ხორციელდება: ევროკომისია და შესაბამისი მთავრობები პარალელურად ასრულებენ მონიტორინგის საკუთარ ღონისძიე-

ბებს, რომელთა შედეგებიც აისახება რეგულარულ (წლიურ ან უფრო მოკლე პერიოდის) ანგარიშებში. ფორმალურად, მონიტორინგს ერთობლივად ახორციელებენ თანამშრომლობის ორგანოები, რომლებიც შექმნილია „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში. აღნიშნული ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეიტანონ ცვლილებები სამოქმედო გეგმებში, როგორიცაა, მაგ., ევროკავშირ-უკრაინის სამოქმედო გეგმა სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში. თუმცა, პრაქტიკაში, მონიტორინგის პროცესში წამყვან როლს ევროკავშირის მხარე ასრულებს. თითოეული სამოქმედო გეგმის დასკვნითი ნაწილი მოიცავს რეგულარულ ანგარიშებს და „კომისიის“ შეფასებას, ხოლო მეორე მხარეს ევალება შეფასების პროცესისას ინფორმაციის მიწოდება. თუმცა, უკრაინის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია მიღწევების შესახებ საერთო ანგარიშგების განხორციელებაც.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმების განხორციელების შეფასება საერთო შეთანხმებული კრიტერიუმებით უნდა ხდებოდეს (როგორც ეს მეხუთე თავშია განსაზღვრული), პარტნიორები ძალზედ იშვიათად ამზადებენ და ამტკიცებენ ასეთ კრიტერიუმებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ, როგორც აღმოჩნდა, რთულია კრიტერიუმებზე მუშაობა „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ საფუძველზე შექმნილი მაკონტროლებელი ორგანოების ფარგლებში, ხოლო ამ ჩარჩოს მიღმა დამტკიცებული დოკუმენტები, როგორიცაა მაგ., კომისიის „სამუშაო დოკუმენტი“ ან „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ეროვნული პროგრამები“, გამოდგება მხოლოდ ერთი მხარის ღონისძიებების სახელმძღვანელოდ და არა „საერთო“ ღონისძიებათა ჩამონათვალად (ანუ ისინი არ წარმოადგენს ევროკავშირის კომისიისა და პარტნიორი მთავრობების მიერ ერთობლივად დამტკიცებულ კრიტერიუმებს).

აღნიშნულმა სირთულეებმა გავლენა იქონია მიღწევათა მონიტორინგზე და ანგარიშგების სისტემაზე, რის შედეგადაც, როგორც ევროკავშირის, ისე ეროვნული ანგარიშები მიღწევათა შესახებ შეიცავს აღწერითი სახის მსჯელობებს, ხოლო ბევრი მათგანი პოლიტიკური გზავნილების მატარებელია (გზავნილები ეხება კონკრეტული სფეროს ანგარიშების სტატუსს). აღნიშნული ტენდენცია ასევე უკავშირდება სამოქმედო გეგმებში ფორმულირებულ პოლიტიკის ამოცანებსაც. გეგმებში მოცემული ამოცანების ამ ტიპად შეიძლება კლასიფიცირდეს:

1) ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებს ადვილად გაზომვად შედეგებს, მაგ., მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებასთან „სამთავრობო შესყიდვების შესახებ“ შეერთება (ევროკავშირი-სომხეთის სამოქმედოგეგმა – სომხეთი, ნაწილი 4.4.5).

აღნიშნულ ამოცანებთან მიმართებაში მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესი თვითგანმარტებითია.

2) ამოცანები, რომლებიც უფრო მკაფიო მიზანზე ეტაპობრივ გადასვლას გულისხმობს, მაგ. განახლებული „საბაჟო კოდექსის“ აღსრულებისათვის აუცილებელი დებულებების მიღება დაგანხორციელება, რათა გამარტივდეს და უფრო მოქნილი გახდეს „საბაჟოს პროცედურები“ დამოგვარდეს „საბაჟო ეთიკის“ საკითხი ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (სამოქმედო გეგმა ევროკავშირი – საქართველო, პრიორიტეტული სფერო 2). მონიტორინგის პროცესში, სხვადასხვა ეტაპზე, მხარეს შეუძლიათ უარი თქვან შეფასებით პროცედურაზე.

3) ამოცანები, რომლებიც თავისი სპეციფიკიდან და ევროკავშირის მეზობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოების ტიპური სირთულეებიდან გამომდინარე, მოითხოვენ უფრო ხანგრძლივი განხორციელების პერიოდს, ვიდრე ეს სამოქმედო გეგმების ვადებითაა განერილი; მაგ.: სახელმწიფო ადმინისტრირების რეფორმა და სამოქალაქო მომსახურება მათი მოდერნიზაციის, ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის გათვალისწინებით “ (სამოქმედოგეგმა, ევროკავშირი-აზერბაიჯანი, ნაწილი 4.1.1) მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საერთაშორისო ჩარჩოები, რომლებთან მიმართებაშიც საზოგადოების ადმინისტრირების რეფორმის მიღწევების შეფასებაა შესაძლებელი, მათი გათვალისწინება არა რის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში გაწერილი ვალდებულება, რაც, ალბათ, ნათლად ხსნის იმას, თუ რატომ ჰგავს ამოცანებში მოცემული მსჯელობები პოლიტიკურ განცხადებებს.

ევროკომისიის მიღწევათა შესახებ 2009 წლის წლიური ანგარიშები 2010 წლის 12 მაისს გამოქვეყნდა. მათში ასახულია საკმაოდ ზომიერი პროგრესი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების სფეროში ზოგადად, და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში – კონკრეტულად. რაც

შეეხება მმართველობას, პრობლემურ საკითხებად რჩება თავისუფლების ფუნდამენტური უფლების განხორციელება, როგორიცაა მაგალითად, თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილების დაცვა, საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა და კორუფციასთან ბრძოლა. ამ სფეროებში საერთო სიტუაცია ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაუარესდა. მმართველობის ხელშეწყობის საჭიროება კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება „როგორც მიზანი და ამოცანა, რომელიც, საბოლო ოჯახში, პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ წინსვლას განაპირობებს". ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით, სამხრეთ კავკასიის პარტნიორები სხადასხვაგვარ, არათანაბარ შედეგებს იღებენ მას შემდეგ, რაც სამოქმედო გეგმების განხორციელება დაიწყო. უფრო კონკრეტულად კი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლის მომცველი შეთანხმების" (DCFTA) პროცესი დაიწყო. 2009 წელს საქართველომ ამ კუთხით კარგი შედეგები აჩვენა. შედარებით ლიმიტირებული იყო შედეგები სომხეთში (რაც ძირითადად საჭირო რეფორმების გატარების დაგვიანებით დაწყებას უკავშირდება), ხოლო აზერბაიჯანში – უკუსვლა დაფიქსირდა.

ევროკომისიის დაკვირვებით, სომხეთმა სამოქმედო გეგმის „რამდენიმე სფეროში მიაღწია წარმატებას". პოლიტიკურ სფეროში მიღწევები მოიცავს რეგულარული დიალოგის წარმოებას ევროკავშირთან ადამიანის უფლებათა შესახებ, ასევე, 2008 წლის თებერვალში, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არსებული შიდა პოლიტიკური კრიზისის გადაჭრისაკენ მიმართულ ნაბიჯებს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში საკანონმდებლო ჩარჩოში შეტანილ ცვლილებებს და ადამიანისუფლებათა დამცველის როლის გაძლიერებას.

ეკონომიკური განვითარების ადარეფორმების კუთხით მიღწევები შედარებით უფრო მოკრძალებულია. სომხეთმა გააგრძელა მუშაობა საბაჟო და საგადასახადო სისტემის გამარტივებაზე, განახორციელა ფინანსური მომსახურებები და გაატარა სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკა. ვაჭრობის სფეროში სომხეთმა მიიღო შიდა ინსტიტუციური სტრუქტურა, „თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლის მომცველი შეთანხმების" მომზადებისა და სამომავლო მოლაპარაკებებისათვის, თუმცა, შედარებით ნაკლები მიღწევები აჩვენა ვაჭრობასთან დაკავშირებულ ძირითად სფეროებში (ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები, სანიტარიული და ფიტო-სანიტარიული კონტროლი და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა).

ევროკომისიის ანგარიშში განსაკუთრებით ხაზგასმულია შემდეგი ფაქტი – „სომხეთმა ძირითადი ნაბიჯები თურქეთთან რეგიონული თანამშრომლობისა და დიალოგისაკენ გადადგა, რის შედეგადაც, 2009 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა ორ ისტორიულ პროტოკოლს ორ მხრივი ურთიერთობების დამყარება-განვითარების შესახებ", თუმცა, აღნიშნული პროტოკოლების რატიფიცირება არ განხორციელდა. გარდა ამისა, უფრო მაღალ დონეზე, მნიშვნელოვნად გაძლიერდა დიალოგი მთიანიყარაბაღისკონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისშესახებ. სახელმწიფო, ზოგადად, ძალზედ გააქტიურდა ევროკავშირთან თანამშრომლობაში ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP) და აღნიშნული პოლიტიკის პრინციპებთან შეერთება. ანგარიშში განსაკუთრებით არის მონონებული სომხეთის სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივ ასპექტებში, კერძოდ: ღია დიალოგი და მათი მონაწილეობა ამბიციური სამუშაო პროგრამების შემუშავებაში ოთხი თემატური პლატფორმისათვის. აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივ ელემენტებთან ერთად, აღნიშნულმა ფაქტორმა ხელიშეუწყო ევროკავშირ-სომხეთის ურთიერთობის გაძლიერებას და სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განხორციელებაზე მუშაობას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული საარჩევნო სტანდარტების გაუმჯობესებისა და მედიის თავისუფლების გაძლიერების მიმართულებით. უაღრესად მნიშვნელოვანია „რეფორმები სამართლებრივ და საკანონმდებლო სექტორებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, პროკურატურის რეფორმირება და მიღებული კანონმდებლობის სათანადოდ განხორციელება ყველა სფეროში". შიდა პოლიტიკური მოვლენების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მმართველ პოლიტიკურ ძალებსა და ოპოზიციას შორის გამართულმა დიალოგმა. ეკონომიკის სფეროში უნდა შეიქმნას საფუძველი სტაბილური განვითარებისთვის და აქტიურად განხორციელდეს სავაჭრო სფეროს რეფორმირება.

აზერბაიჯანში „გარკვეული პროგრესია" მიღწეული სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთ-

ხით, ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკა და სოციალური მმართველობა[14]. მიუხედავად გლობალური ეკონომიკური კრიზისისა, სტაბილური საექსპორტო შემოსავლების წყალობით, მთავრობას შეეძლო გაეზარდა სოციალური სფეროს დაფინანსება და კაპიტალური ინვესტირება. სახელმწიფომ კარგი შედეგები აჩვენა ევროკავშირთან ენერგო თანამშრომლობის კუთხით. აღნიშნული თანამშრომლობა ეფუძნება ორმხრივი „ურთიერთგაგების მემორანდუმს" ენერგო სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო მომსახურებასთან და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით რამდენიმე პოზიტიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი, 2009 წლის მარტში მიღებული კონსტიტუციური ცვლილებები (რომელთა შედეგადაც გაუქმდა საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის შეზღუდვა), ევროკომისიის მიერ შეფასებულია როგორც აზერბაიჯანის სერიოზული უკან დახევა კონსოლიდირებული დემოკრატიის გზაზე.

რაც შეეხება სავაჭრო ურთიერთობებს, ევროკომისია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან აზერბაიჯანის თანამშრომლობის საკითხებთან მიმართებაში ძალზედ მცირე მიღწევებზე საუბრობს. 2009 წელს გამართულმა „სამუშაო მხარეთა" შეხვედრამ მნიშვნელოვანი შედეგები არ მოიტანა, რადგან აზერბაიჯანი არ თმობს „განვითარებადი ქვეყნის" სტატუსს და, შესაბამისად, კარგავს სხვადასხვა პრივილეგიას, რომლებიც გათვალისწინებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესდებით, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის სფეროსთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა არის წინაპირობა ევროკავშირისათვის, დაიწყოს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებაზე. მოლაპარაკებათა ჩიხში შესვლას შეუძლია მნიშვნელოვნად შეანელოს სახელმწიფოს საერთო პროგრესი „აღმოსავლეთის პარტნიორობის" ფარგლებში (მათშორის, მოლაპარაკების დაწყების პერსპექტივა „ასოცირებულ შეთანხმებასთან" დაკავშირებით).

რაც შეეხება საქართველოს, ბოლო წლებში, სამოქმედო გეგმის ამოცანათა განხორციელების მიღწევებზე გავლენა ორმა მოვლენამ იქონია: პირველი – კონფლიქტი რუსეთთან 2008 წელს, რამაც ქვეყნის პრიორიტეტულ ღონისძიებათა ჩამონათვალში წინაპლანზე სარეაბილიტაციო საკითხები გადმონია; ძალიან დიდი ძალისხმევა და რესურსები (მათშორის, მნიშვნელოვანი უცხოური დახმარება) გამოიყო დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული საკითხების გადაჭრისთვის. მეორე – დერეგულაციის პოლიტიკისა და წვრილმან კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით საკმაოდ მიზან მიმართული ნაბიჯების წყალობით, ქვეყანა რამდენიმე საერთაშორისო სააგენტომ „წამყვან რეფორმატორად" დაასახელა, კერძოდ, საქართველო ერთ-ერთ წამყვან რეფორმატორ სახელმწიფოდ დასახელდა 2007 წელს, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ ჩატარებულ კვლევაში „ბიზნესის კეთება". თავიდან აღნიშნულმა საერთაშორისო აღიარებამ შეამცირა ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმით გაწერილი რეფორმების მიმზიდველობა, რადგან წლების განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ აღნიშნული რეფორმები ლიბერალური დერეგულირების პრინციპებს ენინააღმდეგებოდა.

ქვემოთ მოცემულია საქართველოში რეფორმის შეფასების ორი მაგალითი, სადაც კარგად ჩანს სამოქმედო გეგმიდან გადახვევა:

- 2005 წელს მიღებული კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", ძირითადი აქცენტი გაკეთდა სახელმწიფო დახმარებებზე, თუმცა, უყურადღებოდ დარჩა, განსხვავებით 1995 წელს მიღებული აქტისაგან, მომხმარებლისათვის საზიანო შეთანხმებები, გარიგებაზე ორიენტირებული საქმიანობა, ბაზარზე უპირატესი მდგომარეობით, კომპანიათა შერწყმითა და სახელმწიფო საწარმოებით ბოროტად სარგებლობა. გარდა ამისა, მან მნიშვნელოვნად შეზღუდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ფუნქცია და იგი მხოლოდ კონსულტირებასა და ბაზრის დაკვირვებაზე დაიყვანა. აღნიშნული ინიციატივები ენინააღმდეგება ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის ამოცანას – „კონკურენციის შესახებ, ევროკავშირის პრინციპებთან შესაბამისობა".
- 2006 წლის შრომის კოდექსმა დასაქმებულ პირებს ჩამოართვა საკუთარი უფლებების დაცვის ყოველგვარი უფლება. ეს ეხება სამუშაო დროს, ზეგანაკვეთზე მუშაობას, სამუშაოს შეწყვეტას გაფრთხილების საფუძველზე, დეკრეტულ შვებულებას და სხვა ისეთ საკითხებს, რაც ევროპაშია მიღებული. შრომითი ურთიერთობები კონკრეტული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრება, რაც საქართველოს რეალობაში თითქმის შეუზღუდავ თავისუფლებას ანიჭებს დამსაქმებლებს.

ზემო აღნიშნულის საფუძველზე, ევროკომისიამ 2008 წლისანგარიშში მიღწევათა შესახებ შემდეგი დასკვნა გააკეთა: საქართველოში „სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით სირთულეები გამოვლინდა საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირის რეგულირების მიდგომაში (რომელიც განერილია სამოქმედო გეგმაში) არსებული შეუსაბამობის გამო, კერძოდ, საქართველოს მთავრობას სურს რადიკალურად შეამციროს მთავრობის როლი ეკონომიკაში". საქართველოს რეფორმებზე ორიენტირებულ მთავრობას კარგად უნდა გაეცნობიერებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის ვალდებულებებთან შესაბამისობა, იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად აქვს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციისკენ მისწრაფება.

ევროკომისიის მიერ, 2010 წლის 12 მაისს გამოქვეყნებული წლიური ანგარიში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ, ავლენს მთავრობის უფრო პრაგმატულ მიდგომას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმართ. გარკვეული მიღწევები არსებობს კანონის აღსრულების, სასამართლო სისტემის რეფორმირების, წერილმან კორუფციას თანბრძოლის, ვაჭრობის ხელშეწყობისა და ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესების სფეროებში. რაც შეეხება „თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლის მომცველი შეთანხმების" განხორციელების პროცესს, საქართველომ მოამზადა რამდენიმე რეფორმის გეგმა ისეთ პრიორიტეტულ სექტორებში, როგორიცაა ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები, სანიტარიული და ფიტო-სანიტარიული კონტროლი, თუმცა, მათი მორგება „თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლის მომცველი შეთანხმების" მოთხოვნებზე და შესაბამისად, განხორციელებაც, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარე ძალზედ შორს მიმავალ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს – მაგ., პრემიერ-მინისტრმა 2009 წლის სექტემბერში განაცხადა:

*„ჩვენი მხრიდან ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ევროკავშირთან საუბარი დაგვენყო თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებებზე".*

ევროკომისია აცხადებს, რომ ქვეყანა მხოლოდ მაშინ იქნება მზად „თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლის მომცველი შეთანხმებისთვის" მოლაპარაკებების დასაწყებად, როცა დამატებით ძალისხმევას ჩადებს რეფორმების დამტკიცებული გეგმების სათანადოდ დასრულებაში, მიღებასა და წარმატებით განხორციელებაში.

სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოსთვის ძირითადი ამოცანებია პლურალისტული პოლიტიკური სისტემის გაძლიერება და მედიის თავისუფლება. კომისიის ანგარიშის თანახმად, სხვა, ასევე მნიშვნელოვანი გამონვევებია სიღარიბის აღმოფხვრის მყარი პოლიტიკა, დასაქმება და სოციალური დაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარება და სამოქალაქო მომსახურებების რეფორმირება. ცალკე აღნიშნას იმსახურებს საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ერთი მიღწევა: შეთანხმება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ. მოლაპარაკება 2008 წლის შემოდგომაზე დაიწყო და დასრულდა 2009 წლისა გვისტოში. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მიღწეული ეს შედეგი ზუსტად ისევეა რეალური, როგორც პოლიტიკაზე ორიენტირებული: ევროკომისიამ შეასრულა ევროპარლამენტის რეკომენდაცია და საქართველოს შესთავაზა დაახლოებით იმავე ტიპის სავიზო რეჟიმი, როგორიც რუსეთთან[21] არსებობს. ეს პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგანაც ის უკავშირდება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციას რუსეთის მიერ და ამ ორ რეგიონში რუსული პასპორტების დარიგებას. რეადმისიისა და სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ მისი რატიფიცირების საკითხი ჯერ კიდევ მხოლოდ დღის წესრიგშია, წარმოადგენს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შედეგს. მაშინ, როცა სამოქმედო გეგმის (ნაწილი 4.3.2) შესაბამისი მოთხოვნები შეუსრულებელია, მსგავსი შეთანხმებები გამონაკლის პოლიტიკურ შემთხვევებში ხდება. შეუსრულებელი მოთხოვნებია: „თანმიმდევრული, სრული დაბალანსირებული ეროვნული სამოქმედო გეგმა მიგრაციის შესახებ", „მიგრაციის მონიტორინგის ელექტრონულ მონაცემთა ბაზა" და „კოორდინაცია მიგრაციის საკითხებზე მომუშავე შესაბამის ეროვნულ საagენტოებთან".

ომის შემდგომმა მოვლენებმა საქართველოში, ევროინტეგრაციის მიმართულებით, რამდენიმე ნიშანი აჩვენა იმისა, რომ არსებობს გარკვეული წინსვლა საქართველოსა და ევროკავშირის მიდგომების შესაბამისობის კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ გაცხადებული ამოცანა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ოთხი თავისუფლების პრინციპის განხორციელების შესახებ,

ჯერ კიდევ საკმაოდ დისტანციურია. პოზიტიური ცვლილებები რეალურად ეხება აღმოსავლეთის პარტნიორობის მიერ შეთავაზებულ პრაქტიკულ შესაძლებლობებს (რაც უცხო იყო 2007 წელს): მას შემდეგ, რაც დაიწყება მოლაპარაკება „ასოცირებულ შეთანხმებასა“ და „თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლის მომცველ შეთანხმებაზე“, საჭირო რეფორმები, სავარაუდოდ, შეთანხმებულ პოლიტიკურ კონტექსტში უფრო ტექნიკურ ხასიათს მიიღებს. „თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლის მომცველი შეთანხმება“, იმედია, საქართველოსთვის გახდება ინსტრუმენტი, რათა უფრო ბალანსირებულად განახორციელოს რეფორმატორული პოლიტიკა და მეტი აქცენტი გააკეთოს მყარი განვითარების საკითხებზე, რომლებიც ამ ეტაპზე რეალურად უგულებელ ყოფილია.

საბოლოო ჯამში, სამხრეთ კავკასიაში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ხუთწლიანი თანამშრომლობის პროცესმა დაადასტურა, რომ არსებობს სისტემატური შეზღუდვები ევროინტეგრაციის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კვლევისშედეგები ადასტურებს ევროკავშირის, როგორც პარტნიორის მიმზიდველობას, საზოგადოებები და ეკონომიკები ხშირად უხვევენ ევროპისაკენ მიმავალი გზიდან. პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის არსებული მონოპოლიური ინტერესები საფრთხეს უქმნის ევროკავშირის ეკონომიკასა და კანონმდებლობას თან შესაბამისობის უზრუნველყოფას სავაჭრო სფეროებში, მაგალითად, ისეთ სფეროში, როგორიცაა კონკურენციისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, რაც თავისთავად, კითხვის ქვეშ აყენებს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების დასრულებას და შესაბამისად, მომავალში, ევროკავშირთან „ასოცირებული შეთანხმების“ გაფორმების საკითხს. სამთავრობო რეფორმების განხორციელებისას, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ანტაგონისტური მოტივაცია, რადგანაც ხელისუფლებაში რაიმე პოზიციაზე ყოფნა ხშირად წარმატებული კორუფციული გარიგების განხორციელების გარანტიაა. ეს, თავისთავად, უარყოფით გავლენას ახდენს პოლიტიკის განხორციელების ხარისხზე, განსაკუთრებით, სტრატეგიული პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით. იქ, სადაც პირადი ურთიერთობები უფრომნიშვნელოვანია, ვიდრე ინსტიტუტები და პოლიტიკური სტრუქტურები, შეუძლებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურები გახადო ანგარიშვალდებული. სამოქალაქო საზოგადოება ყოველთვის ვერ იცავს თავს სისტემატური პრობლემებისაგან, მიუხედავად მისი აქტიური მონაწილეობისა აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამებში. ეს არის მიზეზი, რის გამოც, პოლიტიკური რეფორმების კუთხით არსებული პროგრესი ჯერ კიდევ ძირითად ელემენტად რჩება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობათა განსავითარებლად.

## 15.2 ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან და საქართველოს მცირე მეწარმეობის განვითარება

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პერიოდი დადგა. 2014 წლის 1 სექტემბერს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი, ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება წინასწარ ამოქმედდა. 18 დეკემბერს კი ევროპარლამენტმა დიდი უმრავლესობით უყარა კენჭი შეთანხმებას, რითაც დაადასტურა ასოცირების პროცესის მხარდაჭერა. აღნიშნული დოკუმენტები ბევრ წინაპირობას უყენებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის დანერგვა ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს პარტნიორი ქვეყნების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ევროინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებადაა მიჩნეული, ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ეროვნულ ეკონომიკაში მცირე მეწარმეობისათვის თავისი ადგილის დამკვიდრების საქმეში ევროკავშირის პოლიტიკის პრინციპები და ინსტრუმენტები. დღეს ქვეყანას ეძლევა უდიდესი შესაძლებლობა, მდგრადი გახადოს ეკონომიკის და მისი პირველი წყაროს მცირე ბიზნესის განვითარება. ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს წარმოების განვითარება, იგი არის ის ფუნდამენტი, რომელზეც დაფუძნებულია ქვეყნის ეკონომიკა. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, მცირე მეწარმეობის განვითარება მთლიანობაში განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წარმატებას უმუშევრობის შემცირებას და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მსოფლიო ბანკის განმარტებით, გლობალურ ეკონომიკაში კერძო სექტორი 10-დან 9 სამუშაო ადგილს ქმნის. აქედან გამომდინარე, ხელ-

* http://infocenter.gov.ge/georgia-and-the-european-union/)

საყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა და კერძო სექტორის განვითარება ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური წინსვლისა და სიღარიბის შემცირების უმთავრესი ფაქტორია.

ასოცირებისა და ყოველისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შემდეგ, 2016 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ვიზა ლიბერალიზაცია, არის საფუძველი ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების, თანამშრომლობის და ევროპული პერსპექტივის. ქვეყანამ ამით ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობის გზაზე.

კონკურენტული უპირატესობის ზრდა არის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზაზე. კონკურენტუნარიანობა არის სახელმწიფოს უნარი, მიაღწიოს მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეებს და მოიპოვოს როგორც საექსპორტო, ასევე შიდა ბაზრების დიდი წილი. მსოფლიო გამოცდილება გვთავაზობს, რომ სახელმწიფოს (განსაკუთრებით, განვითარებადი ეკონომიკის პატარა სახელმწიფოს) კეთილდღეობა და განვითარება იმდენად არ არის დამოკიდებული მის ბუნებრივ სიმდიდრეზე, როგორც მის უნარზე, მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა უწყვეტი განახლებით და ადგილობრივი მრეწველობის სხვადასხვა დარგის გაუმჯობესებით. ეს უნარი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს სახელმწიფო უზრუნველყოს „ძირითადი ბაზა" იმ საქმიანობებისათვის, რომელიც „იქნება ყველაზე პროდუქტიული სამუშაო ადგილების, ძირითადი ტექნოლოგიების და ყველაზე თანამედროვე კვალიფიკაციების ადგილი." შრომითი რესურსები წარმოდგენილია იმ ძირითად ფაქტორებს შორის, რომელიც მოიცავს ამგვარ „ძირითად ბაზას" და აქედან გამომდინარე განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

ქვეყნის შრომითი რესურსების კონკურენტული პოტენციალი ნიშნავს არა მხოლოდ პერსონალის რაოდენობას და ხარჯს, არამედ რთულ უნარ-ჩვევებს, რომელიც შეძენილია უმაღლესი განათლების და თანამედროვე კვლევების და მომზადების გზით, გარდაქმნას ადამიანური კაპიტალი უმაღლესი ხარისხის ფართო სამომხმარებლო საქონლად და მიაღწიოს მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ფაქტორების მრავალფეროვნება განსაზღვრავს ქვეყნის შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობას. ესენია: საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა, სიღარიბე და თანასწორობა; ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო სისტემის საიმედოობა; და ინდივიდუალური კომპანიების მიერ დაქირავებული შრომითი რესურსების სტრატეგიების ეფექტურობა. სხვადასხვა შემსრულებლები და დაინტერესებული მხარეები პასუხისმგებელნი არიან აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფაზე. აქედან გამომდინარე, კონკურენტუნარიანობა შრომითი რესურსების სფეროში მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას მთავარ დაინტერესებულ მხარეებს, ე.ი. მთავრობას, კერძო სექტორს და სამუშაო ძალას შორის. ამ დოკუმენტის მიზანია, შეიქმნას წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეძლებს საქართველო გაზარდოს მისი მწარმოებლურობა და წარმოადგინოს შრომითი რესურსები და კომპანიების სპეციალიზებული უპირატესობები.

საქართველოში კერძო სექტორის განვითარების საკვანძო ამოცანის შესასრულებლად, ევროპის საინვესტიციო ბანკისჯგუფი, რომელიც აერთიანებს ევროპის საინვესტიციო ბანკსა და ევროპის საინვესტიციო ფონდს ახორციელებს ევროკომისიასთან ერთად შემუშავებულ ორ ახალ პროგრამას. ეს ორი პროგრამა მომზადდა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებშეთანხმების კონტექსტში. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში შემუშავდა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის". იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი განხორციელდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეგულარული დიალოგის გზით.

ამ სტრატეგიის მიზნებია:

1.2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქციის გამოშვების ზრდაწლიურად საშუალოდ 10%-ით;

2. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;

3. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

**განვიხილოთ კიდევ რა სახის მხარდაჭერას უწევს ევროკავშირი ქართულ ბიზნესს:**

**1. ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების მხრივ:**

ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მხარდაჭერა;

ექსპორტთან დაკავშირებული ინვესტიციების სუბსიდირებული დაფინანსება;

სუბსიდირებული დაფინანსება აღჭურვილობის შეძენისა და მოდერნიზაციისთვის;

სესხები ბიზნესისთვის, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობენ;

მიკროკრედიტები მცირე ბიზნესის ჩამოყალიბების ან განვითარებისთვის;

**2. ბიზნესის უნარების გაუმჯობესების მხრივ:**

მორგებულისა კონსულტაციო მომსახურება და ტექნიკური დახმარება კომპანიებისთვის – ადამიანურირესურსები. საინფორმაციო ტექნოლოგიები, მენეჯმენტის სტრუქტურები, ბიზნესის მოდელები და სხვა:

- ტრენინგის პროგრამები სამეწარმეო უნარების გასაუმჯობესებლად ძირითად სფეროებში; მორგებული ტრენინგი და მენტორის მხარდაჭერა მეწარმე ქალებისთვის;

**3. ახალი ბაზრების გაუმჯობესებული წვდომის მხრივ:**

ბიზნეს-კონსულტაციები და ტრენინგი ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის;

კომპანიების დახმარება ადაპტირების და ევროკავშირში პროდუქციის ექსპორტირების მიზნით;

- სოფლისმეურნეობის და კვების მრეწველობის მხარდაჭერა ევროკავშირის ბაზრების ათვისების მიზნით;

**საინტერესოა, თუ რომელმა კომპანიებმა გამოიყენეს ევროკავშირის მხარდაჭერა და რა სარგებელი მიიღეს:**

- ავტომობილების იმპორტიორმა კომპანიამ „ასპ ჯორჯია" მიიღო ევროკავშირის დაფინანსება და კონსულტაცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) ბიზნესის პროცესების გაუმჯობესების მიზნით. ამის შედეგად კომპანიამ ბრუნვა 71%-ით გაზარდა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა-90%-ით;

- ტურისტულმაკომპანიამ „ლოპოტა ტურსერვისი" საკუთარი საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემის გასაუმჯობესებლად ევროკავშირის დაფინანსება მიიღო. ამჟამადმისიპერსონალისრაოდენობა 55-დან 117-მდეგაზრდილი;

- სამედიცინო ცენტრმა „სამედიცინო ჰოლდინგი 23" ევროკავშირის დაფინანსების და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კონსულტაციის საფუძველზე შიდა მენეჯმენტი გააუმჯობესა და გახდა უფრო ეფექტიანი. ამჟამად კომპანია ფლობს ხარისხის მართვის საერთაშორისო სერთიფიკატს IS 9001;

**როგორც მოგეხსენებათ, ევროპის საინვესტიციობანკი (I) – ევროკავშირის ბანკი** საქართველოში პროექტებს აფინანსებს „ევროკავშირის საგარეო სესხების მანდატის" საფუძველზე. ამ მანდატით EIB-ს ეძლევა ევროკავშირის ბიუჯეტით უზრუნველყოფილი გარანტია პროექტების დასაფინანსებლად ისეთ სფეროებში, როგორიცა ასოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი კერძო სექტორის განვითარება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების კუთხით, და კლიმატურ ცვლილებებთან გამკლავება და ადაპტაცია.

**ევროპის საინვესტიციო ფონდის (FIF), რომელიც ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის ნაწილია,** ამოცანაა ხელი შეუწყოს ევროპის მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. ევროპის საინვესტიციო ფონდი ქმნის და ავითარებს სარისკო კაპიტალს და კაპიტალის ზრდას, გარანტიებს და მიკროსაფინანსო ინსტრუმენტებს, რომლებიც კონკრეტულად ამ სეგმენტზეა გათვლილი. ამ მხრივ, ევროპის საინვესტიციო ფონდი ხელს უწყობს ევროკავშირის მიზნების განხორციელებას ინოვაციის, კვლევის და განვითარების, მეწარმეობის, ზრდისა და დასაქმების მხარდასაჭერად [5].

**ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (BSOs) და მცირე და საშუალობი ზნესის (SME) მხარდასაჭერად შემუშავებული – East Invest 2** პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოსა და კონკურენტული კერძო სექტორის განვითარებას, სავაჭრო ნაკადების და ინვესტიციების მოცულობის ზრდის მეშვეობით ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (საქართველოს ჩათვლით) შორის.

**East Invest 2** – პროგრამის მიზანია:

- გააძლიეროს მცირე და საშუალო ბიზნეს ასოციაციები საქართველოში და გააუმჯობესოს მათი შესაძლებლობები ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნაში აქტიური მონაწილეობის მიზნით;

---

5eeas.europa.eu

• გააუმჯობესოს საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგი და გააძლიეროს ბიზნეს ასოციაციების შესაძლებლობები სახელმწიფოსთან დიალოგში მცირე და საშუალო ბიზნესის სათანადო დონეზე წარმოსადგენად;

• უზრუნველყოს ასოციაციების შესაძლებლობების ზრდა და მდგრადობა, რათა მათ შეძლონ საკუთარი წევრებისათვის გაუმჯობესებული პროფესიული მომსახურების გაწევა;

• გააუმჯობესოს გრძელვადიანი პარტნიორობისა და ვაჭრობის პროცესი საქართველოს, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესსა ან/და მათ ასოციაციებს შორის;

• ხელიშეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილ ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმებაში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტებისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მთავრობა ახორციელებდა და ახორციელებს მრავალჯერად რეფორმებს სტანდარტიზაციის სისტემაში და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში ევროკომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით. განხორციელდა ტექნიკური რეგულირებისა და სტანდარტების სფეროში ძირეული რეფორმები. ტექნიკური რეგულირების სისტემაში რეფორმა მიზნად ისახავს საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისა და მომსახურეობისათვის ბარიერების მოხსნას, რაც საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ნათლად ჩამოაყალიბოს არა მხოლოდ სტრატეგიები, რომლებიც უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ევროინტეგრაციის თვალსაზრისით, არამედ ამ სტრატეგიების რეალური განხორციელება დაიწყოს.

ამგვარად, საერთოდ წარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო წარმოების განვითარებისთვის კიდევ ბევრია გასაკეთებელი სახელმწიფოს მხრიდან. პირველ რიგში დაბეგვრის მიზნებისთვის განსაზღვრული კლასიფიკაცია უნდა დაუახლოვდეს სტატისტიკის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას და გვქონდეს რეალური სურათი, თუ რომელი სანარმო რომელ კატეგორიას მიეკუთვნება და ამაზე დაყრდნობით შემუშავდეს ხელშემწყობი პროგრამები. პროგრამა „ანარმოე საქართველოში " თავისი შინაარსით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა მნიშვნელოვანია ბენეფიციარების შერჩევისას აქცენტი გაკეთდეს არა მათ ზომაზე არამედ სხვა ინდიკატორებზე, მაგალითად, რა რაოდენობის დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის, რამდენჯერ გაზრდის საწარმოო სიმძლავრეებს და ა.შ.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 2 ახალი პროექტი მცირე და საშუალო მეწარმეებს DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში დაეხმარება. პროექტებისთვის მთლიანობაში 9.5 მილიონი ევროა გამოყოფილი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობა " (GIZ) განახორციელებენ. ჯამში 170 საკონსულტაციო პროექტის განხორციელება იგეგმება, აქედან, 150 ადგილობრივი კონსულტანტების, 20 კი-საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. პროგრამა 4 წელზეა გათვლილიდა 4.5 მილიონი ევრო დაიხარჯება.

პროექტის ფარგლებში, მინიმუმ 36 კომპანიას დაეხმარებიან საექსპორტო შესაძლებლობების განვითარებაში, რომ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს წარმოების პროცესი, შიდა სტრუქტურა და მენეჯმენტი. ასევე, მინიმუმ 60 კომპანია მიიღებს საკონსულტაციო დახმარებას სხვადასხვა სტანდარტებისა და სერტიფიცირების თაობაზე. კომპანიების 225 წარმომადგენელი გაივლის ტრენინგს, რომ გაეცნონ რამოთხოვნები აქვს CFTA-ის.პროგრამაში მონაწილეობისთვის მცირე და საშუალო მეწარმეები გარკვეულ მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ. სექტორზე შეზღუდვა არა რის, თუმცა მეწარმეს მინიმუმ 1-2 -წლიანი სამუშაო გამოცდილება უნდა ჰქონდეს, შესაბამისად, დახმარება "სტარტაპებისთვის" არ არის განკუთვნილი. ერთ პროექტში EBRD-ის მხრიდან თანამონაწილეობა 10 ათას ევროს ეკვივალენტს ლარში არ აღემატება.

კიდევ ერთ პროექტს, რომელიც ფოკუსირებული იქნება მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარებაზე, GIZ ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად განახორციელებს. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმების განხორციელებას, რომ გაიზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და მოახდინონ ადაპტაცია ახალი რეგულირების ჩარჩოსთან. ერთ-ერთი კომპონენტი იქნება ბიზნეს-კლასტერების განვითარება და მათი ინტეგრაცია ევროკავშირის შესაბამის ქსელებში.

მცირე და საშუალო მეწარმეებს წარმოების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მიღებული ცოდნისა და ექსპერტიზის პრაქტიკაში გამოსაყენებლად ფინანსური საშუალებებიც სჭირდებათ-სტანდარტების დანერგვა, წარმოების პროცესის მონესრიგება, შესაძლოა, მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებთან იყოს დაკავშირებული. ამ მიმართულებით უკვე რამდენიმე თვეა დახმარების კიდევ ერთ ინსტრუმენტზე მუშაობს ევროკავშირი EBRD-სა და EIB-სთან ერთად. ეს არის DCFTA facility-ის ფინანსური დახმარების კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც მეწარმეები შეძლებენ მანქანა-დანადგარების შესაძენად საჭირო სესხი ბანკიდან გამარტივებული პირობებით ეროვნულ ვალუტაში მიიღონ, გათვალისწინებულიაგრანტებიდატექნიკურიდახმარება, როგორც მეწარმეების, ასევე, ბანკებისთვის. DCFTA facility-ის პროგრამის განხორციელებაში ევროკავშირს ევროპის საინვესტიციო ბანკიც (EIB) დაეხმარება, EIB-ის კომპონენტში ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ფინანსური ინსტიტუტების გაძღიერება იქნება. როგორც EBRD, ასევე EIB პროგრამას ადგილობრივი ბანკების დახმარებით განახორციელებენ.

DCFTA facility მოლდოვის, საქართველოსა და უკრაინისთვისაა განკუთვნილი, მთლიანობაში 200 მილიონი ევროა გამოყოფილი, აქედან რამდენი დაიხარჯება საქართველოში არსებული მცირე და საშუალო მეწარეებისთვის ჯერ უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ პირველი ბენეფიციარი საქართველო იქნება*.

ასევე ევროკავშირი მომავალი 4 წლის განმავლობაში საქართველოს 51 მილიონი ევროს ოდენობის გრანტს გამოუყოფს. ეს არის ყოვლის მომცველი პროგრამა, რომელიც მოიცავს 2 მიმართულებას: მუშაობას ხელისუფლებასთან და მცირე და საშუალობიზნესთან. ჩვენ დავეხმარებით ხელისუფლებას საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესში. ამაღე დროს ვიცით. რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი სფერო, რომელზეც ღრმა და ყოვლის მომცველი სავაჭრო შეთანხმება გავლენას მოახდენს, მცირე და საშუალო ბიზნესია. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესს და მათ ახალ სტანდარტებზე გადასვლა გავუმარტივოთ.

51 მლნ ევროდან 25 მლნ ევრო საბიუჯეტო დახმარებისთვის იქნება გამიზნული. ეს არის თანხა, რომელიც პირდაპირ ხაზინაში გადაირიცხება და რომელსაც ფინანსთასამინისტრო გააკონტროლებს. თუმცა, ეს არ არის უპირობო დახმარება. იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საბიუჯეტო დახმარება მიიღოს, გარკვეული რეფორმები უნდა განახორციელოს. რეფორმები უნდა განხორციელდეს ოთხი მიმართულებით. პირველი მიმართულება უშუალოდ ვაჭრობასთან არის დაკავშირებული. აქ შედის სანიტარული და ფიტოსანიტარული ხარისხის კონტროლი, სახელმწიფო შესყიდვების საკითხი. მეორე ბლოკი დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიასთან. ეს სტრატეგია ევროკავშირში არსებული სტანდარტების შესაბამისად შემუშავდება. მესამე ბლოკი არის ვაჭრობასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერება. მეოთხე ბლოკი კი მცირე და საშუალო ბიზნესის მომსახურებას გულისხმობს. ეს არის ის წინაპირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც საქართველოს მთავრობა 25 მლნ ევროს მოცულობის საბიუჯეტო დახმარებას მიიღებს. დანარჩენი 26 მლნ ევრო მიზნობრივ პროექტებს მოხმარდება.

**მიზნობრივი პროექტებიდან** – 2 მლნ ევრო გამიზნულია სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნეს ასოციაციების გაძლიერებისთვის. 6,5 მლნ ევრო მოხმარდება იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკურ ინტეგრაციას. 11 მლნ ევრო გათვალისწინებულია როგორც მცირე და საშუალობიზნესის, ისე იმ ინსტიტუციებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ წერილი და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ 51-მილიონიანი გრანტის გარდა კიდევ იქნება ერთი პროექტი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდაში დაეხმარებით. ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის არ არსებობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ასაქართველოში. ამ შემთხვევაში ევროკავშირი დაეხმარება ბანკებს, რომ მათ დაფარონ ის რისკი, რომელიც თან ახლავს მცირებიზნესის მიერ შეთავაზებულ ბიზნეს გეგმას. ეს პროგრამა ფოკუსირებული იქნება ევროკავშირში ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებზე*.

---

* http://eugeorgia.info/ka/article/407/evrokavshiris-dafinansebit-mcire-da-sashualo-mewarmeebis-dasaxmareblad-2-axali-proeqti-daiwyo/
* http://eugeorgia.info/ka/article/184/evrokavshiris-51-mln-iani-grantis-nawili-mcire-da-sashualo-bizness-moxmardebu/

ჩვენი აზრით, ევროკავშირის მიერ და ფინანსებული ეს პროექტები მცირე ბიზნესის წარმატებული განვითარების გარანტი იქნება, რადგან ამ პროექტის მიზანია მცირები ზნესის მწარმოებლურობის ზრდა, რაც საერთაშორისო ასპარეზზე მის კონკურენტუნარიანობის ზრდას გულისხმობს, ეს კი თავის მხრივ საშუალებას აძლევს მცირებიზნესს თანამედროვე ტექნოლოგიებით აწარმოოს მაღალ კონკურენტუნარიანი პროდუქცია და გაიტანოს ევროკავშირის ბაზარზე. აგრეთვე ეს პროექტი უმარტივებს მცირე ბიზნესს კრედიტებისადმი წვდომას, თავის მხირე დამატებითი ფულადი სახსრების გამოყენების შესაძლებლობა ზრდის ბიზნესის პოტენციალს და მის არეალს ბაზარზე, უარყოფით ფაქტს ის წარმოადგენს, რომ ლარში საპროცენტო განაკეეთი უცვლელი რჩება, რაც გულისხმობს სესხის იმავე ღირებულებას, თუ განვიხილავთ რომ საქართველოში საპროცენტო განაკეეთი საშუალოზე მაღალია ეს გულისხმობს სესხის სიძვირეს, ამიტომ მცირე ბიზნესის გარკეეული ნაწილი თავს აარიდებს კრედიტების აღებას.

ჩვენი აზრით, მთავარი გამოწვევა არის ის, რომ საქართველოში მცირე ბი ზნესს არ აქვს საბაზისო უნარჩვევები, არ იციან მენეჯმენტი და არ აქვთ ბიზნეს გეგმა, ისინი არ იცნობენ კარგად ბაზარს და საკუთარ მომხმარებლებს, სწორედ ასოცირების შესახებ შეთანხმება ამ პრობლემების აღმოფხვრას ემასუხრება, რაც თავისმხრ გაზრდის ბიზნესის პოტენციალს.


უნდა ისიც აღვნიშნოს, რომ საქართველოში მცირე ბიზნესს არა აქვს შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიოს განვითარებული ქვეყნების ბიზნესს, რადგან ქვეყანა არ ფლობს მაღალკვალიფიციურ მუშახელს, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ეფექტიან მართვის სტილს, ამდენად ბიზნესის სუბსიდირება საშუალებას მისცემს მეწარმეს აწარმოოს პროდუქცია შედარებით დაბალი თვითღირებულებით, რომელიც კონკურენციას გაუწევს უცხოურ პროდუქციას. საბოლოო ჯამში, მოკლევადიან პერიოდში მცირე ბიზნესის სტიმულირება გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს დიდი პოტენციალის მქონე ბიზნესის ჩამოყალიბებას.

### 15.3 ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან და საქართველოს სატრანსპორტო ენერგეტიკული დერეფანი

„საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის“ პროცესის ფარგლებში წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ ბალტიისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნებისა და საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი, ასევე, ბალტიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის – რეგიონების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების თავისებურებები რეგიონულ ჭრილში.

განვიხილოთ ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან და საქართველოს სატრანსპორტო ენერგეტიკული დერეფანი. საქართველო ევროკავშირის ეკონომიკურ თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა და პოლიტიკურ-კულტურული დატვირთვა გააჩნია ჩვენი ქვეყნისთვის. სწორედ ევროკავშირთან გახსნილი და გამარტივებული ეკონომიკური ურთიერთობები არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარანტი. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2008 წელს დადებული ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იყო უდიდესი ნინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენს პარტნიორულ ურთიერთობებში. ასოცირებისა და ყოელისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შემდეგ, 2016 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ვიზა ლიბერალიზაცია, არის საფუძველი ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების, თანამშრომლობისა და ევროპული პერსპექტივის. ქვეყანამ ამით ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ასეთი მდებარეობა დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მას დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში. ამ თვალსაზრისით გადაიდგა კიდევ გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ განხორციელდა „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის პროგრამა“, ასევე საფუძველი ჩაეყარა ტრანსკავკასიური ნავთობსადენის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენის ამოქმედებას. სატრანსპორტო დერეფანი „ევროპა-კავკასია-აზია“ (TRACECA – Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) არის ერთ-ერთი ევროპული სატრანსპორ ტოდერეფანი, რომელიც გადის ევროპიდან შავი და კასპიის ზღვების გაელით ცენტრალური აზიის ქვეყნებამდე. ამ პროექტის მონაწილეა.




ტრანსკავკასიური სტრატეგიული ენერგეტიკული დერეფანი და – ტრანსკავკასიური სატელეკომუნიკაციო ქსელი მიჩნეულია ევროპული სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. საქართველოს ტრანსპორტის სამომავლო განვითარების უმნიშვნელოვანესი ორიენტირი გახდა, ის რომ ტრასეკას დერეფნის სტატუსი აღმოსავლეთ ევროპის პრიორიტეტული დერეფნის (ე.წ. „კრეტის დერეფნები") სტატუსს გაუთანაბრდეს. ამის შედეგად დაჩქარდება საქართველოს ტრანსპორტის ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, მისი აღიარება ევროპული სატრანსპორტო სისტემის ნაწილად. პრაქტიკულად საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ევროპის სატრანსპორტო სისტემის ნაწილად ყალიბდება. თავის მხრივ ევროპული ქვეყნების სატრანსპორტო პოლიტიკა საქართველოს განიხილავს, როგორც თავისი ინტერესების ნაწილს და ცდილობს ჩვენი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობას იმ დონეზე, რომ დაჩქარდეს მისი ინტეგრირება ევროპულ სატრანსპორტო სისტემაში.*


ტრასეკა მოითხოვს საქართველოს მთელი სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციას. კერძოდ, საჭიროა საზღვაო ფლოტისა და ნავსადგურების, ტერმინალების განვითარება საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების, რკინიგზის, აეროპორტების ტექნიკური გადაიარაღება, მათი მოდერნიზაცია, სტრუქტურიზაცია, მართვის ორგანიზაციის გარდაქმნა და სრულყოფა საერთაშორისო მოთხოვნათა გათვალისწინებით.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების მიხედვით ნათელია, რომ მთავარი ფინანსური, სავაჭრო და ინფორმაციული დინებები 21-ე საუკუნეში განაწილდება აშშ-ევროპა-აზიის – სამკუთხედში. დღესდღეობით სავაჭრო ბრუნვა ევროპასა და აზიას შორის შეადგენს 2 ტრილიონ აშშ დოლარს წელიწადში, საიდანაც 100 მილიარდი აშშ დოლარი სატრანსპორტო ხარჯებია. სწორედ ამიტომ, ამ პროექტით მარშრუტს ძალიან დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის, მითუმეტეს როცა საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გადაზიდვების მარშრუტის განხილვისას.

პირველად ტერმინი „ახალი აბრეშუმის გზა" („new silk road") საზოგადოების წინაშე ჰილარი კლინტონმა ახსენა 2011 წლის 20 ივლისს, ინდოეთის ქალაქ ჩენაიში. ჰილარი კლინტონმა ხაზი გაუსვა იმ უპირატესობებს, რომელიც ექნებოდა ცენტრალური აზიის ქვეყნების სამხრეთ აზიის ქვეყნებთან დაკავშირებას. იმავე წლის სექტემბერში, აშშ-ში, ნიუ-იორკში შედგა შეხვედრა „ახალი აბრეშუმის გზის" მინისტრების დონეზე; ჩინეთი ესწრებოდა სესიას და ენთუზიაზმით შეხვდა პროექტს. 2011 წლის ნოემბერში, სტამბოლში, თურქეთმა უმასპინძლა კონფერენციას „Heart of Asia Conference" და აშშ-სა და ჩინეთის მხარდაჭერით ინიციატივა „ახალი აბრეშუმის გზა" რეგიონული თანამშრომლობის ქვაკუთხედი გახდა. მაგრამ, გაჩნდა პრობლემები-ჩინელებმა გადაწყვიტეს, რომ სახელწოდება „ახალი აბრეშუმის გზა" „ჩინეთს ეკუთვნის", და „ისტორიული სავაჭრო გზები" („Historic Trade Routes") უკეთესი სახელი იქნებოდა აშშ-ს ინიციატივისათვის. 2013 წლის 2 ოქტომბერს, ინდონეზიის პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს პრეზიდენტმა სიც ზინპინმა წამოაყენა წინადადება ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციას (Association of Southeast Asian Nations – ASEAN) შორის მჭიდრო გაერთიანების შექმნის შესახებ და წარმოადგინა „21- ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის" შექმნის პრინციპები საზღვაო სფეროში თანამშრომლობის სტიმულირების მიზნით. აღსანიშნავია რომ, სახმელეთო გადაზიდვებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია საზღვაო გზების მოძებ-

* ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა., რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა

ნაც, რომელიც ორი კონტინენტის ეკონომიკურ კავშირს უფრო განამტკიცებს და შეიქმნება ყველასათვის ხელსაყრელი მობილური ურთიერთობა, რომელიც თავის ნაწილად აფრიკასაც აქცევს, ქვემო სურათზე ნაჩვენებია საზღვაო მარშრუტი ხმელთაშუა ზღვამდე* საიდანაც ტვირთები ევროპაში განაწილდება.




მაშ ასე, ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა" შედგება ორი მდგენელისაგან: სახმელეთო – „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი" – და საზღვაო – „21-ე საუკუნის აბრეშუმის გზა". „ერთი სარტყელი, ერთი გზა" ძალიან მნიშვნელოვანი და მასშტაბურია, როგორც საზღვაო ასევე სახმელეთო მარშრუტით, სახმელეთო ერთმანეთს აკავშირებს **აზია– ევროპას**, „საზღვაო, გზა აერთიანებს„ **აზია– ოკეანეთი„– ევროპას**.**

ზოგიერთებმა ჩინეთის ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა"

„მარშალის გეგმას" შეადარეს. ინიციატივას უკვე შეუერთდა 100-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია. მათგან 40-ზე მეტმა ხელი მოაწერა ჩინეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა" აისახა გაეროს გენერალური ასამბლეის, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს და აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის დოკუმენტებსა და რეზოლუციებში. გასული სამი წლის განმავლობაში მიღწეულია გარღვევა მთელი რიგი დიდი პროექტების რეალიზაციაში ტრანსპორტის, ენერგიისა და კავშირგაბმულობის სფეროში.

ინიციატივის „ერთი სარტყელი,ერთი გზა" მიზანია აზიის, ევროპისა და აფრიკის დაკავშირება ხუთი მარშრუტის გასწერივ. „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის" ფოკუსში მოქცეულია: (1) ჩინეთის დაკავშირება ევროპასთან ცენტრალური აზიის და რუსეთის გავლით; (2) ჩინეთის დაკავშირება ახლო აღმოსავლეთთან ცენტრალური აზიის გავლით; (3) ჩინეთის და სამხრეთ -აღმოსავლეთ აზიის, სამხრეთ აზიისა და ინდოეთის ოკეანის ქვეყნების გაერთიანება.ამავე დროს, „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზას" განზრახული აქვს ჩინეთის პორტების გამოყენება, რათა(4) ჩინეთი დაუკავშიროს ევროპას სამხრეთ-ჩინეთის ზღვის და ინდოეთის ოკეანის გავლით; და (5) ჩინეთი დაუკავშიროს წყნარი ოკეანის სახმრეთ ნაწილს.*

პროექტი უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, პირველ რიგში ჩვენი ქვეყანა ყურადღებას იქცევს სატრანზიტო ფუნქციით, ხორციელდება და იგეგმება მასშტაბური პროექტების განხორციელება მომავალშიც, ერთ– ერთი მათ შორის ანაკლიის ღრმა წყლოვანი პორტის განვითარებაა, „თბილისის აბრეშუმის გზის" ფორუმის ფარგლებში ანაკლიის პორტის განვითარებაზე, ბევრმა ქვეყანამ მემორანდუმები გააფორმეს. ბაქოს საერთაშორისო სავაჭრო საზღვაო პორტსა და ყაზახეთის პორტ კურიკის წარომამდგენლებთან ანაკლიის პორტმა მემორანდუმი გააფორმა. შეთანხმებები პორტებს შორის ხელს შეუწყობს ტრანს-კასპიური დერეფნის განვითარებას და ანაკლიის პორტის მშენებლობის დასრულებისთანავე ტვირთის გადაზიდვის კონკურენტუნარიან პირობებს შექმნის. „თბილისის აბრეშუმის გზის"ფორუმის ფარგლებში "ანაკლია სითის" აღმასრულებელმა დირექტორმა ქალაქ ანაკლიისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის პროექტი წარადგინა. დისკუსიაში, რომელიც საქართველოს საინ-

* http://www.bjreview.com.cn/Cover_ Stories_ Series_ 2015/the_ maritime_ silk_ road.html

** https://larouchepac.com/20160921/china-engages-un-institutions-belt-and-road-while-obama-tries-provoke-war-russia

* http://accent.com.ge/ge/news/details/33654

ვესტიციო შესაძლებლობებს ეხებოდა, ქალაქ ანაკლიასა და ეკონომიკურ ზონაზე, როგორც სტრატეგიული რეგიონული კვანძის პოტენციალზე, გამახვილდა ყურადღება „ქალაქი ანაკლია და სპეციალური ეკონომიკური ზონა", ისევე როგორც ღრმაწყლოვანი პორტი, საქართველოს სავაჭრო და სატრანსპორტო შესაძლებლობებით, აბრეშუმის გზის ინიციატივის მნიშვნელოვანი ნაწილია.ანაკლიის პროექტი მდებარეობს უმოკლეს მარშრუტზე ევროპასა და აზიას შორის და მას აქვს შესაძლებლობა გახდეს საჭარო, სატრანსპორტო და ბიზნეს კვანძი რეგიონში აბრეშუმის გზის და სხვა საერთაშორისო კორიდორებისთვის.სტრატეგიული ლოკაციითა და მზარდი შესაძლებლობებით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა გახდეს მნიშვნელოვანი საინვესტიციო წერტილი არა ერთი მულტი ნაციონალური კომპანისთვის მომავალ წლებში" **

ყველა თანხმდება, რომ საქართველოსთვის „აბრეშუმის გზის" პროექტის რეალიზება ჩვენს სატრანზიტო ფუნქციას ყველა ქვეყნის თვალში აამაღლებს, მაგრამ რჩება პრობლემა რომელიც შეიძლება წარმოქმნას რუსეთის მიერ ალტერნატიულმა შეთავაზებამ ჩინეთისადმი, თუ საქართველოზე გამავალი ტრასა მოიცავს 13 ქვეყანას, (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, თურქეთი, თურქმენეთი, მოლდოვა, რუმინეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, ჩინეთი) რუსეთზე გამავალი ტრასა მოიცავს მხოლოდ 4 ქვეყანას, (ჩინეთი, ყაზახეთი, რუსეთი და ბელორუსია) რის შემდეგაც ტვირთები პირდაპირ ევროპაში მოხვდება. საქართველოს ერთადერთი გეოპოლიტიკური ფუნქცია არის ზუსტად ის, რომ იყოს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვანძი და გლობალიზაციის პროცესში მოვახდინოთ საკუთარი ფუნქციის რეალიზება. ასეთი ტიპის ფორუმები და ამ მიმართულებით სერიოზული ფიქრი რა თქმა უნდა, სტრატეგიულად სწორია. მაგრამ, მთავარია გვესმოდეს ის სირთულეები, რაც ამ გზაზე გვაქვს და უნდა ვფიქრობდეთ კონკრეტულად, როგორ გადავლახოთ ეს სირთულეები. „აბრეშუმის გზის" დერეფნის განვითარება არ არის დამოკიდებული მხოლოდ საქართველოზე. იმისათვის, რომ ჩვენი ტრანზიტული ფუნქციის რეალიზება მოვახდინოთ, კონკურენცია უნდა გაეუწიოთ ძალიან ძლიერ კონკურენტს – ჩინეთი და რუსეთის გავლით ევროპასთან_დამაკავშირებელ გზას. ეს კონკურენტი ძლიერია არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ იმით, რომ ამ მეორე გზაზე ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება გაცილებით ნაკლები იქნება იმაზე, რაც შეიძლება ჩვენ გზაზე გავლა დაჯდეს. რუსეთის გზა პრაქტიკულად ერთკომპონენტიანი, ანუ ერთტრანსფიანი გადაზიდვაა, მაშინ როცა „აბრეშუმის გზის" დერეფანში ტვირთმა მრავალი ქვეყანა უნდა გამოიაროს, რომლებსაც სხვადასხვა ტარიფები აქვთ. გარდა ამისა, უნდა გამოიაროს კასპიის ზღვა.

ამ საქმეში ჩვენ გვაქვს ორი მთავარი პრობლემა – პირველი პრობლემა ტექნიკური, ანუ ინფრასტრუქტურული ხასიათის გახლავთ. ჩვენ რაც არ უნდა განვავითაროთ ჩვენი სატრანზიტო ინფრასტრუქტურა, გავზარდოთ ტვირთების გამტარუნარიანობა, ჩრდილოეთის გზას იგი კონკურენციას ვერ გაუწევს, ასე იქნება თუ იგივე არ_გაკეთდა აზერბაიჯანში, სიმძლავრეები არ გაიზარდა კასპიის ზღვაში, არ დაემატა გემები ე.წ. საბორნე გადამზიდავები და იგივე არ გაკეთდა შუა აზიის ქვეყნებში. ეს უნდა იყოს ძალიან ბევრი ქვეყნის ერთიანი პოლიტიკა. გარდა ამისა, არის სატარიფო პოლიტიკის პრობლემა. ამ თვალსაზრისით ჩვენზე გამავალი გზა ტარიფების კუთხით ჩრდილოეთის გზასთან მიმართებაში არაკონკურენტულია. ასეა იმიტომ, რომ ამ ეტაპზე ჩვენზე გამავალ გზაზე მუშაობას კოორდინაცია აკლია. შესაბამისად ჩვენ თუ რეალურად გვინდა განვავითაროთ „აბრეშუმის გზის" სატრანზიტო სისტემა, ამისათვის ყოველდღიურ რეჟიმში უნდა გვქონდეს კოორდინაცია აზერბაიჯანისა და აზიის ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან იმისათვის, რომ „აბრეშუმის გზის" მთელ მონაკვეთზე ერთიანი სატარიფო პოლიტიკა იქნას მიღწეული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კავკასიისადმი მზარდი ინტერესი მხოლოდ ეკონომიკური პოტენციალით არ არის განპირობებული, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა საერთაშორისო ვაჭრობაში სატრანსპორტო კვანძის ფუნქციას ანიჭებს ამ რეგიონს.კავკასიისა და ცენტრალური აზიის განვითარების პროექტებიდან თავისი უნივერსალურობით გამოირჩევა **„ტრასეკა"**, ის არის შემადგენელი ნაწილი იმ დიდი პროექტისა, რომელიც **„აბრეშუმის გზის"** აღდგენის პროექტითაა ცნობილი. საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალის ათვისებისათვის და სატრანსპორტო დერეფნის, „ევროპა-კავკასია-აზია" განვითარების ფარგლებში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპა – კავკასია– აზიის დამაკავშირებელ, **მერიდიანული სატრანსპორტო დერეფნის ბაქო – თბილისი – ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის** პროექტის ამოქმედებას. ბაქო – თბილისი – ყარსის პროექტი არის ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც გააერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა დ ათურქეთის სარკინიგზო ხა-

** http://accent.com.ge/ge/news/details/33654

*http://www.censoo.com/2016/06/chinas-new-silk-road-europe-money/

ზებს. პროექტის განხორციელების შედეგად, თურქეთის გავლით, გაიხსნება სარკინიგზო დერეფანი კასპიისზღვიდან ევროპისკენ, ამ ხაზით მოხდება როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გადაყვანები და ის მოიაზრება როგორც ალტერნატიული სატვირთო ტრანსპორტირების გზა ირანიდან მომავალი არსებული სატრანზიტო გზების ნაცვლად.

მენეჯმენტის აზრით, თურქეთსა და ცენტრალურ აზიას შორის გაზრდილი ვაჭრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან შესაძლებლობას სავაჭრო ნაკადის მოსაპოვებლად, კერძოდ, ცენტრალური აზიიდან თურქეთში იმპორტირებული ნედლეულისა და თურქეთიდან ექსპორტირებული პროდუქციის. თურქულ-რუსული ვაჭრობის გათვალისწინებით, არსებობს დამატებითი მოცულობის მოპოვების შესაძლებლობა, კერძოდ, მშრალი ტვირთის, რომლის გადაზიდვაც ამჟამად ირანის, ან შავი ზღვის გზით ხდება.* ექსპლუატაციაში შესული სარკინიგზო მარშრუტი ევროპასა და ჩინეთს შორის დღეს არსებულ სხვა სატრანზიტო გზებთან შედარებით უმოკლესი იქნება. პროექტს გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე პოლიტიკურ-სტრატეგიული. ეს არის უნიკალური პროექტი, რადგან იგი დადებითად იმოქმედებს არა მხოლოდ აღნიშნული სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაზე, არამედ რკინიგზის მიმდებარედ მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე. შუა აზიიდან, კერძოდ, ტაშკენტიდან მანძილი საქართველოს საზღვაო პორტებამდე 2000 კმ– ია, მაშინ როდესაც სხვა უახლოეს საზღვაო პორტამდე აბასამდე – 3900 კმ, ოდესამდე – 4230 კმ და ა.შ. ასეთი კორიდორით შეიქმნება ერთიანი, გრანდიოზული სატრანსპორტო არეალი, რომელიც აღმოსავლეთიდან, ჩინეთის საზღვაო პორტებიდან გავრცელდება ჩრდილოეთ ევროპის საზღვაო პორტებამდე (ამსტერდამი, როტერდამი), სარკინიგზო მაგისტრალის მეშვეობით წყნარი ოკეანის სანაპიროდან ევროპამდე სარკინიგზო გადაზიდვების მანძილი 4000 კმ– ით შემცირდა. აღნიშნული მარშრუტი 8000 კმ– ით უფრო მცირეა, ვიდრე საზღვაო ტრასა სუეცის არხის გავლით და 15000 კმ– ით ნაკლები, ვიდრე კეთილი იმედის კონცხის შემოვლით. სპეციალისტების გათვლით, მისი ამოქმედება მნიშვნელოვანი მოგების წყარო იქნება 30 ქვეყნისათვის. მაგალითად, ახალი მარშრუტით ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით 15 მლნ. ტონა ტვირთის ტრანსპორტირება ყოველწლიურად დაახლოებით 3 მილიარდი დოლარის ეკონომიას უზრუნველყოფს.

**ამრიგად, ტრასეკას მერიდიანული სატრანსპორტო გზების** და ახალი აბრეშუმის გზა აზიისა და ევროპის მრავალი ქვეყნის დიდ ინტერესს იწვევს. იგი ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ინტეგრირებას ევროპულ სტრუქტურებში, მათი ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების მჭიდროდ დაკავშირებას დასავლეთის არეალთან, ევროპისა და მსოფლიო ბაზრის სტრუქტურებთან. პრაქტიკულად დასტურდება, რომ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი მრავალდარგოვანი და მრავალფუნქციური სატრანსპორტო კომუნიკაციაა, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალური აზიის, კასპიის ზღვის აუზის, ყაზახეთის, ამიერკავკასიის, აგრეთვე რუსეთის მდიდარ ბუნებრივი რესურსების ათვისებას, მათ მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.

საქართველოს სანტრანზიტო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **ფოთისა და ბათუმის** ნავსადგურებს. ფოთის ნავსადგურის მოდერნიზაციის პროცესში აქტიურადაა ჩართული **ევროკავშირი,** დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარკინიგზო-საბორნე კომპლექსს, რომელიც ფოთის ნავსადგურს აკავშირებს უკრაინისა და ბულგარეთის ნავსადგურებთან და უზრუნველყოფს დიდი მოცულობით ტვირთბრუნვას. **ბათუმის ნავსადგური** ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი გეოსტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობებით. **ბათუმის** ნავსადგური უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთისა და თურქეთის ქვეყნებს, საავტომობილო და სარკინიგზო გზებით. აგრეთვე ნავსადგური საზღვაო გზებით უკავშირდება მსოფლიოს ყველა საზღვაო ქვეყანას. იგი გამოიყენება როგორც მთავარი სანტრანზიტო ნავსადგური ყაზახეთსა და აზერბაიჯანის ნავთობის გადასამუშავებლად. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალში მნიშვნელოვანი ფუნქცია **საჰაერო სივრცესაც** აკისრია, რომელიც ყოველწლიურად მოდერნიზირდება გაეროს განვითარების პროგრამის საფუძველზე.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სატრანზიტო და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის გაძლიერებას. იგი ჩართულია საერთაშორისო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში. ამ ფუნქციის გაძლიერების ერთ– ერთი ძირითადი მიმართულებაა ტრანსკავკასიური სტრატეგიული ენერგეტიკული დერეფანი.

XIX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა მზარდი დაინტერესება კასპიის აუზის ენერგომატარებლით. ჯერ კიდევ 1904 წელს ძმებმა ნობელმა და მათმა კომპანიამ ააშენა ბაქო-ბათუმის მილსადენი. ეს იყო პირველი მილსადენი მთელს რუსეთის იმპერია-

* .http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_ id=289&lang=geo

ში, რომელიც გამოიყენებოდა აზერბაიჯანის წარმოებული ნავთის, შემდგომში ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებისათვის, რომლის გადამუშავება ხდებოდა ბათუმის ნავთობ-გადამამუშავებელ ქარხანაში და რომელიც ყველაზე მასშტაბურად იყო მიჩნეული იმდროინდელ მსოფლიოში.

1995 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის სექტორში აზერის, გიუნეშლის და ჩირაგის საბადოებზე მოპოვებული ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებაზე – რამაც საფუძველი ჩაუყარა ბაქო – სუფსის ნავთობსადენის და სუფსის სახმელეთო ნავთობის ტერმინალის მშენებლობას. 1999 წელს სუფსაში ბაქო-სუფსის ნავთობსადენით ტრანსპორტირებული აზერბაიჯანული ნავთობით პირველი ტანკერი დაიტვირთა. ამით საფუძველი ჩაეყარა ბაქო სუფსის ნავთობსადენით კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზრებამდე. ტრასეკას ამოქმედებით ტერიტორუნეა 2005 წლისათვის თითქმის 6-ჯერ გაიზარდა.


საქართველოს ტერიტორია, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყოველთვის მონანილეობდა იმ სავაჭრო-სატრანსპორტო ტვირთების გადაზიდვებში, რომლებიც ცენტრალური და წინა აზიის ქვეყნებიდან მოემართებოდა ევროპისაკენ. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ნავთობის გადაზიდვა მილსადენით, ნავთობის სარკინიგზო გადაზიდვები, სუფსის ტერმინალის, ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის ნავთობსადენისა და აზერბაიჯან – საქართველო – თურქეთის გაზსადენის ამოქმედება, ტრანსკავკასიური გადაზიდვების პროექტების განხორციელება. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ტრასეკა უფრო რენტაბელური და კონკურენტუნარიანი იქნება, ვიდრე სხვა ალტერნატიული გზები. ტრასეკას ფუნქციონირება მოხდება საკმაოდ მწვავე კონკურენტულ გარემოში ევრაზიის სხვა ალტერნატიულ სატრანსპორტო მაგისტრალებთან, მათ შორის ჩრდილოეთის (რუსეთი) და სამხრეთის (თურქეთ-ირანი) მარშრუტებთან. ამიტომ აუცილებელია ისეთი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური და საფინანსო-ეკონომიკური პირობების შექმნა, რაც მას უფრო იაფს, მიმზიდველსა და მოსახერხებელს გახდის სხვა მარშუტებთან შედარებით.

„ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის სისტემის" პროექტით საქართველოს, თურქეთისა და შემდგომში ევროპის ბაზარზე ტრანსპორტირებული იქნება აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორში მდებარე „შაჰ-დენიზისა" და კასპიის ზღვის აუზის სხვა საბადოებიდან მოპოვებული ბუნებრივი გაზი. „შაჰ-დენიზის" საბადოს ავითარებს საერთაშორისო კონსორციუმი ბრიტანული კომპანია ბპ-ის ხელმძღვანელობით.


2009 წლის 8 მაისს ევროკავშირის პრაღის სამიტზე, მიიღეს ისტორიული დოკუმენტი „სამხრეთის დერეფანი – ახალი აბრეშუმის გზა", რომელშიც კასპიისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ერთად, საქართველოც მოიაზრება. ამ დოკუმენტით განისაზღვრა ოთხი სტრატეგიული პროექტი: „ნაბუქო", „ინტერკონექტორი თურქეთი–საბერძნეთი–იტალია" (ITGI), „ტრანსადრიატიული გაზსადენი" (TAP) და "თეთრი ნაკადი" (White Stream). „გაზის სამხრეთის დერეფანს"-დასავლეთი უნდა „ერთ მუშტად შეეკრა" და ის რუსულ ენერგომატარებლებზე საბედისწერო დამოკიდებულებისაგან ეხსნა, მაგრამ სწორედ „გაზის სამხრეთის დერეფნის" "თეთრი ნაკადის" პროექტი დაზარალდა ყველაზე მეტად ყირიმის ანექსიის შედეგად, რომელიც საქართველო– უკრაინა (ყირიმი)– რუმინეთის მარშრუტს გულისხმობს და სხვა პროექტებთან შედარებით მომგებიანია ევროკავშირისთვის. „სამხრეთის დერეფნის" ოთხი სტრატეგიული პროექტიდან დარჩენილი სამიეე პროექტი გულისხმობს „შაჰდენიზის" გაზის საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენით" (SCP) და თურქეთის ტერიტორიაზე დაპროექტებული „ტრანსანატოლიური გაზსადენით", TANAP–ით ევროპაში ტრანზიტს*

* http://for.ge/view.php?for_ id=32116&cat=2

სურათზე ნაჩვენებია ნაბუკოს პროექტი, ერთ-ერთი იმ მნიშვნელოვანი პროექტებიდან რამაც ევროპის დამოკიდებულება რუსეთზე უნდა შეამციროს




ქვემოთ სურათზე ნაჩვენებია სამხრეთის დერეფნის სტრატეგიული პროექტის მიმართულებები ევროპაში




აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გამართულ „გაზის სამხრეთის დერეფნის" საკონსულტაციო საბჭოს მინისტერიალზე ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას, რომლის მიზანია **ევროპული** ბაზრის ბუნებრივი აირით უსაფრთხო, საიმედო და თანმიმდევრული უზრუნველყოფა. დოკუმენტს ხელი 12 ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრმა მოაწერა. დეკლარაციაში ასევე აღნიშნულია ეროვნულ და ტრანსნაციონალურ დამფინანსებელთა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების პროექტში ჩართვის შესაძლებლობაც. გაზსადენის მარშრუტი, საბერძნეთის ევროსის პროვინციიდან, იტალიის აპულიას პროვინციამდე იქნება გადაჭიმული, სადაც **TAP-ის** გაზსადენი, იტალიის გაზგამანაწილებელ ქსელს – Snam Rete Gas-ს შეუერთდება.

**TAP-ი** (საბერძნეთი-ბულგარეთი-ალბანეთი-იტალია), სამხრეთ კავკასიურ (აზერბაიჯანი -საქართველო – თურქეთი **SCP**) და ტრანს-ანატოლიურ (**TANAŞ** თურქეთი) გაზსადენებთან ერთად, „სამხრეთის დერეფნის ბუნებრივი აირის" უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. TANAP-ის გამტარუნარიანობა თავიდან, წელიწადში 16 მლდ კბ/მ იქნება, აქედან 6 მლდ კბ/მ გაზი **ევროპის** ბაზრებისთვისაა განკუთვნილი. პროექტის დასრულება 2018 წლის ზაფხულშია ნავარაუდევი. სანამ, TANAP-დან TAP-მდე მივა, აზერბაიჯანულმა გაზმა, სანგაჩალის საბადოდან, SCP-ი ანუ სამხრეთ კავკასიური გაზსადენი უნდა გაიაროს. მეორე წელია, როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში, აქტიურად მიმდინარეობს SCP-ის გაზსადენის გაფართოების სამუშაოები, პროექტის ღირებულება 2 მილიარდი აშშ დოლარია, რომლის დასრულების შემდეგ, სამხრეთ კავკასიური გაზსადენი დამატებით, 16 მლდ კბ/მ აირის გატარებას შეძლებს. ეს სამუშაოები 2018 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.* აზერბაიჯანმა, ევროკავშირმა და საერთაშორისო კონსორციუმმა მწვანე შუქი აუნთეს შაჰ-დენიზის საბადოს ათვისების მეორე ფაზას. **შაჰ-დენიზის მეორე ფაზიდან საქართველოში მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში იგეგმება 700 000 000 დოლარის ინვესტიცია.** „შაჰ-დენიზის" ათვისების მეორე ფაზა მნიშვნელოვანია, უპირველესად გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით.

„შაჰ-დენიზი 2" -ის მეგაპროექტით საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე აზერბაიჯანი, პირველად **ევროპის** გაზის ბაზარზე, დამოუკიდებელი მოთამაშე ხდება. სამხრეთ კავკასიურ მილსადენს (აზერბაიჯანი საქართველო თურქეთი SCP), 2018 წლამდე დაემატება ტრანს-ანატოლიისა (TANAP თურქეთი) და ტრანს-ადრიატიკული (TAP საბერძნეთი-ბულგარეთი-ალბანეთი-იტალია) მილსადენები, რომელთა მეშვეობით, აზერბაიჯანული გაზი პირდაპირ **ევროპის** ბაზარზე მოხვდება. შაჰ-დენიზი 1-ის გაზი სამხრეთ კავკასიის მილსადენით ბაქო-თბილისი-ერზერუმი გადაიქარება, რომელიც იმავე დერეფანში აშენდა, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი გადის.[6]

**სურათზე ნაჩვენებია შაჰ– დნიზის პროექტი**





* https://www.amerikiskhma.com/a/southern-gas-corridor-tap-tanap-scp-georgia/3335297.html

აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის პროექტი საქართველოს ანიჭებს უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო ფუნქციას, იგი ხელს უწყობს საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და მის უსაფრთხოებას. უზრუნველყოფს ევროპის, შავი და კასპის ზღვის აუზის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს.

## 15.4 საქართველოსა და ევროპის (ევროკავშირის) ქვეყნების მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები

ნათელია რომ ეკონომიკის განვითარებაზე საქართველოსა და ევროკავშირის ინტეგრაციული პროცესების ზეგავლენის კვლევა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. ევროპასთან ინტეგრაციის კუთხით საინტერესოა მოკლედ განვიხილოთ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების ქრონოლოგია. საქართველო – ევროკავშირის ურთიერთობები 1991 – 1992 წლებში დაიწყო. 2004 წელს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში. 2006 წელს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებული ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გულისხმობდა ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას, წარმატებით დასრულდა. ასევე წარმატებით დასრულდა საქართველო – ევროკავშირის ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის პროექტის პარაფირება, დღეს კი დღის წესრიგში დგას ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საკითხი, რომელიც წარმატებით დასრულდა.




ცხრილი 15.4.1. **საქართველოსა და ევროპის (ევროკავშირის) ქვეყნების მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები***

| | საქართველო | შვეიცარია | ავსტრია | დანია | ხორვატია |
|---|---|---|---|---|---|
| ფართობი | 69,7 კვ.კმ | 41,3 კვ.კმ | 83,879 კვ.კმ | 43,09 კვ.კმ | 56,594 |
| მოსახლეობა | 4.3 მლნ | 7,4 მლნ | 8,6 მლნ | 5,59 მლნ | 4,281 |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა | 16,53 მლრდ აშშ დოლარი | 712,05 მლრდ აშშ დოლარი | 402,42 მლრდ აშშ დოლარი | 335,9 მლრდ აშშ დოლარი | 60, 00 მლრდ აშშ დოლარი |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 3.68 ათასი აშშ დოლარი | 96.3 ათასი აშშ დოლარი | 47,03 აშშ დოლარი | 44,5 აშშ დოლარი | 13,995 აშშ დოლარი |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა | 16,4 მლრდ აშშ დოლარი | 759,25 მლრდ აშშ დოლარი | 428 32 მლრდ აშშ დოლარი | 473,6 მლრდ დანიური კრონი | 80,6 მლრდ აშშ დოლარი |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ | 3.66 ათასი აშშ დო- | 102,6 ათასი აშშ დო- | 49,8 ათასიაშშ დოლარი | 84,7 დანიური კრონი | 18,3 ათასი აშშ დო- |

* წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; http.www.geostat.ge

| სულ მოსახლეზე | ლარი | ლარი | | | ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (ბიუჯეტის მოცულობა) | 8,049 მლრდ ლარი | 66,353 მლრდ შვეიც. ფრანკი | – | 52,9 მლნ აშშ დოლარი | 22,3 მლრდ აშშ დოლარი |
| მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა | 763 მლრდ ლარი | 335814 მლრდ შვეიც. ფრანკი | – | – | – |
| მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე | 1775,1 ლარი | 45380,3 შვეიც. ფრანკი | – | – | – |
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა | 3579 მლრდ ლარი | 11336 მლრდშვეიც. ფრანკი | – | 9938 მლრდ ევრო | 4,2 მლრდ აშშ დოლარი |
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე | 832 ლარი | 15319 შვეიც. ფრანკი | – | 17831 ევრო | 981 აშშ დოლარი |
| სასოფლო სამეურნეო საქარგულების მოცულ. მლნ ჰა | 2,85 მლნ ჰა | 1,65 მლნ ჰა | – | 2,7 მლნ ჰა | 1,97 მლნ ჰა |
| სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა | 330 ათასი კაცი | 160 ათასი კაცი | – | 175 ათასი კაცი | 513 680 ათასი კაცი |

### 15.4.1. საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: ესტონეთის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები და საქართველო

**„საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის"** პროცესის ფარგლებში ვიხილავთ საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებით ანალიზს. ამ შემთხვევაში განხილულია ახლო წარსულში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების – ესტონეთისა და საქართველოს ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები. რადგან საბჭოთა მემკვიდრეობამ თავისი კვალი დატოვა ორივე ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ განვითარებაში, ამდენად სიანტერესოა დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რა ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგი მოუტანა, ერთის მხრივ ესტონეთს, როგორც ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყანას და მეორეს მხრივ საქართველოს, რომლის საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური კურსი ძირითადად მიმართულია ევროკავშირში ინტეგრაციასა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაზე.

**გავნიხილოთ ამ ორი ქვეყნის ზოგადი დახასიათება. ესტონეთი** საპარლამენტო მოწყობის სახელმწიფოა. იგი მდებარეობს ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე. 1988 წელს ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ – ესტონეთმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლითაც განისაზღვრა ქვეყნის სუვერენიტეტი. სრული დამოუკიდებლობა ქვეყანამ მიიღო 1991 წელს, თუმცა უკანასკნელმა რუსმა ჯარმა ესტონეთი 1994 წელს დატოვა, რის შემდგომ მკაფიოდ გამოიკვეთა დასავლური კურსი და ამან დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2000 წლისათვის 6,4 % – ით გაიზარდა და ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ.* 2000 წელს ესტონეთის დამოუკიდებლობა გაეროს მიერ იქნა აღიარებული. 2002 წლის ბოლოს ესტონეთის უახლოეს ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – ქვეყანამ მიიღო ოფიციალური მინვევა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე. 2004 წლის აპრილში კი ამ ორგანიზაციათა სრულუფლებიანი წევრი გახდა, ხოლო 2011 წლიდან ირიცხება ევროზონაში. საბჭოთა მემკვიდრეობა თავის კვალს დღესაც ამჩნევს ქვეყნის ცხოვრებას – რუსულენოვანი მოსახლეობა პრაქტიკულად მოქალაქეობას ვერ ღებულობენ, რადგან მოსახლეობის ერთი ნაწილი ვერ აბარებს გამოცდას სახელმწიფო (ესტონური) ენის ცოდნაზე, ხოლო მეორე ნაწილი ვერ ხედავს სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობას.

ესტონეთის მოსაზღვრე ქვეყნებია: რუსეთი და ლატვია, დედაქალაქი – ტალინი, სახელმწიფო ენა – ესტონური, ეროვნული ვალუტა – ევრო, ტერიტორიის ფართობი – 45226 კვ. კმ., აქედან 2840 კვ.კმ. წყალს უკავია. ესტონეთის მოსახლეობა – 1 320 174 კაცი, მათ შორის სამუშაო ძალა – 669,800 კაცი. აქედან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 3,9%, მრეწველობაში – 28,4%, მომსახუ-

* https://enWikipedia. org/wiki Economy_ of_ estonia

რეობის სფეროში – 67,7%, უმუშევრობის დონე – 7%-ს შეადგენს. მსპ-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 14 754 ეიროს. მსპ – ის შემადგენლობა დარგების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: სოფლის მეურნეობაში – 3,6%, მრეწველობაში – 29,2%, ხოლო მომსახურების სფეროში – 67,2%. ესტონეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილია მრავალი სახის წიაღისეულის საბადო. მათ შორის ცნობილია მანგანუმის, ნავთობის, ტორფის, ფოსფორიტის, თიხის, კირქვის, სილა – დოლომიტის საბადოები. ესტონეთის ბუნებრივი რესურსებია სასოფლო – სამეურნეო მინები, ზღვის ტალახი და სხვა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია – მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული და რძის პროდუქტები.*

2014 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპმა – 2%-ს მიაღწია, რაც აისახა კიდეც ქვეყნის ექსპორტზე. ამ წელს ქვეყნის ექსპორტმა 15,82 მილიარდი ეურო შეადგინა, მათ შორის მანქანები და ელექტრო ტექნიკა – 29%, საკვები პროდუქტები და სასმელები – 16%, მინერალური საწვავი – 11%, ხის პროდუქცია – 9%;, ლითონები – 7%, ავეჯი – 7%, მანქანები და მათი ნაწილები – 5%, ქსოვილები – 4%, ქიმიკატები – 5%. ექსპორტირებული პროდუქციის განაწილება პარტნიორ ქვეყნებთან პროცენტულად შემდეგნაირად გამოიყურება: შვედეთი -18,5%, ფინეთი – 15,8%, გატვია – 11,1%, რუსეთი – 10%, ლიტვა – 5,5%, ჩგერმანია – 5%. იმპორტმა 2014 წლის მონაცემებით 17,05 მილიარდი ეურო შეადგინა. საიმპორტო საქონელი პროცენტულად შემდეგნაირად გამოიყურება: მანქანები და ელექტრო ტექნიკის -28%, მინერალური საწვავის – 13%, საკვები პროდუქტები – 10%, ქიმიური პროდუქცია – 8%, ლითონები – 8%, პლასტმასის ნაწარმი – 5%. იმპორტიორი ქვეყნების პროცენტული წილი შემდეგნაირად გამოიყურება: ფინეთის – 15,5%, ჩერმანია – 11,9%, შვედეთი – 9,1%, ლატვია – 8,6% ლიტვა – 8%, პოლონეთი – 7,8%, ნიდერლანდები – 5,6%, რუსეთი – 4,7%, ჩინეთი – 4,5%.**

**საქართველო – სახელმწიფო** კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ესაზღვრება ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ – აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი. ქვეყანა სამხრეთ -აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, თუმცა სოციოპოლიტიკურად და კულტურულად ევროპის ნაწილია. ქვეყნის ტერიტორია ძირითადად მთებს უკავია, ბუნება მრავალფეროვანია.

დედაქალაქს ქვეყნის ტერიტორიის ერთი პროცენტიც არ უკავია, თუმცა, მოსახლეობის რაოდენობითა და სიმჭიდროვით უდაო ლიდერია. ტერიტორიის მხრივ ყველაზე დიდია კახეთის რეგიონი (11,375 კმ2 ), ხოლო ყველაზე მცირე – გურიის რეგიონი (2,033.2 კმ2 ), ამრიგად, ყველაზე დიდი რეგიონის ტერიტორია ყველაზე მცირე რეგიონის ტერიტორიას 5.6-ჯერ აღემატება. აღსანიშნავია მოსახლეობის რაოდენობის მხრივ რეგიონებს შორის არსებული განსხვავებაც: მოსახლეობის რიცხოვნობა ყველაზე დასახლებულ რეგიონში (იმერეთი – 507,038 ადამიანი) 17-ჯერ აღემატება მოსახლეობის რაოდენობას ყველაზე ნაკლებად დასახლებულ რეგიონში (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 30,246 ადამიანი); ყველაზე დასახლებულ ქალაქში მოსახლეობის რაოდენობა (ქ. თბილისი -1,158.677 ათასი ადამიანი) 7-ჯერ მეტია რიგით მეორე ყველაზე დასახლებულ ქალაქში მოსახლეობის რაოდენობაზე (ქ. ბათუმი – 155.6 ათასი ადამიანი). მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში არის 65.2 კაცი/კმ2 -ზე. დედაქალაქში მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი (2,210.6 კაცი/კმ2 -ზე) ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს 34- ჯერ აღემატება, ხოლო სიმჭიდროვის მიხედვით რიგით მეორე რეგიონს (აჭარის ა/რ) 19-ჯერ. სიმჭიდროვის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია: იმერეთი – 83 კაცი/კმ2 -ზე, შიდა ქართლი – 76.9 კაცი/კმ2 -ზე, გურია – 55.4 კაცი/კმ2 -ზე, სამცხე-ჯავახეთი – 25 კაცი/კმ2 -ზე, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 6.7 კაცი/კმ2 -ზე. ქ. თბილისისა და აჭარის ა/რ-ის გარდა რეგიონებში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლებში ცხოვრობს, საქართველოში თითქმის ვერ ვხვდებით საშუალო ზომის ქალაქის ტიპის დასახლებებს. 2018 წლის მონაცემებით სოფლად მოსახლეობის 42% ცხოვრობს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა ყველა რეგიონში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილი მოსახლეობის ნახევარს აღემატება. მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები განსაკუთრებით გამოირჩევიან მოსახლეობის სასოფლო ტიპის დასახლებებში კონცენტრაციით. აღნიშნულ რეგიონებში მოსახლეობის 77% სოფლად ცხოვრობს.

ეკონომიკის მთავარი დარგებია სოფლის მეურნეობა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ენერგეტიკა. დიდი ყურადღება ეთმობა საკურორტო-ტურისტული კომპლექსის აღდგენას, რომელიც ადრე ყოველწლიურად 2 მლნ-ზე მეტ ადამიანს ემსახურებოდა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია (ყურძენი, ციტრუსები ჩაი, ხილი); მთავარი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი, ევროკავშირი, უკრაინა და აზერბაიჯანი. საქართველოს სახელმწიფო სისტემა: დემოკრატიული რესპუბლიკა; სახელმწიფოს მეთაური –

---

* https://www. cia.gov/library/publications/the-world-factbook/ge os/en.html

** https://enWikipedia. org/wiki Economy_ of_ estonia

პრეზიდენტი; მთავრობის მეთაური – პრემიერ – მინისტრი; საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი; ადმინისტრაციული დაყოფა – 12 მხარე; ტერიტორია – 69,7 ათასი კვ. კმ. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით; მოსახლეობა – 4.3 მლნ. კაცი 2014 წლის მონაცემებით; სახელმწიფო ენა – ქართული, აფხაზური; დედაქალაქი – თბილისი 1,1 მლნ-ი მოსახლეობით; ეროვნული ვალუტა – ლარი;* რესურსები: – ტყეები, ჰიდროენერგია, მანგანუმი, რკინის მადანი, ნავთობის და ბუნებრივი აირის მცირე მარაგი; მთისა და ზღვის კლიმატური კურორტები.

საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებული სიუხვე, მრავალფეროვნება და კონტრასტები ახასიათებს. ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილია მრავალი სახის წიაღისეული საბადო. ამჟამად ცნობილია 300-მდე მინერალურ – სანედლეულო საბადო, მოძიებულია 400 მლნ. ტონა ქვანახშირის საბადო. საქართველოში აგრეთვე არის ტყვია – თუთიის, ოქროს და სპილენძის სამრეწველო მარაგები. ქვეყანაში მიწისქვეშა და მიწისზედა წყლების დიდი მარაგებია.**

საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალის ათვისებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპა – კავკასია – აზიის დამაკავშირებელი ახალი სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებას. ტრანსკავკასიური სტრატეგიული ენერგეტიკული დერეფანი და ტრანსკავკასიური სატელეკომუნიკაციო ქსელი მიჩნეულია ევროპული სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. საქართველოს ტრანსპორტის სამომავლო განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, ქვეყნის ტრანსპორტის ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, მისი აღიარება ევროპული სატრანსპორტო სისტემის ნაწილად. პრაქტიკულად საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ევროპის სატრანსპორტო სისტემის ნაწილად ყალიბდება. თავის მხრივ ევროპული ქვეყნების სატრანსპორტო პოლიტიკა საქართველოს განიხილავს, როგორც თავისი ინტერესების ნაწილს და ცდილობს ჩვენი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობას იმ დონეზე, რომ დაჩქარდეს მისი ინტეგრირება ევროპულ სატრანსპორტო სისტემაში.*

მიუხედავად იმისა რომ, საქართველო აგრარული ტრადიციის ქვეყანაა და გამოირჩევა აგრარული სექტორის განვითარებისათვის აუცილებელი გეოგრაფიული, ბუნებრივ კლიმატური და შრომითი მონაცემებით, ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორი ბევრი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დადგა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ 2005 წლიდან რეალური წარმოება საქართველოში 20%-ით, ხოლო ნათესების ფართობი 43%-ით შემცირდა. საქართველოში 2012 წლის ჩათვლით სოფლის მეურნეობას ყველაზე მწირი დაფინანსება ქონდა ბიუჯეტიდან, არავითარი სუბსიდიები სახელმწიფოს მიერ არ გამოიყოფოდა. საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში გატარებული აგრარული პოლიტიკა სწორედ მათ განვითარებასა და ხელშეწყობაზე არის ორიენტირებული, შედეგად შეიმჩნევა წარმატებები მაგრამ, აგრარული სექტორის განვითარებისათვის გადაუჭრელი რჩება ისეთი საკითხები როგორიცაა:

- აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე;
- აგრარულ სექტორის არაოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურა;
- სასოფლო – სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვის დაბალი დონე;
- ადგილობრივი პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობა;
- სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა.

ცხრილი 15.4.1.1. **საქართველო – ესტონეთის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები* 2014 წ.**

| | საქართველო | ესტონეთი |
|---|---|---|
| ფართობი | 69.7 კვ.კმ | 45,2კვ.კმ |
| მოსახლეობა | 4.3 მლნ | 1 320 174 კაცი |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა | 16.53 მლრდ აშშ დოლარი | 19,5 მლრდ ევრო |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 3.68 ათასი აშშ დოლარი | 14.754 ევრო |

* წყარო:http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/garemo/ Kr.Garemos% 20dacva_2004.pdf

** წყარო: http://mof.ge/2328

* . ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა., რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა

* წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; httpwww.geostat.ge.

| | | |
|---|---|---|
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა | 16.44 მლრდ აშშ დოლარი | 23.950 მლრდ ევრო |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 3.66 ათასი აშშ დოლარი | 21,8 ათასი დოლარი |
| ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (ბიუჯეტის მოცულობა) | 8.049 მლრდ ლარი | 10.22 მლრდ დოლარი |
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა | 3579 მლრდ ლარი | 1.539 მლრდ ევრო |
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 832 ლარი | 1165 ევრო |
| სასოფლო -სამეურნეო სავარგულების მოცულობა | 2.85 მლნ ჰა | 2.1 მლნ ჰა |
| სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა | 330 ათასი კაცი | 26 ათასი კაცი |
| უმუშევრობის დონე | 7% | 7.8% |

**„საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის“** პროცესის ფარგლებში, ჩვენ გავეცანით საქართველოსა და ესტონეთის ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, განვიხილეთ ორივე ქვეყნის ბუნებრივი პირობები, რესურსული პოტენციალი, გეოპოლიტიკური გარემო და გავაანალიზეთ მათი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. დავინახეთ, რომ მიუხედავად იმისა, საქართველო როგორც მოსახლეობით ისე ფართობით უფრო დიდი ქვეყანაა და რესურსული პოტენციალითაც მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია, მაინც საქართველო ყველა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით საგრძნობლად ჩამორჩება ესტონეთის იგივე მაჩვენებლებს. ეს ფაქტორი თვალსაჩინოა მრეწველობის დარგში, მაგრამ განსაკუთრებით შესამჩნევია სოფლის მეურნეობის დარგში.

**ცხრილში – „საქართველოს და ესტონეთის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები“ –** ჩანს რომ, საქართველოში გამოშვებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 3579 მლრდი ლარია, ხოლო სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 832 ლარი. მაშინ როდესაც ესტონეთში, რომლის სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა (2,1 მლნ. ჰა.), ნაკლებიც კია, ვიდრე საქართველოს სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა (2,85 მლნ. ჰა.), ასევე საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 330 ათასი კაცი, რომელიც 12-ჯერ აღემატება, ესტონეთში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა (26 ათასი კაცი) რაოდენობას. ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 1539 მლრდი ევროა, ხოლო სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 1165 ევრო, რაც 3,5 – ჯერ აღემატება საქართველოს იგივე მონაცემებს. აღსანიშნავია ის, რომ ესტონეთი არის ქვეყანა, სადაც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მექანიზაცია და რომელიც გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით და შრომის მწარმოებლურობით. უნდა აღინიშნოს რომ, ესტონეთი და საერთოდ ბალტიისპირეთის ქვეყნები ეკონომიკური განვითარებით ყოველთვის გამოირჩეოდნენ საბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიც კი შეინარჩუნეს საბაზრო ეკონომიკის წარმოების კულტურა და კერძო საკუთრების ელემენტები, განსაკუთრებით მომსახურეობის სფეროში. საბოლოოდ ესტონეთის ეკონომიკის მომავალი განაპირობა დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციამ. ქვეყნის ეკონომიკამ, სრული დამოუკიდებლობისა და სტრუქტურულად ევროკავშირის ეკონომიკასთან ინტეგრირების შემდეგ მოკლე პერიოდში მიაღწია მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობას.

როგორც ანალიზიდან ჩანს, საქართველოს საკმაოდ დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის და საერთოდ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს წარმოებაში თანამედროვე მექანიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მიწის ეფექტიან გამოყენებას, კოოპერატივების შექმნას, სოფლად სანარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. არსებული ეკონომიკური პოტენციალის რეალიზება შესაძლებელი იქნება საქართველოს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების სრულად ამოქმედების შემდეგ.

**საქართველოსა და ესტონეთს** შორის თანამშრომლობა ეკონომიკის, თავდაცვის, კულტურის სფეროებში დინამიურად ვითარდება და მზარდი ტენდენცია გააჩნია. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ესტონეთთან 2015 წლის 11 თვის მონაცემებით 6 463. 3 აშშ დოლარის ტოლია, აქედან ექსპორტი 2 103. 5 აშშ დოლარის ტოლია, ხოლო იმპორტი 4 359. 8 აშშ დოლარი, სავაჭრო სალდო უარყოფითია და შეადგენს – 2 256. 4 აშშ დოლარს. ბოლო პერიოდში აღსანიშნავია, საქართველოსა

და ესტონეთს შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდის ტენდენციები, როგორც ეს შეინიშნება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის. ჯერ კიდევ ახლო წარსულში, საქართველოს ექსპორტი რუსეთის ფედერაციაში, მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში. დღეს ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. მიუხედავად იმისა რომ, 2015 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვა საგარეო ფაქტორებთან დაკავშირებით, საერთოდ შემცირდა, ასევე სავაჭრო ბრუნვა შემცირდა ქვეყნის ძირითად პარტნიორებთან, ევროკავშირთან მიმართებაში ეს მაჩვენებელი 2015 წლის 11 თვის მონაცემებით 6 % – ით გაიზარდა. ევროკავშირთან ინტეგრაციით ქვეყანას სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდის სერიოზული პერსპექტივა გააჩნია.

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას დიდ შესაძლებლობებს აძლევს. პირველ რიგში, განამტკიცებს ქვეყნის სტაბილურობას, გაზრდის მის სანდოობას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ასევე შიდა ინვესტიციური რესურსების ეფექტიან მიმოქცევას. და ბოლოს, ევროპასთან ინტეგრაცია ნიშნავს ეროვნული ეკონომიკისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ქვეყნის ისეთ ეკონომიკური გარემოს ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

**„საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის"** პროცესის ფარგლებში საქართველოსა და ესტონეთის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის განზოგადებით მივდივართ იმ დასკვნამდე რომ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დააჩქაროს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი, გამოიყენოს ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და განავითაროს ეკონომიკის ის სფეროები, სადაც ქვეყანას დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას.

### 15.4.2 საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: დანიისა და საქართველოს ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი

**საქართველო ევროპული ქვეყანაა** და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური კურსი ძირითადად მიმართულია ევროპული სივრცისაკენ. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის სტრუქტურებთან და ქვეყნის მთავარ საგარეო ვექტორად არჩეული აქვს ევროკავშირში ინტეგრაცია. ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა. ვინაიდან საქართველოს ევროპული ორიენტაცია შეუქცევადია და ევროპული მოდელის დამკვიდრება უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ორიენტირი, ამდენად, ჩვენ გადავწყვიტეთ ერთმანეთს შევადაროთ საქართველოსა და ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის, დანიის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ჩვენ გამოვედით იმ პოზიციიდან, რომ შესადარი ქვეყნები ტერიტორიის ფართობით და მოსახლეობით დაახლოებით თანაბარი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში განხილვა დავიწყოთ ამ ორი ქვეყნის (დანიის სამეფოს და საქართველოს) ზოგადი დახასიათებით, მათი განვითარების ეტაპების გაანალიზებით და ევროკავშირთან ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგიით.

**დანიის სამეფო** არის საპარლამენტო ტიპის კონსტიტუციური მონარქია, დედაქალაქი კოპენჰაგენი. დანია უნიტარული სახელმწიფოა, თუმცა, საკუთარი შიდა საკითხების მოგვარების უფლება ცენტრალური მთავრობის მიერ დელეგირებულია გრენლანდიისა და ფარელის კუნძულების მოსახლეობისადმი. სახელმწიფოს მეთაურია მონარქი, მთავრობის მეთაურია პრემიერმინისტრი, საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანი პარლამენტი.

დანიის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შესვლის შესახებ მოლაპარაკება 1961 წელს დაიწყო, რომელიც 1963 წელს შეწერებულ იქნა და განახლდა მხოლოდ 1969 წელს. დანია 1972 წელს მეორეჯერ ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, შეუერთდა მაასტრიხტის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, 1973 წლის პირველი იანვრიდან დანია ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდა და ესეც მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ევროსაბჭოს დანარჩენმა წევრმა ქვეყნებმა, დანია გაანთავისუფლეს მრავალი მოვალეობისაგან, როგორიცაა: ერთიანი ვალუტისა და ერთიანი მოქალაქეობის შემოღება და საერთო უსაფრთხოების სისტემაში მონაწილეობა. დანიას საკუთარი ვალუტა – დანიური კრონი გააჩნია, იგი ევროკავშირის სავალუტო საბჭოს რეკომენდაციებს მიყვება და დანიის ნაციონალური ბანკი მხარს უჭერს ჩფიქსირებულ გაცვლით კურსს დანიური კრონისა – ევროზე.

დანიის სამეფოს საგარეო პოლიტიკა გაეროს, ნატოს, ევროკავშირისა და ჩრდილოეთ ევროპული ქვეყნებთან თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. დანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ნატოსა

და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის დამფუძნებელია, ასევე მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, მათ შორის ეუთოს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და სხვა.

დანიის ისტორია მნიშვნელოვნად არის განპირობებული მისი ადგილმდებარეობით ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს შორის. დანია მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში, ის შედგება იუტლანდიის ნახევარკუნძულისა და 443 დასახელების კუნძულისაგან, რომელთაგან 72 დაუსახლებელია. დანიის ტერიტორიის ფართობია 43,094კვ.კმ. 700 კვ.კმ ნყალს უკავია. ხმელეთის ტერიტორიის ფართობით დანიის უდიდესი კუნძულია ფუნენიდა ზელანდია რომელიც იუტლანდიის ნახევერკუნძულის ჩრდილოეთ მხარეში მდებარეობს. ქვეყნის ხმელეთის ფართობი ზუსტად ჯერ კიდევ არა ადადგენილი ოკეანის ხშირია დინებისა და ეროზიის გამო. დანიის დიამეტრია 742 კმ. სამხრეთით ესაზღვრება გერმანიას და საზღვრის სიგრძე 68 კმ-ია. სხვა მხრიდან გარშემორტყმულია 8,750 კმ. ზომის სანაპიროზოლით. დანიის დედაქალაქია კოპენჰაგენი, რომელიც მდებარეობს კუნძულ ზელანდიაზე. დანიის სამეფო მოიცავს და მართავს მსოფლიოში ყველაზე დიდ კუნძულს – გრენლანდიას, სადაც შემოლეებულია ისეთი ტერიტორიული თვითმართველობა, რომელიც გრენლენდიას პრაქტიკულად ფაქტიურ დამოუკიდებლობას ანიჭებს. დანიის მოსახლეობა 2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით 5.589 მილიონ კაცს შეადგენს. უმუშევრობის დონე დაბალია, 2001 წლის მონაცემებით 5,2%-ია. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1297 კაცი 1 კვ.კმ-ზე.

დანიას გაჩნია თანამედროვე, მოწინავე და განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, რომელიც რეიტინგში მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მე-16 ადგილზეა და მე-5 ადგილზე ერთობლივი შიდა პროდუქტის მხრივერთ სულ მოსახლეზე. ქვეყანაში ძლიერ დაცულია საკუთრების უფლება, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლით, დანიის ეკონომიკა შეფასებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი. დანია ცნობილია თავისუფალი ვაჭრობის დამცველად ევროკავშირში. მსოფლიო ბანკის თანახმად დანიას ევროკავშირში ყველაზე თავიუსუფალი შრომითი ბაზარი აქვს. დამსაქმებელს მუშის ქირაობა და თხოვნა შეუძლია მაშინ, როცა მოესურვება. სამსახურებს შორის უმუშევრობის კონპენსაცია საკმაოდ მაღალია. მსოფლიო ბანკი დანიას ბიზნესის ყველაზე ადვილად კეთების ადგილად მიიჩნევს. 1972 წლიდან დანიაში, ჩრდილოეთ ზღვაში დაიწყეს ნავთობისა და გაზის მოპოვება, გადამუშავება. გადამუშავებული ნავთობის პროდუქციის ნაწილი ექსპორტზე გადის. ნავთობის მათ შორის ზეთის მთავარი მყიდველები არიან შვედეთი და ნიდერლანდები, გაზის გერმანია და ნიდერლანდები. დანიამ სოფლიოში ერთ-ერთ ლიდერად ითვლება ენერგიის გამოყენების და განახლების მხრივ, კერძოდ ქარის ენერგიის მხრივ. 2011 წელს დანიამ დაიკავა პირველი ადგილი მშპ-ში განახლებადი გამოყენებითი ენერგიიდან მიღებული შემოსავლის წილით. ის შეადგენს 3,1%, შესაბამისად 6,5 მლიარდ ევროს. სამრეწველო პროდუქციაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მანქანათმშენებლობას. კომპანიის **„vestas wind systems"**-ის წილი 2009 წლიდან მსოფლიოში წარმოებული ქარის ტურბინების თითქმის 12,5%-ს შეადგენს.

დანია საკმაოდ სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. იგი მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში, შედგება იუტლანდიის ნახევარკუნძულისა და კიდევ მრავალი დასახელების კუნძულისაგან. დანიის უდიდესი კუნძულია ფუნენი და ზელანდია ბეერი პატარა კუნძული ერთმანეთთან დაკავშირებულია ხიდებით. რესუნდის ხიდი აკავშირებს ზელანდიას შვეციასთან, გრეით ბელტ ბრიჯი აკავშირებს ფუნენს ზელანდიასთან. დანიის ლანდშაფტს მიეკუთვნება სასოფლო სამეურნეო მინები და ტყის ნარგავები. 2005 წლიდან ტყე იკავებს ქვეყნის ტერიტორიის 11,8%-ს. დანიის უდიდესი ნანილი ვაკეა, საშუალოდ ზღვის დონიდან 31 მ-ზე მდებარეობს. დანიის უდიდეს ნანილს მოიცავს ბორცვები, ვაკეები და ქვიშიანი სანაპირო ზოლი. ქვეყანას ასევე აქვს დიდი რაოდენობის სახნავ-სათესი მიწა რომელიც ირწყვება მდინარეებიდან.

დანია მაღალ განვითარებული ინდუსტრიული და აგრარული ქვეყანაა. მრენველობის წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტის მოცულობაში – 40 % – მეტია. ქვეყანაში წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, კვების, ქიმიური, ცელულოზა– ქაღალდის და საფეიქრო მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში ძირითადი როლი ეკუთვნის მეცხოველეობის დარგს. დანია მე-7 ადგილზეა მსოფლიოში ღორის ხორცის წარმოებით, წარმოებული ღორის ხორცის 87% გადის ექსპორტზე.

---

* Denmark (http://www.state.gov/r/pa/ei/bgn/3167.htm). U. S. Department of State. Bureau of European and Eurasian Affairs. Проверено 16 июня 2011. Архивированоизпервоисточника 2 августа 2011 (http://www.webcitation.org/616KGWAti).

* Большая Российская энциклопедия: В 30 т. / Председатель науч.ред. совета Ю. С. Осипов. Отв. ред С. Л. Кравец. Т. 8. Григорьев - Динамика. - М.: Большая Российская энциклопедия, 2007. - С. 291-312

* Большая Российская энциклопедия: В 30 т. / Председатель науч.ред. совета Ю. С. Осипов. Отв. ред С. Л. Кравец. Т. 8. Григорьев - Динамика. - М.: Большая Российская энциклопедия, 2007. - С. 291-312

ქვეყნის ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე, მას საგარეო სავაჭრო კავშირები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან გააჩნია. ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობით ერთ სულ მოსახლეზე. ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია იქმნება მანქანათმშენებლობის, რადიოელექტრონულ კვების და ქიმიურ მრენველობაზე. ამგვარად, დანია ექსპორტზე ორიენტირებული და ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ქვეყანაა, სადაც ცხოვრება 41 %-ით ძვირია, ვინემ საშუალოდ ევროპაში**.

ბალტიის რეგიონში დანია ერთადერთი ქვეყანაა რომელიც ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს. სახნავი მინების დიდი რაოდენობით არსებობამ და ზომიერმა კლიმატმა ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას. იმის ნაცვლად რომ სოფლის მეურნეობის წილმა დანიის ეკონომიკაში სტაბილურად მოიკლოს ინდუსტრიაიზაციისა და ეკონომიკური განვითარების გამო, იგი პირიქით პროგრესირდება. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ზრდასთან ერთად ცვლილებები ხდება ფერმის მენეჯმენტსა და ორგანიზებაში. თანდათანობით იკლებს ინდივიდუალური მენარმეების რიცხვი და იზრდება ფერმების რიცხვი. დანიაში დაახლოებით200000-მდე ინდივიდუალური ფერმაა, მათი მინების საშუალო ზომა 16 ჰექტარს შედგენს. დანიაში კვლავ დომინანტურია ოჯახური მეურნეობები. ფერმების 91 % ოჯახების საკუთრებაშია 7% კი ფირმებისა***.

საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით. სახელმწიფო ხელისუფლებას საქართველოში ახორციელებენ საქართველოს პრემიერ მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სასამართლო ორგანოები. ეროვნული ვალუტა – ლარი 1995 წლიდან. საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია. საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე და აკავშირებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს. ტერიტორიის ფართობი 69,7 ათასი კვ.კმ აფხაზეთის და სამაჩაბლოს ჩათვლით. საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნებრივი მრავალფეროვნება. მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წლის მონაცემებით 4371,5. მოსახლეობის სიმჭიდროვე 65,18 კაცი კვ.კმ-ზე.*.

საქართველოს ბუნებრივი პირობებისა ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებული სიუხვე, მრავალფეროვნება და კონტრასტები ახასიათებს. ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილია მრავალი სახის ნიალისეულის საბადო. ამჟამად ცნობილია 300-მდე მინერალურ- სანედლეულო საბადო, აქედან 11-ი ნავთობის საბადო შესწავლილია-მარაგის საერთო რაოდენობით-28.0 მლნ. ტონამდე. მოძიებულია 400 მლ. ტონა ქვანახშირის საბადოები. 215 მლნ. ტონა მანგანუმის მარაგები გამოკვლეულია. საქართველოში აგრეთვე არის ტყვია თუთიის, ოქროს და სპილენძის სამრეწველო მარაგები**, ქვეყანაში მინისქვეშა და მინისზედა წყლების დიდი მარაგებია. საქართველოში 26 000-მდე დიდი და მცირე მდინარეა. რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკული რესურსების რაოდენობა 60 მლრდ. კვტ. საათს აღწევს. დღეისთვის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული. ქვეყანას გააჩნია თერმული წყლების საკმაოდ დიდი მარაგები. 220-250 მლნ. კუბ. მეტრი წელიწადში.

საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს კავკასიის რეგიონში. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ეკონომიკური გაღრმავების პროცესში. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, უდიდეს პერსპექტივებს სახავს საქართველოსა და მთელი კავკასიის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში. ტრასეკა ევრაზიის ერცელი რეგიონის ინტეგრაციის, დაბალანსებული განვითარებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილიზაციის ფაქტორად გვევლინება. პრაქტიკულად საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ევროპის სატრანსპორტო სისტემის ნაწილად ყალიბდება. თავის მხრივ ევროპული ქვეყნების სატრანსპორტო პოლიტიკა საქართველოს განიხილავს, როგორც თავისი ინტერესების ნაწილს და ცდილობს ჩვენი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მონყობას იმ დონეზე, რომ დაჩქარდეს მისი ინტეგრირება ევროპულ სატრანსპორტო სისტემაში.

საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალის ათვისებისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებას. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია, მაგალითად, ბაქო – თბილისი – ყარსის სარკინიგზო

---

**«Названы самая дешёвая и самая дорогая страны Европы» (http://top.rbc.ru/economics/17/07/2009/316256.shtml)

*** (https://en.wikipedia.org/wiki/Denmark)

* წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელინდეული 2005წ..

** პუმანური განვითარების ანგარიში საქართველოში 1997წ. გაეროს განვითარების პროგრამა, თბ.,1998წ. გვ.69

მაგისტრალის პროექტი, რომელიც გააერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. ამ სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებით შეიქმნა ერთიანი, გრანდიოზული სატრანსპორტო არეალი, სადაც საქართველოს მონაკვეთში განსაკუთრებული ადგილი შავი ზღვის პორტებს ფოთსა და ბათუმს უკავია. ანაკლიის პორტი, რომლის მშენებლობა ახლო მომავალში უნდა დაინყოს კიდევ უფრო განამტკიცებს ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობას.

საქართველო 3000 წელზე მეტია აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მრავალფეროვან ასორტიმენტს უძველესი ღვინით დაწყებული, მარცვლოვანი კულტურებისა და ხილის ადგილობრივი ჯიშებით დამთავრებული. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი ბევრი პრობლემისა და გამოწვევის პირისპირ დგას – სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ 2005 წლიდან რეალური წარმოება საქართველოში 20%– ით შემცირდა, ნათესი ფართობი 43%– ით შემცირდა, ხოლო საშუალო წარმოებამ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით იკლო. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშპ– ში მისი წილის, წმინდა სავალუტო შემოსავლების, დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით. სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა, სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული მთელი სამუშაოძალის 50%. მათი 95% მცირე მეწარმეები არიან.

შედარებისათვის განვიხილოთ საქართველოს და დანიის ძირითადი მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ცხრილი 15.4.2.1. მთლიანი შიდა და ეროვნული პროდუქტი და მათი მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე* 2014 წ.

| | საქართველო | დანია |
|---|---|---|
| ფართობი | 69.7 კვ.კმ | 43.094 კვ.კმ |
| მოსახლეობა | 4.3 მლნ | 5.589 მლნ |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა | 16.53 მლრდ აშშ დოლარი | 335.9 მლრდ აშშ დოლარი |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 3.68 ათასი აშშ დოლარი | 44.5 ათასი აშშ დოლარი |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა | 16.44 მლრდ აშშ დოლარი | 473.666 მლრდ დანიური კრონი |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 3.66 ათასი აშშ დოლარი | 84.7 დანიური კრონი |

ცხრილი 15.4.2.2. საქართველო დანიის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები (მონაცემები აღებულია 2014 წ.)

| | საქართველო | დანია |
|---|---|---|
| ფართობი | 69.7 კვ.კმ | 43.094 კვ.კმ |
| მოსახლეობა | 4.3 მლნ | 5.589 მლნ |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა | 16.53 მლრდ აშშ დოლარი | 335.9 მლრდ აშშ დოლარი |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 3.68 ათასი აშშ დოლარი | 44.5 ათასი აშშ დოლარი |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა | 16.44 მლრდ აშშ დოლარი | 473.666 მლრდ დანიური კრონი |

* http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/dk_ en.pdf
http://www.economywatch.com/economic-statistics/country/Denmark/year-2015/
http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; http//www.geostat.ge.

| | | |
|---|---|---|
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 3.66 ათასი აშშ დოლარი | 84.7 დანიური კრონი |
| ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (ბიუჯეტის მოცულობა) | 8.049 მილიონი ლარი | 52.900 მლრდ აშშ დოლარი |
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა | 3579 მლრდ ლარი | 9 938.7 მლრდ ევრო |
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 832 ლარი | 17831 ევრო |
| სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა | 2.85 მლნ ჰა | 2.7 მლნ ჰა |
| სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა | 330 ათასი კაცი | 175 ათასი კაცი |

როცა განვიხილეთ საქართველოსა და დანიის ზოგადი დახასიათება, ფართობი, მოსახლეობა, ბუნებრივი პირობები, რესურსული პოტენციალი და გეოპოლიტიკური გარემო, შევადარეთ და მოვახდინეთ მათი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და განზოგადოება, დავინახეთ რომ დანია ეკონომიკური განვითარების დონით ბევრად მაღლა დგას ვიდრე საქართველო. საქართველოს ტერიტორიის ფართობი 69,7 კვ.კმ კილომეტრია, დანიასი კი, 43,094 კვ.კმ. დანია მოსახლეობის რაოდენობით ბევრად აღემატება საქართველოს, საქართველოს მოსახლეობა 4,3 მილიონია, დანიასი კი, 5,589 მილიონი. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 16.53 მილიარდი აშშ დოლარია, დანიასი – 335.9 მილიარდი აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ დანიის მშპ-სა და მეპ-ის მოცულობა ბევრად აღემატება საქართველოს იგივე მონაცემებს. მიუხედავად იმისა რომ, საქართველო ტერიტორიის ფართობით უფრო დიდი ქვეყანაა, ვიდრე დანია, რესურსული პოტენციალითაც მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია, საქართველო ეკონომიკური განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება დანიას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი რომ, 2011 წელს დანიას მშპ- ში, განახლებადი გამოყენებითი ენერგიიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც 6,5 მლიარდი ევროს ტოლია, მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს წლიურ ბიუჯეტს. დანია მსოფლიოში ითვლება ერთ-ერთ ლიდერად ენერგიის გამოყენების და განახლების მხრივ, კერძოდ ქარის ენერგიის მხრივ.

**ცხრილში – საქართველოს და დანიის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები,** კარგად ჩანს რომ, საქართველოსა და დანიის სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა თითქმის ერთნაირია, საქართველოსი 2,85 მლნ. ჰა. ხოლო დანიის 2,7 მლნ. ჰა. საქართველოში გამოშვებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 3579 მილიარდი ლარია, ხოლო სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 832 ლარი, მაშინ როდესაც დანიაში, რომლის სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა ნაკლებიც კია ვიდრე საქართველოში, სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 9.938,7 მილიარდი ევროა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე 17 831 ევრო. როგორც ვხედავთ, დანიის ეს მონაცემები მნიშვნელოვნად მეტია საქართველოს იგივე მონაცემებზე და დანია ამ სფეროშიც წარმატებულია, ვიდრე საქართველო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს წარმოებაში მექანიზაციის ამაღლებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, სასოფლო შინამეურნეობათა გაერთიანებების კოოპერატივების შექმნას. ქვეყნის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს მიწის ეფექტიანი გამოყენება – მაქსიმალური შრომაუკუგების მიღება. სოფლად უნდა განვითარდეს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის პროექტები. უნდა მოხდეს კოოპერაციის სტიმულირება, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ზრდასთან ერთად უნდა მოხდეს ცვლილებები ფერმის მენეჯმენტსა და ორგანიზებაში. თანდათანობით უნდა იკლოს ინდივიდუალური მეწარმეების რიცხვმა და მათი გაერთიანების საფუძველზე უნდა გაიზარდოს ფერმების რიცხვი.

მსოფლიო ბანკის თანახმად, დანიას ევროკავშირში ყველაზე თავისუფალი შრომითი ბაზარი გააჩნია. დამსაქმებელს მუშის ქირაობა და დათხოვნა შეუძლია მაშინ, როცა მოესურვება. ამავე დროს, სამსახურებს შორის უმუშევრობის კომპენსაცია საკმაოდ მაღალია. მსოფლიო ბანკიდან ის ბიზნესის ყველაზე ადვილად კეთების ადგილად მიიჩნევს. ასევე დანიაში სტაბილური ეკონომიკური გარემოა შექმნილი და ინვესტორებისათვის მეტად მიმზიდველობითი სარგებლობს. სწორედ ამაშია დანიის ეკონომიკური განვითარების წარმატება. როგორც მოგეხსენებათ, საქართველო ამჟამად ვერ სარგებლობს ბევრი იმ შეღავათით და პრეფერენციით, რომლებიც მინიჭებული აქვს ევროკავშირის აღმო-

საველეთ მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის ფორმატში. პოტენციალი უზარმაზარია, განსაკუთრებით ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, რომელიც გულისხმობს საქართველოში ისეთი ეკონომიკური გარემოს ფორმირებას, რომელიც ქვეყანას ინვესტიციების მიღებაში, ქვეყნის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში დაეხმარება[*] საქართველომ თანდათანობით უნდა დაუახლოვოს მისი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის სტანდარტებს. რომელიც მიმართული იქნება: – მაკროეკონომიკური პოლიტიკის, სტრუქტურულ რეფორმებისა და ეკონომიკური განვითარებისაკენ. ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოოს შიდა და გარე ბაზარი. ბაზრის გაფართოება გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. უცხოელი ინვესტორები შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ეროვნული ეკონომიკისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. საქართველოს ბაზარი გაფართოვდება ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად, უცხოელი ინვესტორები გამოიყენებენ საქართველოს, შედარებით იაფ შრომით და ბუნებრივ რესურსებს პროდუქციის საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია კი გატანილი იქნება მსოფლიო ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვან შემოსავლებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. **ამდენად საქართველოს ხელისუფლებამ** ეკონომიკური ზრდის ორიენტირად უნდა აიღოს ევროკავშირთან დაჩქარებული ინტეგრაციის პროცესი, გამოიყენოს ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და განავითაროს ეკონომიკის ის სფეროები, სადაც ქვეყანას დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას. ბუნებრივია, ეს გრძელვადიანი პროცესია და ბევრ სფეროში მტკივნეული რეფორმების განხორციელებას მოითხოვს, მაგრამ საქართველოს ამ რთული გზის გავლა აუცილებლად მოუწევს და სწორი მიდგომისა და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, საშუალოვადიან პერიოდში მიუახლოვდეს ისეთ განვითარებულ და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოს, როგორიცაა დანია.

### 15.4.3 საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: ხორვატიისა და საქართველოს ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი

ნათელია რომ, თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებაა ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაცია, რაც ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება. საქართველო ცდილობს აქტიურად ჩაერთოს ევროკავშირთან ინტეგრაციულ პროცესში, რათა განავითაროს ქვეყნის ეკონომიკა და კუთვნილი ადგილი დაიკავოს მსოფლიო თანამეგობრობაში. სწორედ ამ პროცესის ფარგლებში ვიხილავთ საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებით ანალიზს. შევადაროთ საქართველოსა და ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის, ხორვატიის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები.

ვინაიდან თანამედროვე პირობებში ევროკავშირი ზოგადად მიჩნეულია ეკონომიკური ზრდის ორიენტირად და ევროპული მოდელის და მკვიდრება ჩვენს ქვეყანას აძლევს უზარმაზარ შესაძლებლობებს -- კერძოდ: შესაძლებელია ინვესტიციების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, შიდა და გარე ბაზრის გაფართოება, ამდენად ჩვენ გადავწყვიტეთ ერთმანეთს შევადაროთ საქაართველოსა და ხორვატიის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები. ამ ორი ქვეყნის მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი საინტერესოა, იმდენად, რამდენადაც, მათი მოსახლეობის რაოდენობა და ტერიტორია თითქმის თანაბარია, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახლო წარსულში საბჭოთა სოციალისტური იმპერიის სივრცეში შემავალმა ქვეყანამ – ხორვატიამ, ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ მოკლე პერიოდში მიაღწია შესამჩნევ ეკონომიკურ აღმავლობას. საქართველოსა და ხორვატიის მაკრო ეკონომიკური მახასიათებლების შედარებისათვის განხილულია ორი ქვეყნის ბუნებრივ – რესურსული და გეოეკონომიკური პოტენციალი, ქვეყნის ზოგადი დახასიათება, მოსახლეობა, გეოგრაფიული მდებარეობა და მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები.

**ხორვატია** - უნიტარული, დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკა ცენტრალური ევროპის, სამხრეთ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს. ხორვატიის დედაქალაქია ზაგრები. ხორვატიის ტერიტორია 56594 კვ.კმ[2]-ს მოიცავს და დამახასიათებელია მრავალფეროვანი, უმეტესად კონტინენტური და ხმელთაშუა ზღვის კლიმატი. ხორვატიის ადრიატიკის ზღვის

[*] http://eprc.ge/index.php?a=main&pid=461&lang=geo

სანაპირო მოიცავს ათას კუნძულ ზემეტს. ქვეყნის მოსახლეობა 4,28 მლნ ადამიანს შეადგენს, რომელთა უმრავლესობა ხორვატია. ყველაზე გავრცელებულ რელიგიას წარმოადგენს კათოლიციზმი. მოსაზღვრე სახელმწიფოებია: ჩრდილოეთით და ჩრდილო – დასავლეთით - სლოვენია, ჩრდილოეთით - უნგრეთი, აღმოსავლეთით - სერბეთი, სამხრეთით - ჩერნოგორია, აღმოსავლეთით და სამხრეთ – აღმოსავლეთით - ბოსნია და ჰერცეგოვინა, დასავლეთითდა სამხრეთ – დასავლეთით ეკვრის ადრიატიკის ზღვა. დღეისათვის, ხორვატიას ადამიანის განვითარების ინდექსის ძალიან მაღალი მაჩვენებელი აქვს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციით, ხორვატიას მზარდი, განვითარებადი ეკონომიკა აქვს, მსოფლიო ბანკის შეფასებით კი მაღალი შემოსავლების ეკონომიკა. ხორვატია გაწევრიანებულია ევროკავშირში, გაეროში, ევროსაბჭოში, ნატო-ში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ასევე არის ხმელთაშუა ზღვის კავშირის დამფუძნებელი წევრი. როგორც გაეროს სამშვიდობო ძალების აქტიური წევრი, ხორვატიას წელიწად შეაქვს ნატო-ს საერთაშორისო უშიშროების დახმარების ძალებში ავღანეთში; 2008 – 2009 წლებში იყო გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრი.

ხორვატიის ეკონომიკაში დომინანტია მომსახურების სფერო, რასაც მოსდევს სამრეწველო სექტორი და სოფლის მეურნეობა. ზაფხულის პერიოდში, შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ტურიზმი; ხორვატიამ სოფლიოში მე-18 ყველაზე პოპულარული ტურისტული დანიშნულების ადგილია*. არსებითი სახელისუფლებო დანახარჯებით, სახელმწიფო აკონტროლებს ეკონომიკის გარკვეულ ნაწილს. ხორვატიის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია ევროკავშირი. 2000 წლიდან, ხორვატიის ხელისუფლებამ ინვესტიციები განახორციელა ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით პანეეროპული სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ გზების მშენებლობაში. ხორვატიის ენერგეტიკის მნიშვნელოვანი წილის წარმოებაში და წყაროებით ხდება, გარკვეული ნაწილი კი იმპორტით შედის. ქვეყანაში მოქმედებს უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა და უფასო დაწყებითი და საშუალოგანათლება. კულტურის მხარდასაჭერად ფუნქციონირებს მრავალი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, ასევე კორპორატიული ინვესტირება მედიასა და გამომცემლობებში.

ხორვატიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1993 წლის 1 თებერვალს. საქართველოსა და ხორვატიას შორის თანამშრომლობა დინამიურად ვითარდება. ხორვატია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ქვეყნის ინტეგრაციას ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. საქართველოსა დახორვატიას შორის შეინიშნება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და საპარლამენტო ურთიერთობების განვითარების ტენდენცია.

**ცხრილი 15.4.3.1.საქართველოს და ხორვატიის ძირითადი მაკრო – ეკონომიკური მაჩვენებლები 2014 წელს**

| | საქართველო* | ხორვატია** |
|---|---|---|
| **ფართობი** | 69.7 კვ.კმ | 56,594კვ.კმ |
| **მოსახლეობა** | 4.3 მლნ | 4.281 მლნ |
| **მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა** | 15,82 მლრდ აშშ დოლარი | 60 მლრდ აშშ დოლარი |
| **მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე** | 3,68 ათასი აშშ დოლარი | 13,995 ათასი აშშ დოლარი |
| **მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა** | 16.36 მლრდ აშშ დოლარი | 80.62 მლრდ აშშ დოლარი |
| **მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე** | 3.66 ათასი აშშ დოლარი | 18,3 ათასი აშშ დოლარი |
| **ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (ბიუჯეტის მოცულობა)** | 8.049 მილიონი ლარი | 22.3 მლრდ აშშ დოლარი |


* **http://www.paralela45.ro/sejur/croatia—turism-individual**

* http: www geostat.ge ; https: .www.cia.gov library/publications/the-world-factbook/fields/2056.html

** https:/ www.gfmag.com/global-data country-data/croatia-gdp-country -report

| | | |
|---|---|---|
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა | 3579 მლრდ ლარი | 4,2 მლრდ აშშ დოლარი |
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 832 ლარი | 981 აშშ დოლარი |
| სასოფლო სამეურნეო საკარგულების მოცულობა | 2.85 მლნ ჰა | 1.97 მილიონი ჰექტარი |
| სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა | 330 ათასი კაცი | 513 680 ათასი კაცი |
| ექსპორტის მოცულობა | 2861 მლნ აშშ დოლარი | 12,360 მლრდ აშშ დოლარი |
| იმპორტის მოცულობა | 8596 მლნ აშშ დოლარი | 21,740 მლრდ აშშ დოლარი |
| ინფლაცია | 5.2% | -0.3% |
| უმუშევრობის დონე | 12.4% | 16.8% |
| სახელმწიფო ვალი (მშპ %) | 32.2 % | 66.3% |
| საჯარო დეფიციტი (მშპ %) | 9,1% | -4.7% |

შედარებისათვის განვიხილოთ ხორვატიის* და საქართველოს ** მშპ-ს სექტორული შემადგენლობა




საქართველოს მშპ-ის სექტორული შემადგენლობა




ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი რომ, საქართველოს მშპ – ში სოფლის მეურნეობის წილი – 8%-ს შეადგენს, მრეწველობის – 16%-ს და მომსახურეობის სფეროს – 76 %-ს; ხოლო ხორვატიაში სოფლის

* http://www.tradingeconomics.com/croatia/gdp

** www.mof.gov.ge

მეურნეობის წილი – 5%-ს, მრეწველობის – 26%-ს და მომსახურეობის სფეროს – 69 %-ს; განვიხილოთ ხორვატიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ზოგადი მიმოხილვა.

**ხორვატიაში სოფლის მეურნეობა** გამოთარებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ის სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის წმინდა იმპორტიორი ქვეყანაა. ხორვატიას აქვს ხელსაყრელი აგრო კლიმატური პირობები, რომელიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტი აწარმოოს. ხორვატიის ჩრდილოეთ ნაწილში დომინირებს ხორბლის, სიმინდის და მზესუმზირის ნათესები, ხოლო მეხილეობა დაზეთის ხილის მეურნეობა პოპულარულია სანაპირო რეგიონში. რეგიონში, ყველაზე დიდი სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწა კერძო საკუთრებაშია. მეურნეობის სტრუქტურა ძირითადად მცირე საოჯახო მეურნეობებზე მოდის, რომელიც ძირითადად აწარმობს საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საკმარის პროდუქციას. მათი წილი წარმოების ბაზარზე ძალიან დაბალია. ხორვატიაში სულ 190 ათასი ფერმერი რეგისტრირებულია, აქედან 63 %-ს სამი ჰექტარზე ნაკლები მიწის ნაკვეთი გააჩნია. საშუალო და მსხვილი ფერმერები ფლობს 32% სასოფლო – სამეურნეო მიწის ნაკვეთს და მათი მნიშვნელობა ბაზარზე სულ უფრო და უფრო იზრდება ბოლო ათი წლის განმავლობაში. უახლესი ტექნოლოგიები და ვრცელ გლობალურ სამყაროში ხორვატიის ჩართულობა უფრო მეტად გაზრდის სასოფლო – სამეურნეო წარმოებას. 2006 – 2008 წლებში 559 ჰექტარზე საშუალოდ 3.1 მილიონი ტონა მარცვლეული იქნა წარმოებული. უკვე რამდენიმე წელია, ხორვატია უკვე მეტს აწარმოებს ხორბალს ვიდრე ქვეყანას სჭირდება. 2006-2008 წლებში 250 ათასი სოიოსა და მზესუმზირის ზეთი იქნა წარმოებული, რომლის 80% შიდა მომხმარებლის დასაკმაყოფილებლად იქნა გამოყენებული, ხოლო 20% კი ექსპორტზე. ხილი, ისევე როგორც უმეტეს ევროპულ ქვეყნებში, მნიშვნელოვანი წილი იმპორტირებულია. ღვინის წარმოების სფეროში ხორვატიას გააჩნია უძველესი ტრადიცია. უკვე ათეული წლებია, ღვინო მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა ფერმერებისთვის. შაქარი ხორვატიის ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტია ბოლო ათი წლის განმავლობაში. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა აგრარულ სფეროში, ცხადყოფს ბოლო 6-7 წელი ამ სფეროში შთამბეჭდავ წარმატებას.

მესაქონლეობა ვრცელდება ხორვატის მთელ ტერიტორიაზე. რძისა და ხორცის წარმოება ქვეყანაში მეტად განვითარებულია. ბოლო მონაცემებით 52.483 რძის მეურნეობაა რეგისტრირებული. თევზჭერა სოფლის მეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს, სადაც დაახლოებით 3500 კაცია დასაქმებული. კომერციული თევზჭერის შემოსავალი 2008 წელს შეადგინა 48.500 ტონა. რაც შეეხება სურსათის უვნებლობასა და სურსათის ხარისხს ხორვატიის კანონმდებლები მის მაღალ დონემდე აყვანისკენ იღვწიან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორების დახმარებით. მოქალაქეები მოიხმარენ, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის, სათანადოდ შეფუთულ მოხმარების პროდუქტს. თანამედროვე ლაბორატორიები და ეფექტიანი კონტროლი უზრუნველყოფს მომხმარებელთა უსაფრთხოებას. რეგიონში ხორვატიის სოფლის მეურნეობის სავაჭრო პოლიტიკა არის ყველაზე ინტენსიური და მისი მოცულობა 2001-2008 წლებში გასამმაგდა.*

2000 წელს, ხორვატია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, რომელმაც ხელი შეუწყო ვაჭრობის ზრდა. ამ ეტაპზე შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აქტიურად ხორციელდება 39 პარტნიორ ქვეყნაში. უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, იმპორტი და ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაბამისად, სავაჭრო ბალანსი გასამმაგდა. ცნობილი ფაქტია, რომ ხორვატია არის ქვეყანა, რომელსაც ძალიან ძლიერი ტურისტული სექტორი გააჩნია,ამ სფეროდან წლიური შემოსავალი 7 მილიარდი ევრო, ხშირ შემთხვევაში მთავრობის მიერ სასაქონლო – სავაჭრო დეფიციტს ხმარდება.*

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი** ბევრი პრობლემისა და გამოწვევის პირისპირ დგას – სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ 2005 წლიდან რეალური წარმოება საქართველოში 20%– ით შემცირდა, ნათესი ფართობი 43%– ით შემცირდა, ხოლო საშუალო წარმოებამ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით იკლო. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშპ– ში მისი წილის, წმინ და სავალუტო შემოსავლების, დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით. სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა სწორედ სოფლისმეურნეობაშია დასაქმებული მთელი სამუშაო ძალის 50%. მათი 95% მცირე მეწარმეები არიან (თითოეულ ოჯახზე +/- 1.2 ჰექტარი მიწა და 2 ძროხა), ას ერომ, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ძალზე მწირია. ქვეყანაში არსებული სიღარიბის მაღალიმაჩვენებლის ძირითადი მიზეზიის არის, რომ ვერ მოხერხდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზება. ფერმერულ ორგანიზაციათა რაოდენობა ძალზე მცირეა, ასე რომ მათი უმრავლესობა ვერც მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომი-

---

* https://www.b2match.eu/lameetscee/system/files/WS6_ %20Igor_ Cmkovic_ LA_ meets_ CEE.pdf
* https://www.b2match.eu/lameetscee/system/files/WS6_ %20Igor_ Cmkovic_ LA_ meets_ CEE.pdf

კის უპირატესობით სარგებლობს და ვერც იმპორტიორებს უწევს კონკურენციას. ქვეყანა დიდ წილადაა დამოკიდებული უცხოეთიდან იპორტზე (მაგ. 2010 წელს მოხმარებული ხორბლის 85% იმპორტირებული იყო). 2012 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ არსებული პრობლემათა აღმოსაფხვრელად უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში გატარებული აგრარული პოლიტიკა სწორედ მათ განვითარებასა და ხელშეწყობაზე არის ორიენტირებული. შედეგად შეიმჩნევა წარმატებები მაგრამ, ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევსრომ, საქარველოსმნიშვნელოვანი სასოფლო – სამეურნეო პოტენციალი გააჩნია და სახელმწიფოს მიერ ამ სფეროში გაწეული ხარჯებთან შედარებით შედეგები არა ადექვატურია.აგრარული სექტორის განვითარებისათვის გადაუჭრელი პრობლემები კვლავ მრავლად რჩება. გათვლები ადასტურებს რომ, შესაძლებელია დღევანდელი, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ფერმერული და აგროინდუსტრიული წარმოების ხუთჯერგაზრდა. განვითარებული სოფლის მეურნეობა შეიძლება გადაიქცეს იმ ძრავად, რომელიც ბიძგს მისცემს ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციის შემცირებას (წარმოებისზრდისხარჯზე). სოფლის მეურნეობის განვითარებას ძალზე დადებითი სოციალური შედეგებიც მოყვება. ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ისე სტაბილურობისთვის."

როცა განვიხილეთ საქართველოსა და ხორვატიის ზოგადი დახასიათება, შევადარეთ მათი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ანალიზის განზოგადების საფუძველზე, დავინახეთ რომ ხორვატია ეკონომიკური განვითარების დონით ბევრად მაღლა დგას ვიდრე საქართველო. საქართველოს ტერიტორიის ფართობი 69,7 კვ.კმ კილომეტრია, ხორვატიის კი ,56,594 კვ.კმ. ხორვატიისა და საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა თითქმის თანაბარია და 4,2 – 4,3 მლნ-მდე მერყეობს. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 15,82 მილიარდი აშშ დოლარია, ხორვატიის 60 მილიარდი აშშ დოლარი. შესაბამისად მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში – 3,68 ათასი აშშ დოლარია, ხორვატიაში – 13, 995 ათასი აშშ დოლარი. ასევე საქართველოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა 16,36 მილიარდი აშშ დოლარია, ხორვატიის 80,62 მილიარდი აშშ დოლარი. შესაბამისად მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში – 3,66 ათასი აშშ დოლარია , ხოლო ხორვატიაში – 18,3 ათასი აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ ხორვატიის მშპ-სა და მეპ-ის, შესაბამისად მშპ-სა და მეპ-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე ბევრად აღემატება საქართველოს იგივე მონაცემებს, მაშასადამე ნათელია, რომ ეკონომიკური განვითარებით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხორვატიას. საქართველოში გამოშვებული სოფლისმეურნეობის პროდუქციის მოცულობა 3579 მილიარდი ლარია, ხოლო სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 832 ლარი, მაშინ როდესაც ხორვატიაში, რომლის სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა ნაკლებიც კია ვიდრე საქართველოში, სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 4200 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე 981 აშშ დოლარი, როგორც ვხედავთ ხორვატიის ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მეტია საქართველოს იგივე მაჩვენებლებზე.

საქართველოში ხორციელდება ევროპის სამეზობლოს პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, სოფლის მეურნეობის განვითარების მიდგომები ადგილობრივი თავისებურების გათვალისწინებას ეფუძნება და მიზნად ისახავს თემისა და თვითმმართველობის გაძლიერებასადა მხარდა ჭერას, რათა მათ თავად შეძლონ განსაზღვრონ რეგიონის პრიორიტეტები და განახორციელონა დგილობრივი განვითარების სტრატეგია. ევროკავშირი სამომავლოდ საქართველოს ჰპირდება ხელი შეუწყოს რეგიონების თემებისა და თვითმმართველობის უკეთეს ჩართულობას ადგილობრივი განვითარების პროცესებში, დაეხმარება მათ უნარების გაუმჯობესებაში და ბიზნესის განვითარებაში, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, ეკოტურიზმი ან დიეერსიფიცირებული სასოფლო ბიზნესი. ეს ხელსშეუწყობს სოფლად დასაქმების პრობლემის გადაჭრას და სიღარიბის დაძლევას.

საბოლოოდ ბუნებრივია, სოფლის მეურნეობის განვითარება ბიძგს მისცემს ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მას ძალზე დადებითი სოციალური შედეგებიც მოყვება. ამდენად, ამ სფეროს განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ ზრდას, მის უსაფრთხოებას და სტაბილურობას.

საქართველომ, საბჭოთა იმპერიის სივრცეში წარმოშობილმა ქვეყანამ, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო თავისი განსაკუთრებული ადგილის ძიება მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში. მან წარმატებით განახორციელა საგარეო-ეკონომიკური რეფორმები და შევიდა ვაჭრობის მსოფ-ლიო ორგანიზაციაში, უკან მოიტოვა უმეტესი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. საქართველოს სტრატე-

** https://www.b2match.eu/lameetscee/system/files/WS6_ %20Igor_ Crnkovic_ LA_ meets_ CEE.pdf

გიულ და სავაჭრო ეკონომიკურ ინტერესებში შედის ევროკავშირთან ინტეგრაცია. საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკურ განვითარებას. ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების სრულად ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი იქნება, რომ საქართველო ევროპულ სივრცეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად საბოლოოდ დაუახლოვდეს. ნამდვილი ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და მყარი განვითარებისაკენ მიმავალი მისი გზა მეტად რთულია, რაც დაკავშირებულია ბევრ არცთუ მთლად ეკონომიკური ხასიათის პრობლემასთან. მიუხედავად ამისა, საქართველო უკვე ევროკავშირისა და ევრო-ატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებულ ქვეყნად ჩამოყალიბდა, მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდა. ვინაიდან საქართველოს ევროპული ორიენტაცია შეუქცევადია, ევროპული მოდელის დამკვიდრება უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ორიენტირი.

### 15.4.4 საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: სლოვაკეთის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები და საქართველო

**„საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის“** პროცესის ფარგლებში ვიხილავთ საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებით ანალიზს. შედარებულია საქართველოსა და ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის, სლოვაკეთის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები. განხილულია ორი ქვეყნის ზოგადი დახასიათება, მოსახლეობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრე. რადგან თანამედროვე პირობებში ევროკავშირი ზოგადად მიჩნეულია ეკონომიკური ზრდის ორიენტირად და ევროპის ქვეყნებთან ინტეგრაცია ჩვენს ქვეყანას აძლევს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. ამ ორი ქვეყნის მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი საინტერესოა, რადგან სლოვაკეთი ახლო წარსულში შედიოდა სოციალისტურ სივრცეში და ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ, მოკლე პერიოდში მიაღწია შესამჩნევ ეკონომიკურ აღმავლობას. ასევე აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა და ტერიტორია თითქმის თანაბარია.

**სლოვაკეთის რესპუბლიკა** – სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში ესაზღვრება ჩეხეთს, პოლონეთს, უკრაინას, უნგრეთსა და ავსტრიას. მას ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია, მოსახლეობა 5 მილიონს აღემატება, ფართობი კი დაახლოებით 49,000 კვადრატული კილომეტრია. უდიდესი ქალაქი და დედაქალაქია ბრატისლავა. სლოვაკეთი არის გაეროს, ევროკავშირის, შენგენის ზონის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ნატო-ს და სხვა ორგანიზაციების წევრი. ევროკავშირში და ნატოში სლოვაკეთი შევიდა 2004წ., შენგენის ზონაში 2007 წლიდან, ხოლო ევრო ზონაში 2009 წლიდან. ოფიციალური ენაა სლოვაკური, რომელიც სლავურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება.

სლოვაკეთის სამხრეთ – დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაბლობებია. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება რკინის, მანგანუმის, პოლიმეტალების მადანი, სტიბიუმი, მაგნეზიტი, მურა ნახშირი, სპილენძი და მარილი; ჰავა ზომიერია, კონტინენტური, კარგი პირობებია სასოფლო სამეურნეო საქმიანობის წარმოებისათვის. მდინარეები უმთავრესად დუნაის აუზს განეკუთვნება. მთავარი მდინარეებია ვაგი, ნიტრა, ჭრონი, ონდავა.

ეკონომიკური თვალსაზრისით სლოვაკეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, სადაც უფრო განვითარებულია მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობა თანამედროვე მატერიალურ ტექნიკური ბაზით.

- **სლოვაკეთის სახელმწიფო სისტემა:** დემოკრატიული რესპუბლიკა
- **სახელმწიფო მეთაური:** პრეზიდენტი
- **მთავრობის მეთაური:** პრემიერ მინისტრი
- **საკანონმდებლო ორგანო :** ერთპალატიანი

პარლამენტი (150 წევრი).

- **ადმინისტრაციული დაყოფა : 8** მხარე (kraj).
- **მოსახლეობა** – 5.380.000, მათ შორის 85,7% სლოვაკები, 10,6%უნგრელები, 1,6% ბოშები.

**სახელმწიფო ენა :** სლოვაკური.

- **გავრცელებული ენები :** უნგრული.
- **დედაქალაქი** – ბრატისლავა 428 ათასი მოსახლეობით
- **ქალაქები** – კოშიცე (234), ნიტრა (87), ჟილინა(85), პრეშოვი(92).
- **რესურსები** – მურა ნახშირი; რკინის მადნის, სპილენძის და მანგანუმის მადანი; მარილი; სასოფლო სამეურნეო მიწები.

*ექსპორტი – რკინის მადანი, ქიმიკატები, ნავთობპროდუქტები, იარაღი.
• ბიუჯეტი – 5,200 მლნ $.
• ვალუტა – სლოვაკური კრონი(SKK);

ცხრილი 15.4.4.1 სლოვაკეთის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება ( %) 2004 – 2017 წწ.*

| წლები | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ-ს ზრდა (%-ში, წინა წლის შე-საბამის პერდ- თან | 5,2 | 6,5 | 8,3 | 10,7 | 2,5 | 3,2 | 2,9 | 3,3 |
| ინფლაცის ცვლილება (%-ში წინა წლის შესაბამის პერ-დთან) | 8,1 | 4,0 | 2,9 | 2,5 | -0,1 | -0,2 | 1,0 | 1,6 |
| უმუშევრობა (%-ში) | 18,3 | 16,4 | 13,5 | 11,2 | 13,2 | 10,5 | 9,6 | 8.7 |
| საჯარო ბიუჯეტის ბალანსი (%-ში მშპ) | – 4,0 | – 3,4 | – 3,0 | – 2,0 | -2,8 | -2,7 | -2,4 | -2,0 |
| მთლიანი სახელმწიფო ვალი(%-ში მშპ.) | 45,1 | 46,2 | 45,1 | 45,0 | 53,5 | 52,7 | 52,6 | 52,2 |

ცხრილი 15.4.4.2 საქართველოსა და სლოვაკეთის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 2014წ.*

| | საქართველო | სლოვაკეთი |
|---|---|---|
| ფართობი | 69,7 კვ.კმ | 49,00კვ.კმ |
| მოსახლეობა | 4,3 მლნ | 5,1 მლნ |
| მშპ– ს მოცულობა | 16.53აშშ მლრდ დოლარი | 134,1 მლრდ აშშ დოლარი |
| მშპ– ს მოცულობა ერთ სულზე | 3,68 ათასი აშშ დოლარი | 26,8 ათასი აშშ დოლარი |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა | 16.44 მლრდ აშშ დოლარი | 94,3 მლრდ აშშ დოლარი |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულზე | 3,66 ათასი აშშ დოლარი | 18,5 ათასი აშშ დოლარი |
| ნაერთიბიუჯეტის შემოსავლები | 8,049 მლრდ ლარი | 10,55 მლრდ ევრო |

მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი საინტერესო იყო რადგან სლოვაკეთი ახლო წარსულში შედიოდა სოციალისტურ ბანაკში – ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში. ყოფილი ჩეხოსლავაკიის მშვიდობიანად ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – ჩეხეთის და სლოვაკეთის რესპუბლიკად გაყოფის შემდეგ, გარდამავალი პერიოდი ქვეყნისთვის მძიმე გამოდგა. რეფორმების პროგრამა მიმართული იყო სლოვაკეთის დასავლურ სტრუქტურებშიე ვროკავშირში და ნატოში ინტეგრაციაზე. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად სლოვაკეთის ეკონომიკამ დიდი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. რეფორმებმა მათ შორის პრივატიზაციის პროცესმა უმუშევრობა გაზარდა 18,3 %-მდე. რეფორმების განხორციელების ფონზე, თავდაპირველად, ეცემოდა მწარმოებლურობა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ამას დაემატა ინფლაციური პროცესები, რომელმაც 2004 წ. 8,1 %-ს მიაღწია. სლოვაკეთის ეკონომიკა მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა სახელმწიფოს განვითარების კვლადაკვალ. უკანასკნელი დიდი გარდატეხები სლოვაკეთის ეკონომიკაში გამოიწვია ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ. საბოლოოდ სლოვაკეთის ეკონომიკა აღმავლობას განიცდის სტრუქტურულად ევროკავშირის ეკონომიკასთან ინტეგრირებით. სლოვაკეთის ეკონომიკის მომავალი განაპირობა დასავლურ სტრუქტურებში ნატოში და ევროკავშირში ინტეგრციამ. ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ სლოვაკეთმა შეძლო ორიენტაცია გაეკეთებია დასავლეთის ბაზარზე და დაემკვიდრებია სრულფასოვანი საბაზრო ეკონომიკა. ქვეყანამ მოკლე პერიოდში მიაღწია მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობას.

**სლოვაკეთის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება 2004 – 2017 წწ. (ცხრილი№1)** საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი ლოგიკური დასკვნები. კერძოდ, თუ გასული 10-15 წლის მან-

* წყარო–http://www.indexmundi.com/slovakia/unemployment_ rate.html
* http://www.ereport.ru/articles/indexes/gdp.htm
https://www.gfmag.com/global-data/country-data/slovakia-gdp-country-report

ძილზე 2004 წლამდე ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ძალიან მცირე ტემპებით ხასიათდებოდა, 2004 წლიდან ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები სტაბილურად 5,2 %-დან - 10,7 % – მდე გაიზარდა, ინფლაციის მაჩვენებელი 8,1 %-დან 1 % -მდე შემცირდა. მართალია მთლიანი სახელმწიფო ვალი იზრდებოდა, მაგრამ პარალელურად იზრდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი. უმუშევრობა 2004 წლიდან 18,3 % -დან 11,6 % – მდე შემცირდა.

**საქართველოსა და სლოვაკეთის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზიდან (ცხრილი №2)** კარგად ჩანს რომ, საქართველოს ტერიტორიის ფართობი 1,4 ჯერ მეტია, სლოვაკეთის ტერიტორიის ფართობთან შედარებით, მოსახლეობა კი 1,3 ჯერ მცირეა. თუმცა სლოვაკეთის მშპ 134,1 მლრდ დოლარია და დაახლოებით 8 – ჯერ აღემატება საქართველოს (16.53 მლრდი დოლარი) იგივე მაჩვენებელს. შესაბამისად, სლოვაკეთის მშპ – ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს იგივე მონაცემებს. ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებაა საქართველოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობასა (16.44 მლრდ აშშ დოლარი) და სლოვაკეთის იგივე მაჩვენებლებს (94,3 მლრდ აშშ დოლარი) შორის. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი 2004 წლის მონაცემებით 8,049 მლრდ ლარის ტოლია, ხოლო სლოვაკეთის – 10,45 მლრდ ევროსი, რაც ასევე მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს ბიუჯეტს.

საქართველოსა და სლოვაკეთს შორის თანამშრომლობა დინამიურად ვითარდება როგორც ორმხრივ ფორმატში, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. ორი ქვეყანას შორის არსებული სამართლებრივი ბაზა აწესრიგებს უწყებათაშორის შეთანხმებებს, რომელეთა მეშვეობით რეგულირდება შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, დიპლომატიური და სამსახურეობრივი პასპორტების მფლობელებისთვის უვიზო მიმოსვლის საკითხები. 2015 წლის პირველ ნახევარში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 530,0 მლნ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 5%-ით აღემატება, ხოლო 2015 წლის პირველ ნახევარში სლოვაკეთის მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1.739 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 3-ჯერ გაიზარდა. ბოლო წლებში, მიუხედავად საქართველოს ექსპორტის მცირე მოცულობისა სლოვაკეთში, მას მზარდი ტენდენცია ახასიათებს. მნიშვნელოვანია სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების მაშტაბების გაზრდა სლოვაკეთის რესპუბლიკასთან, მაგრამ უმნიშვნელოვანესია ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში, რადგან ევროკავშირის ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში და მასზე მოდის დაახლოებით მსოფლიო ვაჭრობის 20%. ამდენად საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების გაზრდა, მით უფრო როცა საქართველოს სტრატეგიულ და სავაჭრო ეკონომიკურ ინტერესებში შედის ევროკავშირთან ინტეგრაცია. საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკურ განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში ევროპული ნორმების დამკვიდრებას და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას, ასევე უხოური ინვესტიციების მოზიდვას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ექსპორტის გაზრდის და ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბები მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ევროკავშირის ქვეყნებთან. მნიშვნელოვანია საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენების პერსპექტივამ რეალური სახე მიიღოს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს ეკონომიკურ თანამშრომლობას ევროკავშირთან. ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების სრულად ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი იქნება, რომ საქართველო ევროპულ სივრცეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად საბოლოოდ დაუახლოვდეს. მართალია საქართველო რთულად იკაფავს გზას ევროპისკენ და ზოგადად დასავლეთისაკენ, მაგრამ ახლა საქართველო დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, ამდენად ევროპის სახელმწიფოთა ერთობაში საკუთარი ადგილის მოპოვება ქართული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა. საქართველოს მიერ სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში, სჭირდება ისეთი ეკონომიკური ურთიეთობებისა და მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრციას.

### 15.4.5. შვეიცარიის კონფედერაციის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საქართველო

**საქართველოს ევროპული არჩევანი** ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს არჩევანია. საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მსოფლიო მნიშვნელობის

სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის სფეროშია, ხოლო ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში.

ჩვენი მიზანია ერთმანეთს შევადაროთ საქართველოსა და ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყნის, შვეიცარიის კონფედერაციის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. განხილვა დავიწყოთ ამ ორი ქვეყნის ზოგადი დახასიათებით.

**განვიხილოთ შვეიცარიის კონფედერაციის ზოგადი დახასიათება.** შვეიცარია (ოფიციალური დასახელება – შვეიცარიის კონფედერაცია) ცენტრალური ევროპის სახელმწიფოა და ევროპის გულში მდებარეობს, ჩრდილოეთით მას ესაზღვრება გერმანია, სამხრეთით – იტალია, დასავლეთით – საფრანგეთი, ხოლო აღმოსავლეთით – ავსტრია და ლიხტენშტეინი. ის არა აევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მაგრამ მას გააჩნია მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ევროპულ მეზობლებთან.

შვეიცარიაში შედის 26 კანტონი. ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევენ, ფედერალური საბჭოს წევრებიდან. საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა – ორპალატიანი პარლამენტი. ეროვნულ საბჭოს ირჩევს მოსახლეობა, ფედერალური საბჭოს წევრებს ირჩევენ პარლამენტის ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე. ფედერალური საბჭოს ყველა წევრი მორიგეობით იკავებენ პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობებს. შვეიცარიის ტერიტორია სამ ბუნებრივ რეგიონად იყოფა. შვეიცარია მდიდარია და ცნობილია მისი ტბებით. შვეიარიაში ცენტრალური ევროპისთვის დამახასიათებელი, კონტინენტური კლიმატია.

საყურადღებოა რომ, XIX – საუკუნის მეორე ნახევარში შვეიცარიის კონფედერაცია ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა იყო ევროპის სახელმწიფოებს შორის. ქვეყანას, რომელსაც თითქმის არ გააჩნდა სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრე და არ ქონდა ზღვასთან გასასვლელი, ხელისუფლებამ მაღალეფექტური საზოგადოებრივ – პოლიტიკური მმართველობის სისტემის, სწორი მენეჯმენტისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვით შეძლო ქვეყნის გამოყვანა უმძიმესი მდგომარეობიდან. ხელისუფლებამ შეძლო მოეზიდა დიდი მოცულობის ინვესტიციები, აეღო სახელმწიფო კრედიტები და მოეწესრიგებია მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც ქალაქში ისე სოფლად ინფრასტრუქტურა. ამით ქვეყანა უფრო მიმიზიდველი გახდა უცხოელი ინვესტორებისათვის.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული უმდიდრესი ინდუსტრიული ქვეყანა გახდა – ინტენსიური მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობით. XXI – საუკუნის დასაწყისში კი შვეიცარია, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის და ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის მოცულობით მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შევიდა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბანკო და ფინანსური ცენტრი გახდა. შვეიცარიის ბანკებზე მოდის მთელი მსოფლიოს კერძო და იურიდიული პირების ქონების დასაკუთრების მართვის 35-40%. მრეწველობაში დომინირებს ტრანსნაციონალური ხასიათის მსხვილი გაერთიანებები, რომლებიც, წარმატებით უძლებენ კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე და წამყვან პოზიციებს იკავებენ. შვეიცარიაში ელექტროენერგიის დაახლოებით 42%-ს გამომუშავებს ატომური ელექტროსადგურები, 50%-ს ჰიდრო ელექტროსადგურები, ხოლო დარჩენილ 8%-ს თბოელექტროსადგურები. შვეიცარიის სატრანსპორტო სისტემა „საათივით აწყობილია". 5034 კმ სიგრძის რკინიგზის ნახევრზე მეტი ელექტრიფიცირებულია. მთიან რეგიონებში მუშაობს ფუნიკულიორები და საბაგირო გზები. გზების ჯამური სიგრძე დაახლოებით 71 ათას კილომეტრს შეადგენს. ძირითადი საერთაშორისო აეროპორტებია ჟენევა, ციურიხი და ბაზელი.

შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და მდიდარი ქვეყანაა. შვეიცარიის საქონელბრუნვის დაახლოებით 80-85% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე. შვეიცარიის გავლით მოძრაობს დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთიდან სამხრეთ ნაწილისკენ და საპირისპირო მიმართულებით მიმავალი ყველა სატრანზიტო ტვირთების 50%. ქვეყნის მშპ-ის მოცულობა 2014 წლის მონაცემებით შეადგინა 712,05 მლრდი ა.შ.შ. დოლარი. უმუშევრობის დონემ შეადგინა 3,3%. ეკონომიკაში დაკავებულია დაახლოებით 4 მლნ ადამიანი – მოსახლეობის 57%.*

სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით და შრომის მწარმოებლურობით. სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს საკვებ პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილების 60%-ს. ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე – როგორც ნედლეულის და ნახე-

* fwd:StatisticsCH; httpdatabank.worldbank.org/data/views/reports/tableview.aspx

ვარ ფაბრიკატების იმპორტზე, ასევე სამრეწველო ნაწარმის ექსპორტზე. უმსვილეს საგარეო სავაჭრო პარტნიორებს შორის არიან გერმანია, საფრანგეთი, აშშ, იტალია, დიდი ბრიტანეთი.

შვეიცარია ტურიზმის ტრადიციული ქვეყანაა, ამ სფეროში შვეიცარია მტიცე პოზიციებს ინარჩუნებს, ევროპაში. ეროვნული შემოსავლის 15% ტურიზმი დანშემოდის. 2008 წ. 12 დეკემბრიდან, შვეიცარია ოფიციალურად შევიდა შენგენის უვიზო სივრცეში.

შვეიცარიას საგარეო სავაჭრო კავშირები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან აქვს. ქვეყნის ეკონომიკა დიდადაა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე– ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების იმპორტის თვალსაზრისით. ამას გარდა, საექსპორტოდ მიდის საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის 50%, მანქანათმშენებლობის პროდუქციის დაახლოებით 70%, ქიმიური და ფარმაცევტული პროდუქციის 90%-ზემეტი, ასევე საათების წარმოების პროდუქციის 98%. მარცვლეულის წარმოებას განსაკუთრებული ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს შორის. შვეიცარია უზრუნველყოფს საკუთარ თავს ხორბლით, ხორცის და რძის პროდუქტებით ამავე დროს აუცილებელია სასურსათო საქონლის 40%-ის იმპორტირება.**ქვეყანაში მოქმედებს სასურსათო პროდუქციის მწარმოებლებისგან სახელმწიფოს მიერ მყარ ფასად შესყიდვის ცენტრალიზებული სისტემა, ასევე ხდება წარმოების პირდაპირი სუბსიდირება. სოფლის მეურნეობა შვეიცარიის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია. სახელმწიფო მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის განვითარებას და არსებითი წვლილი შეაქვს მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეში. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს მომუშავეთა საერთო რაოდენობის 4%-ს. სოფლის მეურნეობის სფეროში შრომის ნაყოფიერების და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საწარმოო პროცესების მექანიზაცია.

პატარა შვეიცარიის წილად მოდის მსოფლიოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 2%. სავაჭრო კავშირების ძირითადი ნაწილი მიმართულია დასავლეთ ევროპის ცენტრალურ ნაწილსა და შეერთებულ შტატებზე, რაც მთლიანი ტვირთბრუნვის 80%-ს შეადგენს. შვეიცარიის ეკონომიკის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგარეო სავაჭრო კავშირებს. შვეიცარიის ეკონომიკის განვითარების სტიმულირების მნიშვნელოვანი მიმართულებაა მსოფლიოს ბაზრებზე შვეიცარიული ექსპორტის თავისუფალი გასელის უზრუნველყოფა. შვეიცარია ახდენს საგარეო ეკონომიკური კავშირების აქტივიზაციას მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან, ირანის, ვენესუელის, თურქეთის ჩათვლით.

ამგვარად, შვეიცარია ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანაა. საგარეო ბაზრებზე შვეიცარული კომპანიების მიერ გამოშვებული პროდუქცია ხასიათდება მაღალი ხარისხით და მაღალი კონკურენტუნარიანობით. ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის 90%-ზე მეტი საზღვარგარეთ გააქვთ. ქვეყნის საექსპორტო პროდუქცია იქმნება მანქანათ მშენებლობის ელექტრონულ და ქიმიურ მრენველობაზე. შვეიცარია აწარმოებს მსოფლიოს საათების პროდუქციის საერთო მოცულობის დაახლოებით ნახევარს, ამ საქონლის ექსპორტის ძირითადი პარტნიორები არიან ევროკავშირის სახელმწიფოები, აშშ და დიდი ბრიტანეთი. ევროკავშირზე მოდის შვეიცარიის საგარეო სავაჭრო ბრუნვის 70%.

შედარებისათვის განვიხილოთ საქართველოს და შვეიცარიის ძირითადი მაკრო – ეკონომიკური მაჩვენებლები.

ცხრილი 15.4.5.1. მთლიანი შიდა და ეროვნული პროდუქტი და მათი მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 2014 წელს

| ქვეყნები | საქართველო | შვეიცარია |
|---|---|---|
| ფართობი | 69,7კვ.კმ | 41,3 კვ.კმ |
| მოსახლეობა | 4.3 მლნ | 7,4 მლნ |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა | 16,53 მლრდ აშშ დოლარი | 712,05 მლრდ აშშ დოლარი |
| მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 3.68 ათასი აშშ დოლარი | 96.3 ათასი აშშ დოლარი |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა | 16,44 მლრდ აშშ დოლარი | 759,25 მლრდ აშშ დოლარი |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე | 3.66 ათასი აშშ დოლარი | 102,6 ათასი აშშ დოლარი |

** .httpwww.bfs.admmin.ch/bfs/portal/fr/index.html

| | | |
|---|---|---|
| ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (ბიუჯეტის მოცულობა) | 8,049 მლრდ ლარი | 66,353 მლრდ შვეიც. ფრანკი |
| მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა | 7633 მლრდ ლარი | 335814 მლრდ შვეიც. ფრანკი |
| მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე | 1775,1 ლარი | 453803,0 შვეიც. ფრანკი |
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა | 3579 მლრდ ლარი | 11336 მლრდ შვეიც. ფრანკი |
| სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე | 832 ლარი | 15319 შვეიც. ფრანკი |
| სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულ. მლნ ჰა | 2,85 მლნ ჰა | 1,65 მლნ ჰა |
| სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა | 330 ათასი კაცი | 160 ათასი კაცი |

**ცხრილი 15.4.5.2. საქართველო- შვეიცარიის ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა და მისი წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე 2010-2014 წწ. (შესადარი ფასებით)**

| ქვეყნები | | სულადობრივი წარმოება დოლ. | | | ზრდის ტემპები პროცენტებით | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2010 წ. | 2012 წ. | 2014 წ. | 2011 2012წწ. | 2013 2014წწ. | 2011 2014წწ. |
| საქართველო | მეშ. მლრდ აშშ დოლარი | 11277 | 15700 | 16441 | 139.2 | 145.8 | 142.5 |
| | მეშ. ერთ სულზე ათასი აშშ დოლარი | 2542 | 3490 | 3661 | 137.2 | 144 | 140.6 |
| შვეიცარია | მეშ. მლრდ აშშ დოლარი | 605335 | 675037 | 759250 | 111.5 | 125.4 | 118.4 |
| | მეშ. ერთ სულზე აშშ დოლარი | 81 802 | 91 221 | 102 601 | 111.5 | 125.4 | 118.4 |
| საქართველო | მრეწვ-ბის მთლიანი პროდუქცია მლრდ ლარი | 4850 | 6868 | 7633 | 141.6 | 157.3 | 149.5 |
| | მრეწვ-ბის პროდ-ქციის წარმ-ბა მოსახლ. ერთ სულზე ლარი | 1127.9 | 1597.2 | 1775.1 | 141.7 | 157.5 | 149.6 |
| შვეიცარია | მრეწვ-ბის მთლიანი პროდ-ქცია მლრდ შვეიცარული ფრანკი | 318081 | 323734 | 335814 | 101.7 | 105.5 | 103.6 |
| | მრეწვ-ბის პროდუქციის წარმოება მოსახლ. ერთ სულზე შვეიცარული ფრანკი | 42983.9 | 43747.8 | 453803.0 | 101.7 | 105.5 | 103.6 |
| საქართველო | სოფ-ის მეურნ-ბის პროდუქციის გამოშვება მლრდ ლარი | 2397 | 3019 | 3579 | 125.9 | 149.3 | 137.6 |
| | სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მოსახლ. ერთ სულზე ლარი | 557 | 702 | 832 | 125.6 | 149.3 | 137.6 |
| შვეიცარია | სოფ-ის მეურნ-ბის პროდუქციის გამოშვება მლრდ. ლარი | 10911 | 10791 | 11336 | 98.9 | 103.8 | 101.35 |
| | სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მოსახლ. ერთ სულზე ლარი | 1474.4 | 1458.2 | 1531.9 | 98.9 | 103.8 | 101.35 |

როდესაც გადავწყვიტეთ საქართველო – შვეიცარიის კონფედერაციის შედარებითი ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მიზანი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უმდიდრესი მაღალგანვითარებული ქვეყანა ორიენტირი ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების მხრივ. რადგან მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შვეიცარიის კონფედერაცია ევროპის სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანა იყო. ქვეყანას, რომელსაც თითქმის არ გააჩნდა სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრე და არ ქონდა ზღვასთან გასასვლელი, **ხელისუფლებამ მაღალეფექტური საზოგადოებრივ – პოლიტიკური მმართველობის სისტემის, სწორი მენეჯმენტისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვით,** მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებულ უმდიდრესი ინდუსტრიულ ქვეყნად აქცია – ინტენსიური მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობით. თანამედროვე შვეიცარია – კონკურენტუნარიანი ეკონომიკის და ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის მოცულობის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შევიდა. ამდენად, ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების მხრივ, შვეიცარია, ჩვენ მივიჩნიეთ საუკეთესო ორიენტირად და შესაბამისად მიბაძვის ობიექტად.

როდესაც შევადარეთ საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციის ფართობი, მოსახლეობა, გეოპოლიტიკური გარემო, ბუნებრივი პირობები და რესურსული პოტენციალი – გავაანალიზეთ მათი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები, დავინახეთ რომ, საქართველო ტერიტორიის ფართობითაც უფრო დიდი ქვეყანაა და რესურსული პოტეციალითაც გაცილებით მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია, მაგრამ მიუხედავადამისა, საქართველო ეკონომიკური განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება შვეიცარიას. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში. ჯ რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ცენტრალური ღერძი მრეწველობაზე და სოფლის მეურნეობაზე გადის, შევადაროთ საქართველოს და შვეიცარიის მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობები.მიუხედავად იმისა რომ, საქართველოს გააჩნია ბუნებრივ – რესურსული, სასარგებლო წიაღისეული და ადგილობრივი ნედლეული წარმოების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის, ქვეყნის, მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 7633 მლრდ ლარია, ხოლო პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 1775,1 ლარი. მაშინ როდესაც შვეიცარიას, რომელსაც თითქმის არავითარი ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრე არ გააჩნია, მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 335 814 მლრდ შვეიცარული ფრანკია, ხოლო პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 45 380,3 შვეიცარული ფრანკი, რაც თითქმის 50-ჯერ აღემატება საქართველოში გამოშვებული პროდუქციის მოცულობას, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ფასთა სხვაობას.

შევადაროთ საქართველოს და შვეიცარიას სოფლის მეურნეობის დარგები. ორივე ქვეყანას თითქმის ერთნაირი რაოდენობის სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა გააჩნია, მაგრამ სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობით საქართველო ბევრად ჩამოუვარდება შვეიცარიას.

შვეიცარიის სოფლის მეურნეობაში სადაც ამჟამად დასაქმებულია 160 ათასი კაცი უზრუნველყოფს საკვებ პროდუქტებზე 7.4 მლნ-იანი ქვეყნის მოთხოვნილების 60%-ს. ხოლო საქართველოში სადაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია დაახლოებით 330 ათასი კაცი უზრუნველყოფს საკვებ პროდუქტებზე 4.3 მლნ-იანი ქვეყნის მოთხოვნილების მხოლოდ 30%-ს.*ამავედროს, შვეიცარია მთლიანად უზრუნველყოფს საკუთარ თავს ხორბლით, ხორცის და რძის პროდუქტებით, მათი ნაწილი კი საექსპორტოდ გააქვს. ექსპორტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანია ყველი.

საქართველოში 2000 წლიდან 2012 წლამდე მკვეთრად მცირდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, თუ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 2000 წ. შეადგენდა 20,6%-ს, 2008 წ. მან შეადგინა – 8,9%, 2010 წ. კი – 8,4%.** 2012 წლიდან ხელისუფლების მიერ გატარებული აგრარული პოლიტიკა სწორედ მათ განვითარებასა და ხელშეწყობაზე არის ორიენტირებული, შედეგად შეიმჩნევა მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის ზრდა.

აგრარული სექტორის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს. ამდენად, სახელმწიფო პოლიტიკამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის ამაღლებას, მიწის ეფექტიან გამოყენებას და მაქსიმალური შრომაუკუგების მიღებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, სასოფლო შინამეურნეობათა კოოპერატივების შექმნას, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებე-

* www.gcostal.ge

** საქართველოს 2004 წ. სასოფლო – სამეურნეო აღწერა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005.

ლი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების შექმნასა და განვითარებას .მეორე მხრივ ქვეყანაში სასურსათო პროგრამის უზრუნველყოფისათვის უნდა გატარდეს განსაკუთრებული ღონისძიებები: უნდა მოხდეს აგრარული სექტორის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის განვითარება; უნდა შეიქმნას აგრარული სექტორში შრომის მწარმოებლურობის მაღალი დონე და მაღალკონკურენტუნარიანი ადგილობრივი პროდუქცია; ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა გახდეს კონკურენტუნარიანი უცხოურ პროდუქციასთან მიმართებაში; უნდა შეიქმნას სასოფლო – სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვის მაღალი დონე და უნდა მოისპოს ქვეყნის მაღალი დამოკიდებულება სტრატეგიული სურსათის იმპორტზე; სოფელში უნდა გაუმჯობესდეს ცხოვრებისა და შრომის პირობები; უნდა მოხდეს ქალაქისა და სოფლის წარმოებრივი და არაწარმოებრივი სფეროების მაქსიმალური ინტეგრაცია; ასევე უნდა მოხდეს სოფლად სანარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში და შეაჩერებს სოფლის მოსახლეობის ქალაქში მიგრაციას. ბუნებრივია ამ ღონისძიებების გატარება დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში განხორციელებულ ეკონომიკურ (მ.შ აგრარულ და სოფლის განვითარების ) პოლიტიკაზე.

როდესაც შვეიცარია ჩვენ მივიჩნიეთ ეკონომიკური ზრდის საუკეთესო ორიენტირად და შესაბამისად მიბაძვის ობიექტად, ჩვენ მხედველობაში გვქონდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების და საერთოდ ეკონომიკური პოლიტიკის ისე გატარება, როგორც ეს მოახერხა შვეიცარიის ხელისუფლებამ. ჩვენ უნდა ორიენტირი ავიღოთ შვეიცარიის ეკონომიკის არა მარტო იმ სფეროების მიმართ რომლის ძირითადი მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლები გავაანალიზეთ, არამედ იმ სფეროების მიმართაც, რომელშიც საქართველოს დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია: როგორიცაა ენერგეტიკა, ტურიზმი, ტრანსპორტი, მცირე მეწარმეობა, მომსახურეობის სფერო. საბოლოოდ ამ სფეროების განვითარება, იმ შეღავათებისა და პრეფერენციების სწორად გამოყენება, რომლებიც მინიჭებული აქვს ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის ფორმატში, უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საწინდარი.

# მსოფლიო გლობალიზაცია, ინტეგრაცია და საქართველო

## 16.1 მსოფლიო გლობალიზაციისა, და ინტეგრაციული პროცესების ზოგადი მიმოხილვა

თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებაა გლობალიზაციისა ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაცია, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გადაქცევა ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ინტეგრაცია თანამედროვე პირობებში პოლიტიკური ურთიერთობებითა და შრომის საერთაშორისო დანაწილებითაა განპირობებული. იგი ფაქტობრივად, თავისი არსის რეალიზაციას ქვეყნებს შორის დაახლოებაში, მოქმედებათა გაერთიანებასა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ბლოკების შექმნაში პოულობს.

ქვეყნებს შორის ინტეგრაციას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის შეიძლება დასახელდეს ეკონომიკური, პოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკა. ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებზე მზარდ გავლენას ახდენს ქვეყნების, მათი მოსახლეობის ზოგადეროვნული და ზოგადკონტინენტური მოთხოვნილებები. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ დარგში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს აუცილებლად ესაჭიროება გარკვეული გეოგრაფიული სივრცე.

გეოგრაფიული მეცნიერება ერთმანეთისაგან განასხვავებს ტერმინებს გეოგრაფიული სივრცე და ტერიტორია, თუმცა ისინი ერთნაირი შინაარსითაც გამოიყენება. „ტერიტორიის“ ცნება „სივრცის“ ცნებისაგან განსხვავდება თავისი კონკრეტულობით, დედამიწის ზედაპირზე გარკვეულ კოორდინატებთან მიბმულობით. გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია, მართალია, საპირისპირო ტენდენციებია, მაგრამ ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, პირიქით, აძლიერებენ კიდეც, რადგანაც მსოფლიო გლობალიზაცია, ფაქტობრივად, რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებების მეშვეობით ხორციელდება, ამ უკანასკნელთა შიგნით კი, ინტეგრაცია გლობალიზაციის პროცესით ძლიერდება. არავინ არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციამ შეცვალა ეროვნული სახელმწიფოს როლი. საზღვრები არ მოიშალა, მაგრამ უფრო გაიოლდა მათი გადალახვა. კაპიტალი, საქონელი და მომსახურება – ნაკლები ხარისხით – ადამიანები უფრო მობილურები გახდნენ, შეუძლებელია მათი გაჩერება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. ახალი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა დარღვეულ იქნას წარმოების, მათ შორის მეცნიერებატევადი დარგების კავშირი გარკვეულ ტერიტორიასთან. ეს პროცესი ორ დონეზე მიმდინარეობს. ერთსაც და მეორესაც უწოდებენ „რეგიონულს“. კონტექსტიდან გამომდინარე, იგულისხმება სახელმწიფოთაშორისო (ზოგადეროვნული თვალსაზრისით) და შიდასახელმწიფოებრივი. ქვეყნების შესაბამისი ჯგუფების მიხედვით დანაწილების კრიტერიუმები საკმაოდ მრავალმხრივია. ჯერ ერთი, შეიძლება გამოვიყენოთ რეგიონული მიდგომა, რომელსაც საფუძვლად დაედება მსოფლიოს დანაწილება ისტორიულ-კულტურულ რეგიონებად. ყველაზე მარტივი გეოგრაფიული სქემა იქნება ქვეყნების დაჯგუფება კონტინენტების მიხედვით. მსოფლიო ქვეყნების გაერთიანებამ, თანდათანობით გამოკვეთა საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ზონები და მიმართულებები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ინტეგრაციის პროცესი ევროპაში განსაკუთრებით გამოიკვეთა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იგი განაპირობა სოციალისტური ბანაკის შექმნამ დასავლეთ ევროპასთან. მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში დასავლეთ ევროპაში შეიქმნა მთელი რიგი გაერთიანებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სავაჭრო, ფინანსურ-ეკონომიკური, აგრეთვე თავდაცვითი პროექტების განხორციელებას.

ევროპის კონტინენტზე, მნიშვნელოვან ორგანიზაციას წარმოადგენს ევროპის კავშირი, რომელიც 1951 წელს ჩამოყალიბდა. ევროკავშირი ძალიან მაღალი ინტეგრაციის დონით ხასიათდება. აქ, ძალაშია კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლის, მომსახურების თავისუფალი გადაადგილება, ერთიანი ვალუტა – ევრო. ევროპის კავშირის ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა სისტემა, მოიცავს ევროპის საბჭოს, ევროპის პარლამენტს, ევროპული კავშირის საბჭოს, ევროპულ კომისიასა და ევროპულ სასამართლოს.

ევროსაბჭო ევროკავშირის ერთ– ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ინსტიტუტია. ევროსაბჭოს საქმიანობა ძირითადად შემდეგი მიმართულებით წარმოებს: ადამიანის უფლებები, მასმედია, საკანონმდებლო თანამშრომლობა, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, ჯგამრთელობა, განათლება, კულტურა, მემკვიდრეობა, სპორტი, ახალგაზრდობის საკითხები, ადგილობრივი და რეგიონული მიმართულება და გარემოს დაცვა. ევროსაბჭო სამი ძირითადი ინსტიტუტისაგან შედგება: მინისტრთა კაბინეტი, საპარლამენტო ანსამბლეა და ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესი. ევროკავშირის ჩამოყალიბებას ლოგიკურად მოჰყვა ევროპის თავისუფალი სავაჭრო ზონის (**EFTA**) შექმნა.

1992 წლის 25 ივნისს სტამბულში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია –

დაფუძნდა. ბბისეკ-ის ფარგლებში ფუნქციონირებს მუდმივი საერთაშორისო სამდივნო, საპარლამენტო ანსამბლეა, ბიზნეს საბჭო, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბისეკ-ის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის თურქეთს, რომლის ერთ– ერთი აქტიური წევრია საქართველო.

ამერიკის ქვეყნებში რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები ეკონომიკური ინტეგრაციის სამი ფორმის რეალიზაციას ახდენენ:

თავისუფალი ვაჭრობის ზონა:

თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონა (NAFTA); გათვალისწინებულია ბაჟის გაუქმება ურთიერთ ვაჭრობაში.

საერთო ბაზარი:

სამხრეთის საერთო ბაზარი (MERCOSUR);

ცენტრალურ ამერიკული საერთო ბაზარი (CACM).

გათვალისწინებულია: ბაჟის გაუქმება, კაპიტალების და სამუშაო ძალების თავისუფალი მოძრაობა. ერთიანი ტარიფების შემოღება, ეკონომიკური სავალუტო ფინანსური პოლიტიკის კოორდინირება.

ეკონომიკური კავშირი და საერთო ბაზარი:

**NAFTA** – თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონა 1994 წელს შეიქმნა აშშ– ს, კანადასა და მექსიკა შორის. **NAFTA** -ს წევრი ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია რეგიონული ინტეგრაციის შედეგად სოფლის მეურნეობის ენერგეტიკისა და ინვესტიციების სფეროში მიღწეული შედეგები.

**MERCOSUR** – სამხრეთის საერთო ბაზარი 1961 წელს შეიქმნა და მასში გაერთიანდნენ არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი და ურუგვაი. 1996 წელს ასოციაციის შეთანხმებას ხელი მოაწერეს ჩილემ, ბოლივიამ და ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობის ზონა.

**MERCOSUR**-ის სივრცეში თავმოყრილია კონტინენტის მოსახლეობის 45%, 200 მლნ Aადამიანი და კონტინენტის მშპ-ის 50% – რომელიც 1.0 ტრლნ აშშ დოლარია.

აზიურ- წყნაროკეანური რეგიონის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას ხელს უწყობდა რეგიონული თანამშრომლობა (APEC, ASEAN) სუბრეგიონული ინსტიტუტების ჩარჩოებში. აზიაში ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითად ფორმას ყველა ხუთ მოქმედ რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციაში ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს. ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კოორდინირება, შიგარეგიონული ვაჭრობის განვითარებისათვის დახმარება, სამრეწველო თანამშრომლობა, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა Dდა სხვა;

**APEC** – აზიურ – წყნაროკეანური ეკონომიკური თანამშრომლობა შეიქმნა 1989 წელს. მისი წევრია 18 სახელმწიფო: ავსტრალია, Bბრუნეი, Cჩინო კონგი, კანადა, ჩინეთი, ჯაპონია, მალაზია, მარშალის კუნძულები, მექსიკა, ახალი ზელანდია, პაპუა-ახალი გვინეა, კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, აშშ, ტაილანდი, ტაივანი, ფილიპინები, ჩილე. 1997 წელს **APEC** – ში წევრად მიღებულ იქნა რუსეთის ფედერაცია.

**ASEAN** – სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია შეიქმნა 1967 წელს. მისი წევრია ცხრა სახელმწიფო: Bრუნეი, ვიეტნამი, ინდონეზია, კამბოჯა, ლაოსი, მალაიზია, ფილიპინები, სინგაპური და ტაილანდი.

**CAEU** – არაბული ეკონომიკური ერთიანობის საბჭო 1964 წელს შეიქმნა. Mმის შემადგენლობაში შედის 12 ქვეყანა: ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, იემენი, ქუვეითი, ლიბია, მავრიტანია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, პალესტინა, სირია სომალი, სუდანი.

**ECO** – ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია 1985 წელს შეიქმნა. Mმის შემადგენლობაში შედის 10 ქვეყანა: Aაზერბაიჯანი, ავღანეთი, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, პაკისტანი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, თურქეთი და უზბეკეთი. Eეკონომიკური თანამშრომლობა და ბრძოლა ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან.

აფრიკის ქვეყნებში რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ხორციელდება ოთხი ეკონომიკური კავშირის ჩარჩოებში.

**UDEAC** – ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოები;

**ECOWAS** – დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოები;

**SADC** – სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოები;

**COMESA** – აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოები;

ყველა ეს ორგანიზაცია ეკონომიკურ დაჯგუფებებს წარმოადგენს, რომელთაც საერთო ბაზარი– საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა გამოაცხადეს.

მრავალ ფაქტორთა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ცივილური და ინსტიტუციონალური პირობების შექმნა, რომლებიც თანამედროვე ვითარებაში რეგიონების ეკონომიკის ეფექტიანობისათვის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც კი აღმოჩნდეს, ვიდრე ბუნებრივი რესურსები.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მსოფლიოს რეგიონული კლასიფიკაციის რამდენიმე მოდელი, რომელთაგან ყველაზე მისაღებად მიგვაჩნია კულტურულ-ისტორიული რეგიონების გამოყოფის სქემა. კულტურულ-ისტორიული რეგიონები ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით მეტნაკლებად მთლიანი ტერიტორიებია. ასეთი მიდგომის თანახმად, მაგალითად, ამერიკა იყოფა:

**ინგლისურენოვან ჩრდილოეთ ამერიკად:** – ამერიკის შეერთებული შტატები, ბერმუდა, გრენლანდია, კანადა, სენპიერ-მიკელონი.

**ესპანურ-პორტუგალიურენოვან ლათინურ ამერიკად და კარიბის აუზად:** კარიბის აუზი: – ანგილია, ანტიგუა-ბარბუდა, არუბა, ბარბადოსი, ბაჰამები, ვირჯინიის კუნძულები (აშშ), ვირჯინიის კუნძულები (ბრიტანეთი), გვადელუპა, გრენადა, დომინიკა, დომინიკელთა რესპუბლიკა, იამაიკა, კაიმანის კუნძულები, კუბა, მარტინიკა, მონსერატი, ნიდერლანდების ანტილები, პუერტორიკო, სენტვინსენტ-გრენადინები, სენტკიტს-ნევისი, სენტლუსია, თერქს-ქაიქოსის კუნძულები, ტრინიდად-ტობაგო, ჰაიტი.

**ევროპაში, შესაბამისად, გამოიყოფა:**

**აღმოსავლეთი ევროპა:** – ბელარუსი, ბულგარეთი, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ჩეხეთი.

**ჩრდილოეთი ევროპა:** – გაერთიანებული სამეფო, დანია, ესტონეთი, ირლანდია, ისლანდია, ლატვია, ლიტვა, ნორვეგია, სვალბარდ-იანმაიენი, ფარერის კუნძულები, ფინეთი, შვედეთი.

**სამხრეთი ევროპა:** – ალბანეთი, ანდორა, ბოსნია-ჰერცოგოვინა, გიბლარტარი, ესპანეთი, ვატიკანი, იტალია, მაკედონია, მალტა, პორტუგალია, საბერძნეთი, სანმარინო, სერბია-მონტენეგრო, სლოვენია, ხორვატია.

**დასავლეთი ევროპა:** – ავსტრია, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მონაკო, ნიდერლანდები, შვეიცარია.

**აზიაში გამოიყოფა:**

**აღმოსავლეთი აზია:** – ჩინეთი, ჰონგკონგი, მაკაუ, კორეა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, იაპონია, მონგოლეთი, ტაივანი, აშშ-ს შორსმდებარე კუნძულები.

**სამხრეთ-ცენტრალური აზია:** – აღანეთი, ბანგლადეში, ბუტანი, თურქმენეთი, ინდოეთი, ირანი, მალდივები, ნეპალი, პაკისტანი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შრილანკა.

**სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია:** – ბრიტანეთის ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში, ბრუნეი, ვიეტნამი, ინდონეზია, კამბოჯა, ლაოსი, მალაიზია, მიანმა, სინგაპური, ტაილანდი, ტი-მორ-ლესტე, ფილიპინები.

**დასავლეთი აზია:** – აზერბაიჯანი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ბაჰრეინი, ერაყი, თურქეთი, იემენი, იორდანია, ისრაელი, კვიპროსი, ლიბანი, ომანი, საუდების არაბეთი, საქართველო, სირია, სომხეთი, ქუვეითი, ყატარი.

## 16.2 საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეფასება და მისი მონაწილეობა მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს გეოპოლიტიკური გარემო

**რა არის გეოპოლიტიკა** – ესაა ზოგადად მსოფლმხედველობა – უფრო კონკრეტულად ხელისუფლების მსოფლმხედველობა. თანამედროვე მსოფლიოში გეოპოლიტიკა წარმოადგენს ხელისუფლებისათვის სახელმძღვანელოს, რაც აუცილებელია გაითვალისწინოს გლობალური გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიცაა კავშირის დამყარება, რეფორმის განხორციელება, პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების შემოღება, ომის დაწყება და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს როლი და ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში.

დღეისათვის ფართო მსჯელობა მიმდინარეობს ზოგად-საკაცობრიო გლობალურ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და მომავლის შესაძლო პერსპექტივებზე. ამ საკითხთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს გეოპოლიტიკური პრობლემები. ამიტომ წამოიჭრება კითხვები მისი რაობის შესახებ.

გეოპოლიტიკა – ეს მსოფლმხედველობაა და აქედან გამომდინარე, უკეთესია, იგი შევადაროთ მეც-

ნიერებათა სისტემას. თანამედროვე მსოფლიოში გეოპოლიტიკა წარმოადგენს ხელისუფლების სახელმძღვანელოს, რომელშიც რეზიუმირებულია ის, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია ისეთი გლობალური გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორებიცაა: კავშირების დამყარება, ომის დაწყება, რეფორმების განხორციელება და ა.შ. მაშასადამე, გეოპილიტიკა – ესაა ხელისუფლების მსოფლმხედველობა.

• როგორი გეოპოლიტიკური მდგომარეობა აქვს საქართველოს და როგორ შეუძლია გამოიყენოს იგი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის?

ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა პირდაპირ უკავშირდება მის გეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობას. საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს კავკასიის რეგიონში. იგი მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს. ამიტომ საქართველომ არ უნდა მიიღოს ე.წ „სანიტარული ქვეყნის“ მნიშვნელობა(არ უნდა აღმოჩნდეს უმსხვილეს გეოპოლიტიკურ წარმონაქმნებს შორის, რადგან კავშირი ან შესვლა რომელიმე მათგანის სივრცეში შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის).

რაც შეეხება ეროვნულ ეკონომიკას, დღეს ბევრი იწერება მისი რეორგანიზაცია-განახლების შესახებ. ეროვნულ ეკონომიკასთან არის უშუალოდ დაკავშირებული საქართველოს უმდიდრესი ბუნებრივი, გეოპოლიტიკური და, რაც მთავარია ქართველი ხალხის შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოყენება. პრაქტიკა ადასტურებს, რომ საქართველოს მაკრო დონეზე, ხანგძლივადიან პერიოდში უნდა ჰქონდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. ამ პროგრამის საფუძველზე საჭიროა ჰარმონიაში იქნეს მოყვანილი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან მიღებული რესურსები რეგიონების გათვალისწინებით. თავის მხრივ, ეროვნული ეკონომიკის რეორგანიზაციისთვის საჭიროა შესაბამისი თეორიული და საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რასაც გარკვეულ ფარგლებში წინ უნდა უსწრებდეს ეკონომიკური ექსპერიმენტებიც.

საქართველოს სახელმწიფო მდებარეობს კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, აზიისა და ევროპის კონტინენტების შესაყარზე, დედამიწის სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ პერიფერიაზე. საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას გააჩნია არაერთი დადებითი მხარე, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე საქართველოს კარგი შესაძლებლობები აქვს გახდეს დამაკავშირებელი ხიდი დასავლეთისა და აღმოსავლეთ ცივილიზაციებს შორის;

2. ზღვისპირა მდებარეობა ხელს უწყობდა ქრისტიანული კულტურის მატარებელ ევროპელ ხალხებთან კავშირის დამყარებას. ასეთი კავშირები ჩაისახა უძველეს დროში და ბევრად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა საქართველოში გავრცელდა;

3. საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი კომუნიკაციები. ეს საშუალებას აძლევდა ჩვენს სამშობლოს ჩართულიყო მის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ქვეყნების სამეურნეო და კულტურულ ურთიერთობებში;

დღევანდელი საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვისპირა მდებარეობას. ამ მხრივ საქართველოს ბევრნაირი უპირატესობა აქვს ამიერკავკასიის და შუა აზიის სახელმწიფოებთან შედარებით, რადგან უშუალოდ გადის საერთაშორისო სანაოსნო გზებზე და არა მარტო თვითონ ამყარებს კავშირურთიერთობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან, არამედ ტრანზიტით შეუძლია გააბაროს ბევრი სხვა სახელმწიფოების ტვირთები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს როლისა და ადგილის გარკვევა მსოფლიო თანამეგობრობაში, იმ გეოპოლიტიკური ძალების ცვლილების კონტექსტში, რომელიც ბოლო წლებში მოხდა. საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციას შეუძლია გარანტია მისცეს ყველა ხალხს და სახელმწიფოს ნამდვილი სუვერენიტეტის, მაქსიმალური პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. საქართველოს სტრატეგიული მიმართულება უნდა იყოს ეთგვაროვანი, „ზომიერი როგორც ჩრდილოეთისკენ ისე დასავლეთისაკენ“.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობით ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ჯერ კიდევ წარსულში ის იყო ევროპასა და აზიის დამაკავშირებელი, აქ გადიოდა აბრეშუმის გზა. შეიძლება ნაწილობრივ ამან დაკარგა მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის პერიოდში, რადგან საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობდა და კავშირი ევროპასა და აზიის ქვეყნებთან არ გააჩნდა.

მაგრამ, როგორც კი საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ თავისი ფფუნქცია დაიბრუნა.

## 16.3 საქართველო ევრო-აზიულ სივრცეში, ენერგეტიკული დერეფანი და ეროვნული ეკონომიკა ინტეგრაციულ პროცესებში

საქართველო, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მდებარეობს მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთაზე, სწორედ აქედან ჩანს, ქვეყნის ის ფუნქცია, რომელიც არ შეიძლება არ გამოვიყენოთ. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსების გამოყენება მდგომარეობს პირველ რიგში – საუკუნის პროექტის „აბრეშუმის გზის" აღდგენაში. ეს პროცესი სპეციალისტების აზრით სამი ძირითადი მიმართულებით განვითარდება: ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (TRASEKA), ტრანსკავკასიური სტრატეგიული ენერგეტიკული დერეფანი და ტრანსკავკასიური სატელეკომუნიკაციო ქსელი.

ტრასეკა ითვალისწინებს:

- საქართველოს სარკინიგზო გზების გაუმჯობესებას – ახალი „აბრეშუმის გზის" აღორძინებას;
- ევრო – აზიის სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობა – **ტრასეკა** მოითხოვს-საქართველოს მთელი სატრანსპორტო სისტემის, რკინიგზის, საავტომობილო გზებისა და ტრანსპორტის, საზღვაო პორტების, ტერმინალების, განვითარებასა და რეკონსტრუქციას.

**ტრასეკა** ხელს შეუწყობს საქართველოში ინფრასტრუქტურის, წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე ხელს შეუწყობს ტურიზმის, ალპინიზმის და საერთაშორისო კურორტების განვითარებას. ტრასეკა ხელს შეუწყობს საბაიუჯეტო შემოსავლების გადიდებას, უმუშევრობის, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას.

**ტრასეკას პროექტი ითვალისწინებს:**

ა) საავტომობილო გზების რეაბილიტაციას. მოდერნიზაციას დაახლოებით 400 კმ სიგრძის სატრანსპორტო მაგისტრალის რეკონსტრუქციას. იგი ითვალისწინებს გზისპირა ინფრასტრუქტურის განვითარებას (სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვა.)

ბ) საავტომობილო ტრანსპორტის მოდერნიზაციას, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში ჩართვას;

გ) სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებას – რკინიგზის რესტრუქტურიზაციასა და განვითარებას, ტვირთბრუნვისა და მგზავრების გადაყვანის გადიდებას;

დ) საავიაციო ტრანსპორტის – აეროპორტის მშენებლობა, მოდერნიზაციას ტვირთების და მგზავრთა რაოდენობის მკვეთრად გაზრდას;

ე) საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას – პორტების რეკონსტრუქციასა და მშენებლობას. ბათუმი, ფოთი, ანაკლია, ტერმინალების მშენებლობას, საბორნე გადასასვლელების და სარკინიგზო საბორნე გადასასვლელების აშენებას.

ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციები, საინვესტიციო და კომერციული ბანკები.

მეორე – აღმოსავლეთ დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფანი – ანუ **ტრანსკავკასიური სტრატეგიული ენერგეტიკული დერეფანი.**

საქართველო წარმოადგენს ბუნებრივ დერეფანს ევროპასა და აზიას შორის.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა მზარდი დაინტერესება კასპიის აუზის ენერგომატარებლით. ჯერ კიდევ 1904 წელს ძმებმა ნობელმა და მათმა კომპანიამ ააშენა ბაქო-ბათუმის მილსადენი. ეს იყო პირველი მილსადენი მთელს რუსეთის იმპერიაში, რომელიც გამოიყენებოდა აზერბაიჯანის წარმოებული ნავთის, შემდგომში ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებისათვის, რომლის გადამუშავება ხდებოდა ბათუმის ნავთობ-გადამამუშავებელ ქარხანაში.

1995 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის სექტორში აზერის, გიუნეშლის და ჩირაგის საბადოებზე მოპოვებული ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებაზე – რამაც საფუძველი ჩაუყარა ბაქო – სუფსის ნავთობსადენის და სუფსის სახმელეთო ნავთობის ტერმინალის მშენებლობას.

1999 წელს სუფსაში ბაქო-სუფსის ნავთობსადენით ტრანსპორტირებული აზერბაიჯანული ნავთობით პირველი ტანკერი დაიტვირთა. ამით საფუძველი ჩაეყარა ბაქო სუფსის ნავთობსადენით კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზრებამდე. ტრასეკას ამოქმედებით ტვირთბრუნვა 2005 წლისათვის თითქმის 6-ჯერ გაიზარდა.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე და უფრო შორეულ პერსპექტივაშიც სააქართველოს საზღვაო ტრანსპორტისა და ქვეყნის მთელი სატრანსპორტო კომპლექსის განვითარების მომავალი მჭიდროდ

და ორგანულად უკავშირდება ისტორიული და დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების პერსპექტივას, ტრასეკას, როგორც ევროპა – კავკასია – აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების მომავალს, მისი ფუნქციონირების ამოცანებს და მნიშვნელობას.

ისტორიულად სავაჭრო-სატრანსპორტო გზები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა, უძველესი დროიდანვე სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო სავაჭრო გზების ერთიან სისტემას მოიცავდა. საქართველოს ტერიტორია, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყოველთვის მონაწილეობდა იმ სავაჭრო-სატრანსპორტო ტვირთების გადაზიდვებში, რომლებიც ცენტრალური და წინა აზიის ქვეყნებიდან მოემართებოდა ევროპისაკენ, პირველ რიგში საქართველოს შავი ზღვისპირეთისაკენ და აქედან ზღვით-რომის, საბერძნეთის და ბალკანეთის ქვეყნებისაკენ. წარმოიშვა და თანდათანობით ყალიბდებოდა დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა, რომელიც ჩინეთში და ინდოეთში იწყებოდა და საქართველოს ტერიტორიისაკენ მოემართებოდა.

როგორც ვხედავთ ზემოთაღნიშნული გზები ჩინეთიდან და ინდოეთიდან მომავალ დიდ გზას უერთდებოდა. ამ გზით ძვ. წ. XI საუკუნიდან რომში და ბიზანტიის იმპერიაში ჩინური აბრეშუმი შემოჰქონდათ, რის გამოც მას აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა ეწოდა.

დიდი აბრეშუმისა და მისი შენაკადი გზების ისტორიული მნიშვნელობა საქართველოსათვის იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ამჟამად ის ძირითადი სატრანსპორტო არტერიებია, რომლებითაც საქართველოს დედაქალაქი უკავშირდება შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებს, ჩრდილოეთ-კავკასიას, აზერბაიჯანს ანუ მთელ მსოფლიოს დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით.

თანამედროვე ეტაპზე – მსოფლიო ეკონომიკური და სატრანსპორტო ინტეგრაციის, გლობალიზაციის პერიოდში წარმოიჭრა „აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის“ აღორძინების იდეა. რთული სატრანსპორტო სისტემის აღდგენა – განვითარება უშუალოდ უკავშირდება ევრაზიის ერთიანი სივრცის და მის ფარგლებში საერთო ბაზრის განვითარების პრობლემებს, იგი გამოდის ახლი ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის-ტრასეკას სისტემის სახით. ამ სატრანსპორტო დერეფნის, ანუ დიდი აბრეშუმის გზის აღორძინება-ამოქმედება უდიდეს პერსპექტივებს, ახალ ამოცანებს სახავს საქართველოსა და მთელი კავკასიის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში. **ტრასეკა** ევრაზიის ვრცელი რეგიონის ინტეგრაციის, დაბალანსებული განვითარებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილიზაციის ფაქტორად გვევლინება.

ტრასეკას პროგრამას აქვს ოთხი სტრატეგიული მიზანი:

1. სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის, პოსტსაბჭოური ქვეყნის ეკონომიკების დაკავშირება ევროპულ და მსოფლიო ბაზართან რუსეთისაგან მათი დამოკიდებულობის შესუსტებისა და ახალი ალტერნატიული სატრანსპორტო – სატრანზიტო კომუნიკაციის საშუალებით;

2. სამხრეთ კავკასიისა და თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და კოოპერირებისათვის ხელის შეწყობა;

3. აღნიშნულ ქვეყნებში მსოფლიო ინვესტორების მოზიდვა;

4. ტრასეკას დაკავშირება ტრანსევროპული და, მაშასადამე, მსოფლიო სატრანსპორტო კომუნიკაციებთან.

ტრასეკას პროექტის განხორციელების პროცესში საფუძველი ეყრება პანევროპულ სატრანსპორტო სისტემის ევროპის ინტეგრირებული სატრანსპორტო კომუნიკაციების ნაწილად აღიარებას. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც მიჩნეულია ევროპული სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად, საქართველოს ტრანსპორტის სამომავლო განვითარების უმნიშვნელოვანესი ორიენტირი გახდა. დასახულია ამოცანა, რომ ტრასეკას დერეფნის სტატუსი აღმოსავლეთ ევროპის პრიორიტეტული დერეფნის (ე.წ. „კრეტის დერეფნები“) სტატუსს გაუთანაბრდეს. ამის შედეგად დაჩქარდება საქართველოს ტრანსპორტის ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, მისი აღიარება ევროპული სატრანსპორტო სისტემის ნაწილად. ეს ორგანიზაციულად შესაძლებელი ხდება პანევროპული სატრანსპორტო არეალის შექმნით, რომლის შემადგენლობაშიც მოექცია აგრეთვე საქართველო.

პრაქტიკულად დაფიქსირდა ის ფაქტი, რომ საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ევროპის სატრანსპორტო სისტემის ნაწილად ყალიბდება. თავის მხრივ ევროპული ქვეყნების სატრანსპორტო პოლიტიკა საქართველოს განიხილავს, როგორც თავისი ინტერესების ნაწილს და ცდილობს ჩვენი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობას იმ დინებე, რომ დაჩქარდეს მისი ინტეგრირება ევროპულ სატრანსპორტო სისტემაში. ტრასეკასა და პეტრას პროგრამების შემადგენელი გახდა აგრეთვე პროგრამა „ინოგეიტი“, რომელიც გაზის მილსადენების რეაბილიტაციის, ნავთობისა და გაზის სფეროში პრიო-

რიტეტულ ინვესტიციებს ითვალისწინებს. საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს აქტიურ ღონისძიებებს აღნიშნული პროექტისა და პროგრამების რეალიზაციისათვის.

ამრიგად, ტრასეკა და ახალი აბრეშუმის გზა აზიისა და ევროპის მრავალი ქვეყნის დიდ ინტერესს იწვევს. იგი ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ინტეგრირებას ევროპულ სტრუქტურებში, მათი ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების მჭიდროდ დაკავშირებას დასავლეთის არეალთან, ევროპისა და მსოფლიო ბაზრის სტრუქტურებთან.

პრაქტიკულად დასტურდება, რომ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი მრავალდარგოვანი და მრავალფუნქციური სატრანსპორტო კომუნიკაციაა, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალური აზიის, კასპიის ზღვის აუზის, ყაზახეთის, ამიერკავკასიის, აგრეთვე რუსეთის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ათვისებას, მათ მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ადრეული ნავთობის გადაზიდვა მილსადენით, ნავთობის სარკინიგზო გადაზიდვები, სუფსის ტერმინალის, ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის ნავთობსადენისა და აზერბაიჯან – საქართველო – თურქეთის გაზსადენის ამოქმედება, ტრანსკავკასიური გადაზიდვების პროექტების განხორციელება. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ტრასეკა უფრო რენტაბელური და კონკურენტუნარიანი იქნება, ვიდრე სხვა ალტერნატიული გზები. ტრასეკას ფუნქციონირება მოხდება საკმაოდ მწვავე კონკურენტულ გარემოში ევრაზიის სხვა ალტერნატიულ სატრანსპორტო მაგისტრალებთან, მათ შორის ჩრდილოეთის (რუსეთი) და სამხრეთის (თურქეთ-ირანი) მარშრუტებთან. ამიტომ აუცილებელია ისეთი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური და საფინანსო-ეკონომიკური პირობების შექმნა, რაც მას უფრო იაფს, მიმზიდველსა და მოსახერხებელს გახდის სხვა მარშუტებთან შედარებით.

ტრასეკა მოითხოვს საქართველოს მთელი სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციას. კერძოდ, საჭიროა საზღვაო ფლოტისა და ნავსადგურების, ტერმინალების განვითარება საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების, რკინიგზის, აეროპორტების ტექნიკური გადაიარაღება, მათი მოდერნიზაცია, სტრუქტურიზაცია, მართვის ორგანიზაციის გარდაქმნა და სრულყოფა საერთაშორისო მოთხოვნათა გათვალისწინებით. ყოველივე ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციაში მონაწილეობის მუდმივი ფუნქციის შეძენას, გეოგრაფიული მდებარეობის, უნიკალური ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის, აბრეშუმის გზისა და ტრასეკას გამოყენებით.

1999 წელს ხელი მოეწერა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითად საექსპორტო ნავთობსადენის სამთავრობთაშორისო ხელშეკრულებას.

ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის განვითარების გეგმა.

1. საბაზისო დაპროექტება 26 მლნ აშშ დოლარი – 7 თვე.
2. დეტალური დაპროექტება 150 მლნ აშშ დოლარი – 12 თვე.

ბაქო– თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ტექნიკური პარამეტრები:

1. დასაწყისი წერტილი – სანგაჩალის ტერმინალი (აზერბაიჯანი)
2. საბოლოო წერტილი – ჯეიჰანის ტერმინალი (თურქეთი)
3. აზერბაიჯანის მონაკვეთი – 449 კმ.
4. საქართველოს მონაკვეთი – 244 კმ.
5. თურქეთის მონაკვეთი – 1059 კმ.
6. მთლიანი სიგრძე – 1752 კმ.
7. საპროექტო წარმადობა – 50 მლნ ტონა წელინადში, 10 ჯერ მეტი ვიდრე ბაქო-სუფსის ნავთობსადენის წარმადობა.
8. ღირებულება – 2.9 მლრდ დოლარი.
9. მშენებლობის დაწყება – 2002 წელი.
10. მშენებლობის დამთავრება – 2005 წელი, რომელიც პირობით გადავადდა ერთი წლით.

საზღვაო ტერმინალი ჯეიჰანში– 155 ათასი კუბამეტრი მოცულობის (ანუ 125 ათასი ტონა) ნავთობის შესანახი რეზერვუარი – 6 ცალი.

ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხილვისას გამოყენებული იქნა უმაღლესი დონის საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტები:

1. ევროგაერთიანების (EU) და სხვა სტანდარტები;
2. ჰოლანდიისა და ავსტრიის გარემოსდაცვითი სტანდარტები.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ტრანსპორტირებული ნავთობის მოცულობების მიხედვით საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლები პროექტით:

1. 2004– 2008 წელი, გატარებული ნავთობი – 126 (მლნ\ტ) 112 მლნ აშშ დოლარი;

2. 2009– 2019 წელი, გატარებული ნავთობი – 545 (მლნ\ტ) 566 მლნ აშშ დოლარი;

გატარებულ ნავთობზე ტარიფი:

1. ერთ ბარელზე – 2004– 2008 წელი 12 ცენტი; ხოლო 2009– 2019 წელი 14 ცენტი;

2. ერთ ტონაზე – 2004– 2008 წელი 0.89 დოლარი; ხოლო 2009-2019 წელი 1.04 დოლარი;

40 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტი მიიღებს 2 მლრდ აშშ დოლარს ანუ, საშუალოდ წელიწადში 62 მლნ 500 ათას აშშ დოლარს;

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის სისტემის „ბაქო-თბილისი-ერზრუმის" პროექტი

„ბაქო- თბილისი- ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის სისტემის" პროექტით საქართველოს, თურქეთისა და შემდგომში ევროპის ბაზარზე ტრანსპორტირებული იქნება აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორში მდებარე „შაჰ-დენიზისა" და კასპიის ზღვის აუზის სხვა საბადოებიდან მოპოვებული ბუნებრივი გაზი.

კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ სექტორში მდებარე „შაჰ-დენიზის" გაზის საბადო და წყალქვეშა შემაერთებელი მილსადენები 2.100 კმ სიგრძის წყალქვეშა მილსადენი. გაზის მილსადენის დიამეტრი- 650 მმ. (26 დიუმი).

„შაჰ-დენიზის" საბადოს ავითარებს საერთაშორისო კონსორციუმი ბრიტანული კომპანია ბპ-ის ხელმძღვანელობით.

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის სისტემის პროექტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ეს საქართველოს ძენს უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო ფუნქციას. ხელს უწყობს საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და მის უსაფრთხოებას. უზრუნველყოფს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, შაეი და კასპის ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ურთიერთ ხელსაყრელ თანამშრომლობას. ევროპის ერთიანი ინტეგრირებული ენერგეტიკული სისტემის ფარგლებში.

2001 წლის სექტემბერში გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პარლამენტების მიერ.

ამ პროექტით ხდება საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; ბუნებრივი გაზის მომარაგების ალტერნატიული სისტემის შექმნა; საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობის მექანიზმების შექმნა; პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური სარგებლობის მიღება; საქართველოს სამეცნიერო, ტექნიკური და საინჟინრო კადრების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. მოლაპარაკებების პროცესში საქართველოს მხარე და პროექტის ინვესტორები შეთანხმდნენ: გაზსადენის დერეფანში მიწის კადასტრულ მონყობასთან დაკავშირებით მინათმფლობელების იდენტიფიკაციის შესახებ, ინვესტორები საქართველოს შესაბამის უწყებებს ამ სამუშაობებისათვის გამოუყოფენ 500 ათას ლარს.

გაზსადენის პროექტის ხელშეკრულებებში საგანგებოდ დაფიქსირდა, რომ საქართველო არის არა მარტო სატრანზიტო, არამედ ბუნებრივი გაზის მომხმარებელი ქვეყანა. უნდა მოხდეს გაზის მიღების სპეციალური სისტემების დამონტაჟება, რომელთა საშუალებით საქართველო მიიღებს აზერბაიჯანის ბუნებრივ გაზს;

„ბაქო-თბილისი- ერზრუმის სამხრეთ – კავკასიური გაზსადენის სისტემის" პროექტის რეალიზაცია უზრუნველყოფს საქართველოში ბუნებრივი გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიცირებას და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რაც პოლიტიკური სტაბილურობის ერთ- ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია. გაზსადენის პროექტის განხორციელებით და ბუნებრივი გაზის ალტერნატიული წყაროს არსებობით, საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა უზრუნველყოს ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისის პრობლემების გადაჭრა და ეკონომიკის აღორძინება.

საქართველოს ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრას ხელს შეუწყობს გაზის მიწისქვეშა საცავების (2 საცავი- თითოეული 2.5 მლრდ კუბური მეტრის მოცულობით) მშენებლობა. ეს შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ზაფხულის განმავლობაში დააგროვოს იაფი გაზის აუცილებელი მარაგები, (ზაფხულში გაზის ფასი ზამთრის გაზის ფასთან შედარებით საგრძნობლად დაბალია) რომელსაც ის ზამთარში მოიხმარს.

რადგანაც საქართველო ევროპული ქვეყანაა და მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მეტად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მონაკვეთზე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება აზიის კონტინენტს, ამდენად საქართველო უნდა განვიხილოთ როგორც გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილე, ისევე როგორც გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სივრცეში არსებული ქვეყანა. თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის მიმართ ასეთი ორი სახის

მიდგომა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ჩვენი ქვეყნის ადგილი ევროპასთან და აზიასთან. ასეთი მიდგომით გამოიკვეთა საქართველოს ადგილი და როლი, ორ განზომილებაში – გლობალურ ეკონომიკაში. ამდენად, ევროპის სახელმწიფოთა ერთობაში საკუთარი ადგილის მოპოვება ქართული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანად უნდა იქცეს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანია მისი ევროკავშირში გაწევრიანება.

### 16.4. საქართველო თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის და ინტეგრაციის კონტექსტში

მსოფლიო საზოგადოება და მათ შორის, ქართველი ერი, ამჟამად იმყოფება პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე, რომელიც ხასიათდება მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის გლობალური ინტეგრაციით. თანამედროვე პირობებში ძნელია ვიპოვოთ ისეთი ეროვნული მეურნეობა, რომელიც არ იყოს ჩართული მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. გლობალური ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შეუქცევადი ტენდენციაა, რომელიც ხასიათდება ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების ზრდის მაღალი ხარისხით. ეს ურთიერთობები არის გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბების და განვითარების საფუძველი.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ყოფილი სსრ კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები ინტენსიურად ჩაერთვნენ მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში; არც ამიერკავკასია დარჩა ამ მოვლენებისაგან განცალკევებულად. მიმდინარეობს ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრაციის პროცესი. ისინი ჩართულნი არიან სახელმწიფოთა ინტეგრირებული თანამეგობრობის შექმნის რეალიზაციაში. კავკასიის რეგიონი განვითარებადი ბაზარია, რომელსაც ეკონომიკური ზრდის მაღალი პოტენციალი, ენერგეტიკული და სატრანსპორტო ფუნქცია გააჩნია, რის გამოც ევროპისა და სხვა ქვეყნების დიდ ინტერესს იწვევს.

ინტეგრაციის პროცესში კავკასია აღმოჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე. ერთის მხრივ „ნატოს წევრი ქვეყნები და ევროკავშირი, მეორეს მხრივ – რუსეთი, ირანი და ჩინეთი. დღეს საკმაოდ მკვეთრად გამოიკვეთა ორი გეოპოლიტიკური ღერძი: ანკარა-თბილისი-ბაქო, როგორც მიმართულება დასავლეთი – აღმოსავლეთი; და მეორე ღერძი, მოსკოვი-ერევანი-თეირანი, როგორც მიმართულება ჩრდილოეთი – სამხრეთი. ამ ღერძების ურთიერთდაპირისპირება იწვევს მზარდ დაძაბულობას და ამიერკავკასია დგას ამ ღერძების საშიშ თანაკვეთაზე.*

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით ამიერკავკასიის ქვეყნები განვითარების დონით არ არიან იმ სიმაღლეზე, რომ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან განახორციელონ პარტნიორულ საწყისებზე. აქ უპირატესად მიმდინარეობს დახმარების პროცესი. ამასთან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები არჩევენ მოლოდინის პოზიციას და თვალყურს ადევნებენ მოვლენების განვითარებას კავკასიაში. მათი აზრით, კავკასია – ეს „ცხელი წერტილია“, რომელიც პოლიტიკურად ნაკლებად სტაბილურია იმისათვის, რომ მან ფართოდ და აქტიურად მოიზიდოს მსხვილი ეკონომიკური პარტნიორები.

ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა პირდაპირ უკავშირდება მის გეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობას. საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს კავკასიის რეგიონში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში. დღევანდელი საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვისპირა მდებარეობას. ამ მხრივ საქართველოს მრავალი უპირატესობა გააჩნია ამიერკავკასიის და შუა აზიის სახელმწიფოებთან შედარებით, რადგან უშუალოდ გადის საერთაშორისო სანაოსნო გზებზე და არა მარტო თვითონ ამყარებს კავშირურთიერთობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან, არამედ ტრანზიტით შეუძლია გაატაროს ბევრი სხვა სახელმწიფოების ტვირთები.

ამიერკავკასიის რეგიონში იქმნება საიმედო და ეფექტიანი ტვირთგამტარი სისტემის აუცილებლობა, რომელმაც უნდა გააერთიანოს სასაწყობო, გადამამუშავებელი მეურნეობა და შესაბამისი საჭირო ინფრასტრუქტურა. ამ სისტემას საქართველოს მონაკვეთში განსაკუთრებული ადგილი შავი ზღვის პორტებს ფოთსა და ბათუმს უკავია, რომლებშიც სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელება მთელი წლის მანძილზეა შესაძლებელი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს როლისა და ადგილის გარკვევა მსოფლიო თანამეგობრობაში, იმ გეოპოლიტიკური ძალების ცვლილების კონტექსტში, რომელიც ბოლო წლებში განხორციელდა.

---

* ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზაშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა.თბ., 2008.

როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. დადებითი ეფექტი უპირველეს ყოვლისა, გასაღების ბაზრის გაფართოებაში მდგომარეობს. ბაზარი შეიძლება გავაფართოვოთ მრავალი საშუალებით, მაგრამ თუ მას გავაფართოვებთ მხოლოდ შიდა ბაზრის დახმარებით, შედეგები საკმაოდ მოკრძალებული იქნება. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიდა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. საბაზრო ეკონომიკაში ინვესტიციები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს პროდუქციის გაყიდვის ბაზარი. თუკი საქართველოს ბაზარი გაფართოვდება გლობალიზაციისა და ინტეგრაციის შედეგად, ეს მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში დააბანდებენ ინვესტიციებს და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიას, გამოიყენებენ საქართველოს, შედარებით იაფ შრომით და ბუნებრივ რესურსებს პროდუქციის საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია კი გატანილი იქნება რეგიონულ და მსოფლიო ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვან შემოსავლებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. გლობალიზაციითა და ინტეგრაციით შექმნილი ხელსაყრელი პირობები შესატყვისი იქნება უცხოური ინვესტიციების ზრდისა, რაც ამავე დროს, ხელს შეუწყობს საქართველოს შიდა ინვესტიციური რესურსების ეფექტიან მიმოქცევას. როგორც მრავალ პატარა ქვეყანას, ისე საქართველოსაც არა აქვს საკმარისი საკუთარი სახსრები მოახდინოს დიდი რაოდენობის ინვესტირება წარმოებისა თუ მომსახურების სფეროში, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი კი ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესის უარყოფით გავლენაზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ საქვეყნოდ ცნობილი ამერიკული მეცნიერი ჯოზეფ სტიგლიცი, რომელიც თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“ აღნიშნავს: „გლობალიზაცია უზარმაზარი ძალაა, რომელმაც ადამიანთა ნანილის ცხოვრება საგრძნობლად შეცვალა. იმის გამო, რომ ეს პროცესი არასწორად იყო მართული, მილიონობით ადამიანისთვის ვერ მოიტანა დადებითი შედეგი, მილიონობით ადამიანისათვის კი ცხოვრება უარესობისაკენ შეიცვალა. დღეს ჩვენ წინაშე გლობალიზაციის ისეთი სახით რეფორმირების საკითხი დგას, რომ მან სიკეთე მოუტანოს არა მარტო მდიდარ ადამიანებსა და განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ღარიბ და განვითარებად ქვეყნებსაც.“ ცნობილია, რომ უკვე განვითარებულ ქვეყნებშიც ესმით, რომ გლობალიზაციას თან უამრავი პრობლემა ახლავს. განვითარებადი ქვეყნები კი უკვე დიდი ხანია ამ პრობლემებს ებრძვიან, ბევრი მათგანი თავად დაზარალდა არასტაბილური ვითარების გამო. მეცნიერების გარკვეულ წრეებშიც კი აღიარებენ ამ მოსაზრებას და მზადყოფნას გამოთქვამენ იმუშაონ უთანასწორობის აღმოფხვრაზე*.

ყველაზე სერიოზული საშიშროება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის უარყოფითმა ზემოქმედებამ, იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებით, ჩვენ ეტაპობრივად უნდა შევამციროთ საბაჟო გადასახადი. ე.ი. გავაუქმოთ სავაჭრო ბარიერები, ამის შედეგად უცხოური საქონელი გაავსებს საქართველოს ბაზარს და ჩაახშობს ეროვნული საწარმოების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას. ჩვენი ქვეყნის საწარმოები ჯერ კიდევ არ არის აღჭურვილი უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის მწარმოებლურობა, აქედან გამომდინარე დაბალია პროდუქციის ხარისხი და მაღალია თვითღირებულება. ყოველივე ეს ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესის ზემოქმედება მაღალი თუ დაბალი ხარისხით ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში, საქართველოთი დიდი სახელმწიფოების დაინტერესება გაიზრდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს საქართველოს მთლიანობის და უსაფრთხოების ავტომატურ უზრუნველყოფას, რისი ილუზიაც შეიძლება წარმოიშვას. საქართველომ თვითონ საკუთარ ძალიერებზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება და არ უნდა იყოს მხოლოდ სხვა ძლიერი სახელმწიფოს დახმარების იმედით, რომელმაც შეიძლება ვერ დაიცვას საქართველო თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც მოხდა კიდეც 2008 წელს.

საქართველოს, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ იქნეს გამოყენებული ქვეყნის მსოფლიო მნიშვნელობის გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსები. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, -- ის ძირითადი სატრანსპორტო არტერიებია, რომლებითაც საქართველო უკავშირდება შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებს, ჩრდილოეთ-კავკასიას, აზერბაიჯანს, მთელ მსოფლი-

* სტიგლიცი ჯ. "გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება" თბ., 2012

ოს დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეს სატრანსპორტო დერეფანი, უდიდეს პერსპექტივებს სახავს საქართველოსა და მთელი კავკასიის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში"*

ყურადღებას იქცევს ტრასეკას მერიდიანული სატრანსპორტო გზების პროექტები. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია, მაგალითად, ბაქო – თბილისი – ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი, ბაქო – თბილის – ყარსის პროექტი არის ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც გააერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. პროექტის განხორციელების შედეგად, თურქეთის გავლით, გაიხსნება სარკინიგზო დერეფანი კასპიის ზღვიდან ევროპისკენ, ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტით შესაძლებელი იქნება დერეფნის გახსნა, რომელიც რუსეთს თურქეთთან დაუკავშირებს. ამ ხაზით მოხდება როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გადაყვანები და ის მოიაზრება როგორც ალტერნატიული სატვირთო ტრანსპორტირების გზა ირანიდან მომავალი არსებული სატრანზიტო გზების ნაცვლად. ბაქო– თბილისი– ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო, მშენებლობა კი 2008 წელს და იგი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მარაბდა – ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას და ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე. მენეჯმენტის აზრით, თურქეთსა და ცენტრალურ აზიას შორის გაზრდილი ვაჭრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან შესაძლებლობას სავაჭრო ნაკადის მოსაპოვებლად, კერძოდ ცენტრალური აზიიდან თურქეთში იმპორტირებული ნედლეულისა და თურქეთიდან ექსპორტირებული პროდუქციის. თურქულ-რუსული ვაჭრობის გათვალისწინებით, მენეჯმენტის აზრით, არსებობს დამატებითი მოცულობის მოპოვების შესაძლებლობა, კერძოდ, მშრალი ტვირთის, რომლის გადაზიდვაც ამჟამად ირანის, ან შავი ზღვის გზით ხდება."

2013 წლის 1 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მონაწილეობა მიიღო მინისტერიალში, რომელიც ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის მიმდინარეობას შეეხებოდა. შეხვედრის დასასრულს საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც განისაზღვრა პროექტის განვითარების ცალკეული საკითხები. მათ შორის, სამშენებლო, ინფრასტრუქტურული, ფინანსური და სხვ. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობა 775 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება. ამ ეტაპზე, სამუშაოები, საერთო ჯამში, მესამედით არის შესრულებული. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შედეგად, რომელიც გათვალისწინებულია 2015 წლისათვის, ექსპლუატაციაში შესული სარკინიგზო მარშრუტი ევროპასა და ჩინეთს შორის დღეს არსებულ სხვა სატრანზიტო გზებთან შედარებით უმოკლესი იქნება. პროექტს გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე პოლიტიკურ-სტრატეგიული. ეს არის უნიკალური პროექტი, რადგან იგი დადებითად იმოქმედებს არა მხოლოდ აღნიშნული სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაზე, არამედ რკინიგზის მიმდებარედ მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ სამივე ქვეყნის – საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს კარგად ესმით ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ამოქმედების მნიშვნელობა და ხელს შეუწყობენ აღნიშნული სარკინიგზო გადასასვლელის მშენებლობის დროულად დასრულებას."* ამის დასტურია, სამი ქვეყნის საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა 2014 წლის მაისში ქ. თბილისში, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილულ იქნა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დროულად დასრულების საკითხი.

ამრიგად, ტრასეკას მერიდიანული სატრანსპორტო გზების და ახალი აბრეშუმის გზა აზიისა და ევროპის მრავალი ქვეყნის დიდ ინტერესს იწვევს. იგი ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ინტეგრირებას ევროპულ სტრუქტურებში, მათი ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების მჭიდროდ დაკავშირებას დასავლეთის არეალთან, ევროპისა და მსოფლიო ბაზრის სტრუქტურებთან. პრაქტიკულად დასტურდება, რომ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი მრავალდარგოვანი და მრავალფუნქციური სატრანსპორტო კომუნიკაციაა, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალური აზიის, კასპიის ზღვის აუზის, ყაზახეთის, ამიერკავკასიის, აგრეთვე რუსეთის მდიდარ ბუნებრივი რესურსების ათვისებას, მათ მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.

ტრასეკა მოითხოვს საქართველოს მთელი სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციას. კერძოდ, საჭიროა საზღვაო ფლოტისა და ნავსადგურების, ტერმინალების განვითარება საავტომობილო ტრან-

---

* ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა., რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა

* http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_ id=289&lang=geo

**http://www.economy.ge/ge/media/news/stambolis-ministerialze-baqo-tbilisi-yarsis-rkinigzis-mseneblobis-droulad-dasrulebaze-setanxmdnen

სპორტისა და გზების, რკინიგზის, აეროპორტების ტექნიკური გადაიარაღება, მათი მოდერნიზაცია, სტრუქტურიზაცია, მართვის ორგანიზაციის გარდაქმნა და სრულყოფა საერთაშორისო მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამ ამოცანის რეალიზაციას ეხმიანება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ანაკლიაში საზღვაო პორტის პროექტირებისა და მშენებლობის შესახებ. ყოველივე ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციაში მონაწილეობის მუდმივი ფუნქციის შეძენას, გეოგრაფიული მდებარეობის, უნიკალური ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის, აბრეშუმის გზისა და ტრასეკას გამოყენებით. ტრასეკა ევრო-აზიის ერცელი რეგიონის ინტეგრაციის, დაბალანსებული განვითარებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილიზაციის ფაქტორად გვეელინება.

საქართველოს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ინტეგრაციის ხარისხზე ასევე კარგად მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და მსოფლიო წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვ.).

შვეიცარულმა ეკონომიკის ინსტიტუტმა 2011 წლის **მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსი** გამოაქვეყნა, სადაც საქართველო 156 ქვეყანას შორის 74-ე პოზიციას იკავებს. რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოზე წინ მოლდოვა (63), თურქეთი (59), უკრაინა (53) და რუსეთი (52) არიან. რეიტინგის სათავეში ევროპული ქვეყნები – ბელგია, ავსტრია და ნიდერლანდები უდგანან, აუტსაიდერებში კი ტრადიციულად აფრიკული და ოკეანის ქვეყნები იმყოფებიან.

2019 წლის მონაცემებით, მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით შემდეგი ქვეყნები ლიდერობენ: შვეიცარია, ჰოლანდია, ბელგია, შვედეთი, ინგლისი, აუსტრია, გერმანია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი. აღნიშნული ინდექსის მიხედვით საქართველო არის 50-ე ადგილზე, რაც არ წარმოადგენს ცუდ შედეგს ჩვენისთანა გარდამავალი ტიპის ქვეყნისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა, რაც ქვეყნის განვითარებაზე მეტყველებს.

გლობალიზაციის ინდექსი სამი მთავარი კომპონენტისგან შედგება: **ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური** გლობალიზაცია. ყველაზე კარგი მაჩვენებლები საქართველოს **ეკონომიკური** გლობალიზაციის კომპონენტში აქვს, სადაც 2019 წლის მონაცემებით 22-ე პოზიციაზე იმყოფება და რეგიონის ქვეყნებს შორის პირველია. ამ კომპონენტის ლიდერები არიან სინგაპური, ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი, ჰონგ-კონგი. **სოციალური** გლობალიზაციის მიმართულებით საქართველო 83-ე ადგილზეა, ხოლო ლიდერი ქვეყნებია: ლუქსემბურგი, მონაკო, ნორვეგია, ინგლისი, კანადა. **პოლიტიკური** გლობალიზაციის მიმართულებით საქართველო 92-ე პოზიციაზეა. ამ კომპონენტის ლიდერი ქვეყნებია: იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი.

მსოფლიო ეკონომიკურ-ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს ეკონომიკის მონაწილეობის დონის (ხარისხის) შეფასებისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ საერთაშორისო ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მაჩვენებლები, კერძოდ ის, თუ როგორი ტენდენციებით ხასიათდება საგარეო სავაჭრო ბრუნვა ექსპორტ-იმპორტი. როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 2004 წლის მაჩვენებლებით 6 444. 3 მლნ დოლარიდან გაიზარდა 9 246. 9 მლნ დოლარმდე, ანუ 143.4 %-ით. დროის ამავე პერიოდში, პროდუქციის რეგისტრირებული ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 1 232.1 მლნ აშშ დოლარიდან, 2 189. 0 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ 177.7 %-ით, ხოლო რეგისტრირებული იმპორტის მოცულობა 5 122. 2 მლნ აშშ დოლარიდან, 7 057. 8 მლნ აშშ დოლარამდე, შესაბამისად 137.8 %-ით.


საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ამჟამად ჩამოყალიბებული დონე ადასტურებს, რომ ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების პროცესი უშუალოდ უკავშირდება ინტეგრაციული კავშირების გაღრმავებას და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ფაქტორთა ამოქმედებას. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია გლობალიზაციისა და ინტეგრაციის მიმდინარე პროცესებში საქართველოს ეკონომიკის როლისა და ადგილის ობიექტურად შეფასება და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.

საქართველოს მსოფლიო სივრცეში ინტეგრირების ხარისხის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ **გლობალიზაციის ინდექსი**, რომელიც არის აგრეგირებული მაჩვენებელი და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, ხოლო ამ სამი ინდექსის შეწონვის შედეგად გამოანგარიშებულია ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი. ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს ერთიან ინდექსში აქვს 36%-ული წილი, სოციალური გლობალიზაციის ინდექსს – 37%-ული წილი, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს 26%-ული წილი.

ჩვენთვის საინტერესო იქნება საქართველო განვიხილოთ **ეკონომიკური და ერთიანი გლობალიზაციის** კუთხით. მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ იზრდებოდა ორივე ინდექსი, თუმცა ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ერთიან გლობალიზაციის ინდექსს, რაც


იმაზე მიუთითებს, რომ სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის კუთხით ნაკლები აქტიურობით გამოვირჩევით.

დიაგრამა 16.4.1. **ერთიანი და ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი (2010)***



ერთიანი გლობალიზაციის ინდექსში განხილულია 187 ქვეყანა, რომელთა შორის საქართველო 69-ე ადგილზე იმყოფება.

დიაგრამა 16.4.2. **ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი (2009ნ)***



ეს ორი მაჩვენებლი, გაანგარიშებულია სხვადასხვა მოცულობის ქვეყნებისათვის და მათი შემადგენელი კომპონენტებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი საშუალო მაჩვენებლიდან და მედიანიდან გადახრილია 0.34, მაქსიმუმიდან – 1.9, ხოლო მინიმუმიდან – 2.2 სტან-

* http://chalaepec.wordpress.com/2013/04/18/საქართველო-და-მსოფლიო/

* http://chalaepec.wordpress.com/2013/04/18/საქართველო-და-მსოფლიო/

დარტული გადახრით. რაც შეეხება ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს იგი საშუალო მაჩვენებლიდან და მედიანიდან გადახრილი 0.9, მაქსიმუმიდან – 1.3, ხოლო მინიმუმიდან – 3.1 სტანდარტული გადახრით. ეს ანალიზი კიდევ უფრო ამტკიცებს თავდაპირველ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით საქართველო მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საერთო გლობალიზაციის დონეს.

როდესაც ვსაზღვრავთ საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებს მის ადგილს თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის და ინტეგრაციის კონსტექტში, ჩვენი აზრით, საჭიროა გამოვიყენოთ საქართველოზე ორი დონის, ორი სახის შეხედულება. პირველი ეს არის საქართველო, როგორც გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილე და მეორე საქართველო, როგორც გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სიერცეში განლაგებული ქვეყანა.

ასეთი ორი სახის, ორი დონის მიდგომა თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის მიმართ საშუალებას გვაძლევს სწორად დავინახოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობები დასავლეთთან – ევროპისა და აზიის რეგიონების ქვეყნებთან. საქართველოს განვითარების სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია უნდა ითვალისწინებდეს ევროპულის და ამერიკულის პარალელურად, რუსეთის ფაქტორსაც. ამდენად, საქართველოს მიერ სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში, სჭირდება ისეთი ეკონომიკური ურთიერთობებისა და მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ინტერესების გლობალურ ხედვას მსოფლიოს მოცემულ რეგიონში. ხედვის არსი იმაში გამოიხატება, რომ გლობალური და რეგიონული ინტერესები ერთმანეთს კი არ უნდა უპირისპირდებოდნენ, არამედ ერთმანეთს შეთანხმებულად უნდა ავსებდნენ. საქართველომ თავისი განვითარებით ხელი უნდა შეუწყოს ევროპას და აზიას შორის ყოველმხრივი ურთიერთობისა და დიალოგის განვითარებას, მათ შორის პოლიტიკური და უშიშროების სფეროში და პერსპექტივაში უნდა უზრუნველყოს აზიის რეგიონის ეკონომიკასთან კავშირის მკვეთრად გაძლიერება.

# ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

## 17.1 სისტემური კვლევის არსი და დიაგნოსტიკის გაგება

რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის საგნის განსაზღვრამდე მიზანშეწონილია ჯერ განვიხილოთ სისტემური კვლევის არსი და დიაგნოსტიკის ცნება, როგორც საერთოდ ისე რეგიონის ეკონომიკის კვლევის კუთხით.

მთელი სამყარო უამრავი მოვლენებისა და პროცესების სისტემათა ურთულესი ერთობლიობაა, რომლის მოძრაობა და განვითარება საბოლოოდ ობიექტურ კანონზომიერებებს ექვემდებარება.

ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებების დიალექტიკური შემეცნების საყოველთაოდ აღიარებული მეთოდებიდან ერთ-ერთად უნდა ჩაითვალოს სისტემური მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს სხვადასხვა სახის სისტემების მეცნიერული ანალიზი მათ ურთიერთ კავშირსა და ურთიერთ დამოკიდებულებაში:

სისტემა-ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მთელს, ნაწილებისაგან შედგენილს. სიმრავლე ელემენტებისა, რომელთა შორის არსებული კავშირები და მიმართებები ქმნის ერთ მთლიანობას. სისტემის შესახებ წარმოდგენები ჩაისახა ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში, ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში, სამყაროს როგორც კოსმოსის, ე.ი. მოწესრიგებულის მთელის გაგება გულისხმობდა სისტემის ცნებას. ამ მიმართულებით ყოფიერების, როგორც სისტემის ონტოლოგიურ ინტერპრეტაციას იძლეოდნენ ჰერაკლიტე, დემოკრატე, პლატონი. ანტიკური ფილოსოფიაშია მუშავებდნენ აგრეთვე ცოდნის სისტემის პრობლემატიკას, როდესაც ცდილობდნენ ლოგიკისა და გეომეტრიის აქსიომატურ აგებას (ევკლიდე, არისტოტელე, სტოელები).

ახალი დროის ფილოსოფიაში ყოფიერების როგორც სისტემის ონტოლოგიურ ინტერპრეტაციას იძლეოდნენ ბ. სპინოზა, გ. ლაიბნიცი, ფ. შელინგი, გ.ვ.ფ. ჰეგელი, ხოლო ცოდნის როგორც სისტემის გნოსიოლოგიურ ანალიზს – ი.კანტი, ი.გ. ფიხტე. მარქსიზმა ჩამოაყალიბა სისტემის განხილვის დიალექტიკურ-მატერიალური პრინციპები.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერებათა მრავალ დარგში გამოვლინდა და გაანალიზდა სისტემების განსხვავებული ტიპები:

სოციოლოგიაში-სოციალური სისტემები (მარქსიზმი);

ბიოლოგიაში-ორგანიზმთა სისტემები (ჩ. დარვინი);

ლინგვისტიკაში-ენობრივი სისტემები (ფ.დე. სოსიური);

ლოგიკაში-სინტაქსური და სემანტიკური სისტემები;

მათემატიკაში-აქსიომატიზირებული და ფორმალიზებული თეორიები;

კიბერნეტიკაში-თვითმარეგულირებელი სისტემები;

სემიოტიკაში-ნიშანთა სისტემები.

პრაქტიკულად შექმნეს და გამოიყენეს აგრეთვე სხვადასხვა ტიპის სისტემები:

ტექნიკაში-ავტომატიზირებული მანქანების სისტემები;

მეურნეობაში- მრეწველობისა და ტრანსპორტის მართვის სისტემები.

ზოგადად, სისტემური მიდგომის შინაარსი გულისხმობს ყოფაცხოვრების შესწავლას, სისტემების არსებობას (სისტემის ონტოლოგია), სისტემის შეცნობას და მათ შესახებ სისტემურ ცოდნას (სისტემების გნოსეოლოგია), მათი ფუნქციონირების სრულ ყოფისა და განვითარების უზრუნველყოფას (სისტემების მართვა) პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში.

სისტემურ მიდგომას საფუძვლად უდევს თეორიული კვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილების ერთიანობა, რის საფუძველზეც ხდება რეალური სისტემების შესწავლა, მისი შემეცნება, ადამიანის ცნობიერებაში ასახვა, ხოლო შემდეგ მიღებული სისტემური ცოდნის საფუძველზე ხდება პრაქტიკული ზემოქმედება სისტემაზე, მისი ფუნქციონირებისა და განვითარების გონიერი მართვა.

სისტემური მიდგომა – ეს თვისობრივად უფრო მაღალია მეცნიერული შემეცნების ვიწრო საგნობრივ მეთოდთან შედარებით, რამდენადაც იგი ეყრდნობა შემეცნებას ცალკეულიდან საერთოსა-

კენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, ერთმნიშვნელოვანიდან მრავალმნიშვნელოვანისაკენ, ერთგანზომილებიანიდან პოლიმერულისაკენდა ა.შ.

შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევები ჩატარებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების კანონზომიერებათა შესწავლისას, საზოგადოების განვითარების ევოლუციისა და საზოგადოების ბუნება ზეგავლენის კვლევისას ეყრდნობა სისტემური მიდგომის მეთოდოლოგიას.

საზღვარგარეთის უდიდეს მეცნიერებს, რომლებიც ატარებდნენ მეცნიერულ კვლევებს ეკონომიკური და ბუნებრივი სისტემების ურთიერთქმედების სფეროში, კერძოდ ჯ. ფორესტერს („მსოფლიო დინამიკა"), დ.ხ. მედოუზს, დ.ლ. მედოუზს, ი. რენდერს, ვ.ვ. ბერენსს („ზრდის საზღვრები"1972წ.) და სხვებს თავიანთი ნაშრომების საფუძვლად აქვთ სისტემური დინამიკის იდეები, რამაც საშუალება მისცათ გაეკეთებინათ რიგი სერიოზული თეორიული დასკვნები. პრაქტიკულად დაემუშავებინათ ბუნებრივი და ეკონომიკური პროცესების ურთიერთქმედების დინამიკის რეალური მოდელები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკაში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

ერთიანი სისტემის მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს მისი უნარი იმოქმედოს სულ სხვადასხვა დონის სისტემებთან და ქვესისტემებთან.

სხვადასხვა სისტემის ურთიერთქმედების ცენტრში იმყოფება ადამიანი, რომელიც უნდა განვიხილოთ მისი სხვადასხვა მხარეების ერთიანობის თვალსაზრისით.

მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ავსტრიელმა ბიოლოგმა ლ. ბერტალანფიმ წამოაყენა „სისტემის ზოგადი თეორიის" შექმნის პროგრამა. ჩამოყალიბდა საგანთა ანალიზის სისტემური მიდგომის მეთოდი. ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს სისტემების პრობლემატიკის დამუშავება, რაც ძირითადად სამ სფეროში მიმდინარეობს:

1. სპეციალური მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში მუშავდება ამა თუ იმ ტიპის სისტემების აგებისა და გამოყენების კონკრეტული მეცნიერული საკითხები;

2. სისტემების ზოგად თეორიაში მუშავდება მისი ბუნებისა და სისტემურ-მეთოდოლოგიური პრობლემები;

3. ფილოსოფიაში, რომლის ამოცანაა სისტემის, როგორც გარკვეული კატეგორიის დახასიათება და სამყაროს შესახებ მთლიან კონცეფციაში მისი ადგილისა და როლის გარკვევა.

მიუხედავად სისტემის ბუნების ფართო და მრავალ მხრივი კვლევისა, არ არსებობს ამ ცნების ერთიანი განსაზღვრება. სისტემის არსებობისათვის აუცილებელია ელემენტების სიმრავლე, მაგრამ ელემენტების ნებისმიერი სიმრავლე არ წარმოადგენს სისტემას, ელემენტებს შორის უნდა იყოს ისეთი კავშირები და მიმართულებები, რომლებიც ახალ მთლიანობას ქმნიან. ეს მთლიანობა განსხვავდება მისი შემადგენელი მომენტებისაგან, მისი თვისებები არ დაიყვანება ელემენტების ცალკეულ თვისებებზე ან მათ ჯამზე.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ სინერგიზმზე, რომელიც წარმოადგენს კოორდინირებული ურთიერთქმედების სისტემურ ეფექტს. სინერგიის კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ, სისტემის თვისებათა ჯამი და მისი წარმომქმნელი კომპონენტების თვისებათა ჯამის სვადასხვა სიდიდეებია, უფრო ზუსტად „მთელი მეტია მისი ნაწილების ჯამზე". სისტემის თვისებათა ჯამსა და მისი შემადგენელი ელემენტების თვისებათა ჯამსშორის სხვაობას ეწოდება სინერგიული ეფექტი. ეს არის დამატებითი ეფექტი, რომელიც წარმოიქმნება სისტემის ცალკეულიკომპონენტების შემოქმედებითი ურთიერთ ზემოქმედების კვალობაზე, რაც უფრო მაღალია სისტემის ორგანიზებულობა, მით უფრო მეტია სისტემის თვისებათა ჯამი, მისი კომპონენტების თვისებათა ჯამზე.

სისტემას ახასიათებს სირთულე, ამიტომ მას მუდამ აქვს გარკვეული სტრუქტურა, რომლებიც მისი არსებობის მომენტია.

სტრუქტურა არის ის წესი, რომლითაც ელემენტები ერთმანეთთან არის შეკავშირებული. სტრუქტურა სისტემის აღნაგობას გამოხატავს. სისტემა და სტრუქტურა არ ემთხვევა ერთმანეთს. სტრუქტურა დამოკიდებულია ელემენტების კონკრეტული ბუნებისაგან. ერთმანეთისაგან განსხვავებულ ელემენტებს შეიძლება ჰქონდეს ერთი და იგივე სტრუქტურა და პირიქით. სისტემის ხასიათი დამოკიდებულია ელემენტებისა და სტრუქტურის თვისებებზე. სისტემის ელემენტები შეიძლება იყოს

ნებისმიერი ტიპის ობიექტები: ფიზიკური, ქიმიური, სოციალური და ა.შ., ამიტომ სისტემის ცნების გამოყენება სინამდვილის ნებისმიერ სფეროში შეიძლება.

მიხეილ ჭაბაშვილის მიერ შედგენილ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ სისტემა განხილულია:

1. გარკვეული წესრიგი, რაც დაფუძნებული არის იმ ენა წილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე;

2. ერთობლიობა პრინციპებისა, რომლებიც რაიმე მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს;

3. დაჯგუფება, კლასიფიკაცია;

4. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისაგან. მაგალითად,მზის სისტემა, ნერვული სისტემა;

5. საზოგადოებრივი წყობილების ფორმა. მაგალითად, კაპიტალისტური სისტემა;

6. რისიმე მოწყობის ორგანიზაციის ფორმა, წესი. მაგალითად, საარჩევნო სისტემა;

7. ორგანიზაციულად გაერთიანებულ წარმოებათა, დაწესებულებათა ერთობლიობა.

რაც შეეხება რეგიონული მეურნეობის განვითარებაზე დაკვირვება და მისი შესწავლა საშუალობას გვაძლევს გამოვავლინოთ წარმოების მოცულობის გაზრდის გზები კონკრეტულ რეგიონულ პირობებთან მისადაგებით. პრაქტიკული თვალსაზრისით საჭიროა ჩამოყალიბებული რეგიონული მეურნეობის სისტემის ყოველმხრივი შესწავლა და ანალიზი, რათა დაძლეული იქნეს არსებული არარაციონალური ტერიტორიულ-საწარმოო კავშირები, წარმოების შიგა რეგიონული რეზერვების გამოყენებით მიღწეული იქნეს არსებული საწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. რაც შეეხება რეგიონული ეკონომიკური განვითარების საკითხების მეცნიერულ შესწავლას ის განსხვავებულ სტადიაში იმყოფება. ზოგი პრობლემა მეცნიერულად საკმაოდ ღრმად არის დამუშავებული, ზოგი კვლევის საწყის სტადიაშია, ზოგიერთი კი საერთოდ არ შეისწავლება ან მათი შესწავლა დღის წესრიგშია დაყენებული, ამდენად რეგიონული ეკონომიკის სისტემურ დიაგნოსტიკას, რომელიც განსაზღვრავს მისი ელემენტების ამოცანებს, საშუალებას იძლევა შემუშავებულ იქნეს რეგიონული მეურნეობის დიაგნოსტიკის მართვისა დაგ ანვითარების კონკრეტული მეთოდები, ხერხები და საშუალებები.

დიაგნოსტიკა – 1. მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ავადმყოფის ნიშანთვისებებს, დიაგნოზის დასმის მეთოდებსა და პრინციპებს. 2. დიაგნოზის დასმა. (დიაგნოზი ბერძ. – diagnosis – გამოცნობა, ავადმყოფობის ყოველმხრივ შესწავლა ზედაფუძნებული სამედიცინო დასკვნაა, რომელშიც მიღებული სამედიცინო ტერმინებით არის გადმოცემული ავადმყოფობის არსი და ავადმყოფის მდგომარეობა).

დიაგნოსტიკა კი ნიშნავს (გამოცნობის უნარის მქონე), მეცნიერება დიაგნოზის მეთოდებზე დაავადების დიაგნოზის დადგენა, ავადმყოფის ყოველმხრივი და სისტემური შესწავლისას.

როგორც წესი დაავადების დასადგენად აუცილებელია საკმაოდ მრავალი ნიშნის ან მათი კომბინაციების გამოცნობა, ამ ნიშნების გამოვლენის განსაზღვრა და სხვა. რადგანაც მრავალ დაავადებას შეიძლება ჰქონდეს მსგავსი ნიშნები.

ადრეული, ზუსტი და კონკრეტული დიაგნოზი აადვილებს რაციონალური და ეფექტური მკურნალობის ჩატარებას და ხშირად დაავადებების შემდგომი მიმდინარეობის შესაძლო ვარიანტების განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

დაავადების გამოსაცნობად მიმართავენ სისტემურ კვლევას, როგორც მედიცინაში დაავადების გამოსაცნობად მიმართავენ სისტემურ კვლევას, ასევე რეგიონული ეკონომიკის სისტემურ დიაგნოსტიკაში რეგიონული თავისებურებების გამოვლენისათვის გამოიყენება ფაქტორებისა და მათი სისტემების-ეკონომიკური, გეოგრაფიული, ისტორიული, ორგანიზაციული პირობებისა და მეურნეობის ტერიტორიული ფორმების წანამძღვრების სისტემა.

ფაქტორების სისტემა თავის შემდგომ განვითარებასა და გართულებას აღწევს დარგობრივ და ტერიტორიულ ჭრილში საერთო ეკონომიკურ ურთიერთობათა გამოვლინებასთან დაკავშირებით.

დარგობრივი ფაქტორები ქმნის ისეთ კონკრეტულ წყაროებს, პირობებსა და შეზღუდვებს, რომლებიც:

1. უპირველესყოვლისა ყალიბდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მოცემულ დარგში;

2. შეიძლება მოქმედებაში მოყვანილ იქნან დარგის შრომითი კოლექტივების ძალისხმევით;

3. ისინი უშუალო ასახვას პოულობენ მოცემული დარგის სამეურნეო საქმიანობის შედეგებში;

4. ქმნიან განსხვავებებს ამა თუ იმ შრომით კოლექტივებს შორის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და საწარმოო პოტენციალში.

ტერიტორიული ფაქტორები წარმოიშობა მრავალი სახის პროდუქციისა და მომსახურების წარმოების თავმოყრით კომპაქტურ ტერიტორიაზე და უწყებათაშორისი ინტეგრაციის გაღრმავებით. ტერიტორიული ფაქტორების მოქმედებაში მოყვანა საშუალებას იძლევა შერბილებული იქნეს და მოისპოს განსხვავება დარგობრივი სანარმოების სამეურნეო საქმიანობის პირობებთან და შედეგებთან. ტერიტორიული ფაქტორები შეიძლება რედუცირებული იქნეს მისი გამოყენების მიმართულების თვალსაზრისით.

რეგიონის ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის ჩატარებისას უარყოფითი მხარეების გამოვლენისას უნდა განხორციელდეს ჩამორჩენილი რეგიონების სანაცია და მათი დეპრესიულობის დაძლევა.

რეგიონული ეკონომიკის სანაცია გულისხმობს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ღონისძიებების კომპლექსური გამოყენებით კრიზისული მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების აღმოფხვრასა და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის საჭირო პირობების ფორმირებას.

მსოფლიოში ცნობილია რეგიონების ეკონომიკის სანაციის ძირითადი სტანდარტული წესები:

1. სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაციის უზრუნველმყოფი ორგანიზაციულ – სამართლებრივი ნანამძღვრების შექმნა;

2. შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილის ახალი პროფესიული ორიენტაცია და კვალიფიკაციის ამაღლება, ამით სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესება;

3. რესტრუქტურიზაცია ანუ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ტრასფორმაცია, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

თანამედროვე ეტაპზე რეგიონულმა დიაგნოსტიკამ, როგორც ტერიტორიული განვითარების შესწავლის სისტემურ მეცნიერულმა საშუალებამ ყურადღება მიიპყრო, როგორც სახელისუფლებო მმართველობის სტრუქტურების, ასევე კორპორაციების მქონე მენეჯმენტის მხრიდან, რათა მოახდინონ რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების ობიექტური შეფასება, რომელიც საჭიროა და აუცილებელია რეგიონული განვითარების ეფექტური რეგულირებისა და შესაბამისი სტრატეგიული ბიზნეს-გადაწყვეტილებათა მისაღებად.

„რეგიონული დიაგნოსტიკა“ ამჟამად არსებობს ცალკეული ანალიზურ მეთოდური ხერხებით და მათი შედეგების კონგლომერატის სახით კერძოდ სხვადასხვა განსხვავებული ტერიტორიების შედარებითი შეფასებით, ამა თუ იმ რეგიონული რეიტინგებით და ა.შ. მაგრამ საჭიროა იგი გახდეს დამოუკიდებელ ოფიციალურ იდენტიფიცირებულ მიმართულებად.

რეგიონული დიაგნოსტიკის პრაქტიკის შემდგომი გაფართოება უნდა განხორციელდეს რეგიონების „კონკურენტუნარიანობისა“ და „მიმზიდველობის“ შეფასების კუთხით.

რეგიონული დიაგნოსტიკის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები მოითხოვს რომ მის სუბიექტებს ქონდეთ უფრო გარკვეული, ნათელი, მონესრიგებული შეხედულებები დიაგნოსტიკის თანამედროვე შინაარს ზედა პრობლემებზე.

## 17.2 რეგიონული ეკონომიკის იაგნოსტიკის თავისებურებები, ამოცანები და ინფორმაციული ბაზა

### 17.2.1 რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტიკის თავისებურებანი

დიაგნოსტიკა არის მეცნიერება დიაგნოზის მეთოდებზე, დიაგნოსტიკა ავადმყოფობის ყოველმხრივ და სისტემურ შესწავლას ემყარება და მოიცავს ანამნეზის შეკრებას, ორგანიზმის მდგომარეობის ობიექტურ გამოკვლევას, რომელიც ეფუძნება ინფორმაციულ მასალებს და მრავალგვარ ანალიზურ კვლევებს, როგორც თითოეული დაავადების დიაგნოსტიკას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, ასევე რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტიკაც ხასიათდება თავისებურებებით.

რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტიკის თავისებურებებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ინფორმაციული ხასიათის პრობლემები. ცნობილია, რომ რეგიონული დიაგნოსტიკის შედეგები თანაბარი ზომით არის დამოკიდებული, როგორც მის მეთოდიკაზე, ასევე ამოსავალი ინფორმაციის სირთულეზე, სიზუსტეზე და ხარისხზე. ამ მხრივ ყურადღება მისაქცევია მთავარი საინფორმაციო წყარო-სახელმწიფო სტატისტიკა.

სახელმწიფო სტატისტიკის შინაარსობრივი მრავალფეროვნების მიუხედავად, მისთვის მაინც დამახასიათებელია ზოგიერთი ნაკლოვანებები, რომლებიც ზღუდავენ მათ რეგიონული დიაგნოსტიკისათვის გამოყენების შესაძლებლობებს. კერძოდ, მასში არ არის ასახული ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა მონაცემები რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებისა და გადასახადების შესახებ, რომლებიც გროვდება ქვეყნის სუბიექტებისა და მუნიციპალური წარმონაქმნების ტერიტორიაზე.

გარდა ამისა ქვეყნის სტატისტიკა ზოგიერთ არაფინანსურ საინფორმაციო პოზიციებშიც, როგორც წესი, არ ჩამოდის ქვეყნის სუბიექტის დონის ქვევით და სხვა. გარკვეული ინფორმაცია მართალია წარმოდგენილი არის ყოველწლიურ სტატისტიკურ საინფორმაციო კრებულებში ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მახასიათებელ ზოგიერთი მაჩვენებლების მიხედვით, კერძოდ მოსახლეობის რაოდენობა რეგიონულ ჭრილში. ბიზნეს რეგისტრირეგიონების მიხედვით, მოსახლეობის ეკონომიური აქტივობა რეგიონების მიხედვით.

პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით საწარმოო საქმიანობაში:

ა. დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით;

ბ. გამოშვებული პროდუქტის მოცულობა რეგიონების მიხედვით;

გ. დამატებული ღირებულების მოცულობა რეგიონების მიხედვით;

დ. შუალედური მოხმარების მოცულობა რეგიონების მიხედვით;

ე. ძირითადი აქტივები რეგიონების მიხედვით;

ვ. ბრუნვის მოცულობა რეგიონების მიხედვით;

ზ. მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით.

სოფლის მეურნეობის ცალკეული კულტურების წარმოება რეგიონების მიხედვით, კერძოდ:

ა. ხორბლის წარმოება;

ბ. სიმინდის წარმოება;

გ. კარტოფილის წარმოება;

დ. ბოსტნეულის წარმოება;

ე. ხილის წარმოება;

ვ. ყურძნის წარმოება;

მსხვილ ფეხარქოსანი პირუტყვის სულადობა:

ა. ფურისა და ფურკამეჩის სულადობა;

ბ. ღორის სულადობა;

გ. ცხვარ სულადობა;

დ. თხის სულადობა;

ე. ხორცის წარმოება რეგიონების მიხედვით;

ვ. რძის წარმოება რეგიონების მიხედვით;

ე. კვერცხის წარმოება რეგიონების მიხედვით.

მშენებლობის განყოფილებაში მოცემულია:

ა. სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა რეგიონების მიხედვით;

ბ. მშენებლობაზე გაცემული ნებართვა რეგიონების მიხედვით;

გ. მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით.

ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის საწარმოების ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით.

რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტატისტიკური მონაცემები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევენ რეგიონების განვითარების შესახებ, მაგრამ აშკარად არასაკმარისია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რეგიონული სტატისტიკა წარმოადგენს სტატისტიკური მაჩვენებლების პირველ წყაროს, მონაცემთა ბაზის ფორმირების საფუძველს და ამდენად მის მაღალხარისხოვან დონეზე მომზადებისა და დანიშნულებით გამოყენებას უნდა მიექცეს ყურადღება.

პრობლემა იმაშია, რომ რეგიონული სტატისტიკა ნაკლებად ხელმისაწვდომია თითოეული რეგიონის ფარგლებს გარეთ.

### 17.2.2 რეგიონის ეკონომიკური დიაგნოსტირებისათვის სტატისტიკურ მონაცემთა ძირითადი ჯგუფები

სტატისტიკა ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების „რენდგენული სურათის" მიღების საფუძვლად, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ „სურათი" მხოლოდ გზაა დიაგნოსტიკისაკენ, მაგრამ არა თვით დიაგნოზი. დიაგნოზი არის დასკვნა, რომელსაც ადგენს ექიმი პაციენტის ავადმყოფობის სიპტომების გამოკვლევის შედეგად. ობიექტური და სისტემური რეგიონული დიაგნოსტიკის განსახორციელებლად აუცილებელია სტატისტიკური ინფორმაციის ამოსავალ დიდ მასივში შეტანილ იქნეს სამართლებრივი, სოციალური, ეთნოეროვნული. გეოპოლიტიკური და სხვა ხასიათის დამაზუსტებელი და შემავსებელი მონაცემებიც. აუცილებელია რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკურ-სოციალურ ცხოვრებაში სტატისტიკური დაკვირვებიდან დაფარული მოვლენების აღრიცხვაც.

სიტყვა „სტატისტიკა" ლათინური Status-დან მომდინარეობს, რაც „საქმის ვითარებას" ნიშნავს. მეცნიერებაში ტერმინი გერმანელმა სწავლულმა გოტფრიდახენვალდმა 1747 წელს შემოიტანა. მან ამით გერმანიის უნივერსიტეტებში გავრცელებულ კურსს-„სახელმწიფოთ მცოდნეობას" სახელი შეუცვალა და „სტატისტიკა" დაარქვა, რითაც საფუძველი ჩაუყარა სტატისტიკას, როგორც მეცნიერებას. აღნიშნულის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ სტატისტიკური აღწერა კაცობრიობის ისტორიაში ბევრად უფრო ადრე იყო ცნობილი, მაგალითად, ძველ აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რომის იმპერიაში.

სტატისტიკა მონაცემთა დამუშავებასა და კვლევის სპეციალურ მეთოდოლოგიას შეიმუშავებს. მის არსენალშია მასობრივი სტატისტიკური დაკვირვებები, დაჯგუფების საშუალო სიდიდის, ბალანსური მონაცემთა გრაფიკული გამოსახულებისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. თვით სტატისტიკური პრაქტიკა სახელმწიფოს და არსების დროიდან იღებს სათავეს. თავდაპირველად აღწერა მოიაზრებოდა, 1792 წლის დროინდელი განმატრტების მიხედვით, სტატისტიკა „სახელმწიფო სახლანდელი მდგომარეობის აღწერას" ნიშნავდა. სახელნმწიფოს სტატისტიკური სამსახურის საქმიანობა გარკვეულწილად შესაბამისობაშია ამ განსაზღვრებასთან.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში სტატისტიკა განმარტებულია, როგორც:

1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს რაოდენობრი ვცვლილებებს ადამიანთა საზოგადოებაში;
2. მასობრივ მოვლენათა აღრიცხვა ამ მეცნიერების მეთოდების გამოყენებით;
3. კვლევის გარკვეული მეთოდი, რომელსაც იყენებენ ზუსტ მეცნიერებაში.

რეგიონის კომპლექსური დეტალური დიაგნოსტიკისათვის საჭიროა სტატისტიკურ მონაცემთა, რამოდენიმე ჯგუფის მონაცემთა განხილვა:

მონაცემთა უფრო მნიშვნელოვან ბლოკს აყალიბებს „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული" და ოპერატიული ინფორმაციული პუბლიკაციები, რომელსაც ამზადებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყოველწლიურ გამოცემებში ასახულია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები.

სტატისტიკური წელიწდეული მზადდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული სტატისტიკური გამოკვლევებისა და აღწერების საფუძველზე მიღებული მონაცემების, აგრეთვე ქვეყნის ადმინისტრაციულ იორგანოების, კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეროვნული ბანკის და სხვათა მიერ წარმოებული ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე.

პუბლიკაციაში დასახელებულია ქვეყნის მოსახლეობა და მისი ცხოვრების დონე, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, მოცემულია ინფორმაცია ეროვნული ანგარიშების, ფინანსების, ფასების საინვესტიციო საქმიანობის შესახებ. აღწერილია ეკონომიკის ძირითადი სფეროების-მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების მდგომარეობა.

პუბლიკაციაში ასახული მონაცემების გაანგარიშებისას, გამოყენებულია გაეროს და მისი სპეცი-

ალიზებული დარგსებულებების, ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის-ევროსტატის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ასევე სხვა სერთაშორისო ეკონომიკური და სტატისტიკური ინსტიტუტების მიერ რეკომენდირებული მეთოდოლოგია, კლასიფიკატორები, ნომენკლატურა და კონცეფციები.

ეს ანალიზი საქართველოს დამახასიათებელი მაჩვენებლების საერთაშორისო შედარებითობის საშუალებას.

ცალკეული საკითხებისათვის საბაზო ინფორმაციას წარმოადგენს მონაცემების სხვა ფედერალური უწყებიდან. მაგალითად, საბაჟო სამსახურიდან, ანტიმონოპოლიური სამსახურიდან და სხვა. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა სახის სტატისტიკურ გამოკვლევებზე მაგალითად, რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის მონაცემები, რომელიც საჭიროა სულა-დობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის, მოსახლეობის აღწერამდე, შესაძლებელია აღებულ იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ასევე კომერციული ბანკები საკმაოდ თანმიმდევრულად წარმოადგენენ ანგარიშებს თავიანთ საქმიანობაზე ცენტრალურ ბანკში.

მართალია, ტერიტორიული და რაიონული განყოფილებები აგროვებენ სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვან რაოდენობას ცალკეულ სუბიექტთა ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ამ ინფორმაციი სნაწილი იბეჭდება ცალკეულ გამოცემებში.

რეგიონების სტატისტიკური ინფორმაციის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენენ რეგიონული ადმინისტრაციების ინტერნეტ საიტები, რომელზეც ხშირად მოცემულია შედარებით თანმიმდევრული და ზუსტი მონაცემები, არამარტო მთლიანად ქვეყნის არამედ ქალაქებისა და რეგიონების მეურნეობასა და საქმიანობაზე.

სტატისტიკური ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბლოკს წარმოადგენს სამეცნიერო დაწესებულებათა დარგობრივ ასოციაციათა, სავაჭრო სამრეწველო პალატის, საზღვარგარეთის პოლიტიკურ და კომერციულ წარმომადგენელთა და სხვათა გამოკვლევები. უმნიშვნელოვანეს ინტერესს იწვევს მარკეტინგულ-კვლევითი მიმოხილვები და სტატისტიკურ მონაცემთა დეტალიზაცია. ამავდროულად არ შეიძლება არ აღინიშნოს რეიტინგულ გამოკვლევათა მნიშვნელობა, რომელმაც ფართო აღიარება და გამოყენება მოიპოვა რეგიონულ დიაგნოსტიკაში.

რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტირებისათვის სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების წინაპლანზე წამოწევას განაპირობებს დიაგნოსტიკის კუთხით პრობლემების არსებობა.

რეგიონის მეურნეობის შესწავლისათვის არსებობს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების შეჯერების საერთო მეთოდოლოგია, მიზანშეწონილია კვლევის საფუძვლად აღებულ იქნას სტატისტიკური კრებულები. მიუხედავად ამ კრებულთა მრავალი ნაკლისა, მაინც სწორედ გამოქვეყნებული ინფორმაცია ატარებს სწორ, ზუსტ ხასიათს.

რეგიონის დიაგნოსტიკისათვის მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას მსხვილ საწარმოთა განლაგების მონაცემები, რომლებიც საშუალებას იძლევიან კონკრეტული დასახლებული პუნქტისა თუ ადმინისტრაციული რაიონის დიაგნოსტირებას პერსპექტიული კუთხით.

ამავდროულად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა და სხვადასხვა ანალიტიკურ მასალათა განზოგადებისა და ინტერპრეტაციის მიზანშეწონილობა სამეურნეო ცხოვრების ცალკული მნიშვნელოვანი ფაქტებიდან გამომდინარე.

### 17.2.3. ინფორმაციულ ბაზაში „თეთრი ლაქები"

რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკისათვის სხვადასხვა მონაცემთა უამრავი წყაროების მიუხედავად დადებითი ძვრები შეიმჩნევა ინფორმაციული ბაზის ფორმირებაში, მაგრამ არებული საინფორმაციო ბაზა მაინც მოიცავს ე.წ. „თეთრ ლაქებს" საინფორმაციო ბაზის „თეთრ ლაქებს" წარმოადგენს:

1. მნიშვნელოვანი მაჩვენებლების უქონლობა-სტატისტიკურ ცნობარში არ არის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ რეგიონის საბაზრო მეურნეობის მდგომარეობას, მომსახურების სფეროს;

2. რეგიონის შიდა კავშირებზე – ინფორმაციის ნაკლებობა – სტატისტიკის ნაკლოვანებად შეიძლება დასახელდეს სტატისტიკურ მონაცემებში რეგიონული მეურნეობის, როგორც ჩაკეტილი სისტემის არასრული ასახვა;

მსოფლიო ეკონომიკაში რეგიონის ჩართულობის ხარისხი შესაძლებელია ადეკვატურად შეფასდეს მხოლოდ საწარმოთა, უცხოური ინვესტიციების საქმიანობით და არამარტო შიდასავაჭრო ბრუნვის როლით.

3. მონაცემთადახურულობადაგასაიდუმლოება-ზოგიერთიმონაცემებიკვლავინდებურადგასაიდუმლოებულიდადახურულიაფართოინფორმაციისათვის;

მაგალითად, ბევრ სასარგებლო წიაღისეულზე მონაცემებს შესაძლებელია ხაზი გაესვას, მხოლოდ არაოფიციალური წყაროებიდან, რაც ართულებს რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალისა და განვითარების პერსპექტივებზე ადეკვატური ანალიზის განხორციელებას.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებიდან გამომდინარე ჩნდება ახალი წინააღმდეგობებიც. კერძოდ, ყურადღება მისაღებია კონფედენციალობის პრინციპი.

ნაწილობრივად კერძო ფირმების კომერციული გასაიდუმლოებული მონაცემები გათვალისწინებულია მათი საქმიანობის განმაზოგადებელ მაჩვენებლებში, მაგრამ დეტალურ სტატისტიკაზე არ იძლევიან პასუხს.

კონფედენციალურობის პრინციპი ყურადსაღებია, როცა ცხრილის ნებისმიერი უჯრა წარმოადგენს რამოდენიმე საწარმოს სტატისტიკურ სიდიდეთა ნაკრებ მაჩვენებლებს. მათი რიცხვი შეიძლება იყოს განსაზღვრული (ზოგჯერ საკმარისია ორი-სამი ფირმის მონაცემები დასკვნის ჩამოსაყალიბებად).

პირობითად ამბობენ, რომ რეგიონების საწარმოთა 70%-ს შეუძლია გამოაქვეყნოს ესა თუ ის ინფორმაცია, ხოლო 30% არ შეუძლია, პრაქტიკაში ჩვეულებრივად ქვეყნდება შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, ზოგიერთი რეგიონებისათვის კი ციფრების მაგიერად მრავალი წერტილი იხმარება.

უპირატესად ცალკეული რეგიონებისათვის გამოიყენება გამოტოვების მეთოდი, იმ შემთხვევაში, როცა სარწმუნო მონაცემები არ არსებობს მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ მონაცემები პრაქტიკულად არ იძლევა შესაძლებლობას შეფასებული იქნას რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა და მითუმეტეს შედარებულ იქნას სხვა რეგიონის მონაცემებთან.

4. ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი-ინფორმაციული ბაზის „თეთრ ლაქებს“ წარმოადგენს ჩრდილოვანი ბიზნესის დახასიათება. ძირითადი რაც ამ მოვლენისთვისაა დამახასიათებელი ესაა კანონმდებლობის დარღვევა და სტატისტიკური აღრიცხვისადმი დაუქვემდებარებლობა.

მისი განმარტებებიც სხვადასხვა შესწავლის კუთხიდან გამომდინარეობს:

ეკონომოკური სტატისტიკის მიდგომიდან ის არის მოღვაწეობა აღრიცხვის გარეშე;

იურიდიული მიდგომიდან ის არის სამართლებრივი ველის გარეთ მდგომი;

ეთიკური მიდგომიდან არის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც არღვევს საზოგადოების მორალურ ნორმებს;

ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი წარმოდგენილია ოთხი ჩრდილოვანი სეგმენტით:

დაფარული სამეურნეო საქმიანობით;

არაფორმალური ეკონომიკით;

კრიმინალური არალეგარული ეკონომიკით;

შემოსავლების გადანაწილებაში სისხლის სამართლის დანაშაულით.

რეგიონულ მეურნეობაში, ეკონომიკური ანალიზის პრობლემა მდგომარეობს აღურიცხავი ლეგალური და კრიმინალური საქმიანობის ხვედრითი წილის სიზუსტის შეფასებაში.

ჩრდილოვანი ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკის ნაწილია, რომელიც მოიცავს საქმიანობის აღურიცხავ და კანონსაწინააღმდეგო სახეების ერთობლიობას.

მისთვის დამახასიათებელია ფარული, საიდუმლო „მოღვაწეობა“ კრიმინალური ხასიათით, რომელიც არა არის რეგისტრირებული და არ აღირიცხება ოფიციალური ორგანოებისმიერ, ამიტომ ჩრდილოვანი ეკონომიკის კონტროლი და რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრა სირთულეებთანაა დაკავშირებული.

5. დროებით რიგითი პრობლემების დალაგება რეგიონის საზღვრების ცვლილებების გამო. – პრობლემები რომლებიც დროებით რიგით ხასიათს ატარებს წარმოადგენს „ვიწრო ადგილებს“ მთელ სტატისტიკაში, რომელიც გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთაგან უპირველესია რეგიონის საზღვრებისცვლილება, რომელიცშეიძლებადაკავშირებული იყოს:

ეკონომიკური და რაიონებისადმი ახლებურ მიდგომასთან (კერძოდ, მაკრო-რეგიონების გამოყოფასთან);

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფის რეფორმით, ყველა მის იერარქიულ დონეზე;

რეგიონების და განსაკუთრებით მუნიციპალურ წარმონაქმნთა ლოკალურ სასაზღვრო ცვლილებებთან.

6. პრობლემების დალაგება დროებით რიგითი მაჩვენებელთა შედეგების ცვლილებებით-ბევრი მაჩვენებლის გაანგარიშება დაიწყო მხოლოდ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან, რაც ართულებს ეკონომიკური პროცესების კვლევის დინამიკას;

7. დროებით რიგითი მაჩვენებლებისგაან გარიშების პრობლემების დალაგება მეთოდური ცვლილებების მიხედვით.

აღნიშნულის ფორმულირება შეიძლება მეთოდური ცვლილებების რამოდენი მემიზეზით:

ა. მოქმედ კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები, რომელიც არეგულირებს მაჩვენებლებს ამა თუ იმ საკითხის გაანგარიშებისას;

ბ. მცირე სანარმოთ ასაქმიანობის ანალიზისას ცალკეული წლების მონაცემთა ჩართვა ან პირიქით გამოტოვება;

გ. მთლიანი გამოკვლევებიდან, ამორჩეით გამოკვლევებზე გადასვლა და პირიქით;

დ.რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობის მონაცემთა დაზუსტებამო სახლეობის აღწერის შედეგებით. (ეს მონაცემები გამოიყენება საშუალო სულადობრივი მაჩვენებლების გასაანგარიშებლად).

8. კრიტერიუმების ცვლილებები მცირე საწარმოთა დაჯგუფებაში.

აქ იგულისხმება საწარმოთა მიკუთვნება მცირე საწარმოთა კატეგორიაში;

9. მაჩვენებელთა პუბლიკაციაში დროითი ლაგი-აღნიშნულში იგულისხმება რეგიონულიე კონომიკის სისტემურ დიაგნოსტიკაში წარმოდგენილი ეკონომიკურ მაჩვენებელთა პუბლიკაციაში სხვადასხვა დაგვიანება დროის მიხედვით.

დროითი ლაგი უფრო მეტად ახასიათებს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს, როგორიცაა შიდა რეგიონული პროდუქტის სიდიდე. მისი პუბლიკაცია აგვიანებს თითქმის ერთი წლით;

10. მუნიციპალური სტატისტიკის განვითარების ჩამორჩენა-მუნიციპალურ წარმონაქმნთა ეკონომიკაზე ინფორმაცია უკიდურესად მცირეა. ინფორმაცია რეგიონულ ადმინისტრირებაზე დაცალკეული მეცნიერული კვლევების შედეგები აფართოებენ საჭირო ეკონომიკური ინფორმაციის რაოდენობას მუნიციპალიტეტების განვითარების დონის შესახებ, რაც არასაკმარისად არის წარმოდგენილი.

### 17.2.4 ტიპიური პრობლემები ინდიკატორთა გაანგარიშებაში

რეგიონის ეკონომიკის დიაგნოსტიკის ჩატარებისათვის პირველადი ინფორმაციის არ არსებობა, ან არასათანადო ხარისხი ადეკვატურად აისახება არსებულ სიტუაციებში. რთულ ამოცანას წარმოადგენს წარმოებულ ინდიკატორთა მთელი რიგი ჯგუფის გაანგარიშება საკმარისი რაოდენობის საწყისი სტატისტიკურ მონაცემთა პირობებში.

შეიძლება გამოიყო სინდიკატორულ გაანგარიშებათა ხუთი ტიპიური პრობლემა:

1. მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინება სულადობრივი ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისას (ე.ი. მაჩვენებლების მოსახლეობის სულადობაზე გაანგარიშების მნიშვნელობა);

2. ფედერაციის რთული შემადგენელი სუბიექტების მაჩვენებელთა მთელი კომპლექსის ანალიზი;

3. თბილისისა და მუნიციპალურ დონეზე რეგიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და მოსაზღვრე რაიონების განცალკავებული აღრიცხვის დასაბუთებულობის პრობლემა;

4. ფასების დონით რეგიონთა შორის განსხვავებებში შესწორების წარმოება (ე.ი. რეგიონების შედარება ლარის მსყიდველობითი უნარის განსხვავებულობის გათვალისწინებით);

5. მაჩვენებელთა შერჩევა რეგიონთაშორის განსხვავების შეფასებისათვის (მაქსიმალურიმნიშვნელობისდამოკიდებულებამინიმალურთან, ანსტანდარტულიგადახრისდამოკიდებულებასაშუალომნიშვნელობასთან).

განვიხილოთ თითოეული მათგანი უფრო დეტალურად.

მოსახლეობის რიცხოვნობის მონაცემთა თავისებურებანი:

რეგიონის ეკონომიკის სისტემურ დიაგნოსტიკაში ეკონომიკური მაჩვენებლების აბსოლიტურ სიდიდეს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, სხვადასხვა ტერიტორიების განვითარები სდონის მიხედვითა და სხვადასხვა სამეურნეო პროცესების შედარებისათვის აუცილებელია მაჩვენებელთა გაანგარიშება მოსახლეობის სულადობაზე დაყრდნობით. დემოგრაფიულ სიტუაციათა და მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ მონაცემთა საფუძველს წარმოადგენს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა.

მოსახლეობის აღწერა ეს არის განსაზღვრული დროისათვის ქვეყნის ან მისი რომელიმე ნაწილის მცხოვრებზე დემოგრაფიული და სხვა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცნობების შეკრება. მოსახლეობის აღწერის მიზანია სქესის და ასაკის, სოციალური და ოჯახური მდგომარეობის, ეროვნული კუთვნილების მიხედვით მცხოვრებთა საერთო რაოდენობის, მათი შემადგენლობის, დასახლებულ პუნქტებს შორის მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგება-განაწილების, მათი განათლების დონის პროფესიისა და საქმიანობის შესახებ ცნობების დადგენა. ასეთი ცნობების შეგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსახლეობა აწარმოებს და ერთდროულად მოიხმარს ყველა სახეობის მატერიალურ და კულტურულ ფასეულობას.

მოსახლეობის აღწერა წარმოებს პერიოდულად წინასწარ განსაზღვრულ დროს. მოსახლეობის აღწერას საკმაოდ დიდიხნის ისტორია აქვს. საქართველოში მოსახლეობის აღწერა ჯერ კიდეე ფეოდალურ პერიოდში დაიწყო. საქართველოს მოსახლეობის შესახებ ზუსტი ცნობების შეგროვება XIX-ის დასაწყისიდან დაიწყო. პირველი საყოველთაო აღწერა საქართველოში და ასევე მთლიანად რუსეთის იმპერიაში ჩატარდა 1897 წელს. საქართველოში აღწერები ჩატარდა 1926 წელს; 1939 წელს, 1959 წელს, 1970 წელს, 1979 წელს, 1989 წელს და 2002წელს.

რაც შეეხება მოსახლეობის მსოფლიო აღწერებს ზოგიერთ ქვეყანაში დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო აღწერა ხდება ყოველ ხუთ წელიწადში. ქვეყნების უმეტესობაში კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მოსახლეობის აღწერა ტარდება 10 წელიწადში ერთხელ. აშშ-ში მოსახლეობის პირველი აღწერა ჩატარდა 1790 წელს; შვეციაში 1800 წელს, დიდ ბრიტანეთში 1801 წელს, ნორვეგიაში1815 წელს, საფრანგეთში 1831 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მოსახლეობის აღწერა თითქმის ყველა ქვეყანაში ჩატარდა, მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლა მაინც არ არის სრულყოფილი, კერძოდ არსებობს სერიოზული პრობლემა ზოგიერთ რეგიონებში აღწერის შედეგების ფალსიფიცირების კუთხით. ამდენად მიზანშეწონილია უფრო მეტი სიზუსტისათვის აღწერის შედეგები შედარებულ იქნას მიმდინარე სტატისტიკურ ინფორმაციებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემები დარეგისტრირებულ პირებზე არ ასახავენ შესაბამისი რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობას.

მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაცია 2008 წლის 1 იანვრისათვის გამოქვეყნებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2010 წელს გამოქვეყნებულ სტატისტიკურ პუბლიკაციებში, რომელიც მომზადებულია ათასწლეულის გამონვევის პროგრამის პროექტი სფარგლებში.

2009 წელის მაჩვენებლების მიღებისათვის სადაც გათვალისწინებული იქნება ბუნებრივი და მიგრაციული მატების კოეფიციენტების გამოყენება შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმულა, რომლებსაც გვთავაზობენ რუსი მეცნიერები ო.ვ. კუზნეცოვადა ა.ვ. კუზნეცოვი.

$$P_{2009}=P_{2008}\cdot(1+0{,}001\cdot NG_{2008}+0{,}001\cdot MG_{2008})$$

სადაც, $P_{2009}$ არის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა 2009 წლის 1იანვრისათვის; 2002 წლის მოსახლეობის საერთო აღწერის გაუთვალისწინებლად.

$P_{2008}$- რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა 2008 წლის 1 იანვრისათვის 2002 წლის მოსახლეობის საერთო აღწერის გაუთვალისწინებლად.

$NG_{2008}$- მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 2008 წლისათვის 1ათას ადამიანზე;

$MG_{2008}$- მოსახლეობის მიგრაციულობის კოეფიციენტი 2008 წლისათვის 10 ათას ადამიანზე.

კვლევის ასეთი მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროითი თანმიმდევრულობის შენარჩუნებისათვის და განვითარების დინამიკის შესწავლისათვის. მცირე ცდომილებანი მოსახლეობის რიცხოვნობის მონაცემებში რასაკვირველია არსებობს როგორც ქვეყნის ასევე რეგიონებშიც. აქედან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ არ არის საჭირო მოხდეს რეგიონთა მაჩვენებლებში მცირედი განსხვავებათა აბსოლუტიზირება.

მეორე ყველა მაჩვენებლის საერთო პრობლემაა მათი გაანგარიშება და ინტერპრეტაცია დაკავშირებული ფედერაციის რთული შემადგენლობის სუბიექტების სტატისტიკურ მონაცემთა შეფასებაზე.

ამჟამად საქართველო პრეზიდენტის ბრძანებულებით დაყოფილია ცხრა მხარედ და ერთ ქალაქად. რომელსაც რეგიონული მნიშვნელობა აქვს. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად. ამრიგად. საქართველო დაყოფილია 12 პოლიტიკურ ადმინისტრაციულ რეგიონად:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა: ქ. სოხუმი და სოხუმის რაიონი. ასევე ოჩამჩირის, გაგრის, გალის, გულრიფშის, გუდაუთის რაიონები;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ქ. ბათუმი და შესაბამისი რაიონი. ასევე ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონები;

გურიის მხარე: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები;

იმერეთის მხარე: ქ. ქუთაისი. ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოს, ბაღდადის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ხარაგაულის და ხობის რაიონები;

კახეთის მხარე-ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, სიღნაღის, ყვარელის და ლაგოდეხის რაიონები;

მცხეთა-მთიანეთის მხარე: ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის რაიონები;

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემოსვანეთის მხარე: ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის რაიონები;

სამეგრელო ზემო-სვანეთის მხარე: ქ. ფოთი, ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს. წალენჯიხის, ხობის და მესტიის რაიონები;

სამცხე-ჯავახეთის მხარე: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბორჯომის და ნინოწმინდის რაიონები;

ქვემო ქართლის მხარე: ქ. რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის რაიონები;

შიდა ქართლის მხარე: ქ. გორი და კასპი, ქარელის და ხაშურის რაიონები.

სამწუხაროდ ყველა მონაცემები არ არის რეგიონების მიხედვით, ამიტომ ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება მოსახლეობის სულადობაზე რთული შემადგენლობის სუბიექტებში გარკვეულ სიძნელეებთანაა და კავშირებული.

მოსახლეობის სულადობაზე გაანგარიშებით რთული შემადგენლობის სუბიექტების ეკონომიკური მაჩვენებლები გაიანგარიშება შემდეგი ორი ფორმულის მიხედვით:

$$J_{Rtasic} = \frac{N_{fidl} - N_{a01} - N_{a02}}{P_{fidl} - P_{a01} - P_{a02}}$$

სადაც, $J_{Rtasic}$ არის ფედერაციის სუბიექტების ძირითადი ნაწილის სულადობრივი მაჩვენებლების მნიშვნელობა.

$N_{futt}$ -აბსოლუტური მაჩვენებლების მნიშვნელობა რთული შემადგენლობის რეგიონში მთლიანად.

$N_{a01}N_{a02}$- აბსოლუტური მაჩვენებლების მნიშვნელობა ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით.

$P_{futt}$ - რთული შემადგენლობის მქონე რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა.

$P_{a01}$,$P_{a02}$ – ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლების რიცხოვნობა.

*I. რთული შემადგენლობის ცალკეული რეგიონებისათვის:*

$$J_{Rtasic} = \frac{N_{fidl} - N_{a01}}{P_{fidl} - P_{a01}}$$

**საზღვრების პრობლემა აგლომერაციის შიგნით**

რეგიონული დაქვემდებარების ქალაქების ანალიზის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ მასში განლაგებული სოციალურ ინფრასტრუქტურის ობიექტები შეიძლება მოემსახუროს მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობასაც, ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ქალაქებსა და მათ ირგვლივ არსებული ხშირი სატრანსპორტო ქსელი.

ეკონომიკის განვითარების დონითა და სტრუქტურით მსგავს ორ ტერიტორიას შეიძლება ჰქონდეს დიდი განსხვავებული სტატისტიკური მაჩვენებლები.

რეგიონთაშორის განსხვავების აღრიცხვის პრობლემა ფასების დონით-რეგიონთაშორის იგ ანსხვავებების კომპლექსური პრობლემა დაკავშირებულია ფასების დონის მიხედვით. აღრიცხვის პრობლემასთან.

მუნიციპალურ წარმონაქმნებში სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული ნაკრების ღირებულების მონაცემები არარსებობს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეგიონების მნიშვნელოვან პრობლემას.

ერთი მხრივ სამომხმარებლო მოცულობის გათვლითი სქემის წარმოება შესაძლებლობას იძლევა შევადაროთ რეგიონების მიხედვით ღარის მსყიდველობითი უნარი სამომხმარებლო საქონლის შეძენისას, ხოლო მეორე მხრივ ასეთი ფიქსირებული ნაკრების გამოყენება არ იძლევა შესაძლებლობას გათვალისწინებულ იქნას სტაბილურად არსებული განსხვავება სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურაში, რაც განპირობებულია სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის განსხვავებული მოთხოვნილებებით.

ამგვარად, შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ არ არის ადეკვატური მაჩვენებლები, რომელიც შეასრულებს ფედერაციის სხვადასხვა სუბიექტის ღარის მსყიდველობითი უნარის შეფასების ფუნქციას გარკვეულწილად შეიძლება გამოყენებულ იქნას სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული ნაკრების ღირებულება მოსახლეობის მსყიდველობითი უნარით რეგიონთაშორის შედარებისათვის.

**რეგიონული განსხვავებების მასშტაბით შეფასება**

გარკვეულ ინტერეს სრეგიონთა დიფერენციაციის შესწავლისათვის წარმოადგენს ორი მაჩვენებელი:

1. მაქსიმალური მნიშვნელობის მაჩვენებლის თანაფარდობა მინიმუმთან.

$$mm = \frac{X\max}{X\min}$$

**2.** რეგიონების მიხედვით მაჩვენებელთა სტანდარტული გადახრების თანაფარდობა საშუალოსთან.

$$\mathbf{Stdevp} = \sqrt{\frac{n\sum X^2 - (\sum X)^2}{n^2}}$$

სადაც **n** – რეგიონების რიცხვია **X** რეგიონების მიხედვით მაჩვენებელთა მნიშვნელობა.

განსაზღვრულ ჩარჩოებში ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთს ავსებს. ერთი მხრივ მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობის თანაფარდობა მინიმალურთან გვიჩვენებს განსხვავებას უფრო კარგ და პრობლემურ რეგიონების მასშტაბში, მაგრამ მეორე მხრივ არ გვიჩვენებს რეგიონების დიფერენციაციის საერთო სურათს.

რაც შეეხება სტანდარტულ გადახრებს – გვიჩვენებენ რა რამოდენიმე ფართოდ გავრცელებულ მაჩვენებლების შედარებას საშუალოსთან, არ იძლევიან კრიტიკული რეგიონების გამოვლენის შესაძლებლობას. სტანდარტული გადახრების შეფარდება ქვეყნის საშუალო მნიშვნელობასთან გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებელთა მონაცემების შედარებისათვის.

**17.3 რეგიონული დიაგნოსტიკის კვლევის ამოცანები**

დიაგნოსტიკა რეგიონული გამოკვლევების ყველაზე უფრო ძნელად შესასრულებელი კომპონენტია. სურვილისა და საკმაო რესურსების არსებობის პირობებში შესაძლებელია შეგროვილ იქნას ინ-

ფორმაციის ნებისმიერი მოცულობა ნების ᲛᲔᲠ რეგიონში, რაიონში, ქალაქში, სიტუაციის მდგომარეობის შესახებ და წარმოდგენილი იქნას ეს ინფორმაცია მაჩვენებლების საკმაოდ ფართო ნაკრების სახით. პროფესიული ჩვევების არსებობისა და შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის პირობებში შეიძლება გაკეთდეს გაანგარიშებები და აიგოს ნებისმიერი სირთულის მოდელები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ამ მაჩვენებლებს შორის არსებული დამოკიდებულების სხვადასხვაგვარ დახასიათებას. ასევე შეიძლება ვერბალურ დონეზე მოვახდინოთ ცალკეული შემთხვევების, ფაქტების აღწერა რეგიონის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებიდან, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს ის, რომ არც პარამეტრების, არც მოდელების, არც სიტყვიერი ჩამონათვალის აღწერა არ არის დიაგნოზი. ეს ჯერ კიდევ არ არის მდგომარეობისა და მისი მიზეზების შემფასებელი ის ფორმულა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მიგვეღო ამ ფორმულის ადეკვატური გადაწყვეტილება.

რეგიონული დიაგნოსტიკის მთავარი ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ შევაგროვოთ რაც შეიძლება ბევრი ინფორმაცია კონკრეტული ტერიტორიის შესახებ და აღვწეროთ ეს ყველაფერი რაც შეიძლება სრულად, არამედ ამოცანა და მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მომხდარისა და მისი მიზეზების სწორი განსაზღვრით, შეფასებით მივცეთ, დავუსვათ კონკრეტულ მოქმედებას ნიშანი. დიაგნოზი.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ რეგიონულ დიაგნოსტიკას შესწევს შესაძლებლობა პასუხი გასცეს ცალკეული კერძო საკითხების უაღრესად ფართო სპექტრზე, მაგრამ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ეს პასუხი საბოლოო ჯამში „მუშაობდეს" მიმართული ყოს სისტემურ შედეგებზე. ეს შესაძლებელიცაა და აუცილებელიც, რამეთუ ტერიტორიის მდგომარეობის ყველა პარამეტრს შორის პირდაპირი კავშირები (მაგალითად, მთლიან რეგიონულ პროდუქტსა და უმუშევრობის დონეს შორის) რეალურად არსებობენ, ექვემდებარებიან მოდელირებასა და რაოდენობრივ-ხარისხობრივ მეცნიერულ ასახვას.

რეალურად სრულყოფილი სისტემურობის მიღწევა ჯერჯერობით მაინც რჩება ბევრი რეგიონული დიაგნოსტიკური გამოკვლევების მიუღწეველ იდეალად, დანაწევრებული მონაცემების სისტემატიზაცია ხორციელდება ეკონომიკური დიაგნოსტიკის შედარებით ვიწრო ფარგლებში, როდესაც სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა შეფასებები ხორციელდება ტერიტორიის ეკონომიკური განვითარებაში მათი ექსპერტულად დადგენილ მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

საერთოდ ნებისმიერი ინტეგრალური შეფასებები შეიცავენ გამარტივების ელემენტებს, ამიტომ წარმოიშვება იმის ცდუნება, რომ რეგიონულ სიტუაციებსა და პრობლემებს დავუსვათ დიაგნოზი არა ინტეგრალური მონაცემების საფუძველზე, არამედ ცალკეული კერძო მაჩვენებლების სიმრავლის საფუძველზე.

პრაქტიკაში არ არის გამორიცხული და ხშირად სარგებლობენ კიდეც კერძო რაოდენობრივი შეფასებების ელემენტალური არითმეტიკული დაჯამებით.

არსებობს ორი მთავარი საშიშროება, რომლებიც თან ახლავს რეგიონულ დიაგნოსტიკას:

1. ერთ განზომილებიანი პრიმიტიული შეფასებისადმი მისწრაფება;

2. პირიქით მისწრაფება სადიაგნოზო ობიექტის კერძო შეფასებებით გადატვირთვისადმი, რაც საშუალებას არ იძლევა გამოვიტანოთ რამოდენი მემთლიანი და საბოლოო შეფასება, ამ დროს არსებობს რეგიონული დიაგნოსტიკის ტექნოლოგიების საკმაოდ ვრცელი ჯგუფი, რომლებიც გამოიყენებიან სხვადასხვა გამარტივებებით და სავსებით შეესატყვისებიან დასახულ ამოცანებს.

რეგიონული დიაგნოსტიკა წარმოადგენს აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მეცნიერულად დასაბუთებული ხერხების რაღაც თვითნებურ და თითოეულ შემთხვევაში „ინდივიდუალიზებულ" შეერთებას, რეგიონული სისტემის ფუნქციონირებისა და ხასიათის არსის თაობაზე, შემკვეთებისა და შემსრულებლების ცოდნათა ინდივიდუალურ მოცულობების შეერთებას.

რეგიონული დიაგნოსტიკა უფრო მეტად თავისუფალია თავისი საბოლოო შედეგების წარმოდგენის ფორმაში, მაგრამ ამასთან ერთდროულად უფრო მეტად არის დამოკიდებული შემკვეთების განზრახულებათა სერიოზულობის მიმართ და შემსრულებლების პროფესიონალიზმზე.

# რეგიონულ ეკონომიკაში მრეწველობის დიაგნოსტირების და განვითარების სპეციფიკა

## 18.1 სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი მიზნები

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თავისებურებების, ტენდენციების კანონზომიერებათა გამოკვლევას, სამრეწველო პოტენციალის ამოქმედების რეალური ფაქტორების თეორიულ-მეთოდოლოგიურ შესწავლას პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ურთიერთობების პირობებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

1. შექმნას ქვეყნის მრეწველობის მართვისა და რეგულირების პოლიტიკის კონცეპტუალური ბაზა;

2. მრეწველობის კრიზისის უარყოფითი შედეგების გადალახვა:

3. დარგის აღორძინება და მდგრადი განვითარება მისი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტური გამოყენების გზით.

ამ მიზნით საქართველოს სამრეწველო პოლიტიკა მოიცავს:

1. ტრადიციული სამრეწველო პოლიტიკის ელემენტებს, პრიორიტეტების ჩამოყალიბებისა და შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებს, ბუნებრივი რესურსების, საწარმოო გამოცდილებისა და ტრადიციების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გათვალისწინებით;

2. ღონისძიებების კომპლექსს, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო სამამულო მრეწველობის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით განურჩევლად დარგის სპეციფიკისა და საწარმოების საკუთრების ფორმისა;

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მაკროეკონომიკური და მრეწველობის მიკროეკონომიკური დონის რეგულირების შეხამების გარემოს შექმნას, რაც განაპირობებს დარგების მიმართ დიფერენცირებული პოლიტიკის გატარებას და მიკროეკონომიკური სტაბილიზაციის სხვა კონკრეტული მეთოდების გამოყენებას.

სამრეწველო პოლიტიკის მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას ამოსავალი უნდა იყოს მრეწველობის განვითარებისათვის ამოსავალი ხელშემწყობი პირობები. კერძოდ:

1. სამამულო მრეწველობის პროდუქციის ფორმირებაში მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების როლი;

2. ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის შექმნისა და გასაღების გამოცდილება და პერსპექტივა;

3. შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პოტენციალი;

4. არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი;

5. კვალიფიციური მუშახელის, ინჟინერ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა;

6. თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქტზე მოთხოვნა;

7. სამრეწველო პროდუქციაზე აგრარული სექტორის პოტენციური მოთხოვნა;

8. შიდა და გარე ბაზარზე კვების მრეწველობის პროდუქციის პოტენციური კონკურენტუნარიანობა;

9. ხელშემწყობი ბუნებრივი კლიმატური პირობები და საკურორტო-ტურისტული ბიზნესის ინდუსტრიული მომსახურების პერსპექტივები. ასეთი მიდგომის საფუძველზე უნდა განისაზღვროს სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტები, რომელიც რამოდენიმე ჯგუფად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. არსებული სანედლეულო ბაზის შენარჩუნება და სამრეწველო პროდუქციის წარმოებისათვის მათი შემდგომი განვითარება;

2. საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა;

3. მანქანა-დანადგარების წარმოება სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობისათვის იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც საქართველოს ახასიათებს;

4. ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის სამრეწველო მოთხოვნილებებისა და მომსახურების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული დარგების განვითარება (სატრანსპორტო საშუალებები, საგზაო

ტექნიკა, სასიგნალო-საავარიო აპარატურა და მოწყობილობები, სპეციალური კონსტრუქციი სსამშენებლო მასალების წარმოება);

5. თავდაცვითი მრეწველობის ფუნქციონირება ეროვნულ-თავდაცვითი დოქტრინით განსაზღვრულ ფარგლებში;

6. ადგილობრივ და გარე ბაზარზე ორიენტირებული მრეწველობის და საყოფაცხოვრებო მოხმარების სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

სამრეწველო პოლიტიკის განხორციელება ხანგძლივი და თანდათანობითი პროცესია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მიდგომებს მრეწველობის დარგში, გარემოს დაცვის ღონისძიებების აუცილებელი გათვალისწინებით.

### 18.2 მრეწველობის ძირითადი სექტორები და მათი სტრუქტურული რეგულირება

საქართველოს ნებისმიერი რეგიონი ეს არის ბუნებრივი, შრომითი და სხვა საწარმოო ფაქტორების უნიკალური კომპლექსი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული მდებარეობადა თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებით მეტნაკლები უზრუნველყოფა. რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარეობს მისი განვითარების საწარმოო პროფილიც, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო, გადამამუშავებელი თუ მომპოვებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონულ ეკონომიკაზე ეკონომიკურ-პოლიტიკური ზემოქმედების უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება საწარმოო-ტექნოლოგიური სტრუქტურის რეგულირებით.

სტრუქტურულ გარდაქმნათა მეურნეობრივი პრიორიტეტის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დარგობრივი სამრეწველო ბაზრების ურთიერთ შეთანხმებული რეგულირებისას.

დარგი ეს არის ერთიანი ბუნების ორგანიზაციათა ერთობლიობა, დარგის პროდუქცია კი არის დარგის მომცველი დანესებულების მიერ წარმოებული ყველა პროდუქციის ერთობლიობა.

დარგის ძირითად მაჩვენებლად გვევლინება:

1. მთლიანი გამოშვების მაჩვენებელი;

2. მთლიანი დამატებული ღირებულება.

მთლიანი გამოშვების მაჩვენებელი ახასიათებს წარმოების შედეგებს, რომელიც განისაზღვრება ყველა წარმოებული საქონლის (მომსახურების) მთლიანი ღირებულებით, ე.ი. მისი საერთო ღირებულებიდან არ არის გამორიცხული წარმოების პროცესში დახარჯული ძირითადი მასალების, ნედლეულისა და შუალედური მოხმარების სხვა ელემენტების ღირებულება.

მთლიანი დამატებული ღირებულება უფრო ზუსტად ახასიათებს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. რამდენადაც საქონლის საერთო ღირებულებიდან გამორიცხულია შუალედური მოხმარების ელემენტების ღირებულება, მთლიანი დამატებული ღირებულება მოიცავს მოხმარებული ძირითადი კაპიტალის (ძირითადი ფონდების ცვეთის) ღირებულებასაც.

სტატისტიკური შესწავლისას შემდეგი საკითხებზე უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება:

1. პროდუქციის მოცულობისა და სტრუქტურის შესწავლა;

2. პროდუქციის შეფასების მეთოდების განხილვა;

3. პროდუქციის აღრიცხვის მაჩვენებლების სტატისტიკური დახასიათება;

4. პროდუქციის დინამიკის სტატისტიკური შესწავლა;

5. სხვადასხვა დარგის მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური შესწავლის თავისებურებათა დახასიათება.

სტრუქტურული რეგულირების მიზნებისა და საშუალებების დასაბუთება მიზანშეწონილია განხორციელდეს ეროვნული მეურნეობის მსხვილი ფაქტორების დონეზე, რომლებიც განსხვავდებიან შესაბამის სასაქონლო დ აკაპიტალის ბაზარზე აუცილებელი სახელმწიფოებრივი ჩარევის ხარისხითა და დონით, ანუ გამომდინარე ლიბერალური საბაზრომო თხოვნებით. ასეთი კრიტერიუმების შესაბამისად უნდა გამოვყოთ:

1. საბაზრო, პირველადი დარგების სექტორები;

2. ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სექტორი;

3. პოტენციურად კონკურენტუნარიანი სექტორი;

4. დეპრესიული სექტორი;

5. მცირები ზნესსექტორი.

მრეწველობის ძირითადი სტრუქტურების სტრუქტურულ რეგულირებას შემოთავაზებული მიდგომის ბაზაზე ობიექტურად თან ახლავს გარკვეული სიძნელეები თითოეული ამ პროცესების არსებითი სპეციფიკის გამო. ის განპირობებულია არსებული განსხვავებებით პირველ რიგში სექტორული რეფორმირების ამოცანების შინაარსობრივი თვალსაზრისით.

საბაზრო სექტორი ეს ის სექტორია, რომელშიც საბაზრო ურთიერთობებმა ყველაზე ღრმად შეაღწია და რომელიც ყველაზე ნაკლებად საჭიროებს სახელმწიფოს მხრივ რაიმემ კაცრ ზომებსა და ღონისძიებებს. მოცემულ სექტორს არ განეკუთვნება მცირე ბიზნესის სექტორი რამდენადაც იგი ცალკე განიხილება.

მრეწველობის დარგებში შერჩევითი გამოკვლევების მონაცემებით საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა კრიზისულ დონეზე რჩება.

საბაზრო სექტორის ზრდის პოტენციალი საქართველოში საკმაოდ მაღალია, მაგრამ მისი რეალიზაციისათვის საკმარისი არ არის მაკროეკონომიკის სიტუაციის რამდენადმე გაუმჯობესება, რაც დაკავშირებულია შიგა ბაზარზე მოთხოვნილებით შეზღუდვების შესუსტებასთან. საჭიროა სამამულო საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის კარდინალური ამაღლება.

საბაზრო სექტორის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პრობლემის გადაწყვეტის სირთულე, რასაკვირველია განპირობებულია ამ პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის შეუძლებლობით. ამ სექტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურების გრძელვადიანი მოთხოვნა მიღწეულ უნდა იქნეს საბაზრო ძალების მოქმედების მეშვეობით, მათ შორის საბაზრო რეგულირების ხარჯზე. მიუხედავად ამისა სტრუქტურული გარდაქმნების სტრატეგია საინვესტიციო აქტიურობის ამაღლების საფუძველზე, თუნდაც ირიბი სახით, მაინც თანერთვის განსახილველ სექტორს. ძირითადი მიდგომა მდგომარეობს ეკონომიკის სხვა სექტორებში ინვესტიციების წახალისებაში, რაც გავლენას მოახდენს განსახილველი სექტორის დარგთაშორის კავშირებზე. ამიტომ სექტორული პოლიტიკის განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დარგთაშორისი ურთიერთქმედების მექანიზმს.

მოცემული სექტორის სტრუქტურული რეფორმების პროცესში ირიბი ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად უნდა გამოიხატოს ახალი კაპიტალური დაბანდებებისა და პროდუქციის გამოშვების გაფართოების მოსალოდნელი რენტაბელობის ამაღლებაში.

მოცემული სექტორის ფარგლებში ლიბერალური ბაზრების თვითგანვითარების პოზიტიური შედეგების მიღწევის შემთხვევაში წარმოიქმნება წანამძღვრები ინვესტიციებისა და საწარმოო გამოშვების მყარი, ურთიერთშემავსებელი ზრდისათვის. ამ საფუძველზე პერსპექტივაში უნდა ჩამოყალიბდეს დარგთაშორის ურთიერთქმედებათა ინვესტიციების ზრდის მყარი მოდელი. ასე მაგალითად. ინვესტიციების გაზრდა როგორც სამოქალაქო მშენებლობაში ის ესა ბოლოო მოხმარების სხვა სეგმენტებში გამოინვევს სამშენებლო მასალების მრეწველობაში ინვესტიციების გაზრდის მოთხოვნილებებს, რომელიც დაკავშირებულია მრეწველობის რიგი დარგების ინვესტიციების გაზრდასთან.

2) ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სექტორის რეგულირებისათვის უფრო მკაცრიპოლიტიკაა საჭირო, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გადაუდებელი სახელმწიფოებრივი ჩარევა მონოპოლიის ზონაში პრივატიზაციის შედეგების არსებითი კორექტირებისათვის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისადმი კონტროლის გაძლიერებასა და სხვა ეკონომიკური პროცესების სათანადო რეგულირებისათვის.

მოცემული სექტორის რეგულირების პოლიტიკა პირველ რიგში დაკავშირებულია პირველად რესურსებზე ფასების დინამიკასა და გამოყენების პრობლემებთან. ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს პირველადი რესურსების მოხმარების შესამცირებელ კონკრეტულ რესურს და მზოგველ პროექტებზე. ამ მიზნით შეღავათიანი კრედიტებისა და უცხოური ინვესტიციების სახსრების მოზიდვაზე და ასევე აუცილებელია მიღწეულ იქნას კომპრომისი ენერგო მწარმოებელ მომხმარებელ დარგებსა და საზოგადებრივ ორგანიზაციებს შორის ენერგომატარებლებზე ფასების შეცვლის თაობაზე. ( ენერგო მოხმარებისა და პირველადი რესურსების ხარჯვის შემცირების მიზნობრივ პროგრამებზე ორიენტირების ჩათვლით).

ასეთი გამოცდილება ჰქონდა იაპონიას ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც შეთანხმებები იდებოდა ნახშირის კომპანიებსა, ფოლად ჩამომსხმელ ქარხნებსა და მანქანათ მშენებელსაწარმოებს შორის, რაც ბუნებრივია სახელმწიფოს აქტიური შუამავლობით ხორციელდებოდა.

სახელმწიფოს ფართომაშტაბიანი ჩარევა საინვესტიციო აქტიურობის ასამაღლებლად გამოწვეულია პირველ რიგში კერძო ინვესტიციებისათვის აღნიშნული სფეროს შემოსავლიანობის კუთხით არა მიმზიდველობის გამო.

სტრუქტურულ იინვესტიციური მანევრის განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო იძულებული იქნება თავის თავზე აიღოს აღნიშნულ სექტორში ინვესტიციებზე ძირითადი პასუხისმგებლობა. ამასთან სახელმწიფოს შეუძლია პრიორიტეტულ საფუძველზე ითანამშრომლოს სხვა დაინტერესებულ პარტნიორებთან კონკრეტული პროექტების დაფინანსების საქმეში. უპირველეს ყოვლისა თანამშრომლობამ კომერციულ ბანკებთან. ინვესტიციების დაბრუნების სახელმწიფოებრივი გარანტიების შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი მონაწილეობის საინვესტიციო სავარაუდო წილმა სექტორში შეადგინა არანაკლებ 50%-ისა.

საბოლოო ჯამში იქნება შესაძლებლობა კერძო ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური მოგებისათვის სახელმწიფოს ფაქტიური მონაწილეობით შედარებით ნაკლებ შემოსავლიანი, მაგრამ მოცემული სექტორისათვის აუცილებელი რესურსის დაზოგვითი და სანარმოო იმფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების შექმნა.

მოცემული სექტორის წარმატებული სტრუქტურული ტრანსფორმაციისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს, ურთიერთ დაზოგვისა და ინვესტირების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანის შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული გადაწყვეტა რაც გზას უხსნის კაპიტალის ნაკადის მოზიდვას სრულიად განსხვავებული წყაროებიდან და შესაბამისად თანდათანობით შიდა ფასების მსოფლიო ფასებთან მიახლოებას. ამ პროცესების პოზიტიურმა განვითარებამ უნდა გამოიწვიოს კონკურენციული გარემოს წარმოშობა და ბუნებრივი მონოპოლიების ოლიგოპოლებად თანდათანობით ტრანსფორმაცია.

განხილულ სექტორში მოსალოდნელი საინვესტიციო „გარლვევის" დასრულებისას პირველად რესურსებზე შიდა ფასების მსოფლიო ფასებთანთან დათანობით მიახლოების შედეგად, ხლსაყრელ მიკროეკონომიკურ პირობებში რეალურია კაპიტალ წარმოქმნის მყარი მოდელის ფორმირება.

3) ინვესტიციური აქტიურობის გაზრდის საფუძველზე სტრუქტურული გარდაქმნების პოლიტიკის განხორციელება რეალიზებულ უნდ აიყოს პოტენციურადც ონკურენტუნარიან სექტორში ეს პირდაპირ არის დაკავშირებული კონკურენტუნარიანი პროდუქციისათვის ბაზრების შექმნის დიდ მნიშვნელობასთან და ინვესტიციების მაშტაბურ მოთხოვნა-საჭიროებასთან.

კაპიტალის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანას ყველაზე უფრო პრიორიტეტული მნიშვნელობა სწორედ მოცემულ სექტორში აქვს. ამ პრიორიტეტებიდან გამომდინარე უნდა წყდებოდეს სექტორული რეგულირების სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც. უპირველეს ყოვლისა წარმოების კონკურენტუნარიან სფეროში პრივატიზაციისა და სტიმულირების საკითხი.

მოცემულ სექტორში ინვესტიციური რესურსების შეზღუდულობა უმთავრესად ვლინდება ბევრ სანარმოში უდიდესი დავალიანებების ფონზე თვითდაფინანსების წყაროების პრაქტიკულად არარსებობაში, შიდა ინვესტორების სუსტ მონაწილეობაში.

ამგვარად, დროის მოკლე პერიოდში განხორციელებულ უნდა იყოს საქმიანი ინვესტიციები რესურს დამზოგველი ტექნოლოგიების დასანერგად, ინოვაციების მხარდასაჭერად და სხვა აუცილებელ გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ სტრუქტურულ-ინვესტიციურ მანევრის ფარგლებში.

განსახილველი სექტორული პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სტრატეგიული დარგებისა და ქვედარგების განვითარების პროგრამების რეალიზაცია, რომლის საინვესტიციო პროექტებში ჩართული იქნება სახელმწიფოს მონაწილეობა. წარმატებული სტრუქტურული ტრანსფორმაციის პირობებში სრულიად შესაძლებელია მსოფლიო ბაზარზე მძლავრი გარლვევების განხორციელება, აუცილებელი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერა, ბაზრის მოცემულ სეგმენტში შეძლებს თვით გამოსყიდვას საშუალო ვადიან პერსპექტივის ჩარჩოებში.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მაღალი ტექნოლოგიებისა და მის მომიჯნავე დარგებში შეუძლებელია ინოვაციური პროცესების განხორციელება ფინანსური მხარდაჭერის გარეშე.

გარდა ჩამოთვლილი ამოცანებისა პერსპექტიულ პერიოდში პოტენციურად კონკურენტუნარიანი სექტორის სტრუქტურული რეფორმირება გამოიწვევს ამ პროცესისათვის წარმოების ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურების წარმოქმნის პრობლემების გადაწყვეტას. პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია წარმოების კონკურენციის მისაღები დონის აღდგენის აუცილებლობასთან პოტენციურად კონკურენტუნარიანი სექტორის საწარმოებში.

სპეციალისტები სამართლიანად მიუთითებენ, რომ განხილულ სექტორში ინვესტირების შედეგიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებებისადმი შემდგომი ადაპტაციის მსვლელობაში ინსტიტუციურ გარდაქმნებზე. მკაცრი კონკურენციისა და საბაზრო კონიუქტურის მკვეთრი მერყეობის პირობებში სულ უფრო მიზანშეწონილი ხდება პოტენციურად კონკურენტუნარიანი მაღალ ტექნოლოგიური საწარმოების ორგანიზაციული გარდაქმნა წარმოების მაქსიმალური დივერსიფიკაციის პრინციპებზე, რომელიც გულისხმობს მსხვილი კონცერნები სჩარჩოებში კაპიტალის ინტეგრაციას.

გარდა ამისა, საშუალო ვადიანი პერსპექტივის საზღვრებს იქით შენარჩუნებული იქნება ადგილობრივ მწარმოებლების მიმართ განსაზღვრული პროტექციონიზმის მოთხოვნა ცალკეულ ქვედარგებში, მაგრამ მხოლოდ ბაზრის ათვისების აუცილებელი პერიოდის განმავლობაში. მთლიანობაში ყოფილი საბჭოთა სამრეწველო კომპლექსის ძირითადი ნაწილის ტრანსფორმაცია უნდა დასრულდეს საბაზრო სექტორთან მისი „შერწყმით". ასეთი პოზიტიური შედეგი მოცემულ სექტორში უნდ აიღნიშნავდეს ინვესტიციების ეკონომიკური როლის პრინციპულ ცვლილებას. იგი მოწოდებულია აისახებოდეს საბოლოო მოთხოვნის ზრდის გრძელვადიან მულტიპლიკაციურ ეფექტში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ გრძელვადიანი გეგმით მაღალტექნოლოგიებში დაბანდება წარმოადგენს ყველაზე უფრო ეფექტიანს და ემსახურება თანამედროვე პოსტინდუსტრიული ეკონომიკის მყარ ზრდას.

4) ეკონომიკური გადაწყვეტილებების სრულიად განსხვავებულ სფეროს წარმოადგენს დეპრესიული სექტორი. კერძოდ მისი ისეთი დარგი, როგორიცააა ვანახშირის მრეწველობა. ბოლო დრომდე სახელმწიფოს ფაქტიურად არ განუხორციელებია ამ მიმართულებით სერიოზული სტრუქტურული პოლიტიკა. სახელმწიფოებრივი ჩარევის ზომები, როგორც წესი სუბსიდიების სახით, მხოლოდ კოსმეტიკურ ხასიათს ატარებდნენ, რაც ძირითადად მიმართული იყო დეპრესიულ დარგებში და ქვედარგებში დასაქმებულთა შესანარჩუნებლად.

დეპრესიული სექტორის საინვესტიციო სფეროში პრაქტიკულად არ განხორციელებულა საბაზრო ურთიერთობათა ფორმა, სადაც ერთადერთი სუბიექტი, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალის მოძრაობაზე წარმოადგენს სახელმწიფო.

5) განვითარებული სამრეწველო სექტორის სამეურნეო სტრუქტურის გარდაქმნის ერთ-ერთ არსებით ტენდენციას წარმოადგენს მცირე ბიზნესის საწარმოთა წინმსწრები განვითარება.

ცხოვრებამ დიდი ხანია უარყო ადრე მიღებული დოგმა იმის შესახებ, რომ სტრუქტურული ძვრები ხდება ერთი მიმართულებით-გაერთიანებითა და გამსხვილებით, რაც არც თუ შორეულ წარსულში იწოდებოდა განსაზოგადოებად, მაგრამ პროგრესისაკენ მიმავალი გზა არ არის ცალსახა.

თანამედროვე ეკონომიკამ წარმოშვა მილიონობით წერილი და უწვრილესი საწარმოები. სხვადასხვა ელემენტების გაერთიანებადა განსაზოგადოება ეკონომიკურ სისტემაში, მათი ურთიერთქმედება-თანამედროვე ეკონომიკის სტრუქტურიზაციის რეალური პროცესია.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდამდე ტექნიკური პროგრესის გავლენა იწვევდა საწარმოთა მოცულობის არსებით ზრდას. 1920 წლიდან 1960 წლამდე პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საავტომობილო მრეწველობაში საწარმოთა საშუალო სიდიდე ოთხჯერ გაიზარდა, შავ მეტალურგაში 1,5-ჯერ ნავთობმომპოვებელ და ცემენტის მრეწველობაში ორჯერ, ფქვილსაფქვავ მრეწველობაში 30%-ით გაიზარდა და ა.შ.

უკვე 60-იანი წლებიდან თავი იჩინა საწინააღმდეგო ტენდენციამ საწარმოთა საშუალო ზომამდე შემცირება-კლებამ.

ე.მენსფილდი, სწავლობდა რა ტექნიკური პროგრესის გავლენას საწარმოთა სიდიდეზე და დონეზე, აღნიშნავდა, რომ უწინ ტექნიკურ პროგრესს მივყავდით საწარმოთა სიდიდის ზრდისაკენ და კონცენტრაციის დონის ამაღლებისაკენ. დღეისათვის აღნიშნული ტენდენცია რიგ დარგებში კვლავ შენარჩუნდა (ქიმია, ნავთობგადამამუშავებელი და სხვა), თუმცა იმავდრიულად სხვა დარგებში (კვების, მსუბუქი, ინფორმატიკა, საქმიანი და სხვა მომსახურება) ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის შედეგად იგი შეიცვალა საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც ხელს უწყობს წვრილი ფირმების რაოდენობის მასობრივ ზრდას.

აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ მცირები ზნესის საწარმოები თანდათან გამოდიან მონოპოლისტური გიგანტების მორჩილებიდან და ბევრ რამეში დამოუკიდებლები ხდებიან. ახალი ტექნოლო-

გიების სახით ქმნიან თავიანთ საკუთარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზისს. ჩნდება შრომის მრავალი სახეობა, რომელთა ეფექტიანი ორგანიზება შესაძლებელია მცირე ბიზნესის ფარგლებში.

მცირე ბიზნესში ინვესტიციების მასიურად მოზიდვის პრობლემების პოზიტიურად გადაწყვეტა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება პირველ რიგში დაკავშირებულია რეგიონული ეკონომიკური ურთიერთობების წარმატებით განვითარებასთან. საქმის ვითარება არსებითად მოითხოვს რეგიონული ბაზრებისათვის ისეთი ინფრასტრუქტურის ფორმირებას, რომელშიც მცირე მეწარმეობა, როგორც წესი წამყვანი მექანიზმის როლს ითამაშებდა.

როგორც პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რეგიონულ ინფრასტრუქტურაში დაბანდებანი დაკავშირებულია აუცილებელ დანახარჯებთან იურიდიული სამსახურის შესაქმნელად, კადრების პროფესიული გადამზადების სისტემის შესაქმნელად, თვითმართვის რეგიონული ორგანოების გარდა-საქმნელად და სხვა სიტყვებით აუცილებელია მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსირება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოს მონაწილეობით. შედეგად, მცირე ბიზნესის სფეროს ინვესტიციურ პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობა კონცენტრირებული იქნება მხოლოდ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაზე-რეგიონულ დონეზე სრულფასოვანი საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნაზე.

რეგიონულ ინფრასტრუქტურაში დაბანდებებმა უნდა გამოიწვიოს მცირე ბიზნესის პროდუქციაზე მისი სხვადასხვა მიმართულების მიხედვით მოთხოვნის ზრდა და პარალელურად მნიშვნელოვანი შრომითი რესურსების სრული და ნაწილობრივი დასაქმება, მათშორის ჭარბი შრომითი რესურსების რეგიონებშიც. მხოლოდ მაშინ შეიძლება სრული მოცულობით რეალიზებულ იქნას მცირე ბიზნესში ინვესტირების ცნობილი უპირატესობანი:

1. მოკლე ვადებში ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისების მიზნით არსებული მოთხოვნის შესაბამისად საწარმო ოპროცესის სწრაფად გარდაქმნის შესაძლებლობა;

2. მსხვილ საწარმოებში გამოყენებული ნედლეულის გადამუშავების მინი ტექნოლოგიების წარმოებაში ჩართვა და გამოყენება, მეორადი რესურსების ფართოდ გამოყენება;

3. მოწყობილობაზე და მის განახლებაზე დანახარჯების დაბალი დონე.

უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე მცირე ბიზნესის ფუნქციონირების ინსტიტუციონალური გაფორმება.

პირველ რიგში საკითხი ეხება მცირე ბიზნესის სამართლებრივი ბაზის სრულყოფას განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე. ადმინისტრაციული პროცედურების რაციონალიზაციას ძირითად გამარტივება სუნიციფირების მიმართულებით; მცირე ბიზნესის სფეროში საქმიანობის რეგულირებას; მცირე ბიზნესის მხარდაჭერის რეგიონული პროგრამების უზრუნველყოფის რაციონალურ ორგანიზაციას და სხვა.

მცირე ბიზნესის სფეროში გათვალისწინებული აქტიური სტრუქტურული რეფორმების შედეგე, რომელიც მოიცავს კაპიტალის მოზიდვას სახელმწიფო და კერძო წყაროებიდან, უნდა გახდეს მისი ტრანსფორმირება კონკურენტუნარიან სექტორად, ერთდროულად რეგიონულ დონეზე დასაქმების პრობლემების გადაწყვეტით.

რეგულირების ზემოთ აღწერილი მეთოდების გამოყენება რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურის მიმართ მრეწველობის სექტორული გრადაციის შესაბამისად, სულაც არ უშლის ხელს ბაზრის სპეციფიკური სეგმენტრების გამოყოფას, კერძოდ სტრატეგიულ გარიგებას, რომლებიც მომავალში გადამწყვეტ როლს შეასრულებენ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში.

სტრატეგიული დარგების განვითარების ამოცანის გადაწყვეტა ორგანულად არის დაკავშირებული პოტენციურად კონკურენტუნარიანი სექტორის განვითარების რეგულირების პოლიტიკასთან.

სტრუქტურული რეგულირების ყველაზე უფრო დასაბუთებული მეთოდის, ინსტრუმენტის არჩევა უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს მონაწილეობით საინვესტიციო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში ხუთი გამოკვეთილი საწარმოო სექტორის მიხედვით, რომელთაც თავიანთ თავში უნდა მოიცავნ დარგობრივი ქვეპროგრამების ტრატეგიული დარგების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება მაქსიმალურად სრული ინფორმაციის არსებობისას შევაფასოთ ინვესტორების წყაროების ურთიერთკავშირი, თვითინვესტიციები და მათი განხორციელების მოსალოდნელი შედეგები. საბოლოო ჯამში შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ამა თუ იმ საინვესტიციო რეგულირე-

ბის გამოყენების ეფექტი თითოეული საინვესტიციო პროექტის. ქვეპროგრამებისა და მთლიანად სექტორული პროგრამების მიხედვით.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით ყველაზე უფრო პერსპექტიული დარგების განსაზღვრისათვის და განვითარების შესაბამისი საინვესტიციო ქვეპროგრამების ფორმირების მიზნით საინტერესო იქნება ვისარგებლოთ სტრატეგიულ მენეჯმენტში ცნობილი პორტფელური ანალიზის მეთოდიკით.

ამ თვალსაზრისით რასაკვირველია უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს დარგობრივი პორტფელების შექმნათვით უფრო დაბალ სექტორულ დონეზეც და მთლიანად კლასტერების ანალიზი. გამოკვლევის შემდგომი ეტაპი მოიცავს რეგიონული დარგობრივი კომპლექსების კონკურენტუნარიანობის პრაქტიკულ შეფასებას და რეგიონულ დონეზე დარგობრივი სტატეგიის შემუშავებას. მაჩვენებლები რომელთა საფუძველზეც ხდება დარგის მიმზიდველობის შეფასება არის შემდეგი: სამრეწველო წარმოების ინდექსი, სტრუქტურული ძვრების ინდექსი, მრეწველობის ინვესტიციების სტრუქტურაში წარმოების კონცენტრაციის კოეფიციენტი, მოგების ნორმა, ძირითადი ფონდების ცვეთის კოეფიციენტი, პროდუქციის რენტაბელობის დონე, დანახარჯების შემცირების ან ზრდის დონე. შრომის ნაყოფიერების ინდექსი, ინოვაციური პროდუქციის მოცულობა.

რეგიონის სტაბილური კონკურენტუნარიანობა განისაზღვრებ ატრადიციული დარგების ლიდერობით, რომლებიც ახდენენ მოგების გენერირებას (შიდა გაყიდვებისა და ექსპორტის მეშვეობით) ახალ ტექნოლოგიებში, მაგისტრალურ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისათვის.

რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისათვის მისი სამრეწველო განვითარება უნდა წარიმართოს განსაკუთრებული გზით. კერძოდ აქ იგულისხმება რომ არსებული საწარმოებისა და ფირმების დაახლოებით 70-80% უნდა ვითარდებოდეს დასახული მიმართულებით ე.ი. უნდა ეკუთვნოდეს განვითარების გამიზნულ სექტორს, მაშინ როდესაც დანარჩენებს შეუძლიათ იყვნენ ე.წ. „წარუმატებლები“

„წარუმატებლებს“ შორის კანონზომიერად აღმოჩნდებიან ხოლმე დეპრესიული სექტორის წარმომადგენლები. შესაბამისად სტრუქტურული რეფორმები აქ უნდა მოიცავდეს ზედმეტი მოწყობილობისა და სიმძლავრეების კონსერვაციას. ამასთან, სოციალურად მნიშვნელოვანი პროდუქტების მომხმარებელი ზოგიერთი დარგები სახელმწიფოს მფარველობისა და მხარდაჭერის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ. ამის გარდა, „წარუმატებელ დარგებში“ ინვესტირების სტრატეგიის გატოლების პირობებში, რომელიც მიმართული იქნება ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ეს დარგები სავსებით შესაძლებელია მომავალში გახდნენ „ვარსკვლავები“

სისტემური ეკონომიკური ანალიზისას კონკრეტული დარგი არ შეიძლება იხილებოდეს სხვებისაგან დამოუკიდებლად და განცალკავებით, იგი უნდა ვითარდებოდეს ვერტიკალურად ერთმანეთთან დაკავშირებული სექტორების კლასტერის შიგნით. რეგიონს შეუძლია სწრაფად აამაღლოს კონკურენტუნარიანობა, თუ ერთის მხრივ შეძლებს გაუმჯობესოს მსხვილი საწარმოთა მომწოდებელი დარგების მდგომარეობა, რამეთუ მსხვილი საწარმოები შეადგენენ ეკონომიკის საფუძველს, მეორეს მხრივ კი რეგიონები შექმნიან პროდუქციის გავრცელებისა და რეალიზაციის ახალ ფორმებს. ამასთან საბაზო დარგის აღდგენა ბიძგს მისცემს მომსახურების სეგმენტების განვითარებას. კლასტერების შიგნით ძლიერი საწარმოები შეძლებენ აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა, თუ ამ მიზნით გამოიყენებენ ვერტიკალური ინტეგრაციის სტრატეგიას.

ვერტიკალური მაკრო სექტორული კაეშირები, რომლებიც არსებობს მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროს შორის ხელს უწყობს მათ ურთიერთ მხარდაჭერასა და განვითარებას.

კლასტერული ანალიზი უზრუნველყოფს ვერტიკალურ მიდგომას სამრეწველო მონიტორინგისადმი და ამდიდრებს პორტფელური ანალიზის შედეგებს, საზღვრავს რა კონკურენტუნარიანობასა და დარგების ინვესტიციებში მოთხოვნებს.

ინვესტიციური აქტიურობის საფუძველზე ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლისადმი მოცემული მიდგომისას, ეკონომიკურ საქმიანობაში საჭიროა უარი ითქვას ე.წ. „ინდუსტრიულ გადაჯვარედინების“ პრინციპზე, როდესაც განვითარება ხორციელდება არსებული სტრუქტურის და მეურნეობის მოძველებული მეთოდების საფუძველზე, რომელიც დაიყვანება პირველ რიგში სახელმწიფო რესურსების სასარგებლოდ, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მსხვილი ცენტრალიზებული ინდუსტრიის ძველი მიღწევები, რომლებიცეფუძნებოდნენმკაცრიადმინისტრირებისპრინციპებს, შეიძლება გარდაიქმნას

ახალ პირობებშიც საბაზრო გარემოს გათვალისწინებით დაგროვილი საბაზრო ინსტრუმენტების საფუძველზე.

მრეწველობის განვითარებისა და აღდგენის საკითხის დაწყებამდე საჭიროა ნათლად იქნეს წარმოდგენილი და გააზრებული განვითარების მიმართულებები, კერძოდ დარგები, სამრეწველო წარმოების სახე (მსხვილი, მასობრივი თუ უფრო წვრილი სეგმენტირება, მოქნილი საწამოო ხაზებით) დაა.შ.

### 18.3. სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტურიზაცია

წინა პარაგრაფებში ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ რეგიონების ეკონომიკის სანაციის სტანდარტულ წესებზე, რომელთაგან ერთ-ერთია რესტრუქტურიზაცია, ანუ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ტრანსფორმაცია მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტურიზაციის სფეროში დაგროვილი გამოცდილებისა და ამ მიმართულებით შემუშავებული რეკომენდაციების შეჯერების საფუძველზე რესტრუქტურიზაციის პროცესის ძირითად შემადგენელ ელემენტებად განსაზღვრულია:

1. მმართველობითი სტრუქტურის სრულყოფა;
2. მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისა და საწარმოთა პროფილის განსაზღვრა;
3. ტექნოლოგიური დანადგარების შერჩევა და ტექნოლოგიის დამუშავება;
4. საწარმოთა პრივატიზაცია;
5. ეკონომიკური და საკანონმდებლო სამუშაოების დამუშავება;
6. საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება.

თითოეული ეს მიმართულება შეიცავს კონკრეტულ აუცილებელ ღონისძიებებს, რომელთა დამუშავება სავალდებულოა წარმატებული რესტრუქტურიზაციის განხორციელებისათვის.

რეგიონებში მრეწველობის სრულყოფა უნდა განხორციელდეს არსებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის გზით. ის საწარმოები, რომლებიც ვერ პასუხობენ საბაზრო მოთხოვნებს უნდა დაიხუროს ან მოხდეს მათი პროფილის შეცვლა, ტექნიკური გადაიარაღება. საჭიროა შეიქმნას ხელსაყრელი, შეღავათიანი, პროტექციონისტული ეკონომიკურ-ფინანსური რეჟიმი კერძოდ, რესტრუქტურიზაციის პროცესში მყოფი საწარმოები დროებით უნდა გათავისუფლდნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან, ან გადაევადოთ გადასახადები, დაიბეგრონ დიფერენცირებული, შეღავათიანი ნორმატივებით, მიეცეთ შეღავათიანი კრედიტები, განხორციელდეს საწარმოების კოოპერირება უცხოურ ფირმებთან, შეიქმნას ერთობლივი საწარმოები ან მოხდეს დროებით მათი გადაცემა უცხოური ინვესტორებისათვის.

საერთაშორისო თანამშრომლობაში საქართველოს ჩართვის საკითხი, საინვესტიციო რესურსებზე მოთხოვნილების თვალსაზრისით უნდა იქნას გადაჭრილი. რადგან არ არსებობს დარგი ან ქვედარგი მრეწველობაში, რომლებიც შეძლებს ფუნქციონირებდეს ინვესტორების გარეშე.

მრეწველობის დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრისათვის, დარგების პერსპექტიულობის დასადგენად, ისინი უნდა დავყოთ სამ ჯგუფად:

1. დარგები, რომლებიც შეიცავენ საინვესტიციო რესურსების შინაგან წყაროს;

2. დარგები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან დაგროვების მდიდარი წყაროები რესტრუქტურიზაციის შემდეგ;

3. სტრუქტურულად დეპრესიული დარგები, რომლებიც ვერ ეგუებიან საბაზრო მოთხოვნებს და ამის გამო აუცილებელია მათი მთლიანი ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია.

პირველი ჯგუფის დარგები საქართველოს თითქმის არ გააჩნია. მეორე და მესამე ჯგუფის დარგების გამოვლენა კი დაკავშირებულია საშინაო და საგარეო ბაზრების კონიუქტურის შესწავლაზე, რომლის შედეგები საფუძვლად უნდა დაედოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას.

### 18.4. მრეწველობაში პროდუქციის მოცულობისა და დამატებული ღირებულების მაჩვენებლის გამოყენება

საქართველოს უმრავლეს რეგიონის ეკონომიკისათვის მრეწველობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს შიდა რეგიონული პროდუქციის შექმნაში. ამდენად, საქართველოს ნებისმიერი რეგიონის ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკა უნდა მოიცავდეს მრეწველობის დარგის დეტალურ განხილვას, მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ რეალური სურათი, როგორც რეგიონებში

ისე საწარმოებში არსებული საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, დავსვათ ინდივიდუალური დიაგნოზი მათი შემდგომი მკურნალობისათვის.

მრეწველობამ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისაკენ მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსში. ამას ნათლად ამტკიცებს მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა (დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა და წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა) იხ.ცხრილი18.4.1.

ცხრილი 18.4.1.მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

| მაჩვენებლები | დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა, ათასი კაცი | | | | წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მოქმედ ფასებში. მლნ. ლარი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლები | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
| საქართველო სულ | 90,3 | 88,4 | 85,7 | 93,0 | 2779,0 | 3583,3 | 3821,8 | 3797,1 |
| ქალაქი თბილისი | 36,4 | 37,0 | 36,5 | 39,6 | 1063,4 | 1542,6 | 1604,3 | 1711,2 |
| აჭარის ავტ. რესპ. | 6,2 | 5,3 | 4,6 | 6,1 | 75,7 | 119,8 | 96,1 | 155,1 |
| გურია | 1,3 | 1,8 | 1,6 | 1,5 | 40,1 | 59,1 | 75,6 | 61,6 |
| იმერეთი | 14,4 | 13,6 | 13,1 | 13,8 | 292,3 | 334,8 | 525,5 | 294,9 |
| კახეთი | 5,6 | 5,2 | 4,6 | 4,4 | 95,5 | 93,5 | 93,6 | 107,6 |
| მცხეთა-მთიანეთი | 2,0 | 1,8 | 1,6 | 1,6 | 84,5 | 80,4 | 98,9 | 99,1 |
| რაჭა-ლეჩხუმი დაქვემო სვანეთი | 1,0 | 0,6 | 2,4 | 0,3 | 11,8 | 8,3 | 9,6 | 3,8 |
| სამეგრელო -ზემო სვანეთი | 3,6 | 2,8 | 2,0 | 3,1 | 62,8 | 75,3 | 38,9 | 97,5 |
| სამცხე-ჯავახეთი | 2,1 | 1,5 | 2,0 | 1,7 | 72,1 | 71,9 | 84,7 | 86,8 |
| ქვემო ქართლი | 10,5 | 13,4 | 13,3 | 14,1 | 713,5 | 851,5 | 837,2 | 956,6 |
| შიდა ქართლი | 6,3 | 4,4 | 4,6 | 5,8 | 238,1 | 305,2 | 313,4 | 180,3 |

მთელი მრეწველობის დახასიათების საბაზო მაჩვენებლად სახელმწიფო სტატისტიკა იყენებს სამრეწველო პროდუქციის მოცულობას, მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო წლიურ რიცხოვნობას, მის საფუძველზე იანგარიშება სამრეწველო წარმოების დინამიკა, დარგობრივი სტრუქტურა და ეფექტიანობის მაჩვენებლები. აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის განსაზღვრისას გამოიყენება „ორმაგი აღრიცხვა", რომლის მაშტაბები შესამჩნევად განსხვავდება მრეწველობის სანედლეულო და მეცნიერებატევად დარგებში. ე.ი. სხვადასხვა დარგობრივი სტრუქტურის რეგიონებში.

საწარმოო მრეწველობაში უფრო ადეკვატურს ანალიზის დროს წარმოადგენს საერთო დამატებით ღირებულებით ზომაზე დაყრდნობა (სწორედ ასეთი მიდგომაა დამახასიათებელი ზოგიერთი ევროპული ქვეყნისათვის მაგ. ფინეთისათვის).

სამწუხაროდ, მხოლოდ შიდა რეგიონული პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაზე დაყრდნობით შეიძლება გამოვიანგარიშოთ საწყისი მაჩვენებელი-საერთო დამატებითი ღირებულება შექმნილი ცალკეული რეგიონების მრეწველობაში. ამავდროულად არ შეიძლება ზუსტად განისაზღვროს ფიზიკური გამოხატულებით დამატებული ღირებულების ზრდის ინდექსი. მრეწველობის ცალკეული დარგების როლი მის შექმნაში და სხვა წარმოებული მაჩვენებლები. ასევე ინდუსტრიული სექტორის სპეციფიკა ცალკეულ რეგიონებსა და ქალაქებში.

სამრეწველო წარმოების შეჯამებულ მოცულობაში, დამატებითი ღირებულების მაღალი ხვედრითი წილი ნიშნავს სანედლეულო დარგების გადაჭარბებას, ასევე ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების გადამუშავების გრძელი ჯაჭვების არარსებობას.

განსაკუთრებულად იკვეთება რეგიონები ნავთობისა და გაზის მოპოვების მაქსიმალური დომინირებით.

ამავდროულად სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში, დამატებული ღირებულების მა-

ღალი ხვედრითი წილი შეიძლება იყოს შედეგი რამოდენიმე დარგის შეთანწყობისა, რომლებიც ხასიათდებიან ნედლეულის გადამუშავების მოკლე ციკლით (ფაზით), სადაც პროდუქტის ღირებულების ძირითადი ნაწილი იქმნება დამთავრებულ სტადიაზე. მაგალითად, შეიძლება მოყვანილ იქნეს ელექტროენერგეტიკა, ზოგიერთი ქვედარგი ფერად მეტალურგიაში, სამშენებლო მასალები მრეწველობაში და კვების მრეწველობაში.

სამრეწველო წარმოების ნაერთ მოცულობაში დამატებითი ღირებულების ძალიან დაბალი ხვედრითი წილი ნაკლებად გვიჩვენებს რეგიონის ინდუსტრიული სექტორის განვითარების მაღალ დონეზე. როგორც წესი ასეთი სუბიექტი მრეწველობაში ჭარბობს წარმოება, რომელიც მიკუთვნება გრძელი საწარმოო ჯაჭვის მხოლოდ საბოლოო სტადიას, სადაც დამატებული ღირებულების უმეტესი ნაწილი ფორმირდება სხვა რეგიონებში ლოკალიზებულ შუალედურ ეტაპზე.

ინდუსტრიულად განვითარებული რეგიონების ძირითადი მასა სხვადასხვა სახის რთული საწარმოო ჯაჭვებით ხასიათდება სამრეწველო ნარმოების ნაერთ მოცულობაში დამატებული ღირებულების საშუალო მნიშვნელობის წილით.

ზოგჯერ ორ-სამ წელინადში რომელიმე სუბიექტის დამატებული ღირებულების წილის შესამჩნევი ცვლილება ნიშნავს მხოლოდ ერთი საწარმოო ციკლის დაყოფას რამოდენიმე დამოუკიდებელ საწარმოებს შორის. უფრო ხშირად დამატებული ღირებულების წილის ცვლილება, სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში დაკავშირებულია არამარტო საწარმოს რეორგანიზაციასთან, არამედ როგორც წესი მოცემული მაჩვენებლების მკვეთრი ცვლილებისას ხდება შესამჩნევი ცვლილება (გაზრდა ან შემცირება) ხვედრითი წილის, სანედლეულო დარგების წარმოებასა, ან შუალედური და საბოლო ოპროდუქციის გამოშვების გრძელი ჯაჭვების დამთავრებაში.

წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა არის დროის გარკვეულ პერიოდში იურიდიული (მათი ქვედანაყოფების ჩათვლით) და ფიზიკური პირების მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქციისა და გაწეული სამრეწველო ხასიათის სამუშაოების მოცულობების ჯამი.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა არის საკუთარი წარმოების სამრეწველო პროდუქციის ღირებულება. იგი იანგარიშება მწარმოებლის გასაცემ ფაქტობრივ ფასებში, დამატებული ღირებულების, აქციზის, საექსპორტო და საბაჟო გადასახადების გარეშე, მიუხედავად იმისა შესულია თუ არა თანხა მწარმოებლის ანგარიშზე. წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ნაერთ მაჩვენებლებში აისახება მსხვილი, საშუალო და მცირე სამრეწველო საწარმოების, ასევე არა სამრეწველო ორგანიზაციების კუთვნილი სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქციისა და შესასრულებელი სამრეწველო ხასიათის სამუშაოების მონაცემები შესაბამისი წლის მოქმედ ფასებში, დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციზის საექსპორტო და საბაჟო გადასახადების გარეშე.

წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობაში ჩაირთვება-საწარმო ეს ყველა ქვედანაყოფის მიერ როგორც საკუთარი, ისე დამკვეთის ნედლეულისა და მასალებისაგან (რომლის ღირებულება გადახდილი ამ წარმოებლის მიერ) წარმოებული მზა ნაწარმის (პროდუქციის ღირებულება), რომელიც გათვალისწინებულია გარეთ რეალიზაციისათვის, თავისივე კაპიტალური მშენებლობისათვის, საწარმოს დაქვემდებარებაში მყოფი არა სამრეწველო ქვედანაყოფისათვის გადასაცემად, საკუთარ კაპიტალში ჩასაროცხად, თავის მუშაკებზე შრომის ასანაზღაურებლად სამრეწველო ხასიათის სამუშაოს ან მომსახურების ღირებულება შესრულებული გარე დანდაკვეთით, საკუთარი კაპიტალური მშენებლობისათვის, საკუთარი მოწყობილობის მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციისათვის, ან თავისივე არასამრეწველო ქვედანაყოფისათვის:

- საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატების ღირებულება, რომლებიც რეალიზებულია საწარმოს გარეთ, გადაცემულია საკუთარ კაპიტალურ მშენებლობაზე, მოხმარდა ამავე საწარმოს არასამრეწველო ქვედანაყოფს მიუხედავად იმისა, როდის არის წარმოებული ეს ნახევარ ფაბრიკატები;

- საანგარიშო პერიოდში თუ მანამდე;

-საკუთარი ტრანსპორტის, მოწყობილობების, მექანიზმებისა და ხელსაწაყოების მოდერნიზაციისა და რეკონტრუქციის სამუშაოები, თუ ამით უმჯობესდება მათი ტექნიკური მახასიათებლები ან მნიშვნელოვნად ხანგძლივდება მუშაობის ვადა;

- ჯართი, რომელმაც გაიარა გარკვეული ტექნოლოგიური პროცესი, კერძოდ, დაიჭრა და დაიწნეხა ბრიკეტების სახით;

- სამუშაოს ღირებულება, რომელიც გაწეულია წარმოების ხანგძლივი ციკლის მქონე პროდუქციის დამზადებაზე და რომლის წარმოება საანგარიშო პერიოდში არ დამთავრებულა.

საწარმოებს შეუძლიათ არსებითად გარდაქმნან ნედლეულის გადამუშავების მრავალ ეტაპიანი სისტემები, როგორც გართულების მხრივ, ასევე ცალკეული რგოლების ლიკვიდაციის მხრივ, მაგრამ ზუსტი პასუხის გაცემა სამრეწველო წარმოების ცვლილებაზე, მხოლოდ დამატებული ღირებულების დინამიკის წილის შესწავლის გზით არ შეიძლება.

მისი ცვლილება ემსახურება გარკვეულ მინიშნებას რეგიონულ სამრეწველო სტრუქტურაში ცვლილებების შესწავლისათვის.

### 18.5. სამრეწველო წარმოების დინამიკისა და დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში, დამატებული ღირებულების ხვედრითი წილის მკვეთრი ცვლილება საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სამრეწველო წარმოების ინდექსების შეფასებისას (ეს მაჩვენებლები ქვეყნდება სტატისტიკურ კრებულებში და წარმოადგენს სამრეწველო წარმოების დინამიკის ძირითად ინდიკატორს.

ცალკეულ შემთხვევაში სამრეწველო წარმოების დაჩქარებული ზრდა მნიშვნელოვანი (საგრძნობი) ხარისხით დაკავშირებულია „ორმაგი აღრიცხვის“ ზრდაზე. ზრდის ტემპები ასევე მნიშვნელოვნად შეიძლება დაქვეითდეს, განსახილველ პერიოდში „ორმაგი აღრიცხვის“ შემცირებისას.

მთლიანობაში სამრეწველო წარმოების ინდექსები გვიჩვენებენ არამარტო საქონლის გამოშვების დინამიკას, არამედ ამავდროულად სამრეწველო ჯაჭვის ცვლილებასაც.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის ინდექსები ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით (პროცენტობით წინა წელთან) მოცემულია ცხრილი 18.5.1.

ცხრილი 18.5.1.

**სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის ინდექსები ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით 2005-2009წწ. (პროცენტობით წინა წელთან)**

| წლები | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|
| მრეწველობა-სულ მათ შორის | 114,4 | 113,9 | 115,5 | 97,1 | 105,1 |
| სამთომომპოვებითი მრეწველობა | 94,2 | 102,2 | 123,0 | 109,3 | 104,8 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 123,3 | 114,2 | 114,6 | 94,0 | 105,3 |
| ელექტროენერგიის, ორთქლისა და წყლის წარმოება და განაწილება | 99,5 | 119,1 | 113,1 | 95,3 | 103,2 |

რეგიონის მიმდინარე მდგომარეობის შეფასების დროსაც კი სამრეწველო წარმოების ინდექსების განხილვისას არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ბოლო წლის მონაცემებით.

განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ორი პრობლემის არსებობა: 1. დაქვეითების შემდეგ აღდგენითი ზრდა 2. ახალი მსხვილი საწარმოების ექსპლუატაციაში შესვლიდანგ ამომდინარე სამრეწველო დინამიკის მერყეობა.

რეგიონებში, სადაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციისას იყო უფრო მეტი სამრეწველო წარმოების დაცემა, ხშირად უკვე 1998 წლიდან შეიმჩნევა ინდუსტრიული სექტორის მიზნობრივი გამოცოცხლება. ეს იყო დაკავშირებული ან დიდი რაოდენობის გაჩერებული სიმძლავრეების გაშვებით, მკვეთრად გაძვირებული იმპორტული პროდუქციის შენაცვლებისათვის ან სტრუქტურული გარდაქმნების დასრულებით, როცა არა ეფექტური საბჭოთა წარმოების მაგივრად შემოვიდა მოთხოვნადი საქონლის წარმოება თანამედროვე ბაზარზე.

მრეწველობის წამყვან დარგებში წარმოების დაქვეითების მოკლე პერიოდის შემდეგაც, რომელიც წარმოიქმნება არახელსაყრელი კონიუნქტურის გამო შეიძლება შეიმჩნეოდეს აღდგენითი ზრდა, ანუ მსხვილეს საწარმოებში მმართველობისა და საკუთრების ამა თუ იმ პრობლემების შედეგად.

განსაკუთრებით ხშირად ასეთი წლიდან-წლამდე მერყეობა ვლინდება სამრეწველო საწარმოების უმნიშვნელო რიცხვში, უმთავრესად რეგიონების შემადგენლობაში შემავალ მცირე ზომის სუბიექტებში მიუხედავადამისა სამრეწველო წარმოების წლიდან-წლამდე ზრდისა და შემცირების მონაცვლეობა რა მიზეზითაც არ უნ და იყოს გამოწვეული რეგიონის ეკონომიკას არა კარგი კუთხით ახასიათებს.

ბევრად უფრო რთულ ინტერპრეტაციას აქვს ადგილი არასტაბილური დინამიკის დროს, როცა შესამჩნევად იზრდება სამრეწველო წარმოება „არასასურველ“ წლებში.

რეგიონში სამრეწველო წარმოების დინამიკის შესწავლა საშუალებას აძლევს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ასევე კერძო ბიზნესით დაინტერესებულ წარმომადგენლებს შეაფასონ რეგიონული მეურნეობის მდგომარეობა, შესაძლებლობა და პერსპექტივა ახალი საწარმოთა შექმნისა და ადგილობრივ ეკონომიკაში მათი ინტეგრირებისათვის.

სამრეწველო წარმოების ინდექსების შეპირისპირება, შედარება, მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებით საშუალებას იძლევა განისაზღვროს დარგი, რომელიც ხასიათდება მაღალი დინამიკით.

ხშირად ძირითად როლს სამრეწველო წარმოების მიზნობრივ ზრდაში არ ასრულებს ერთი ან ორი დარგი, რომელიც უკვე ზედაპირული შეფასებისას ვერ ჩანს. თითოეული დარგის ხვედრითი წილის განსაზღვრისათვის აუცილებელია სპეციალური გათვლების ჩატარება. ბაზად შეიძლება აღებულ იქნას წინა წლის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა და სამრეწველო წარმოების ინდექსის საფუძველზე მიღებულ იქნას საანალიზო წლის პროდუქციის მოცულობა, წინა წლის ფიქსირებული ფასებით. ამ დროს აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ სამრეწველო წარმოების ნაკრები, ჯამური ინდექსი იანგარიშება ინდივიდუალური ინდექსების ეტაპობრივი აგრერირების შედეგად. მაგალითად, თუ ამა თუ იმ დარგის წილი ზედიზედ ორი წლის განმავლობაში შეადგენს 10%-ს, ხოლო სამრეწველო წარმოების ინდექსი შეადგენს 103%-ს ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მოცემული დარგის წარმოების რეალური მოცულობა გაიზარდა 3%-ით. მაშასადამე, სამრეწველო წარმოების სტრუქტურის საფუძველზე და ინდივიდუალური ინდექსების სტატისტიკაზე დაყრდნობით ფასდება თითოეული დარგის პროდუქციის ზრდა, წინა წლის ფიქსირებული ფასების მიხედვით და განისაზღვრება საერთო მატებაში მათი ხვედრითი წილი.

პროცენტებში გამოსახული შეფარდებითი მაჩვენებლების მისაღებად (წარმოების ცალკეული დარგების აბსოლუტური მატების შედარებით ფასებში მონაცემების გარეშე) საკმარისია გამოყენებულ იქნას გამარტივებული ფორმულა.

$$ROLE = \frac{0{,}01 . IND_q \cdot Q_{i+1} - Q_i}{0{,}01 \cdot IND - 1}$$

სადაც, ROLE – განსახილველი დარგის (დადებითი ან უარყოფითი) წელი რეგიონის სამრეწველო წარმოების რეალურ ზრდაში (i+1) წელს პროცენტებში;

IND-რეგიონის სამრეწველო წარმოების ინდექსი (i+1) წელს პროცენტებში;

$IND_q$-რეგიონის განსახილველი დარგის წარმოების ინდექსი (i+1) წელს პროცენტებში;

$Q_i$-რეგიონის სამრეწველო წარმოების დარგის წილი i წელს პროცენტებში;

$Q_{i+1}$- დარგის წილი რეგიონის სამრეწველო წარმოებაში (i+1) წელს პროცენტებში.

მრეწველობის მთლიან ზრდაში ცალკეული დარგის ხვედრითი წილის განსაზღვრის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრ რეგიონში ზოგიერთი წარმოება ხასიათდება პროდუქციის გამოშვების შემცირებით. ე.ი. „მონაწილეობა“ ზრდაში უარყოფითია, ხოლო თანმიმდევრულად ზრდადი დარგების ჯამური წვლილი აჭარბებს 100%-ს

საინტერესოა წამყვანი დარგების როლის შეფასებაც. უნდა ითქვას, რომ რეგიონის მრეწველობის სტრუქტურის დახასიათებაში აუცილებლად ჩართული უნდა იყოს წამყვანი დარგების როლის შეფასება. უფრო ხშირად ამ ხარისხში გამოდის მანქანათმშენებლობადა მეტალო დამუშავება, კვების მრეწველობა ან სათბობ-საწვავი მრეწველობა, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაზუსტდეს უპირატესად წამყვანი ქვედარგი (მაგ. სათბობ-მრეწველობის ეს შეიძლება იყოს ნავთობის ან გაზის

* О.В. Кузнецова,А.В. Кузнецов „Системная диагностика экономики региона “ , М. 2009 ст.71

მოპოვება, ნავთობის გადამუშავება ან ქვანახშირის მოპოვება). განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ელექტროენერგეტიკა, რომლის მაღალი როლი შეიძლება განპირობებული იყოს, რეგიონში მძლავრ ელექტრო სადგურის არსებობით.

შეზღუდული რიცხვის ლიდერ რეგიონებს შორის აღმოჩნდა სრულიად სხვა დარგები-შავი და ფერადი მეტალურგია, სატყეო ხის გადამამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. უმრავლეს რეგიონების რიცხვში 2-3 დარგი ასრულებს მნიშვნელოვან როლს, მათ ეკონომიკაში.

გარდა ძირითადი დარგებისა ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს მეორად დარგებზე, რომელთა მნიშვნელობა შესამჩნევად მაღალია.

სამრეწველო პროდუქციის დინამიკის შესწავლისათვის. გამოიყენება, როგორც ინდივიდუალური პროდუქციის ფიზიკური მოცულობის აგრეგატული და საშუალო. ასევე რეალიზებული პროდუქციის საერთო ინდექსები.

მრეწველობის ცალკეული დარგების მიერ გამოშვებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსები გამოიყენება მთლიანად დარგის სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოსაანგარიშებლად. კერძოდ სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მოცულობის დარგობრივი ინდექსი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

სადაც $q_1$ და $q_0$ არის მრეწველობის თითოეულ დარგში საანგარიშო და საბაზისო პერიოდის განმავლობაში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, $p_0$ საბაზისო პერიოდის პროდუქციის ფასი.

ცალკეულ ქვეყნებში სამრეწველო პროდუქციის ღირებულების ინდექსი გაიანგარიშება მთლიანი დამატებული ღირებულების მაჩვენებლის გამოყენებით. ამ შემთხვევაში სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მოცულობის საშუალო ინდექსის გასაანგარიშებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმულა:

$$I_q = \frac{\sum I_q W_0}{\sum W_0}$$

სადაც $I_{q\text{არის}}$ მრეწველობის დარგის პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსი. $W_0$-საბაზისო პერიოდში მრეწველობის თითოეული დარგის პროდუქციის წილი ქვეყნის მთლიანი დამატებული ღირებულების მოცულობაში.

### 18.6. მრეწველობის დივერსიფიკაციის ხარისხი

რეგიონის სამრეწველო სტრუქტურის შეფასებისას აუცილებლად შეფასებული უნდა იყოს მისი დივერსიფიკაციის ხარისხი. მარტივი განსაზღვრების შემთხვევაში ის ნიშნავს:

1. დომინირებადი დარგის განსაზღვრა და მისი ხვედრითი წილი სამრეწველო წარმოებაში. ან და 2-3 წამყვანი დარგების, რომელთა ღვაწლი სამრეწველო წარმოებაში შესაბამისია;

2. მრეწველობის ყველა მნიშვნელოვანი დარგების გამოვლენა. მაგალითად, იმის საფუძველზე, რომ თითოეული მათგანის როლი ან წილი რეგიონის სამრეწველო წარმოებაში აჭარბებს 1%-ს (ან მაგალითად5%-ს).

რეგიონის სამრეწველო სტრუქტურის დივერსიფიკაციის უფრო ზუსტ შეფასებას, მნიშვნელოვანი დარგებისა და ლიდერი წარმოების ხვედრითი წილის გათვალისწინებით იძლევა სამრეწველო წარმოების დარგობრივი კონცენტრაციის კოეფიციენტის გაანგარიშება. ეს მაჩვენებლები ცნობილია როგორც ხიშმანის-ხეპფინდალისკოეფიციენტი[*] რომელიც გამოიყენება ქვეყნის საქონლური ექსპორტის (ან იმპორტის) კოეფიციენტის დახასიათებისათვის. ის ამავდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას სამრეწველო წარმოების კვლევაშიც, თუ საქონლის ჯგუფების ექსპორტის (იმპორტის) მონაცემებს შევცვლით სამრეწველო წარმოების ცალკეული დარგების ინფორმაციით. კოეფიციენტი შეიძლე-

[*] .O.B. Кузнецова ,А.В. Кузнецов „Системная диагностика экономики региона" М.2009ст.73

ბა იცვლებოდეს 0-დან (ყველა დარგი თანაბარი ზომითაა წარდგენილი) 1-მდე (ყველა სამრეწველო წარმოება რეგიონში, რაიონსა თუ ქალაქში უზრუნველყოფილდება ერთი დარგით).

ქვეყნის სუბიექტის არსებული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე გაანგარიშება მიზანშეწონილია ჩატარდეს 13 დარგის მიხედვით:

1. ელექტრო ენერგეტიკა;
2. სათბობის მრეწველობა;
3. შავი მეტალურგია;
4. ფერადი მეტალურგია;
5. ქიმიური და ნავთობ ქიმიური მრეწველობა (ქიმია ფარმაცევტული დარგის ჩათვლით);
6. მანქანათმშენებლობა და მეტალო დამუშავება (სამედიცინო ტექნიკის წარმოების ჩათვლით);
7. სატყეო, ხის გადამამუშავებელი და ცელულოზა ქაღალდის წარმოება;
8. სამშენებლო მასალების მრეწველობა;
9. მინისა და ფაიფურ-ქაშანური მრეწველობა (სამედიცინო ნაკეთობის წარმოების ჩათვლით);
10. მსუბუქი მრეწველობა (სხვადასხვა ტექსტილის, სამკერვალო ტყავის, ბეწვეულისა და ფეხსაცმელების);
11. კვების მრეწველობა;
12. საფქვავი-საღერღი და კომბინირებული საკვების მრეწველობა;
13. პოლიგრაფიული, მიკრობიოლოგიური და მრეწველობის სხვა დარგები.

კოეფიციენტი იანგარიშება ფორმულით:

$$H = \left( \sqrt{\sum_{i=1}^{13} (x_i / \sum_{i=1}^{13} x_i)^2 \sqrt{1/13}} \right) / 1 - \sqrt{1/13}$$

სადაც, Xi არის i-იური დარგის პროდუქციის წარმოებული მოცულობა;

13-არის დარგების რიცხვი.

ნათელია, რომ სხვადასხვა დარგების ხვედრითი წილი არ შეიძლება იყოს თანაბარი, საზოგადოებაში ამ პროდუქციაზე სხვადასხვა ზომის მოთხოვნის ძალით. ამიტომ ხეპფინდალის-ხიპშმანის კოეფიციენტი არასოდეს არ იქნება ახლოს ნულთან.

სამრეწველო წარმოების დარგობრივი კონცენტრაციის მაღალი მნიშვნელობა გულისხმობს ერთი, ან უფრო იშვიათად ორი დარგის დომინირებას, რომელზე ცმოდის სამრეწველო წარმოების არა ნაკლებ ნახევარი, რადგანაც მნიშვნელოვან იწამყვანი დარგების საერთო რიცხვი შეზღუდულია. ინდუსტრიული სექტორის ასეთი სტრუქტურა უკიდურესად სახიფათოა რეგიონული ეკონომიკის მრავალვადიანი მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. თუმცა მოკლე პერიოდის გეგმებში ლიდერი დარგების სასურველმა კონიუქტურამ შეიძლება უზრუნველყოს ტერიტორიის აყვავება. მაგალითად, შეიძლება მოყვანილ იქნას ნავთობისა და გაზის მოპოვების რეგიონები.

სამრეწველო წარმოების დარგობრივი კონცენტრაციის ნაკლები მნიშვნელობა მიუთითებს ან მრეწველობის დაბალანსებულ სტრუქტურაზე (ინდუსტრიულად განვითარებული რეგიონები) ან და რომელიმე მძლავრი საწარმოს არ არსებობას (რეგიონები სუსტი განვითარებული მრეწველობით).

ამასთან დაკავშირებით რეგიონის ანალიზის მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს სამრეწველო წარმოების კონცენტრაციის კოეფიციენტის დინამიკა, რომელიც სტრუქტურული ძვრების ილუსტრირებას ახდენს.

მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს ამა თუ იმ დარგზე მსხვილი საწარმოების კომბინირებული საწარმოო ჯაჭვების მიკუთვნების პირობები. ამ შემთხვევაში არსებითი ძვრები რეგიონული მრეწველობის სტრუქტურაში შეიძლება დაკავშირებული იყოს, მხოლოდ წარმოების დარგობრივი დაჯგუფების მეთოდიკის ცვლილებასთან.

რეგიონული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შეფასება მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო სახელისუფლო წარმომადგენლებისათვის, ისე ბიზნესმენებისათვის.

პირველყოვლისა აინტერესებთ რეგიონული ეკონომიკის შესაძლებლობანი, რათა პოზიტიურად აღიქვან ესა თუ ის ღონისძიებები განსაკუთრებით კი რეფორმული ხასიათის.

მეორე მხრივ მნიშვნელოვანია ცოდნა რეგიონის ინდუსტრიული სექტორის განვითარების დონეზე, თანმხლები და მომიჯნავე დარგების არსებობაზე (მათ შორის არსებული ინფრასტრუქტურისა

და საკადრო პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით) და სამრეწველო წარმოებაში შესაძლო მაშტაბურ ცვლილებებზე.

რეგიონში ინდუსტრიული სექტორის უფრო ღრმა ანალიზი საშუალებას იძლევა განხორციელდეს ცალკეული საქონლის წარმოების მონაცემების შესწავლა.

კერძოდ:

1. ის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სიზუსტით შეფასების საშუალებას იძლევა;

2. ცალკეული საქონლის წარმოების დინამიკა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს რეგიონულ ეკონომიკაში წარმოქმნილი ახალი ქვედარგები;

3. ცალკეული საქონლის წარმოების ფიზიკური მოცულობის დინამიკა საშუალებას იძლევა სათანადოდ, ჯეროვნად მიეუდგეთ საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის პრობლემას და რეგიონული ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის შედეგიანობას;

4. რეგიონული ეკონომიკის შეფასებისას დარგის განვითარების შედარების დონეზე გასვლა მთლიანად და ცალკეული მსხვილი საწარმოებისათვის საშუალებას იძლევა ყურადღება მიპყრობილ იქნას სტატისტიკური ინფორმაციის დიდ მასაზე, ცალკეული კომპანიების საიტების შეღნევადობით.

ცალკეული კომპანიების ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას. საქმე იმაშია, რომ დანახარჯების ცვლილების მაჩვენებლები ყოველ ერთ ლარ პროდუქტზე, აქტივების რენტაბელობა ან მრეწველობის ორგანიზაციის რეალიზებული პროდუქციის მთლიანი მოცულობა წარმოადგენს „საავადმყოფოს საშუალო ტემპერატურას“. ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული ფირმების მონაცემები, რეგიონის მრეწველობაში კონკურენტუნარიანი მდგომარეობის შეფასებისათვის.

ამგვარად, რეგიონში მრეწველობის კვლევის გეგმა შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

1. რეგიონულ ეკონომიკაში ინდუსტრიული სექტორის როლის შეფასება (შიდა რეგიონული პროდუქტის სტრუქტურის ბაზაზე) და მრეწველობის ძირითადი დარგების განსაზღვრა (სამრეწველო წარმოების მთლიანი მოცულობისა და რეგიონების ხვედრითი წილით, ქვეყანაში მნიშვნელოვანი საქონლის წარმოებაში.);

2. სამრეწველო წარმოების დინამიკის ანალიზი და მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები;

3. ცალკეული წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრა და მრეწველობის სხვადასხვა ქვედარგების განვითარება, მსხვილი კომპანიების მოღვაწეობისა და სახელმწიფო სტატისტიკური მასალების საფუძველზე.

საქართველოში მრეწველობის დარგის ძირითადი მაჩვენებლების დიმნამიკაზე წარმოდგენას იძლევა ცხრილი 18.6.1.

ცხრილი 18.6.1. **მრეწველობის დარგის ძირითადი მაჩვენებლები (2005-2009წწ.)**

| წლები | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|
| გამოშვებული პროდუქცია მლნ. ლარი | 2285,1 | 2779,0 | 3583,3 | 3821,8 | 3797,1 |
| დამატებული ღირებულება მლნ. ლარი | 843,9 | 964,5 | 1291,1 | 1636,6 | 1454,2 |
| შუალედური მოხმარება მლნ. ლარი | 1443,3 | 1814,5 | 2292,2 | 2185,2 | 2342,9 |
| ფიქსირებული აქტივები მლნ. ლარი | 1985,2 | 2124,4 | 2651,8 | 3276,2 | 3459,7 |
| დასაქმებულთა სულადობა კაცი | 94324 | 90311 | 88398 | 85711 | 93039 |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ლარი | 230,3 | 307,8 | 420,7 | 586,6 | 537,4 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, თუ 2005 წელს ავიღებთ საბაზისოდ, 2006 წელს მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაზრდილია 1,2-ჯერ; 2007 წელს 1,5 ჯერ; 2008 წელს1,6-ჯერ და 2009 წელს 1,7-ჯერ.

საქართველოს ტერიტორიულის პეციალიზაციით გამსაზღვრელი დარგებია (რომელიც პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ პირველი ჯგუფის დარგებს: მანგანუმის მადნის მოპოვება და გამდიდრება ფერომანგანუმის შენადნობთა წარმოება, მანქანათმშენებლობის, მათ შორის ელექტრო ტექნიკური მრეწველობის, შავი ლითონის, ნაგლინისა და ფოლადის მიღების ქიმიური მრეწველობის საწარმოები (აზოტოვანი სასუქების, სინთეზური ფისებისა და სინთეზური ბოჭკოს, ლითოფონის და ზოგიერთი ფარმაცევტული ნაწარმის და სხვა). ლითონის შემცველი მადნის კონცენტრატის წარმოება (ტყვიისა და თუთიის კონცენტრატი), არალითონური წიაღისეულის (ბარიტის, გუმბრინის, ასკანიტის, დიატომიტის, ანდეზიტის, ტალკის, მარმარილოს, აგატის დასხვა) მოპოვება გადამუშავება. დარგთა ამავე ჯგუფს მიეკუთვნება მინათმოქმედების პროდუქტებზე მომუშავე სამრეწველო საწარმოები: ჩაი, ციტრუსები, მევენახეობა მეხილეობისა, თამბაქოსა და მათ საფუძველზე აღმოცენებული ჩაის მრეწველობა. მეღვინეობა. საკონსერვო მრეწველობა, ეთერზეთების წარმოება, თამბაქოს მრეწველობა დაკვების მრეწველობის სხვა დარგები. აღნიშნული დარგების წარმოების მოცულობა პროდუქციის ასორტიმენტი მათი განვითარების მიმართულება ნაკარნახებია საერთაშორისო ბაზრის ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებით.

საქართველოს ტერიტორიული სპეციალიზაციის მეორე ჯგუფის დარგებად და საწარმოებად პირობითად შეიძლება წარმოდგენილი იქნას ის დარგები, რომლებიც ემსახურება ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას, ასეთ დარგების პროდუქტების: ელექტროენერგია, ნახშირი, საშენი მასალები და სხვა, აგრეთვე პირადი მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება (ქსოვილები, სამკერვალო ნაწარმი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი, ხორცისა და ხორცის პროდუქტები, რძის პროდუქტები, პური და პურის პროდუქტები და სხვა). ამავე ჯგუში შედის სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა: მარცვლეულის, ბოსტნეულის წარმოება და პროდუქტიული მეცხოველეობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოებისა და საერთოდ გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების დიდი პერსპექტივებია, როგორც ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში, ასევე ცალკეულ რეგიონებში.

რეგიონებში ადგილზე არსებულ წიაღისეულ საბადოების საფუძველზე არსებულ სამრეწველო კომპლექსებს თუ არ ჩავთვლით, მრეწველობის განვითარების დიდი პერსპექტივები, სწორედ გადამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის.

საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რეგიონი, სამრეწველო პროდუქციის წარმოებისმხრივარისქვემოქართლი, რეგიონის სამრეწველო პროდუქციის დიდი ნაწილი (40%) ქ. რუსთავში იქმნება. მთლიანად მხარეში საქართველოში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 1/5-ზე მეტია შექმნილი. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ყველაზე დიდი მაჩვენებელი საქართველოს რეგიონებს (მხარეთა) შორის სწორედ ქვემო ქართლზე მოდის, კერძოდ ქვემო ქართლში 2009 წელს წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შეადგინა 956, 6მლნ. ლარი., რაც 2005 წელთან შედარებით გაზრდილია 2,4 -ჯერ.

რეგიონის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოდ სამართლიანად ითვლება მარნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, რომელსაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს მძიმე კრიზისულ წლებშიც კი.

სამრეწველო საწარმოთა უდიდესი ნაწილი თავმოყრილი აქ. რუსთავში აქ ვხვდებით როგორც მძიმე მრეწველობის (მეტალურგიული კომბინატი, საწარმოო გაერთიანება „აზოტი“, ხელოვნური ბოჭკოს, ცემენტის და სხვ აქარხნები) ისე მსუბუქი დაკვების მრეწველობის არა ერთ საწარმოს. (რძის გადამამუშავებელი, ხორცის გადამამუშავებელი, საკონსერვო, პურპროდუქტის, ლუდის და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი და .შ.)

ქვემო ქართლის რეგიონში საკმაოდ მძლავრი სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალია. აქ ბევრი ელექტროსადგურია განლაგებული: ხრამი I;ხრამი II, საცხენისი, დაშბაში, მაშაველრ ჰესი, ინწობა ჰესი, დმანის ჰესი, თბილის ჰესი.

ქვემო ქართლის ყველაზე მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს საქართველოს რეგიონებს შორის, თუ არ ჩავთვლით აფხაზეთს ეს მაჩვენებელი 20056,06 მლნ. კვტ. სთ.*

საქართველოს რეგიონებს შორის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობით ასევე

*7ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის მასალების მიხედვით.

გამოირჩევა იმერეთის რეგიონი, სადაც ასევე დინამიკაში შეიმჩნევა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა, კერძოდ 2009 წელს, 2005 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა1,2-ჯერ და შეადგინა 294, 9მლნ. ლარი.

გასათვალისწინებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი სტრუქტურა, რაც ობიექტურ ბუნებრივ ეკონომიკური პირობების გავლენითაა ჩამოყალიბებული და იმის საშუალებას იძლევა, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეული ბაზაზე ყველა რეგიონში განვავითაროთ კვების მრეწველობის საწარმოები.

ამრიგად, რეგიონებში მრეწველობის დარგის განვითარება უნდ აგანხორციელდეს მისი ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, კერძოდ ასაკი დარგების აღმოცენება განეითარებით და პროგრესული დარგების უპირატესი გაზრდით.

### 18.7. ერგონომიკური გამოკვლევების სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობა

ქვეყნის რეგიონების სტაბილური განვითარების მიღწევა შეიძლება მისი სასიცოცხლო დარგების დაჩქარებული ტემპების განვითარებით. ამ სისტემაში განვითარების სტრატეგია უნდა დაეყრდნოს როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში პროდუქციის მოცულობის ხარისხობრივ ზრდას.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდება უშუალოდ უკავშირდება საწარმოო ფაქტორების რეალურად ამოქმედებას და ეფექტიანად გამოყენებას.

ამჟამად რეგიონულ ჭრილში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ საკითხებს როგორიცაა, სამრეწველო საწარმოების ფორმირებასა და ეფექტიან ფუნქციონირებაში ერგონომიკური გამოკვლევების დანერგვას.

ამდენად, ერგონომიკური გამოკვლევების სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის განხილვა რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტირების კუთხით მეტად საინტერესო და აქტუალურია.

ეკონომიკური მიღწევების პრაქტიკაში დანერგვას აქვს, არამარტო ეკონომიკური არამედ სოციალური მნიშვნელობაც, რამდენადაც ხელს უწყობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პროცესების გადაწყვეტას – შრომის გადაქცევას თითოეული ადამიანის მთავარ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

ერგონომიკური კვლევებისას მთავარ სოციალურ მიზნებს წარმოადგენს

1. ადამიანის ყოვლმხრივი განვითარება;
2. შრომის პროცესში წარმოქმნილი ურთიერთობების განვითარება და სრულყოფა;
3. შრომის დაცვა და მშრომელთა ჯანმრთელობა.

სოციალური მიზნების მიღწევის კარდინალური გზა, წარმოების კულტურის ამაღლებაში მდგომარეობს, წარმოების კულტურის გაგება მოიცავს სამ შემადგენელს:

1. წარმოების ტექნიკური კულტურა, რომელიც განისაზღვრება წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიების პირობებით, მათი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონით, პროდუქციის ხარისხით;

2. წარმოების საერთო კულტურა, რომელიც ყალიბდება მომუშავეთა შრომის პირობებით და კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურებით;

3. მომუშავეთა პირადი კულტურა, რომელიც განისაზღვრება შრომისადმი მათი დამოკიდებულებით საწარმოო კოლექტივში.

ერგონომიკური გამოკვლევების სოციალური ეფექტიანობის შეფასება ტარდება რაოდენობრივი მაჩვენებლების დახმარებით. ასეთებად გამოიყენება მაჩვენებლები, რომლებიც მისაღებია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სისტემაში ერგონომიკური შემუშავების დანერგვის ეფექტიანობის შეფასებისათვის. ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრის ამოსავალი წინაპირობაა, ერგონომიკურ დამუშავებათა დანერგვიდან ზიანის აცილების კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად ეფექტის სიდიდე ფასდება, როგორც საზოგადოებისათვის დანაკარგების ჯამი, რომლებიც შესაძლებელი გახდა თავიდან აცილებულ იყო ამა თუ იმ ღონისძიების დანერგვის წყალობით, მაგრამ მარტო ზიანის აცილებით არ შემოისაზღვრება შესაძლებელი ეკონომიის წყაროები.

მეცნიერმკვლევართა აზრით უფრო დასაბუთებულს ადამიანური ფაქტორის შესწავლაში წარმოადგენს ორი მიმართულების გამოყენება:

საზოგადოებისათვის დანაკარგების განსაზღვრა, დაკავშირებულს ტექნიკის ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ადამიანზე არასასურველ ფაქტორების ზემოქმედებით

1. ადამიანური ფაქტორის ზემოქმედების განსაზღვრა შრომის მწარმოებლურობაზე და ტექნიკის ექსპლუატაციის ეფექტურობაზე.

სწორედ ეს მიმართულებები დაუდო საფუძვლად ერგონომიკურ და ინჟინერულ – ფსიქოლოგიურ ეკონომიური პრობლემების კვლევებს მეცნიერმა მ.ა. კოტიკმა.*მან განსაზღვრა ერგონომიკურ ღონისძიებათა წრე, რომელთათვისაც შესაძლებელია და აა უცილებელია ეკონომიური ეფექტიანობის განსაზღვრა. ეს წრე შემოისაზღვრება ერთის მხრივ განსაზღვრული სახის თეორიული დამუშავებითა და გამოყენებითი კვლევებით, ხოლო მეორე მხრივ ჩატარებული ორგანიზაციული და სოციალური ხასიათის სამუშაო მიზნებით. დანარჩენ სხვა შესრულებულ სამუშაოთა ეფექტურობა უნდა შეფასდეს საერთო მეცნიერული და სოციალურ კრიტერიუმთა დახმარებით.

ამგვარად, მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საკითხს წარმოადგენს მაჩვენებელთა და კრიტერიუმთა შერჩევა ერგონომიკურ რეკომენდაციების ეკონომიკური შეფასებისათვის.

აქ შესაძლებელია ორი მიდგომა: პირველი დაკავშირებულია პრინციპულად ახალი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების შემუშავებასთან. კერძოდ, ისეთებთან როგორიცაა: შრომით თვითკმაყოფილება, სამუშაოს შესრულების შედეგად შრომისუნარისათვის აღდგენის დრო, სამუშაო დროის ფონდის გამოყენება, „ადამიანი-მანქანა“ სისტემის შესაძლებლობის გამოყენება.

მეორე მიდგომა ეფუძნება მეცნიერულ-ტექნოლოგიურ დამუშავებათა არსებითი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების გამოყენებას. ეს არის წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა, გამოსყიდვის ვადა და ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი. მოცემულ შემთხვევაში, ერგონომიკურ დამუშავებათა სპეციფიკა მდგომარეობს მართვის ავტომატური სისტემებისათვის ეკონომიის შესაძლებელი წყაროებისა და მისი განსაზღვრის სხვადასხვა ტიპის მეთოდების გამოვლენაში. ამ დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ორი მდგომარეობა: პირველი – სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართული დანახარჯები ყოველთვის არ უნდა ანაზღაურდეს განსაზღვრულ ვადებში, ამიტომ ეკონომიკური შეფასებისას საჭიროა როგორც წესი გამოყენებულ იქნას, მხოლოდ წლიურიე კონომიკური ეფექტის მაჩვენებლები.

მეორე მხრივ, თუ დამუშავებისათვის მაინც ნამოიჭრება ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებასთან დაკავშირებული გამოსყიდვის ვადის განსაზღვრა, მაშინ ის უნდა დადგინდეს სამეცნიერო ინსტიტუტების რეკომენდაციით 12 წლის ხანგძლივობის ფარგლებში.

„ადამიანი-მანქანა“ სისტემის ეკონომიკური შეფასება საშუალებას გვაძლევს:

1. დავასაბუთოთ ერგონომიკურ დამუშავებათა დანერგვის მიზანშეწონილობა;

2. განვსაზღვროთ ერგონომიკური და ინჟინერულ-ფსიქოლოგიური ღონისძიებების ზემოქმედება ამ სისტემის საერთო ეკონომიკური ეფექტიანობაზე.

3. შევადაროთ ეკონომიკურ-მაჩვენებელთა„ადამიანი-მანქანა“ სისტემის აგების კონკრეტული ვარიანტები;

4. დავასაბუთოთ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები;

5. შეფასდეს ერგონომიკური კვლევებითა და დამუშავებით დაკავებული ქვედანაყოფებისა და ცალკე სპეციალისტთა საქმიანობა;

6. დავასაბუთოთ ერგონომიკური ღონისძიებებისა დ ადამუშავებათა დანერგვაზე მორალური და მატერიალური წახალისების ფორმები.

ერგონომიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ასევე, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება წარმოების დამპროექტებელთა, ორგანიზატორებისა და ექსპლუატაციონერებისათვის სხვადასხვა გასათვალისწინებელი შეზღუდვებით ოპერატორზე, მანქანაზე, გარემოზე, ოპტიმალური ერგონომიკური სისტემის გამოყენებისა და ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით.

ამ დროს მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ ოპერატორის, მანქანისა და გარემოს თავსებადობა. ე.ი. ოპერატორის, მანქანისა და გარემოს რაციონალური გაერთიანება.

ინფორმაციულობის, ენერგეტიკულობის, ბიოფიზიკურის, სივრცობრივ ანტროპომეტრიკულის და ტექნიკურ-ესთეთიკურის შეთავსების უზრუნველყოფას ერგატიკულ ქვესისტემებთან მივყავართ მათი

* КотикМ.А.Психологияибезопасность. Таллин1981.

ხარისხის ამაღლებასთან, ფუნქციონირების ეფექტურობასთან და მითუმეტეს ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ზრდასთან.

მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ კომპლექსური მიდგომაც ახალ ტექნიკასთან როგორც" ოპერატორი-მანქანა-გარემო" სისტემასთან, წარმოების მოქმედი ფაქტორების უფრო მთლიანი აღრიცხვისა და გამოყენების ხარჯზე.

დაგროვილი მონაცემები მიუთითებენ მეურნეობის სხვადასხვა დარგებში შესრულებულ ერგონომიკურ და ინჟინერულ – ფსიქოლოგიურ დამუშავებათა მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. გაუმჯობესებული ერგონომიკური მახასიათებლებით მართვის ახალი ფორმების დანერგვა იწვევს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

ერგონომიკურ გამოკვლევათა სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ მომუშავეთა 8-10% ტრანსპორტზე და მრეწველობაში არ შეესაბამება თავის ფსიქოფიზიოლოგიური მახასიათებლებით პროფესიის მოთხოვნებს. ამით განპირობებულია საავტომობილო შემთხვევების 40%-ზე მეტი,საწარმოო ტრამვებისა და უბედური შემთხვევების 65%, სამუშაო რეჟიმის დარღვევის 80-90%. ერგონომიკურმა რეკომენდაციებმა შეასაძლებელი გახადა გაზრდილიყო შრომის მწარმოებლურობა და სამუშაო პირობები.

ერგონომიკური რეკომენდაციები მიმართულებების მიხედვით იყოფა კლასებად, როგორიცაა:

1. კომპლექსური ოპტიმიზაცია;
2. სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება;
3. სწავლების ოპტიმიზაცია;
4. სწრაფი ტემპის ოპერაციების ოპტიმიზაცია;
5. შრომის რეჟიმის ოპტიმიზაცია.

ეკონომიკური ეფექტი თითოეული ჩამოთვლილი კლასის რეკომენდაციების მიხედვით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 18.7.1.

ცხრილი 18.7.1. სხვადასხვა კლასის რეკომენდაციების განაწილება და შედეგების მაჩვენებლების მნიშვნელობა

| რეკომენდაციების კლასი | განაწილება (%) | შრომის მწარმოებლურობის ზრდა | შემცირება | | | | ეკონომიკური ეფექტიანობა (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ხუნის %-ში | შეცდომები ი-ჯერ | დროის % | ბუშაკების | |
| 1.კომპლექსური ოპტიმიზაცია | 30,7 | 3-100 | 3-4 | - | 18 | 6-682 | 6,6-12000 |
| 2.საქმიანობის სტრუქტურის ოპტიმიზაცია | 21,8 | 5-40 | 20 | 3-5 | 12-34 | - | 12-800 |
| 3.შრომის რეჟიმის ოპტიმიზაცია | 14,2 | 1-50 | - | - | - | - | 26-99 |
| 4.გამოსახულების კონცეპტუალური კოდისთვისებების გათვალისწინება | 8,7 | 100 | - | 7-35 | - | - | 24-1000 |
| 5.ამოცნობითი თვისებების გაძლიერება | 7,9 | 10-15 | 42 | 87 | - | - | 10-22 |
| 6.სწავლების ოპტიმიზაცია | 6,3 | 10-49 | 10-35 | - | 100 | - | 75-2200 |
| 7.მეხსიერების მახასიათებლების გათვალისწინება | 3,9 | 4-20 | - | - | - | - | 9,3 |
| 8.თვითრეგულირების გაუმჯობესება | 3,1 | 13-50 | - | - | - | - | 80 |

ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება

ერგონომიკურ დამუშავებათა ეკონომიკური შეფასება მოიცავსრამდენიმე ეტაპს:

1. „ადამიანი-მანქანა“ სისტემის სახეების განსაზღვრა;
2. ეკონომიკის შესაძლებელინყაროების განსაზღვრა;
3. საბაზო ვარიანტისამორჩევა;
4. საწყისი თანაფარდობების დაზუსტება;
5. წლიური ეკონომიკის გაანგარიშება.

ერგონომიკური და ინჟინერულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევებისა და დამუშავებების შედეგების გამოყენების სფერო მეტად ფართოა. ეკონომიკური შეფასებების კრიტერიუმთა სისტემებისა და მაჩვენებელთა ამორჩევის მეთოდოლოგიური საკითხების ადეკვატური გათვალისწინების პირობებში.

ამჟამად, პრაქტიკაში ერგონომიკური დამუშავების ღონისძიებებისა და რეკომენდაციების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებისას გამოიყენება კაპიტალდაბანდებებისა და ტექნიკის ეკონომიკური შეფასების რამდენი მემეთოდიკა.

ერგონომიკურ დამუშავებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებისას ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერთა მიერ შემუშავებული მეთოდიკები (განსაკუთრებით ბ.ა. სმირნოვისა* და ა.ი. გუბინსკის**მიერ შემოთავაზებული მეთოდიკები).

ჩვენ შევჩერდებით ა.ი. გუბინსკის მიერ შემოთავაზებულ მეთოდიკაზე, რომელიც უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია, მოცემული მეთოდიკა გვეხმარება განვსაზღვროთ ერგონომიკური გამოკვლევებისა და დამუშავებების ზემოქმედება „ადამიანი-ტექნიკა“ სისტემის ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

მეთოდიკის ავტორები მიუთითებენ, რომ „ადამიანი-ტექნიკა“ სისტემის ხარისხის ამაღლება ხორციელდება გამოკვლევების ოთხი ძირითადი მიმართულებით ჩატარების ხარჯზე.

1. ორგანიზაციის გაუმჯობესება, სადაც შედის ფუნქციათა განაწილება ადამიანებსა და ტექნიკურ საშუალებათა შორის, ფუნქციათა განაწილება კოლექტივში, პერსონალის რიცხოვნობის განსაზღვრა;

2. ადამიანი ოპერატორის საქმიანობის ალგორითმებით პროექტირების გზით, საქმიანობის სტრუქტურის აღწერა, ინფორმაციული მოდელის შემუშავება და დამუშავება, ოპერატორის სწავლების მეთოდების დამუშავება, ფსიქოფიზიოლოგიური შერჩევის ორგანიზაცია, შრომისა და დასვენების რეჟიმის ორგანიზაცია;

3. ტექნიკურ საშუალებათა საქმიანობასთან მოთხოვნების განსაზღვრა და ისეთები როგორიცაა სამუშაო ადგილის ელემენტები, სამუშაო ადგილის კონსტრუქციები, სწავლებისა და ვარჯიშის აპარატურა.

4. დასახლებულობის (გარემოს) მოთხოვნების განსაზღვრა ფიზიკური (განათება, ტემპერატურა, ტენიანობა, ვიბრაცია, გამოსხივება), ქიმიური (ატმოსფეროს გაზების შემცველობა, წყლის დაბინძურება და ა.შ.) და ბიოლოგიური (სხვადასხვა მიკრო ორგანიზმების კონცენტრაცია) ფაქტორებით.

გამოკვლევების ყველა ეს მიმართულებები დახასიათებულია „ადამიანი-ტექნიკა“ სისტემის სხვადასხვა სახისათვის, რასაც მივყავართ ისეთი ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისაკენ, როგორიცაა მწარმოებლურობის ზრდა, თვითღირებულების შემცირება, პერსონალის რიცხოვნობის შემცირება, და ავადებებისა და ტრავმატიზმის შემცირება, კადრების დენადობის შემცირება, „ადამიანი-ტექნიკა“ სისტემის საიმედობის გაზრდა, მისი მომსახურების ვადის გაზრდა პერსონალის კვალიფიკაციი სამაღლება, გადაღლის შემცირება.

ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება ერგონომიკურ გამოკვლევებისა და დამუშავებების შეფასებისას ეყრდნობა გამოკვლევათა და დამუშავებათა მიზანშეწონილობის დასაბუთებას, დამუშავების შედეგების დანერგვის ზემოქმედების განსაზღვრას. „ადამიანი-მანქანა“ სიტემის, რეზულტირებულ ეფექტიანობაზე ორი ან მეტი ვარიანტის შემუშავებული“ ადამიანი-მანქანა“ სისტემის შედარებას ეკონომიკური მაჩვენებლებით.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით ეკონომიკური მაჩვენებლების კომპლექსიდან ამა თუ იმ ხარისხით“ადამიანი-მანქანა“ სისტემის ნაკეთობის ან პროცესის ეფექტურობის მახასიათებლად მიზანშეწონილია უფრო ამორჩეულ იქნას შემდეგი:

---

* СмирновБ.А. ДушковБ.А., космолинскийФ.П. Инженернаярсихология: Экономическиепроблемы.М. 1983.

** ГубинскийА.М. Обеспечениеэргономическогокачества.АСУ.Л.1983.

1. გამოკვლევებისა და დამუშავებათა შედეგების დანერგვის პირობითი წლიური ეკონომია;
2. დანერგვის წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა;
3. კაპიტალ დანახარჯთა ამოღების ვადა.

ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა წარმოებს როგორც პროექტირების სტადიაში, ასევე „ადამიანი-მანქანა“ სისტემის ექსპლუატაციის სტადიაში. ეკონომიკურ ეფექტიანობას პროექტირების სტადიაში ეწოდება „მოსალოდნელი“, ხოლო ექსპლუატაციის სტადიაშიკი „ფაქტიური“.

ერგონომიკური გამოკვლევებისა და დამუშავებების შედეგების დანერგვის პირობითი წლიური ეკონომია განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta V_{\text{პირ. წლიური}} = V_{\text{ა.მ.ს.}} - V_{\text{ბ.}} \quad (1)$$

სადაც, $V_{\text{ა.მ.ს.}}$ - წლიური ეკონომია ახალი „ადამიანი-მანქანა“ სისტემის დანერგვიდან:

$V_{\text{ბ.}}$ - საბაზო წლიური ეკონომია განსაზღვრული, „ადამიანი-მანქანა“ სისტემისათვის.

წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა, განპირობებული ერგონომიკური უზრუნველყოფის დანერგვით ფასდება დანახარჯთა გათვალის წინებით ფორმულით:

$$Э_{\text{ა}} = \Delta V_{\text{პირ.წლიური}} + E\Delta K$$

სადაც, $\Delta V_{\text{პირ. წლიური}}$ მიღებული ერგონომიკურ გამოკვლევების შედეგების დანერგვის ხარჯზე;

$Э_{\text{ა}}$არის წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა;

$\Delta K$-დამატებითი დროითი ერთეულის დანახარჯები დაკავშირებული ერგონომიკური გამოკვლევებისა და დამუშავების შედეგების დანერგვასთან;

E-კაპიტალდაბანდებათა ნორმატიული კოეფიციენტი (E=0,15)

დამუშავებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისას. რომელიც გათვალისწინებულია მრავალწლიანი რეალიზაციისათვის, დროის ფაქტორი გაითვალისწინება კაპიტალდაბანდებათა დროის ერთ მომენტისათვის მოყვანის გზით.

სხვადასხვა „ადამიანი-მანქანა“ სისტემისათვის ერგონომიკურ და ინჟინერულ-ფსიქოლოგიურ გამოკვლევათა დამუშავებათა მიმართულებებზე დამოკიდებულებით, პირობითი წლიური ეკონომია სხვადასხვა ფაქტორით განისაზღვრება:

1. საკვლევ სამუშაოთა ჩატარებისას „ადამიანი-მანქანა“ სისტემის დამუშავების შემცირებით (პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით; ექსპლუატაციური დანახარჯების შემცირებით, წარმოების მომზადების, სამუშაო სანაზღაურებისა და სხვა ხარჯები)

ერგონომიკური და ინჟინერულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევების და მათი შედეგების $\Delta V_{\text{პირ. წლიური}}$ დანერგვა გათვალისწინებულია „ადამიანი-მანქანა“ სისტემის დამმუშავებელთა და გამომყენებელთათვის. საერთო წლიური ეკონომია შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგიფორმულით:

$$\Delta V_{\text{პირ. წლიური}} = \Delta V_{\text{პირ.დან.}} + V_{\text{მომხმარებლისეკონომია}} \quad (2)$$

სადაც, $\Delta V_{\text{პირ.}}$ - პირობითი წლიური ეკონომიაა,

$\Delta V_{\text{პირ.დან.}}$ - პროექტის დამმუშავებლის წლიური ეკონომია, პროექტირება ზედანახარჯების შემცირებისას;

$\Delta V$ – მომხმარებლის ეკონომია – „ადამიანი-მანქანა“ სისტემის ექსპლუატაციისას მომხმარებლის წლიური ეკონომია.

ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება „ადამიანი-მანქანა“ სისტემის დამუშავებისას – ერგონომიკური გადაწყვეტილებების ტიპების არსებობა საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შევამციროთ „ადამიანი-მანქანა” სისტემის ახალი პერსპექტიული ტიპების დამუშავების ვადები. დამმუშავებელთა წლიური ეკონომია შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$\Delta V_{\text{დამუშავებელი წლიური ეკონომია}} = N\,(C_1 - C_2) - 1/T_1 \quad (3)$$

სადაც, N=2 „ადამიანი-მანქანა“ სისტემის პროექტების რაოდენობა დასამუშავებელ წლის განმავლობაში;

$C_1$ და $C_2$ - ერთი პროექტის საშუალო ღირებულება მეცნიერულ-გამოკვლევებისა და საცდელი საკონსტრუქტორო სამუშაოთა შედეგების დანერგვამდე და მერე ($C_1$=200000ლარს).

ამ შემთხვევაში გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დამპროექტებელთა კვალიფიკაციის ცვლილება, დამპროექტებელთა რაოდენობის ცვლილება და სხვა.

დაპროექტების ვადების დაჩქარების გათვალისწინებისას მივიღებთ:

$$C_2 = (C_1/T_1) \cdot T_{2\,(4)}$$

სადაც. $T_1$=3 წელი და $T_2$=2,5 წელი „ადამიანი-მანქანა“ სისტემის პროექტირების დრო მეცნიერული გამოკვლევების დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ.

კონკრეტული მნიშვნელობების მე-(4) ფორმულაში ჩასმით მივიღებთ

$$C_2 = (200000/3 \quad 2{,}5 = 167 \text{ათას ლარს.}$$

ბოლო შედეგებს თუ ჩავსვამთ (3) ფორმულაში მივიღებთ

$$\Delta V_{\text{დამზოგველი ნლური ეკონომია}} = 2\,(\,200000 - 167000)\,.\,1/3 = 22{,}3 \text{ ათასი ლარი}$$

„ადამიანი – მანქანა ”სისტემის ექსპლუატაციისას ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება – მოცემული „ადამიანი-მანქანა“ სისტემის ექსპლუატაციისას ეკონომია შემდეგი ფაქტორებისაგან იკრიბება:

1. „ადამიანი-მანქანა“ სისტემის ფუნქციონირების ხარისხის ამაღლება საქმიანობის ოპტიმალური ალგორითმის აგებისა და მასში ჭარბი სტრუქტურის დანერგვის ხარჯზე, რაც ამცირებს გამომყენებლის შეცდომებისაგან გამოწვეული ამოცანების ჩამონათვალის რიცხვს;

2. პერსონალის რიცხოვნობის შემცირება ადამიანსა და ტექნიკურ საშუალებებს შორის ფუნქციათა რაციონალური გადანაწილების საფუძველზე;

3. „ადამიანი-მანქანა“ სისტემის მომსახურების ვადის გაზრდა, „ადამიანი-ტექნიკა“ სისტემის დახმარებით , ამოცანათა წრის გაფართოების ხარჯზე.

$$\text{მაშინ } V_{\text{დამზოგველის ეკონომია}} = \Delta V_{\text{შეცდომების}} + \Delta V_{\text{პერსონალის}} + \Delta V_{\text{მომსახურებისვადის}} \quad (5)$$

სადაც. $\Delta V_{\text{შეცდომების}}$ $\Delta V_{\text{პერსონალის}}$ და $\Delta V_{\text{მომსახურებისვადის}}$ შესაბამისი წლიური ეკონომია მიღებული გამომყენებელთა შეცდომების ჩამონათვალის შემცირების ხარჯზე. პერსონალის რიცხოვნობის შემცირებათა და „ადამიანი-მანქანა“ სისტემის მომსახურების ვადის გაზრდით.

წლიური ეკონომია მომხმარებელთა შეცდომების რიცხვის შემცირების ხარჯზე შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ფორმულით

$$\Delta V_{\text{შეცდომების}} = L_1 P_{11}\,(\,1 - P_{\text{ბბ}})\,\text{trt}_0 C_0 - L_2 P_{21}(1 - P_{\text{ბბ}})\,\text{trt}_0 C_0 \quad (6)$$

$L_1$=100$L_2$=100 -„ადამიანი-მანქანა“ სისტემის რაოდენობა, რომელიც არის ექსპლუატაციაში კვლევის შედეგების დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ;

$P_{11}$=0,01 და P21=0,005 შეცდომების წარმოქმნის ალბათობა გამოკვლევების შედეგების დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ;

$P_{\text{ბბ}}$=0,95 – ოპერატორის მიერ საკუთარი შეცდომების სწორი შეცნობის ალბათობა ( თვითკონტროლი) $t_r$=3600 – საშუალო დრო „ადამიანი-ტექნიკა“ სისტემის ფუნქციონირების საშუალო დრო წლის განმავლობაში;

$t_0$=3 სთ მომხმარებლის მიერ შეცდომების აცილების საშუალო დრო. (ეს დრო ყალიბდება შეცდომების შეცნობის დროდან, მისი იდენტიფიკაციის, შეცდომების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე, მისი კორექტირებისას ამოცანის განმეორებით გადაწყვეტის დროით).

$C_0$=90 ათას ლარს საათში შეცდომების აცილების დროს ერთი საათის საშუალო ღირებულება (მოცდენით, ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსის არამწარმოებლური დატვირთვის ამოცანის განმეორებით გადაწყვეტისას) მოყვანილი მონაცემები ჩავსვათ მე-(6) ფორმულაში და მივიღებთ:

$$\Delta V_{\text{შეცდომების}} = 100.\ 0{,}01\ .\ (\,1\text{-}0{,}95)\ .\ 3600\ .3\ .90 - 100\ .\ 0{,}005\ .\ (1\text{-}0{,}95)\text{x}3600\ .3.\ 90 =$$

$$= 24{,}3 \text{ ათასი ლარი.}$$

ეკონომიკის გაანგარიშებისას პერსონალის რიცხოვნობის შემცირებით გაითვალისწინება დანახარჯები გამონთავისუფლებული სამუშაო ძალის სოციალურ დაზღვევაზე. გაანგარიშებაში მიიღება მხოლოდ პირდაპირი ხარჯები.

წლიური ეკონომია პერსონალის რიცხოვნობის შემცირების შედეგად, სპეციალისტთა შესაძლებელი კვალიფიკაციის ამაღლებით შეიძლება განსაზღვრულ იქნას შემდეგი ფორმულით

$$\Delta V_{\text{პერსონალის}} = L_1\,T_r\,Cn_1\,N - L_2\,t_r\,Cn_1\,N - L_2\,t_r\,Cn_2\,N_2$$

სადაც, $Cn_1$ = 1,5; $Cn_2$=1,7 სპეციალისტის სამუშაოს 1კაც/საათის საშუალო ღირებულება შემუშავებული შედეგების დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ (1კაც/საათის ღირებულების ზრდა დაკავშირებულია სამუშაოს გართულებასთან და პერსონალის მიმართ მოთხოვნების გაზრდასთან) $N_1$=2,5 და $N_2$=22 სპეციალისტების რაოდენობაა, რომლებიც დაკავებულნი არიან. „ადამიანი-

ტექნიკა“ სისტემაში დამუშავების შედეგების დანერგვამდე და დანერგვის მერე. მოყვანილი მნიშვნელობები ჩავსვათ მე-(7) ფორმულაში დამივიღებთ:

$\Delta V_{\text{პერსონალის}}$= 100 . 3600 . 1,5 . 2,5–100 . 3600 . 1,7 .22=36ათასილარი.

ნლიური ეკონომიკის შეფასებისას „ადამიანი-ტექნიკა“ სისტემის მომსახურების ვადის გადიდების შედეგად ითვლება, რომ ის პროპორციულია მისი შეფარდებითი ზრდისა. შედეგად ამ ფაქტორით ნლიური ეკონომია შეიძლება განსაზღვრულ იქნას ფორმულით:

$\Delta V_{\text{მომსახურების}} = NC_1 ( T_{\text{მომსახურების1}}/T_{\text{მომსახურების}}-1:/T_{\text{მომსახურების}})$ (8) სადაც

$T_{1\text{მომსახურების}}$= 7 წელს; $T_{2\ \text{მომსახურების}}$= 8 წელს – ეს არის ექსპლუატაციის დრო (მომსახურების ვადა) „ადამიანი-მანქანა“ სისტემის საბაზისო და საპროექტო პერიოდისათვის. მოყვანილი მონაცემების ჩასმით მე- (8) ფორმულაში მივიღებთ:

$\Delta V_{\text{მომსახურების}}$= ( 2 . 200000/7) . ( 8/7-1) =8,2 ათას ლარს

ექსპლუატაციის სტადიაში „ადამიანი-მანქანა“ სისტემის ნლიური პირობითი ეკონომია განსაზღვრული ფორმულა (5) -ით შეადგენს:

$\Delta V_{\text{პირ. ნლიური ეკონომია.}}$ =24,3+36+8,2=68,5 ათასი ლარი საერთო ნლიური ეკონომია გაანგარიშებული ფორმულა (2)-ის მიხედვით იქნება

$\Delta V_{\text{საერთონლიურეკონომია}}$=22,3+68,5=90,8 ათასი ლარს

ვითვალისწინებთ რა რომ ერგონომიკურ დამუშავებათა ჩატარების ღირებულება ტოლია 20 ათასი ლარის მივიღებთ ნლიური ეკონომიკური ეფექტიანობას შემდეგ მნიშვნელობას:

$Э_1$=90,8-0,15 . 20=87,8 ათასი ლარი.

განვიხილოთ ერგონომიკურ დამუშავებათა ეკონომიკური

ეფექტიანობას გაანგარიშების ორი მაგალითი.

მაგალითი1. ჩატარებულმა ერგონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსმა (განათების გაუმჯობესებამ, შემადუღებელ ხელსაწყოში სახელურის შეცვლა, ხმაურის დონის შემცირებამ) შესაძლებლობა მოგვცა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი აგვემაღლებინა, რამაც ასახვა ჰპოვა ნაკეთობის ფასის ზრდაზე A ( $A_1$=4,12 ლარი $A_2$=4,42 ლარი), გამოშვების ნლიური მოცულობა $A_2$=10000 ცალს დამატებითი კაპიტალ დაბანდებები 5,0 ათასი ლარი, ერგონომიკური პროექტის ღირებულება 5,0 ათასი ლარი. ერთეული ნაკეთობების რეალიზაციიდან მოგების ზრდა $п_2$-$п_1$=4,42-4,12=0,3 ლარი

ნლიური პირობითი ეკონომია განსაზღვრავს ერგონომიკურ ღონისძიებების დანერგვის მთელ ეფექტს.

$\Delta V_э$= $\Delta V_{\text{ნლიურ პირობით ეკონომიას}}$=0,3 . 10000 = 3000 ლარი

ნლიური ეფექტი = $Э_э$ = 3,0–0,15 (5,0+5,0) =1,5ათას ლარს

გამოსყიდვის ვადა $T_ф$= 10,0/1,5=6,7 წელი

$E_{-0,15}$ (კაპიტალ დაბანდებათა ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი)

მაგალითი2. ერგონომიკური პროექტირების უზრუნველყოფის მიზნით სატრანსპორტო საწარმოების მართვის ავტომატიზირებულ სისტემაში ფუნქციების დასაბუთებულმა განახლებამ ადამიანებსა და ელექტრო გამომთვლელ მანქანებს შორის, უზრუნველყო მონაცემთა მომზადებისათვის ოპერატორების რიცხოვნობის შემცირება ორი ადამიანით. პროექტის შემუშავებაზე დანახარჯები იყო 5,0 ათასი ლარი, ერთი მომუშავის ანაზღაურების ნლიური ფონდი1600 ლარი. ერგონომიკური ღონისძიებების დანერგვიდან მიღებული ნლიური ეფექტიანობა განისაზღვრება ფორმულით:

$\Delta V_э$=$\Sigma$Ri. ni . Бi

სადაც, ni განთავისუფლებული მუშაკების i-ური კატეგორიის (i=1,2...n) რაოდენობა;

Бi–i-ური კატეგორიის მომუშავის ნლიური შრომის ანაზღაურების ფონდი;

Ri -დამატებით ანაზღაურებისა და სოციალურ დაზღვევის გამორიცხვის კოეფიციენტი. მაგალითად ტოლია 1,2. კონკრეტული მნიშვნელობების ჩასმით ფორმულაში მივიღებთ ერგონომიკურ ღონისძიებათა დანერგვისა და გამოსყიდვის ვადის ნლიურ ეფექტიანობას.

$\Delta V_э$= 1,2. 2 .1600= 3840 ლარი.

$Э_э$= 3840- 0,15 (5,0+5,0) = 2340

მოყვანილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ, რომ დანახარჯები ერგონომიკურ გამოკვლევებზე სწრაფად ანაზღაურდება, რომლის დროს ტექნიკურ – ეკონომიკური ეფექტიანობა მეტად საგრძნობს წარმოადგენს.

ბოლოს ერთ საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. უმრავლეს ერგონომიკურ გამოკვლევათა შემთხვევაში ეკონომიკური ეფექტიანობა დაკავშირებულია ტექნიკის დამზადებისა და ექსპლუატაციის ეტაპებთან ასეთი მიდგომა საკმაოდ გასაგებია, რადგან ასეთ შემთხვევაში დამუშავებათა ღირებულებითი მონაცემები დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ უფრო ხელმისაწვდომია. ვიდრე პროექტირების ადრეულ ეტაპებზე. მაგრამ არსებობს საფუძველიანი ფიქრობთ, რომ „ადამიანი-მანქანა“ სისტემის პროექტირებისა და დამუშავების ადრეულ სტადიაზე ერგონომიკურ გამოკვლევებს შეუძლიათ მოგვცენ უფრო მეტი ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობა, რამდენადაც ამ სტადიაზე შესაძლებელია ავიცილოთ ბევრი არასწორი საპროექტო გადაწყვეტილებები და აღმოვფხვრათ ერგონომიკური პოზიციებიდან დაუსაბუთებელი მოთხოვნები კაპიტალ დაბანდებათა ზრდაზე.

# სოფლის მეურნეობის დიაგნოსტიკის თავისებურებები

## 19.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი თავისებურებები

საქართველო არის აგრარული ქვეყანა, რომელსაც აქვს ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, ქვეყნის მოთხოვნილების არა მარტო დაკმაყოფილების, არამედ რიგი პროდუქციის ექსპორტის განხორციელების სრული პოტენციალი.

ტრადიციულად საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებისათვის იყო ბოსტნეულის, ხილის, ჩაის, ციტრუსების, ღვინისა და კონიაკის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი.

მე-20 საუკუნის 90-იანიწლების დასაწყისში საქართველოში მომხდარმა მნიშვნელოვანმა საზოგადოებრივ პოლიტიკურმა ცვლილებებმა საფუძვლიანად შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა.

ეროვნული ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარები სთავისებურებების, ტენდენციების კანონზომიერებათა გამოკვლევას, სოფლის მეურნეობის პოტენციალის ამოქმედების რეალური ფაქტორების თეორიულ მეთოდოლოგიურ შესწავლას.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მრავალი პრობლემა დაგროვდა. კერძოდ სოფლის მეურნეობაში მუშაობს დასაქმებულთა 55%, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობაში მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 11% იქმნება.

ყოველწლიურად მცირდება ნათესი ფართობები, საშუალო მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო საკუთრებაში არსებული მიწოდების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელია. მაგალითად, 2007 წელს ქვეყანაში დანიშნულებით გამოუყენებელი იყო სახნავის თითქმის 60%. აგრარული სექტორის განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა ტრადიციული ბაზრების დაკარგვამ და ევროპის შიდა ბაზარზე ევროპულ სტანდარტებთან ქართული პროდუქციის თავსებადობის პრობლემამ.

ახლო წარსულში საქართველოს სოფლის მეურნეობა ინტენსიური ტექნოლოგიებისა და მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის მოცულობით, საშუალო ევროპული ქვეყნის დონეზე იდგა. ზოგიერთი დარგის მექანიზაცია-ელექტროფიკაციის დონით (მეჩაიეობა) მსოფლიოში პირველი ადგილი ეჭირა. მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მაღალი დონით ხასიათდებოდა. მეფრინველეობის პროდუქტები ძირითადად ინდუსტრიულ საფუძველზე იწარმოებოდა. აგრარული პროდუქციის ექსპორტი 1,7-ჯერ აღემატებოდ აანალოგიური პროდუქციის იმპორტს. სოფლის მეურნეობასა და გადამაუშავებელ მრეწველობაზე მოდიოდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის 75%-ზე მეტი. საქართველო ტიპიური აგროინდუსტრიული ქვეყანა იყო.*

ამჟამად არ იქნება სწორი, რომ ორიენტაცია ავიღოთ, მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და რეალურად არ შევაფასოთ თანამედროვე ინდუსტრიის ეკონომიკური, მეცნიერული, კულტურული პოტენციალი. ისევე როგორც გაუმართლებელია მხოლოდ მრეწველობის განვითარებაზე ორიენტაცია. გამოსავალი უნდა ვეძიოთ დარგთაშორისი ეკონომიკური წონასწორობის აღდგენაში, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესი არ არის კვლავწარმოების ცალკე იზოლირებული პროცესი.

იგი მჭიდრო კავშირშია მრეწველობის კვლავწარმოების პროცესთან და ურთიერთს ავსებენ, ამიტომ ეროვნული მეურნეობის განვითარების ძირითადი საკითხია ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ჰარმონიული განვითარება. დღეს ქვეყნის მრეწველობა ვერ იძლევა იმ პროდუქციას, რაც სოფ-

---

* ჭითინავა ნ. "გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები" თბ. 2010 საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია "მოამბე XIIდა XIV"გვ.15

* კუნჭულია თამაზი "სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში და მისი გაუმჯობესების გზები"საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია "მოამბე XIIდა XIV"თბ. 2010 გვ.23

ლისათვის ესოდენ აუცილებელია, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ინვენტარი, ყველა სახის სასუქი და შხამქიმიკატები, საწვავ-საცხები მასალები და სხვა. ასევე თავად სოფლის მეურნეობა ვერ აწვდის მისთვის საჭირო ნედლეულს, ე.ი. დარღვეულია წონასწორობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის. სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითად საშუალებას მიწა წარმოადგენს, მისთვის დამახასიათებელი საწარმოო თავისებურებებით. დღეისათვის არ არსებობს სრულყოფილი და სწორი ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურის შესახებ. ასევე სერიოზული პრობლემებია ქვეყნის უპირველესი და შეუცველი სიმდიდრის ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების საქმეში.

ნიადაგი, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალება და მოსავლის მიღების მთავარი წყარო დიდი ხანია გასცდა ამ დანიშნულებას. იგი დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების უმთავრესი პირობაა. საქართველოში 10 სხვადასხვა ნიადაგ წარმომქმნელ ქანზე განვითარებულია 49 ნიადაგური ტიპი, ამიტომ საქართველოს ნიადაგურ მუზეუმსაც კი უწოდებენ. კლიმატთან და სხვა ფაქტორებთან ერთად სწორედ ნიადაგები არის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობისათვის. ბოლო პერიოდში ნიადაგის შერჩევითმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ თითქმის ყველა რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობს ნიადაგების საკვები ელემენტებით გაღარიბების, ჰუმუსის შემცირების და ნაყოფიერების დაცემის პროცესი. ქვეყანაში ნიადაგების გამოკვლევას და მის ხარისხობრივ შეფასებას თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიებით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგების გაღარიბება-დეგრადაციის თავიდან აცილებისა და მომავალი თაობებისათვის გადაცემისათვის (1სმ. სისქის ნიადაგის ფენის შექმნას ბუნება100-150 წელი უნდება). სოფლის მეურნეობა ძლიერ დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე, რის გამოც მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდების სარისკო სფეროს. საქართველოსათვის დამახასიათებელია ვერტიკალური ზონადობა. ბარს ქვეყნის ტერიტორიის 13%, ხოლო მთისწინებსა და მთებს 87% უჭირავს.

საქართველოში შეუძლებელია ერთი ან რამდენიმე სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმ რაოდენობით წარმოება, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა მთელი აგრარული სფეროს განვითარება. მრავალდარგიანობა საქართველოს ბუნებრივი პირობებითაა განპირობებული, მთის წინებსა და მთებში მრავალნაკვეთიანობის, მისი სიმცირისა და დახრილობის გამო შეუძლებელია მსხვილი, ინდუსტრიული წარმოების განვითარება. მრავალდარგიანობაზე მიანიშნებს ისიც, რომ საქართველოში გამოყოფილია 13 ზონა 6 ქვეზონით, სადაც უკანასკნელ წლებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით საწარმოო სპეციალიზაციის ზონალური სქემის ავტორებმა პროფ. ვ. ბურკაძემ და ო. ქეშელაშვილმა საქართველოში სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყობისა და მათი განვითარების რეგიონული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად ორი ძირითადი ამოსავალი კრიტერიუმი გაითვალისწინეს;

ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და ისტორიული ტრადიციები;

1. საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი და ეტაპობრივად ცვალებადი ქვეყნის შიდა და გარე მარკეტინგული მოტივები, მოთხოვნები, შეზღუდვები და სტრატეგია.

2. საქართველოს სოფლისმეურნეობის სპეციალიზაციის ზონალური სქემა ამჟამად შემდეგი სახით არის წარმოდგენილი იხ. სქემა19.1.1.

სქემა19.1.1.

| ზონებისა და ქვეზონების დასახელება | | ადმინისტრაციული რაიონები |
|---|---|---|
| 1. | | 2. |
| I. შიდა კახეთის სამრეწველო მევენახეობის ზონა | I ა- სამრეწველო მევენახეობის ქვეზონა | ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარელის |
| | I ბ მევენახეობისა და მეთამბაქოეობის ქვეზონა, საადრეო მებოსტნეობით | ლაგოდეხის |
| II. გარე კახეთის მევენახეობისა და მემარცვლეობა -მეცხოველეობის ზონა | | სიღნაღის, დედოფლის წყაროს, საგარეჯოს |
| III. ქ. ქ. თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო სოფლის მე- | | მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, თეთ- |

| | | |
|---|---|---|
| ურნეობის ზონა | | რიწყაროს, ბოლნისის |
| IV. აღმოსავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა | | დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალგორის, ჯავის. |
| V. შიდა ქართლის მეხილეობის ზონა, საგარეუბნო სოფლის მეურნეობნით | | კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ცხინვალის. |
| VI. სამცხე-ჯავახეთის სამთო მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის ზონა | | წალკნის, დმანისის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხისი, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის |
| VII. იმერეთის მევენახეობის ზონა მეცხოველეობით | | თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, (ქ. ჭიათურა) საჩხერის, ხარაგაულის, ბაღდათის, ვანის |
| VIII. რაჭა-ლეჩხუმის მეცხოველეობისა და მევენახეობის ზონა | | ცაგერის, ამბროლაურის |
| IX. დასავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა | | ონის, ლენტეხის, მესტიის |
| X. კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ზონა | | ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ფოთის (ქ. ფოთი), ხობის, სენაკის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხორწყუს, მარტვილის, ხონის. |
| XI. ქ. ქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა | | აბაშის, სამტრედიის, წყალტუბოს, ტყიბულის (ქ.ტყიბული) |
| XII. აფხაზეთის სუბტროპიკული და საგარეუბნო-საკურორტო სოფლის მეურნეობის ზონა | XI ა. სუბტროპიკული და საგარეუბნო-საკურორტო სოფლის მეურნეობის ქვეზონა, მეთამბაქეობით | გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის. |
| XIII. აჭარის სუბტროპიკილი სოფლის მეურნეობისა და სამთო მეცხოველეობის ზონა | XII ბ. მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ქვეზონა | ოჩამჩიროს, გალის |
| | XIIIა სუბტროპიკული და საკურორტო სოფლის მეურნეობის ქვეზონა | ქობულეთის, ხელვაჩაურის |
| | XIII ბ სამთო მეცხოველეობისა და მეთამბაქოების ქვეზონა. | ქედის, შუახევის, ხულოს |

მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო ინსტიტუტების ( გაერო, მსოფლიო ბანკი და სხვა) მონაცემები, რომელთა მიხედვით დედამიწაზე დამთავრდა იაფი სურსათის წარმოების ხანა, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მატებით, ნავთობის გაძვირებით, წყლის დეფიციტით, ბიოსაწვავის საწარმოებლად ნათესების მზარდი გამოყენებით, ბიომეურნეობებში წარმოებული პროდუქციის მოხმარების ზრდის ტენდენციით. ამავე ორგანიზაციების მონაცემებით 30 წელი წადში მოსალოდნელია სურსათზე მწვავე დეფიციტის წარმოშობა.

სურსათის გაძვირება ხელსაყრელ გარემოს ქმნის განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაფართოების, მომგებიანი აგრო ბიზნესის ორგანიზაციისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებულია ტურიზმის გაფართოება.

ტურიზმის პრიორიტეტულობის საფუძველი დარგის უაღრესად ექსპორტ ტევადობაა. საქართველოს ტურიზმის პრიორიტეტულობის ერთ-ერთი კრიტერიუმი აგრარული სექტორისა და კვების მრეწველობის განვითარების სტიმულირება ტურიზმის მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტით.

ზემოთ განხილული ზოგიერთი არგუმენტები განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის გაძლიერებას, აგრარული სექტორის განვითარებისათვის, ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის, რაც პროტექციონისტური პოლიტიკის გატარებაში გამოიხატება.

სახელმწიფო მოვალეა ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, სათანადო ეკონომიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა აღმოუჩინოს აგრარული სექტორის როგორც მსხვილ, ისე მცირე ბიზნესს.

მსოფლიოში, ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკა წარმოების სუბსიდირების, მიწების კონსერვაციის, ფერმერთა ადგილზედა მაგრების, გადასახადების დიფერენცირების, ჯანმრთელი პროდუქციის წარმოების, ექსპორტის ნახალისების და სხვა პროგრამების გამოყენებით.

ამრიგად, განსაკუთრებული მიდგომებია საჭირო სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისათვის, რადგანაც ძლიერი სოფლის მეურნეობა და ძლიერი სოფელი, ძლიერი ქვეყნის საფუძველია.

## 19.2 საქართველოს შავი ზღვისპირეთის სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებანი

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში ჩართვა, მისი ადგილის განსაზღვრა და საფინანსო საბაუჯეტო მდგომარეობის გაუმჯობესება ბევრად დამოკიდებულია ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსების რეგიონალურ ათვისებაზე. მნიშვნელოვანია საქართველოს ზღვისპირა გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენება ეროვნული ეკონომიკის ზრდისათვის.

თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი სპეციფიკური მხარეა მისი ოკეანური, ზღვისპირა ხასიათი. ქვეყნების ზღვისპირა გეოგრაფიული მდებარეობა განიხილება როგორც საწარმოო ძალების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საზღვაო ტრანსპორტი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკას ერთ მთლიან სამეურნეოსისტემად კრავს.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 5-ჯერ, სარკინიგზო ტრანსპორტისა კი მხოლოდ 1,6 -ჯერგაიზარდა, რაც ავტომობილიზაციის დაჩქარებული განვითარების პროცესის გათვალისწინებითაც კი მიგვანიშნებს „ოკეანური“ ცივილიზაციის უფრო სწრაფ განვითარებაზე, „სახმელეთო“ცივილიზაციასთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკაში საწარმოო ძალების თანაბარზომიერი განლაგებისათვის (ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება არის შეზღუდული ფართობის ზონაში, კერძოდ, კი თბილისის რეგიონშია თავმოყრილი, სადაც კონცენტრირებულია ქვეყნის მოსახლეობის 1/3; მრეწველობის 2/5 -ზე მეტი) ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულება და ამ პრობლემების გადასაწყვეტად ზღვისპირა რეგიონებისა და რაიონების დაჩქარებული განვითარება წარმოადგენს.

ქართველი ერის საზღვაო კავშირების ისტორია მისი ისტორიულ გეოგრაფიული თვისებებიდან და გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე რამოდენიმე ეტაპს მოიცავს:

**პირველი ეტაპი** – ანტიკურ ეპოქას მოიცავს, როდესაც საქართველოს შავი ზღვისპირეთში წარმოქმნილი სანავსადგურო ქალაქების მეშვეობით კოლხეთის სამეფო აქტიურად იყო ჩართული ანტიკური სამყაროს ეკონომიკურ-კულტურულ ცხოვრებაში.

**მეორე ეტაპი** – მოიცავს შუა საუკუნეების პერიოდს, როდესაც საქართველოს საზღვაო ეკონომიკური კავშირები შესუსტდა ოსმანთა იმპერიის ექსპანსიის გამო. ზღვისპირა სანავსადგურო ქალაქებმა დაქვეითება განიცადეს და მხოლოდ თურქეთის პორტებთან წარმოებდა ვაჭრობა.

**მესამე ეტაპი** – საქართველოს შავი ზღვისპირა გეოგრაფიული მდებარეობის დადებითი მხარე იწყება XIX საუკუნის დამლევიდან, რაც განპირობებული იყო კაპიტალიზმის განვითარებითა და მსოფლიო მეურნეობის სისტემაში თანდათანობით ჩართვით. საეჭარო-სამრეწველო ფუნქციის გაძლიერების ხარჯზე სწრაფად იზრდებოდა ზღვისპირა ქალაქები- ბათუმი, ფოთი, სოხუმი. 2002 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა იყო 121,8, ხოლო ფოთის 47,1. 2010 წლისათვის კი ბათუმის მოსახლეობა იყო 123,5, ხოლო ფოთის 47,7. ბათუმი მსოფლიო მნიშვნელობის ნავთობ საექსპორტო, ხოლო ფოთი მთავარი მანგანუმ საექსპორტო ნავსადგური გახდა.

დაინყო ზღვისპირეთის რეკრეაციული რესურსების ათვისებაც. აქ პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ზაფხულობით 30-40 ათასი კაცი ისვენებდა.

**მეოთხე ეტაპი** – იწყება მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც საგარეო ვაჭრობის როლი საქართველოს ეკონომიკაში მკვეთრად დაეცა. ამ პერიოდში ბათუმსა და ფოთში აშენდა რამდენიმე მსხვილი სამრეწველო საწარმო, მაგრამ ისინი მჭიდროდ იყვნენ ჩართული სსრ კავშირის ერთიან მეურნეობრივ კომპლექსში და ქვეყნის შიდა რაიონებიდან მიღებულ ნედლეულზე მუშაობდნენ.

**მეხუთე ეტაპი** – იწყება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც საგარეო ეკონომიკური კავშირები აღმოსავლეთ ევროპის, ასევე აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებთან სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდნენ. ამ პერიოდში შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნო ბათუმში, ოკეანური თევზჭერის სამმართველო ფოთში, იწყება მცირე ტონაჟიანი ჩქაროსნული გემების წარმოება.

**მეექვსე ეტაპი** – კი იწყება მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან და მიმდინარეობს ამჟამად. რაც გამოიხატება შავი ზღვისპირეთის შემდგომი რეკრეაციული ათვისების გაუმჯობესებასა და ახალ აღმშენებლობაში.

საქართველოს საზღვაო ნავსადგურების ჰინტერლანდის ზონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულების განსაზღვრაში.

ზღვისპირა რეგიონების სოფლის მეურნეობის დახასიათებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ზღვისპირეთის მიმდებარე რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და სტრუქტურა.

საქართველოს შავი ზღვისპირეთში მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა და დამსვენებელთა რაოდენობისა და ტურისტების რაოდენობის მატება განაპირობებს სურსათზე მოთხოვნილების შემდგომ გადიდებას, რომლის ნაწილი (რძე, ბოსტნეული, ხორცი, ხილიდა ა.შ.) ადგილზევე უნდა იწარმოებდეს. ცხადია, რომ უშუალოდ ზღვისპირა ზოლში მალფუჭებადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოების შესაძლებლობები შეზღუდულია (თუმცა ზოგიერთ ადგილებში ჩაი ალბათ ამოვარდება დარგობრივი სტრუქტურიდან) მაგრამ კოლხეთის დაბლობზე მძლავრი სასურსათო ბაზის შექმნა უახლოეს წლების მანძილზე სავსებით შესაძლებელი და აუცილებელია, რადგან შავი ზღვისპირა რეგიონების ეკონომიკის განვითარებაში მეტად დიდია რეკრეაციული კომპლექსის როლი. ეს კომპლექსი მოიცავს საკურორტო-სამკურნალო, საერთო გამაჯანსაღებელი ტურისტულ დაწესებულებათა ფართო ქსელს.

### 19.3 აგრარულ რეგიონებში სოფლისმეურნეობის დიაგნოსტიკის სპეციფიკა

რეგიონული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დაკვირვება და მისი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვაელინოთ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების და წარმოების მოცულობის მკვეთრად გაზრდის გზები კონკრეტული რაიონების პირობებთან მისადაგებით და საწარმოო ფონდების მაქსიმალურად გამოყენებით; ნედლეულის ბუნებრივი და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებით; ცალკეული რეგიონებისა და რაიონების პროდუქციის ყველაზე უფრო ეკონომიკურ სახეობათა გამოშვებაზე სპეციალიზაცია; წარმოების ოპტიმალურ მოცულობათა ორგანიზაციითა და საწარმოთა რაციონალური სამეურნეო კავშირების დამყარებით. რაიონებისა და რეგიონების მეურნეობის კომპლექსური განვითარებით; მსხვილ მეურნეობრივ. სამრეწველო და კლასტერული კომპლექსების ფორმირებით.

სოფლის მეურნეობის დახასიათება ჩვეულებრივ წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკის სისტემური ანალიზის მეორე მნიშვნელოვან შემადგენელს. ზოგიერთი რეგიონისათვის აგრარული სექტორი ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს და გამოირჩევა განვითარების დონით.

აგრარული და აგრარულ-ინდუსტრიული სუბიექტების შესწავლისას აუცილებელია დავუთმოთ სათანადო ყურადღება სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების დონის მახასიათებელს ტატისტიკურ გაანგარიშებებს.

აგრარული რეგიონის გამოყოფა მიზანშეწონილია ჩატარდეს შიდა რეგიონულ პროდუქტში სოფლის მეურნეობის მაღალი ხვედრითი წილით. ამ ნიშნის მიხედით შეიძლება გამოყოფილი ქნას:

ა. მაღალ განვითარებული (საყრდენი) რეგიონები;

ბ. განვითარებადი ( ფორმირების პროცესში მყოფი) რეგიონები;

გ. სუსტად განვითარებული რეგიონები.

თითოეული სახის რეგიონის შიგნითგ ამოყოფილია ქვეტიპები, რომლებიც ასახავენ ეკონომიკური განვითარების ისეთ მახასიათებლებს. როგორიცა ასპეციალიზაცია, დივერსიფიკაციის ხარისხი და სხვა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა ცვლილებაც შეიძლება მიმდინარეობდეს თანდათანობით, ხანგძლივი დროის განმავლობაში.

აგრარულ ან ინდუსტრიულ-აგრარულ რეგიონებს შეიძლება მივაკუთვნოთ ქვეყნის ის სუბიექტები, სადაც სოფლის მეურნეობის წილი შიდა რეგიონულ პროდუქტში ქვეყნის საშუალო დონეს აჭარბებს ორ ან სამჯერ.

სოფლის მეურნეობის დიაგნოსტიკისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სოფლის მეურნეობის წარმოების ძლიერი დამოკიდებულება ამინდზე, კლიმატურ პირობებზე, ამიტომ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოსმისი მეურნეობის წილი წლიდან-წლამდე რეგიონულ პროდუქტებში.

ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით შეიძლება გამოყოფილ იქნას რამოდენიმე ჯგუფი რეგიონებისა, სადაც სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილიში და რეგიონული პროდუქტის შექმნაში ან განსაზღვრულია ან არა.

აგრარული სექტორის ანალიზი მნიშვნელოვანია არამარტო რეგიონული ეკონომიკის დახასიათებისათვის, არამედ განსაზღვრული ინფორმაცია რეგიონის აგრარულ სექტორზე აუცილებელია გვქონდეს მის ტერიტორიაზე სამრეწველო წარმოების განლაგებისათვისაც.

სოფლის მეურნეობის წარმოების დარგობრივი სტრუქტურის შეფასებამდე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ძირითად განმარტებებზე. კერძოდ:

1. სასოფლო-სამეურნეო საწარმო არის მეურნეობა, რომელსაც უძღვება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად შექმნილი მეწარმე სუბიექტი ( ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი). აქვე შედის მეურნეობები, რომლებსაც უძღვება ისეთი ტიპის სუბიექტები, როგორიცაა ფონდი, კავშირი, სახელმწიფო დაწესებულება, საგანმანათლებლო დაწესებულება, რელიგიური ორგანიზაცია და სხვა.

სოფლის მეურნეობაში რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობის დანერგვას თუ განვიხილავთ, ვნახავთ რომ 2002 წლიდან 2009 წლამდე ის ხასიათდება ზრდის ტენდენციით, კერძოდ თუ 2002 წლისათვის სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობაში დარეგისტრირებული იყო 3173 ერთეული სუბიექტი, 2003 წელს შეადგინა 3268 ერთეული ე.ი. 95 ერთეულით გაიზარდა.

2004 წელს შეადგინა 3339 ერთეული, 2005 წელს 3391 ერთეული, 2006 წელს 3504 ერთეული, 2007 წელს 3653 ერთეული, 2008 წელს 3765 ერთეული, ხოლო 2009 წელს კი 3883 ერთეული, 2009 წელს 2002 წელთან შედარებით 710 ერთეულით გაზრდილია სოფლის მეურნეობაში დარეგისტრირებულ სუბიექტთ არაოდენობა.

ოჯახური მეურნეობა არის მეურნეობა, რომელსაც უძღვება შინამეურნეობა. აქვე შედის მეურნეობები, რომელსაც რამოდენიმე შინამეურნეობა უძღვება მათ შორის დადებული არაფორმალური შეთანხმების საფუძველზე.

შინამეურნეობა არის ერთი ან რამოდენიმე პირის ერთობლიობა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ ერთად მოიხმარენ საკვებს ან სხვა პირველადი მოხმარების საქონელს და მთლიანად ან ნაწილობრივ აერთიანებენ თავიანთ შემოსავალს და ქონებას. არ არის სავალდებულო, რომ შინამეურნეობის წევრები ერთმანეთის ნათესავები იყვნენ.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის საანგარიშო წელს წარმოებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების და გაწეული მომსახურების ღირებულება. პროდუქციის წარმოების ტემპების დასადგენად გამოიყენება მუდმივ ფასებში გაანგარიშებული პროდუქციის მოცულობები საანგარიშო და საბაზრო წლებში.

ნათესი ფართობი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ის ნაწილი (სახნავი), რომელზეც ტარდება გარკვეული აგრო-ტექნიკური ღონისძიებები ერთ წლიანი კულტურების მოსავლის მოსაყვანად.

საშუალოდ მოსავლიანობა გაიანგარიშება მიღებული მოსავლისა და აღებული ფართობების თანაფარდობით.

პირუტყვის სულადობა გულისხმობს ყველა სახისა და ასაკის პირუტყვისა და ფრინველის სულადობას. აგრეთვე ფუტკრის ოჯახები სრაოდენობას განსაზღვრული ვადისათვის.

პროდუქტიულობა მეცხოველეობაში არის ერთი ძროხისაგან, ერთი კვერცხმდებელი ქათმისაგან და ერთი ცხვრისა და თხისაგან საშუალოდ წლის განმავლობაში მიღებული შესაბამისად რძე, კვერცხი და მატყლი.

სოფლის მეურნეობის ანალიზი რეგიონებში შეიძლება წარიმართოს იმავე სქემით, რაც მრეწველობის ანალიზისას, მხოლოდ სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სპეციფიკა განაპირობებს რიგ მეთოდოლოგიურ თავისებურებებს, რაც უმთავრესად განპირობებულია აგრარული წარმოების თავისებურებებით.

ისევე როგორც მრეწველობის დახასიათებისას, საჭიროა განვასხვაოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა და სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულება, რაც რთულად ჩასატარებელია დარგობრივ ჭრილში უფრო მთელი ინფორმაცია შემოისაზღვრება, მხოლოდ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის მოცულობით. მიუხედავად ამისა მაინც შესაძლებელია ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფართო ხარისხობრივი შეფასება. სანყის ეტაპზე განისაზღვრება ბოლო წლების მემცენარეობისა და მეცხოველეობის ხვედრითი წილი.

შემდეგ განისაზღვრება მემცენარეობის სტრუქტურა, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესი ფართობების მიხედვით, ხოლო მეცხოველეობის სტრუქტურა განისაზღვრება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრებისდა ა.შ. სულადობრივი თანაფარდობით.

შემდეგ ეტაპზე მონაცემები ნათესი ფართობებისა და შინაური ცხოველების სულადობის შესახებ შეფარდება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და მეცხოველეობის პროდუქციის საერთო ნაკრებ მონაცემებს

ცხრილი 19.3.1. **საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დინამიკა (მიმდინარე ფასებში მლნ.ლარი)**

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა სულ | 2262,1 | 2183,9 | 2330,3 | 2134,2 | 2250,9 | 2202,9 | 2072,2 |
| მათ შორის მემცენარეობა | 1149,7 | 1047,9 | 1184,5 | 911,4 | 1051,7 | 918,1 | 868,3 |
| მეცხოველეობა | 1070,9 | 1095,4 | 1105,3 | 1165,3 | 1138,8 | 1227,6 | 1140,5 |
| მომსახურება | 41,5 | 40,6 | 40,5 | 57,5 | 60,5 | 57,2 | 63,5 |

სოფლი სმეურნეობაში მეცხოველეობის როლით გამოიყოფა რეგიონების სამი ჯგუფი:

1. მემცენარეობის ( მეცხოველობის ხვედრითი წილი შეადგენს 35-42%-ს);

2. მემცენარეობაზე, მეცხოველეობის მაღალი წილითგ ადაჭარბება (მეცხოველეობის წილი შეადგენს 43-50%-ს);

3. მეცხოველეობის გადაჭარბებით (მეცხოველეობის მაჩვენებელი სტაბილურად აჭარბებს 51%-ს).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობით შეიძლება განისაზღვროს მეცხოველეობის წამყვანი დარგები-სახორცე (სახორცე-სარძევე) ან საძევე (სარძევე-სახორცე) მეძროხეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა.

სხვადასხვა პირუტყვის ნახირის რიცხოვნობის ცვლილება გვიჩვენებს მეცხოველეობის დარგობრივი სტრუქტურაში ცვლილებებს. სულადობრივი რიცხოვნობა უკეთ ასახავს პროდუქციის მოცულობის მიმდინარე ცვლილებებს.

საქართველოში ხორბლის წარმოების რეგიონებად იკვეთება კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მართალია სხვა რეგიონებშიც არის წარმოდგენილი, მაგრამ უფრო ნაკლები რაოდენობით.

ცხრილი 19.3.2. ხორბლის წარმოება რეგიონების მიხედვით ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ათასი ტონა)

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო სულ მათ შორის | 225,4 | 185,8 | 190,1 | 69,7 | 74,9 | 80,3 | 53,9 |
| კახეთი | 105,0 | 87,3 | 96,6 | 42,7 | 62,0 | 52,7 | 22,2 |
| ქვემო ქართლი | 47,7 | 43,5 | 41,7 | 14,1 | 5,5 | 12,4 | 8,7 |
| შიდა ქართლი | 57,7 | 37,0 | 34,3 | 8,5 | 4,7 | 11,3 | 19,0 |
| სხვარე გიონები | 15,0 | 18,0 | 17,5 | 4,4 | 2,7 | 3,9 | 4,0 |

ცხრილი 19.3.3. სიმინდის წარმოება რეგიონების მიხედვით ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ათასი ტონა)

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო სულ | 461,9 | 410,6 | 421,3 | 217,4 | 295,8 | 328,2 | 291,0 |
| გურია | 36,9 | 22,1 | 25,9 | 23,9 | 34,3 | 37,7 | 29,8 |
| იმერეთი | 134,3 | 122,7 | 127,6 | 61,8 | 85,8 | 97,2 | 95,4 |
| კახეთი | 38,4 | 62,2 | 61,6 | 14,8 | 23,5 | 51,6 | 32,4 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 130,0 | 93,8 | 108,0 | 77,2 | 83,9 | 95,0 | 93,3 |
| ქვემო ქართლი | 40,7 | 30,7 | 24,2 | 21,1 | 38,0 | 17,3 | 14,6 |
| დანარჩენი რეგიონები | 81,6 | 79,1 | 73,7 | 18,6 | 30,3 | 29,4 | 25,5 |

როგორც ვხედავთ სიმინდის წარმოების მაღალი მოცულობით ხასიათდება იმერეთის, სამეგრელო ზემოს ვანეთის, ქვემო ქართლის, კახეთისა დაგ ურიის რეგიონები.

ცხრილი 19.3.4. კარტოფილის წარმოება რეგიონების მიხედვით ყველა კატეგორიის მეურნეობაში

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო სულ | 430,1 | 400,5 | 436,7 | 179,7 | 190,3 | 165,0 | 170,3 |
| იმერეთი | 36,5 | 38,4 | 26,5 | 17,2 | 15,3 | 15,9 | 14,0 |
| კახეთი | 82,8 | 53,8 | 59,3 | 21,4 | 11,6 | 41,4 | 17,4 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 11,0 | 8,6 | 9,9 | 14,6 | 8,6 | 9,0 | 7,0 |
| სამცხე ჯავახეთი | 30,7 | 14,5 | 22,4 | 15,5 | 20,6 | 17,0 | 27,6 |
| ქვემო ქართლი | 128,9 | 105,1 | 147,2 | 62,2 | 79,5 | 28,9 | 66,8 |
| შიდა ქართლი | 105,6 | 145,2 | 147,5 | 34,4 | 36,9 | 32,9 | 25,4 |
| დანარჩენი რეგიონები | 34,6 | 30,9 | 23,9 | 14,4 | 17,8 | 19,8 | 12,1 |

ცხრილი 19.3.5. (ათასი ტონა)

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო სულ | 425,2 | 419,5 | 432,2 | 168,7 | 229,2 | 193,4 | 216,8 |
| აჭარის ა.რ. | 28,8 | 24,8 | 31,7 | 25,5 | 32,0 | 31,6 | 16,7 |
| სამცხე ჯავახეთი | 206,7 | 167,7 | 199,0 | 54,3 | 109,3 | 108,1 | 144,1 |
| ქვემო ქართლი | 121,6 | 151,0 | 121,6 | 69,8 | 59,9 | 24,9 | 35,3 |
| დანარჩენი რეგიონები | 68,1 | 76,0 | 80,2 | 19,1 | 28,0 | 28,8 | 20,7 |

როგორც ვხედავთ რეგიონების მიხედვით კარტოფილის წარმოების მაღალი მოცულობით გამოირჩევა სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

ცხრილი 19.3.6. ბოსტნეულის წარმოება რეგიონების მიხედვითყველა კატეგორიის მეურნეობაში
(ათასი ტონა) ყურძნის წარმოება რეგიონების მიხედვით ყველა კატეგორიის მეურნეობაში
(ათასი ტონა)

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო სულ | 200,0 | 180,0 | 250,3 | 162,5 | 227,3 | 175,8 | 150,1 |
| იმერეთი | 45,8 | 42,0 | 57,9 | 36,3 | 54,5 | 43,7 | 30,3 |
| კახეთი | 90,6 | 85,4 | 128,4 | 80,2 | 118,6 | 100,0 | 82,7 |
| შიდა ქართლი | 16,4 | 14,1 | 18,2 | 10,9 | 16,0 | 8,1 | 16,4 |
| დანარჩენი რეგიონები | 47,2 | 38,5 | 45,8 | 35,1 | 38,2 | 24,0 | 20,7 |

ვაზი და ღვინო ქართველი ერის ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია მევენახეობა და მეღვინეობა ყოველთვის იყო ეკონომიკის ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგი.

ბოლო დრომდე მეღვინეობის პროდუქტის წარმოება ხორციელდებოდა არასათანადო დონეზე. ყურადღება არ ექცეოდა უნიკალური ვაზის ჯიშების გადაადგილებას, სანერგე მეურნეობის განვითარებასთან ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, საქართველოში წარმოებული ღვინის კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში წარმოდგენილი თითოეული რეგიონისათვის დამახასიათებელია სამრეწველო დანიშნულების ვენახები. ე.ი. მოცემული ზონის ან მიკროზონისათვის რეკომენდირებული ჯიშური ნარგაობა, რომლისგანაც მიღებული ყურძენი ძირითადად სამრეწველო დანიშნულებით გამოიყენება.

გარდა სამრეწველო დანიშნულების ვენახებისა თითოეულ რეგიონში წარმოდგენილია ე.წ. „მოყვარულთა ვენახები", რომელიც წარმოადგენს საკარმიდამო ან საბაღე ნაკვეთებზე გაშენებული ვაზის ნარგაობა, რომელიც ჯიშური მრავალფეროვნებით ხასიათდება და რომელზედაც არ ვრცელდება სამრეწველო ვენახისადმი წაყენებული მოთხოვნები.

საქართველოში ვაზის აბორიგენული ჯიშების გენოფონდი, სელექციური, ინტროდიცირებული ჯიშები, ველური და ველურად მოზარდი ფორმები წარმოადგენს ეროვნულ სიმდიდრეს, რომლის დაცვას ახორციელებს სახელმწიფო.

საქართველოში მევენახეობა – მეღვინეობის განვითარებისათვის აუცილებელია:

1. აგრო ეკოლოგიური რესურსების რაციონალურად გამოყენება;
2. ვაზის გენოფონდის დაცვა;
3. სანერგე მეურნეობების განვითარება;
4. ყურძნისა და მისი გადამუშავების შედეგად მიღებულიპ როდუქტების ხარისხის ამაღლება;
5. კონკურენტუნარიანი ღვინის და ღვინო პროდუქტების გამოშვება;
6. ყურძნისა და ღვინის მწარმოებელთა, აგრეთვე მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა კატეგორიის ვენაბი, საკუთრების ფორმის მიუხედავად ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას.

ცხრილი 19.3.7. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (კამეჩის ჩათვლით) რეგიონების მიხედვით ყველაკატეგორიისმეურნეობებში წლის ბოლოსათვის (ათასი ტონა)

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო სულ | 12,425 | 1177,9 | 1190,6 | 1080,3 | 1048,5 | 1045,5 | 1014,7 |
| აჭარის ა.რ. | 128,4 | 96,0 | 90,9 | 112,2 | 103,5 | 87,7 | 87,5 |
| იმერეთი | 287,3 | 260,3 | 262,7 | 188,1 | 186,8 | 204,2 | 192,7 |
| კახეთი | 130,2 | 134,9 | 140,3 | 97,0 | 87,5 | 89,2 | 82,8 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 198,3 | 195,3 | 202,5 | 175,4 | 196,2 | 204,0 | 198,8 |
| სამცხე ჯავახეთი | 106,1 | 94,2 | 92,6 | 121,0 | 101,6 | 88,6 | 103,0 |
| ქვემო ქართლი | 149,0 | 181,9 | 187,9 | 164,8 | 186,2 | 186,7 | 158,1 |
| შიდა ქართლი | 85,4 | 77,4 | 78,1 | 85,1 | 69,9 | 65,5 | 75,0 |
| დანარჩენი რეგიონები | 157,8 | 137,9 | 135,6 | 136,7 | 116,8 | 119,6 | 116,8 |

მემცენარეობის დარგობრივის ტრუქტურის ცვლილებების უფრო ზუსტ ინდიკატორს წარმოადგენსსხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესი ფართობების ცვლილება, ვიდრე ამა თუ

იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოების საერთო მოცულობა, რადგანაც მოსავლიანობა კლიმატური პირობების გამო წლიდან წლამდე შეიძლება მერყეობდეს, იცვლებოდეს.

დარგობრივი სტრუქტურის ანალიზის დროს ამავდროულად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ზოგიერთ რეგიონში განსაკუთრებული სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის არსებობა, იშვიათი კულტურებისა და მეცხოველეობის არატიპიური მიმართულებით, რაც შეიძლება არ იყოს ცალკე ასახული სტატისტიკურ მონაცემებში, რაც არ უშლის მათ განსაზღვრონ რეგიონში თავისებური აგრარული სექტორის განვითარება.

განვიხილოთ დიაგნოსტირების სპეციფიკა, რომელიც სოფლის მეურნეობისათვის უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მრეწველობისათვის.

1. პროდუქციის წარმოების სტრუქტურა მეურნეობის კატეგორიების მიხედვით ( რამდენადაც აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები შესამჩნევად განსხვავდებიან როგოც სპეციალიზაციის, ისე პროდუქტიულობის მიხედვით);

2. სოფლის-მეურნეობის სხვადასხვა მიმართულების ეფექტიანობა (მართალია მარცვეული კულტურების მოსავლიანობა და შინაური პირუტყვის პროდუქტიულობა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, საქართველოს პირობებში ის მაინც ხშირად განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სიღრმითა და მიღწეული მწარმოებლურობით აგრარუ ლსექტორში);

3. წარმოების მიღწეული მაჩვენებლების მდგრადობა და ეფექტურობა (მრეწველობისაგან განსხვავებით, სადაც დაქვეითება ყოველთვის მიუთითებს წარმოების გაუარესებას. სოფლის მეურნეობაში ბუნებრივ-კლიმატური პირობების ცვალებადობის გამო, წარმოების დადებითი დინამიკის მდგარადობის განსაზღვრთულია);

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს რეგიონების სასოფლო-სამეურნეო დარგების სპეციალიზაცია. ამ დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ერთ რეგიონში შეიძლება წარმოდგენილი იქნას! რამდენიმე სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო რაიონები, რომლებიც ხასიათდებიან მაჩვენებელთა სხვადასხვა დინამიკით. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ერთი რეგიონის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო რაიონების ტიპოლოგია, რომლის საფუძველს წარმოადგენს კრიტერიუმთა ორი ჯგუფი:

1. ბუნებრივ-კლიმატური (მაგ. მიწათმოქმედების მაღალი რისკის ზონები);

2. ცენტრალურ-პერიფერიული (საგარეუბნო მეურნეობის რაიონები) სოფლის მეურნეობის საგარეუბნო ტიპი ხასიათდება ორი ტიპის ინდიკატორებით:

ა. აგრარული წარმოების მაღალი ინტენსივობა (მაგ. სარძევე მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობა);

ბ. სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული მიმართულებების უმთავრესი როლი (კერძოდ, მებოსტნეობა და მეფრინველეობა).

საგარეო სოფლის მეურნეობის ამოცანების განხილვასთან ახლოს დგას ქალაქებში, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ქალაქების სოფლის მეურნეობის წარმოების როლის შესწავლა. სამწუხაროდ უნდა ითქვას რომ სტატისტიკური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებზე მწირია.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ:

1. აგრარული სექტორის დარგობრივი სტრუქტურა განისაზღვრება არამარტო მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის საერთო მოცულობის მონაცემების საფუძველზე, არამედ ნათესი ფართობებისა და პირუტყვის სულადობის სტრუქტურის საფუძველზე;

2. სოფლის მეურნეობის ანალიზისას საჭიროა ყურადღება დაეთმოს რეგიონის შიგნით, ცალკეულ რაიონებს შორის განსხვავებას;

3. სოფლის მეურნეობის წარმოების დინამიკის შეფასება განსაკუთრებით მემცენარეობაში საჭიროებს ზოგიერთ კორექტირების შეტანას-ამინდის პირობებსა და ეფექტიანობაზე, მასზე დაკავშირებული კვების მრეწველობის დარგებში მიღებული მოსავლიანობის გამოყენება.

### 19.4. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტატისტიკის თავისებურებანი

სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მაჩვენებლები გამოხატავენ მის ძირითად დარგებში მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად წარმოებული ნედლეული პროდუქტების ღირებულებას. ამასთან, იმ არა სასოფლო სამეურნეო პრო-

დუქციის ღირებულებას, რომელიც იწარმოება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სამრეწველო გადამუშავება) და განიხილება, როგორც სამრეწველო პრდუქცია, მიეკუთვნება ეკონომიკის შესაბამისი დარგის პროდუქციას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების გაანგარიშებისას, გარდა მემცანარეობის და მეცხოველეობის მზა პროდუქტებისა, მის ღირებულებაში გაითვალისწინება დაუმთავრებელი წარმოების ნაშთის ზრდა, რომელიც იანგარიშება, როგორც მომავალი პერიოდის მოსავლისათვის განეული სამუშაოების ღირებულება. მეცხოველეობის პროდუქციის შემადგენლობაში შედის პირუტყვის სულადობის ზრდა. სოფლის მეურნეობის დარგთა არსებული საერთაშორისო კლასიფიკატორის შესაბამისად, დაწესებულებები და სანარმოები, რომლებიც ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ( მაგ. მიწის დამუშავების მომსახურება, ორგანული სასუქების შეტანა და ა.შ.) სამუშაოებს მიაკუთვნებენ სოფლის მეურნეობას. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება მოიცავს ასევე სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ღირებულებასაც.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების გამოთვლას ანარმოებენ საერთო ბრუნვის მეთოდის გამოყენებით, ე.ი. ერთად იანგარიშება როგორც მოცემულ საწარმოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება, ასევე მისი წარმოებისას გამოყენებული თესლისა და საკვების ღირებულებაც.

ევროკავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების გათვლისას გამოიყენება „ეროვნული ფერმის" მეთოდი, რომლის მიხედვით ქვეყნის სოფლის მეურნეობა განიხილება, როგორც ერთი დიდი ეროვნული ფერმა.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია, „ეროვნული ფერმის" მეთოდით მოიცავს:

1. სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის მიწოდებას სავაჭრო ორგანიზაციებისადმი საბოლოო მომხმარებელზე მიყიდვის მიზნით;
2. პროდუქციის მიწოდებას სამრეწველო სანარმოებისადმი მათი შემდგომი გადამუშავებისათვის;
3. პროდუქციის მიწოდებას ექსპორტზე;
4. ფერმერების მიერ საკუთარი ნაწარმის საბოლოო მოხმარებას;
5. არარეალიზებული მზა საქონლის მარაგების მატებას;
6. დაუსრულებული წარმოების ნაშთის ზრდას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაჩვენებლების გამოთვლას აწარმოებენ მიმდინარე და უცვლელ ფასებში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმდინარე ფასებში გამოთვლას, ყველაზე ეფექტიანია საბალანსო მეთოდის გამოყენება, რომელიც გულისხმობს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბალანსების სისტემის დამუშავებას, რომელსაც ადგენენ ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში. ისინი მოიცავენ ინფორმაციებს პროდუქციის წარმოებისა და მათი გამოყენების ძირითადი მიმართულების შესახებ.

დასრულებული წარმოების ნაშთის შეფასებას აწარმოებენ შესრულებული სამუშაოების თვითღირებულებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების უცვლელ ფასებში გამოთვლისას იყენებენ პირდაპირი შეფასების მეთოდს, რომლის მიხედვითაც წარმოებული პროდუქციის რაოდენობას ამრავლებენ მუდმივი ფასების სიდიდეზე, მოცემული მეთოდის გამოყენება სოფლის მეურნეობაში შესაძლებელია, რამეთუ ამ დარგში იწარმოება განსაზღვრული ასორტიმენტის პროდუქტი და შესაძლებელია თითოეულ პროდუქტზე, როგორც ნატურალური, ასევე ღირებულებითი მაჩვენებლების დადგენა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოთვლისას იყენებენ **ლასპეირესის** ფორმულას

$$I_p = \frac{\sum q_0 p_1}{\sum q_0 p_0}$$

სადაც, $\sum q_0 p_1$ .საბაზისო პერიოდში რეალიზებული პროდუქციის $q_0 p_0$ ღირებულებაა, გამოხატული მიმდინარე ფასებში($p_1$ );

$\sum q_0 p_0$ - საბაზისო პერიოდში რეალიზებული პროდუქტის (%) ღირებულება გამოხატულიმუდმივ ფასებში ($p_0$)

# მშენებლობის და ინფრასტრუქტურის ანალიზი

## 20.1 მშენებლობა, როგორც მატერიალური წარმოების დარგი და მისი დამახასიათებელი თავისებურებები

ტერმინი „მშენებლობა“ ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული. იგი გამოიყენება ზოგადი მნიშვნელობით და ხასიათდება, როგორც შენების პროცესი, ქმედების არსი.

ცნება „კაპიტალური მშენებლობა“ თავისი შინაარსით უფრო პროფესიული და კონკრეტულია. კაპიტალური მშენებლობა წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის მატერიალური

წარმოების კონკრეტულ დარგს, რომელიც მონაწილეობს ეკონომიკის ყველა დარგის ძირითადი ფონდების შექმნაში.

მშენებლობა წარმოადგენს ქვეყნისეკონომიკის დამოუკიდებელ დარგს, რომლის დანიშნულებაა ახალი ობიექტების ამოქმედება და აგრეთვე მოქმედი საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების რეკონსტრუქცია, გაფართოება და ტექნიკურიგა დაიარაღება.

მშენებლობის დარგის განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული ეროვნული მეურნეობის თითოეული დარგის განვითარება. მშენებლობის პროცესში იქმნება მისი პროდუქცია, დამთავრებული და ექსპლოატაციაში ჩაბარებული ქარხნები, საავტომობილო გზები, ელექტრო სადგურები, საცხოვრებელი სახლები და სხვა ობიექტები, რომლებიც ქმნიან ქვეყნის სამეურნეო კომპლექსის ძირითად ფონდებს. ე.ი. მშენებლობა, როგორც ეკონომიკის დარგი, მონაწილეობს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის ძირითადი ფონდების შექმნაში.

მშენებლობა ქმნის მატერიალურ ბაზას ქვეყნის მეურნეობის ყველა დარგისათვის და ამავედროს მოიხმარს თავის წარმოებში ეროვნული ეკონომიკის 70-ზე მეტი დარგის პროდუქციას, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობას ლითონით და ლითონის კონსტრუქციებით, ცემენტით, ხე-ტყით, სამშენებლო მანქანებით, ტრანსპორტის საშუალებებით, საწვავით და ენერგეტიკული რესურსებით.

ძირითადი ფონდების შექმნის პროცესში, რომლებიც წარმოადგენენ სამშენებლო ორგანიზაციების პროდუქციას. დაკავებულია მუშები, გამოიყენება შრომის საშუალებები (ტექნიკა) და შრომის საგნები, მასალები) მათი ურთიერთქმედების შედეგად სამშენებლო პროცესის ძირითადი ელემენტები ქმნიან სასრულ სამშენებლო პროდუქციას (შენობა-ნაგებობები, სხვადასხვა ობიექტები) ნატურალურ და ფულად გამოსახულებაში სამშენებლო პროცესში შეიძლება გამოყოფილ იქნას სამი ეტაპი:

1. მშენებლობის მომზადება;
2. საკუთრივ მშენებლობა;
3. სამშენებლო პროდუქციის რეალიზაცია-დამთავრებულიო ბიექტებით, ჩაბარებასაექსპლუატაციოდ.

მშენებლობის მომზადება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

1. ტექნიკურ – ეკონომიკური კვლევები ობიექტის მშენებლობის მიზანშეწონილობის შესახებ;
2. ობიექტის პროექტირება;
3. საინჟინრო-ტექნიკური მომზადება მშენებლობის დასაწყებად.

ყოველ მიმართულებას გააჩნია თავისი ამოცანები. ტექნიკურ – ეკონომიკური კვლევების პროცესში განისაზღვრება მომავალი ობიექტის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და ხდება მშენებლობის მიზანშეწონილობის ეკონომიკური შეფასება.

პროექტირების სტადიაზე წარმოებს ობიექტის კონსტრუქციული ნაწილის გადაწყვეტა, მშენებლობის ორგანიზაციის და სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის განსაზღვრა, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დადგენა. შემდეგ ხორციელდება საინჟინრო ტექნიკური მომზადება მშენებლობის დაწყებისათვის-ტარდება სამუშაოები სამშენებლო მოედნის ტერიტორიის მოსამზადებლად, მისასვლელი სატრანსპორტო კომუნიკაციების მოწყობა და ა.შ. ამის შემდეგი წყებასა კუთრივ მშენებლობა. სამშენებლო მოედანზე წარმოებს სამშენებლო პროცესის ყველა ტექნოლოგიური ელემენტის შერწყმა, რომელთა ფუნქციონირების შედეგად იქმნება სამშენებლოპ როდუქცია.

ობიექტის დამთავრება ხორციელდება სამშენებლო პროდუქციის რეალიზაციით: დამთავრებული ნაგებობების შეყვანა ექსპლუატაციაში და მათი, როგორც ძირითადი ფოდების გადაცემა დამკვეთისათვის.

მშენებლობა, როგორც მატერიალური წარმოების დარგი, ხასიათდება თავისებურებებით, რაც ანსხვავებს მას სხვა დარგებისაგან, დარგის თავისებურებები გამოწვეულია სასრული (დასრულებული) პროდუქციის ხასიათით, შრომის სპეციფიკური პირობებით, გამოყენებული ტექნიკის ტექნოლოგიის, წარმოების ორგანიზაციის, მართვისა და მატერიალური ტექნიკური მომარაგების სპეციფიკებით.

მშენებლობის პროდუქცია (შენობები, ნაგებობები) უძრავია, დიდია ზომებით, მრავალფეროვანია, რთულია, აქვს დიდი წონა მრავალ დეტალიანი. მასალის დიდი მოცულობის შემცველი, დაკავშირებულია ეროვნული ეკონომიკის ბევრ სხვა დარგთან, ხასიათდება დიდი ერთდროული დანახარჯებით და ექსპლუატაციის ხანგძლივი ვადებით.

სამშენებლო წარმოება, გამომდინარე იქიდან, რომ მისი პროდუქცია არის ტერიტორიულად დამაგრებული, არის მოძრავი და არასტაციონალური, როგორც ჩვეულებრივ სამრეწველო წარმოებაში, იგი შედგება მრავალი სხვადასხვა სახის სამუშაოსაგან, რომელთა წარმოების პროცესში ხდება სამუშაო ადგილების უწყვეტი ცვლა და ამასთან ერთად შრომის საგნების გადააგილება. ე.ი. მშენებლობაში სამუშაო ადგილები და სამშენებლო მანქანები, მექანიზმები არიან მოძრავი (ისინი გადადიან სართულიდან, სართულეზე, ერთი ობიექტიდან მეორეზე), ხოლო პროდუქცია – უამრავი, მრეწველობაში, როგორც წესი პროდუქცია არის მოძრავი, ხოლო სამუშაო ადგილები არის დამაგრებული სივრცეში.

მშენებლობა ხორციელდება ღია ცის ქვეშ, რაც იწვევს კლიმატური პირობების გათვალისწინებას სამუშაოთა წარმოების დროს.

მშენებლობის სპეციფიკური თავისებურებანი გამოწვეულია მშენებარე ობიექტების მრავალფროვნებით.

მშენებლობის ძირითადი სახეებია:

1. საქალაქო-საცხოვრებელი;
2. სოციალურ-საყოფაცხოვრებო;
3. კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა (საცხოვრებელი სახლების. განათლების და ჯანმრთელობის დაცვის, სპორტული ნაგებობების, თეატრალური სანახაობითი დანიშნულების, კომუნალური მეურნეობის და სხვა დანიშნულების ობიექტები);
4. სამრეწველო – ნედლეულისა და სანვაის მომპოვებელი, გადამამუშავებელი და მზა პროდუქციის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;
5. სასოფლო. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
6. სატრანსპორტო. რკინიგზების და საავტომობილო გზების, საზღვაო და სამეურნეო პორტების, აეროპორტების, მაგისტრალური, მილსადენის და სხვა ობიექტების მშენებლობა;
7. ჰიდროტექნიკური და ჰიდრომელიორაციული. ჰიდროელექტროსადგურების, კაშხლების. არხების და ა.შ. მშენებლობა, საინჟინრო, სპეციალური ნაგებობები და სხვა.

მშენებლობა, როგორც ეკონომიკის დარგი მონაწილეობს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგისათვის ძირითადი ფონდების შექმნაში. იგი აერთიანებს საერთო სამშენებლო და სპეციალიზირებულ საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციების, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების საქმიანობას.

საქართველოში მშენებლობის დარგის განვითარების შესახებ ნათელ სურათს დინამიკაში გვაძლევს იხ. ცხრილი 20.1.1.

ცხრილი 20.1.1. მშენებლობის დარგის ძირითადი მაჩვენებლები 2005-2009 წწ.

| მაჩვენებლები | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა მლნ.ლარი | 778,8 | 1125,3 | 1604,6 | 1412,0 | 1736,3 | 2,2 |
| გამოშვებული პროდუქცია მლნ.ლარი | 768,9 | 1186,0 | 1718,2 | 1434,7 | 1752,6 | 2,3 |
| დამატებითიღირებულება მლნ.ლარი | 246,0 | 401,4 | 630,6 | 482,3 | 605,2 | 2,5 |
| შუალედური მოხმარება მლნ.ლარი | 523,0 | 784,5 | 1087,6 | 952,4 | 1147,5 | 2,2 |
| ფიქსირებული აქტივები მლნ.ლარი | 258,7 | 474,9 | 635,1 | 652,2 | 723,8 | 2,8 |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 292,3 | 391,0 | 495,1 | 600.9 | 629,0 | 2,2 |

წყარო: საქართველო ციფრებში 2010 წელი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2010წ.

როგორც ცხრილიდან ჩანს 2009 წლისათვის შეიმჩნევა აღმშენებლობის ზრდა თითქმის 2,5-ჯერ კერძოდ. ბრუნვა მლნ. ლარებში 2009 წელს 2005 წელთან შედარებით 2,2-ჯერ გაიზარდა, გამოშვებული პროდუქცია ასევე მლნ.ლარებში გაიზარდა 2,3-ჯერ, დამატებული ღირებულება 2,5-ჯერ, შუალედური მოხმარება 2,2-ჯერ, ფიქსირებული აქტივები 2,8-ჯერ, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 2,2-ჯერ.

ამრიგად მშენებლობა არის დარგი, რომელიც ხასიათდება ხანგძლივი წარმოების ციკლით და შესაბამისად მშენებლობის პროდუქციის ღირებულებას განსაზღვრავენ არა საბოლოოდ მისი დასრულების შემდეგ, არამედ ეტაპობრივად, მისი წარმოების მიმდინარეობის პროცესში შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით.*

**20.2. სამშენებლო სექტორის შესწავლის პრობლემები**

მშენებლობა თავისთავში მოიცავს სამუშაოთა ოთხ ძირითად სახეს:

1. სამშენებლო-სამონტაჟო;
2. სარემონტო-სამშენებლო;
3. საპროექტო-საძიებო;
4. საექსპლუატაციო-ბურღვითი.

ამდენად სამშენებლო სექტორის შესწავლის ანალიზი მიზან შეწონილია ჩატარდეს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების შესწავლით კერძოდ:

1. საცხოვრებლისაგებით;
2. არასაცხოვრებელი სადგომებით (საწარმოო შენობები და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები);
3. სამრეწველო ობიექტების მონტაჟით;
4. საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებით.

რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის ნებისმიერ მომხმარებელს არ შეიძლება არ აინტერესებდეს ამა თუ იმ რეგიონში სამშენებლო სექტორის მდგომარეობა.

სხვადასხვა მმართველობით და სამეწარმეო გადაწყვეტილებებში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს:

1. საცხოვრებელი პრობლემების მდგომარეობა და პერსპექტივაში მათი გადაწყვეტა;
2. ხარისხიანი სოციალური ინფრასტრუქტურის არსებობა;
3. სამრეწველო მშენებლობებზე შესრულებული სამშენებლო გარიგებათა საიმედობა;
4. ამ თუ იმ რეგიონში კომუნიკაციური ქსელის განვითარების დონე;
5. სამშენებლო სექტორის მჭიდრო კავშირი ამავე სფეროს ინვესტიციურ საქმიანობასთან.

ისევე როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემთხვევაში აუცილებელია განვასხვავოთ სამშენებლო სექტორში შექმნილი განსხვავებული და მატებული ღირებულება და ხეკლშეკრულებით შესრულებული სამშენებლო გარიგება და სამუშაოს მოცულობა, რადგან ხშირად ამ მაჩვენებლებისინფორმაცია არ ემთხვევა, არ ედარება ერთმანეთს. არის შემთხვევები, როცა მშენებლობაში

* ჩოგოვაძე ჯ., პატარაია რ, „მშენებლობის ეკონომიკა" თბ. 2008.

შექმნილი დამატებული ღირებულება იყო უფრო მეტი, ვიდრე ხელშეკრულებით შესრულებული სამშენებლო გარიგებათა სამუშაოს ღირებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი მოცულობის სამშენებლო გარიგებები არ არის ასახული ხელშეკრულებაში.

ამგვარად, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისაგან განსხვავებით, მშენებლობის დეტალური ანალიზისათვის ინტერესს წარმოადგენს ინფორმაცია, წარმოებული, შექმნილი დამატებული ღირებულების შესახებ, რამდენადაც მონაცემები ხელშეკრულებით შესრულებული სამშენებლო გარიგებათა სამუშაოს მოცულობაზე არ არის დაკავშირებული, არც დარგობრივ სტრუქტურაზე და არც ფიზიკური მოცულობის ინდექსებთან.

მთლიანი დამატებული ღირებულება არის სხვაობა წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებასა (მთლიან გამოშვებასა) და შუალედურ მოხმარებას შორის. ტერმინი „მთლიანი". ნიშნავს, რომ მაჩვენებელი მოიცავს წარმოების პროცესში მონაწილე ძირითადი კაპიტალის მოხმარებას (ფიზიკურ და მორალურ ცვეთას) შუალედური მოხმარება არის იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც მთლიანად მოიხმარება წარმოების პროცესში. შუალედურ მოხმარებაში არ აღირიცხება ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

სამშენებლო სექტორის დარგობრივი სტრუქტურის ზუსტი განსაზღვრა რთულია, მხოლოდ რამოდენიმე ირიბი მაჩვენებლითაა შესაძლებელი განისაზღვროს სამშენებლო ინდუსტრიის ცალკეულ მიმართულებებს შორის თანაფარდობა.

მშენებლობის პროდუქციის ღირებულების გამოთვლისას გამოიყენება საწარმოო მეთოდი, რომლის დროსაც შესრულებული სამუშაოების ღირებულება სუბმოიჯარე ორგანიზაციების მიერ მთავარი მოიჯარისათვის განიხილება, როგორც მთავარი მოიჯარის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწარმი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში კაპიტალური დაბანდებანი განიხილება, როგორც „ძირითად იკაპიტალის საერთო დაგროვება" და თავისი შინაარსით იგი განსხვავებულია კაპიტალური მშენებლობის სტატისტიკაში გამოყენებული ცნებისაგან.

სამშენებლო საქმიანობის საბოლოო შედეგად გვევლინება ძირითადი ფონდების ამოქმედება (ექსპლუატაციაში შეყვანა) და ამიტომ მშენებლობის პროდუქციას შეადგენს საანგარიშო პერიოდში სრულად შესრულებული და ექსპლუატაციაში მიღებული სამშენებლო ობიექტის ღირებულება.

სამშენებლო ორგანიზაციების, რომლებიც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ხელშეკრულებით (იჯარით) ახორციელებენ, წარმოებული საქმიანობის ძირითად მაჩვენებლად გვევლინება სამშენებლო საჯარო სამუშაოების მოცულობა, რომელიც განისაზღვრება როგორც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, კაპიტალურ და მიმდინარე რემონტზე გაწეული სამუშაოების, ასევე გენერალური პირდაპირი და სუბმოიჯარე ხელშეკრულებით, დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე შესრულებული სხვა დარჩენილი შეკვეთილი სამუშაოების ღირებულებით.

ახალი მშენებლობის პროდუქციის ღირებულება, რომელსაც ახორციელებენ საწარმოები და ორგანიზაციები, განისაზღვრება იმ ანგარიშების საფუძველზე, რომელსაც წარმოადგენენ სამშენებლო საწარმოები და მშენებარე ორგანიზაციები სამშენებლო ობიექტების, ძირითადი ფონდების ამოქმედებაზე და კაპიტალურ დაბანდებათ აგამოყენების გეგმის შესრულებაზე. ამ ანგარიშებში არსებული მონაცემებით შესრულებული კაპიტალური დაბანდებანი განისაზღვრება ფაქტიური ღირებულებით, რომელიც გადახდილია დამკვეთის მიერ და საიდანაც გამოირიცხება ცალკეული ელემენტები (მანქანებისა და დანადგარების ღირებულება, დანახარჯები მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაზე, ზარალი მშენებლობის ძირითადი ფონდების ლიკვიდაციაზე, ხარჯები, რომლებიც არ ზრდის ძირითადი ფონდების ღირებულებას), რომლებიც არ უნდა იყოს მიკუთვნილი მშენებლობის პროდუქციის ღირებულებისათვის.

მოსახლეობის მიერ ინდივიდუალური მშენებლობის ღირებულებას განსაზღვრავენ იმ ანგარიშების მონაცემებით, რომლებსაც ადგენენ მმართველობის მუნიციპალური (ადგილობრივი) ორგანოები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ამოქმედების შესახებ. კაპიტალური რემონტის ღირებულებას იმ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც მოსახლეობის მფლობელობაშია, გაიანგარიშებენ მათი ღირებულებიდან განსაზღვრული ნორმატივების მეშვეობით.

ამასთანავე აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ობიექტის დროის მიხედვით მოქმედებაში შეყვანა (რეკონსტრუქციის ჩათვლით) მშენებლობის დასრულებისას, რომელიც შეიძლება გრძელდე-

ბოდეს რამოდენიმე თვე ან წელიც. (მაშინ როდესაც სხვადასხვა კატეგორიის ობიექტების დაუმთავრებელი მშენებლობის მონაცემები მოცემულია, მხოლოდ მთელი ქვეყნის მაშტაბით).

შიდა რეგიონულ პროდუქტში მშენებლობა გაითვალისწინება არა ობიექტის დამთავრებისას, არამედ დაწყებისას (საძირკვლის ამოყვანისას).

მშენებლობაში. წარმოების დარგობრივისტრუქტურა, ფიზიკურ გამოხატულებაშიც კი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ, ობიექტის მოქმედებაში შეყვანის გამოქვეყნებული მონაცემებით.

ფიზიკური გამოსახულებით მსგავსი ობიექტების მშენებლოობის შედეგების შედარებას ანალიზისათვის აქვს შეზღუდული მნიშვნელობა, რამდენადაც არ იძლევა პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებული ღირებულებითი განსხვავებების გათვალისწინებას (მაგალითად იაფი და ელიტური საცხოვრებლის).

ამავდროულად რეგიონში მშენებლობის დარგობრივი სტრუქტურის არაპირდაპირი შეფასებისას შეიძლება მოხდეს რამდენიმე მაჩვენებლის შედარება ქვეყნის საერთო მონაცემებთან. მაგალითად ამათუიმ რეგიონის და მატებული ღირებულების წილი ქვეყნის მთლიან მოცულობაში ან ამათუიმ რეგიონის საცხოვრებელი ფართის, არასაცხოვრებელი ფართისა და საავტომობილო გზების ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან მონაცემებში.

სტატისტიკური მასალების სპეციფიკა განაპირობებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ანალიზის რამოდენიმე ბლოკს:

1. შენობების მოქმედებაში შეყვანა (ე.ი. ექსპლუატაციაში მიღება;
2. სამრეწველო სიმძლავრეების მოქმედებაში შეყვანა;
3. სატრანსპორტო და ინჟინერული ინფრასტრუქტურის განვითარება.

მოქმედებაში შეყვანის მონაცემებთან ერთად, მშენებლობაში მიმდინარე პროცესების ინდიკატორად შეიძლება გამოყენებულ იქნას მიღწეული შედეგების მაჩვენებლები, კერძოდ რეგიონში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების საერთო ფართის ცვლილებები და სხვადასხვა სახის ხაზობრივი ინფრასტრუქტურის სიგრძე და ა.შ. ამ დროს შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ის მშენებობები, რომელიც ხორციელდება გაცვეთილი ძირითადი ფონდების დაკარგვის კონპენსირებისათვის.

სამშენებლო სექტორს მიეკუთვნმება ბევრი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მეორეხარის ხოვანი სახეები, რომელთა ზომები შეუძლებელია შეფასებულ იქნას ირიბადაც კი ( მაგალითად, მელიორაციული სამუშაოები, ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოები და სხვაბუნების დაცვითი ნაგებობები ან ნაპირ გამაგრებითი სამუშაოები და სხვა)

ასეთი სახის სამუშაოთა მოცულობის შესახებ მიახლოებითი წარმოდგენა შეიძლება მიღებულ იქნას:

1. მშენებლობისათვის ტერიტორიის მომზადება და გეგმარებიდან;
2. შენობის მოქმედებაში შეყვანის სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის დამონტაჟების მონაცემებიდან;
3. მეტად მნიშვნელოვანია არაპირდაპირი მონაცემები რეგიონთაშორისი მაშტაბებისგან

სხვა ნაპირგამაგრებითი და მათი მსგავსი სამუშაოთა, ასევე ყველაზე საერთო ინფორმაცია შესაბამის მსხვილ მშენებლობათა შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას ქვეყნის ან რეგიონის საინვესტიციო პროგრამებიდან. ასევე მიღებული მონაცემები შეიძლება დაკონკრეტებული იქნას ინფორმაციი სდამატებითი წყაროებიდან.

2005 წელს მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2004 წელთან შედარებით 42,1%-ით გაიზარდა და 347,2მლნ. ლარს მიაღწია. 2006 წლისათვის მშენებლობაში განხორციელდა 347,2მლნ. ლარის ინვესტიცია და 81,4%-იანი ზრდა დაფიქსირდა. მშენებლობის განვითარების პიკად უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში 2007 წელი იქცა. ამ წელს ქვეყნის ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ საქართველოს უახლოეს ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელი 4370,5 მლნ. ლარი შეადგინა, რომელშიც მშენებლობის ხვედრითი 516,4მლნ. ლარით ანუ 11,8%-ითგანისაზღვრა.*

2014 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, სამშენებლო სექტორი აქტიურად ვითარდება და ყოველწიულად ბრუნვა არის ზრდადი. იხ. ცხრილი 20.2.1.

---

* საქართველოს ეკონომიკა თბ. 2012. მთავარი რედაქტორი როზეტა ასათიანი. გვ.201.
წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

**ცხრილი 20.2.1. მშენებლობა 2014-2020**

| 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა, მილიარდი ლარი | 4 | 5.4 | 6.9 | 7.1 | 7.2 | 8.3 |
| გამოშვებული პროდუქცია, მილიარდი ლარი | 4.2 | 5.7 | 7.4 | 7.6 | 7.8 | 8.9 |
| დამატებული ღირებულება, მილიარდი ლარი | 1.5 | 2.3 | 2.8 | 3.1 | 3.2 | 3.6 |
| შუალედური მოხმარება, მილიარდი ლარი | 2.7 | 3.4 | 4.6 | 4.5 | 4.6 | 5.3 |
| ფიქსირებული აქტივები, მილიარდი ლარი | 2.1 | 1.8 | 1.8 | 2 | 2 | 2.7 |
| დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი | 68.9 | 71.1 | 75 | 76.2 | 74.2 | 70 |
| დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი | 948.3 | 1190.7 | 1272.9 | 1473 | 1560.5 | 1641.8 |

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისდამი გაზრდილი გეოპოლიტიკური ინტერესი, ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი სერიოზულ შესაძლებლობებს ქმნის საერთაშორისო მნიშვნელობის სხვადასხვა სამშენებლო პროექტის განხორციელებისათვის.

საქართველოში სამშენებლო სექტორის რეგულირებისათვის მიღებულ იქნა ნორმატიული დოკუმენტები, რომელთა შინაარსობრივი და ხარისხობრივი შესაბამისობა კერძო და სახელმწიფო სექტორის ინტერესებთან განაპირობებს მშენებლობის ეფექტიან რეგულირებას.

ამჟამად, სამშენებლო საქმიანობა საქართველოში რეგულირდება კანონებით: „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „სამშენებლო არქიტექტურული საქმიანობის სესახებ“; „სივრცითი მოწყობისა და ქალაქ მშენებლობის საფუძვლების შესახებ“და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“, „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“

დარეგულირდა მშენებლობის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა: მშენებლობის ნებართვების გაცემა, სანებართვო პირობების შესრულება და შენობა-ნაგებობების ვარგისად აღიარების პროცედურები. ამ მიზნით დღეისათვის საქართველოში მოქმედებს სამ საფეხურიანი მოდელი:

1. პირველ საფეხურზე დგინდება სამშენებლო მინის ნაკვეთის გამოყენების პირობები (გაპი):

2. მეორე საფეხურზე ხორციელდება პრაქტიკული პროექტის, კონსტრუქციული ტექნოლოგიური სქემების შეთანხმება;

3. მესამე საფეხურზე ხდება მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ისეთი მშენებლობებისათვის, სადაც ხორციელდება შენობა-ნაგებობების შეკეთება, მოპირკეთება-აღჭურვა, რომლის დროსაც არ იცვლება შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები, მშენებლობის ნებართვა არ მოითხოვება.

მშენებლობის ნებართვის გაცემის მოქმედი მოდელი შესაძლებლობას აძლევს ინვესტორებს მაქსიმალურად მოკლე დროში ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერების გავლით მიიღონ მშენებლობის ნებართვა და დაიწყონ მშენებლობა.

მშენებლობის ნებართვა ეს არის უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით გარკვეული ვადით მოცემული უფლება, რომელიც გაიცემა ობიექტებზე და წარმოადგენ სმშენებლობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს. მშენებლობაში საინჟინრო-ტექნიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური შინაარსის გადაწყვეტილებათა მიღება წინასწარ შემუშავებულ და აღიარებულ ტექნიკურ პარამეტრებს უნდა ეყრდნობოდეს.

დღეისათვის საქართველოში მშენებლობები ხორციელდება სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე საქართველოში მოქმედი ნორმების, წესებისა და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენებით, რაც რუსული ტექნიკური რეგლამენტების (СНиП-ების) გამოყენებას გულისხმობს. მშენებლობის ტექნიკური რეგლამენტირების პრობლემების გადაწყვეტა, მხოლოდ რუსული ტექნიკური რეგლამენტების გამოყენებით შეუძლებელია. საქართველოში უნდა მოხდეს ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების დამუშავება აპრობირებული უცხოური გამოცდილებისა და განსხვაებული კონცეპტუალური მიდგომების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იქნება საქართველოსათვის დამახასიათებელი თავისებურებები. კერძოდ, საქართველო სახიფათოა მიწისძვრის თვალსაზრისით. საქარველო სეისმური და რაიონების მიხედვით მთელი ტერიტორია მიეკუთვნება სეისმურობის 7 და 8 ბალიან სისტემას. აქედან ტერიტორიის ფართობის დაახლოებით 25%-8 ბალიანს, 75% კი -7 ბალიანს. სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების მთლიანი გაძვირება არა სეისმურ რაიონებთა შვიდ ბალიანის დროს 4%-ს შეადგენს, ხოლო რვაბალიანის დროს 8%-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გაწეული კაპიტალური დანახარჯების ყოველი ერთეული ჩვენს პირობებში წარმოადგენს 4-8% ნამატ სიდიდეს, ან სეისმურობის ყოველი ბალი დაწყებული 7-იდან იწვევს მშენებლობის ღირებულების გაზრდას 4%-ით, დღეისათვის კი უფრო მეტ ჯერ.

### 20.3 საცხოვრებელი ბინებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების დახასიათება

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შინაარსის გაგებაში შედის ძნელად გასაზომი სუბსტანციაც როგორიცაა მოსახლეობის ცხოვრების კულტურა. ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკური განვითარების და დებითი დინამიკა შესაძლებელია, მხოლოდ მოსახლეობის კულტურულ ცხოვრების გამდიდრების პირობებში. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მხოლოდ მაშინ ახასიათებს დადებითი ტენდენცია, როდესაც სხვა თანაბარ პირობებში სახეზეა თითოეული ადამიანის პირადი თავისუფლების გაფართოების ტენდენცია, როგორც ეკონომიკურ სფეროში, ისე გადადგილების რეალური თავისუფლების უზრუნველყოფის პირობებში ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფილია, მხოლოდ საცხოვრებელი ფართის განვითარებული ბაზრის პირობებით.

მშენებლობა არის დარგი, რომელიც ხასიათდება ხანგძლივი წარმოების ციკლით და შესაბამისად მშენებლობის პროდუქციის ღირებულებას განსაზღვრავენ არა საბოლოოდ მისი დასრულების შემდეგ, არამედ ტაპობრივად, მისი მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში მოცულობის მიხედვით.

მშენებლობით დამთავრებული ობიექტი ესაა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული ობიექტი, მათ შორის შენობა-ნაგებობების ცალკეული დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობა, ან ერთ-ერთი ტექნოლოგიური პროცესით დაკავშირებული მათი ჯგუფი, რომელზეც დასრულებულია საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოები ისე, რომ მათი ფუნქციონირება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა შენობა-ნაგებობათა კომპლექსში.

მოქმედებაში შეყვანილი შენობები იყოფა: საცხოვრებელ და არასაცხოვრებლად, მაგრამ ეს კატეგორიები რეგიონების მიხედვით სტატისტიკურ მაჩვენებლებში ცალკე არ განიხილება (არ არის მონაცემები ობიექტების რიცხოვნობაზე, საერთო სამშენებლო მოცულობაზე და საერთო ფართობზე).

რეგიონების მიხედვით საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შესახებ მაჩვენებლებზე შეიძლება ვისაუბროთ რეგიონების მიხედვით მშენებლობაზე გაცემული ნებართვებით, რომლის შესახებ მონაცემები ცხ.№2-ში, როგორც ცხრილიდან ჩანს საქართველოში მშენებლობაზე გაცემული ნებართვის რიცხვი 2009 წელს 2005 წელთან შედარებით გაიზარდა 224%-ით, მათ შორის საცხოვრებელ მშენებლობაზე 204%-ით ქ. თბილის შიმშენებლობაზე გაცემული ნებართვები 2009 წელს 2,7-ჯერ გაიზარდა 2005 წელთან შედარებით, მათ შორის საცხოვრებელი შენობების მშენებლობაზე 2,9 -ჯერ, ხოლო არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობაზე 2,5-ჯერ.

შიდა ქართლში საცხოვრებელ მშენებლობაზე ნებართვები გაიზარდა 1,3-ჯერ, არასაცხოვრებელ-მშენებლობაზე 1,1-ჯერ, ქვემო ქართლში საცხოვრებელი შენობების ნებართვები გაიზარდა 3,4-ჯერ, ხოლო არასაცხოვრებელზე 1,3 -ჯერ.

იმერეთში 2009 წელს ნებართვები მშენებლობაზე გაიზარდა თითქმის 3-ჯერ მათ შორის საცხოვრებელ მშენებლობაზე 5,1-ჯერ; ხოლო არასაცხოვრებელ მშენებლობაზე 2,5-ჯერ.

ცალკეული რეგიონების მიხედვით სტატისტიკურ წელიწდეულში 2010 არის მონაცემები მშენებლობის დამთავრებული ობიექტების ძირითადი მაჩვენებლების, სადაც მოცემულია დამთავრებული ობიექტების, როგორც რაოდენობა, ასევე ფართობი მ$^2$-ში.

ამ მონაცემებით შეიძლება ვისაუბროთ მთლიანად რეგიონში აღმშენებლობით საქმიანობაზე. კერძოდ საქართველოში დამთავრებული ობიექტების რაოდენობა 2009 წელს ისევ საწყისად აღებულ 2005 წელთან შედარებით გაიზარდა 3,2-ჯერ. ასევე რეგიონებში შეიმჩნევა მშენებლობის ზრდის ტენდენცია აჭარაში 5,2-ჯერ გაიზარდა დამთავრებული ობიექტების რაოდენობა, ფართობიკი12,8-ჯერ გაიზარდა.

საცხოვრებელი მშენებლობის ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონული ეკონომიკის დახასიათებისას. ის გვიჩვენებს ცხოვრების რამდენად კეთილმოწყობილი პირობებია მოსახლეობისათვის შექმნილი მოცემულ რეგიონში და რამდენად სწრაფად უმჯობესდება სიტუაცია. მისი ხარისხიანი დიაგნოსტირებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი მაჩვენებლები:

1. საცხოვრებელი ფონდის ფართობი, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული (არის ასევე ცალკეული მონაცემები ქალაქისა და სოფლის ფონდის);
2. ძველი საცხოვრებლისა და ავარიული საცხოვრებლის ხვედრითი წილი;
3. ცხოვრების კეთილმოწყობის ხარისხი (მათ შორის ცალკე საქალაქო და სასოფლო დასახლებისათვის, მათ შორის წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემის, ცენტრალური გათბობისა, ცხელი წყლით მომარაგების, გაზიფიცირებისა და ელექტროფიცირების კუთხით)

მოცემულია ასევე მონაცემები ქალაქების, ქალაქური ტიპის დასახლებებისა და სოფლის დასახლებების მოსახლეობის შესახებ, სადაც ყველგან არის წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო მომსახურების ქსელი.

მართალია საცხოვრებელი ფართის გაფართოება წარმოადგენს სამშენებლო ინდუსტრიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას და პრაქტიკულად თითქმის ყველა რეგიონში თანმიმდევრულად მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების კეთილ-მოწყობა გაფართოება, მაინც ამ დარგისათვის დამახასიათებელია წარმოების მოცულობის მერყეობა წლიდან წლამდე. ამიტომ, რეგიონულ მეურნეობაში სიტუაციის დეტალური ანალიზი მოითხოვს საცხოვრებელი მშენებლობის შესწავლას დინამიკაში, დროის ხანგძლივ პერიოდში.

საცხოვრებელური მშენებლობის მიღწეულ მაჩვენებლად გვევლინება არა მარტო ინფორმაცია კვადრატული მეტრების რიცხოვნობა ერთ სულ მოსახლეზე, არამედ ბევრ ევროპულ ქვეყანაში ადამიანის, როგორც პიროვნების კომფორტულობის ინდიკატორად გვევლინება ოთახების რაოდენობა, რომელიც მოდის ერთ მაცხოვრებელზე. მინიმალურ დონედ ითვლება ფრომულა „1-ადამიანი-1 საცხოვრებელი ოთახი".

რეგიონების მიხედვით, თითოეულ მოსახლეზე ოთახების რიცხოვნობა მეტად განსხვავებულია.

ცალკეული რეგიონების მიხედვით, რეგიონის ერთ მოსახლეზე არსებული ოთახების რაოდენობა შეიძლება გაანგარიშებულ იქნას შემდეგი ფორმულით*:

$$NR = \frac{R_1 + R_2 2 + R_3 3 + R_4 (4 + a)}{P}$$

სადაც:

NR – ოთახების რაოდენობა, რომელიც მოდის რეგიონის ერთ მოსახლეზე;

$R_1$- რეგიონში ერთოთახიანი ბინების რაოდენობა;

$R_2$- რეგიონში ოროთახიანი ბინების რაოდენობა;

$R_3$ - რეგიონში სამოთახიანიბინებისრაოდენობა;

$R_4$ - რეგიონში ოთხოთახიანი ბინების რაოდენობა;

P- რეგიონის მოსახლეობა;

* О.В.Кузнесова, А. В. Кузнесов "Системная диагностика экономики региона" ст. 104

ცხრილი 20.3.1. სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა რეგიონების მიხედვით (მოქმედ ფასებში, მლნ. ლარი)

| | 2005 | 2006წ | 2007წ | 2008წ | 2009წ |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოში სულ | 768,9 | 1186,0 | 1718,2 | 1434,2 | 1752,6 |
| მათ შორის: ქ.თბილისი | 486,2 | 756,9 | 1105,3 | 887,2 | 1275,1 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | 52,9 | 94,0 | 138,1 | 240,0 | 191,0 |
| გურია | 3,3 | 13,5 | 9,5 | 11,4 | 2,6 |
| იმერეთი | 33,6 | 49,8 | 65,1 | 38,1 | 46,8 |
| კახეთი | 4,9 | 14,2 | 206 | 17,3 | 25,4 |
| მცხეთა-მთიანეთი | 13,8 | 27,2 | 15,3 | 9,1 | 16,8 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 7,1 | 6,2 | 5,7 | 7,6 | 10,4 |
| სამცხე ჯავახეთი | 15,8 | 13,6 | 13,0 | 21,1 | 7,7 |
| ქვემო ქართლი | 32,0 | 40,5 | 43,8 | 33,4 | 37,5 |
| შიდა ქართლი | 31,2 | 49,3 | 66,6 | 57,7 | 51,6 |
| სამეგრელო ზემო – სვანეთი | 88,1 | 120,5 | 234,6 | 110,5 | 87,4 |

a-არის სიდიდე, რომელიც ახასიათებს რეგიონისბინებს ხუთი და მეტი ოთახებით და რომელიც შეიძლება უგულებელყოფილ იქნას.

დამატებით ინფორმაციას რეგიონებში მშენებლობა განვითარების შესახებ იძლევა სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა, მოქმედ ფასებში გაანგარიშებული.იხ ცხრილი 20.3.1.

როგორც ცხრილიდან ჩანს რეგიონებში სამშენებლო სამუშაოების მოცულობა დინამიკაში ხასიათდება ზრდის ტენდენციით. არასაცხოვრებელი სათავსოს მშენებლობის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის საჭიროა გაირკვეს მათი დანიშნულება.

რეგიონულ ჭრილში უნდა განვიხილოთ მოქმედებაში შესული სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები:

1. საერთო – საგანმანათლებლო დაწესებულებები (მათ შორის სკოლა ინტერნატებიც);
2. სკოლამდელი დაწესებულებები;
3. საავადმყოფო დაწესებულებები (მათ შორის ბავშვთა საავადმყოფოები, და სამშობიარო სახლები);
4. ამბულატორიულ-პოლიკნიკური დაწესებულებები (მათ შორის ბავშვთა პოკლიკლინიკები და ქალთა კონსულტაციები);
5. ბავშვთა სახლები;
6. ინტერნატ-სახლები მოხუცებულთათვის, ინვალიდებისა და შრომის ვეტერანებისათვის.

სკოლების, საბავშვო ბაღების, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა და ხარისხის დონე, მათი ხელმისაწვდომობა, აგრეთვე ადამიანების განათლებისა და კვალიფიკაციის დონე-ნებისმიერი რეგიონის განვითარების დონის უმნიშვნელოვანესი პარამეტრებია.

სისტემური ეკონომიკური ანალიზისას კონკრეტული დარგი არ შეიძლება იხილებოდეს სხვებისაგან დამოუკიდებლად და განცალკავებით. რეგიონს შეუძლია სწრაფად აამაღლოს კონკურენტუნარი-

ანობა, თუ შეძლებს გააუმჯობესოს მსხვილ საწარმოთა ეკონომიკურიმ დგომარეობა, რამეთუ მსხვილი საწარმოები წარმოადგენს თითოეული რეგიონის ეკონომიკის საფუძველს.

ამდენად საწარმოო სიმძლავრეების მოქმედებაში შეყვანა ახალ მშენებლობის ხარჯზე, გაფართოება და რეკონსტრუქცია საშუალებას იძლევა განხილულ იქნას რეგიონულ ჭრილში ისეთი სახის პროდუქციის სიმძლავრეების გაფართოება როგორიცაა: ელექტროენერგიის, ქვანახშირის, შავი მეტალურგიის, ტრიკოტაჟის, შაქარის ფხვნილის, ხორცის პროდუქციის, რძის პროდუქციის, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების, მინერალური სასუქების გამოშვების, რკინა-ბეტონის ნაკრები ნაკეთობები და კონსტრუქციები.

მოცემული სამრეწველო სიმძლავრეების მშენებლობა მიმდინარეობს ერთ ან ორ-სამ რეგიონში.

თუ მრენველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მონაცემები გვიჩვენებენ უპირველეს ყოვლისა ეკონომიკის რეალური სექტორის მიმდინარე მდგომარეობას, მაშინ სამრეწველო სიმძლავრეების მშენებლობა გვიჩვენებს განვითარების თუ რაპოტენციალი იდება ამა თუ იმ რეგიონის მეურნეობაში ხანგძლივი პერსპექტივის პერიოდში. ამიტომ, რეგიონში სამშენებლო სექტორის შესწავლისას არ უნდა შემოვიფარგლოთ ბოლო წლების მაჩვენებელთა განხილვით, არამედ ნებისმიერ რეგიონში აღნიშნული სექტორის კვლევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მსხვილ სამრეწველო მშენებლობებზე.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ საზღვარგარეთიდან შემოტანილი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ბაზაზე შექმნილი საწარმოები, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობით ამზადებენ კონკურენტუნარიან პროდუქტებს, რომელთა რეალიზაცია შეუფერხებრივ მიმდინარეობს. მაგალითად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ამ რეგიონში რეგისტრირებულ საწარმოებიდან ინოვაციურ საქმიანობას ეწევა დაახლოებით 21 საწარმო, აქედან კვების მრეწველობაში-10, ხის დამამუშავებელ მრეწველობაში-5, გემთმშენებლობაში-2, სამშენებლო მასალების წარმოებაში-2, მსუბუქმრეწველობაში-2.

## მომსახურების სფეროს დიაგნოსტიკა

### 21.1. მომსახურების წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი

მომსახურების სფერო წარმოადგენს იმ დარგებისა და საქმიანობათა ერთობლიობას, რომელთა პროდუქცია მომსახურების სახით აკმაყოფილებს ადამიანთა სპეციფიკურ მოთხოვნილებებს.

არამატერიალური წარმოების სფერო და მომსახურების სფერო, თითქმის იდენტური ცნებებია და მხოლოდ ნიუანსებით შეიძლება ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ.

არამატერიალურ მომსახურებას თავის მხრივ, ყოფენ პირად და სოციალურ მომსახურებად. პირად მომსახურებაში იგულისხმება მომსახურების ისეთი სახეობანი, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ინდივიდზე. ასეთია მაგალითად სოციალური უზრუნველყოფა, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურება, სოციალური დაზღვევა, საინფორმაციო საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ.

სოციალურ, ანუ ერთობლივ მომსახურებაში იგულისხმება სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მომსახურება (ქვეყნის დაცვა, სახელმწიფოს მართვა, უპატრონო ბავშვებისა და მოხუცებულთა სახლების შენახვა, შრომითი კოლექტივებისათვის გაწეული საქველმოქმედო დახმარებადა ა.შ.)

ასეთი კლასიფიკაცია პირობითია. ამა თუ იმ ჯგუფისადმი მათი მიკუთვნება უნდა მოხდეს ძირითადი მახასიათებელი ნიშნების მიხედვით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეროვნული ანგარიშების სისტემის კლასიფიკაციის თანახმად, მომსახურების სფეროს ყოფენ საბაზრო და არა საბაზრო მომსახურებად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება მომსახურების ისეთი სახეობანი, რომლთა საქმიანობის შედეგი წარმოგვიდგება საქონლის სახით და მიმოიქცევა საბაზრო ეკონომიკის კანონების მოთხოვნების შესაბამისად.

არასაბაზრო მომსახურება კი (მაგ. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, სამშობიარო სახლების და სხვა სამედიცინო დაწესებულებების, მოხუცებულთა სახლების, სკოლების, სპორტული დარბაზების საქმიანობა და ა.შ.) არ იღებს საქონლურ ფორმას და არ ექვემდებარება ბაზრის კანონებს. მის რეგულირებას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ.

მომსახურების სფეროს განვითარებისათვის დამახასიათებელია რიგი თავისებურებები:

1. ეკონომიკის ყველა სექტორში დასაქმებულთა შორის მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილის სწრაფი და განუხრელი ზრდა;

2. დღეისათვის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას, ზოგჯერ მომსახურების ეკონომიკას უწოდებენ;

3. მომსახურების სფეროს ადგილისა და როლის მკვეთრად გაზრდა საზოგადოებრივ წარმოებასა და პირადი მომსახურების სტრუქტურაში, ეს უწინარესად, მეპ-სა და მშპ-ში მომსახურების სფეროს ხვედრითი წილის ამაღლებაში გამოიხატება;

4. მომსახურების სფეროს შიდა დარგობრივი პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები, რაც იგულისხმება მომსახურების საერთო მოცულობაში მომსახურების სფეროს ტრადიციული დარგების (ვაჭრობა, ტრანსპორტი, ჯანდაცვა, განათლება, სახელმწიფომ მართველობა და სხვა) ხვედრითი წილის რამდენად მეშემცირება ან ერთი და იმავე დონეზე დარჩენა, ხოლო ინტენსიფიკაციური მომსახურების მეცნიერებატევადი დარგებისა და საქმიანობათა (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ინჟინერინგი, კონსალტინგი, საქმიანი მომსახურება, პროგრამირება, საფინანსო – საკრედიტო მომსახურება, დასვენების ორგანიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება, ელექტრონული კავშირგაბმულობა და სხვა) ხვედრითი წილის თანდათანობით ზრდა;

5. მომსახურების სფეროს ე.წ. „ექსტერნალიზაცია"- ფირმის მიერ საკუთარი საჭიროებისათვის წარმოებული მომსახურების გარკვეული ნაწილის სხვა კომპანიებისათვის მიყიდვა. ეს პირველ რიგში ეხება უშიშროებასთან კომპანიის მყარი საბაზრო მდგომარეობის განმტკიცების შენარჩუნებასთან დაკავშირებულ მომსახურებასა და რეკომენდაციებს;

6. რადიკალური თვისებრივი ცვლილებები მომსახურების სფეროს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა-

ში და მისი მწარმოებლური ძალის ახალ სიმაღლეზე აყვანა. ე.ი. თანამედროვეს რულყოფილი ტექნიკითა და ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვა.

მომსახურების გაგება გამოიყენება ფართო აზრით. მის არსში მოიაზრება მოქმედება, რომელსაც მოაქვს სარგებელი ვინმესათვის, მეცნიერული განსაზღვრებითი განიხილება როგორც შედეგი შესაბამისი შრომითი საქმიანობისა და ამ საქმიანობის შედეგისა.

მაგალითად. პ.ა. მიაგკოვი მომსახურებას განიხილავს, როგორც საქმიანობას, რომლის შედეგებს არა აქვს „მატერიალური გამოხატულება, რეალიზდება და მოიხმარება საქმიანობის განხორციელების პროცესში"*

საბჭოთა პერიოდში სამამულო ეკონომიკის ანალიზის საფუძველს ტრადიციულად წარმოადგენდა დარგის განხილვა საქონლის წარმოებით. ეს განპირობებული იყო როგორც იდეოლოგიურად, ასევე მომსახურების სფეროს განუვითარებლობით.

თანამედროვე პირობებში საქართველოს შიდა საერთო პროდუქტის 2/3 იქმნება მომსახურების დარგებში (მათ შორის დამატებული ღირებულების თითქმის ნახევარი ფორმირდება საბაზრო მომსახურების წარმოებისას) და მისი წილი განაგრძობს ზრდას.

მომსახურების სფეროში შექმნილი დამატებითი ღირებულების მთელი ინფორმაცია წარმოდგენილია რეგიონულ სტატისტიკაში გამსხვილებული დარგების საბაზრო მომსახურებისა და არასაბაზრო მომსახურების ქვედარგების კონსოლიდირებული წარმოების მონაცემების მიხედვით.

საქართველოში 2009 წლის მონაცემებით საშუალოდ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება მომსახურების სფეროში. საბაზრო შეფასებით შეადგენდა 17986,0 მილიონ ლარს აქედან ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მომხმარების საგნების რემონტზე მოდიოდა 13,1%; სასტუმროებსა და რესტორნებზე 1,9%; ტრანსპორტზე 6,3%, კავშირგაბმულობაზე 3,3%, საფინანსო საქმიანობა 2,5%; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა 6.5%; სახელმწიფო მმართველობაზე 13,7%; განათლება 4.2%; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება 5,7%, კომუნალური სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა 3,4%. შინამეურნეობაში დაქირავებული მომსახურება 0,1%, ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება 1,2%.

შინამეურნეობის მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯების მიხედვით (მიმდინარე ფასებში. მლნ.ლარი.) 2004 წელს შეადგენდა 46,2;2005 წელს 60,5; 2006 წელს 52,4; 2007 წელს 61,3; 2008 წელს 77,2; 2009 წელს 75,4. როგორც ვხედავთ 2009 წელს აღნიშნული მაჩვენებლები 2004 წელთან შედარებით გაზრდილია 63%-ით.

2009 წელს მომსახურების ექსპორტის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის საბაზრო ღირებულებაში შეადგენდა 12,2%-ს, ხოლო მომსახურების იმპორტის წილი 9.1%-ს.

რეგიონების დიაგნოსტიკაში სერიოზული პრობლემები წარმოიქმნება საბანკო ბიზნესის განხილვისას. რამდენადაც ის მოითხოვს განცალკავებულ განხილვას, რომლის დროსაც მნიშვნელოვან მაჩვენებლად გვევლინება მოზიდული დეპოზიტები და იურიდიული და ფიზიკური პირების შენატანი დანაზოგის სახით ლარებსა და უცხოურ ვალიუტაში, ასევე დავალიანება კრედიტების გაცემისას.

მომსახურების სფეროში ნამყვან დარგად გვევლინება ვაჭრობა. ვაჭრობის დარგს მიეკუთვნება: საშინაო, საბითუმო და საცალო ვაჭრობა: საგარეო ვაჭრობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნებისა და სამეურნეო ვაჭრობის საქონლის გაქირავება, ვიდეო და კინოფილმების გაქირავება, ბირჟების საშუალო მომსახურების, ბროკერების, მაკლერების, სადილერო კანტორების. აგენტების, სავაჭრო სახლების, ყიდვა-გაყიდვის, კომერციული ცენტრების მომსახურება და სამომხმარებლო საგნების გაქირავება.

ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლად გვევლინება საქონელბრუნვა. საქონელბრუნვა ერთდროულად უჩვენებს მომხმარებელზე გაყიდული სასაქონლო მასის ღირებულებას, გამყიდველების მიერ მიღებულ ნავაჭრ თანხას (ამონაგებს) და მყიდველების მიერ საქონლის შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს.

საერთო საქონელბრუნვა, რომელიც საბითუმო და საცალო ვაჭრობაში ცალ-ცალკე გაიანგარიშება, მოიცავს: საქონელბრუნვას, რომელთაგან ძირითადია სავაჭრო ორგანიზაციები, საწარმოები და ბაზრები სამრეწველო, სასურსათო და შერეული).

---

* Мягков П. А. Малые предприятия М.1992

საქონელბრუნვის მოცულობა განისაზღვრება ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებით. მსხვილი და საშუალო სავაჭრო ორგანიზაციები ყოველთვიურად წარმოადგენენ ანგარიშებს საქონელბრუნვაზე, ხოლო მცირე საწარმოებზე სტატისტიკის ორგანოები ახორციელებენ შერჩევით კვარტალურ დაკვირვებას, რომლის მეშვეობით განსაზღვრავენ გაყიდული საქონლის მოცულობას.

ამრიგად, ვაჭრობის პროდუქცია (ნავაჭრი თანხა) არის სავაჭრო საქმიანობის შედეგი, მიუხედავად იმისა, სად და ვის მიერ ხორციელდება იგი, საწარმოებისა თუ კერძო პირების მიერ.

ვაჭრობის პროდუქციის ღირებულება დამოკიდებულია სარეალიზაციო დანამატზე, რომელიც არის სავაჭრო ობიექტის საერთო შემოსავალი. იგი გამოიყენება სავაჭრო ობიექტის შენახვის ხარჯების დასაფარავად და ამ ობიექტში მოგების ფორმირებისათვის ე.ი. სავაჭრო დანამატი შეადგენს მიმოქცევის ხარჯებსა და მოგების თანხას.

შიდა რეგიონულიო პროდუქტის სტატისტიკაში ხშირად ვაჭრობას უერთებენ ინფრომაციას სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებასა და ბაზრის ფუნქციონალური უზრუნველყოფის საერთო კომერციულ საქმიანობას.

საქართველოში სტატისტიკურ მონაცემებში ვაჭრობას თანმიერთებულია ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნანარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი. რაც შეეხება საზოგადოებრივ კვებას ის წარმოდგენილია სასტუმროებისა და რესტორნების სტატისტიკური მონაცემებით.

## 21.2. სხვა დარგების შესნავლის სპეციფიკა საბაზრო მომსახურების წარმოებისას
### მოსახლეობის ფასიანი მომსახურება

სხვა დარგები, რომლებიც წარმოქმნიან საბაზრო მომსახურებას მათში შექმნილ დამატებულ ღირებულებასთან ერთად ახასიათებენ მოსახლეობის ფასიანი მომსახურეობის მოცულობას:

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობის შესწავლა გარკვეულწილად საინტერესოა იმ დენად, რომ ის მოიცავს ინფორმაციას, კერძოდ მონაცემებს საბანკო მომსახურებაზე, რომელიც დამატებული ღირებულების გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება, უფრო მეტიც მოცემული მაჩვენებელი წარმოადგენს მომსახურებას, რომელიც გაეწევა მოსახლეობის კომპლექსურ ინდიკატორს. ის ახასიათებს მომსახურების სფეროს იმ ნაწილს, რომელიც არ არის დაკავშირებული საწარმოო საქმიანობასთან ამ შემთხვევაში განეული ფასიანი მომსახურების სიდიდე გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე ასახავს ერთიმხრივ რეგიონის ეკონომიკურ კეთილდღეობას, ხოლო მეორე მხრივ ფასების საერთო დონეს.

ფასიანი მომსახურება მოიცავს*:

1. საყოფაცხოვრებო მომსახურებას;
2. სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურებას;
3. კავშირგაბმულობის მომსახურებას;
4. სამეურნეო მომსახურება;
5. კომუნალური მომსახურება (ელექტროენერგიისა და წყალ-გაზ მომარაგება, ცენტრალური გათბობა, ცხელი წყლით მომარაგება, კანალიზაცია);
6. კულტურულ დანესებულებათა მომსახურება;
7. ტურისტული და ექსკურსიული მომსახურება;
8. ფიზიკური კულტურითა და სპორტით მომსახურება;
9. სამედიცინო მომსახურება;
10. სანიტარულ-გამაჯანსაღებელი მომსახურება;
11. ვეტერინალური მომსახურება;
12. სამართლებრივი ხასიათის მომსახურება;
13. ბანკების მომსახურება;
14. განათლების სისტემაში მომსახურება;
15. სხვა ფასიანი მომსახურება.

* საქართველოს სტატისტიკური წელინდეული 2010, გვ. 230

რეგიონის ეკონომიკის დინამიკის შესწავლისას მნიშვნელოვანს წარმოადგენს მონაცემები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ფიზიკური მონაცემების ინდექსებზე.

ქვეყნის რეგიონების მონაცემები სამომხმარებლო ტარიფების ინდექსებზე, საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეული ჯგუფების მიხედვით საშუალებას იძლევა გაანგარიშებულ იქნას ცალკეული სახის მომსახურების წარმოების ცვლილება რეგიონულ ჭრილში.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასახავს ფასების საშუალო ცვლილებას საქონლისა და მოსახლეობის ფიქსირებულ კალათაზე, რომელსაც მოხმარებისათვის შეიძენს ქალაქის მოსახლეობა.

საქონლისა და მომსახურების ფასები, რომლებიც გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოსათვლელად გროვდება საქართველოს ხუთი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი) საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში, მაღაზიებში, ბაზრებში, ბენზინ გასამართსადგურებში, ვაჭრობისა და მომსახურების სხვა ობიექტებში, იხ ცხრილი 21.2.1.

ცხრილი 21.2.1. სამომხმარებლო ფასების ინდექსები საქართველოში

| | 2010 წლის საშუალო =100 | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2005** | 69.9 | 70.1 | 70.5 | 70.8 | 69.9 | 68.9 | 67.6 | 68.0 | 69.3 | 70.4 | 71.4 | 72.7 |
| **2006** | 73.6 | 73.7 | 73.8 | 75.1 | 76.9 | 76.8 | 77.4 | 77.1 | 77.1 | 77.6 | 78.4 | 79.1 |
| **2007** | 81.2 | 81.8 | 81.0 | 81.2 | 82.5 | 82.4 | 82.5 | 83.0 | 84.0 | 86.3 | 87.5 | 87.8 |
| **2008** | 89.9 | 90.8 | 90.9 | 91.1 | 91.8 | 91.7 | 90.6 | 93.6 | 92.9 | 92.4 | 93.0 | 92.6 |
| **2009** | 93.9 | 92.7 | 92.3 | 92.7 | 93.8 | 93.8 | 90.7 | 90.7 | 93.3 | 95.4 | 95.5 | 95.4 |
| **2010** | 96.5 | 97.9 | 97.7 | 97.9 | 97.6 | 97.3 | 97.1 | 99.3 | 102.4 | 104.5 | 105.6 | 106.1 |
| **2011** | 108.3 | 111.4 | 111.3 | 111.2 | 111.6 | 107.1 | 105.3 | 106.4 | 107.1 | 106.9 | 107.6 | 108.3 |
| **2012** | 108.8 | 109.1 | 108.9 | 108.8 | 107.9 | 106.9 | 105.9 | 106.1 | 107.0 | 107.0 | 107.1 | 106.8 |
| **2013** | 107.1 | 106.8 | 106.6 | 107.0 | 107.8 | 107.1 | 105.7 | 105.7 | 105.6 | 107.2 | 107.8 | 109.3 |
| **2014** | 110.2 | 110.5 | 110.3 | 110.7 | 110.4 | 109.3 | 108.7 | 109.3 | 110.6 | 110.9 | 110.7 | 111.5 |
| **2015** | 111.7 | 111.9 | 113.2 | 113.5 | 114.2 | 114.2 | 114.0 | 115.1 | 116.4 | 117.3 | 117.7 | 116.9 |
| **2016** | 118.0 | 118.1 | 117.8 | 117.0 | 116.6 | 115.5 | 115.7 | 116.2 | 116.5 | 117.1 | 117.8 | 119.0 |
| **2017** | 122.5 | 124.6 | 124.1 | 124.2 | 124.2 | 123.7 | 122.6 | 122.8 | 123.7 | 124.6 | 126.0 | 127.0 |
| **2018** | 127.8 | 128.0 | 127.6 | 127.3 | 127.3 | 126.4 | 126.1 | 126.7 | 127.1 | 127.5 | 128.4 | 129.0 |
| **2019** | 130.6 | 131.0 | 132.3 | 132.6 | 133.2 | 131.9 | 131.9 | 132.9 | 135.2 | 136.2 | 137.4 | 138.0 |
| **2020** | 139.0 | 139.4 | 140.3 | 141.7 | 142.0 | 140.0 | 139.4 | 139.3 | 140.3 | 141.4 | 142.7 | 141.3 |

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ითვლება მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლად, რომელიც ახასიათებს ინფლაციის დონეს და გამოიყენება ეკონომიკაში ფასების ცვლილებების დონესთან დაკავშირებული პროცესების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის.

ამიტომ, რეგიონულ ჭრილში აღნიშნული მაჩვენებლის შესწავლა მეტად საინტერესოა რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტირებისათვის.

ამდენად, ქვეყნის სუბიექტების მიხედვით შესწავლილი უნდა იყოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სტრუქტურის მონაცემები კერძოდ:

1. რემონტი, საცხოვრებლის მშენებლობა და სხვა მოწყობანი;
2. ტექ მომსახურება და სატრანსპორტო საშუალებების რემონტი;
3. ტანსაცმლის შეკერვა და გადაკეთება;
4. საყოფაცხოვრებო მანქანა-მოწყობილობებისა და რადიო სტრუქტურული აპარატურის შეკეთება და ტექ მომსახურება;
5. სარიტუალო მომსახურება;
6. ფოტო ატელიის მომსახურება;
7. საპარიკმახერო;
8. ფეხსაცმლის შეკერვა, შეღებვა და რემონტი;
9. აბანოს მომსახურება;
10. ავეჯის რემონტი და დამზადება;
11. სამრეცხაო მომსახურება;

12. ქიმიური წმენდა და ღებვა;

13. გაქირავების მომსახურება;

14. სხვა მომსახურებანი.

რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტირებისათვის საინტერესოა ინფორმაცია საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რიცხოვნობის შესახებ, კერძოდ:

1. ატელიეების, სალონების, საყოფაცხოვრებო მომსახურების რიცხვი ცალ-ცალკე საქალაქო და სახლებისათვის და ცალკე სასოფლო დასახლებისათვის;

2. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მიმღები პუნქტების რიცხოვნობის შესახებ ცალკე საქლაქო და ცალკე სასოფლო დასახლებისათვის.

ასეთ ინფორმაციას მომსახურების სფეროსათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რამდენადაც წარმოებული მომსახურების ხარისხი დამოკიდებულია არამარტო მომუშავეთა კვალიფიკაციაზე, არამედ სერვისული პუნქტების დაცილებაზე მოსახლეობისაგან.

თუ მრეწველობაში ერთგვაროვანი პროდუქტების გამომუშავებისას მსხვილი საწარმო უფრო ეფექტურია ათეული წვრილ საწარმოსთან შედარებით ე.ი. ის უფრო პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენს რეგიონულ ეკონომიკაზე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემთხვევაში ხშირად უფრო მომგებიანია დავთმოთ სამეურნეო ეფექტურობა, თითოეული მაცხოვრებლის მახლობლად მრავალი პატარა საწარმოთა შექმნისათვის.

რეგიონის მომსახურების სფეროს დახასიათებისათვის ასევე საინტერესო მაჩვენებელია ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მომსახურება.

ტრანსპორტი გულისხმობ სროგორც საერთო დანიშნულების ტრანსპორტს, რომელიც აკმაყოფილებს ეკონომიკის ყველა დარგსა და მოსახლეობას ტვირთის გადატანაზე და მგზავრების გადაყვანაზე, ასევე საუწყებო ტრანსპორტს, რომელიც ანარმოებს გადაყვანა-გადატანას. როგორც წესი თავისი უწყების საწარმოებისათვის ტრანსპორტის სახეებს მიეკუთვნება: რკინიგზის, საავტომობილო, მილსადენის, ქალაქის, ელექტრო სატრანსპორტო, საზღვაო, შიდასამდინარო, საჰაერო და დანარჩენი ტრანსპორტი.

ტრანსპორტის საქმიანობის დამახასიათებელ ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ტვირთბრუნვა, მგზავრთბრუნვა, გადაზიდვით მიღებული შემოსავლები.

გზების მშენებლობისა და მათი კაპიტალური რემონტის წარმოების საქმიანობა მიეკუთვნება მშენებლობის დარგს.

ტრანსპორტის პროდუქციის ღირებულება (საგზაო მეურნეობის პროდუქციის ღირებულების გარდა) განისაზღვრება, როგორც მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადატანის, სხვა სამუშაოების და მომსახურების შესრულების შედეგად ფაქტიურად მიღებული შემოსავლების თანხა. ეს მონაცემები ასახულია სატრანსპორტო ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშებში ან პროდუქციის წარმოებისა და მისი რეალიზაციის შესახებ დანახარჯების ანგარიშებში ასევე იმ საწარმოთა ანგარიშებში, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვა დარგებს, მაგრამ გააჩნიათ თავიანთ დაქვემდებარებაში სატრანსპორტო მეურნეობა და ეწევიან სატრანსპორტო საქმიანობას.

საგზაო მეურნეობის პროდუქციის ღირებულებას განსაზღვრავენ როგორც შესრულებული სამუშაოების ღირებულებას საავტომობილო გზების მიმდინარე რემონტის და გზების შენახვაზე. ამ მიზნით გამოიყენებენ საგზაო სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციების ანგარიშგებას, ასევე არასაბიუჯეტო სახელმწიფო საგზაო ფონდის ანგარიშგებას, რომლებიც ითვლებიან ამ სამუშაოების წარმოების და ფინანსების ძირითად წყაროებად.

ტვირთბრუნვის გამოთვლას ანარმოებენ გადატანილი ტვირთების მასის (ტონებში) გამრავლებით, გადაზიდვის მანძილზე (კილომეტრებში) ე.ი. ტრანსპორტის მიერ ტვირთის გადატანაზე შესრულებული სამუშაოები გაიზომება ტონა-კილომეტრებში.

მგზავრთბრუნვა ახასიათებს შესრულებულ სამუშაოებს მგზავრების გადაყვანაზე და გამოითვლება, როგორც მგზავრების რაოდენობისა და მგზავრობის ტარიფის (ფასის) ნამრავლი, მათი გადაყვანის მანძილზე, ტრანსპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით.

ტრანსპორტი იყოფა საერთო სარგებლობის ტრანსპორტად და არა საერთო სარგებლობის ტრანსპორტად.

საერთო სარგებლობის ტრანსპორტი არის ტრანსპორტი, რომელიც აკმაყოფილებს როგორც მოსახლეობის, ასევე ეკონომიკის ყველა სფეროს მოთხოვნას ტვირთის გადაზიდვა შიდა მგზავრთა გადაყვანაში.

არასაერთო სარგებლობის ტრანსპორტი (საწყობი) არის ტრანსპორტი, რომლის მეშვეობით ხორციელდება თავისი საწარმოს ტვირთის გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა.

ქვეყანაში სტატისტიკური ინფორმაცია მოცემულია ისეთი ტრანსპორტის ცალკეული სახეების მიხედვით როგორიცაა: რკინიგზა, ავტობუსი, ტროლეიბუსი, მეტროპოლიტენი, ტრამვაი, საზღვაო და საჰაერო.

არ არის მოცემული ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორიცაა მილსადენი მაგისტრალების სიგრძე, მსხვილი აეროპორტების, საზღვაო პორტების გამტარუნარიანობა.

ავტომობილების რაოდენობის აღრიცხვა ხდება მათი ტიპების (სატვირთო, სამგზავრო, სპეციალური დანიშნულების, მსუბუქი) გამოყენებული საწვავის (ბენზინზე, დიზელზე, ან გაზზე მომუშავე), ძარის კონსტრუქციის (ბორტიანი, თვითმცლელი სატვირთო ფურგუნი, რეფრიჟერატორი, ცისტერნა, ხეტყემზიდი და სხვა), სატვირთო მანქანების თვითამწეობისა და სამგზავრო ავტომობილების მგზავრთტევადობის მიხედვით.

რეგიონების შედარებისათვის საინტერესო ინდიკატორულ მაჩვენებელს წარმოადგენს, ტრანსპორტის საერთო როლი შიდა რეგიონულ პროდუქტში, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ავტომობილის ტრანსპორტის როლი რეგიონის ეკონომიკის ტვირთის გადაზიდვებში.

რეგიონის ეკონომიკის ანალიზისათვის საინტერესოა ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა:

1. ტვირთის გადატანის მოცულობა ტრანსპორტის ცალკეული სახეების. მიმოსვლის სახეებისა. ტვირთის სახეობისა და მისი გადაზიდვის მიმართულების მიხედვით;

2. ტვირთბრუნვა, რომელიც განისაზღვრება, როგორც გადატანილი ტვირთის წონისადა და მისი გადატანის მანძილის ნამრავლი;

3. ტონა ტვირთის გადატანილი საშუალო მანძილი, რომელიც განისაზღვრება ტვირთბრუნვის მოცულობის შეფარდებით გადატანილი ტვირთის წონასთან:

4. მგზავრთბრუნვა, რომელიც განისაზღვრება როგორც გადაყვანილი მგზავრებისა და მათი გადაყვანის მანძილის სიდიდეთა ნამრავლი;

5. ერთი მგზავრის გადაყვანის საშუალო მანძილი, რომელიც განისაზღვრება მგზავრთბრუნვის მოცულობის შეფარდებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობასთან.

რეგიონების ეკონომიკის ანალიზისა და დიაგნოსტირებისათვის ასეთი ინფორმაცია სასარგებლო და საინტერესოა, ამიტომ მიზანშეწონილია ის მოპოვებულ იქნას სხვადასხვა ანალიტიკური მასალებისა და ინფორმაციის საფუძველზე, როგორცშ ესაბამისი სახელმწიფო საწარმოებიდან, ისე კერძო კომპანიებიდან.

**კავშირგაბმულობის მომსახურება.** კავშირგაბმულობა წარმოადგენს ქვეყნის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განუყოფელ ნაწილს, რომელიც ფუნქციონირებს როგორც ერთიანი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი და მისი დანიშნულებაა მოსახლეობის, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, თავდაცვის უშიშროების, სამართალდამცავი ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების საჭიროების დაკმაყოფილება ელექტროკავშირითა და საფოსტო მომსახურებით.

მონაცემები კავშირგაბმულობის მომსახურებაზე, ისე როგორც ტრანსპორტის მომსახურებაზე მეტად მწირია.

მთელი კავშირგაბმულობის მომსახურება საფოსტო, კურიერული, ელექტროკავშირი (რადიოკავშირის ჩათვლით).

კავშირგაბმულობის ორგანიზაციის შემოსავლების 9/10, ელექტროკავშირით მომსახურებაზე მოდის. არ მოიპოვება რეგიონულ ჭრილში სტატისტიკური მონაცემები საფოსტო მომსახურების შესახებ.

საერთოდ საქართველოს სტატისტიკის წელინდეულში მოცემულია, მხოლოდ კავშირგაბმულობის ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა სატელეფონო სადგურების რაოდენობა, სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა და ფიჭური კავშირების აბონენტების რაოდენობა იხ.ცხრილი 21.2.2.

ცხრილი 21.2.2. **კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლები.**

| წლები | სატელეფონო სადგურების რაოდენობა. ერთეული. | სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა | | ფიჭური კავშირის აბონენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | სულ ათასი ცალი | აქედან ბინის | |
| 2005 | 346 | 544,4 | 480,8 | 1174,3 |
| 2006 | 364 | 571,7 | 507,6 | 1703,9 |
| 2007 | 221 | 577,2 | 500,2 | 2310,4 |
| 2008 | 202 | 571,6 | 503,5 | 2755,1 |
| 2009 | 237 | 611,1 | 541,3 | 3130,5 |

როგორც ცხრილიდან ვხედავთ ფიჭური კავშირის აბონენტების რაოდენობა 2009 წელს 2005 წელთან შედარებით გაზრდილია და შეადგინა 266, 6% ე.ი. გაიზარდა 2,6-ჯერ.

მას შემდეგ რაც პირველი მობილური კავშირი განხორციელდა 1979 წელს ჩიკაგოში, ბევრი რამ შეიცვალა. დღეს უკვე შესაძლებელია არამარტო მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უპრობლემოდ დარეკვა, არამედ ვიდეო ინფორმაციის მიღება, მსოფლიოს ახალი ამბების ტელეფონის დისპლეიზე ამოკითხვა, ან /და სასურველი პროდუქციის შეძენა ინტერნეტით.

Mobile commerce – ასე უწოდებენ მობილური ტელეფონის მეშვეობით სავაჭრო და საქმიანი ოპერეციების ჩატარებას მსოფლიოში, რაც ქართულად სიტყვა სიტყვით, მობილურ კომერციას ნიშნავს, შინაარსით კი სწორედ ანგარიშ წორებისა და ტრანსაქციების განხორციელებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ მობილური აპარატით ფინანსური ანგარიშების განხორციელების საშუალება დღესდღეობით ევროპისა და ამერიკის 19 მილიონზე მეტ მოქალაქეს აქვს და მათი რიცხვი დღითიდღე მატულობს.

მობილური კომერციის განვითარებას წინ უსწრებდა ე.წ. ecomerce, რაც ვაჭრობაში ინტერნეტის გამოყენებით მონაწილეობას გულისხმობს, როგორც ცნობილია, ინტერნეტის საშუალებით სასურველი პროდუქციის შეძენა ან მომსახურების გაწევა სიახლეს არ წარმოადგენს. თუმცა მობილური ტელეფონით ყოველივე ზემოთქმულის განხორციელება ნამდვილ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

ელექტრონულკომერციას ბევრი მომხმარებელი გამოუჩნდა და მისმა ბრუნვამ მილიარდებს მიაღწია. დღეისათვის მსოფლიოში მობილური ტელეფონის 400 მილიონამდე მფლობელია და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მობილური ტელეფონით განხორციელებული სხვადასხვა ტრანსაქციის პოტენციური მომხმარებელია, ახალმა ტექნოლოგიებმა ბიძგი მისცა იმ კომპანიების აქტიურობას, რომელთა საქმიანობის სფერო ელექტრონული ვაჭრობაა. ასეთ კომპანიებს ძირითადად ის ფირმები წარმოადგენენ, რომლებიც სპეციალიზირებული არიან ინტერნეტით პროდუქციის ან მომსახურების რეალიზაციაში. სწორედ ამან განაპირობა საქართველოშიც ფიჭური კავშირის აბონენტების რაოდენობის ზრდა, ამავდროულად გაიზარდა რეალიზაციისა და მომსახურების რეგიონული ოფისების ქსელი.

როუმინ გიფიჭური კავშირის მომსახურების ნუსხაში ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული მომსახურებაა, განსაკუთრებით მოგზაურობის მოყვარულთათვის. როუმინგი ქართულად ხეტიალს ნიშნავს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისათვის. დღეისათვის როუმინგული მომსახურებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიძლება ისარგებლოთ, რაც გულისხმობს უცხო ქვეყანაში საკუთარი მობილური ტელეფონით სარგებლობას.

### 21.3. არასაბაზრო მომსახურების ძირითადი ნაწილის მწარმოებელი დარგები

მონაცემები მომსახურების დამატებითი ღირებულების სტრუქტურაზე, რომელიც შექმნილია არასაბაზრო მომსახურების დარგებში არ მოიპოვება.

მომსახურების სფეროს ბევრი დარგისათვის – უპირველესყოვლისა კი მეცნიერების, კულტურისა და განათლებისათვის დაყოფა საბაზრო და არა საბაზრო მომსახურებად, ხშირ შემთხვევაში აღნიშნავს მხოლოდ ფინანსების სხვადასხვა წყაროებს.

რეგიონებში სოფლის მეურნეობის დარგში კულტურათა მოსავლიანობის გაზრდისათვის შექმნილია ფერმერთა მომსახურების ცენტრები. იქ დასაქმებული სპეციალისტები არამარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც ეხმარებიან მიწის მფლობელებს ბაღ – ვენახებში გადიან და ნიადაგის შეს-

წავლით დაწყებული და მოსავლის დაბინავებით დამთავრებული ფერმერებს სასარგებლო რჩევებს აძლევენ. ცენტრებში გახსნილ მაღაზიებში გერმანული და შვეიცარული წარმოების წამლები იყიდება. აქვეა მექანიზაციის ცენტრიც და გლეხებს მისი გამოყენებაც შეუძლიათ ფერმერები მათი დახმარებით მოსავლიანობას წლიდან წლამდე ზრდიან გარდაამისა ეუფლებიან ახალ ტექნოლოგიებს და ახალი ჯიშებისა და ბაღ-ვენახების გაშენების შესახებ სასარგებლო ინფორმაციას იღებენ.

ფერმერთა მომსახურების ცენტრები ხელს უწყობს სოფლად ახალი განათლების შეტანას, რომელიც მეტად აუცილებელია, რადგან გლეხი, რომელიც ჯერ ისევ ტრადიციული მეთოდით უელის ნაკვეთს, სერიოზულ შედეგებს არ უნდა ელოდოს. მაგ. თელავის პროფესიული სწავლების ცენტრის ბაზაზე ქალაქ ახმეტაში ფუნქციონირება დაიწყო ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების (ექსტენციის) ცენტრმა. ცენტრი შექმნილია დევნილთა უმაღლესი კომისიის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტის დახმარებით. 2011 წლის ივნისის დასაწყისიდან ახმეტის მუნიციპალიტეტის ყველა ფერმერს საშუალება მიეცა უფასოდ მიეღო საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება. ფერმერთა მომსახურების ცენტრები ფუნქციონირებს საჩხერის რაიონში და სხვა.

საქართველოში მიმდინარე ტენდენცია მეცნიერების, კულტურისა და განათლების კომერციალიზაცია მიუთითებს დამატებითი ღირებულების გადანაწილებას არასაბაზრო სექტორიდან, საბაზრო სექტორში იხილეთ ცხრილი 21.3.1.

**ცხრილი 21.3.1. ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა (სასწავლო წლის დასაწყისისათვის)**

| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა (სასწავლო წლის დასაწყისისათვის) | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2005/ 2006 | 2006/ 2007 | 2007/ 2008 | 2008/ 2009 | 2009/ 2010 | 2010/ 2011* | 2011/ 2012 | 2012/ 2013 | 2013/ 2014 | 2014/ 2015 | 2015/ 2016 | 2016/ 2017 | 2017/ 2018 | 2018/ 2019 | 2019/ 2020 | 2020/ 2021 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, ერთეული | 2 731 | 2 539 | 2 462 | 2 448 | 2 462 | 2 430 | 2 317 | 2 320 | 2 328 | 2 331 | 2 331 | 2 321 | 2 308 | 2 313 | 2 313 | 2 309 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | | | | | | |
| საჯარო სკოლები | 2 470 | 2 282 | 2 215 | 2 178 | 2 179 | 2 130 | 2 084 | 2 084 | 2 084 | 2 085 | 2 085 | 2 085 | 2 085 | 2 085 | 2 086 | 2086 |
| მათგან: | | | | | | | | | | | | | | | | |
| დღის სკოლები | 2 456 | 2 282 | 2 215 | 2 178 | 2 179 | 2 130 | 2 084 | 2 084 | 2 084 | 2 085 | 2 085 | 2 085 | 2 085 | 2 085 | 2 086 | 2086 |
| საღამოს სკოლები | 14 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კერძო სკოლები | 261 | 257 | 247 | 270 | 283 | 300 | 233 | 236 | 244 | 246 | 246 | 236 | 223 | 228 | 227 | 223 |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| მოსწავლეთა რიცხოვნობა, ათასი | 634.7 | 636.0 | 614.7 | 643.3 | 624.5 | 595.4 | 568.5 | 559.4 | 553.0 | 554.0 | 553.9 | 564.7 | 575.2 | 584.4 | 592.9 | 609 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | | | | | | |
| საჯარო სკოლებში | 601.4 | 599.7 | 576.7 | 597.8 | 576.8 | 542.4 | 516.7 | 506.7 | 502.0 | 500.3 | 498.9 | 508.9 | 518.0 | 524.0 | 530.1 | 549 |
| მათგან: | | | | | | | | | | | | | | | | |
| დღის სკოლებში | 601.3 | 599.7 | 576.7 | 597.8 | 576.8 | 542.4 | 516.7 | 506.7 | 502.0 | 500.3 | 498.9 | 508.9 | 518.0 | 524.0 | 530.1 | 549 |
| საღამოს სკოლებში | 0.1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კერძო სკოლებში | 33.3 | 36.3 | 38.0 | 45.5 | 47.7 | 53.0 | 51.8 | 52.8 | 51.1 | 53.6 | 55.0 | 55.8 | 57.2 | 60.4 | 62.8 | 60.0 |

როგორც ცხრილიდან ჩანს 2005 წელს საჯარო სკოლებში მოდიოდა ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში 90.4%, ხოლო კერძო სკოლებზე 9,6%, უკვე 2009 წელს საჯარო სკოლებზე მოდიოდა 88,1%, ხოლო კერძო სკოლებზე 11,5%.

2009/2010 წელს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებილებებში 2005/2006 წელთან შედარებით საჯარო სკოლების წილი შემცირდა და შეადგინა 87,9%, მაშინ როდესაც კერძოს კოლების ხვედრითმა წილმა შეადგინა 108,45. ე ი. გაიზარდა 8,45-ით, მოსწავლეთა რაოდენობა (ათასი) 2009/2010 სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლებში 92,4%, ხოლო კერძო სკოლებში 7,6%. დარჩენი წლების სტატისკაც მუდმივად ცვლადია, რაც ცხრილში ნათლად ჩანს.

კულტურა და ხელოვნება როგორც დარგი მოიცავს ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს და გამოფენებს, სანახაობით წარმოდგენებს, სასკოლო დანესებულებებს, კულტურისა და დასვენების პარკებს, ბოტანიკურ ბაღებს და ზოოპარკებს, სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობას. ამ კუთხით ინფორმაცია რეგიონებში მწირია და ძირითადად შემოიფარგლება თეატრებსა და მუზეუმებზე სტატისტიკური ინფორმაციით (სახალხო და მოყვარულთა კოლექტივების გარეშე). მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, ასევე ინფორმაცია რეგიონებში გაზეთების გამოცემაზე ხორციელდება ათას მცხოვრებელზე გაანგარიშებით.

იმისათვის, რომ გვქონდეს წარმოდგენა რეგიონებში საბაზრო მომსახურებაზე თეატრებსა და მუზეუმებში, საინტერესოა ინფორმაცია ბილეთების საშუალო ფასების შესახებ, რომელიც უფრო ადეკვატური იქნება თუ გავიანგარიშებთ ქვემოთ მოცემული ფორმულის დახმარებით, ამდენად მაყურებელთა ნაკადებისა და ფასების ზრდა, შეიძლება გავიანგარიშოთ ფოლმულით*:

$$V \approx 0.5(MP + \frac{100MP}{iND_{price}})QV$$

სადაც, V-რეგიონებში თეატრებისა და მუზეუმების საბაზრო მომსახურების სავარაუდო რაოდენობა მაგ. 2009 წელს.;

MP- ბილეთების საშუალო ფასი თეატრებსა და მუზეუმებში 2009 წლის ბოლო პერიოდში;

$iND_{price}$ – ბილეთების ფასის რეალური ზრდა;

QV- რეგიონში თეატრებსა და მუზეუმებში 2009 წელს მაყურებელთა და მნახველთა რიცხვი.

თეატრებსა და მუზეუმების რიცხვსა და მაყურებელთა რაოდენობაზე ქვეყნის მაშტაბით წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 21.3.2.

ცხრილი 21.3.2. თეატრები და მუზეუმები

| | 2005 წ | 2006 წ | 2007 წ | 2008 წ | 2009 წ |
|---|---|---|---|---|---|
| მუზეუმები რაოდენობა ერთეული | 111 | 137 | 139 | 126 | 112 |
| დამთვალიერებლეთა რიცხვი ათასი კაცი | 301 | 472,6 | 446,4 | 436,2 | 616,2 |
| თეატრები რაოდენობა ერთეული | 41 | 46 | 46 | 45 | 42 |
| მაყურებელთა რიცხოვნობა ათასი კაცი | 256,0 | 343,6 | 437,8 | 394,3 | 468,6 |

როგორც ცხრილიდან ჩანს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რაოდენობამ 2009 წელს 2005 წელთან შედარებით შეადგინა 204,7% ე.ი. 2,1-ჯერ გაიზარდა ასევე თეატრებში მაყურებელთა რაოდენობამ 2009 წელს 2005 წელთან შედარებით შეადგინა 183,1% ე.ი. გაიზარდა 83,1%-ით.

მონაცემთა სიმცირის გამო ასევე რთული დასახასიათებელია ჯანდაცვა, ფიზიკური კულტურა და სოციალური უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბანაკების სტადიონების, სპორტული კლუბების, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების საქმიანობას.

დასასრულს, საჭიროა აღინიშნოს, რომ მომსახურების სფეროს ზრდა საქართველოს ეკონომიკაში აუცილებლად გაზრდის სტატისტიკური ორგანოების ყურადღებას ცალკეული დარგების დეტალური აღწერისათვის, რაც შეამსუბუქებს მომსახურების სფეროს ანალიზს.

რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტირება ყოველთვის ითვალისწინებს დარგობრივან ალიზს, რომლის სიღმისეული, დეტალური შესწავლის ხარისხი დამოკიდებულია მისი საბოლოო შედეგების მომხმარებელთა კვლევის ამოცანებსა და მოთხოვნებზე.

ანალიზის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენს არამარტო მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის ანალიზი, არამედ მომსახურების სფეროს დარგთა მთლიანი კომპლექსის შესწავლა.

ნებისმიერი დარგის საბანკო სექტორის გამოკლებით დახასიათების საყრდენ, ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს მასშიშ ექმნილი დამატებული ღირებულების სიდიდე.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დამატებითი ინფორმაციის მოპოვება.

* О. В. Кузнецова, Л. В. Кузнецов "Системная диагностика экономики региона" М.2009.стр. 135

# „ცენტრი-რეგიონი“-ს ურთიერთობები ფედერალიზმის პირობებში

## 22.1 ფედერალიზმის ძირითადი პრინციპები, ცნებები და განმარტებები

ფედერალიზმის განსაზღვრა, როგორც ამაზე უცხოელი ავტორების მინიშნებები გვაუწყებენ, ძირითადად სამ კრიტერიუმს ეფუძნება. კერძოდ, ფედერალურ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს:

1.სახელმწიფო მართვის ორრგოლიანი ტერიტორიალური სტრუქტურა;

2.თუნდაც მოლვაწეობას ერთ დაბალ სფეროში, რეგიონული რგოლი არ უნდა იყოს დამოკიდებული მაღალზე, საერთო ეროვნულზე;

3.ორი დონის მმართველობის დამოუკიდებლობის გარანტიები მათი კომპეტენციების ფარგლებში.

აღნიშნულს შეიძლება დავუმატოთ, რომ ნამდვილი ფედერალური სახელმწიფოს მთავარი კრიტერიუმი, უპირველეს ყოვლისა, არის ტერიტორიული პრინციპის გამოყენება რეგიონალურ საფუძველზე მოქალაქეთა თანაბარი პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ორგანიზაციაში ანუ, სხვა სიტყვებით, რეგიონების კონსტიტუციური უფლების უზრუნველყოფა ეროვნულ ცენტრში გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობაზე, აგრეთვე რეგიონების უფლება თავიანთი „განსაკუთრებული“ მდგომარეობის შენარჩუნებაზე. ფედერაციაში ეს პრინციპი შეიძლება დარღვეულ იქნეს მხოლოდ საგანგებო საკონსტიტუციო პროცედურების გამოყენების შემთხვევაში (მაგრამ არაეითარ შემთხვევაში პარლამენტში ხმათა უმრავლესობით ან აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით).

აქედან ორი მნიშვნელოვანი გარემოება გამომდინარეობს. უპირველეს ყოვლისა, ნამდვილ ფედერაციაში ცენტრს არა აქვს უფლება, შეცვალოს ან გააუქმოს ფედერაციის სუბიექტების საზღვრები. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ფედერაციული სახელმწიფოს ნორმალურად ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორობის, კომპრომისების მუდმივად ძიების, მოლაპარაკებითი პროცესებისადმი ერთგულების, ურთიერთმოთმინებისა და პატივისცემის პირობებში. ასევე მნიშვნელოვანია ცენტრის მიერ ფედერაციის სუბიექტების სპეციფიკური ინტერესების, ხოლო სუბიექტების მიერ ცენტრის უფლებების აღიარება.

ამრიგად, ფედერაციულ პროცესს აქვს ნათლად გამოხატული პოლიტიკურ-კულტურული განზომილება. იმისათვის, რომ ობიექტურად არსებულმა ეთნოკულტურულმა ან ქვეყნის რეგიონულმა განსხვავებამ ასახვა ჰპოვოს პოლიტიკურ პროცესში და მოახდინოს მისი სტრუქტურირება, საჭიროა სპეციფიკური პოლიტიკური კულტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდებსა და ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობას (ასეთ თანამშრომლობას კონსოციალიზმს უწოდებენ).

აქედან, შეიძლება გარკვეული დასკვნა გაგვეკეთებინა. კერძოდ ის, რომ მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ძალუძთ იყვნენ ნამდვილი ფედერაციები, რადგანაც მმართველობის მხოლოდ დემოკრატიულ ფორმას შეუძლია უზრუნველყოს მოლაპარაკების ნორმალური პროცედურა ცენტრსა და ფედერაციის წევრებს შორის. მაგრამ, ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს ფედერალიზმი ყოველთვის გამოიყენებოდა მესამე მსოფლიოსა და ყოფილი მეორე მსოფლიოს (სოციალისტური სამყაროს) მიერ. ფედერალური აზროვნება გვხვდება კულტურაშიც, რომელიც დაფუძნებულია კოლექტივიზმზე და საზოგადოების იერარქიულ ორგანიზაციაზე. მაგალითად, რეგიონებისა და ცენტრის ინტერესების კოორდინაცია სავსებით შესაძლებელია მიმდინარეობდეს პოლიტიკურ ელიტებს შორის შეთანხმების ფორმით, რომელიც შეიძლება მიზნად ისახავდეს:

- თავისი ჯგუფის (რეგიონის) კულტურული (ეროვნული) იდენტურობის შენარჩუნებას;
- მასში ისტორიული სამართლიანობის აღდგენას;
- არათანაბარი რეგიონული განვითარების შედეგების დაძლევას;
- ფედერალური პროცესისა და ფედერალიზმის ინსტიტუტების პრაქტიკის გაუმჯობესებას.

ფედერალიზმის შესახებ ერთ-ერთი ყურადსაღები განმარტების თანახმად სახელმწიფოებრივი მოწყობის ეს ფორმა წარმოადგენს სოციალური კონტროლის ტერიტორიულ სტრატეგიებს სხვადასხვა ეთნოსების ან რეგიონების თანაარსებობის უზრუნველსაყოფად. ენციკლოპედიური ლექსიკონი „ფედერალიზმს“ საზღვრავს ფორმალური ნიშნების მიხედვით. კერძოდ, როგორც სახელმწიფოებრიობას, რომლის საფუძველშიც დევს ფედერაციის წევრების (სუბიექტების) ტერიტორიების ერთიანი მთლიანი სახელმწიფოებრივი სივრცის ფორმირება. ფედერაციის სუბიექტები ჩვეულებრივ აღიჭურვებიან დამფუძნებელი ხელისუფლებით, ფლობენ შეზღუდულ სუვერენიტეტს საკუთარი კონსტიტუციის მიღების უფლებით. კომპეტენცია ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის იმიჯნება საკავში-

რო კონსტიტუციით. თითოეულ სუბიექტს აქვს თავისი სამართლებრივი და სასამართლო სისტემები. ერთდროულად არსებობს ერთიანი ფედერაციული მოქალაქეობა და ფედერაციის წევრი ერთეულების მოქალაქეობა.

ნამდვილი ფედერალიზაცია უნიტარულ სახელმწიფო დეცენტრალიზაციისაგან იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი არ სპობს იერარქიას „ცენტრი-პერიფერია“, მაშინ როდესაც ფედერაციულ სახელმწიფოში არ არის მაკონტროლებელი და დაქვემდებარებული ცენტრები და მხოლოდ პოლიტიკური მოლვაწეობის დიდი და მცირე არენები არის. ფედერალიზმის არსი სხვადასხვა მმართველობით ფუნქციაშია, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ არენაზე და სხვადასხვა მიზნებში რეალიზდება.

არსებობს ათი კითხვა (ჩამონათვალი), რომელთაგან პირველი ოთხი საშუალებას იძლევა ფედერაცია განვასხვაოთ კონფედერაციისაგან, ხოლო დანარჩენი ექვსის საშუალებით კი შეიძლება განვასხვავოთ უნიტარული სახელმწიფოსაგან.

ჩვენს მიერ აღნიშნული პირველი ოთხი საკითხის შინაარსი თანმიმდევრულად შემდეგში გამოიხატება:

1.აქვთ თუ არა ცენტრალურ ხელისუფლებებს საგარეო პოლიტიკაზე და ქვეყნის თავდაცვაზე განსაკუთრებული კონტროლი?

2.არსებობს თუ არა კონსტიტუციური გარანტიები სეპარატიზმისა და სახელმწიფოს დაცემის საწინააღმდეგოდ?

3.არის თუ არა ცენტრალური ხელისუფლების მოღვაწეობა დამოკიდებული სახელმწიფოს დანარჩენი ნაწილების მონონებაზე და მატერიალურ რესურსებზე?

4.ვინ ფლობს კონსტიტუციაში შესწორებების საბოლოო მიღების უფლებას?

მომდევნო ექვსი კითხვა, რომლებიც შეიცავს უნიტარული სახელმწიფოსაგან ფედერაციის განმასხვავებელ ნიშნებს, მდგომარეობს შემდეგში:

1.ფლობენ თუ არა სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილები ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვეობის გარანტიებს?

2.უზრუნველყოფილია თუ არა სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილის თანაბარი წარმომადგენლობის გარანტია პარლამენტის რომელიმე ერთ პალატაში მათი რეალური წონისა და საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში მათი მონაწილეობის უფლებამოსილების მიუხედავად?

3.არის თუ არა საერთო სახელმწიფოებრივი სასამართლო ინსტანცია, რომელიც ფლობს საერთო სახელმწიფოებრივი აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი და რეგიონში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი კონტროლის უფლებას?

4.შეინარჩუნა თუ არა რეგიონალურმა ხელისუფლებამ უფლებამოსილებანი, რომლებიც საერთო სახელმწიფოებრივმა კონსტიტუციამ არ გადასცა (არ მიაკუთვნა) ცენტრალურ ხელისუფლებას?

5.არსებითია თუ მეორეხარისხოვანია ეს უფლებამოსილებანი?

6.საკმაოდ მკვეთრად თუ არის კომპეტენციები გამიჯნული ცენტრალურ და რეგიონალურ ხელისუფლებებს შორის.

მართალია, დღეისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ზემოაღნიშნული ანკეტური კითხვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი ქვეყანა მაინც ფედერალურ სახელმწიფოს ჰგავს. ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში ყველა სტრატეგიულ საკითხზე გადაწყვეტილებებს ცენტრალური ხელისუფლება იღებს და მითითებული კრიტერიუმების უმრავლესობის მისადაგებით საქართველო, დე-იურე, ფედერაციული სახელმწიფო გამოდის.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რიგი სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთი კონსტიტუციის მიხედვით გამოცხადებული არიან ფედერაციულად, ყველა მაჩვენებლით მთლიანად და სავსებით არ შეესაბამებიან ზემოთჩამოთვლილ კრიტერიუმებს. ზოგჯერ ისეთ პრაქტიკასაც აქვს ადგილი, რომ ბევრი სახელმწიფო, რომელთა ძირითადი კანონები თავს იკავებენ მათი, როგორც ფედერაციულის დეფინიციისაგან, სინამდვილეში შეიცავენ ფედერაციის ტიპიურ ნიშნებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო მოკლე და ლაკონურია ფედერაციის შემდეგი განსაზღვრა: „ფედერალიზმი – ესა არის სუვერენული სახელმწიფოს ფორმის შესახებ ინსტიტუციური შეთანხმება, რომელიც სხვა სახელმწიფოებისაგან გამოირჩევა მხოლოდ იმით, რომ მისი რეგიონული ერთეულები, კონსტიტუციურად დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად მონაწილეობას იღებენ ცენტრალური მთავრობის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში.“[1]

ფედერალიზმს ზოგიერთები განსაზღვრავენ აგრეთვე, როგორც „მრავალკულტურიან საზოგადოე-

ბებში მოქალაქეთა სპეციფიკურად ღია და არამაჟორიტარული პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ფორმას ანუ როგორც პოლიტიკური კომპრომისის ფორმას იმ სოციალურ (ეროვნულ) – ტერიტორიულ ჯგუფებს შორის, რომლებიც შეადგენენ (ქმნიან) სუვერენულ სახელმწიფოს.

ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, მსოფლიოში 24 ფედერაციული სახელმწიფოა. ფედერაციულია ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა ინდოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ბრაზილია, რუსეთი და სხვ. ფედერაციულ სახელმწიფოებში თავმოყრილია მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით მესამედი და მათში ფუნქციონირებენ 300-ზე მეტი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

გარდა აღნიშნულისა, მსოფლიოს 22 სახელმწიფო იურიდიულად არ წარმოადგენს ფედერაციულს, მაგრამ მათი სახელმწიფოებრივი მოწყობა მოიცავს ფედერაციის ელემენტებს. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს კვაზიფედერაციები შეიძლება დაიყოს:

ა)მცირე კუნძულოვან სახელმწიფოებად (ასეთებია ფიჯი, ანტიგუა და ბარბუდა, პაპუა – ახალი გვინეა, სოლომონოს კუნძულები, ვანუატუ-ახალი გებრიდები);

ბ) დასავლეთ ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოები რეგიონალიზმის ხანგრძლივი ტრადიციებით (დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი);

გ)აზიის, აფრიკის მრავალეროვანი ქვეყნები კომპაქტურად დასახლებული ეროვნულ უმცირესობებით (ბირმა, განა, ნამიბია, სუდანი, თანზანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

კვაზიფედერაციები დაფუძნებული არიან მათი შემადგენელი ნაწილების მიერ კონსტიტუციური ძალის მქონე შეთანხმებით.

თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში ფედერალიზმის პრინციპები ძალიან ფართოდ გამოიყენება და, ამასთან, არამხოლოდ სახელმწიფოებრივ დონეზე. „ფედერალიზმის აფეთქება“ ხდება აგრეთვე ადგილობრივ ხელისუფლებათა დონეზე (ფედერაცია შეიძლება დავარქვათ მუნიციპალიტეტთა გაერთიანებებს, მაგალითად, საქალაქო აგლომერაციის საზღვრებში), სახელმწიფოს ზედა დონეზე (ევროკავშირი, რომელიც არსებითად თანდათან კონფედერაციაში გადადის) და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობაშიც.

ფედერალიზმის პრინციპების დიდი პოპულარობა თანამედროვე მსოფლიოში განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური გარემოებებითა და პარადიგმებით. თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის და მისი განვითარებისათვის დამახასიათებელია ქვეყნების მზარდი ურთიერთდამოკიდებულება (რაც შეხამებულია სხვადასხვა სახეობასთან და ერთიანობასთან) და მრავალრიცხოვანი არხების ფუნქციონირება (მხედველობაშია ინფორმაციების, ფინანსური ნაკადების, საქონლის, ენერგიისა და სხვათა გავრცელება).

ურთიერთდამოკიდებული, ფედერაციისაკენ სწრაფვადი მსოფლიო აშკარად ცვლის და ენაცვლება ე.წ. თვითკმარ (თვითკმაყოფილებად) სახელმწიფოებს, მეტ-ნაკლებად ერთსახოვან ერ-სახელმწიფოებს, რომლებშიც ხელისუფლება კონცენტრირებულია ერთადერთ ცენტრში.

ფედერალიზმის პრინციპები გამოიყენება საკონსტიტუციო შეთანხმებებში, რომლებიც მეტროპოლიებთან აკავშირებს ასოცირებულ სახელმწიფოებსა და ტერიტორიებს. ასეთები ამჟამად მსოფლიოში ოცდაოთხია, რომელთა ტერიტორია 2.5 მლნ. კვ. კმ– ზე მეტია, ხოლო მოსახლეობა 13 მლნ. ფედერაციული შეთანხმებები მსოფლიო პრაქტიკაში ორი სახის გვხვდება: 1) ასოცირებულ სახელმწიფოთა შეთანხმება, სადაც ძირითად და შემოერთებულ (მიერთებულ) კავშირი იმ პროცედურების შესაბამისად, რაც დადგენილი იყო დამფუძნებელ აქტში; 2) ფედერაციები, რომლებშიც ნებისმიერი ცვლილება მათ შიგა მოწყობაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ორივე მხარის ურთიერთთანხმობის საფუძველზე.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფედერაციებსა და არა-ფედერაციებს შორის მკვეთრად გამოხატული საზღვარი არ არსებობს.

უფრო ადვილია, ვთქვათ, თუ რომელი სახელმწიფოები არ წარმოადგენენ ფედერაციულს, ვიდრე ამომწურავი განსაზღვრება მივცეთ „ნამდვილ“ ფედერაციას. სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმათა სახესხვაობანი წარმოადგენს ისეთ ფენომენს, რომლის ამპლიტუდაც მერყეობს ძალიან დიდი ფედერაციულობიდან ძალიან მცირე და უმცირესი ფედერაციულობის ფარგლებში.

ფედერალიზმი საგანგებო მრავალსახოვანი შინაარსის გეგმაა. სინამდვილეში და რეალურად ფედერალიზმი არის:

1.სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა;

2.პოლიტიკური იდეოლოგია და პრაქტიკა; დოქტრინების, რწმენების, ტრადიციებისა და პრაგმატულ მოსაზრებათა შენადნობი;

3.სოციო-კულტურული ფენომენი;

4.ფედერაციულ ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის კომპრომისების ძიების მუდმივი პროცესი, რომლის გარეშე შეუძლებელია ფედერაციული სახელმწიფოს არსებობა.

საქმე იმაშია, რომ ფედერალიზმის არსი გამოიხატება ერთიანობისაკენ (მაშასადამე, გარკვეული ცენტრალიზაციისაკენ) და მრავალსახეობისკენ (სახესხვაობისაკენ) მისწრაფებაში და ამასთან დამოუკიდებლობაში და დეცენტრალიზაციაში. ამიტომ კონფლიქტი ფედერაციისა და მისი წევრების ინტერესებს შორის (კერძოდ, საბიუჯეტო პრობლემებზე) გარდუვალი და ბუნებრივია და ფედერაციული სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება გულისხმობს შეკავებისა და წონასწორობის ეფექტური სისტემის მოქმედებას, რაც საშუალებას იძლევა დარეგულირებულ იქნეს დაპირისპირება „ცენტრსა" და „პერიფერიას" შორის.

ფედერალიზმის ცნობილი მკვლევარი დ. ელაზარი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ფედერალიზმს, როგორც ერთიანობისა და მრავალსახეობისაკენ მისწრაფებათა წინააღმდეგობების გადაწყვეტის საშუალებას (ანუ ეროვნებათაშორისი შეთანხმების საშუალებას) და ფედერალიზმს, როგორც მიზანს, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ტიპს, რომლის აშენებასაც ესწრაფვიან მისი მამა-დამა-არსებლები (მოქალაქეთა პოლიტიკური კულტურის ხასიათის გათვალისწინებით). შესაბამისად, ფედერაციული პროცესი და ფედერაციული სახელმწიფოს სიმყარე, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, განსხვავებულია. ფედერალიზმის მაგალითის სახით, რომელიც გამოყენებული იყო წინააღმდეგობათა გადაწყვეტის საშუალება, შეიძლება მოვიყვანოთ მესამე მსოფლიოში არსებული მრავალეროვნული ფედერაციები – ინდოეთი და ნიგერია. მეორე ისეთ მაგალითად, სადაც საზოგადოებაც და სახელმწიფოც ორგანიზებულნი არიან ფედერალიზმის პრინციპებზე, შეიძლება დავასახელოთ შვეიცარია და ამერიკის შეერთებული შტატები.

როგორც პრაქტიკიდან ჩანს, შეიძლება და უნდა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ე.წ. ქვემოდან და ზემოდან შექმნილი ფედერაციები.

ქვემოდან შექმნილად მიიჩნევა ისეთი ფედერაცია, რომელიც ჩამოყალიბებულია მისი შემადგენელი ნაწილების ელიტათა შორის შეთანხმების საფუძველზე და რომელიც ასახავს ტერიტორიის ეთნოკულტურულ და სხვაგვარ დიფერენციაციას.

ზემოდან შექმნილად მიიჩნევა ისეთი ფედერაცია, რომელიც ფორმირებულია საერთო სახელმწიფოებრივი ელიტის გადაწყვეტილებით და რომელიც ახორციელებს გარკვეულ პოლიტიკურ პროექტს.

პირველ შემთხვევაში ფედერაციის მოქალაქეთა ახლად აღმოცენებადი პოლიტიკური იდენტურობა დაყრდნობილია უკვე არსებულ ეროვნულ (რეგიონულ) იდენტურობაზე. მეორე შემთხვევაში კი – ეროვნული იდენტურობა, როგორც წესი, ვითარდება პოლიტიკურთან კონკურენციის პირობებში.

საქართველოში ამჟამად მძაფრი ენებათაღელვაა გაშლილი ქვეყნის მომავალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ტერიტორიული მოწყობის თაობაზე. საკმაოდ ბევრნი არიან უნიტარული, ასევე ფედერაციული სახელმწიფოებრიობის მოწყობის მომხრენი. ეს პრობლემა ძალიან სერიოზულ დაფიქრებას, განსჯას, აზრთა შეჯერებასა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს. ჩვენ კი საქართველოს მომავალ სახელმწიფოებრივ მოწყობად მაინც ფედერალიზმის გზა გვეჩვენება, სადაც მაქსიმალურად, მსოფლიო გამოცდილების მხედველობაში მიღებით, იქნება გათვალისწინებული ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები. ერთი კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანას ყველა პრობლემაში მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და ნიუანსები აქვს, ამიტომ ქართული პრობლემების საერთო საზომებით ტრაფარეტულად გაზომვა და გადაწყვეტა, ალბათ, ვერ მოხერხდება. ამასთან დაკავშირებით გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ფედერაციის ფორმირების მიზეზებზე.საერთოდ, ფედერაციების ფორმირების მიზეზებსა და გარემოებებს შორის გამოიყოფა:

– გეოპოლიტიკური მიზეზები (ამაში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია საგარეო საშიშროების მიმართ ერთობლივად წინააღმდეგობის გაწევა, ქვეყნის შემადგენელი ნაწილების განლაგების თავისებურებათა გათვალისწინება მესამე ქვეყნის მიმართ – მოკავშირეთა და პოტენციალურ მოწინააღმდეგეთა მიმართ);

– ეკონომიკური გარემოებანი (სახელმწიფოთა ტერიტორიების გაერთიანების ხელსაყრელობის რეალიზაცია და უფრო ფართო ბაზრის შექმნა);

– ეთნოტერიტორიული და არატერიტორიული მიზეზები (კომპაქტურად განლაგებული ეთნიკური ან სხვაგვარი ერთობების უფლებათა აღიარება, მათ მიმართ დაშვებული ისტორიულ უსამართლობათა აღმოფხვრა);

– მოსახლეობის სოციალურ-ტერიტორიული ჯგუფების პოლიტიკური მობილიზაციის აუცილებლობა.

ფედერაციული სახელმწიფოები აგრეთვე კლასიფიცირდებიან ცენტრსა და ფედერაციის წევრებს

შორის ურთიერთობათა ასიმეტრიულობის ხარისხით, ფედერაციის წევრთა დე-იურე უთანხმოებით (სტატუსით), იმ ფაქტორების თანაფარდობით, რომლებიც რეგიონების ავტონომიურობას ხელს უწყობენ ან მის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

დეზინტეგრაციის ფაქტორებს შორის ჩვეულებრივ ფიგურირებენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სახელმწიფოების წინა გამოცდილება, განსხვავება ეკონომიკურ სტრუქტურაში, რეგიონების გეოგრაფიულად განპირობებული იზოლირებულობა, რეგიონული ეკონომიკური ინტერესები, ეთნიკური განსხვავებანი და სხვ.

თანამედროვე პრაქტიკა ყურადღებას ამახვილებს და გამოჰყოფს ფედერალიზმის სამ თეორიულ მოდელს: ამერიკულს, შვეიცარულსა და კანადურს.

ფედერალიზმის **ამერიკულ** გაგებაში სუვერენიტეტი ხალხს ეკუთვნის და ხელისუფლების სხვადასხვა განსხვავებული დონეები ახორციელებენ მხოლოდ იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც მათ ხალხის მიერ აქვთ დელეგირებული. ფედერალიზმისადმი ამერიკული მიდგომა – ინსტრუმენტალურია: მნიშვნელოვანია შედეგები, რომლებიც შეიძლება მივიღოთ ფედერალიზმის დახმარებით, და არა თვით ინტერესების შეთანხმების ძიების პროცესის ერთიანობის მხარდასაჭერად.

**შვეიცარიული** ფედერალიზმი პირველი თანამედროვე ფედერაციაა, რომელიც აგებულია ეთნოლოგისტიკურ საფუძველზე. ამასთან, ავღნიშნავთ, რომ შვეიცარიას „გაუმართლა", რამდენადაც მასში ეთნოლინგვისტური საზღვრები არ ემთხვევა რელიგიურს: ზოგიერთ გერმანულენოვან კანტონებში უმრავლესობა – პროტესტანტებია, სხვებში – კათოლიკეები. ამასთან, კანტონებს შორის საზღვრები ყოველთვის სულაც არ არის ეთნოლინგვისტური. ფედერაციის სუბიექტების სიმრავლე, მსხვილ სახელმწიფო წარმონაქმნებში თემის სახის ჯგუფების კონცენტრაციის არარსებობა იმთავითვე წარმოადგენდა კონფლიქტების საწინააღმდეგო გარანტიას. ამის გარდა, ფედერალიზმის შვეიცარული მოდელისათვის დამახასიათებელია პოტენციური კონფლიქტური პრობლემების დეპოლიტიზაცია უფლებამოსილებათა მაქსიმალურად დაბალ დონეზე დელეგირების გზით – ოლქებში, კომუნებში და არა კანტონებში.

**კანადური** ფედერალიზმის მოდელი ეფუძნება არა მხოლოდ მრავალკულტუროვანი საზოგადოების შექმნის პრინციპს, არამედ აგრეთვე იმის შესახებ წარმოდგენასაც, რომ ფედერალური სისტემა შეიძლება შეესაბამებოდეს საპარლამენტო რეჟიმს.

ფედერაციების მოდელებს შორის განსხვავების მიუხედავად, ზომები, რომლებიც მათში (ე.ი. ფედერაციებში) „ვერტიკალური" და „ჰორიზონტალური" კონფლიქტების გადასანაწევრებადაა მიმართული (ცენტრსა და სუბიექტებს შორის, თვით რეგიონებს შორის) და დეზინტეგრაციული ძალების საწინააღმდეგო ქმედებებს აქვთ ბევრი საერთო. ისინი შეიძლება დავყოთ ისეთ შემდეგ სახეებად როგორიცაა:

– ცენტრალიზაციის გაძლიერება. ისეთ დეცენტრალიზებულ ფედერაციაშიც კი, როგორიცაა აშშ, უკანასკნელ წლებში ბევრი ინერებოდა იძულებითი ფედერალიზმის თაობაზე. საკითხი ეხებოდა ფედერალური კანონების მიღებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ შტატებმა ზემოდან ფედერალური პროგრამების დაუფინანსებლობის დროს. ეს გარემოება შეფასებულ იქნა, როგორც კომპეტენციის განაწილების დოქტრინიდან უკან დახევა, რომელიც ასახავდა შტატების ფედერალურ ფონდებზე დამოკიდებულებას;

– სიტუაცია, რომელსაც შიგა ფედერალურ ურთიერთობებში მივყავართ ასიმეტრიულების ზრდისაკენ (ერთი ნაწილი სუბიექტებისა ხდებიან უფრო თანასწორნი, ვიდრე დანარჩენნი);

– სუბიექტების რიცხოვნობისა და საზღვრების ცვლილება – სახსრები გამოყენებული მესამე სამყაროს ფედერაციულ სახელმწიფოებში;

– არამაჟორიტარული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შემოღება;

– კონსტოციალიზმი – კომპეტენციების დელეგირება თვითმმართველობის მაქსიმალურად დაბალ ტერიტორიულ დონეზე, რამაც უნდა გამოინეიოს პრობლემათა დეპოლიტიზაცია (შვეიცარული მოდელი). მაგრამ მრავალეროვან სახელმწიფოებში ეს საშუალება გამოსადეგია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეთნიკური ელიტები რეალურად აკონტროლებენ ხელისუფლებას თავიანთ რეგიონებში. ძალიან ფასეულია; რომ ნებისმიერ უმცირესობას ჰქონდეს მნიშვნელოვან საკითხებზე ვეტოს უფლება, თავიანთი ინსტიტუციონალური ან ტერიტორიული ავტონომია.

ფედერაციები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნენ ფორმალური ნიშნების მიხედვითაც, მაგრამ, ამასთან ერთად მეტად საგრძნობი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ნიშნების მიხედვით – ფედერაციის სუბიექტების რაოდენობისა და მათ ტერიტორიებს შორის არსებული განსხვავების მიხედვით, აგრეთვე მოსახლეობისა და განვითარების დონის განსხვავების მიხედვით.

ფედერაციის ფორმალური ნიშნის მიხედვით კლასიფიცირების მახასიათებლების მნიშვნელობა გასათვალისწინებელია დღევანდელი საქართველოსთვისაც. ამას ჩვენთვის არც თუ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ექნება, როდესაც საკითხი შეეხება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ტერიტორიული დაყოფისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემებს. საქმე იმაშია, რომ მიუხედავად საქართველოს ტერიტორიის სიმცირისა, სახეზე გვაქვს ცალკეულ ტერიტორიულ წარმონაქმნთა შორის ტერიტორიული თვალსაზრისით განსხვავებანი, აგრეთვე განსხვავება მოსახლეობის რაოდენობის მხრივაც, ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით და სხვა.

უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ფედერაციების ყოველგვარი ტიპოლოგია პირობითია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლაპარაკია ისტორიულად ჩამოყალიბებული და ამჟამინდელი ფაქტორების საგრძნობლად დიდ განსხვავებაზე და მრავალსახეობებზე, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ თანამედროვე მსოფლიოში ფედერაციებისა და მათი ინსტიტუტების ფორმირებაზე. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შეიძლება გამოიყოს ფედერაციათა რამოდენიმე ტიპი, რომლებიც ხასიათდებიან განვითარების სპეციფიკური ტრაექტორიებით. თანამედროვე მსოფლიოს 24 კონსტიტუციური ფედერაციიდან საბოლოო ჯამში გროვდება ფედერაციათა არანაკლებ შვიდი ტიპი, რომელთაგან თითოეულს ფორმალურად იზიდავენ (ენევიან) უნიტარული სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთ სახელმწიფოებრივ მოწყობაში სარგებლობენ ფედერალიზმის პრინციპებით.

### 22.2 ფედერაციის ძირითადი ტიპები

შევეცდებით ძალიან მოკლედ მიმოვიხილოთ ამჟამად არსებულ ფედერაციათა ძირითადი ტიპები:

***დასავლეთ-ევროპული ტიპი*** – ამ ტიპის უპირველესი წარმომადგენლები არიან გერმანია, ავსტრია, ბელგია, შვეიცარია ანუ ძველი დასავლეთ-ევროპული დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც არიან ან არ არიან დაკავშირებული მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურით, თვითმმართველობის ხანგრძლივი ტრადიციებით, შემადგენელი ნაწილების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობით, პოლიტიკურ და ეთნიკურ იდენტურობას შორის მყარი თანაფარდობით. ამავე ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც: კერძოდ, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, იტალია და ა.შ.

***ჩრდილო ამერიკული ტიპი*** – აქ თავმოყრილია ძველი ინგლისურენოვან „გადასახლებულთა“ ფედერაცია, რომელიც შექმნილია „ქვემოდან“ ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობის საფუძველზე და ნაკლებად არიან დაკავებულები ეთნიკურ და სხვაგვარ სოციალურ განსხვავებებთან. ამ ტიპის ფედერაციის ქვეყნები ხასიათდებიან მყარი პოლიტიკური იდენტურობით და სახელმწიფო ხელისუფლების ძალიან დიდი დოზის დეცენტრალიზაციით. ფედერაციის ჩრდილო ამერიკული ტიპის წარმომადგენელი სახელმწიფოებია ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია.

***ლათინოამერიკული ტიპი*** – გულისხმობს მექსიკას, არგენტინას, ვენესუელას, ბრაზილიას. ეს ტიპიც წარმოადგენს „გადასახლებულთა“ ფედერაციას, რომელიც შექმნილია „ზემოდან“ ესპანეთისა და პორტუგალიის იმპერიების და ნაწილი მათი კოლონიების დაცემის შედეგად. ამ ტიპის ფედერაციული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია ის, რომ არ არიან დაკავშირებული ეთნიკურ განსხვავებებთან. არიან ასიმეტრიულები სუბიექტების დიდი რაოდენობითა და სახელმწიფო ხელისუფლების ძალიან მაღალი ცენტრალიზაციით, რაც შეხამებულია სუბიექტებში თვითმმართველობის განვითარებულ ინსტიტუტებთან. ამ ტიპის ქვეყნებში რეგიონების სიმრავლე და ფედერაციის ასიმეტრიულობა უკავშირდება ტერიტორიებისაგან ახალი თანაბარ უფლებიანი სუბიექტების შექმნას ან კიდევ ახალი სუბიექტების შექმნას „ძველი“ შტატების დაყოფის შედეგად (განსაკუთრებით ახალი ათვისების რაიონებში). ფედერაციის ახალი სუბიექტების ფორმირების საკითხი აქ – ლათინოამერიკულ ქვეყნებში – ტრადიციულად გამოყენებული იყო როგორც საკმაოდ ეფექტური მეთოდი შიდაფედერაციულ ურთიერთობათა და სოციალურ დაძაბულობათა რეგულირებისათვის.

კუნძულოვანი ტიპი, რომელიც აერთიანებს მიკრონეზიის, სენკიტსის და ნევის, კომორსკის კუნძულების ფედერაციულ შტატებს. ამ ტიპის ფედერაციები წარმოადგენენ ახალგაზრდა კუნძულოვან ფედერაციებს, რომლებიც შეიქმნენ კოლონიური იმპერიების დაცემის შედეგად, არიან ასიმეტრიულები და სუსტად ინტეგრირებულნი.

***აფრიკაზიური ტიპი***, რომელსაც განეკუთვნებიან ინდოეთი, მალაიზია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სხვა. ამ ტიპის სახელმწიფოები წარმოადგენენ ახალგაზრდა, მაგრამ მყარ ცენტრალიზებულ ფედერაციებს, რომლებიც შექმნილია „ზემოდან“ მანამდე არსებული ფეოდალურ სახელმწიფოთა ეროვნული ელიტისა და რეგიონების ეროვნული ელიტის კომპრომისების საფუძველზე. ამასთან რეგიონების ეროვნულმა ელიტამ მიაღწიეს რეგიონების ფედერაციის სუბიექტებად გადაქცევას;

აფრო-აზიური ტიპის სახელმწიფოთა ფედერალიზმი მაღალ ასიმეტრიულია რეგიონების პოტენციალში მკვეთრი განსხვავებებით და, როგორც წესი, ქვეყნის ცენტრშიც და ადგილებზეც ავტორიტარული მმართველობის არსებითი ელემენტების შენარჩუნებით. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კი, სადაც აპარტეიდის რეჟიმის დამსხვრევის შემდეგ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, ერთმანეთთან არის შეთავსებულ-შეხამებული „აფრო-აზიური" და „გადასახლებულების" ტიპის ელემენტები.

***ნიგერიული ტიპი,*** მოიცავს ნიგერიას, პაკისტანს, ეთიოპიას და მიანმას. ფედერალიზმის ეს ტიპი წარმოადგენს ახალგაზრდა მაღალ ცენტრალიზებულ ფედერაციებს არამყარი ავტორიტარული რეჟიმებით, რაც ჩამოყალიბდა დეკოლონიზაციის შედეგად. ფედერაციული მოწყობის პრინციპები მათში გამოყენებულია ცენტრალური ხელისუფალთა მიერ („ზემოდან") და ის გამოყენებულია როგორც საშუალება იმისათვის, რათა შენარჩუნებულ იქნეს ეთნიკურად, სოციალურად და ეკონომიკურ თვალსაზრისით სხვადასხვაგვარი რეგიონების ერთიანობა. ეს ფედერაციები ასიმეტრიულია ადგილებზე თვითმმართველობის სუსტი და ფორმალური ინსტიტუტებით, რეგიონების საქმეებში ცენტრის დაკანონებული ხშირი ჩარევებით.

ფედერაციის ამ ტიპის დამახასიათებელი თავისებურებანი ყველაზე სრულად არის განხორციელებული ნიგერიაში. ამ ქვეყანაში ცდილობდნენ შეექმნათ ტერიტორიული და არა ეთნიკური ფედერაცია, რომელიც შედგება დაახლოებით ერთნაირი და მსგავსი შტატებისაგან; ნიგერიაში ასევე ცდილობენ განახორციელონ ცენტრალურ მთავრობაში პოსტების თანაბარი განაწილება. ამით ისინი იღწვიან, რომ თავიდან აიცილონ რომელიმე ეთნიკური და რეგიონული ჯგუფების ჰეგემონია. აღსანიშნავია ის, რომ ნიგერიაში შტატებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული წინააღმდეგობები ემთხვეოდა ეთნიკურ წინააღმდეგობებს, რამაც სამჯერ გამოიწვია პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრების ხელახალი გამოჭრა – ჩამოყალიბება. ნიგერიის ხელისუფლება ცდილობს გამოიყენოს ფედერალიზმის დადებითი მხარეები და თავიდან აიცილოს მისი უარყოფითი მხარეები.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თვით ნიგერიის კონსტიტუცია საზღვრავს და აკანონებს ნიგერიის ფედერალიზმის „მაღალცენტრალიზებულობას". ფედერაციული ხელისუფლების კონპეტენციათა ჩამონათვალი მოიცავს 60-ზე მეტ პუნქტს. ნიგერიაში ცალკეულ შტატებს არა აქვთ საკუთარი მოქალაქეობა, თავიანთი კონსტიტუციები, არ შეუძლიათ გამოვიდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად, არ ფლობენ ფედერაციიდან გამოსვლის უფლებას. მათი განსაკუთრებული კომპეტენციაა სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლისა და პროცესუალური კანონმდებლობა, მაშინ როდესაც ცენტრისა და შტატების ერთობლივ კომპეტენციას განეკუთვნება ეკონომიკური განვითარების, გადასახადების აკრეფისა და შემოსავლების განაწილების, ენერგეტიკის, უმაღლესი განათლების საკითხები.

# რეგიონული მიზნობრივი პროგრამები

## 23.1 პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდები

ადრე ჩვენ არაერთგზის მიეუთითებდით პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების გამოყენების შესახებ ტერიტორიულ განვითარებაში სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობაზე და განვიხილეთ კიდეყაც კერძო მაგალითები ასეთი გამოყენების ასოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა პრობლემების გადაწყვეტაზე კონკრეტულ ტერიტორიებზე. ახლა აუცილებელია ამ პრობლემის ცალკე განხილვა. ამისათვის რამდენიმე საფუძვლიანი პირობა არსებობს.

პირველი. ჩვენს კონცეფციაში ტერიტორიული განვითარების პროგრამულ-მიზნობრივი გადაწყვეტის სახელმწიფოებრივი დარეგულირების შესახებ მრავალ შემთხვევაში განიხილებიან როგორც ძალთა და საშუალებათა მაქსიმალური ლოკალიზებული კონცენტრაციის მოთხოვნათა შესაბამისობაში პრიორიტეტული მიზნების მიღწევა.

მეორე. პროგრამები დაკანონებულია. არსებობს კანონი და პრეზიდენტის ბრძანებულება. არსებობს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესები მათი დამუშავების და რეალიზაციის შესახებ, თითოეულ ასეთ პროგრამაზე არის თავისი აბზაცი სახელმწიფო ბიუჯეტში და ა.შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ის კანონიერი გზაა ზოგიერთი რეგიონული პრობლემის გადაჭრისა, რომელიც არა მარტო მიზანშეწონილია, არამედ ასევე გამოყენებული უნდა იყოს.

მესამე. ჩვენთან და საზღვარგარეთ დაგროვილია დიდი გამოცდილება პროგრამების დამუშავებისა და მათ რეალიზაციაზე. ეს გამოცდილება (როგორც შემდგომში დავამტკიცებთ), მიუხედავად მისი ხარვეზებისა, რეალურად არსებობს და არ შეიძლება არ შევამჩნიოთ მათი ხარისხობრივი გაუმჯობესება.

მეოთხე. პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების ტერიტორიულ განვითარებაში გამოყენების ბუნებრიობის მიუხედავად, მათი კანონიერება და პრაქტიკული გამოყენება, მათი შინაარსი და რეალური შესაძლებლობები მოითხოვენ ახლებურ განსჯას და ინტერპრეტაციას. პროგრამების „მეორედ მოსვლის“ ფენომენი შეუერთდა უწინდელ ფორმალურ დამოკიდებულებას პროგრამებზე. ეს მოვლენა დაწვრილებით განხილვას მოითხოვს. სტაჟიან მკითხველებს კარგად ახსოვთ მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების „პროგრამული ციებ-ცხელება“, რომელიც მოიცავდა ყველაფერს ყველაფერში. ამ პროცესში ჩართული იყვნენ ყველა დონის მმართველობები – ცენტრალური ხელისუფლებიდან დაწყებული სასოფლო საბჭოს ჩათვლით. პროგრამები მუშავდებოდა ასობით სამეცნიერო კოლექტივებში – აკადემიური ინსტიტუტებიდან დარგობრივ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ჩათვლით, ათასობით საწარმოები და ორგანიზაციები – გიგანტი ქარხნებიდან წვრილ სახელოსნოებამდე. ტარდებოდა სათანადო თათბირები და კონფერენციები, იბეჭდებოდა წიგნები და სტატიები, მტკიცდებოდნენ მეთოდური რეკომენდაციები და ა.შ.

ამ მოვლენებს განმსაზღვრელი ობიექტური საფუძვლები გააჩნდათ. მსხვილმასშტაბიანი და ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა ახალ ფორმებს და მექანიზმებს მოითხოვდა პრიორიტეტულ შეძენებში და რესურსების კონცენტრაციაში. პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა უზრუნველყოფდა სათანადო გადაწყვეტილებების პოვნას. ამას გარდა, მუშაობდნენ რა პროგრამებზე, დარგის სპეციალისტები ხშირად პირველად იგებდნენ ტერიტორიების და დარგების სიძნელეებს, რითაც ისპობოდა უწყებრივი ბარიერები, ძლიერდებოდა კორდინირება გადაწყვეტილებების მიღებაში, იქმნებოდა სერიოზული მეცნიერულ-მეთოდური კონცეფციები.

პროგრამების დამუშავების დროს ყოველთვის ვერ მიიღწეოდა ამოცანაში ნამდვილი პრიორიტეტების გამოვლინება. იმ წლების პროგრამები ვერ გაცდნენ გეგმური პროცესების მისწრაფებებს. ყველაფრის მომცველობაზე (აქედან სახელწოდება „კომპლექსური“), პროგრამული გარსაცმი უბრალოდ ფარავდა ჩვეულებრივ გეგმებს. საუბედუროდ ეს გენეტიკური ხარვეზი შემორჩენილია დღევანდელ პროგრამებშიც.

მეთოდის დისკრეტიზაცია. იმდროინდელ ხელმძღვანელობაში პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების არსის უცოდინარობამ და მათი პოლიტიკურ კამპანიად გადაქცევამ განსაზღვრულ ზომებში დისკრეტიზაცია გაუწია თვით პროგრამული რეგულირების იდეას. ამას გარდა, საზოგადოებრივ ცნობიერებაში მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების პროგრამები ისე მჭიდროდ დაუკავშირდა გეგმებს, რომ რადიკალური რეფორმების დაწყების შემდეგ პროგრამული იდეოლოგიის გამოყენება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა პროგრამებით „გართობის“ რეციდივი, მათი „მეორედ მოსვლა“;

თუმცა ის მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რაც 15-20 წლის წინ ხდებოდა. უპირველეს ყოვლისა შეიცვალა მოტივაცია: ხელისუფალთა მისწრაფება ჩაერთოს პრობლემებში ან მიიღონ ისინი თავიანთი რეგიონებისათვის. ახლა პროგრამა აღიქმება როგორც მიზეზი ჩვეულებრივი სამუშაოების განსაკუთრებული დაფინანსებისთვის. მიზნობრივი პროგრამების შესახებ განსაკუთრებული უთანხმოებები არ უნდა არსებობდნენ.

ყველამ იცის, რომ პერიოდულად ჩნდებიან პრობლემები, რომლებიც არაორდინალურ გადაწყვეტას და განსაკუთრებულ კოორდინაციას და ფინანსური საშუალებების (ასევე სხვა საშუალებების) კონსოლიდაციას მოითხოვენ. ასეთი პრობლემების წრე საკმაოდ დიდია – სოციალურ-ეკოლოგიური კატასტროფებიდან დაწყებული უკანასკნელი უმნიშვნელო საქმეების ჩათვლით. ბუნებრივია, რომ ფინანსების მუდმივი უკმარისობის პირობებში აუცილებელია პრიორიტეტული (განსაკუთრებით გადაუდებელი) პრობლემების მოგვარება – ეს პირველი და ერთ-ერთი საპასუხისმგებლო მომენტია მიზნობრივი პროგრამების ეტაპების დამუშავებაში.

ასევე გასაგებია, რომ ასეთი პრიორიტეტული ამოცანების გადასაწყვეტად უნდა დამუშავდეს კონკრეტული მოქმედების ამომწურავი ერთობლიობა, რომელთა ჩამონათვალი და ვარიანტები შეიძლება სულ სხვადასხვა იყოს. ამიტომაც, აქაც საჭიროა მხოლოდ ისეთი ამოცანების შერჩევა, რომლებიც საშუალებას იძლევიან დასახული მიზნების მიღწევას უმცირესი დანახარჯებით და უმოკლესი გზებით. ამისათვის, როგორც წესი, საჭიროა (აუცილებელია) არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური, საინვესტიციო და ა.შ. პროექტების რეალიზაცია, არამედ ასევე მრავალი საფინანსო საკითხების და საკადრო, საორგანიზაციო უზრუნველყოფის გადაწყვეტა. ასევე ნათელია, რომ ასე მომზადებული პროგრამების პროექტზე საჭიროა ოფიციალურად დამტკიცდეს და დირექტიულად დაუკავშირდეს დაფინანსების წყაროს (მაგალითად, ცალკე ჩამოყალიბდეს საბიუჯეტო აბზაცში) და დაინიშნოს პასუხისმგებელი შემსრულებელი.

და ბოლოს, სრულიად ნათელია, რომ პასუხისმგებელი ორგანიზაციები და პირები ვალდებული არიან შეასრულონ პროგრამების დავალებები, პასუხი აგონ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე, ყოველწლიურად (ან დათქმულ ვადებში) დაამტკიცონ ფინანსირების გაგრძელების აუცილებლობა და ა.შ.

ერთადერთი დოკუმენტი, სადაც იურიდიულად განმტკიცებულია ცნება „პროგრამა“, არის კანონი. ამ კანონით დამტკიცებული ნორმატიული გაგება „მიზნობრივი პროგრამა“ იხსნება მსგავსი პროგრამების შემუშავების და რეალიზაციის პრინციპებზე მითითებით. ამასთან ერთად სხვადასხვა სამთავრობო გადაწყვეტილებებში გამოყენებულია ტერმინები „პროგრამა“, „სახელმწიფო პროგრამა“, „საუწყებათშორისო პროგრამა“, „კომპლექსური პროგრამა“ და სხვა. ამჟამად ასევე გამოყენებულია ტერმინი „საპრეზიდენტო პროგრამა“, „რეგიონების განვითარების პროგრამა“. ბუნებრივია შეკითხვა: ეს სინონიმებია? თუ არა, მაშინ რაშია მათ შორის განსხვავება, როგორია თითოეული სახის პროგრამის დამუშავების და რეალიზაციის წესები.

რეგიონული პოლიტიკის დამუშავების და რეალიზაციის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდები თანამედროვე პირობებში, ისე როგორც 20 წლის წინ, პირდაპირ დამოკიდებულებაშია იმასთან, თუ „სახელწოდებითი პროგრამები“ რამდენად წარმოადგენენ „ნამდვილ პროგრამებს“ და მითითებული მეთოდების ინტერპრეტაცია რამდენად ადეკვატურია ახალ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ რეალობასთან. ვაკეთებთ რა ასეთ „განლაგებებს“ ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინებს „პროგრამები“, „პროგრამული დავალებები“ და ა.შ. როგორც პროგრამების მახასიათებლებს, ხოლო ტერმინებს „პროგრამული დამუშავება“ და „რეგიონული პროგრამირება“ – პროგრამების დამუშავების და რეალიზაციის პროცესის დახასიათებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი ტერმინები ხშირად გამოიყენება ლიტერატურაში საზღვარგარეთის გამოცდილების გამოყენებაზე რეგიონულ პროგრამებში.

ცნება „პროგრამა“ თანამედროვე გაგებით მეცნიერების და პრაქტიკოსების მიერ წინა საუკუნის 70-ანი წლებიდან გამოიყენება, როდესაც ცხადი გახდა ტრადიციული დაგეგმვის მეთოდებით მუშაობა. პროგრამებით დაინტერესებას თანაბარი ხარისხით ხელს უწყობდა დარგთაშორისო კომპლექსები, ასევე გეგმიური წესრიგის საერთო დასუსტება, ასევე მრავალი ხელმძღვანელის სურვილი – გამოენახათ ალტერნატივა სახელმწიფო გეგმების სტრუქტურებში მათი დაუფარავი დარგობრივი მიმართულებით.

უკანასკნელმა გარემოებამ ბევრად განსაზღვრა მძლავრი რეგიონული გადახრა პირველ საბჭოთა პროგრამებში. მაშინ ქვეყანა მოიაზრებოდა სახელმწიფოს ხელმძღვანელებით მსხვილი მეურნეობის სახით (მას „ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი“ ერქვა), ხოლო რეგიონები – ამ მეურნეობის დარგების ჯამის სახით, რომლებიც განლაგებული იყვნენ სათანადო (შესაბამის) ტერიტორიებზე. ტერიტორიული დაგეგმვა, თავისი არსით, რჩებოდა იმავე სახალხო-სამეურნეო გეგმის „ტერიტორიულ

ჭრილად“, ხოლო რეგიონული მიზნობრივი პროგრამების დამუშავება უფრო კომპლექსური და ნამდვილად ტერიტორიული მომავალი გეგმების საფუძვლად გვეელინება.

1976-89 წლებში გამოქვეყნდა ასობით გამოცემა, რომლებიც მთლიანად ან ცალკეული ნაწილის სახით განიხილავდნენ პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადასაწყვეტად. იმავე პერიოდში დაცულ იქნა ათობით სადოქტორო დისერტაციები პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმარების მეთოდოლოგიაში ან მათი ამა თუ იმ სახალხო-სამეურნეო პრობლემების გამოყენების შესახებ. სიმპტომატურია, რომ ამ პუბლიკაციებიდან ყოველი მეორე და დისერტაციების 60% განიხილავდა რეგიონულ პრობლემატიკას.

ამ „საგამოკვლევო ბუმის“ დაწყებისთანავე შეიძლებოდა მეცნიერთა რეგიონული პროგრამების სამი ძირითადი სფეროთი დაინტერესება: მსხვილი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტა რამდენიმე რეგიონის მასშტაბით, პრობლემების გადაწყვეტა ცალკეული რეგიონის და ტერიტორიის მასშტაბით და მესამე – დარგობრივი პრობლემების გადაწყვეტა რეგიონულ დონეზე.

მე-20 საუკუნის ბოლო ათასწლეულებში ჩამოყალიბდნენ მეცნიერული სკოლები და მყარი შემოქმედებითი კოლექტივები, რომლებმაც რეგიონული მეთოდოლოგიური პროგრამები თავიანთ ძირითად საქმიანობად გაიხადეს. მათ შორის დამაჯერებლად შეიძლება აღინიშნოს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორების რ. შნიპერის და მ. ბანდმანის სკოლები, რომელშიაც გაერთიანდნენ ტერიტორიული განვითარების პროგრამულ-მიზნობრივი რეგულირების ენთუზიასტები: ა. მარშალოვი, ვ. ლოსენკო, გ. უნტურა, ნ. ლარინა, ა. კისელნიკოვი, ა. ნოვოსელოვი და სხვები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ სკოლებისათვის მ. ბანდმანის შრომებს ჰქონდა. ისინი ათეულობით წლები ატარებდნენ კონფერენციებს და სემინარებს სხვადასხვა ეკონომიკური დარგის ინსტიტუტებში. ისინი ამუშავებდნენ უნიკალურ ეკონომიკურ პროექტებს რეგიონული განვითარების შესახებ (პროგრამა ბამ-ი, პროგრამა „ციმბირი“ და სხვები). მათმა პროგრამებმა ბევრად გაუსწრეს დროს. ისინი ნაყოფიერად გამოიყენებიან და ვითარდებიან საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნეშიც. ამის მაგალითია პროექტი „ქვემო ანგარისპირეთი“, რომლის დამუშავების და ძირითადი დებულებების ლოგიკა გამოქვეყნდა 1996 წელს, ნოვოსიბირსკში.

რ. შნიპერის და მ. ბანდმანის სკოლაში დაგროვდა რეგიონული რეგულირების უდიდესი მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ეყრდნობოდა საკუთარ გამოკვლევებს და ღრმა ცოდნას. ამ მოღვაწეობის მწვერვალი იყო ნოვოსიბირსკში გამოქვეყნებული „სხვადასხვა დონის რეგიონული პროგრამების მომზადების მეთოდოლოგიური დებულებები“. რეგიონული პროგრამების დამუშავების იმდროინდელ შეხედულებათა ეს კვინტესენცია (საფუძველი, არსი) იმსახურებს დეტალურ განხილვას, ხოლო ზოგ შემთხვევაში პირდაპირ ციტირებასაც. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ „დებულებების“ შექმნიდან რუსეთის საბაზრო ეკონომიკაში შესვლამდე და ტოტალური სახელმწიფო დაგეგმარების უარყოფამდე კიდევ 3 წელი რჩებოდა. ამიტომაც პროგრამები არა მარტო გამოიყოფოდნენ გეგმებისგან, არამედ მოიაზრებოდნენ როგორც მათი ხარისხობრივი საფუძვლები და როგორც ამ გეგმების შემდგომი ორგანული ნაწილი. (ხშირად იყო გამოყენებული ტერმინები: „პროგრამული დაგეგმარება“, „დაგეგმვის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდები“ და ა.შ.).

პროგრამა მიიღებოდა როგორც რესურსებთან, შემსრულებლებთან და შესრულების ვადებთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური, საწარმოო, მეცნიერულ-საგამოკვლევო, ორგანიზაციული და სხვა ამოცანების და ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც მიმართული იყვნენ გრძელვადიანი სახალხო-სამეურნეო პრობლემების რეალიზაციისკენ. ამასთან ერთად რეგიონული პროგრამული დაგეგმარების საგნად ითვლებოდა ტერიტორიული პრობლემა, ხოლო ძირითად ამოცანად – ქვეყნის ეკონომიკის, დარგების და ცალკეული რეგიონული სოციალ-ეკონომიკური სისტემის განვითარების ინტერესთა ურთიერთკავშირი.

პროგრამული დამუშავებისათვის შერჩეულ იქნა პრობლემების შეფასების ხარისხობრივი კრიტერიუმები და მათი გადაწყვეტის მიმდევრობა, მათ შორის პრობლემის აქტუალობა (რომელიც უნდა შეფასებულიყო მათი გავლენის ხარისხის მიხედვით ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებზე. და, კერძოდ, დაგეგმარების პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. ასევე ჩამოყალიბდა ის კრიტერიუმებიც, რომლებიც ეხებოდა რეგიონული კომპლექსური პროგრამების დამუშავების ვადას. მათ რიცხვში ავტორები თვლიდნენ:

*სივრცობრივი სტრატეგიის ძირეული შეცვლა და შექმნილი ეკონომიკური სტრუქტურების და ტერიტორიული პროპორციების მოშლა (შეცვლა).

*ახალი, ექსტრემალურ პირობებში მყოფი ტერიტორიების მეურნეობრივი ათვისება;

*მრავალმხრივი ხასიათის რესურსების კომპლექსური გამოყენების მიზნით რაიონთაშორისი და შიგასარაიონო დარგთაშორისი ურთიერთკავშირი და ახალი ტერიტორიული საწარმოო კომპლექსების ფორმირება;

*სერიოზული ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური შედეგების მქონე ხანგრძლივი მოქმედების პროექტების განხორციელება;

*ინტენსიფიკაციის როგორც დარგობრივი, ისე ტერიტორიული განვითარების სფეროში არსებული ყველა რეზერვის კომპლექსური გამოყენება;

*ტერიტორიული პრობლემების გადაჭრისათვის სპეციალური სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება.

ეროვნულ-სამეურნეო ორიენტაცია, რომლის შესახებაც ჩვენ არაერთხელ მივუთითებდით, საფუძვლად დაედო წარმოდგენილ რეგიონული პროგრამების კლასიფიკაციას. „მეთოდოლოგიური პროგრამების“ ავტორები განასხვავებდნენ მეცნიერულ-საგამოკვლევო პროგრამებს (რომელთა მიზანია რეგიონის განვითარების კონცეფციის ფორმირება, ტერიტორიის მეცნიერული და საპროექტო მომზადება და კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების რეალიზაცია); რესურსული პროგრამები, რომლებიც მიმართულნი არიან ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისაკენ, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ზრდა; საინვესტიციო პროგრამები, რომელთა მიზანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა კაპიტალდაბანდებისათვის; საწარმოო-ეკონომიკური პროგრამები, რომელთა შემუშავების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ დარგთაშორისი კავშირების დამყარება ნაკლებად იყვნენ გათვალისწინებული დარგის დაგეგმარების და მართვის სისტემაში, რაც თავის მხრივ, მოითხოვდა დეფიციტური პროდუქციის და მომსახურების პროგრამულ უზრუნველყოფას (ტიპიური მაგალითი „სასურსათო პროგრამა“); სოციალური პროგრამები, მათი დამუშავების აუცილებლობა განისაზღვრება კვლავწარმოების სპეციფიკით და ადამიანთა ტერიტორიული ურთიერთობების და იმით, რომ სოციალური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობენ მრავალრიცხოვანი უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ერთმანეთის საქმიანობას; ეკონომიურ-ეკოლოგიური პროგრამები, რომლებიც აღიარებული იქნენ ნებისმიერი რეგიონული კომპლექსური პროგრამების შემადგენელ ნაწილად, ზოგიერთ შემთხვევაში კი (მაგალითად, ნორმალური ეკოლოგიური რეჟიმის აღდგენის და შენარჩუნების ამოცანათა გადაწყვეტის დროს) შეიძლება დამოუკიდებელიც კი გახდეს.

გარდა „ეროვნულ-სამეურნეო“ კლასიფიკაციისა, წარმოდგენილი იყო ფრიად საინტერესო პროგრამების ჯგუფები „საწარმოო ძალთა ორგანიზაციის ტერიტორიული ფორმების“, „სიერცობრივი რეალიზაციის ხასიათის“ სახით. ამ მიმართულებით გამოიყოფოდნენ „ქანქარას ტიპის პროგრამები“, რომელთა ძირითადი იდეა დაიყვანებოდა ისეთი ფაქტორების ამოქმედებამდე, როგორიცაა შრომის ტერიტორიული დაყოფა და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის ეფექტური ორგანიზაციაა. ფრონტალური რეგიონული პროგრამები, რომლებიც მოიცავენ დიდი რეგიონული სისტემების სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე გავლენას; კერის ტიპის პროგრამები, რომლებიც მიმართული არიან ერთიანი ინფრასტრუქტურის ბაზის მქონე ტერიტორიულ-სანარმოო კომპლექსის შექმნისაკენ; ლოკალური პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული არიან ქალაქების და ქალაქის ტიპის აგლომერატების სტრუქტურების სრულყოფისაკენ და სამრეწველო კვანძების შექმნაზე, რომლებსაც საინჟინრო კომუნიკაციების ერთიანი ქსელი გააჩნიათ.

რეგიონული პროგრამების უკანასკნელი ჯგუფი საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო ინტერესების დონეზე განიხილებოდა, ამიტომაც მაღალი შეფასება უნდა მიეცეს რ. შპინერის და მისი თანამოაზრეების ძალისხმევას, რომლებმაც თანმიმდევრულად დაიცვეს პროგრამული გადაწყვეტილებების ლოკალიზაციის იდეა.

განხილულ „მეთოდოლოგიურ დებულებებში“, როგორც ფაქტი, აღნიშნული იყო სპეციალური შიდარეგიონული პრობლემის ფაქტის არსებობა, რომლებიც „საყოველთაო ხასიათს “ ატარებს და რომელთა გადაწყვეტას აუცილებლად უპირისპირდება თითოეული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წარმონაქმნი. ასეთი პრობლემების გენეზისის ავტორები სამართლიანად პოულობნენ შიდარეგიონულ კვლავწარმოების დისპროპორციებში. აღნიშნული წინააღმდეგობის გადალახვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად შრომის ავტორები გვთავაზობენ ლოკალური პროგრამების გამოყენებას.

„მეთოდოლოგიური დებულებების“ ავტორები არ ურიგდებოდნენ შიდარეგიონული წინააღმდეგობების საბაზრო თვითგადაწყვეტას. პირიქით, ისინი ამტკიცებდნენ (მათ შორის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებით, რომლებმაც ეკონომიკური რეფორმები ჩვენზე ადრე დაიწყეს და

იმავე მიმართულებით), რომ ცენტრალიზებული დაგეგმარების უბრალო შესუსტებამ და ყოფილი უფლებების დელეგირებამ ტერიტორიებს შეიძლება ზოგიერთი პრობლემა გაურთულოს, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში. უპირველესად ეს ეხება იმ პრობლემებს, რომლებიც საწარმოს, უწყების, ტერიტორიების ინტერესების გადაკვეთაზე იმყოფებიან (საცხოვრებელი, კომუნალური მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, საამშენებლო ბაზა და ა.შ.). ამან დამატებით განაპირობა ლოკალური პროგრამების გამოყენების უპირატესობა პრინციპიალურად ახალ პირობებში.

იმ დროის შემოქმედებითი აზროვნების უეჭველ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საბაზო მეთოდური პრინციპების ფორმულირება, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ნებისმიერი რეგიონული პროგრამა. ეს პრინციპები წარმოადგენდნენ როგორც თეორიული გამოკვლევების, ასევე ფართო პრაქტიკული გამოცდილების შედეგებს. ერთი შეხედვით ისინი წარმოადგენენ ადვილად გასაგებ და სრულიად ბუნებრივს ნებისმიერი გააზრებული სისტემური გადაწყვეტისთვის, მაგრამ, ყველამ, ვინც კი სცადა პროგრამების დამუშავება ან მონაწილეობდა ამ პროცესში, იცის, თუ რამდენად ძნელია მათი რეალიზაცია. არანაკლებ ცნობილია, რომ თუ მითითებული სიძნელეები არ დაიძლევა, მაშინ ვლებულობთ არა პროგრამას, არამედ „გაუმჯობესების საშუალებებს", „სრულყოფის წინადადებებს" და ა.შ.

რეგიონული პროგრამების დამუშავების და რეალიზაციის საბაზო მეთოდური პრინციპების სრული დახასიათება შეიძლება მოინახოს განხილულ „მეთოდოლოგიურ დებულებებში" და ადრე ნახსენებ ლიტერატურაში. შემოვიფარგლებით მხოლოდ მათი ჩამოთვლით:

*პროგრამების ყველა ღონისძიებათა (გამონაკლისების გარეშე) მიზნობრივი მიმართულება;

*პროგრამების შესრულების ყველა ეტაპზე ქვემიზნის და ამოცანების ბალანსირება, კომპლექსურობა და სინქრონულობა;

*ღონისძიების სისტემურობა, რომელიც საჭიროა პროგრამის გენერალური მიზნის მისაღწევად;

*პროგრამის რეალიზაციის პირობებში სავარაუდო ხასიათის აღრიცხვა და, როგორც შედეგი, პროგრამის ღონისძიებათა ვარიანტული დამუშავება, რომლებიც ასახავენ მოსალოდნელ სიტუაციებს და პროგრამების რეალიზაციის პირობებს;

*თითოეული რეგიონული პროგრამის გაფართოებული არეალის სოციალ-ეკონომიურ, ეკოლოგიურ და ა.შ. სიტუაციების პარამეტრებზე გავლენის აღრიცხვა;

*დავალების ადრესულობა (ორგანიზაციები – შემსრულებლები, ვადები, საკონტროლო პარამეტრები და ა.შ.);

*საჭირო რესურსების ნაწილის აუცილებელი ცენტრალიზაცია (პირველ რიგში ფინანსურის);

*მმართველობის პროგრამებით უზრუნველყოფა, აუცილებლობის შემთხვევები სპეციალური ორგანიზაციული მექანიზმების შექმნა.

ჩამოთვლილი პრინციპებიდან უკანასკნელი აქტიურად განიხილებოდა მე-20 საუკუნის ოთხმოციან წლებში, რამდენადაც პროგრამების რეალიზაციის დროს (ისინი კი თითქმის ოცი სსრკ უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული იყო) აუცილებელი იყო იმის გადაწყვეტა, თუ ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი პროგრამების დამუშავებაზე და რეალიზაციაზე: არსებული პარტიული, საბჭოთა, დამგეგმავი ორგანოები, თუ სპეციალურად შექმნილი საორგანიზაციო სტრუქტურები. ბუნებრივია, ასეთი კითხვა სახელმწიფო პოლიტიკის მსჯელობის საგანი იყო.

პარადოქსი იმაში იყო, რომ პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის იდეოლოგები ტერიტორიულ მმართველობას არჩევდნენ პრინციპული განსხვავებებით. პროგრამების დამუშავების სტადიაზე და მით უმეტეს მათი რეალიზაციის პერიოდში, პროგრამები წარმოადგენდნენ ან უბრალო გეგმებს, ან არაფერს.

იდეალში სამეურნეო გეგმის ალტერნატივად ჩაფიქრებული რეალური პროგრამები არ „მუშაობდნენ" და არც შეეძლოთ არსებობა, თუ არა იმავე დირექტიული ორგანოების გეგმებში, რომლებიც ამ გეგმებს ნარმართავდნენ. და აქ წუნდაუდებელი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური დებულებები (რომელთა ნაწილი ჩვენ უკვე განვიხილეთ) სულ სხვა ტიპის ნორმატიულ აქტად და დირექტივად გარდაიქმნებოდა.

როგორც ითქვა, სახელმწიფო-გეგმიურ ეკონომიკაში პროგრამები წარმოუდგენელი იყო გეგმიური სისტემის გარეშე; უფრო მეტიც, ოფიციალურად (დირექტიულადაც) ისინი გეგმებში შედიოდნენ. მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს ობიექტურად შეიქმნა პირობები, როცა აუცილებელი შეიქმნა პროგრამულ-მიზნობრივი გადაწყვეტილების შეთანხმება გეგმასთან.

ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ პროგრამების შემუშავების დაკანონებული მეთოდიკა იმ დროის ერთ-ერთი ცნობილი დოკუმენტის („სსრკ განვითარების სახელმწიფო გეგმების შედგენის მეთოდური

მითითებები") შემადგენელ ნაწილად იქცა. სათანადო განყოფილებას (კარი) „მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შედგენის ძირითადი მეთოდური დებულებები" ერქვა.

ამ „დებულებებში" მითითებული იყო, რომ პროგრამულ-მიზნობრივმა მეთოდმა „ფართო გამოყენება" უნდა მიიღოს სწორედ სახალხო-სამეურნეო დაგეგმვაში. ამასთან, სრულიად მართებულად აღინიშნებოდა პროგრამების 2 მთავარი ასპექტი – დარგთაშორისი, მისი საშუალებით გადაჭრილი პრობლემების განსაკუთრებული ხასიათი და რესურსების პრიორიტეტული გამოყოფა (შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში რესურსული დინებები რეგულირდებოდა მხოლოდ გეგმებით) მათი რეალიზაციისთვის.

იმისთვის, რომ თავიდანვე ავიცილოთ მეთოდური უთანხმოება, პროგრამების მაჩვენებელი სისტემა უნდა გახდეს ერთიანი სახელმწიფო გეგმების შემადგენელი ნაწილი, ე.ი. უნდა ემყარებოდნენ „ქვეყნის განვითარების 10 წლიანი გეგმის ნორმატივებს. პროგრამებში ასევე შეიძლებოდა ჩართულიყვნენ მაჩვენებლები, რომლებიც დაგეგმილი იყო სამინისტროების, უწყებებისა და რესპუბლიკების დონეზე, ასევე გაერთიანებების და საწარმოების დონეზე. ძნელი დასანახი არაა, რომ გეგმების და პროგრამების ელემენტარული შეჯახების გარანტიით, ეს უბრალო ღონისძიება ავტომატურად გამორიცხავდა იმ განსაკუთრებული, სპეციფიკური პრობლემური პარამეტრების გამოყენებას, რომლებსაც შეეძლოთ გამოეხატათ პროგრამების უნიკალურობა, ანუ, სწორედ ის, რაც მოითხოვდა მათ დამუშავებას ტრადიციული გეგმის გარეთ.

გაჩნდა ცნება „გეგმის პროგრამული კარი", რომელიც ემყარებოდა იმას, რაც პროგრამის თითოეულ დაგეგმილ პერიოდში უნდა ჩართულიყო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში შემდეგი წესით:

*მთლიანად პროგრამა, ე.ი. დირექტორული და კერძო დავალებები და ღონისძიებები დარგობრივ და ტერიტორიულ ჭრილებში, პროგრამებში ჩართული იყო ცალკეული დანართის სახით;

*პროგრამების მიზნობრივი (საბოლოო) მაჩვენებლები, რომელიც მოცემული საგეგმო პერიოდისთვის მოდიოდა, ასევე განსაკუთრებული დავალებები და პროგრამების რესურსული მაჩვენებლები ჩართული იყო ცალკეული აბზაცების სახით გეგმის შესაბამის განყოფილებაში (კარში).

სახელმწიფო რესურსების განსაზღვრულობის გათვალისწინებით „დებულების" ავტორები მიუთითებდნენ იმაზე, რომ პროგრამული ამოცანის კრიტერიული მნიშვნელობის მიუხედავად, უკანასკნელნი დაფუძნებული უნდა იყვნენ ეკონომიური ეფექტურობის მიღებულ მეთოდოლოგიებზე.

ვარაუდობდნენ, რომ საწყისი ამოცანა კომპლექსური პროგრამების დამუშავებისათვის უნდა მომზადდეს ორგანიზაცია – დამკვეთის მიერ. თავის მხრივ, სათაო დამამუშავებელმა უნდა დაამუშავოს მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის საერთო სქემა (კორდინაციული გეგმა, რომელშიც განისაზღვრება კონკრეტული შემსრულებლების სამუშაოთა ეტაპები და მიმდევრობები, მუშავდება ამოცანები და ვადები ცალკეული შემსრულებლებისათვის), ასევე გაიცეს ყველა თანაშემსრულებლებზე აუცილებელი მეთოდური რეკომენდაციები, ფორმები და მაჩვენებლები.

### 23.2 პროგრამის პროექტის შემადგენლობა

მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების პროექტი უნდა შეიცავდეს:

*პრობლემის შემუშავებასა და აღწერას, რომელიც მოიცავს მისი საწყისი მდგომარეობის, ასევე მისი გადაწყვეტის აუცილებელ საფუძვლებს;

*პროგრამის მთავარი მიზნის და ამოცანის ფორმულირება, რაც გამოიხატება პროგრამის საბოლოო შედეგებში;

*პროდუქციის წარმოებაში, რესურსების გამოყენებაში და საწარმოთა განლაგებაში სტრუქტურული ცვლილებების აღწერის, ასევე დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი კავშირების სქემის შემუშავება;

*პროგრამის ძირითადი მაჩვენებლების სისტემებს, რომლებიც ჩართული არიან სახელმწიფო გეგმებში;

*სხვადასხვა სახის რესურსების მოთხოვნილებებს და მათი უზრუნველყოფის წყაროებს;

*ამოცანებს და ღონისძიებებს, რომლებიც მოიცავენ კონკრეტულ ამოცანათა ჩამონათვალებს, ასევე მეცნიერულ-ტექნიკურ, საწარმოო, სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს;

*პროგრამის შესრულებაზე და მის რეალიზაციაზე კონტროლის ფორმებს, ასევე მნიშვნელოვან ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებათა ჩამონათვალს.

მკაცრი საგეგმო პერიოდების (ხუთწლედი, წელი, კვარტალი) არსებობა და პროგრამის რეალიზაცია მხოლოდ გეგმასთან შეთანხმებით ხდებოდა. იმის მიზეზი, რომ თითოეულ გეგმაში არსებობდნენ პროგრამების დავალებები: ა) რომელთა რეალიზაცია დაიწყო იმ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებდა დაგეგმილს; ბ) შესაბამის გეგმიურ პერიოდში დამუშავებული და დამტკიცებული; გ) იმყოფებიან დამუშავების სტადიაში, რომელთა რეალიზაცია ნავარაუდევი იყო დაგეგმილ პერიოდში; დ) რომელთა დამუშავება უნდა დაიწყოს დაგეგმილ პერიოდში.

ეროვნულ-სამეურნეო დაგეგმვის ფრაზეოლოგიას თუ გამოვრიცხავთ, მივიღებთ, რომ განსახილველი მეთოდიკის გასაღები დებულება (პრობლემის შერჩევა, პროგრამული ამოცანის საფუძვლიანობა, მთავარი დამმუშავებლის არსებობა და სხვა) სრულიად ლოგიკური იყვნენ და ამიტომაც, როგორც შემდეგში დავინახავთ, თავისუფლად გადავიდნენ ახლებურ მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებზე, რომლებიც დამუშავებული იყვნენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამოსაყენებლად. მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების პროგრამების რეალიზაციის ძირითადი პრობლემა ის იყო, რომ ეს პროგრამები უნდა ჩატეულიყვნენ „პროკრუსტეს სარეცელში" – სხვა ოფიციალური საფუძვლები ხომ არც არსებობდნენ. ძირითადი გართულება იმაში გამოიხატებოდა, რომ ეს „სარეცელი" ყველა პროგრამის რესურსულ მოთხოვნილებებში ვერ ეტეოდა და მეორეც – ის უკვე დიდი ხანია იქცა არა ყოვლისშემძლე და ენერგიული პროკრუსტეს ატრიბუტად, არამედ გაყინული უსუსური ეკონომიკის არრდილად.

ასეთი სიტუაცია დამახასიათებელი იყო როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ასევე მისი რეგიონებისთვის. განხილული პერიოდის ერთ-ერთ მონოგრაფიაში სამართლიანად მიუთითებდნენ, რომ „მიზნობრივი პროგრამების ფორმირების დროს სიმძიმის ცენტრმა, საგეგმო კომისიების დაბალი კომპეტენტურობის გამო, ფაქტიურად პარტიულ ორგანოებში გადაინაცვლა, რომლებიც მხოლოდ პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობოდნენ და არ ფლობდნენ პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის საფუძვლებს". ისინი ასევე მიუთითებდნენ რესპუბლიკურ, საოლქო, სარაიონო პროგრამებს შორის შეუთავსებლობაზე.

### 23.3.პროგრამები და ადგილობრივი ხელმძღვანელობა

უფრო რთული და გაურკვეველი იყო სახალხო-სამეურნეო გეგმების ტერიტორიული დონის პროგრამებთან შეთავსების საკითხი. ანყობილი (თუმცა შრომის უნარს მოკლებული) სახალხო-სამეურნეო გეგმიური მმართველობის მექანიზმი აქ ვერ მუშაობდა და დაიწყო პროგრამების სახელმწიფო მართვის იმიტაციის კონსტრუირება, სადაც დირექტიული განმკარგულებლის როლში პარტიული ნომენკლატურა გამოდიოდა.

ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპის დაქვემდებარებულობა გახდა ყველა დონის შემსრულებლის მთავარი მამოძრავებელი ძალა. პროგრამის ინიციატორად აუცილებლად გამოდიოდნენ პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები: მათი დავალებით საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის მთავარი საგეგმო-ეკონომიკური სამმართველო უზრუნველყოფდა პროგრამაზე მეთოდურ ხელმძღვანელობას, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები და მისი სამსახურები რაიონული პროგრამების დამკვეთები და ასე შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყოველგვარი ფორმალურობისა და ხელოვნურობისა, „მცირე" პროგრამები – საქალაქო და რაიონული (დიდ ქალაქებში და ოლქებში) გაცილებით ხარისხიანები იყვნენ, ვიდრე გიგანტური საერთოსახელმწიფოებრივი პროგრამები. ასეთი პროგრამების შექმნის (დამუშავების) ანალიზი გამოქვეყნებულია ვ.ნ. ლეკსინის წიგნში „მმართველობის გამოცდილება და პრობლემები".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე სახელმწიფო პროგრამების დამუშავების რეალიზაციის ოფიციალური წესები დადგენილია კანონით, ისე როგორც მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების რეკომენდაციები, ამ დადგენილებით დამტკიცებული წესები განსაზღვრავენ, რომ პრობლემის შერჩევა უნდა გამომდინარეობდეს შემდეგი მოთხოვნილებებისგან: ა) მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა მსხვილი სტრუქტურული ცვლილებების და ეფექტურობის ამაღლებისათვის დარგის და რეგიონების მასშტაბით; ბ) ამ პრობლემების გადაჭრას შემჭიდროვებულ ვადებში და რესურსების კონცენტრაციის აუცილებლობაში; გ) სათანადო ღონისძიებათა ურთიერთკავშირებში, რომლებიც უზრუნველყოფენ დარგთაშორის მიზნობრივ მმართველობას.

თითოეული პროგრამის დასაბუთებისთვის აუცილებელია: პრობლემის ფორმულირება და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი; მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობის და გარემოს დაცვითი მოთხოვნილებების შესაბამისობის წინასწარი შეფასება; ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსების მოთხოვნილებათა შეფასება, მათი შესაძლო წყაროების მითითებით; პროგრამის შეცვლა სახელმწიფო დაკვეთების, დამმუშავებლების და შემსრულებელთა წრის განსაზღვრა. თუ ეს საფუძვლები მიღებულია, მაშინ შემუშავდება პროგრამის პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს: ძირითადი მიზნე-

ბის და ამოცანების ხარისხობრივ და რაოდენობრივ კონკრეტიზირებას; პროგრამის შესრულების ეტაპებს და ვადებს; პროგრამულ ღონისძიებათა ურთიერთდაკავშირებულ სისტემას; ფინანსური, მატერიალური და შრომითი დანახარჯების მოცულობებს; პროგრამის განხორციელების მექანიზმების დახასიათებას (წახალისების სისტემის ჩათვლით); ასევე ნინადადებებს პროგრამის რეალიზაციის და მისი შესრულების მსვლელობის მართვის ორგანიზაციაზე; პროგრამული ღონისძიებების რეალიზაციის შედეგად მიღებული სოციალ-ეკონომიკური ეფექტურობის და ეკოლოგიური შედეგების შეფასებას; ცნობებს პროგრამის სახელმწიფო დამკვეთის, პოტენციალურ შემსრულებელთა და თანაშემსრულებელთა შესახებ.

ახალი „წესრიგის" მთავარი განსხვავება მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების შესაბამის დოკუმენტებისგან მდგომარეობს იმაში, რომ იგი ეყრდნობა დამუშავების და რეალიზაციის მექანიზმებს. ეს მექანიზმები მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო ორგანოების ახალი დამოკიდებულების სტრუქტურას სამეურნეო სუბიექტებთან; ხოლო მეორეს მხრივ – თვით სახელმწიფო ორგანოების ურთიერთშორის დამოკიდებულების რეალურ სტრუქტურასთან. აქ გათვალისწინებულია საერთო ცელილებები სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურაში, მათი დემოკრატიზაციის და საჯაროობის ტენდენციები.

სახელმწიფო დონეზე პრობლემის დასმის და მისი პროგრამული მეთოდებით გადაწყვეტის ინიციატორებად შეიძლება მოგვევლინონ ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირები. შესაბამისი წინადადებები ეგზავნებათ ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებს, რომლებიც სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების საფუძველზე ამზადებენ მოცემული პრობლემის გადაწყვეტის პროგრამულ მეთოდებს და უგზავნიან მას მთავრობას.

უკანასკნელი (მთავრობა) წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ღებულობს გადაწყვეტილებას სათანადო მიზნობრივი პროგრამის მომზადების შესახებ, მათი ღირებულების და ვადების გათვალისწინებით, განსაზღვრავს ერთ ან რამდენიმე სახელმწიფო დამკვეთს.

სწორედ სახელმწიფო არის დამკვეთი პასუხისმგებელი მიზნობრივი პროგრამის ხარისხიანი მომზადებისა და მის რეალიზაციაზე. ის ადგენს ამოსავალ მონაცემებს მის ფორმირებაზე, ახორციელებს ზედამხედველობას პროგრამის შემსრულებლებზე მისი დამტკიცების შემდეგ, უზრუნველყოფს ფინანსების ეფექტურ გამოყენებას.

მიზნობრივი პროგრამის სახელმწიფო დამკვეთი:

*ახორციელებს სამუშაოს შემსრულებელთა, მომსახურების, მიმწოდებლების, წინასაკონტრაქტო შერჩევას კონკურსის საფუძველზე თითოეული პროგრამული ღონისძიებისათვის;

*ათანხმებს პროგრამაში დაინტერესებულ ძირითად მონანილეთა შორის ღონისძიების შესრულების ვადებს და დაფინანსების წყაროებს;

*ორგანიზაციას უკეთებს (აუცილებლობის შემთხვევაში) პროექტის სპეციალიზებულ ექსპერტიზას და მისი (ექსპერტიზის) შედეგების შესაბამისად ახდენს მის ხელახალ გადამუშავებას.

მიზნობრივი პროგრამის შეთანხმებული პროექტი, (განმარტებით ბარათთან, ბიზნეს გეგმასთან, სოციალურ-ეკონომიკურ და ტექნიკურ-ეკონომიკურ საფუძვლებთან, წინასწარი საბიუჯეტო განაცხადთან ერთად) სახელმწიფო დამკვეთის მიერ ეგზავნება ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებს, რომლებიც შეფასებას უკეთებენ წარმოდგენილ პროექტს და დაინტერესებულ ორგანოებთან და ორგანიზაციებთან ამზადებენ დასკვნას. აუცილებლობის შემთხვევაში ხდება მიზნობრივი პროგრამის პროექტის ექსპერტიზა.

ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროების შენიშვნების გათვალისწინებით მიზნობრივი პროგრამების სახელმწიფო დამკვეთი მათ დამუშავებასთან ერთად ახდენს პროგრამის პროექტის გადამუშავებას. გადამუშავებული პროექტი ხელმეორედ იგზავნება ზემოთაღნიშნულ სამინისტროებში, რომლებიც დადებითი შეფასების შემთხვევაში აღნიშნულ დოკუმენტებს დასამტკიცებლად უგზავნის მთავრობას.

სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ სახელმწიფო დამკვეთი უზრუნველყოფილია საფინანსო რესურსებით: რამდენიმე სახელმწიფო დამკვეთი-კოორდინატორი, რომელსაც მთავრობა განსაზღვრავს.

მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შემდეგ სახელმწიფო დამკვეთი, ხელშეკრულებათა საფუძველზე და ფინანსირების მოცულობათა გათვალისწინებით პროგრამის შემსრულებლებთან აფორმებს მიზნობრივი პროგრამების ფინანსირების სახელმწიფო კონტრაქტს. მიზნობრივი პროგრამების სახელმწიფო დამკვეთის ძირითადი სამუშაო იწყება პროგრამების დამტკიცების შემდეგ. ის თვითონ განსაზღვრავს პროგრამის შესრულების ფორმებს და ორგანიზაციის მეთოდებს.

სახელმწიფო დამკვეთი, გამოყოფილი ფინანსირების შესაბამისად, ვალდებულია ყოველწლიურად შეამოწმოს (დააზუსტოს) მიზნობრივი მაჩვენებლები და დანახარჯების მოცულობები, პროგრამების რეალიზაციის მექანიზმები, შემსრულებელთა შემადგენლობა.

პროგრამის დამუშავებაზე და რეალიზაციაზე განეული კოლოსალური საბიუჯეტო თანხები მოითხოვენ მის ხარჯვაზე კონტროლს არა მარტო სახელმწიფო დამკვეთის მხრიდან, არამედ სახელმწიფო კონტროლს თვით სახელმწიფო დამკვეთზე. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტი ვალდებულია აწარმოოს მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის ყოველკვარტალური აღრიცხვა, შედეგების შემდგომში მთავრობაში წარდგინებით.

განხილულ ნორმატიულ დოკუმენტში დადგენილია „მიზნობრივი პროგრამების პროექტების და კონცეფციების რეალიზაციის მსვლელობის ექსპერტიზის ნორმები“ (წესები). ამასთან ერთად განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო სპეციალიზებულმა ექსპერტიზამ უნდა განსაზღვროს მათი შესაბამისობა ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ, სამხედრო და ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან, მომქმედ ნორმატიულ აქტებთან, სტანდარტებთან და შეთანხმებებთან. სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზა ხორციელდება მთავრობასთან არსებული საექსპერტო საბჭოს მიერ.

თვით დეტალურად დამუშავებული მექანიზმიც შორსაა სრულყოფისაგან. მისი აშკარა ხარვეზებიდან აღვნიშნავთ მხოლოდ ორს: რეალურად მიზნობრივ და პროგრამის შესრულების შედეგიანობაზე კონტროლი (ამისათვის არ არსებობს მთავარი პირობა – მთავარი მიზნის რაოდენობრივად გამოხატული პარამეტრები) და ეკონომიკის და ფინანსების წრეში ჩაკეტვა. ამჟამად არსებული მექანიზმის მთავარი ხარვეზი ისაა, რომ ის ვერ აყალიბებს პროგრამების პაკეტებს, რომლებიც ადეკვატურნი არიან მძაფრი რეგიონული პრობლემების რეალური სტრუქტურებისა და შეესაბამებიან სახელმწიფოს რეალურ ფინანსურ შესაძლებლობებს.

საზღვარგარეთ რეგიონული პროგრამირება არის კონკრეტულ რეგიონალურ სიტუაციაზე სახელმწიფო და ადგილობრივი ზემოქმედების სპეციფიკური სისტემა, რომლის მიზანია ცალკეული ტერიტორიების დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანა. წარმოადგენს რა განვითარებული ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, რეგიონული პროგრამირების განკარგულებაშია საკუთარი ინსტიტუტები და მეთოდები, რომლებიც დაკანონებული არიან მთლიანად და ცალკეული მსხვილი პროგრამების ჭრილში.

ავტორები, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ, მიუთითებენ, რომ „რეგიონული პროგრამირება ხასიათდება მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურების ფორმირებაზე აქტიური ზემოქმედებით“ და წარმოადგენს სახელმწიფოს სისტემურ ზემოქმედებას ქვეყნის ეკონომიკაზე მათი ორგანიზაციის სივრცობრივ ფორმაში“. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო რეგიონული პროგრამირება წარმოადგენს ობიექტურად აუცილებელ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია რეგიონების ეკონომიკის რაციონალიზაციისკენ. რეგიონულ პროგრამებს შეიძლება სხვადასხვა მიზნები ჰქონდეთ: ახალი დარგობრივი სტრუქტურის შექმნა, დასაქმების გარკვეული დონის უზრუნველყოფა, ინფლაციის შეჩერება და სხვა, მაგრამ თავისი შინაარსით ისინი გადაიზრდებიან ეკონომიკური რეგულირების ჩვეულებრივ ღონისძიებებში.

ასეთი ფინანსური მხარდაჭერის ერთ-ერთი საშუალებაა „საბიუჯეტო-საგადასახადო გათანაბრების პოლიტიკა“ (მასზე ჩვენ ადრეც ვსაუბრობდით). მისი რეალიზაციით რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედება ორი მიმართულებით მიმდინარეობს: (1) მიკროეკონომიკური, სხვადასხვა სამთავრობო პროგრამების მიღებით, ასევე ცალკეულ საწარმოთა მხარდაჭერით; (2) მაკროეკონომიკური, „რეგიონში მსყიდველობითი ძალის ეფექტურობის“ ამაღლებით. სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა, განსაკუთრებით მისი მონეტარულ პოლიტიკასთან შერწყმით, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს შემოსავლების და ფონდების რეგიონულ მოძრაობაზე.

სპეციალისტები გამოყოფენ რეგიონული პროგრამირების ამოცანათა გადაწყვეტის 3 მიმართულებას: სივრცობრივ-საწარმოო, სოციალურ-ეკონომიკური და რესურსულ-ეკოლოგიურს:

*სამრეწველო, აგროსამრეწველო, ? სატრანსპორტო და სხვა კომპლექსების შექმნის რეგიონული პროგრამების ფორმირება;

*საწარმოო ან სოციალური ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ფორმების პროგრამირება;

*ცალკეული რაიონების და მეურნეობის დარგების ეკონომიკური სტიმულირება, რომლის მიზანია ხელსაყრელი პირობების შექმნა საწარმოთა განლაგებისათვის;

*საწარმოების და მოსახლეობის კონცენტრაციის დარეგულირების კომპლექსურ ღონისძიებათა ჩატარება (გარემოს დაცვის პროგრამების ჩათვლით).

მოვიყვანოთმაგალითი.

ერთ-ერთი პირველი და ცნობილი მსხვილმასშტაბიანი პროგრამა „მდინარე ტენესის ველის პროგრამაა, რომელიც დაკავშირებულია ფრანკლინ რუზველტის „ახალ კურსთან“ და XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ამერიკის სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის საერთო კალაპოტში ჯდება. პროგრამა ვრცელდებოდა 7 შტატის ტერიტორიაზე, რომლებმაც განსაკუთრებით მძიმედ გა-

დაიტანეს „დიდი დეპრესია".

„ახალი კურსის" იდეოლოგიასთან სრული თანხმობით 1933 წელს, კონგრესის სპეციალური აქტით შეიქმნა პროგრამის მართვის ორგანო – TBA (Tennessee Valley Authority), რომელიც სახელმწიფო კორპორაციის უფლებით მოქმედებდა. ის ფართო უფლებებით იყო აღჭურვილი მრავალმიზნიანი პროგრამების განხორციელების სფეროში და პასუხს აგებდა მის შედეგებზე. TBA სახელმწიფო საკუთრების უფლებით სარგებლობდა და სათანადო სანარმოო ფონდებიც გააჩნდა. პროგრამის ადმინისტრაციას გააჩნდა სათანადო ეფექტური ბერკეტები და შეეძლო პროგრამის თვითდაფინანსების უზრუნველყოფა სახელმწიფო ასიგნაციებისგან დამოუკიდებლად.

ოცი წლის შემდეგ, სრულიად სხვა პოლიტიკურ სიტუაციაში, აშშ კონგრესმა დაამტკიცა „აპალაჩის მთების განვითარების ფედერალური პროგრამა" – ტერიტორიულად ყველაზე დიდი „პრობლემური" რაიონი, სადაც განლაგებულია 13 შტატი, 420 ათასი კმ$^2$ ტერიტორიით და 19 მლნ მოსახლეობით.

პროგრამის მართვის მიზნით შეიქმნა ცენტრალური ორგანო – „აპალაჩის რეგიონული კომისია (APK), რომელიც გაფორმდა როგორც სპეციალური („დამოუკიდებელი") ფედერალური უწყება. ამ კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ყველა 13 შტატის გუბერნატორები, ხოლო მის სათავეში იდგა ფედერალური მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც სენატთან შეთანხმებით აშშ პრეზიდენტი ნიშნავდა. APK ემსახურებოდა მუდმივი თანამშრომლობის შტატი. მართვის შტატგარეშე დონე ივსებოდა შუალედური რგოლებით, რომლებიც ცალკეული შტატების ადმინისტრაციების კაეშირს ემსახურებოდა. შტატები თავიანთი ინიციატივით ორგანიზაციას უკეთებდნენ თანამშრომელთა და სპეციალისტთა ჯგუფებს, რომელთა მიზანი იყო პროგრამულ ღონისძიებათა რეალიზაცია შესაბამის შტატში. შტატთაშორისი პროგრამები ფინანსდებოდა ფედერალური და შტატების მთავრობების მიერ. თითოეული შტატის წილი განისაზღვრებოდა საკანმონმდებლო გადაწყვეტილებით და დამოკიდებული იყო მათი ბიუჯეტის სიდიდეზე და ჩასატარებელ ღონისძიებათა ტიპზე. ფედერალურ საშუალებათა საერთო თანხა ნაწილდებოდა სათანადო შტატებს შორის მათი მოსახლეობის რაოდენობის და რეალური საჭიროების გათვალისწინებით. მაგალითად, აპალაჩის რეგიონისთვის ფინანსირების უდიდესი ნანილი, რომელიც საგზაო მშენებლობისთვის იყო გათვალისწინებული, გამოეყო კენტუკის და დასავლეთ ვირჯინიის შტატებს, ხოლო პენსილვანიის შტატმა მიიღო სამოო დამამუშავებელი მრეწველობისთვის საჭირო მსხვილი დაფინანსება.

„აპალაჩის რეგიონის განვითარების პროგრამა" უნიკალური იყო მისი გავრცელების ტერიტორიის მასშტაბებით, დაფინანსების ზომებით (600 მლნ $ წელიწადში), პროგრამული ამოცანების დამუშავების სისრულით. „აპალაჩის პროგრამას" კომპლექსური ხასიათი გააჩნდა და შედგებოდა რამდენიმე ქვეპროგრამისგან, რომლებშიაც განიხილებოდა სხვადასხვა დარგის და მეურნეობის განვითარების გეგმები. პროგრამის დამუშავება იწყებოდა პირველადი (ქვედა) დონიდან, როგორებიც იყვნენ „ადგილობრივი განვითარების ოლქები". ისინი საფუძვლად ედებოდნენ ფართომასშტაბიანი პროექტების დამუშავებას. – ოლქებში დამუშავებული გეგმები შტატების პროგრამების საფუძველი იყო, რომლებიც აპალაჩის რეგიონში შედიოდნენ.

აპალაჩის პროგრამის წინაშე იდგა რაიონის იზოლირების ლიკვიდაციის ამოცანა, რაც მიღწევადი იყო ავტოსაგზაო მშენებლობის ფართო განვითარებით. 1,1 მილიარდი დოლარიდან, რომელიც რეგიონს გამოეყო, 840 მილიონი ავტომაგისტრალების მშენებლობისთვის იყო გათვალისწინებული: მსხვილი დაფინანსება გამოეყოთ „ადგილობრივ პროგრამებს" არასანარმოო ინფრასტრუქტურების დარგში – ჯანმრთელობის დაცვის განათლების და პროფესიული მომზადების და სხვა განვითარებისთვის.

მომზადებული პროექტები გუბერნატორების მიერ წარდგენილი იყო აპალაჩის რეგიონულ კომისიაში. შტატების კორექტირებული და გაერთიანებული გეგმების საფუძველზე რეგიონული კომისია ადგენდა მთელი რეგიონის განვითარების საერთო გეგმას, რომელიც შტატების გუბერნატორებთან შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინებოდა ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს, ხოლო შემდეგ აშშ პრეზიდენტს დასამტკიცებლად. ფედერალურ ასიგნებათა გამოყოფა (დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად) შემდგომი ფინანსური წლისათვის მტკიცდებოდა აშშ კონგრესის მიერ.

აპალაჩის პროგრამის განხორციელება ხდებოდა რამდენიმე სამინისტროს საერთო ძალისხმევით. თავდაპირველად, 1965 წლის კანონის თანახმად, APK განისაზღვრებოდა როგორც საგეგმო-საკოორდინაციო ორგანო, მაგრამ 1967 წელს მას გადაეცა პროგრამის დაფინანსებაც, რომელსაც ის ანაწილებდა პროგრამაში მონაწილე სამინისტროებს და უწყებებს შორის. კომისიაზე დაკისრებული იყო მთელი პასუხისმგებლობა პროგრამული ამოცანების შესრულებაზე. აპალაჩის პროგრამის მართვის სტრუქტურა სპეციალისტების მიერ აღიარებული იყო შტატთაშორისი პროგრამის მართვის იღბლიან ფორმად, რომელიც საშუალებას იძლეოდა გათვალისწინებულიყო ფედერალური და რეგიონული დონის მმართველობის ინტერესები.

1965 წელს, „აპალაჩის პროგრამის“ მიღების შემდეგ აშშ-ში 1966-1976 წლებში შეიქმნა 8 შტატთაშორისი რეგიონი, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ მოიცვა 28 შტატი და „აპალაჩთან“ ერთად მოიცვა აშშ ტერიტორიის ორი მესამედი. „აპალაჩისგან“ განსხვავებით სხვა შტატთაშორისი რეგიონული პროგრამები მუშავდებოდა ხუთწლიანი ვადით, მათი სტრუქტურები გაცილებით მარტივად გამოიყურებოდნენ, ხოლო მასშტაბები შედარებით მცირე.

არსებითი განსხვავება იყო პროგრამების შინაარსში (შემადგენლობაში), რომელიც ნაკლები ხარისხით ეყრდნობოდა საგზაო მშენებლობას. მაგალითად, ოზარკის პლატოს რაიონში გზების მშენებლობისთვის გამოყოფილი იყო საერთო დანახარჯების მხოლოდ 30%, ხოლო პროგრამის საფუძველი იყო მდინარე არკანზასის ბასეინის ათვისება, ღრმა წყლიანი არხის მშენებლობა, პორტების მშენებლობა საზღვაო და სამდინარეო გემებისათვის, პორტების მშენებლობა ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის. სამუშაოები უზრუნველყოფდნენ კერძო კაპიტალის მოზღვავებას არკანზასის და ოკლახომას შტატებში. ახალი ინგლისის შტატის პროგრამაში პირველ რიგში გამოიყოფოდა საწარმოო ინფრასტრუქტურების მოდერნიზაციის ამოცანები, რომლებსაც ფიზიკური ცვეთის მაღალი პროცენტი გააჩნდათ. დიდ დანახარჯებს მოითხოვდნენ ისეთი არასაწარმოო ინფრასტრუქტურები, როგორიცაა სამუშაო ძალის პროფესიულ-ტექნიკური გადამზადება, ქალაქების კეთილმოწყობა, ჩამონადენი წყლების გაწმენდა. დიდი ტბების რაიონისათვის მძაფრად იდგა ამ ტბების დაბინძურებისგან დაცვის პრობლემა, რომლებიც კატასტროფულ მდგომარეობაში იყვნენ და ა.შ.

კომპლექსურ რეგიონალურ პროგრამებთან ერთად აშშ-ში მიმდინარეობდა გაცილებით მცირე, მაგრამ რეგიონული განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ხასიათის ან პროგრამა-პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იყვნენ კონკრეტული ენერგეტიკული, ეკოლოგიური და სხვა პრობლემების გადაწყვეტისათვის. მათ რიცხვს მიაკუთვნებენ 1956 წელს კონგრესის მიერ დამტკიცებულ „შტატთაშორისი გზების ნაციონალური სისტემის“ მშენებლობას. 1980 წლისთვის მათ საფუძველზე შეიქმნა 32,5 ათასი მილი სიგრძის საავტომობილო გზების სისტემა, ხოლო ფედერალური გზები არსებითად ხელს უწყობდა ცალკეული შტატების და რეგიონების ეკონომიკურ კავშირების განვითარებას. ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონებისათვის ამოქმედდა „ქალაქების მშენებლობის ნაციონალური პრობლემა“, რომელმაც 150 ქალაქი მოიცვა და ა.შ.

რეგიონალურად მნიშვნელოვან პროგრამად უნდა ჩაითვალოს „ტრანს-ალიასკის ნავთობსადენი“ ამერიკის ისტორიაში უდიდესი პროექტი, რომელსაც საერთო ნაციონალური მნიშვნელობა ჰქონდა. ალიასკაზე ახალი ნავთობსაბადოების ათვისების გარდა (ის ამერიკის მოთხოვნილების 10-12% აკმაყოფილებდა) პროგრამა „ტრანს-ალიასკური ნავთობსადენი“ ნავთობსადენის მშენებლობის პარალელურად, ითვალისწინებდა საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურების ფართო განვითარებას. ამ პროგრამის განსაკუთრებულობად ითვლება მასში კერძო კაპიტალის წამყვანი როლი. პროგრამის ფინანსირება და მართვა ნავთობკორპორაციების ჯგუფის ხელში იყო.

ბუნებრივია, რომ ასეთი მსხვილმასშტაბიანი პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია მოითხოვდა დიდი საბიუჯეტო სახსრების და კერძო კაპიტალის გაერთიანებას; მუდმივად ჩნდებოდა კითხვები ამ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობის შესახებ. იგივე კითხვა მუდმივად გადადიოდა პოლიტიკის სფეროში: სწორედ აქ ეჯახებოდა ერთმანეთს ეკონომიკის და სოციალური განვითარების აქტიური სახელმწიფო რეგულირების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიციები.

გასაკვირი არაა, რომ „ახალი ფედერალიზმის“ პოლიტიკა, რომელსაც მე-20 საუკუნის ოთხმოციან წლებში პრეზიდენტი რეიგანის ადმინისტრაცია ატარებდა, თავის შედეგებში ჰქონდა ფედერალური რეგიონული პროგრამირების შეჩერება. 1981 წელს პრეზიდენტის მიერ კონგრესში წარდგენილი „ეკონომიკური აღორძინების პროგრამაში“ სოლიდურად შემცირდა დანახარჯები სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებისათვის (≈326 მლნ $). მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი საგზაო მშენებლობის შეწყვეტის შესახებ და ა.შ. ერთდროულად ტარდებოდა ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის და უფლებების გაფართოების პოლიტიკა რეგიონული განვითარების პროგრამებზე, სადაც სუსტდებოდა ფედერალური კონტროლი და მცირდებოდა ფედერალური ასიგნებები.

ამავე პერიოდში კონგრესში შეტანილ იქნა წინადადებები მრავალი „შინაგანი დახმარების“ პროგრამების გაერთიანების შესახებ რამდენიმე „ბლოკში“ და პასუხისმგებლობა მათს შესრულებაზე გადაეცა შტატების ადმინისტრაციას. გაუქმდა რამდენიმე საყურადღებო სამსახური რეგიონული განვითარების სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, მათ შორის დაიშალა უწყებათაშორისი მმართველობის კოორდინაციის „ფედერალური საკონსულტაციო საბჭო“, ფედერალურ-საშტატო რეგიონული კომისიები (გარდა APK და TBA), დათხოვნილ იქნა ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაცია (АЭР) და შეწყდა მრავალი კომპლექსური პროგრამის ფინანსირება ბიუჯეტიდან. 1985 წელს რეიგანის ადმინის-

ტრაციამ წამოაყენა წინადადება 1985-89 წლებში 26 პროგრამისთვის „შინაგანი დახმარების“ შეწყვეტის შესახებ (56 მილიარდი დოლარით) და 43 ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა გადაეცა შტატების ადმინისტრაციას. გამოცხადდა, რომ ამ პროგრამებზე ფედერალური მთავრობა შეწყვეტდა დახმარებას 3 წლის შემდეგ, ყველა შემდგომი ფინანსირება და რეალიზაცია შტატებს და ადგილობრივ ორგანოებს გადაეცა.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული პროგრამირების იდეა ძალაში რჩებოდა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გიგანტური ფედერალური პროგრამების ეფექტურობა (მაგალითად სსრკ-ში ბამ-ი) მრავალ მკვლევარს პრობლემურად მიაჩნია.

მრავალშტატიანი მოქმედი პროგრამებიდან ყველაზე ეფექტური „მდინარე ტენნესის აუზის პროგრამა“ აღმოჩნდა. TBA-ს პროგრამის მოქმედების ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე რეგიონში შეიქმნა უმსხვილესი ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი (მისი წილი აშშ საერთოენერგეტიკულ ბალანსში 6% შეადგენს), სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 14-ჯერ, გადაზიდული ტვირთების რაოდენობა 15-ჯერ, სოფლის მეურნეობის პროდუქცია 3,6-ჯერ. დამუშავდა და სოფლის მეურნეობაში წარმატებით დაინერგა ახალი სახეობის მინერალური სასუქები, რომელთა ლიცენზიებით სარგებლობენ 39 შტატის 500 კომპანიები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაჭრობა, გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა, გაუმჯობესდა მათი ცხოვრების პირობები.

მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, თვალსაჩინოდ გამოჩნდა მსხვილმასშტაბიანი და სახელმწიფოს მიერ ორგანიზირებული რეგიონული პროგრამირების მრავალი უარყოფითი მხარეც. სპეციალისტები აღნიშნავდნენ მონოპოლიათა მუდმივ შეჯახებას, რაც მრავალი დარგობრივი პროექტების შემცირებას იწვევდა. TBA-ში შექმნილი ენერგეტიკული სიმძლავრეების შემოსავლების უდიდესი ნაწილი გამოიყენებოდა არამწარმოებლური მიზნებისათვის (მინების, ტყის, კერძო ელექტროსადგურების და სხვა შესყიდვა). რაიონის განვითარებამ ცალმხრივი განვითარება მიიღო, რაც ვერ უზრუნველყოფდა დასაქმების პრობლემის წარმატებით გადაჭრას.

აპალაჩის პროგრამის უმნიშვნელოვანეს შედეგად შეიძლება ჩაითვალოს საავტომობილო გზების განვითარებული ქსელის შექმნა, რომელთა სიგრძე 4 ათას კმ აღემატებოდა, რამაც რაიონი იზოლაციიდან გამოიყვანა. წარმატებით ხორციელდებოდა ჯანმრთელობის დაცვის და განათლების სისტემის გაუმჯობესების პროგრამა. მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნეოდა მოსახლეობის გადინების შეწყვეტა. მე-20 საუკუნის სამოციან წლებამდე რაიონიდან ყოველწლიურად დაახლოებით 120 ათასი შრომისუნარიანი მუშახელი გაედინებოდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის გაუმჯობესება; 1969-79 წლებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებმა 2,3-ჯერ იმატა, რამდენჯერმე შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდნენ. განხორციელდა გარემოს დაცვითი რამდენიმე პროექტი. მიუხედავად ამისა, აპალაჩის რეგიონი რჩება აშშ-ში ერთ-ერთ ჩამორჩენილ რეგიონად. გადაუჭრელია დასაქმების პრობლემა, ზოგიერთი რაიონი მკვეთრად ჩამორჩება ცხოვრების საერთო ნაციონალურ დონეს და ა.შ.

რეგიონული პროგრამირების ღირსებები და ხარვეზები (ისე როგორც რეგიონული პოლიტიკის სხვა მხარეებიც) სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება. ცხადი ხდება, რომ ისინი არ წარმოადგენენ ორგანულ ერთიანობას და ვერ აცდება კრიტიკას (გიგანტიზმი, საბაზრო ეკონომიკის ლოგიკასთან წინააღმდეგობები, რეგიონული პროტექციონალიზმი და სხვა). ყველაფერი ეს გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონული პროგრამების დამუშავებისა და ამოქმედების დროს.

შეიძლება თუ არა „რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა“ იყოს „მიზნობრივი“ თუ „რეგიონი“ – ესაა მთელი ოლქი, მხარე ან თვით რესპუბლიკა (ფედერაციული) თავისი მრავალმილიონიანი მოსახლეობით და უზარმაზარი ტერიტორიებით?

პრობლემის სწორად ფორმულირება – ესაა წინასწარი პირობების შექმნა ძალების და საშუალებათა კონცენტრაციისთვის პრინციპული ამოცანების გადაწყვეტილებათა მისაღებად კონკრეტულ განსაზღვრულ ვადებში. ამიტომაცაა, რომ იმ პრობლემების დახასიათებისას, რომლებსაც „პროგრამულ სტატუსზე“ აქვთ პრეტენზია, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: უნიკალურია თუ არა ეს პრობლემა ან თუ არსებობენ მისი მსგავსი ანალოგიები? რატომ კვალიფიცირდება ეს პრობლემა როგორც „განსაკუთრებული“ ან „მნიშვნელოვანი“ რეგიონის განვითარების საერთო სიტუაციურ ფონზე? როგორია მოცემული პრობლემის ხასიათი (დარგობრივი, რეგიონული, რეგიონთაშორისი)? ექვემდებარება თუ არა ისინი გადაწყვეტას და თუ ექვემდებარება, რა ხარისხით? პრობლემის დასმის სტადიაზე აუცილებელია თუ არა მისი დამატებითი შესწავლა და თუ აუცილებელია, რა ასპექტში?

ადვილი დასანახია, რომ თითოეული კითხვის პასუხზე არსებობს პრობლემათა ფართო სპექტრი, რომლებიც მოითხოვენ პროგრამულ-მიზნობრივ გადაწყვეტას. მრავალი სოციალურ-ეკონომიური

პროგრამის ანალიზმა ცხადყო, რომ ობიექტის გამოყოფაში დაშვებული უზუსტობები საბოლოოდ ხდება ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მათი არასწორი დამუშავების და ნაკლებშედეგიანი რეალიზაციისა. თავის დროზე ისეთი ტიპის პროგრამებმა, როგორიცაა „არაშავმინანიადაგიანი“, „სასურსათო“ და მათი მსგავსნი, არ გააჩნდათ აპრიორი შანსები კორექტული დამუშავებისა და წარმატებული რეალიზაციისთვის სწორედ იმიტომ, რომ მათი ობიექტები იყვნენ მრავალასპექტურ-კონგლომერატული სტრუქტურული დარგები და ტერიტორიები, პროდუქციათა სხვადასხვა ხარისხობრივი კომბინაციები და ა.შ.; და საერთოდ, ეს პროგრამები მიზნობრივი იყვნენ მხოლოდ დასახელებით. ამ მიმართულებით განვლილ წლებში ბევრი არაფერი შეცვლილა.

ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტებიდან მიზნობრივი პროგრამული გადაწყვეტისათვის სახსრების გამოყოფის დასაბუთებისათვის აუცილებელი პროგრამის მიუღებლობის შედეგების შეფასება (პროგნოზირება). ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის დანაკარგებიც, რომლებიც გვქონდა პროგრამის დამუშავების მომენტისათვის და მომავალში ზარალის გაზრდის ალბათობა. ამავე დროს უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ ადრე თუ გვიან დადგება ისეთი დანაკარგების (ზარალის) იმ ბიუჯეტიდან ანაზღაურების დროც.

პროგრამების შედეგიანობის არსებით ორგანიზაციულ პირობად უნდა ჩაითვალოს ყველა დამმუშავებლის ორიენტაცია პროგრამული ღონისძიებათა და დავალებათა მკაცრად მიზნობრივი შერჩევისათვის. რეკომენდირებულია ასეთი სქემის რამდენიმე საყრდენი პოზიცია:

1. მკაცრად უნდა გამოიყოს მოვლენები, რომლებიც აფიქსირებენ თითოეული დავალების შესრულების დასაწყისს და დასასრულს; ამ დროს დამამთავრებელი ფაზა მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს და არა თვით დავალებას.

2. თითოეული წარმოდგენილი ღონისძიება მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს დასმულ მიზნებს. მიზნობრივი პროგრამა არ შეიძლება „დავანაგვიანოთ“ ყველაფრით, რაც „რეგიონს“ ეხება, „სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით და ა.შ., როგორც ეს დღეს ხდება.

3. აუცილებელია მოცულობათა ვარიანტების, ფინანსირების წყაროების და თანამიმდევრობის განსაზღვრა; შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გავითვალისწინოთ: საერთო ფინანსური პირობების შეცვლა (ფასების დინამიკა, ინფლაცია); ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნება (საბანკო კრედიტები, ობლიგაციები, აქციონერული კაპიტალი); არითმიულობა რესურსების მოთხოვნაში (ცალკეული დავალების შესასრულებლად შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ერთჯერადი დანახარჯები); დაფინანსების სხვადასხვა წყაროებისგან მაღალი დამოკიდებულების ხარისხი (წილობრივი დაფინანსების დროს ერთი საფინანსო არხის არსებობა).

4. დავალების რეალიზაციაზე და კონტროლის ფორმაზე უნდა დანესდეს პირდაპირი პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური კონტროლი, რადგანაც თავისუფალი ფასების პირობებში იზრდება არაეფექტური გადაწყვეტილებების და თანხების მითვისების პოტენციური სპექტრი.

პროგრამული გადაწყვეტის ობიექტის ხშირი დუბლირების პრაქტიკასთან დაკავშირებით (თვით ცალკეული პროგრამის დუბლირების ჩათვლით) კონსტრუქციულად უნდა გადაწყდეს სხვადასხვა პროგრამის შეთანხმების საკითხი. ასეთი შეთანხმებების შედეგად თითოეულ პროგრამაში შეიძლება დადგეს: ა) სხვა ფედერალური პროგრამული დავალების დაზუსტების წინადადებები; ბ) დავალებათა განსაკუთრებული ბლოკი, რომლებსაც სხვა პროგრამებში რეალიზაციის შანსი გააჩნიათ; გ) სხვა პროგრამების დავალებათა არჩევა, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ დასმულ პრობლემასთან. ვალდებულებათა რიცხვში, რომლებიც რეკომენდირებული არიან ფედერალურ დონეზე დასამტკიცებლად, სასურველია გამოიყოს წინადადებათა ჯგუფი, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ „ფედერალური და სახელმწიფოთაშორისი პროგრამებში ჩასართავი რეკომენდირებული დავალებები“ და „ფედერალურ და სახელმწიფოთაშორისი პროგრამების სხვა დავალებები, რომელთა შესრულება მოცემული პროგრამის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს“.

ცხადია, რომ როცა წარვადგენთ ამა თუ იმ რეგიონულ პრობლემას მიზნობრივი პროგრამის ობიექტის სახით, ნათლად უნდა დავახასიათოთ მისი მოსალოდნელი შედეგი და დავასახელოთ მისი ფასი. რეგიონალურ პრობლემატიკას (მისი სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების გამო) განსაზღვრული სპეციფიკა გააჩნია, რის გამოც პროგრამის დამმუშავებლები ხშირად განსაზღვრული შეფასებებისგან თავს იკავებენ, გარდა პირობების „გაუმჯობესების“, „უზრუნველყოფის“ და ა.შ.

ამ სიტუაციაში მიზანშეწონილია შემოღებულ იქნეს „პროგრამის ეფექტურობის და შედეგიანობის შეფასების“ კრიტერიუმები. საუბარია, ერთი მხრივ, დანახარჯების სამართლიანობის ზომებზე, ხოლო მეორეს მხრივ იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფს პროგრამული ღონისძიებების რეალიზაცია მოსალოდნელი შედეგების მიღწევას.

რეგიონული პროგრამების ეფექტურობის ქვეშ იგულისხმება; ა) დასახული დავალების გადაწყვეტა პროგრამაში ჩართული ამოცანების საფუძველზე, ანუ, უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად ეკონომიურია მიზნის მიღწევის შემოთავაზებული ვარიანტები ალტერნატიულ ვარიანტებზე. ბ) ყოველთვის შეიძლება შეფასდეს პროგრამაში შემოთავაზებული სპეციალური მექანიზმების ეკონომიკური ეფექტურობა. გ) სასურველი დასმული პრობლემის გადაწყვეტაზე დანახარჯების ეფექტურობის დადგენა.

პროგრამის რეალიზაციის შედეგის ქვეშ იგულისხმება: 1. მოსალოდნელი შედეგების შესაბამისობა დასახულ მიზანთან, 2. როგორც უკანასკნელთან დაახლოების ხარისხი, 3. როგორც პირდაპირი პოზიტიური ზემოქმედება რეგიონის სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ სიტუაციებზე, ასევე ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელ პარამეტრებზე. პროგრამის რეალიზაციის შედეგების შეფასების დროს მნიშვნელოვანია მაქსიმალურად კორექტულად შევაფასოთ პროგრამული მიზნის ხარისხობრივ-რაოდენობრივი პარამეტრები, ხოლო რიგ შემთხვევებში მისი მაკონკრეტიზებელი ამოცანები, ეს კი პროგრამის დამმუშავებლების საპასუხისმგებლო და შემოქმედებითი საქმეა.

საუბედუროდ, არც ერთ ჩვენთვის ცნობილ სამამულო პროგრამას მსგავსი დიფერენცირებული და კონკრეტიზებული შეფასებები არ გააჩნიათ.

სასარგებლო იქნებოდა ინვენტარიზაცია გაუკეთდეს ექსპერტულ დასკვნათა იმ მასივს, რომლებიც შედგენილია ფედერალურ პროგრამათა პროექტებზე და რომლებიც ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებს და სხვა უწყებებს გააჩნიათ. ამის გაკეთება აუცილებელია, რადგანაც რეალურად არსებობს და განუწყვეტლივ ივსება ტერიტორიული განვითარების განსაკუთრებით მწვავე პრობლემათა რიგი (ჯგუფი), რომელთა გადაწყვეტა ობიექტური მიზეზების გამო მიუღწეველია არსებული ფინანსირების ჩარჩოებში (პირობებში).

ადრე ჩვენ არაერთხელ მივუთითებდით, რომ ტერიტორიული განვითარების და რეგიონების სელექციური მხარდაჭერის გამოყენებული სახელმწიფო რეგულირების მეთოდები ჯერ კიდევ არ გამომდინარეობენ რეგიონული სიტუაციების სისტემური შეხედულებებიდან, არამედ ეყრდნობიან ფედერაციის საბიუჯეტო უზრუნველყოფას, მათს კვალიფიკაციას „ღარიბი" ან „ძალიან ღარიბი". სწორედ ამიტომ სასურველია შეიქმნას „პროგრამული რეგულირების პოტენციალური ზონების ჩამონათვალი", სადაც ჩართული იქნება „ლოკალური ტერიტორიების განსაზღვრული რაოდენობა", სადაც არ მოქმედებს საბაზრო მექანიზმები და თვითგანვითარების ბუნებრივი პირობები; ან ყველაფერი ეს არსებობს, მაგრამ არ გააჩნიათ ფინანსური რესურსები მათი რეალიზაციისთვის. ასეთი ზონები უნდა გამოცხადდნენ პრიორიტეტული პროგრამული ფინანსირების ზონებად და მათ უნდა მიეცეთ სახელმწიფო გარანტიები.

თანამედროვე პირობებში მოქმედი რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციის ინტერესები მხოლოდ მცირე დოზითაა ასახული ფედერალური პროგრამების შესახებ მოქმედ კანონმდებლობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფედერალური პროგრამების უმრავლესობას მკვეთრად გამოსახული რეგიონული მიმართულება არ გააჩნია, უნდა მოხდეს ამ კანონმდებლობის ორიენტირება პრიორიტეტული, უმთავრესად სოციალური და ეკოლოგიური ამოცანების გადაწყვეტისაკენ. განახლებული ნორმატიულ-სამართლებრივი რეგლამენტაციის საგანი უნდა გახდეს: ა) ძირითადი ცნებები, რომლებიც არეგულირებენ ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სამართლებრივ ფორმებს; ბ) რეგიონალურ სიტუაციათა შეფასების და რეგიონებში ეკონომიკური რეფორმების მსვლელობის პრინციპები; გ) რეგიონული პროგრამების დამტკიცების და შესრულებული სამუშაოთა ორგანიზაციის ტექნოლოგია და ფინანსირება; დ) არასაბიუჯეტო წყაროებიდან ფინანსირების კონსოლიდაციის განსაკუთრებული პირობები, ე) შედეგიანობის და პასუხისმგებლობის ნორმების შეფასების კრიტერიუმები სახელმწიფო მონაწილეობის ფარგლებში ტერიტორიული განვითარების პრიორიტეტულ პრობლემათა გადაწყვეტისას; ვ) ერთობლივი რეგულირების საგნებზე წარმოდგენილი კანონის თანაფარდობის საკითხები სხვა სამართლებრივ აქტებთან.

მსგავსი საკანონმდებლო აქტის დამუშავება, მიღება და მოქმედებაში მოყვანა განხილული უნდა იყოს ტერიტორიული განვითარების პროგრამული რეგულირების სავალდებულო წინაპირობათა რიცხვში.

# რეგიონული პროპორციები, როგორც მათი საწარმოო-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ფაქტორი

## 24.1 რეგიონის სოციალურ – ეკონომიკურ სისტემაში პროპორციების ხასიათი

რეგიონების დინამიური, ბალანსირებული განვითარების უზრუნველყოფა ქვეყნის ეკონომიკის თანამედროვე განვითარების რთულ და მეტად მწვავე პრობლემათა რიგს მიეკუთვნება.

სოციალურ – ეკონომიკურ სისტემაში პროპორციების ხასიათი განისაზღვრება ამ სისტემის განვითარების მიზნებით, შინაგანი სტრუქტურითა და საგარეო კავშირებით. რაც უფრო მასშტაბურია მიზნები, ფართოა საგარეო კაეშირები და რთულია შიდა სტრუქტურა, მით უფრო ძნელია პროპორციების მთელი ერთობლიობის გაანალიზება და პროგნოზირება. ასეთ ვითარებაში წარმოიშვება პროპორციების ზოგიერთი ტიპის გამოყოფის აუცილებლობა.

სამრეწველო პოლიტიკის მთავარ ამოცანას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს პროდუქციის წარმოებასა და მოხმარებას შორის მოცულობით – სტრუქტურული შესაბამისობის უზრუნველყოფა.

უფრო კონკრეტული ხასიათის პროპორციები დაკავშირებულია მოთხოვნისა და მიწოდების ნატურალურ გამოსახულებასთან. ამასთან დეტალიზაციის ხარისხი და ამ პროპორციების წარმოდგენის წესი შესაძლებელია სხვადასხვანაირი იყოს: პროდუქციის ჯგუფების მიხედვით; პროდუქციის კონკრეტული სახეობების მიხედვით; სასურსათო პროდუქციის საკვებ ნივთიერებათა ძირითადი სახეობების მიხედვით;

რესურსების თანაფარდობაში, ისე როგორც სხვა მრავალნაირ პროპორციებში, დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსების ხარისხს, მათ შეზღუდულობას, მათი დეფიციტის დაძლევის შესაძლებლობას გაანვითარების გეგმებისა და პროგნოზირების დინამიური ბალანსირების პირობებში. ჩვენ სხვადასხვა მოსაზრებათა გათვალისწინების საფუძველზე მივიჩნევთ, რომ რესურების პროპორციების წარმოდგენის (გააზრების) ორი ძირითადი წესი არსებობს. პირველი წესი – ესაა ობიექტურად აუცილებელი და რეალურად შესაძლებელი რესურსების მოცულობებს შორის თანაფარდობის განსაზღვრა. ასეთი თანაფარდობის დადგენა გვეხმარება განვსაზღვროთ თითოეული კონკრეტული სახის რესურსის საჭიროების დაკმაყოფილების ხარისხი; მეორე წესი – ეს არის საანგარიშო (საგეგმო) პერიოდის დასაწყისისათვის ფაქტიურად ჩამოყალიბებული ორი ან მეტი სახის რესურსის თანაფარდობა (იგულისხმება ნორმატიული ან გეგმიურ პარამეტრებთან მიმართებით). ურთიერთთანაფარდობის ოპტიმალურ პროპორციად უნდა მიჩნეული იქნას ისეთი თანაფარდობითი მდგომარეობა შრომითი, ძირითადი საზრუნავი კაპიტალის, მიწისა და სხვა რესურსების, როდესაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის წარმოების მყარი რესურსდამზოგავი ტენდენცია. ასეთი ტენდენციის არა სიმყარე ან ასეთის საერთოდ არ არსებობა რესურსებში დისპროპორციის არსებობას ადასტურებს.

ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფორმის პირობებში შესაძლებელია მიღწეული იქნეს საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის დინამიზმი, პარალელურად ძლიერდება მიზანმიმართული აქტიური სტრუქტურული პოლიტიკისა და რეგიონული პროპორციების სრულყოფის მიღწევის აუცილებლობა. ამ დროს არსებითად იზრდება სოციალურ – ეკონომიკური და სამეცნიერო – ტექნიკური პრიორიტეტების მნიშვნელობა, რომელთა საფუძველზეც უზრუნველყოფილი ხდება ამა თუ იმ დარგის, ამა თუ იმ წარმოებებისა თუ რეგიონების წინ გამსწრები განვითარება, ხერხდება დადგინდეს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის რიგითობის დადგენა. ამასთან გასათვალისწინებელი გარემოებაა ის ფაქტი, რომ პრიორიტეტების დადგენა – განსაზღვრა და მისი პრაქტიკული გამოყენება ხელს უწყობს ეროვნული მეურნეობის სრული და ეფექტიანი ბალანსირებული მდგომარეობის მიღწევას და იგი ამასთან რეგიონული პროპორციების ოპტიმიზაციის საშუალებას და მათი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად წარმოგვიდგება. საქმე იმაშია, რომ თვით პრიორიტეტების ფუნქცია ზოგადი აზრით იმაში გამოიხატება, რომ წარმოადგენენ სტრუქტურული, ასორტიმენტული, ხარისხობრივი წინსვლის, სახალხო მეურნეობრივი პროპორციების ჩამოყალიბების ბერკეტებს, როგორც მაკროეკონომიკურ დონეზე, ასევე ცალკეული რეგიონების ეკონომიკისათვის.

ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა მხარეთა დაუბალანსებლობის პირობებში (როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის მასშტაბით), პრიორიტეტებმა უნდა შეასრულონ პროპორციების გაუმჯობესების ფუნქცია, დაუბალანსებლობის მონაკვეთების ურთიერთმიბმის ფუნქცია, ხილული თუ ფარული დისპროპორციების აღმოფხვრის ფუნქცია, ვიწრო ადგილების აღმოფხვრის როლი. პრიორიტეტების აღნიშ-

ნულ ფუნქციას ხატოვანად შეგვიძლია ვუწოდოთ მეურნეობის სტრუქტურული ნორმალიზაციის ფუნქცია. კარგმა დაბალანსებამ რეალურად შეიძლება გამოინვიოს პროდუქციის წარმოების ზრდა.

სრულიად სხვა ფუნქცია უნდა შესრულონ პრიორიტეტულმა პროექტებმა, თუ მეურნეობრიობის საწყისი მონაცემები დამაკმაყოფილებელი დაბალანსირებით ხასიათდება. ასეთ შემთხვევაში პრიორიტეტული პროექტების როლი მდგომარეობს არა არსებული დისპროპორციების ლიკვიდაციაში, არამედ ახალი უფრო პროგრესული პროპორციების ფორმირებაში, რომლებიც შეესაბამება როგორც შეცვლილ საზოგადოებრივ მოთხოვნებს, ასევე სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობებს ტექნოლოგიაში, ტექნიკაში და წარმოების ორგანიზაციაში. ამ ფუნქციას, ჩვენის აზრით, შეიძლება გარკვეული პირობითობით ვუწოდოთ სტრუქტურული ოპტიმიზაციის ფუნქცია.

თუ პირველი ფუნქცია (სტრუქტურული ნორმალიზაციის) პრიორიტეტული პროექტების მიერ ხორციელდება დისპროპორციების დაძლევისათვის, რომლის მიზეზები, როგორც წესი, წარსული დროში მდგომარეობს, ამ ფონზე სტრუქტურული ოპტიმიზაციის ფუნქცია გამოდის მომავალი განვითარების ამოცანებიდან, დაკავშირებულია ისეთი პრიორიტეტების დასაბუთებულობასთან, რომლებიც ქვეყნის მეურნეობას, რეგიონების მეურნეობას გაიყვანენ კვლავწარმოების პრინციპულად ახალი ინტენსიური ტიპის ახალ პროპორციებზე. ეს კი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ არასასურველი დისპროპორციები ეროვნული მეურნეობის მაკროეკონომიკურ დონეზე და რეგიონულ დონეზე.

თუმცა პრიორიტეტული პროექტების ჩვენს მიერ დასახელებული ფუნქციები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეალურ პრაქტიკაში მათ შეუძლიათ გამოამჟღავნონ, ურთიერთშეჯერების უნარი, ისევე, როგორც ერთმანეთს ენასკვებიან ხოლმე განხორციელებისას სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები. ასე, რომ პრიორიტეტების მექანიზმებმა უნდა იმუშაონ სტრუქტურული ოპტიმიზაციის საკეთილდღეოდ მათ უნდა იმუშაონ ურთიერთშეთანხმებულად და შეწყობილად. მთავარი განსხვავება ჩვენს მიერ დასახლებულ ორ ფუნქციას შორის (ტაქტიკურსა და სტრატეგიულს) იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ეყრდნობა თანამედროვე ტექნოლოგიებს, ხოლო მეორე – მომავლის ტექნოლოგიებს.

საქართველო ხილის, ციტრუსების, მევენახეობისა და მებოსტნეობის საკმაოდ განვითარებული ქვეყანაა, ამიტომ ზემოაღნიშნული შეგვიძლია მათ მაგალითზე განვიხილოთ. სოფლის მშრომელთა მიერ მოყვანილი ხილ – ბოსტნეულის პროდუქციის დანაკარგები იმის მიმანიშნებელია, რომ საკმარისი არ არის მათი გადამამუშავებელი საწარმოების სიმძლავრეები და შენახვის პირობები (ახლო წარსულში მართლაც ასე იყო). აღნიშნული დისპროპორციის დასაძლევად აუცილებელია უპირველეს ყოვლისა მიღნეული იქნეს გადამამუშავებელი საწარმოების სადღეღამისო სიმძლავრეების გაზრდა და ნედლეულის შესანახი სათავსების (სამაცივრე მეურნეობა, საწყობები) ფართის გაზრდა. ამ გზით შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ დაიძლიოს დისპროპორცია, შემცირდეს დანაკარგები, შენარჩუნებულ იქნას ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხი, შემცირდეს ნედლეულის ხარისხის ჩამოქვეითებით გამოწვეული ზარალი და სხვა. ამასთან ახალი პროგრესიული ტექნოლოგიური გადაწყვეტილების გამოყენება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ მაცივრების საჭიროება და მალფუჭებადი ნედლეულის გადამუშავება საგრძნობლად გავზარდოთ მათი წარმოების ადგილზევე (მზა პროდუქციის ან ნახევარფაბრიკატების დამზადებით). ამის მეშვეობით საგრძნობლად შემცირდება სატრანსპორტო საშუალებების საჭიროება საწყისი ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის მოსავლის აღების დაძაბულ პიკურ პერიოდში. იმ მიზნით, რათა წარმატებებით გადაეწყვიტოთ სოფლის მეურნეობის მიერ სამრეწველო გადამუშავების საჭიროებისათვის მონეული ნედლეულის (ხილის, ციტრუსის, ყურძნის, ჩაის ფოთლის და სხვა) მთლიანად შენარჩუნების პრობლემა პერსპექტივისათვის აუცილებელია დაჩქარებულად აეითვისოთ და გავავრცელოთ ამ მიმართებით არსებული პროგრესული ტექნოლოგიები, რითაც ხელი შეეწყობა დისპროპორციების აღმოფხვრას ინტენსიური კვლავწარმოების პროგრესულ სახეობათა ფორმირებას.

პრიორიტეტების ტაქტიკური და სტრატეგიული ფუნქციების რეალური თანაფარდობა უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ მოცემული რეგიონული კომპლექსის შინაგანი სტრუქტურული პრობლემებით, არამედ აგრეთვე სხვა რეგიონებისა და მთლიანად ქვეყნის განვითარების ამოცანებით.

პრიორიტეტები – ესაა აქტიური სტრუქტურული პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიღწევისათვის. აღნიშნულმა ორგანოებმა, რასაკვირველია, უნდა დაასაბუთონ პრიორიტეტების აუცილებლობა და უზრუნველყონ მათი რეალურად რეალიზაციისათვის პირობების შექმნა. პრიორიტეტების დასაბუთება და განხორციელება ესაა ეკონომიკაში სასურველი პროპორციების მიღწევის მნიშვნელოვანი საშუალება.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ მიენიჭა ამა თუ ობიექტს ან დარგს დაჩქარებული განვითარების მიზნით პრიორიტეტული მნიშვნელობა და იმას, თუ როგორ შეასრულა მან თავისი კონკრეტული ფუნქცია – ქვეყნისა და რეგიონის პროპორციების გაუმჯობესების და მეურნეობის ეფექტიანობის

ამაღლების, ეფიქრობთ, პასუხი ამ კითხვებზე ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში საჭიროებს კონკრეტულ გაანგარიშებებსა და ხარისხობრივ ანალიზს.

გაანგარიშებების მთელი მეთოდოლოგიური არსენალი უნდა მოემსახუროს მეურნეობის პერსპექტიული სტრუქტურისა და გარკვეული ობიექტების დაჩქარებული განვითარებისათვის პრიორიტეტების დასაბუთებას, რაც ხელს შეუწყობს ეროვნულ მეურნეობაში აუცილებელი და სასურველი პროპორციების ფორმირებას.

ქვეყნისა და რეგიონის მეურნეობის ეფექტიანი კვლავწარმოების უზრუნველყოფა ინტენსიურ საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ძირითადად სამი უმთავრესი მიზანდასახულობის კონკრეტიზირების საფუძველზე – მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით და მისი შედეგების ყველა დარგებში დანერგვით; სამეურნეო მექანიზმის სრულყოფითა და ყველა ტიპის ოპტიმალური პროპორციების ფორმირებით.

როგორც სტატისტიკური ბოლოდროინდელი მონაცემების ანალიზი გვარწმუნებს საქართველოში წარმოების მოცულობის ზრდა სრულებითაც ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის მოხმარების გადიდებას. ამის ერთადერთი მიზეზი იმაში გამოიხატება, რომ თუ იზრდება, თორემ ჯერ – ჯერობით არ მცირდება მოხმარების საგნების წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის შეუსაბამობა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებთან. როგორც დაკვირვება გვარწმუნებს ამ მხრივ უფრო უარესი მდგომარეობაა ქვეყნის ცალკეულ კონკრეტულ რეგიონებში. ამიტომ სწორედ რეგიონებიდან უნდა დაიწყოს საჭირო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

საქართველოს სპეციფიკური ბუნებრივ – კლიმატური და სხვა მაპროფილებელი პირობების გათვალისწინებით მოხმარების საგნების წარმოების ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებთან დაახლოების თვალსაზრისით წამყვანი როლი ეკისრება კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებს, როგორც დაკვირვება ცხადყოფს წარმოებისა და მოხმარების მთლიან მოცულობაში ტერიტორიული ქვედანაყოფის ხვედრითი წილის შემცირებასთან ერთად, ადგილი ჰქონდა რეგიონებში მოსახლეობის კერძო პირად მეურნეობაში წარმოების ხარჯზე პროდუქტების მოხმარების ხვედრითი წილის ზრდას.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების პროპორციების გამოკვლევამ ნათელყო ის სავალალო სურათი, რაც ადასტურებს ადგილობრივი წარმოების საქონელით (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟი, წინდეული და სხვა) მოხმარების ხვედრითი წილის კატასტროფულად მინიმალურ დონემდე ჩამოქვეითებას.

შექმნილი რეალური სიტუაციის ასეთი მოკლე დახასიათებაც კი სავსებით საკმარისია გარკვეული დასკვნების გაკეთებისათვის. კერძოდ კი:

– რეგიონში არსებული წარმოებისა და მოხმარების პროპორციები საჭიროა უპირატესად გაუმჯობესდეს მომხმარებელთა მოთხოვნის მქონე პროდუქციის ადგილზე წარმოების გაზრდით;

– რეგიონში მოხმარების საგნების წარმოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოხმარების მოცულობისა და სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა მიზანშეწონილია განხორციელდეს ოპტიმალურ ფარგლებში სპეციალიზაციის გაღრმავებისა და ეროვნული მეურნეობის კომპლექსურობის დონის ამაღლების გზით;

– რეგიონებში საჭიროა იმ სასოფლო – სამეურნეო კულტურების წარმოების სწრაფი ტემპით გაზრდა, რომელიც ხელს უწყობს რეგიონში სასურსათო ბალანსის ფორმირებას, გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებისათვის ნედლეულის მიწოდებასა და ქმნის მეცხოველეობის საკვებ ბაზას;

– საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონებში მსუბუქი მრეწველობის განვითარების მთავარ მიმართულებად ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებისა და წარმოების მოცულობის მკვეთრ გაზრდასთან ერთად უნდა იქცეს წარმოებული საქონლის სტრუქტურის, ხარისხისა და სარგებლიანობის იმგვარად სრულყოფა, რომ სავსებით აკმაყოფილებდეს თანამედროვე მომხმარებლის გაზრდილ გემოვნებით მოთხოვნებს. ამასთან აღნიშნული დარგის ტერიტორიული ორიენტაცია უნდა განისაზღვროს უპირატესად მომხმარებლის ფაქტორით;

– იმის გათვალისწინებით, რომ მცირე ტერიტორიულ ქვედანაყოფებში პროდუქციის შედარებით შეზღუდული ასორტიმენტი იწარმოება, ეფიქრობთ, ამ თვალთახედვით აქ უფრო ადვილი უნდა იყოს პროდუქციის წარმოებისა და ადგილზე მისი მოხმარების სტრუქტურათა შესაბამისობის შეფასება და შემდგომ ოპერატიული ზომების მიღება. ამას კი ყოველთვის საფუძვლად უნდა დაედოს შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის თავმოყრა ადგილობრივი შესაბამისი საალრიცხვო ორგანოების მხრივ.

წარმოების რეგიონულ განვითარებაში მკვეთრ გარდატეხას შეიძლება მივაღწიოთ, როგორც მოქმედ საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლების, ასევე ახალ საწარმოთა რაციონალური განლაგების შედეგად და კიდევ მრავალი სხვა რეგიონული ფაქტორების ხარჯზე.

რეგიონული მეურნეობის განვითარებაზე დაკვირვება და მისი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების და წარმოების მოცულობის მკვეთრად გაზრდის გზები კონკრეტული რაიონების პირობებთან მისადაგებით საწარმოო ფონდების მაქსიმალურად გამოყენებით; ნედლეულის, ბუნებრივი და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებით; ცალკეული რეგიონებისა და რაიონების პროდუქციის ყველაზე უფრო ეკონომიკურ სახეობათა გამოშვებაზე სპეციალიზაციით; წარმოების ოპტიმალურ მოცულობათა ორგანიზაციითა და საწარმოთა რაციონალური სამეურნეო კავშირების დამყარებით; რაიონებისა და რეგიონების მეურნეობის კომპლექსური განვითარებით.

რეგიონული მეურნეობის განვითარების საკითხებში სპეციალისტთა მოსაზრებები ძირითადად და უპირატეს შემთხვევაში ეძღვნება საწარმოთა რაციონალური განლაგების საკითხებს, რაც რეგიონული მეურნეობრიობის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, ამასთან ეკონომიკური მეცნიერება და პრაქტიკა შედარებით ნაკლებად არის ორიენტირებული არსებული რეგიონული ფაქტორების მიზანმიმართულად გამოყენებით მომქმედი საწარმოო აპარატის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების პრობლემაზე.

პრაქტიკული თვალსაზრისით ზემონათქვამი იმაზე მიმანიშნებელია, რომ საჭიროა ჩამოყალიბებული რეგიონული მეურნეობრიობის სისტემის ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა და ანალიზი, რაც დაგეხმარება შემჭიდროებულ ვადებში არსებული არარაციონალური ტერიტორიულ – საწარმოო კავშირების დაძლევაში, შიდარეგიონული წარმოების რეზერვების გამოყენებით მიღწეული იქნეს არსებული საწარმოო აპარატის ეკონომიკური ეფექტიანობის საგრძნობი ამაღლება.

ეკონომიკური მეცნიერების წინაშე სერიოზული ამოცანა დგას იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროა განხორციელდეს რეგიონული წარმოების განვითარების საკითხების მთელი კომპლექსის სისტემური და მიზანმიმართული შესწავლა.

ამჟამად, რეგიონული წარმოების განვითარების საკითხები მეცნიერების მიერ შესწავლის სხვადასხვა განსხვავებული სტადიებშია. ამ მხრივ ზოგი პრობლემა უკვე ღრმად მეცნიერულადაა დამუშავებული, ზოგი კი მხოლოდ კვლევის საწყის სტადიაშია. ერთ-ერთ ასეთ მეცნიერულად ნაკლები სიღრმით დამუშავებულ საკითხს წარმოადგენს რეგიონული პროპორციების მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

პროპორციების დარღვევა მოხმარებისა და დაგროვების ფონდებს შორის გამოიწვევს იმას, რომ სამუშაო ადგილები არ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ძალით, ან კიდევ პირიქით, ადამიანებს წარმოექმნებათ პრობლემები შრომით მოწყობაში.

ცოცხალი და განივთებული შრომის გამოყენება უნდა დაიგეგმოს რეგიონში დემოგრაფიული სიტუაციისა და დასაქმების ბალანსის გათვალისწინებით.

ხელისუფლების რეგიონულ ორგანოებს არ შეუძლიათ უშუალოდ მართონ რეგიონის საერთო – ეკონომიკური პროცესების ფორმირება, მაგრამ მათ შეუძლიათ და ძალუძთ პროგნოზებისა და ზარალის შეფასების საფუძველზე თავიდან აიცილონ დისპროპორციების მწვავე გამოვლინება.

– სტრუქტურული პროპორციები ასახავს რეგიონული ეკონომიკის მთლიანი კონსტრუქციის ცალკეულ ელემენტებს შორის თანაფარდობას. ცალკეული ელემენტების ეს თანაფარდობა უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში, ადამიანების ცხოვრებისათვის ხელსაყრელი კლიმატისა და პირობების შექმნას, სამეურნეო კომპლექსის განვითარებისათვის, ასევე ხელსაყრელი სიტუაციის ფორმირებას.

ამ ჯგუფის პროპორციები მოიცავენ თანაფარდობას შემდეგ ობიექტებსა და მოვლენებს შორის: ა) წარმოების მომპოვებელ და გადამამუშავებელ დარგებს შორის; ბ) რეგიონის ეკონომიკასა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების მასშტაბებს შორის; გ) საინვესტიციო მოღვაწეობის მასშტაბებსა და სამშენებლოო კომპლექსის დარგებს შორის; დ) სოფლის მეურნეობის განვითარებასა და სასოფლო სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ მრეწველობის დარგებს შორის; ე) სატრანსპორტო მომსახურების საჭიროებასა და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის განვითარების დონეს შორის.

სტრუქტურული პროპორციების ფორმირებით იწყება წინასაგეგმო დასაბუთება სპეციალიზირებული დარგების განლაგების პერსპექტივის დასაბუთება. სტრუქტურული პროპორციები წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკის განვითარების კომპლექსურობის დონის დახასიათების მატერიალურ – საგნობრივ დახასიათებას. სტრუქტურული პროპორციების ფორმირება მოწოდებულია უზრუნველყოს წონასწორობა რეგიონისშემქმნელ და ინფრასტრუქტურულ დარგებს შორის. რეგიონის სტრუქტურული პროპორციის დარღვევა იწვევს მატერიალურ ზარალს და აქვეითებს რეგიონული ეკონომიკის განვითა-

რების საერთო ეფექტიანობას. ასე მაგალითად, უგზაობის და მათი ცუდი მდგომარეობის გამო გადაზიდვის დროს იკარგება პროდუქცია, მცირდება სატრანსპორტო საშუალებების მომსახურეობის ვადა.

– სოციალურ-ეკონომიკური პროპორციები ყველაზე უფრო მეტად ასახავს იმ შიდარეგიონულ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც ხელისუფლების რეგიონული ორგანოების უშუალო მოვალეობაა. ამ ჯგუფს განეკუთვნება შემდეგი პროპორციები: ა) პირადსა და საზოგადოებრივ მოხმარებას შორის; ბ) რეგიონულ ბაზარზე სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურების გადახდისუნარიან მოთხოვნასა და მიწოდებას შორის; გ) მოსახლეობის რიხოვნობასა და საბინაო მეურნეობის განვითარებას შორის; დ) საბინაო მეურნეობასა და კომუნალური მომსახურების სფეროს შორის; ე) მოსახლეობის რიცხოვნობასა და არასაწარმოო სფეროსა და მის სტრუქტურის განვითარების მასშტაბებს შორის.

პროპორციების ეს ჯგუფი ასახავს რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონეს. პროპორციების აღნიშნული ჯგუფი ყალიბდება რეგიონული კვლავწარმოებრივი პროცესის მონაწილეთა მიერ მიღებული გადანყვეტილებებით; კერძოდ კი ისეთების მიერ, როგორიცაა სამეწარმეო სფერო, ცენტრალური მთავრობა ხელისუფლების რეგიონული ორგანოები, მოსახლეობა. ასე მაგალითად, პირადი მოხმარების ფონდი იქმნება მოსახლეობის შემოსავლების ხარჯზე, პირად და საზოგადოებრივ მოხმარებას შორის პროპორციას აქვს არა მარტო სოციალური, არამედ აგრეთვე ეკონომიკური დატვირთვაც.

სოციალურ-ეკონომიკური პროპორციები ორგანულად არის დაკავშირებული რეგიონის მთელ სისტემასთან: მოსახლეობის მოთხოვნა მატერიალურ სიკეთეზე და მომსახურეობაზე ზეგავლენას ახდენს მათ წარმოებაზე, ხოლო წარმოება მომუშავეთა შემოსავლებით ზემოქმედებას ახდენს მოთხოვნილებების დონეზე და მოთხოვნა სამომხმარებლო საქონელზე და მომსახურებაზე.

– ეკონომიკურ – დემოგრაფიული პროპორციები ასახავენ რეგიონული კვლავწარმოების დემოგრაფიული და ეკონომიკური პროცესების ურთიერთკავშირს. რეგიონული პროპორციების აღნიშნული ჯგუფი ასახავს ურთიერთკავშირს ურთიერთობათა ისეთ სახეობებს შორის, როგორიცაა: ა) შრომითი რესურსების მატება და კლება; ბ) მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი და საწარმოო სტრუქტურა; გ) შრომითი რესურსები და სამუშაო ადგილების ფაქტიური რაოდენობა; დ) საწარმოო და არასაწარმოო სფეროებში დასაქმებულები; ე) ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა; ვ) მოსახლეობის რაოდენობა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის დონე; ზ) შრომისუნარიანი ასაკის დასაქმებული და უმუშევარი მოსახლეობის რიცხოვნება.

პროპორციების ეს ჯგუფი მოწოდებულია უზრუნველყოს გარკვეული ბალანსი ტერიტორიის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ პოტენციალებს შორის. ამასთან სოციალურ-ეკონომიკურ პროპორციებთან ერთად განაპირობებს რეგიონში მიგრაციულ პროცესებს და მათ მიმართულებას.

– ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროპორციები ახასიათებენ რეგიონის ბუნებრივი პოტენციალის მოცულობასა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის თანაფარდობას. ამ ჯგუფს განეკუთვნება პროპორციები: ა) სანედლეულო პოტენციალსა და მისი გამოყენების საწარმოო შესაძლებლობებს შორის; ბ) წარმოების განვითარებასა და ბუნების დაცვით მოღვაწეობას შორის; გ) პოტენციალურ სარესურსო შესაძლებლობებსა და ზღვრულ დასაშვებ სანარმოო დატვირთვას შორის; დ) ბუნებრივი რესურსების (ტყის, მიწის, წყლის, ნადირის და მცენარეული სამყარო) ექსპლუატაციასა და მათი კვლავწარმოების პროცესს შორის.

ამ ჯგუფის პროპორციების ფორმირება გულისხმობს ბუნებრივი რესურსების თითოეული სახესა და მათი გამოყენების პოლიტიკას შორის შესაბამისი ბალანსების შემუშავებას.

– ფინანსურ-ეკონომიკური პროპორციები დაკავშირებულია მატერიალური და საფინანსო-ფულადი რესურსების წრებრუნვასთან და ასახავს მმართველობით სტრუქტურებს შორის კომპეტენციების განაწილებას.

აღნიშნული პროპორციები უდევს საფუძვლად რეგიონული ეკონომიკის განვითრების მექანიზმის მართვას. ამ მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს რეგიონული კვლავწარმოების ყველა მონაწილეთა შორის ისეთი თანაფარდობა და კავშირები, რომლებიც კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს განვითარების მიზნებზე და ყველა ურთიერთმოქმედი მხარეების ინტერესების დაბალანსებაზე.

ამ ჯგუფის ძირითად პროპორციებს განეკუთვნება პროპორციები: ა) წარმოებულ წმინდა პროდუქციასა და რეგიონში გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალს შორის; ბ) რეგიონის ბიუჯეტსა და რესურსებს შორის, რომლებიც აუცილებელია ხელისუფლების რეგიონული ორგანოების ფუნქციების განსახორციელებლად; გ) გადასახადებსა და გადახდებს შორის ხვედითი წილი, რომლებიც წარიმართება ცენტრალურ და რეგიონულ ბიუჯეტებში; დ) რეგიონის განვითარების უზრუნველმყოფელ შიდა და გარე ფინანსურ წყაროებს შორის; ე) რეგიონში შექმნილ მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტსა და კვლავწარმოების რესურსებს შორის.

ფინანსურ-ეკონომიკურ პროპორციებს გადამწყვეტი როლი განეკუთვნება ყველა რესურსების იმ ერთიან სისტემაში გასაერთიანებლად, რომელიც წარმოქმნის და წარმართავს რეგიონის კვლავწარმოებრივ პროცესს.

კვლავწარმოების რეგიონული პროპორციები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთს განაპირობებენ. მაგალითად, ეკონომიურ-დემოგრაფიული პროპორციების ცვლილება გავლენას ახდენს რეგიონული პროპორციების მტელ სისტემაზე-დასაქმების სტრუქტურაზე, სოციალური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცვლილებაზე და ა.შ.

რეგიონული კვლავწარმოების პროპორციები ობიექტური ხასიათისაა და რეგიონში მიმდინარე ყველა მრავალრიცხოვან პროცესებს შორის პირდაპირი და ირიბი ურთიერთკავშირების დადგენა და აგრეთვე მათი გამოვლენის მექანიზმის დადგენა შეადგენს რეგიონის მართვის საფუძველს.

კვლავწარმოების რეგიონულ პროპორციებს ლოკალიზაციის განსხვავებული დონე ახასიათებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი ერთი ნაწილი ყალიბდება (ფორმირდება) გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების მნიშვნელოვანი გავლენით და მათი მართვა არ წარმოადგენს ხელისუფლების რეგიონული ორგანოების პირდაპირ ფუნქციას. მაგალითად, მოხმარების ფონდსა და დაგროვების ფონდს შორის პროპორცია ყალიბდება სახელმწიფოს (მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების ინვესტირება, შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის დაწესება, პენსიებისა და სტიპენდიების დონის დადგენა და სხვა) და საწარმოების (განვითარების ფონდის შექმნა, შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების დარგში და სხვა) მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა გავლენით. ხელისუფლების რეგიონული ორგანოები ზემოქმედებენ ასეთი პროპორციების ფორმირებაზე უმთავრესად თავისი ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის დადგენით და ბიუჯეტთაშორის ურთიერთქმედების ობიექტურობის დასაბუთებით.

სხვა პროპორციების ფორმირება უპირატესად დაკავშირებულია შიდარეგიონული სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტასთან.

რეგიონული კვლავწარმოების პროპორციები თავის რაოდენობრივ გამოხატულებას პოულობს საბალანსო აგებულებათა მეშვეობით, რომლებიც მოიცავენ ცალკეულ კერძო ბალანსებს და ნაერთ მატერიალურ-ფინანსურ ბალანსს და რომლებიც ერთობლიობაში რეგიონის ეკონომიკურ ბალანსს წარმოადგენს.

რეგიონის ეკონომიკის დაბალანსება წარმოადგენს მატერიალური და ღირებულებითი რესურსების უწყვეტი წრებრუნვის ობიექტურ მოთხოვნილებას.

ყოფილი საბჭოთა კავშირის პრაქტიკაში ათწლეულების განმავლობაში ცალკეული რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების და სხვა ტერიტორიულ – ადმინისტრაციული წარმონაქმნების მიხედვით დგებოდა ბალანსების ერთობლიობა, რაც მოიცავდა: 1) მატერიალურ ბალანსებს, 2) შრომის ბალანსს, 3) ფინანსურ ბალანსებს, 4) ბუნებრივი რესურსების ბალანსებს (მიწის რესურსების ბალანსს, წყლის რესურსების ბალანსს).

პერიოდულად რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით შემუშავდებოდა წარმოებისა და პროდუქციის განაწილების დარგთაშორისი ბალანსი, რამაც რეგიონის კვლავწარმოებრივი პროპორციის სისტემური დახასიათების საშუალება შექმნა.

სამწუხაროდ, ყველა ზემოთმითითებული ბალანსები მუშავდებოდა იზოლირებულად ერთმანეთთან ურთიერთშეუხამების გარეშე. ამასთან, ხაზგასმით გვინდა მოვახდინოთ იმის კონსტატირება, რომ რათა დახასიათებულ იქნას რეგიონული კვლავწარმოებითი პროცესი მთლიანობაში, საჭიროა არსებობდეს ურთიერთდაკავშირებული ბალანსების სისტემა, რომელიც ასახავდა რეგიონის როგორც მეტრიალურ-საგნობრივ კავშირებს, ასევე კვლავწარმოების შრომით და ფინანსურ ასპექტებთან დაკავშირებულ ღირებულებით პროპორციებს. რეგიონული ეკონომიკის სისტემური ანალიზის ასეთ ინსტრუმენტად შეიძლება მიჩნეული იქნეს ეკონომიკური ბალანსი, რომელიც წარმოადგენს რეგიონის ნაერთ მატერიალურ-ფინანსურ ბალანსთან ინტეგრირებულ ბალანსების სისტემას. ეკონომიკური ბალანსის მნიშვნელოვან ღირსებას ის წარმოადგენს, რომ რეგიონის კომპლექსურ სოციალურ – ეკონომიკურ განვითარებასა და ამ განვითარების საფინანსო ბაზის ფორმირებას შორის არსებული კავშირის განსაზღვრისათვის საშუალებას იძლევა.

რეგიონის ეკონომიკური ბალანსის დახმარებით რეგიონულ ორგანოებს შეუძლიათ შეაფასონ, თუ რამდენად არის დაბალანსებული ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივი ქვესისიტემების განვითარება; ამასთან წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები რამდენად არის გასაშუალებული რეგონული განვითარების ურთიერთკავშირებითა და პროპორციებით. რეგიონის ეკონომიკური ბალანსი საშუალებას იძლევა გადაწყვეტილი იქნას რიგი პრინციპიალური ამოცანა. ასეთ ამოცანათა რიგს განეკუთვნება უპირველეს ყოვლისა რეგიონის კომ-

პლექსური განვითარების ამოცანა. გაფართოებული კვლავწარმოების პოზიციებიდან ეს ნიშნავს სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის ცალკეულ ელემენტებს შორის ისეთი თანაფარდობებისა და პროპორციების ფორმირებას, რომლებიც შექმნიდნენ პირობებს რეგიონის შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში ეფექტიანად ჩართვისა და შიდარეგიონული პრობლემების გადასაწყვეტად, აგრეთვე სოციალურ სფეროში თანმიმდევრულად წინსვლის უზრუნველსაყოფად.

საწარმოო სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები ზემოქმედებს წარმოების სტრუქტურაზე და კვლავწარმოების პროცესის ურთიერთკავშირებისა და პროპორციების მთელ სისტემაზე, რითაც იწვევს რეგიონული ეკონომიკის ცალკეულ ელემენტებს შორის წონასწორობითი მდგომარეობის დარღვევას. შედეგად მუდმივად წარმოიქმნება ხოლმე პროპორციების ახალი სისტემის დადგენის მოთხოვნილება; ისეთი სისტემის დადგენის, რომელიც პასუხობს რეგიონული კვლავწარმოების პროცესში მომხდარ ცვლილებებს.

რეგიონული განვითარების მართვის მექანიზმმა ურთიერთობათა განვითარების უწყვეტი მუდმივი კონტროლის გზით უნდა გაითვალისწინოს რეგიონული კვლავწარმოების მიმდინარეობის რეგულირების შესაძლებლობა. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს იმ ურთიერთობათა განვითარება და კონტროლი, რომელიც ყალიბდება:

– რეგიონის სამეურნეო კომპლექსის დარგებს შორის;

– ეკონომიკის განვითარების მასშტაბებსა და საწარმოო ინფრასტრუქტურის მდგომარეობას შორის;

– რეგიონში ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პროცესებს შორის;

– ეკონომიკურ და საფინანსო-საკრედიტო სფეროს შორის;

– რეგიონის ეკონომიკურ და საფინანსო ნაკადებს შორის;

– რეგიონის რესურსულ და ეკონომიკურ პოტენციალს შორის;

– ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს შორის.

მეორე ამოცანას შეადგენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და მისი განვითარების საფინანსო ბაზას შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრა. საქმე იმაშია, რომ რეგიონული ეკონომიკის განვითარება ორგანულადაა ურთიერთდაკავშირებული ფინანსური რესურსების კვლავწარმოებასთან. ეკონომიკური ბალანსი კი საშუალებას იძლევა

– გამოვავლინოთ და განვსაზღვროთ კვლავწარმოების პროცესის მაფორმირებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების საერთო მოცულობა და განვსაზღვროთ მათი გამოყენების მიმართულებები;

– განვსაზღვროთ და დავადგინოთ შიდარეგიონული სოციალურ – ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად გამოსაყენებელი წმინდა პროდუქციის ხვედრითი წილი;

– განვსაზღვროთ კვლავწარმოების რეგიონული პროცესის განსახორციელებლად გამოსაყენებელი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ხვედრითი წილი;

– მივცეთ ფინანსური რესურსების შექმნასა და გამოყენებას საერთო სურათი და შეფასება (საკითხი ეხება იმ ფინანსურ რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონში მატერიალური და ფინანსური სახსრების წრებრუნვას).

აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკანონმდებლო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს, რაც აღმოცენდება მატერიალური და ფინანსური რესურსების აკუმულირებასა და ხარჯვასთან დაკავშირებით, ბუნებათსარგებლობასთან დაკავშირებით, რეგიონული საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით; აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც არეგულირებენ შექმნილი წმინდა პროდუქტის პირველად და მეორად განაწილებასა და გადანაწილებას, არეგულირებენ განსაზღვრული საბიუჯეტო, საფინანსო – საკრედიტო და საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისათვის პირობების ფორმირებას.

რეგიონში შექმნილი წმინდა პროდუქტის განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმი ბევრად განსაზღვრავს იმ ფინანსურ – ეკონომიკურ ურთიერთობათა სიმყარესა და ქმედითობას, რომლებიც ფორმირდება რეგიონული ეკონომიკის ცალკეულ რგოლებს შორის, აგრეთვე რეგიონული ეკონომიკის ფუნქციონირების დანახარჯებსა და საერთო შედეგების თანაფარდობას შორის.

რეგიონული ეკონომიკის მართვა განუყრელად არის დაკავშირებული ამავე რეგიონში შექმნილი წმინდა პროდუქტის განაწილებისა, გადანაწილებისა და აღრიცხვის პრობლემასთან. ამასთან დაკავშირებით პრობლემატურ საკითხად მიგვაჩნია:

– ფინანსური რესურსები, რომლებიც რჩება საწარმოების განკარგულებაში და ემსახურებიან წარმოების გაფართოებასა და კოლექტივის სოციალური პრობლემების გადაწყვეტას;

– რეგიონული ბიუჯეტის ჩამოყალიბების რესურსების წყაროები;

– რეგიონის ფინანსური რესურსები, რომლების აკუმულირებაც ხდება სახელმწიფოს მიერ და რომლებიც წარმოადგენენ ცენტრალური ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს;

– ფინანსური რესურსები, რომლებიც გამოიყენებიან საწარმოო და არასაწარმოო დაგროვების მიზნებისათვის გამოსაყენებლად;

– ფინანსური რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ არასაწარმოო სფეროს განვითარებას;

– მოსახლეობის ფულადი რესურსები;

– საფინანსო-საკრედიტო სისტემის რესურსები, რომლებიც გამოიყენებიან რეგიონული კაპიტალ-წარმოების პროცესში.

ბოლოს დავძენთ, რომ ეკონომიკური ბალანსი აფართოებს რეგიონში ეკონომიკური მოღვაწეობის ეფექტიანობასა და რეგიონში სოციალურ – ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზის შესაძლებლობებს.

წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში ფორმირებული პროპორციებისა და კავშირების ობიექტური დამახასიათებლის როლს ეკონომიკური ბალანსი ასრულებს თავისი შინაგანი სტრუქტურის მეშვეობით, რომელიც წარმოდგენილი გვაქვს შემდეგი ისეთი მნიშვნელოვანი ბლოკების სახით, როგორიცაა:

– მატერიალური წარმოება;

– საწარმოო დაგროვება;

– პირადი და საზოგადოებრივი მოხმარება;

– არასაწარმოო მოხმარება;

– არასაწარმოო დაგროვება;

– მოსახლეობის ფულადი შემოსავლები და ხარჯები;

– რეგიონული ბიუჯეტის ფორმირება;

– ცენტრალური ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობა;

– არასაბიუჯეტო (ბიუჯეტსგარეშე) ფონდების ფორმირებაში მონაწილეობა;

– საფინანსო-საკრედიტო სისტემის მოღვაწეობაში მონაწილეობა.

ცალკეული ბლოკები ასახავენ რეგიონული კვლავწარმოებრივი პროცესის ელემენტებს შორის ორგანულ ურთიერთკავშირსა და წინააღმდეგობას, ასახავენ მათ შორის საბალანსო წონასწორობის შენარჩუნების შესაძლებლობებს, როგორც იმ პირობების ფორმირების საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალურ პირობებს საწარმოთა მოღვაწეობისათვის და ხალხის ღირსეული ცხოვრებისათვის.

ამგვარად, კვლავწარმოების რეგიონული პროპორციების კვლევას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ, აგრეთვე სოლიდური პრაქტიკული მნიშვნელობაც.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის პირობებში, როდესაც მართვის დარგობრივი პრინციპი ითვლებოდა წამყვან მიმართულებად, რეგიონული ეკონომიკის დახასიათებისათვის გამოიყენებოდა უპირატესად დარგობრივი მაჩვენებლები. ნებისმიერი რანგის კომპლექსური რეგიონული გეგმა ძირითადად შეიცავდა ღირებულებით და ნატურალური ფორმით დარგობრივი ნაერთის დახასიათებას.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვფიქრობთ, რომ რეგიონის კვლავწარმოებითი პროცესის ძირითად მაჩვენებლებად და რეგიონული ეკონომიკის განვითარების ანალიზისას გამოსაყენებლად უნდა მიჩნეული იქნას:

1) ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი – რეგიონის მატერიალური წარმოების დარგებში წარმოებული მატერიალური დოვლათისა და მომსახურების მთლიანი მოცულობა, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენენ მისი დარგობრივი და ღირებულებითი სტრუქტურა.

რეგიონის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა და მისი დინამიკა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ და შევაფასოთ რეგიონის ადგილი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, ძვრები დარგობრივ სტრუქტურაში და მათი მიმართულება, რეგიონული დარგთაშორისი კავშირების სიმჭიდროვე, რეგიონის შესაძლებლობები შიდა მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი სტრუქტურა გვიჩვენებს მატერიალური დანახარჯების ხვედრით წილს, რომელიც გამოყენებული იყო მისი წარმოების პროცესში და წმინდა, ახლად შექმნილი პროდუქციის წარმოების პროცესში.

2)რეგიონის წმინდა პროდუქცია – აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტი ანუ რეგიონში ახლად შექმნილი ღირებულება წარმოადგენს შედეგობრივ მაჩვენებელს, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასებულ იქნას რეგიონის წვლილი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის შექმნაში.

3)გამოყენებული ეროვნული შემოსავალი. თითოეული რეგიონი ერთდროულად ქმნის კიდეც და იყენებს ეროვნულ შემოსავალს, მაგრამ მკაცრი მათემატიკური თანაბრობა შექმნილ და გამოყენებულ ეროვნულ შემოსავლებს შორის არ არის, გამოყენებული ეროვნული შემოსავალი და მისი სტრუქტურა ახასიათებენ რეგიონის წილს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მოხმარებაში, მისი განვითარების ინტენსიურობას, მოხმარებისა და დაგროვების ფონდებს შორის პროპორციებს.

4)რეგიონის საბოლოო პროდუქცია – ესაა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მოხმარების ფონდების, დაგროვებისა და გამოყენებული ძირითადი ფონდების ასანაზღაურებელი სახსრების ფორმირებას, აგრეთვე გადის რეგიონის გარეთ ანუ რეგიონის საბოლოო პროდუქციაში შედის შუალედური პროდუქციის ის ნაწილიც, რომელიც გამოიყენება მიმდინარე საწარმოო მოხმარებისათვის სხვა რეგიონებში. ამიტომ ქვეყანაში შექმნილი საბოლოო პროდუქტი უფრო ნაკლებია, ვიდრე ყველა რეგიონის საბოლოო პროდუქტების ჯამი. რეგიონის საბოლოო პროდუქტის წარმოების მაჩვენებელი ასახავს რეგიონის საკუთარ ხვედრით წილს მისი მოხმარებისა და დაგროვების ფონდების ფორმირებაში, აგრეთვე რეგიონის როლს რეგიონთაშორისი კავშირების ფორმირებაში.

5)აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტი. აუცილებელი პროდუქტი ხასიათდება ხელფასის ფონდით და ხელფასის ტიპის გადასახადებით, ხოლო ზედმეტი პროდუქტი გამოდის მოგების ფორმით, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის სახით და გამოყენებული რესურსებისათვის გადახდილი სხვადასხვა სახის გადახდებით.

6)რეგიონული კვლავწარმოებითი პროცესის ეფექტიანობის მაჩვენებლები. ეფექტიანობის კერძო მაჩვენებლებს წარმოადგენენ პროდუქციის მასალატევადობა,შრომატევადობა და ფონდტევადობა, რომლებიც გვიჩვენებენ პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე ნედლეულისა და მასალების, შრომის ხვედრით დანახარჯებს.

რეგიონული კვლავწარმოების დახასიათებისას დიდი მნიშვნელობა ეძლევა კვლავწარმოების რესურსებს. თავისი ეკონომიკური დანიშნულებით კვლავწარმოების რესურსები მოწოდებული არიან გადაწყვიტონ რეგიონული განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანები, როგორიცაა:

– სანარმოო მოთხოვნილების საჭიროების უზრუნველყოფა;

– წარმოების პროცესში გაცვეთილი ძირითადი სანარმოო კაპიტალის ანაზღაურება;

– ძირითადი და საბრუნავი ფონდების (კაპიტალის) გაფართოებული კვლავწარმოება და შრომის საგნებისა და იარაღების აუცილებელი მარაგის შექმნა, აგრეთვე სამომხმარებლო საქონლის მარაგის შექმნა;

– მოხმარების ფონდების ფორმირება.

მართვის ახალ სისტემაზე გადასვლის პირობებში, როდესაც ხელისუფლების რეგიონულ ორგანოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადამიანების ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შექმნისათვის და ეკონომიკის განვითარებისათვის, როდესაც ისინი იძულებული არიან თვითშდამოუკიდებლად ეძებონ ფინანსური წყაროები თავიანთი რეგიონების განსავითარებლად, აუცილებელი ხდება ახალი მიდგომების ძიება რეგიონის ეკონომიკის ეფექტიანობის განსაზღვრის კრიტერიუმების განსაზღვრის და რეგიონული კვლავწარმოების პროცესის მიმდინარეობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გავლენის შესაფასებლად.

რეგიონული კვლავწარმოების პროცესის ეფექტიანობის განმაზოგადებელ მაჩვენებლად შეიძლება მიჩნეულ იქნას წარმოებული წმინდა პროდუქციისა და მისი მიღებისათვის გამოყენებული კვლავწარმოების რესურსებს შორის თანაფარდობა. მაგრამ ამასთან ერთად ამ მაჩვენებლის გამოყენება უფრო მიზანშეწონილი და გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების რეგიონული ორგანოები პასუხს აგებენ არა მარტო რეგიონული კვლავწარმოებრივი პროცესების მიმდინარეობისათვის, არამედ ისინი აგრეთვე თუ აღჭურვილი არიან კონკრეტული უფლებამოსილებითა და შესაძლებლობებით მართვის სისტემაში თავიანთი ფუნქციების სარეალიზაციოდ.

განზოგადებულ ფორმაში ხელისუფლების რეგიონული ორგანოების მართვის ფუნქციები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დაბალანსებული პროპორციული რეგიონული სისტემის შექმნა. შეიძლება ამით დავასკვნათ, რომ რეგიონის განვითარების პროცესის მართვა არის რეგიონული პროპორციების ფორმირება.

ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების დაჩქარების აუცილებლობა, რაც განპირობებუ-

ლია გაჭიანურებული ღრმა ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ამოცანებით, ეკონომიკურ მეცნიერებას მიზნად უსახავს მოცემული პროცესის სრულყოფილი მეთოდებისა და ბერკეტების ძიებას, ამ პროცესის დინამიურობის ამაღლების ყველა შინაგანი რეზერვების გამოვლენასა და სტიმულირების პირობების შეშუშავებას. ასეთ გამოკვლევებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი, უდაოდ, განეკუთვნება საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების პროცესის შესწავლას, რომლის ჩაღრმავებული და კონსტრუქციული ანალიზი რეგიონულ დონეზე, ჩვენი აზრით, თანამედროვე ეტაპზე იმის ფართო შესაძლებლობას ხსნის, რომ მოცულ იქნას სოციალურ – ეკონომიკური განვითარების ყველა პრობლემები.

რეგიონულ დონეზე კვლავწარმოების არსის გაგება და დასაბუთება, მისი ეროვნულ – მეურნეობრივ დონეზე კვლავწარმოებით პროცესთან მსგავსება და განსხვავება საშუალებას იძლევა შემუშავებულ იქნას ცალკეული კონკრეტული რეგიონის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია, რომელიც ამასთან ორგანულად იქნება შეხამებული ქვეყნის, დარგისა და ტერიტორიის ინტერესებთან.

განმასხვავებლად კი, რაც განპირობებულია რეგიონული კვლავწარმოების სპეციფიურობით, საერთოშ აღიარებით მიჩნეულია რეგიონის გახსნილი ხასიათი. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონის შეტანა – გატანის მოცულობები ისეთ ოდენობას აღწევს, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ნარმოვიდგინოთ რეგიონი ჩაკეტილი (შეკრული) სისტემის სახით (ეროვნულ – მეურნეობრივ დონეზე მიმდინარე კვლავწარმოებითი პროცესისაგან განსხვავებით).

რეგიონში კვლავწარმოების პროცესის ღია ხასიათმა განაპირობა სწორედ რეგიონისა და მასში კვლავწარმოებითი პროცესისადმი დიდი ყურადღება, ჩამოყალიბებული თვალსაზრისით რეგიონული კვლავწარმოებითი პროცესის დასრულების ხარისხი იზრდება რეგიონის ეკონომიკური ძლიერების ზრდასთან ერთად ანუ, რაც უფრო დიდია მოცემული ტერიტორიის ეკონომიკური პოტენციალი, კვლავწარმოებითი პროცესი რეგიონში თავისი ხასიათით მით უფრო უახლოვდება ეროვნული მეურნეობის დონეზე მიმდინარე კვლავწარმოებითი პროცესის მახასიათებლებს, ანუ პირობით ის შეიძლება დაყვანილ იქნას ჩაკეტილ სისტემამდე, რომლის შიგნითაც ხორციელდება საზოგადოებრივი პროდუქტის კვალვწარმოების ყველა ფაზა.

აუცილებლად მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ რეგიონში კვლავწარმოებითი პროცესის დასრულების ხარისხის მაჩვენებელი მთლიანობაში არ არის კონსტრუქციული ხასითის მატარებელი. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რეგიონში კვლავწარმოებითი პროცესის დასრულების ხარისხი თავისი არსით წარმოადგენს უფრო ღრმა პროცესების გარეგან ასახვას, რაც, ჩვენის აზრით, განპირობებულია საზოგადოებრივი შრომის ტერიტორიული დანაწილებითა და ინტეგრაციით, როგორც ცნობილია, ყველა სახის რესურსების სივრცობრივი დიფერენციაცია წარმოადგენს იმ ობიექტურ წინაპირობას, რომელზეც არის დაფუძნებული შრომის ტერიტორიული დანაწილების კანონის მოქმედება. რეალურად ეკონომიკურ ცხოვრებაში შრომის ტერიტორიული დანაწილება და ინტეგრაცია ვლინდება რეგიონული განვითარების სპეციალიზაციისა და კომპლექსურობის ფორმაში, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებენ.

რეგიონული კვალვწარმოების დაბალანსების პრობლემა დღეისათვის წარმოადგენს ყველაზე უფრო სადისკუსიოს რეგიონულ დონეზე აღნიშნული პროცესის ფუნქციონირების თეორიის ჩამოყალიბებაში.

მეურნეობის რეგიონული სისტემის ღია ხასიათის აღიარება არ წყვეტს რეგიონში კვლავწარმოების პროცესის ღირებულებით გამოსახულებით დაბალანსების ხარისხის პრინციპიალურ საკითხს. ის ფაქტი, რომ წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესები თავიანთი მატერიალურ – საგნობრივი ფორმით არ თავსდებიან რეგიონის ფარგლებში, არ გამორიცხავს ცალკეულ რეგიონის შორის დაბალანსებულ ღირებულებით ურთიერთგაცვლების სიტუაციის აღმოცენებას და ამით თითოეულ მათგანში (ე.ი. რეგიონში) წარმოებისა და მოხმარების (გატანის და შემოტანის) რაოდენობრივ შესაბამისობას. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის თეორიული თვალსაზრისები შეიძლება დაყვანილ იქნას ორი სახის თვალსაზრისამდე: 1) როდესაც რეგიონში წარმოებისა და მოხმარების განვითარების საკითხი სახალხო მეურნეობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე მთლიანად ზუსტად ისაზღვრება და პროგნოზირდება, რასთან დაკავშირებითაც რეგიონულ დონეზე ცალსახა ეკონომიკური კვლავწარმოების პროცესმა მიაღწია თავისი განვითარების ისეთ პოტენციას, რომ ეს ქმნის თავისსავე ფარგლებში (თავისავე ჩარჩოებში) მის ანაზღაურებას (დასრულებას) ღირებულებითი გამოხატულებით (ვ.ა. ვოროტილოვი, ა.ი. დობრინინი, ვ.ი. ფეოდოტოვი). ამასთან პირველი მიდგომის შემთხვევაში დასაბუთებისათვის არგუმენტად მოყავთ ცალკეული რეგიონების მიხედვით წარმოებული და გამოყენებული ეროვნული შემოსავლების მყარი რაოდენობრივი დაუბალანსებლობა, რაც ასახვას პოულობს რეგიონული

გატანა – შემოტანის როგორც აქტიურ, ისე პასიურ სალდოში. მეორე თვალსაზრისის სასარგებლო მოსაზრებები ემყარება მერყეობის თანაფარდობის მონაცემებს, რაც განპირობებული იქნება ძირითადად წარმოების საშუალებებზე და მოხმარების საგნებზე ფასების ჩამოყალიბების სისტემით.

ორივე საერთო თეორიული პოზიციის არგუმენტების განხილვა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობებისათვის მისადაგებით გვეჩვენება, რომ მეორე მიდგომა უფრო კონსტრუქციულია თავისი არსით. საქმე იმაშია, რომ, ჩვენის აზრით, აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს რეგიონული კვლავწარმოების ბალანსირების გაძლიერებას და შესაძლებლობებს ხსნის ეკონომიკური ზრდის რეგიონული შიდა ფაქტორების მაქსიმალურად სრულად გამოსაყენებლად. ამ შემთხვევაში რეგიონი განიხილება როგორც ქვეყნის მთლიანი მეურნეობრივი კომპლექსის ქვესისტემა, რომელიც თავისი შინაგანი ორგანიზაციის ძალით ფლობს თვითგანვითარების შესაძლებლობებს, ხოლო ქვეყნის ცენტრის მმართველობითი ფუნქციების უნარიან და ერთობლივად გამოყენებით ობიექტურად შესაძლებელი იქნება მიღნეული იქნას მოცემული რეგიონის განვითარების პროცესის დაჩქარებული სვლა.

ზოგიერთი მეცნიერი, რომლებიც იცავენ რეგიონული კვლავწარმოებისათვის დამახასიათებელი დაუბალანსებლობის ჰიპოთეზას, ჩვენის აზრით, ახდენენ მისი სპეციფიკაციის აბსოლიტიზირებას, რითაც არსებითად უარყოფენ გაფართოებული კვლავწარმოების საერთო კანონზომიერებათა გამოვლენის შესაძლებლობებს რეგიონის დონეზე.

რეგიონის მატერიალური წარმოების სფეროს გამოკვლევისას საჭიროა მივმართოთ მისი სტრუქტურის გაგებას. რეგიონის მატერიალური წარმოების სტრუქტურა არის ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელსაც ძალუძს გამოავლინოს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ამ აღნიშნული ფაზის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებები. რეგიონში საზოგადოებრივი წარმოების მნიშვნელოვან ელემენტებს შორის არსებული პროპორციები და კავშირები არა მარტო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ეფექტიანობაზე, არამედ აგრეთვე წარმოადგენს მოცემული რეგიონის მთლიან მეურნეობრივ კომპლექსში განვითარების აუცილებელ პირობას, რაც აგრეთვე თავის მხრივ განაპირობებს რეგიონული მოხმარებისა და რეგიონთაშორისი გაცვლის სპეციფიურობას.

წარმოების რეგიონული სტრუქტურის წარმოქმნა და ევოლუცია დიალექტიკური თვალსაზრისით განპირობებულია საწარმოო ძალების ტერიტორიული ორგანიზაციის ურთიერთსანინააღმდეგო ტენდენციების ურთიერთქმედებით, რომელთა სახითაც, ჩვენის აზრით, შეიძლება განხილულ იქნან შრომის ტერიტორიული დანაწილებისა და შრომის ტერიტორიული ინტეგრაციის პროცესები. შრომის ტერიტორიული დანაწილება განაპირობებს რეგიონის სპეციფიურობას, მის საწარმოო სპეციალიზაციას.

ზოგჯერ წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის პროცესების დახასიათებისას ძირითად როლს შრომის ტერიტორიულ დანაწილებას აკუთვნებენ და ივიწყებენ საწინააღმდეგო ტენდენციის შესახებ, ანუ შრომის ტერიტორიულ ინტეგრაციას, რომელიც თავის მხრივ შეიძლება განვსაზღვროთ როგორც შრომის სივრცობრივი კოოპერაციის ფორმა.

შრომის ტერიტორიული ინტეგრაცია გამოწვეულია არა მარტო საწარმოო საქმიანობის შედეგად შექმნილი პროდუქტების გაცვლის აუცილებლობით გამოწვეული მჭიდრო ტერიტორიული კავშირების მიზანშეწონილებით, არამედ აგრეთვე ერთიანი ინფრასტრუქტურის გამოყენების ეფექტით, ბუნებრივი და შრომითი რესურსების შეთანხმებული გამოყენებით. სწორედ ასეთი კავშირები ქმნიან გარკვეულ ტერიტორიაზე რეგიონული სტრუქტურის ელემენტს, სრულ მთლიანს. შრომის ტერიტორიული ინტეგრაცია არღვევს რაიონისა და ოლქის დარგობრივ სპეციფიკას (ერთსახოვნებას) და განსხვავებულ საფუძველზე ქმნის მთლიანობას – ეს არის კავშირები ტერიტორიის დიფერენცირებულ ნაწილებს შორის, რომლებიც ასრულებენ გაერთიანების ფუნქციებს.

შრომის ტერიტორიული დანაწილება და ინტეგრაცია განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთს განაპირობებენ. მათი ერთიანობა აისახება მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურის სიმყარეში. შრომის ტერიტორიული დანაწილება და ინტეგრაცია გამოდიან რა სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების პროცესების ფორმით, განსაზღვრავენ ოლქის, რეგიონის, რაიონის და ა.შ. განვითარებას, როგორც უფრო მსხვილი ტერიტორიული წარმონაქმნების რეგიონული სტრუქტურის ელემენტის განვითარებას.

მეცნიერების მიერ განეულმა დაკვირვებებმა და გაანგარიშებებმა, რაც დაკავშირებული იყო რეგიონიდან გატანისა და შემოტანის დარგობრივ სტრუქტურას შორის ურთიერთკავშირისა და წარმოების დარგობრივი სტრუქტურის შეფასებასთან, დაადასტურა მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს, კერ-

ძოდ კი: 1) რეგიონის მატერიალური წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე და განვითარებაზე სხვა ფაქტორებთან ერთად მუდმივ ზეგავლენას ახდენს მეზობელი რეგიონების დარგობრივი სტრუქტურა. ამ პროცესის ობიექტური ხასიათის გამო აუცილებელია მისი გათვალისწინება მოცემული რეგიონის სოციალურ – ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის პერსპექტივების გასაზღვრა – პროგნოზირებისას; 2) რეგიონებს შორის პროდუქციის ინტენსიურ გაცვლებს გარდა ტერიტორიული სიახლოვისა განაპირობებს რეგიონებს შორის ურთიერთსპეციალიზაციის არსებობა, რაც ხელს უწყობს რეგიონებს შორის ეკონომიკური ინტენსიფიკაციის შესაძლებლობების გაზრდას.

ამგვარად, თანამედროვე განვითარების ეტაპზე რეგიონის წარმოების სტრუქტურას განვითარების ძირითადი პრობლემა მდგომარეობს მატერიალური წარმოების დარგებს შორის ისეთი თანაფარდობისა და სტრუქტურის მიღწევა, რაც ერთის მხრივ უზრუნველყოფდა მოცემულ რაიონში, ოლქში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, ხოლო მეორე მხრივ ხელს შეუწყობდა რეგიონთაშორისი კავშირების ინტენსიფიკაციასა და მთელი რეგიონის (ოლქის), ქვეყნის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. თითოეული რეგიონის წარმოების სტრუქტურა უნდა გახდეს რეგიონთაშორისი შეთანხმებისა და კოორდინაციის ობიექტი, რათა უზრუნველყოფილ იქნას წარმოების შიდარეგიონული და რეგიონალთაშორისი პროპორციების, როგორც მათი ეკონომიკური განვითარების ფაქტორის ფორმირება.

რეგიონში წარმოების პროცესის, როგორც რეგიონული კვლაუწარმოების საწყისი ფაზის, კვლევა ითვალისწინებს იმ კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების განსაზღვრასა და მეთოდოლოგიურ შერჩევას, რომლებიც უფრო ადეკვატურად ასახავდნენ რეგიონულ დონეზე მოცემული ეკონომიკური მოვლენის არსსა და სპეციფიკას.

გარკვეულ ინტერესს იწვევს თვით ტერმინ „პროპორციის" შინაარსის გაგება. „პროპორციულობისა" და „ბალანსირებულების" გაგება თითქოს ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან აზრის მიხედვით; ამასთან, ჩვენის აზრით, ისინი სულაც არ ნიშნავენ ერთსადაიგივეს. პროპორციულობა უეჭველად მოიცავს თავის თავში ბალანსირებულების გაგებასაც და მიგვანიშნებს მის (ე.ი. ბალანსირების) როგორც კერძო შემთხვევაზე, რომელიც საჭიროებს საკვლევი პროპორციების წონასწორობის უზრუნველყოფას. ამ დროს პროპორციულობა თავისი დატვირთვით უფრო ფართოჲ შინაარსობრივი კატეგორიაა, რომელიც მიგვანიშნებს განსახილველ ეკონომიკურ მოვლენებში გარკვეული ღირებულებითი თანაფარდობის შენარჩუნებასა და უზრუნველყოფას, რადგანაც მოვლენებს შორის შედარებითი მერყეობას აქვს გარკვეული საზღვრები და ისინი დაკავშირებულია მთლიანად სისტემის ფუნქციონირების სიმყარესთან.

რეგიონის წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირის ანალიზის მთავარ მეთოდოლოგიურ პრინციპად მოცემული პროცესების შესწავლისადმი მიდგომის თვალსაზრისით უნდა მიჩნეულ იქნას წარმოებისა და მოხმარების ზომებისა და ღონისძიებების შესაბამისობა. რეგიონის წარმოებისა და მოხმარების პროპორციულობის კვლევამ უნდა ასახოს როგორც რეგიონული ეკონომიკის „გახსნილი" ხასიათი, ასევე მისი განვითარების აუცილებელი კომპლექსურობა. აუცილებელ მოდიფიკაციას უნდა დაექვემდებაროს ეროვნული შემოსავლის გამოყენების მაჩვენებელიც, სადაც მიზანშეწონილია მოხმარების ნაცვლად გამოყენებული იქნას რეალური შემოსავლების ფონდის მაჩვენებელი, რამდენადაც ეს უკანასკნელი უფრო ზუსტად ასახავს რეგიონის ტერიტორიაზე მუდმივად მაცხოვრებელი მოსახლეობის მოხმარების მოცულობას.

### 24.2. რეგიონის წარმოებისა და მოხმარების პროპორციულობის დონის გამოკვლევა

რეგიონის წარმოებისა და მოხმარების პროპორციულობის დონის გამოკვლევა სტატიკური მიდგომის პირობებში საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რეგიონული ეკონომიკური ზრდის სამი ტიპი:

– ცალკეული რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს, როგორც სოციალური ამოცანის უზრუნველყოფას, დაჩქარებულ ეკონომიკურ ზრდას;

– დინამიური ეკონომიკური ზრდის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება საწარმოო ძალების განლაგების გამოყენების პრინციპებს;

– მყარი ეკონომიკური ზრდის სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის რესურსების მთლიანობაში ეფექტურ გამოყენებას; ამასთან რესურსების თითოეული რეგიონის მიხედვით დიფერენცირებული ლოკალიზაციის პრინციპის მიხედვით გამოყენებით.

წარმოებისა და მოხმარების რეგიონული პროპორციების მიღწევის და მყარი ურთიერთკავშირის მიღწევისათვის უახლოესი 5 – 10 წლის მანძილზე საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონებში მრეწველობის განვითარება უნდა წარმომართოს შემდეგი ძირითადი სტრატეგიის მიხედვით:

– ახალი საწარმოების მშენებლობის გზით, თანამედროვე პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;

– ძველი საწარმოების რეკონსტრუქცია და გაფართოება არსებული ტექნოლოგიების ბაზაზე;

– ძველი ტექნოლოგიური ხაზებისა და მოწყობილობა – დანადგარების რეკონსტრუქციისა და სრულყოფის გზით;

– ძველი ქარხნების გაფართოება ახალი სიმძლავრეების ექსპლოატაციაში შეყვანის ხარჯზე.

ასეთი გზითა და სტრატეგიით შესაძლებელი გახდება მიღწეული იქნას წარმოებისა და მოხმარების ბალანსირებულება, რაც უზრუნველყოფს აგრეთვე შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებასა და მათი რეალური შემოსავლის ზრდას.

ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებისა და მოხმარების პრობლემის (წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირში) გადაწყვეტა საშუალებას იძლევა თავი ავარიდოთ ცალკეული ტექნიკური გადაწყვეტის მიღებისას და ახალი ტექნოლოგიური სტრუქტურების შექმნისას ცალკეული ტერიტორიების (რეგიონების) თავისებურებათა შესაძლო გავლენის შეუფასებლობას. ასეთი მიდგომების შეუქზე ცალკეული დარგის განვითარების პერსპექტივის ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს და ეფუძნებოდეს არა მხოლოდ საბალანსო მეთოდების გამოყენებას, არამედ აგრეთვე დარგის განვითარება თავის თავში უნდა მოიცავდეს წარმოების და მოხმარების სტრუქტურაში ხარისხობრივი გარდაქმნების და მისი პროდუქციის რეგიონში მოხმარების დახასიათებას. ამიტომ საჭირო ხდება განხილული და გაანალიზებული იქნას ცალკეული კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ბალანსი რეგიონისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით და ისე იქნას მიღებული გადაწყვეტილება.

ამრიგად, ჩვენის აზრით, რეგიონში ცალკეული სახის პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირი და პროპორციები შეიძლება უზრუნველყოფილი და რეალიზებულ იქნას: 1) უპირველეს ყოვლისა მათი მოცულობების შედარებითი ბალანსირების პირობებში; 2) წარმოებისა და მოხმარების განვითარების პრობლემის ურთიერთგანპიროვნებულობის პირობებში და 3) განსახილველი კონკრეტული სახის პროდუქტის წარმოების ეფექტიანობის დონის მისი მოხმარების მოცულობასთან და სტრუქტურასთან დამოკიდებულებითა და კავშირით.

რეგიონში წარმოებისა და მოხმარების დონესთან და მათ შორის პროპორციების უზრუნველყოფის პრობლემასთან არსებითი კავშირი და მნიშვნელობა აქვს მართვის სრულყოფის საკითხს. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს წარმოების ტერიტორიული და დარგობრივი მართვის ოპტიმალურად შეხამების მიზანშეწონილება და მნიშვნელობა. ცნობილია, რომ თავის დროზე მართვისადმი დარგობრივი და ტერიტორიული მიდგომების წინააღმდეგობა მხოლოდ ასახავდა წარმოების დარგობრივ და ტერიტორიულ სტრუქტურებს შორის წინააღმდეგობას.

წარმოების დარგობრივ და ტერიტორიულ სტრუქტურებს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების შიდა საფუძველს წარმოადგენს მათი ცალკეული ელემენტების არათანხვედრა. დარგი, როგორც დარგობრივი სტრუქტურის ელემენტი და რაიონი (ტერიტორია), როგორც ტერიტორიული სტრუქტურის ელემენტი, წარმოადგენენ მართვის განსხვავებულ ობიექტს. ისინი შეიძლება ერთმანეთთან თანმხვედრ, ურთიერთდამთხვევის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ თითოეული დარგი, რომელიც აწარმოებს პროდუქციის გარკვეულ სახეობას დამაგრებული იქნება მხოლოდ ერთი რაიონისადმი (რეგიონისადმი) და თითოეული რაიონი (რეგიონი) განაგებს მხოლოდ ერთ დარგს. ასეთი სიტუაცია მოასწავებდა მოცემულ სტრუქტურათა ელემენტების სრულ თანხვედრას და მოხსნიდა მართვის ორგანიზაციის დარგობრივი და ტერიტორიული მიდგომების შეხამების პრობლემას. რეალურ სინამდვილეში კი დარგობრივი და ტერიტორიული წარმოების სტრუქტურის ელემენტები ერთმანეთს კვეთენ (ეს ჩანს სურათიდანაც).

ისეთ შემთხვევაში, როდესაც მართვის ობიექტად გამოდის და გვევლინება საწარმოთა ჯგუფი, რომლებიც გარკვეულ ამოცანას ასრულებენ, ამ დროს მისი გადაწყვეტისათვის მიზანშეწონილია გამოყოფილ იქნას მართვის სპეციალური ორგანო. ასეთი ორგანო უშუალოდ ახორციელებს მართვას, რაც საშუალებას იძლევა დასახული მიზნის რეალიზაციისას დაძლეულ იქნას უწყებრივი და ტერიტორიული ინტერესები. ჩვენის აზრით საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც საწარმოთა უმრავლესობა კერძო საკუთრებით ურთიერთობათა საფუძველზე ფუნქციონირებს, უფრო უპრიანია რეგიონის ფარგლებში ტერიტორიული მართვის განხორციელება. რეგიონის დონეზე მართვის სწორედ ასეთ ფორმას შეიძლება ეწოდოს პროგრამულ – მიზნობრივი. ეს ფორმა ერთდროულად ითვლება დარგებისადმი ხელმძღვანელობის ტერიტორიულ ფორმად, რადგან ანაწერებს დარგს ტერიტორიულ ერთეულებად, და ამასთანავე წარმოჩინდება როგორც რეგიონის ფარგლებში რაიონებისადმი

მართვის დარგობრივი ფორმა, რადგანაც თითოეულ რაიონში მართვის ობიექტის სახით განსაზღვრავს საწარმოთა გარკვეულ ჯგუფს.

ამასთან მართვისადმი პროგრამულ – მიზნობრივი მოდგომისას, ისევე როგორც მართვის განსხვავებული სახეობათა გამოყენებისას, თავის აქტუალობას ინარჩუნებს განსხვავებული პროგრამების შეხამების პრობლემა, ანალოგიურად ტერიტორიული და დარგობრივი მართვის პრობლემისა. მოცემული პრობლემის წარმოშობა განპირობებულია იმით, რომ ზოგიერთმა საწარმოებმა შეიძლება ერთდროულად ისურვონ მონაწილეობა რამოდენიმე სხვადასხვა პროგრამის შესრულებაში. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში სავსებით რეალურად გვესახება მართვის ფარითომასშტაბიანი ტერიტორიული დეცენტრალიზაციის განხორციელება. ამის უამრავი მაგალითი არსებობს პრაქტიკაში, როდესაც შედეგად წარმოიშვება მართვის დარგთაშორისი სტრუქტურის როლის ობიექტურად ამაღლება. ფაქტია, რომ წინათ არსებული ეროვნული მეურნეობის მართვის დარგობრივი სტრუქტურა გარკვეულად ხელისშემშლელი და დამამუხრუჭებელი მოვლენა იყო სხვადასხვა სახისა და მიმართულების საწარმოთა კომბინირებისა და კოოპერირების განხორციელების პროგრესულ გზაზე.

ჩვენი ღრმა რწმენით, არ შეიძლება გადამწყვეტი უპირატესობის მინიჭება მართვის არც ტერიტორიული და არც დარგობრივი სტრუქტურისადმი, რამე თუ მითითებული პროცესები თანამედროვე პირობებში არ იკეტება და იფარგლება ცალკეული რაიონების, რეგიონების ფარგლებში და ხშირად ატარებს არა მარტო დარგთაშორის, არამედ აგრეთვე რეგიონთაშორის ხასიათსაც; უფრო მეტიც კოოპერირებისა და კომბინირების ფორმა ზოგჯერ და არც თუ იშვიათად სახელმწიფოს საზღვრებსაც სცილდება.

რეგიონული წარმოებისა და მოხმარების ობიექტური ურთიერთკავშირის ხასიათი თანამედროვე პირობებში. როდესაც ცივილიზებულ სამყაროში საბაზრო ეკონომიკა დაადგა სოციალური ორიენტაციის შეუქცევად მაგისტრალურ მიმართულებას, მითითებული ურთიერთკავშირის და ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინების აუცილებლობის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იჩენს თავს, რადგანაც ეკონომიკის განვითარების სოციალური ორიენტაცია აშკარად წარმოჩინდება მისი ოპტიმალურად ფუნქციონირების მნიშვნელოვან კრიტერიუმად.

რეგიონის ფარგლებში წარმოებისა და მოხმარების პროცესების სივრცობრივი ლოკალიზაცია თავის საბოლოო ასახვას პოულობს ეკონომიკური და ადმინისტრაციული რაიონების, ოლქების, რეგიონების და მთლიანად ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთიანობაში, რაც, საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოებასთან ერთად უზრუნველყოფს რეგიონში მაცხოვრებელი მოსახლეობის კვლავწარმოებასაც. ამასთან ერთად წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის ობიექტური პროცესის უგულველყოფამ შეიძლება გამოინვიოს ეროვნული მეურნეობის განვითარების მთელი პროცესის სერიოზულად შეფერხება – დამუხრუჭება.

ამრიგად, ქვეყნის ძალიან მნიშვნელოვან და რთულ პრობლემათა რიგში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება სოციალურ – ეკონომიკური განვითარების ბალანსირებულობის მიღწევასა და შენარჩუნებას, როგორც მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში, ასევე ცალკეული რეგიონების დონეზე, რომელთა გადაწყვეტაც ჩვენი შეხედულებით, ძევს საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და მოხმარების პროპორციების სრულყოფის სფეროში და სწორედ ამ პროპორციების სფეროს ემყარება. მოცემული პრობლემის რეგიონულ ასპექტში არასაკმარისად და არასათანადოდ შესწავლამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ შეხედულებათა თვალსაზრისის წარმოშობა, რომ თითქოს არ არსებობდეს მჭიდრო ურთიერთკავშირი და განპირობებულობა რეგიონულ წარმოებასა და მოხმარებას შორის, რაც ამასთან მათი პროცესის რეგიონული პროპორციების უგულველყოფის ტოლფასიცაა.

რეგიონის წარმოებისა და მოხმარების პროცესების დიფერენციაციის სტრუქტურული ფაქტორების გათვალისწინება და გამოყოფა – გამოცალკევება საშუალებას იძლევა გამოვლინებულ იქნეს რეგიონულ დონეზე წარმოებისა და მოხმარების მკვეთრად გამოხატული ურთიერთკავშირის არსებობა, რომელიც ფორმალიზებულია ფუნქციონალურ (კონონზომიერად განპირობებული) სახეში.

ამასთან რეგიონში წარმოებისა და პირადი მოხმარების ურთიერთკავშირი სტატიკური ასპექტით გამოიხატება წარმოებული ეროვნული შემოსავლისა (საბოლოო პროდუქტის) და მოსახლეობის რეალური შემოსავლის ფონდის აუცილებელი პროპორციულობის არსებობაში, ხოლო დინამიკურობაში დაყენებით – მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლისა და საზოგადოებრივ შრომის ნაყოფიერებას შორის პროპორციაში.

რეგიონში წარმოებისა და მოხმარების რეალურად არსებული ურთიერთკავშირის გამოვლენა, მათ შორის ოპტიმალური პროპორციების ჩამოყალიბება – შენარჩუნების ამოცანა მოითხოვს მის უპირობო გამოყენების საჭიროებას რეგიონის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების პრაქტიკაში, რამაც ასახვა ძირითადად უნდა ჰპოვოს რეგიონის საშუალო და გრძელვადიანი განვითარების პროგრამებში.

# რეგიონული მოხმარების სტიმულირება

## 25.1 რეგიონული ბაზრები

ეკონომიკურ ლიტერატურაში ბაზრის არსებული განსაზღვრებები შეიძლება გაერთიანებულ იქნან შემდეგ ჯგუფებში:

– ბაზარი – ეს არის საქონელ-გაცვლის სფერო;

– ბაზარი – ეს არის საქონლის გამყიდველებსა და მყიდველებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა; ასეთ ურთიერთობათა დახმარებით ხორციელდება საზოგადოებრივი პროდუქტის მიმოქცევა;

– ბაზარი – ეს არის საქმიანი ოპერაციებისა და პირობების ერთიანობა, რომლებიც განსაზღვრავენ საქონლის წარმოებასა და გასაღებას;

– ბაზარი – ესაა საქონლის არსებული და პოტენციური მყიდველების ერთიანობა და მათი საქონლის მწარმოებლებთან ურთიერთობა;

– ბაზარი – ესაა მწარმოებლისა და მომხმარებლების უშუალო ურთიერთქმედების ავტომატური მარეგულირებლების ჩამრთველი ინსტიტუტი ან მექანიზმი;

– ბაზარი – ესაა გარკვეულ ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართულ სუბიექტების თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებული კვლავწარმოების აუცილებელი პირობების შექმნას.

რაც შეეხება რეგიონულ ბაზარს, ის წარმოადგენს მიმოქცევის სფეროს ტერიტორიულ ორგანიზაციას, სადაც ხდება მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესების შეთანხმება. ამასთან რეგიონული ბაზარი განიხილება კვლავწარმოების პროცესის პოზიციებიდან, როგორც რეგიონული ეკონომიკის სუბიექტების მრავალრიცხოვანი ურთიერთქმედების გადახლართვა ?, რომლებიც გვევლინებიან სხვადასხვა სახის საქონლებისა და მომხმარებლების მწარმოებლად და მომხმარებლად. რეგიონულ ბაზარს აქვს ღია ხასიათი და განვითარებული ეკონომიკური კავშირები ქვეყნისა და მსოფლიოს სხვა რეგიონებთან.

რეგიონული ბაზრები არსებითად საწარმოო ძალებისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა განუწყვეტელი კვლავწარმოების საშუალებას წარმოადგენენ. ბაზრები ერთ მთლიანობაში აერთიანებენ რეგიონული კვლავწარმოებითი პროცესის საგარეო და საშინაო ეკონომიკურ სივრცეებს, ხოლო შიდა სივრცე ამასთან წარმოადგენს რეგიონული ბაზრების სისტემის ინფრასტრუქტურის ფორმირების სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეს. ეკონომიკური სივრცის მთელი შინაარსი მოძრაობაში მოყვანილია რეგიონული ბაზრების მექანიზმის მიერ, რაც უზრუნველყოფს რეგიონული ეკონომიკის განვითარების პროცესის დინამიურობას.

რეგიონული ეკონომიკის განვითარების, რეგიონული ბაზრების სივრცობრივი მახასიათებლებისა და პოტენციური მყიდველების პოზიციებიდან მიდგომის თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს გეომარკეტინგის კონცეფცია. ამ კონცეფციის მიხედვით ხდება ბაზრების გეოგრაფიული სეგმენტაცია დიფერენცირებული რეგიონული მარკეტინგული სტრატეგიის გამოსამუშავებლად სხვადასხვა ზონების გამოყოფის საფუძველზე. ასეთი სტრატეგიის გამომუშავებას საფუძვლად უდევს მყიდველების საბაზრო ქცევის რეგიონალურ ფაქტორებზე დამოკიდებულების ჰიპოტეზა.

გეომარკეტინგის სხვადასხვა სამეცნიერო სკოლა იკვლევს როგორც სხვადასხვა დონის რეგიონულ ბაზრებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა პრობლემების ფართო სპექტრს, ასევე ცალკეულ ფირმებსა და მათ კლიენტებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა კონკრეტულ პრობლემებს.

აღნიშნული თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს გეომარკეტინგის ამერიკული სკოლა, აღნიშნული სკოლის თავისებურებაა – ბაზრის გამოკვლევა მიკროდონეზე, სავაჭრო საწარმოთა განლაგების შესწავლა, ცალკეული ფირმების პროგნოზირების მიზნით პროდუქციის მიმწოდებლებისა და მომხმარებლების შესწავლა.

გეომარკეტინგის ამერიკული სკოლის წარმომადგენლებისათვის რეგიონული ბაზრები ინტერესს იწვევს პროდუქციის რეალიზაციის პირობებისა და საქონელზე და მომსახურებაზე ახალი მოთხოვნის ფორმირების თვალსაზრისით. ამ მიდგომას საფუძველი შეუქმნეს ამერიკელმა ეკონომისტებმა ა. შოუმ და ლ. უელდმა. ისინი გახლდნენ ავტორები ახალი ფილოსოფიის იდეის, რაც დაკავშირებულია წარმოების საბაზრო ორიენტაციასთან, მოთხოვნის ფორმირებასთან და ამ მიზნით ფირმების მთელი

კომპლექსის შექმნასთან, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან წარმოებული პროდუქციის ბაზარზე გადაადგილებით. ეს იდეა დაედო საფუძვლად გასაღების თეორიას (ჯ. ფრედერიკი, ს. დუნკანი, პ. ჩერინგტონი), რომელიც შემდგომ ტრანსფორმირებულ იქნა ბაზრის მართვის თეორიად (დ. ხოუარდი, ე. მაკორტი, ა. კორბინი). ამ თეორიების ფარგლებში ბაზარი განიხილებოდა ცალკეული საწარმოო ფირმების დონეზე და მთავარი ყურადღება ექცეოდა საბაზრო ინფორმაციის ბაზარზე სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების

პრინციპების შემუშავებას, მოთხოვნის სტიმულირების მეთოდების შემუშავებასა და ბაზარზე პროდუქციის მოძრაობას.

თუ მე-20 საუკუნის 50-იან 60-იან წლებში გეომარკეტინგის ამერიკული სკოლის ყურადღების ცენტრში იდგა სავაჭრო საწარმოებისა და მომსახურების სფეროს საწარმოთა ოპტიმალური განლაგების სქემის შერჩევა, უკვე 70-იან 80-იან წლებში უფრო დიდი მნიშვნელობა საქონელმოძრაობის სივრცობრივმა პრობლემებმა მოიპოვეს, ამასთან საქონელმოძრაობის სისტემა განიხილებოდა ცალკეული ფირმების თვალსაზრისით და წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების გათვალისწინებით. სივრცეში საქონელმოძრაობის მიმართულებათა შერჩევისას გაითვალისწინება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მომხმარებელთა რაოდენობა და კონცენტრაცია, რეალიზებული პროდუქციის თავისებურებანი (ღირებულება, შენახვის ხანგძლივობა, ტექნიკური სირთულე და სხვა), ბაზარზე კონკურენციის დონე, ტერიტორიული შეზღუდულობა, საქონელმოძრაობის ალტერნატივა და ა.შ. საქონელმოძრაობის ტერიტორიული სქემის შემუშავება ხორციელდება მარკეტინგის საერთო სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ფუნქციების განაწილებას პროდუქციის მწარმოებელსა და შუამავალებს შორის (ან საკონტრაქტო შეთანხმების საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია გაყიდვის პირობები, მომსახურების სტრუქტურა, მასალების ბაზრების ტერიტორიული საზღვრები, ფასობრივი პოლიტიკა, პასუხიმგებლობა და ა.შ.

გეომარკეტინგის ბრიტანული სკოლის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს რეგიონული ბაზრების კვლევა მაკროდონეზე, მოთხოვნისა და მოწოდების საერთო რეგიონული სისტემის შესწავლა საერთო რეგიონული პროგნოზირებისა და დაგეგმვის მიზნით.

ასე რომ, მე-20 საუკუნის 70-იან წლებიდან დაწყებული ჩნდება ბაზრის ანალიზისადმი მაკროეკონომიკური მიდგომა და ბაზრის შინაარსის გაგება უკვე მოიაზრება მთელი რეგიონის მასშტაბებით რეალიზაციის პოზიციიდან და რეგიონში ეკონომიკური ზრდის სტიმულირების ბაზრის პოზიციიდან. ძირითადი ფუნქციები მოიაზრება საქონლის გამომშვებ საწარმოებიდან მომხმარებლებისაკენ გადაადგილების (მოძრაობის) პირობების შექმნაში.

ასეთ გამოკვლევებს მიუძღვნეს თავიანთი შრომები რ. დევისმა, დ. დაუსონმა, ა. ხოლსუორტმა, პ. ჯექსონმა და სხვებმა.

გეომარკეტინგის ბრიტანული სკოლის ფარგლებში რეგიონული ბაზრების სხვადასხვა ასპექტები შეისწავლებოდა:

– მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან და საბაზრო მომსახურების კომპლექსის შეთავაზებასთან დაკავშირებული;

დაკავშირებული რეგიონული ბაზრების განვითარების პროგნოზირებასთან;

– დაკავშირებული შიგა და გარე სივრცის ანალიზთან, მყიდველებისა და კონკურენტების შესწავლასთან;

– საქონელმოძრაობის სქემის ოპტიმიზაციასთან და გასაღების ორგანიზებასთან დაკავშირებით;

– ტექნიკური სერვისის უზრუნველყოფასთან დაკავშირება;

– სარეკლამო მოღვაწეობასთან და საქონლის ბაზარზე მიწოდების სხვა გზებთან დაკავშირებით.

ყველა ზემოაღნიშნული ადასტურებს რეგიონული ბაზრებისათვის ხელშეწყობისა და საქონელგასაღების მოცულობის გაზრდისათვის ხელშეწყობას, რაც უშუალოდ უკავშირდება რეგიონული მოხმარების გაზრდას და ამ მოხმარების სტიმულირებას.

მე-20 საუკუნის გეომარკეტინგულ სკოლებს შორის ცნობილია აგრეთვე სასაქონლო ნაკადების სივრცობრივი განაწილების კონცეფცია (ა.შოუ), საბაზრო პროცესების სამკუთხედის კონცეფცია (ფ. კლარკი), ბაზრების რადიკალური ჰეტეროგენულობის კონცეფცია (უ. ალდერსონი), საქონლების სივრცობრივი განაწილების ახალი მიმართულება – „ლოგისტიკა“.

სასაქონლო ნაკადების სივრცობრივი განაწილების კონცეფციების პოზიციიდან რეგიონის მიმოქცევის სფეროს ეკონომიკური პროცესების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნეს რეგიონული ბაზრების ძირითადი კანონზომიერებები, ურთიერთკავშირები და ურთიერთდამოკიდებულებანი; საშუალებას იძლევა გაგებულ იქნას მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული, ორგანიზაციუ-

ლი კავშირების არსი, რომლებიც საქონლისა და მომსახურების პროცესში უზრუნველყოფენ რეგიონული ეკონომიკის სუბიექტების ურთიერთქმედებას.

მე-20 საუკუნის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა ბაზრის ინსტიტუციონალური კონცეფცია, რომლის 70-იან 90-იანი წლების წარმომადგენლები ამ კონცეფციის განვითარებას წარმართავდნენ შემდეგი მიმართულებით: პირველი მიმართულება – ეს იყო მთლიანად ეკონომიკური სისიტემის ინსტიტუციონალური სტრუქტურის ზოგადთეორიული გამოკვლევა ბაზრის ინსტიტუტების გამოკვეთილად გამოყოფით, როგორიც მისი განვითარების ელემენტების განმსაზღვრელის (ო. ულიამსონის, დ. ენსმისტერი, გ. ელიასონი), მეორე იყო ნაშრომები, რომლებიც ეძღვნებოდა ბაზრის ინსტიტუციონალური ასპექტის ანალიზს (გ. დომინგეზი, კ. ჯონსი, დ. სიმონსი, მ. იანელი),

და ბოლოს – რეგიონულ დონეზე საბაზრო ინსტიტუტების გამოკვლევები.

რეგიონული ბაზრების განვითარების ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები;

1) რეგიონული ბაზრების განვითარების თეორიებსა და კონცეფციებს შორის განსხვავება დაკავშირებულია შესასწავლი მოვლენის მრავალმხრიობასთან და მრავალასპექტიანობასთან. თითოეული ამათგან გამომდინარეობენ გამოკვლევათა გარკვეულ მიზნებიდან და ამოცანებიდან, რომელთაც განსაზღვრავენ ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომები და მოცემული პრობლემის შესასწავლი ასპექტები;

2) თითოეული კონცეფცია ხასიათდება რეგიონული ბაზრის შინაარსის გაგებისადმი სპეციფიური მიდგომით. ინსტიტუციონალურ კონცეფციაში ცენტრალურს წარმოადგენენ მიმოქცევის სფეროს ეკონომიკური აგენტების სისტემა, რომელიც რეგიონული ბაზრის არსს შეადგენს და მის ძირითად ფუნქციად მიჩნეულია ეკონომიკური კავშირების უზრუნველყოფა. გეომარკეტინგის კონცეფციაში რეგიონული ბაზრის არსი გამოიხატება საქონლის რეალიზაციის უზრუნველყოფაში და ახალი მოთხოვნის ფორმირებაში. საქონლური ნაკადების სივრცობრივი განაწილების კონცეფცია რეგიონულ ბაზარს განიხილავს როგორც საქონელმოძრაობის სისტემას და იკვლევს არა მარტო ფინანსურ – ეკონომიკურ, არამედ საქონლის მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მოძრაობის მატერიალურ-ტექნიკურ მხარეებს.

მე-20 საუკუნეში დასავლეთის ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული რეგიონული ბაზრების განვითარების ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების გაცნობამ და შედარებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა მათ შინაარსში გამოვყოთ განვითარების შემდეგი მიმართულებები, რეგიონული ბაზრების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები:

– რეგიონული ეკონომიკის საბაზრო ინსტიტუტებისა და სამეურნეო სუბიექტების ეფექტური ურთიერთქმედების უზრუნველმყოფელი ეკონომიკური მექანიზმების ფორმირება;

– შიდარეგიონული და რეგიონთაშორისი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების საბითუმო ვაჭრობის, საცალო ვაჭრობის, საფინანსო-საკრედიტო და საქმიანი მომსახურების ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმების არჩევა, აგრეთვე ორგანიზაციულ სამართლებრივი კავშირების ფორმების შერჩევა;

– მომხმარებელთა ინტერესების პრიორიტეტური უზრუნველყოფის ორიენტაციიდან გამომდინარე რეგიონული ბაზრების სისტემის ფორმირება;

– რეგიონული ბაზრების განსხვავებული ტიპებისათვის საქონელმოძრაობის ეფექტური არხების შერჩევა;

– სატრანსპორტო-სასაწყობო პროცესების, საფინანსო და ინფორმაციული ნაკადების და რეგიონის საბაზრო ინფრასტუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზრის განვითარების პროცესების რეალიზაცია.

### 25.2 რეგიონული ბაზრების მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკაში

რეგიონული ბაზრები მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებებენ რეგიონის ეკონომიკაში. საქონელგაცვლის გზით ისინი უზრუნველყოფენ რეგიონული კვლავწარმოების უწყვეტობას, მათ შორის მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული, შრომითი რესურსების კვლავწარმოებას.

რეგიონული კვლავწარმოებითი პროცესი წარმოადგენს წრებრუნვის ხარისხობრივად ახალ დონეზე მატერიალური, შრომითი, ფინანსური და ინფორმაციული, რესურსების განახლებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით რეგიონის ეკონომიკის განვითარება უნდა განხილული იქნას როგორც საქონლისა და მომსახურების კვლავწარმოების პროცესი, რომელიც მოიცავს წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას.

რაც შეეხება რეგიონთაშორის ეკონომიკურ კავშირებს, ისინი უზრუნველყოფენ: ქვეყნის ეკონომიკასთან რეგიონული კვლავწარმოების პროცესის ურთიერთქმედებას; რეგიონის კვლავწარმოებისათვის რეგიონთაშორისი და რეგიონთაშორისი გაცვლების საფუძველზე მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების ფორმირებას და ნებისმიერი ტერიტორიული სისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება განისაზღვრება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირებით. მხოლოდ ურთიერთკავშირების ამ ორი ჯგუფის ურთიერთქმედება საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იქნას ნორმალური კვლავწარმოებითი პროცესი.

ვერტიკალური კავშირები და ურთიერთობები ხორციელდება მართვის საერთო სახელმწიფოებრივი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ. ჰორიზონტალური კავშირები და ურთიერთობები კი რეგიონული სისტემის ელემენტებს შორის იმართება რეგიონული მართვის შესაბამისი ორგანოების მიერ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მეურნეობის კომპლექსური განვითარებით და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით.

ცნობილია, რომ წარმოება ძირითად როლს ასრულებს რეგიონული კვლავწარმოების პროცესში. სწორედ წარმოება განსაზღვრავს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის გაცვლისა და მოხმარების საქმეში მატერიალურ-საგნობრივი, საფინანსო-საკრედიტო და ინფორმაციული კავშირების ფორმებსა და ხასიათს. წარმოადგენს რა რეგიონული ეკონომიკის განვითარების საფუძველს, წარმოება განსაზღვრავს მთლიანობაში რეგიონული კვლავწარმოებლივი პროცესის განვითარების ძირითად პარამეტრებს.

წარმოების განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნაში მნიშვნელოვან როლს რეგიონული ბაზრები ასრულებენ. რეგიონული ბაზრების შესაბამისი ტიპები ემსახურებიან არა მხოლოდ წარმოების პროცესს, არამედ აგრეთვე განაწილებას, გაცვლას და მოხმარებას.

განვითარებულ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა საქართველოს რეგიონში მიმდინარეობს წარმოებისათვის ძალიან რთულ პირობებში. ბევრი საწარმოს სავალალო მდგომარეობა თითქმის მსგავსია – დარღვეული უწინდელი შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე დაფუძნებული საწარმოო კავშირების მოშლა, ძირითადი კაპიტალის განუახლებლობა, ნედლეულითა და მასალებით მოუმარაგებლობა, საჭირო საბრუნავი სახსრების უქონლობა და სხვა.

წარმოების განვითარების თანამედროვე დონე მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მაღალხარისხიან საქონელზე მოთხოვნას; ამასთან სამამულო წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის უმეტესობა ჯერ კიდევ შორს არის ევრო და მსოფლიო სტანდარტებიდან და დაბალ კონკურენტუნარიანია.

მოსახლეობის მიერ კვების ძირითადი პროდუქტების მოხმარების დინამიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების საგრძნობი შემცირება დაიწყო 1991 წლიდან სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირების, კვების მრეწველობის მიერ სასურსათო საქონლის წარმოების მოცულობის მკვეთრად შეკვეცის შედეგად და საქონლის ფასების ზრდის მიზეზით.

საქართველოში კვების ზოგიერთი ძირითადი პროდუქტების წარმოება მკვეთრად შემცირდა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში. თუმცა ზოგიერთ პოზიციებში 21-ე საუკუნის პირველ წლებში აღინიშნება გარკვეული ზრდა.

1990-2000 წლები საქართველოს ისტორიაში დარჩება როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური დეგრადაციისა და დაცემის წლებად. ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობა 2000 წელს შეადგენდა 1998 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 16%-ს.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს უმეტეს რეგიონებში სასურსათო საქონლის წარმოებაზე სპეციალიზაცია. დღეს ჩვენს მომხმარებელ ბაზარზე თვალშისაცემია მისი გაჯერება უცხოური წარმოშობის ზოგჯერ დაბალი ხარისხის საქონლით, ამასთან ქვეყნის რეგიონებს აქვთ პოტენციური შესაძლებლობა გააჯერონ შიდა სამომხმარებლო ბაზარი სამამულო კონკურენტუნარიანი საქონლით (როგორც ეს თავის დროზე განხორციელდა ლუდის წარმოებაში) და თანდათან შეავიწროვონ და გააძევონ იმპორტული სამომხმარებლო საქონელი ქვეყნის შიდა ბაზრიდან. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ არა მარტო უზრუნველყოფილი იქნას ცალკეული რეგიონის და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, არამედ იმისათვისაც, რომ ხელი შეუწყოს უმუშევრობის დაძლევას, როგორც მომხმარებლის, ასევე მწარმოებლების შემოსავლების ზრდის, ინვესტიციების განვითარებას რეგიონების ეკონომიკაში.

ამ მიზნის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მოვაწყოთ სამომხმარებლო საქონლის (ძირითადად სასურსათო საქონლის) სამამულო კონკურენტუნარიანი წარმოება.

პერსპექტივაში რეგიონული სასურსათო ბაზრების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს სასურსათო კომპლექსის რეგიონულმა სამრეწველო-საფინანსო ჯგუფების შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ სამრეწველო, სატრანსპორტო, სავაჭრო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე კომერციული ბანკები, სადაზღვეო კომპანიები, აეროსერვისის ფირმები და რეგიონის სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც ძალუძთ განახორციელონ სასურსათო საქონლის ყიდვის, გაყიდვის და მოძრაობის ოპერაციები მათი წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე.

საქართველოში სამრეწველო წარმოების განვითარების ერთ-ერთი პრობლემათაგანია მარკეტინგული მოლვანების სუსტი ორგანიზაცია, რეგიონული ბაზრების კონიუქტურის არასაკმარისად შესწავლა. ბევრ საწარმოს არც კი გააჩნია მარკეტინგული სამსახური. ასეთი სიტუაცია განაპირობებს იმას, რომ ნაკლებად და არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება მოთხოვნის შესწავლა, მარკეტინგული საქმიანობა ნაკლებად არის წარმართული მოთხოვნის ფორმირებისათვის. რეგიონული კვლავწარმოების სისტემაში ეკონომიკური კავშირები ხორციელდება ინდივიდუალური მოხმარების პროდუქტებისა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონლის გაცვლით. გაცვლის მატერიალური შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ პროდუქტები გადადგილდებიან ერთი სუბიექტიდან (გამყიდველობიდან) მეორესთან (მყიდველთან). პირადი მოხმარების საგნების გაცვლა ხორციელდება საწარმოო სფეროსა და პირადი მოხმარების სფეროს სუბიექტებს შორის. ამ გაცვლას დაქვემდებარებული საგნები გაივლიან რა კვლავწარმოების ციკლის ფაზებს, სამუდამოდ ტოვებენ მიმოქცევის სფეროს.

ერთ მხრივ სამომხმარებლო საქონლის მიმოქცევის სფერო ვითარდება მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნისა და არასაწარმოო სფეროს ორგანიზაციების მოთხოვნათა გავლენით; მეორე მხრივ კი, ის დამოკიდებულია ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობაზე, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. საქონლის შემოტანა-გატანაზე. ამიტომ მიმოქცევის სფეროს განვითარების ანალიზისას და პროგნოზირებისას წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების საკითხები უნდა განხილული იქნან ორგანულ ერთიანობაში და ურთიერთკავშირში.

ამასთან ერთად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირების რეგიონულ თავისებურებათა აღრიცხვა და ანალიზი, მათ შორის უფრო მეტად მნიშვნელოვანია მათი შემოსავლებისა და ხარჯების ის ნაწილი, რომელიც შეადგენს სამომხმარებლო ხარჯებს. აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონული ბაზრის ტევადობის სწორი განსაზღვრისათვის, სამომხმარებლო საქონლის წარმოების სწორად პროგნოზირებისათვის, აგრეთვე რეგიონთაშორისი შესაძლო კავშირების სტრუქტურის განსაზღვრისათვის.

ვერც იმას უგულვებელვყოფთ, რომ რეგიონული თავისებურებები ნამდვილად ახდენენ გავლენას მოხმარების სფეროზე. თითოეულ რეგიონში, თითოეულ ოლქში, თუ ავტონომიურ წარმოქმნაში, გარდა საერთო მაკროეკონომიკური ფაქტორებისა, მოქმედებენ აგრეთვე მახასიათებელი და სპეციფიკური რეგიონული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობის მოთხოვნის ფორმირებაზე. ამის საფუძველზე შეიძლება დავყოთ მოხმარების სფეროზე გავლენის მომხდენი ფაქტორები მაკროეკონომიკურ და რეგიონულ ფაქტორებად.

კერძოდ, მოხმარების სფეროს ხასიათის განმსაზღვრელ მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთნოთ:

– საერთო ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების დონე;

– ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ხასიათი;

– რეალური შემოსავლების დონე;

– საქონლისა და მომსახურების წარმოების გაზრდაზე მიმართული კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა;

– მიმოქცევაში სასაქონლო მასის მოცულობა;

– ფასწარმოქმნის პოლიტიკა;

– მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სიდიდე.

თითოეული ჩვენს მიერ აღნიშნული ამ ფაქტორების გავლენის ხასიათი და ხარისხი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ ეროვნული მეურნეობის განვითარების ცალკეულ ეტაპზე გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

მოხმარების მოცულობისა და სტრუქტურის ფორმირებაზე გავლენის მომხდენ რეგიონული ფაქტორების რიგს უნდა მიეკუთვნებულ იქნან:

– რეგიონის ეკონომიკის განვითარების დონე და მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა;

– მოსახლეობის განლაგება;

– მოსახლეობის ეკონომიკური და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა;

– მოსახლეობის რეალურ შემოსავლებსა და ფულად შემოსავლებს შორის რეგიონული განსხვავება;

– რეგიონის ბუნებრივ – კლიმატური და გეგოგრაფიული პირობები;

– მოხმარების ეროვნული და ისტორიული ტრადიციები;

– მოსახლეობის კულტურული და ზოგადსაგანმანათლებლო დონე.

ამ ფაქტორების გავლენა განსხვავებულია ცალკეული რეგიონების მიხედვით. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გავლენას მოხმარების სტრუქტურაზე ახდენს ის ფაქტორები, რომლებიც ასახავენ მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებებს, მოსახლეობის ეკონომიკურ სტრუქტურასა და რეალურ შემოსავლებს, ცხოვრების ბუნებრივ-კლიმატური პირობები.

მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და ხარჯების სტრუქტურაში არსებითი განსხვავებაა საქართველოს ცალკეულ რეგიონებში. ქვეყნის ყველა რეგიონის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ხარჯებში საქონლის შეძენაზე დახარჯული თანხების მაღალი ხვედრითი დონე და დაბალი – მომსახურების საფასურის ანაზღაურებაზე.

სამომხმარებლო კალათის გაანგარიშების დროსაც აუცილებლად მიგვაჩნია რეგიონული ფაქტორების გათვალისწინება.

მოხმარება როგორც საზოგადოებრივი კვლავწარმოების დამასრულებელი ფაზა შეიძლება განხილული იქნას ორ ასპექტში: საწარმოო და არასაწარმოო. ასეთი დაყოფის საფუძველს იძლევა დასახელებული მოხმარების სახეების წარმოების პროცესისადმი დამოკიდებულება. საწარმოო მოხმარება, როგორც ცნობილია, შედის წარმოების პროცესში და მოიცავს წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის მოხმარებას მაშინ, როდესაც არასანარმოო მოხმარება ხორციელდება არსებითად წარმოების პროცესის გარეთ, მის მიღმა.

არასანარმოო მოხმარება უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან და წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მოსახლეობის ცხოვრების პირობებს. ალბათ, ამით განისაზღვრება ის უპირატესი ყურადღება, რაც ეკონომიკურ გამოკვლევებში ექცევა არასაწარმოო მოხმარებას.

საწარმოო მოხმარების პროცესის მახასიათებელი პარამეტრების სისტემა შეიძლება წარმოდგენილ იქნას ერთმანეთთან დაკავშირებული მაჩვენებლების სამი ჯგუფის სახით, რომლებიც ასახავენ თანაფარდობას რესურსებსა და შედეგებს შორის, შედეგებსა და დანახარჯებს შორის, დანახარჯებსა და რესურსებს შორის.

საწარმოო რესურსების ბალანსირებულების ხარისხსა და მათი გამოყენების დონეს შორის რეგიონთაშორისი განსხვავება წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს საწარმოო მოხმარების ხასიათსა და ცალკეულ რეგიონებში კვლავწარმოებითი პროცესის სპეციფიკაციას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე რეგიონის მიერ თავისი ორი ძირითადი ფუნქციის (ქვეყნისა და რეგიონის მოთხოვნილების დაკმაყოფილება რეგიონული სპეციალიზაციის პროდუქციით და საკუთარი მოსახლეობის კვლავწარმოება) შესრულება კანონზომიერად არის განპირობებული წარმოებისა და მოხმარების დაჩქარებული განვითარების აუცილებლობით.

რეგიონული განვითარებისა და რეგიონის ფარგლებში კვლავწარმოების ბალანსირების პრობლემას შორის დამოკიდებულება მეცნიერების მიერ საკმაოდ დიდი ხანია ყურადღებისა და შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, რამაც შედეგად თავისი გამოხატულება ჰპოვა განვითარების ეფექტიანობის შეფასების სხვადასხვა განსხვავებული მაჩვენებლების აგებაში. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის პირველ კონსტრუქციულ მცდელობას წარმოადგენდა ე. ბ. ალაევის შრომა, რომელმაც მაშინ შემოგვთავაზა ეკონომიკური რაიონის კომპლექსური განვითარების ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებელი, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონის მიერ ორი ამოცანის შესრულებას – რეგიონული გაზიდვის მაქსიმალიზაციასა და მოსახლეობის მიერ მოხმარების მაღალი დონის შენარჩუნებას.

რეგიონული კვლავწარმოების შედეგების (ეფექტიანობის, დაბალასებულების) შეფასებისათვის საჭიროა მისი მნიშვნელობის ხარისხი დაკავშირებული იქნას რეგიონში წარმოებისა და პირადი მოხმარების ურთიერთკავშირის ხასიათის განსაზღვრასთან.

წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირის თეორიული ანალიზი, როგორც კვლავწარმოების საწყისი და დამამთავრებელი ფაზებისა, ჯერ კიდევ კ. მარქსის მიერ იქნა განხორციელებული. წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირის დიალექტიკური ხასიათის ანალიზმა საშუალება მისცა მას მისულიყო დასკვნამდე – წარმოება და მოხმარება ერთმანეთისადმი მიმართებაში გამოდიან როგორც ურთიერთსაწინაღმდეგონი, მაგრამ ურთიერთსაწინაღმდეგონი ერთიანობის (ერთობის) შიგნით. მაშინ შემოგ-

თავაზა კ. მარქსმა თავისი ცნობილი ფორმულა, რომელშიც ხაზი გაესვა წარმოებისა და მოხმარების ურთიერთგანპირობებულებას: „წარმოების გარეშე არ არის მოხმარება, მაგრამ მოხმარების გარეშე არა არის წარმოება, რადგანაც ამ შემთხვევაში წარმოება უმიზნო იქნებოდა"[1].

მაგრამ კ. მარქსის მიერ აღიარებული წარმოების პრიმატი სულაც არ ნიშნავდა და არ ნიშნავს მის პრიორიტეტს მოხმარებასთან მიმართებაში; ამის აღიარება სერიოზული შეცდომა იქნებოდა კვლავწარმოების პროცესის ნიუანსების გარკვევა-გაანალიზების საქმეში. წარმოება დღეს, თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების პირობებში, წარმოგვიდგება როგორც მოხმარების წყარო და საშუალება, ხოლო მოხმარება წარმოადგენს წარმოების მიზანს, მოხმარება და მომხმარებლის მოთხოვნა გვევლინება წარმოების საქმიანობის მამოძრავებელ ბერკეტად, მოხმარება გავლენას ახდენს წარმოებაზე.

ამრიგად, ჩვენის აზრით, წარმოებასა და მოხმარებას შორის აშკარად გამოკვეთილი მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება და კავშირია, სადაც წარმოების მოცულობის ზრდა მთლიანად და საბოლოო სასვებით არის განპირობებული მოხმარების ამაღლების ინტერესებით, კვლავწარმოების ამ ორ სფეროს შორის ცალსახა დამოკიდებულება თავისი არსით სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე წარმოებისა და პირადი მოხმარების ოპტიმიზაცია თავის პრაქტიკულ ასახვას პოულობს ეკონომიკის განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაში, ეკონომიკის ზრდის შედეგიანობის მოსახლეობის მოთხოვნილებათა საჭირო ოდენობის, ხარისხისა და ასორტიმენტის საქონლითა და საქონლის მიწოდების დაბალანსებულების უზრუნველყოფაში.

რეგიონში წარმოებისა და მოხმარების პროცესთა გამოკვლევა, მათ შორის შესაბამისობის ხასიათის გარკვევა განაპირობებს წარმოებისა და პირადი მოხმარების უშუალო ურთიერთკავშირის კანონზომიერების გამოვლენის ხასიათის საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას, როგორც რეგიონის ფარგლებში საბაზრო სისტემის სრულყოფილების დახასიათების განმსაზღვრელი.

რეგიონის ფარგლებში სანარმოო მოღვაწეობისა და მოსახლეობის ცხოვრების ლოკალიზაცია ობიექტურად მოითხოვს მისი, ე.ი. მოსახლეობის, პირადი მოთხოვნების შესაბამისად ლოკალიზებასაც. რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში აღნიშნული შესაბამისობის გაძლიერების აუცილებლობის ირიბ დადასტურებად გამოდგება სხვადასხვა განსხვავებული ტერიტორიების (ოლქის, გუბერნიის, რაიონის, ქალაქის, რეგიონის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური განვითარების პროგრამების შედგენის პრაქტიკა, რომელთა ძირითად მიზანსაც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს მცდელობა ერთმანეთს შეუხამოს რეგიონული მოღვაწეობის ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტა.

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საჭიროა რეგიონში ობიექტურად ჩამოყალიბდეს წარმოებასა და პირად მოხმარებას შორის კანონზომიერად განპირობებული მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირი, ამასთან მისი ე.ი. ამ ურთიერთკავშირის სიმყარე და ფუნქციონალურად რეგიონის ფარგლებში განსაზღვრული ლოკალიზაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ პრაქტიკულად რეგიონის მიმართ რამდენად უნარიანად იქნება გამოყენებული საბაზრო ურთიერთობის პრინციპები და მონიჭებული შესაძლებლობები. ასეთი მიდგომის პირობებში რეგიონული კვლავწარმოების ორი მთავარი ფუნქციის შეფარდების პრობლემის გადაწყვეტა, ჩვენის აზრით, აუცილებლად უნდა განიხილებოდეს მიზნისა და მისი მიღწევის საშუალების შესაბამისობის თვალსაზრისით, სადაც პირველის (პირველადის) სახით გამოდის რეგიონის მოსახლეობის პირადი მოხმარება, ხოლო მეორადის სახით – რეგიონში წარმოების განვითარება; ე.ი. მოხმარება, ეჭვს გარეშეა, გვევლინება რეგიონის საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების წინაპირობად.

რეგიონის ეკონომიკა მისი გახსნილი ხასიათის გამო წარმოებისა და პირადი მოხმარების უშუალო კავშირის მიზანმიმართულად გამოყენების საფუძველზე სახალხო მეურნეობრივი თვალსაზრისით უზრუნველყოფს თავის ძალიან ეფექტურ სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციონირებას, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ რეგიონული კვლავწარმოების საბოლოო შედეგიანობის ყოვლისმომცველი დახასიათება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც მთელი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის შემადგენელი ელემენტის, ანალიზის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული საკითხის მიმართ ლიტერატურაში არ შეინიშნება ერთიანი აზრი და ერთნაირი მიდგომები. მოცემული პრობლემების მიმართ ნამუშევრების ჩვენეული ანალიზი გვარწმუნებს რამდენიმე თვალსაზრისში. მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ რეგიონში წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირი გამოიხატება: 1) წარმოებული და მოხმარებული ეროვნული შემოსავლის თანაფარდობაში; 2) ეროვნულ შემოსავალში მოხმარების ფონდისა და დაგროვების ფონდის თანაფარდობაში; 3) საქონლის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებულ თანაფარდობაში.

იმ ავტორების გამოკვლევები, რომლებიც მუშაობენ რეგიონში შექმნილი და გამოყენებული

ეროვნული შემოსავლის ურთიერთთანაფარდობის შესწავლაზე, უმეტესად ეფუძნება რეგიონული ეროვნული შემოსავლის გადატანისა და შემოტანის სალდოს ანალიზს. შედეგის დადებით ბალანსიან მონაცემებისას მისი ავტორები რეგიონს მიიჩნევენ მაღალეფექტიანი კატეგორიის რეგიონად, რადგანაც მას თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის საერთო ეკონომიკის განვითარებაში არა მხოლოდ მატერიალურ-საგნობრივი თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე ღირებულებითი თვალსაზრისითაც. გატანა-შემოტანის უარყოფითი სალდოს პირობებში კი რეგიონი მიიჩნევა არასაკმარის ეფექტიანობის მქონედ ამის მიზეზების შემდგომი განსაზღვრით.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონე შინარსობრივად ინტეგრალური ფორმით თავის თავში ორი კატეგორიის აკუმულირებას ახდენს: კონკრეტულ ტერიტორიაზე საწარმოო ძალების განვითარების დონე (წამოების დონე) და ცხოვრების დონის (მოხმარების დონე). ეს მაჩვენებელი ორ მიზანს ისახავს: ერთდროულად დაახასიათონ რეგიონში წარმოების პროცესები და მოხმარების პროცესები. მაგალითად, რეგიონის ეკონომიკური განვითარების დახასიათებისათვის ჩვენ გამოყენებული გვქონდა ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ ეროვნული შემოსავლის წარმოების მაჩვენებელი, რომლის მრიცხველში ასახული იყო რეგიონული წარმოების საბოლოო შედეგი, ხოლო მნიშნელში – მისი პოტენციური სამომხმარებლო დანიშნულება საზოგადოების ყველა წევრისათვის, რომელიც ლოკალიზებული არიან თავიანთი ცხოვრებით კონკრეტულ ტერიტორიაზე და აღნიშნული პროდუქცია უნდა გამოიყენონ თავიანთი საწარმოო და არასაწარმოო მოხმარებისათვის დაბალანსებული ურთიერთგაცვლის პირობებში.

მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის მოცულობა ერთდროულად წარმოების დონისა და მოხმარების დონის მაჩვენებელია, თუმცა რიგი მიზეზების გამო მას ე.ი. ამ მაჩვენებელს მაინც არ ექნება, ალბათ ბოლომდე კონსტრუქციული ხასიათი.

რეგიონის მოსახლეობის მოხმარების დონის გამოკვლევის მეთოდიკა და მიზანიც თავის საფუძველში ემყარება ცხოვრებაში ორი ურთიერთდაკავშირებული მიდგომის უპირობოდ განხორციელების სურვილს: 1) მოსახლეობის მოხმარების პროცესის რეგიონული დიფერენციაციის დონის განსაზღვრა და დროთა განმავლობაში მისი ცვლილებების ტენდენცია; 2) რეგიონის მოსახლეობის მოხმარების რეალურად მიღწეული დონის მის რაციონალურ ნორმასთან შესაბამისობის შეფასება.

რეგიონული პოზიციებიდან მოსახლეობის მოხმარების მდგომარეობის შესწავლა განპირობებულია მოხმარების ძირითადი მასის ობიექტურად რეგიონის ფარგლებში ლოკალიზაციის ფაქტით, რაც დაკავშირებულია შრომითი საქმიანობით მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მათ საცხოვრებელ ადგილზე მყარად დამაგრების ფაქტთან.

თანამედროვე პირობებში, როდესაც საქართველოს რეგიონებში აშკარაა მოსახლეობის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობა პირველ მოხმარების საგნებითაც კი (რაც განპირობებულია ძირითადად ოჯახების ხელმოკლეობით), გარკვეულ მნიშვნელობას იძენს მოსახლეობის მოხმარების პროცესის დონის შესასწავლად ინტეგრალური ანალიზის როლი. მოსახლეობა სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნათა მინიმალურად დაკმაყოფილებისათვის ახდენს თავისი მოხმარების სტრუქტურის მკვეთრად ვარირებას, რითაც რიგ და ხშირ შემთხვევებშიც ერთი სახის საქონელის არ ქონას ცვლის და ავსებს მეორე სახის საქონლის გაზრდილი მოხმარებით. ასეთ შემთხვევაში და პირობებში რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნათა და მოხმარების დონის მხოლოდ ინტეგრალურ ღირებულებით შეფასებას შეუძლია მოგვცეს საკმაოდ დასაბუთებული წარმოდგენა მოცემული პროცესის რეგიონული დიფერენციაციის ნამდვილი სიდიდისა და ხასიათის შესახებ.

რეგიონის მოსახლეობის მოხმარების არსებული დონის ყველაზე უფრო ადეკვატურად ამსახველ მაჩვენებლად, ჩვენის აზრით, უნდა მიჩნეული იქნას მხოლოდ მოსახლეობის რეალური შემოსავალი. მოცემული მაჩვენებლის უპირატესობა რეგიონული ანალიზისას მდგომარეობს: პირადი მოხმარების პროცესის საკმაოდ სრულად ასახვაში (საცალო საქონელბრუნვასთან შედარებით), რეგიონის მოსახლეობის მოხმარების მოცულობის დახასიათებაში და სხვა.

რასაკვირველია, არც ერთი წუთით არ არის დასავიწყებელი და მხედველობიდან გასაშვები მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა. არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ მოხმარებაზე რეალურ გავლენას ახდენს ქვეყნის ცალკეულ რეგიონში ერთიდაიგივე საქონელზე ფასების დიფერენციაცია (ეს განსაკუთრებით ეხება ინდივიდუალური მოხმარების საგნებსა და განსაკუთრებით კვებას, პროდუქტებს), თვითეული რეგიონის სპეციფიკა და კიდევ მრავალი სხვა, რომელიც ალბათ, ცალკე განხილვის საგანია. ადგილი აქვს საკმაოდ გასხვავებას ცალკეულ რეგიონებს შორის მოსახლეობის საკარმიდამო ან საკუთარი ფერმერული მეურნეობიდან მოხმარებული არასაქონლური პროდუქტების როლს.

ცნობილია, რომ საქართველოს ამჟამინდელ პირობებში მოქმედებს ტენდენცია: რაც უფრო მაღალია რეგიონში პირად საკუთრებაში არსებული მეურნეობიდან მიღებული პროდუქტების მოხმარებაში მათი ხვედრითი წილი, მით უფრო დაბალია რეგიონში კვების პროდუქტების საშუალო შეწონილი ფასი. ეს თავის არსებით პოზიტიურ გავლენას ახდენს რეგიონის მოსახლეობის მოხმარების ღირებულების დონეზე და ამ ღირებულების საერთო სახელმწიფოებრივ მაჩვენებლისგან გადახრაზე.

რეგიონში წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირი თავის მეთოდოლოგიური მკვიდრი არსით უნდა განხილულ იქნას, როგორც წარმოების დონისა და პირადი მოხმარების დონის ურთიერთკავშირი, რამეთუ სწორედ ამ ურთიერთობაში და ურთიერთთანაფარდობაში მდგომარეობს რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთიანობა, მის მიერ ქვეყნის მთლიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის შემადგენელი ელემენტის ფუნქციების შესრულება და საკუთარი მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფა.

ცნობილია, რომ რეგიონული ბაზრები მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ რეგიონის ეკონომიკაში, საქონლური გაცვლის გზით ისინი უზრუნველყოფენ რეგიონული კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობას, მათ შორის მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული და შრომითი რესურსების კვლავწარმოებას.

რეგიონული ბაზრები ქმნიან რეგიონში მთლიანი კვლავწარმოებითი პროცესის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ეკონომიკურ გარემოს. აღნიშნულის გათვალისწინებით რეგიონის ეკონომიკის განვითარება უნდა განხილული იქნას როგორც კვლავწარმოების პროცესი, რომელიც მოიცავს წარმოებას, განაწილებას, გაცვლას და საქონლისა და მომსახურების მოხმარებას. ამ პროცესის კანონზომიერებები განსაზღვრავენ რეგიონული სისტემის მთელ ურთიერთდამოკიდებულებებსა და ურთიერთგანპირობებულებებს. რეგიონული კვლავწარმოებითი პროცესი გულისხმობს შიდარეგიონულ და რეგიონალთაშორისო მატერიალურ-ნივთობრივ, ფინანსურ-საკრედიტო და ინფორმაციული კავშირების ერთიანობას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების თანმიმდევრულ პროცესს. ამ პროცესის თანმიმდევრობა კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ სქემიდან, რომელიც შემოგვთავაზა პროფესორმა ა. ს. ნოვოსელოვმა)[2]. მოცემული სქემიდან ნათლად ჩანს ის მჭიდრო ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს მომხმარებელსა და წარმოებას შორის, რომ მოხმარების სტიმულირება და ზრდა დაკავშირებული და განპირობებულია წარმოების განვითარებით. ამრიგად, იგულისხმება რომ, მოხმარების სტიმულირება საწარმოო ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების წინაპირობაა.

კვლავწარმოებრივ პროცესში რეგიონული ბაზრების ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების როლის უფრო სილრმისეული გაგებისათვის წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება უნდა განხილულ იქნან როგორც ერთიანი ჯაჭვის რგოლები, რომლებიც დაკავშირებული არიან რეგიონულ სისტემაში მატერიალურ-ნივთობრივი, ფინანსურ-საკრედიტო და საინფორმაციო ნაკადების წრებრუნვის განუწყვეტელ განახლებასთან. რაც შეეხება წარმოებას, მისი განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნის საქმეში მნიშვნელოვან როლს რეგიონული ბაზრები ასრულებენ.

ერთ მხრივ, სამომხმარებლო საქონლის მიმოქცევის სფერო ვითარდება მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნისა და არასაწარმოო სფეროს ორგანიზაციების მოთხოვნის გავლენით; მეორე მხრივ, ის დამოკიდებულია ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობაზე, საბაზრო ინფრასტუქტურის განვითარებაზე, საქონლის შემოტანა-გატანაზე. ამიტომ მიმოქცევის სფეროს განვითარების ანალიზისა და პროგნოზირებისას წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მომხმარების საკითხები უნდა განხილული იქნას ორგანულ ერთიანობაში და ურთიერთკავშირში.

სამომხმარებლო საქონლის მიმოქცევის რეგიონულ სფეროში მოქმედებს კავშირები და ურთიერთდამოკიდებულებანი, რომელთა საიმედობაც ბევრად განისაზღვრება რეგიონული კვლავწარმოება: ფულადი შემოსავლები – გადახდისუნარიანი მოთხოვნა – საქონლისა და მომსახურების საჭირო მოცულობა, სტრუქტურა და ხარისხი – საქონელბრუნვა – ბანკებში ფულის შესვლა – ხელფასისა და მოსახლეობის სხვა სახის ფულადი შემოსავლების გაცემა.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული სასაქონლო ბაზრების კონიუნქტურა არსებითად წარმოადგენს ამ რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის, წარმოების ტენდენციებისა და განვითარების მახასიათებელს. აღნიშნულ კონიუნქტურაში ღრმად გარკვევაში საჭიროა გამოყენებული იქნას ეკონომიკური დიაგნოსტიკის პრინციპი (რაც შინარსობრივად გულისხმობს შესასწავლი ობიექტის მდგომარეობის განსაზღვრას, ამ ობიექტის შეცნობას). ამ გზით შეიძლება კარგად გამოვავლინოთ წარმოებისა და მოხმარების განლაგების მდგომარეობა, შევიცნოთ საქონელმიმოქცევის სქემის დადებითი მხარეები

და ნაკლოვანებები, განვსაზღვროთ დისპროპორციები, როგორც წარმოების სტრუქტურაში და მის განლაგებაში, ასევე მოხმარების სტრუქტურაში.

ამგვარად, ნებისმიერი რეგიონული ბაზრის კონიუქტურა განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა ამ რეგიონის ეკონომიკის განვითარებით; ეს კონიუნქტურა ყალიბდება და ვითარდება ბევრი ფაქტორის (ეკონომიკურის, პოლიტიკურის, სამეცნიერო-ტექნიკურის, სოციალურის და სხვა) გავლენით.

ცნობილია, რომ თანამედროვე პირობებში უმრავლეს შემთხვევაში რეგიონულ ბაზარზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას. ჩვენს სინამდვილეში ეს არ ნიშნავს ზედმეტ წარმოებას; ის განპირობებულია საქონლის შემოზიდვით (იმპორტით). მიუხედავად ყველაფრისა, ბაზარზე მდგომარეობა დამოკიდებული იქნება უპირველეს ყოვლისა მოთხოვნის ცვლილებაზე; ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონების ბაზრების შესწავლას – საქონლის პოტენციალურ მომხმარებლებს.

ამგვარად, რეგიონული ბაზრის კონიუქტურის ანალიზი უნდა იწყებოდეს საერთო რეგიონული კონიუნქტურის ანალიზით.

წარმოებისა და მოხმარების განვითარების შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას შორის ცვლილებების თაობაზე, განსაზღვრულ იქნეს ბაზრის სავარაუდო ტევადობა და ფასების მომამავალი დონე.

იმასთან დაკავშირებით, რომ რეგიონულ ბაზრებზე მოთხოვნა და მიწოდება დამოკიდებულია საერთორეგიონული საბაზრო კონიუნქტურის მდგომარეობაზე და საწარმოთა მომგებიანი მუშაობის, კაპიტალების ეფექტიანი ბრუნვის, საბაჟო აქტიურობისა და რიგი სხვა ფაქტორებისაგან წარმოებულია, რეგიონული ბაზრების სისტემის წონასწორობაზე უშუალოდ გავლენას მოახდენს მოხმარებისა და წარმოების ზრდის ან შემცირების ტემპი.

რეგიონული ბაზრის კონიუნქტურის ძირითად მახასიათებელს წარმადგენს მიწოდებისა და მოთხოვნის დონის წონასწორობა, რაც ვლინდება ფასების მდგომარეობაში, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის ტენდენციაში, საქონლების ბრუნვადობის სიჩქარეში და ა.შ. ასეთი შეფასება საშუალებას იძლევა დიაგნოზი დაესვას კონიუნქტურის ტიპს, (რაც დამახასიათებელია განსხვავებული რეგიონული ბაზრებისათვის); კეთილსაიმედოა (მაღალი) თუ არაკეთილსაიმედოა (დაბალი).

კეთილსაიმედო კონიუნქტურისას იქმნება პირობები, რომლებიც აიოლებენ საქონლის გასაღებასა და გაყიდვას, უზრუნველყოფენ მოგების ზრდას, მიიღწევა მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება, ფასები ინარჩუნებენ სტაბილურ დონეს, იგრძნობა საქმიანი აქტიურობის ზრდა.

აღსანიშნავია, რომ შეკვეთების შესახებ მონაცემები გვეცნობა იმ საიმედო წყაროდან, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია შევაფასოთ რეგიონის საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა. რეგიონული შეკვეთების პორტფელი – ესაა ყველა შეკვეთების ღირებულება, რაც მიღებული აქვს რეგიონის საწარმოებს. მისი შინაარსი საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ მომავალში რეგიონის საწარმოთა შესაძლო დატვირთვაზე.

რეგიონის საწარმოების მიერ გარკვეული დროის მონაკვეთისათვის მიღებული შეკვეთები – ესაა მაჩვენებელი, რომელიც მკვეთრ რეაგირებას ახდენს რეგიონულ ბაზრებზე მოთხოვნის მომხდარ ცვლილებაზე და ამიტომ მნიშვნელოვანია საერთორეგიონული ბაზრის კონიუქტურის პერსპექტივის შესაფასებლად. შეკვეთების რეგიონული პორტფელის გაზრდა ადასტურებს მოთხოვნის ზრდის შესახებ და მომავალში შეუძლია წარმოების გაფართოება გამოიწვიოს.

რეგიონულ საწარმოთა ეკონომიკურ პოტენციალის ამაღლებაზე საკმაოდ სერიოზული დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ე.წ. სავაჭრო-საშუამავლო ორგანიზაციებს. ასეთი ორგანიზაციები (საბითუმო ვაჭრობის ასოციაციები, საბითუმო-საცალო საწარმოები, საშუალო სავაჭრო-შემსყიდველი ორგანიზაციები, საბითუმო ბაზები და სხვა) ზემოქმედებენ რა წარმოებაზე და საცალო ვაჭრობაზე, ასრულებენ რიგ ეკონომიკურ ფუნქციას, რაც უზრუნველყოფს რეგიონში კვლავწარმოების პროცესს, კერძოდ ისინი:

– ორგანიზებას უკეთებენ საქონლის მიწოდებას წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე;

– განსაზღვრავენ საქონელმოძრაობის ყველაზე უფრო რაციონალურ მარშრუტებს, რაც დააჩქარებს საქონელბრუნვას, ამცირებს მათი გამტარობის საფეხურებს;

– გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე მონაწილეობენ საწარმოთა საწარმოო პროგრამის შემუშავებაში და ამით ბიძგს აძლევენ მწარმოებლებს ასორტიმენტის უწყვეტი განახლებისა და ახალი სახის პროდუქციის ათვისებისათვის.

რეგიონული ბაზრისა და მისი კონიუნქტურის დეტალებში გარკვევისა და გაანალიზებისათვის გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს რეგიონული სამომხმარებლო ბაზარი. იგი წარმოადგენს მიმოქცე-

ვის სფეროს ტერიტორიულ ორგანიზაციას, რომელიც არის სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სივრცობრივი არეალი.

რაიონული სამომხმარებლო ბაზარი ასრულებს რიგ მნიშვნელოვან ფუნქციას რეგიონის ეკონომიკაში, რომელთაგან გამოვყოფდით: 1) მის მიერ ურთიერთქმედების უზრუნველყოფა გარიგებების საშუალებით მყიდველებსა და გამყიდველს შორის, აგრეთვე კონტრაგენტების ეკონომიკური ინტერესების შეთანხმება; 2) მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურაში რაოდენობრივი პროპორციების დადგენა; 3) სასიგნალო სისტემის როლის შესრულება მწარმოებლებისათვის და მომხმარებლებისათვის პირდაპირი და უკუკავშირების მეშვეობით; 4) სამომხმარებლო საქონლისა და მოხმარების განაწილების განხორციელება რეგიონის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის და სხვა. რეგიონის სამომხმარებლო ბაზარი მოიცავს სამ გამსხვილებულ სეგმენტს: სასურსათო საქონლის სეგმენტი, არასასურსათო საქონლის ბაზარი, სამომხმარებლო მომსახურების ბაზარი. ეს ბაზრები ურთიერთქმედებენ და ურთიერთკავშირის სისტემის საფუძველზე განხორციელებული ყიდვა-გაყიდვის გარიგებებით უზრუნველყოფენ მოსახლეობის მოთხოვნებით დაკმაყოფილებას, ზეგავლენას ახდენენ და ხელს უწყობენ რეგიონის ეკონომიკის ეფექტურ ფუნქციონირებას.

როგორც უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს და გვარწმუნებს, ადგილობრივი საწარმოების პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნის სტიმულირების გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს:

– რეგიონული (რეგიონთაშორისო, რესპუბლიკური) ან დარგობრივი საბითუმო ბაზრობების ორგანიზება;

– რეგიონული შეკვეთების განთავსება (კონკურსულ საფუძვლებზე) რეგიონისავე საწარმოებში;

– საწარმოებისათვის დახმარების გაწევა (მეთოდური, იურიდიული და სხვა) მათ მიერ კონკურსულ საწყისებზე სახელმწიფო შეკვეთების მისაღებად;

– საწარმოო სფეროში მოღვაწე საშუამავლო ორგანიზაციების საქმიანობის სტიმულირება;

– მუნიციპალური საწარმოების ბაზაზე სავაჭრო-სამრეწველო ფირმების შექმნა;

– საწარმოებისათვის სათანადო დახმარების გაწევა მათ მიერ საფირმო მაღაზიების ორგანიზების საქმეში (მხედველობაშია შენობის იჯარა, კომუნალური მომსახურება და სხვა).

– საწარმოთა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის მარკეტინგული მომზადების ორგანიზება, რომლის დონეზეც ბევრად არის დამოკიდებული პროდუქციის გასაღებაში წარმატება და სხვა.

ვფიქრობთ, თამამად შეიძლება ამ გამოცდილების გაზიარება და გამოყენება. საყურადღებოა, რომ რეგიონული სამომხმარებლო ბაზრის შესწავლის პროცესში ჩამოყალიბდა სხვადასხვა განსხვავებული თეორიული მიდგომები და კონცეფციები, რომლებიც სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენენ რეგიონული სამომხმარებლო ბაზრების არსს, მათი ფუნქციონირების კანონზომიერებებს, მათი განვითარების ფაქტორებსა და სხვა. მაგალითად, დღეისათვის ცნობილია ისეთი თეორიები, როგორიცაა მომხმარებელთა ქცევის თეორია, გეომარკეტინგის კონცეფცია, სამომხმარებლო ბაზრისადმი ინსტიტუციონალური მიდგომის თეორია. რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელება ყველაზე მეტად ჰპოვა რეგიონული სამომხმარებლო ბაზრის კვლავწარმოებითმა კონცეფციამ, რომლის მიხედვითაც ეს ბაზარი განიხილება როგორც მიმოქცევის სფეროს ტერიტორიული ორგანიზაცია ურთიერთკავშირში რეგიონულ წარმოებასთან, განაწილებასთან და მოხმარებასთან. ამ თვალსაზრისს იზიარებენ, მხარს უჭერენ და ავითარებენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიცაა რ. შნაიპერი, ა. ნოვოსელოვი (Региональные проблемы рыноведения: экономический аспект), ვ. ბალიშკოვი (Потребительский рынок Москвы, М., 1997) და სხვები. ამ თვალსაზრისს ვუჭერთ მხარს და ვიზიარებთ ჩვენც.

# რეგიონული სოციალური სივრცე. რეგიონული სოციალური და ეკონომიკური სტრატიფიკაცია

## 26.1. რეგიონული სოციალური და ეკონომიკური სტრატიფიკაცია

რეგიონული სოციალური და ეკონომიკური სტრატიფიკაციის განხილვისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავახასიათოთ რეგიონული სოციალური სივრცე, რადგანაც რეალობის თეორიული აღწერა სოციოლოგიური მეცნიერების საშუალებით იწყება სოციალური სივრცის ანალიზით. სოციალური სივრცის საკითხებზე მუშაობდნენ თავის დროზე ბევრი ცნობილი მეცნიერი, მათ შორის: რ. დეკარტი, ტ. გობსი, გ. ლეიბნიცი, ფ. რატცელი, გ. ზიმელი, ე. დიურკგეიმი, რ. პარკი, ე. ბოგარდუსი, ლ. ფონ ვიზე, ე. სპექტორსკი, პ. სოროკინი, ბ. ვერლენი და სხვანი. საყოველთაო აღიარებით, ყველაზე უფრო მკაფიო ფორმულირება (და არა უბრალოდ საკითხის დაყენება) ეკუთვნის პ. სოროკინს .

პ. სოროკინი სამყაროს აღწერს როგორც სოციალურად განსახლებულს, ანუ სივრცეს, რომელიც შევსებულია სოციალური კავშირებით და ურთიერთობებით. მან გააანალიზა ეკონომიკური სტრატიფიკაცია, რომლის ცვლილებაც დროში აღწერა ტერმინ „ფლუქტუაციის" დახმარებით. პ. სოროკინი მიუთითებდა, რომ ყველა საზოგადოებაში სიკეთის დონე – „მდგომარეობა და შემოსავალი" (ეკონომიკური სტრატიფიკაციის კრიტერიუმები) იცვლება დროში. უმიზნო მერყეობა (ფლუქტუაცია) ხორციელდება ციკლურად, გამდიდრებას მოსდევს გაღარიბება – პატარა ციკლები 3-5, 7-8 წელი, საშუალო 10-12 წელი, დიდი 40-60 წელი. პ. სოროკინი თვლიდა, რომ მისი ფლუქტუაციის თეორია უარყოფს კაცობრიობის პროგრესის იდეას – ეკონომიკური მდგომარეობის მუდმივად გაუმჯობესებას. მან XX საუკუნის 20-იან წლებში პირველმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების ყველა მრავალსახეობა შესაძლებელია და აუცილებელიცაა წარმოვიდგინოთ როგორც სოციალურ სივრცეში მოთავსებული მოვლენები.

შესაბამისად, რეგიონული სოციალური სივრცე შედგება გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობისაგან, რათა განსაზღვრულ იქნეს ადამიანის ადგილმდებარეობა. რაიმე სოციალური მოვლენის არსებობა რეგიონულ სოციალურ სივრცეში ნიშნავს განისაზღვროს ადამიანის დამოკიდებულება სხვა ადამიანების და სხვა სოციალური მოვლენების მიმართ რეგიონში. რათა განვსაზღვროთ ადამიანის სოციალური მდგომარეობა, აუცილებელია ვიცოდეთ მისი ოჯახური მდგომარეობა, მოქალაქეობა, რელიგიისადმი დამოკიდებულება, პროფესია, პოლიტიკური პარტიებისადმი კუთვნილება, ეკონომიკური სტატუსი, მისი წარმოშობა და ა.შ. აუცილებელია, აგრეთვე, ვიცოდეთ ადამიანის ადგილი მოსახლეობის ყოველი ძირითადი ჯგუფის ფარგლებში. როდესაც განსაზღვრულია მოსახლეობის როგორც ასეთის ადგილი მთელი კაცობრიობის შიგნით, მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ ინდივიდის სოციალური მდგომარეობაც სათანადოდ განსაზღვრულად.

ამრიგად, შეიძლება მოვახდინოთ ზემონათქვამის გარკვეულად შეჯამება:

– სოციალური სივრცე – ეს არის დედამიწის ხალხთდასახლება;

– სოციალური მდგომარეობა – ესაა ერთობლიობა მისი კავშირებისა მოსახლეობის ყველა ჯგუფთან, ყველა ამ ჯგუფის შიგნით, ე.ი. ჯგუფის წევრებთან;

– ადამიანების ადგილი სოციალურ სივრცეში განისაზღვრება ამ კავშირების დადგენის გზით;

– ასეთი ჯგუფების ერთობლიობა, აგრეთვე, ჯგუფებს შიგნით თითოეული მათგანის ადგილის ერთობლიობა შეადგენს სოციალური კოორდინატების სისტემას, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ნებისმიერი ინდივიდის სოციალური ადგილი და მდგომარეობა.

თუ ზემოაღნიშნულს განვიხილავთ რეგიონულ ჭრილში, ისინი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

– რეგიონული სოციალური სივრცე პრინციპულად განსხვავდება გეომეტრიულისგან;

– რეგიონული სოციალური სივრცე წარმოადგენს სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობას (კავშირებს), რომელშიც ჩაერთვის ნებისმიერი ინდივიდი სხვა ინდივიდებთან, ჯგუფებთან და მთლიანად საზოგადოებასთან ერთად;

– ასეთი სივრცის სოციალური კოორდინატები დაისახება მხოლოდ სოციალური ჯგუფების მიერ და სხვა არავის მიერ;

– სოციალური მდებარეობა გაიშლება ყველა ჯგუფებთან სოციალური კავშირების ერთობლიობის საშუალებით რეგიონში.

– რეგიონული სოციალური სივრცე ასახავს რეგიონის მოსახლეობას და არა სტატუსებს.

დღეს სოციალური სივრცის იდეა აიტაცა თითქმის ყველა სოციოლოგიურმა სკოლამ, თუმცა თი-

თოეულ მათგანს ავსებს საკუთარი შინაარსით. საბოლოო ჯამში, თანამედროვე სოციოლოგები მიდიან იმ მოსაზრებამდე, რომ მთელი სოციალური სამყარო, რომელიც სავსეა სხვადასხვა ეპოქაში და საზოგადოებებში მცხოვრები ადამიანებით, ავლენს მხოლოდ სოციალური ტოპოლოგიის გარკვეულ ტიპს. პ. ბურდიეს კონცეფციით კი, სოციოლოგია უმთავრესად ნარმოადგენს სოციალურ ტოპოლოგიას. სოციალურ სივრცეში ნებისმიერი აგენტის პოზიცია ხელისუფლების მიმართ განისაზღვრება სამი ასპექტით: ეკონომიკური კაპიტალი, კულტურული კაპიტალი და სოციალური კაპიტალი, სიმბოლური კაპიტალი, რომელსაც, ჩვეულებრივ, პრესტიჟს და რეპუტაციას უწოდებენ. პ. ბურდიეს მიაჩნდა, რომ სუბიექტები სოციალურ სივრცეში განლაგდებიან კაპიტალის მოცულობის, მისი სტრუქტურის შესაბამისად.

პ. სოროკინის მიხედვით, სოციალური სივრცე სტრატიფიკაციის კოორდინატის შესაბამისად სამგანზომილებიანია: ეკონომიკური, პოლიტიკური და პროფესიული.

რეგიონული სოციალური და ეკონომიკური სტრატიფიკაცია რეგიონული სოციოლოგიის ნაწილია. რეგიონული ეკონომიკური სოციოლოგია არის მეცნიერული ცოდნის სისტემა ადამიანთა ქცევების შესახებ რეგიონის საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (წარმოება, გაცვლა, განაწილება და მოხმარება). ეს მეცნიერება შეისწავლის რეგიონში ადამიანების ეკონომიკური ქცევების გამოხატვის მრავალფეროვან ფორმებს მათი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, ეკონომიკური ინსტიტუტების სტრუქტურასა და ზემოქმედების მექანიზმებს ადამიანებზე (საკუთრების, შრომის დანაწილების, საქონლისა და შრომის ბაზრის, ფულადი ინსტიტუტების და ა.შ.) გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში.

რეგიონული ეკონომიკური სოციოლოგია სხვა მრავალ საკითხებს შორის იკვლევს რეგიონის საზოგადოების ეკონომიკური ინსტიტუტების ევოლუციას და მათ ზემოქმედებას სოციალურ და ეკონომიკურ სტრატიფიკაციაზე, ერთი სოციალური ჯგუფების ცხოვრების არენიდან გაქრობაზე და სხვა სოციალური ჯგუფების გამოჩენაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შემოგვაქვს რეგიონული სოციალური სტრატიფიკაციის ცნება. რეგიონული სოციალური სტრატიფიკაცია არის ერთობლიობა მსხვილი სოციალური ჯგუფებისა, რომლებიც განთავსებული არიან იერარქიულად სოციალური უთანაბრობის კრიტერიუმებით და იწოდებიან სტრატებად. ისინი განთავსებული არიან არა ჰორიზონტალურად, არამედ ვერტიკალურად. მხოლოდ ვერტიკალურად შეუძლიათ მათ ახალ ჯგუფებად – სტრატებად, კლასებად, ფენებად შეერთება, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან უთანაბრობის პრინციპით – ღარიბები, საშუალო მაცხოვრებლები, მდიდრები – ესაა სტრატიფიკაციის ზოგადი მოდელი. ზოგადიდან კერძოზე გადასასვლელად ვერტიკალური რეგიონული სოციალური სივრცე უნდა გავყოთ ოთხ მიმართულებად: შემოსავლების სკალად (ღარებში, დოლარებში), განათლების სკალად (სწავლების წლები); ხელისუფლების სკალად (დაქვემდებარების რიცხვი) და ბოლოს პროფესიული პრესტიჟის სკალად (ექსპერტების შედარების მიხედვით ბალებში). აღნიშნულ სკალებზე იოლია მოვძებნოთ ადგილი ყველა სტატუსისათვის და ამით განვსაზღვროთ საერთო ადგილი სტრატიფიკაციის სისტემაში. ერთი სტრატიდან მეორე სტრატაში გადასვლა აღინერება ცნებით „სოციალური მობილურობა“, რომელიც შეიძლება იყოს ვერტიკალური, ჰორიზონტალური, ამაღლებული და დადაბლებული.

ყველა საზოგადოებაში კეთილდღეობისა და შემოსავლის დონე იცვლება დროში. თუ საზოგადოებაში უთანასწორობა ძალიან დიდია და მდიდრების შემოსავალი რამდენიმეჯერ აჭარბებს ღარიბების შემოსავალს, მაშინ პირამიდის პროფილი მაღალია, და პირიქით. ამგვარად, დროთა განმავლობაში ხდება ეკონომიკური პირამიდის სიმაღლის ხან შემცირება, ხან გაზრდა. ეს მოვლენა იწოდება ფლუქტუაციად.

ნებისმიერი საზოგადოების განვითარებაში გამდიდრების პერიოდი იცვლება გაღატაკების პერიოდით. ასე იყო ძველ ეგვიპტეში და ასე ხდება თანამედროვე ამერიკაში. უმიზნო მერყეობანი (ფლუქტუაცია) ხორციელდება ციკლურად (გამდიდრებას მოსდევს გაღარიბება). პ. სოროკინი მიიჩნევს, რომ მისი ფლუქტუაციის თეორია უარყოფს კაცობრიობის პროგრესის იდეას – ეკონომიკური მდგომარეობის მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციას.

ვინაიდან მიღებულია საზოგადოების დაყოფა ფენებად (სტრატები) სხვადასხვა კრიტერიუმების მეშვეობით, ამიტომ ინტერესს იწვევს სტრატიფიკაციისა და უთანაბრობის პრობლების უფრო დეტალური გარკვევა მეცნიერების ავტორიტეტული შეხედულებათა მიხედვით.

პროფესორი ი. იაკოვეცი აღნიშნავს, რომ გლობალურ სტრატიფიკაციაში შეიძლება გამოვყოთ დამატებითი ნიშნები ქვეყნების გარკვეულ ცივილიზაციებისადმი მიკუთვნებით, მოსახლეობის რიცხოვნობით, ეკონომიკური განვითარებით, განათლების დონით, ადგილით შრომის საერთაშორისო დანაწილებაში (რაც პროფესიონალური სტრატიფიკაციის თანაბარმნიშვნელოვანია), გარკვეულ სახელმწიფო-პოლიტიკურ კავშირებთან და სამხედრო ბლოკებთან (პოლიტიკური სტრატიფიკაცია) კუთვნილებით კლასიფიცირებისას. თითოეულ ამ ჭრილში შეიძლება აღმოვაჩინოთ გარკვეული ფლუქტუაცია, ციკლური დინამიკის ტენდენცია. მართალია, პიტირიმ სოროკინი მათ თელიდა „უმიზნო ფლუქ-

ტუაციებად", რომლებსაც არა აქვთ გარკვეული მიმართულება, თუმცა კი აღიარებდა ციკლების არსებობას. ასეთივე იყო მისი მიდგომა სოციალური სტრატიფიკაციისა და მობილურობის სხვა ფორმების მიმართაც. ჩვენი მიდგომა რამდენადმე განსხვავებულია; შესაძლებელია საზოგადოების განვითარებაში გამოვყოთ გრძელვადიანი და ზეგრძელვადიანი ტენდენციები, რომლებზედაც ლაგდება ქანქარისებრი ციკლური მერყეობები (მაგრამ მათემატიკურად მკაცრად მოუწესრიგებელი, ამასთან, გაურკვევლობისა და უთანაბრობის დიდი წილით განხორციელებული)[3].

ეკონომიკური სტრატიფიკაციის ორ ტიპს განასხვავებენ: ეკონომიკური დაცემა ან მთლიანად ჯგუფის ზრდა, თვით ჯგუფის შიგნით სხვადასხვა ფენების ხვედრითი წილის გაზრდა ან შემცირება. „ერებს მათი ეკონომიკური აყვავების ისტორიაში ჰქონდათ აღმავლობისა და დაცემის პერიოდები, ვიდრე ბოლოს ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ გაღატაკდა, მათთვის ტიპური იყო მძიმე შიმშილობის წლები, რომელსაც შემდგომ მოსდევდა შედარებით აყვავება, ეკონომიკური აღმავლობის ათწლეული, ათწლეულებით გამოდევნილი სიღარიბე, სიმდიდრის დაგროვების პერიოდები, რომლებსაც ცვლიდა მათი გაფლანგვის პერიოდები. „...ეკონომიკური სტრატიფიკაციის სიმაღლე და პროფილი ინაცვლებიან ქვეყნიდან ქვეყანაში და დროთა განმავლობაში. ეკონომიკურ სტრატიფიკაციას შეუძლია გაიწელოს ან შემცირდეს, გახდეს მეტად ან ნაკლებად მკაცრი"[4].

საინტერესოა რეგიონული სტრატიფიკაციისა და უთანასწორობის საკითხი. უთანასწორობაში იგულისხმება ადამიანების დიდი სოციალური ჯგუფების (სტრატების, ფენების, კასტების, კლასების) ეკონომიკური რესურსებისადმი, სოციალური სიკეთისადმი და პოლიტიკური ხელისუფლებისადმი არათანაბარი ხელმისაწვდომობა. უთანასწორობა ყველა საზოგადოებაში არსებობს. უთანაბრობა-უთანასწორობის გაზომვისათვის ორ მაჩვენებელს იყენებენ – სიმდიდრე (აქტივების რეზერვი) და შემოსავალი (ფულადი შემოსავლების ნაკადი დროის ერთეულში).

ეკონომიკური უთანასწორობის პროფილი რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში 1992 წლის მონაცემებით შემდეგნაირად ხასიათდებოდა[2]: რუსეთში – მდიდრები 3%, საშუალო კლასი 17%, ღარიბ-ღატაკები – 80%. ჩვენი აზრით, იგივეა საქართველოში. ა.შ.შ. – შესაბამისად 6%, 80% და 14%, ეს ციფრები მიუთითებენ სტრატიფიკაციის პროფილზე ანუ უთანასწორობის პროფილზე. თითქმის ანალოგიური მონაცემებით ხასიათდებოდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ის რეგიონი, რომელიც პოსტსაბჭოურ სივრცეს წარმოადგენს.

უთანასწორობისა და სიღარიბის დონის მიხედვით, ერთმანეთს შეგვიძლია შევადაროთ ცალკეული ინდივიდები, ხალხები, რეგიონები, ქვეყნები, ეპოქები.

ერჰარდ ლენსკის ჰიპოტეზის (1970 წ.) მიხედვით, უთანასწორობის ხარისხი განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში. ღრმა უთანასწორობა-უთანაბრობით ხასიათდება მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის ეპოქები. თუ შევადარებთ ე. ლენსკის, კ. მარქსისა და პ. სოროკინის უთანაბრობის თეორიების არსს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

– ე. ლენსკის თეორია – უთანაბრობის მინიმალურობა პირველყოფილი წყობილების საზოგადოებებში, მაქსიმალური – აგრარულში და კვლავ მცირდება სამრეწველო საზოგადოებებში;

– კ. მარქსის თეორია – უთანაბრობა მუდმივად იზრდება პირველყოფილი საზოგადოებების მინიმალურად დაწყებული კაპიტალისტურში მაქსიმუმამდე გაზრდით;

– პ. სოროკინის თეორია – უთანაბრობის დონე მერყეობს (ფრუქტულირებს). არ არის უთანაბრობის მუდმივად ამაღლება ან მუდმივად შემცირება.

სხვა სურათს იძლევა ოჯახის შემოსავლის კვებაზე დანახარჯების ხვედრითი წილის ანალიზი. „მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევა-შესწავლისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის საარსებო მინიმუმის, ე.წ. ფიზიოლოგიური ნორმის სწორად განსაზღვრას და მოხმარების რეალური დინამიკის შესწავლას. ამ პრობლემის სრულყოფილი ანალიზის გაკეთებაში ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ისეთ სოციალურ ეკონომიკურ კატეგორიას როგორიცაა „სამომხმარებლო კალათა". იგი გამოხატავს მომხმარებლის მიერ მოხმარების განსაზღვრული დონის უზრუნველსაყოფელ სამომხმარებლო დონის დოვლათისა და მომსახურების მთლიანი ნაკრების ფასს. ეს მაჩვენებელი დასავლეთის ქვეყნებში დიდი ხანია ფიგურირებს. ჩვენთან კი, მის გამოთვლას ჯეროვანი ყურადღება უკანასკნელ პერიოდში (15-18 წელია) მიექცა"[5]. ირკვევა, რომ მდიდრები ამ დანიშნულებით ხარჯავენ შემოსავლის 5-7%. რაც უფრო ღარიბია ინდივიდი, მით უფრო მეტია შემოსავლიდან კვებაზე დანახარჯები და პირიქით.

ამგვარმა ანალიზებმა საშუალება მისცა მეცნიერებს, ჩამოეყალიბებინათ რიგი კანონებისა. მაგალითად, ცნობილია ენგელის კანონი – რაც უფრო დაბალია შემოსავალი, მით უფრო მეტი ხვედრითი წილი უნდა იქნეს გათვალისწინებული კვებაზე; შვაბეს კანონი – რაც უფრო ღარიბია ოჯახი, მით უფრო მაღალია სამომხმარებლო ხარჯების ხვედრითი წილი, რაიტის კანონი – რაც უფრო მაღალია შემოსავალი, მით უფრო მეტია დანაზოგი.

ამგვარად, სოციალური უთანაბრობა ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. მის საწინააღმდეგოდ, საყოველთაო თანასწორობა ადამიანებს ართმევს და უკარგავს წინსვლის სტიმულს, სურვილს, მოვალეობის შესასრულებლად გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა და შესაძლებლობანი. უ. მურისა და კ. დევისის უთანასწორობის ფუნქციონალური თეორია დაედო საფუძვლად მათ მიერვე შემუშავებულ სოციალური სტრატიფიკაციისა და მმართველობითი იერარქიის თეორიას.

საინტერესოა სტრატიფიკაციის თანამედროვე გაგება. სტრატიფიკაციის გაგება სოციოლოგიაში შემოვიდა გეოლოგიიდან (სტრატუმ-ფენა), რაც მათთან ნიშნავს სხვადასხვა ფენების ვერტიკალურად განლაგებას. რასაკვირველია, გეოლოგური ანალოგია სოციალური სტრატიფიკაციის ანალიზისას ნაკლებად გამოსადეგია, რადგან არ იძლევა ამომწურავ პასუხს. ცნობილია, რომ მიწის სახეები ერთმანეთთან არავითარ ურთიერთქმედებაში არ არიან; გარდა ამისა, მიწის ერთ ფენას არ შეუძლია გადაადგილდეს მეორესთან მიმართებაში. თუმცა, სოციალურ იერარქიაში ასეთი მსგავსი მოვლენები რეალურად შესაძლებელია. ამგვარად, მექანიკური ანალოგიის გამოყენება საზოგადოების სტრუქტურასა და მიწის სტრუქტურას შორის ვერ დაგვეხმარება, თუ არ გავითვალისწინებთ სოციალური სტრატიფიკაციის თავისებურებას. გეოლოგიურისაგან განსხვავებით, ის აგებულია უთანასწორობის პრინციპზე.

რეგიონული ეკონომიკური სტრატიფიკაცია – ესაა რეგიონის მოსახლეობის ძირითადი ფენების შემოსავლების მიხედვით რანჟირება ანუ დიფერენციაცია. ცნობილია, რომ სოციალური სტრატიფიკაციის გაზომვისას გამოიყენება ოთხი ძირითადი კრიტერიუმი: შემოსავალი, ხელისუფლება, განათლება, საქმიანობის პრესტიჟი. აღნიშნულისგან განსხვავებით, ეკონომიკური სტრატიფიკაციის გაზომვისათვის სოციალური სტრატიფიკაციის გასაზომი კრიტერიუმებიდან მხოლოდ ერთი – სახელდობრ, შემოსავალი გამოიყენება. ამის გათვალისწინებით, ეკონომიკური სტრატიფიკაცია უნდა განხილულ იქნეს, როგორც სოციალური სტრატიფიკაციის ნაწილი, რომელიც ამასთან უფრო რთული და მრავალგანზომილებიანი მოვლენაა. კლასობრივი სტრატიფიკაციის საფუძველს შემოსავლების კიბე წარმოადგენს: ღარიბებს ამ კიბეზე უმდაბლესი საფეხური უჭირავს, მოსახლეობის შეძლებულ ფენას – საშუალო, ხოლო მდიდრებს – უმაღლესი საფეხური.

ეკონომიკური სტრატიფიკაცია მოსახლეობის შემდეგი ფენების დიფერენციაციის საფუძველზე ყალიბდება: შემოსავლის მქონე ყველა კატეგორიის მოსახლეობისაგან (მათ შორის პენსიონრების ჩათვლით), ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისაგან და კლასებისაგან.

აღსანიშნავია, რომ უცხოურ ლიტერატურაში მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ დასახელებული პირველი ორი მიდგომიდან რომელი უფრო სწორად ასახავს ეკონომიკურ სტრატიფიკაციას. ქართველ მეცნიერებს შორის ამ თემის ირგვლივ არსებითად რეალური თვალსაზრისი არავის არ განუვითარებია.

თუ ჩვენ ეკონომიკურ სტრატიფიკაციას ვიწრო მიდგომით განვიხილავთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ორი მოვლენა – სოციალური სტრატიფიკაცია, რომელიც მოიცავს მთელ მოსახლეობას და ეკონომიკური სტრატიფიკაცია, რომელიც მოიცავს მხოლოდ დასაქმებულ მოსახლეობას – ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული იქნებიან.

ეკონომიკური სტრატიფიკაციის საფუძველს (როგორი მნიშვნელობითაც არ უნდა განიხილებოდეს იგი) ყოველთვის წარმოადგენს შემოსავლების დიფერენციაცია. შემოსავლების დიფერენციაცია კი არის ადამიანების დაყოფა შემოსავლების სიდიდის მიხედვით, რაც დეტალური კოეფიციენტით იზომება.

სოციალურ-ეკონომიკური სტრატიფიკაცია ახასიათებს ქვეყნის მოსახლეობას არა მარტო მთლიანობაში, არამედ აგრეთვე ცალკეულ სანარმოში დასაქმებულ მუშაკებს. ეს თავისებურება გამოავლინა რუსეთის მეცნიერთა კვლევამ ზ.გოლენკოვას ხელმძღვანელობით. გამოკვლევაში ისინი მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით გამოჰყოფენ ოთხ ფენას. პირველი შრე (ფენა) – უქონელთა ფენა (42.4%). ისინი ფლობენ მინიმალურ სახსრებს ცხოვრების შესანარჩუნებლად და არ გააჩნიათ არავითარი საშუალება (თავისუფალი სახსრები) თავიანთი არსებობის გასაუმჯობესებლად. მეორე ფენა – ნაკლებად უზრუნველყოფილები (37.1%). ეს ფენა ხასიათდება სახსრების ქონებით მხოლოდ ყოველდღიური საჭიროებებისათვის და აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში – მკურნალობისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის, მესამე ფენას წარმოადგენენ უზრუნველყოფილები (19.5%). მათ ჰყოფნით სახსრები ხანგრძლივი სარგებლობის ნივთების განახლებისათვის, საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე, თანხების ჩასადებად თავიანთი და შვილების სწავლებისათვის, შვებულების დროს დასვენებისათვის. მეოთხე შრეა მდიდრები (1.0%), რომელთაც შეუძლიათ დაიკმაყოფილონ ყველა მოთხოვნა, ამასთან, უზრუნველყონ დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა.[6]

სტრატიფიკაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი მომენტები, როგორიცაა: 1) პროფესია, როგორც გარკვეული ფუნქციებისა და ამოცანების ერთობლიობა; 2) პროფესიული პრესტიჟი როგორც მოცემული სახის საქმიანობისადმი ადამიანების დამოკიდებულების სუბიექტური მაჩვენებელი.

ძალაუფლების (ხელისუფლების) მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი ეფექტიანობა, ანუ ხელისუფლების მიერ თავისი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების ხარისხი.

სტატუსური სტრატიფიკაცია რიგი თავისებურებებით განსხვავებულია კლასობრივი სტრატიფიკაციისაგან. კლასობრივ სტრატიფიკაციაში სიმდიდრე წარმოადგენს ადამიანის განდიდების მთავარ კრიტერიუმს, ხოლო სტატუსურში ის არ არის ერთადერთი კრიტერიუმი. საზოგადოებაში, სადაც ბატონობს სტატუსური სტრატიფიკაცია, ხოლო კლასობრივი მხოლოდ ძალას იკრებს, პირველის პრესტიჟი უფრო მაღალია. სწორედ ამიტომ იყო, რომ ვაჭრები, ბანკირები და მრეწველები XIV-XIX საუკუნეებში, რომლებსაც მაღალი პოზიციები ეკავათ სიმდიდრის კრიტერიუმების მიხედვით, არ კმაყოფილდებოდნენ თავიანთი წოდებით, არამედ ყიდულობდნენ აზნაურის ტიტულს და წოდებებს, როგორც მაღალი მდგომარეობის მახასიათებელს სტატუსურ სტრატიფიკაციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტად საინტერესო მიგნებებია ჩამოყალიბებული გურიის რეგიონული განვითარების სტრატეგიაში 2014-2021, სადაც რეგიონის განვითარების ხედვა, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და წინადადებები ნათლადაა წარმოდგენილი:

გურიის მომავალი განვითარებისათვის შემუშავებული სტრატეგიული ხედვა, პრიორიტეტები და წინადადებები ემყარება რეგიონისა და მისი სექტორული განვითარების დონის წინმსწრებ ანალიზს, შესაბამის სიტუაციურ და ფაქტობრივ შეფასებებს, რომლებიც მომზადდა წინამდებარე დოკუმენტის ჩამოყალიბების პროცესში, სათანადო მეთოდოლოგიისა და ჩართულობის საფუძველზე.

მხარის განვითარების ხედვის ჩამოყალიბებისას, გამოკვეთილ იქნა რამდენიმე საკვანძო საკითხი, რაც შესაძლებელს ხდის ინტეგრირებული ხედვის შექმნას და სათანადო ძალისხმევის მიმართვას შესაბამის მიმართულებებზე, კერძოდ:

- მხარის ბუნებრივი რესურსებისა და მატერიალური აქტივების გონივრული მართვა-გამოყენება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება;
- ტურისტული ინდუსტრიის მრავალმხრივი განვითარება;
- სათანადოდ განვითარებული მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი;
- კარგად განვითარებული საბაზისო და სოციალური ინფრასტრუქტურა;
- მიმზიდველი საინვესტიციო გარემო;
- მხარის სამრეწველო სექტორის პერსპექტიული მიმართულებების განვითარება;
- ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეობის სტიმულირება;
- შრომის მწარმოებლურობის ზრდა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა;
- შრომითი რესურსების უწყვეტი გადამზადების ინფრასტრუქტურა;
- სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ეფექტიანი მმართველობა, ძლიერი სამოქალაქო სექტორი და მედია;
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება.

აქედან გამომდინარეობს რეგიონის განვითარების საერთო ხედვაც:

„2021 წლისათვის გურიის მხარეს ექნება ერთ-ერთი სწრაფად ზრდადი ეკონომიკა, შესაბამისი სოციალური უსაფრთხოებითა და კეთილდღეობის სტანდარტით. მისი მახასიათებელი იქნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია და განვითარებული გადამამუშავებელი მრწველობა, – მრავალპროფილური ტურიზმისა და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის სექტორები, – მიკრო და მცირე ბიზნესის სფეროები, – მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი და ინფრასტრუქტურა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის შესაძლებლობებსა და შემოსავლებს, და ხელს შეუწყობსცხოვრების საერთო დონის მნიშვნელოვან ამაღლებას".

წინამდებარე სტრატეგიამ ხელი უნდა შეუწყოს მოცემული ხედვის განხორციელებას. შესაბამისად, გურიის განვითარების სტრატეგიის საერთო მიზანია: რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა – პერსპექტიული სექტორების გაძლიერებითა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობით, მისი ბუნებრივი რესურსების ეფექტური მართვითა და გამოყენებით, ადგილობრივი შრომითი რესურსების გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის

განვითარებითა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, გასაღების ახალ ბაზრებზე დამკვიდრებითა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფით.გურიის განვითარების სტრატეგიის საერთო მიზანი შეესაბამება საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ სახელმწიფო სტრა-

ტეგიის მიზნებს, ასევე, მდგრადი და სწრაფი ეკონომიკური განვითარების 2010-2013 წწ საბაზისო მონაცემებისა და მიმართულებების მიზნებს.

იგი პასუხობს სიღარიბის მინიმუმ 20-25%-ით შემცირების საშუალოვადიან ამოცანას, რაც ეთანადება ათასწლეულის განვითარების მიზნებს, ამოცანებსა და ვადებს.

ქვემოთ განსაზღვრულია რეგიონის განვითარების ის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელება პრიორიტეტულია მომდევნო რვაწლიანი პერიოდის განმავლობაში.

მიზანი 1: საჯარო ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება

• თვითმმართველობის უფლებამოსილებებისა და რესურსული შესაძლებლობების თანდათანობითი გაფართოება;

• რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

• სოფლებსა და დაბებში თანამედროვე ტიპის სერვისცენტრების შექმნის ხელშეწყობა, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი მომსახურებების გაწევას, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჩართვას მუნიციპალიტეტების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და შეასრულებს დასახლების კულტურული ცენტრის ფუნქციას;

• რეგიონულ ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში კადრების კვალიფიკაციის სისტემური ამაღლება;

• რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ქმედითი სისტემის დანერგვა;

• რეგიონის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის განხორციელების ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა.

მიზანი 2: ბუნებრივი რესურსების და მატერიალური აქტივების ეფექტიანი მართვა-გამოყენება

• რეგიონში ამ დრომდე შეუსწავლელი რესურსული პოტენციალის შესწავლა და შეფასება;

• რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსების, წიაღისეულის, მათი მარაგების, ასევე სხვა ეკონომიკური აქტივების (მინა, ქონება) შესახებ არსებული საინფორმაციო ბაზის განახლება, მათი შესაბამისი აღრიცხვა, სისტემატიზაცია, და საორიენტაციო საბაზრო ღირებულების შეფასება;

• მცირე ჰესების კასკადების მშენებლობის ხელშეწყობა, რეგიონის გეოდინამიკური პოტენციალისა და მაღალი საშიშროების რისკის გათვალისწინებით;

• ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქარის ენერგიის გამოყენების ხელშეწყობა;

• მზის ენერგიის, ბიოგაზის, ბიომასის და თერმული წყლის რესურსების ენერგეტიკული პოტენციალის ქმედითი გამოყენების ხელშეწყობა;

• ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, უახლესი ტექნოლოგიების, მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვა და ხელშეწყობა;

• ტყის მართვის სტრატეგიის შემუშავება და ქმედითი განხორციელების უზრუნველყოფა; სატყეო ინფრასტრუქტურის შექმნა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად და ტყის რესურსების შესანარჩუნებლად; ტყის რესურსების სრული ინვენტარიზაციის უზრუნველყოფა.

მიზანი 3: საბაზისო ინფრასტრუქტურის და მშენებლობის განვითარება

• გურიის რეგიონის სივრცით-ტერიტორიული განვითარების დაგეგმარება; ამ კუთხით, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და დონორი ორგანიზაციების კოორდინებული საქმიანობის უზრუნველყოფა;

• რეგიონის საგზაო ინფრასტრუქტურის (სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზები, მათ შორის ში და სასოფლო, კურორტებამდე და საკურორტე ადგილებამდე მიმავალი გზები) შემდგომი რეაბილიტაცია, მისი პრიორიტეტული ნაწილის ასფალტის ან ბეტონის საფარით სრული დაფარვა და რეგულარული მოვლის უზრუნველყოფა; ამ კუთხით, მუნიციპალიტეტებსა და ცენტრალური ხელისუფ ლე ბის კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფა;

• შიდა სატრანსპორტო მოძრაობის სტანდარტიზება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტების ცენტრებიდან რეგიონის ყველა დასახლებულ ტერიტორიასთან მგზავრთა გადაყვანის უზრუნველყოფა;

• მუნიციპალური ცენტრების ქუჩების მოასფალტების დასრულება;

• გაზიფიკაციის სამუშაოების დასრულება მთელი რეგიონის მასშტაბით;

• ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (ყოფილი სამხედრო აეროდრომის ბაზაზე) გრძელვადიან პერსპექტივაში აეროპორტის მშენებლობის მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის შესწავლა;

• მხარის მუნიციპალიტეტებში ვერტმფრენის დასაჯდომი პლატების მოწყობის ხელშეწყობა;

• ურბანული ინფრასტუქტურის განვითარება; მუნიციპალური ცენტრების ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება და არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროს რეგულირების ქმედითისისტემის ჩამოყალიბება;

• მხარის ყველა ტერიტორიულ ორგანოში ინტერნეტზე ხელმისანვდომობის უზრუნველყოფა; ინტერნეტ კაფეების მონყობის ხელშეწყობა.

მიზანი 4: მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა

• გურიაში არსებული ეკოლოგიურად სუფთა რესურსის გამოყენებისა და საკონსერვო მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა – ხილის ნატურალური წვენების, ჯემების, ჩირის დამზადების ნახალისებით;

• ეკოლოგიურად სუფთა რესურსის, მტკნარი და მინერალური წყლების დიდი მარაგის გათვალისწინებით, ისეთი დარგების შემდგომი განვითარებისა და გაფართოების ხელშეწყობა, როგორიცაა უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ჩამოსხმა;

• თხილის წარმოებისა და მისი გასაღების ბაზრების შემდგომი გაფართოების ხელშეწყობა;

• ასკანის თიხის რეგიონში გადამუშავებისა და მისი საექსპორტო პროდუქციად ქცევის ხელშეწყობა;

• რეგიონში არსებული ტუფისა და გრანიტის მოსაპირკეთებელი მასალის, კაოლინის, სიენიტების, წითელი რკინის, აპატიტისა და მინერალური საღებავების მოპოვების და მათი გამოყენება-გადამუშავების ხელშეწყობა;

• სამშენებლო მასალების (აგური, ბლოკი), მოსაპირკეთებელი ქვებისა და ფილების წარმოების სტიმულირების მიზნით, შესაბამისი საინვესტიციო პროექტების მომზადება და მიზნობრივი კომუნიკაცია;

• ხის წარმოების განვითარების, ხე-მასალის გადამამუშავებელი საწარმოების გახსნისა და შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

• რეგიონში წარმოებული პროდუქციის (სახეების მიხედვით) შესახებ სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება;

• მრეწველობის სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ტრანსფერისა და დანერგვის მხარდაჭერა.

• რეგიონში ლიზინგის პრაქტიკის აქტიური გამოყენების ნახალისება და ხელშეწყობა;

• მხარის მუნიციპალიტეტებში შრომის, მცირე და საოჯახო ბიზნესის ტექნოლოგიების გამოფენა-ბაზრობის (ექსპოცენტრი) შექმნის და ორგანიზების ხელშეწყობა; გამოფენა-ბაზრობის ტიპიური ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციონირების მექანიზმების განსაზღვრა;

• ადგილობრივ ინოვატორთა და საუკეთესო გამომგონებელთა მოძიება, აღრიცხვა და გამოვლენა; მონაცემთა სპეციალური ბაზის შექმნა და გავრცელება;

• რეგიონში სამრეწველო ან სხვა ტიპის კლასტერების განვითარების შესაძლებლობათა შესწავლა და გამოვლენა, შესაბამისი პროექტების მომზადება და მიზნობრივი კომუნიკაცია.

მიზანი 5: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება

• მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების და განვითარების პერსპექტივების პერიოდული კვლევების განხორციელება;

• ბიზნეს-განათლების და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებებზე მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდა სპეციალური პროგრამების საშუალებით;

• შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის მხარდაჭერა; რეგიონის მუნიციპალიტეტებში პროფესიული გადამზადების ცენტრებისდა ბიზნეს ინკუბატორების შექმნა-განვითარების ხელშეწყობა;

• ოზურგეთში არსებული გადამზადების ცენტრის საქმიანობის ოპტიმიზაცია; მუნიციპალიტეტისა და მთლიანად რეგიონის რეალურ საჭიროებათა განსაზღვრა პროფესიული განათლების მიმართულებით, გადამზადების ცენტრების საჭირო პროფილისა და რაოდენობის პროგნოზირება;

• ადგილობრივი ბიზნესებისთვის საინფორმაციო და კონსალტინგური დახმარების უზრუნველყოფა ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების, მარკეტინგული კვლევის უახლესი მეთოდოლოგიებისა და საექსპორტო ბაზრების შესახებ;

• მათი მხარდაჭერა საინვესტიციო პროექტების მომზადებაში და პოტენციურ უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირებაში;

• რეგიონში მიკრო-საკრედიტო ორგანიზაციების ქსელის გაფართოების ნახალისება და ხელშეწყობა;

• რეგიონის მუნიციპალურ ცენტრებში თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარების ხელშეწყობა.

მიზანი 6: ტურიზმის მრავალმხრივი განვითარება

ამოცანა 6.1. პროგრამული და ინფრასტრუქტურული ინიციატივების მომზადება და განხორციელება

• ტურიზმის, როგორც კომპლექსური ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობების (ინფრასტრუქტურა, კადრები, წარმოება, მომსახურება, კლასტერიზაცია, და სხვ.) სათანადო შესწავლა და გამოკვეთა;

• ტურიზმის განვითარების მუნიციპალური პროგრამების, ისევე როგორც მთლიანად რეგიონის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება (რომელიც განსაზღვრავს და დააკონკრეტებს ამ სფეროს განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და საქმიანობებს და უზრუნველყოფს სფეროს გრძელვადიან, ეკოლოგიურად გონივრულ და კონკურენტუნარიან განვითარებას);

• ტურიზმის სხვადასხვა სახეების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

• რეგიონის ჭრილში, ტურისტული პოტენციალის პერიოდული შესწავლა, აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა-განახლება;

• ტურიზმის უფრო ეფექტური მართვისათვის, შესაბამისი სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების ათვისება-განხორციელებაში კერძო სტრუქტურების ჩართვა;

• ტურისტული ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც შესაბამისი პოლიტიკის შექმნაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონის გაზრდა;

• მზა საინვესტიციო პაკეტების შეთავაზება ინვესტორებისთვის;

• ტურისტული სააგენტოების, შესაბამისი კადრების და რეგიონში ტურისტული ნაკადების ორგანიზებული შემოდინების ხელშეწყობა;

• რეგიონში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრ(ებ)ის შექმნა და კეთილმოწყობა;

• საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტების, მათთან მისასვლელი გზებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; ისტორიული და კულტურული ძეგლებისა და ობიექტების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია და მათთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება;

• მხარის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ქალაქებში, სოფლებში გზებზე და მაგისტრალ-ტრასებზე ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების, ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ასევე ქუჩების სახელდებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშების და აბრების დამონტაჟება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

• ტურისტთა დაბინავების ადგილებისა და კვების ობიექტების (მათ შორის, სწრაფი კვების ობიექტების) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობის წახალისება;

• კემპინგის პუნქტების შექმნის ხელშეწყობა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში;

• საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა ტურისტული ობიექტების სიახლოვეს.

ამოცანა 6.2. მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა და რეკლამირება

• ტურისტული მარშრუტების შექმნა-განახლება რელიეფისა და ადგილმდებარეობის თავისებურების გათვალისწინებით; კულტურული, სათავგადასავლო, სამკურნალო, რელიგიური, აგრო, ეკო, სპორტული და სხვა ტურების ორგანიზების ხელშეწყობა;ა

• სხვადასხვა სახის და მასშტაბის ტრადიციული სპორტული ღონისძიებების, შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალების, კონკურსების, ოლიმპიადების აღდგენა-განვითარების ორგანიზება;

• ადგილობრივი ნატურალური პროდუქტების და ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაცია;

• სარეკლამო-საინფორმაციო სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერა;

• რუკების, გზამკვლევების, ბროშურების და სარეკლამო რგოლების მომზადება და გავრცელება;

• ადგილობრივი ტრადიციული ნაწარმისა და სუვენირების წარმოების განვითარების ხელშეწყობა სპეციალური პროგრამებით;

• ტურისტული გამოფენების მოწყობა;

• ახალი ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტების მოძიება.

ამოცანა 6.3. ტურისტების მომსახურების დონის გაუმჯობესება

• ტურისტული მომსახურების ობიექტებში მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება; ტრენინგების ჩატარების ორგანიზება-მხარდაჭერა სფეროში დასაქმებული კადრებისთვის;

• ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; საუკეთესო ტურისტული ობიექტების, მომსახურების მიმწოდებლების, მენეჯერებისა და პერსონალის გამოვლენა და დაჯილდოება;

• რეგიონის მუნიციპალიტეტების ცენტრებში დამატებითი ბანკომატების განთავსების ხელშეწყობა;

ტურისტების საბანკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საბანკო სექტორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

მიზანი 7: სოფლის მეურნეობის განვითარება

• სპეციალური ფონდის ფორმირება, რომელიც საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემების ამოქმედების, ბიზნესპროექტების დაფინანსებისა და საწარმოებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემის გზით,

უზრუნველყოფს რეგიონში სოფლის მეურნეობისა და აგროწარმოების პრიორიტეტული სფეროების (განსაკუთრებით თხილის, ციტრუსისა და ლურჯი მოცვის წარმოების), საექსპორტო და იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოების განვითარებას, მიმღები პუნქტებისა და გადანაწილების ცენტრის ორგანიზებას და ტექნოლოგიური ხაზების დანერგვას;

• ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების შექმნა-განვითარების, საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთების ორგანიზების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების გზით, მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებისადა პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა;

• ადგილობრივი საჭიროებების სრულად დასაკმაყოფილებლად, მექანიზაციის ცენტრის დამატებითი ტექნიკით, მ.შ. მცირეგაბარიტიანი ტექნიკით უზრუნველყოფა;

• სადრენაჟო ქსელების სრული რეაბილიტაცია და მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება, აუთვისებელი სავარგულების ათვისება და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და სავარგულებთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაცია, აღურიცხავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისმინის რეგისტრაციის უზრუნველყოფა;

• სურსათის უვნებლობის ქმედითი სისტემის დანერგვა.

მიზანი 8: რეგიონის ბრენდის შექმნა

• საექსპორტო ბაზრებზე მომხმარებელთა რეგულარული ინფორმირება რეგიონში წარმოებული ხარისხიანი პროდუქტებისა და უნიკალური თვისებების შესახებ; რეგიონის ვებ გვერდების დახვენა-მის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების მიზნით;

• რეგიონში წარმოებული პროდუქტის სლოგანისა და ლოგოტიპის დიფერსიფიცირებული ვიზუალური და ვერბალური იდენტურობის ფორმირება; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ქსელური შესაძლებლობების აქტიურად გამოყენების ხელშეწყობა

მიზანი 9: უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

• რეგიონსა და მუნიციპალიტეტებში შესაბამისი საინვესტიციო პროექტებისა თუ წინადადებების მომზადება უცხოელი ინვესტორების დაინტერესების მიზნით;

• ამ და პოტენციურ უცხოურ ინვესტორებთან ურთიერთობის მიზნით, კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვა და გადამზადება;

• უცხოელ და ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებს შორის კავშირების დამყარების ხელშეწყობა; მათ შორის, საინფორმაციო ბანკის მომზადება ადგილობრივი სამენარმეო სუბიექტების, მათი საქმიანობის პროფილისა და შესაძლებლობების შესახებ;

• მოქმედი და პოტენციური უცხოელი ინვესტორების კონსულტირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ინვესტიციების განხორციელების ოპტიმალური იურიდიული ფორმების, ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობის, უძრავი ქონების და სხვა საკითხებზე;

• ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრების (უპირველესად ევროკავშირის ბაზარი) მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, – შეფუთვის, მარკირების და სხვა კუთხით გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 ნლებისთვის);

• სპეციალური ბიზნესფორუმების, პრეზენტაციების, მარკეტინგული ანალიზის, მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება-ორგანიზება, რეგიონის წარდგენა საერთაშორისო გამოფენაზე;

• რეგიონის ჭრილში უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება და დამუშავება;

• ზემოაღნიშნული ამოცანებისა და საქმიანობების ეფექტიანი განხორციელებისთვის, რეგიონში ინვესტიციების მოზიდვაზე პასუხისმგებელი ქმედითი ინსტიტუციის შექმნა; ამ მიზნით, შესაბამისი საჯარო, კერძო და დონორული რესურსების ჩართვა; აღნიშნული ინსტიტუციის, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების საქმიანობის მჭიდრო კოორდინაციის უზრუნველყოფა ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან და სხვა შესაბამის ცენტრალურ უწყებებთან.

მიზანი 10: კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებების მონესრიგება

• მოსახლეობისთვის ცენტრალური სისტემებით ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი მინოდების, ხარისხიანი და უწყვეტი ენერგომომარაგების და ბუნებრივი აირის უწყვეტი მინოდების სრული (გარდა განსაკუთრებით რთული უბნებისა) უზრუნველყოფა;

• მუნიციპალურ ცენტრებსა და საკურორტო დასახლებებში საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება და საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა;

• მუნიციპალიტეტებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ქმედითი სისტემის დანერგვა, ყველა დასახლებიდან ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა და „უკონტროლო“ ნაგავსაყრელების გაუქმება;

• მუნიციპალურ ცენტრებსა და საკურორტო დასახლებებში ქუჩების რეგულარული დასუფთავების უზრუნველყოფა;

• გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ნაგავსაყრელზე ნარჩენების გატანის, გადამუშავებისა და კომპოსტირების უზრუნველყოფა;

• საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ავტოსადგურების კეთილმოწყობა;

• ყველა დასახლების ხარისხიანი და იაფი ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფა;

• სახანძრო-სამაშველო სამსახურების სტანდარტების შესაბამისად (მ.შ. ვერტმფრენით) აღჭურვა.

მიზანი 11: სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება

• საარსებო მინიმუმით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა;

• დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედითი პროგრამების (მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარება, ორსულობის, მშობიარობისა და მცირეწლოვანი ბავშვის მოვლის ხარჯების ანაზღაურება) შემუშავება და განხორციელება;

• მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის (მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მოხუცები, შშმ პირები) სოციალური სახლების მომსახურების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

• შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი სამშენებლო სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა;

• სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტის შემდგომი გაფართოება და მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემის სრულად გადაჭრა;

• რეგიონის მოსახლეობისთვის თანამედროვე სტანდარტების, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული საერთო პროფილის საავადმყოფოს გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა• სათემო ამბულატორიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სოფლის ექიმების კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის ამოქმედება;

• სასწრაფო დახმარების ბრიგადების აღჭურვილობის განახლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;

• მკვდრადშობადობის მაღალი მაჩვენებლის განმაპირობებელი მიზეზების დადგენა და შესაბამისი ზომების მიღება.

მიზანი 12: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარება

• საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემის სრულად გადაჭრა და პედაგოგების/პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება;

• ადგილობრივ საჭიროებათა გათვალისწინებით, რეგიონში მრავალპროფილიანი პროფესიული-გადამზადების ცენტრის (ცენტრების) შექმნა;

• ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და აგროქიმიური ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებარეგიონში კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/განვითრება.

მიზანი 13: ქმედითი გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელება

• ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განსაკუთრებით მოწყვლადი ტერიტორიების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;

• კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის საადაპტაციო ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება;

• მიზანშეწონილობის შემთხვევაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურის გახსნა;

• ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება;

• გადაუდებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების შემუშავება და ქარსაცავი ზოლების აღდგენა;

• ტყეების მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი კადრების კვალიფიკაციისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;

• საქონლის უკონტროლო ძოვების პრობლემის აღმოფხვრა;

• შავი ზღვის სანაპირო ზონის წყლის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა და პალიასტომის ტბის მონიტორინგის ქსელის გაფართოება;

• გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება;

• ტრანსსასაზღვრო და ტერიტორიათაშორის გარემოსდაცვით თანამშრომლობასა და საქმიანობებში რეგიონის ჩართულობის უზრუნველყოფა.

მიზანი 14: მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარება და გენდერული უთანასწორობის შემცირება

• ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს/მედიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და ბიზნესსექტორსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის ნახალისება;

• გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

## 26.2. ელიტის სოციოლოგია – მისი ფუნქციები და ადგილი საზოგადოებაში

ელიტის სოციოლოგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა უცხოურ სოციოლოგიაში. ამ მიმართულების მეცნიერული ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა თეორია, რომელიც ეხება ელიტის წარმოშობას, მის ფუნქციებსა და ადგილს საზოგადოებაში, ელიტის შემადგენლობას, შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად: ელიტის სახელისუფლებო და მერიტოკრატიულ თეორიებად. ამათგან პირველი ელიტას მიიჩნევს, როგორც საზოგადოების სახელისუფლებო სტრუქტურებს, ხოლო მეორე – როგორც საზოგადოების ყველაზე უფრო ღირსეულ წევრებს.

ტერმინი „ელიტა" მე-19 საუკუნის ბოლოს შემოიტანეს იტალიელმა სოციოლოგებმა გ. მოსკამ და ვ. პარეტომ. საქართველოშიც, ისე როგორც ევროპაში, საზოგადოების მაღალი პრივილეგირებული ფენის გამოსახატავად გამოიყენება ტერმინი „ელიტა", ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ტერმინ „ელიტის" გარდა კიდევ გამოიყენება გამოთქმა – „ისტებლიშმენტი" (გაბატონებული ზედა ფენა, მმართველი წრეები). „ისტებლიშმენტი" ემყარება მისი წევრების არაფორმალურ კავშირებს. ისინი „აძლევენ ტონს" გემოვნებაში და ქცევაში, მასზე იღებენ ორიენტაციას, მისგან იღებს მაგალითს ბევრი ამერიკელი.

ელიტის, როგორც ხელისუფლების, მომხრეები არიან, უპირველეს ყოვლისა, გ. მოსკა, გ. ლასუელი, რ. მილსი, ა. ეტციონი. ელიტას ისინი ეძახიან იმათ, ვისაც მნიშვნელოვანი პოზიციები უჭირავთ საზოგადოების მართვაში და ხელთ უპყრიათ რეალური ძალაუფლება. ამასთან, მათთვის სულაც არა აქვს მნიშვნელობა, აქვს თუ არა ამ ხალხს რაიმე პირადი მნიშვნელოვანი ღირსებები ან დამსახურებები. ერის ლიდერად მათ აქცევს ხელისუფლებაში ყოფნა და არა პირადი ხარისხი ან თვისებები. სახელისუფლებო ელიტის თეორიის მიმდევრებს სხვადასხვაგვარად ესმით ხელისუფლება. ეს განსხვავება ნაკარნახევია ორი მიდგომით, კერძოდ – სტრუქტურულით და ფუნქციონალურით. სტრუქტურული მიდგომის მიხედვით, ელიტას აკუთვნებენ მათ, ვისაც უმაღლესი თანამდებობრივი პოზიციები უჭირავთ ფორმალურ იერარქიაში (მინისტრები, დირექტორები, სამხედრო ხელმძღვანელები), ხოლო ფუნქციონალური მიდგომით ელიტას აკუთვნებენ მათ, ვინც რეალურად იღებს მნიშვნელოვან მმართველობით გადაწყვეტილებებს (ისეთებიც კი, რომლებიც არ არიან ფორმალურად ამ უფლებებით აღჭურვილი).

ელიტა – ესაა ადამიანების მცირე ჯგუფი, რომელიც ფლობს უდიდეს ხელისუფლებას საზოგადოებაში და ამიტომაც იმყოფება საზოგადოების სოციალური პირამიდის მწვერვალზე. თანამედროვე პირობებში ელიტას აკუთვნებენ საქმიანი და ფინანსური წრეების წარმომადგენლებს, საგარეო პოლიტიკის დარგის სპეციალისტებს, თავდაცვის სპეციალისტებს, სამთავრობო სტრუქტურის მწვერვალზე მყოფთ და პოლიტიკურ ლიდერებს, დიდ მეცნიერებს, ტელეექსპერტისა და ცნობილ გამოცემათა მფლობელებს, აგრეთვე, პოპულარულ მუსიკოსებს, ბალეტმეისტერებს, მოდელიორებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს ელიტა მოსახლეობის 0,5 პროცენტს შეადგენს და ფლობს ეროვნული სიმდიდრის 35 %-ს.

თუ შევეცდებით შევაჯამოთ ყველაფერი ის, რა მოსაზრებებიც აქ იყო ჩვენ მიერ მოტანილი ელიტის შინაარსის სწორად წარმოდგენის მიზნით, ვფიქრობთ, დასკვნები ელიტის შესახებ გამოხატული უნდა იქნეს შემდეგი განსაზღვრებებით:[7]

1) ელიტა – ესაა საზოგადოების ჯგუფების მაღალი ფენა, რომელსაც უკავია უმაღლესი ან წამყვანი პოზიცია (ხელისუფლების, ეკონომიკური, პროფესიონალური და სხვ.);

2) ელიტა – ესაა შედარებით ჩაკეტილი ჯგუფების ერთობლიობა, რომელში მოხვედრაც შეზღუდულია და საკმაოდ მკაცრი შერჩევის მექანიზმებით რეგულირდება;

3) ელიტა – ესაა ჯგუფები, რომლებიც ფლობენ განსაკუთრებულ კულტურულ ორიენტაციებსა და მენტალიტეტს, ცხოვრებისა და ქცევის წესებს, რომლებიც მათ განასხვავებს დანარჩენი მოსახლეობისაგან და იცავენ მათგან საგრძნობ სოციალურ დისტანციას. ელიტარული ნორმები მოსახლეობისათვის ძალიან მიმზიდველი, მაგრამ ამასთან ნაკლებ მისაწვდომია.

ელიტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულია ასეულ ათასობით და მილიონობით ადამიანთა ბედი. ჩვენი ქართული ელიტაც ცდილობს მიიღოს საზოგადოებისათვის სასიცოც-

ხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველაფერი ისე არ გამოგვდის, რომ ჩვენი ელიტის საქმიანობამ და მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის პროცესის დაწყებას. ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული განსხვავება შეინიშნება ქართული და დასავლეთის ელიტებს შორის. კერძოდ, ჩვენი ელიტა ზოგჯერ იმას უშვებს, რასაც დასავლეთის ელიტა არ აკეთებს. ჩვენი ელიტა ხშირად აერთიანებს გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ შესრულებას, თუმცა ეს ორი სხვადასხვა ფუნქციაა. დასავლეთში, როგორც წესი, სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებენ ერთნი, ხოლო მას ახორციელებენ და ცხოვრებაში რეალობად აქცევენ მეორენი (ჩინოვნიკები, აპარატი, ბიუროკრატია). ორი ფუნქციის გაერთიანება არსებითად ნიშნავს იმას, რომ ძირითად გადაწყვეტილებებს იღებენ საშუალო დონის ჩინოვნიკები, თავისი მოქმედებებით მათ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოში პირველი პირების ქცევაზე.

თანამედროვე საქართველოში მმართველი ელიტა ჩამოყალიბებულია შემდეგ საფუძვლებზე: ერთი მხრივ, ესენი არიან ყოფილი პარტიულ-სამეურნეო აქტივიდან მოსულები, მეორე მხრივ, ყოფილი ინტელექტუალური კონტრელიტა, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ ყოფილი სისტემის საწინააღმდეგო პოლიტიკის შედეგად.

საინტერესოა სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ოლიგარქიის საკითხი. პლატონი ოლიგარქიად სახელმწიფო მოწყობას თვლიდა, როდესაც ხელისუფლების სათავეში მდიდრები დგანან. ჩვენში ოლიგარქიას ხშირად უწოდებენ ყველაზე მდიდარ ადამიანებს, მაგრამ ყველა მდიდარი არ არის ოლიგარქი. ოლიგარქი ის არის, ვინც გამდიდრდა ხელისუფლების გამოყენებით, ვისი ბიზნესიც სარგებლობდა განსაკუთრებული მფარველობით ხელისუფალთა მხრიდან და ამისათვის მას უხდიდნენ. ოლიგარქებს უნდა მივაკუთვნოთ ისინი, ვინც აფინანსებდა ხელისუფლების მნიშვნელოვან ინსტიტუტებს, არჩენდა ასეულობით ჩინოვნიკს და სხვანი. ქართულ ოლიგარქებს, რომლებიც შეადგენენ ელიტის ფინანსურ ბირთვს, დასავლეთელებისგან განსხვავებით, არა აქვთ დიდი ხნის ისტორია. ისინი გაჩნდნენ გარდაქმნის პერიოდში, ე. ი. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან.

ბიზნესის სფეროში ჩართულ ადამიანთა ფართო წრის განსაზღვრის მიზნით, ხმარებაში შემოვიდა ტერმინი „ბიზნეს-შრე." საზოგადოების ბიზნეს-შრეს მიეკუთვნება ყველა მეწარმე და ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ დონით დასაქმებულნი არიან ბიზნესით (საწარმოთა, ბანკების მფლობელები, ფირმის პატრონები, დაქირავებული მუშაკები და სხვ.).

ბიზნეს-შრე განისაზღვრება როგორც მწარმოებელი, კომერციული ან ფინანსური საქმიანობის სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ მოგების მიზნით, ავტონომიურად იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს და მათზე პირად პასუხისმგებლობას. ეს არის სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულ პირთა ფართო წრე.

ბიზნეს-შრე არ არის თავისი შემადგენლობით ცალსახა და პირობითად შეიძლება დაიყოს ექვს ჯგუფად:

- საკუთრივ მეწარმეები;
- თვითდასაქმებულები;
- ბიზნესმენ-მენეჯერები;
- მენეჯერ-თანამფლობელნი;
- კლასიკური მენეჯერები;
- ნახევრადმეწარმეები.

ნახევრად მეწარმეებად ითვლება ბიზნეს-შრის ის ჯგუფი, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული არიან მხოლოდ დროის ნაწილში, ხოლო დანარჩენ დროში დაქირავებით მუშაობენ. ბიზნესში დასაქმებულთა დაახლოებით 70% მუშაობს დაქირავებით. ბიზნეს-შრის წარმომადგენელთა მეტი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გამოსული დაქირავებულ მუშაკთა კლასის შემადგენლობიდან.

მეწარმეები, როგორც საქართველოს საზოგადოების დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფი, ნაწილდებიან სოციალური სტრატიფიკაციის კრიტერიუმების მიხედვით: ჯგუფის პოლიტიკური პოტენციალი (ხელისუფლებისა და მმართველობითი ფუნქციების მოცულობა), ეკონომიკური პოტენციალი (საკუთრების მასშტაბი), აგრეთვე, სოციოკულტურული პოტენციალი (განათლების, კვალიფიკაციის დონე და სხვ.). მეწარმეები – ესენია კაპიტალის მფლობელები, რომლებიც პირადად ხელმძღვანელობენ სანარმოებს ან ბიზნესს.

როგორც მეცნიერული გამოკვლევები და პრაქტიკა ადასტურებს, მეწარმეთა შრის ფორმირების სოციალური ბაზის სახით გამოდის სამი ჯგუფი: პირველი – მმართველები. მათი მეწარმეებში გადასვლა ლოგიკურიც არის. ადრე და ეხლაც მმართველების ჯგუფები წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გავლენიან სოციალურ ჯგუფს. სწორედ ისინი განაგებენ ქვეყნის მატერიალური და სხვა რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს; მეორე ჯგუფია – სპეციალისტები. მათი გადასვლა მეწარმეთა კლასში ძირითადად განპირობებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსირე-

ბის მკვეთრად შემცირებით; მეწარმეთა კლასის შევსების მესამე წყაროს წარმოადგენს ახალგაზრდა ადამიანები, რომლებმაც დაამთავრეს უნივერსიტეტი ან პროფესიული სასწავლებელი. დაკვირვება ადასტურებს, რომ ახალგაზრდა ადამიანებს შორის სოციალურ ფენებად დაყოფის პროცესი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთლიანად საზოგადოებაში.

საქართველოს ბიზნეს-შრე შედგება ორი ძირითადი კატეგორიისაგან:

– წარმოების საშუალებების მფლობელებისაგან;

– თვითდასაქმებულებისაგან.

ერთნიც და მეორენიც განეკუთვნებიან მეწარმეთა ფენას, რამეთუ დაკავებულნი არიან ფულის „კეთებით“. ამასთან, პირველებს ვუწოდებთ „კლასიკურ“ მეწარმეებს, რადგანაც აღნიშნული საქმით არიან დაკავებულნი მთელი თავისი დროის განმავლობაში, ხოლო მეორენი ე. ი. თვითდასაქმებულები (დაკავებულნი არიან სამეწარმეო საქმით მხოლოდ ძირითად სამუშაოდან თავისუფალ დროს). პირველებს გააჩნია მსხვილი კაპიტალი, ხოლო მეორეებს აქვს წვრილი ბიზნესი. პირველები თვითონ არ შრომობენ, არამედ ქირაობენ სხვებს. მეორენი მოგების მიღებას ახერხებენ მხოლოდ საკუთარი თავის ექსპლუატაციით. ამას ეწოდება ადამიანის დაკავება ინდივიდუალური შრომით.

ამრიგად, ბიზნეს-შრე – ესაა ადამიანების ჯგუფი, რომლებსაც აქვთ საკუთარი ბიზნესი. ის იყოფა ორ ძირითად კატეგორიად – „კლასიკურ“ მეწარმეებად და თვითდასაქმებულებად.

ბიზნეს-ჯგუფების სტატუსი ასე გამოიყურება:

მეწარმეები – წვრილი სანარმოებისა და ფირმების კერძო მფლობელები, რომლებიც პირადად მართავენ მათ და არ უთავსებენ ერთმანეთს ხელმძღვანელობასა და დაქირავებით მუშაობას;

თვითდასაქმებულები – წვრილი მეწარმეები, რომლებიც დასაქმებულნი არიან თავიანთი საკუთარი შრომის საშუალებების გამოყენებით (ძირითადად ესენი არიან ინჟინრები და კვალიფიციური მუშები);

ბიზნეს-მენეჯერები – ესაა სააქციო და კერძო სექტორის წვრილი და საშუალო საწარმოების დაქირავებული დირექტორები; ისინი დაქირავებით სამმართველო მუშაობას უთავსებენ საკუთარი ბიზნესის გაძღოლას;

ნახევრად მეწარმეები – არიან დაქირავებული მუშაკები, რომლებიც არ არიან ხელმძღვანელები და ათავსებენ თავიანთ ძირითად სამუშაოს სამეწარმეო მოღვაწეობასთან;

მენეჯერ-თანამფლობელები – არიან წვრილი და საშუალო აქციონერულ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც მუშაობენ დაქირავებით, მაგრამ ამასთან ერთად ფლობენ სამართავი სანარმოების აქციების პაკეტებს;

„კლასიკური მენეჯერები“ არიან სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც მართავენ სახელმწიფო (იშვიათად კერძოს) საწარმოებს დაქირავების საწყისებით ანუ „ხელფასით.“

მენეჯერები მეწარმეებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი მართავენ სხვის კაპიტალს (ფირმებს, საწარმოებს) და გადაწყვეტილებებს იღებენ უფრო შეზღუდულ სფეროში, მაგრამ არსებითალურ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორც ადგილი აქვს საქართველოში. მენეჯერების მოღვაწეობა დიდად არ განსხვავდება მეწარმეების საქმიანობისაგან. საქმე იმაშია, რომ ორივეს ბევრი გაუთვალისწინებელი სიტუაცია ხვდება, სჭირდება ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღება, არასტანდარტული მოქმედება და სხვ.

სახელმწიფო საწარმოების მენეჯერები დაქირავებული მუშაკები არიან და მათი შემოსავალი დამოკიდებულია მათსავე ძალისხმევაზე. რაც შეეხება კერძო სააქციო საზოგადოებათა მენეჯერებს, ისინი უმეტეს შემთხვევაში თანამესაკუთრეები არიან (ფლობენ აქციებს და ზოგჯერ საკონტროლო პაკეტსაც კი).

ბიზნეს-შრის წევრი მოქალაქეები საგრძნობლად უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. ბიზნესში დასაქმებულებში ორჯერ ნაკლებია ღარიბები, ვიდრე იმ პირებში, რომლებიც ბიზნესთან არ არიან დაკავშირებულნი. ცნობილია, რომ რეკეტი, გადასახადებისაგან თავის არიდება და კომერციული საიდუმლოებანი აიძულებს ბიზნესმენებს ხელოვნურად შეამცირონ (დამალონ) თავიანთი შემოსავლები, ისინი შემოსავალს უმალავენ თვით სოციოლოგებსაც კი.

ბიზნეს-შრე არ არის ერთსახოვანი (ცალსახა). იქაც არიან „ღარიბები“ და „მდიდრები“. მთლიანად ბიზნეს შრე იყოფა სამ შემოსავლიან სტრატად: 1) მეწარმეები, ბიზნეს-მენეჯერები და თვითდასაქმებულები; 2) ნახევრად მეწარმეები და მენეჯერ-თანამფლობელები; 3) კლასიკური მენეჯერები.

საფიქრებელია, რომ მათ შორის უფრო მდიდარი პირველი ჯგუფია. ყველაზე დაბალი შემოსავალი აქვთ იმ კლასიკურ მენეჯერებს, რომლებიც არ ეწევიან კერძო ბიზნესს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს შემოსავლების დამალვა-გაყალბებას, მაინც მიგვაჩნია, რომ არც ერთი დაქირავებული შრომა არ იძლევა იმდენ შემოსავალს, რასაც იძლევა სამეწარმეო საქმიანობა.

აქვე მოგვყავს მაჩვენებლები საქართველოს ბიზნეს-შრის სტრუქტურისა სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით:*

ამ ცხრილით, ბიზნეს-შრის ანალიზი პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი ლოგიკური დასკვნა. კერძოდ, პოსტსოციალისტური ქვეყნები თავიანთი ბიზნეს-შრის მონაცემებით შეიძლება პირობითად ორად დავყოთ – პირველს განეკუთვნებიან განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები განვითარებული, მომწიფებულ მეწარმეთა ფენით (ასეთებია უნგრეთი, ჩეხეთი), ხოლო მეორეს – ქვეყნები, რომლებშიც მხოლოდ დაიწყეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (ბულგარეთი, სლოვაკია, რუსეთი, საქართველო). პირველ ორში (უნგრეთი, ჩეხეთი) ბიზნეს-შრე შესაბამისად შეადგენს 18,5 % და 16,9 %, ხოლო დანარჩენ სამში (რუსეთი, ბულგარეთი, სლოვაკია) შესაბამისად 10,9 %, 11,9 % და 11,7 %. ამასთან, საქართველოს სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, რაც ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენაზე მეტყველებს.

მეცნიერები ცდილობდნენ, გამოეყენებინათ სამეწარმეო საქმიანობის შინაგანი სტიმულები, მიიჩნევდნენ რა, რომ სწორედ ამ შინაგან სტიმულებშია ბიზნესში წარმატება. მიღწევის მოთხოვნილება მოასწავებს შეჯიბრების მდგომარეობას, შინაგან მისწრაფებას, აჯობოს მეორეს. მეწარმეებს მიღწევების აქტიური მოთხოვნილებისათვის ახასიათებთ თავის თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარი. მე-20 საუკუნის ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი ჯ. ატკინსონი გამოყოფდა და განარჩევდა სამ ძირითად პირობას, რომლებიც განაპირობებენ მიღწევის წარმოქმნის მოტივს: 1. ადამიანი გრძნობს მზადყოფნას, თავის თავზე აიღოს მთელი პასუხისმგებლობა საქმის საბოლოო შედეგის თაობაზე; 2. ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რით დამთავრდება ესა თუ ის მოქმედება, მოიტანს ის წარმატებას, თუ წარუმატებლობას; 3. წარმატების მოლოდინი არ უნდა იყოს მკვეთრად გამოკვეთილი ან გარანტირებული, მაგრამ უნდა იყოს დაკავშირებული გარკვეულ რისკთან და რამდენადმე გაურკვევლობასთანაც. ეკონომიკაში ყველაზე უფრო დიდ მიღწევას აქვს ადგილი მაშინ და იქ, როდესაც და სადაც ადამიანებში მაღალია წარმატების მიღწევის მოტივის ძალა. წარმატების მიღწევის მოტივაცია – ესაა მოთხოვნილება, გააკეთო რაღაცა უკეთესად, ვიდრე ის გაკეთებული იყო გუშინ.

ჯ. ატკინსონის „წარმატების ფორმულა“ ასე ჟღერდა: რაც უფრო ნაკლებია წარმატების რწმენა მისი ფასის გამო, მით უფრო მაღალია მისდამი გულის წადილისა და შეგულიანების დონე; ხოლო მის 'შიშის ფორმულაში“ (წარუმატებლობის მიმართ) ძირითად როლს თამაშობდა წარუმატებლობის თავიდან აცილების მისწრაფება. ამიტომ, ჯ. ატკინსონი თვლის, რომ მეწარმე ირჩევს, როგორც წესი, საშუალო გზას, სადაც წარმატების მიღწევის ალბათობა 50 % უდრის. მეწარმე ისწრაფის წარმატების მიღწევისათვის და ამაყობს თავისი გამარჯვებით, მით უმეტეს, თუ გამარჯვება მოპოვებულია საკმაოდ ძნელად. იოლი გამარჯვებები აუფასურებენ შედეგებს.

საზოგადოებაში შესაძლებელია ბიზნესისათვის არსებობდეს ხელსაყრელი და არახელსაყრელი პირობები. თუ სამთავრობო ღონისძიებები ზრდიან სამეწარმეო წარმატების ალბათობას, მაშინ ბიზნესი იზიდავს ადამიანებს (მათ შორის ისეთებსაც, რომლებშიც შედარებით დაბალია წარმატების მიღწევის მოთხოვნილების დონე). წარმატების გარანტიას უნდა იძლეოდეს კანონები (მაგალითად, კანონი მიმართული მესაკუთრის უფლებების დასაცავად). თუ ასეთი კანონები არ არის და, ამასთან მაღალია მარცხის განცდის ალბათობაც, მაშინ საფიქრებელია, რომ თვით უნიჭიერესი ადამიანებიც კი დატოვებენ ბიზნესის სფეროს (ასეთ შემთხვევებს საკმაოდ აქვს ადგილი საქართველოს სინამდვილეში).

# რეგიონული საფინანსო ბაზრების თანამედროვე ტენდენციები და გლობალიზაციის პრობლემები

## 27.1 რეგიონული საფინანსო ბაზრების ფორმირების პრობლემები

რეგიონული საფინანსო ბაზრების ფორმირების პრობლემა უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გარდაქმნასთან. რეგიონული საფინანსო ბაზრის ფორმირება ეკონომიკური რეფორმების შემადგენელი ნაწილია. საფინანსო ბაზარი ეროვნულ მეურნეობაში, მათ შორის რეგიონის ეკონომიკაში, ფულადი სახსრების მოძრაობის განსაკუთრებული ფორმაა და ფუნქციონირებს როგორც ფასიანი ქაღალდების, ისე სასესხო კაპიტალის ბაზრის სახით. რეგიონული ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონებში განფენილი საბანკო სისტემის, მათ შორის ეროვნული ბანკის ოპტიმალურ ღონისძიებებს, ასევე ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციას. ამასთან, საჭიროა ეროვნული ბანკი ფლობდეს ფულადი მასის რეგულირებისათვის შესაბამის ინსტრუმენტებს. რეგიონული ფასიანი ქაღალდების ბაზარი სრულყოფილი სახით განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს როგორც ფულად ბაზარს, ასევე კაპიტალის ბაზრის სეგმენტს, რომლებიც მოიცავენ პირდაპირი საბანკო კრედიტების მოძრაობას, ფულადი რესურსების გადანაწილებას სადაზღვევო ბაზრის მეშვეობით, შიდა საფირმო კრედიტებს და ა. შ. სასესხო ბაზრის ამოცანაა კომერციული ბანკების მიერ მოსახლეობის (ან საბაზრო სტრუქტურების) საკრედიტო მომსახურება.

რეგიონული ფასიანი ქაღალდების და სასესხო კაპიტალის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდეგი ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება:

– რეგიონებში საფონდო ბირჟების განვითარების ქართულ მოდელს საფუძვლად უნდა დაედოს საბაზრო ეკონომიკის წამყვან ქვეყნებში აპრობირებული მოდელები, რომლებიც ხელს შეუწყობენ და სტიმულს მისცემენ საქართველოს რეგიონების ფასიანი ქაღალდების და სასესხო კაპიტალის ბაზარზე საინვესტიციო, საკლირინგო, საანგარიშსწორებო და სხვა სახის საქმიანობის გაშლას;

– რეგიონებში ფასიანი ქაღალდების და სასესხო კაპიტალის ორგანიზებული ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნა;

– ნორმატიული ბაზისა და ორგანიზაციული მექანიზმების სრულყოფა, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონების საფონდო ბირჟებზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;

– როგორც რეგიონული, ასევე ერთიანი საფონდო ბირჟის ფორმირება;

– რეგიონული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საინვესტიციო აქტივობის სტიმულირება საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზით;

– კომპლექსური საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი ბაზის შექმნა რეგიონებში ფასიანი ქაღალდებისა და სასესხო კაპიტალის ბაზრების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიო საფინანსო ბაზრების დინამიკა და სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე, ფიქსირებული სავალუტო კურსების პირობებში კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა არსებითად შეზღუდული და მოქცეული იყო სახელმწიფო რეგულირების ფარგლებში. 70-იანი წლების დასაწყისში ფიქსირებული კურსების სისტემა შეიცვალა „ცვალებადი" კურსებით, ხოლო 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში კი კარდინალურად შეიცვალა არსებული სტრუქტურა. XXI საუკუნის მიჯნაზე დღის წესრიგში დადგა საფინანსო ბაზრების გლობალიზაციის საკითხი, რომელიც სხვადასხვა ფორმით ხორციელდება:

1. სასესხო კაპიტალის და საერთაშორისო კრედიტების საერთაშორისო მოძრაობის სახით;

2. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო საფინანსო ნაკადები უმეტესწილად პორტფელური ინვესტიციების სახით ხორციელდება, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატებიან თავისი მასშტაბით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ჩვეულებრივ საერთაშორისო კრედიტებს. როგორც ცნობილია, პორტფელურ ინვესტიციებში იგულისხმება ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში (ვადიანი სასესხო ვალდებულებები – ობლიგაციები, ვექსილები, აქციები და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები);

3. საფინანსო ბაზრების მზარდ გლობალიზაციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სულ უფრო იზრდება აქციების გამოშვების მასშტაბები. საფინანსო ბაზრის ორი ძირითადი სახეობიდან – ვადიანი ვალდებულებები და კორპორაციული ფასიანი ქაღალდები (შესაბამისად, ობლიგაციები და აქციები), თანამედროვე პირობებში უფრო გავრცელებულია ობლიგაციების ბაზარი.

საფინანსო ბაზრების გლობალიზაცია, კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს ახალი ფინანსური ბაზრების ჩამოყალიბებას. კონკურენცია აიძულებს ფინანსური ბაზრის მონაწილეებს სრულყონ ტექნოლოგიური და ორგანიზაციული მახასიათებლები,

განახორციელონ ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიებში, რათა მომხმარებელს შესთავაზონ ახალი მომსახურება, გაზარდონ კონკურენტუნარიანობა, მიიზიდონ ახალი კომპანია-ემიტენტები, ახალი წევრები, გააფართოვონ საინვესტიციო გარემო.

თანამედროვე პირობებში ჩამოყალიბებულმა გარემომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დანახარჯებისა და შემოსავლების სტრუქტურაზე. ბაზრის მონაწილეები იძულებული ხდებიან განახორციელონ მნიშვნელოვანი ფინანსური დაბანდებები განვითარებაში მომსახურების ღირებულების შემცირების დროს. გამძაფრებული კონკურენციული ბრძოლა, ამავე დროს, ინვევს სხვადასხვა ალიანსების, ერთობლივი კომპანიების ჩამოყალიბებას. აღნიშნულის შედეგად ხდება კონკურენტული პოზიციების განმტკიცება, საფინანსო ბაზრის მასშტაბებისა და დარგების გაფართოება. ასეთ პირობებში საფინანსო ბაზრის ინდუსტრია გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, რაც დაკავშირებულია ახალი ბაზრების ათვისებასთან, ახალი ეკონომიკური ინსტრუმენტების დანერგვასთან, ბიზნესის წარმართვის პრინციპების, კერძოდ, სამართლებრივი ფორმების შეცვლასთან.

საფინანსო ბაზრების გლობალიზაცია ხელს უწყობს გეოგრაფიული ბარიერების გაქრობას. ინფორმაციის გავრცელების ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, როგორიც არის ინტერნეტი, ყველა შესაძლებლობას უქმნის კერძო ინვესტორებს და ფიზიკურ პირებს, მიიღონ ოპერატიული ინფორმაცია ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ასევე მონაწილეობა მიიღონ საფინანსო ბაზრებზე მიმდინარე ყიდვა-გაყიდვის პროცესებში იაფი და საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტის, ინტერნეტის, გამოყენების გზით. ამასთან, იზრდება ფასიანი ქაღალდებითა და წარმოების საშუალებებით ტრანსნაციონალური ვაჭრობის მოცულობაც, მცირდება ინვესტორების და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ოპერატიული დანახარჯები.

საფინანსო და სასაქონლო ბაზრებზე გლობალური ტრანსნაციონალური ოპერაციების ზრდა და საინვესტიციო პორტფელების დივერსიფიკაციისთვის პირდაპირი და იოლი გზების წარმოქმნა ინვევს ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან გლობალური მომსახურების განხორციელების აუცილებლობას. ამასთან, იქმნება უფრო ინდივიდუალური საქონლის და მომსახურების მოთხოვნის საჭიროება, მაღალლიკვიდური ან განვითარებული ბაზრების მიმართ ინვესტორების ინტერესების ზრდა და ა. შ.

უკანასკნელ წლებში ინვესტირების პროცესი სულ უფრო აქტიური ხდება ისეთ ბაზრებზე, რომლებიც 5-7 წლის წინათ ევროპისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. ევროპის ქვეყნებში კერძო ინვესტორების რიცხვი 4-5-ჯერ გაიზარდა. კერძო ინვესტორები სულ უფრო ხშირად აძლევენ საკუთარ ელექტრონულ ბროკერებს აქციების ყიდვა-გაყიდვაზე შეკვეთებს ინტერნეტის საშუალებით.

საფინანსო ბაზრების სრული კომპიუტერიზაცია არ ნიშნავს მხოლოდ ვაჭრობის ტრადიციული მეთოდების გაუმჯობესებას. ტრეიდერების და ოფისების კომპიუტერების სავაჭრო ტერმინალების მაღალი სიმძლავრეების გამოყენება ხელს უწყობს საფინანსო ბაზრებზე არსებული სიტუაციის შეფასებასა და ანალიზს. შედეგად, ევროპული ბაზრები გადადიან საერთაშორისო ბაზრების კატეგორიაში, ხოლო ტრადიციული ბირჟები ტექნოლოგიების მხრივ გადადიან ელექტრონულ საკომუნიკაციო კავშირებში.

პირველი ელექტრონული სავაჭრო სისტემის – ლონდონის საფონდო ბირჟის (SEAQ International) – წარმატების შემდეგ ევროპულმა ბაზრებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე განხორციელებულ მოდერნიზაციასა და გადაიარაღებაში. შედეგად კი მოხდა აღნიშნული ბაზრების ელექტრონული და მაღალეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. მაგალითად, პარიზის ბირჟა, გერმანული ბირჟა, ჯგუფი (შვედეთი, სტოკჰოლმი), რომლებიც ლიდერობენ ელექტრონული სავაჭრო სისტემის საფასო ეფექტიანობის კრიტერიუმის მიხედვით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სულ უფრო სწრაფად მიმდინარეობს საბირჟო ოპერაციების დივერსიფიკაციის პროცესი. პარიზის, ამსტერდამის, ფრანკფურტის ბირჟებზე ერთ შენობაში არის ორგანიზებული პირველადი და მეორადი ბაზრები, ხორციელდება კლირინგი და ანგარიშების ორგანიზაცია, დეპოზიტური მომსახურებები. აღნიშნული ბაზრების კლიენტები მრავალ უპირატესობას ფლობენ სხვა კლიენტებთან შედარებით, მცირდება დანახარჯები, იზრდება რისკის მართვის ეფექტიანობა და სხვა.

თანამედროვე პირობებში იქმნება ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საბირჟო გაერთიანებები, ალიანსები. მსხვილი ევროპული ბირჟები აყალიბებენ მსხვილი ევროპული ემიტენტების ბაზარს. შეიმუშავებენ 300 მსხვილი ევროპული ემიტენტის აქციებით ვაჭრობის მიმართ ერთიან მიდგომას. შესაბამისად, ხელსაყრელი პირობები იქმნება უკვე არსებული ბირჟების საფუძველზე გლობალური მსოფლიო ბირჟების შესაქმნელად, რაც გამოიხატება ყველა ძირითადი განვითარებული ქვეყნის აქციების, ობლიგაციების და საწარმოო საშუალებების გლობალურ მსოფლიო ბირჟაზე მოზიდვაში და მომსახურების სრული სპექტრის შეთავაზებაში, ასევე მაღალეფექტიანი კავშირებისა და ინტერნეტის ქსელის გამოყენების გზით საბირჟო საქონლისა და მომსახურების მიწოდება მსოფლიო მასშტაბით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციების სფეროში მიმდინარეობს მასობრივი გადასვლა ინტერნეტის ქსელისა და მაღალსიჩქარიანი ტექნოლოგიების გამოყენებაზე. სიიაფესთან ერთად, ეს

ტექნოლოგიები ხასიათდებიან ქსელით გადაცემული მონაცემების უსაფრთხოების სისტემის მაღალეფექტიანობით, რადგან ამ შემთხვევაში გამოიყენება დაცვის სპეციალური სერვერები, შიფრები, თითების ელექტრონული ანაბეჭდები. მძლავრი საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ცვლიან ვაჭრობის წესებს და ხელს უწყობენ მსოფლიო საფინანსო ბაზრების გარდაქმნას უფრო ეფექტიან სისტემებად.

ზემოთ აღნიშნულს აგრეთვე ხელი შეუწყო ევროპის ქვეყნებში ერთიანი ვალუტის – ევროპული ევროს შემოღებამ. ერთიანმა ევროპულმა ვალუტამ უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი ფუნადი ფუნქცია როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ერთიანი ევროპული სავალუტო კავშირის შექმნა განაპირობებს ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის სინქრონიზაციას, ფულად-საკრედიტო და სავალუტო კოორდინაციის ნაცვლად ადგილი ენქება აღნიშნულ სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას, გაიზრდება მათი ურთიერთდამოკიდებულება და აქედან კი სხვადასხვა სფეროებში ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციაც. შემცირდება ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკაზე მოქმედი სავალუტო კურსების ცვალებადობა, რაც უდავოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს. ევროს შემოღება მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ცალკეულ ქვეყნებში საქონლსა და მომსახურებაზე ფასების შესაბამისობას, რაც ასტიმულირებს კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას.

## 27.2 საქართველოში არსებული ბაზრები

რაც შეეხება საქართველოს, მისი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდებარეობა განაპირობებს, ევროპაში მიმდინარე მოვლენების, მათ შორის ერთიან ევროპულ ვალუტაზე გადასვლით გამოწვეული შედეგებით დაინტერესებას.

არსებობს ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღებით გამოწვეული შედეგების საქართველოს საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზემოქმედების მეორე მხარეც. ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღებამ გამოიწვია კონკურენციული ბრძოლის გამწვავება ევროკავშირის სივრცეში, პირველ რიგში, ევროპულ კომპანიებს შორის, ასევე ამერიკული, იაპონური, ჩინური და სხვა არაევროპული ფირმების ჩართვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული პროდუქციისა და მომსახურების გატანა ევროპულ ბაზრებზე მნიშვნელოვან სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი უშუალოდ ზემოქმედებას მოახდენს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კონტინენტის ამ ნაწილში განლაგებული ყოფილი სოციალისტური ქვეყნები მნიშვნელოვნად გაზრდიან დასავლეთ ევროპის ბაზარს, რასაც შეიძლება მოჰყვეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების შეცვლა.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის მიუხედავად, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოში სუსტად არის განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ჯერჯერობით პატარაა და არალიკვიდური, თუმცა მნიშვნელოვანი წარმატებაა მიღწეული კაპიტალის ბაზრის ინფრასტუქტურის განვითარებაში. საფონდო ბაზრის ჩამოყალიბება დაიწყო USAID[2]-ის დახმარებით. კანონმდებლობის შესაბამისად რეგულირებას ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურაა. საფონდო ბაზრის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება კორპორაციული მმართველობის ჩვევების არასაკმარისი დონე. საქართველოში უკვე შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, თუმცა იგი შემდგომ სრულყოფას საჭიროებს. დაუცველია აქციონერთა (განსაკუთრებით მცირე აქციონერთა) უფლებები, ხოლო სანარმოების საფინანსო ანგარიშები რთული გასაგებია მესამე მხარისათვის. საჭიროა გატარდეს საკანონმდებლო ცვლილებები კორპორაციულ მმართველობაში საერთაშორისო სტანდარტების დასამკვიდრებლად და სავაჭრო გარიგებების დროს უფრო მეტი გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად.

ნებისმიერ ქვეყანაში ნორმალური საბირჟო ურთიერთობების განვითარებისათვის აუცილებელია არსებობდეს ხელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვა პირობები. საქართველოში ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სეგმენტი მხოლოდ ერთი სავაჭრო მოედნით არის წარმოდგენილი. ეს არის თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა. ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ შიდა სავალუტო ბაზრის აღნიშნული სეგმენტი არაკონკურენტულია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბირჟა თავისთავად არ არის ბაზრის სუბიექტი, რადგან წარმოადგენს მხოლოდ იმ ადგილს, სადაც ცენტრალური და კომერციული ბანკები ახორციელებენ უნაღდო ვალუტის შედარებით დიდი პარტიებით ვაჭრობას. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის ორგანიზაციული ფორმაა, რომლის ვაჭრობებში, ეროვნული ბანკის გარდა, საქართველოში არსებული კომერციული ბანკების უმეტესობა, მათ შორის, ბაზრის ყველა შემქმნელი მონაწილეობს[3].

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა შიდა სავალუტო ბაზრის ყველაზე ლიკვიდურ სეგმენტს წარმოადგენს. მხოლოდ აქ შეიძლება უცხოური ვალუტის ერთბაშად დიდი პარტიის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია საბირჟო ვაჭრობაში ეროვნული ბანკის მონაწილეო-

ბით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების დიდ ნაწილში პირდაპირი ბანკთაშორისი ბაზარი სულ უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობს.

თანამედროვე პირობებში საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ინსტიტუტების განმტკიცების, რეგიონული საფონდო ბირჟების ეფექტიანობის გაზრდის გარეშე შეუძლებელია განვითარებული საწარმოო სტრუქტურების ეფექტიანი ფუნქციონირება. რეგიონული საფოდო ბაზარი არის ეკონომიკური სისტემის დინამიური ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკურ სისტემაში რესურსების განაწილების ხარისხს. საფონდო ბაზარი არამარტო წარმოადგენს ინვესტორებსა და კაპიტალის მომხმარებლებს შორის დამაკავშირებელ რგოლს, ამავე დროს ხელს უწყობს კაპიტალის გადინებას ეკონომიკის ცალკეულ დარგებში. რეგიონული საფონდო ბაზრის მიერ ეკონომიკის პერსპექტიული დარგების და ეკონომიკური ზრდის ფაქტორების უზრუნველყოფაზე უშუალოდ არის დამოკიდებული ეროვნული საინვესტიციო რესურსების გამოყენების ეფექტიანობა. რაც უფრო ეფექტიანია რეგიონული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მით მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავისუფალი კონკურენცია ეროვნული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. კონკურენციული ბრძოლის შედეგად წარმოიქმნება მოთხოვნები ახალ ტექნოლოგიებსა და მომსახურებაზე, აღნიშნული კი, პირველ რიგში, ფინანსდება მოზიდული სახსრებით. მოზიდული სახსრების ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს მოხმარებული საშუალებების და ურთიერთობების უნიფიკაციას. სწორედ რეგიონული საფონდო ბაზარი წარმოადგენს იმ უნიფიცირებულ მექანიზმს, რომელიც ჩამოყალიბდა საზოგადოებაში ეკონომიკური ურთიერთობების ხანგძლივი ევოლუციის შედეგად. რეგიონული საფონდო ბაზრის უპირატესობა რეგიონულ საკრედიტო ბაზართან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ რეგიონული საფონდო ბაზარი უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს სესხის ამღებებს და ინვესტორებს რეგიონულ საკრედიტო ბაზართან შედარებით. ინვესტორების დიდი ინტერესი რეგიონული საფონდო ბაზრების მიმართ ასევე გამოწვეულია ბაზარზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფართო დიაპაზონით. საფონდო ბაზარზე ფუნქციონირებენ სამი კატეგორიის სუბიექტები: მყიდველი ინვესტორები (შიდა და გარე), შუამავლები, როგორც ბაზრის პროფესიონალი მონაწილეები და ფასიანი ქაღალდების გამყიდველები – ემიტენტები. რეგიონული საფონდო ბაზრის მდგრადი განვითარება მიიღწევა აღნიშნული სუბიექტებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით. ბაზრის სუბიექტების ინტერესების ოპტიმალური ბალანსის შექმნაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ენიჭება, რადგან სახელმწიფო ახორციელებს საბაზრო ურთიერთობებზე ზეგავლენას სახელმწიფო მართვის სპეციალური მარეგულირებელი ორგანოებით.

საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი შიდა ინვესტორი შეიძლება გახდეს მოსახლეობა. მოსახლეობის დანაზოგები, გარე ინვესტორებისაგან განსხვავებით, წარმოადგენენ მუდმივად განახლებად რესურსს. ეროვნულ მეურნეობაში დანაზოგების ეფექტიანი ორგანიზაციის პროცესის წარმართვა მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ კლიმატზე. პრაქტიკულად, ამ ამოცანის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ქვეყნიდან კაპიტალის გადინების შეჩერებასა და განამტკიცებს მოსახლეობის დანაზოგების რეორიენტაციას რეალურ ინვესტიციებზე, საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიებების ჩატარება.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის საშუალო 1/4 აქციონერებს წარმოადგენს, მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების 95% განთავსებულია შენატანებსა და ფასიან ქაღალდებში.

მოსახლეობის დანაზოგების ორგანიზაციის პროცესი მოითხოვს ბაზრის ახალი სექტორის შექმნას, რომელიც უშუალოდ ორიენტირებული იქნება მოსახლეობაზე. აღნიშნული ინფრასტუქტურის ჩამოყალიბება შესაძლებელია რეგიონული საფონდო ცენტრების შექმნის გზით. რეგიონული საფონდო ცენტრები, თავის მხრივ, წარმოადგენენ ბაზრის ორგანიზაციის ისეთ სისტემას, რომლის დროსაც მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ცივილიზებული მონაწილეობა მიიღონ რეგიონული საფონდო ბაზრის საქმიანობაში, ამასთან მინიმუმამდე დაიყვანება კერძო ინვესტორების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ხარჯები, იქმნება მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები მცირე ინვესტორების საქმიანობისათვის. რეგიონული საფონდო ცენტრები, თავის მხრივ წარმოადგენენ საფონდო მომსახურების სუპერმარკეტებს, რომლებიც ნებისმიერ სუბიექტს სთავაზობენ შემდეგ შესაძლებლობებს:

1. ინვესტორების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება;
2. ემიტენტების საკონსულტაციო მომსახურება;
3. ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაზე მომსახურება;
4. საპაიო საინვესტიციო ფონდებში შენატანების განაწილებისა და გამოსყიდვის მომსახურება;
5. ინვესტორების ფასიანი ქაღალდების შენახვის, დივიდენდების გაცემაზე კონტროლის, კენჭისყრაში მონაწილეობის და სხვა მომსახურება.

# პოლიტიკური რეგიონალისტიკა

## 28.1 პოლიტიკური რეგიონალისტიკის არსი

პოლიტიკური რეგიონალისტიკა არის როგორც პოლიტოლოგიის, ასევე რეგიონალისტიკის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც სწავლობს სახელმწიფოსა და საზოგადოების რეგიონული სტრუქტურის პრობლემებს. რეგიონული განვითარებისა და რეგიონთაშორისი ურთიერთობების საკითხების განხილვისას იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პოლიტიკური მოვლენების სივრცობრივ ფორმებს, რეგიონებში პოლიტიკური პროცესებისა და ინსტიტუტების დინამიკას, პოლიტიკური ძალების ხასიათსა და განლაგებას, რეგიონული ელიტის ფორმირების პროცესის თავისებურებას, ცენტრისა და პერიფერიების ურთიერთქმედების პრობლემებს, აგრეთვე, რეგიონული პოლიტიკური გარემოს უკუქმედებას სახელმწიფოზე და მთლიანად საზოგადოებაზე.

თუ ზოგადი რეგიონალისტიკის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს რეგიონი, როგორც დამოუკიდებელი სივრცობრივ-გეოგრაფიული, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული, ინსტიტუციონალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ისტორიულ-კულტურული, ეთნიკური და დემოგრაფიული სიღიდე, პოლიტიკური რეგიონალისტიკის შესწავლის ობიექტი არის რეგიონული სახელმწიფო პოლიტიკა, რეგიონების პოლიტიკა და რეგიონული ურთიერთობების პოლიტიკური სფერო.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოლიტიკური რეგიონალისტიკა ახდენს რა თავისი საგნის ფორმირებას, პოლიტიკურ პროცესებსა და ურთიერთობებს იხილავს რამდენიმე სტრუქტურულ დონეზე:

– რეგიონის დონეზე, რომელიც მოიცავს რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას;

– რეგიონის დონეზე, რომელიც შედგება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიისაგან;

– რეგიონის დონეზე, რომელიც მოიცავს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილს;

– რეგიონის დონეზე, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიისაგან.

პოლიტიკური რეგიონალისტიკა, გამომდინარე მისი დონის ხასიათიდან, ცვლის შესასწავლი საგნის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებსა და პარამეტრებს.

პოლიტიკური რეგიონალისტიკის საგანი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია რეგიონებში პოლიტიკური ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებებთან, სახელმწიფო პოლიტიკის რეგიონზე და რეგიონის პოლიტიკის სახელმწიფოზე ურთიერთქმედების გავლენასთან, აგრეთვე, რეგიონული ერთიანობის ცხოვრების პოლიტიკური სფეროს ფუნქციონირების კანონზომიერებებთან.

პოლიტიკური რეგიონალისტიკის საგნის ასეთი განსაზღვრისას საჭიროა განვმარტოთ, რომ, როდესაც ლაპარაკია რეგიონზე, რომელიც მოიცავს რამდენიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ნაწილის ტერიტორიებს, მხედველობაშია იმ სახელმწიფოთა რეგიონი, რომლებიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა პოლიტიკურ კავშირებში. ამის კონკრეტულ მაგალითად გამოდგება ევროპის კავშირის სახელმწიფოთა რეგიონები ან კიდევ რუსეთისა და ბელორუსიის კავშირი. ეს სფერო უცხოური პოლიტოლოგების მიერ შეისწავლება „შიდა გეოპოლიტიკის“ ჩარჩოებში.

ჩვენი ეროვნული პოლიტიკური რეგიონალისტიკა რეგიონების პოლიტიკურ სფეროს განიხილავს როგორც ტერიტორიების ადმინისტრაციულ მართვას, რაც ემთხვევა რესპუბლიკის, მხარის და ავტონომიური წარმონაქმნების საზღვრებს, აგრეთვე, იმ ტერიტორიების საზღვრებს, რომლებიც შედიან ფედერაციულ მხარეებში და რეგიონთაშორის ეკონომიკურ ასოციაციებში.

ზოგჯერ პოლიტიკური რეგიონალისტიკა ცალკე იხილავს ისეთ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, რეგიონებში პოლიტიკურ პროცესებსა და ურთიერთობებს, რომლებიც გამოირჩევიან სოციალურ-ეკონომიკური ან ეთნო-პოლიტიკური თავისებურებითა და ერთგვაროვნობით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ემთხვევიან ფედერაციის სუბიექტების ადმინისტრაციულ საზღვრებს.

პოლიტიკური რეგიონალისტიკის პერსპექტივები განსაზღვრულ იქნება მთლიანად საქართველოს რეგიონალისტიკის განვითარების ფარგლებში და, ბუნებრივია, ჩვენი სამამულო პოლიტოლოგიის განვითარებასთან ურთიერთკავშირში.

ქართული რეგიონალისტიკა, როგორც სწავლულების უმეტესობა აღნიშნავს, ბოლო წლებში (8-10 წელია) განსაკუთრებით დინამიკურად ვითარდება და აღმავლობას განიცდის. გარკვეულწილად ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ქართული რეგიონალისტიკა ამ პერიოდში რევანშს იღებდა იმ საგნობრივ ტერიტორიებში, რომლებიც ადრე იგნორირებულნი იყვნენ ან მოტივირებული იყო საგნის სრული დახურულობით – რეალური ფედერალიზმისა და რეალური თვითმმართველობის, ტერიტორიული ასიმეტრიულობის და რეგიონული დეპრესიის, რეგიონული ფინანსების და ბიუჯეტთშორისი ურთიერთობების, საგარეო-ეკონომიკური რეგიონული მოღვაწეობისა და უმართავი მიგრაციის პრობლემებით და ა.შ.

რეგიონალისტიკა მომავალ პერიოდში დაიწყებს ერთმანეთთან დაკავშირებულ, მაგრამ რეგიონული სიტუაციების ტრადიციულად იზოლირებულად შესწავლას სისტემურობის განსაკუთრებით მაღალი დონით.

რეგიონული გამოკვლევები სულ უფრო და უფრო სიღრმეში წარიმართება – მცირე მოცულობის ტერიტორიული წარმონაქმნების დონეზე, სადაც შიდა მთლიანობა და ნებისმიერი რეგიონული გარემოსათვის იმანენტურად დამახასიათებელი სისტემურობა უფრო თვალნათლივ წარმოჩნდება. მუნიციპალური საქართველო (ქალაქები, რაიონები, სოფლები), მისი პრობლემები და მათი გადაწყვეტის დასაბუთებანი გახდება უახლესი რეგიონული გამოკვლევების უდიდესი და განსაკუთრებული მოსავლიანობის ველი.

ზოგადი რეგიონალისტიკის მდგომარეობისა და პერსპექტივების ასეთი შეფასება შეიძლება ისეთივე ხარისხით მივაკუთვნოთ პოლიტიკური რეგიონალისტიკის პრობლემების დამუშავებასაც (თანაბარი ხარისხით, როგორც მეცნიერული, ისე სასწავლო დისციპლინის). რამდენადაც პოლიტიკური რეგიონალისტიკის სტრუქტურა თავის თავში მოიცავს როგორც სულიერ სუბიექტებს (რეგიონული პოლიტიკის მონაწილეები), ასევე უსულო ელემენტებს (რეგიონული პოლიტიკური ხელისუფლება, პოლიტიკური ურთიერთობანი, პოლიტიკური შეგნება, პოლიტიკური კულტურა და ა.შ.), პოლიტიკური რეგიონალისტიკის ფუნქციები პირდაპირ დამოკიდებულებაშია სუბიექტებთან და მის სხვა შემადგენელ სტრუქტურებთან.

პოლიტიკური რეგიონალისტიკის ძირითადი ფუნქციები შეიძლება განვსაზღვროთ, როდესაც რეგიონული პოლიტიკის სუბიექტები შედიან პოლიტიკურ ურთიერთობებში, ანუ პოლიტიკური ინტერესების საფუძველზე რეგიონში სახელმწიფო ძალაუფლების განაწილებისა და გამოყენების ურთიერთობებში, მიზნების, მითითებების, ფასობრივი ორიენტაციების, იდეალების ურთიერთობებში, რომლებითაც ხელმძღვანელობენ თავიანთ მოღვაწეობაში რეგიონული პოლიტიკის სუბიექტები. პოლიტიკური რეგიონალისტიკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: თეორიულ-შემეცნებითი, მსოფლმხედველობითი, რეგულატიური, შემფასებელი (აქსიოლოგიური), პროგნოსტიკული ფუნქციები.

თეორიულ-შემეცნებითი ფუნქცია პირველ რიგში დაკავშირებულია მთლიანობაში რეგიონული პოლიტიკის შესახებ ცოდნის ფორმირებასთან, კერძოდ, სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის შესახებ და საზოგადოების ცხოვრებაში ამ პოლიტიკის როლის შესახებ ცოდნის ფორმირებასთან.

მსოფლმხედველობითი ფუნქცია ხელს უწყობს პოლიტიკური სინამდვილის განსაზღვრული ხედვის გამომუშავებას როგორც რეგიონების ჭრილში (ფედერაციის სუბიექტების, მუნიციპალური წარმონაქმნების და ა.შ. მიხედვით), ასევე სახელმწიფოში და საზოგადოებაში მთლიანად.

რეგულატორული ფუნქცია გულისხმობს პოლიტიკურ მოქმედებებზე პირდაპირი გავლენის მეშვეობით პოლიტიკური ცოდნის შეძენას.

შემფასებელმა ფუნქციამ მეტ-ნაკლებად სწორი შეფასება უნდა მისცეს რეგიონში ან სახელმწიფოს რეგიონებში მთლიანად მიმდინარე მოვლენებს.

პროგნოსტიკული ფუნქცია ხსნის რეგიონული პოლიტიკისა და პოლიტიკური მოვლენების განვითარების ტენდენციებს მთლიანად პროგნოზის მეშვეობით.

პოლიტიკური რეგიონალიზაციის მეთოდები ზოგადი პოლიტოლოგიის შეცნობის თეორიული და ემპირიული მეთოდების ანალოგიურია.

რაც შეეხება თეორიული შეცნობის მეთოდებს, პოლიტიკურ რეგიონალისტიკაში ფართოდ გამოიყენება შეცნობის დიალექტიკური და სისტემური მეთოდები, აგრეთვე, ფორმალიზაციის მეთოდი. ეს მეთოდები საშუალებას იძლევა რეგიონებში პოლიტიკური სინამდვილის მოვლენები განხილული იქნეს რეგიონული პოლიტიკური პროცესების წინააღმდეგობრიობის გათვალისწინებით, რეგიონული და საერთოეროვნული პოლიტიკური ცხოვრების კომპონენტების ურთიერთკავშირითა და ყველა მისი მხარეების მუდმივი ხარისხობრივი ცვლილებებით; ასევე, ეს მეთოდები საშუალებას იძლევა რეგიონული პოლიტიკა წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანობა, რაც ფორმირდება ყველა მისი ნაწილების

ურთიერთქმედებით, იმყოფება რა გარე სამყაროსთან (ბუნებასთან, ეკონომიკასთან, სოციალურთან, კულტურულ და სულიერ სამყაროსთან) მრავალმხრივ კავშირში. ამასთან, ფორმალიზაციის მეთოდი საშუალებას იძლევა, პოლიტიკური მოვლენები შევადაროთ და დავაპირისპიროთ რეგიონულ ჭრილში მათი არსებობის მსგავსი პარამეტრები განსხვავებისა და მსგავსების გამოსავლინებლად. ეს კი საშუალებას აძლევს პოლიტიკურ რეგიონალისტიკას გამოავლინოს რეგიონული პოლიტიკური ცხოვრების ტენდენციებისა და კავშირების ყველა მრავალსახეობა.

ემპირიული შეცნობის მეთოდი პოლიტიკური რეგიონალიზაციის მიერ გამოიყენება როგორც საშუალება და წესი კონკრეტული რეგიონული პოლიტიკური მოვლენების შესახებ ან ცალკეულ რეგიონში პოლიტიკური მოვლენების შესახებ ახალი ცოდნის მისაღებად. ასეთ მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ ანკეტირების სხვადასხვა ფორმები (საუბრები, ინტერვიუ, გამოკითხვა), სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდი და პოლიტოლოგიაში მიღებული შემეცნების სხვა მეთოდები.

საზოგადოების ტერიტორიული მოწყობა პოლიტიკური რეგიონალისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს. საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის პრობლემები მთელი რიგი შეცნიერებათა კვლევის ობიექტია, კერძოდ, აღნიშნულ პრობლემას იკვლევს: პოლიტოლოგია, სოციოლოგია, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, რეგიონული ეკონომიკა და სხვ. ამასთან, საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამუშავებულ ასპექტებს ამჟამად წარმოადგენს სოციალურ-პოლიტიკური, რამდენადაც ამ პრობლემების სერიოზულ დამუშავებას ჩვენმა სოციოლოგებმა და პოლიტოლოგებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ბოლო წლებში. საკითხი ეხება სოციალურ-ტერიტორიულ პრობლემებს რეგიონულ დონეზე, აგრეთვე, დეცენტრალიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ფედერაციული მოწყობის თანამედროვე პრობლემებს.

პოლიტიკური რეგიონალისტიკის გამოკვლევების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები, საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის ურთიერთკავშირი და თანაფარდობა სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობასთან, პოლიტიკურ-ტერიტორიული სისტემები როგორც რეგიონული ერთობისა და სოციალურ-ტერიტორიულ ურთიერთობათა ერთიანობა. ამასთან, ყველა პრობლემა უნდა გაანალიზებულ და შესწავლილ იქნეს თანამედროვე საქართველოს ფედერაციული მოწყობის რეფორმასთან კავშირში, ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღებასთან და მთელ რეგიონულ პოლიტიკასთან კავშირში.

როგორც პროფესორი დ. დოლენკო მიუთითებდა, „საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის პრობლემები ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოადგენდა კვლევის საგანს, ძირითადად გეოგრაფიული მეცნიერების; მაგრამ რეგიონული პოლიტიკის მოთხოვნები კარნახობდა ტერიტორიული მოწყობის ყველა კომპონენტით ურთიერთკავშირის მექანიზმების უფრო სისტემური შესწავლის აუცილებლობას (ეკოლოგიურის, ეკონომიკურის, სოციალურის, პოლიტიკურის და სხვ). საზოგადებრივი ცხოვრების ტერიტორიული საფუძვლებისადმი კვლევითი მიდგომების მრავალსახეობანი აიხსნება თვით საკვლევი ობიექტის სირთულითა და სისტემურობით – საზოგადების ტერიტორიული ორგანიზაციით, ტერიტორიული მოწყობით. საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის პირველად საფუძველს წარმოადგენს განსახლების ტერიტორიული სისტემა, რომლის საფუძველზეც ფორმირდება ნებისმიერი საზოგადოების ტერიტორიული მოწყობა“.[1] ამრიგად, განსახლება – ეს პირველადი ელემენტია, ბადეა ტერიტორიული მოწყობის. მაგრამ ადამიანების განსახლებასთან ერთად ნებისმიერი საზოგადოება მართვის უფრო მოხერხებულობისთვის თავის ტერიტორიას ყოფს გარკვეულ მსხვილ ნაწილებად – რეგიონებად (შტატები, კომუნები, რაიონები, ოლქები, მხარეები და ა.შ.), რომლებიც ქმნიან საზოგადოების რეგიონულ ორგანიზაციას, ხოლო განსახლების სისტემა და რეგიონული ორგანიზაცია აყალიბებენ საზოგადოების ტერიტორიულ მოწყობას, დაბოლოს, საზოგადოების ტერიტორიული მოწყობისსაპოლიტიკურიურიდიულ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია, რაც გამოიხატება საზოგადოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ მოწყობაში.

ასე რომ, იმისათვის, რათა სწორად გავიგოთ საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის სტრუქტურა, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ მისი შემადგენელი ორი ელემენტი – დასახლება და რეგიონები. დასახლებაში იგულისხმება ტერიტორიულად მთლიანი, მოსახლეობის კონცენტრაციის კომპაქტური არეალი ცხოვრებისათვის, შრომისა და დასვენებისათვის ყველა აუცილებელი პირობებითა და მოწყობილობით. დასახლების შინაარსიდან გამომდინარე საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის პრობლემების განხილვისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ დასახლების ორი ტიპი – ქალაქი და სოფელი. ქალაქში ადამიანები დაკავშირებული არიან მეწარმეობასთან, ვაჭრობასთან და ა.შ., ხოლო სოფლად – სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან.

ამგვარად, პოლიტიკურმა რეგიონალისტიკამ უნდა შეისწავლოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური კანონზომიერებები. თანამედროვე საზოგადოებაში ქალაქისა და სოფლის განმსაზღვრელ კრიტერიუმებში საკმაო სხვაობაა – ქალაქის და სოფლის დამახასიათებელ მახასიათებლად იგულისხმება მოსახლეობის რიცხოვნობა და მათი საქმიანობის სახე.

საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაციის მეორე ძირითადი ელემენტის – „რეგიონის" არსისა და შინაარსის დასახასიათებლად საჭიროა გვახსოვდეს მისი გაგების განსხვავებული განმარტებები ლიტერატურაში.

რეგიონი (ლათინურიდან – მხარის, რაიონის იდენტურია) არის ქვეყნის ან რამდენიმე მეზობელი ქვეყნის განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც ხასიათდება მეტ-ნაკლებად ერთნაირი ბუნებრივი პირობებითა და საწარმოო ძალების განვითარების დამახასიათებელი მიმართულებებით, ჩამოყალიბებული სოციალური ინფრასტრუქტურითა და სოციალურ-პოლიტიკური პირობების თავისებურებით. (ეს ხომ არის დასაწყისში)

ჩვენ ზემოთაც მივუთითებდით, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „რეგიონი" ძალიან მრავალმნიშვნელოვანია, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სოციალურ-ეკონომიკურ გეოგრაფიაში, რეგიონულ ეკონომიკაში, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის თეორიაში „რეგიონის" ქვეშ იგულისხმება განსხვავებული ობიექტები. ამიტომ ფართო გაგებით, სიტყვა რეგიონი შეგვიძლია ვუწოდოთ ეკონომიკურ რაიონსაც, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმს, ქვეყნის ნაწილს და ქვეყნების ჯგუფს. მაგრამ საზოგადოების სისტემური მართვის თვალსაზრისით, მთავარი როლი საზოგადოების რეგიონულ ორგანიზაციაში განეკუთვნება სოციალურ-პოლიტიკურ რეგიონებს, ანუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ (რაიონიდან ოლქამდე) და სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, რადგანაც ისინი უფრო ადეკვატურად ასახავენ საზოგადოების სტრუქტურას და ხასიათდებიან თვით ტერიტორიული სისტემის ორგანიზაციის მაღალი დონით.

ამგვარად, საზოგადოების ტერიტორიული მოწყობა არის დასახლებათა და რეგიონების თავმოყრა, რომლებიც გაერთიანებული არიან ქვეყნის სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურით.

საზოგადოების ტერიტორიული მოწყობისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის გაგება შინაარსობრივად ძალიან ახლოს არიან. სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას სპეციალისტების უმეტესობა საზღვრავს, როგორც საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის პოლიტიკურ ფორმას. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა ასახავს პოლიტიკურ ცხოვრებას რეგიონულ ჭრილში, ხოლო საზოგადოების ტერიტორიული მოწყობა ასახავს, უპირველეს ყოვლისა, რეგიონული საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს. საზოგადოების ტერიტორიული მოწყობის პირობებში ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენს სოციალური ერთობები, ხოლო სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის სუბიექტებს – ხელისუფლების რეგიონული ორგანოები. ამიტომ, როდესაც ვიხილავთ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის პრობლემებს, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს არა მარტო მისი ისეთი ელემენტები, როგორიცაა ადამიანების განსახლება და რეგიონი, არამედ კიდევ მესამე მნიშვნელოვანი ელემენტიც – ხელისუფლება. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ტერიტორიული სოციალური ერთობები, ერთი მხრივ, წარმოადგენს ხელისუფლების ზემოქმედების ობიექტს, ხოლო მეორე მხრივ – შეიძლება ისინი გამოვიდნენ პოლიტიკის სუბიექტებად. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების პოლიტიკურ-ტერიტორიული ორგანიზაცია საჭიროა განხილულ იქნეს როგორც პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციის ტერიტორიული ერთობა და ადამიანების ერთობების ტერიტორიული ერთობა.

ასე რომ, ტერიტორიული გაერთიანების სამყაროს დახასიათებისათვის საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ არა მარტო ტერიტორიის ერთობა, არამედ, აგრეთვე, ამ ტერიტორიის მიმართ ხელისუფლების ერთობაც.

პოლიტიკური ხელისუფლება არა მარტო ქმნის, არამედ არც თუ იშვიათად არღვევს ობიექტურად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთობას. მიუხედავად იმისა, პოლიტიკური ხელისუფლება გავლენას ახდენდა თუ არა ტერიტორიული ერთობის ფორმირებაზე, მაინც პოლიტიკური ხელისუფლება ასრულებდა. ადამიანების გარკვეული ტერიტორიებისადმი მიმაგრების ისტორიულ პოლიტიკურ-სამართლებრივ ფუნქციას. სახელმწიფო ტერიტორიის ერთიანობა განპირობებულია ამ ტერიტორიაზე საერთო ხელისუფლების მოქმედებით. ასეთია სახელმწიფოს სხვადასხვა რეგიონების ტერიტორიული ერთიანობის უზრუნველყოფის მექანიზმი.

ვახასიათებთ რა პოლიტიკურ ურთიერთობებს, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პოლიტიკური აქტიურობა ან ტერიტორიული ერთობის ცალკეული წევრების აქტიურობა ბევრად არის დაკავშირებული ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის დონეზე და თავისებურებებზე. განსაკუთრებით აქტუალურია ეს პრობლემა თანამედროვე საქართველოში. ქალაქის საზოგადოება უფრო დინამიკური და დადებითი დამოკიდებულებისაა პოლიტიკური რეფორმების მიმართ, ხოლო სოფლის ხალხი უფრო კონსერვატულია და ნაკლები ოპტიმიზმით გამოირჩევა.

სახელმწიფო ინსტიტუტების სიმყარე, საზოგადოების მთელი პოლიტიკური ცხოვრება ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფო მოწყობის ფორმებზე, რომელიც ასახავს ამ სახელმწიფოს ტერიტორიულ სტრუქტურას, სახელმწიფოსა და მის შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებს შორის ურთიერთობას.

როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოს ტერიტორიული სტრუქტურის შესახებ, მაშინ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა არის ერთი მხრივ, ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაცია, ხოლო მეორე მხრივ – სახელმწიფოს როგორც მთელის ურთიერთდამოკიდებულების სისტემა მის შემადგენელ ნაწილებთან (ტერიტორიებთან). **ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს განსაზღვრავს სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის ორი ძირითადი ფორმა: უნიტარული და ფედერაციული.** სახელმწიფოს მოწყობის მესამე ფორმას წარმოადგენს კონფედერაცია, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე არ წარმოადგენს სახელმწიფოს შემადგენელი ტერიტორიული ნაწილების გაერთიანებას, არამედ არის სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანება, რომლებსაც ახასიათებთ თავიანთი საკუთარი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა.

მსოფლიოს სახელმწიფოების უმეტესობას აქვს უნიტარული ტერიტორიული მოწყობა (ლათინურიდან და ფრანგულიდან – ერთიანობა). უნიტარული სახელმწიფო წარმოადგენს ერთიან სახელმწიფოს ერთიანი კონსტიტუციითა და მოქალაქეობით, ხელისუფლებისა და სამართალწარმოების ორგანოების ერთიანი სისტემით, სადაც ფუნქციონირებენ ერთიანი საკანონმდებლო, სამართლებრივი და ფულადი სისტემები. უნიტარული სახელმწიფო ხასიათდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულებისადმი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობით და განცალკევებული (დამოუკიდებული) სახელმწიფო-ტერიტორიული წარმონაქმნების არყოფნით. ეს არის ერთიანი, განუყოფელი, ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობა. ამასთან ერთად, განარჩევენ თანამედროვე უნიტარული სახელმწიფოს ორ ტიპს – ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოებს.

ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოებში ცენტრისადმი რეგიონების დაქვემდებარება ხორციელდება თანამდებობრივი პირების მეშვეობით, რომლებიც დანიშნული არიან ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ. ასეთი ტიპის უნიტარული სახელმწიფოებია ნიდერლანდები, ფინეთი და სხვები.

დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოებში ხელისუფლების რეგიონული ორგანოები ფორმირდებიან ცენტრალურისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ მათი სამართლებრივი ურთიერთობა აგებულია დეცენტრალიზაციის საწყისებზე. ასეთი უნიტარული სახელმწიფოებია დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, ახალი ზელანდია, იაპონია და სხვები.

თანამედროვე უნიტარულ სახელმწიფოებს არც თუ იშვიათად ყოფენ სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ტერიტორიული მოწყობის ტიპად.

სიმეტრიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფო იმით ხასიათდება, რომ მის ტერიტორიულ ნაწილებს აქვს თანაბარი პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი. მაგალითად, ასეთია პოლონეთში სავოევოდოები და ბელორუსიაში. ოლქები თანაბარუფლებიანი არიან.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ასიმეტრიულ სახელმწიფოში მის შემადგენელ ტერიტორიულ ნაწილებს ახასიათებთ ერთმანეთისაგან განსხვავებული პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი. ამგვარი თავისებურება დამახასიათებელია იტალიისათვის, სადაც სიცილია, სარდინია და ზოგიერთ სხვა ტერიტორიულ ერთეულებს მიკუთვნებული აქვთ ავტონომიის განსაკუთრებული ფორმა და პირობები, ამასთან, ამ ავტონომიათა სტატუსი განსაზღვრულია ცალკეული საკონსტიტუციო კანონებით. ასიმეტრიული სტატუსი აქვს ესპანეთის ბევრ რეგიონსაც (მაგ. კატალონია, გალისია და სხვ). აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები და საფრანგეთი თუმცა ფორმალურად კი რჩებიან უნიტარულ სახელმწიფოებად, მაგრამ ამასთან სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ მოწყობაში უკვე იყენებენ ფედერალიზმის გარკვეულ ელემენტებს.

თანამედროვე უნიტარულ სახელმწიფოებში გვხვდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის რამდენიმე რგოლი, რაც ძირითადად დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე და სახელმწიფოს ტერიტორიულ სიდიდეზე. არსებობს ორრგოლიანი (პოლონეთში, დანიაში, ბულგარეთში), სამრგოლიანი (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია), ოთხრგოლიანი (კამერუნი, კოლუმბია, სენეგალი) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ასე მაგალითად, დანიის ტერიტორია დაყოფილია 14 საგრაფოდ, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფიან 275 კომუნად, დიდი ბრიტანეთი მოიცავს ოთხ ისტორიულ ნაწილს (ინგლისი, შოტლანდია, უელსი, ოლსტერი), რომლებზეც განლაგებულია 56 საგრაფო დაყოფილი 482 ოლქად; საფრანგეთი შედგება 26 რეგიონისაგან, 100 დეპარტამენტის და 36433 კომუნისაგან.[2] ჩვეულებრივ, ყველაზე უფრო დიდ ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ მხარეები, ოლქები, პროვინციები და სხვ. ეს ტერიტორიული ერთეულები იყოფიან ოლქებად, რაიონებად და ა.შ. ზოგიერთ პატარა სახელმწიფოს საერთოდ არ გააჩნია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა (მაგ. მალტა, ბახრეინი და სხვ.).

ფედერაციული სახელმწიფოებრივი (ლათინურად – კავშირი, გაერთიანება) მოწყობა ხასიათდება ორი ან მეტი ტერიტორიული ერთეულის გაერთიანებით – ფედერაციის სუბიექტების გაერთიანებით (შტატები, პროვინციები, კანტონები, რესპუბლიკები, ოლქები და სხვ.) ერთ სახელმწიფოში. ფედერაციულ სახელმწიფოში ტერიტორიული ერთეულები გაერთიანებული არიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობით, აქვთ საკუთარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და კანონმდებლობა. ფედერაციულ სახელმწიფოებში მოქმედებს ხელისუფლების უმაღლესი ფედერაციული ორგანოები, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ფედერაციის სუბიექტის დონეზე, ანუ არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების ორი დონე – ფედერაციული და რეგიონული.

ორივე დონის ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებას აქვს კონსტიტუციური ან სხვა სახის საკანონმდებლო განსაზღვრა-გამიჯვნა. ფედერაციისთვის დამახასიათებელია ორმაგი საკანონმდებლო სისტემის არსებობა, არც თუ იშვიათად ორმაგი მოქალაქეობა, ორპალატიანი პარლამენტი (ერთი პალატა გამოხატავს ფედერაციის სუბიექტების ინტერესებს, მეორე – საერთო ეროვნულ ინტერესებს). სავარაუდოდ, მსოფლიო სახელმწიფოების მერვედი ნაწილი აგებულია ფედერაციულ საწყისებზე.

ფედერაციული სახელმწიფოების ინსტიტუტის ისტორიული განვითარების კვალობაზე ჩამოყალიბდა მისი სამი ყველაზე უფრო ცნობილი ფორმა: სახელშეკრულებო, ცენტრალური და კოოპერატიული.

ფედერაციის სახელშეკრულებო ფორმა ფედერაციას განიხილავს როგორც სახელმწიფოების გაერთიანებას, რომლებმაც ხელშეკრულების საფუძველზე ზოგიერთი უფლება გადასცეს ხელისუფლების ახლად შექმნილ ორგანოებს.

ცენტრალისტური ფორმა გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ყველა ცალკეულ ნაწილში მთელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება უნდა განხორციელდეს ფედერალური ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ფედერაციის კოოპერაციული ფორმა ეფუძნება ფედერაციის ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის სოციალურ-ეკონომიკურ თანამშრომლობას.

პრაქტიკაში ცნობილია, აგრეთვე, ფედერაციის ჩამოყალიბების ორი ძირითადი ფორმა: ფედერაციის სუბიექტების კავშირის საფუძველზე (აშშ, შვეიცარია, საბჭოთა კავშირი) და ავტონომიის საფუძველზე (მექსიკა, ინდოეთი, პაკისტანი). ზოგი ფედერაციული სახელმწიფოები, რომლებიც თავდაპირველად შექმნილი იყვნენ კავშირის საფუძველზე, დროთა განმავლობაში ცენტრალიზაციის პროცესის განხორციელების კვალობაზე გარდაიქმნენ ისეთ ფედერაციებად, რომლებიც ეფუძნებოდნენ სუბიექტების ავტონომიას ფედერაციის შემადგენლობიდან გასვლის უფლებების გარეშე.

ფედერალიზმის კონცეფციებში განსხვავება მეცნიერების მიერ ძირითადად ახსნილია ხელისუფლების სხვადასხვა დონეების ურთიერთობების კრიტერიუმებით.

მსოფლიოში ჩამოყალიბდა ფედერაციის აგების ორი ძირითადი პრინციპი – ეროვნულ-ტერიტორიული და ტერიტორიული.

ბოლო წლებში ბევრი მეცნიერი იყენებს ფედერალიზმის ხარისხობრივად ახალ გაგებას – „ევროპული ფედერალიზმი“, რაც წარმოადგენს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კავშირის განსაკუთრებულ ფორმას. აქ პოლიტიკური ინტეგრაცია ეფუძნება სახელმწიფო სტრუქტურების უფრო ფართო საერთაშორისო ერთობით შერწყმას, სადაც ადგილი აქვს ხელისუფლების ახალი ინსტიტუტების შექმნას და მათთვის ეროვნული პოლიტიკური ორგანოების ზოგიერთი სუვერენული უფლებების გადაცემას. ევროპული ორიენტაციის წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეები მიიჩნევენ, რომ სწორედ ფედერალიზმი წარმოადგენს ახალი ევროპის აგების სახელმძღვანელო პრინციპს.

სახელმწიფოთა მოწყობის ფედერაციული ფორმისაგან განსხვავებულს წარმოადგენს კონფედერაცია, რომელიც თავისი შინაარსით არის სახელმწიფოთა კავშირი. კონფედერაცია თავისი არსით საერთაშორისო გაერთიანებაა, თუმცა ამასთან ფლობს სახელმწიფოებრიობის საერთო ნიშან-თვისებებს.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის კონსტიტუციებმა (1848 და 1874 წწ) შეუნარჩუნეს ქვეყანას ოფიციალური სახელწოდება – შვეიცარიის კონფედერაცია და ამასთან, დააწესეს ახალი არა კონფედერაციული, არამედ ფედერაციული სახელმწიფო მოწყობა. რეინის კონფედერაცია, ნაპოლეონის პროტექტორატით, ხელშეკრულებით შეიქმნა საფრანგეთსა და 16 გერმანულ სახელმწიფოს შორის. გერმანიის კავშირი, რომელიც შეიქმნა ვენის კონგრესის მიერ, აერთიანებდა 35 სახელმწიფოსა და 4 თავისუფალ ქალაქს. ავსტრია-პრუსიის ომის შემდეგ 1866 წელს გერმანიის კავშირის მაგიერ შეიქმნა ჩრდილოეთ გერმანიის კავშირი.

ადგილებზე ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაციის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა.

ადგილობრივი თვითმმართველობა არის მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის ფორმა როგორც რეფერენდუმის ან მცხოვრებთა კრებების გზით, ასევე მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით. ადგილობრივი თვითმმართველობა არის ხალხის ხელისუფლების ერთ-ერთი ფორმა და წარმოადგენს ცენტრიდან ადგილობრივი საქმეების მართვის თავისებურ ალტერნატივას.

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობა, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც არჩეულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის მიერ და, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხებზე. არის, აგრეთვე, ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შეიძლება იყოს დანიშნული ან არჩეული. ეს უკანასკნელი მოწოდებულია პირველ რიგში შეასრულოს წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებები და განახორციელოს ოპერატიული მართვა.

მსოფლიო პრაქტიკაში განასხვავებენ ადგილობრივი თვითმმართველობის სამი სახის მოდელს: ანგლო-საქსონურს (ინგლისური), კონტინენტალურს (ფრანგული) და საბჭოურს.

საქართველოში – ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ქალაქებში, დაბებში, სოფლებში და სხვა სახის ტერიტორიებზე. მთავარია, რომ საქართველოს კონსტიტუციური ნორმებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გამოცალკევებულნი არიან სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებისაგან, ამას გარდა ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ხალხთა ხელისუფლების განსაკუთრებული ფორმა, გარანტირებულია საქართველოს ძირითადი კანონით – კონსტიტუციით.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობა მოიცავს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას და 69 მუნიციპალიტეტს, საიდანაც 64 მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი. საქართველოში მუნიციპალიტეტი თვითმმართველობის ერთადერთი დონეა, შესაბამისად მმართველობის რეგიონული დონე და რეგიონის ცნება კანონით არ არის განსაზღვრული. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით საქართველოს რეგიონების ჩამონათვალში 11 ტერიტორიული ერთეულია, საიდანაც 2 არის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო დარჩენილი 9 არის მოხსენიებული როგორც ისტორიული მხარე: გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის მხარეები. თითოეული მხარე, თავის მხრივ, მოიცავს მუნიციპალიტეტებს, რომელთა ადმინისტრაციული საზღვრებიც ავტომატურად განსაზღვრავს შესაბამისი მხარის საზღვრებს. თვითმმართველობის ერთდონიანი სისტემა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის პრობლემას წარმოშობს. ამის საპასუხოდ შექმნილია სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მეტწილად ცენტრალური ხელისუფლების რეგიონული პოლიტიკის განხორციელებაში კოორდინატორის ფუნქცია აკისრია. სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის დებულების მიხედვით მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს გარკვეულ მუნიციპალიტეტებს და შესაბამისად მათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს.

საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიებში (2014-2021წწ.) წარმოდგენილია რეგიონების აღწერილობითი ინფორმაცია. რეგიონებში ვხვდებით ცენტრალურ ადგილებს, ე.წ. „მიზიდულობის ცენტრებს“. თითოეული რეგიონი მოიცავს მუნიციპალიტეტებს, რომლებსაც, თავის მხრივ,

აქვთ ადმინისტრაციული ცენტრები. რეგიონების განვითარების სტრატეგიების და სხვა სამთავრობო დოკუმენტების მიხედვით რეგიონების სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ბუნებრივი რესურსითა და გეოგრაფიული ნიშნებით.

რეგიონისთვის მაღალმთიანი დასახლებების წილი დასახლებების მთლიან რაოდენობასთან მიმართებაში მკაფიოდ მაღალი ან დაბალია: გურიის რეგიონისთვის – 2%; იმერეთის რეგიონისთვის – 11%; მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის – 81%; სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის – 82%; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ყველა დასახლება მაღალმთიანია.

დარჩენილი 5 რეგიონისთვის კი ასეთი გეოგრაფიული მსგავსება არ გამოიხატა: ქვემო ქართლის რეგიონის დასახლებების 45%-ს მაღალმთიანის სტატუსი აქვს მინიჭებული; შიდა ქართლის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 38%-ია; კახეთის შემთხვევაში – 33%; აჭარის შემთხვევაში კი – 65%. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მთლიანად ზემო სვანეთის რეგიონს (მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას) აქვს მაღალმთიანის სტატუსი მინიჭებული. რეგიონების განვითარების სტრატეგიები თუ სხვა დოკუმენტები, რომლებიც აღწერენ რეგიონების რესურსულ მახასიათებლებს, ნათლად აჩვენებს, რომ ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები და ეკონომიკის პოტენციურად წამყვანი დარგები რეგიონებში განსხვავებულია სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის. რეგიონებში გაერთიანებული მუნიციპალიტეტები ერთმანეთისგან უმეტეს შემთხვევაში განსხვავდებიან. მაგალითად, მესტიისა და ფოთის მუნიციპალიტეტები, რომლებიც ერთ რეგიონში არის მოქცეულები. კახეთის ტერიტორია, რომლის ფართობიც 11,300 ათას კმ2 -ზე მეტია, საქართველოს ტერიტორიის 17%-ზე მეტს მოიცავს. იმერეთის რეგიონში 507 ათასი ადამიანი ცხოვრობს 11 მუნიციპალიტეტში, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით (მაგალითად ხარაგაულის მუნიციპალიტეტი).

დღეს საქართველოში მიმდინარეობს იმაზე დავა თუ რამდენად მისაღებია ადმინისტრაციული მოწყობის არსებული დონე და მუნიციპალიტეტების ზომა ტერიტორიის ეფექტიანად მართვისთვის. 2006 წელს, რეფორმის შედეგად საქართველოში თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის საშუალო ოდენობა 4.350-დან 68.050-მდე გაიზარდა, ის თითქმის 10-ჯერ აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს (6688 მცხოვრები). ხოლო ევროპული ქვეყნებიდან ჩამორჩება მხოლოდ დიდ ბრიტანეთს (სადაც მუნიციპალური მოწყობის განსხვავებული სისტემაა). ამრიგად, დღეს რეგიონებად მიჩნეულ ტერიტორიულ ერთეულებს ეფექტიანად მართვადობა ნაკლებად ახასიათებთ.

საქართველოს რეგიონებისათვის დამახასიათებელი ნიშნები:

1. რეგიონებში ვხვდებით ცენტრალურ ადგილებს, ე.წ. „მიზიდულობის ცენტრებს";
2. თითოეული რეგიონი მოიცავს მცირე რაოდენობით მაღალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს და დიდი რაოდენობით დაბალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს ;
3. ადამიანური, კაპიტალური და სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით ვიდრე სხვა რეგიონებში;
4. ახასიათებთ სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორების ზეგავლენის მსგავსი შედეგები რეგიონის ფარგლებში;
5. საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის გადაადგილების ინტენსივობა მაღალია რეგიონის შიგნით;
6. რეგიონები ადმინისტრაციული ერთეულებია;
7. ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემა თუ სხვა გეოგრაფიული ნიშნები მსგავსია რეგიონის შიგნით;
8. რეგიონებს ახასიათებთ ეკონომიკური ერთგვაროვნება;
9. რეგიონებს ახასიათებთ მართვადობა;

### 28.2 მომავალი მსოფლიოს კონტურები

გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია ეკონომიკური ეროვნულობის წინააღმდეგ საბაზრო ურთიერთობების უნივერსალიზაციას თან სდევდა ეროვნული მეურნეობების ფორმირება, ტერიტორიულად შეზღუდული სივრცეების ჩამოყალიბება, რომლებიც განმტკიცებული იყვნენ ერთიანი ბაზრით. ამ მეურნეობებს შორის წარმოიშვა შრომის დანაწილების ურთიერთობა, და საბოლოოდ მათ შეადგი-

ნეს გლობალური სისტემა – მსოფლიო მეურნეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველი სანყის ეტაპზე იყო განსხვავება კლიმატურ-ბუნებრივ პირობებში, ბუნებრივ-რესურსებში, მოსახლეობის ტრადიციულ საქმიანობაში. დიდი მნიშვნელობა ქონდა ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დიდად დაცილებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობას. სანყისი პირობები განსაზღვრავდნენ სხვადასხვა საქონლების წარმოების საჭიროებასა და აუცილებლობას, და სწორედ ამით იქმნებოდა ეროვნული ეკონომიკების სტრუქტურების მიერ ურთიერთდამატებისა და ურთიერთშეღწევების წინამძღვრები. თავდაპირველად შრომის საერთაშორისო დანაწილებას ქონდა კოლოსალური ხასიათი: მის ინიციატორად გამოდიოდნენ ეკონომიკურად უფრო მძლავრი სახელმწიფოები, რომლებიც ქმნიდნენ შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურას თავიანთი საკუთარი ინტერესების სრული შესატყვისობითა და გათვალისწინებით – როგორც საბაზრო კანონზომიერებათა გამოყენების დახმარებით, ასევე პირდაპირი ძალადობის გზით.

შრომის საერთაშორისო დანაწილების თანდათანობითი გაღრმავება აძლიერებდა ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულებას საგარეო ეკონომიკურ კავშირებზე. ეს საერთოდ და საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაა. მაგრამ ამასთან ძალიან იშვიათად აღნიშნავენ იმას, რომ ეს პროცესი პირველ რიგში მიმდინარეობდა მეზობელ ქვეყნებს შორის კავშირის განვითარების შემწეობითა და საშუალებით.

შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარების პროცესის თანმხლები უპირველესად აღსანიშნავი მოვლენა იყო საგარეო-სავაჭრო კავშირების დიფერენციაციის ზრდა, ცალკეული სახელმწიფოების პრიორიტეტულ პარტნიორებთან ვაჭრობის თავმოყრის დონის შემცირება. აღნიშნული პროცესი ფართოდ გაიშალა უკვე მე-20 საუკუნეში.

ამრიგად, საგარეო ვაჭრობა სულ უფრო მეტად ხდება მრავალმხრივი პროცესი, შრომის საერთაშორისო დანაწილება აღრმავებს და აფართოებს მის არა მხოლოდ სასაქონლო, არამედ აგრეთვე გეოგრაფიულ სტრუქტურასაც. ამასთან ერთად მსოფლიო ვაჭრობის გრძელვადიანი კანონზომიერებები – საგარეო-სავაჭრო კავშირების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია, შიგარეგიონული ვაჭრობის ხვედრითი წილისა და მნიშვნელობის ზრდა, ცალკეული „სავაჭრო ზესახელმწიფოების" დომინირებადი მდგომარეობის რამდენადმე შესუსტება უკვე თვალშესახედია.

საქონელგაცვლის განვითარება ხდება ერთდროულად ცალკეული რეგიონების ფარგლებში მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური სივრცეების ფორმირებასთან ერთად. ბოლო ხანებში გაძლიერდა ტენდენცია ამ სივრცეების ფარგლებში მეურნეობრიობის პირობების უნიფიკაციისადმი, ერთიანი ვალუტის შემოღების ჩათვლით (ამის მაგალითია ევროს შემოღება 1999 წლიდან ევროკავშირის 11 ქვეყანაში, აშშ-ს დოლარის ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნების ეროვნულ ვალუტად გადაქცევის გეგმები). როგორია ამ ტენდენციების განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივები?

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმრავლესი თანამედროვე სცენარები იქიდან გამოდიან, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაციამ საბოლოო ჯამში უნდა გამოიწვიოს გლობალური საბაზრო სივრცის ცალსახა ფორმირება, რომელიც იფუნქციონირებს ერთიანი კანონებით, გამოიყენებს ან ერთიან საგადამხდელო საშუალებას, ან მბრუნავ ურთიერთშემცვლელ საგადამხდელო საშუალებებს, რომლებიც ემიტირებული იქნებიან სხვადასხვა აუცილებლად ოფიციალური ინსტიტუტების მიერ. ივარაუდება, რომ ეროვნებათაშორისი ბარიერების დაძლევა, რომელიც განპირობებულია ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებით, საშუალებას შექმნის ამაღლდეს კონკურენციის ეფექტიანობა და უზრუნველყოფილ იქნეს ერთობლივი ეკონომიკური მოგება.

მოცემული სქემა ეყრდნობა წარმოების ფაქტორების აბსოლუტური მობილურობის დაშვებას, რასაც მივყევართ არაადეკვატური წარმოდგენებისაკენ, როდესაც ცდილობენ იგი გამოიყენონ რეალური ეკონომიკური პროცესების მიმართ. ტრადიციული წარმოდგენები კონკურენციის შესახებ იქიდან გამოდის, რომ მას უნდა მივყავდეთ წარმოების ფაქტორების საზოგადოებრივი წარმოების დარგებს შორის განუწყვეტელი გადანაწილებისაკენ. ეს დაკავშირებულია მათ ტერიტორიულ გადაადგილებასთან; ამასთან ყველა აღიარებს წარმოების ფაქტორების სხვა დარგებში ან სხვა რეგიონში გადაადგილების გარკვეულ ხარჯებთან კავშირს, მაგრამ ვარაუდობენ და მიაჩნიათ, რომ სხვადასხვა შეზღუდვების მოხსნას და საბაზრო მექანიზმების სრულყოფას ძალუძს განუხრელად შეამციროს დანახარჯები თუ ნულამდე არა, გარკვეულად სასურველ და მისაღებ მინიმუმამდე მაინც.

მსგავს შეხედულებას, ამასთან, აქვს არსებითი ნაკლოვანება. იგი გამოდის წინადადებიდან, რომ კაპიტალის მობილობა და სამუშაო ძალის მობილობა – ერთი და იგივე წესის და ხასიათის მოვლენებია და რომ სამუშაო ძალის გადაადგილება დარგებსა და ტერიტორიებს შორის იზღუდება ადმინისტრაციული წინაღობებით. ამასთან ერთად ეს პრინციპულად განსხვავებული მოვლენებია. კაპიტალი, განსახიერებული საყოველთაო ექვივალენტში – ფულში – განურჩეველია თავისი საქმიანობით გარე

სამყაროსადმი და მისი მოძრაობა ადმინისტრაციული წინააღმდეგობების არ არსებობისას განისაზღვრება ერთად-ერთი კრიტერიუმით – მოგების ნომრით. მუშაკების მოტივაცია უფრო რთულია და მისი ეკონომიკური რაციონალობა მხოლოდ მისი ერთ-ერთი შემადგენელია.

ამ მოტივაციის მნიშვნელოვან ფაქტორად წარმოგვიდგენია ცხოვრებისა და ბინადრობისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი, სოციალური და სულიერი გარემოს არსებობა. ამიტომ თუნდაც ეროვნულ მეურნეობათა ფარგლებში შრომის ბაზრის მოქნილობა არსებითად ჩამორჩება სხვა დანარჩენი ბაზრების მოქნილობის ხარისხს (სამუშაო ძალის მობილურობის გადაფასება იყო, კერძოდ, რუსეთის რეფორმების არქიტექტორთა ერთ-ერთი არსებითი შეცდომა). რაც შეეხება საერთაშორისო მიგრაციებს მათ გზაზე დამატებით წინააღმდეგობებს წარმოადგენენ ენობრივი და სოციალურ-კულტურული ბარიერები. მაგრამ რადგანაც ასეთი მიგრაციები მაინც ხდება, მათი მიმართულება არანაკლებად განისაზღვრება კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებით, ვიდრე ეკონომიკური მიზანშეწონილობის მოსაზრებებით.

ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის მობილურობა მთლიანობაში იზრდება. ამას ხელს უწყობს ცხოვრების სტანდარტების უნიფიკაცია, გაზრდილი ინფორმირებულობა, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ახალი ნორმების დამტკიცება, აღზრდისა და სწავლების კოსმოპოლიტიზაცია და ჰუმანიზაცია. გაძლიერებადი ინდივიდუალიზაცია იწვევს ქცევის ტრადიციული ჯგუფური სტერეოტიპებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ზრდას. შედეგად ადამიანების მოქმედებებში და ქცევებში ეკონომიკური შემადგენელის მნიშვნელობა, ეჭვს გარეშეა, რომ მაღლდება.

ეს ყოველივე აშკარად არასაკმარისია, რათა გაკეთდეს დასკვნა, რომ უახლოეს ხანში კაცობრიობის უმეტესობა მზად იქნება ერთიანი ენთუზიაზმით მოჰკიდოს ხელი ნებისმიერ კარგად ანაზღაურებად სამუშაოს დედამიწის ნებისმიერ წერტილში. ამას განაპირობებს: 1) უპირველეს ყოვლისა ის, რომ პრინციპში კვლავ რჩება ისეთი ფაქტორები, რომლებიც არ ექვემდებარებიან უნიფიკაციას; ასეთებია ბუნებრივ-კლიმატური პირობების განსხვავება ან კიდევ მანძილი. სამუშაო ძალის მთელ მსოფლიოში იდეალური მობილურობა გამოიწვევდა იმას, რომ ის ტერიტორიები, რომლებიც არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან, სულ მთლიანად დაცარიელდებოდნენ ადამიანებისაგან, ან კიდევ ეს ტერიტორიები გადაიქცევიან სათადარიგო მოედნებად, რომლებიც ათვისებულ იქნებიან გარკვეული სახის საქონლებზე მოთხოვნის გაზრდის შემთხვევაში (შესაბამისად მოსახლეობა იქ იქნებოდა მხოლოდ დროებითი ხასიათის). 2) ინდივიდუალიზაციას აქვს მეორე მხარეც – ძლიერდება ცხოვრების საერთო ხარისხისადმი უპირატესობის მიკუთვნების ტენდენცია წმინდა მატერიალურ წარმატებასთან შედარებით, ძლიერდება მიდრეკილება რწმენის, ფასეულობების და მათი შესატყვისი ცხოვრების სახისა და წესის დამოუკიდებლად არჩევისადმი. მაგრამ ერებს შორის არსებული ტრადიციული განსხვავებანი, შემორჩენილი ჩვეულები და მოძველებული ცრუ-რწმენები, ცრუ შეხედულებები ბევრად უკვე კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, ერთდროულად ფორმირდებიან ახალი რელიგიური და ცივილიზებული თემები, საზოგადოებები, რომლებსაც არ უკავიათ მკვეთრად გამოყოფილი ან განკუთვნილი ტერიტორიები, მაგრამ თავიანთ მხარდამჭერებს და მიმდევრებს კარნახობენ ქცევის გარკვეულ წესებს. ასე რომ, მათი მონაწილეების რწმენა და ცხოვრების წესი ასევე შეიძლება იქცეს არარაციონალური ქცევის მოტივად ცხოვრების ადგილისა და საქმიანობის სახეობის შერჩევისას.

ეკონომიკის საბაზრო სიტუაციის ცვლილებებისადმი მისადაგების მიზნით, ამასთან მოსახლეობის დასაქმების დონის შენარჩუნების ინტერესების გათვალისწინებით. აქამდე მიმართავენ საქონლისა და მომსახურების გადაადგილების სხვადასხვაგვარ შეზღუდვებს. სამუშაო ძალის მიგრაციის რეგულირებისათვის, წმინდა ადმინისტრაციული ზომების გარდა გამოიყენება აგრეთვე შემდეგი მექანიზმები: ხელფასის ცვლილება, ფულადი პოლიტიკა, საბიუჯეტო პოლიტიკა. ამ მექანიზმებიდან პირველმა შეიძლება იმუშაოს ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩარჩოებში, მაგრამ მისი ფარგლებიდან გასვლისას მას შეიძლება ქონდეს დამანგრეველი სოციალური შედეგები, თუნდაც შესაბამისი სოციუმის ფაქტიურ კოლაფსამდეც კი.

დანარჩენი მექანიზმები ეკონომიკური პოლიტიკის ავტონომიური ბერკეტების მისადაგებას საჭიროებენ. ამგვარად, ადამიანთა თანასაზოგადოებას, რომლებიც სახლობენ გარკვეულ ტერიტორიებზე, არა მხოლოდ ეხლა, არამედ პერსპექტივაშიც დასჭირდებათ თავიანთი სამეურნეო საქმიანობის რეგულირების სპეციფიკური მექანიზმები.

ბოლო დრომდე შესაბამის ფუნქციას ეროვნული სახელმწიფოები ასრულებდნენ, რომლებიც ეფექტიანობის განსხვავებული ხარისხით უზრუნველყოფდნენ თავიანთი საზღვრების ფარგლებში საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების შეთანხმებასა და ინტერესების სხვა სახელმწიფოების წინაშე დაცვას. მაგრამ ეროვნული სახელმწიფოს ტრადიციული სტატუსი და ფუნქციები დღეს ეჭვს ქვეშ არის უკვე დაყენებული.

ეროვნული სახელმწიფოს ინსტიტუტი არის ევროპული პოლიტიკური კულტურის ნაყოფი (ნაშობი). ნატურალური მეურნეობის სიჭარბის პირობებში სახელმწიფოები წარმოადგენდნენ ან ტომობრივ კავშირებს, ან კიდევ „მსოფლიო" იმპერიებს. ტერიტორიულად შეზღუდულ-შემოფარგლული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც პრეტენზია ქონდა გარკვეული საზოგადოებრიობის წარმომადგენლობაზე და რომელსაც მოგვიანებით ერი უწოდეს, ჩამოყალიბდა დასავლეთევროპული (კათოლიკურ-პროტესტანტული) ცივილიზაციური სივრცის ჩარჩოებში. ასეთი წარმომადგენლობა მოვიდა შუასაუკუნოვანი სისტემის შემცვლელად, რომლის ფარგლებშიც „დიდი ერთობისადმი" მიკუთვნება განისაზღვრებოდა რელიგიის მიერ. ამა თუ იმ რელიგიისადმი მიდგომა იმ დროს ნიშნავდა მის მიერ დადგენილი კანონებით ცხოვრებას. შესაბამისად რელიგია განსაზღვრავდა საზოგადოების მთელ კულტურას (ამ სიტყვის ფართო გაგებით), მათ შორის რელიგია განიხილებოდა როგორც სამართლის წყარო. „ქრისტიანული სამყაროს" ფარგლებში, რომელიც აღიქმებოდა როგორც საზოგადოების მთლიანი ერთობა, არსებობდა სახელისუფლებო-იერარქიული ურთიერთობის რთული სისტემა, ვასალური დამოკიდებულების ინსტიტუტი. მაგრამ ამასთან სარწმუნოების მიხედვით გამიჯვნა იყო შეუდარებლად ძალიან მკვეთრი, ვიდრე დაყოფა სხვადასხვა ბატონების ვასალების შორის.

ევროპული სახელმწიფოების აღორძინება მე-15 საუკუნიდან დაწყებული დაკავშირებულია საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან და საშუალო საქალაქო წოდებების ფორმირებასთან, რომლებიც დიდხანს იყენებენ ცენტრალიზაციის დასაყრდენი. ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა წარმოადგენდა არა უბრალოდ გარკვეული ეთნოსების არსებობის რიგით ეტაპს, არამედ ახალი სოციალური წესრიგის შესახებ საზოგადოებრივი ხელშეკრულების დადების (გაფორმების) აქტს.

ფორმირებად სახელმწიფოს მისდამი დაქვემდებარებულების მიმართ აბსოლუტური ხელისუფლების პრეტენზია ქონდა, იდეოლოგიურად ეს საბუთდებოდა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების როგორც ტრადიციული კონცეფციით, ასევე საზოგადოებრივი ხელშეკრულების რაციონალური კონცეფციით. ამ ბოლო კონცეფციის ავტორი ტ. გობსი ამტკიცებდა, რომ აბსოლუტური ხელისუფლება წარმოადგენს „ბუნებრივი მდგომარეობიდან" ერთად-ერთ გამოსავალს, რომელიც ტრიალებს (ბრუნავს) „ყველას ომით ყველას წინააღმდეგ". სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს ხალხის მიერ დადებული საზოგადოებრივი ხელშეკრულება, რომლის მეშვეობითაც ისინი ანდობენ თავიანთ თავს ხელისუფალთ – „მათ ცხოვრებაზე და სიკვდილზე". ამის შემდეგ ქვეშემრდომთ არ შეუძლიათ მართვის ფორმის შეცვლა, „სუვერენულია – მსაჯი საკითხებში იმის შესახებ, რა არის აუცილებელი მშვიდობისათვის და თავისი ქვეშევრდომების დაცვისათვის".[3] ამასთან მნიშვნელობა არა აქვს სჯეროდა თუ არა ხალხს ხელისუფლების ურთიერთხელშეკრულების საშუალებით, ეშინოდათ ერთმანეთის, თუ დაუთმეს უზურპატორს მისი ძალადობის შიშის გამო; იმ და სხვა შემთხვევაში გამომაფხიზლებელი მოტივი – შიშია, რომლის გარეშეც ვერავის ვერ აიძულებ მორჩილებას.

პრაქტიკაში აბსოლუტიზმმა შექმნა ცნობილი თავისუფალი სივრცე და თავისუფლება ყველა შესაძლებლობათა განვითარებისათვის, მაგრამ ვერ მოახდინა მათი სრულად რეალიზება. „საზოგადოებრივი ხელშეკრულება" ითვალისწინებდა უსაფრთხოების გარანტიებს, მართლმსაჯულების რამდენადმე კოორდინირებას, ბაზრის განვითარების პირობებს სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, მაგრამ ქვეშევრდომებისათვის ის რჩებოდა სავარაუდო ხელშეკრულებად, რომელსაც ისინი შეგნებულად არ დებდნენ, მხოლოდ იძულებული იყვნენ მას მიჰყოლოდნენ. ის პირები, რომლებიც არ იყვნენ მოცულები მოცემული ხელშეკრულებით, გობსის მიხედვით, მოსპობას ექვემდებარებოდნენ.

იმის მიხედვით, თუ როგორ მოდიოდა განვითარებადი სამოქალაქო საზოგადოება წინააღმდეგობაში აბსოლუტიზმთან, ყალიბდებოდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების დემოკრატიული კონცეფცია, რომელიც ფორმულირებულ იქნა ჟან ჟაკ რუსოს მიერ. ამ კონცეფციის თანახმად „სახელმწიფოში არის მხოლოდ ერთი ხელშეკრულება: ესაა ასოციაციის ხელშეკრულება; იგი თვითონ თავისთავად გამორიცხავს ყოველგვარ სხვაგვარის შესაძლებლობას".[4] სწორედ ასოციაცია წარმოადგენს სუვერენულს, და მის თითოეულ წევრს ეკუთვნის უმაღლესი ხელისუფლების ნაწილი. ასოციაციის ფარგლებში გათვალისწინებულია მოქალაქეთა უფლებების უწყვეტი (მჭიდრო) კავშირი მოვალეობებთან და პასუხისმგებლობასთან ერთად მათი დარღვევის შემთხვევაში. დებს რა საზოგადოებრივ ხელშეკრულებას „მოქალაქე თავის თანხმობას იძლევა ყველა კანონებზე: იმათზეც, რომლებიც გამოცემულია მისი სურვილის გვერდის ავლით და იმათზეც კი, რომლებიც სჯიან თვითონ მას, როდესაც ის გაბედავს დაარღვიოს რომელიმე მათგანი".

ამავე დროს მათგან ურთიერთობა იმათთან, ვინც არ მიეტმასნა ასოციაციას უფრო მომთმენი გახდა გობსისთან შედარებით. ჟ. რუსო მათ უტოვებთ საშუალებას ეძებონ სხვაგვარი სუვერენიტეტი, ამავე დროს სუვერენიტეტი ამ კონცეფციაში ტერიტორიულად შეზღუდულია: როდესაც სახელ-

მნიფო დაფუძნებულია, მაშინ გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრება განიხილება როგორც სუვერენისადმი დამორჩილება.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფციამ, როგორც სახელმწიფოებრივი მშენებლობის საფუძველმა, გაიმარჯვა და იზეიმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მსვლელობაში. ამ რევოლუციის მსვლელობისას და შემდგომ საზოგადოებრივი ინსტიტუტების ევოლუციისას ფორმულირებულ იქნა ერი-სახელმწიფო კანონმდებლობის ერთიანი სისტემით და მისი შესრულებისათვის ერთიანი სახელმწიფო აპარატით, კანონების წინაშე მოქალაქეების თანასწორობითა და მათი უფლებით არჩევნების საშუალებით მონაწილეობა მიიღოს თავისი არსებობის პირობების განსაზღვრაში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს თანდათანობით განვითარებადი დემოკრატიის ინსტიტუტების სხვა პრობლემების მოგვარებაშიც. ეს სისტემა გახდა ნიმუში ევროპის სხვა ქვეყნებისათვის.

ტერიტორიულად შემოსაზღვრული ერთობის ფორმირებამ, რომელიც განმტკიცებული იყო საზოგადოებრივი ხელშეკრულებით და რომელიც მოსახლეობის გაზრდილ მოქალაქეობრივ აქტივობას გულისხმობდა, იდეოლოგიურ ფუნდამენტს საჭიროებდა – აღმოცენდა ნაციონალიზმი. ცნობილ კულტურულ ერთობას (ერთიანობას) უნდა დამატებოდა სახელმწიფოებრიობის რაციონალური საფუძვლები, უნდა გამაგრებულიყო საზოგადოებრივი ხელშეკრულება. ნაციონალიზმის იდეოლოგია გულისხმობდა, რომ „ნაციონალური იდეა" წარმოადგენს სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელ კომპონენტს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო, რომელიც მოკლებული იქნებოდა აღნიშნულს განიხილებოდა როგორც ანომალია, წარსულის გადმონაშთი, მიუხედავად იმისა, რომ მათი სახელმწიფო აპარატი ფუნქციონირებდა სრულიად დამაკმაყოფილებლად.

ამავე დროს „ნაციონალური იდეა" როგორც ნაციონალური იდენტურობის დასავლეთევროპული ცივილიზაციური არეალის კრიტერიუმი უფრო მეტად ემოციური განცდა იყო, ვიდრე მკვეთრად ფორმულირებული პრინციპი. ალბათ არ მოხერხდებოდა მოკლედ გადმოცემულიყო ისეთი იდეოლოგიური ფორმულა, რომელიც ერთის მხრივ გააერთიანებდა დასავლეთევროპულ ყველა ერს, ხოლო მეორეს მხრივ – გამოარჩევდა მას (ე.ი. ერს) სხვა ერებისაგან. ამისათვის მოგვიწევდა ჩამოგვეთვალა ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი დებულებები და ოფიციალური იდეოლოგიის ფორმულირებები. არსებითად „ნაციონალური იდეა" ლიბერალურ ინტერპრეტაციაში ადგილობრივ პირობებისადმი ადაპტირებულ „ევროპული იდეის" ვარიანტს წარმოადგენდა, რომელსაც პრეტენზია აქვს მოცემული ერის მის რეალიზაციაში წამყვანი როლის შესახებ.

ერის ფორმირება მოითხოვდა უარის თქმას სხვადასხვა ეთნიკური, ტერიტორიული, რელიგიური ჯგუფების განსაკუთრებულებაზე და თვითმყოფადობაზე. ადამიანის ერთიანი სახელმწიფოს თანასწორუფლებიან მოქალაქედ აღიარების საზღაური იყო მის მიერ ამ სახელმწიფოს მონოპოლიური უფლების აღიარება და ჯგუფურ თვითიდენტიფიკაციაზე და ცხოვრების სპეციფიკურ წესზე უარის თქმა. სახელმწიფოს ფარგლებში ფორმირდებოდა ცხოვრების ერთიანი წესი, რაც შეესატყვისებოდა მოდერნის ეპოქას და რაც ეფუძნებოდა საბაზრო ფასეულობებს, კონკურენციის კანონებს და შეფერადებული იყო ნაციონალური იდეოლოგიით. რელიგიური ჩვევები, ეთნიკური და კულტურული ტრადიციები მიიჩნეოდა კერძო ცხოვრების ელემენტების ხარისხში, მაგრამ არა როგორც ცხოვრებისეული ორიენტირები, რომლებსაც შეეძლოთ თავიანთ გარშემო გააერთიანებინათ განსაზღვრული საზოგადოებრივი ძალები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ უმცირესობის შეფასება ისეთი დამოკიდებულების თაობაზე, როგორიცაა „დისკრიმინაცია", რომლისთვისაც თითქოს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სულსწრაფ უმრავლესობას, ძალიან შორს იყო ჭეშმარიტებისაგან. პირიქით, უმცირესობის ძალიან ენერგიული წარმომადგენლები იბრძოდნენ მაშინ არა თავიანთი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, არამედ ერთად მთლიანად შერევისა და შერწყმისათვის. ისინი მიესალმებოდნენ ასიმილაციას როგორც ჩაკეტილიდან დიდი სოციუმის არენაზე გამოსვლის საშუალებას.

ევროპაში ნაციონალური სახელმწიფოებრიობის (ინსტიტუტების გაფურჩქვნის ეპოქა მოდის 1871-1914 წლებზე, როდესაც კონტინენტზე განთავსდნენ სტაბილური პოლიტიკური წარმონაქმნები, რომლებიც ეფუძნებოდნენ სუვერენიტეტის კონცეფციას, ერთიან კანონმდებლობას, კანონის მიმართ ყველას თანაბრობას, ურთიერთ აღიარებასა და ცნობას. ეს პრინციპები არ ვრცელდებოდა არაევროპულ ტერიტორიებზე. პირიქით, ნაციონალური სახელმწიფოთა გაფურჩქვნა ევროპაში დაემთხვა აზიისა და აფრიკის ტერიტორიებზე იმპერიების შექმნას. ევროპული სახელმწიფოების მიერ დასავლეთის ცივილიზაციის არეალის გარეთ ტერიტორიული ექსპანსია იდეოლოგიურად საბუთდებოდა როგორც მათი „ცივილიზატორული მისია. ქონდათ რა წინააღმდეგობები „არაციველიზებული ქვეყნების" ერთმანეთს შორის განაწილებაზე, ისინი ამავე დროს სოლიდარულად გამოდიოდნენ თავიანთი უფლებე-

ბის დასაცავად არაევროპული მსოფლიოს „ასათვისებლად“ (აფრიკის თაობაზე ბერლინის კონფერენცია, ჩინეთში ერთობლივი ინტერვენცია).

ამ პერიოდში ევროპის ტერიტორიაზე ყველაზე უფრო მაღალ დონეზე იყო უზრუნველყოფილი წონასწორობა სახელმწიფო საზღვრებს შორის და სოციუმების რეალური ინტერესების თანასწორობა (რომლებიც მოთავსებული იყვნენ ამ საზღვრებში). ამავე დროს ნაციონალური სახელმწიფოს აყვავების პერიოდი დასავლეთის ცივილიზაციის არეალში არ ითვლება სახელმწიფო საზღვრების ეთნიკური ხასიათის ხალხების განსახლების საზღვრებთან მაქსიმალურად თანხვედრის პერიოდად. მთელმა რიგმა ევროპულმა ხალხებმა იმ დროში ჯერ კიდევ ვერ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება.

პირიქით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ნაციონალური სახელმწიფოებრიობის პრინციპმა ფორმალურად გაიმარჯვა. ნაციონალური მოძრაობები, რომლებიც ფესვებით XIX საუკუნეში გადადიოდნენ, წარმატებით დამთავრდნენ, რაც განმტკიცებული იქნა ვერსალის სისტემის ჩარჩოებში. მაგრამ ნაციონალური სახელმწიფოს ინსტიტუტი სინამდვილეში კრიზისის ფაზაში შევიდა. ეკონომიკური კატაკლიზმები, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, დემოკრატიული მექანიზმების ეროზია, ომის შემდგომ პერიოდში ტოტალიტარული და ავტორიტარული ტენდენციების ზრდა ადასტურებდა ამ ინსტიტუტის უუნარობას გადაეწყვიტა აღმოცენებული პრობლემები, შეემუშავებინა მყარი საზოგადოებრივი ხელშეკრულება და უზრუნველეყო ადამიანებისათვის ცხოვრების ნორმალური გარემო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ქვეყნებმა ამ კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებისას თავიანთი ძალისხმევა წარმართეს ორი მიმართულებით; ერთის მხრივ ისინი დადგნენ თანდათანობითი დაახლოებისა და ზეეროვნული ინსტიტუტის მშენებლობის გზაზე. ამასთან ეროვნული სუვერენიტეტის შეზღუდვა დაიწყო ეკონომიკური სფეროდან (საბაჟო კავშირის ფორმირება, საგადასახადო პოლიტიკის კოორდინაცია, სტრუქტურული რეგულირება). ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატებებს მოჰყვა პოლიტიკური დაახლოება. შედეგად 1993 წელს მივიღეთ ევროკავშირის შექმნა. სწორედ ამით რთულდება საზოგადოებრივი ხელშეკრულების სტრუქტურა, მას ეძლევა დამატებითი (ეროპული) განზომილება.

მეორეს მხრივ, ომის შემდეგ ძალისხმევა მიმართულ იქნა ნაციონალურ ჩარჩოებში დემოკრატიული მექანიზმების განმტკიცებისა და სრულყოფისაკენ, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მოსახლეობის რეალური გავლენის ამაღლებისაკენ, ეროვნული საზღვრების ფარგლებში სიმდიდრის გადანაწილების საქმეში კონსენსუსის მიღწევისათვის. შედეგად მთელ რიგ ქვეყნებს მიეცათ საშუალება მოეხდინათ „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ფორმირება, რომელმაც არა მარტო პირობები შექმნა ეკონომიკური განვითარებისათვის, არამედ აგრეთვე მთელ მოსახლეობას საშუალება შეუქმნა ესარგებლა მისი ნაყოფით.

რეგიონული ინტეგრაციისა და მსოფლიო ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის პროცესის მიმდინარეობის კვალობაზე იზრდებოდა კონფლიქტი ეროვნულ დემოკრატიასა და ზეეროვნულ ინსტიტუტებს შორის. კომპრომისი, რომელიც მიღწეული იყო 60-იან წლებში ლოზუნგით „მამულების ევროპა“, უკვე ვეღარ პასუხობდა ახალ ეკონომიკურ რეალიებს. ამავე დროს ზეეროვნული ინსტიტუტების, რომლებიც ევროპას ახალ რეალიებს უსადაგებდნენ, მოქალაქეების მიერ თავისი ნების გამოხატულების მხრივ მნიშვნელოვნად სუსტი იყო ეროვნულ ინსტიტუტებთან შედარებით. ინტეგრაციის გაღრმავების შედეგად არა მარტო დემოკრატიის ზოგიერთი მიღწევების გადასინჯვას აქვს ადგილი, არამედ აგრეთვე წაილეკება თვით მისი უწინდელი სუბიექტიც, ამასთან ახალი სუბიექტი უფრო ბუნდოვნად გამოიყურება.

კოლონიური იმპერიების დაცემის პროცესში მიუღებული იყო არაევროპულ ქვეყნებში ეროვნული ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების აღდგენის მცდელობები. მაგრამ უმეტესობაში ეს მცდელობა აღმოჩნდა უფრო ნაკლებად წარმატებული, ვიდრე ევროპაში. ეს აიხსნება როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების შინაგანი იმპულსების შედარებითი სისუსტით, ასევე შექმნილი გლობალური სამეურნეო სისტემით, რომელიც უკვე აღარ ტოვებდა წინანდელ სივრცეს ეროვნულ მეურნეობათა საკონსოლიდაციოაპოლიტიკური ზომებისათვის. ეკონომიკის სფეროში გლობალური მასშტაბით სახელმწიფოს შესაძლებლობები ასევე არსებითად შეზღუდულია. მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებები ეაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ, კაპიტალის მოძრაობის შესახებ, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების წესების შესახებ აწესებს ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მეტად მკაცრ ჩარჩოებს. განუსაზღვრელი ეროვნული სუვერენიტეტის კონცეფცია თანდათანობით უთმობს ადგილს ოთხწევრიან იერარქიას: გლობალური ზეეროვნული ინსტიტუტები – რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებები – ეროვნული სახელმწიფოები – სახელმწიფოებს შიგ-

ნით ავტონომიური ოლქები (რეგიონების როლის ამაღლება წარმოადგენს ევროკავშირის განვითარების კონცეფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს).

მზარდ ინტერნაციონალიზაციას პერსპექტივაში მივყევართ არა მარტო ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკურ შესაძლებლობათა შეზღუდვისაკენ, არამედ აგრეთვე მთლიანად ტერიტორიულ-პოლიტიკური სტრუქტურებისაც მთლიანად. საქონლის, მომსახურების, კაპიტალის თავისუფლად გადაადგილების, შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავების პირობებში ეროვნული საზღვრების ზევით ფორმირდებიან მეტ-ნაკლებად უფრო მყარი კვლავწარმოებლური კავშირები. წარსულში, როდესაც ჭარბობდა შრომის საერთო (დარგობრივი) საერთაშორისო დანაწილება, ეროვნული ეკონომიკის აბსტრაქციის გარკვეულ დონეზე შეეძლო ყოფილიყო სხვა ეროვნული მეურნეობის როგორც ერთიანი პარტნიორი, რომელიც ყიდდა ერთი დასახელების საქონლებსა და მომსახურებას და ყიდულობდა სხვაგვარს, სხვას. შრომის დეტალური და ტექნოლოგიური დანაწილების მნიშვნელობის ზრდის შესატყვისად აღნიშნული პარტნიორობა უკვე უფრო მეტ ხარისხში საჭიროებდა განხილვას და ისინი უკვე განიხილებოდნენ როგორც საწარმოო ერთეულების კონგლომერატი, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და რომლებიც ამასთან ერთად უცხოელ პარტნიორებთან ქმნიან ერთიან კვლავწარმოებრივ კომპლექსებს; პარალელურად განიხილებიან აგრეთვე აუტსაიდერები, რომლებიც ვერ ჩაერთენ კვლავწარმოებლივ კავშირებში თანამედროვე ტექნოლოგიურ დონეზე.

შედეგად მსოფლიო რუკაზე გამოჩნდნენ ეკონომიკური საზღვრები, რომლებიც არ ემთხვეოდა ეროვნულ საზღვრებს. ამასთან ძლიერდება საერთაშორისო კვლავწარმოებრივი კავშირების მოქნილობა. მსხვილი საწარმოები და აგრეთვე მყარი ტრანსნაციონალური კვლავწარმოებრივი კომპლექსები ერთიანდებიან „დროებითად", მაგრამ შედარებით უფრო მყარ წარმონაქმნებად, რომლებიც ხასიათდებიან ერთიანი საწარმოო ბაზით, მათ ფარგლებში ჩამოყალიბებული საქონლის უახლესი სახესხვაობების წარმოებისა და რეალიზაციის ერთიანი პროცესის ტექნოლოგიური და მეცნიერულ-ტექნიკური მთლიანობით (საერთაშორისო კონსორციუმები). მე-20 საუკუნისა 80-90 წლებში განვითარებულ ტრანსნაციონალური სტრატეგიული ალიანსების ფორმირებაზე, როგორც კონკრეტული ეპოქისა და გარემოს დამახასიათებელ ნიშან-თვისებაზე მიუთითებენ ბევრი ცნობილი მეცნიერები, მათ შორის ე. კოჩეტოვი, ა. მოვსესიანი, ს. ოგნივცევი და სხვანი.

კერძოდ, ე. კოჩეტოვის აზრით „კვლავწარმოებრივი ბირთვები ქმნიან პირობებს მთავრობების ფორმირებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებენ სახელმწიფოთაშორის საფუძველზე, მაგრამ ამ ბირთვების ფარგლებში. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ახალი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების ეკონომიკური საზღვრების კონტურების „პოლიტიზირების" კვალობაზე მოხდეს ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების აღმოცენება"[5] წარმოგვიდგენია, რომ შესაბამისი ბირთვების მოძრავი ხასიათი ნაკლებად სარწმუნოს გახდის სახელმწიფო საზღვრების ხელახლა გადაკეთებას და საერთაშორისო კონსორციუმების „გაელების სფეროების" სუვერენიზაციას. უფრო მეტად შეიძლება მოველოდეთ სპეციფიური ტრანსნაციონალური მაკოორდინირებელი ორგანოების შექმნას, რომლებიც იმოქმედებენ არა ეროვნულ მთავრობათა მაგივრად, არამედ მათთან ერთობლივად.

მიუხედავად ამისა პოლიტიკური სტრუქტურების იერარქიაში მსგავსი ელემენტის დანერგვა უფრო მეტად ასუსტებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, ვინაიდან საზოგადოებრივი ხელშეკრულების მოქმედების სფერო, რომლის პროდუქტსაც წარმოადგენს სახელმწიფო. ასეთი ხელშეკრულების საგანი უკვე ხდება სოციალური ნონასნორობისა და ცხოვრების ეროვნული წესის სპეციფიკურ თავისებურებათა მხარდაჭერის მექანიზმი. ამასთან გლობალიზაციის პირობებში შესაბამისი მექანიზმები უქმდებიან ან თანდათანობით კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. სახელმწიფოს ფუნქციები დაიყვანება კონკრეტულ ადგილობრივ პირობებში „თამაშის საერთო წესების" მხარდაჭერამდე. ეკონომიკის სფეროში მისი ძირითადი ამოცანაა – უზრუნველყოს სამეურნეო მექანიზმების „სამუშაო მდგომარეობა", რათა მსოფლიო სამეურნეო სისტემის მექანიზმებმა, რომლებიც იმყოფებიან ეროვნულ ტერიტორიებზე, შეძლონ ოპერატიულად აეწყონ ახლად ფორმირებად ტრანსნაციონალურ სტრუქტურებზე. ამის გარდა ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლისა და კულტურის უნივერსალური ნორმები სულ უფრო ხშირად განიხილება ეკონომიკური ეფექტიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის როგორც ერთადერთი გარანტია. ასეთ პირობებში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება განვითარებული ქვეყნების კავშირის პრეტენზიები „ცივილიზატორულ მისიაზე".

ამავე დროს ასეთი ტენდენციების მიმართ ოპოზიციური დამოკიდებულება არ უნდა იქნეს მიჩნეული როგორც გუშინდელი დღის ბრძოლა დღევანდელის წინააღმდეგ. თვით ეს ტენდენცია – თანამედროვე ეპოქის ტენდენციების ნაყოფი და ნაშიერია. თუ ავიღებთ პრობლემას თავის ეკონომიკურ ასპექტში, ტერიტორიულ-პოლიტიკური სტრუქტურების შესაძლებლობათა შეზღუდვა არ იწვევს სხვადასხვა

ტერიტორიებს შორის არსებული ეკონომიკური პირობების განსხვავების გამოთანაბრებას, როგორც ეს, კლასიკური თეორიის თანახმად, იქნებოდა იდეალურ კონკურენციულ სივრცეში. როგორც მინიმუმი, ამას წარმოების სხვა ფაქტორებთან შედარებით ხელს უშლის მოსახლეობის შეზღუდული მობილურობა. ამავე დროს ტერიტორიული სტრუქტურების მსგავსი შეზღუდვები იწვევს დამცველი მექანიზმების ნგრევას, რომლებიც აგებული იყო ადამიანების ტერიტორიულად შეზღუდული ერთობების მიერ, რათა დაებალანსებინათ გარე სამყაროსთან თავიანთი დამოკიდებულება. შედეგად, როგორც ა. ნეკლესა აღნიშნავს, ვითარდებიან ექსცენსიური ოპტიმიზაციური სქემები, რომლებიც ხელს უწყობენ მსოფლიოს გარემოს უთანასწორობიდან დამატებითი სარგებლის ამოღებას.

საერთო სოციოლოგიური თვალსაზრისით, ინდივიდუალიზაციის ზრდა აძლიერებს არსებული საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, სტიმულს აძლევს ადამიანს ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულებანი სასურველ საზოგადოებრივ წყობაზე. ადამიანი სულ უფრო ნაკლებად გრძნობს თავს ვალდებულად რაიმე გააკეთოს არა იმიტომ, რომ „ასეა მიღებული“, არამედ იმიტომაც, რომ „ასე პროგრესულია“. შედეგად ინდივიდუალიზაცია პარადოქსალური სახით იწვევს სხვადასხვა სახის ფუნდამენტალისტური მიმართულებათა გამოცოცხლებას, რომელთა საფუძველშიც დევს რესტავრაციული ტენდენციები, მისწრაფება მკაცრად მოახდინონ საზოგადოების ცხოვრების რეგლამენტირება გამომდინარე მოცემული ეთნოსის ისტორიული ტრადიციებიდან.

ფუნდამენტალიზმი არსებითად გამოდის როგორც უმცირესობების გამოხატვის ფორმა არა იმდენად ცხოვრების დონით, არამედ უფრო ცხოვრების ხარისხით, ყოფა-ცხოვრების სოციალური გარემოთი. ეს უფრო მეტად ცხოვრების წესის ძიების სიმპტომებია, ადამიანებისათვის უფრო კომფორტული ცხოვრების ძიებაა, ვიდრე ეხლაა ჩამოყალიბებული თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში. ამავე დროს მას არ ძალუძს მოგვცეს ადეკვატური პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც წარმოიშვებიან გაძლიერებადი ინდივიდუალიზაციის შედეგად, რამდენადაც მის საფუძველში დევს არჩევანის თავისუფლების უარყოფა. ადამიანი, რომელიც განეკუთვნება გარკვეულ ეროვნებას თავისი დაბადების თვით ფაქტის ძალით, ვალდებულია მიჰყვებოდეს მის მოთხოვნებს. ალტერნატივის იდეა გადადის და გადაიქცევა ტოტალიტარულ უტოპიად.

თანამედროვე ეპოქამ შექმნა შესაბამისი წინამძღვრები ახალი ცივილიზაციური გამიჯვნისათვის, რომელიც არ ემთხვევა ტრადიციული ეთნოკონფესიონალურ საზღვრებს. ეს წინამძღვრები განისაზღვრება ჩვენს მიერ გადატანილი პროცესებით, რომელსაც მ. ჩეჩკოვი ახასიათებს როგორც „კაცობრიობის უდიდეს დაბრუნებად ისტორიიდან ევოლუციაში“[6].

საზოგადოების მთელი წარსული ისტორიისათვის დამახასიათებელი იყო, ერთის მხრივ, პლანეტის რესურსების შედარებითი სიუხვე, რაც საკმარისი იყო კაცობრიობის არსებობისათვის, ხოლო მეორეს მხრივ – საკმარისი უცვლელობა ადამიანის ბიოლოგიური გარეგნობის, ადამიანი სრულყოფდა არსებობისათვის საჭირო საშუალებების წარმოების წესებს, ახდენდა ცხოვრების საშუალებების ტრანსფორმირებას, ხოლო თვითონ თავისი ბიოფსიქიკური ბუნებით რჩებოდა იმავე არსებად. ამასთან, ადამიანების გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა სრულყოფამ შექმნა პირობები მოსახლეობის რიცხოვნების გაზრდისათვის, რაც შეიძლება განხილული იქნას როგორც პროგრესის ერთად-ერთი ობიექტური (არაიდეოლოგიური) კრიტერიუმი.

ამჟამად სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ერთის მხრივ პლანეტის ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტის შიგნით ჭარბობს იმის რწმენა, რომ დედამინის მოსახლეობის რიცხოვნობა უახლოვდება მისი დემოგრაფიული ტევადობის ზღვრულ დონეს. მდგრადი განვითარების კონცეფცია ორიენტირებულია მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის შეკავებაში, რაც ეჭვს ქვეშ აყენებს ტრადიციული სოციალურ მეცნიერებათა პროგრესისტულ პარადიგმების მორალურ საფუძვლებს: არ უნდა იყოს ჰუმანური უარის თქმა ამ ქვეყნად მოვლენაზე იმ მოტივით, რათა სხვებმა შეძლონ უფრო მოხერხებული მოწყობა. ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე ბიოინუნერია მჭიდროდ მიუახლოვდა იმ ზღვარს, რომლის იქითაც შესაძლებელია თვით ადამიანური ბუნების პრინციპული გადაკეთება.

კაცობრიობის წინაშე გადასაწყვეტად წარმოიჩინდებიან ისეთი საკითხები, როგორიცაა ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა (მოსახლეობის რიცხოვნობის შეზღუდვა ან მოხმარების შეზღუდვა), ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებაში ჩარევის ესა თუ ის ფორმა. ამ კითხვებზე პასუხი არ შეიძლება იყოს „პრაგმატიული“ (ვინრო „პრაგმატიზმი“ აქ „პრაქტიკულად“ თანასწორია იმ ადამიანის, რომელიც წვავს თავის სახლს, რათა გათბეს) – ის თხოულობს ფასობრივ თვითგანსაზღვრას. შემთხვევითი არ არის, რომ გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპს წინ უძღოდა 50-70-იან წლებში გაერცელებული „დეიდეოლოგიზაციის“ კონცეფციის კრახი, „იდეოლოგიის დასასრული“, რომელიც ითვალისწინებდა სოციალური სისტემის კონვერგენციას „მეცნიერული

მართვის“ საფუძველზე, „პრობლემების პრაგმატულ გადაწყვეტას“. მანამ ვიდრე „გადაწყვეტდე პრობლემას“, საჭიროა განსაზღვრო თვით პრობლემის ხასიათი, რისი გულისათვის უნდა იქნეს ის გადაწყვეტილი და რა ფასი უნდა იქნეს გადახდილი მის გადაწყვეტაში.

ბუნებრივია, არის პრობლემები, რომლებიც ფაქტიურად არჩევანს არ ტოვებენ მათი გადაწყვეტისას (როდესაც საკითხი ეხება ადამიანისა და საზოგადოების სიცოცხლის საშიშროებას). მაგრამ ასეთი პრობლემის თვით აღმოცენებაც ადასტურებს და მიუთითებს განვითარების დაბალ დონეს, ან კიდევ მართვაში დაშვებულ შეცდომაზე. როგორც კი სიცოცხლის საფრთხე ლიკვიდირებულ იქნება, მაშინვე თავის უფლებებში შედის არჩევანის თავისუფლება. მეცნიერებას და ტექნოლოგიას შეუძლიათ განსაზღვრონ მხოლოდ მიზნების მიღწევის მეთოდები, მაგრამ არა თვით მიზანი. ამიტომ იდეოლოგია რჩება საზოგადოებრივი შეგნების აუცილებელ კომპონენტად. არ შეიძლება მისი მეცნიერებით შეცვლა, რადგანაც ისინი ასრულებენ განსხვავებულ ფუნქციებს. უფრო მეტიც – იმის კვალობაზე, თუ როგორ მცირდება წინააღმდეგობათა რაოდენობა, რომლებიც დგება მეცნიერული გამოკვლევის გზაზე ამა თუ იმ იდეოლოგიური მოსაზრებებით, სულ უფრო თვალსათლი ხდება, რომ მეცნიერული ცოდნების ერთი და იმავე ერთობლიობის აღიარება შეიძლება ადვილად შეეხამოს პრინციპულად განსხვავებულ იდეოლოგიებს.

ამავე დროს პასუხები კითხვებზე, რომლებიც წარმოიშვებიან „კატაბრიობის ევოლუციაში დაბრუნების“ ეტაპზე, არ შეიძლება გამოვიყვანოთ ტრადიციული იდეოლოგიებისაგან. ამ კითხვებისადმი ამგვარი ან სხვაგვარი დამოკიდებულება არ ეწერება „კაპიტალიზმ-სოციალიზმის“, „მატერიალიზმ-იდეალიზმის“, „ლიბერალიზმ-დირიჟიზმის“, „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ და თვით „რელიგია-მეცნიერების“ ოპოზიციის ურთიერთდაპირისპირებაში ან კიდევ რაციონალიზმ-სულიერების დაპირისპირებაში. ადამიანების ახლად წარმოშობილ პრობლემებში თვითგამორკვევის კვალობაზე ტრადიციული იდეოლოგიური და თვით ცივილიზაციური გაერთიანებებიც კი გათიშულები აღმოჩნდებიან. სავარაუდოა, რომ ჩვენ გველოდება ახალი ცივილიზებული საზოგადოებების ფორმირება, როგორც წინანდელი ეთნიკურ, რეგიონულ, კონფესიონულ ერთიანობათა ტრანსფორმაციის შედეგი. აგრეთვე პრინციპულად ახალ გაერთიანებათა ჩასახვის დახასიათებით ასეთი ახალი გაერთიანებათა წარმოშობის მექანიზმი მოცემულია ლ. გუმილევის მიერ მის ენთოგენეზის თეორიაში. თანამოაზრეთა ჯგუფიდან აღმოცენდებიან კონსორციუმები – „ადამიანთა ჯგუფები“, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთიანი ისტორიული ბედით“, რომლებიც დროთა განმავლობაში ან მოისპობიან, ან გადაიზრდებიან კონვიქსიაში – „ადამიანების ჯგუფურად ერთნაირი ყოფითა და ოჯახური კავშირებით“.

შემდგომი განვითარება არსებითად განსხვავდება პროცესისაგან, რომელიც აღწერილია ლ. გუმილევის მიერ ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. ეთნოგენეზის თეორია გამოდის ეთნოსის შესახებ ისეთი წარმოდგენისაგან, რომ ის არის ადამიანების გაერთიანების მნიშვნელოვანი ფორმა და ეთნოსს უწყვეტი კავშირი აქვს ბუნებრივ ლანდშაფტთან. ამ თეორიის თანახმად კონვიქსია ვითარდება სუბეთნოსში, რომელიც ან რჩება ეთნიკური სისტემის ელემენტად, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ლანდშაფტისათვის, ან კიდევ გარდაიქმნება (გადაიცევა) ახალ ეთნოსად.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში ადამიანის კავშირი ბუნებრივ გარემოსთან არსებითად შესუსტებულია. მას უწევს ისეთ გარემოში ყოფნა, რომლის ხასიათიც განისაზღვრება ტექნოლოგიური განვითარების დონით. ტრანსნაციონალური ტექნოლოგიების სისტემათა ყოველმხრივი არსებობის პირობებში ხდება ამ გარემოს არა მხოლოდ საერთო უნიფიკაცია, არამედ აგრეთვე ცალკეული მისი ნაირსახეობის გავრცელება სახელმწიფოებრივ, ეთნიკურ და კონფესიონალურ საზღვრებს ზემოთაც. ასეთ პირობებში ლაპარაკი შეიძლება შეეხოს ადამიანების ახალი ერთობის არა ლანდშაფტისადმი ადაპტაციას, არამედ ტრანსნაციონალიზებულ ტექნოლოგიურ გარემოში გარკვეულ სოციალურ ნიშასთან ადაპტაციას; ხოლო განვითარების შემდგომი ეტაპი შეიძლება იყოს არა სუბეთნოსი, არამედ ექსტერიტორიული ერთობა. არ შეიძლება გამოირიცხოს ისიც, რომ ტრანსნაციონალიზებული ტექნოლოგიური გარემო განვითარდება სხვადასხვა მიმართულებებში, პრიორიტეტების, ორგანიზატორებისა და პროცესის მონაწილეთა გათვალისწინებით.

როგორ უნდა განთავსდნენ ის საზოგადოებები, რომლებმაც მოიპოვეს გარკვეული პრიორიტეტები? ალბათ, ადამიანების კონსოლიდაციის საშუალებით, რომელთათვის ეს პრიორიტეტები გამომდინარეობენ მათი ცხოვრების წესიდან ან მათ მიერ განაწილებული ფასეულობებიდან. შესაბამისად საზოგადოებისათვის მიკუთვნების კრიტერიუმად შეიძლება განიხილებოდეს მისი მზადყოფნა დაიცვას ის ნორმები, რომელიც აღიარებულია ამ მოცემული საზოგადოების მიერ, და ამით მონაწილეობა მიიღოს მისთვის ყველაზე უფრო მისაღები ცხოვრების სოციალური გარემოს შექმნაში და მხარდაჭერაში.

ამჟამად გაბატონებული კონცეფცია იქიდან გამოდის, რომ საზოგადოება არანაირი სახით არ

უნდა აწესებდეს თავისი წევრების ცხოვრებისეულ ორიენტირებს. მისი ერთადერთი მოვალეობაა – უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვის გარანტია. ამასთან „ადამიანის უფლებების" თვით შინაარსის გაგების კონკრეტიზაციისას ის შეიძლება ისეთნაირად იქნეს ფორმულირებული, რომ მის უზრუნველყოფას შეძლებს მხოლოდ განსაზღვრული საზოგადოებრივი მოწყობა. ასეთნაირ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია საკითხი, თუ „ვის აქვს მორალური და იურიდიული უფლება შეადგინოს ასეთი უფლებების ჩამონათვალი?"[8]

ადამიანის უფლებების აღიარების შემდეგ ლოგიკურად უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯი – აღიარებულ იქნას მისი უფლება ცხოვრების სოციალურ გარემოზე, რომელიც უზრუნველყოფს ასეთ უფლებებს (წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის მნიშვნელოვან უფლებათა აღიარება იმაზე მეტი არ ეღირება, ვიდრე თევზის უფლების აღიარება იცხოვროს მშრალ ადგილზე). მაგრამ ცხოვრების ასეთი გარემოს ფუნქციონირების ლოგიკამ შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი სხვა უფლებების შეზღუდვა, რასაც შეიძლება არ დაეთანხმონ ადამიანები. შეიძლება მოველოდეთ, რომ შედგეს პრიორიტეტულ უფლებათა განსხვავებული სიები, რომლებსაც გარდუვალად თან ეხლება აკრძალვებისა და შეზღუდვების ჩამონათვალიც (აუცილებელი, რათა გარანტირებული იქნეს ეს უფლებები). სწორედ ამით შეიძლება დაიდოს სხვადასხვაგვარი სახის საზოგადოებრივი ხელშეკრულებები, რომლებიც გახდებიან მომავლის სხვადასხვა ცივილიზაციების საფუძველი. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე წამოიწევა ადამიანის ნებაყოფილებით მონაწილეობის პრობლემები ცივილიზაციურ გაერთიანებაში და პლანეტის შეზღუდული რესურსების ასეთ გაერთიანებებს შორის განაწილების პრობლემა, დღის წესრიგში დგება საკითხი ცივილიზაციათაშორის უფლების შესახებ, რომელიც საშუალებას შექმნიდა უზრუნველყოფილიყო არა მარტო სხვადასხვა ცივილიზაციების თანაარსებობა, არამედ აგრეთვე მათი ჩართვა მსოფლიოს ერთიან მეურნეობაში.

ამრიგად, მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება ქმნის წინაპირობებს, ერთის მხრივ, გამსხვილებული რეგიონული გაერთიანებების, ხოლო მეორეს მხრივ – გლობალური ექსტერიტორიული საზოგადოებების ფორმირებისათვის. თუ პირველი ზემოთაღწერილი ოთხწევრიანი იერარქიის ტერიტორიული საზოგადოების ადგილი მაინც შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, სამაგიეროდ მეორეს შესახებ – კითხვები მნიშვნელოვნად ბევრია. ძნელი სათქმელია, იქნებიან თუ არა ისინი უპირატესად ნეიტრალურნი საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის მიმართ, თუ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ჩარჩოებში (ფარგლებში) თავისთვის მოიაზრებენ გარკვეულ ადგილს (ეს ბოლო მოსაზრება უფრო სავარაუდოა).

როგორი შეიძლება იყოს შესაბამისი ცივილიზაციური გაერთიანებების ეროვნულ სახელმწიფოებთან თანაფარდობა? მანამ, ვიდრე ეს გაერთიანებები ვითარდებიან ეროვნული სახელმწიფოების ჩარჩოებში, მათი აღიარება სუბსიდიანობის პრინციპის საფუძველზე შეიძლება შეთავსებული იქნეს ერთიანი საერთოეროვნული კანონმდებლობით. მოცემული პრინციპი, რომელიც დაფიქსირებულია ევროკავშირის შესახებ მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებაში, ანესებს ეროვნულ სახელმწიფოებსა და რეგიონულ ინტეგრაციულ გაერთიანებებს შორის უფლებამოსილებათა განაწილებას, მაგრამ ამასთან არ შეიძლება იმის გამორიცხვაც, რომ მომავალში იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე ზემოთაღწერილი ოთხწევრიანი იერარქიის დაბალ საფეხურებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების დროს.

თუ კი გაერთიანებები გადიან ტრანსნაციონალურ დონეზე, მაშინ გარდაუვალი ხდება პარტნიორული ურთიერთობების დალაგება-მოწესრიგება მათსა და სახელმწიფოებს შორის ერთიანი გლობალური სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში. ასეთ პირობებში როგორ ტრანსფორმირდება ეროვნული სუვერენიტეტი, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. მაგრამ ამასთან უკვე დღესვე აუცილებელია მივუთითოთ ერთ საშიშროებაზე. ახალი ცივილიზაციური საზოგადოებების წარმოშობა და განვითარება საშიშროებას ქმნის ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ფუნდამენტალური ფასეულებისათვის – მოქალაქეობრივი თანასწორობისათვის, რამდენადაც ის პირები, რომლებიც შეიდნენ მძლავრ და ორგანიზებულ გაერთიანებებში, უპირატესობას იღებენ იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც არ არიან ჩართული ასეთ გაერთიანებებში ან რომლებიც განკუთვნებიან შედარებით სუსტ ერთობებს. ამიტომ იმ ადამიანების წარმომადგენლობა და ინტერესების დაცვა, რომლებიც არ არიან შესული ასეთ გაერთიანებებში, ხდება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია.

პერსპექტივაში ეროვნული სახელმწიფოს როლის დასახულმა შემცირებამ შეიძლება მიგვიყვანოს იმ ქვეყნებში მისი განმტკიცებისა და განვითარების უაზრობის იდეამდე, სადაც და, რომელ ქვეყნებშიც სახელმწიფოებრიობამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სიმწიფის ფაზას. ამასთან ერთად, ჩვენის აზრით, ასეთი დასკვნის გაკეთება მაინც შეცდომა იქნებოდა. ცივილიზებულ საზოგადოებათა აშენება – თუ

ასწლიანი საკითხი არ არის (მსოფლიო ისტორიის დაჩქარებული ტემპების გათვალისწინებით), თუნდაც ათწლეულებსაც არ შეუძლიათ შეცვალონ სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც განუწყვეტლივ უზრუნველყოფს ყველას თანასწორობას კანონის წინაშე და პასუხისმგებელია თითოეული მოქალაქის საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის პირობების შექმნისათვის. სახელმწიფოს მიერ ამ ფუნქციების შესრულებაზე უარის თქმა გამოიწვევს მოსახლეობის უდიდესი მასის ამოვარდნას როგორც მსოფლიო სამეურნეო სისტემიდან, ასევე სამოქალაქო პოლიტიკურ ურთიერთობებიდანაც. შესაბამისად ორგანიზებულ ახალ გაერთიანებებში უმრავლესობა (ან შთაგონებული უმცირესობა) შეძლებდა გადაეწყვიტა გლობალური პრობლემები მსგავსი „აუტსაიდერების" ხარჯზე.

თანამედროვე სიტუაცია გვკარნახობს სახელმწიფო ნაციონალური და რეგიონული პოლიტიკის პრინციპების ორგანულ მთლიანობაში განხილვის აუცილებლობას. ეროვნული და რეგიონული რეგულირების ღონისძიებების ერთმანეთთან შეხამება-შეთავსება მიჩნეული, აღიარებული უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფედერაციული ტიპის მოდელად, რომელიც მოახდენს ქვეყნის ტერიტორიული და ეროვნული საწყისების ინტეგრირებას.

ეროვნული და რეგიონული პრობლემის გამწვავების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტისადმი სახელმწიფოს კომპლექსური, სისტემური მიდგომის უქონლობაა. აუცილებელია მკაფიოდ გამოიკვეთოს და განისაზღვროს სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა (და არა მარტო მისი კონცეფცია) რეგიონულ პოლიტიკასთან მიმართებით. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე უნდა მოხდეს სახელმწიფოს პრიორიტეტებისა და ინტერესების დაზუსტება თითოეული რეგიონის მიხედვით (ფედერაციის სუბიექტების ჩათვლით, რომლებიც პრობლემურნი არიან ნაციონალურ-რეგიონული კონფლიქტების თვალსაზრისით).

თანამედროვე ეროვნული და რეგიონული საკითხების რეალიზაციისადმი სახელმწიფოს მიდგომებში სახეზეა სერიოზული ხარვეზები და უყურადღებობები, რომლებიც განსაკუთრებით ვლინდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების არასრულყოფილებაში და ზოგჯერ ქვეყნის კონსტიტუციისადმი და მთლიანად საქართველოს კანონმდებლობასთან შეუხამებლობაში, ხელისუფლების, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოებისა და მართვის სტრუქტურების მიერ მიღებული კანონებისა და სამართლებრივი აქტების დარღვევებში; ტერიტორიის სტატუსის ცალმხრივად შეცვლის განხორციელებაში (აფხაზეთი, სამაჩაბლო); ბოლო წლების ნაციონალური კონფლიქტების ცალკეულ გამოვლინებებში.

ეროვნული პოლიტიკა დღევანდელ პირობებში მიმართული უნდა იყოს მთელი რიგი სხვა პრობლემების გადაწყვეტაზეც, რომელთა შორისაა – ქართველების ეროვნული იდენტურობის მოძიება და განვითარება, ჩვენი თანამემამულეთა მდგომარეობა საზღვარგარეთ.

ეროვნული პრობლემისადმი ყურადღების გაძლიერება, როგორც შედეგი, შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით რეგიონული რეგულირების მეთოდებისადმი, როგორც ზოგიერთი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს (რუსეთისა ჩეჩნეთის მიმართ), ყოველთვის არ იძლევა შესაბამის სასურველ დადებით შედეგს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. უფრო მეტიც, შექმნილი სიტუაციები ზოგჯერ ახალი ძალით ავლენენ როგორც მიმდინარე, ასევე სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტის არატრადიციული გზების ძიების მძაფრი მოთხოვნისა და საჭიროების აუცილებლობას; ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის ისეთი კონკრეტული ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას, რომლებიც ხელს შეუწყობენ არა მხოლოდ მდგომარეობისა და სიტუაციის ოპერატიულ ნორმალიზაციას, არამედ აგრეთვე სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესის აქტივიზაციას, ფედერაციული ურთიერთობების ოპტიმიზაციას.

ისეთ მრავალეთნიკურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ფედერაციული და ეროვნებათაშორისი ურთიერთობათა განვითარების ნორმალიზაცია – ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის უდიდესი კაპიტალტევადობა გვკარნახობს მოქნილი, წინასწარ დაგეგმილი და გააზრებული მიდგომების აუცილებლობას, და არა რეგიონული და ეროვნებათაშორის უთანხმოებების შედეგებზე „ფაქტის" მიხედვით რეაგირებას.

ყველა დონის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოღვაწეებს არ ძალუძთ სრულად შეიგრძნონ და გაითავისონ, რომ ამ საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებელია პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსი, რომ როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ დარჩნენ სპეკულაციისა და პარტიათა-შორის ბრძოლის საგნად. საჭიროა ურთიერთპატივისცემა და ხელისუფლების ყველა დონის უფლებათა აღიარება, ურთიერთბრალდებებიდან კონსტრუქციულ დიალოგზე გადასვლა.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა-შენარჩუნება და განმტკიცე-

ბა გულისხმობს ეკონომიკაში ფედერაციულ ურთიერთობათა აგების კონსტიტუციური პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებას, სახელისუფლებო-აღმასრულებელი ვერტიკალის ერთიანობის განმტკიცებას, ხელისუფლების ყველა დონის პასუხისმგებლობის ამაღლებას მათდამი მიკუთვნებული საშემსრულებლო ფუნქციების რეალიზაციისათვის.

ამასთან ეკონომიკური ფედერალიზმის აგების პროცესში, მათ შორის ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგების მსვლელობისას, არცთუ ისე მცირე წინააღმდეგობები წარმოჩინდება. რეგიონები, მათ შორის ფედერალური ბიუჯეტის დონორები, არაერთხელ გამოთქვამენ ცენტრალური მთავრობის მიმართ შენიშვნებსა და უკმაყოფილებას მიღებული საბიუჯეტო გადაწყვეტილებათა არასაკმარისად შეთანხმებულობისა და რეალობის თაობაზე, რეგიონების უფლებების უგულვებელყოფაზე და შელახვაზე, მათი ბიუჯეტების შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის თანხების ცალმხრივი წესით ამოღებაზე.

საბიუჯეტო ფედერალიზმის არსებული მოდელის ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი მხარეა საბიუჯეტო სისტემის მკვეთრი (მწვავე) ვერტიკალური დაუბალანსებლობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ფაქტიურად ჩამოყალიბებული ხარჯები არ შეესაბამებიან მათი ფედერაციული უზრუნველყოფის მონაცემებს.

საბიუჯეტო სისტემის ფედერაციულ დონეზე ხარჯვითი დატვირთვის ზრდა იწვევს ამ სისტემის რგოლებს შორის სახსრების გადანაწილების საჭიროებას, იწვევს შემხვედრი ფინანსური ნაკადების შექმნას, ქმნის ტერიტორიული ბიუჯეტების ხელოვნურ დოტაციურობას და ზრდის ფინანსური მხარდაჭერის მიმღები რეგიონების რიცხოვნობის ზრდას. ამასთან დაკავშირებით ლაპარაკია არა მარტო აუცილებელი შეთანხმების მიღწევაზე ცენტრსა და რეგიონებს შორის (ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად), არამედ აგრეთვე თვით მიდგომის შეცვლაზეც: ახალი მასტიმულირებელი ბიუჯეტთაშორისი პოლიტიკის ფორმირებაზე, რომელიც პერსპექტიულია როგორც დონორი ტერიტორიებისათვის, ასევე რეგიონებ-რეციპიენტებისათვისაც.

ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის დაურეგულირებლობა ნეგატიურად აისახება აგრეთვე ბუნებათსარგებლობის ეფექტურობაზეც. ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით შემოსავლების მობილიზაციისა და მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისაგან მიღებული სახსრების გონივრული კონცენტრაცია.

ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების მთავარ მიმართულებად და ღონისძიებად მიგვაჩნია:

1) კომპლექსური სისტემური მიდგომის შემუშავება, დაბალანსებული ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც პასუხობს ქვეყნის სუბიექტებისა და მათი მოსახლეობის როგორც ტაქტიკურ, ასევე სტრატეგიულ ინტერესებს, მათ შორის მთლიანად საქართველოს გეოპოლიტიკურ ინტერესებს;

2) საზოგადოებაში ეროვნებათაშორისი შუღლის არდაშვება, რაც ახალგაზრდა ქართული დემოკრატიისათვის იქნებოდა არასასურველი და სერიოზული უკანდახევის მომასწავებელი. საჭიროა თავიდან ავიცილოთ საქართველოს მოსახლეობის მტრული განწყობა იმ რეგიონების მიმართ, რომლებიც ჩართული არიან ეროვნებათაშორის და რეგიონულ კონფლიქტებში, აგრეთვე მათი შესაბამისი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყველა ძალისხმევა ცენტრში და ადგილებზე უნდა გაერთიანებულად იქნას მიმართული საზოგადოებაში მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად. უსაფრთხოების აუცილებელი ოპერატიული ღონისძიებების მიღებასთან ერთად მიღწეული უნდა იქნეს ეროვნულ საფუძველზე ცალკეული ისტერიების გამორიცხვა და არ დაშვება;

3) ეროვნებათაშორისი და რეგიონული კონფლიქტების თავიდან აცილება ანუ მათი ძალადობრივი ფორმის კონსტიტუციურ მოლაპარაკებით ფორმაში ტრანსფორმაცია; სახელმწიფოს დონეზე ასეთი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და ნინასწარ განჭვრეტის მიზნით ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც ასევე უზრუნველყოფს აღნიშნულ კონფლიქტებთან დაკავშირებულ კრიმინალური და ტერორისტული გამოვლინების, მასობრივი უწესრიგობების თავიდან აცილებას; ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მიერ ქვეყნის სუბიექტების ხელმძღვანელებთან და ქალაქების მერებთან ერთობლივად ანტიტერორისტული ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც (ე.ი. ეს ღონისძიებები) აუცილებლივ უნდა მოიცავდნენ როგორც ცენტრის კომპეტენციაში შემავალ ზომებს (მათ შორის ძალოვანი აქციების ჩათვლით), ასევე ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების ძალისხმევას (მათ შორის პროფილაქტიკური ხასიათის);

4) სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის აქტივიზაცია ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთქმედებებში, საგარეო საფრთხისა და მუქარის თავიდან აცილების საქმეში, ტერორიზმთან ბრძოლაში;

5) დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართოდ ჩართვა ეროვნებათაშორის და რეგიონული კონფლიქტების დარეგულირების საქმიანობაში; განსაკუთრებით მათი ურთიერთობის გასააქტიურებლად პრობლემური რეგიონების მოსაზღვრე ხალხებთან მათი კონფლიქტებში არ ჩართვის მიზნით და გარანტიების მისაღებად არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებების დაფინანსებაში თავის შეკავებისათვის და ა.შ.

ზემოთაღნიშნულ ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1) არსებითად გაფართოვდეს ეკონომიკური მექანიზმების გამოყენება, რამეთუ, მათ გამოყენებას შეუძლია ბუნებრივი გზით გააძლიეროს სახელმწიფოში ცენტრისკენული ტენდენციები, გააძლიეროს ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის ერთიანობა (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულების სპეციფიკის მიუხედავად).

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა გაძლიერდეს და დაჩქარდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოების მიერ სუბიექტების აღმასრულებელი ორგანოებისათვის ოპერატიულ-აღმასრულებელი ხასიათის საკითხების ერთობლივად წარმართვის გადაცემის პროცესი; ერთდროულად კანონმდებლობით უნდა იქნეს მიბმული მათზე ფინანსური წყაროები და განისაზღვროს სუბიექტების პასუხისმგებლობა მათზე გადაცემული უფლებამოსილების ეფექტიანად გამოყენებაზე.

ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი უნდა გახდეს საბიუჯეტო ფედერალიზმი. საჭიროა უფრო გააქტიურდეს ცენტრისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის დიალოგი და თანამშრომლობა საბიუჯეტო პროცესის ფარგლებში; არ უნდა იქნას დაშვებული ისეთი ცალმხრივი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ფედერალიზმის საკანონმდებლო ნორმებსა და პრინციპებს; მიღებული იქნას ზომები საბიუჯეტშორისო მასტიმულირებელი პოლიტიკის ფორმირებისათვის. ბიუჯეტშორისი ურთიერთობების საკითხები უნდა წყდებოდეს საქართველოს მთავრობის დონეზე და არა ცალკეული სამინისტროების დონეზე.

უფრო არსებითად და უნარიანად უნდა იქნეს გამოყენებული ტერიტორიების განვითარების კომპლექსური პროგრამები, რომლებიც შემუშავებულ და რეალიზებული იქნებიან ფედერაციული ცენტრისა და რეგიონების ერთობლივი ძალისხმევით. ასევე გამოყენებულ უნდა იქნას ფედერალური მიზნობრივი პროგრამების განხორციელების პრაქტიკა. ეს უკანასკნელნი მიმართული უნდა იყვნენ სხვადასხვა დარგებში და წარმოებებში, სოციალურ სფეროში კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

სახელმწიფოს როლი უნდა ვლინდებოდეს არა იმდენად რეგიონების პირდაპირ ინვესტირებაში, რამდენადაც რეგიონული პოლიტიკის სახსრებითა და მეთოდებით კეთილმყოფელი კლიმატის შექმნაში იქ კერძო, არასაბიუჯეტო და სხვა ინვესტორების მოზიდვისათვის.

ბუნებათსარგებლობის პრაქტიკა უნდა მოყვანილ იქნეს ქვეყნისა და მისი სუბიექტების მიერ ერთობლივად კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისობით გამოყენებაში; ამ პრინციპის საფუძველზე შემდგომ უნდა იქნეს რეფორმირებული ბუნებათსარგებლობაში პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები მათი ოპტიმიზაციის მისაღწევად. რამდენადაც ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს ყველა სუბიექტისა და მოსახლის კუთვნილებას, მათი გამოყენებისათვის გადახდილი თანხების ნაწილი უნდა გახდეს რეგიონების ფინანსური მხარდაჭერის ფედერაციული ფონდის ფორმირების წყარო; ამისათვის საჭიროა შესუსტდეს გადასახადების ფისკალური და გაძლიერდეს რენტული ხასიათი იმ გადასახადების მიმართ, რომლებიც გადაიხდება ბუნებრივი რესურსებითა და საბადოებით სარგებლობისათვის.

მნიშვნელოვანია აგრეთვე შემუშავებულ იქნეს თანამედროვე მიგრაციული პოლიტიკის საფუძვლები, რომელიც გაითვალისწინებს დევნილებისა და იძულებით გადაადგილებულთა მზარდ ნაკადებს კონფლიქტის ზონებიდან.

სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაგეგმვასა და პროგნოზირებას. აშკარაა, რომ ამ მიზნით აუცილებელია რეგიონებში მოწესრიგდეს ყოველმხრივი მონიტორინგის პრობლემაც, რაც საშუალებას შექმნის ვიმსჯელოთ ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული და ფსიქოლოგიური სიტუაციების შესახებ. პრევენტულ ღონისძიებათა სისტემა საშუალებას მოგვცემს შემცირებულ იქნას კონფლიქტების შემთხვევები და უთანხმოებანი, რომლებიც ოპერატიულ რეაგირებას საჭიროებენ.

პრობლემური ტერიტორიებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის ფუძემდებლურ პრინციპად უნდა იქცეს მოცემული კონკრეტული ტერიტორიის საბაზრო პერსპექტივის პროგნოზი და აგრეთვე მისი ადგილი და როლი შრომის საერთო საქვეყნო დანაწილებაში.

ეკონომიკური მონიტორინგის მონაცემებზე და რეგიონების პერსპექტივის განსაზღვრის მონაცემებზე დაყრდნობით უნდა ფორმირებულ იქნეს მათში საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური საფუძველი, ხელი უნდა შეეწყოს სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებას, მათ შორის უნდა ყოველმხრივ წახალისდეს მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე და საშუალო წარმოებების ხვედრითი წილის ზრდა პოზიტიურად მოქმედებს მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე, აფართოებს დასაქმების არეალს, ამაღლებს საქმიან აქტიურობას, ზრდის ტერიტორიების შემოსავლებს და ასუსტებს სოციალურ დაძაბულობას.

2) სრულეყოთ კანონმდებლობა რეგიონულ და ეროვნულ საკითხებში, ქვეყნის ფედერაციულად მოწყობის საკითხებში. არ შეიძლება ფედერაციის ზევიდან გადაკეთება, ამასთან ამის არ დაშვება უნდა გარანტირებულ იქნეს კანონმდებლობით.

ხელისუფლების ყველა შტოს აუცილებელია ქონდეს მყარი საკანონმდებლო საფუძველი ნებისმიერი რეგიონული და ეროვნული კონფლიქტების გადასაწყვეტად. უშტატო და გაუთვალისწინებელ რეგიონულ და ეროვნულ სიტუაციებზე რეაგირების კანონმდებლობით მიკუთვნებული ძირითადი პრინციპები შეამსუბუქებენ სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, გახდის მათ ნაკლებად სადაოს და უფრო ლეგიტიმურს, აგრეთვე უფრო მეტად ადეკვატურს, მათ შორის რეაგირების დროებითი პარამეტრების მიხედვითად.

სწორედ საკანონმდებლო ზომებით არის შესაძლებელი დასაშვებ ფარგლებში შენარჩუნებული იქნეს გარდაუვალი რეგიონული ასიმეტრია.

პირველი რიგის ღონისძიებების სახით აუცილებელია შემუშავებულ და მიღებულ იქნეს ფედერალური კანონები ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის შესახებ და მათი ფინანსური ბაზის თაობაზე, ფედერალური კანონმდებლობის საფუძვლები ფედერაციული ქვეყნისა და მისი სუბიექტების საგნების ერთობლივად მართვის (წარმართვის) თაობაზე.

3) განხილული იქნეს „მცირერიცხოვანი მკვიდრი" ხალხის რეგიონული პრობლემების გადაწყვეტაში უფრო ფართოდ ჩართვის შესაძლებლობის საკითხი; ჩატარებულ იქნეს არსებული იმ სახელმწიფო ინსტიტუტების რევიზია, რომლებიც ჩართული არიან ეროვნული და რეგიონული საკითხების გადაწყვეტაში.

# ლიტერატურა:


1. იხ. ჯ. ზარანდია, საქართველოს რეგიონული ეკონომიკის განვითარების აქტუალური საკითხები, თბ., 2002, გვ. 124-126.
2. დ. მოურავიძე, მთლიანი რეგიონული პროდუქტი: არსი და გაანგარიშების მეთოდოლოგია, „სოციალური ეკონომიკა“, 2003, №6, გვ. 17-27; მისივე, საქართველოს მთლიანი რეგიონული პროდუქტის გაზომვის/გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლები და მეთოდიკა, სეპსკი-ს ფონდი, ხელნაწერი, 2003, გვ. 83.
3. დ. მოურავიძე – რეგიონული განვითარების აქტუალური საკითხები. ესპსკი-ის შრომების კრებული ტომი I გვ. 514-532.
4. დ. მოურავიძე – რეგიონების ცნებისა და რეგიონული სტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოში. ესპკსი-ის შრომების კრებული ტომი IV გვ.
5. დ. მოურავიძე – რეგიონების ცნების შესახებ. ჯურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №3, 2004, გვ. 170-181
6. ნ. ჭითანავა – გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები III ნაწ. თბილისი, 2002, გვ. 164-184.
7. ნ. ჭითანავა – სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №2(14), 2005.
8. ეკონომიკური ლექსიკონი ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თბ.: თსუ-ს გამომცემლობა, 2001წ.
9. ჭითანავა ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები და ტენდენციები ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში, საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, შრომების კრებული, თბილისი – ბათუმი, 2001 წ. გვ. 14-15
10. მოურავიძე დ., საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები, საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, შრომების კრებული, ბათუმი-თბილისი, 2001.
11. აბრალავა ა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თბილისი, 2001.
12. ბარათაშვილი ე., ციმინტია კ., ზარანდია ჯ. ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2007, №5-6.
13. ბარათაშვილი ე., ციმინტია კ., ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციები. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2007, №7-9.
14. ბარათაშვილი ე., ძიძიკაშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ., ზარანდია ჯ., ციმინტია კ. კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკა“, 2008, №9. №10.
15. ბარათაშვილი ე., დანელია თ., ზარანდია ჯ. რეგიონის რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თბილისი, 2000.
16. ქარქაშაძე ნ., თოდუა ნ., მუშკუდიანი ა. „რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხი“. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2006, №4.
17. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. 1998, №9.
18. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2002 წლის ინდიკატური გეგმა.
19. ციმინტია კ., ხარჩილავა მ. ეკონომიკური ზრდის რესურსები და ფაქტორები საქართველოს რეგიონების აგრარულ სექტორში. თბილისი, 2005.
20. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი. თბილისი, 2001.
21. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაკროეკონომიკური დეტერმინანტები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტალური მიმოხილვა. დეკემბერი, 2005.
22. მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკატორი თბ., 2003.
23. ვ. ჯაოშვილი – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია.
24. ჟურნალი აუდიტი – აღრიცხვა – ფინანსები.
25. ეეშაპიძე შ.,ლეკაშვილი ე.,გრიშიკაშვილი ა.,ასლამაზაშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2008.
26. სტიგლიცი ჯ, “გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“ თბ., 2012.
27. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა., რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა.
28. აბრალავა ა., ბულია ლ., „რეგიონი და რეგიონული მაკროპროცესები გლობალიზაციის პირობებში“. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2009, №2.
29. ბარათაშვილი ე., კეკელია გ., რეგიონების სამეურნეო სპეციალიზაცია, როგორც მათი საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების საფუძველი, ჟურნალი „ეკონომიკა“ №9, 2004.

30. ბარათაშვილი ე., ალავიძე ზ., საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის ობიექტური მიზეზები და მათი გამოთანაბრების პრიორიტეტები, ჟურნალი „ეკონომიკა“ №12, 2004.
31. აბრალავა ა., „გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ“ (მონოგრაფია). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
32. აბრალავა ა., „გლობალიზაციის არსის გაგებისათვის“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2002, №6.
33. აბრალავა ა., „გლობალური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2002, №6.
34. აბრალავა ა., კვანტალიანი მ., „თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური ერთიანობა და წინააღმდეგობები“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა, 2003, №1.
35. აბრალავა ა., „ეკონომიკური გლობალიზაციის ზოგიერთი პოლიტიკური ასპექტები“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2003, №2.
36. აბრალავა ა., „გლობალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები არალიდერი ქვეყნებისათვის“. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2003, №3-4.
37. აბრალავა ა., „რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირები და ინტეგრაციული პროცესები“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2003.
38. აბრალავა ა., „ეკონომიკის ეროვნული საზღვრების პრობლემა“. ჟურნალი „მაცნე“, 2003, ტ. XI, №3.
39. აბრალავა ა., „ეროვნული ეკონომიკა“ (მონოგრაფია). თბ., „ინოვაცია“, 2005.
40. აბრალავა ა., „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სტრატეგია“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2006, №6.
41. აბრალავა ა., აბრალავა ნ., „მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირებისათვის“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2007, №5.
42. აბრალავა ა., ბულია ლ., „რეგიონი და რეგიონული მაკროპროცესები გლობალიზაციის პირობებში“. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2009, №2.
43. ბარათაშვილი ე., დანელია თ., ზარანდია ჯ., რეგიონის რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა საბაზრო პირობებში. თბ., 2000;
44. ბარათაშვილი ე., ნარსია ლ., ანჯაფარიძე ზ., საქართველოს გეოპოლიტიკური გარემო – შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ინტეგრირების განმსაზღვრელი ფაქტორი. თბ., 1999;
45. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., ჯანელიძე ნ., საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციები – მსოფლიო მეურნეობის ლიდერები. თბ., 2000;
46. ბარათაშვილი ნ., გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.: 2004;
47. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., ჯანელიძე ნ., ეკონომიკური განვითარების თანამედროვე თეორიები, გამომცემლობა „რუბიკონი“, 2000;
48. ბარათაშვილი ე., ბარათაშვილი თ., რეგიონის რესურსული პოტენციალის შეფასების საკითხისათვის, ჟურნალი „ეკონომიკა“, 2000;
49. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., ვეშაპიძე შ., განვითარების ეკონომიკა და ტექნოლოგიური პროგრესი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, 2001;
50. ბარათაშვილი ე., ქოქოსაძე ნ., „საინოვაციო საქმიანობის რეგიონული ასპექტები“, ჟურნალი „ინოვაცია“, 2003;
51. ბარათაშვილი ე., „საქართველოს რეგიონული განვითარების რეტროსპექტივა და პერსპექტივა“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელ. ეკონ. ინსტიტუტი, შრომების კრებული III ტომი, 2003;
52. ბარათაშვილი ე., სოლოლაშვილი დ., რეგიონული ლობიზმი და ინტერესთა სისტემა, ჟურნალი „ეკონომიკა“, №6, 2004;
53. ბარათაშვილი ე., კეკელია გ., რეგიონების სამეურნეო სპეციალიზაცია, როგორც მათი საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების საფუძველი, ჟურნალი „ეკონომიკა“ №9, 2004;
54. ბარათაშვილი ე., ალავიძე ზ., საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის ობიექტური მიზეზები და მათი გამოთანაბრების პრიორიტეტები, ჟურნალი „ეკონომიკა“ №12, 2004;
55. ბარათაშვილი ე., როინიშვილი გ., რეგიონული განვითარება: კონკურენტუნარიანობა და მარკეტინგი (ორგანიზაციული ასპექტი), ჟურნალი „ეკონომიკა“ №3, 2004;
56. ბარათაშვილი ე., რეგიონული განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირება, ჟურნალი „ეკონომიკა“ №3, 2004;
57. ბარათაშვილი ე., რეგიონის ცნების და მისი მეცნიერული კვლევის საგნის საკითხისათვის, ფინანსების სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტი, შრომების კრებული, ტომი VIII, 2005;
58. ბარათაშვილი ე., მინდორაშვილი ლ., ჩუხრიკიძე თ., განათლება – რეგიონის კონკურენტუნარიანობის სისტემაში, ჟურნალი „ეკონომიკა“ №9, 2006;

59. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., რეგიონული სოციალური და ეკონომიკური სტრატიფიკაცია, თბ.: ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №2, 2005;
60. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., რეგიონული მენეჯმენტისა და მარკეტინგის არსის შესახებ, თბ.: ჟურნალი „ეკონომიკა“ №1, 2006;
61. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., რეგიონული ეკონომიკური განვითარების შედარებითი ანალიზი საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკების მაგალითზე, თბ.: ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №1, 2007;
62. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., „საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა“. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2007.
63. ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები (მონოგრაფია), თბ., 2002;
64. ზარანდია ჯ., ბარათაშვილი ე., ინვესტიციური პოლიტიკა რეგიონულ დონეთა ჭრილში, თბ.: ჟურნალი „ეკონომიკა“, №9-12, 2000;
65. ზარანდია ჯ., საინვესტიციო მოთხოვნილება, როგორც რეგიონული განვითარების ფაქტორი, თბ.: ჟურნალი „სოც. ეკონომიკა", №6, 2001;
66. ზარანდია ჯ., სახელმწიფო რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებები, პოსტსოციალისტური ტრანსპორმაციის პირობებში, თბ.: ჟურნალი „სოც. ეკონომიკა", №2, 2003;
67. ზარანდია ჯ., რეგიონული ეკონომიკური განვითარების თეორიების გენეზისი, თბ.: ჟურნალი „სოც. ეკონომიკა“, №4, 2003;
68. ზარანდია ჯ., საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის გზები საქართველოში, თბ.: ჟურნალი „მაცნე“, №4, ტომი – XI, „მეცნიერება, 2003;
69. ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანად გამოყენების წინაპირობები, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", №3, 2003;
70. ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციები, მოსკოვი. ჟურნალი „მუნიციპალური ეკონომიკა“, №4, 2003;
71. ზარანდია ჯ., საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის რეგიონული პრობლემები, მონოგრაფია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004;
72. ზარანდია ჯ., სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმის საკითხისათვის, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", №2, 2004;
73. ზარანდია ჯ., ბობოხიძე ზ., რეგიონული კონკურენტუნარიანობა, თბ.: ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა, №5-6, 2005;
74. მალაშხია გ., საქართველოს ეკონომიკა – საუკუნოვანი პანორამის შტრიხები, თბ.; 2002;
75. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო., გადასახადები და დაბეგვრა, თბ.: ფსკი-ს გამომცემლობა, 2002;
76. მესხია ი. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის საკითხები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული. III ტ. 2003;
77. მოურავიძე დ., რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგულირების მეცნიერული საფუძვლების შესახებ: გამოცდილება, ამოცანები, მიმართულებები, თბ.: ესპსკი-ს შრომების კრებული, ტ. V, 2000;
78. პაპავა ვლ., საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი?, თბ., 2000;
79. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ.: „პდპ", 2002;
80. „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში", შრომების კრებული, ბათუმი-თბილისი, 2001;
81. ჩიხლაძე ნ., ქავჯაია ვ., ბიუჯეტების ჰარმონიზაციის პრობლემები სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკაში, ქუთაისი: „ქუთაისინფორმი", 2001;
82. ჩუბინიძე გ. „რეგიონული ეკონომიკა და მართვა“, ქუთაისი, შს „ქუთაისინფორმი", 2000;
83. ციმინტია კ. ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული ინდიკატორები და მისი უზრუნველყოფის პარამეტრები საქართველოში. ჟურ. „სოციალური ეკონომიკა", №4, 2004;
84. ციმინტია კ. წარმოების ზრდის რეზერვები საქართველოს რეგიონების აგრარულ სექტორში. „ესპსკი“ შრომების კრებული. ტ. VI. 2002;
85. ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება"), ნაწილი II, თბ.: გამომც. „ესპსკი", 1999;
86. ყუფუნია გ. „საქართველოს ეკონომიკა“. თბ.: „ცოდნა", 2006;
87. ს. იაკობიძე. „მოსახლეობის საარსებო მინიმუმი და რეალური მოხმარების დინამიკა საქართველოში“. ჟურნ. „მიკრო-მაკრო ეკონომიკა", №3, 2003, გვ. 36.
88. ი. კაკულია. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში,თბილისი,2001 წ.
89. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემთა ბაზა.

90. Hamilton F. E. I., Linge G. J. R (eds) Spatial Analysis, Industry and the Industrial Enviroitment. – Chichester, 1983. – Vol. 3.
91. Бутов В. И., Игнатов В. Г., Кетова Н. П., Основы региональной экономики, М.: Экономика и Управление, 2000.
92. Ростиашвили К. Д., Политическая теория либерализма в ракурсе етатизма и антиетатизма, ж. США и Канада, 2000, №10, ст. 77.
93. Гранберг А. Г „Основы региональной экономики" Высшая Школа Экономики, 2001;
94. Нестеров П.М., Нестеров А.П. региональная экономика М.: ЮНИТИ-ДАНА, 2002.
95. Шиф ф М., Уинтерс Л. Региональная интеграция и развитие. 2005.
96. Абралава А., „Глобальное технологическое пространство и национальная экономика". Журнал „Обшество и экономика". 2004, №3.
97. Абралава А., „Развивающиеся страны в условиях глобализации: стратегия и последствия". RELIGIAGOSPADARKA. Tom 11. Сб. статей. Lublin 2005. „WydawnictwoKUL"
98. Алиев В. Г. и др. Региональные проблемы переходной экономики – вопросы теории и практики. М.: Экономика, 2002;
99. Amstrong M., Teylor J. Regional Economic and Policy. Third Edition. Blacwell Publishers, Great Britain: MPG Books, Bodmin, Cornwoll, 2000.
100. Augusto Lopez-Claros, Laure Altinger, Jennifer Blanke, Margareta Drzenick, Irena Mia. The Global competitiveness Indexs: Identifying the Key Elements of Sostainable Growth. The World Competitiveness Report 2006-2007.
101. Christensen G. The past end fiuture of competitive advantage. Oslo, 2001.
102. Hart A. Jeffrey. Rival Capitalist: International Competitiveness in the United State, Japan and Western Europe. L. Cornell University Press, 1992.
103. Sachs J.D., Warner A. M. The World Competitiveness Report. Davos, 2000.
104. Schwab K., Porter M.E., Sachs J.D. The Global Competitiveness Report 2001-2002. Executive Summary. N.Y. Oxsford University Press for the World Economic Forum, 2001.
105. Bantley J. H., ahp Forum-Gross-Cultural interacgtion and Periodization in World History // American Historian Review, 1996, №10.
106. Handbook of International trade and development statistics. Supplement, New-York: United Nations, 1996;
107. Henderson D., International Economic Integration: Progress, prospects, Implications // International Affairs, 1992, №4.
108. Isard W., Locarion and space economy. N.Y. 1972
109. http://www.geplac.org/
110. www.statistics.ge
111. http://www.mof.ge/
112. http://www.economy.ge/
113. http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_id=289&lang=geo
114. http://www.economy.ge/ge/media/news/stambolis-ministerialze-baqo-tbilisi-yarsis-rkinigzis-mseneblobis-droulad-dasrulebaze-setanxmdnen
115. www.statistics.ge
116. http://chalaepec.wordpress.com/2013/04/18/saqarTvelo-da-msoflio/
117. http://chalaepec.wordpress.com/2013/04/18/saqarTvelo-da-msoflio

**Evgeni Baratashvili • Zurab nasaraia • Jandri Zarandia**

**Anzor Abralava • Rusudan Qutateladze • Teimuraz Goderdzishvili**

**Leila Mamulashvili • Gulnaz Erqomaishvili • Tamar Lagvilava**

# REGIONAL ECONOMIC POLICY

Tbilisi
2022

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0186, ე. პოლიბაშვილის №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com